

517 / 4
2005



ლიბერატორის მატიანე



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და
სპორტის სამინისტრო

საქართველოს გიორგი ლომიძის სახელობის
ქართული ლიბრაროლოგიის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ქართული ლიბრაროლოგიის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
„ლიბრაროლოგიის მაგიანე“
2005



რედაქტორი
იზა ორჯონიკიძე

შემდგენელი
ლალი ცომაია

დიზაინი
ჯაბა ასათიანი

ქართული ლიგერატურის სახელმწიფო მუზეუმის
კომპიუტერულ ცენტრში წიგნი ააწყო
ირინე ამირიძემ

დააკაბადონა
ნათუნა ჩიკაშუამ

კორექტორი
კახი ორჯონიკიძე

ISBN 99940-28-00-6

99940-28-26-X



ლიტერატურის მატიანე

2005



გამომცემლობა
„ლიტერატურის მატიანე“
2005


028682

X X X

այլն, ինչպես մեր այս ևս,
ձեռնարկում, չուրս ուրախուս:
Երբ-ձեռնարկումս պէտք ինչպիսի
Է զ-ն, Երբ-Մի և ը ըստ ըստ:

Ձ, զորս շեռն ինչ-պէս, ինչպէս,
Երբ զորս, զորս զորս,
այ զորս, զորս զորս զորս,
զորս զորս Երբ զորս:

Յորս զորս զորս, զորս զորս
Կորս Երբ զորս զորս
Է զորս զորս զորս զորս
Կորս Երբ զորս զորս զորս:



გიორგი ლეონიძე 100 წლისაა
საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული
ლიბრარატორიის სახელმწიფო მუზეუმი 70 წლისაა
„ლიბრარატორიის მატინაე“ 60 წლისაა



გიორგი ლეონიძე

„ლიბრარატორიის მატინაე“ გიორგი ლეონიძის დაარსებულია (1940 წ.). მის სიცოცხლეში გამოიცა 6 წიგნი. ოცდაათი წლის შემდეგ აღდგა მისი გამოცემა და დღესაც გრძელდება.

პოეტის დაბადების 100 წლისთავზე მისივე სახელობის ქართული ლიბრარატორიის სახელმწიფო მუზეუმმა საიუბილეო კრებული გამოსცა, მაგრამ არ შეიძლება „ლიბრარატორიის მატინაეშიც“ არ აღვნიშნოთ ეს ბედნიერი დღე. ვთავაზობთ რევამ ინანიშვილის საოცარ ესსეს „ჩვენი ბებური ბრგყენა“ და გიორგი ლეონიძის გამოკვლევას „დაუდ-ფაშა“, რომლის დედანიც მუზეუმის არქივშია დაცული.

რედაქტორი

ამ მეტად თავისებურ ხეს ჩვენთან, ჩემს მშობლიურ სოფელ ხაშმში, ბრტყენას ეძახიან. ბრტყენები უმთავრესად მშრალ ადგილებში ხარობენ. ვისაც ოცდაათი წლის წინათ სამგორის მიდამოებში გაუვლია, სამი პაგარა გორაკის (ყორდანის) მხარეს უთუოდ შეამჩნევდა ნახნავებში თუ გადახუნებულ ბალახებში ჩამდგარ რამდენიმე მარტოხეს. ეს მარტოხეები, ბრტყენები, პირველგაფოთლისას ნაზ, მომწვანო-მოლურჯო ფერს დაიკრავენ, მერე თანდათან ვერცხლისფერი ეღებათ, დასრულებული ფოთოლი მონაცრისფროდ ხუნდება. შემოდგომაზე, როგორც თითქმის ყველა ფოთლოვანი ხე ქვეყანაზე, ბრტყენაც ყვითლდება. შიგდამიგ სიწითლეებიც გამოუჭვების. ნოემბრის ბოლოს ფოთლები მთლიანად სცვივდება. ფოთლებიც, ნაყოფიც. ნაყოფი აქვს გყის პანგის მაგვარი, ოღონდ წვრილი, მაგარი, ძალიან მწკლარგე, მახრჩობელა. კარგად რომ ჩაყვითლდება, უფრო - რომ ჩაყავისფრდება, მაშინ მშენიერი საჭმელი ხდება. პანგასაც მოგვაგონებს და თანაც გაცილებით გემომდიდარია. ძველად, მამთრის პირას, ბრტყენასთან გაელილი კაცი უთუოდ შეყონდებოდა, გადავიდოდა, ბალახებიდან ამოჰკრეფდა ნაყოფს და პირს გაისევლებდა. ახლა... შეიძლება ახლაც შეყოვნდეთ, თუ, რა თქმა უნდა, ფეხით მიდისართ. გაფხულობით ბრტყენების ჩრდილში სიციხისაგან თავს იფარავენ მინდორში მომუშავენი. ბრტყენებზე სხდებოდნენ სანადიროდ გამოსული ქორები. მამთრობით დიდი მანძილიდან ჩანდნენ ის ქორები, მოსწყდებოდნენ გოგებს და თითქოს ფრთების შეუგოკებლად მისრიალებდნენ დაგრიალეულ ველზე, ნელ-ნელა იხედებოდნენ აქეთ-იქით. დიდ ყინვებში ბრტყენები მთლად თეთრდებოდნენ ჭირხლით.

ეს - სამგორის ბრტყენები... მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო ბრტყენა, რაც კი მე მინახავს, სხვაგან იდგა. ეს ის ადგილია, სახაშმო რომ მთავრდება და საპაგარამეულო (ვიორგი ლეონიდის სამშობლო) იწყება - რბილად შემალღებული გორაკის ფერდო, უბრალო ურო ბალახის სამფლობელო. კაკლის ოდენას ვერ ეგყოლი, მაგრამ კარგა მოზრდილი პანგის სიდიდის მაინც იყო. გრივალევით ასული შრო და გაჯაგრული მსხვილი გოგები ისე პქონდა დაკუნთული, დაკოჟოყებული, შეხედავდი და მამინევი იგყოლი - ამას საუკუნეთა იქით აქვს ფესვები გაგანილიო. ნელდ გოგებს შორის შავი სიმკაცრით გამოიყურებოდნენ ხმელი გოგები. არ ვიცი, ვის რას უშავებდა, მრავალს კი გამოეცადა მის შროზე ცული თუ წალდი,

გყვია თუ შურდულის ქვა. იყო ნაღიჯნი, ნაჯიჯგნი, ალაგ-ალაგ ქერქებ-ამოფლეთილი, ძირგამომწვარი, შეგუსული, მაინც ძლიერი, ნელლი გოგების წვერებით ამღერებული. ზედ იყო დარჩენილი ქანგიანი ლურსმნებიც. ლურსმნებზე კოლმეურნეობის თავკაცები თავდაყირა პკილებდნენ ხოლმე ჩამოსაგყავებელ ბატკნებს. საიდანღაც მოეგანათ დიდ-დიდი ქვებიც, დასასხდომადაც, ზედაღვრადაც. ზედაღვრად გამოყენებული ქვები გაბოლილი იყო, მათ შუა ეყარა ნაცარი და ნახშირები. იქვე დაინახავდით სანოვაგის ნარჩენებს. ჩემს პატარაობას, სამეგრელოში ყოფნისას, ერთხელ ჩვენც გვასადილეს ბრტყენის ქვეშ, მოწაფეები. რა გემრიელი იყო იქ შემოთავაზებული ლორის ნაჭერი! რა გემრიელი იყო მარილში ჩაწებული ქორფა ნიორი, მშრალად მოხარშული კარგოფილი! ჩვენ ვჭამდით, მაღლიდან კი მხიარულად დაგვეგალობდნენ გოროლები!

ხაშმელებმა იცოდნენ თქმა: ბრტყენასთანო, სანამ ბრტყენასთან მიხვალო, ბრტყენის იქითო, მაგრამ ყველაზე საინტერესო ერთი ნათქვამი იყო: ერთი პატარძეულელი კაცი, თოვლში, ბრტყენიდან მობრუნებულა საყველაწმინდოს დასაღვევად, დაუღვევია და ისე წასულა შინო. გიორგი ლეონიძემ ნამდვილად ეს თქმულება დაუღო საფუძელად თავის მშვენიერ მოთხრობას – „ღვინჯუა“. რა მოთხრობაა! რა ძალითა და ფერადოვნებით აქვს დახატული დიდ პოეგს ჩვენი ძველი გლეხობა, მათი ნათელ-მირონობა, პურობა! ერთხელ გავუბედე და ვკითხე ბატონ გიორგის, – ხომ ასე იყო, ხომ ხაშმელთა თქმულება პქონდა გამოყენებული „ღვინჯუაში“. გაეცინა და მომიგო, – ხაშმელებს რას გამოგაპარებთო. მინდოდა ისიც შეკითხა, რაგომ აავსო ღვინჯუას გამოსაუღელი გზა ბუნქნარებით, ჩირგვებით, ჯღრღეებით, როცა ირგვლივ მხოლოდ საყანე მიწები იყო, აღუნულ-ჩაღუნული საყანე მიწები, უფრო საშიში სანავარდო ქარბუქისათვის, და ნიშანდობლივი მხოლოდ ბრტყენა იდგა, მაგრამ ეს ვეღარ შევბედე. სამაგიეროდ თვითონ მითხრა: – „ღვინჯუაში“ არა ჩანს ეგ თქვენი ბრტყენა... თქვენი კი არა, ჩვენია, პატარძეულელებისა, და თქვენა გაქეთ მიგაცებული, ხაშმელებს, „ღვინჯუაში“ არა ჩანს ეგ ბრტყენა, მაგრამ, გაიხარეთ, მაგ ბრტყენამ დამაწერინა კიდე უფრო უკეთესი რამე – „ოლე“, ოღონდ ეგ არის, სალიახვოში გადავიგანე და იქ დავღვი. რაგომ? რას გაუგებ პოეგს. ალბათ იმიგომაც, რომ ის ადგილები გული საქართველოა და მე ძალიან მიყვარს. მეორეცა – ხაშმელები ბაზრის ხალხი ხართ, თქვენ ფონზე როგორ შეიძლება დაიწეროს ამაღლებული ლექსი! ხაშმური ქართული გულაბი მიყვარდა ყმაწვილობისას. ლალიძეებს ედგათ ეზოში, ისიც აღარ გივარგათ. სულ დაკუჟანებულან, დაბღუნებულან, ისინიც თქვენთვის დაგიმსგავსებიათ. აბა, შემომხედე, მე როგორი ვარ, პატარძე-

ულელი!

მისი ქილიკი არ მეწყინა. ეს იყო გამოგრძელება ათადან ბაბადან წამოსული ორი მეზობლის კეთილი ქიშპობისა – არა მე გჯობივარ, არა მეო. შეხედავ ბაგონ გიორგის და არ შეიძლება, გუნებაში მაინც არ გეთქვა, – მაღლი შენს გამჩენსო! შემაგყო, რომ მაინც დამჩაგრა დიდმა, ზვიადმა, და უცებ დამიყვავა:

– ისე, კარგი ხალხიც გყავდათ ძველად: დიმიტრი ბაქრაძე, იოსებ იმედაშვილი, აკადემიკოსი ნათიშვილი... ის ბრგყენა კი ნამდვილად ჩვენია, პაგარძეულელებისა. თქვენ ვენახის ორღობეების ხალხი ხართ, თქვენ საიდან გეცოდინებათ ეგეთი ხეების ყადრი: მოდი ჩემთან, ვიდრე მეხი დაგკრავს, აგაბოლებს, გყავდამსკლარო, ნაოხარო, მარგოხეო, ოლე!

ხომ მიყვარდა ჩვენი ბებური ბრგყენა, იმ დღიდან წმინდა ხელ იქცა ჩემთვის. წარმოიდგინეთ – დიდებული ოლეს პროტოგოპი! ოლე! ოლე! რამდენჯერაც მივსულვარ მასთან დავაწყობდი ხელებს ზროზე და ავეყურებდი ღიმილით მაღლა. ამ ათიოდე წლის წინათ კიდევე ერთხელ მოვინდომე ნახვა, მინდოდა მეჩვენებინა მეგობრისთვისაც, გადავუხევიეთ მთავარი გზიდან, მაგრამ ჩვენი ბებური ბრგყენა აღარ დაგვხვდა. მის ადგილას შავად ამოყამებული ძირის ნარჩენილა იღვა, ისიც გულჩამწვარი, ჩანაყრებული.

ო, როგორ მეწყინა!

კიდევე კარგი – ირგელივ ყველაფერს მწვანედ გაჰქონდა ღაღანი და მოწმენდილ ცამიც ისევ მხიარულად გალობდნენ გოროლები.

რევაზ ინანიშვილი, 1984 წ.

დაუდ-ფაჟა

ცნობლია, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-19 საუკუნის პირველი მესამედის ურაყის ისტორიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართული წარმოშობის „ქუმელენების“ დინასტიის წარმომადგენლები. აღიარებულია, რომ ქართველ მამულქთა მმართველობა ურაყის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხანაა.

მამულქთა ისტორიის შესწავლით არაბეთსა და ევროპის ქვეყნებში მრავალი ისტორიკოსი იყო დაინტერესებული. საგულისხმო ფაქტია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი იყო პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე, რომელმაც მნიშვნელოვანი გამოკვლევა უძღვნა დაუდ-ფაჟას და 1954 წელს ეურნალ „დროის“ (№ 3) ფურცლებზე გამოაქვეყნა ნარკვევი ამავე სახელწოდებით.

პოეტი ადინიშული ნაშრომი საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაყული საბუთების მიხედვით დაწერა და გზა გაუხსნა მამულქეთა თემას მეცნიერებაში. შემდეგში მამულქეთების თემაზე დაიწერა ისტორიკოსების დ. ჯანელიძისა და ბ. სილაგაძის წიგნები. მაგალითად, ცნობილია 1967 წელს მათი ავტორობით გამოშული წიგნი „ქართველი მამულქუკები ევეიკესა და ერაყში“ და ბ. სილაგაძის მონოგრაფია „ერაყი მამულქეთა გამგებლობის ხანაში“ (თბ. 1978 წ.).

მკითხველს ვითაეზობით ვიორგი ლეონიძის წერილს დაუდ-ფაშას შესახებ. მან ნაშრომში მოგანილი დაუდ-ფაშას წერილი დედისადმი დაათარილა 1820 წლით, მაგრამ ეს საბუთი შემდეგში დათარიღდა 1821 წლით (თბ. ბ. სილაგაძე, „ქართველი მამულქუკები ერაყში“, გვ. 349).

ასე რომ გარუქართველების თემა ვიორგი ლეონიძის პოეზიასა და მეცნიერულ ძიებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. პოეტი ჯერ კიდევ 1948 წელს შექმნა შესანიშნავი ლექსი „ანუ გათათრდები“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ახსნილი ევეიკის მტრედის მთაგონებით.

ლექსში ერთგან ვკითხულობთ:

*„შენ დღესაც იხვე თაუზე დაქკენესი
ძუძუს მოხსლეგილ გარუქართველებს, -
იქ თურქის ბრჭყალში, თათრის ბორკილში,
სადაც მრავალი ცრემლით ათენებს“.*

ამ ლექსის ხმა დღესაც ძალუმაღ ჩაესმის ქართველობას.

ამ თხუთმეტი წლის წინათ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმისთვის შემთხვევით შევიძინეთ საბუთები, რომლებშიც აღ-მოჩნდა ერთი ქართული წერილი „ბაღდადის ხელმწიფისა“ დედისადმი მიწერილი.

მამინ ჩვენთვის სრულიად უცნობი იყო ის ფაქტი, რომ ქართველი მამულქუკები განაგებდნენ ერაყს თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე, მეთურამეგე საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, რომ ქართველ მამულქუკებს ჰყოლიათ ქართველი მმართველები და სარდლები. არც ის ვიცოდით, რომ, თურმე, ჯერ კიდევ მეთურამეგე საუკუნის პირველ ნახევარში ქ. ბაღდადში, ანუ ძველ ბაბილონში პქონიათ ქართული სკოლა ორასი ქართველი ბავშვისთვის, რომ ბაღდადის მმართველების ქართული გვარდია, რომელიც მრისხანე ძალას წარმოადგენდა, ყოველწლივ ივსებოდა საქართველოდან ახალი კონგინგით, მოტაცებული ყრმებითა და ჭაბუკებით. ერაყელი ისტორიკოსი თალიბი, რომელიც წარმოშობით ქართველი ყოფილა, გადმოგვცემს, რომ ქართველ მამულქუკთა მრძანებლობის ბოლო პერიოდში ქართველ მამულქუკთა რიცხვი 1800 კაცს უდრიდა.

ამ საკითხის შესახებ გ. ბეი-შამიკონიანმა, საქ. მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელმა, გადმოგვცა წერილი „ქართველ მამულქუკთა ბაგონო-

ბა ერაყში, მე-18 და მე-19 საუკუნეებში“.

მამიკონიანის აზრით, ერაყელი მამულეკები, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოს მოვლენა იყო, ხოლო ეგვიპტის მამულეკების ქართული განგოგება, — განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოური. ერაყელი ქართველი მამულეკობა იყო მოვლენა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ფარგლებს არ სცილდებოდა, ხოლო ეგვიპტური მამულეკობა იყო დიდი და თავისებური მოვლენა მსოფლიო ისტორიისა. მათი როლი იყო ერთი გადამწყვეტი ძალათაგანი გვიანდელ საუკუნეობრიობისა. ასე, 1250 წელს, მამულეკთა გააფთრებული იერიშის წყალობით, ეგვიპტის სულთანს დანებდა მთელი თავისი არმიით მეშვიდე ჯვაროსნული ომის შთამაგონებელი და ბელადი ლეი IX. იმავე ხანებში იგივე ეგვიპტე და მთელი მაჰმადიანური სამყარო, სასიკვდილოდ დამარცხებული მონგოლთა ურდოების მიერ, გადაარჩინა თავისი დაუდგრომელი ვაჟკაცობითა და შემართებით მეგრულ-აბხაზ-ჩერქეზთა მკლავმა და საზღვარი დაულო მონგოლთა ექსპანსიას მაჰმადიანური ქვეყნების მხარეში.

გარდა იმისა, რომ გარეშე მგერს დიდძალი ქართველობა მიჰყავდა გყვედ, თვით ქართველი თავად-აზნაურობის ნაწილი დიდის ენერგიით აწარმოებდა გყვევებით ვაჭრობას, რაც ფეოდალური წყობილებს ეკონომიური კრიზისით იყო გამოწვეული. ცოცხალი ადამიანის სავაჭრო საგნად, ექსპორტად გადაქცევა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ქართული სამართლით, ყმისა — ყველაფერი ბატონის იყო, გარდა სულისა. დაღარიბებული მეზობლები უხვად სარგებლობდნენ განუსაზღვრელი უფლებებით. ყმით ვაჭრობამ, განსაკუთრებით მე-17–18 საუკუნეებში ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ყმა საგარეო ვაჭრობის ობიექტად იქცა. ყმას ჰყიდდა დიდებული, თავადი, აზნაური, ეპისკოპოსი, ვაჭარი და მდიდარი გლეხიც, სხვადასხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, „საქონლად და სასარგებლოდ“, სასმელ-საჭმელში გასაცვლელად, ცხენზე, ხმაღზე, ხიზილალაზე, სკლაგზე, განისამოსზე ან კომფორტის სხვა საგნებზე. ცნობილია, რომ მე-17–18 საუკუნეებში, შავი ზღვის სანაპიროების მფლობელთა — დადიანის და გურიელის შემოსავალს უმთავრესად გყვევებით ვაჭრობა წარმოადგენდა. თეიმურაზ I-ის სიტყვით, მარგო დადიანი წლიურად ჰყიდდა 10-12.000 ყმაწვილს. ევროპელ მოგზაურთა უფრო ობიექტური ცნობების მიხედვით, მარგო სამეგრელოდან 1640 წ. ბოლოს წლიურად გაჰყავდათ 2.000 გყვე, ხოლო, საერთოდ საქართველოდან, შავი ზღვის გზით, 4 ათასი კაცი.

საყურადღებოა, რომ ქართული სამართალიც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა ახალწარმოშობილ კომერციას. იგი მხოლოდ არაქრისტიანებს უშლიდა ვაჭრობას, ისევე, როგორც ეკლესია, „წყევლისა“ და „შეჩენების“ წიგნებით. ამით გათავაშებული მეზაგონეები, ლეკთა და თურქ მტაცებელთა მეოხებით, სგამბოლის, ეგვიპტის და ალჟირის ბაზრებში

ქართველი გყვევებით ვაჭრობას შესამჩნევი მასშტაბით აწარმოებდნენ ცნობილი ფაქტია, რომ აღმოსავლეთის ბაზრებზე ქართველი ყმა უფრო ძვირად იყიდებოდა. მე-19 საუკ. მეორე ათეულში, კონსტანტინეპოლში მყოფი ქართველი მოგზაური გიორგი ავალიშვილი შენიშნავს, რომ ხშირად სხვა ეროვნებათა გყვევებსაც ამ მიზნით ქართველების სახელით ჰყიდიანო: „უმეტესნი ნაწილნი ისყიდებიან კონსტანტინეპოლს სახელთა ქვეუ ქართველისა, მიუხედავად მისა, ვითარმედ არიან იგინი ნათესაობით სრულიად სხვა, რომელთათვისაც, მიმღებლობენ გამსყიდველნი მათნი მრავლით უმეტესსა ფასსა, ვიდრე ვითარსაცა მიიღებენ ყე იგინი, ოდესაც გამოაცხადებდნენ სწორედ სადითობასა მათსა“-ო (წ. კ. №450).

აი რას იწერება სტამბოლიდან გყვედ მყოფი პაგრიარქი დომენტი: „ერთი ყმაწვილთაგანი აქ, კონსტანტინეპოლში გამოსყიდულ იქნა... და ჩემთან მოყვანილი მოსამსახურედ... იგი მუხრანელი ბონიაშვილია. დღე და ღამე სტირის და ვერ ივიწყებს სამშობლოსგან მოშორებას. ვერაფერი ანუგეშებს. მისი მწარე სიცოცხლე სამშობლოს განშორებით უმეტესად ამძაფრებს ჩემს სულიერ წყლულებს. სხვა 49 ყმაწვილი სტამბოლის ბაზარზე გაისყიდნენ და გყვევებად იქმნენ წაყვანილი ეგვიპტეს და აღჯირს“.

„ლეკთა გაალაგეს საქართველო“, – სწერდა ერეკლე II ეკატერინე მეორეს. ჯერ კიდევ 1716 წელს, სულხან-საბა ორბელიანმა ნახა ქართველი გყვევები ლოკარნოში, მესინაში, კუნძულ მალტაზე. 1823 წელს, ქართველი მოგზაური გიორგი ავალიშვილი შეხვდა გაყიდულ ქართველებს ანატოლიაში, ეგვიპტეში, პალესტინაში, ხოლო მე-18 საუკ. ერთს ჩვენამდე მოღწეულ წერილში, რომელიც დაწერილია ქ. მოსულში, ვინმე ქართველი ჩივის, რომ მან სტამბოლში იპოვა გაყიდული თავისი დედა, ძმას მიაგნო ქ. დიარბექირში, ხოლო დების საძებრად მიემართება ბაღდადში:

„ბიბა ჩემი ბაღა, აქეთ დიარბექირს მოსული იყო და შეიღის საძებნელათ და ვერ ეპოვნა. ახლა მეც ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერა ვნახე. კიდევაც თვალი მიჭირამს. თუ ვნახე, ჩემთან მოვიყვან. ღვითთ ახლა თუ დედაჩემის ამბავს იკითხავთ, შევიცყე, რომა სტამბოლს, უსკუდარს წაუყვანიათ – სერჯ-ალასი, მუსგაფა-ალას ეძახიან, იმასთან წაუყვანიათ და ჯერ სწორე ამბავი ვერ შევიცყე. ახლა ჩემი ძმების ამბავს იკითხავთ, იმათიც ვერა გავიგერა. ახლა ჩვენი ხანუმის ამბავს იკითხავთ ღვითთა – დიარბექირს, ერთს ფრანგსა ჰყვანდა და დავისხენი. მე ისევ ბაღდადს ვახლავარ“ (ე. არქივის სივ. ფონდი, სიგელების წიგნი № 24, 101).

მოგჯერ გყვედ წაყვანილები ჭკუის გამჭრიახობით, ინიციატივისა და ფიზიკური ძალის წყალობით ღიდ სახელმწიფო პოსტებს აღწევდნენ. 1740-იან წლებში, სამგორის მინდვრიდან ლეკების მიერ მოტაცებულ იქნა პაგარა მწყემსი მარტყოფელი შინჯიკაშვილი, რომელიც თხის ფარას

აძოვებდა. შემდეგში იგი შეიქნა ევგეიკის დიდი სახელმწიფო მოღვაწე იბრეიმბეგის სახელით. მან დაიბარა თავისი ძმა ბასილა შინჯიკაშვილი, სიძე გოგია ბერუაშვილი და უკან დიდი საჩუქრებით გამოისტუმრა.

ასეთივე ბედისა გამოვიდა გვილისელი მანველაშვილი ანუ ბოჩოლაშვილი გიორგის შვილი დიმიტრი, ლეკთაგან მოგაკეპული და რამდენჯერმე გაყიდული, რომელიც შემდეგში „ბაღდადის ხელმწიფე“ ანუ მმართველი შეიქნა.

ცნობები დაუდ-ფაშას შესახებ

„ბაღდადის ხელმწიფე“ – დაუდ-ფაშა იგივე დიმიტრი ბოჩოლაშვილი ანუ მანველაშვილი დაბადებულია გვილისში, დაახლოებით 1767 წელს.

ყრმა დიმიტრი ლეკებს მოუტაცნიათ და 1780 წელს, როცა დიმიტრი 12-13 წლისა იყო, გყვეთმოვაჭრეებს ბაღდადში ჩაუყვანიათ. ბაღდადის ბაზარზე დიმიტრი რამდენჯერმე იქნა გაყიდული. იგი ძალით გაუმაჰმადიანებიათ, და ბოლოს სულეიმან დიდს, ბაღდადის ფაშას, გომით ქართველს უყიდა. მკვირცხლსა და ნიჭიერ ბავშვს, თავისი გონებრივი ნიჭით, განსაკუთრებით ლიგერაგურის სიყვარულის წყალობით, მალე დაუმსახურებია ფაშის ნდობა. იგი მალე გამხდარა ფაშის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილ მდივნად და მწერლად. ამ დროისათვის დაუდს მშვენივრად სცოდნია არაბულ-ირანულ-თურქული ენები. შემდეგ დაუდი ხდება სულეიმან დიდის მოღარედ და ბეჭდისმცველად და ცოლად ირთავს თვით ბაღდადის მმართველის სულეიმანის ქალიშვილს.

1815 წელს, დაუდი ხდება ბაღდადის ახალი მმართველის, გომით ქართველის, აბდულ ფაშის მოადგილე, ხოლო 1817 წელს, მან მოაწყო გადაგრილება და სგამბოლის თანხმობით გახდა „ბაღდადის ხელმწიფე“ (1817–1831 წწ.).

ბაღდადის მმართველობის დროს, დაუდ-ფაშას დიდი ენერჯია გამოუჩენია. სხვათაშორის მას აუშენებია ბაღდადის ახალი ბაზარი, ახალი ხიდები და აგრეთვე ხელოვანთა მფარველი ყოფილა.

1820–1831 წლებში მასთან საიდუმლო მოლაპარაკება უწარმოებია რუსეთის მთავრობას. 1831 წელს, განრისხებულმა სულთანმა მაჰმად მეორემ გაგზავნა ჯარები დაუდ-ფაშის წინააღმდეგ. მიუხედავად დაუდ-ფაშის მიერ გაწეული სასტიკი წინააღმდეგობისა, ოსმალთა ჯარმა ბრძოლით აიღო ბაღდადი და დაუდ-ფაშა დააგყვევა, ხოლო ქართული გვარდია უკანასკნელ კაცამდე ამოწყვიტა. ამრიგად, მაჰმად მეორე დიდი სიმკაცრით გაუსწორდა ბაღდადელებს, მან მხოლოდ დაუდ-ფაშას აპაგია გან-

დგომა ვაეკაცობის გამო და ქ. ბურსაში გაგზავნა მმართველად. 1832 წელს დაუდს ბოსნიის მმართველად ვხედავთ. 1833 წლიდან კი დაუდ-ფაშა თურქეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

1841 წელს, დაუდ-ფაშა საკუთარი არჩევანით და ახალი სულთანის აბდულმეჯიდის მისდამი კეთილგანწყობილების წყალობით, როგორც მაჰმადიანურ თეოლოგიაში ღრმად განსწავლული, დაინიშნა ერთ-ერთ ყველაზე უფრო საპატიო თანამდებობაზე ისლამურ სამყაროში – მექას წმინდა ადგილების გამგედ და მფარველად.

დაუდ-ფაშა გარდაიცვალა 1851 წელს.

მისი ქართული წერილი დედისადმი, დაწერილია 1820¹ წელს, როცა დაუდი უკვე ბაღდადის მეპატრონე იყო.

ა. გრიბოედოვი წერს: „Дауд-Паша прислал своего поверенного в Грузию, чтобы позволено было его матери, при-
быть к нему в Багдад. Но она, крепостная князей Орбели-
ановых, решительно отказалась от путешествия в мусуль-
манскую землю и предпочла свое состояние в православном
отечестве, той пышной жизни, которая ее ожидала в
Багдаде“.

როგორც ალ. გრიბოედოვის დღიურის ამ ამონაწერიდან ჩანს, სხვადასხვა მოსაზრებით, დედას უარი უთქვამს ბაღდადში შვილთან წასვლაზე.

დაუდ-ფაშას ჰყვარებია დედა და მისთვის უზრუნვია. მას გამოუგზავნია ბაღდადიდან საგანგებო თანხა დედის, დებისა და ძმების გამოსასყიდად, რადგან ისინი თავად ორბელიანების ყმები ყოფილან.

ბოლოს იგი ეცადა მათ გააზნაურებოდაც.

აი, ეს გამოსყიდვის საბუთიც:

„1820 წელს, ნოემბრისა დღესა, მე ქვემო ხელის მომწერელმა თავადმა ლუარსაბ იოანეს-ძემ ორბელიანმა, განვათავისუფლე ჩემი ყმობისაგან ჩემნი სამკვიდრონი ყმანი, აწ აქ გფილისში მცხოვრებელნი ბოროლანთ ვიორგის შვილები ყოველნი, შიო და დიმიტრი, რომელნიც მანველანთ იხსენებოდით შენის ცოლით ბარბარეთი და შენის ქალებით ნინოთი, ანათი და სალომეთი და დედა შენი მარიამ და შენი ძმა დიმიტრი, რომელიც აწ ბაღდადს იმყოფება.“

ასე რომე, თქვენ ჩემი გული შეიჯერეთ და დღეის შემდგომ, არც მე და არც სხვათა ნათესავთა და ჩამომავლობათა ჩემთა საბატონყმით თქვენ შიო და დიმიტრისთან და თქვენ ჩამომავლობასთან თქვენთანა

¹ ხელნაწერში უფრო 1821 წ. იკითხება (ა. ო.).

თქვენი ძე დაუდ ფაშა, მრავალს მოკითხვას და ნახვის ნაგვრას მოგძიონით დედავ მარიაში! მერმეთ თქვენი მოწერილი წიგნები თუ არმრუმედ გამოგზავნილი ანუ შუბალაანთ კაცის ხელით გამოგზავნილი წიგნები ჩამაბარენ სრულად, რაც რომ მოგეწერათ ვისმინეთ და ახლა თქვენი ამნაურობისთვის ბატონი მთავარ მართებლისთვის წიგნი მომიწერია, უსუფა გამამიგზავნია, წიგნები გამამიგზავნებია.

წიგნების მირთმევაზე თქვენც მიჰყევით. რაც რომ ვნებავედეს ყოველის ფერი მოახსენეთ. და ახლა ანდრია შუბალაშვილისთვისაც მომიწერია, რომ ამ საქმეზედ მოგეხმარებათ. მერმეთ, თუ შეიძლებოდეს, ჩემს უნახაობას ნუ დაიშურებთ, მოდი, შენი ნახვა მსურს, სხვა ფერ ფიქრი ნუ გაქვს რამთენ ხანსაც გენებებოდეს იყავი, როცა ინებებთ მაშინვე კიდევ დიდძალ პატივით გავიშვებთ. მერმეთ ჩემს ძმას შიოს მრავალს მოკითხვას მოუძღნით და შიოს ყმარწვილებს მრავალს მოკითხვას მოუძღნი. ჩემს დებს მრავალს მოკითხვას მოუძღნი. მერმეთ ვითხოვთ თქვენი მოწყალე გულისაგან, რომ ლოცვით ნუ დამივიწყებთ. კაცი ქვეყანაზედ მოვა და ვენახს გააშენებს, რომ ნაყოფი მიიღოს, თქვენ ვენახი გავიშენებიათ და ნაყოფი არ მიგიღიათ, ვითხოვ თქვენი მოწყალე დედობისაგან, თუ შეგეძლოს, წამოსვლას ნუ დაიბარებთ, ჩემთვის ილოცეთ მოწყალე დედაო!

თქვენი ძე, ბაღდადის ხელმწიფე დაუდ ფაშა.

დაიწერა წელსა 1821, მარიაშობის ორს.

* * *

მართლაც არაბულ მლაპარს ჰგავს დიმიტრი ბოჩოლაშვილის „ბაღდადის ხელმწიფედ“ გახდომა. მაგრამ ქართველი დაუდ-ფაშა ამ შემთხვევაში ერთი მაგალითი არ არის. მრავალი გყვედ გაყიდული ქართველი თავისი ნიჭის წყალობით დაწინაურებულა და ბრწყინვალე სახელი დაუტოვებია როგორც პოლიტიკის, ისე ხელოვნების ასპარეზზე. გავისხენოთ ირანის განთქმული მხატვარი „გურჯი სიაუში“ (მე-16-17 საუკ.). ამ ჯადოქარმა ოსტატმა თავისი სკოლა შექმნა ირანულ მხატვრობაში; გავისხენოთ ქართველი ანთიმოზ ივერიელი, რომელმაც მე-17 საუკ. დასასრულს ვალახიაში სგამბა დააარსა, გავისხენოთ არა ერთი სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე ირანისა და თურქეთისა, რომელთა უმეგესობა დაუდ-ფაშისებრ მოგაცეხული და გაყიდული ქართველები იყვნენ. ბედის უკუღმართობით სამშობლოდან გადახვეწილნი. უმთავრესად, ტრაგიკულად ამთავრებდნენ ისინი თავიანთ ცხოვრებას.

ვიორგი ლეონიძე

გალაკტიონ გაბიძის უსწორი ფოტოსურათი

გალაკტიონ გაბიძის თანამედროვენი გადმოგვეცემენ, რომ გალაკტიონს ძალიან უყვარდა ფოტოსურათების გადაღება. ამ ფაქტს, ისიც ადასტურებს, რომ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია მისი „...ხუთასზე მეტი ფოტოსურათი – სხვადასხვა წლების, ფორმაგის, ხარისხის, ხასიათისა და ფერის ქალაღღმე აღბეჭდილია მძაფრი ცხოვრების უკეთესი მომენტები, შეჩერებული, დაჭერილი და გადარჩენილი წამები.

უმეტესად მარტო შემოგვეყურებს, როგორც ცხოვრებაში...

უყვარდა, ინახავდა, ინიშნავდა...

აინტერესებდა ობიექტივის მიერ შენახული წარსული.

– ამ უცხო ნისლის ბარიკადები მე მიყვარს როგორც ჩემი წარსული.

ხუმრობდა კიდეც: – „ბუღიმ კარგოჩკი სნიმატ...“ – აღნიშნავდა თავის წიგნში „უცნობი“ ვახგანგ ჯაჯახაძე.

ერთ-ერთ ფოტოს, რომელიც 1936 წ. 20 მაისს გადაულია ქუთაისში, გალაკტიონის ავტოგრაფი ამშვენებს:

*შენ გალაკტიონ იყო?
ის იყოვესერ ჩქმა,
ქმე ჩოქოც ვყო
წყნარად იარე, წყნარად.
გ. გაბიძე*

„შენ გალაკტიონ იყი?
რა დაუღვერად ჩქარა,
ქრება ქალების ფიცი,
წყნარად იარე, წყნარად“.

გ. გაბიძე

ეს ფოტოსურათი პოეტ ბონდო კეშელავას არქივს შემორჩა. როგორც პოეტის მეუღლე ნუცა ღვინეფიძე და ქალიშვილი ნათელა კეშელავა იხსენებენ, ოჯახი სასოებით ინახავდა დიდი პოეტის სახსოვარს, ხოლო 1986 წ. 17 დეკემბრიდან ამ ფოტოსურათმა ბონდო კეშელავას არქივთან ერთად ლიტერატურის მუზეუმში დაიღო ბინა.

ქვემოთმოყვანილ ფოტოს უნიკალურობას ისიც მაგებს, რომ ეს ფოტო არსად დაბეჭდილია და ამჟამად პირველად ქვეყნდება.

თამარ მურამიელი



გალაკტიონ ტაბიძე ქ. ქუთაისი, 20. V. 1936 წ.

სლმ №12714-ი

ვეპანი ლუნდბერგი – უვედი. რომელსაც უყვარდა ქართული ლიტერატურა

„რაც არ უნდა ითქვას მთარგმნელობითი შრომის დაქვემდებარებაზე – იგი ყოველთვის იყო და იქნება ერთიანი სამყაროს მაკავშირებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საპატიო საქმე“.

გოეთე

სწორედ ასეთი ერთიანი სამყაროს შემაკავშირებელი ადამიანი გახლდათ წარმოშობით შვედი, მთარგმნელი, მწერალი და ლიტერატურათმცოდნე ვეგენი გერმანეს ძე ლუნდბერგი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართული და რუსული ლიტერატურის დაახლოების, თარგმანის, კვლევისა და შესწავლის საქმეში.

თავის ერთ-ერთ მოგონებაში პროფესორი სოლომონ ხუციშვილი ასე ახასიათებდა ვეგენი ლუნდბერგს:

„ევროპული, განსაკუთრებით გერმანული და პოლონური ლიტერატურის ჩინებული მცოდნე, მრავალი ნაშრომით იკვლევდა მეცხრამეტე საუკუნის პოლონური ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს, სწავლობდა და თარგმნიდა რუსულ ენაზე პენრის ჰაინეს¹ ნაწარმოებებს გამოცემულს მოსკოვში 1965 წელს.

რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ვეგენი გერმანეს ძე ლუნდბერგი და მისი მეუღლე ელენე დავითის ასული ლოლობერიძე აქტიურად და ბეჯითად მუშაობდნენ ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებების რედაქტირებაზე და გამოცემაზე.

მათი თარგმანები – სულხან-საბა ორბელიანის წიგნი „სიბრძნე სიყრუისა“, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის მოთხრობები, ლეო ქიაჩელის, ნიკო ლორთქიფანიძის რომანები, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები ხშირად იბეჭდებოდა მოსკოვისა და თბილისის გამომცემლობებში. სოლომონ ხუციშვილი. 28. I. 85“².

1979 წლის 4 დეკემბერს ელენე ლოლობერიძის დამ, ლილი ლოლობერიძე საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს გადმოსცა ვეგენი ლუნდბერგისა და ელენე ლოლობერიძის საოჯახო არქივი. რუსულენოვანი არქივის ძირითად

¹ პენრის ჰაინე (1797–1856) – გერმანელი პოეტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი.

² სოლომონ ხუციშვილი, მოგონება ვეგ. ლუნდბერგზე „ის მე მწერდა“. სლმ № 28756, ყველა მოგონება და წერილი რუსულიდან თარგმნა ლიტერატურის მუზეუმის მეცნიერთანამშრომელმა დავით ბუაჩიძემ.

ნაწილს შეადგენს ევგენი ლუნდბერგისა და ელენე ლოლბერიძის 1926–1961 წლების მიმოწერა (928 წერილი), სხვადასხვა პირთა ბარათები მიწერილი ევგენი ლუნდბერგისადმი (340 წერილი), დღიურები და მემუარები. საოჯახო არქივში დაცული სხვადასხვა მასალიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე საინტერესო ოჯახის წევრებისადმი მიწერილი წერილებია, რომლებშიც ასახულია ევგენი ლუნდბერგის უჩვეულო, შთამბეჭდავი, მრავალფეროვანი და მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრება.



ევგენი ლუნდბერგი, მოსკოვი, 1914 წ.
სლმ №1206017-ი

ევგენი ლუნდბერგი დაიბადა 1887 წლის 31 აგვისტოს კაუნასის (ლიგვა) ახლოს მდებარე ქალაქ ტაუროგენში. მამა მესამღვრე ოფიცერი იყო, პაპა კი – მოგზაური და ცნობილი მკვლევარი, აღმირალი კრუზენშტერნი¹. რვა წლისას მამა დაეღუპა. საცხოვრებლად დედასთან ერთად ქალაქ ვილნიუსში გადავიდა, სადაც 1892 წელს გამოცდები ჩააბარა რეალურ სასწავლებელში. მალე დედაც გარდაეცვალა. სასწავლებლის ბოლო კლასში სწავლისას ადგილობრივ გამოეთებთან თანამშრომლობდა, თხზავდა მოთხრობებს, წერდა ლექსებს და ასე იხილდა სწავლის საფასურს. შეგროვილი მცირე თანხით ევგენი ლუნდბერგი მიემგზავრება საფრანგეთში, პარიზში, სოციალურ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლაში, რომელიც დააარსეს რუსეთის მეფის მთავრობის მიერ გაძევებულმა პროფესორებმა: ე. ვ. ანიჩკოვმა², დე რო-

¹ ივანე თედორეს ძე კრუზენშტერნი (1770–1846) – რუსი მღვაოსანი, აღმირალი (1842), პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (1806).

² ე. ვ. ანიჩკოვი – რუსი მეცნიერი.

ბერგიმ¹, სოციოლოგმა მ. მ. კოვალევსკიმ² და სხვებმა, მაგრამ უსახსრობის გამო ბრუნდება რუსეთში და პროფესიონალი ჟურნალისტი ხდება. თანამშრომლობას იწყებს ჟურნალ-გაზეთებთან, გამომცემლობებთან, მოგზაურობს რუსეთში, სწავლობს გლენტა ყოფა-ცხოვრებას, იწერს მაწანწალათა და უმუშევართა მონათხრობს. 1903–1904 წლებში პეგერბურგის ჟურნალებში „Журнал для всех“ და „Новый путь“-ში ბეჭდავს თავის მოთხრობებს. შემდგომში მიემგზავრება კიევში, მუშაობს გაზეთში „Киевские отклики“ და ჟურნალში „Искусство и печатное дело“. 1909 წელს კიევში გამოდის ევგენი ლუნდბერგის პირველი ორი წიგნი „Рассказы“ და „Мои скитания“. იმავე წელს მას, როგორც 1905–1907 წლების რევოლუციური გამოსვლების მონაწილეს, იჭერენ და პეგერბურგის პეგრე-პავლეს ციხეში ამწყვდევენ, საიდანაც მალე ათავისუფლებენ და აიძულებენ საზღვარგარეთ წავიდეს, თუ არადა, კვლავ დაპატიმრებით ემუქრებიან.

საზღვარგარეთ ევგენი ლუნდბერგი შვეიცარიაში ცხოვრობს, გამოცდებს აბარებს ქენევის უნივერსიტეტში და თავის ლიგერაგურულ სტატიებს გაზეთებში „Русская мысль“-ში და „Речь“-ში აგზავნის. 1910 წელს სასწავლებლად გერმანიაში, იენის უნივერსიტეტში გადადის, წერს მონოგრაფიული გიპის სტატიებს. დ. ს. მერეკოვსკისა³ და მ. ნ. გიპიუსზე⁴. 1913 წელს ევგენი ლუნდბერგი პეგერბურგში ბრუნდება და 1914 წელს ჟურნალ „Современник“-ის ლიგერაგურის განყოფილების რედაქტორად მუშაობს, შემდგომში, კერძოდ 1920–1924 წლებში, ევგენი ლუნდბერგი კვლავ ბერლინშია და განაგებს სახელმწიფო გამომცემლობის ერთ-ერთ განყოფილებას, იქვე აყალიბებს საბავშვო, ეკონომიკურ და სამხედრო გამომცემლობას. რუსეთში დაბრუნების შემდეგ აგრძელებს მუშაობასა და თანამშრომლობას სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებთან და გამომცემლობებთან.

1926 წელს მოსკოვში გამოდის ევგენი ლუნდბერგის დიდი მეგობრისა და თანამოაზრის კონსტანტინე სერგის ძე სტანისლავსკის⁵ წიგნი „Моя

¹ ევგენი ვალერიანის ძე დე რობერტი (დე რობერტი დე კასტრო დე ლა სერდა) (1843–1915) – რუსი სოციოლოგი და ფილოსოფოს-პოზიტივისტი, ო. კანტის მიმდევარი.

² მაქსიმ მაქსიმის ძე კოვალევსკი (1851–1916) – რუსი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, იურისტი, სოციოლოგი. პეგერბურგის შეყვინებებთან აკადემიის აკადემიკოსი (1914).

³ დიმიტრი სერგის ძე მერეკოვსკი (1866–1941) – რუსი მწერალი.

⁴ შინაიდა ნიკოლოზის ასული გიპიუსი (1869–1945) – რუსი მწერალი, კრიტიკოსი.

⁵ კონსტანტინე სერგის ძე სტანისლავსკი (1863–1938) – რეჟისორი, მხახიობი, პედაგოგი. კ. სტანისლავსკის წიგნი „Моя жизнь в искусстве“ გამოვიდა მოსკოვში 1926 წ. კონსტანტინე სტანისლავსკის სამადლობელი წერილი ვე. ლუნდბერგისადმი. სლმ № 26866.

ЖИЗНЬ В ИСКУССТВЕ“ . ევგენი ლუნდბერგის არქივში დაცულია კონსტანტინე სტანისლავსკის წერილი, რომელშიც ვკითხულობთ:

„ძვირფასო ევგენი გერმანეს ძე,

მე ვიცი ამ წიგნის ბედი და ვხვდები, რა ძნელი იქნებოდა მისი გამოცემა.

ყოველი ფურცელი, ნახატი, დეტალი თქვენს მიერ იყო განცდილი. ჩემი ხელნაწერი არ დაიბეჭდებოდა თქვენი დახმარებისა და ხელშეწყობის გარეშე.

სიგყვები არ მყოფნის მაღლიერების გრძნობის გადმოსაცემად, რასაც განვიცდი თქვენი ბრძნული და ენერგიული თანამშრომლობის გამო. გულითადი ერთგულებით ვ. სტანისლავსკი. 22. IX. 1926 წ.“

1936 წლიდან ევგენი ლუნდბერგმა ქართული ლიტერატურის შესწავლა დაიწყო, სისტემატურად ჩამოდიოდა თბილისში, შეიძინა მეგობრები, დაუახლოვდა მწერლებს: ლეო ქიაჩელს, ნიკო ლორთქიფანიძეს, ვიორგი ლეონიძეს, სიმონ ჩიქოვანს, მწერალსა და თეატრალურ მოღვაწეს შალვა დადიანს, პროფესორ სოლომონ ხუციშვილს და მრავალ სხვას, რომელთა დახმარებითა და ხელშეწყობით რუსეთის ლიტერატურულ პრესაში ბეჭდავდა სტატიებს ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვაჟა-ფშაველაზე, ეგნატე ნინოშვილზე, სულხან-საბა ორბელიანსა და სხვა გამოჩენილ ქართველ მწერლებსა თუ საზოგადო მოღვაწეებზე.

ევგენი ლუნდბერგისა და მისი მეუღლის, მთარგმნელისა და მწერლის ელენე ლოლობერიძის ერთობლივი ნამუშევარია წიგნი – მონოგრაფია „ვაჟა-ფშაველა. ცხოვრება და მოღვაწეობა“. წიგნი 1945 წელს გამოსაცემად მზად იყო, მაგრამ მისი გამოცემა უსახსრობის, გამომცემლობებში ქაღალდის უქონლობისა თუ სხვა მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა. თბილისში წიგნის გამოსვლა მხოლოდ 1947 წელს გახდა შესაძლებელი, ხოლო მოსკოვში 1948 წელს, ევგენი ლუნდბერგის არქივში ინახება მწერალ სიმონ ჩიქოვანის გამოხმაურება ამ მონოგრაფიაზე:

„დიდი ინტერესით წავიკითხე ე. ლუნდბერგისა და ე. ლოლობერიძის წიგნი „ლუკა რაბიკაშვილის (ვაჟა-ფშაველა) ცხოვრება და მოღვაწეობა“. წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი ვაჟა-ფშაველას ცხოვრება ბავშვობის წლებიდან მის უკანასკნელ დღეებამდე.

აგტორები ფართოდ ამუქებენ პოეგის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ეტაპს, ალაღვენენ პოეგისათვის დამახასიათებელი გარემოს სურათს, ფშავთა ყოფა-ცხოვრებას, სიძველეებს – ყოველივე იმას, რამაც განსაკუთრებული კოლორიტით გაამდიდრა პოეგის შემოქმედება.

ეს წიგნი პირველი ნაშრომია, რომელიც სრულყოფილად ხატავს

დიდი ქართველი პოეტის ღრმა სახეს.

ამ წიგნის გამოცემა სასარგებლოდ და მიზანშეწონილად მიმაჩნია. სიმონ ჩიქოვანი. 12. X. 1945“.¹

ლიტერატურულმა საზოგადოებამ კარგი შეფასება მისცა ამ წიგნს, რამაც საგრძნობლად გაზარდა წიგნიერი მკითხველის ინტერესი ამ გამოცემისა და მისი ავტორების მიმართ. საოჯახო არქივში დაცულ ვეგენი ლუნდბერგის შეუღლისადმი მიწერილ ერთ-ერთ ბარათში ვკითხულობთ:

„ლიკუშკა, შენამდე ხუთი წუთით აღრე ღარეკა კორნ. გელინსკიმ² თხოვნით, ვაჩუქოთ მას ჩვენი წიგნი, რადგანაც ის შალაშიაში არ იყიდება. ის წერს ნაშრომს ვაჟა-ფშაველაზე, თქვა, რომ მისი სტაგია დაიბეჭდა თბილისში – „კომუნისტში“. კიდევ არის ლენინგრადიდან ჩემთვის ორი უცნობი პიროვნებისაგან მოთხოვნა, გასაგზავნი კი უკვე არააფერია. გელინსკის ვაძლევ უკანასკნელ ვეგემპლიარს. 31.VII“.

სოლომონ ხუციშვილთან ვეგენი ლუნდბერგსა და მის მეუღლეს ურყევი მეგობრობა აკავშირებდათ. ამ მეგობრობის დასტურია მათი მიმოწერა და ხშირი შეხვედრები. ყოველი ბარათი, რომელსაც ვეგენი ლუნდბერგი ბაგონ სოლომონს სწერდა, ასე იწყებოდა:

„ძვირფასო ბაგონო სოლიკო,

(სიამოვნებით მოგმართავეთ ასე იმიტომ, რომ ვიგონებ ჩემს გულითად საყვარელ საქართველოს, ვარდა ამისა, როგორც ეს ხშირად ხდება საქართველოში, არც მე და არც ლელამ არ ვიცით თქვენი მამის სახელი!)“

ვეგენი ლუნდბერგისა და ელენე ლოლობერიძის წიგნმა – „ვაჟა-ფშაველა. ცხოვრება და მოღვაწეობა“, რომლის ერთ-ერთი გამოცემაც სოლომონ ხუციშვილის თანაავტორობით განხორციელდა, დიდი ინტერესი გამოიწვია. წიგნის პირველი ვარიანტი გამოვიდა მოსკოვში; ხოლო შემდგომი სამი – თბილისში.

სოლომონ ხუციშვილი თავის ერთ-ერთ მოგონებაში წერდა:

„ქართული ლიტერატურა ვეგენი გერმანეს ძეს უყვარდა ისე, როგორც მშობლიური, ის ინტერესდებოდა მისი განვითარებით და როგორც საქართველოს ერთგული მეგობარი ბევრს ფიქრობდა, წერდა ქართული ლიტერატურის ცხოვრებისეულ აქტუალურ პრობლემებზე.

¹ სიმონ ჩიქოვანის გამოხმაურება ვეგ. ლუნდბერგისა და ელ. ლოლობერიძის წიგნზე „ლუკა რამიკაშვილის (ვაჟა-ფშაველა) ცხოვრება და მოღვაწეობა“. სლმ № 1557.

² კონსტანტინე გელინსკი (1896–1970) – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. აქვს ნაშრომები საბჭოთა და საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე. ვეგ. ლუნდბერგის წერილი ელ. ლოლობერიძისადმი. სლმ № 26859/26.

ევგენი გერმანეს ძე ლუნდბერგთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჩვენ ხშირად ვხვდებოდით მასთან მოსკოვში სპირიდონოვკაზე, ჩემთან თბილისში და აგრეთვე მისი მეუღლის ელენე ლოლობერიძის ნათესავებთან სულხან-საბას ქუჩაზე.

ბევრი საერთო მქონდა მე ამ დიდებულ, კულტურულ ადამიანთან და მწერალთან. სოლომონ ხუციშვილი, 28. I. 85¹!

ევგენი ლუნდბერგის არქივში დაცულია 1939–1957 წლებით დათარიღებული ცამეტი წერილი. ამ წერილების ავტორი მწერალი ლეო ქიაჩელია, რომელიც პროფესორ სოლომონ ხუციშვილის მსგავსად მეგობრობდა და თანამშრომლობდა ევგენი ლუნდბერგთან და მის მეუღლესთან. წერილები ძირითადად საქმიანი ხასიათისაა, მაგრამ მრავალი თბილი სიტყვაა ნათქვამი ევგენი ლუნდბერგის მიმართ. გვსურს შევჩერდეთ ერთ, ჩვენის აზრით, საინტერესო წერილზე, რომელშიაც საუბარია ლეო ქიაჩელის რომანზე – „გვადი ბიგვა“. ეს რომანი ევგენი ლუნდბერგისა და ელენე ლოლობერიძის ერთობლივი მუშაობის შედეგად ითარგმნა და 1932 წელს გამოიცა მოსკოვში. ლეო ქიაჩელი წერდა ევგენი ლუნდბერგს: „ძალიან სასიამოვნოა, რომ თქვენი მუშაობა ასეთი ნაყოფიერია, ბედნიერებაა დაასრულო სტაგია ან რომელიმე სხვა ნაწარმოები. მე კი „გვადის“ შემდეგ ვერაფრით ვერ წავედი წინ. სულ ვცდილობ დავიწყო მუშაობა. მიშლის ხან სცენარი, ხან სხვა რამ.

ვერ დაგიმაღავეთ, მახარებს და მალეღეებს „გვადის“ წარმატება მოსკოვში. მე ხშირად მომდის წერილი რუსი მკითხველისაგან. ცხადია, მათთვის „გვადის“ თემა ახალია.

ახლა კეთილი ინებე და დაწერე ახალი ნაწარმოები, რომელიც დაინტერესებს მათ.

აი, ეს არის ის, რაც მალეღეებს მე.

სულით და გულით გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. ლ. ქიაჩელი, 4. II. 41².

ევგენი ლუნდბერგის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სცენური გრადიციებით მდიდარ ქართულ თეატრსაც. მისი მეუღლე – ელენე ლოლობერიძე მოსკოვში ვსევოლოდ მეიერხოლდის³ ექსპერიმენტულ სახელოვნოში სწავლობდა, ქუთაისის თეატრის რეჟისორიც იყო.

კოგე მარჯანიშვილთან მუშაობის დროს ელენე ლოლობერიძემ

¹ სოლომონ ხუციშვილის მოგონება ევგ. ლუნდბერგზე „ის მე მწერდა“. სლმ № 28756.

² ლეო ქიაჩელის წერილი ევგ. ლუნდბერგისადმი. სლმ № 26873/6.

³ ვსევოლოდ ემილის ძე მეიერხოლდი (1874–1940) – რეჟისორი და მსახიობი, ახალი დრამის ამზანავების დანის დამაარსებელი. რესპუბლიკის სახალხო არტისტი (1923).

რამდენიმე სპექტაკლი დადგა შალვა დადიანისა და ალექსანდრე ქუთათელის პიესების მიხედვით. ელენე ლოლობერიძისა და ევგენი ლუნდბერგის ერთობლივი მუშაობის შედეგად ქართული და რუსული პრესისათვის დაიწერა, ითარგმნა და დაიბეჭდა გამოკვლევები კოტე მარჯანიშვილზე, სტატიები ვერიკო ანჯაფარიძეზე. ეს ნარკვევები მათი კეთილი მეგობრის, მწერლისა და თეატრალური მოღვაწის შალვა დადიანის დიდი ხელშეწყობითა და დახმარებით დაიბეჭდა.

„ძვირფასო ლელა და ევგენი გერმანეს ძე! ჩვენი თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული გამოცემლობა „ხელოვნება“ გამოსცემს ვიწრო სპეციალიზირებულ ლიტერატურას თეატრმცოდნეობის შესახებ, ხელმძღვანელობას (გრემი, კოსტიუმის ისტორია და ა. შ.), აგრეთვე თეატრალურ მოღვაწეთა მემუარებს და მონოგრაფიებს მათ შესახებ, ასე რომ, რაც შეეხება ვერიკო ანჯაფარიძეს, მის შესახებ წიგნის დაბეჭდვას გამომცემლობა სიამოვნებით მოჰკიდებს ხელს – თუმცა ის არ ბეჭდავს წიგნებს რუსულად, მაგრამ გპირდებით – ნებართვას მივიღებ.

აბა, მომავალ შეხვედრამდე და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ ორივეს. შალვა, 8. I. 50“.¹

საქართველოს, ქართული ლიტერატურისა და თეატრის სიყვარული ევგენი ლუნდბერგს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში სათუთად ინახება ევგენი ლუნდბერგისა და ელენე ლოლობერიძის საოჯახო არქივები.

დავით ბუაჩიძე

¹ შალვა დადიანის წერილი ევ. ლუნდბერგისადმი. სლმ № 26872.

წერილები ელენე ლოლობერიძის არქივიდან

ელენე ლოლობერიძის – მთარგმნელისა და პუბლიცისტის ლიტერატურულ შემკვიდრეობას თანამედროვე საზოგადოება ნაკლებად იცნობს. მან ცხოვრების ოცდათექვსმეტი წელი მოსკოვში გაატარა. ამ პერიოდში ურთიერთობა და შემოქმედებითი კონტაქტები ჰქონდა ჩვენი დროის თითქმის ყველა ცნობილ ქართველ თუ რუს მწერალსა და საზოგადო მოღვაწესთან.

ელენე ლოლობერიძე მეგაღ წინააღმდეგობრივი და რთული ბიოგრაფიის მქონე პიროვნება გახლდათ. დაიბადა 1887 წელს ქ. ქუთაისში, ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, 1917–1920 წლებში სწავლობდა პეტერბურგის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იყო ერთადერთი ქართველი ქალი, რომელიც ესწრებოდა 1917 წლის ოქტომბრის ღამის სხდომას სმოლნში. ამ ფაქტმა ქ-ნი ელენეს შემდგომ ცხოვრებასა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია. მან უგყუარი, ქალური ინტუიციით იგრძნო და სწორად განჭვრიტა ის მომავალი, რომელშიც ცხოვრება მოუხდებოდა.

1920–24 წლებში ელენე ლოლობერიძე სამუშაოდ გერმანიასა და შვეიცარიაში მიემგზავრება, ბერლინში სსრკ-ს საელჩოსთან არსებული გამომცემლობის მეცნიერებისა და გექნიკის ბიუროში მუშაობს, სწორედ აქ გაიცნო მან მომავალი მეუღლე – მთარგმნელი და მწერალი, შემდგომში ქართული კულტურის დიდი მოამაგე ევგენი ლუნდბერგი და მასთან ერთად ხელი მიჰყო მთარგმნელობით საქმიანობას.

ელენე ლოლობერიძის პიროვნების უკეთ წარმოსაჩვენად საინტერესოდ მივიჩნით მოგვებში ბ-ნ გარიელ კესანაშვილის¹ წერილი: „ლუნდბერგების სტუმართმოყვარე ოჯახში ხშირი სტუმრები იყვნენ: ბორის პასტერნაკი², სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ლეონიძე, ნიკოლოზ შაბოლოცი³. არასოდეს წყდებოდა სიცილი, იშლებოდა მხიარული სუფრები თბილისელ სტუმართა პატივსაცემად. მათ, როგორც წესი, თითქმის მთელი ლიტერატურული მოსკოვი ესწრებოდა, ის მოსკოვი, რომლისთვისაც ასე ახლოდელი და საყვარელი იყო ცისფერი მთების მხარე და მხიარული შაირი“⁴.

¹ გარიელ კესანაშვილი – ჟურნალისტი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტი.

² ბორის ლეონიძის ძე პასტერნაკი (1890–1960) – რუსი პოეტი, მწერალი.

³ ნიკოლოზ ალექსის ძე შაბოლოცი (1903–1975) – რუსი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, მთავი რუსთაველის არქივის ლაურეატი.

⁴ სლმ № 26839–10, გ. კესანაშვილი – „მგობები პორტრეტისათვის“, წერილები რუსულიდან თარგმნა მუშუემის მეცნიერ-თანამშრომელმა მაია ბარამიძემ.

1924 წელს ბერლინიდან დაბრუნებული ელენე ლოლობერიძე მეიერ-ხოლდის ექსპერიმენტულ-თეატრალურ სკუდიაში სწავლობდა. სკუდიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა რეჟისორად ქუთაისის თეატრში. იმ დროს იგი დაუახლოვდა კოკე მარჯანიშვილს. ჩვენი ამრით, ეს ძალიან საინტერესო შეხვედრა უნდა ყოფილიყო, რამეთუ ერთმანეთს შეხვდა ორი თეატრალური სკოლის – მეიერხოლდისა და მარჯანიშვილის წარმომადგენელი. ელენე ლოლობერიძემ ამ ორი სკოლის გამოცდილების სინთეზის შემდეგაც კოკე მარჯანიშვილის მოწაფედ იგრძნო თავი: – „ჩვენ ყველანი მარჯანიშვილის მოსწავლეები ვართ. ვიზრდებოდით მისი უდიდესი გავლენის ქვეშ; ის არა მარგო გვასწავლიდა, გვენმარებოდა, არამედ ყველა სპექტაკლის შემქმნელი თვითონ იყო. თუმცა გაყვითლებულ აფიშამზე პიესის ავტორის გასწვრივ რეჟისორ ლოლობერიძის გვარია აღნიშნული, გედმეტი თავმდაბლობის გარეშე, თამამად ვაცხადებ, რომ მათი ავტორი მარჯანიშვილია“¹ – წერდა ელენე ლოლობერიძე.

ელ. ლოლობერიძე, როგორც თეატრალური მოღვაწე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მსახიობის ოსტატობას, მეტყველების გეჟნიკას. 1936–37 წლებში მეუღლისადმი გაგზავნილი წერილები სწორედ ამ საკითხს ეხება. არქივში 194 რუსულენოვანი წერილია დაცული. ბარათების შინაარსი ყოველთვის საქმიანია: – „ლუნ – ჩემი კატეგორიული მოთხოვნაა, უსტარის მიღებისთანავე მისწერე თბილი წერილი ოლია აიშენშტაგს², სთხოვე შეადგინოს ყველაზე საინტერესო და საჭირო წიგნების ნუსხა მეტყველების გეჟნიკის შესახებ (სუნთქვითი ვარჯიშების, ხმის დაყენებისთვის), ეს წიგნები მამამისის დახმარებით მიშოვოს, ამ წიგნებს შორის კი – აუცილებლად ლ. ლობანოვის „სწორი სუნთქვა“³.

„ლუნ, მიიღებ თუ არა წერილს, მიდექეშე რა ვქნა?..“

1. მინდა სტაგები დრამატურგიის შესახებ დავავალო ბესო ელენგს⁴.
2. უმანგიმ⁵ სტაგია რომ დაწეროს – მოელაპარაკე სიმონ ჩიქოვანს⁶ და ის შეასრულებს. მე დაუეკავშირდები დუდუჩავას⁷, ხორავას⁸ და

¹ სლმ № 26839.
² ოლია აიშენშტაგი – სვერდლოვის თეატრის მუშეუმის ბიბლიოთეკის გამგე.
³ სლმ № 26858.
⁴ ბესარიონ დავითის ძე ელენგი (1903–1976) – კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე.
⁵ ივლისხბეზა უმანგი ვიქტორის ძე ჩხეიძე (1898–1953) – თეატრისა და კინოს მსახიობი.
⁶ სიმონ ივანეს ძე ჩიქოვანი (1902–1966) – პოეტი, ლიტერატორი, ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი.
⁷ მამია იოსების ძე დუდუჩავა (1910–1980) – კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, ლიტერატურათმცოდნე.
⁸ აკაკი ალექსის ძე ხორავა (1895–1972) – მსახიობი და პედაგოგი.



ელენე დოდობერიძე
სლმ №12059-4-ი

ვასაძეს¹. ვერიკოს² კი თვითონ მისწერ (რაცომ ამ დრომდე ვერიკოს არ გამოაგანე წერილები?). ყველა თეატრი უსახსრობის გამო გამოუვალ მდგომარეობაშია. კარგი იქნება თუ შეძლებ თეატრზე მასალების დამუშავებას. 1931 წ. თბილისი“³.

საინტერესოა 1936 წ. ელ. ლოლობერიძის მიერ მეუღლისადმი გადასახლებაში გაგზავნილი წერილი: „ლუნ, საღამოა და შენთან საუბარი მომიხდა. შენზე ველეა... რომ დაგიმტკიცო ძალიან მიყვარხარ! ამ წერილის დამთავრებისთანავე შევეუდგები შალვა დალიანის პიესის „ციციოს“ თარგმნას. შექსპირზე მუშაობასაც გავაგრძელებ. როსტოვიდან დარეკა ლევანმა⁴ და უშანგის ელაპარაკა. საინტერესოა რა სახსრებით. მიჭირს უშენობა. ნუ დაღონდები. მე შენი ვარ...“⁵ წერილი ფორმის თვალსაზრისით მეგად ორიგინალურია – ფურცლის უქონლობის გამო, ლუნდბერგმა ბარათი უკან დააბრუნა და პასუხი სტრიქონებს შორის ჩაწერა. მეუღლის მიერ სტრიქონებს შორის ჩაწერილი პასუხი კი სხვა არაფერია, თუ არა სიყვარულის ახსნა.

ელენე ლოლობერიძემ კარგად იცოდა ლუნდბერგის შემოქმედებითი შესაძლებლობანი და ხშირად საკუთარი თავის მიმართ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ეუფლებოდა. აი, რას წერს იგი 1952 წელს: „ლუნ! ვაჯამებ მთელი წლის სამუშაოს, თითქოს ბევრი გავაკეთე, სინამდვილეში არაფერი, მენანება შენი ნიჭი და დახარჯული ენერჯია. მე ვკარგავ იმედს, რომ რაიმე შეიძლება. ძალიან ბევრი რამ დაუმთავრებელი გვრჩება... შენ ჩემი იმედი ხარ“⁶.

ელენე ლოლობერიძეს აქტიური მთარგმნელობითი მუშაობა ჯერ კიდევ 1927 წლიდან დაუწყო. ამის შესახებ ავტორი თავადვე აღნიშნავს: „...აღ. ქუთათელმა მოხოვა გადამეთარგმნა რუსულად მისი ერთ-ერთი მოთხრობა. მე ვცაღე, ვხედავ გამომდის და მაშინ გადავწყვიტე ჩემი რუსი მეგობრებისათვის უფრო ახლოს გამეცნო ქართული ლიტერატურა. აი ასე დავიწყე თარგმნა“⁷.

1947 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოიცა ელენე ლოლობერიძის და ევგენი ლუნდბერგის ერთობლივი ნაშრომი – მონოგრაფია „ვაიე-ფშაველას ცხოვრება და მოღვაწეობა“. ეს წიგნი მოსკოვში ოთხჯერ

¹ აკაკი ალექსის ძე ვასაძე (1899–1978) – მსახიობი და რეჟისორი.
² ვერიკო იელიანეს ასული ანჯაფარიძე (1900–1987) – თეატრისა და კინოს მსახიობი.
³ ამ წერილიდან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ ელენე ლოლობერიძის არქივში ინახება უშანგი ჩხეიძის მოგონება კოგე მარჯანიშვილზე (მ. ბ.) სლმ № 26858.
⁴ ლევან დავითის ძე ლოლობერიძე – ელენე ლოლობერიძის ძმა, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე.
⁵ სლმ № 26858-139.
⁶ სლმ № 26858-145.
⁷ სლმ № 26839.

დაისტამბა, ხოლო საქართველოში, მოგვიანებით, 1974 წელს თარგმნა
აი, რას სწერს ქნი ელენე მეგობარს მერი ჭავჭავაძეს: „ძვირფასო მერი!
გიგზავნი წიგნს ვაკა-ფშაველას შესახებ. ჩვენს ლიგურაგურათმცოდნეებს
შეუძლიათ იამაყონ! წიგნი მკითხველებში დიდი წარმატებით სარგებლობს.
ხომ გაგიგონია „შინაურ მღვდელს შენღობა არა აქვსო“.¹

ამ წიგნის გამოსაქცემად ღოღობერიძესა და ლუნდბერგს უამრავი
სიმნელის გადაღახვა მოუხდათ. მათი მიმოწერიდან კარგად ჩანს, თუ
რამდენი ბიუროკრატიული დაბრკოლება გადაეღობათ წინ და რამდენ
ინსტანციაში დასჭირდათ სიარული ქაღალდისა თუ სახსრების მოსაპოვებ-
ლად. მაგალითისთვის მოგვყავს ელენე ღოღობერიძის წერილი „მარია
ვოსტოკას“ რედაქციისადმი: „ვიღებ ვალდებულებას ჩემზე და ევგ-
ლუნდბერგზე (როგორც ავტორები წიგნისა) იმ შემთხვევაში, თუ გამო-
ცემლობა ვერ შეძლებს ჩვენი წიგნის გამოცემას იმ სახით, რა სახითაც იგი
წარდგენილი იყო (12 საავტორო ფურცელი), დაუბრუნებთ გამოცემლობას
ჩვენთვის გადახდილ პონორარს. 2. II. 1946 წ. ელ. ღოღობერიძე“.²

არქივში დაცულია მწერალ ლეო ქიაჩელის უამრავი სამაღლობელი
ბარათი ელ. ღოღობერიძისადმი. მთარგმნელის დიდი შრომისა და გამო-
ცემლობასთან ჭიდილის შედეგად მოსკოვში 1932 წ. იბეჭდება „გვალი
ბიგვა“, ხოლო მოგვიანებით 1955 წელს თბილისში – „ტარიელ გოლუა“.
ეს წელი ელ. ღოღობერიძისათვის საოცრად ნაყოფიერია. ამავე წელს
„ქართულ პროზაში“ დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-
სიერუისა“, ამ თარგმანმა ქართველ და რუს მკითხველებს შორის დიდი
მოწონება დაიმსახურა. „დიდად პატივცემულო ქნო ელენე!“ – წერდა
კრიტიკოსი აკაკი ვაწერელია – „მე იმდენად დამაინტერესა თქვენმა
ნაშრომმა – საბას წიგნის რუსულმა თარგმანმა – რომ ორი ეგზემპლარ-
ი შევიძინე. მთელი გულით მივესალმები ამ ფრიად სასარგებლო და
ქართული კულტურის პრესტიჟის ამაღლებისათვის აუცილებელ ნაბიჯს.
სულხან-საბა ორბელიანი იმ სამეულს ეკუთვნის (რუსთაველი, საბა,
ბარათაშვილი), რომელთა მნიშვნელობა საქართველოს ფარგლებს
სცილდება. რუსი მკითხველისათვის საბას იგავ-არაკების თარგმანის
მიწოდება უეჭველად ეროვნული მნიშვნელობის მოვლენაა.

თარგმანი შესრულებულია დიდი პასუხისმგებლობით, მე სპეციალუ-
რად შევადარე იგი დედანს...

მხოლოდ რამდენიმე სტილისტური შენიშვნა მქონდა. კარგი იყო
ზოგიერთი ჩემი რჩევაც მოგესმინათ, რადგან საბას იგავ-არაკების
თარგმნის დროს მთელი რიგი ნიუანსებია გასათვალისწინებელი. ეს ეხება,
მაგალითად, მისი სენგენციების ჯგუფს, რომელიც ჩემის აზრით ლაკო-

¹ სლმ № 26860.

² სლმ № 26860-153.

ნიურად უნდა თარგმნილიყო. პირადად შეხვედრის დროს უფრო ვრცლად მოვილაპარაკებთ ამაზე და ახალი გამოცემის დროს, ვფიქრობ, ზოგი რამ შეიძლება ჩემი რჩევიდანაც გაიზიაროთ.

თარგმანი სასიხარულო მოვლენაა. ვიმეორებ, იგი შესანიშნავი საჩუქარი უნდა იყოს რუსი ინტელიგენციისათვის. ძალიან გთხოვთ, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, მაცნობოთ, როგორ შეხვდნენ საბას წიგნს ლიტერატურულ წრეებში. ჩვენი უკედავი სულხან-საბა ისე მიყვარს, რომ ყველაფერი მის შესახებ ჩემთვის მეგად საინტერესოა. გფილისში შევიძინე თქვენი წიგნი ვეაგზე. ასე რომ თქვენი მუშაობის საქმის კურსში ვარ.

ჩემი მუშაობის შესახებ კი გაცნობებთ შემდეგს: დაიწყო კამპანია ჩემს წინააღმდეგ. პასკვილები, ფორმალისტში ბრალდება და მრავალი ამგვარი. ვფიქრობ, რომ ეს მღვრიე და ბინძური გალლა გაივლის. მე ვფიქრობ, რომ ჭეშმარიტ ცოდნას, ნიჭსა და სიმართლეს ვერაფერს და ვერაფერი დააკლებს რასმე. გულითადი პატივისცემით აკაკი გაწერულია. 17. V. 49. გფილისი“¹

ელენე ლოლობერიძემ ბევრი ქართველი და რუსი ლიტერატორი დააკავშირა ერთმანეთს. ის შუამდგომლობდა ქართველ პოეტებს რუს მთარგმნელებთან. საინტერესოა გრიგოლ აბაშიძის 1947 წელს გაგზავნილი წერილი: „...ახალი ლექსების თარგმნა მინდოდა, გთხოვთ მიშუამდგომლოთ გარკოვსკისთან². ქ-ნო ელენე მაცნობეთ პასუხი ამ ჩემს სათხოვარზე, გარკოვსკი არ მეტყვის უარს.

მისი პასუხი ამ ჩემს სათხოვარზე რაც შეიძლება ჩქარა შემაცვობინეთ. პატივისცემით, თქვენი იმედით გრიგოლ აბაშიძე. 1947 წ.“³

1944 წელს ელენე ლოლობერიძე ეხმარება ლევან ასათიანს წიგნის „აკაკი წერეთლის ბიოგრაფიის“ თარგმნასა და გამოცემაში; არქივში დაცულია ლევან ასათიანის ორი წერილი: „ელენე დავიდოვნა! მიიღეთ ჩემი გულწრფელი და მეგობრული სალაპი. ვიცი ალბათ შემდურით, რომ დავიგვიანეთ წიგნის მეორე ნაწილი და აგრეთვე თქვენს ორ წერილზე პასუხის გამოგზავნა, მაგრამ იმედი მაქვს მაპატიებთ, თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ ეს იმდენად ჩემი ბრალი არ არის, რამდენადაც ჩემი მოუცლელობის, აგრეთვე იმისაც, რომ ძნელი იყო სანდო კაცის გამონახვა, რომელსაც გამოვაცანდი ჩემს ეგზომ ნაწევლებს, ნაგანჯ ჩემი ხელითვე დამახინჯებულ-შემოკლებულ წიგნს. ეხლა ბ. აკაკი ფაღავას⁴ ხელით ვიგზავნით:

1. ჩემი წიგნის მეორე ნახევარს (მისი მეგად შემოკლება ჩემს ძალას

¹ სლმ № 26860-22.
² არსენ ალექსანდრეს ძე გარკოვსკი - პოეტი, რეჟისორი ანდრეი გარკოვსკის მამა.
³ სლმ № 26860-31-32. წერილები იბეჭდება შემოკლებით (მ. ბ.).
⁴ აკაკი ნესტორის ძე ფაღავა (1887-1962) - რეჟისორი, პედაგოგი, თეატრმეოდი.

აღემაგება!!!).

2. ქართულ-რუსულ ლექსიკონს (რისი შოვნაც მოვახერხე, უკეთესი ვერაფერი ვნახე).

3. პასუხს თქვენს წერილობით შეკითხვებზე ცალკეული სტატიებისა და გამოთქმების შესახებ.

4. ჩემი მოხსენების პირველ ვარიანტს (მხოლოდ ძალიან გთხოვთ, ისარგებლოთ ამ მოხსენებით, როგორც მასალით, არავეითარ შემთხვევაში არ დაბეჭდოთ სადმე ჩემი სახელით, თორემ შემჭამს ის ხალხი, რომელიც მოხსენებული არ მყავს. გებრალეობდეთ!!!).

ძალიან გთხოვთ, ქალბატონო ელენე, ამ მასალის მიღება მაცნობეთ დეკემბით. უამისოდ ის ორი ებრაელი – ზლატკინი¹ და აბაშელი² კაპიკ ფულს არ მაძლევენ და იწამეთ ღმერთი!!! იცოდეთ, ელენა, თქვენს სადღეგრძელოს დაველე. იყავით კარგად. გისურვებთ შემოქმედებით წარმატებას. გადაეცით ჩემი გულწრფელი პატივისცემა ჩემთვის უაღრესად სიმპატიურ ლუნდბერგს. ლევან ასათიანი. 30. VIII. 44 წ. თბილისი“³.

ელენე ლოლობერიძე-ლუნდბერგის ოჯახი მოსკოვში საქართველოს ერთგვარი საელჩო იყო. მან შემოქმედებითად დააკავშირა ერთმანეთთან ქართველი და რუსი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები. ელენე ლოლობერიძის არქივი მდიდარია ცნობილი რუსი ლიტერატორების ნიკოლოზ გიხონოვის⁴, ნიკოლოზ შაბოლოცკის, მიკოლა ბაქანის⁵ და სხვათა წერილებით. საინტერესოდ მივიჩნიეთ და მთლიანად მოგვეყავს რუსი ლიტერატორის ვიქტორ ვოლცევის⁶ წერილი: „ძვირფასო ელენე! დიდი ხანია თქვენგან არავეითარი ცნობა არ მიმიღია. თქვენმა წერილმა გამახარა. გელოდებით მოსკოვში.

მე არ შემიძლია გადავიყვარო საქართველო, თუმცა ჩვენი ზოგიერთი თბილისელი ნაცნობისაგან ვიგრძენი სიმარმაცე, გულგატეხილობა და სიმწარე. თქვენ ხომ იცით, რომ მე ქართულ ლიტერატურაზე ვმუშაობ არა მხოლოდ „გონებით“, არამედ „გულითაც“. ეხლა მოსკოვში მოსალოდნელია ეროვნული კომისიების მუშაობის გააქტიურება. თუმცა უკვე განვაცხადე, რომ შექმნილ სიტუაციაში მხოლოდ ჩემთვისაა მიზანშეწონილი ვუხელმძღვანელო საქართველოს კომისიას, თუმცა ჩემს არგუ-

¹ მარკ იზრაელის ძე ზლატკინი – ჟურნალისტი, გამომცემლობა „იმეფსტიის“, „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი.

² ალექსანდრე ბესარიონის ძე აბაშელი (1884–1954) – პოეტი, მწერალი.

³ სლმ 26857.

⁴ ნიკოლოზ სიმონის ძე გიხონოვი (1896–1979) – რუსი პოეტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე.

⁵ მიკოლა პლატონის ძე ბაქანი (1904–1966) – უკრაინელი პოეტი, უკრაინულ ენაზე „უუუხისტეკოსნის“ მთარგმნელი.

⁶ ვიქტორ ვიქტორის ძე ვოლცევი (1901–1955) – რუსი კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე.



ვეგენი ლუნდბერგი და ელენე ლოლობერიძე
სლმ №12059-4-ი

ვალის“ მინდოდა ჩამერთო, მაგრამ ვეჭვობ რომ მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ, რაც შეეხება ლექსებს ბევრ სგრიქონს სჭირდება გადაკეთება. გთხოვთ, გადახედოთ „ბაგრაგ დიდს“ და „კიკოლას ნაამბობს“ (1889 წ.), რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას, ის ჯერ-ჯერობით გეგმაში არ არის. ლეონიძის პოემები კი აღარ მახსოვს გაეაგზავნე თუ არა უკრაინაში (ვეცდები გაეარკვიო. შეხვედრამდე). კეთილი სურვილებით, პატივისცემით ვ. გოლცივი. 1950 წ. 3 მარტი“.²

ელენე ლოლობერიძე-ლუნდბერგის ოჯახს შეეძლო მეგობრობა ყველა ასაკის წარმომადგენელთან, ვინც კი ქართულ ლიგერაგურას ემსახურებოდა. მათ ოჯახს მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა მწერლებთან – ილია რურუასთან³ და ლევან გოთუასთან.⁴ ვრცელი მიმოწერიდან ვაქვეყნებთ მხოლოდ თითო წერილს: „პერიფასო ელენა დავილოვნა! გიგზავნით ჩვენს წიგნს⁵, ცხვა, ცხვა და როგორც იქნა გამოცხვა. ასეთ დროს კიდევ იცყვიან რაღაცას, მაგრამ ეგ უკვე სხვამ უნდა თქვას, თუკი ამის საფუძველს წიგნი იძლევა. ამ დღეებში დავუგზავნი ჩემს მოსკოველ ნაცნობ მწერლებსაც. ჯერ-ჯერობით მისამართები მაქვს დასაზუსტებელი. დამატებით თქვენც გამოგიგზავნით, როცა წიგნი მაღაზიებში გამოვა. გუშინ საღამოს ვეგენი გერმანოვიჩის წერილი

¹ 1950 წელს მწერალთა კავშირში აღღვა ეს თანამდებობა და კონსულგანგად ელ. ლოლობერიძე დაინიშნა (მ. ბ.).

² სლმ № 26860-106.

³ ილია პარმენის ძე რურუა (1923-...) – მწერალი.

⁴ ლევან პართენის ძე გოთუა (1905-1973) – მწერალი.

⁵ საუბარია 1962 წელს გამოცემულ თხზულებათა კრებულზე (მ. ბ.).

დამხედა, თავის თავს საყველურობს გადაკვრით, მაგრამ მგონია ეს ბრძენი კაცის საყველური უფრო ჩემს მიმართაა, მეგობრული დარიგებაა – საუკეთესო წლებს ხელიდან ნუ გაუშვებო. მაღლობის გრძნობით ვლებულობ ამ დარიგებას. შემოდლია გაცნობით, უფრო მართებული კი იქნება ანგარიში ჩაგაბაროთ ჩემს მუშაობაზე, რადგანაც ამის ყველაზე დიდი უფლება ნამდვილად თქვენ გაქვთ. თხუთმეგამდე მოთხრობა უკვე გადავაბუქდვინე მანქანაზე, ხუთიოდეს კიდევ ამ დღეებში დავამთავრებ. ამ მოთხრობებიდან გიგზავნით ორს. მაინტერესებს თქვენი აზრი. პაგარა მინიაგურას უფრო იმიტომ გიგზავნით, რომ ასეთი ხასიათის მინიაგურებს საკმაოდ ხშირად ბუჭდავს „იზვესტია“. თუ მოგწონებათ, იქნებ ვცადოთ.

გვემები, იცოცხლეთ, იმდენი მაქვს! ბიოგრაფიული მოთხრობები (რომელშიც შევა მოთხრობა ნიკო ლორთქიფანიძეზე...), ისტორიული მოთხრობა, ასე რომ ამ ზამთარს უნდა დავცხო!

სხვა რა მოგწეროთ. პო, ეს თქვენ გეცოდინებათ, 15 ივნისს მოსკოველ პოეტებს ელოდებიან თბილისში, რუსული პოეზიის დეკადაზე. ვნახოთ, რითი მოგვაწონებენ თავს. თქვენი ი. რურუა. 1962 წ. 13. VI.¹

„კემული ქნო ელენე! მივიღე თქვენი თბილი წერილი, გამოწვეული ჩემი „უგზო ქარავნის“ დაბეჭდვით. მაღლობთ. მოხარული ვარ.

საერთოდ, ჩვენთან ისე ძუნწად გაისმის ხოლმე თანაგრძნობა და სხვისი, თუნდაც მცირე, წარმატების გამო გულწრფელი სიხარული, რომ ჩვენ ამას თითქმის გადავიწყვიეთ.

„უგზო ქარავანი“ ჯერ არავის უთარგმნია და თქვენ, როგორც იწერებით „დიდის სიამოვნებით გადათარგმნეთ“, მეც დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამ.

წინასწარ ვგრძნობ – ბერს, არც აქ – საქართველოში და არც მანდ არ ეჭაშნიკებათ ჩემი, ასე ვთქვათ, კრიტიკული თვალი მოგიერთ ისტორიულ პირთა, მოგიერთ მოქმედებათა მიმართ...

თუ საჭირო იქნება – მოგაწოდებთ უფრო დაწვრილებით კონსულტაციას. აგრეთვე სიამოვნებით მოგეხმარებით მოგიერთი არქაული სიგეყების განმარტება-თარგმანში. გისურვებთ წარმატებას. პაგივისცემით ლევან გოთუა. 15. IX. 45 წ.²

ელენე ღოღობერიძის არქივში მრავლადაა ქართველ და რუს საზოგადო მოღვაწეთა სამაღლობელი, აღფრთოვანების გამოშხატველი წერილები იმ შრომისათვის და უდიდესი ღვაწლისათვის, რომელიც ელენე ღოღობერიძემ ეგგენი ლუნდბერგთან ერთად გასწია ქართული მწერლობის პოპულარიზაციის საქმეში.

მაია ბარამიძე

¹ სლმ № 26860-86.
² სლმ № 26860-24.



ალექსანდრე აბაშელი
სლმ №8422-ი

ალექსანდრე აბაშელის სახელთანაა დაკავშირებული ქართველი კლასიკოსების – ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ათგომეულის (1925–1929 წწ. რედაქტორები პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი), აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერების ოთხგომეულის (1925–28 წწ. რედაქტორები სერგო გორგაძე¹ და ალექსანდრე აბაშელი) და ვაჟა-ფშაველას თხზულებათა კრებულის გამოცემა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის დიდი და უანგარო შრომა, რომელიც ალექსანდრე აბაშელს ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობის შეკრებისა და გამოცემის საქმეში მიუძღვის. ვაჟა-ფშაველას გომებს თან ახლავს აკაკი შანიძის მიერ შედგენილი „ვაჟას ლექსიკონი“. სწორედ ამ ლექსიკონზეა საუბარი აკაკი შანიძის

იმ პაგარა ბარათში, რომელსაც ჩვენს პუბლიკაციაში გთავაზობთ.

ძნელია იმ სამუშაოს აღნუსხვა, რომელიც ალექსანდრე აბაშელს საგამომცემლო საქმეში წლების მანძილზე გაუწევია. „...გაივლიან ათეული წლები და საუკუნის მიწურულს, ნამდვილად ოქროს მაძიებელთა სიაში დარჩება სულ რამდენიმე სახელი, ოქროსებრ რჩეული და უზადი“, – წერდა კონსტანტინე გამსახურდია ალექსანდრე აბაშელის შესახებ 1957 წელს. ამ აზრის დამადასტურებელია საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიგერაგურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდსაცავში დაკული მისდამი მიწერილი საქმიანი თუ სხვა ხასიათის ბარათები. მკითხველი გაეცნობა გრიგოლ რობაქიძის, მაქარია ფალიაშვილის, ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილის, მაქარია ჭიჭინაძის, აკაკი შანიძის, გიციან გაბიძის, სანდრო შანშიაშვილის, სარგის კაკაბაძის, გიორგი ლეონიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის და კონსტანტინე გამსახურდიას წერილებს, აგრეთვე გალაკტიონ გაბიძის ერთ პაგარა სახუმარო ლექსს.

მარინე ირემაშვილი

¹ სერგო რომანოშის ძე გორგაძე (1876–1929) – ქართველი ლიგერაგურათმცოდნე, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, პედაგოგი.

ძვირფასო საშა!

გიცადე კინოში. არ მოდი. სხვადასხვა გარემოების გამო „კარლუს“ ჯერ ვერსად ვერ დავბუკდავ. თავი მიზეზი წიგნის გამოცემაა. თუ ძმა ხარ, გული არ მოგივიდეს. ჩემთვის – წყენა გამანადგურებელია.

შენი გრიგოლ რობაქიძე

29. X. 1924 წ.

ძმაო ალექსანდრე!

ეს მესამე დღეა, რაც მოულოდნელად ავად გავხდი. ძარღვები მაქვს აშლილი, გაციებულიც ვარ და ამის გამო გემპერაგურაც მაღალი მაქვს და ექიმებიც კარზედ არ მიშვებენ. ჩემმა ძმამ ვანომ მითხრა, რომ პრეზიდენტში დაგიდგენიათ ჩემი იუბილეს შესახებ შუამდგომლობა აღძრათ „ნარკომის“ წინაშე. აი ეხლა სწორედ საქმეც აქ არის! თუ ვინ მივა კანდელაკთან და როგორ მოახსენებენ, რომ მან ნება დართოს და უარი არ გვითხრას. იმ დღეს შენ თვითონ მითხარ, რომ თუ საჭირო იქმნა, მე თვითონვე ვნახავ კანდელაკს და ეხლა თუ საჭიროდ მიგჩნია, გთხოვ ნუ დამზარდები და დღესვე ნახო კანდელაკი და აუხსნა საქმის გარემოება, ისე როგორც შენ გესმის. ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის, იმედი მაქვს არ დამზარდები და ამ თხოვნას ამისრულე.

კიდევ ერთსა გთხოვ, გადასცეთ თქვენს მეუღლეს, რომ ავადმყოფობის გამო დროზედ ვერ შეუსრულე მისი თხოვნა: ის ჩემი ქართული რომანსი „იავ ნანო“, რომელიც მე მას დაეპირდი, მე დავუგოვე ბუზოლლის¹ ცოლს, იმას აქვს და გამოართვას და ისარგებლოს და როცა საჭირო იქნება დაპირებისამებრ მე თვითონვე ვასწავლი მას.

კიდევ ბოდიშს ვიხდი.

შენი ერთგული პატივისმცემელი

მაქ. ფალიაშვილი

1925 წ. 13. 03

ამხ. საშა აბაშელს!

მე სამწერლო ასპარეზზედ 1885 წელს გამოვედი და დღესამდე კალამი ხელიდამ არ გამიგდია. ამავე დროს ბალებს ვასწავლიდი და მასწავლებლის თანამდებობაში 38 წელიწადს ვიმსახურე. ორივე მიმართულებით ვემსახურე მშრომელი ხალხის ინტერესებს.

¹ მისივე ვართანის ძე ბუზოლლი (1879–1959) – არქიტექტორი.

დღეს მასწავლებლად აღარა ვარ. 60 წლისა ვარ. დავსხვეული და დავკარგე შრომის უნარი. სხეული ცოლი მყავს და ორი სასკოლო ასაკის ვაჟი, რომლებსაც ესაჭიროება სწავლა და აღზრდა.

მე საქართველო „იოგის“ მეძახის, მაგრამ ეს მე არ უზრუნველმყოფს სიღარიბისა და გაჭირვებისაგან. მწერალთა კავშირმა ჩვენი დამსახურებული მწერლების და მოღვაწეების უმრავლესობას საიუბილეო საღამოები გაუმართა: ჩემი კიღე რამდენჯერმე დააპირა და ვერ განახორციელა.

ვიცხადებთ რა ამას, გთხოვთ მწერალთა საბჭოს კრებაზედ დაჰსვათ საკითხი ჩემთვის საიუბილეო საღამოს მოწყობაზედ.

*ნიკო პაულეს ძე რამიკაშვილი (ბაზანა)
1925 წლის 20 ოქტომბერი*

ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო სანდრო (სამა)!

გერენგი გრანელის შენახვით მოვებზრდი, მე ესლა სახლი აღარ მაქვს, ერთ ოთახში ვდგევარ, აქვე მიწყვია შენი წიგნები. გერენგის ჩემთან ღვომა აღარ შეიძლება, რადგან ალაგი აღარ მაქვს, ეინაიდგან ჩემი ოთახი ისეთია, რომ შიგ ძალღი არ შეიგღება.

გერენგის არა აქვს ლოგინი, არა აქვს კუშეგკა, მაგიდა, სკამი, პირსახოცი და სხვაე კიღეე სხვანი. მე რომ ლოგინი წავართო, მაშინ იგი ძირს უნდა ევდოს იატაკზედ ულოგინოდ. ამისთვის საჭირო არის, რომ 50 მანეთი იმოვნოს, რომ ლოგინი შეიძინოს, გახგი, მაგიდა, სკამი, პირსახოცი და ნიფხაე-პერანგი.

იქონიეთ ამისი სიბრალული, გიგველა იყო, ნიფხაე-პერანგი განზედ სულ შემოხეული პქონდა. მე ვუყიდე, 3 მანეთი მივეცი, კოსტუმეც მე ვუყიდე, მე არ მაქვს შეძლება. და ამიგომ გატყობინებთ, რომ თქვენ უპატრონოთ ამ კაცს, რომ იგი ქუჩაში არ მოკვდეს. ამისთვის საჭიროა სულ 50 მ. რომ ყველაფერი შეიძინოს და ოთახში ცალკე დადგეს. გთხოვთ მაცნობოთ პატარა წერილით, მოახერხებთ თუ არა დახმარებას?

*თქვენი პატივისცემული მაქარია ჭიჭინაძე
1928 წელი, 18 იანვარი*

ძმარ სამა!

დიდისგან დიდი ბოდიში, რომ ვერ მოგიხერხე და თანაც დანიშნულ დროზე მოგიყვანე გყუილად. მაგრამ დღეს გელეუონითაც გამოგიძახე და პირადადაც შემოვიარე, რომ შეცნობებინა საქმის ვითარება და ვერ გნახე.

ლექსიკონი ვერ მოგისწარი. მთელი მასალა მიმაქვს სპეციალურად მანგლისში და ხვალვე შევუდგები იქ განგრძობას. იმედი მაქვს 2-3 დღეში დავამთავრებ, გადავწერ და წამოგიღებ. 13-14 ამ თვეს აქა ვარ და ჩაგაბარებ როგორც მთლიან ლექსიკონს, ისე ნაწილებისას. იმედია არ გამოჯავრდები.

*შენი აკაკი¹
7. 11. 1930 წ.*

შენ აუხაზეთში, გულრიფშში ხარ, „სადაც ყვავიან მანდარინები“. ჩვენ ვიგონებთ, ვვიხარებთ, რომ შენ აუხაზეთი ცხოვრების ელექსირს მოგეყმს ორგანიზმისთვის. იდეა – უკვდავია, უპირველესი კი პოეზია – უფრო მეტად კი ადამიანი – რომელიც შენ ხარ.

დაამტკიცა: გიციან გაბიძე, სანდრო მანშიაშვილი, სარგის კაკაბაძე, გიორგი ლეონიძე.

ძვირფასო სამა!

პირველი თოვლია. ვმივართ ოთხნი. ვიგონებთ ბავშობას, ვაყა-ფშაველას „ამოდის ნათლება“-ს, ჩვენი სოფლის ორღობეებს, რომელიც ეხლა დაბარდული იქნება თოვლით, პირველ სიყვარულს და შენ – ქართული პოეზიის მძევალს აუხაზეთში – დიოსკურიას ნაპირზე. გრიანებს მუსიკა: „ქალი დავინახე, თვალი მომანათა, ვინ არის ეს ქალი – ვაჩნაძეა ნაგა!“ ცუკავუნ ბოთლებით, ხანჯლებით. ჩვენ ვსვამთ შენ სადღეგრძელოს, როგორსაც დალევდა ავთანდილი. გვენაგრება შენი ნახვა. გვინდა ყველა ფიჭვების სურნელება, რივეურას მთელი ჰაერი შეისუნთქოს შენმა ორგანიზმმა. გაკოცებ.

*გოვლა ლეონიძე
15 დეკემბერი, გვილისი*

¹ აკაკი გაბრიელის ძე მანიძე (1887–1987) – ენათმეცნიერი.

ძმარ საშა!

უდიდეს მადლობას გიძლენი, რომ კიდევ ერთხელ გამიხსენე და სამუშაო მიშოვნე. მე, რასაკვირველია, თანახმა ვარ. მინდა ვიყოდე, ვინ იქნებიან მთარგმნელები? თუ მხოლოდ აქაურები, მაშინ წიგნი ვერ იქნება იმდენად კარგი. ალბათ, ამ წიგნში ის მთარგმანებიც შევა, რომელსაც გააკეთებენ რუსი პოეტები მოსკოვში. ყოველ შემთხვევაში მე თანხმობას ვიძლევი. იმედი მაქვს, რომ ჰონორარიც მომაგებული იქნება.

საშა! ვილოცავ ახალ წელიწადს! გისურვებ ჯანმრთელობას თვითონ შენ და აგრეთვე შენს ოჯახობას, შეილსა და შვილიშვილს.

შენი პატივისმცემელი ვალ. გაურინდაშვილი
2. 1. 40 წ.

ძვირფასო საშა,

წუხელ გავათავე შენი „მზე და სამშობლო“, ძალიან, ძალიან მომეწონა. „ქვის ირემი“, „უკედავება“, „საწყალი ჭიქა“ და etc. „აკაკის“, „ჩვენი ქვეყნის შნო და ფერი“ და სხვა. არ მომეწონა „მ. დ.“ და „მ. გ.“ ლექსები. მე ასე მგონია, განსაკუთრებით პირველი არაა ღირსი შენი მაღალნიჭიერი კალმის მიერ შექებისა. რა თქმა უნდა, ეს შენი საქმეა. ამ წიგნის გამო მე სხვა დროს დავწერ, პირში რომ გაქო, ესეთი ამბები არ სწერია ჩვენს კარაბაღინში. ერთი რამე მინდა ვითხრა: ჩემთვის დიდად სასიხარულოა, რომ შენს მშვენიერ ჭაღარასაც ამკობს შენი პოეზია და პირიქით. საერთოდ, ქართველ კაცს სიბერეში იშვიათად გადაჰყვება ხოლმე გაღანგი და პათოსი. ახალ დროში შენ და ი. გრ-ლი ხართ, ძველში ვაჟა, ილია, აკაკი და გრ. ო-იანი. ეს დიდად მახარებს. ახლა პირადული:

მომწერე როგორა ხარ? რას აკეთებ? რა ჩამოგიგანო. ჯერჯერობით წინდების მეტი ვერაფერი გიყიდე, პალსტუხებსაც გიყიდი ჩემო „ბებერო“ ძმარ. ნუ კოკეგობ შენის სიბერით, ხომ იცი, მე მწყინს, როცა შენ ამას სწერ (და არა „წერ“). მე მინდა შენ იყვე, მუდამ „ანთებულ ხეივნებში“ მოსიერნე ჭაბუკი შაფიხოხოსანი. პავლე¹ როგორაა? ჩემი საქმეების გამო მირანდას² მივწერე ახლა და მეზარება განმეორება. ერთი სიტყვით, ამ მთარგმანებს იმდენი ჩიჩინი და იმდენი სულიერი ენერჯია უნდა, ეს უკანასკნელი იქნება ჩემი აქ ჩამოსვლა. 30⁰ ყინება, უქურქოდ დავყიადობ აქ. ამას ჩემისთანა „ავანტიურისტი“ თუ იბამდა, უკეთ: თავმზებლადღებუდი.

¹ პავლე იესვს ძე ინგვროსი (1893–1983) – ლიტერატურათმცოდნე.

² მირანდა ფალაუანდიშვილი-გამსახურდია – კონსტანტინე გამსახურდიას მეუღლე.

დღე და ღამ ვზივარ. „მარჯვენა“ თარგმნილია თითქმის, „ბელადს“ ისევ თარგმნიან. ამომართვეს სული.

აქ მივლინებაში ვარ. დღეში 60 მანეთს მაძლევენ. მე კი 100 მჭირდება დღეში. არ ვიცი სანამ დავრჩები. ზოგი აქ ძალიან მოსწონებიან და იბეჭდება. 1500 მ. მომცეს ავანსი. უკადე მოსკოვში არ გამოაგზავნოს ჯერ. შეიძლება წიგნათაყ გამოვეც სადმე აქ. შესანიშნავათ გაუკეთებით.

ღამეა, ვზივარ სასტუმროში მარგო. ვმუიან ვენცილაგორის მიღები. ხანდახან მთელი დღე შინა ვარ და ვმუშაობ. ვეძლევი მარგობას და შრომას. ასეთ მარგობაში კაცი ანგარიშს აძლევს თავის თავს.

ხვალ ცეკაში ვარ გამოძახილი, ატანოვის მოადგილესთან. მომწერე ბარათი, რა ამბავია მანდ? თქვენები როგორ არიან? მომიკითხე პავლე.

*შენი კონსტანტინე
სასტუმრო „მოსკოვი“, 1940 წ. 4. 02*

ჩემო ძვირფასო საშა,

შენმა წერილმა ბოლოს გამახარა, ძალიან დაქანცული ვარ და მარგოხელი. საქმეები კარგად მიდის. ერთადერთი უსიამოვნება შენი წერილიდან და უკანასკნელი დღეებიდან ესაა პავლეს ავად ყოფნა. ძალიან არ მომწონს ეს. მირანდა გეცყოდა ალბათ, დიდის ყურადღებით მექცევინ. ორივე წიგნის თარგმანი თავდება 20. III-ისთვის. თვის დამლევაძდის უნდა დავრჩე, მერმე აპრილის დამლევეს ისევ გამოვბრუნდე. დეგალები პირადად. დიდი ამაგი დამლევეს პეგრე შ.¹ და შ. წერეთელმა². პონორარის გამო არაფერი ვიცი, მეც არა მჯერა მაგ საქმე. ჩემთვის უხერხული იყო ცეკაში სიგყვა ჩამომეგლო ამ საქმის გამო და დავდუმდი. ახლა ვის სცალია ასეთ წერილმანებისთვის. უქალაღლობა აქაც საგრძნობია. ჟურნალებს ამცირებენ. მე ენერგიულად გამოვესარჩლე ჩვენს გამომცემლებს, საერთოდ ჩვენს მწერლობას, განსაკუთრებით პროზას, თუმცა ჩემი კოლეგები მგრობის მეგს არას მიკეთებენ. მართალი გითხრა ძალიან დავიქანცე. მარგო ტელეფონების რეკვა იკითხე. დღეში სულ მცირე 10 ტელეფონი უნდა დავრეკო. გუშინდელი დღიდან ცოტა შემცირდება ეს საქმე. აქ „დავით აღმაშენებლისთვისაც“ ვმუშაობ ანგრაჟებში. „მარჯვენის“ 400 გვერდი უკვე გავასწორე, ახლა დამრჩა „ბელადის“ 300 + „მარჯვენის“

¹ პეგრე შარია - პარტიული მუშაკი.

² შალვა ოთარის ძე წერეთელი - იმეამინდელი მინსახკომის თანამშრომელი (1937 წ. „სამეულის წვერი“).

100. გადაყვევი პირდაპირ. ამასობაში რუსული ვისწავლე. აქ „ვოსლიგში“ ნახეს ჩემი ნაწარები, გაოცდნენ. თქვენ რომ დამცინით არც ისეა საქმე. უნდა გამოგიგყდე, ამის მეგს თარგმანებისთვის არ ვიბრუნებ. ჩემი ვალია ქართულად დაეწერო, დანარჩენი შედმეგი დაგვირთვაა. ქართველი მწერალი ჯერაც მარტვილია. ვერ წარმოიდგენ როგორის ჯაფით მიხლება სიტყვების ძებნა. მთელს ბიბლიას გადავაქოთებ ხოლმე. ჩემი ბიბლია და ლექსიკა მანდ დამრჩა, აქ ხელახლა წავიკითხე აქ ნაყიდი ჯიბის ბიბლია წერილი შრიფტით. დამჭირდა სიტყვა ქუშიანი. სად ნახავ. შემთხვევით გადაეშალე ფრანგულ-რუსული ლექსიკონი და წავაწყდი „ოლიშლივის“. „მარჯვენასაც“ დიდი ინტერესით მოელიან. გუშინ პოსპელოვმა¹ მითხრა: შესანიშნავი რამეები მსმენიაო (ალბათ პეტრე შ. ეგყოლა). „მთვარის მოტაკება“ მთხოვა, ვიშოვნე აქ და ვაჩუქე. ძნელია ჩვენი საქმე. აქ დიდ ფანტაზიასთან ერთად დიდი პროფესორის სიბეჯითე უნდა იყოს შერწყმული. ზოგიერთს იოლი ჰგონია პროზა. არც პოეზიას ვივიწყებ. ჩუბ-ჩუმად ვამზადებ ერთ წერილს ერთი ჩემი „საბრინჯე“ მეგობრისთვის. ჩანაწერები მზალა მაქვს, მჭირია მუშა, რამემ გამახაროს ძლიერად. შალვა რადიანს უკვე შევუკვეთე „სარდაფი“.

შენ იცი ჩემს ცოლსა და ბახლებს როგორ მიხედავ. გახსოვს ჩემს საწყალ დედას რომ გაბარებდი. სიკვდილი რომ გამახსენდება, ვფიქრობ ჩემი საშკა მიხედავს მეთქი ჩემს ბარკყებს. მირანდას არ უთხრა, აქ ავტოების კაგასტროფაში მოხვდი. ძლივს ჩამოვხტი, თორემ ძვლები გამიხდებოდა ასაკრები. ვარ ამ მარტობაში, თვის დამლევს ალბათ ჩამოვალ. უკრაინასა და ბელორუსიაში მეპატივებიან, მაგრამ არაქათი არა მაქვს. ჩემი უცხოობისა და მარტობის დღეები და წლები გამახსენდა. ვარ წიგნებსა და ხელნაწერებს შორის, ნამდვილი უდაბნოა ჩემთვის მარტობა. ძალიან მენატრება ჩემი შინ და ძველი მეგობრები. საშინელი ყინვებია ჯერაც. 40° რომ უწევდა „დემისეზონის“ პალატოთი დავდიოდი, ჯერ სურდოც არ დამმართინია, თუმცა საზაფხულო საბანი მახურავს და ფანჯრის თვალი ღია მაქვს. არ ვიცი ძაღლის ჯიბი ვარ, თუ მგლისა. 15 დღე მაქვს კიდევ მძიმე სამუშაო და მერმე ავეუშვებ აფრებს და საქართველოში წამოვალ, ისე მახარებს ეს ფიქრი, თითქოს პირველად ვბრუნდებოდე შინ. ვეცდები ჩამოგიგანო „მარჯვენა“ და „ბელადის“ ანაბეჭდები (არავის უთხრა და გირაყები მომიმატეს) თორემ ვიღუპებოდი. აქ დღეში 100 მანეთი არა მყოფის დღეში. დიდი სიძვირია. თუ ღმერთმა გადამარჩინა ამ საქმეებს, მეტი ასეთი საქმისთვის აქ წამომსვლელი არა ვარ. რედაქტორად მყავს ალექსანდრე ნიკ. გიხონოვი, ორივე წიგნი იმას

¹ პოსპელოვი - ვაშთ „პრაღის“ რედაქტორი.

ჩააბარეს. ირმის „მყვირალობა“ დამჭირდა, მას ციმბირში გაუგონია ეს სიტყვა: трубное время, ახლა ჯავარდნები? „სლოვო თ პოლკუ“-დან ამოქექა, „королужные мечи“. ასე ვწვავლობ. ერთი მითხარი რა ჩემი საქმეა ეს?

ოო, ქართული ენა? ზღვაა უძირო!

სალამი ქეთოს¹, პავლეს, კოწიას², კაკოს³, პააგას⁴, თქვენებს, ყველა ჩვენს მოკეთესა და კეთილის მდომს. შენი იუბილესთვის მოვდივარ ხარირემივით შემართული. გაკოცებ ბევრს.

შენი ერთგული კონსტანტინე

P. S. მომიკითხე მარგარიტა მარტინოენა და ანტონი⁵. ისინი კარგი ხალხია. მარგარიტას წინდები ვუყიდე, შენ და ანტონს ღვინოს ჩაგაცუცხლებო. შენთვის კოსტუმი მინდა ვიყიდო, მაგრამ საღაა. მე თავად შემომაცვდა ერთადერთი კოსტუმი, წინდები კი გაყიდე ღვთის წინაშე.

*შენი კ.
ქ. მოსკოვი
1940 წ. 10. III*

ჩემო საშკა,

ძალიან მომენატრე ამ მარგოლობაში. როგორ ხარ? მოიწერე როგორ მიგდის საქმეები? ხელშეკრულება დაგიდეს თუ არა? სამსახურში თუ კიდევ ხარ? ჩემს ამბებს თუ იკითხავ, ცოგა რამეს გაიგებდი, ყველაფერი კარგად მიდის ჯერჯერობით, „დავითის“ ბეჭდვა დაიწყო „Сов. пис.“-ში, „Новый Мир“-ში, მარტში მოთავსდება. იგივე იბეჭდება ბელორუსულ ჟურნალ „ПОЛЫМЯ“-ში და ალბათ უკრაინულად, შესაძლოა ინგლისურად ან ფრანგულად. აქ დიდის ყურადღებით მექსევიან, რუსებმა გამიცინეს და დამიმეგობრდნენ. ვერ წარმოიდგენ, როგორის გულისხმიერებით მექსევა ყველა, ღირექტორიდან დაწყებული უკანასკნელ ცეხის უფროსამდის. მე დავიქანსე, ალბათ ხელზე შემაგყობ, ამ სტრიქონებს ძლივს ვწერ, რამდენჯერმე ავად ვიყავი, ვერც ახლა ვარ კარგად, შენ დაგცინოდი ღვიძლზე და ახლა მეც მეტკინა. გარდა ამისა, დავიქანსე 3-ჯერ გავასწორე „დავი-

¹ ქეთევან ბაქრაძე – პავლე ინგოროყვას მეუღლე, მთარგმნელი.

² კონსტანტინე არმილის ძე ჭიჭინაძე (1891–1960) – პოეტი, მთარგმნელი.

³ აკაკი კონსტანტინეს ძე გაწერულია (1910–1994) – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე.

⁴ პაატა ბესარიონის ძე გუგუშვილი (1905–1987) – ეკონომისტი.

⁵ მარგარიტა მარტინოენა, ანტონი – „Заря Востока“-სთან არსებული „ГОС-ЛИТИЗДАТ“-ის თანამშრომლები (აღ. აბაშელის ქალიშვილის, ქნ მეღვას ცნობით).

თის“ კორექტურა, ერთხელ „კონსტანტინესი“, მეგი აღარა ვარ. გარდა ამისა, მთელი ინგლისური სინგაქსი, ეტიმოლოგია და 300 გვერდიანი სახელმძღვანელო გავიმეორე. ვეშაადები ჩემი ინგლისური თარგმანებისათვის. აქ „პრავდას“ რედაქტორმა პოსპელოვმა შემომთავაზა ირანში წასვლა 8 თვით, თვის სპეცკორ-ოჩერკისგად. შეიძლება მაფხულში წავიდე. ინგლისიდან, მიკოიანის მიერ გამოწერილი წიგნების ერთი ნაწილი მომივიდა, გარდა ამისა, აქ ლენინის ბიბლიოთეკაში ან აკადემიის საფონდო წიგნსაცავში ფრიად საინტერესო წყაროებს წავაწყდი, ვიქექები და ვეძებ სადავითო მასალებს. ხრაპჩენკომ შემომთავაზა „დავითი“ პიესად დაუღვათო „სამხატვრო თეატრში“. საქმეები აქ ბევრია თუ გავუძელი. თანამშრომლად მიმიწვია „ОКТЯБРЬ“-მა. ძალიან კარჩა კეტილ და შრომით დაგვირთულ ცხოვრებას ვეწევი. შენ ვერ წარმოიდგენ რა ძნელია ახლა ბეჭდვა და წიგნის გამოცემა ამ პირობებში. მე ძალღიაპირი ვარ, თორემ ამას ვერ გავუძლებდი. აქ ერთი მდივანი ავიყვანე და იმან მიშველა ცოტა, თორემ დღეში მარტო 20-30 გელეფონის დარეკვას რა უნდა.

მომწერე რა ხდება ჩვენში? მწერალთა კავშირში ხომ ჩხუბობენ, შანშიაშვილის¹ ნაბოლიალები აქ გადმოგზავნეს, გადათარგმნეს, ცეკაში წააცუნცულეს, მაგრამ გაიციინეს და ეს იკმარეს. როცა ჩამოვალ, უნდა ვათრიო ერთი კატის კნუტით, თუ გადავწყვიტე მაგ პროფოკატორთან თავის გაყადრება.

მაპატიე, ასეთ არეულ წერილს რომ გწერ, მაგრამ კონვერტიც არა მაქვს რიგიანი. აქ დიდი სიძნელებია ცხოვრებისა, დიდი სიძვირე სასმელსაჭმლისა. გომრით ან გოდრით უნდა გქონდეს ფული. მე მოლას ვირივით გადავეჩვიე ჭამას, რადგან კარგი მადის პაგრონს დღეში ათასი მანეთი ძლივს ყყოფა.

მამ მომიკითხე პავლე, კოწია, კაკო, ვ. გაბესკირია², ჩენი მეგობრები.

გაკოცებს შენი კონსტანტინე
მოსკოვი. 1945 წ. 25. I

ჩემო ძვირფასო სამა,

დიდი მადლობა წერილისა და ხელნაწერისათვის, უთუოდ ჩამოგვიგან ისევე. ბ-ის საქმე ძალიან გართულდა. პროფ. კრამლინიკოვმა შესანიშნავი რეცენზია მისცა. ხაზს უსვამს, „материал подан мастерски и без гиперболизма“, მაგრამ კიდევ უნდა წაიკითხონ ვიღაცეებმა. ერთი

¹ სანდრო ილიას ძე შანშიაშვილი (1888–1979) – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე.

² ვიქტორ იპაგის ძე გაბესკირია (1903–1964) – პოეტი, დრამატურგი.

სიგყვით, მე ვაგვაკეთე რაც შემიძლო და დანარჩენი თავად იცოდნენ. სხვა შენ როგორა ხარ? შვილიშვილი მორჩა? როლის მიღიხარ დასასვენებლად? პაველ როგორაა, ამას წინათ წერილი მივწერე.

სამუკა, თუ არ შეგაწუხებ, ეს პაგარა საქმეც გამიკეთე ჭირიმე, აქ ჩემი „კონსტანტინეს მარჯვენა“ უნდა აელო „ვოსლიტიზმდაგს“, მაგრამ რეცენზენტი ვერ იშოვნეს, 4-მა კაცმა უარი სთქვა, ზოგმა თქვა ასეთი ქართული არ ვიცი, ზოგმა: ისტორია არ ვიცი, მერმე ვილაც ღლაპებს აძლევდნენ, მე მოვითხოვე მაშაშვილს¹ სთხოვეთ მეთქი.

მე მივწერე მაშაშვილს. აქ ყოველი დღე ას მანეთზე მეტი მიჯდება, თუ არ შეწუხდები, ინახულე მ-შვილი, შეახსენე, შენებურად, გაქტიურად და სთხოვე ჩემს მაგივრად, დააჩქაროს რეცენზია (ელაპარაკე, მხოლოდ მარგო!). აქ ჯერაც ისეთი ოლიოზური სახელი მაქვს, როგორც ყოველთვის. სულს უბერავენ ყველაფერს. პ. შარია გამომექომაგა საკმაოდ, ავტორიტეტულად, მაინც მოითხოვეს რეცენზია.

წარმოგიდგენია როგორაა ჩვენი ლიტერატურის საქმე. აქ წიგნის რეცენზეტი ვერ უშოვნიათ. აქაური ღირექტორი წავიდა, ახალი ჯერ არა ჰყავთ, ერთი სიგყვით, არეულია მათი თავი და განი.

ერთი სიგყვით, გთხოვ, თუ არ შეგაწუხებს ეს საქმეც გამიკეთე.

მარად შენი კონსტანტინე გ.

P. S. მაშაშვილს სთხოვე საპაერო ფოსგით გამომიგზავნოს რეცენზია.

21. V

მოსკოვი, სასტუმრო „Москва“ № 754

პატივეცემულ ალექსანდრე აბაშელს!

მე უკვე დაწერილი მაქვს 500 გვ. ნაშრომი „მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა სილუეტები“, სულ 17 მწერალზე. ამ ბოლო ხანებში დავიწყე ამ ნაშრომის გაგრძელება: „თანამედროვე მწერალთა სილუეტები“. უკვე დაწერილი მაქვს შემდეგ მწერლებზე: შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ალექსანდრე აბაშელი. ვწერ, რაც შეიძლება გულწრფელად და მიუდგომლად – მომავლისათვის. ვიწრო მეგობრულ წრეში ამ სილუეტებმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

გიგზავნით ხელნაწერს თქვენს შესახებ, თუ საინტერესოდ დაინახავთ,

¹ მაშაშვილი – ალიო ანდრეას ძე შირიხულაია (1903–1976) – პოეტი.

გადაიკითხეთ სამი დღის განმავლობაში და შემდეგ დამიბრუნეთ, თქვენივე მოკლე გულწრფელი შთაბეჭდილების აღნიშვნით.

პატივისცემით იპოლიგე ვართაგავა
15. IV. 51 წ.

კეთაქციონი
კეთაქციონი
კეთაქციონი
კეთაქციონი .

სამა!
წიგნი „ვ“ არის ნამდვილი ქვევრი.
რა უნდა გითხრა ამაზე ბევრი!
გიგზავნის ამა ფაქსიმელესა
აკადემიის ნამდვილი წევრი -
ვ. თაბიძე

სამა!
პირველი „ვ“ არის ნამდვილი ქვევრი.
რა უნდა გითხრა ამაზე ბევრი!
გიგზავნის ამა ფაქსიმელესა
აკადემიის ნამდვილი წევრი -
ვ. თაბიძე

შალვა დადიანის წერილები

„შალვა იყო ნამდვილი ქართველი ჯენტლმენი, მოკლებული ყოველ შურიანობას, მლიქვნელობას და გაუმაძღრობას, ჩვენი თაობის მახსოვრობაში ის ისე დარჩა, როგორც ერთი მონუმენტური ფიგურა“ – წერდა გერონტი ქიქოძე.

დიდა შალვა დადიანის როლი ქართული კულტურის განვითარების საქმეში. დრამატული ქმნილებების გარდა, იგი რამდენიმე თვალსაჩინო რომანის, მოთხრობისა და მინიატურის ავტორია. „თუმცა მას არასოდეს არც დაბალი, არც საშუალო, არც უმაღლესი სკოლის სკამი არ უნახავს, მაგრამ მშვენივრად განათლებული კაცი იყო. საუცხოვოდ ფლობდა ქართულ და რუსულ ენებს და კარგად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს. ზოგიერთი მისი პიესა, ბელეტრისტული ნაწარმოები, უთუოდ დიდხანს შერჩება ქართულ ლიტერატურას“ (გ. ქიქოძე).

ლიტერატურული მოღვაწეობა შალვა დადიანმა ადრეულ ასაკში დაიწყო. 14 წლისამ ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ დააარსა და ამ ჟურნალში აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებს, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს და თეატრალურ რეცენზიებს. მას შემდეგ, რაც ფეხი შეღვა ქუთაისის თეატრის სცენაზე, თეატრი მისი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა. „ჭაბუკი ვიყავ, როდესაც სცენაზე შევედი და იმავე დროს დიდ პრესაში ჩემი ნაწერები გამოვაქვეყნე.

რა იყო ამის მიზეზი?

ჭაბუკი ვიყავ, მაგრამ ეს იმ თავითვე ვიგრძენი, რომ ჩვენს სცენას მაგალითად, გარდა ბუმბერაზებისა, აკლდა რიგითი, ასე თუ ისე მომზადებული მსახიობები და ვფიქრობდი, რომ აქ გამოსადეგი გავხდებოდი. პიესების წერაც იმან დამაწყებინა, რომ სცენაზე მომუშავენი ყველანი ვგრძნობდით ქართულ ორიგინალურ პიესების ნაკლებობას, დიდ ხარვეზს. ამან გამოიწვია მთელი სერია ჩემი პიესების, ასე იყო ბელეტრისტიკაშიც“ – სწერდა შალვა დადიანი იპოლიგე ვართაგავას.

ვაქვეყნებთ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ შალვა დადიანის წერილებს, რომლებიც მწერალს სხვადასხვა დროს მიუწერია სანდრო შანშიაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, ლევან ასათიანის, სიმონ ჩიქოვანისა და იპოლიგე ვართაგავასათვის.

მარინე ხუბულური

ძმოს სანდრო!

თბილისს ვიყავ და ვერ გნახეთ საქართველოელნი. შენ „ბერლო მზანიას“ კითხულობდი და ვერ დავესწარ. ეს მე ერთგვარ დანაშაულობათ მიმანხნია და იმიტომ გიგზავნი კიდევ ამ ბოღიშის წერილს. მეგონა ისევ მალე დავბრუნდებოდი თბილისს და პირადათ ყოველივეს აგისხსნიდი, მაგრამ შაქრომ და ილომ ამ სააღღვომოთ აღარ გამოგვიშვეს...

უნახაობის და დაუსწრებლობის მიზეზი კი სულ უბრალო იყო: კუჭი მეტკინა. მომდგამს მემკვიდრეობით და... მართლა ცუდათ გავხდი. მთელი დღე ვიწექ. მეორე დღეს კი კახეთისკენ გამოვწიე ორი დღით და აი, შევრჩი, მაგრამ ერთი მხრით არა ვნანობ, მგონი გამოვიყენე ეს დღეები. ღამათიანი პიესა გამოვატყვე. როგორა გგონია? თვით თამარ მეფის ცხოვრებიდან. საწყალი ჯაფახიშვილის წიგნი კი ვაწვალე დიდათ. მართალია პიესას „ისტორიული ოცნება“ ვუწოდე, მაგრამ მაინც არ მინდოდა ანაქრონიზმი შემეგანა რამ და აი, დავენდე ისეთ ფრთხილსა და მასალებით „ძუნწ“ მკელევარს, როგორიც ჯაფახიშვილია...

საქმე აი როგორ იყო: როდესაც კუჭისაგან შემარებული ლოგინად ვეგდე, „ბერლო მზანიადან“ დაბრუნებულნი ჩვენები მოვიდნენ და მათ თან მოჰყვა საპაგიო ქ-ნი სოფიო კალანდარიშვილისა. მან გამომიტბადა, რომ მონაწილეობა მივიღო მომავალ თამარის დღესასწაულში ან სურათების დადგმით, ან სხვა რამეთი, მაგრამ თუ პიესას დაგვიწეროთ კიდევ უკეთესი იქნებაო. მივხედი, რომ ეს ელოს¹ ეშმაკობა იყო: მართლაც ერთ დროს განმრახული მქონდა თამარის დროიდან პიესის დაწერა, გეგმაც კი მქონდა ქალაღმე მოხაზული, მაგრამ თვით პიესა ხორც-შესხმული არ იყო. ვიგრძენ ელოს „ხულიგნობა“, რომ გავემხილე და მაინც უარზე დავდექი, მაგრამ ქალები მომეძალენ და გვეოდინება – ქალების იერიშს ვერ ვუძლებ ხოლმე. წარმოიდგინე ჩემი კადნიერება, დაეთანხმდი... აი, ახლა უკვე პირველი მოქმედება მზათა მაქვს კიდევ, დავიწყე 29 მარტს და რალაც იმედი მაქვს, რომ აღღვომამდე დავასრულებ კიდევ. ბერივითა ვცხოვრობ ღვინოს არ ვეკარები და სხვა ხელს რა შემომიშლის. გამიტაცა კიდევ სიუჟეტმა, თუ დავძლიე. სახელად პიესას „ვარამი“ დავარქვი. ეს სახელია ხალხის შვილის, პიესის გმირისა. აი ჩამოვალ და, რა თქმა უნდა, წაგიკითხავთ. თუ მოესწრო და 1-ლი მაისისთვის მისი წარმოდგენაც მოხერხდა, ხომ რა კარგი, თუ არა და

¹ ალექსანდრე (სანდრო) ილიას ძე მანშიაშვილი (1888–1979) – ქართველი პოეტი, დრამატურგი.

² ელო ანდრონიკაშვილი – მალეა დადიანის მეუღლე.

თქვენ მაინც დაგაბეჭდვი-
ნებთ. ეს კია... ამ ნაშრომში
ფულს წაგართმევით... მოწო-
ნების შემდეგ, რასაკვირ-
ველია, მოწონების შემდეგ-
მერე, რა მჭირდება ეხლა
ფულები! მართლა, ზაფხული
სურამს მინდა გავაგარო,
აგარაკი დავიჭირავე კიდეც.
ეგ ადგილი შუაგულია და
საჭიროების დროს არც იმე-
რეთს მოვეცდები და არც
თბილისს... მერე კიდევე ქარ-
თლის ზოგიერთი ადგილები
ჩემი თვალით მინდა ვნახო:
ცხირეთი, კარალეთი და შე-
იძლება ნოსტრეც გამოვძებნო.
ხომ გახსოვს, სააკაპის
ცხოვრებიდან რომანისთვის
მინდა.

მართლა, შენი „უგ-
ვირგვინონი“ რომ ვერ დაუ-
დგით თბილისში? მაგრამ
აი მოვიდე და მაგაზედაც
მოვიუბნო როგორც სჯობ-
დეს.

„მერანი“-სთვის, რომ ჯერ-ჯერობით ვერაფერი მოგაწოდეთ ამაზე
ნუ შემრისხავთ. ზაფხულში შედარებით მეტი დრო მექნება სამუშაოდ
და... თემები კი თავში ბევრი გროვდება. ზამთარი მლუპავს ხოლმე. ამ
თეატრმა სულ შთანთქა ჩემში მწერალი. მაგრამ აგერ ერთი წელიწადი
კიდეუ და მითქვამს მგონი, რომ მე თვით დავგოვებ თეატრს როგორც
აქტიური წევრი და შემდეგ გულ-დასმით ჩავუჯდები... ამასთან თუ
ქალაქშიაყ პაწია საკუთრებაც გავიჩინე!.. ხედავ, ამაზეუ კი ვოცნებობ.

ჰოდა, ვნახავ და ყოველივეს გაგიზიარებ...
გამომცემლობის საქმე ხომ ძალიან მკვიდრ ნიადაგზე დადგა?..
იყავით კარგად და მხნედ. მოკითხვა და საღამო ყველას. ღმერთმა



ელო ანდრონიკაშვილი და შალვა დადიანი
ქ. ბაქო, 1917 წ. სლმ №2506-ი

ბრძანოს, რომ უკეთესს „აღდგომას“ შევხვედროდეთ.
ელომ დიდი... დიდი საღამო.

შალვა ღაღიანი
IV. 4. 1916, კახეთი
მაჭროსას

ძმო სანდრო!

გამარჯვება!

როგორ არის საქმე? წარმოდგენისას ხომ ვარიგებთ ყოველსავე?

მე მხოლოდ 26 ამ თვეს ჩამოვალ და, რა თქმა უნდა, მაშინვე შევედგები მომზადებას და მეცადინეობას. მანამდე კარგი იქნება სთხოვდე სონა რომანიშვილის¹ ქალს, რომ დაგვავალოს და დედის როლი მან აღასრულოს. უმთავრესი ის არის, რომ პატარა როლია მაგრამ სიღარბაისლე და სცენური გამოცდილება საჭიროა და ეს ყოველივე უხვად ახლავს დასახელებულს. მეორე, ჩვენც ცოცხა ხარჯს შევიმსუბუქებთ: ქუთაისიდან აღარ ჩამოვიყვანთ ლოლობერიძის ქალს. რასაკვირველია, თუ არ დათანხმდება, მაშინ მოვა, მაგრამ უცაღე დაითანხმო. ცოლის როლი კი ქილარჯიშვილის² ქალს რომ ვთხოვოთ ემჯობინება, რადგან დიდათ შესაფერი იქნება და როლის სიპატარავით ნურც ის შემოგვიწყდება, გასამრჯელო კი მაგასაც უნდა შეჰპირდე.

რამდენათაც მახსოვს ამ ორი როლის აღმსრულებელი არა მქონია აღნიშნული და მიგომა გწერ. საჭირო არის კიდევ სეფე-ქალი, მაგრამ ამას ჩემი ჩამოსვლის შემდეგაც მოვასწრებთ.

ჰო, კარგი იქნებოდა ევროპიულად რომელიმე მხაგრისათვის ერთი პლაკატი დაგვხატვინებინა, საცა ჩვენებურ ბუნების პერსპექტივაზე გამოიყურებიან ჯავშან-მუზარადიანი გიორგი და სხვა ესეთი გიპიური სახეები დიდებულთა. არ არის საჭირო მსგავსება გრიმებთან. ამ სურათებთან კი ლამაზის ასოებით ჩართული იქნებოდა: „სახალხო სახლში 3 და 4 იენისს შანშიაშვილის უგვირგვინო მეფენი“ მხოლოდ. და ეს პლაკატი დროით გამომეფინა სადმე თვალსაჩინო ადგილას. ჰო, იქვე მოიხსენებდით საცა იყიდება ბილეთები. საჭიროა, რომ ბილეთები ადრე იყვეს დამზადებული და უკვე იყიდებოდეს.

ამას გარდა, სანდრო! რა ვქნათ ჩემი და ელოს ბინისა? მანდ ერთი ათი დღე მაინც მოგვიხდება დარჩენა და სასტუმრო ხომ ეხლანდელ

¹ სონა რომანიშვილი – სოფიო რომანიშვილი (1880–...) – სახალხო თეატრის მხახიობი, სამოვალო მოღვაწე.

² მარგარიტა მახვილის ასული ქილარჯიშვილი (1893–1948) – ქართული თეატრის მხახიობი.

პირობებში გაგვიყიდის. შეიძლება სადმე ოთახი ვიშოვნოთ. ერთი თვის ქირა მივეცეთ კიდეც ასე 15-20 მ. ვითომ ვერ მოხერხდება? უთხარი ჩაგუნავას, შეიძლება იმან მოახერხოს. ე.ი. იშოვნოს სადმე საქირაო ოთახი. მომიტყევე ამ წვრილმანით შეწუხება, მაგრამ რას იზამ, ესეც საფიქრალად გამხდომია. ნაცნობების შეწუხება კი ძნელია და არც არის ევეთი ბინა.

პიესა მე ერთხელ კიდეც მუშგრის თვალით გადავიკითხე. ზოგი რამ სარეკისორო შევიმუშავე და მზათა მაქვს. მართლა მხაგვრებიც დაგვეხმარებიან? აი გაზეთში რომ იყო? ეს დიდებული საქმე აქმნება თუ ძალიან ძვირი არ დაჯდა. მაგრამ აი მოვალ და ენახოთ. ესლა აი კიდეც რა: დიდათ ენახობ, რომ იუკინი¹ ჩამოვიდა და მე კი მანდ ვერ მოვხვდი; რომ მეც პირადათ მივესალმო ამ ბუმბერამ მსახიობს. ნადიმეც არის თურმე ხვალ, 18-ს ახალ კლუბში. თუ დაესწრები, ვთხოვდი, ჩემს მაგიერაც მიგელოცნა სამშობლოში ყოფნა. და ის სურვილი, რომ სიბერის დღენი მაინც შემოსწიროს მშობლიურ სეენას, სადაც ჩვენს დამსახურებულ მსახიობთ ნუგეშათ და გვირგვინათ მოველინება და ახალგაზრდებს მწვრთნელად და აღმზრდელათ. ჩემს ამხანაგებს კი უთხარ, არაფერი არ მშურს თქვენი, მხოლოდ მშურს ის საგულისხმო წამები, რომელთაც ატარებთ სახელოვან ჩვენს თანამემამულესთან და განიცდით უმეშვეოთ ამ ფრიად მდიდარ პიროვნების ამამაღლებელ მომხიბვლელობას-თქო.

მამ ესე. მალე ნახვამდის და გამარჯვება. ელომ სალამი.

ჩემს პიესას „შეკეთება“ ჯერ-ჯერობით კიდეც ვერ მოვუხერხე, თუმცა აივნანში უკვე ფუსფუსებენ „ვიდაც ახლები...“ სამაგიეროთ დაიწერა ერთი ახალი მოთხრობა, რომელსაც ქარგა კვლავ ისტორიული აქვს და პქვიან „უბედური რუსი“. სათქვენოთ მინდა აგრეთვე, მაგრამ მაგაზუდაც ჩამოსვლისას.

იყავ კარგად.

შალვა დადიანი
V. 17. 1916

სურამი ავარაკი სულიაშვილისა

P. S. ელო კიდეც მელაპარაკება ესეც მისწერე, რომ ჩვენო არწივო მართევე, ერთი ფრთები გაისწორე, თორემ ამ მეგრელებმა ამოგვაგდესო. ვერა ხედავ სპარსეთიდან დაწყებული ვერდენამდე სულ დაჭერილი აქვითო...

ერთის სიგყვით, ესლა ღამება, წამოწოლილია, ეძინება და არ ვიცი რეებს ამბობს...

შ. დ.

¹ *ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილ-იუკინი (1857-1927) - რუსი დრამატურგი, მსახიობი, წარმომადგენელი ქართული, 1863-77 წწ. ცხოვრობდა საქართველოში. დაამთავრა თბილისის უკეთა ვიშნაზია.*

საყვარელო სანდრო,

კარგა ხანია მინდოდა მომეწერა აქაური ამბები, მაგრამ ჯერ ერთი შენ რომ წახველ, მეორე-მესამე დღეს მეც გაველი ქალაქიდგან და ეხლაც, დროებით რომ დაგბრუნდი, ბევრი არაფერი ვიცი, რადგან უქეიფობის გამო, ერთი-ორჯერ გამოველ მარგო სახლიდგან, მაგრამ მაინც მინდა ჩემი სულიერი განწყობილება გავიზიარო.

მაინცდამაინც კარგ გუნებაზე ვერა ვარ, ამის საპირადო მიზეზი მაქვს, მხოლოდ მაშფოთებს ის გარემოება, რომ (თუმც მოსალოდნელი იყო) მაინც ახმეგელის¹ ჩამოსვლიდგან ცკ-ში მისდამი დამოკიდებულება შეიცვალა. მას მოხსენება გაუკეთებია გასტროლების შესახებ და რასაკვირველია, უმძიმესი ბრალდებები ჩვენთვის თავზე მოუხვევია: რომ ჩვენ მას სკანდალი გაუუკეთეთ, რომ კინალამ ჩაუუფუშეთ გასტროლები, ვაზარალებთ და სხვ. პეტრე სამსონიძეს² ამოუღია ხმა, მაგრამ ეცყობა კარგად ვერ დაუცავს პოზიცია და ორაგველიძისგან³ მიუღია კიდევ საყვედური, იქვე კრებაზე – ასე უმართებულოდ რათ მოიქეციო და გელეგრამა რათ გაგზავნეო. ეხლა ამბობენ ბერიაც უნახავს საშას და იქაც აზრი თავის სასარგებლოდ შეუტრიალებიაო.

მე აქ შემხვდა პოლიკ. კაკაბაძე⁴ და ესეები რომ უამბე, სთქვა არაფერი, შევიკრიბებით, სანდროც ჩამოვა და ვეცალოთ ბერიაც უნახოთ, სიმართლე „საჭირო ყურებად“ მივაწვდინოთ და რა კამპანიის ჩატარებასაც ვაპირებდით, რუსთაველის თეატრის წინააღმდეგ გალაშქრებას, აუცილებლათ ჩავაგაროთო. მეც ეგრე ვფიქრობ სწორედ. ეხლა უკან დახევა აღარ გვარგებს, კვლავ დავიარაზმნეთ და ვინც ჩვენთან მოვიდა მათი დახმარებით, გმიანი და აწონილ-დაწონილი იერიში კვლავ მივიგანოთ. თორემ რასა ჰგავს! რეპერტუარში კვლავ „ანზორი“, „ლაშარა“, „ყაჩაღები“ და სხვ. მოწყალებასავით გადმოსროლილია ორი ახალი პიესა ქართველი ავგორებისა, ერთი რუსული თარგმანი, ერთიც კლასიკოსი. რა არის ეს? თავისთავის აგდება, აუდიტორიის დაცინვა თუ რა? განა შეიძლება წლების განმავლობაში სულ ძველი და უკვე ვადაგასულ რეპერტუარით კვებოს მთავარმა თეატრმა ხალხი? რასაკვირველია, იმის

¹ სანდრო ვასილის ძე ახმეგელი (1886–1937) – რუსთაველის თეატრის რეჟისორი.

² პეტრე სამსონიძე (1893–1948) – დრამატურგი.

³ კარლო შევარდინის ძე ორაგველიძე – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში გამგე; 1935–37 წწ. უნივერსიტეტის რექტორი.

⁴ პოლიკარპე მალხაზის ძე კაკაბაძე (1893–1972) – ქართველი დრამატურგი.

საწინააღმდეგო არავის არ უნდა ექნეს, რომ სხენებულ პიესების ავტორებს წლეულსაც ამავე პიესებიდან ექნეს შემოსავალი, ესეც კარგი რამეა, მაგრამ განა თეატრის გაზრდა ამაში გამოიხატება? ერთის სიგყვით ჩვენ კვლავ დიდი კომირი გვეძლევა შეგვივისათვის.

რა მწყინს, რომ შენი წერილი „კომუნისტში“ შემოკლებით იყო დაბეჭდილი, თუმცა შთაბეჭდილება დიდი დასტოვა, რადგან ფართო საზოგადოებას ჯერ კიდევ არა სცოდნია ავტორების დამოკიდებულების ამბავი ახმეგელთან. მისი თეატრი კი თურმე გაიძახის, რომ ეს წერილები მხოლოდ საპრონორარო ყუფაა და სხვა არაფერიო. მაგრამ ესეც იქით იყოს, თვით ახმეგელს უთქვამს სამსონიძისათვის – დრამატურგებმა პრესაში ჩემს წინაშე ბოდიში მოიხადეთ და სამი წლის შემდეგ შეიძლება დაეღვა თქვენი პიესებით. რასაკვირველია ეს ქუჩური გულის მოფხანაა ვითომდა გამარჯვებულისა, მაგრამ როდესაც შევიკრიბებით ამგვარ უღირს „გამინდვრებას“ ბოლო უნდა მოუღოთ და ხელისუფლებას უნდა გავაგებინოთ, შევახსენოთ, დავემტკიცოთ, თუ როგორ ცუდის გზით მიჰყავს ამ კაცს მისდამი რწმუნებული დიდი საქმე.

ეხლა შურა დუდუჩავამ¹ კიდევ კინალამ რა ჩაიდინა – კინალამ დრამატურგთა თათბირი მოაწყო... უდრამატურგებოთ. ვითომდა ხელოვნების სექტორისა და გაზეთის ინიციატივით არ შესდგა. ცხადია, „გაცუკურაკება“ უნდოდა ქართული დრამატურგიისა ესეთი უგემური და მოულოდნელი თათბირის გამართვით.

დრამკომში პეტრემ ერთ ხანობაზე ძაან აურ-დაურია საქმე. კინალამ დარწინიანი გააგდო, ფულების განაწილება ვითომ სრულად შესცვალა და სხვ. მაგრამ ეხლა რომ ჩამოვედი, თუმცა არ ვყოფილვარ, ვიცი რომ დარწინიანი ისეუ თავის ადგილას არის, პეტრე კანგორის საქმეებში არ ერევა, არამედ სექციაში გადასულა და ძალიან კარგი, მხოლოდ ლორთქიფანიძის მეუღლე არ მიიღო სამსახურში, დააბრუნა ჩოლოყაშვილი და ასე გადის იოლას. რასაკვირველია, რომ ჩამოვალთ, ამ საქმესაც მიხედვა უნდა. მით უფრო, პეტრეს, პარგია, სადღაც სოფელში აგზავნის სამუშაოთ. პეტრე გაიძახის სანდრომ და შალვამ დამღუპა, მათი გულისათვის ახმეგელს შევებრძოლე (?) და ამისათვის ცკ-საგან საყვედურიც მივიღე და ეხლა ორის წლით სოფლადაც მგზავნიან სამუშაოდაო.

¹ ალექსანდრე (შურა) ივანეს ძე დუდუჩავა (1901–1937) – კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, ოპერისა და ბალეტის თეატრის, შემდეგ კონსერვატორიის დირექტორი.

გუგული¹ და ბააშოვიც² დასწრებია ახმეგელის მოხსენებას ცკ-ში³ და ქება-დიდება შეუსხამთ სამასთავის თან დაუყვედრებით – აი, სულ იმათ პიესებს ღვაძლი, (ე. ი. შენი და ჩემი) აი, რა ვიყვეს „მეგობრებმაო“ და სხვ. ამისთანები. რასაკვირველია, არც ეს უნდა გაგვიკვირდეს და არც გული უნდა გაგვიტეხოს.

ახალი რეჟისორი ყუშიგაშვილი³ საბოლოოთ მიდის ქუთაისს, დასსა პერეფაეს და რეპერტუარს აგროვებს. უნდა ერთ-ერთი შენი პიესა იქონიოს. მე „აკვილონზე“ უთხარი, მაგრამ რასაკვირველია, შენ რომელიც გნებავს იმას გადასცემ. მე დამავალა გთხოვო. გადაგზავნით გადაუგზავნე ქუთაისს, თეატრში, მის სახელზე. აქ წაიკითხავდა, მაგრამ ვერ ჩამოასწრებ მე მგონი.

საერთოდ როდის დაბრუნდები? მე პირადათ, სექტემბრის შუა რიცხვებამდე არ მინდა თბილისში გამოვიჩნდე. დიდათ გავუცი და მინდა წავიშუშაო. ამისთვის წაველ კიდეც წინაზე, მაგრამ „საჯაყი“ საქმე დამემართა. ვგაში გაქანებულ მაგარებელში გამცარცვეს. ფანჯრიდან რომელიღაც „უხილავი ძალით“ ჩემოდანი წამართვეს. ეს საოცარი ამბავი იყო, ჩემის თვალთ უყურებდი როგორ პაერში მისცურავდა ჩემოდანი და უძლურ შევიქენ შემენარჩუნებინა. მაგრამ ამ ეპიზოდზე ცალკე იუშორესკასა ვწერ და იქ გაიგებ ყოველსავე დაწვრილებით. სახელაით მინდა დაეარქვა „სივლახაკის ფილოსოფია“. ვითომ რა, თუ მარქსმა „სილაგაკის ფილოსოფია“ დასწერა, მე „სივლახაკეზე“ არ შემძლია რამე შევექმნა? პოდა ბევრი რამ დავეკარგე ამ ჩემოდანით: თეთრეული, საზაფხ. ტანისამოსი, ფულიც და სხვ. წერილი მარალი კარგა ძალია, მხოლოდ სამუშაოს, დაგროვილი მასალების და კარგვა კი, აუნაზღაურებელი. „უგუ მიქავასთვის“, რაც არქივებში ამ 2 წლის განმავლობაში შემიკრებია, ხელიდან გამიქრა.

მახლას! ვიგყვი მეც და ამითი გავათავებ ამ ქამად. მოიწერე შენც შენი „განცდანი“, როდესაც ერთად არა ვართ, ნუ დავიშარებთ ერთიმეორესთან წერილებით გამოხმაურებას.

სალამი ქ-ნ მაროს.⁴

მალეა დადიანი
30. VIII. 33 წ.

¹ ვრიგოლ (გუგული) ვარდენის ძე ბუხნიკაშვილი (1897–1979) – დრამატურგი, თეატრმცოდნე, სამოვალე მოღვაწე.
² გერცელ დავითის ძე ბააშოვი (1904–1938) – ქართველი მწერალი, ეროვნებით ებრაელი.
³ ვასო პავლეს ძე ყუშიგაშვილი (1894–1962) – ცნობილი რეჟისორი, სწავლობდა საფრანგეთში, თეატრალური „აგელიეს“ ერთ-ერთი დამაარსებელი.
⁴ მარო – სანდრო მანშიაშვილის შეუღლე.

სალამი საყვარელ სამს!

აი მოდიან ჩვენი სგუდიის რუსი მასწავლებლები. გოხოვ გაიცნო და გაუთბო გული ქართული ხალისით. კარგი ყმაწვილებია. მათთვის საჭიროა შენისთანების გაცნობა და აგრეთვე გაცნობა ჩვენი სიტბოსი.

ეს, რასაკვირველია, დიდი ამბავია და ასე უცბათ ეს არ მოხდება, მაგრამ... პირველი ნაბიჯი მაინც იქმნეს გადაღმული... სხვათა შორის, ამ ეამად, მათ სჭირდებათ სამეგრელოს გაცნობა. ვამზადებთ პიესას სამეგრელოს წარსულიდან. უნდა ნახონ ჩვენს მუზეუმებში ფრესკები და სხვა საჭირო სურათები განსაკუთრებით ლევან მთავარის, XVII საუკუნისა. ამაში შენი დახმარება გვჭირდება ფრიად.

ეხლა ერთი დიდი სათხოვარი: სამა, ძვირფასო სამა! უნდა დაგვიწერო ერთი დრამატიული პოემა. გასაკვირველია, შეიძლება, რომ ასე უხეშადა გოხოვ, თორემ გასაკვირი ის არ არის, რომ ამგვარი თხოვნით მოგმართეთ. თავშენახული კაცი ხარ და უთუოდ სადმე საკუჭნაოში გექნება შემონახული რაიმე სადრამო მასალა.

ოლონდ – კიდევ ერთი, შეკვეთა – უნდა იყოს ნაზი ვით შენს მუზას შეპყერის და ძლიერი შექსპირისებურ მოქნევი.

ამის შემძლებელი რომ ხარ, ეს ღრმადა მწამს და, რასაკვირველია, ეს არ არის არც თავის მოგყუება და არც უბრალო, მრდილობიანი ჩათინაური.

აბა დაიძარ, რაშო, მგონი მარმაცი არა ხარ და შემოდგომისათვის უწყალობე ახალ საქმეს, ახალგაზრდობას ახალი შენი ჩინებული ნაწარმოები.

კვლავ სალამი და კარგა ყოფნის სურვილი.

როგორ არის გამოცემლობის საქმე? მგონი დამფუძნებელი კრება უკვე იყო. ჩემ „უბედურს“² გამოსცემთ თუ არა?

ელომ დიდი, დიდი სალამი

შალვა დადიანი

12. VI. მოსკოვი

ძმარ სამა!

გაფიცებ „პარტიულ ხამს ლიგერატურაში“ ამეებზე მიპასუხო:

როგორ არის „უბედური რუსის“ „ქართულ წიგნში“ გასაღების საქმე? არის რაიმე იმედი თუ არა? გელეგრამა გამოგიგზავნე და რაკი არ

¹ ალექსანდრე ბესარიონის ძე აბაშელი (ზოზია) (1884–1954) – ქართველი პოეტი.

² „უბედურს“ – იგულისხმება შალვა დადიანის რომანი „უბედური რუსი“, რომელიც ცნობილია „ვიორგი რუსის“ სახელწოდებით.

მიპასუხე, ვაგყობ ჭადრაკულად უნდა იყოს საქმე, მაგრამ თუ რაიმე მოსახერხებელია ნუ დაიშურებ შენს გავლენას და მეგობრულ დახმარებას... ისევ მიჭირს, საშა, ნივთიერად და ამ რომანის გასაღება დიდად დაამშვიდებდა ჩემი ბიუჯეტის ნერვიულობას.

სამოგადოთ რომანზე ელო მოგელაპარაკება.

როგორა ხარ დრამის დაწერაზე. ჩემს წერილს უთუოდ გადმოქცემდნენ ჩვენი სკულის მანდ ჩამოსული რუსი რეჟისორები. ეს უნდა მოინდომო საშა! ნურც იუცხოვებ და ნურც სასაცილოდ აგვიგდებ. შენ დაინახავ, რომ მე მართალი ვარ, ოღონდ მონღოლებას ნუ დაიშურებ და წერას შეუდექი.

„კავკასიონი“¹ გამოვა თუ არა? გამოვეგზავნო თუ არა დანარჩენი? მეშინია დაკარგვის, რადგან მაგ. ამ რომანის დასაწყისი არც დაბეჭდილი და არც ხელთნაწერი მე თვით არა მაქვს. მიშოვნე, თუ ძმა ხარ, სულ 1-ლი ნომერი „კავკასიონის“ და ფასდაღებით გამომიგზავნე.

ჩვენი საქმიანობის კი აბა რა მოგწერო. გვახსრობს უსახსრობა და იმიტომ ვერ იქმნა აქამდე განზრახული ვერც ლექციები – საჯარო – მოვაწყეთ, ვერც გამოცემა, გამოფენანი და სხვ. ამისთანები.

ერთადერთი ისევ სკულიაა, რომელიც უთუოდ კარგ იმედს იძლევა, – გაზეთებში წაიკითხავ ანგარიშს, – მაგრამ აქაც ისეა საქმე, რომ მაგალითად არ ვიცი თუ მომავალი სააკადემიო წლის სმეტას დაგვიმტკიცებენ თუ არა. გადაწყვეტილ ფულსაც, რაც სექტემბრამდე გვერგება „ჭიჭოთ“ გვაძლევენ და ამითი დიდათ გვიფერხებენ მეცადინეობის შეუწყვეტლივ და დროზე წაყვანას.

მე კი მაინც არ ვიგებს იხტიბარს და აქ, ამჟამად, ვუყურეუტებ სახლის ჩაბარებას. ВЦИК-დან უკვე მომივიდა ქაღალდი, რომ მოსკოვში შეძლება „ОСОБНЯК“-ი ჩვენს მთავრობის საკუთრებათ, ოღონდ ამოირჩიეთო, მე იმას ვრჩეობ საცა ვართ ამ ჟამად და ამაზე გვაქვს დავა. ველი ენუქიძეს,² რომელიც დამპირდა დიდ დახმარებას და... ენახოთ. თუ სხვა ვერაფერი შეიძლება ერთი სახლი მაინც შევიძინო საქართველოს მოსკოვში.

გვექონდეს... მივიხედ-მოვიხედოთ.

იყავი კარგათ: მომწერე.

შალვა დადიანი
9. VII. მოსკოვი

¹ „კავკასიონი“ – ყოველთვიური ჟურნალი. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო, რედაქტორი პავლე ინგოროყვა, გამოდიოდა 1924 წელს.
² აბელ სოფროშის მე ენუქიძე (1877–1937) – პარტიული მუშაკი.

საყვარელო ლევან!

ხულოდან დაბრუნებულს შენი წერილი დამიხედა. საპასუხოთ შემდეგი უნდა მოგახსენო:

თუ ამ ეპოქაში აჭარაში ვიმყოფები უფრო იმისათვის, რომ ამათაყ პირობა შევსრულო, მხოლოდ ეს პირობის შესრულება ეხლა იმაში გამოიხატება, რომ მასალებს ვაგროვებ. — ამისთვის სხვა დრო არა მქონდა. — თვით პიესის ჩაბარების ვადა კი, ამხ. გეურქოვთან² შეთანხმებით, მომავალ თებერვლისათვის გადავწიეთ.

თბილისს ჩამოვალ არა უგვიანეს ივლისის 5-სა და რაღა თქმა უნდა, მაშინვე გინახვლებო.

ასე რომ, როგორც ხედავთ, ჩემი მხრით, „პუშკინის საქართველოში“ ჯერჯერობით არაფერი დაუშვავდება.

მაგის სამუშაოთ მაქვს განკუთვნილი ამ ზაფხულის თვეები. მასალებს, კარგა ძალს, უკვე გავეყანი თბილისში მყოფობისას და ის არე რომელშიაც უნდა იმოქმედოს დიდმა პოეტმა უკვე გათვალისწინებული მაქვს. საქმე თვითონ პუშკინია, მისი გაორებული ბუნება: მაღალ-მხაგვრული ოცნების პატრონი და პოლიტიკური პროტესტანტი, იმავე დროს სალონების მსუბუქი კავალერი, თითქმის ქარაფშუგა და ერთგული მონარქისტი. კაცი „შეყვარებული გონჩაროვაზე“ (საქართველოში წამოსვლის დროს) და იმავე დროს, თვით თბილისში თავდავიწყებამდე ქალთა მოგროფილზე. აიღეთ თუნდა ასეთი წვრილმანი: საქართველოში ყოფნის დროს ხან „ჩერქესკა“ აცვია, ხან სპარსული კაბა და ქლამიდა და სხვა და სხვ.

მაინც და მაინც, თქვენი თეატრის დახმარებით, დავძლევ მგონია ნაკისრ მოვალეობას.

თბილისის მაშინდელი სალონები, რუსული გაზეთის რედაქცია, სამხედრო პირები, ნაცნობ-მეგობრები პუშკინისა, დეკაბრისტები, ქართული ყურთმაჯები, გაფრიალებული ლეჩაქები მთვარის მიბნედილ შუქზე, მაშინდელ ერლო-ბანებზე გამოფენილი, თბილისის ბაზარი მთელი თავისი კოლორიტით, მეჯღანუაშვილისებური ოჯახი, ქეიფი ორთაჭალაში და გორკვატო ტასოსავით პუშკინის დაგვირგვინება, ღუელი კახეთში, პოლიციის თვალ-ყური და სხვ.

ეს იქნება ჩემი ფერადები პუშკინის რთული ბუნების გამოსამქლავებლად, მაგრამ...

მეგრელები იცყვიან: „ექვაფა ნალიმურს ოკონია“ (გრებახი ნაომარზე

¹ ლევან ნიკოლოზის ძე ასათიანი (1900–1955) – ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

² გეურქოვი – პარტიული მუშაკი.

უნდაო).

და ამის გარშემო ამ ეკმაღ პირს დავიდუმებ.

მხოლოდ მინდა გავრძნობინოთ თუ როგორის სიყვარულით ეყვრობი ალებულ თემას.

სიყვარულით მუშაობა ხომ დიდი საწინდარია ნამუშევრის რიგია-ნობისათვის.

მამ ასე. მალე ნახვამდის. გულითადი სალამი და საერთო გამარჯვე-ბის სურვილი რუსთაველის თეატრს და მის ხელმძღვანელობას.

მალე დადიანი

28. V. 36

ბათოში

საყვარელო სიმონ!

მე მომმართა გყვარჩელიდან ჩემთვის უცნობმა, ეგყობა ახალგაზრდა, ანდრია ბესარიონის ძე ჟვანიამ, რომელსაც დაუწერია პიესა ისტორიულ ფონზე (ერთმოქმედებიანი, თამარის და რუსთაველის ცხოვრებიდან).

მე მომეწონა. ეს, რასაკვირველია, ბევრს არაფერს არ ნიშნავს, მაგრამ მე მგონი კაცს ნიჭი აქვს და მომზადებაც. ენაც მოსაწონი. ასე რომ ეხლა ჩემი თხოვნა ეს არის – პირადათ შენ გადაიკითხო და თუ საყუ-რადლებოდ მიიჩნევ, მაშინ დაუსტამბო კიდეც ქურნალში. ცხადია, ახალ-გაზრდა, დამწყებს და საიმედო მწერალს გამხნევება და მოვლა უნდა.

მე თვითონ ვიახლებოდი და მოგართმევი სურათს, მაგრამ გეცოდი-ნება რომ ავად ვიყავ და დღეს კიდე ექიმები ქობულეთს მგზავნიან. ფიქრობენ რომ გული მღალაგობს. ეეპ, რამდენჯერ ჩემი გული „აფანქა-ლებულა“ ამას თუ ბუნება ეხლა მახდევინებს 81 წლის კაცს, აქამდე სად იყო? ჰა, ჰა!

იყავი კარგად.

მალე დადიანი

8. VI. 55

საყვარელო სიმონ!

დაპირებისამებრ გიგზავნი ჩემ პიესას: „იდეა გამარჯვებს“ – საშა წულუკიძის² ცხოვრებიდან.

¹ სიმონ ივანეს ძე ჩიქოვანი (1903–1966) – პოეტი.

² საშა გრიგოლის ძე წულუკიძე (1876–1905) – პროფესიონალი რევოლუციონერი, რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილე, ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი უუძემღებელი საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ეს პოემა თავის დროზე განხილული იყო მწერალთა კავშირში და მოწონება დაიმსახურა. არსებობს ამ სხდომის ანგარიში.

მხოლოდ „იმედი“ შემომეძადა, რომ ზოგი ეპიზოდი პარასკევს კი არ იყო, არამედ ორშაბათსო, ისინი ქრონოლოგიას მეტად აწვრილმანებენ, მე კი აქ, როგორც დრამატურგი არ ვუწვევ ანგარიშს, რადგან ამ ნაწარმოების მთავარი დანიშნულება ქრონოლოგია არ არის.

ისე მე, როგორც ავტორს... ჰა, ჰა!.. მომწონს ჩემი პიესა, ბევრი კარგი როლებია, რეჟისურისთვის მაღლიანი სამუშაო და, მე მგონი იმ დროის ქუთაისის ცხოვრების და რევოლუციურ მოძრაობის სურათები სწორ-უგყუარად არის გადმოცემული ჩემი შეძლებისამებრ.

ახლა შენ იცი. ვიცი, რომ გულდასმით გადაიკითხავ.

გისურვებ ჯანმრთელობას და გამარჯვებას შენს დიდ საქმეებში.

მალვა დადიანი

31. I. 57

დ/პატივევებულ და ძვირფასო იპოლიტე!

მივიღე თქვენი გულწრფელი და ობიექტიური გამოკვლევა ჩემს შესახებ, სხვაფრივ თქვენგან არც იყო მოსალოდნელი, რადგან მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ. თუ არა ვცდები, მგონი, დუგუ მეგრულმა გამაცნო თქვენი თავი ქუთაისის ეგრეთ წოდებულ „ბულვარში“ ქუთათურების „ბულვარში“ წარმოსადგეი, ბრგე-უაქეაყი, მეტად მოხდენილის, თუ არ ვცდები, მოჭირებულ, წაბლისფერი კოსტა წვერებით.

ეეჰ, ახალგაზრდობავ, როგორი სანაგრელი ხარ მუდამ, რა გინდ ღუხვირ პირობებში არ იყოს განვლილი ეს ახალგაზრდობა, თუმცა თქვენ დასანანი არაფერი გაქვთ, რადგან თქვენი ახალგაზრდობაც და სიბერეც ნაყოფიერი იყო და ხალხისათვის სასარგებლო, დიდის ერუდიციით და ნიჭიერებით შემკობილი. თქვენ, თქვენი ვალი სამშობლო ლიგერატურის წინაშე პირნათლად გაქვთ მოხილი და ახლაც ეწვეით დიდათ საჭირო მუშაობას, რომ ერთხელ კიდევ სთქვათ თქვენი „მართალი სიგყვა“.

მე კი მაღლობის მეტი რა მეთქმის ჩემს შესახებ თქვენი „გულღია“ წერილის გამო.

ამიგომაც გწერთ ქალაღდის ასეთ ფართო მოედანზე... ჰა, ჰა!.. ჩემს მაღლობას და... ერთგვარ ჩემს პაგარა „აღსარებასაც“.

თქვენ სრულის სინამდვილის შემცველის სიმუსგით მიმიჩინეთ ჩემი

¹ იპოლიტე პეტრეს ძე ვართაგავა (1872–1967) – კრიტიკოსი, ლიგერატურათმცოდნე, პედაგოგი.

ადგილი ქართულს ლიგერატურაში და სცენაზე.

მე შემოდლიან ახლა, ამ „მონაქვევზე“ სრულის გულწრფელობით მოგახსენოთ შემდეგი (თუმცა ესეუ აღსანიშნავია, რომ არა გულწრფელად წერა თუ გამოსვლა არ მეხერხებოდა, საკადრისად არ ვთვლიდი): ჭაბუკი ვიყავ, როდესაც სცენაზე შევედი და იმავე დროს დიდ პრესაში ჩემი ნაწერები გამოვაქვეყნე.

რა იყო ამის მიზეზი?

ჭაბუკი ვიყავ, მაგრამ ეს იმ თავითვე ვიგრძენი, რომ ჩვენ სცენას მაგალითად, გარდა ბუმბერაზებისა, აკლდა რიგითი, ასე თუ ისე მომზადებული მსახიობები და ვფიქრობდი, რომ აქ გამოსაღვეი გავხდებოდი. ამიგომ მოვიკიდე ხელი რეჟისორობასაც და დასების ხელმძღვანელობასაც. ერთით ვარ ბედნიერი: ხალხი მიფასებდა ასეთ მუშაობას და თუ დღეს, როგორც თქვენ ბრძანებთ, პოპულარული ვარ ჩვენს ხალხში, ეს უწინარეს ყოვლისა სცენაზე მუშაობით არის შექმნილი. მე ხომ სვანეთის გარდა მთელი საქართველო მაქვს შემოვლილი, მყავდა და მყავს ბევრი ნაცნობები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში და როდესაც ახლაც სადმე გამოვჩნდები, ვაგყობ აუდიტორიას, რომ პირზე სათნო ღიმილით მეგებება. ეს კი მართლა ჩემთვის დიდი ჯილდოა.

პიესების წერაც იმან დამაწყებინა, რომ სცენაზე მომუშავენი ყველანი ვგრძნობდით ქართულ, ორიგინალ პიესების ნაკლებობას, დიდ ხარვეზს. ამან გამაბუღებინა და „ვირისკე“. ამან გამოიწვია მთელი სერია ჩემის პიესებისა. ასე იყო ბელეგრისტიკაშიაც. ჩემის ფიქრით ჩემ დროს არ იყო ისეთი ისტორიული ნაწარმოები, რომელიც ქართველ ხალხს მოაგონებდა მის „კარგ“ წარსულს და ერთგვარ თავის მოწონების სურვილს მოპვერიდა. მაშინდელი პიესებიც და ბელეგრისტული ნაწერებიც ყველა ჩვენს მგერთა მიერ დამხობისა და განადგურების ამბებს მოგვითხრობდა. მე კი მოვკიდე ხელი თამარის ბრწყინვალე ხანას, რაც, ჩემის ფიქრით გამოადვილებდა ქართველობაში პოტენციალურად მყოფ მხნეობას, „ყელს ამაყად მოაღერებინებდა“.

და აი, ჩემი როლი ჩვენს საზოგადო ასპარეზზე: შეძლებისამებრ შემევესო ის ნაკლი, რაც ჩემის ფიქრით ახლდა მაშინდელს ჩვენს თეატრსა და ლიგერატურას.

ახალმა ხანამ ხომ მომიგანა დიდი და გარკვეული შეგნება ხალხის დღევანდელ მაღალი მოთხოვნილებისა და მეც ვცდილობ ჩემი კალამი ემსახუროს თანამედროვეობას.

ხალხის სამსახური! ეს მაშიჩემის ბრალია! თითქო ბავშვობიდანვე ძვალ-რბილში გამიჯდა ამ მოვალეობის შეგრძნობა მაშას მეოხებით.

დარიგებით კი არა, არამედ მისი საქმიანობით, მისი ცხოვრებით. მხოლოდ ერთი: რატომ გგონიათ, რომ მე ელაში ვარ? არ იფიქროთ, რომ ეს მეწყინა. ვიფიქრე უთუოდ ასე გამოვიყურები-მეთქი, მხოლოდ თქვენი წერილის შემდეგ ბევრს შევეკითხე, მაგრამ არ დამიდასტურეს. არც თვალეები მაქვს შავი, უფრო მოცისფროა, „ჩხია“. მაგრამ ყოველივე ეს ხელს არ უშლის თქვენს მშვენიერს და სამართლიან გამოკვლევას, რომ იგი სინამდვილის შემსველი იყოს. კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩემი გულითადი მადლობა და ვისურვებთ კვლავ ჯანმრთელს, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჩვეულებრივ ნაყოფიერ მუშაობას.

ჰო, რატომ ამბობთ, რომ თქვენი ეს ნაშრომი „სილუეტები“¹ არ გამოიყვამ? თქვენც ნუ ხართ ჩემსავით მორიდებული. უნდა უკუვაგლოთ ეს ძველი ინტელიგენტური მოკრძალება. ჩვენი გამომცემლობანი – „სახელგამი“, „საბჭოთა მწერალი“ დარწმუნებული ვარ სიამოვნებით მოჰკიდებენ ხელს მათ გამოცემას. თუ არა და თვითონ „პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება“ გაუძღვება ამ საქმეს. იმათ არა აქვთ გამომცემლობა, მაგრამ მათის ინიციატივით და ფორმით სხვები დასტამბავენ. მგონი ამის პრეცედენტი არსებობს.

კიდევ და კიდევ ჯანმრთელობა, ხანგრძლივობა სიცოცხლისა და მუშაობისა.

მალუა დადიანი
16. IV. 1951

P. S. შევეცდები თქვენი „სილუეტების“ წაკითხვა მოვაწყოთ ან მწერ. კაპშირში, ან ჩვენთან თეატრ. საზ-ში.

გული არ მითმენს შემდეგიც არ გავიხსენო: თქვენი სტაგია² ვაქას შემოქმედების შესახებ მის სიცოცხლეშივე დაბეჭდილი. მახსოვს როგორ გაბრაზდა მაშინ ჩვენი მთის ეს კეთილშობილი რაინდი, მაგრამ ხელაღვთ თურმე რა მართალი იყავით თქვენ მის დაფასებაში. იმან კი, ეყვობა ვერ მოითმინა, აჰყვა დასაძრახის ავადმყოფურ თავმოყვარეობას და სხვა რომ არა ვთქვათ-რა, ვერ გაგიგოთ.

ასეთ ავადმყოფურ თავმოყვარეობის მსხვერპლი შევიქენი მეც ამ დღეებში მწერალთა კაპშირში. მე მონდობილი მქონდა ზემდგომ ორგა-

¹ „სილუეტები“ – იმ. ვართაგავას ნაშრომი „ქართულ მწერალთა სილუეტები“ (XIX ს.) თბილისი, 1956 წ. საქართველოს სსრ სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.

² იმ. ვართაგავას სტაგია „სიმღერა მთის შეილის ეაეა-ფშაველასი“. კურნალი „ჯანათლება“, 1913 წ. № 10; 1914 წ. № 1-4.

ნობიდან, რომ შესავალი სიგყვა წარმომეტქვა 1950 წლის ქართულ პროზის გარშემო და... მეუ ჩემებურად, ჩემის შეგნებით, პირუთვნელად, ზოგადად, მაგრამ მაინც გავარჩიე დასმული საკითხი. რაღა თქმა უნდა მიღწევები აღვნიშნე, მაგრამ ნაკლებად მივუთითებდი სხვათა შორის, ვთქვი, რომ სამწუხაროდ საერთოდ ჩვენს თანამედროვეობაში ქართული რომანი არ გაგვანჩნია-მეთქი.

ამაზე ამიგყდა ბევრი პროზაიკოსი და ყველაზე უფრო კი გამსახურდია. მან განაცხადა, რომ ღელაენაში სწერია – ადამიანს სიბერემ სიბრძნე უნდა მოჰგვაროსო, აქ კი (მე მგულისხმობდა) პირუკუ მოვლენასთან გვაქვს საქმე და ასეთ ბებრებს ძველად გოდორს უწნავენ და ხრამში აგლებდნენო. საერთოდ მისი გამოსულა იყო, თანახმად მისი ჩვეულებისა, ქედმაღლური და ყალბი პოზებით აღსავსე. მე კი იძულებული ვიყავი ამაზე შეპასუხნა, რომ ნუ ეჩქარება ამხ. კოწიას: მე გოდორს ცხოვრება მალე მომიწნავს და ხრამშიაც გადამაგდებს, თვითონ კი იქნები პანთეონში-მეთქი. ასე რომ ამ ხელად გადაუხვიე ჩემს მორიდებას, რადგან მე რაც ვთქვი, ეს ღრმად მწამს, რომ ჩვენ რომანი, ამ სიგყვის ნამდვილი გაგებით არ გაგვანჩნია, არამც თუ ახლა, არამედ წინადაც XIX საუკუნეში. თუმცა ჩემს სიგყვაში წინანდლებს არ შევხებივარ. შეიძლება არც თქვენ გაიზიაროთ ეს ჩემი შეხედულება, მაგრამ ჩემის ღრმა რწმენით არც ილიას, არც ყაზბეგს და მიუხედავად მისი პროზის მშვენიერებისა, არც აკაკის აქვს წმინდა წყლის რომანი დაწერილი. ჩემის ფიქრით ერთადერთი გიორგი წერეთელი იყო, მიუხედავად მისი შეიძლება მკრთალი ნიჭისა, რომელმაც სცადა ჩვენში დაემყარებინა ქართული რომანის გრადიცია („პირველი ნაბიჯი“, „გულქანი“), მაგრამ ეს რთული ენრი ჩვენში არ განვითარდა.

მომადახეს აქეთ-იქიდან: – თქვენი „გიორგი რუსი“ დაგავიწყდათო? მაგრამ მე ვუპასუხე: – ძალიან ვცდილობდი, მაგრამ წმინდა წყლის რომანი არც ეგ არის-მეთქი.

მაინტერესებს თქვენი აზრი საერთოდ ქართულ რომანზე, მაგრამ ამაზე, როცა ერთიმეორეს შევხვდებით, მაშინ მოვიუბნებთ.

ა.

ძვირფასო იპოლიტე!

ღიღი ხანია გადავიკითხე თქვენი ხელმოლებით დაწერილი შრომა „შალვა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება“ და, რაღა თქმა უნდა, რომ აღმაფრთოვანა თქვენისთანა დინჯი მოაზროვნის მეტად დადებითმა შეფასებამ. თქვენ, თუმცა ვაგყობ, ცდილობთ, რომ ქება ნაკლები იყოს,

მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მოგრევიათ „მეგრელობა“ და მაინც ავიწვევართ.

მადლობა, უადრესი მადლობა ასეთი შრომისათვის საერთოდ და კერძოდ ჩემდამი ისეთი სინამაღით მოპყრობისათვის.

შენიშვნები კი ისეთი მაქვს: მექი ფაღავას ჩემ გოლ-ამხანაგად გამოცხადება, ეს, უთუოდ ანაქრონიზმია. მექი ერთი იყო ფაღავებში, ისიც ცნობილი ადვოკატი და საზოგადო მოღვაწე და არა სამხედრო პირი. ამას გარდა, ის ჩემზე ბევრად უფრო ხნიერი იყო, მამი ჩემის ხნოვანების და ორივენი ერთ დროს მოღვაწეობდნენ. ასე რომ ამ საუცხოვო კაცის ამხანაგობას მე თავის დღეში ვერ გავწევდი.

ამას გარდა, გლეხებთან თამაშში და ბოსტნის დამუშავებაში მათი გოლი ვიყავი, მათგან ნაცემი და გაღახული არასოდეს არ ვყოფილვარ. ეს იმიტომ, იმ დროს გლეხები განთავისუფლებულები იყვნენ მაგრამ საერთოდ ბერთემელ მშრომელებს, მამი ჩემის დიდი რიდი პქონდათ, მისი არა მებაგონოობის, არამედ პირადი ადამიანური ჰუმანური დამოკიდებულების გამო, მაშასადამე მათ შვილებსაც და მართალია ერთად „ეზურჭილობდით“, მაგრამ მამის გამო ჩემი რიდიც პქონდათ და უხიაგი რამ ჩემთვის არასოდეს არ უკადრებიათ.

ამას გარდა, მოგეხსენებათ სამეგრელოში ჭიდაობას არც თუ ისე ძალიან ეგანებოდნენ და არც ჩვენ ვჭიდაობდით. ამას მიგომ მოგახსენებთ, რომ მე კი არ მეთულება მათგან წაქცევა, ან თუნდა ცემაც, მაგრამ რაკი სინამდვილეში ასე არ ყოფილა რად უნდა შევბღალათ მათი საარაკო ადამიანური საქციელი.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა თქვენი შრომისათვის.

აგრეთვე გიბრუნებთ პაგივეცემულ ალ. ლლონგის¹ წერილს. საკვირველია, საიდან მიცნობს?

ეს უთუოდ იმიტომ მომდის, რომ მე არა ვარ ჩვეული „მაღალ-ფარდოვნად“ ჩემი შეფასებისა.

იყავი კარგად, დღეგრძელი და ჯანმრთელი.

გამოცემის შესახებ მოელაპარაკეთ ამხ. ალიო ადამიას².

თქვენი დიდი პატივისმცემელი
შალვა დადიანი
X. 1958 წ.

¹ ალექსანდრე ანდრიას ძე ლლონგი (1912–1999) – ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

² ალიო კონსტანტინეს ძე ადამია (1914–1980) – მწერალი.

დ/პატივემულო და ძვირფასო იპოლიტე!

მივიღე თქვენი საგულისხმო წერილი კარგა ხანია, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხე პასუხი მომერთმია. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ ბოლო ხანებში დიდათ დამგვირთეს...

რაც შეეხება თქვენს ნაწერებს ბარნოვის გარშემო და თუნდაც ჩემ გარშემო, უთუოდ დიდათ საგულისხმოა, რადგან ჩვენ ვიცნობთ პატივემულ იპ. ვართაგავას, როგორც ერთ-ერთ მოწინავე და დიდათ საყურადღებო მოამბროვნეს, მაშასადამე ყოველივე მის ნაწერს სიხარულით უნდა ვეგუებოდეთ და ვცდილობდეთ მის გამოცემას. ამას წინ არაფერი არ უნდა დაუდგეს და ჩვენი გამ-ბა „ხელოვნება“ ამ საქმეს იკისრებდა, მაგრამ რადგანაც ვგ. ორივე ნაშრომი პროზას ეხება, ამას გამ-ბა ხელს ვერ მოჰკიდებს, რადგანაც ეს მისი პროზილის ნაწარმოებებს არ წარმოადგენს. „ხელოვნებას“ დაკისრებული აქვს თეატრის გარშემო გამოკვლევების, მონოგრაფიების, მემუარების და პიესების გამოცემა.

აი რაც შეეხება „შალვა დადიანის ცხოვრებას და შემოქმედებას“ ეს კი შეიძლება, ესეც იმიტომ კი არა, რომ მე ვიქნები გამოცვანილი, არამედ იმიტომ, რომ მე და ჩემი ცხოვრება მეგნაწილად თეატრს ეკუთვნოდა.

იმას კი დიდათა ვთხოვთ, რომ ბარნოვის გარშემო თქვენ, მიერ დაწერილი შრომა გამომიგზავნოთ წასაკითხად.

საერთოდ ამიერიდან ჩვენ შუა შუამავლად იყოს ამხ. საშა სიგუა¹ და რაც ჩემგან დაგჭირდებათ მუდამ მას მოიკითხავთ.

თქვენი ერთგული შალვა დადიანი
23. IV. 58

¹ ალექსანდრე კონდრატეს ძე სიგუა (1909–1999) – მწერალი.

გალაკტიონ ტაბიძის უსწორი წერილები

გალაკტიონ ტაბიძის არქივი დაუსრულებელი კვლევის საგანია. ამიტომაცაა, რომ ყოველი უცნობი მასალის გამოქვეყნებას დიდი ინტერესით უცნობა როგორც მკვლევართა, ისე მკითხველთა ფართო საზოგადოება. არქივში დაცული პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეუღლის – ოლია ოკუჯავასადმი გაგზავნილ წერილებს.

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული პოეტის მიერ ოლია ოკუჯავასადმი მიწერილი 50 წერილიდან გალაკტიონ ტაბიძის აკადემიური გამოცემის მეთორმეტე ტომში გამოქვეყნებულია 36, ამდენივე შესულია 1987 წელს გამოცემულ წიგნში – „ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან“. ამჯერად, „ლიტერატურის მატიანის“ წინამდებარე გამოცემაში გთავაზობთ ოლია ოკუჯავასადმი მიწერილ დღემდე გამოქვეყნებულ 10 წერილს.



გალაკტიონ ტაბიძე, ქუთაისი, 1914 წ.
სლმ №11451-9-ი

ნათია დარჩაველიძე



ოლია ოკუჯავა
სლმ № 11451-531-ი

როგორც იქნა ქუთაისში ვარ!!! ჩემი სალდათობის საქმე არც ისე სახარბიელოა. როდესაც სოფელში ჩავედი, გავიგე რომ ჩემთვის შეცდომით პირველი რიგის შეღავათი მოუციათ (Льгота первого разряда). ამის გამო სულ გამათავისუფლეს, არც კენჭის ამოღებაზე მოვეუწყვევივართ, არც ამომეაგმე. საწყალი დედაჩემი სიხარულით ფეხზე არ იდგა, რადგან ეგონა რომ გადაერჩი. წარმოიდგინე მეც ასე მეგონა. მთელი ორი კვირა დიდის სიხალისით გავატარე სოფელში, სოფელელები ალგაცეებით მეგებებოდნენ როგორც დიდი ხნის უნახავ პირს. სწორედ ამ დროს მომდის უწყება, რომ ჩვენი შეცდომა გვსურს გამოვასწოროთ, თუ შეიძლება

ქუთაისში ჩამობრძანდი კენჭის ამოსაღებათო... მართლაც ეს შეღავათი არ მერგებოდა, ეგონათ თითქოს მე ერთადერთი შვილი ვიყავი დედის. ნამდვილად ასე არ არის. ჩემი ძმაც წელს იღებდა კენჭს, მაგრამ გაანთავისუფლეს. მარტო მე ვარ ახლა ამნაირ მდგომარეობაში... სულ წამართვეს ამ წყეულებმა თუ რამე სიამე გამოვცაღე სოფელში. სიჩქარით გამოვეშურე ქუთაისისაკენ.

დღეს ნუკა¹ შემხვდა... მართალი გითხრა ძალიან გამეხარდა, რადგან შენი ამბავი მიაბმო. შენ თურმე დიდებულად მოწყობილხარ ჭიათურაში. მართლა აჟად იყავი, ოლოლო? სად იყო ამ დროს შენი გალაკტიონი, რომ მხურვალე ალერსით განეკურნე აჟადმყოფობისაგან.

შენი წერილები გადმომცა ნუცამ...

დღეში 20-ჯერ ვიგონებ ჩემს წარსულს და მწუხარებით ვადარებ „მაშინს“ „ახლანდელთან“, მეცოდება, მენანება ჩემი წარსული, მარა რა ვქნა?..

¹ ნუკა - ოლია ოკუჯავას მეგობარი.

მეგს ჯერ-ჯერობით ვერას გწერ რადგან გვიანაა... მინდა ვიწერ შენთან, ვისაუბრო, შენი თანაგრძობის ხმა გავიგონო... და ვიყო შენა, შენი, შენი.

შენი ვალაკიონი

ჩემი საქმე სულ თვენახევარში გათავდება სულ. მანამდე კიდევ დრო მაქვს... ვიმეცადინებ რაც გამეწყოება. წერილის აღრეხი ამგვარია:

ქუთაისი სასტუმრო... გ. ტაბიძე.

ოლოლ, ვერ გეწვევი ჭიათურაში სანამ არ განვთავისუფლდები. მაშინ კი ჩამოვალ... და მერე როგორ ჩამოვალ? სულ ტრიუფით...

ეხლა ცოტა იმედი მაქვს.

მარადის შენი ვალაკიონი. ჯკოენი

მოსკოვი, 12 აგვისტო

ქეირფასო ოლია!

კვირანახევარია რაც მოსკოვში ვარ. აქ ჩამოსვლისთანავე მე და მანამ გამოვგზავნეთ გელეგრამმა. ეხლა მინდა დაწერილებით მოგწერო ჩემი მგზავრობისა და აქ ყოფნის ამბავი. ჩვენი მაგარებელი №9 მიპქროდა საათში 80 კილომეტრის მანძილით. ასე რომ ბაქომდე მე მხოლოდ პაგარა სადგურების სახელწოდებების წაკითხვას ვასწრებდი, რაც მეგისმეტად მოსაწყენია. ამას უნდა დაემატოს ერთი გარემოება: ამიერკავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი ამერბაიჯანელი, რომელსაც ალბათ შენც გაიხსენებ, მაგარებელში მოეწყო ჩემს გვერდით. იგი აღმოჩნდა სიმღერის მოყვარული. გფილისიდან დაწყებული სულ „სამგლოვიარო მარშს“ მღეროდა სწორედ ჩემს ყურთან. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა მგზავრებმა ძლივსძლივობით შეაწყვეტინეს ეს არასასიამოვნო მოგივი. რაკი ეს სიმღერა შესწყვიტა, შემდეგ ჩვენ ძალიან დაემეგობრდით. იგი აღმოჩნდა მეტად ცოცხალი ადამიანი, ნამღვილი აღმოსაველეთური გემპერამუნგით. მთელი ვაჯონი ხარხარებდა როდესაც იგი რაიმე ამბავს პყვებოდა. თან ბოდიშს იხდიდა: მაპაგით, რუსულად საუბარი რომ არ მეხერხებო. უნივერსიტეტში ჩვენი მეცადინეობა ეროვნულ – თურქულ ენაზე მიმდინარეობსო. ჩემს შეკითხვაზე თუ რას აპირებდა იგი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მან სთქვა, რომ ის დარჩება ამერბაიჯანში პარტიულ სამუშაოზე. შეეცდება სიბნელიდან გამოიყვანოს კულტურულად ჩამორჩენილი ეროვნება. „სამგლოვიარო მარშის“ გარდა მან მშვენივრად იცის ინტერნაციონალიც. ჩვენთან იყო ერთი რუსი, მოსამღერე ჯარისკაცი.

¹ მარიამ (მანია) ოკუჯაევა (1899–1982) – ოლია ოკუჯაევის და.

ჩვენ სამს მთელი გზის განმავლობაში ხარჯი გექონდა კოლექტივისტიკური პრინციპებზე: საზამთრო, ნესვი, შემწვარი ქათამი, ნარზანი თუ სხვა რამე, საერთო საკუთრება იყო, იყიდიდა ერთი რაიმეს და კანონიერად უნდა გაენაწილებია ჩვენს შორის. ეს მშვენიერი პრინციპი ირღვეოდა მხოლოდ ნესვების გამო, რადგანაც ამერბაიჯანელი ნესვების უმომოდ მოყვარული გამოდგა და შეუბრალებლად ანადგურებდა უამრავ რიცხვს.

ამერბაიჯანი გადაამწვარი ადგილებია. მაგარებლიდან მთელი ვერსების მანძილზე მე არ დამინახავს არც ერთი ხე. საკვირველია საიდან გაჩნდა ამ უდაბურ ხრიოკებში სოფლები, რომლებიც საცოდავ შთაბეჭდილებას ახდენენ. შრომისმოყვარე ამერბაიჯანელი მაინც უმღერებს სამინელ სიცხეს, ტუნწ ნიადაგს, საერთოდ მეტად ღარიბ პირობებს. მაგარებლიდან ეხედავდი როგორ ებრძოდნენ მიწას – შავი, მზისგან დამწვარი, ჩონჩხების მსგავსი გლეხები.

სამაგიეროდ, მშვენიერ შთაბეჭდილებას იძლევა ბაქო, ქალაქი ამ სიგყვის სრული მნიშვნელობით. ჩვენ აქ ვიღვეით ნახევარი საათის განმავლობაში. თვალს იგაცებდნენ „ვიშკები“, რომლებიც შორიდან უზარმაზარ ხე-ტყეს მოგაგონებს, ქალაქი ამ სიგყვის ნამდვილი მნიშვნელობით და დიდი მომავლით. მე მგონია, იგი ყველაფერში მალე გაასწრებს გფილისს, თუ უკვე არ გაასწრო. როდესაც ბაქოს ვუახლოვდებოდით, ის ის იყო თენდებოდა. დილის ბურუსსა და ქარხნების კვამლში ფანტასტიურად სჩანდნენ ფრაშენგების მსგავსი ვიშკები. ბაქო – საბჭოთა კავშირის სიამაყეა. ამერბაიჯანელმა სტუდენტმა მიჩვენა მათი ახალი ალფაბეგით დაბეჭდილი გაზეთი „კომუნისტი“, რომელიც ბაქოში გამოდის. მე სრულიად თავისუფლად წავიკითხე ეს გაზეთი, რადგან ალფაბეგის სავსებით ლათინურია. ახალი ალფაბეგის შემოღება პირველი და დიდი ნაბიჯია ახალი კულტურისაკენ, უდიდესი და უპირველესი კი ბაქოს მსოფლიო მნიშვნელობის ნავთია. ხომ არის ასე?

და ისევ ბაქოდან იაშმამდე უდაბნოა. იქით არის სოფლები, მაგრამ სოფლებში ერთი ხეც კი არ არის.

დარუბანდი – საქართველოს ისგორიიდან მახსოვს. ნიკოპსიიდან დარუბანდამდე მიდიოდა საქართველოს სამეფოს ვრცელი გერიგორია. გელათის მონასტერში ეხლაც არის დარუბანდის კარები, რომელიც ძველმა ქართველმა მეფემ ქალაქის დამორჩილების შემდეგ – მონასტერს შესწირა. აქ მალაღ მთაზე მოსჩანს ციხე, რომელიც შორიდან გორის ციხეს მოგაგონებს. მაგრამ უფრო მძლავრ შთაბეჭდილებას ახდენს ჩრდილოეთ კავკასიის საუცხოვო ნიადაგი, მშვენიერი ბუნება. გროზნი, ბესლანი, პროხლადნარა, გეორგიევსკი, მინერალური წყლები, ორბელიანოვო და სხვ. ყველა საუცხოვო სანახავი ადგილებია. დარუბანდიდან პეტროვსკამდე მივიდიოდი საათში 80 კილომეტრს, პეტროვსკიდან როსტოვამდე კიდეც 80



(დაახლოებით), მაგრამ შთაბეჭდილებათა სიმრავლეში სრულად ვერც
 ყდებოდა გზა. მინერალური წყლებისთანა კარგი და სასიამოვნო მდებარე-
 ობა იშვიათად მინახავს. აქედან უფრო ახლოა კავკასიონის მთები და
 თეთრი იალბუში. რა დაუვიწყარი ხანახაობა იყო. ახლო მინერ. წყ-სთან –
 ორი მაღალი დაუთოველი მთა. წინად ჩვენ გამოვიარეთ თერგი, მაგრამ
 აქ ჩრდილოეთ კავკასიის გზაზე იგი სრულადაც არ არის ჩქარი. ჰქრება
 ილუშია „თერგდალეულების“. მინერალური წყლები პირველხარისხოვანი
 რკინიგზის სადგურია საუკეთესო კიოსკებითა და ბალებით. სადგურის
 რესტორანს განაგებს რაჭველი კაცი. ალბათ გავიგონია, რომ ბათუმიდან
 დაწყებული ლენინგრადამდე ყველა სადგურების ბუფეგებში – სულ
 ქართულებია. საიდან სად არ მიდის იგი მოგების მიზნით. მარტო მოსკოვში
 ამჟამად 15.000 ქართველია. გუშინ ამის შესახებ შეუბნებოდა შამშუ ლეჟავა¹.
 იგი აქ, მოსკოვში შემხვდა თეატრალურ მოედანზე. ძალიან გაუხარდა.
 წამიყვანა თავის ბინაზე.

„აქაური ქართველების უმრავლესობაო, სთქვა მან, ეწვევა ყაჩაღობას,
 მკვლელობას, ქურდობას, აფერისტობას და სხვ. რაიმე უნდა ვიღონოთო.
 ძალიან კარგია, რომ შენ აქა ხარო. ჩემს გვერდითო მიხა კახიანი² ცხოვ-
 რობს. ჩვენ აქ მოკლე ხანში შევიკრიბოთ და მოველაპარაკოთო. მე ხვალ
 ხარკოეში მივდივარ, იქ ქალიშვილი მიმყავს, ერთ კვირაში ისევე ჩამოვალ
 და რაიმე ღონისძიება მივიღოთო“. ასე რომ, თუ ლიგერატურაში არ
 გამიღიმა ბედმა, იქნებ ყაჩაღებისა და ქურდობის წინააღმდეგ ბრძო-
 ლაში გაბრწყინდეს ჩემი კარიერა!

ოლიას გამარჯობა!

შენი კარგი, ხალისიანი წერილი მივიღე. მათეებს პოეტური ტემპერა-
 მენტი საზოგადოდ შენი წერილებისა. ოლია, ნუ მოგვაკლებ ჩვენ ასეთ
 წერილებს. ვიქნებით მუდამ მოხარულნი და მადლობას შეეწირავთ მეცას.
 ტფილისში სიცხეებია და ბორჯომიდან წამოსული გრილი ჰაერი გაანე-
 ლებს ამ მხურვალეებას. ვერ წარმოიდგენ, რაგვარად მიყვარს შენი წერი-
 ლების კითხვა. მე რომ შენს ადგილას ვიყო, დავიწყებდი კარგი, ხალი-
 სიანი, სიცოცხლით, ახალგაზრდა ენერჯით, მზით და მსუბუქი მელანხო-
 ლიით სახეს ნოველების წერას. და გავიმარჯვებდი კიდევ. კარგია „ბოჯომ-
 კა“ არა? ცივია? ღმერთმა ჰქნას, რომ იგი ყოფილიყოს შენი ერთგული
 და უებარი მკურნალი. ოლია, იყავი ყოჩაღათ. გამოიყენე ჯანმრთელობი-

¹ შამშუ (სიმონ) კონსტანტინეს ძე ლეჟავა (1876–1938) – პროფესიონალი რეჟოლუცი-
 ონერი, რევ. მოძრაობის მოღვაწე საქართველოში.

² მიხა (მიხეილ) ივანეს ძე კახიანი (1896–1937) – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო
 მოღვაწე.

სათვის ეს თვეები. შემოდგომიდან დიდი და ინტენსიური მუშაობის დაწყება მოგვიხდება და თუ ენერჯია არ გვექნა – არ შეიძლება.

ჩვენ ახალ ცხოვრებას დაეიწყებთ შემოდგომიდან.

გაუმარჯოს მომავალ შემოდგომას!!!

მე დარწმუნებული ვარ იგი არ იქნება ჩვეულებრივი... ძალიან დარწმუნებული ვარ. მენ დაბრუნდები – როგორც კაცი – არა ოლია? შემოდგომამდე დაეიწყებთ ახალს, ენერჯიულს, მზიურ ცხოვრებას. ოლია, მე დღეს გადავდგი ასეთი ნაბიჯი.

„ნარკომპროსში“ განთავისუფლდა ერთი ადგილი ლიგერატურული განყოფილების გამგისა (ლიგ-ს გამგე), აქ მსახურობდა აკაკი პაპავა¹. მას ლაპარაკი მოუვიდა ბრეხნიჩევთან და იგი იძულებული შეიქნა თავი დაენებებინა სამსახურისთვის. შემდეგ ნარკომპროსმა წინადადება მისცა ხელოვანთა კავშირის მთავარ გამგეობას ამ ადგილზე დაესახელებინათ ერთის მაგიერ სამი კაცი, რომ ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ მთავრობის წინაშე და გამგეობამ პაპავას ადგილზე დაასახელა სამი კაცი: გაფრინდაშვილი², აბაშელი³ და ისევ პაპავა. და ეს კაცები წარუდგინა ნარკომპროსს – ისევ დიპლომატიურად მინდა მოველაპარაკო მოგვიერთებს. მაგრამ მგონია არაფერი გამოვიდეს.

ძალიან კი მინდა ამ ადგილზე ყოფნა.

გარდა იმისა რომ საქმე ლიგერატურულია – აღსანიშნავია ჯამაგირიც 500 000 (ნახევარ მილიონი მანეთი და აკადემიური „პაიოკი“ 60 „სოლონი“, 5 გირვანქა „მასლო“, ბევრი შაქარი და უამრავი კიდევ სხვა), თორემ ესლა აკადემიურ პაიოკს მარგო სამი კაცი იღებს: რობაქიძე, მელიგონ ბალანჩივაძე და შალვა დადიანი, მაგრამ ყოველივე ეს არაფერია, ჩემთვის უმთავრესია ის ლიგერატურული მუშაობა, რომელიც აქ გაჩაღდებოდა.

რა თქმა უნდა, ეს საქმე ჩემს სასარგებლოდ მოეწყობოდა რომ ვიყოვე ვის მიემართო.

მინდოდა მეთქვა მიშასათვის⁴ და ვერ გაეხებდე. მოველაპარაკე მანას და იგი დამპირდა რომ საქმეს დაიჭერს ნინასთან⁵.

ნინასთანაც მქონდა ამის შესახებ საუბარი და იგი დამპირდა რომ

¹ აკაკი პაპავა (1890–1964) – ემიგრანტი მწერალი, კრიტიკოსი, დრამატურგი, საქართველოს ისტორიის მკვლევარი და პოლიტიკური მოღვაწე. ემიგრაციაში წახელამდე იგი მწერალთა კავშირის განყოფილების ხელმძღვანელი ვახლდათ. ამასთანავე რედაქტორობდა ორკვირულ ჟურნალ „ხელოვნებას“ (1921 წელს, სულ ორი ნომერი გამოიქცა).

² ვალერიან ივანეს ძე გაფრინდაშვილი (1888–1941) – პოეტი.

³ ალექსანდრე ბესარიონის ძე აბაშელი (ნოჩია) (1884–1954) – პოეტი.

⁴ მიმა (მიხეილ) ოკუჯაია (1882–1937) – ოლია ოკუჯაიას ძმა.

⁵ ნინა – ოლია ოკუჯაიას ამხანაგი.

მოელაპარაკება ორახელაშვილს¹ და სხვებს... მაგრამ... არ ვიცი. დიდებული იქნებოდა რომ მიშა ყოფილიყო. მთელი ამ საქმეების გამგე თუმანოვია, რომელიც მე სრულიად არ მიცნობს. რომ მიცნობდეს იგი ძლიერ მალე დარწმუნდებოდა, რომ მე ათჯერ მეტს გავაკეთებ, ვინემ სხვა რომელიმე მწერალი საქართველოში.

ერთის სიგყვით, სულ ერთია, იქნება – კარგი, თუ არადა არც ამდენი ხანი მქონია. ეს კია, ასეთი ადგილი თითქოს პირდაპირ ჩემთვის შექმნილი... არ გამოჩნდება.

ოლია, შეიძლება როდესაც ლაპარაკი მოგიხდეს, ან გელეგრაფით შეაგყობინე ნინას და მანიას, რომ ამ საქმეზე ენერგიულად ემუშავათ. და ბედნიერება იქნებოდა ეს ადგილი რომ შემხვდეს.

დავანებოთ ამას ყოველივეს თავი. ოლია, შენ იცი როგორ მოუფროთხილდე შენს თავს.

ეს უმთავრესია!

ოლია!

ჩვენ მალე ჩამოვალთ (ყოველ შემთხვევაში მე მაინც მოვახერხებ ჩამოსვლას, მგონია). რომ იცოდე როგორ შეგნატროთ! ლექსები დაწერე ბევრი. ოლია, მეორე წერილში გამოგიგზავნი ლექსებს. ეხლა ვერ მოვახწარი, საჩქაროდ გწერ.

გალაკიონ გაბიძე
საქართველოს პოეტების მეფე
1921 წლის 21 თენისი

ოლია!

მე ვიყავი იმ მალაზიაში, იქ ძველი წესები შეცვლილია. ეხლა საჭიროა მხოლოდ: ცნობა იმის შესახებ თუ რას იღებ თვეში (ამას შენ დღესვე აიღებ) გარდა ამისა, ბინის მისამართი და დაზღვევის წიგნაკი.

აი, სულ – ყველაფერი – ხვალისათვის.

გ. ბ.

ოლია, იწერები, რომ შხამით არ კურნავენ მეგობრებსო. კარგი, მაგრამ რა შხამი გახსოვს ჩემგან? თუ ამნაირ საყვედურებზე მიდგება საქმე, მე უფრო ბევრი შხამი მახსოვს შენგან.

ღიახ, ღიახ!

წერილებზე ნუ დაემედურები. მე მთელ დედამიწის მურგზე ყველასთან ასე ვიქცევი: არავის წერილს არ ვუგზავნი, მაგრამ არავინ არ მემდურება. რა საჭიროა ყოველ წუთში წერილები.

¹ მარიამ პლაგონის ასული ორახელაშვილი (1887–1937) – რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე საქართველოში და ამიერკავკასიაში.

ლოლ, გამარჯობა!

შენი წერილი მივიღე, გმადლობ!

მე ფოთიდან ებრუნდები და ამ წერილს საღვურზე ვწერ, სამგრედიაში მივდივარ დედაჩემთან. მინდა დავისვენო.

ჩემი მეგობრები სოფელში მხოლოდ წიგნები იქნებიან და შენი წერილები.

ადრესს მერე შემოგითვის.

გკოცნი! იყავი კარგათ.

შენი გალაკიონი

ოლია!

სულიერი განწყობილება ჩემი საუცხოვოა. გმადლობ რვეულებისთვის. ეს ესაა ცეცხლი უნდა დავანთო ფეხში და შევუდგები გადაწერას. ოთხ საათამდე სახლში ვიქნები. ოლია, თუ იმის გამო ვერ მოდიხარ, დაანებე თავი, მე დღეს და ხვალ არაფერი მიჭირს.

მარადის შენი გალაკიონი

ოლოლი!

მე ძლიერ კარგ განწყობილებაზე ვარ, მაგრამ სახლში საღამოს არ ვიქნები, რადგან ქალაქში უნდა წავიდე გვარამიას სანახავად... ხვალ საღამოს კი ლანჩხუთში მივდივართ საღამოზე. რას იზამ. მე მინდა გონორარზე მოვეურიგდე. უნდა შევიგყო ფულს მაძლევს თუ არა. ეხლა, ოლოლი, ვთარგმნი ედ. პოს¹ „ცორანს“, ხვალ დილით მოხვალ? უსათუოდ მოდი. გესმის, უსათუოდ...

მარადის შენი გალაკიონი

ოლია!

საათის, ან საათნახევრის შემდეგ სახლში ვიქნები. მობრძანდი! მე, მართალია, ვიცადე, მაგრამ როდესაც არ მოდი, მე ჩემთვის წავედი... ეხლა გკბილად მძინავდა!

შენი გალაკიონი

ასე ჩემო ოლოლი! შეგეძლო ისეც მოსულიყავი. მოდი უსათუოდ!

¹ ედვარდ ელან პო (1809–1849) – ამერიკელი მწერალი.

Да, ты права, обвиняя меня. Прошли 3½ года, как тебя нет, и за все это время ты не забывала меня! Ежемесячно, два раза, я получал твои письма, которые служили мне утешением, но вместе с тем будили горестные чувства. Я не писал тебе. Долгое время я вообще ничего не писал. Был болен и обессилен. Но однажды я тебе написал длинное письмо. Возможно ты его не получила? Меня беспокоило твое здоровье и я надеялся тебе помочь, хотел послать посылку: продукты, тёплую одежду и вообще ждал что ты сама подскажешь, что я смогу для тебя сделать. Ответа я на это письмо не получил и после этого письма я ничего, кроме телеграмм тебе не посылал. Сознаю, что заслужил самые жестокие упреки. Но я не могу понять другое. Почему принимаешь за оскорбление своей чести и деньги которые я в праве тебе высылать. Ты презираешь жалость! Разве ты права в данном случае? Разве моя жалость не элемент любви? Разве моя забота может Тебя позорить? Что могу я еще в своей беспомощности сделать? Я должен писать письма! Но ты, я думаю, помнишь мою неспособность в этом, зная такую мою особенность, почему ты меня мучаешь угрозами?!

О, я постигаю всю глубину твоего горя. И меня точит боль, постоянная от своего собственного бессилия. Вот об этом то писать очень трудно. Я стараюсь слова заменить делом. А ты оскорбляешься! Разве я тебя забываю! Разве ты должна чувствовать себя одинокой и предаваться мрачному отчаянию!

По моим телеграммам ты можешь судить, что письма твои все до меня доходят. Ты не должна меня их лишать. Разве у меня не человеческое сердце. Конечно ты одумаешься и вновь откроешь для меня свое лучезарное сердце — удивишь и обрадуешь меня своими чудными впечатлениями и светлыми грезами.

¹ წერილი თბილისემა ოლია ოკუჯაეას მიერ ვალაქტონისადმი 1940 წლის 30 მარტს მოწერილი ბარათის მხაბარის მიხედვით. ხლმ № 021372-III-50.



Не надо этих взрывов отчаяния! Ты не одна! Нет никакой тихой и страшной пустыни, приснившейся тебе. Это лишь игра беспокойного воображения. И тот поток, о котором ты пишешь, не в бездну несет тебя, а в лазуревые воды тихого озера, где жизнь обещает надежду и радость. Долгое время, как ты уже знаешь я почти ничего не писал. Это равносильно смерти. Прав Генрих Гейне, когда говорит, что в литературе, как в лесах североамериканских дикарей сыновья убивают отцов, как только те стонуются стары и слепы. Правда я не писал, но от этого не сделался ни стар, ни слеп, что и доказал за эту зиму. Помимо многих стихотворений, написанных мною для газет на разные случаи, я написал две более крупные вещи. Ко дню 60-ия чувствовал Тов. Сталина поэмой, в которой в поэтических образах показал его великую роль в освободительной борьбе человечества. В феврале было напечатано в журнале „Мнатоби“ мое стихотворение (1600 строк) под заглавием „Беседа о лирике“ здесь я постарался изложить свои философские воззрения на поэзию, и вывести ее, основываясь на фактах истории, как одно из движущих сил в развитии человеческого общества.

В настоящее время работаю над поэмой „Памяти Акакия Церетели“. Эту вещь готовлю к юбилейным дням, к столетию со дня рождения нашего великого поэта.

На торжество приедут писатели, поэты и другие представители наших республик.

В скором времени выйдет из печати III том моих стихотворений.

По поводу этой книги в литературной газете была статья, в которой меня чрезвычайно расхвалили за красочность, эмоциональность, идейную глубину и т.д.

Итак, кончаю свое письмо. Надеюсь, ты простишь мое молчание. Соберусь силами и опять напишу. А ты мне пиши! Я бы хотел больше узнать о твоей жизни. Здоровы ли ты? Можешь ли работать? Хорошо, что у вас там библиотека. Сколько прекрасных книг ты там прочла. Здесь их и не найдешь в книжном магазине. Пиши, пиши! Будь

мужественной, и стойкой и великодушной, какой я тебя люблю и уважаю¹.

¹ კომენტარი: ეს ბარათი გალაკიონის მეორე შეუღლის - ოლგა დარიუსის ხელით არის დაწერილი.

უცნაურია?

შოვლებებს თუ ღრმად ჩაუხედავთ, თუ გავითვალისწინებთ გალაკიონისა და ო. დარიუსის ბუნებას, მათ ურთიერთობას, შეიძლება უცნაურად სულაყ არ მოგვეჩვენოს.

ო. დარიუსს კარგად ჰყავდა შეცნობილი გალაკიონი. ერთ ბარათში, რომელიც ალექსანდრეების ეპოს არის დაწერილი, იგი მაინც არ კარგავს წონასწორობას და მიუთითებს: გალაკიონში ორი პიროვნებაა: ერთი - კეთილი, გულისხმიური, სინათლეს რომ მფრქვევს და სიციხის წყურვილს მიმძაფრებს; მეორე კი - ავი, ბოროტი, რომელიც მზაგრავს და მაწამებს.

მან კარგად იცოდა გალაკიონისა და ოლია ოკუჯაევის გამაოგნებელი სიყვარულის ამბავი (ერთხელ პირად საუბარში მიმანიშნა კიდევ ამბავს). გონიერი ქალბატონი ბუნებრივად მიიხიზვდა ყოველივეს და არ ან თითქმის არ უჭვდილობდა; მით უფრო, რომ გადასახლებაში მყოფი ო. ოკუჯაევა მისთვის ნაკლებ სამშიში ჩანდა.

ოლგა დარიუსი ფრიად განათლებული პიროვნება გახლდათ, ლიტერატურის საუკეთესო მყოფი, ნატივი გემოვნების ხელოვანი. იგი ხშირად უკითხავდა გალაკიონს უროპული ლიტერატურის ნიმუშებს და საშრიან შენიშვნებსაც აწვდიდა. სხვათა შორის, „საუბარი ლირიკის შესახებ“ მისი წაქეშებითა და დახმარებით დაიწერა.

და აი, მე ასე შესახება ამ ბარათის შეთხზვის ისტორია.

ოლგა დარიუსი² საწერ მაგიდას უშის, გალაკიონი კი ბოლთას სიკუმს და კარნახობს. მუშაობის ეს მეთოდი უცხო როდი იყო პოეტისათვის. გალაკიონი თანდათან ვადალის სხვა სამყაროში და ამ წუთებში ო. დარიუსი მისთვის მეუღლე კი არა, პირადი მდივანია. იგი მთელი გულით ოლია ოკუჯაევისთანაა, ეხმარება, ალაღად უმარებს გულისწაღილს.

და მაინც: ამ ბარათში ჩანს არა იმდენად ხელი მიჯნური, რამდენადაც დაჩაგრულ და საბრალლო პიროვნებაზე მმრუნეული კაცი.

გაიგზავნა კი ეს ბარათი? საფიქრებელია, რომ ადრესატმა მიიღო იგი. თუმცა ამჯერად ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ისაა, რომ არაორდინალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

გალაკიონი ბოლომდე ერთგული რჩება პირველი და დიდი სიყვარულისა. ამას მეორე მეუღლესაც აგრძნობინებს.

არც იმის დაეწყება გემართებს, რომ გალაკიონი მძლავრი ვაჟუნის ველს ქმნის, რომლიდან გამოსვლა არცთუ ადვილია.

ნოდარ გაბიძე

აღიშურ ყიფიანის არქივიდან

1996 წლის მარტში, ედიშერ ყიფიანის მეუღლემ, ქალბატონმა ცირა შოთაძემ ლიგერაგურის მუზეუმს გადმოსცა მწერლის არქივი, სადაც სხვა მნიშვნელოვან ხელნაწერებთან ერთად დაცულია მწერლის წერილებიც.

„დრო არ მაპატიებს უსაქმურობას“ – წერს ედიშერ ყიფიანი და შოთა ხანთაძესთან¹ ერთად დებს პირობას, რომელიც, საჭიროდ ჩაეთვალეთ, სრულად მოგვეყვანა:

„ჩვენ ქვემო ამის ხელის მომწერნი, მეგობარნი ედეცა და შოთა პირობას ვღებთ, რომ დღეის ე. ი. 20 (ოცი) ოქტომბრის შემდეგ სისტემატიურად ვიმუშავეთ მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებში, რათა გავხდეთ ის, რაც უნდა ვიყოთ და რასაც მოითხოვს აუცილებლობა. ამიტომ ჩვენ ვიმუშავეთ, ვიბრძოლეთ, ვისწავლით ყოველდღიურად და დავგმობთ იმ ლოდინს რაღაცისას, რომელიც დღეს შევიცანიით და საჭიროდ ვყვანით მისი აღმოფხვრა ჩვენში.

ვეცდებით ეს სიგყვები სიგყვებად არ დარჩეს და გადაიქცეს... სინამდვილედ. ვეცდებით ეს ქალაღი მრავალი წლის შემდეგ, რომელიმე კონსერვატორიის მუზეუმში ინახებოდეს.

ელიკო ფიცაეს ცისუარდს², მე...(?)

ხელს ვაწერთ: 1. შ. ხანთაძე

2. ე. ყიფიანი

თარიღი 19-20. X-40 წლის დამის 9 სთ. 54 წთ.

„იყო ბრძენი, ეს სურვილი უკვე სიბრძნის ნაწილია“.

შენიშვნა: „მუზეუმში გადაგანამდე ეს ქალაღი ინახება ჩვენთან“.

ამ ხელმეკრულებას მეგობრებმა „აღსარება და მიზნები“ უწოდეს.

მწერლის მხატვრული ოსტატობისა და გემოვნების, ლიგერაგურის, მუსიკის უსაზღვრო სიყვარულისა და გქენიკური ჯანათლების სინთეზის ანალიზს 1941–45 წლებში შოთა ხანთაძისადმი მიწერილ წერილებში ვხვდებით.

გთავაზობთ რამდენიმე წერილს მცირე შემოკლებით.

ლელა ჩანჩიანი

¹ შოთა ანდროს ძე ხანთაძე (1924–1988) – ედიშერ ყიფიანის მეგობარი, ისტორიკოსი.

² ცისუარდი – სახელების ცისანა და ელუარდის შერწყმა. ცისანა მესხი – ედიშერ ყიფიანის ახალგაზრდობის დროინდელი სიყვარული. გარდაიყვალა გუბერკულითი 1943 წ. ყველგან, სადაც შეგხვდება ე., ივლისისმება ცისანა მესხი.



თანაკლასელები: ედიშერ ყოფიანი, ვაიომ კეახაძე, შოთა ხანთაძე (სხედან)
და ლევან ხომერიკი (დვას)

ძვირფასო მეგობარო!

გუშინწინ მივიღე 13. XII-ში გამოგზავნილი წერილი. მოხდა ასე: 14. XII-ში გამოგზავნილი წერილი, სადაც მაგყობინებდი რომ ბოლოსდა-ბოლოს შენი წერილი მივიღეო, უფრო ადრე მივიღე და ამიტომაც გამიკვირდა, რომ მის წინა წერილში (ფაქტიურად მისი წინა) მიუღებელი გქონდა ჩემგან წერილი. შოთა, როდესაც წერილებს სამკუთხედის ფორმით აგზავნი, სცაღე ისე დააწებო, რომ გახვევის დროს სიგეყები არ წაიშალოს. მგონი გწერდი: ვოვას¹, იმ დღეს, 45 წუთი უცდია შენთვის ჩემი წერილის გადმოსაცემად, მაგრამ შენ არ გამოჩენილხარ. მართალი ხარ შენ, როდესაც ამბობ, თუ რა მტანჯველია ის მდგომარეობა, როდესაც წერილს ელი და ის კი არ ჩანს;

მეც გამოვეცადე ევ მომენგი... რასაც პიუჯომუ² მწერ ეს მისი სახელის

¹ ვოვა (ელადიშერ) ბარნაბიძეილი – ედიშერ ყოფიანის მეგობარი.

² ვიქტორ მარი პიუგო (1802–1885) – ფრანგი მწერალი.

განთქმისაკენ უაღრესად ზედმეტი მისწრაფების ბრალია. ნეგაჲ მეუ მქონდეს კლაუშვიციის¹ წიგნი. მართალია „გემპერამენტი“ ჩვენ ბუნდოვნად გვესმოდა, მაგრამ მე მგონი კლაუშვიციე თავის თემასთან დაკავშირებით მარტავს მას. შოთა, მე მგონი, – РЕШИМОСТЬ არა გაბედულობას ნიშნავს, არამედ გადაწყვეტილებას. გაბედულობა ეს СМЕЛОСТЬ-ია... შენი გადაწყვეტილება მოთხრობის წერის შეწყვეტის შესახებ მიზანშეწონილია, თუკი უფრო მოემზადები მის გასაგრძელებლად. ალბათ ჩემი მოთხრობის დაბოლოება ჯერ არ მოგსვლია, წინააღმდეგ შემთხვევაში რამეს მომწერდი მის შესახებ. შოთა, დღეს 43 წლის პირველი დღეა, წინა წერილშიაც მოგილოცე ახალი წელი და ეხლაც გილოცავ. არასდროს ასე ჩუმად და ასე უხმაუროდ არ შევხვედრივარ ახალ წელს. წუხელ დამით გავუდი გარეთ. სიცივე იყო. ვარსკვლავთა ჯგუფები პასიურად ანათებენ. ერთი ვარსკვლავი სამხრეთ-აღმოსავლეთის ცის კიდურიდან მოლურჯოდ ანათებდა, აი, იმ ფრად შექ-შენიღების დროს რომ იყიან ელნათურების ანთება. ზევით ავიხედე. მუშგები დავჭიმე და წარმოვსთქვი: „43-ო წელი, მოგვანიჭე შენ გამარჯვება, შემახვედრე ყველასთან: ჩემს მეგობრებთან და მასთან ც-სთან ჩემი საქმე ბოლომდე დაავვირგვინე... (კიდევ ბევრი რამ ვსთხოვე მას) და სამაგიეროდ, შენი წლის განმავლობაში, ჩემს გონებას ისეთ საფუძველს შევუქმნი, რომ შემდეგ რაიმე განძს შევძენ მეცნიერებას, ამით იამაყებ შენ, 43-ო წელი“. და კიდევ ბევრი რამ „ვიმოლე“. დღეს მზიანი დღეა. დაე, მთელი წელიწადიც მზიანი იყვეს. შოთა, როგორც შარშან, ისე წელსაც მინდა ვწერო დღიურები. ეხლა ისინი უფრო სხვანაირი ხასიათისა იქნებიან. მეც მინდა რვეულის შემოღება ზოგადი ფიქრებისათვის, აქამდე, ის (რვეული) გონებაში მქონდა და ამიგომ, მისი არაობიექტურობის გამო, ბევრი რამ დამავიწყდა. უნდა გითხრა, შოთა, ამ ბოლო დროს, მე ასეთი რამ დამჩემდა: როდესაც რაიმე მოვლენას შევნიშნავ, რომელიც ან ახალია ჩემთვის, ან თავისი სილამამით ჩემს ყურადღებას იპყრობს, ანდა საერთოდ, თუ მასზე მე დავფიქრდები, ყოველთვის ვადარებ ხოლმე რაიმეს (როგორც პოეტური შედარებებია) და ამის შემდეგ იგი უფრო მამახსოვრდება. შედარებას, ვაკეთებ ძალზე მახვილს. ერთი სიტყვით, დავიწყე ბუნებაზე დაკვირვება და მისი აღბეჭდვა გონებაში. მოვიყვან მაგალითებს: შორეულ მთის დათოვლილ კალთებს დილის ამომავალი მზე დასცქეროდა; მთის თავზე, მეჩხერ, აქა-იქ მღვარ ღრუბლებს მოეყარათ თავი და მათ შორის გამავალი მზის სხივები ისეთნაირად ალაპლაპებდა თოვლს, გეგონებოდათ, შუასა-

¹ კარლ კლაუშვიცი (1780–1831) – გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, პრუსიელი გენერალი.

უკუნებრივ რომელიმე დიდებულ, საომრად გასულ მეფეს, მთის კალთაზე ოქროს ბანაკი გაეშალა და მასში ასვენებდა ბრონზით შემოსილ ოქროსავე მეომრებსო. მთავარია, შოთა, მოვლენის ისე გამოთქმა, რომ თვალწინ დაგიდგეს სინამდვილეში არსებული, ყოველგვარი წარმოდგენის დაუხმარებლად. აი, მაგ.: მზე თანდათან ყლაპავდა მთისგან წარმოშობილ უზარმაზარ ჩრდილს. სიგყვა „ყლაპავდა“ ძალზე გაახლოებს იმ მოვლენასთან რის გამოთქმასაც მე შევეყაღე ახლა. ამ გამოთქმიდან გაიგებ აგრეთვე, რომ ახლოვდებოდა შუადღე. შოთა, ერთხელ ასეთი რამ წარმოვიდგინე: იმდენად რეალისტური უნდა გახდეს, საერთოდ ყველაფერი ის, რაც ბუნებას არ ეკუთვნის, რომ აი, მაგალითად, ჭიქის ფსკერზე, გამოხატული უნდა იყოს მომდინარე წყარო, ისე რომ, როდესაც წყლით სავსე ჭიქას პირთან მიიგან და გადასწევ, უნდა გეგონოს თითქოს წყალს პირდაპირ წყაროდან სვამდე. ჭიქის ფსკერზე უბრალოდ კი არ უნდა იყოს წყარო დახატული, არამედ მხედველობაში უნდა მიიღონ წყლის გარდატეხის თვისება და ბევრი სხვა. რას იგყვი შენ ამამე? კიდევ ერთი: ხომ გამოანგარიშებული აქვთ პროდუქტის ის რაოდენობა, რაც ერთ საშუალო დონის ადამიანს უნდება თავისი ცხოვრების განმავლობაში? ანდა სასმელის რაოდენობა? მაგრამ გამოანგარიშებული აქვთ თუ არა პაერის ის რაოდენობა, რასაც ადამიანის ფილგვები აგარებს მთელი ცხოვრების განმავლობაში? ანდა იციან თუ არა სისხლის სიჩქარე აღელვების ან დამშვიდების დროს? თუმცა ასეა თუ ისე, ეს სულერთია, მაგრამ ჩვენთვის შედეგი საინტერესოა და განსაკუთრებით გამოანგარიშების საშუალება, მეთოდი. შენი შენიშვნა, ძილის შესახებ, გონებაშახვილურია. განსაკუთრებით „იკვება თავის თავში“, მაგრამ ეგ ყველაფერი გონების დაბნელების ბრალია, იმიტომ გვეჩვენება ყველაფერი ასე. შოთა, ჩვენ ისგორიკოსები ან ექიმები უნდა გამოვიდეთ, ეს უკანასკნელი გვაახლოებს ადამიანთან და ეს მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენთვის. შოთა, მე ვცდებოდი, როდესაც მოგწერე ჩემი აზრი ალფონს დოდეზე¹, პირიქით, დოდე ადამიანის სულის ღრმა და ყოველმხრივ მცოდნე ყოფილა. გიპასუხებ შეკითხვაზე: ჩემთვის მოსალოდნელი სიხარული უფრო სასურველია და აი რაგომ: ჯერ ერთი, თუ ამბავი, რომელსაც მახარებენ ნამდვილად მნიშვნელოვანია, მაშინაც არანაკლებ გამიხარდება, როდესაც გავიგებ, რომ ის უნდა მოხდეს. მეორე: სანამ ეს სიხარული ნამდვილად მომენიჭებოდეს, მანამდე ჩემი ფანტაზია და გონება ათას რამეს წარმოიდგენს და ათიათას ვარიანტს მოიგონებს და მე მგონი ესეუ არანაკლებ სიამოვნების მომნიჭებელია. მესამე: შეიძლება

¹ ალფონს დოდე (1840-1897) - ფრანგი მწერალი.

ამბავი, რომელმაც სიხარული უნდა მოგანიჭოს, ე. ი. რომელიც მოსალოდნელია, საეჭვოდ გეჩვენოს დიდი ხნის შემდეგ, მაგრამ როდესაც ის სინამდვილეში მოხდება, აქ უკვე, კიდევ იღებ სიამოვნებას და სიხარულს. მოულოდნელი სიხარული კი სხვანაირ ეფექტიანია. მას აქვს მხოლოდ სიამოვნების ერთი უმაღლესი წერტილი. მართალია, ეს წერტილი ძალზე მაღალია მოსალოდნელ სიხარულთან დაკავშირებით, მაგრამ სამაგიეროდ მხოლოდ ერთია, თუმცა მას აქვს კიდევ ერთი უპირატესობა. მოულოდნელი სიხარულის მიღების შემდეგ, იწყება ადამიანის ობიექტური მოქმედებანი, პირველ შემთხვევაში კი – ისინი მხოლოდ სუბიექტურნი არიან. სრულიად კონგრასგულია უბედურების პრობლემა ამ შემთხვევაში. აქ უკვე მოულოდნელი წყენა უფრო სასურველია, ვიდრე მოსალოდნელი. ამაზე მსჯელობა საჭირო აღარ არის. შოთა, უნდა გითხრა, რომ როდესაც წერილს ბაგარეიდან აგზავნი უფრო მალე მოდის... მე მინდა ჩემი ლექსები, რომლებიც ჩაუწერლები მაქვს, ჩაეწერო იმ პაგარა რვეულში შენ რომ მაჩუქე, გახსოვს? ამ ლექსების საერთო სათაური იქნება 1. სიყვარული, 2. სხვადასხვა. შოთა, კიდევ განმეორებით გეკითხები: როგორ მიჩვენე, მიეწერო თუ არა მას წერილი? გახსოვს ალბათ, შარშან, ამ დღეს კრილოვზე¹ რომ ვავედი, მხოლოდ მისი ძმა დაეინახეთ ფანჯარაში. ის კი არ იყო. მე ეხლახან გადავიკითხე ჩემი დღიურები და ყველაფერი კარგად გამახსენდა და ვფიქრობ ამ წუთს, რატომ არ ვავეციედი მე იმ მომენტში, როდესაც მას ვიცნობდი? როდესაც ჩემ ხელში ავიღე მისი ლტოაუბრივი ხელი? ანდა როდესაც იმ პიანინოზე დაეუკარი, რომელზედაც ის უკრავდა?.. წუხელი, ამის გახსენებისას, ჩემს ხელის გულს დაეუწყე კოცნა, ამით, მის ხელს ეკოცნიდი ვითომ. თანდათან შევეჩვიე მარგობას. მარგობა, ეს სულის სამოგადოებაა, ამ მომენტში აჩენს იგი თავის მრავალფეროვნებას. მარგობა, შენი თავის შესწავლის საუკეთესო საშუალებაა. მარგობაში, აღმოაჩენ შენს ბევრ უარყოფით და დადებით მხარეებს. მარგობა, ეს მდიდარი სულის მთავარი რეზიდენციაა. მაგრამ მარგობა სამინელია იმდენად, რამდენადაც ადამიანი სამოგადოების წევრს წარმოადგენს და მისი შემადგენელი ნაწილია. ადამიანი და სამოგადოება – უერთმანეთოდ, მათი გააზრება ნაკლებ ჭკვიანურია. შოთა, სიციხეები წინანდებურად მაქვს, მგონი ყოველდღე, 37.2, 37.3-ზე მევით არ აღის, მაგრამ ესეც საკმარისია, იმისათვის რომ მაგრძნობინოს. ეს ალბათ, ან ისევე ჯირკვლების, ან თირკმელების ბრალი იქნება. აღარ მელირსა მორჩენა! როგორ მენაგრება ახლა შენი ნახვა, ალბათ გამოიცვლებოდი, უფრო გასუქებული იქნები

¹ ცისანა მესხი კრილოვის ქუჩაზე ცხოვრობდა.

და „გაზდაროვებულ“¹. მენაგრება დანარჩენი ბიჭებიც და საერთოდ თბილისი. როდესაც თბილისის სადგურთან მაგარებელი გაჩერდება, რომელშიც მე ვიქნები, მიწაზე სარგალ-მარგალით გადმოვხტები. პასპარგურის არ იყოს. მგონია, ახლა ისეთივე დიდი მიღწევებით გარდება ოპერაში სპექტაკლები, როგორც შარშან, ალბათ შენც ჩემსავით გავგონდება მაშინდელი სიამოვნებანი, მაგრამ ისინი განმეორდებიან უფრო დიდი და მდიდარი მასშტაბით. შოთა, ამას წინათ მესიმშრება, რომ ვითომ ც-ს სახლში ვიყავი, მაგრამ მისი სახლი სულ სხვანაირი იყო: მარმარილოს კიბეები და მარმარილოსვე სვეტები ამშვენებდა იქაურობას. მე ვითომ სხვათა შორის ვაფიარე. იქითკენ კიბეების დასაწყისში შევნიშნე მარმარილოზე ამოჭრილი წარწერა „ცის-კო“ და კიბეებზე ჩასვლისას კი, შევნიშნე თვითონ იგი, მან მიცნო და თვალი გამომაყოლა ვითომ, მე შევეცადე სწრაფად გაველოდი მას. როდესაც გამომეღვიძა და წარწერა მომაგონდა, მივხვდი, რომ ისინი ჩვენი სახელების ნაწილების შეერთება იყო და ვიფიქრე რამდენს ვწვალობდი, ლამაზი სინთუმი მომეხდინა ჩვენს სახელებს შორის, და ბოლოს სიმშარში მოვიფიქრე-მეთქი, ყველაზე მარტივი და კარგი. ასე რომ შოთა, ამის შემდეგ, ჩემი ფსევდონიმი იქნება „ელიანა ცისკო“. ვინმეს ამ გვარით და სახელით, ან ამერიკელი ვეგონები, ან ავსტრალიელი. მომენატრა შენი ოთახის სუნი. ის რაღაც საქციფიკური იყო და მუდამ მეცნიერების და ხელოვნების კინზე მაყენებდა. შოთა, მოვისმინე ერთი ანექლოგი აკაკიმე¹, რომელსაც პირველად ვგებულობ: თურმე, აკაკის ქურდი ჩაუძვრა ჯიბეში და ხელების ფათური დაიწყო, მაგრამ როდესაც ვერა იპოვნა-რა, მაშინვე ამოიღო, აკაკიმ ეს შენიშნა და ქურდს მიახალა: „შე, კაი კაცო, მე ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ჯიბეში მაქვს ხელები და მაინც ვერ დავრწმუნდი რომ ცარიელია და შენ ასე მალე რამ დავარწმუნაო“. კარგია არა?

ჯოჯოხი შენი ელიკო
I. I. 43

ძვირფასო მეგობარო!

გუშინ მივიღე 13. I-ში გამოგზავნილი წერილი. იგი თითქმის პასუხებს შეიცავს ჩემი წერილებისას, მაგრამ ეს პასუხებიც მამცნობენ მე შენი აზრისა და სულის თვისებრივ თავისებურებებს. შოთა, ძვირფასო! მე ვიცი თუ რა უკვდავ წამლებს წარმოადგენენ შენთვის ჩემი წერილები, ვიცი აგრეთვე ამ წამლების ზუსტი რეცეპტები (რომლებიც დროის მიმდინარეობაში

¹ იგულისხმება აკაკი წერეთელი.

იქმნებიან), მაგრამ საუბელუროდ ავადმყოფამდე ისინი იშვიათად აღწევენ (ამაში, შენმა წერილებმა დამარწმუნა). შენთან შედარებით, მაგ მხრივ, ჩემი ავადმყოფობა უფრო უმრუნველყოფილია. მე მაინც ვეცდები იმდენი წერილი გამოგიგზავნო, რომ ნაწილის დაკარგვის შემთხვევაშიაც, მათმა რაოდენობამ შენ დაგაკმაყოფილოს... შოთა, შეიძლება ამ წერილში არა, მაგრამ შემდეგში აუცილებლად მოგწერ შენთვის დაუბოლოებელი ჩემი მოთხრობის დაბოლოებას. ძალიან მომეწონა გოეტეს სიგყვები ნაწარმოების მასალისა და მისი დამმუშაებლის დამოკიდებულებათა შესახებ... ალბათ, სულ უკანასკნელი ჩემი წერილიდან გაიგებდი, რომ მე დავამთავრე ჩემი ახალი მოთხრობა „მამა“ და სწორედ იმიტომ გამახსენდა ესლა ეს, რომ მისი მასალა ჩემის ამრით *ДОВОЛЬНО УДАЧНЫМ КАЖЕТСЯ* და სწორედ ეს ამსუბუქებს ჩემს შედარებით უუნარობას ნაწარმოების გამლისათვის. ამ მოთხრობის მეორე დამაკმაყოფილებელი მხარე არის მოვლენათა გარმონიული დინამიურობა და მისი ნოველური ხასიათი. შოთა, ეს მოთხრობა, ახლა მე უნდა გადავთეთრო და გავასალაშინო, რის შემდეგ ის ნაკლებ ღეფექტური იქნება, თუკი ვინმე წამოვიდა, მას აუცილებლად გამოვაცან დაედაშენთან, ის კი, შენ გადმოგეყმს. მე მგონია, რომ მისი მოწონება (ამის შესაძლებლობა რომ იყოს), შედარებით მრავალპერსონალური იქნება, მაგრამ თუ ეს ასე არ იქნება, მე მაინც დამაინც არ ვიჯავრებ და მხოლოდ გავიმეორებ მონტენის¹ სიგყვებს, რომელიც ა. ლოდეს წიგნში ამოვიკითხე: „გაიხსენეთ რა პასუხი გასცა ერთმა ვინმემ, როცა მას კითხეს, რად იღწვი ასე ხელოვნებისათვის, რომელიც არ შეიძლება გასაგები იყოს მრავალთათვისო: ჩემთვის საკმაო რამდენიმეც, ჩემთვის საკმაო ერთიც, მე ერთიც არ მინდაო“. სულ უკანასკნელ სიგყვებში, ავგორის თვითკმაყოფილებისა და სიამოვნების აღიარებაა თავისი ნაწარმოებით, მაგრამ მე, შოთა, ბედნიერი ვარ რომ ერთს მაინც ესმის ჩემი, ეს შენ ხარ...

...სიყვარული, ეს ყველას მიერ აღიარებული უმაღლესი სიამოვნება, ჯოჯოხეთური საგანჯველი ყოფილა მის მიღწევამდე. მაგრამ ეს განჯვაც სიამოვნების მომგვრელი ყოფილა თურმე, თუმცა იგი თავს არ ანებებს ინდივიდის ნელ-ნელა წეას და დაფერფვლას...

გავათავე ლოდეს „წერილები ჩემი წისქვილიდან“. ეს მისი პირველი, ახალგაზრდობის ნაწარმოებია, ამ წიგნით გამოვიდა იგი სამწერლო ასპარეზზე. ზოგიერთი მოთხრობათაგანი ისე გულუბრყვილოა, რომ სრულიად ვერ შეამჩნევ მასში იმ გონს, რომელიც მწერალს ახასიათებს, ის

¹ მიშელ ეიკემ დე მონტენი (1533–1592) – ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი.

თითქოს მოყოლილი ამბავია რომელიმე შემთხვევის უბრალო დამსწრისა. არ ვიცი, ეს დადებითი მხარეა, თუ უარყოფითი. მე კი, უფრო მეორე მგონია, რადგან შემთხვევის აღწერა ხომ ყოველ გონებას შეუძლია, რალათი უნდა განსხვავდებოდეს მისგან მწერალი? ზოგიერთი მოთხრობა, ჩემის აზრით, არავეითარი ყურადღების ღირსი არ არის, თავისი უმიზნობის და აღწერის არაგანსაკუთრებულობის გამო, ზოგიერთი კი პატივსაცემია მისი სიუჟეტის ნორმალურობისა და გამოთქმების ორიგინალობის გამო, რუსოს¹ გავლენის ქვეშ იმყოფება! და ეს მე მაკვირვებს, რუსოდან ასი წლის შემდეგ, იგი ნეორუსოსგია. ბუნება მისი სამწერლო მოგზაურობის ერთადერთი რეზიდენციაა, მაგრამ ამას გარდა, იგი რელიგიას არც ისეთი მოწყალე თვალთ უყურებს, უფრო მეტიც, იგი ამარკებს სამღვდელეობას. მისი „პაპის ჯორი“ და „გოშის ელექსირი“ მხოლოდ ამას ამტკიცებენ. ყველაზე უფრო მომეწონა „სემიდანგის სულთმობრძაობა“. თუ შემომთვლი, მოგწერ მის მოკლე შინაარსს და შენ დარწმუნდები თუ რა უბრალოდ წყვეტს ავტორი ნოველის საფინალო პრობლემებს. შოთა, ისეთი ნაწარმოების წერის დროს, რომელიც სინამდვილეში არ მომხდარა და რომელიც მხოლოდ შეიძლება მომხდარიყო (და ამის გამო უწოდებენ მას რეალურს), ძალზე ძნელია ავტორის როლი. იმ შემთხვევაში თუ დამატებით მთელ ნაწარმოებს პირველ პირში დააყენებს. ძნელია იმიტომ, რომ ჯერ მწერალმა უნდა განსაზღვროს თუ რამდენად შესაძლებელი იყო ამა თუ იმ შემთხვევის სინამდვილეში მოხდენა, უნდა განისაზღვროს ისიც, თუ ამა და ამ მოვლენათა შეკრების თუ დაპირისპირების დროს, რა შეიძლება მოხდეს ისეთი, რომლის გამოტოვება, – უთქმელობა შეუძლებელია ნაწარმოების სრულყოფისათვის; და მეორე სიძნელე, ყველაფრის ამის გამოთქმა, დალაგება და სხვა. სინამდვილეში, ნახულის აღსაწერად კი ავტორს, მხოლოდ მეორე სიძნელის გადალახვა მოუხდება. ამიტომაც საჭირო მეტი კავშირი ცხოვრებასთან – ბუნებასთან. მათი ღრმად შესწავლა, ეს საჭიროა თითოეული პიროვნებისთვისაც, ჩვენ ხომ ყოველდღე ნაწარმოებებს ვუკითხავთ ჩვენ თავს სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტის დროს. შოთა, იწერები, რომ „ამის წინა წერილები რალაც უცნაურ გონში იყო დაწერილი, მომწერე რა შთაბეჭდილება მოახდინეს მათო“. ძვირფასო, შენ ნახავ ერთ ღლეს ამ წერილებს და თავათვე გაკვირდები მათი СВЕРХБЕЗНАДЕЖНОСТЬ-ით, ისინი მიგოვებული სულის გრანდიოზულ რეკვიემს წარმოადგენენ. შენი წერილები თითქოს სულის ნაწილებიაო, მასავით კონგრასტულ ფერებს იძლევიან მსმენელისათვის.

¹ *იან ჯაკ რუსო (1712–1778) – ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, მხატვარი, განმანათლებელი.*

შენ ხან კასტანიეგებს არაჩხუნებ, ხან კი თვალეპძირდაპყრობილი სევდას ეძლევი, ხან აენტები, ხან კი ყინავ იმ ანთებულს. როდესაც იმ წერილის სიგყვებს ვკითხულობდი, ასე მეგონა, შენ გულს თითქოს ჩემს თვალწინ დაუქცევია სგრიქონების გასწვრივ სისხლის წვეთები და მამცნობენ მის იარებსო. მაგრამ წერილების გრანდიოზულობა იმითია მიღწეული, რომ გრძნობას თავისი აფეთქების დროს გონებაც და აზრიც აუფეთქებია და შეერთებულთ შესამჩნევად ამოუჭამიათ მიზანი სუბიექტისა.

შოთა, ნაპოლეონს¹ აქვს ერთი მოთხრობა, რომელიც სლონის აზრით ასე თუ ისე წარმოადგენს დანარჩენ ნაწერებთან შედარებით ღირსშესანიშნავს, მიუხედავად აბელის სისუსტისა და ლიგერაგურული ხერხემლის მოულოდნელ ადგილზე ხმარებისა. მისი სახელწოდებაა „შენილბული წინასწარმეგყველი“ (Замаскированный пророк). მოქმედება ხდება აღმოსავლეთის ერთ-ერთ სახელმწიფოში: პაგივიმოყვარე და დაუმორჩილებელი ემირი, მოულოდნელი სიბრძავით ელდანაცემი მიმართავს ვერცხლის ნიღაბს, რათა მოაგყოს თავისი ქვეშევრდომები, მაგრამ ამას ის ვერ ახერხებს და ამაში დარწმუნებული, სწამლავს ყველა ქვეშევრდომს, აგდებს მათ კირით მოწამლულ ორმომი და თითონაც შიგ ვარდება, რათა მოაგყოს მგრები და მოაჩვენოს მათ, რომ ამ ქვეყნიდან ცოცხლად აიყვანეს ზეცაში. მართლაც, ემირისა და მისი ქვეშევრდომების ასეთი უკვალო გაქრობის შემდეგ, მისი მგრები რწმუნდებიან, რომ ისინი ცოცხლად იქნენ აყვანილი ზეცაში და ემირს უბოძებენ წმინდანის ხარისხს. ნაპოლეონი მოთხრობას შემდეგი სიგყვებით ამთავრებს: „какой, подумаешь, невероятный факт. До чего может доводить страсть к самопрославлению!“ აი, ნაპოლეონის მთელი ცხოვრების დებიუტის ინგერმეცო, აზრით გამომელავნებული. თვითონაც იყო ამ დროს ასეთი სენით შეპყრობილი და აკი გაითქვა ისეთი სახელი... მისწრაფება საშუალებას აძლევს გენიას, მიაღწიოს მიზანს იმ შემთხვევაში, თუკი ის ისგორიულ მისწრაფებას დაემთხვევა, სხვა შემთხვევაში გენიოსები მოგვეჩვენება „...более сделанным, чем созданным“. მაინგერესებს შენი აზრი ყველაფერ ამაზე. რამდენად გამართლებულად თელი შენ სახელისათვის სიკვდილს? თუ მიეშრობი ტკბილ, შეუშოთებელ სიციოცხლეს, მხოლოდ უსახელოს? აქ „სიკვდილს“ სრული მნიშვნელობით კი არ ვხმარობ, არამედ მასში ვგულისხმობ მსხვერპლს – აღამიანის სიციოცხლიდან გამომდინარეს. შოთა, კიდევ ერთი რამ არ ვიცი მოგწერე თუ არა შენ ეს და თუ მოგწერე, ის დაკარგულ

¹ ნაპოლეონ I ბონაპარტი (1769–1821) – საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, საფრანგეთის იმპერატორი.

წერილში უნდა იყოს მგონი, ამიგომ, ხელახლა გწერ. ერთი თვის უკან, აქ, ბიძაჩემი იყო (აი, ის ვაკეში რომ ცხოვრობს), ერთხელ სუფრაზე დაჯდომის დროს, როდესაც სმამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და მე კი აღარ შეშფოლო ღვინის დაღვევა, უარი ვუთხარი ბიძიას, ვერ დავლევ-მეთქი, მან კიდე დამაძალა და მე ვუთხარი: „საღლეგრძელოს ვიგყვი, მხოლოდ ღვინოს ვერ დავლევ-მეთქი, როდესაც ადამიანისთვის კარგი მსურს (და ამას, საღლეგრძელოში გამოვხატავ), მთელი გულით და სურვილით, რა საჭიროა ამ დროს ღვინის აუცილებლად დაღვევა, ამით ხომ ვერ დავამტკიცებ ჩემს კეთილგანწყობას-მეთქი?“ და აი, რა მიპასუხა ბიძაჩემმა: „როდესაც შენ მასწავლებელს ქუჩაში ხედე, რაგომ უხდი ქუდს? მისთვის ეს ქუდის მოხდა არაფერს არ ნიშნავს და შენი ეს მოქმედება არავითარ სარგებლობას მოუტანს მასო, მაგრამ შენ მისდამი პატივისცემის დასამტკიცებლად ერთგვარი სასჯელი (ღვინის სმის შემთხვევაში) უნდა მიაყენო შენს თავს, რაიმე ძალა უნდა დახარჯო ამისთვისო“. მე ვერაფერი ვუპასუხე... ის მართალი იყო. შოთა, რას იგყვი, ეს ხომ ერთგვარი სახეშეცვლილი სათნოებაა? (თუმცა უხეშად გადმოგვიცო მთელი ეს ამბავი). შოთა, ბევრი ახალი „აღმოჩენა“ მაქვს შენთვის სათქმელი, მაგრამ ყველაფერს ვერ ვწერ, პირველში მოგწერ შემდეგ წერილს მოთხრობის დაბოლოებით. მომილოცავს ჩვენი ჯარების სასიხარულო მიღწევები. ნეგავ როდის გავიგონებ, ან წავიკითხავ ამ სიგყვებს: „Наши войска в некоторых пунктах достигли до государственной границы“. სგალინგრადი¹ და ლენინგრადი² მიუვალები აღმოჩნდნენ, სგალინგრადი ფაშისტების კბილსამტკრევი ციხესიმაგრე აღმოჩნდა...

შენი ელიკო

სოფ. ობჩა, დაახლოებით სიღამოს 7 საათი

ძვირფასო მეგობარო!

ჩემს წინ დევს შენი ორი წერილი. ერთი ქუთაისიდან მომიგანეს, მეორე კი, აქ მომივიდა. როგორც ჩანს, ქუთაისიდან ჩემგან გამოვგზავნილი ორი წერილი არ მივიღია. მათში ძალიან საინტერესო ამბებს გწერდი და თუ ისინი არ მოგივიდა ამ წერილის მოსვლამდის, მომწერე ამის შესახებ... შენი წერილებიდან კი, როგორც ვაგყობ, არც ერთი არ დაკარგულა. სასიამოვნოა, რომ მანდ გუნდი გყოლიათ... ქართულ სიმღერებს

¹ სგალინგრადი - ახლანდელი ვოლგოგრადი.

² ლენინგრადი - ახლანდელი სანკტ-პეტერბურგი.

ასრულებთ თურმე... შენ რომელ ხმაზე მღერი?.. რამდენ კურსიანა
ТАУ?¹ შოთა, „Семилетняя война“-ს შესახებ, მეც მაქვს კორობკოვის
ნარკვევი სათაურით: „О причинах длительности семилетней
войны“ წაუკითხავ მას. ცოცხა ოდნავ მაინც დაგიახლოვები ცოდნის
მარაგით მის შესახებ... (რაგომღაც ხელი მიკანკალებს და ვიბრირებელი
ასოები გამოდის). მეგობარო, შენი ახლანდელი მდგომარეობა, უფრო
უკეთ, შენი მდგომარეობის მიზეზით მოცემული ცოდნა და გამოცდილება,
შენ მიგაჩნია დროებით რაიმედ, რომელიც არ გამოდგება იმისთვის,
რაც არ იქნება საბოლოოდ დროებითი. მაგრამ ჩემის აზრით, შენ ამაში
სცდები... მართალია, შენი მიზანი სამხედრო კარიერა არ არის, მაგრამ
ნუთუ ის არ გამოგადგება საკუთარი მიზნისთვის, მაშინ, როდესაც სამხედ-
რო ცოდნასავეთ ალბათ შენ არც ერთი დარგი არ გაქვს დასისგებებული
და ჩამოყალიბებული, მიუხედავად იმისა, რომ შენ მასში (სხვა რაიმე
დარგში, საგანში) უფრო მეტი ცოდნა გაგაჩნია. გაიხსენე ნაპოლეონი,
სკუდენგის ფორმაში, ლაპლასის მოწაფე... ჰქენი შენ პირიქით. (რიმსკი
კორსაკოვიც² ვერ დაწერდა თავის „სადკოს“ თვით რომ მეზღვაური არ
ყოფილიყო) სხვა მაგალითის აღარ ვთვლი საჭიროდ. ვიცი, ჩემი ეს პასუხი,
ოდნავ მაინც, მოგადად მოგეჩვენება... ვიცი მეგობარო, შენ რაც გაწუხებს
(მე ვმსჯელობ შენზე, ჩემი თავის საშუალებით), შენ ბრამბო: რაგომ ვერ
დასძლია ერთმა რომელიმე დარგმა, საგანმა დანარჩენები და რაგომ
ვერ მიიღო მან უპირატესობა დანარჩენების მიმართ შენს თვალში. ამაზე
შეიძლება ასეთი პასუხის გაცემა, ან ყოველი საგნის ერთნაირად დაძლევა
და მოხმარება შეგიძლია, ანდა არც ერთის შეთვისების უნარი არ გაქვს.
უკანასკნელი შესაძლებლობა ნათლად ჩანს: ჩვენ არც ერთი საგანი არ
გვაქვს შეთვისებული. ამ სიგყვის მთელი მნიშვნელობით, მაგრამ უნარი
გვაქვს, მხოლოდ გამოუყენებელი. ე. ი. საჭიროა მისი გამოყენება, ამოქმე-
დება (ხედავ, მე შენიდან უკვე ჩემზედაც გადმოვედი. ასე ორივეს ერთნაირი
მდგომარეობა გვაქვს) ბოლომდე და მივიღებთ იმას, რასაც ვესწრაფ-
ვოდით. მაგრამ საითკენ დავუმიზნოთ ეს შეთვისების უნარი და სახელ-
დობრ, რა შევითვისოთ ამის გამორკვევის და განსაზღვრის უნარი არ
გვაქვს, რადგან ჩვენ გვაყოყმანებს ის აზრი, რომ (შეიძლება) „ყოველი
საგნის ერთნაირად დაძლევა და მოხმარება შეგიძლია“. ამიგომ, ალბათ,
ვეძებთ აბსოლუტს, უნივერსალს, რომელიც ყველას უნდა შეიცაადეს და
შენ სკიქიურად მოძებნე იგი ბავშვობის წლებში – ფილოსოფია. მაგრამ
ჩვენ ამავე დროს გვიზიდავს უფრო დამუსკებელი და პრაქტიკული საგნები.

¹ ТАУ – Тбилисское артиллерийское училище.

² ნიკოლოზ ანდრეას ძე რიმსკი-კორსაკოვი (1844–1908) – რუსი კომპოზიტორი.

გატაკებული ვართ აგრეთვე ხელოვნებით... ნება მომეცი ახლა საკითხი უფრო რეალურად დაგვაყენო: რასაკვირველია, ყველაფერი ეს გვიმიდავს იმიტომ, რომ მასში სიამოვნებას ვპოულობთ. როგორც გრძნობიერს (ხელოვნება), ისე გონებრივს... მაგრამ გავიხსენოთ, რომ ბოლოსდაბოლოს, ერთ დროს, ჩვენ მოგვიხდება ჩვენი და საკუთარი ოჯახის რჩენა-პატრონობა. აი, უკვე ცხოვრების პრაქტიკული მხარე. ამიტომ უნდა მივიღოთ უპირველესად ისეთი პროფესია, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ ჩვენი სხვა მიზნები და სურვილები, რომელიც (პროფესია) უზრუნველგვყოფს თავისუფალი მუშაობისათვის. ალბათ შენც ამ ამრის იქნები. გამიხარდება, თუ ასე იქნება.

მეგობარო, ნერვიანი ადამიანი ყოველთვის გრძნობიერია და ძალზე. ჩემის ამრით, ეს გრძნობიერება მას უმუშაებდა უმეტეს წილად თვით ნერვიანობის წყალობით, რადგან უნებლიე, ნერვიული (არა გონებრივი) მოქმედების ჩადენის შემდეგ ის ხვდება თავისი საქციელის არამიზანშეწონილობას და ჯაერობს მასზე, ე. ი. ნანობს მის ჩადენას... მონანიება კი, მხოლოდ გულით ჩვილ და გრძნობიერ ადამიანებს შეუძლიათ.

შოთა, შენ არ მოგყავს იმის მაგალითები, თუ სახელდობრ, რა რწმენა შეგერყა და როგორ შეიცვალა შენი ძველი შეხედულებანი ე. ი. ავტორიტეტებში ავტორიტეტობა რის მიზეზით შეგცვალა. შენ ამ საკითხს უპირველესად თელი, როდესაც შენ შესახებ ლაპარაკობ. მაგალითები კი სხვებზე მოგყავს. მომწერე აუცილებლად ყველაფერი მინიმალური დაწვრილებით – ამაზე დიდად არის დამოკიდებული ჩემი პასუხი და მსჯელობა ამის შესახებ. ისე კი, ჩემის ამრით, შენი ყოველგვარი სულიერი მეტამორფოზა, შენი მღვთმარეობით და მისდამი შენი დამოკიდებულებით არის წარმოშობილი. ისინი (მეტამორფოზები) რომ არ ყოფილიყვნენ ეს იქნებოდა გასაკვირი. ახლა კი მე შენს თითოეულ გარდაქმნას, რომელზედაც შენ დაწვრილებით მწერ, ვამართლებ. „შემოქმედებითი უნარი კრიზისშიაო“ იწერები. არ შეიძლება, ძვირფასო, შემოქმედების სრულყოფაზე ლაპარაკი. შენ მღვთმარეობაში მყოფ ადამიანის შესახებ კი არა და ის უკვირთ აქ ამხელა წერილების დაწერას როგორ ახერხებსო. და მეც ვოცლები ხანდისხან, როდესაც წავიკითხავ შენგან მოწერილ მშვენივრად დალაგებულ და მეცნიერული ლექსიკონით შეფურადებულ ახალ იდეების გამოთქმას. ვოცლები იმიტომ, რომ ვეჭვობ შენს მღვთმარეობაში მეც იგივე მექნა. ახლაც მიჭირს ჩემი წერილები შენს წერილების სიმალღეს გავეუგოლო. ყველაზე უფრო ვამართლებ შენს სიცრუეებს. იგი თითქოს აუცილებელი საკვები გახდა დღევანდელი ადამიანის მორალისათვის. ეგოისტობა ხომ პირადი „მეს“ შენარჩუნების ერთ-ერთი მეთოდია. ის

აღამიანს იპყრობს ხშირად სრულიად საჭიროების გარეშე. ე.ი. ის ზედმეტია აღამიანში, ის ზადია, ხანდისხან კი ის საჭიროა. აქედან შენ მიერ ნახმარი ფრაზა შენს შესახებ „სუბიექტივიზმში იმარჯვებს საზოგადოებრივ გრძნობაზეო“. შოთა, მე ახლა ყოველ შენს მიერ მოყვანილ მაგალითზე მინდა ვიმსჯელო, მაგრამ როდესაც მე მივიღებ ამ წერილის პასუხს, მაშინ მოგწერ ერთად ყველაფერზე. შენ რომ გინდა მიჩვენო შენი უნებისყოფობა, იმაზე კი ვილაპარაკებ და არ გეგონოს, რომ შენს გამართლებაში რაიმე ხელოვნური ერიოს. მე რასაც ვგრძნობ და ვუიქრობ, იმას ვამბობ. შენ ყარაულში ყოფილხარ *развоащий*-დ, მთელი მუშაობა კარგად ჩაეტიგარებია, მხოლოდ, ბოლოს, როდესაც საჭირო ყოფილა მთელი ამ მუშაობის დაგვირგვინება, შენ ჩაგიფლავებია. შოთა, რამდენადაც გინდა უენაურად გეჩვენოს, მე ამ ამბავში ვხედავ რაღაც ორიგინალურს სუბიექტის მოქმედებაში, ეს იმ შემთხვევაში, თუ მე მთელი სიზუსტით მაქვს გაგებული შენი მაშინდელი სულიერი და ფიზიკური მოქმედებანი. შოთა, მე საშინლად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები იმ დროს, როდესაც რომელიმე პიროვნება დანდობილია ჩემზე. ჩემში რაღაც მაღალი სულის აღამიანს გულისხმობს და მე კი ასეთი სრულიად არა ვარ (ეს ზოგადი მაგალითის მაგივრად), მე ვიცი, რომ ის საჭირო შემთხვევაში მომთხოვს ისეთი რაიმეს შესრულებას, რომლის გაკეთებას მხოლოდ მაშინ შეუძლებდი, მისი წარმოდგენა რომ ჩემში რეალურად არსებულყო. ამიტომ, მე წინდაწინ მინდა გაუნდო მას. რომ მე ისეთი [...] სრულიად არა ვარ, მაგრამ ამავე დროს, თითქოს შევდივარ მის იმ მდგომარეობაში, რომელსაც იგი მიიღებდა თავის იმედების გაყრუებას ჩემში (*Разочарования*) და ვყოყმანობ, მე არ შევყოყმანდებოდი აქ რომ ეს საკითხი სხვას ეხებოდეს... ამ გრძნობის ფსიქოლოგიურ ანალიზს, ამჯერად ვერ შევძლებ, შემდეგისათვის იყოს, შენ კი დაუკვირდი ყველაფერ ამას. მაგრამ, ერთთავად ეს მოვლენა, გრძნობების ეს დამოკიდებულება იცვლება, თუ შენ საქმე გაქვს შენთვის მძულვარე არასაყვარელ აღამიანთან. ამ შემთხვევაში შენ იმასაც კი ფარავ რისი გაკეთებაც შეგიძლია, უფრო რომ გაამწარო იგი. და როდესაც იგი მოელის შენგან აუცილებლად ამის და ამის გაკეთებას, შენ იქვე „არა მისებურად“ და მას აყენებ უსიამოვნებას, შენ კი, ამით სიამოვნებ. თანაც საშინლად მეჯავრება, როდესაც ჩემს სიხარულს უყურებს ისეთი აღამიანი, რომელიც მე არ მითანაგრძნობს. მე თითქოს აქაც მოპირდაპირის მდგომარეობაში შევდივარ. მას ხომ აწუხებს ის შეგნება, რომ მე ბედნიერი ვარ?

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც საქმის მსვლელობის დროს აშკარად კეთილად დაბოლოების მოლოდინში, იმდენად იქნინთება



აღამიანი ამ აუცილებელი კარგი ფინალით და თანაც (ამ უკანასკნელის გამო), იმდენი ეჭვები აღიძვრება ამის საწინააღმდეგო ამრისანი, რომ უკანასკნელ დამაბოლოებელ ნაბიჯზე იგი შედარებით უფრო ღელავს, საზღვრავს რა ჩავარდნისა და გამარჯვების მიღწევის შედეგებს წინდაწინ, თანაც იმ დროს, როდესაც უფრო ძლიერად დარწმუნებულია გამარჯვებაში და უფრო ნათლად აქვს განსაზღვრული მისი შედეგები (ესე იგი სიამოვნებანი), ფიქრობს იმ მაცდურ ამრზე, თუ როგორ იქნება ჩავარდნა, რა მოელის მაშინ, მას ხომ მასზე ჯერ არ უფიქრია? და უცნობი ყველაფრის მიმზიდველია. მთელი ამ მერყეობითი ქაოსის დროს, ბოლოსდაბოლოს, ის უნებურად, ინსტიქტურად მთელი ამ ამროვნების პროცესის გარეშე მარცხდება.

აი, შოთა, ეს მსჯელობა დავაკავშირე შენ ყარაულში ყოფნის ამბავს. მე კი რაიმე ორგანულ კავშირს ვამჩნევ – მე შევძელი ჩემი ამრის გადმოცემა. შენი გადაწყვეტილება ვაჟკაცურია. ვიცი, შენ მას შეასრულებ, მხოლოდ ჯერ ყველას ვერ შეძლებ...

გკოენი ურიცხვს შენი ელიკო
23. IV. 43

ძვირფასო მეგობარო!

გუშინწინ მივიღე შენი ორი წერილი, დღემდე ვერ მოვახერხე პასუხის გაცემა: ვმუშაობდი. ამ წუთში თავი მტკივა საშინლად. ეზოში ზამბახის ყვავილის სილამამემ გამიგაყა, მოვწყვიტე და ზალაში შემოვიტანე. მისმა სუნმა გამაბრუა, ეზოში გადავყარე, მაინც სინანულით. ზამბახი მაგნოლიის ყვავილივით დამათრობელი ყოფილა. ჯიბლაძის¹ წიგნის შესახებ მე გწერდი ჩემს ამრებს. ვეცდები ვუპასუხო შენს წინადადებებს.

ძვირფასო, რასაკვირველია, „მშვენიერებაზე ჩვენ სწორედ ჩვენი წარმოდგენით ვმსჯელობთ“, მაგრამ ეს წარმოდგენა თვით ამ მშვენიერებაზე დამოკიდებული. მშვენიერებისა და ჩვენი წარმოდგენის ერთიანობის სრულყოფა იძლევა სინამდვილეს ამ მშვენიერებაზე. მშვენიერების არსებობა და ჩვენი წარმოდგენა მასზე, ავსებენ ურთიერთს. მშვენიერების გარეშე ჩვენი წარმოდგენა, თავისთავად ცხადია, არ იარსებებდა. მაგრამ ამ ჩვენს წარმოდგენაში არის რაღაც ინდივიდუალური და ეს შეხედულება თითოეულ აღამიანში თავისებურია. სწორედ ამის ბრალიცაა შენი ჩივილი: „რაგომ არ სთვლის ამ საგანს ყველა მშვენივრად?“ მე ვეცდები ამაზე პასუხი გაცე. შენ ასკვნი, რომ „აქ გამოდის სუბიექტი თავის უფლებებ-

¹ ვიორჯი ნიკოლოშის ძე ჯიბლაძე (1913–1960) – ფილოლოგი, ლიტ. კრიტიკოსი.

შიო“. კარგი, ერთი ხედავს საგანში მშვენიერებას, მეორე, ნაკლები ხარისხით, მესამე კი, სრულად უარყოფს მშვენიერების არსებობას ამ მომენტში. მივიჩნით ის საგანი აბსოლიტურ მშვენიერებად ე.ი. იგი ყოველმხრივ ნამდვილად და ჭეშმარიტ მშვენიერებად ვიგულისხმით. თუ ასეა, მაშინ რატომ უნდა ანსხვავებდნენ მას ადამიანები? რატომ უნდა მიაჩნდეს მშვენიერება, ერთს ნაკლებხარისხიანი და მეორე კი, სრულად ვერ ხედავდეს ამ მშვენიერებას? განა იმიტომ, რომ სუბიექტების სხვადასხვაობის გამო სხვადასხვანაირი აზრი წარმოიშობა და თავისებურებანი გამოიჩენს თავს? კი მაგრამ საგანი ხომ ნამდვილად და ყოველმხრივ მშვენიერების განსახიერებაა (თვით მშვენიერებაა)? აქ, მე მგონი, არა შეხედულებათა თავისებურებების სხვადასხვაობაა, არა „სუბიექტის გამოსავალი თავის უფლებებში“, არამედ იმ სუბიექტის ცოდნის განჭვრეტის, გემოვნების და საერთოდ, მიხედვის არასრულყოფილება და ნეგატიურობა, რომელიც ვერ ხედავს, ან ნაკლებად ხედავს მშვენიერებას. ეს ადამიანი ვერ სწვდება მშვენიერების სიღრმეს, მისთვის ამ მშვენიერებაში უცნობი და შეუქმნეველი რჩება მრავალი მშვენიერი დეტალი. მაგრამ თუ მშვენიერება (რჩება რა იგი ასეთად) პოპულარულია ე. ი. თუ იგი აღვივლად მისაწვდომია მასებისათვისაც კი, მაშინ მას, ამ მშვენიერებას, მრავალი ადასტურებს და იშვითად თუ ვინმე იცყვის საწინააღმდეგო აზრს. ეს იმიტომ, რომ ამ მომენტში მშვენიერება (ბუნების იქნება ეს, თუ ხელოვნების) ყველასათვის მისაწვდომია, გასაგები და მასში არავითარი გასაკვლევი და უცნობი დეტალი არ რჩება უბრალო მოაზროვნისათვისაც კი. აიღე მაგალითად, ოპერა „კარმენი“, არავინ არ მინახავს მე ისეთი მსმენელი (რასაკვირველია უფრო დაბალხარისხოვანი), რომელსაც არ მოსწონდეს ეს ოპერა და თითქმის ყველას არ ერჩიოს, ამ ფაქტის მოწმე შენც ხარ. აქ, მშვენიერებაზე მსჯელობის დროს, მერყეობას ვერ ვხვდებით¹, მაგრამ რატომ იყო რომ ოპერა „აიდა“ მიუხედავად თავისი ბუმბერამობისა „კარმენტან“ შედარებით, ბევრს არ მოსწონდა?.. ეს იმიტომ, რომ აქ მრავალთათვის მიუწვდომელი და გაუგებარი რჩებოდა მრავალი მშვენიერი დეტალი...

...მეგობარო, ვუბრუნდები ჩემს მტკიცებას იმის შესახებ, თუ რატომ არ სთვლის ამ საგანს ყველა მშვენიერად? ეხლა ვისარგებლებ ჯიბლაძეთი. გადაშალე 118 გვ. იქ მოყვანილია ფოლკლეს მტკიცება ხელოვნების სუბიექტურობის შესახებ. ფოლკლეს მოჰყავს ასეთი მაგალითი: წარმო-

¹ სიტყვა „მშვენიერებას“ მე ვხმარობ ცალკე, კონკრეტული მოვლენის აღსანიშნავად (ე. ყ.).

იდგინეთ რომ სინიორელი¹, რაფაელი², რემბრანდტი³ და სხვა ხატავენ სურათს ერთსა და იმავე სიუჟეტზე, რა განსხვავებული იქნებაო მათი სურათები შემდეგში, ჯიბლაძე ამბობს, „მაგრამ ბუნებაშიც ხომ გვაქვს ჩვენ სხვადასხვაობა ერთი და იმავე საგნისა?“ ესლა აიღე, ძვირფასო, შებრუნებულად. ვთქვათ, იმ სიუჟეტზე დაეხაგა მარტო რაფაელს. ხომ განსხვავებული იქნებოდა თითოეული, დანარჩენი მხატვრების მსჯელობანი მასზე (ისევე როგორც განსხვავებულად დახატავდნენ ისინი)? რასაკვირველია ასეა, ე.ი. მსჯელობათა სხვადასხვაობა, თვით ბუნებაში რომელიმე საგანის სახის სხვადასხვაობის ბრალია, და ბოლოს, „მართალია, ხელოვნების ფაქტში სუბიექტურია მიზმი ერთი და იგივეს ამ სხვადასხვაობისა, მაგრამ ბუნებასაც აქვს ერთი და იგივეს სხვადასხვაობა“. თუშეა, შოთა, მე ნაკლებ კომპეგენტურად მიმანჩია ჯიბლაძის ეს დასკვნა. რას იტყვი შენ?

შოთა, შენს აზრში რაღაც ორიგინალურ სიახლეს ვამჩნევ, როდესაც ამბობ, რომ ბუნების მოვლენები ჯერ მოუნათლავნი არიანო და ამიგომაა, რომ ერთი და იმავე საგანი ერთს მოსწონს და მეორეს არაო. ამას შენ აბრალებ მშვენიერების საერთო ცნების დაუდგენლობას (და ამის დადგენით ხომ სიმახინჯის ცნებაც ჩამოყალიბდება, რადგან პირველი საზომი ერთეულია). შენ ამბობ, რომ „დაადგინეთ საერთო კონკრეტული მცნება მშვენიერებისა... რაზედაც დათანხმდება ყველა ან უმრავლესობა“. სწორედ ეს არის შეუძლებელი, მეგობარო, თორემ შენი ეს მსჯელობა სიახლის გრიუმფალობით შეიჭრებოდა გაბატონებულ აზროვნებაში. როგორმე უნდა დასძლიო ეს მუხლი. შეიძლება, შენ არც გახსოვს შენი ეს მსჯელობა, რადგან როგორც ვიცი, იგი იქნებოდა სტიქიურად მოფიქრებული შენს მიერ. ამ შემთხვევაში, თუ შემომითვლი მე გაცნობებ. და თუ კი შენ განავითარებ, უკვე გამართავ ამ შენ ჰიპოთეზას, მიაღწევ მშვენიერების საერთო ცნების საკითხის გადაწყვეტას კონკრეტულობის საშუალებით.

მე ასე მგონია, ხელოვნებაში მშვენიერების ძიების დროს უნდა განვახსავოთ ორი რამ: პირველი, შექმნილის მშვენიერება ე.ი. აქ, ხელოვნებაში მშვენიერებაა გამოხატული და შექმნილი, ხელოვნებაში ნაჩვენები საგანი. თვით მშვენიერებას წარმოადგენს მეორე, ეს იქნება თვით შექმნის მშვენიერება. ე. ი. შეიძლება აქ ხელოვნებაში ძალზე საშიშლარი რამ იყოს

¹ ლუკა სინიორელი (დაახ. 1445, 50–1523) – იტალიელი ფერმწერი.

² რაფაელო სანტი (სანციო) (1483–1520) – რენესანსის ეპოქის იტალიელი ფერმწერი და არქიტექტორი.

³ პარმენს ვან რეინ რემბრანტი (1606–1669) – ჰოლანდიელი ფერმწერი და გრაფიკოსი.

გამოხატული, მაგრამ მშვენიერებაზე ვმსჯელობთ მისი გამოხატვის ოსტატობით, ხელოვნებით, სიმშვენიერით. პირველს ე. ი. შექმნილის მშვენიერებას აუცილებლად თან უნდა ახლდეს შექმნის მშვენიერება, ე. ი. შესრულების ოსტატობა, სინამდვილესთან დაახლოებით. ხოლო მეორეს, სრულიად ადვილად შეუძლია იარსებოს პირველის – შექმნილის სიმშვენიერის გარეშე. აქედან საერთო დასკვნა. ხელოვნებაში, მშვენიერების ძიების დროს, ჩვენ უნდა ვეძიოთ არა გამოხატული საგნის მშვენიერება, არამედ საგნის გამოხატვის მშვენიერება, სინამდვილესთან დაახლოება და სხვ.

ზედმეტად მიმაჩნია მსჯელობანი, ან მტკიცებანი ბუნების მშვენიერების უპირატესობის შესახებ, ხელოვნებასთან შედარებით. ადამიანი – მაგერიის უმაღლესი პროდუქტი, გვინი – ბუნების უმაღლესი ქმნილება – ხელოვნების, მშვენიერების და საერთოდ, ხელოვნების მიზეზი. აი, ამ პარალელულობით მიხედები, თუ რისი თქმაც მინდა: ადამიანი, ბუნების ეს უკანასკნელი ნაბიჯი, ცდილობს თვით შექმნას მეორე ბუნება, ის თანდათან უახლოვებს ხელოვნებას ბუნებას ათასნაირი საშუალებებით, მაგრამ ამას თუ ვერ აღწევს ჯერჯერობით და ანდა, თუ ვერასდროს მიაღწევს ამას, განა ეს სასაყვედუროა მის მიმართ? თუკი მას აკლია „ცოცხალი სიცოცხლე“ ეს სათქმელია? მე მგონია არა იმიტომ, რომ ადამიანი მეორე ბუნების შექმნისათვის არ არის დანიშნული. ის მხოლოდ თავისი პირადი სულიერი მიზნებისთვის ცდილობს ხელოვნების მაღალ საფეხურებზე აყვანას და ბუნებას არაფერი დარჩენია მის მიმართ სათქმელად, გარდა მადლობისა ბრწყინვალე მიბაძვისათვის. და განა სურათში გამოხატულება ცოცხალი არ არის ყოველთვის? მხოლოდ სურათია მკვდარი... აი, მე რისი თქმაც მინდა. სულ მომწერე შენი ამრები ამის შესახებ.

დიდი მადლობელი ვარ ციტატებისათვის „Античные поэты об искусстве“-დან მართლაც, რა მშვენიერია „Случай“-ს კითხვა-პასუხი. საერთოდ, იღვისა და საგნის მთლიანობის გამოხატვა. რადგან მწერ იმის შესახებ, თუ როგორ გამოთქვამენ თავიანთ ამრებს პოეგები ხელოვნურ ქმნილებებზე „თითქოს ცოცხალნი იყვნენო“, მე გაგახსენებ კ. გამსახუდიას¹ „სიბრძნე-სიცრუისა“-ს. ალბათ შენ წაკითხული გექნება, მაგრამ მაინც მოგწერ მოკლედ. დიდხანს უნახავ მეგობართან – მოქანდაკესთან შივა მხატვარი. რასაკვირველია, მოქანდაკე მეგობარს შესაფერისად გაუმასპინძლებდა, აიღებს მხატვარი თასს და შესვამს მეგობრის სადღეგრძელოს, იმის აღნიშვნით, რომ ამაზე ძლიერი გრძნობა არ მოიძებნება და რომ მეგობრობის სიყვარულს ვერაფერი ვერ შეარყევს.

¹ კონსტანტინე სიმონის ძე გამსახურდია (1893–1975) – მწერალი.

მოქანდაკე არ ეთანხმება მხატვარს და მორიგი სასმელით ამბობს, რომ მართალია, მეგობრობა ძლიერი გრძნობაა, მაგრამ ღვინო მას შელანძლავს და გადაახვევინებს თავის გზაზე. მაგალითად, თუ აღამიანმა, ღვინით შეზარხოშებულმა, თავისი მეგობრის ცოლი დაინახა, მან შეიძლება უღალატოს მეგობარსო, ამაზე მხატვარი არ დაეთანხმება და ასე უთანხმოებაში გაათავებენ სადილს. ღვინომოკიდებული მხატვარი შედის მასპინძლის დარბაზში და რას ხედავს... იქვე, ავიზიებული ბუხრის წინ, მუხლზე იდაყუდაყრდნობილი მის მშვენიერი, ბრწყინვალე სილამაზის მქონე ქალი „აღბათ მისი ცოლია“, გაიფიქრებს მხატვარი, იგი მოხიბლულია ქალით, მას უკვე აღარაფერი ახსოვს, მას იპყრობს გკბილი სურვილი... და იგი სიყვარულით საესე სიგყვებით მიმართავს ქალს, ეაღერება და როდესაც ხელს მოჰხვევს... ცივი ქვისაგან გამოკვეთილი ქანდაკება... მოქანდაკე გვიან ბრუნდება სახლში. შემოსასვლელ დერეფანში ის დაინახავს, რომ მის მეგობარ მხატვარს თავი ჩამოუხრჩვია. ელდანაცემი მწუხარებისაგან იგი იშინებულს მახვილს იმ თოკის გადასაჭრელად, რომელზედაც მხატვარი ეკიდა და... გილოს უკნიდან გამოვა მომღიმარე მხატვარი, რომელიც ამ ნახაგის შემქმნელი იყო. ისინი ორივენი შეიგრძნობენ სიბრძნეს სიცრუისას.

ხომ კარგია მეგობარო!

მომწონს Юлион из Египта-ს ნათქვამი მირონის შესახებ. გაიხსენე როგორ უყურებდა ხელოვნებას ნაპოლეონი. მასში ესთეტიკის გრძნობა ძალიან მცირე იყო, სურათების დაკვეთებს იგი მეგრობით იძლეოდა, თუკი როდესმე მდეროდა ყოველთვის ფალშივად, მაგრამ უყვარდა იგალიური მუსიკა და განსაკუთრებით, Piano-ზე შესრულებული.

გუშინ მივიღე კიდევ ერთი წერილი. რომენ როლანს¹ ნაკლებად ვიცნობ, მაგრამ მისი „Гёте и Бетховен“-მა ბევრი რამ გამაგებინა მის შესახებ. განსაკუთრებული სტილის მწერალი, გიგანტური შედარებებით, ღრმა ანალიზით და უდიდესი პუმანურობით აღსავსე. მომწერე მასზე ბევრი.

შოთა, მომწერე ყველას ამბავი ვისიც იცი. იყავი კარგად და ჯანმრთელად. გკოცნი არგილერიულად.

შენი ვდიკო

7. V. 43

¹ რომენ როლანი (1866-1944) - ფრანგი მწერალი, სამოვადო მოღვაწე, მუსიკათმცოდნე, ნობელის პრემიის ლაურეატი (1915 წ.).

თედო სახოკიას ავტობიოგრაფიული მემკვიდრეობიდან



თედო სახოკია
სოხუმი, 17 იანვარი, 1899 წ.
სლმ №9810-ი

ცნობილმა ეთნოგრაფმა, ლექსიკოლოგმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ თედო სახოკიამ 1940 წელს ქართული ლიგერაგურის სახელმწიფო მუზეუმს თავისი არქივი უსასყიდლოდ გადმოსცა.

„თედო სახოკია ღარიბ ქოხში დაიბადა, მაგრამ ამ ქოხში ძლიერი იყო ქართული კულტურის გრადიციები“ – წერდა გერონტი ქიქოძე. მდიდარ გრადიციებზე აღზრდილ მწერალს არც შეიძლებოდა ქართული მწერლობისა და ეთნოგრაფიისათვის სათანადო სამსახური არ გაეწია.

მან განათლება ვენევისა და სორბონის უნივერსიტეტებში მიიღო, წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ჟურნალ „ივერიაში“, 1902 წ. საფრანგეთში მყოფი ქართველების არალეგალურ გაზეთ „საქართველოში“, აგრეთვე „დროებაში“, „სახალხო გაზეთში“, „ნოვოე ობოზრენიეში“, „კავკაზში“, „ცნობის ფურცელსა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში, თანამშრომლობდა რომში მიხეილ თამარაშვილთან¹. რევოლუციური მოღვაწეობის გამო ციმბირშიც კი გადაასახლეს, საიდანაც საზღვარგარეთ გაქცევა მოახერხა. 1916 წელს საბოლოოდ დაბრუნდა თბილისში და ლიტერატურულ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ სარბიელზე აქტიური მოღვაწეობა დაიწყო.

თელი სახოკიას კალამს ეკუთვნის არაერთი ეთნოგრაფიული ნარკვევი ქართულ, რუსულ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე. იგი გულმოდგინედ აგროვებდა ეთნოგრაფიულ კოლექციებსაც. აღსანიშნავია, რომ სახოკიასეული კოლექციები მრავალ ექსპონატს შეიცავს. მნიშვნელოვანია მისი შრომები: „როგორ ვიზრდებოდით ძველად“, „კავკასიის ებრაელები“, „შვეიცარიის სოფელი“ ილუსტრაციებითურთ, „ფეგვი და სიმინდი“, „არაბული ლეგენდა ღვინის შესახებ“ და მრავალი სხვა.

მწერალი უდიდეს ყურადღებას უთმობდა ქართულ ზეპირსიტყვიერებას, განსაკუთრებით ხაგოვან თქმებსა და ანდაზებს, მას აღრიცხული ჰქონდა შვიდი ათასზე მეტი ანდაზა. „ქართული ხაგოვანი სიტყვა-თქმანი“, რომელიც 1950 წელს გამოიცა, მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული მწერლობისა და, კერძოდ, ფოლკლორისგისათვის. „ქართული მეტყველების მასალათა შეკრებისა და ერთად თავმოყრისათვის მრუნვა გადაშეკვა კულტად, ჩემი სიცოცხლის მიზნად“ – წერდა თელი სახოკია.

ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია ბოკაჩიოს, ბარბიუსის, მოპასანის, ვოლტერის, ზოლას, დოდეს და სხვათა თხზულებების სახოკიასეული თარგმანები.

თელი სახოკიას ეპისტოლარულ მემკვიდრეობას მკითხველი ნაკლებად იცნობს.

ვაქვეყნებთ წერილების ერთ ნაწილს მწერლის არქივიდან, რომელიც გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება.

ლიანა ღრვიძე

¹ მიხეილ, თამარათი მიქელ (ერისკაცობაში – ალექსანდრე) პეტრეს ძე თამარაშვილი (1858–1911) – ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე.

ძმარ თელ!

შენმა წერილმა ძლიერ მასიამოვნა. ათასი ჭორები მესმოდა შენზედ და მე იმედგადაწყვეტილი ვიყავ, მეგონა, ან ისევ საპატიმროში იყავ, ან სადმე შორს გაგზავნილი; მაღლობა ღმერთს სამშობლოში ყოფილხარ. ჩემო, ძმარ, რა მოგწერო, ჩავევარდი ამ ოხერ კანცელარიაში, „ვითა კამეჩი მორევსა“, და ვეურავ რაღა! ვეღარ მოვიცალე ლიტერატურისათვის; თუმცა დაწყობილი მაქვს რამდენიმე მოთხრობა, ამბები, სცენები, მაგრამ გათავება ვერ ეღირსათ...

შენი წერილის პასუხი, ჩვენ სინოდის კანგორას გაუგზავნეთ მეგრულს ენის შესახებ ჟურნალი; ექსარხოსი და მისი დამქაშები სულ ასკიკუკას თამაშობდნენ თურმე. იმ დღეს გფილისში ვიყავი, გავიგე, რომ ჩვენი ჟურნალი ჯერ სინოდში არ გაუგზავნიათ, შარს გვიდებენ, უნდა ლოცვები სგრიქონ-სგრიქონ გადაეთარგმნათ ქართულად და რუსულად და ისრე გაეგზავნათო; თურმე უკან გვიბრუნებენ ამ უბრალო ხრიკის გამო. ჟურნალში კი უარყოფილია როგორც ლოცვების შეგანა, ისე მათი თარგმნა ქართულ-რუსულად. რას იზამ, ძალა აღმართის მხენელია. ჩვენს ეპისკოპოსზედ ისევ გადაკიდებულნი იყვენენ და ახლა ამ მეგრულს ენის გამო, არ იციან, სად გაუთხარონ სამარე. ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ გრიგოლ ეპისკოპოზი გააძევეონ როგორმე, როგორც ქართველი პატრიოგი, ამას რომ ვერ კვიდებენ ხელს და არ შეუძლიანთ გამოამკლავნონ, გამოჰყავთ სცენაზედ უღირსნი პირნი და აჩივლებენ ვითომ მის, ეპისკოპოზის, უწესო ქცევაზედ. მახლას!!! ესეც არის, რომ ჩვენ ერთმანეთს არა ვმოგავთ, იარაღად ვართ უფროსების ხელში და ჩვენით ჩვენს მოძმეს გვაკვლევინებენ: აი ეხლა ბესარიონ ეპისკოპოზს გადაუთარგმნინებია ლეონიდეს სიგყვა, კრწანისის ველზედ ნათქვამი, დაურთავს ზედ ათასი ცილი და კლიაუზები და ექსარხოსისათვის გაუგზავნია. მე თუ არ მომეცემენ ნურც მასო, ავი ძაღლისა არ იყოს. იმათაც ეს უნდათ: ჩვენც ეს გვინდაო, გულში ამბობენ სიხარულითა. ერთის სიგყვით საშინლად გვეყრობა სასულიერო მთავრობა (უმაღლესი, რასაკვირველია, აქაური).

როცა მოგვივა რამე მეგრულს შესახებ, გაცნობებ, მაგრამ მე ამ ამრის ვარ, რომ იმ ჟურნალს ჩაილურის წყალს მისცემენ და სირცხვილით ვერ გამოჩნდებიან ჯერ-ჯერობით.

მწერ, გამოგიგზავნო სამრევლო სკოლების პროგრამა; ერთად-ერთი წიგნი მაქვს, რომელიც მუდამ მჭირდება. ეს წიგნი მანდაურს სამასწავლებლო საბჭოს ექნება („учительский совет“), სთხოვე და გათხოვე ბენ. აი რა წიგნია: „Сборник правил и программъ для церковно-

приходных школ и школ грамоть“, Д. Тихомирова. კარგა მოზრდილი წიგნია და ყოველის ფერს იპყრობს შიგ, ე. ი. როდის რა უკაში, დადგენილება და სხვა ამისთანანი ყოფილა.

თუ შეიძლება გფილისში წასულის დროს აქეთ გამოიარე და პირ-დაპირ ჩემთან მოდი თუ გიყვარდე.

მე ათში ქუთაისში ვიქნები გაბრიელის დასაფლავებისათვის, დიდი საერო ამბავია. ძალიან არ მოსწონს თურმე ექ-ხოსს...

მომიკითხე, თუ იცნობ, ანთიმომ ჯუღელი... ჩვენებმა მოგიკითხეს, უნდა ნახო რა ბიჭები მყავს...

შენი სოფრომ მგალობლიშვილი¹

ბატონო თელო!

ჩემი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა პირველი სექტემბრიდ-განა. „РУССКОЕ СЛОВО“-ს მაგიერ ყველა სადირექციო სკოლებში მთავრობამ იწყო გზავნა ჩერნიაესკის წიგნისა, სასულიერო მთავრობამ აღარ გამოიწერა ქართული სახელმძღვანელოები არც ჩემი და არც სხვისა, აგრეთვე „РУССКОЕ СЛОВО“, – ვითომდა უფულობის გამო. ამის გამო ჩემმა შემოსავალმა ძლიერ იკლო და იძულებული ვარ ცალკე სადგური დაველოო და ნომერში გადავიდე. წერა-კითხვის სამოგადოებასაც წლეულს დიდი ღეფიციტი აქვს და ვერ მოახერხებს შემწეობა აღმოგიჩინოთ იმ სასარგებლო საქმისათვის, რომელიც განგიზრახავთ. მეტი გზა არ არის, თქვენი სურვილის შესრულება უნდა სხვა, უფრო ბედნიერის, დროისათვის გადავლოთ, ვწუხვარ დიდად, რომ ასეთს უსიამოვნო პასუხსა გწერთ. იმედი მაქვს არ დამემღერებიო.

თქვენი ერთგული იაკობ გოგებაშვილი²

ჩემო ბატონო თელო,

უკაცრავად, ამდენს ხანს გყუილად გაცდევინე, მაგრამ რა ვქნა, რომ ხელაე თქვენი სანაგრელი პასუხი ვერ მომიწერია.

მეც დიდ ხანს ველოდი ბიბიკოვის წიგნს და მოთმინება რომ აღარ იყო, დაეჯე და მიეწერე, საქმეს ამით მაინც ვერა ეშველა რა. პასუხი

¹ სოფრომ მაქარიას ძე მგალობლიშვილი (1851–1925) – მწერალი, ხალხოსანი.

² იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი (1840–1912) – პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, კუბლიცისტი და საბავშვო მწერალი.

აქამდის არ მომსვლია. ცხადია, იმასაც ვერა გაურიგებია, და გუბერნატორს უთუოდ გადაუწყვეტია, სთხოვოს ვოლიცინს ქალაქის თავი უარჩევნოდ გაამწყვოს, თორემ აქამდის, რასაკვირველია, ბრძანებდა არჩევანი მოეხდინათ.

ჩვენი გუბერნატორი ამ ორის დღის წინად ქალაქიდან დაბრუნდა და მიამბო, პერშელმანი ვნახეო, თქვენზე მელაპარაკა და მეც ძალიან გაქეო. ეს კი შევატყე, რომ თქვენი ცენზი ძალიან აწუხებსო, ფიქტიური არისო. რას აპირებს-მეთქი, დანიშნავს არჩევანს თუ არა? ეგ ვერ გამოეკითხეო, მიპასუხა, იმის საქმეში ვერ გავერევილიო, ჩემი ახლო ნაცნობი არ არისო.

ამის მეგი არა ვიცი რა.

თქვენი გამოგზავნილი ცნობა მთავარმართველის უფლების გავრცელებამე ქალაქების ხმოსნებისა და თავის შესახებ, აქ უფრო ადრე მივიღეთ და, სწორედ გითხრა, ძალიან დამაღონა მაგ ამბავმა, და იმედიც გადავიწყვიტე. ღირს განა სადმე სამსახური და ჯაფა ხმოსანისა, გინდ ქალაქის თავისა? მუდამ გუბერნატორის ხელში ხარ და მუდამ შიშში უნდა იყო, რომ ვინმე უნამუსო რუსმა დაგაბეზლოს და პანდური ამოგკრან. ახლა პრისგავის თანამშემწის თანამდებობა უფრო საპაგიო გახდა, ვინემც ქალაქის თავისა. ვერც იჩივლებ, ვერც თავს გაიმართლებ, დაგითხოვენ იმ შიშებით, რომ შენი სამსახური სახელმწიფო ინტერესს არ ეთანხმებაო! რაღა საქმის ხალისი ექნება მაგ მდგომარეობაში მყოფს კაცს? თქვენ მანდაურებს, როგორა გვონიათ?

*თქვენი პატივისმცემელი და კეთილის მოსურნე
ა. სარაჯიშვილი¹*

ჩვენებს დიდი მოკითხვა. პეტრესა და ანთიმოზს – ცალკე.

18 მკათათუეს 99

განჯით

თელო ჩემო!

როგორ ხარ, ფეხი მოგირჩა თუ არა? რასა იქ, არიგებ რასმე მანდ – თუ ოცნებობ?

პროგრამა ჩვენი უბედური გაბეთისა არ არის – უარი მომივიდა

¹ ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი (1851–1914) – მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

პეტერბურგიდან. ყველას უარი შემოუთვალეს და მათ შორის მეც. უნდა საქმე ისე არის დაყენებული, რომ მე უთუოდ უნდა წავიდე პეტერბურგში და საქმე გავარიგო. თებერვლის პირველ რიცხვებში პეტერბურგს მიდის მთავარმართებელი თავის კანცელარიის ღირექტორით. მეც მაგათ უკან ავედევნები ერთი კვირის შემდეგ და თუ რასმე გავხდი ხომ კარგი, თუ არა და ეს ხომ მეცოდინება რა არის დამაბრკოლებელი მიზეზი? თუ პროგრამა არ გამოიღდეს, ვეცლები დამაბრკოლებანი მომცენ... ეგ იქნება უფრო სასიკეთო გამოვიდეს... ასე თუ ისე, ივრელებისა არ იყოს „ნაფხით“.

ჩემს აქ არ ყოფნის დროს, ხომ იცი ისედაც უბადრუკ „ცნობის ფურცელს“ რა მოელის; თუ კიდეც ოდნავ სული უდგას და რასმე ჰგავს, ისევ შეერთებული მეცადინეობის წყალობით... ერთის სიგყვით უვირისთავოდ ქორწილი არ იქნება და უშენოდ კიდეც ჩემს გაზეთს არა ეშველება რა ჩემს არყოფნის დროს... მიხვდი?

მაშასადამე, როცა მე დავაპირებ წასვლას, უთუოდ შენ მოგწერ დეპეშით და უნდა ჩამოხვიდე, თუ შეგიძლიან და გეხერხება ბევრის მიცემა, იცი, არ შემიძლიან, მაგრამ „სურსათის“ ფარა გექნება. შენ იქნები და კოწია. ოფიციალურ რედაქტორად არ ვიცი ვინ დავაყენოთ, ან ვის მიიღებს კომიტეტი საცენზურო. შეიძლება ჩვენი რედაქტორი დაიწუნონ, ესეც ერთი თავსამგვრევი საქმეა. მე მგონია ისევე ვასილ სულხანიშვილი სჯობია, როგორც უკვე რედაქტორად ყოფილი („მეურნე“) ან რედაქციისაგანაც ახლოს არის ბანკში. ან იქნება გიორგი გვაზავა, ერთის სიგყვით მაგას მე და შენ გადავსწყვეტო, თუ კი საცენზურო კომიტეტი შეიწყნარებს ჩვენს რედაქტორს.

უხლა ახალი ამბავიც. გუშინ ილია ჭავჭავაძემ დამიძახა და დიდხანს მელაპარაკა შეერთებაზე... შევაერთოდ „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“... მე არც ჰო, არც უარი ვუთხარი და განვმორღით ერთმანეთს მითამ მოსაფიქრებლად. ეს, შენც დამეთანხმები, ჩვენთვის კარგი ნიშანია... რა თქმა უნდა შეერთებაზე ჯერჯერობით, სანამ რაიმე ღონე შემწევს, ფიქრი და სჯა მეგია... ამას საიდუმლოდა გწერ. ნურავის ეგყვი...

თუ ღმერთმა იპრიანა და ერთი საქმე მოვახერხე, მაშინ საქმე ქულშია (ვერაფერი ქართულია, თუმცა თარგმანი კი სწორია რუსულიდან)! მაძლევენ ნაღდს 5. 000 მან. იქნება გარიგდეს საქმე და მაშინ სტამბა, გაზეთი და წიგნები, ჩვენი მეცადინეობა, შრომა და წარმატება. მეგი რალა გვინდა. აქა იქ ლაპარაკობენ, რომ „გამომც. ამხ.“ გამგებლად ვალიკო კარგი იქნებოდაო. და ზოგმა კიდეც მთხოვა. მე უარზე ვარ, იქნება არც ამომარჩიონ, მაგრამ მაინც ჭორებსა გწერ. თუ ეს საქმეც მოხერხდა,

უმუნოდ არ ვიკისრებ. რა ძნელია ეს ოხერი ერთგული კაცის პოვნა. მართალია, შენ დიდი „ფირახვოტი“ ხარ, მაგრამ იმედია გამიგან და მეც ამის მეტი არა მინდა რა. მაშ ასე, ამ წერილის მიღებისთანავე პასუხი – შენი ამრი, რათა მეც ჩემი თავდარიგი დავიჭირო.

შენი მოკეთე და მეგობარი ვალერი გუნია¹
21. I. 1898

ძმაო თედო!

დიდი ხანია მინდოდა პასუხი მომეწერა თქვენთვის, მაგრამ ავადმყოფობა მიშლიდა. ესლა ბევრით უკეთა ვარ, ჭრილობაც თითქო მთელდება და კალმის აღებას ისე აღარ მიშლის.

თქვენი გამოგზავნილი ხეები მივიღე, მეორე დღესვე ჩავარგვევინე ბაღში და აი, დღეს დავათვალიერე, რადგან ამინდმა ნება მომცა პაერზედ გასვლისა. ჩაის ბუჩქის ფოთლები ჯერ კიდევ მწვანეა, ინლოურ მცენარეს არა ეგყობა-რა, და ხურმას, ორივეს ფოთოლი გამოაქვს, კოკრები უჩანს. იმედია, ეს ხილები იხიერებენ და თქვენს სახსოვრად დავგრჩება.

დიდად მაღლობელი ვარ მოგონებისთვის, მაგრამ ვინ იცის, რამდენს შესწუხდებოდით ამაების გამოგზავნაში.

შეიცვობდით აკაკის ავადმყოფობას. ქუთაისშია თოფურიას საავადმყოფოში და აწუხებს თურმე ძალიან გულის ავადმყოფობა – ГРУДНАЯ ЖАБДА. ესლა კი უკეთ არის.

ჩვენებმა მრავალი მოკითხვა გიძღვნესთ. პაგარები ძალიან გიმაღლიან ხეების გამოგზავნისთვის.

თქვენი მარად ერთგული ი. მაჩაბელი²
10 ოქტომბერი, 1896 წ. თბილისი

დიდად პატივეცემულო ბატონო თედო,

თქვენი წერილი გვიან მივიღე, რადგან სოფელში ვიყავი და აი, ვჩქარობ პასუხის მიწერას. მომიტყევებთ, იმედი მაქვს, ამის გამო პასუხის დავგვიანებას.

ბანკის საქმე პეტერბურგში ჯერ არ გადაწყვეტილა და დიდი იმედია, რომ ამ თვის ბოლომდე ასე თუ ისე გადაწყდება. ორბელიანი ისევე

¹ ვალერიან ლევანის ძე გუნია (1862–1938) – მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, კრიტიკოსი, თეატრალური მოღვაწე.

² ივანე გიორგის ძე მაჩაბელი (1854–1898) – მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი.

პეგერბურღშია და სანამ არ გავათავებ, ფხს არ მოვიცვლიო. მოწერა
კი იმისი, რის იმედები გვაქვს, ან რას ფიქრობენ ზოგიერთნი გავლენიანნი
პირნი, მეტი იქნება, რადგან ადვილად შესაძლებელია იმედიც გაგვიცრუ-
დეს და გავლენიან პირებსაც სიტყვა არ შეუსრულდეთ.

ახლა სოხუმის თაობაზედ აი რა უნდა მოგახსენოთ. სწორე გითხრათ,
მეც, ჩემი სახლობაც, ძალიან მონდომებულნი ვართ, რომ გავშორდეთ
აქაურობას და მყუდროდ სადმე შევეუდგე მოღვაწეობას. შევიძლებ თუ
არა პირიანად მინდობილის შესრულებას, არ ვიცი, წინდაწინ ვერას
დაგპირდებით, მაგრამ ამამზედ კი სიტყვის მოცემა შემიძლიან, რომ ყოველ
ჩემს ღონისძიებას დავასრულებ, ხალხის მინდობილობას არ ვუმტყუნოთ,
მით უფრო რომ ქართველობას უფრო მაგისტანა განაპირებში, როგორც
სოხუმშია, გვამართლებს პირნათლად თავის გამოჩენა. ვიმეორებ, თუმცა
სურვილი დიდი გვაქვს, მაგრამ ბანკის საქმის გათავების შემდეგ შეიძლება
გარემოება ისე შეიცვალოს, რომ ხელფეხი შემიკრას და ქალაქიდან აღარ
გამიშვას; იქნება ჩემმა ამომრჩევლებმა ზნეობითაც დამავალონ აქედან
ფეხი აღარ მოვიცვალოთ ჯერ-ჯერობით მაინც. საქმე ჯერ ასეა და ამის
გამო ამ თვის ოქტომბრის გასულამდე უნდა მოვიცადოთ. მაშინ კი, ვგონებ
გადაწყდება საბოლოოდ და გადაწყვეტილის პასუხსაც მოგვემთ. მანამდის
მაინც ხომ მანდაც არა არის რა გადაწყვეტილი; ხმოსნები არ დაუმტკი-
ცებიანთ და თუ არ დაამტკიცეს, ვინ იცის ახალი არჩევნები რას იგყვის.
თქვენ თუმცა მითხარით, რომ ახალი არჩევნები კიდევ უფრო გაგვამაზ-
რებსო, მაგრამ ესეც რომ იყოს, საქმე უჭვეელია, იანვრამდე ვერ გათავდება.

მრავალი მოკითხვა ჩვენებისაგან.

*თქვენი მარად პატივისმეყმული
ა. მახაბელი*

*1 იანვარი, 1916
6, rue Blainville
Paris
ალ. ჭიჭინაძისადმი*

*დიდათ პატივემულო ბატონო ალექსი¹,
დიდის ხნის უნახავს მრავალს სალაპს მოგახსენებთ და მდაბლით
თავს დაგიკრავთ.*

ამასთანავე ნება გვიბოძეთ ჩემი გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ

¹ *ალექსანდრე ბესარიონის ძე ჭიჭინაძე (1851-1917) – პედაგოგი, სამოგადო მოღვაწე.
გამეტ „ღროების“ ერთ-ერთი დამაარსებელი.*

თქვენის ესოდენ თავგამოდებულ მუშაობისათვის ქართულ ენაზე სამეცნიერო მწერლობის შესაქმნელად ჩემსებ შორს უნდა იყოს ადამიანი სამშობლოსაგან, რომ სავსებით გაითვალისწინოს, თუ რა დიად საქმეს ეყრება საძირკველი ჩვენში. დარწმუნებული ვარ, მთელი შეგნებული ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა მხარში ვიდგათ და ყველანი სასოებენ, რომ როგორც იქნება, ეღირსებათ ქართული სახელმძღვანელო წიგნები და შეეძლებათ განათლებას ეზიარნენ სამშობლოს ენის სამუალებით.

თქვენის თავმჯდომარეობით მომუშავე კომისიის ნამუშევარი წავიკითხე „სახ. ფურცელში“ და ამ კომისიის წევრების ხმას ჩემს ხმასაც ვუერთებ. ჩემი შენიშვნა იქმნება, ზოგი-რამ გამოიყენოთ რაშიმე. თუ საჭიროთ დაინახეთ, გაზეთებშიც დააბეჭდინეთ ეს მოხსენება.

კვლავ თუ რაშიმე გამოგადგებით, მზად ვახლავართ.

ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს თქვენი თავი ახალთაობის სამაგალითოდ.

*მარად თქვენი გულწრფელად პატივისმცემელი
თელო სახოკია*

ნ. ჯანაშიამ¹ მრავალი პატივისცემა მოგახსენათ.

¹ ნიკოლოზ სიმონის ძე ჯანაშია (1872–1918) – საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი.

წერილები არაკლე გაბიშვილის არქივიდან

ქართული კულტურისა და ლიგერატურის მოამაგის, პოლიგლოგის, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტისა და მთარგმნელის¹ ერეკლე (ირაკლი) დიმიტრის ძე გაბიშვილის (1884–1946) ეპისტოლარული მემკვიდრეობა ქალბატონმა მზია გომელაურმა² 1999 წელს უსასყიდლოდ გადმოსცა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიგერატურის სახელმწიფო მუზეუმს.

ერეკლე გაბიშვილი მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება ვახლდათ. გორში მიღებული დაწყებითი განათლების შემდეგ, 1904–13 წწ. სწავლობდა პეკერბურგის, გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის უმაღლეს სასწავლებლებში. 1914–18 წწ. კი თავად ასწავლიდა სტამბოლში ფრანგულ ენას.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1923 წელს, (ივანე ჯავახიშვილის მოწვევით) ერეკლე გაბიშვილი თბილისის უნივერსიტეტში საერთაშორისო საჯარო და საერთაშორისო კერძო სამართლის კურსს კითხულობდა, 1927 წლიდან ასწავლიდა ინგლისურ ენასა და ლიგერატურას, ხოლო 1935 წელს დააარსა უცხო ენათა კათედრა. „სამეცნიერო ხარისხი ოფიციალურად არ დაუკავს, მაგრამ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ გამორჩეული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მაინც მიანიჭა ჯერ დოცენტის, შემდეგ კი პროფესორის წოდება“ (რ. ჩხეიძე).

40-იანი წლების რეპრესიებსა და დაპყრობის ვერც ის გადაურჩა. გათავისუფლების შემდეგ, უნივერსიტეტში აღმოსავლეთის დიპლომატიის კურსს კითხულობდა. სულ მალე, 1946 წელს, გარდაიცვალა კიდევ. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ერეკლე გაბიშვილს იშვიათი დამოკიდებულება ჰქონდა თავის აღსამრდლებთან, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. აღსანიშნავია ბატონი ერეკლეს ურთიერთობა პოეტ ნიკო სამადაშვილთან (1905–1963), მან რამდენიმე ლექსიც კი უძღვნა თავის მოძღვარს.

ვაჭვეყნებთ ერეკლე გაბიშვილის წერილებს ახლობლებისადმი, მათ შორის – ნიკო სამადაშვილის არქივში დაცულ ერეკლე გაბიშვილის ორ წერილსაც.

კვატერინე ვრიგოლია

¹ მას ეკუთვნის ნიუმის „ესე იგყოფა მარატუსკრას“ ქართული თარგმანი.

² მზია ლამარეს ასული გომელაური – ერეკლე გაბიშვილის დისშვილი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

*ხალაში ნიკოს!*¹

„ო, რამდენი ფარდები, რამდენი საფარები, რამდენი ღურღუანები, რამდენი ბექობები გააჩნია ამ ცარიელ და უფერო ცხოვრებას“ – ეს შენი სიკვებია. და რა იქნებოდა უამისოდ ეს ცარიელი სიცოცხლე? ვინც გაბედა და სიცოცხლეს თვალეში ჩახედა ვითღა იცოცხლებდა თავს თუ უტიფარ თვალეებს იქით ათას ჭურღმულს, ათას მწვერვალს, ათას ლაბირინტს არ დაინახავდა. მხოლოდ ოდიპუსები სცნობენ სფინქსის საიდუმლოებას, სცნობენ და სფინქსი თავს მოიკლავს: ძე-კაცისა განსჭვრეტს, რომ მისი საიდუმლოება არარაობა იყო და ოდიპუსი გაპყვება თავის გმას, არარაობის გმას, უსაწყისოს, დაუსრულებელს და რას არ ნახავს, და რომ არ ნახოს თვალეებს დაიხრის. ესე მდიდარია სიცარიელე ოდიპუსებისათვის. რას სჩივი თუ შენც ბელის ადამიანი ხარ, უსახლკარო, ეული, თუ შენც გეშხილა სიცოცხლის სიცარიელე, თუ შენ თვალწინ მარად ახალი სანახაობა იშლება. უჩივი ბელს რომ შენც სფინქსის თვალეებში ჩაგახედა და მათ გაღმით ქაოსები დაინახე? ხედავ საფარებს, ხედავ ფარდებს ბნელი ჭიაგებით, კვლავ იკვლევ, კვლავ ფარდები, კვლავ საფარები, კვლავ აღმართები და ეს მოგწყინდა და ჰკოდებ, მოგწყინდა არარაობის უდაბნოში ხეგიალი, ცარიელეების მირაკები, ეძებ ადამიანს და მოჩვენებას ჰპოვებ. და სხვა რა არის ადამიანი თუ არა მოჩვენება, ან რას უნდა ხედავდე უდაბნოში გარდა მოჩვენების? ამოღ ეძებ შენ ადამიანს – სიმართლეს და გგონია კიდევ მოგჯერ ჰპოვებ. რასაც ჰპოვებ – მხოლოდ ბინდების კონტურებია და თუ კვლავ კონტურებ შორის ეძებ კვლავ კონტურებს აღმოაჩენ და ესე დაუსრულებლად სანამ წახვიდოდე „სით“ და ვერ გაიგო „საიდან“. შენ ეძებ ადამიანს – ჭეშმარიტებას: ვინ ჰპოვა, ან ვის შეეძლო. ვერ ხედავ, თვალუწვდენელ ციყაბ კლდესთან ხარ და არ ვინდა უკან მოიხელო – ის რაც ადამიანს დასაბამიდანვე აწუხებდა, ის პილაგუს სამსჯავროში გადაწყდა და გადაწყდა ერთი კითხვა-პასუხით წარმართ რომაელის და ქრისტიან ქრისტეს გამოხმაურებით. – საწუთროს კიდეთა კიღით ვაპკივის: „და რა არის ჭეშმარიტება“ და საწუთროს ჭურღმულიდან უპასუხებს: „მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება“. მსაჯული და ბრალდებული მაწანწალაყ ერთნაირად სწყვეტენ ადამიანის გრალიკულ კითხვას – და რა არის ჭეშმარიტება ჩემ გარეშე? – არაფერი, უპასუხებს ქვესენელი, შენ ხარ ჭეშმარიტება. არა, ნიკო, ქრისტე არ აჩქარებულა და აქ არც შემცდარა, მან ერთი გრძნული გახედვით განჭვრიტა მარადიული საკითხი და სთქვა ის რის თქმასაც ასე აშკარად ვერავინ ბედავდა: მე ვარ ჭეშმარიტება და ამის იქით გზა-კვალი არ მოსჩანს, ქაოსია და მოჩვენება, შენც მოჩ-

¹ სტმ №26604 V2, ნიკო სამადაშვილის არქივი.

ვენებათა შორის მხოლოდ მოჩვენება, უკუნეთ ქაოსში უკუნეთ ფერადებით აღანდული ყოფის მიერ შემოგყუებული: გაგინებენ, გაამებენ, განეგარებენ, დაგწიხლავენ, გაგაწბილებენ, გაგირებენ, გალოცებენ, ამღერდები სიამით, დასტკბები ნეგარებით; იგალობებ მწუხარებით, აბუტბუტდები ლოცვებით... და არა იმიგომ, რომ აჩქარდი შენ, ქრისტე თუ სხვა, არამედ: სიცარიელე კუზიანი არარაობაა, მოჩვენებათა სამყარო... და თვალებს დაითხრის საბრალო ოელიჰუსი და მშვიდად გაპყვება კითერონის ნაპირებს კოლონისაკენ რათა მარგოდ-მარგო, ადამიანთა უხილავად მიჰბარდეს საითს. შენც, მეც, სხვებიც მოჩვენებათა გაუვალ წრეში ვართ, თვალთ დავითხრით, შენი არ იყოს, ყურთ რა უყოთ? არც შემბრალე ანგიგონა გვინდა, ჩვენი თავი ჩვენ ვზიდოთ, დაგვბრუკოს მზემ, [დაგვგანჯოს]

ლამემ, გაგვთიმოს ყინვამ, გავყვეთ ჩვენი კითერონის ნაპირებს, ჩვენი საითისკენ და თუ გზად ათასი მოჩვენება შეგვეყაროს, ფეხით ხეგიალს ჩვეულთ რაშები შემოგვთავაზონ ჭეშმარიტებისაკენ, დაგველრიჯონ, დაგვეპრანჭონ, გაგვაწბილონ – ნუ შევჩერდებით, ფეხს ნუ აურევთ – ვიხარებდეთ, ვბუტბუტებდეთ, ვსტიროდეთ რომ ჩვენს უდაბნოში ბედმა ამდენი სანახაობა გვიწყალობა, ვეძიებდეთ მცირეოდენთა ნაცნობ, საყვარელ კონგურებს, ვლალობდეთ, ვსვედიანობდეთ, თავს ვივიწყებდეთ და მუდამ ფეხით – ჩვენი კოლონისაკენ, ჩვენ ჩრდილიან ჭალებისაკენ. და თუ ბედმა ესეც წაგვართვას, საყვარელ ჩრდილებს გზა აურიოს, უდაბნოს ნისლში ერთმანეთს სმა ველარ მივაწიოთ – ვლიდეს ძე-კაცისა, დაბინდული, გაგანჯული, გზაბნეული სულ მარგოდ და მისი მეგბური მოჩვენებათა კორიანგელში იყოს მოგონებათა მღიმარე ცისარგყელა. ვით გავიკითხოთ გზა აბნეულნი, რომ მაცდურმა ჭეშმარიტებამ შეიგყუა,



*ერეკლე გაგიშვილი, ვორი, 1924 წ.
სლმ № 14625-ი*

მზიანი შარა გზებით მოხიბლა, დააჯერა [...], ჯოგთა სიმართლეს დაუხშო სმენა და აღარ ესმით ხმა ქამთა და სივრცეთა სიყარიელეში რომ წიოკობს: „და რა არის ჭეშმარიტება?“ და არც მისი პასუხი; იარონ შარებით, სულ ერთია ისიც საითით მიეშურება და თუ ცისარგველაც, წარმატაც მოგონებათა [...] ბნელეთში შეიგყეუებს, გაჰყევს ეული თავის ბილიქს უსაყვედუროდ, სულ უმეგზუროდ, უსინანულოდ, თვით გაითხაროს თავის სამარე – შევებისა თუ რის? ამას ვინ ეგყვის.

ირაკლი
7. VII. 40

სალამი ნიკოს¹,

არ მეგონა მოგწერდი შენი უქმური პასუხის შემდეგ: „კარგი ერთი თუ ღმერთი გწამს, შენც ქაშანურასავით ნუ დამიწყებ ხოლმე“. ამ კრამანათა ბუღისაგან გრამეაის გაჩერებასთან რომ მითხარი, „ხოლმე“, ყველაზე უაზრო უგიფრობით შემოიჭრა ჩემი ყურის ღრუში და ისე მოიკალათა, რომ გამოსვლას აღარ აპირებს. მართლაც, საბრალო ქაშანურა შენ ხელში! შენმა ტკბილმა ენამ მოუსწრაფა მას ღღენი, თორემ განა საიქაოსი რა სჭირდა, ყურთ არ აკლდა და თვალთ და ხიდისთაურის მაღაც კარგი ჰქონდა. ამიგომ იყო, რომ თავისი გვარ-ვენახ-ხოლაბუნები შენ დაგიმტკიცა. მაგრამ ერთი კრამანა რა ნობათია, მაინცდამაინც კმაყოფილებით ნუ გასიედეები, ისედაც თანდათანობით კოპწია ჩანხარ, სამარშინიან ვერცხლის ქამრის გარდამავალი პრიზის ღირსეულ კანდიდატად სრულდები. შენი კრამანა აქ ერთი ათასად იმრავლებს, პაგარა სოროში ველარ დაეგევა და გუნდ-გუნდად ისეუ შენსკენ იზამს პირს; მაშინ ნულარ დაიწყებ ცქმუტვას და მზარეულიაანთ მურასავით უშნო ღრენას, შე ქოფაკო, შენა... ჰოდა, ხანამ შენი კრამანა აქ იყრის და იმატებს, მოგახსენებთ... გაგშორდი და წავედი აღთქმული პაპიროსების საძიებლად. რასაკვირველია, ნათესავი კაცი სახლში არ დამხვდა და რაც უფრო სამწუხარო იყო, არც პაპიროსები დაეტოვებინა. ასეთია „შენ გენაცვალოს ჩემი თავების“ დაპირება. ვიმგზავრეთ დიდი შეწუხებით, მაგარებელში ნამღვილი ზედახორა იყო და ხორხოცი. ვიდაც ბავშვიანმა ქალმა, უსინდისო ჩიბუხა ცხვირით, ისარგებლა ნუკრის² გავლით სად-

¹ სლმ №26604 V/1, ნიკო სამადაშვილის არქივი.

² ვივი (ნუკრი) ერეკლეს ძე ფერაძე (1919-1995) – ფილოლოგი, იურისტი. ერეკლე ტატიშვილის დის – ქეთევან ტატიშვილის შვილი; ნუკრი ერეკლე ტატიშვილმა იმეფა და გაშარდა.

გურში, დაეუფლა მის ადგილს, ბავშვი ფანერის კოლოფზე მოათავსა და ის იყო გაუცდით თბილისს, ბავშვმა გასაოცარი სიუხვით ჩაისვარა... აბა, რაღა ვითხრა – უკას, დედა კი ბავშვის ავადმყოფობით გვანუგეშებდა. შენ, რასაკვირველია, გაგეყინება, ამგვარი სცენები შენთვის სანუკვარი – ენაცვალოს მამა თამაშს¹. ყველაფერი ეს შენი ბრალია, ნუკრისათვის გირჩევია რბილის ბილეთებს ნუ იყიდი, სიციხით დაიხოცებითო. ახალდაბამი კი, ღმერთმა მოგვხედა. ჩამოვედით თუ არა, ავგომობილი დაბარებულევით მოადგა სადგურს; ჩემ დანახვაზე შოფრის თანამემწე გადმოხგა, ადგილი დამითმო, სულელი, ნეტავ რისთვის შეიწუხა თავი, ჩავჯექი და იალა ვრილ სავანისაკენ. მანქანას ვილაყის ძალი აედევნა და ისეთი თავგაპეგებით გარბოდა წინ, გეგონებოდა ჩაფარია და სოფლელებს უნდა პრისტავის მოვლენა აცნობოსო. ოცდახუთი წუთის შემდეგ უკვე ჩემი სასახლის აივანზე ვიდექი. ნებე ისევ ნებეია. აქ რომ მოვდივარ, ისე ვგრძნობ თავს, როგორც კიპლინგის² მოთხრობების ავაზა მას შემდეგ, რაც ოდიპურის მეფის გალიას თავი დააღწია და თავის ჯუნგლებს მიაშურა და განა ჩემი გალია ყველაზე უარესი საკანი არ არის, ყველა გალიაზე უარესი გალია. ორი ოთახი, მდუმარე გყე – რა სახსენებელია ფილიპე მეორე თავის ორ ათას ოთახიან ესკორიალით, ან რომის პაპი თავის ვატიკანით. საუკუნოებით შეიძლება იჯდეს ადამიანი ნებურას³ პირას, უსმინოს მის მარად დაუმთავრებელ ზღაპარს, გაპყვეს მის მდინარებას, სულერთია წრეში ბრუნვისაკენ, წრის უსასრულობისა, თუ წრის გეხილებისაკენ და თავბრუდასხმული ხედავდეს სიმშრებს, ყოფის სიმშრებს უკამო ყოფის ყოფას. ავაზა ბაგირა საღაღაც [-] კლდეებზე, ფილიპე თავის ესკორიალში, რომის პაპი ვატიკანში, ეს ნებურა, გყე, ეს კვამლი, იქ ჩემი ბაღლინჯოები – ყველაფერი ყოფის მზანებაა, მარადიულ კორიანტელში ჩაბმული არარაობის ფერხული, ქროლვა ყველა მხრით და არსაით. სტრადფორდში გამოცემული შექსპირი, ფარვანა ამ ღამფის შუქს რომ ეხეთქება, ცხრა ძმა ხერხულიძე სამშობლოსათვის თავდადებული, ორი ვარია დღეს რომ წუთისოფელს გამოასალმეს ჩვენი მადის დასაკმაყოფილებლად, პლატონი⁴, კანტი⁵ თავიანთი აზროვნებით, ეს

¹ თამაშ სამადაშვილი – ნიკო სამადაშვილის უფროსი ვაჟიშვილი.

² ჯომფუ რადიარდ კიპლინგი (1865–1936) – ინგლისელი მწერალი. 1907 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი.

³ ნებვისხვეი, ნებურა – მდინარე თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ბორჯომის რაიონში, მტკვრის მარჯვენა შენაკადი.

⁴ პლატონი (ძვ. წ. აღ. 428/427– ძვ. წ. აღ. 348/347) – ბერძენი ფილოსოფოსი.

⁵ იმანუელ კანტი (1724–1824) – გერმანელი ფილოსოფოსი.



ერეკლე ტატიშვილი
სლმ № 14680-ი

კალამი მე რომ ვწერ, ალექსანდრე მაკედონელი¹, მეეზოვე ისაკა, მამალი საქმეს რომ მიჭირებს თავისი ხშირი ყივილით – ერთნაირად როკავს, გინდა-არგინდა როკავს. ხარისხისათვის, დიდებისათვის, კმაყოფისათვის, სახელისათვის, სიყვარულისა თუ მძულვარებისათვის, ადგილისათვის ბრძოლა ამ დიდი [ფერხულის], ამ დიდი ქროლვის, ამ დიდი როკვის სელებია – საიდან დაგიბერს, საით გაქროლებს, სად სოლოდ გაეცეკვებს, ან სულ რაღაც ქაოსში შეგითრევს და აღარ სჩანხარ და ისე ცეკვავე გინდა-არ-გინდას... ასე ზღაპარს მიაშობს ამ შუალამისას ჩემი ნებურა და ხელს არ მიშლის წერას ყბედი მოწვეუნებასავით, რომლის ნაცნობობით შენ გამაბედნიერე. და ვუსმენ და ვერა ვძლები მასთან საუბრით. ჭეშმარიტად უყურო უნდა იყოს ადამიანი, ყური მოჰკრას მის არაკებს და არ დასტკბეს; უგულო, რომ

ის გულით არ შეიყვაროს; უოცნებო, რომ მის მდინარებას არ გაჰყვეს სიმშრების სამყაროსაკენ გალობით დიდი ფერხულებისაკენ. მაგრამ შენი კრამანა „ხოლმე“ მაინც იბარტყებს, თემურ ლენგის ურდოებისავით შემოგესევა და მაშინ შენ, ნებურაც ვერ გიხსნის მათ მწვავე საწერტელისაგან. ეხლა სათვალეები მოიხსენი და სთქვი შეღავათისათვის და, ჩორგ ეგო ვომში.

ირაკლი
მისამართი: სადგური ახალდაბა, სოფ. ნუბეი
23. VII. 40

მომწერე აკაკის² მისამართი, არც ქუჩა ვიცი, არც ნომერი.

¹ ალექსანდრე მაკედონელი (ძვ. წ. აღ. 356 – ძვ. წ. აღ. 323) – ალექსანდრე დიდი, მეფე, ძველი სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი და სამოგალო მოღვაწე.

² აკაკი კირილიძე ანდრიაშვილი (1904–1992) – კომპოზიტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

გამარჯობა ბატონო ირაკლი!

ეს, ეს არის ბორჯომიდან ჩამოვედი და შენი წერილი დამხვდა.

მადლობა ღმერთს! რახან ნეტურამ მაინც შესძლო შენი დამშვიდება, დამოშმინება და ზღაპრული ნეტარება.

ეკ მდინარე შენს ბუნებას ძლიერ ჰგავს და ამიგომ არის, როცა ერთად შეიყრებით ხოლმე, ბავშვებივით ლალობთ და გიხარიათ; ცმუკავით და ნაევარდობთ, ბოდავთ და ხითხითებთ, შენ აივანზე და ის კი რიყებზე.

მადლობა გამჩენს, რომ ნეტურას მაინც შესძლებია შენი „გამოთრევა“ წუთისოფლის ვარამშოდებული საკანიდან.

საოცარი ხარ, საოცარი, ჩემო ფასკუნჯო. ხან მომთმენი, ხან ბუკია; ხან ვზნების დიდი სამრეკლო, ხან კვერნაკი; ხან სიციოცხლისა და სიკვდილის დახშულ ქედებს შორის ჯანყივით იყი ჩამოწოლა, ხან ცხოვრების მრისხანე გაღლები ისე შეგადრწუნებენ ხოლმე, რო გემბანზე ვეღარ ჩერდები და „კაიუტაში“ იკეგები.

ამიგომ არის, ზოგჯერ მამალი მგლისაც არ გეშინიან და ზოგჯერ „ხოლმე“ პირკატასავით გეცემა *ხოლმე*.

ამიგომ, მე რო მხატვარი ვიყვე – ფერწერის ოსტაგი, შენ პორტრეტს სულ სხვანაირად დაეხატავდი, სადაც დაოსდებოდი ჯერ სიცილით, მერე გირილით და შემლილივით დიდხანს, დიდხანს იბუშღუნებდი.

ეს იქნებოდა ორნახადი ადამიანი, ესე იგი ორჯერ გამოხდილი იმ საარაყე ქვაბში, ჩვენ რომ გაჩენას, თუ მოსვლას ეწწოდებთ.

შენ ორეულთან მე ხშირად ვსაუბრობ და ის ძალიან ბევრს, ძალზე ბევრს მიყვება ხოლმე შენი უცნაური ბუნების, იმ გამოქვაბულის ამბებს, სადაც შენს მარტოობას ალაველენ და სადაც დღემდე მარსს თვალები არ შეუნათებია.

ამიგომ არის, რო ასე კარგად გიცნობ. მე შემიძლია მთელი დღე შენთან ვიდგე, შენ კრინგიც არ დასძრა და შუალამისას დაწწერ, უსათუოდ დაწწერ რას ფიქრობდა შენი გული, გული ელდანაკეში და გვინი უსაფარობით დაღლილი და დაქანცული.

რა თქმა უნდა, შენს ნეტურას ეს ეწწინება, მაგრამ შეეხმაურე, რომ არის ადამიანი ამ ქვეყანაზე, რომელიც ისიც ისე მგრძნობს, როგორც შენ ჩემო ნეტურავ.

შენ ერთით თუ გიხარია, რომ ასე ღრმად გიცნობ, მეორეთი გწწინს, რადგან შენი ყაიდის ადამიანებს, რომელნიც ქვესკნელშიც კი ჩავლენ, ოღონდ თვალი არავის მოკერას, ხვაშიადის ამობალთვა არც მაინცდამაინც ეპიგნავებათ.

ო, რამდენი ფარდები, რამდენი საფარები, რამდენი ღულრუგანები, რამდენი ბექობები გააჩნია ამ ცარიელ და უფერულ სიციოცხლეს.

ჯერ რამდენი ადამიანები – ეკალ შეხუნძლული მომაკვდავები – უნდა მისწი-მოსწიო, რომ ერთ ხეირიან ადამიანს, ადამიანს – არაყან-მოუხდელს მიუახლოვდე.

რამდენი უნდა იბლავლო და იქვითინო და თუ ფეხი დაგისხლტება, შენს მგერს, ისე გაგსრისავენ, რომ ყორნებსაც კი შეეზარები საეახშმოდ.

და როგორ გეკინება გული, როგორ ჩაგეთუთქება მთელი სხეული, ვისთანაც ასეთი წვითა და დაგვით მიხვედი, მიხვედი იმიტომ, რომ ილოცო, იელვარო, ცოდვები მოინანიო, შენთვის იბუტბუტო, ივაღალო, იხარო...

როცა ასეთი ადამიანი, უცბად რაღაც უმიზეზოთ დაგემდურება და პირჯერის წერის დროს ცხელ წყალს გადმოგასხავს.

და, დაუეცი ბირს. გირილიც კი ველარ გიწამებია.

სიცოცხლე, ბაგონო ირაკლი, ძალიან მოკლეა, მოკლე. ადამიანის გასაცნობათ, სულ ცოტა, საუკუნე-ნახევარია საჭირო, ისიც სულ ამ ორფეხა ეშმაკის დაკვირვებაზე უნდა იყვე გადამღვარი.

ამიტომ არის ჩვენ, ინსტიტუტია, თუ რა ჯანდაბა, ვგრძნობთ სიცოცხლის სიმოკლეს და ერთიმეორეს გაცნობაში, თუ „ათვისებაში“, „აღქმაში“ ვჩქარობთ.

სინქარე კი ყველგან მიუგვებელია (ეს „სინქარე“ პამპულა ცივილიზაციამ შემოიღო) და ამ სინქარეში ვცდებით.

სინქარის ბრალია, მე მგონი, რომ ქრისტეც შესცდა.

სინქარის ბრალია, რომ შენ ჩემი „ხოლმე“, თურმე კრამანასავით მოგაჯდა!

შენ რომ იმ ღამეს დამკვირვებოდი, პაპაჩემის კომბალივით არ მიმაყულებდი ტრამევის გაჩერებასთან და არ წახვიდოდი მარგო.

მე კი, შენთან ყოფნა დედაზე მეტად მინდოდა. იმ ღამეს, მე ვიგრძენი რაღაც ღიდი, ღიდი უმეგობრობა, როგორც ჭვალმა ისე დამიარა მთელ ტანში.

ვის შეეჩივლებდი ჩემ ნალველს, არავის. და ისევ ჩემ პოეზიას შევკვნესე, შევჭირე.

აი, ეს სტრიქონები:

ის, გასცქეროდა მომავალ შარას,
ელოდა: მზრუნველს, მეგობარს, ალერსს.
შეხიზნებოდა კარზე ორშაბათს
და დაღლილობა მოესხათ თვალებს.
ემდურებოდა გამჩენს, ხან ღედას.
ბრბომ შეუბღალა მაღალი გრძნობა.
დილით მიღამოს რო გახედავდა,
ნისლივით იღვა უმეგობრობა!
დაოსდა გზაზე უძილო ცქერით,

იფიქრა: იქნებ ციდან მოვიდეს
და თუ იკივლებს სადმე ნამქერი,
ალბად ქარებმა სადმე მომიკლეს.
და მარტომ, დიდხანს უმშირა ზეცას,
იღგა: სიჩუმე, ქაოსთა გროვა.
აკანკალეულ მუხლებს დაეცა,
დამფრთხალი, როგორც უმეგობრობა!
წინ ფერწაშლილი სიყალიბერე,
ზედ გაღებული ქვესკნელის ხიდი.
ნუგემ ნაწოლი სხვილი ცრემლები,
უკან შავბნელი დღეების რიგი.
ყვითელ სინათლეს ძლივსდა ხედავდა
და მაინც კიდევ გახედა შარას.
მევით კი ქარი ახმურებდა,
ცის ნანგრევებში, ღრუბლების ჩალას.

ამ ლექსში შეიძლება „ლეიტმოტივი“ არ არის, მაგრამ გულისტკივილი, ჩემი გულისტკივილი – ხომ არის?

კიდევ მოგწერდი, მაგრამ ხომ ხედავ, ადგილი აღარ არის, შემდეგი-სათვის. იცოცხლე და იღლეგრძელე ჩემო ფასკუნჯო.

შენი ნიკო სამბაძაშვილი
31. VII. 40 წ.

კაკოს დღეს ვნახავ და ვეგყვი, წერილი გამოგიგზავნოს.

სალამი ქეთოს¹

ჩემ პირველ წერილს ალბად მიიღებდი. განვაგრძობ მკურნალობას. დღეს უკვე მეჩვიდმეტეჯერ ვიბანავე, მაგრამ ჯერჯერობით მცირე გაუმჯობესებასაც კი არა ვგრძნობ. ამბობენ, ჯერ აღრეაო. ვინ იცის? განა ვინ იქნება ჩემზე მოხარული თუ ეს წყალი ჩემ სნეულებასთან ერთად ჩემ სეფსისსაც წაიღებს და წყალტუბოს სასწაულქმედობა ჩემთვისაც ისეთივე ურყევი ფაქტი შეიქნება, როგორც ათასეულ და ასიათასეულ განკურნებულისთვის. ხომ იცი, ჩივილი არ მიყვარს – ბედნიერება და უბედურება ერთი და იგივე დედის – ყოფის – გყუპი შვილებია, მას ორივე ერთნაირი სიყვარულით უყვარს, მაგრამ უნდა გითხრა, ეს ტკივილები მართლაც ყოფას მიწამლავს. მე ხომ ფეხით მაქვს შემოვლილი პარცის, გაუნუსის, ოვერნის მთები, შვეიცარია, რაინის ხეობა, ლომბარდია

¹ ქეთუან დიმიტრის ასული ტატიშვილი (1895–1987) – ერეკლე ტატიშვილის უმცროსი და.

და სხვ. გვეცინება ქეთო? – მართალია, მაშინ ჩვენი ნუკრის ხნისა ვიყავი, ხოლო უბედურება ის არის, რომ ეს „მაშინ“, თითქოს გუშინდელი ამბავია, ის გუშინდელი გული დღესაც ჩემი გულია, ახლა რომ სწეულება მღრღნის, როცა ათიოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ მარწუხივით წვივებში ჩამაფრინდება და სწორედ იმ გულს მივმირავს. აქაური ექიმები ამბობენ, რომ ჩემი ჯანსაღობა საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია, თან იმასაც ამბობენ, რომ მას რამდენიმე ლამაზი, უცხო სახელის სტუმარი შესჩვევია – აორტიტი, მიომიტი, ნევრიტი და ვინ იცის კიდევ რა და ამის შემდეგ, კვლავ სიკეთეს მიწინასწარმეგყველებენ თითქოს ბავშვი ვიყო, მაგრამ არც ამათ გაემგყუნებათ – სხვა რა უნდა მითხრან? მათ ავიწყლებათ, რომ ადამიანისათვის ყველაზე დიდი ჭეშმარიტება და ფაქტი მისი საკუთარი განცდებია და მე კი, მართლაც მტკივა ფეხები და სანამ მტკივა, ვერავინ დამაჯერებს, რომ ასე არ არის. ამას დავანებოთ თავი. ნუ იწყენ, იქნებ მართლა შემდეგ მარგოს. შენ იცი ჩემი მეორე ტკივილი – ეს ჩემი ბინის საკითხია. შენ იცი რა სასოწარკვეთას განვიცდიდი, რომ იძულებული ვიყავი ვანო¹ შემეწუხებინა, ექვსი სულისათვის უკიდურესად შემხუთავ თვრამეგმეგრთან ოთახში ბინა დამედო. რა უფლება მაქვს შემდეგშიც მისი შეწუხებისა? სულ მალე უნდა დაებრუნდე თბილისს და არ ვიცი, რა წყაღს მივეცე თავი. მე თუ ოთახი არ მექნება, ამაოა ჩემი სიცოცხლე. არის ჩვევები, რომლებიც ისევე აუცილებელი ხდება ადამიანისათვის, როგორც ჰაერი. თექვსმეტი წლიდან მოყოლებული მე მუდამ მჭონდა ჩემი ოთახი და სიბერეში ეს სანატრელი ხდება – საბრალო ცხრამეგრიანი ოთახი! ქეთო, ისეც ბევრს ვაწუხებ, მაგრამ ისეც შენ უნდა მოგმართო, ეცადე რაც შეგიძლიან, რომ ჩემი ოთახი, დამიბრუნდეს, თორემ ჩემი საქმე წასულია... ახლა ჩვენი პატარა ნუკრის დარდი, ძალიან ხშირად ვხედავ სიზმარში, გამოვიღვიძებ და ველარ ვიძინებ, ვფიქრობ ათას რამეს მის ბავშვობისას, სიყრმისას, ვაჟეკობისას. ვფიქრობ, ველირსები თუ არა მის ნახვას, მის ბავშვურ სილაღეს ჩემთან? გარინდებული უყურებ მოგონებათა გრძელ რიგს, ყველგან მას ვხედავ, ოქროსქოჩრიან ბიჭს. დიდი მოკითხვა და საღამო ჩვენებს. ნეტავ როგორ არის დიგოს² საქმე? როგორ არის საშა?³ კარგად იყავი.

წყაღტუბო
II. IV. 43

¹ ივანე (ვანო) დიმიტრის ძე გაგიშვილი (1888–1963) – ერეკლე გაგიშვილის ძმა.
² დიმიტრი ივანეს ძე გაგიშვილი (1924–1963) – ერეკლე გაგიშვილის ძმისშვილი, გეოლოგი.
³ ალექსანდრა (საშა) დიმიტრის ასული გაგიშვილი-ეურულისა (1876–1947) – ერეკლე გაგიშვილის უფროსი და.

P. S. პურის წიგნაკისათვის ნულარ იბრუნებ, აქ მივიღე. ეს წერილი ფოსტით უნდა გამომეგზავნა, მერე შევიტყვე, რომ ლევას¹ თანაშემწე აპირებდა წამოსვლას. ის ორი დღის შემდეგ აპირებს დაბრუნებას. ყველაფერი მაცნობე. ეცადე ჩემი ოთახისათვის, ან და საგიყეთში დამიმზადე ადგილი. კარგად იყავი. მზიას ჩემ მაგივრად აკოცე, ხომ ისევ ფრიალოსანია? ჩამოსვლას დეკემით გაცნობებ.

წყალგუბო
14. IV. 43

სალამი ქეთოს,

გუშინ ვანომ მაჩვენა შენი წერილი. გეცნობა უკმაყოფილო ხარ, რომ არავეინ გაგყობინებთ იმ ვაჟის შესახებ, ნუკრის წერილი რომ ჩამოგიგანა. მაგრამ აქ არავეინ არის დამნაშავე, საქმე ის არის, რომ იმ ვაჟმა ერთი ღამე გაათია შენ ოთახში, დაპირდა ღიგოს, რომ საღამოთი კიდე შემოივლიდა და გაქრა. მას აქეთ არაფერი გაგვიგია და ამიგომ ვერაფერი გაცნობეთ. თუ ის მართლა უკან დაბრუნებას აპირებდა და ფიქრობდა ნუკრისათვის ესამოვნებინა, როგორც ამხანაგს, უეჭველია შემოივლიდა ან წერილობით გეცნობებდა თავის წასვლის დროს. ეს ისევე მოიქცა, როგორც პირველი, მოიგანა წერილი და კვლავ წმინდათ გაქრა. საწყენი ამბავია, მაგრამ რას ვიზამთ. ვანომ მითხრა, რომ კოოპერატივიდან შენთვის მოუგანიათ 31/2 მეტრი აბრეშუმში, ერთი პაგარა ჯემპრი უსახელოებო, ერთი წყვილი ქოში, ერთი აბრეშუმის თავშალი. ვანო ყველაფერს ამას გიგზავნის. ჩვენ ყველა კარგად ვართ. სიცხე მაინცდამაინც ძლიერ არ გვაწუხებს, ხშირი წვიმებია და ნიავი. ვფიქრობ, რამდენიმე დღით სოფელში წავიდე, მაგრამ ჯერ კიდე ვერ გადამიწყვეტია. თამარი² ამას წინათ ჩამოვიდა ორი დღით, ისიც ალბად, მალე დაბრუნდება ბავშვებით, თურმე ძალიან უჭირთ ცხოვრება. შენ განა სწავლა 1 სექტემბერს არ გეწყება? ამბობენ შვიდწლეულებში 1-ში იწყებო. თუმცა ვიკითხე, მაგრამ ვერავეინ მითხრა გარკვეულად. შენ მანდ უკეთესად გეცოდინება. მზიამ ალბად კარგად დაისვენა, მაგრამ შენ გეცნობა სიმაღლეს ვერ იგან და ამიგომ გისივს ფხეხები; ეგ სახუმარო საქმე არ არის და რომ დაბრუნდები უნდა სერიოზულად იმკურნალო. მომიკითხე მზია და მადლობა უთხარი წერილისათვის. კარგად იყავი.

ა. გაგიშვილი
გვილისი, 20. VIII. 43 წ.

¹ ლეონიდე (ლევა) გაგიშვილი - ერეკლე გაგიშვილის ბიძაშვილი.
² თამარ იახონის ასული ხატისკაყი-გაგიშვილისა (1900-1972) - ივანე გაგიშვილის მეუღლე.

ქეთო,

იმ ყმაწვილის შესახებ ირაკლი გწერს, ალარ გჩვენებია. გიგზავნი ყველაფერს, რაც მომცეს. დღეს უნდა გამოცხადებულიყავი შენც და სხვებიც სკოლაში. ვინც არ გამოცხადდა სერგომ¹ გადაუგზავნა განყოფილებას. ვარლამი² მგონი არ მოქცეულა ეგრე. შედეგი რა იქნება არ ვიცი. ჩვენ კარგად ვართ. იყავი კარგათ.

ჯანო

ძვირფასო დაო სამა!

დიდი ხანია ვაპირებდი მოწერას, მაგრამ დღე-ღამე უცდიდი რაიმე ცნობას სენიას³ შესახებ. მხოლოდ გუშინ მითხრა მისომ⁴, რომ სენიას ერთ ამხანაგს უნახავს მისი ნაცნობი, ამას წინედ ყარსიდან დაბრუნებული კაცი და მას უამბუნია, რომ შეხვდა სენიას და ელაპარაკა. ამგვარად, დაახლოებით ამ ორი კვირის წინედ სენია ყარსში ყოფილა. ამის მეტი ჯერ ვერა გავიგე რა. ეხლა შეგიძლიან დამშვიდდე. არაფერი სადარდელი არა გაქვს, სულ უბრალოდ სწუხარ, სენია თავს გაიტანს. ამისათვის მას საკმაო გამოცდილება აქვს და გონება. შენ ალბად იმ გარემოებამ შეგაწუხა, რომ არ ამოვიდა და არა გნახა. დედა ხარ. მესმის, შეწუხდებოდი, მაგრამ რად გიკვირს ის, რაც დღეს ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქვა. სიყვარული და პატივისცემა დედ-მამისადმი, ჩვენ ახალგაზრდობისათვის, უცნობი გრძნობაა. გავგონარი ეგომში, მხოლოდ თავისი საკუთარი კმაყოფისათვის ზრუნვა, ეს არის მისი მამოძრავებელი ძალა. სენია გულკეთილი ბიჭია, მაგრამ მასაც, სამწუხაროდ, ხშირად სჩვევია დაუფიქრებლად მოქმედება. რა ვუყოთ, მე და შენ რომ ქვეყანას ვერ გავასწორებთ. თანდათან უფრო ვრწმუნდები, რომ შერიგება ბედისადმი უდიდესი სიბრძნეა. ადამიანი მარტოდ, მწირად მოდის ამქვეყნად, მარტოდ მწირადა ჰგრძნობს – დანარჩენი ფანგამიაა, საკუთარი ქმნილება. ამაოდ სწუხარ და დარდობ – შენ შეილებს უკვე თავისი საკუთარი გზა აქეთ, შენ მხოლოდ შორიდან შეგიძლიან დასგკე მათი ბედნიერებით და იწუხო მათი მწუხარებით, შენ გრძნობას იგინი ველარ გაიგებენ. ძნელია ამის აგანა, მაგრამ შენც და ბაგრატიც⁵ სხვა არაფერი ხარო შეილებისათვის, თუ არა დედ-

¹⁻² სერგო და ვარლამი – ეპთა I სკოლის თანამშრომლები.

³ სიმონ (სენია, სულიკო) ბაგრატიის ძე ეურული – ალექსანდრა ტატიშვილი-ეურულის უმცროსი ვაჟიშვილი; ემიგრაციაში (საფრანგეთში) წავიდა და მას შემდეგ უგზო-უკელოდ დაიკარგა.

⁴ მისო – ერეკლე ტატიშვილის მოსწავლე.

⁵ ბაგრატი ილარიონის ძე ეურული (1924–1990) – ალექსანდრა ტატიშვილის მეუღლე.

მამა და დედ-მამა კი, ხომ მხოლოდ იმასა ბრუნავს, რომ შვილები ფეხზე დააყენოს – თქვენ ეს პატიოსნად და თავდადებით შეასრულეთ – მერე კი, მერე რა გზას ირჩევენ შვილები, ეს მათი ბედის საქმეა. ამაოა ბედის წინააღმდეგ ბრძოლა, ეს ბაგრაგს შენზე უკეთესად ესმის. ამ შაფხულს მხოლოდ ერთი ორჯერ-სამჯერ ამოიოხრა საცოდავმა კაცმა და სივრცეში ხელი გაიქნია. მე მივხვდი მის დიდ მწუხარებას გულზე რომ მძიმედ აწევს, მივხვდი თუ რას ნიშნავდა ხელის გაქნევა – ამაოა ბრძოლა, მე წინ არავის გადაუღებდი – ამას ამბობდა მისი ეესგი. შენ ბრამობ, ვერ შერიგებოხარ მდგომარეობას, შენებურად თითქოს იბრძვი კიდევ და სულ უშედეგოდ, ჩემო საშა. განა შენ ან ბაგრაგს რა შეგიძლიანთ თავს დააყვედროთ? განა თქვენი სინდისი რამეს გიკეიენებთ? განა არ შეასრულეთ თქვენი მოვალეობა შვილების მიმართ? ბედი ეწინააღმდეგება თქვენ სურვილებს! მაგრამ მითხარი, განა თვით შენი შვილები კმაყოფილნი არიან თავისი ბედით? – არა მგონია და თუ ივინი თავისებურად ეძებენ ბედს – ვით შეაჩერებ მბრძანებლის მრახვათ?! დამშვიდდი – ეს არის შენი ძმის რჩევა, რომელიც ბედმა უდაბნოში გარიყა, გარიყა ფუჭე კაკალი, უნიადაგო. აბა თვალი გადაავლე ჩემ ცხოვრებას და მითხარი, პპოვებ იქ თუ არა ერთ წუთს რომელს შეგიძლიან უთხრა: დალოცვილი ხარ, შეჩერდი, შეჩერდი თუნდაც გრძნობათა მეხსიერებაში?! სიბრძნე გვიანი სკუმარია, ჩემო ძვირფასო დაო, მხოლოდ მაშინ გვეწვევა, როდესაც საუკუნაო ცარიელია და კილობანში კი ნახორხლებს ობი მოაკიდებია და თავგები დაშხვევიან. ეს არის შენი „ევოისგი“ „კაპიგალისგი“ (ესე მომნათლეს უკანასკნელ დროს ზოგიერთებმა – მახლობლებმა) ძმის რჩევა, ნუ აღელდები. სენიამ ალბად უკვე მოგწერათ, ან მალე მოგწერთ. დარწმუნდი, მას არაფერი უჭირს.

ჩემი ამბავი – რა მოგწერო, არა ღირს, ან რად დაეაშძიმო ისედაც დამძიმებული შენი გული? ბაგრაგს სიყვარულით მოვიკითხავ და გაკოცებთ.

*შენი ირაკლი
გფილისის, 19. XII. 28*

ამ სამი დღის წინეთ მომივიდა ამბავი, რომ ჯორჯაძემ დამინიშნა თვეში 30 მანეთი ერთი წლის ვადით, რომ მე გერმანიაში წავიდე. მე ამ ორ-სამ დღეში ვაპირებ იქ წასვლას. მართალია, არ ვიცი რა იქნება ერთი წლის შემდეგ, რითი შევძლებ მერმე დანარჩენ დროს იქ ცხოვრებას, მაგრამ მაინც მივდივარ. კაცს ყოველთვის იმელი არ უკარგება, თორემ ერთ დღესაც ვერ შესძლებდა სიცოცხლეს. იმელი მაქვს, რომ ამ ჯერათ



*ივანე (იანო) ტატიშვილი – ერეკლეს ძმა
და მათი დეიდაშვილი – ყარაშან
(მალაქია) ორჯონიკიძე
1906 წლის 2 აპრილი*

მაინც შევძლებ ჩემი მიზნის ასრულებას და მოვიპოვებ რამე პრაქტიკული ცხოვრების იარაღს. მე მინდა გავაგრძელო საექიმო განათლება და იმედი მაქვს, ყველა ჩემი კეთილმოსურნე ამასში ხელს შემეწყობს... აქ ძალიან შიშში ვართ, რადგანაც ერთ მხრივ თათრები ქრისტიანების ხოცვას აპირებენ, თუ ბულგარები აქ შემოვლენ და მეორეც ის, რომ ეხლა აქ, საშინელი ხოლერა და გიფი მძვინვარებს და მუსრს აულებს ჯარს და ხალხს. დღეში ჯარში 300-400 კაცი კვდება. ევროპიელებმა აქ ჯარი მოიყვანეს და გადმოსვეს ქალაქში. ეხლა ათასგვარი ფორმის მეზღვაურები დაიარებიან ქუჩებში, როგორც თავიანთ სახლში. საელჩოები ზარბაზნებით გაამაგრეს და უმავთულო ტელეგრაფები დასდგეს. სათათრეს

ცული დღე აღგია, ისტორია უხდის იმ ვარამ ცხოვრებისათვის, რომელსაც ატარებდა ოსმალეთი ძველი დროიდანვე. ჩვენი სამშობლოს დაცემა ამათი და სპარსეთის ბრალი იყო, ეხლა ბედი არც ერთს არ სწყალობს. სპარსეთი გაყოფილია რუსისა და ინგლისელებს შორის. ოსმალეთის უკანასკნელი დროც ახლოვდება... ეხლა ბაგრატი, შენ გენაცვა, უთხარი რედაქტორს, რომ თუ უნდა, მე ევროპიდან გამოუგზავნი ხოლმე კორესპონდენციებს. В роде политических обозрений европейской жизни, перевод с французского, немецкого и английского языков და სხვა. მე მაგას გამოუგზავნე ორი კორესპონდენცია და ესთხოვე პასუხი, მაგრამ ჯერ არ მომსვლია. ეხლა შესამესაც გამოუგზავნი ხვალ, მაგრამ არ ვიცი რატომ პასუხს არ იძლევა, რა პირობებით უნდა ჩემი თანამშრომლობა. მე სხვა გაზეთებს თავი დაეანებე და ეგვეც პასუხს არ იძლევა, ნეტავ რაშია საქმე? მე ცოგა დაეგვიანე წერილი, რადგანაც ორი კვირა ლოგინში ვიწექ 40⁰ სიცხიანი. ამ სიბერის დროს წითელა შემხვდა და ძალიანაც გამიჭირა საქმე. მაშ ასე, ჩემო ძვირფასნო, როცა გერმანიაში ჩავალ, მოგწერთ წერილს მაშინვე. გაკოცებთ ბევრს ყველას და გიძღვნით გულითად სალაშს. ყველას უთხარით, რომ მე ინგლისში ვარ, თუ ლაპა-

რაკი მოგიხდეთ ვისთანმე. რაგომ არაფერს მწერთ ვანოზედ, მაგისი საქმე ხომ აქამდის მორჩებოდა?!

თქვენი ირაკლი
სტამბული
24. XI. 12

როგორც გაგყობინებდით ახლილი ბარათით მე წამოვედი იქიდან, სადაც ვიყავი ძალაუნებურად, რადგან გამცემები და უსვინდისო ხალხი ყველგან მოიპოვება. წამოვედი გულგახეთქილი და თავ-გზა დაბნეული, მაგრამ აქაც გაჩერება დიდხანს შეუძლებელია, საშინელი ცხოვრების სიძვირის გამო. აქ ცხოვრება ორი იმდენი ღირს, რაც სხვა ევროპის სახელმწიფოებში და აბა, მე სად შემიძლია აქ ჩემი პაგარა სტიპენდიით ცხოვრება, აქ ჩემი წამოსვლა უფრო ინსტინქტიური იყო, ვიდრე განზრახული და აწონ-დაწონილი. ჩამოსვლისთანავე ფული შემომაკლდა, არსად კაცი არ გრძნობს თავის თავს ისე ბეჩავად, როგორც აქ, ამ დაწყველილ ქალაქში, სადაც ცხოვრება გამაგიჟებელი სისწრაფით სდულს და გადმოდულს, სადაც შენ თავს სულ უმნიშვნელო ნაფოტად გრძნობ. ეკ, რას იზამ, ბედმა ჩემს საყვარულ სამშობლოს და მშობლების გარედ ცხოვრება მარტუნა, ხეგიალი უბინავო ურიასებ, უსახლკაროდ, უთვისგომოდ, უმეგობროდ, მუდამ სიმშლილი და უკმაყოფილობა – აი, ჩემი ბედი... კარგად იყავით, ჩემო საყვარელნო. ბევრჯელ, ბევრჯელ დაგკოცნით ყველას და გიძღვნიტ გულიტ და სულიტ სალაშს. წერილი ამ ადრესით მოიწერეთ:

თქვენი ირაკლი
АИТЛІЯ
Mr. Ghambashidze ირაკლისბათვის
London E. C.
Mark Lane 61

ჩემო ნუკრი,

შენმა წერილმა ძალიან მასიამოვნა. გეგყობა წერას ვარჯიშობ. ყველაფერი გაუგონე დეიდა საშას და არ გააჯავრო, თორემ მე არ ჩამოვალ. შენ უკვე ცურაობას ისწავლიდი, არა ნუკრი? ბევრს გაკოცებ მუბლზე.

შენი ძია ია¹

¹ ია – ერეკლე ტატიშვილი.

მწერალ შალვა სოსლანის (სოსელია) არქივი 1980 წელს ლიგერაგურის მუზეუმს მისმა მეუღლემ ლალი სოსლანმა უსასყიდლოდ გადმოსცა.

შალვა სოსლანს (1902–1941) ნაკლებად იცნობს ქართული თანამედროვეობა. ის ავტორია მოთხრობებისა: „რაში და ქეთევანი“, „მდინარეთა სიგევა“, „აჩა“, „ახალი ბალი“, დაუმთავრებელი რომანისა – „ოქროს საწმისი“. უმეტესად რუსულად წერდა, რადგანაც 1923 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, იქიდან წავიდა ფრონტზე და მალე (1941 წ.) დაიღუპა. მოსკოვიდან ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ურთიერთობა ქართველ მწერლებთან, როგორც შეეძლო ეხმარებოდა მათ. საბავშვო მწერალი ლიდია მეგრელიძე შალვა სოსლანისადმი მიწერილ ერთ ბარათში აღნიშნავდა: „თქვენს წერილში მაინც ძლიერად ვიგრძენი საქართველოდან შორს გადახვეწილი ახალგაზრდა მწერლის ფაქიზად მოვლილი გული“.

მწერალს მეტად საინტერესო მიმოწერა ჰქონია გრიგოლ რობაქიძესთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, გიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან და სხვა ქართველ მწერლებთან. შალვა დადიანი წერდა: „მე დიდად ვაფასებ თქვენს მუშაობას, თქვენს ნიჭს და კარგად იცით, რომ სრულიადაც არ იწუნებთ – სამშობლოს დამორებული რომ ხართ“.

შალვა სოსლანი აქტიურად აერყელებდა ქართულ ლიგერაგურას რუსეთში, წერდა ნარკვევებს („მოთა რუსთაველი“, „აკაკი წერეთელი“, „შალვა დადიანი“), სათარგმნელად სთავაზობდა რუს მწერლებს ქართული ლიგერაგურის ნიმუშებს და თავადაც თარგმნიდა.

ჩვენ არ შევუდგებით შალვა სოსლანის ლიგერაგურული მოღვაწეობის შეფასებას, ეს ცალკე კვლევის საგანია. ვაქვეყნებთ წერილებს მისი არქივიდან, სადაც აშკარად ჩანს როგორ მოელოდნენ ქართველი მწერლები „დიდი რუსეთიდან“ საქართველოსათვის სასიკეთო ამბებს, რადგან შალვა დადიანის თქმით: „დღევანდელი თბილისი მაინც კიდევ მოღუნებულია და სუსტად მფეთქავი კულგურულად“ და ერთ-ერთ იმედად ქართული კულგურის, ლიგერაგურის, ისტორიის პოპულარიზაციისათვის მათ შალვა სოსლანიც ეხახებოდათ.

ნატო სვიდიშვილი

*ღრმად პატივცემულო
ბ. გრიგოლ!*¹

ჩემი პასუხი დაგვიანებულია. მიზეზი იგივე ოლიმპიადა ვახლავთ, რომელიც მხოლოდ ეხლახან „ჩადგა“ მოსკოვში. სწორედ დღეს ჩავაბარე ჟიურის „ოტზივი“ რუსთაველის თეატრზე საკავშირო ორგ. კომიტეტს, დასკვნა ქართულად გადმოეგზავნება თეატრს.

ჩემთვის, ექვსი წლის განმავლობაში ქართული სემონის უნახავისათვის, დიდ სასიხარულო მოვლენად დარჩა ორივე ჩვენი ქართული თეატრის ნახვა. ეს ბევრიც იყო ერთად. ამას თან დაერთო 16 სხვადასხვა ეროვნებათა თეატრებიც და ადვილი წარმოსადგენი ვახდება, თუ როგორ გაიწეწა შთაბეჭდილებანი „საერთო საკავშირო მასშტაბით“.

მაინც და კიდევ მაინც, არათუ მარგო „ჩემთვის“, არამედ მთელი აქაური თეატრალური საზოგადოებრიობისთვის გამოუკლებლად, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ორთავე ქართულმა თეატრებმა დატოვეს. სიმპტომატურია: მარჯანიშვილს გარს ეხვია დამსახურებულ აკადემიკოსთა (2AXH) დრო-გადასული სიმპატიები ს. ა.-ს² მეთაურობით, ხოლო რუსთაველის თეატრმა მობოჭა მთელი თანამედროვე თეატრალობის უდიდესი ყურადღება და ამასთან „აკადემიკოსებიც“ აიძულა ელიარებიანათ – თეატრის ასეთი მოულოდნელი სცენიური სიმარჯვე. პირადად ჩემთვის ამ შემთხვევაში, ორი აზრი არ არსებობს: საქართველოს თეატრალურ სინამდვილეს დამორებულს ობიექტურობაც შემდგამს, არც ვიცი საით იხრება თქვენი



შალვა სოსლანი

¹ წერილის აღრესაგია გრიგოლ რობაქიძე. ვრ. რობაქიძის წერილები შალვა სოსლანისადმი გამოქვეყნდა 1992 წლის „ლიტერატურის მაგიანეში“.

² სერგო ამბლოძე (1899–1946) – თეატრალური მოღვაწე, კრიტიკოსი, დრამატურგი. 1925 წელს რუსთაველის თეატრის დირექტორი. 1928–36 წლებში სათავეში ედგა მოსკოვის სხვადასხვა შემოქმედებით დაწესებულებას.

სიმპატიები. რასაკვირველია, რუსთაველის თეატრის მუშაობა უფრო გამართლებულია ქართული ამბებისათვის (მრავალნაირად) და მით უმეტეს მისი დღევანდელი სოციალური მიმართებისთვისაც. იგი უპირველეს ყოვლისა თეატრია და არა ლიტერატურული დრამა. ეს – კი მთავარია, კიდევ და კიდევ გამართლებული ჩვენი წმინდა თეატრალური ბუნებისათვის. გარდა ამისა – ცდა ჩვენი თეატრის ორგანული სათავეების პოვნისა და მისი სოციალური შეხამების – პირველია ჩვენს სათეატრო საქმეში.

ერთია – ამ დიდ საქმეს ეჭირვება უთუოდ დიდად გააზრებული მოსაქმეც, რათა „სტიქიურად მონაპოვარი“ ამბები ღირსეულ მომავლისათვის იქნეს შენარჩუნებული. უპირველეს ყოვლისა – კი საჭიროა თეატრალური კოლექტივის აღზრდა.

*შალვა სოსლანი
მოსკოვი
25. VII. 30*

ძმური სალაში შალვას,

შენი ღია ბარათით დილით გავისარე – სჩანს მშვიდობიანი მგზავრობით ჩასულხართ დედაქალაქში.

აქაც სიცხეებია და ოფლად ვიღვრებით – ჩვეულებრივად წვიმაც წამოგვიშენს ხოლმე ცხვირპირში. სიცოცხლე, გადდინძალეებული ქალები ტუტსუად გაგინგრაკებულან. მინდა დაუსისტიკინო, მაგრამ სხეებივით თვალებს ვიფელამუშებ. ხან კი გულში ჯიგრიანად ვიგინები, როცა დამორილი ტანი ცხრაფუთად შემოგორდება გრამეაის ვაგონში.

ეხლა ისევ „ვეფხისტყაოსანს“ ვუზივარ და ჩემი გადაჯიშებული ჭკუის ნაცოდვილარს ვქექავ და ვებლანდავ. ეს თვეც ხელში შემომადნება და არ ვიცი რა უნდა მიუცეხნო პროფესორებს, როცა ჩემი გუნება, წიგნის საძოვარზე – ჯერაც არ გამიღენია. თუ დრო დაგიჩრქვს მოიწერე წერილი. ქ-ნ ნაგაშას ჩემი თავმდაბალი სალაში.

*შენი დიმიტრი¹
ქ. მოსკოვი
5 თიბათვე, 1929 წ.*

ძმარ შალვა,

15-ს მე არ მოვალ. არავითარი სურვილი არა მაქვს შეჯანჯალეულ სიპინის ნათალღითვე მოვისმინო – ანა და „ლაფათქასავით წვერებ-გაშვებულ“ ხალხის აბლაუბდათი ყურები გამოვიფოზო. მიკვირს როგორ

¹ დიმიტრი ჯანელიძე (1906–1993) – თეატრმცოდნე, კრიტიკოსი და პედაგოგი.

უძლებ და როგორ ურიგდები ბებრების ჩიფჩიფს, ღრანჭმონგრეულის იწილო-ბიწილოს და ხელმარჯვე ანანისტების ჭკუის აბრუნდს.

შენი ოთახი იმ დღეს ისეთი ოინბაზობით ყარდა, რომ მიკვირს თავი როგორ შევიკავე და ჯიგრიან დედის გინებით ყველას წვერები არ დაეაბღღვენი.

შენ ძალიან გამაკვირვე, როდესაც სიგყვის აღდგომის თაბახებზე ამ გამოთაყვანებულ ხალხს ქება-დიდება ნობათებად დაულაგე. ნუთუ ეს გველისწიწილები შენი მეგობრებია?

შენი რა მოგახსენო და მე კი თავი არ მეშეგება მათი სიბრძნის სიმყრალეზე ფეხმოსართხამად.

ჩემო შალვა, მაქვთ გამოშველელი აღარ ვარ, რადგან მაგათი შეხვედრის თავი აღარ მაქვს. თუ მუდამ მძიმე და გაღაულებელი საქმეებით დატვირთული ოდესმე მოიცილი და ყოველთვის მოცილილ და უსაქმური კაცის ნახვა დაგჭირდეს, ბარათი მოიწერე და სახლში დაგხვდები – ჩემი ბინის მონახვა არც ისე ძნელია.

შენი ბარათი, როცა დილით სახლში მოვფოფხდი მაშინ წავიკითხე.

შენი დიმიტრი

14. XII

მივიღე შენი დაკალაპოგებული წერილი.

შენი განზრახვის იარებზე აჭრილი წერილი ცხრა კალაპოგზეა გადაჭიმული.

რაგომ ვერე გამოკალაპოგებულხარ? ნუთუ ღონე არა გცემს, ძალი არ გერჩის კალაპოგიდან „აღმოსავარდნათ“.

შენ ასე გვონია, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობას მივაწყდი. ვინ იცის, იქნებ ის რაც შენთვის უკიდურესობაა ჩემთვის შუა გზაც არ არის?! „კაცია და გუნებაო!“

„ოფიციალურ გზებით ამროვნება“ – გზაზე დაკარგული გამოთქმაა, მიგომაც გამშველელ-გამომშველელთა ფეხრთა ქვეშ მეგისმეგად გაცვეთილია. ყოველ შემთხვევაში ასეთი საყვედურის ვინმესათვის მიგდების უფლება უნდა რითიმე დაიმსახურო. საჯდომიც რომ ბუასილებით გქონდეს მოვარაყებული ყოველთვის ანგარიშის გაწევაა საჭირო ვის ულაპარაკები და ვის შესახებ.

მაფრთხილებ ძმურად,

გულწრფელად მირჩევ,

ამხანაგურად მიმითითებ,

რათა საკუთარ თავის კალაპოგიდან არ ამოვვარდე და მაშინ

როდესაც „დღევანდელი დღეც თავის კალაპოგს ეძებს“ (შენი სიგყვებია).
შენი ამრით ჩვენ ამ ძიებას უნდა ჩამოვრჩეთ და საკუთარ კალაპოგში
უნდა გამოვკვლით?

ვერც დიალექტიკა და ვერც ფორმალ ლოლიკის უკუღმართად გაჭვლი-
ლი კანონები ასეთ შეუსაბამობის გამართლებას ვერ იკისრებდა.

და მიგომაც:

შენს ძმურ გაფრთხილებას ვერ ვიღებ;

გულწრფელ რჩევას უკან ვიბრუნებ;

მაგ ამხანაგურ მითითებას თვალს ვერ გავაყოლებ.

შენ თითქოს ოლიმპის მალღობზე შემჯდარიყო, ასე ამაყად მესვრი
და გინდა დამაშინო ზოგიერთ სიგყვების რისხვით –

რჩეული

მოშიერება

ამ სიგყვებს ეხლა მეხთაგების ძალა დაკარგული აქვთ და მხოლოდ
წარსულის მოგონება თუ უბრუნებს მათ დაკონკილ დიდების სამოსელს.
ამ სიგყვებს ისევე უნდა აუარო გვერდი, როგორც დროგადასულ ქალების
მიხრწნილ ღიმილს.

მაშ ასე, თუ შენ ჩემში ეძებ გამოკალაპოგებულ ამბებს, მაშინ
მოხარული ვიქნები, თუ იოგის ოდნავადაც არ გავამართლებ ჩემდამი
მომართულ „შენი ამრის სასოებას“.

მე, 15-ს მივემგზავრები. საღამოობით სახლში ვარ.

შენი ღიმილი

მოსკოვი

10 ენკენისთვე, 1931 წ.

არ ვიცი, მომიხდება თუ არა შენი ნახვა, ჩემო ღიგო¹, და ამიგომ
ისევე წერილსა გწერ. მართალია, შენ ძალიან მკვახედ გაიგე ჩემი მომარ-
თება, მაგრამ მე ვფიქრობ დროთა სვლაში იგი როგორმე მაინც მომწიფ-
დება. მანამ არ ღირს, რასაკვირველია, კალაპოგებზე საუბარი, მით უმეტეს
როდესაც მისი ამრი და შინაარსი მისი ფორმალ ბრუნვას უნდება შენს
მიერ. ღიგო, თავის დროზე ჩვენ საუბარი გვექონდა იმის შესახებ, რომ
შიშია შენს პოეტურ მუშაობაში, სიგყვის „კალაპოგობია“-ს არ გადაჰყვე
და მისი შიდა გამართლება უნდა ეძიო-თქო. ამაზედ მგონი შევთანხმდით
მაშინ.

შენი პასუხი „ასეთ სიგყვის გასვენებებზე“ აშენებული, სამწუხაროდ,
ამის დამტკიცება აღვილად შეიძლებოდა. ყველაზედ მეტად მე ის მაწუხებს,

¹ ღიგო – ღიმილი და ნახვა.

რომ მე შენ „ოლიმპის მალღობზე“ ამსვი. საიდანაც დღეს მართლაც „ბუასილით მოვარაყებული“ ხალხი თუა დაყუნცებული. და ჩემი „მითითებანი“ „ჭკუის რიგებით“ მიიღე, იმ დროს როდესაც მე მინდოდა, რომ შენი ჩვეულებრივი გაუგებრობით, შენ ჩემი დღევანდელი წუხილის საგანს მიმხვდარიყავ სიგყვებს შიგნით. მოკლედ და უფრო გასაგებად:

მე შემაშფოთა შენმა კატეგორიულმა განცხადებამ, რომ თუ „სიმინდის აპოლოგია“ ნაწარმოებიდან არ ამოაგდე დაილუპები, შეგჭამენ, მენშევიკობას დაგაბრალებენ და სხვაო. მე შემაშფოთა ამ შენიშვნამ, ვინაიდან ძალიან კარგად მესმის ამ ამბის პოლიტიკური სიმართლე, მაგრამ ის რაც „ესმო“-ში (ცენტრ. შავ. ნიადაგ. ოლქი) ოპორტუნისტულ გადახრად ითვლება, მთლიანად კავშირისათვის იგი შეიძლება სწორი გენერალური ხაზიც იყვეს. და ეს ასეც არის და ესეც ხდება. მით უმეტეს, როდესაც საკითხი მხატვრულ ხაზს შეეხება. შეიძლება, ჩემი მომართვა მართლაც ვერ იყო რიგიანი და მშვიდი. კაცო, აბა კარგ გუნებაზე როგორ დავდგებოდი, როდესაც შენ, ვისაც, ვიმეორებ, ვენდობი მხატვრულ ალლოში ასე ცივად მიიღე სიმინდიც, ცხენიც და მთელი მისი ავანჩავანიც. მაშასადამე, ან ვარ მე „მტყუანი“, ჩემს „მხატვრულ მუშაობაში“, ანადა შენ, ჩემი კრიტიკოსი, მე ვფიქრობ შენ. მე ჩემს მითითებებს ვზომავდი იმ მხატვრული საზომით, რომელიც მე გამაჩნია, შენ კი ჩემს სიგყვებს მოადგი უნაგირი და აჭენე ჩემდა საპასუხოდ.

ამჟამად მე უფრო შენ მიერ ჩემთვის მოგანილი გურამიშვილი მაინტერესებს. ვეცდები უცილობლად განახო ან დღეს ან ხვალ.

შალვა ხოსლანი
II. IX. 31

ძმაო დიგო!

შეიძლება არც ღირდეს ამამედ წერა, მაგრამ შენ უთუოდ კარგად მიმიხვდები ჩემს განზრახვას და ამიგომ უფლებას მივეცემ ჩემს თავს ზოგი შენიშვნა გავაკეთო (აქვე: შეიძლება ქართულმა ენაწყლიანობამ მიღალაგოს, მაგრამ წყლიან ამრს ვეცდები მაინც გვერდი აუარო). ჩემის ფიქრით – ხოლო მე კი მესამე დღეა მაზედ მიხდება ფიქრი – შენ ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდები. კარგად ვიცი შენ მიერ განვლილი გზები – ეტაპებით და ამიგომ მინდა გაგაფრთხილო, ძმურად, რომ ზოგ შემთხვევაში შენი დღევანდელი „ოფიციალური გზებით ამროვნება“ იმავე ეტაპებს ჩამოგავს, ხოლო მეორე მხრიდან და სულ სხვა „კოვოის“ ქვეშ. გთხოვ, – კარგად ჩაუფიქრდე ამ შედარების ფერსა და სიღრმეს. კარგად იცი თუ როგორის მოწინააღმდეგე გეპყრობოდი შენ და მინდა დღესაც ისევე მოგეპყრო

ჩემო დიგო. ძალიან მტკენს გულს დაჯერება იმაში, რომ შენ ვერ გაამართლო ჩემი შენდამი აზრის სასოება. და ეს არა იმიტომ, რომ შენ მოიწონო ან არ მოიწონო ჩემი ლიგერატურული ნაღვაწი. არა! (ამისთვის მე საკმაოდ მყავს როგორც დამწუნებული, ისე „ხოგბა-შემსხმელი“ ხალხი – „დიდი“ და „პაგარა“) არა დიგო! ჩემი ჩვეულებრივის გულწრფელის რჩევაა მხოლოდ ამხანაგური მითითება გაგიკეთო – რათა საკუთარი თავის კალაპოგიდან (როგორც ხელოვანმა და მხატვარმა) არ ამოვარდე. თორემ ამ ქვეყნად ყველაფერს თავისი საკუთარი კალაპოგი აქვს და ყოველივე მამინ არის გამართლებული, როდესაც თავის კალაპოგშია მოქცეული (დღევანდელი დღეც თავის კალაპოგში ეძებს და ამაშია მისი უდიდესი გამართლება). რჩეულთა ზომიერებაც ამას ეწოდება („რჩეული“ აქ გაგებული უნდა იქნეს, როგორც სოციალური არსის უკეთესი ნიშანი, ხოლო „ზომიერება“ ეს ხომ დიალექტიკის საუკეთესო ფორმაა ამ ქვეყნად).

შენ მითითებებს დიგო, მე დიდს გულისყურით ვისმენ ხოლმე, მაგრამ მხოლოდ მაშინ – როდესაც იგი საკუთრივ შენგან „წარმომდინარეობს“ (ხოლო „მდინარეს“ საკუთარი კალაპოგი აქვს: მაშინაც – კი როდესაც მას „ზაპესივით“ ცემენგის კალაპოგში გადაუგდებენ წელს).

სხვა რა მოგწერო ამჟამად, დიგო! ისე მე კარგად ვარ. რასაცვე შენც გისურვებ. 10. IX – ველარ მიედივარ სტალინგრადს, ფულის მიღება კვლავ გადამიდო „ГИХЛ“-მა¹, წავალ უთუოდ 12-ში. მანამ, შენ თუ არ წახველ – ვნახავთ ერთმანეთს და მოვისაუბრებთ კვლავ.

მშური სიყვარულით შენი შალვა
მოსკოვი
30. IX. 31

საყვარელო ძმაო შალვა!

ძალიან მაღლობელი ვარ, რომ გამიხსენე და მომწერე წერილი – ისიც ასე საინტერესო საღამომზე, როგორც ყოფილა ნ. ასევეის² მოხსენება და შემდეგ გამართულა დისპუტი, როგორც ამაზე მწერენ პაოლო და ბორის პასტერნაკი და რაზეც ამდენს ვკითხულობ გაზეთებში. მხოლოდ ეს არი, რომ შენი ინფორმაცია უფრო ვრცელია და ამიტომ ჩემთვის ძვირფასი. გასაგებია, როგორ მაინტერესებს მე ყველაფერი ღმერთმანი მოსკოვის მწერლობისა და მწერალთა ყოფისა, განსაკუთრებით პაოლოს მანდ ყოფნის დროს. მართალია, პაოლო მე ხშირად მწერს ვრცელ

¹ ГИХЛ – Государственное издательство художественной литературы.

² ნიკოლოზ ასევეი (1889–1963) – რუსი მწერალი.

წერილებს, მაგრამ ჩემთვის საჭიროა მესამე კაცის ინფორმაცია, რომელიც უფრო სხვა დეტალებს აქცევს ყურადღებას. ამიტომ, თუ ძმა ხარ, ნუ დაიბარებ ხოლმე შემდეგშიც მომწერო ამბები, მით უმეტეს, რომ შენ ხშირად მოგიხდება პაოლოსთან ერთად ყოფნა მანდ საღამოებზე და მწერლებთან, აგრეთვე, თუ რამე გამოვიდეს სასიკეთო წიგნი ან წერილი – რასაც უჭველად მანდ უფრო ადრე გაიგებენ და დააფასებენ არა ოფიციალურ წრეებში. რაც შეეხება აქაურ ჟურნალებსა და გაზეთებს პირველ იანვრიდან გამოუგზავნი პაოლოს და იმისგან შენ ყოველთვის შეგიძლია მიიღო, მასვე გამოუგზავნი „სალიტერატურო გაზეთს“, რომელსაც ამ დღეებში რედაქტორიც ეცვლება და რედაქციაც, და უფრო საინტერესო გახდება – მეც მირჩევნია ახლო ვიყო რედაქციასთან და შენ წერილებს, რომელნიც დარწმუნებული ვარ საინტერესონი იქნებიან, უჭველად დაგებუქდავთ. საერთოდ შეგიძლიათ ჩაიბაროთ მოსკოვის ინფორმაცია. სხვა ჩემო შალვა, აქ ჯერ-ჯერობით არაფერია საინტერესო, იწყება გადაჯგუფება და გადახალისება ფედერაციისა, მაგრამ საუკვოა ისე დაუწყოს ეს ორკესტრი, რომ ჭეშმარიტ პოეტს შეეძლოს თამამი სიმღერა და ლექსობა. ყოველ შემთხვევაში ეს კია, ძალიან შეუკითხე ზოგიერთებს აღმინისტრატიულობისთვის და „Зამ“-ებისთვის. მალე იქნება პლენუმი და ყველაფერი გამოირკვევა – ზოგი რამე „სალიტ. გაზეთ“-შიც დაიბეჭდება და იქიდან გაიგებ.

უხლა კიდეც გიხდი მადლობას წერილისათვის და გთხოვ უჭველად მომწერო ხშირად და ვრცლად მანდაური ამბები – საღამო პაოლო იაშვილს და ბორის პასტერნაკს.

შენი გიჟიან გაბიძე
ქ. გვილისი
25 დეკემბერი, 1931 წ.

ძმაო შალვა!

გუშინ მე და ბ. პასტერნაკი დაებრუნდით ხანგრძლივი მოგზაურობიდან (ბორჯომი, ბაკურიანი, აბასთუმანი, კავკავი, კახეთი) და დამხვდა თქვენი ბარათი – სამს ჟურნალთან (Кр. Н.). ერთად, წერილმა ძალიან გამახარა, პასტერნაკს ვავაკანი. დიდად კმაყოფილი ვარ, რომ რამდენიმე ჩემი დახმარებით დაგებუქდავთ მოთხრობა. ეს მოთხრობა მანამდე მიქო პასტერნაკმა, ნაწილი წაეკითხა. მეც წუხელი დავიწყე თავი, მომეწონა როგორც პოეტური, კარგი პეიზაჟები და თუმცა არა საესებით ძლეული, მაგრამ ნოყიერი და კარგი რეალიზმი. რაც წაეკითხე იქიდანაც სჩანს, ჯერ კიდევ ბავშვი რომ იყავით, სწორე ინტუიციით ვიგრძენი თქვენი ცოცხალი და ადამიანური ნიჭი. მომილოცავს. ქართულად წამეკითხა მერჩია, ცუდი პროზა გვაქვს ქართული, ეს სიხალისეს შეიგანდა.

ორ-სამ დღეში წავიკითხავ ბოლომდე. ქვევით და ქვევით უფრო ცუდიც რომ იქნეს არ შევემინდები, მეყოფა ის რწმენაც, რაც მოთხრობის დასაწყისში ჩავინერგე.

რას აპირობთ?

რუსულად გინდათ სწეროთ?

აქ ყოველნაირად დაგეხმარებათ.

თუ რამ ახალი გაქვთ პირდაპირ მე გამომიგზავნეთ.

უთუოდ დავბუკდავთ „მნათობში“.

ოქტომბერში მოსკოვში ვიქნები, ხშირად შევხვდებით.

მომწერეთ მანამდე თქვენი გელეფონის ნომერი, საზოგადოდაც მომწერეთ რამე ახალი, ლიგურაგურის ამინდებზე. მე ბევრს ვწერ. სულ ღირიკაა. დეკემბერში გამოვა პირველი გომი, 100 დაბუკდავი ლექსი.

პასტერნაკმა კარგად მოგიკითხათ, ხშირად ახსოვხართ. ბევრი ლექსები დასწერა, ჩვენ გვითარგმნის, ამბობს პოეზია მხოლოდ საქართველოში ყოფილათ. ქავთარაძე ერთგულად მომიკითხეთ.

ძმურად გააკოცებთ და სიხარულით გიგონებთ.

თქვენი პაოლო იაშვილი

20. IX. 31

ძმაო შალვა!

გიგზავნი იმ ნოველას, რომლის თარგმნასაც არ გთხოვდი, თუ მანდ მოიცლი მისთვის და გადათარგმნი, დიდად დამაყვალებ.

აღბათ, გაინგერესებს დისკუსიის ამბები. დისკუსია უნდა დამთავრდეს დღეს – 16 აპრილს, აქამდე ვრძელდება, მაგრამ ღირსშესანიშნავი და საგულისხმოდ არაფერი ყოფილა მაინცდამაინც. თავის გამოსვლით გამოირჩეოდა ს. შანშიაშვილი, რომელმაც ნამდვილი გლეხის ჯიქურობით და ქიზიყური გულბრყვილობით სასტიკი დღე დააყარა გამსახურდიას. გამოუგანა ის ადგილები „მთვარის მოგაყებიდან“, რომლებშიც მართლაც და აღმამყოთებელ სურათებს ხატავს.

იგივე შანშიაშვილმა დაუმსახურებლად ჩასთვალა გალაკტიონ გაბიძის ასეთ მწვერვალზე აყვანა და მოიყვანა მისი ლექსებიდან სუბბურული ადგილები. ასეთი არა თუ ადგილები, არამედ მთელი ლექსები აქვს გალაკტიონს, მაგრამ მას, როგორც იცი, გაბუ აქვს დადებული. ამიგომ შანშიაშვილს სამაგიეროდ ბუაჩიძემ² გადაუხადა.

შედარებით აგრეთვე ინგერესს მოკლებულნი არ იყვნენ ს. ჩიქოვანი

¹ პეტრე ივენეს ძე ქავთარაძე (1883–1941) – იურისტი, მთარგმნელი.

² ბენიგო მიხეილის ძე ბუაჩიძე (1905–1937) – კრიტიკოსი, ლიგურაგურათმცოდნე.

(რომელიც განსაკუთრებით ენამახვილი იყო ამ საღამოს) და გ. ტაბიძე.

საბოლოო ანგარიშში დისკუსია საფუძვლიანად არ შეხებია მთავარ საკითხებს, მხოლოდ მათ გარშემო და მათთან დაკავშირებითაა ლაპარაკი. აგრეთვე, პირად მოსაზრებებმა და დიპლომატიამ საკმაოდ დაასვეს დალი მთელ დისკუსიას. განსაკუთრებით კავშირის ხელმძღვანელობა გამოდის გაღაბული. არ ვიცი კი ამას რა შედეგი მოყვება.

გარდა ამისა, სხვა არაფერი საყურადღებო არაა, კავშირში ჩვეულებრივად იკრიბებიან მწერლები და ერთმანეთს ქირდავენ, ბოვი ჭორს აგუნდავენ და არის ქვენა ინსტინქტების შეჯახება. შემდეგ მიდიან „ფედერაციაში“ ფულისათვის და რესტორანში ეპირფერებიან ერთმანეთს, დასწყევლოს ღმერთმა, თუ ასე გაგრძელდა, არა თუ დიდი ნაწარმოები, არამედ... არ ვიცი აქედან რა გამოვა.

ერთი გულით მენ შეგნაგრი, რომ ხარ შენთვის, მოცილებული ამ ამბებს და მუშაობ. შენი „ქეთო და ცხენი“ ითარგმნება, ის ყმაწვილი შემპირდა ნიმუშის მოგანას ამ დღეებში. მე მგონი საჭირო იქნება თარგმანი ჯერ გადაიკითხო და რედაქცია გაუკეთო.

ერთი სიტყვით როგორც მოიწერები.

იყავი კარგად.

მოკითხვა რძალს.

მოგიკითხათ ნინამ.

წერილის მოწერას ნუ დაიბარებ. მართლა, თუ შენთვის საძნელო არ იქნება, როგორმე ეს პაგარა ბარათი მიაწოდე ვ. გოლცევის¹.

„მახრას“ თარგმანს ველი შენს წერილთან ერთად.

ძმური სიყვარულით რაელენ გვეტაძე²
16. IV. 1931

ძვირფასო მალვა,

სულ მოკლე ხანში ძლიერ შეგეთვისე, დიდის სინამით განვიციდი შენს განუზომელ თავაზიანობას და ძმურ დამოკიდებულებას. მე არ მიყვარს ცარიელი ქაღილი. ვიცხოვრებთ და საქმით დავიმტკიცებთ, რომ ძმობის დაწვევაში არ ჩამოგრჩები. მე ოდნავ მაწუხებს, რომ ზოგ შემთხვევაში ძლიერ მკვახედ გექცეოდი, მაგრამ ყოველივე საესებით უანგარო სიყვა-

¹ ვიქტორ გოლცევი (1901–1955) – რუსი კრიტიკოსი. ქართული ლიტერატურის კარგი მცოდნე და პოპულარიზატორი.

² რაელენ გვეტაძე (1897–1952) – მწერალი.

რულით იყო გამოწვეული, მერწმუნე. გარდა ამისა, მე ძლიერ გენდენციური კაცი ვარ და ამ ქვეყანაზე ყველას და ყოველივეს ჩემი ხალხის უტილიტარისტული თვალსაზრისით ვზომავ. შესაძლოა ეს არ იყოს სწორი. მაგრამ საქართველოში უკაცობით გამწარებული ვარ და ყოველ ახალსა და ნიჭიერ ძალას იჭვენულად ვექცევი, ამიტომ ვერ შევიკავე თავი შენს მიმართ.

მე უკვე გვიღისში ვარ, კარგად ვიმგზავრე. შევცქერი საქართველოს მაღალ ცას, ლამაზ ქალებს, ახლაც წითელი ღვინო მიდგია წინ, ვსვამ შენ სადღეგრძელოს. დღეიდან ვიწყებ მუშაობას. წელში გავიმართე, მისხარია რომ შინა ვარ. წუხელ მწერლები იყვნენ ჩვენსას, ნიკოც იყო, გახსენეთ, გადღეგრძელეთ. მოიწერე. ჩემდა თავად ამის მეგს არ შეგაწუხებ. აბელის წამოსვლა მაცნობე მყისვე, სემიონოვიჩი გეგყვის. დიდ სალამს გადასცემ სემიონოვიჩს, დიდ მადლობას, საერთოდ მე მისგან განუმომელად დავალებული ვარ და ვეცდები ეს სხვა დროს და სხვაგვარად გამოვსახო. ჯამაგირი არ დამაკლო-თქო, უთხარი. ძმური სალაში გადაეცი ფაგის, მანაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დაგოვა ჩემზე. ვარდინიე მომიკითხე. ბუერი რამე მინდა მოგწერო, მაგრამ ლექცია მაქვს სალამოს და მისთვის ვემზადები. „იზვესტიაში“ თუ რამე დაიბეჭდოს არ დამზარდე და ის ნომერი გამომიგზავნე.

*ძმური სალაში
შენი კონსტანტინე ვ.¹
გვიღისი, 1932. 21. V
ჯულაშვილის № 13*

ძმარ შალვა,

დიდი მადლობა შენი ესოდენ მზრუნველობისათვის. ძალიან მიმძიმს სათაურის გამოცვლა, რადგან სათაურიდან გამოვიდვარ ყოველთვის, ზოგიერთი კაცი ყოველდღე სამჯერ უცვლის სათაურს და მაინც არაფერი, ჩემთვის ეს არსებითია. დეე, იყოს ნება შენი, დაარქვი „ХУДОЖНИК И СКУЛЬПТОР“, „ისკუსტვო ლეი“ ვგონებ არ გამოდგება.

შენ ჩამოსვლას აპირებ? უთუოდ მინახულეთ შენ და შენმა მეუღლემ, შესაძლოა მე აქ დაგხვდეთ, რადგან „ვოსლიგიზდაგი“² ისე მაჩქარის, თუ ვერ გავათავე საქმე, ვეღარსად წავალ. ჯერაც ერთი კვირაც არ დამისვენია. ასეთია ჩემი თეატრი, ეს შესაძე წელია რაც არ დამისვენია.

¹ კონსტანტინე გამსახურდია.
² Государственное литературное издательство.

კიდეუ ვმალლობ ყურადღებისათვის, იმედია, სამაგიეროდ მეუ გზებზე ირთუა
კეთებ რაიმეს.

სალამი შენს ოჯახობას
ძმური სალამით
კონსტანტინე გ.

P. S. თუ „კრასნი ნოვი“ ბეჭდავს „ხოგაის მინდიას“ სთხოვე ამხ. მიგროფანოვს გიხონოვს¹ გაასწორებინოს სტილი. ფაგის სთხოვე მიპასუხოს წერილზე.

შენი კ. გ.
გფილისი, 1939, 22. VI
ჯაფარიძის № 13, გ. 3-08-11

ძმარ შალვა!

შენი წერილი მივიღე. ხანდახან შენს ნაწერებს რომ მომაწვდიდე ძალიან კარგი იქნება, იქნება მასალად გამომადღეს, ხომ იცი, გფილისი, ჯერ კიდეუ პროვინციად ითვლება და ცენტრის ამბები დაგვიანებით მოდის. წინათაც ასე იყო: რომელიმე კაბის მოდა მესგაფონში ათის წლის დაგვიანებით იკერებოდა. „ლიგ. გაზეთს“ გიგზავნი: იქნება ჩემმა წერილმა შეგაყვაროს ან ბიძგი მოგკეს საქართველოს შესახებ მოთხრობების წერისათვის. მართლა: მინდა ეს წერილი („ერევნის მოედანი“) გადავართარგმნინო რუსულად და „იმვესგიაში“ მოვათავსებინო, შენი ამრი მენიაზება. ივარგებს? ერთი სარდაფი გამოვა. ასეთი კარგი მოედანი გაკეთდა და მისი წარსულის შესახებ კი არავინ არაფერი არ იცის. გარდა ამისა შენს ხელშია „მაქსიმ გორკის ბიბლიოგრაფიის“ მოწყობის ბედი – იქნება სადმე შეაკვეხო. გეთაყვა, შალვაჯან, „ლიგ. გაზეთს“ უნდა ის სურათი, რომელიც აბელთან ერთად გადავიღეთ. პირველი გადაგვიღო მაგვევემა, კულყარის ფოტოგრაფი იყო (და დაიბეჭდა კიდეუ „კომ“-ში), მაგრამ დედანი ვერ აღმოვაჩინე, იქნება ციხივტო-ში მიაკითხო და ეს მაგვევევი ინახულო. მეორე – ლეონილოვმა გადაგვიღო აბელთან. გთხოვ, ფასდაკლებით გამოაგზავნინე, იმედია შემისრულებ. მეუ სამაგიეროს გადავიხდი...

ი. ვრიშაშვილი

¹ ნიკოლოზ გიხონოვი (1896–1979) – რუსი პოეტი, ქართული პოეზიის დიდი მოკულებარმაგორი.

ჩემო ძვირფასო შალვა!

ეს ერთი ძველი პოეტიკის ლექსია (სტეფანე ფერშანგიშვილისა), საიათნოვას ეპიგონისა, რომელსაც უხლა ვიკვლევ: ეს სტრიქონები სწორედ ჩვენზედაა შედგამოჭრილი. პირველი: გთხოვ, მომწერო ლეონიძის მისამართი. სახლი, რომ გერცენისაა – ვიცი, მაგრამ ქუჩის სახელწოდება დამავიწყდა (ნუ გაიკვირვებ, მე გფილისელი ვარ და გემუბიან რუსეთის ქუჩებს ვერ ვიხსოვებ...). კაცო, მაგ ოჯახქორმა 15 მანეთი მთლიანად გამომართვა (ბარათი ხელთა მაქვს), ეხლა არა მცალიან და შენს პორტრეტს, რომელიც მწერალთა კავშირის ყრილობაზე გადავიღე, 6 ცალს ფოსტით მოგართმევო (დამატებად უნდა გამოეგზავნა აგრეთვე მწერალთა კავშირის ყრილობათა კოლონების დარბაზი, სადაც შოთას პორტრეტი პუშკინის გვერდზე მოსჩანს), გიყვია, ყურუშსაღი! არ მახსოვს რომელია. დავთრებში ჩაიხედოს რაღა. მეორე: – „30 АРЕИ“ აქ არ მოდის და იქნება მომწოდო ორი ეგზემპლარი, ვაჟას რომელი მოთხრობა მიდის?.. მ. ციციშვილის მისამართი: ბარნოვის ქ. № 51. მესამე: – ცაგარელის¹ თარგმანი არც წამიკითხავს და არც მაგისტანა მწერალს ვიციანო.

მარად შენი ხოსო²

8. III. 1935, ქალთა დღე

სალამი შალვა!

შენი წერილი მივიღე. იწერები „საიათნოვას“ შესახებ. ძალიან კარგი აზრია მაგ სერიის ხაზით თუ გამოვა საიათნოვა. რასაკვირველია, ამომწურავი მასალების მოძებნა აქედან მანდამდის ძნელად შეგხვდება, მაგრამ ისიც კარგია, რომ მეორე გამოცემას დაეწერება: „შევსებული და შესწორებული“ – შენ ეს არ გინდა, ხომ? შენ გსურს დანდუროვის წიგნი შეამოწმო... ჩემო შალვა, ეს ძალიან ძნელია... მაგ წიგნს თუ აქ ჩამოიტან – მაშინ გაადვილდება შენი განზრახვა... მე ისიც არ ვიცი, მარტო ქართული წყაროები გენიამება თუ სომხური. ჩემის აზრით, საიათნოვა იმდენად არის სომეხ-ქართველ-თურქთა პოეტიკა, რამდენადაც ის ამ ენებზე ლექსებს სწერდა. ეგ წიგნი ამ სამ ენაზეა გარჩეული?.. სომხეთში დიდი მასალაა მაგის შესახებ. პროფ. ლეონ მელიქსეთ ბეგი³ მუშაობდა და კამათობდა საიათნოვას საკითხების (უმთავრესად მისი გარდაცვალების

¹ გიორგი კონსტანტინეს ძე ცაგარელი (1893–1955) – მწერალი, მთარგმნელი.

² ოსებ გრიშაშვილი.

³ ლეონ მელიქსეთ ბეგი (1880–1963) – სომეხი მეცნიერი, არმენოლოგი. მოღვაწეობდა თბილისში.

თარიღის) გარშემო სომხის მწერლებთან. მან წიგნიც გამოუშვა... მაგრამ მეშინიან არ დაგაბნიოს ამდენმა მასალამ. მე ჩემს საიათნოვას მეორედ ვებჰდავ მისი ლექსების თანდართვით, შევსებულად. მაგრამ მისი გარდაცვალების თარიღი მაინც ისე რჩება, როგორც ჩემს წიგნშია, ე. ი. იგი 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის მსხვერპლი გახდა. ამას ლაღადებს ხალხური ლეგენდა და ეს ლამაზი ლეგენდა დე დარჩეს. მე არ მივიღე პლატონ იოსელიანის¹ თქმული: „1801 წელში გარდაიცვალაო...“ ყოველ შემთხვევაში ჩამოდი, გაისეირნე, გამოისეირნე და იქნება ახალი მასალები ან წიგნები მოგინდეს და გაგიზიარებ, არ დაგზარდები.

ეს კი უნდა ითქვას, რომ ჩემი წიგნის შემდეგ (მანამდე საიათნოვაზე ჩვენი კრიტიკოსების მიერ ჩქაში არ დაძრულა) საიათნოვაზე ინტერესმა გაიღვიძა, იგი შეაქვთ ქართულ ქრესტომატიებში, უნივერსიტეტში მსჯელობენ და ყველას სურს ამ ფენომენის შესახებ თავისი ხმაც დაარხიოს... მე კმაყოფილი ვარ.

ნახვამლის მოხალ?
შენი პაგ. ა. გრიშაშვილი

P. S. გიგზავნი ჩემს ლექსებს ამ უკანასკნელ პერიოდში დაწერილს „ვერ გნახეო“ და აპა, ნახე...

დიდი პატივისცემით ამბ. შალვა სოსლანს!

მივიღე უაღრესად კეთილშობილური ვრძნობით დაწერილი თქვენი წერილი. გამიკვირდა, ვინაიდან დღევანდელ გამძაფრებულ პირობებში არა ვარ ჩვეული ასეთი თბილი, მეგობრული წერილების. ვიწრო ნაციონალისტური აზროვნების არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ თქვენს წერილში მაინც ძლიერად ვიგრძენი საქართველოდან შორს გადახვეწილი ახალგაზრდა მწერლის ფაქიზად მოვლილი სათუთი გული.

გმადლობთ იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელსაც თქვენ მპირდებით ჩემი მოთხრობის გარშემო. თუ ღირსი გახდეს ჩემი მოთხრობა გადათარგმნის, ვთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება რუსულ გექსტებს. დიდათ დამავეალებთ, რომ თქვენ გეკისრათ თარგმნა, თუ ღირსად მიიჩნევდით. მე ვიცი თქვენ საფუძვლიანად გაქვთ შესწავლილი რუსული ენა. მე თქვენ გიცნობთ. ერთხელ მინახიხართ შორიდან სასახლეში, თუმცა კარგად არ

¹ პლატონ იოსელიანი (1809–1875) – ისტორიკოსი, სამოვადო მოღვაწე.

მახსოვხართ. თქვენი სახელი მსმენია ზოგიერთი ჩვენი მწერლებიდან და... ამის გარშემო ვისაუბროთ მაშინ, როცა ჩამოხვალთ საქართველოში და მინახულებთ უთუოდ.

მწერთ „ვერ წარმომიდგენიხართ...“ მაშ სანამ გამიცნობდეთ წარმომიდგინეთ ასე: გამხდარი, დაღრეჯილი, თმათეთრი, საკმაოდ მოხუცი. მიუხედავად ასეთი გარეგნობისა ჩემს სახლში მაინც ხშირად იყრიან თავს ახალგაზრდები.

რაც შეეხება ჩემს მწერლობას, მე ერთი ჩუმი საბავშვო მწერალი ვარ. ვიცი ჩემი ნაწერებით კმაყოფილი არიან ბავშვები. სხვა არაფერი მაწუხებს. არაფრად მეჩვენება არავისი არც ქება და არც გინება.

ახლანდელ დროში მწერალს ან თვითონ უნდა შეეძლოს დღედაღამ თავის თავზე ლაპარაკი, ან უნდა ყავდეს თავის გარშემო ჯგუფები დარამული სარეკლამო ფურცლებით. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი არა ხარ! ასეთი საოცარი გახდა ჩვენი მწერლობა და ჩვენი სასახლე. მე არ მეხერხება ასეთ ამბებში ჩარევა. ღეე „იქუხონ“... მე მაინც მჯერა ურწმუნო თომასავით, რომ ამ ეპოქის მწერლები საბოლოო „ჯამში“ დიდ წონას ვერ შეუქმნიან თავისთავს.

მეოცე საუკუნეში გამოვლილმა მრავალმა ფაქტმა დაგვიმტკიცა, რომ რაც ერთ დღეს საინტერესოა, ის მეორე დღეს არაფრად აღარ ღირს; რომ დიდი შემოქმედებისათვის ხანგრძლივი – კრისტიანობის ეპოქაა საჭირო.

ნახვამდის... იყავით კარგად!

პატივისცემით ლილია მეგრელიძე¹

ქიტკასას შესახებ მწერთ თქვენს აზრს. თქვენი შენიშვნა ჩემთვის მისაღებია, მაგრამ ისე რომ დამესრულებია მოთხრობა, ქართულ ენაზე არ ეღირსებოდა დაბეჭდვა. აქ მომქმედ წრეებში ასეთი აზრია გამეფებული: ათასწლოვანი დახვეწებული ქვაყ უნდა გახეთქო და იქიდანაც წითელი ფერის მარგალიტები უნდა გადმოაღაგო.

2. XI. 36

სალამი დიდად პატივცემულ მეგობარ შალვას!

მივიღე შენი წერილი გუშინ და დიდად მესიამოვნა. მე შევეცდები შეძლებისდაგვარად შევასრულო შენი სურვილი, გამოვთქვა ჩემი აზრი „ახალი ბალის“ შესახებ მთლიანად. მართალი გითხრა, ჩემთვის ეს საქმე

¹ ლილია მეგრელიძე (1883–1968) – საბავშვო მწერალი.

საძნელოა, რადგან საერთოდ თანამედროვე მწერლობას საკმარისად თვალყურს ვერ ვადევნებ და თანამედროვე მწერლობის საკითხებზე ჯერჯერობით ცოცხას ვმუშაობ. მე ძალიან მაინტერესებს თანამედროვე მწერლობა და მისი განვითარება. მთელი მუშაობა საბოლოო ანგარიშით თანამედროვე მწერლობის განვითარების საშახსურში მინდა დავევა, მაგრამ ჯერჯერობით საამისოდ მხოლოდ მოგადი კონკურები მეხატება. როცა ვიგრძნობ, რომ დაძვლიე კლასიკოსები და გავიგე მხატვრული შემოქმედების არსი და ისტორიული განვითარების გზა, მაშინ უფრო შევძლებ, მე მგონია, გარკვეული სარგებლობა მოუგანო თანამედროვე მწერლობას. მართალია, კლასიკოსების მასალაზე ბევრს უმუშავია, ჩემზე არა ნაკლებ მკვლევარებსა და კრიტიკოსებს, მაგრამ მე რუსთაველთან მაქვს საქმე და ამის იმედი მაქვს. აქ ვიპოვე არა მარტო ისტორიულად, არამედ თეორიულად მნიშვნელოვან პრობლემათა ორიგინალური გასა-
ლები. ამ მუშაობამ ისე შემაბრუნა ლიტერატურის პრობლემათა მიდგო-
მამი, რომ ჯერჯერობით მიძნელდება თანამედროვე საკითხებზე თანამედ-
როვეთათვის გასაგებ ენით ვილაპარაკო. მე მაინც ვედი გამოვთქვა ჩემი
აზრი „ახალი ბალის“ შესახებ (რამოდენიმე დღის შემდეგ თინა მათხოვებს
ამ წიგნს, ან ისე ვიშოვი). მე იმედი მაქვს, რომ შენთან გამოენახავ ადვი-
ლად საერთო ენას, რადგან ჩემ ნაშრომს მალე წაიკითხავ და იქ თანდათან
გამოჩნდება ჩემი გზა და მიდგომა.

სხვათა შორის, საინტერესო თემად დამიდგა თვალწინ საკუთარი
შრომის გადასწორების და შესწორების საკითხი, ეს, მე ვფიქრობ, ფსიქო-
ლოგიური თემაა. შენ მწერ, რომ კვლავ ვასწორებ ჩემს უკვე დაბეჭდილ
ნაშრომსო. ეს, ჩემის აზრით, ძალიან კარგია, ეს მრდის მაჩვენებელია.
მხოლოდ ეს მრდა ყოველთვის აღმართებით არ მიდის. მას ხშირად
დაღმართებიც მოსდევს, რათა შემდეგ უფრო დიდ აღმართზე ავიდეს.
ხშირად ახლად გასწორებული უფრო ცუდია, ვიდრე წინანდელი. ბევრს
ეს დაქვეითებად მიაჩნია, მაგრამ არ არის სწორი. გარკვეული ხნის შემდეგ
კიდევ გასწორება გამოასწორებს არა თუ დააქვეითებს, არამედ აამაღ-
ლებს და გააუკეთესებს წინანდელ კარგსაც. გასწორება-გადაკეთება მე
გამომიყვია ჩემ ნაშრომებზე ძალიან ბევრი. ამ გასწორება გადაკეთებაში
იმდენი ახალი აზრი დამბადებია, იმდენი გემო მინახავს, რომ პირდაპირ
ჩვეულებად გადამექცა შესწორებათა შეგანა. ხშირად სრულებით
უადგილოდ და მიზანშეუწონლად ვაკეთებ შესწორებას მხოლოდ იმიგომ,
რომ არ შემიძლია გადაკითხვის დროს გვერდი სუფთად დავტოვო. ეს
უკვე ცუდი ჩვეულებაა და ეხლა ვცდილობ ეს ჩვეულება დაძვლიო. გავამახ-
ვილო ყურადღება და შევცნება ისე, რომ მხოლოდ საჭირო შესწორებები

გავაკეთო.

მე ვფიქრობ მწერალმაც, მკვლევარმაც, ყოველმა მოღვაწემ თავის შემოქმედებით მუშაობაში შეიყვაროს ყველაზე უფრო ერთი ან უკიდურეს შემთხვევაში ორი თემა. თემა უნდა იყოს ისეთი, რომ გრძნობდეს მის მაღალ ღირებულებას, როგორც შექსპირისათვის იყო ჰამლეტი, გოეთე-სათვის ფაუსტი, პუშკინისათვის ევგენი ონეგინი. ყოველმა მოღვაწემ, ჩემის აზრით, ამ ერთ თემას მაინც უნდა ბევრჯერ დაუბრუნდეს, გაასწოროს, გადააკეთოს და ასე მარდოს თავისი ნაწარმოები და თავისი თავი.

მე ვფიქრობ, რომ გასწორება-გადაკეთებას საჭიროა საფუძვლად ედოს აგრეთვე გარკვეული კომპოზიციური და არქიტექტონიკული კრიტერიუმი. მასალა და თემა ისე უნდა გადაამუშავო, რომ მოისწრაფოდეს მიიღო ერთი მთლიანი მწყობრი აღნაგობა, არა მარტო ნაწილებში, არამედ მთელში.

მე პირადად „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობაში მაქვს აზრად „ვეფხისტყაოსნის“ მწყობრი სიუჟეტის არქიტექტონიკა და სტილი აეხსნა, გავაშუქო, დაეახასიათო მხატვრულად, იდეურად (შეიძლება ისტორიულადაც, ეს არ ვიცი) არქიტექტონიკურად მწყობრ გამოკვლევაში. არ ვიცი როდის დავძლევ ამას, ჯერ მაქვს გამოშუშავებული გეგმა. ჩემი „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიული და სოციალური გარემო“ და „მოქმედი გმირები“ (რუსთაველის ფსიქოლოგია) შევა ამ გამოკვლევაში როგორც ცალკე თავები.

ბოდიშს ვიხდი, რომ სიგყვა გავაგრძელებ ასეთ საკითხებზე. ეს ჯერჯერობით კვებნასაც შეიძლება დაემსგავსოს, რადგან არ ვარგა საკუთარ განმრახებების მხილება. ეს თვითონ საქმემ თავისთავად უნდა სთქვას თუ იგყვის. თუ არა, სჯობს თვითონაც გაჩუმდე.

გუშინ თინა ვნახე, ცუდ გუნებაზეა ერთი შენი კარგი ნაცნობის და მისი კარგი მეგობრების მოულოდნელად თავის ბინაში არყოფნის გამო. აგრეთვე მოხოვა მომეწერა შენთვის, ღვინო მიიღე თუ არაო? „ერთხელ ღვინო გრესტს შეუცვლია, შემდეგ მეორედ შეუძენია და ქვითარი შენი ღისათვის (მურასათვის) ჩაუბარებია. მას უნდა გამოეგზავნა შენთვის. მიიღე თუ არა?

როგორც იწერები პირველ აგვისტოდან მიღიხარ მოსკოვიდან. ძალიან გამახარა შენმა გამოძახილმა ჩემი ნაშრომების შესახებ. განსაკუთრებით კი იმან, რომ შენ თვითონ იკისრებ თარგმნასაც, თუ კი საერთოდ მისაღები იქნება თარგმანისათვის. მე მინდა გამოგიგზავნო მხოლოდ მოკლე რეზიუმე პირველი ჩემი ნაშრომის: „ვეფხისტყაოსანი და ირანული ეპოსი საქართველოში“, თუ ზეგამდე მომიწერო შემანქანებ, მაშინ ზეგ 26. VII მო-

გისწრებს მოსკოვში. სხვა ნაშრომები უნდა შევესწორო, გავაფართოვო „რუსთაველის ფსიქოლოგიას“ ჯერ ვერ მოვერიე.

დიდი პატივისცემით შალვა აღზაბიშვილი¹
24. VII. 1936 წ.

გულითადი ხალაში შალვას გფილისიდან!

თქვენი წერილი მივიღე 10 იანვარს. მაღლობელი ვარ მოგონებისათვის. სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას და გიგზავნით „გიორგი მეცამეტეს ცხოვრებას“.

სხვა, შალვა, როგორა ცხოვრობთ, რაზედ მუშაობთ, რა იბეჭდება თქვენი? დარწმუნებული ვარ, თუ ახალი რამ გამოდის თქვენი – გამომიგზავნით. ვეცდები მეც გიპასუხოთ ასეთივე საჩუქრით (აპრილში გამოვა გრიგოლ ორბელიანის „წერილების“ მეორე ტომი, რომელიც საინტერესო მასალას შეიცავს).

ვაპირებდი მოსკოვში ჩასვლას თებერვალში. მაგრამ წიგნის ბეჭდვამ ხელი შემეშალა. ნუ დაიბარებთ და როცა თავისუფალი დრო გექნებათ, მომწერეთ მანდაური ამბები (ისეთი რამ, რაზეც პრესაში არ სწერენ).

აქეთ ახალი არაფერია, ქართველ მწერლებში ყოფნა არც ისე საინტერესოა მცირე გამონაკლისების გარდა, ეს კავშირი წარმოადგენს ულემენტარული კულტურისა და შეგნების მქონე მოქალაქეთა ნაცრისფერ მასას.

ვ. ნოზაძე² აქ არის. ჯერ არ მოუყოლია რუსეთის ამბები.

ქართ. მუსიკის დეკადას ესწრებით? როგორია შთაბეჭდილება ხალხში? ახალს რას კითხულობთ? რა თქმა უნდა წაიკითხავდით ერნესტ ჰემინგუეის რომანებს და ნოველებს, ძლიერი მწერალია.

ეგებ სადმე შეგხვდეთ Розанов-ის „Опавшие листья“ – (ორი ტომი). მაცნობეთ და ფულს სასწრაფოდ გადმოგიგზავნით.

პატივისცემით თქვენი აკაკი ვაჭერელია³
წიგნი გეგზავნება ფოსტით
10. I. 37

¹ შალვა აღზაბიშვილი (1899–1980) – კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე.
² ვიქტორ ნოზაძე (1893–1975) – სამოვადო მოღვაწე, მეცნიერ-რუსთაველოლოგი, მწერალი, ემიგრანტი.
³ აკაკი ვაჭერელია (1910–1994) – მწერალი, ლიბერალურათმცოდნე.

P. S. განსაკუთრებული მოკითხვა ქანგო ლოლობერიძეს¹. მისი მისამართი არ ვიცი. ძალიან მაწუხებს მისი არეული მდგომარეობა. ცოლი არ გაუშვია?

ამხანაგო შალვა!

თქვენი ა. წ. 19. IV გამოგზავნილი ბარათი დღეს დამხვდა სახლში. მე ლენინგრადში ვიყავი წასული შემოქმედებით მივლინებაში და ამ დილით ჩამოვედი.

ძალიან კმაყოფილი დავერჩი თქვენი ბარათით, როგორც წერილიდან სჩანს მოთხოვნა გულდასმით და მწერლის თვალთ წავიკითხავთ. ზოგიერთ მითითებებს სრულიად სამართლიანად მისაყვედურებთ, როგორცაა მანქანის რამდენჯერმე განმეორება. აქ მართალი ხართ, მაგრამ ასეთ თემაზე „ტვინი მეწვის“ ან „მინდა ღრუბელი სათითაოდ ჩამოვგლიჯო და ხრამში გადაეჩხო“, თქვენ ამბობთ „პათოლოგიურად გადაჭარბებული თქმაო, არაბული ვერ იგყოფა, თქვენი მოგონილიაო“. მართალია გადაჭარბებული თქმაა, მაგრამ ჩემი მოგონილი არ არის, არაბულის თქმულია. მე მთას საკმაოდ კარგად ვიცნობ. საქმე იმაშია, რომ მთას საერთოდ პათეტიური სიგყვა უყვარს და ყალბი პათოსიყ ჩვევია. ამიგომ არ შეიძლება არაბულმა იმერული ან მეგრული გლეხის ენით ილაპარაკოს. თუ თქვენ წარმოიდგენთ დაღლილ-დაქანცულ ადამიანს უზარმაზარ მთებს შორის, სიგყვა „იყანყალოს“ ირონიულ სახედ არ წარმოიდგენთ.

რაც შეეხება მის პროვინციულობას – ვერ დაგიჯერებთ, თქვენ მას შეხედებით საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონში. იგყვიან ჯმუხ კისერს განად ჯმუხიაო, ჯმუხი სახისააო, ბარში შეიძლება არც ერთ შემთხვევაში არა თქვან, მთაში ამბობენ. უნდა მომიგვეოთ თუ ავტომობილის დმულისა და ყეფის მაგიერად მისი წივილი მესმის. ეს ერთხელ ლ. ქიაჩელმაც შენიშნა, ერთ-ერთ ჩემს ნოველაში. არ დავეთანხმე. ასე მესმის. თქვენ ალბათ იხმარდით ყვიროდა ან ქაქანებდა, მეორე იგყოფა ყეფდაო.

გეთანხმებით შენიშვნაზე „საკმარისი იყო ოდნავ ფეხი დასცდენოდა, რომ წამსვე ხრამში გადაიჩეხებოდა“ – არ ვარგა. არ არის გრამატიკულად სწორედ დალაგებული. კურნალი დაიბეჭდა ჩემი აქ ყოფნის დროს და კორექტურა არ მინახავს. იქნებ არ გამეშვა, შეიძლება გამპაროდა კიდეც, ამ ცოდვას არ ვიხსნი თავიდან. ასევე გეთანხმებით „კარგა ხანს შეძინებოდა“ ალბათ – უნდა იყოს „ვიძინებდი“. რაც შეეხება „ქარი ბუღრაობდა“ სწორი სახეა, ლამაზად დანახული, კარგად თქმული. მე როდესაც პირვე-

¹ ქანგო ლოლობერიძე (1905–1955) – პოეტი-ფუტურისტი.

ლად მოხევისაგან გავიგონე ეს სიტყვა, ასეთ სახეში – გამიკვირდა, შემშურდა. თქვენ სწერთ „ასევე ცუდად არის ნათქვამი – „მიწას ბლუჯნიდა, სახეს აქეთ-იქით ახლიდა ქვებს“, ჯერ სიტყვა „ბლუჯნიდა“, მეორედ გაურკვეველია თავად ეხეთქებოდა ქვებს თუ ქვებს იხლიდა სახეში. არც პირველი და არც მეორე. „სახეს ახლიდა ქვებს“. ცოცხალი ვამბობ: „პირქვე დაემხო“. პირქვე ამხია გამოქვაბულში, სადაც სწორი ფართობი კი არ არის, არამედ კლდის ოღრო-ჩოღრო ნაწილებია. პირქვე დამხობილი ადამიანისათვის ძალიან იოლია ოდნავ თავის აქეთ-იქით მიწვევით, სახე მიახალოს ამ ნაწილებს.

მე თავის მართლებას შეუდექი – არ არის საჭირო. თქვენი მითითებები მივიღე როგორც მეგობრის რჩევა-დარიგება.

ამხ. შალვა! მართალია თქვენ არ მირჩევთ ამ მოთხრობის დაბეჭდვას, ამავე დროს თქვენ ძალიან გადაგვირთული ხართ, მაგრამ მე მაინც უნდა გთხოვოთ, რომ როგორმე ორი-სამი საღამო მაჩუქოთ და გადა-მითარგმნოთ როგორმე. მე შემეძლო ყანჩელის¹ ან მარიჯანისათვის² გამეგზავნა. მე მინდა შემოქმედმა თარგმნოს. თუ რატომ? გასაგებია. ამიგომ ძალიან გთხოვთ ნუ დაიზარებთ. მე ორი თვე დაეზრები კიდე აქ. კინოაკადემიაში ვსწავლობ სასცენარო ფაკულტეტზე. მოგიკითხათ ბუნდელივიჩმა, თქვენი ლექტორი ყოფილა ერთ დროს.

ამხ. შალვა! „სახკინმრეწვის“ თემატიკურ გეგმაში ყოველ წელიწადს მუშაობდა ერთი თემა – „კოლხიდა“. დღემდე „სახკინმრეწვს“ ამ თემაზე არა აქვს სცენარი. თქვენ ძალიან კარგად იცნობთ კოლხიდას. მე მინდა ამ მაგზულს სამი კვირა წავიდე ფოთში. შემოდგომაზე დავბრუნდები და მაშინ მინდა მოგელაპარაკოთ უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე. მინდა თქვენთან ერთად დაწერო სცენარი – თუ თქვენი სურვილიც იქნება. კარგი სცენარი ღირს ოცი ათასი მანეთი, შემდეგ ერთი პროცენტი სურათიდან თხუთმეტი წლის განმავლობაში. როგორც მაგერიალურად ისე სხვა მხრივაც საყურადღებო დარგია. თუ თქვენ გადაწყვეტთ და აქედანვე მომცემთ პირობას მე „სახკინმრეწვთან“ შევთანხმებ ამ საკითხს და ხელშეკრულებასაც დავადებებ.

ძალიან გამიჭიანურდა წერილი. კიდე გთხოვთ, ამხანაგო შალვა – უარს ნუ მეტყვით მოთხრობის თარგმანზე. ველი თქვენს ბარათს.

გრიგოლ ჩიქოვანი³
17. V. 37 წ.

¹ ალექსანდრე ყანჩელი (1875–1948) – პოეტი, მთარგმნელი.

² მარიჯანი – მარიამ გყემალაძე-ალექსიძისა (1890–1978) – მწერალი.

³ გრიგოლ ჩიქოვანი (1910–1981) – მწერალი.

ძვირფასო მალვა!

თქვენ რა ვიჭირსთ, თქვენდამი ძალაუწებურად არის ყურადღება მიქცეული საქართველოს „ყვავილების“, ისინი ხომჭარბიას სასახლიდანაც ველარ მოსხანან ისე მალლა, როგორც თქვენ. ისინი გრძნობდნენ ამას, როცა მე გფილისში ვიყავ, ხშირად მიხსენებდნენ თქვენს თავს, რისთვისაც მე მოგწერეთ პირველი (უკან დაბრუნებული წერილი). დაერწმუნდი ერთ რამეში: შეიყარენ, გაიმარჯვეს. ზემობენ. დროულია თუ არა დროული, მეფობენ კი. მე მათ შესახებ ბევრი უკამბე ამხ. ლავრენგის¹, ამის მიზეზი იყო მისი მღივნის გელეფონის ზარი უსიევიჩთან. გფილისელ გენიებმა იმდენად ჩააგონეს ვ. გოლცევის და სხვათა ლაქობით ზემდგომ ხელმძღვანელებს, რომ მართლაც გონიათ: მხოლოდ გფილისელი მწერლებია კარგი წიგნის დამწერლები, მხოლოდ მათი კვერებია წითელი, ვინც მათ არ უყვართ ისინი კი არაფერია და სხვ. მე ვებრძვი ამ ამრს შემოქმედებით, მაგრამ შემოქმედებისათვის გზა ვ. გოლცევმა გადამიკება. რუსთაველებს მოსწერა: – „რად თარგმნით ვილაც ვ. დარასელის ნაწარმოებს, გფილისელები თარგმნეთ“-ო, მაგრამ მე არ დამიგდია იარალი, წიგნი „ТВОЙ СЫН“ დაწერილია საშინელ პირობებში. შიმშილი, ინსტიტუტი, გინება, უყურადღებობა, ცელი, კიდეც რამდენი რამ. კარგია თუ ცუდია გამხნევებული ვარ თქვენი, უსიევიჩის და განსაკუთრებით ამხ. ბერიას პაგარა, მაგრამ ჩემთვის უზარმაზარ ყურადღებით. მგონია გფილისშიც იწყებენ ლაპარაკს ჩემზე (ვ. გაფრინდაშვილის ამრი: „ТВОЙ СЫН“ დაწერილია დიდებულად და ძალიან მომეწონა). მაგრამ ახლა მე უკვე აღარ მაინტერესებს ეს. არა იმიგომ, რომ გავამაყდი, არამედ ნატკენი გული იმდენად დაიარებულია, რომ მძულს ჩემი მშობლიური მხარე, მშობლები 4 წელია არ მინახავს. მოწამლული ვარ მათი არაადამიანური მოქცევებით.

თქვენი ცნობა „დეგიზდაგი“-ს შესახებ მახარებს. თუ უსიევიჩი და თქვენ მოინდომებთ საქმე გამოვა, და ეს იქნება პირველი დარგყმა ჩემგან წუწკების ცხვირპირზე. გთხოვთ, უმორჩილესად გთხოვთ, მაცნობოთ შედეგი, სად იბეჭდება უსიევიჩის სგაგია და გამოვა თუ არა ჩემი წიგნი მოსკოვში. იმედი მაქვს ამით შემაიარალებთ ბრძოლის ველზე, სადაც „გაბერილი გმირები“ დაჯირითებენ. მიიღეთ ჩემი მხურვალე სალაში ამხ. შალვა! მე ვხარობ თქვენით, რადგან როსგოვში ყოველ მწერალმა იცის თქვენი ვინაობა და თქვენი ფასი.

ამის წინ გამოგიგზავნეთ კარამზინის თარგმანი. საშველი არ მომცა.

¹ ლავრენგი პავლეს ძე ბერია – (1899–1953) – პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე.

² ვინის დარასელი (1909–1954) – მწერალი.

რას იზამ. შრომობს, ჯერ არ გამოუდის. მე წიგნს ვამზადებ ჩერკაშინის და ერთი ქართულის მცოდნე ასისტენტის შესახებ.

შეძლებთ თუ არა თქვენ ურედაქტოროდ როსტოვის გამოცემას, წიგნს (ლექსებს) გამოგიგზავნით ამ დღეებში.

ვ. ღარასელი
19. 4. 40 წ.

შალვა!

შენი მხოლოდ ერთი ღია ბარათი მივიღე. ამბები ესეთია: მოსკოვის სახლის ამბავი, თუმცა ჩვენს ხელში, ე. ი. ხელოვნების განკარგულებაში გადმოვიდა, მაგრამ ჯერ კიდევ მდგომარეობა გამოურკვეველია. ეხლა მანდ იმყოფებიან ელიავა და პავლე საყვარელიძე¹, რომელთაც იკისრეს ამ საკითხის მოგვარება, არ ვკარგავთ იმედს, რომ სახლი ე. ი. ის სართული, საცა ვიყავით, კვლავ ჩვენ ხელში იქნება, რადგან ორი წლის შემდეგ უკვე არის დადგენილება, რომ სრულიად ჩვენ გადმოგვცეს სახლი თავის მინაშენებით.

აქ სემონი უკვე დაიწყო. ოპერა ჯერ-ჯერობით ისე მარჯვედ ვერ მიდის, მხოლოდ ქართულმა დრამამ კი ახმეტელის ხელში დაიმსახურა ყურადღება. დაიდგა „მაგმუკი“², დადგმა უფრო თავისებურია, მაგრამ აქ იწვევს სამოგალოების ერთ ნაწილში აღფრთოვანებას, დანარჩენი ვნახოთ.

მუშათა თეატრი გადაეცა ქორელს³. დასში იქნებიან, ესრეთ წოდებული, ძველები და ახალგაზრდობა.

ჩვენი სტუდიელები, უთუოდ იცი, რომ გაიფანტნენ – რამდენიმე მანდ არის მოსკოვში. გოგიაშვილი ქუთაისში, ბერიძე, რობაქიძე, ციხისთავი და მგონი შიხაშვილიც ბათუმში, თუმცა შიხაშვილი რუსთაველის თეატრში ვნახე. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდა.

ესე-

მომაველისთვის მე და შურა დიდი იმედებით ვართ. მთელი ხელოვნების საქმის წარმართვას ვაპირებთ უფრო მტკიცე გეზით და თეატრებზედაც გვაქვს სულ ახალი გეგმა შედგენილი.

გაიგებდი, რომ გარდაიცვალა ჩვენი დიდი ვასო⁴, მართლა მამამთავარი 19 საუკუნის ჩვენის სცენისა. საკვირველი იყო დიდი გასვენება და

¹ პავლე საყვარელიძე (1885–1944) – მწერალი, რეჟოლ. მოძრაობის მოღვაწე.

² „მაგმუკი“ – გლეხოვის პიესა, სანდრო ახმეტელმა დადგა 1926 წელს.

³ მიხეილ ქორელი (ქორიძე) (1876–1949) – რეჟისორი.

⁴ ვასო აბაშიძე (1854–1926) – მსახიობი, ქართული აქტიორული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

დიდი ამბავი. მე იმ კვირაში გამგანჯეს ძალზე. რადგან მთელი ამ ამბის ჩატარება მთავრობამ მე მომახვია თავზე და თუმცა ვასოს გულისათვის თავს როგორ დავიზოგავდი, მაგრამ ცოცხლებთან კი ბევრი შეგაკება მომიხდა მათი რუკინიორობის გამო.

ლიგერაგურაში ჯერ ЗАТИШЬЕ-ა, აქამდე „მნათობი“ კი ვერ გამო-სულა. გამოდის „ქართული მწერლობა“. ამ დღეებში 3-4 №№ გამოვა. ჩვენი ხელოვნ. განყ. აპირებს დიდი ქურნალის „საბჭოთა ხელოვნების“ გამოცემას.

ზამთარში იქნება მთელი რიგი ლექციებისა და დისკუსიებისა.

აი, დღევანდელი თბილისი მაინც კიდევ მოღუნებულია და სუსტად მფეთქავი კულტურულად.

თქვენ კი მანდ აბა თქვენ იცით, როგორ დახელოვნდებით და ისე ჩამოხვალთ აბჯარგადებული და მშვილდისარ მომაგრებული. სანადირო აქ ბევრია.

გავიმარჯოთ. შალვა დადიანი
30. X

საყვარელო შალვა!

შენი უკანასკნელი წერილი მეტის-მეტად გულის მამამებელი იყო ადრესატისათვის.

ეს, მგონი, უფრო იმიტომ, რომ პირადად გიყვარვართ, შალვა! მაინც-დამაინც დიდი მაღლობელი ვარ გახსენებისათვის.

თუმცა ესეც კია: საერთოდ ახალგაზრდობამ დამაჩვია ქების შესხმის მოსმენას ეს ერთი ხანია, მხოლოდ არ გაენებიერებულე ვარ და მგონი, რომ არც „თავებრუ დამსხმია“.

გამიჩნდა მგრებიც, მართალია. გამიჩნდა-მეთქი რომ ვამბობ, უთუოდ მათ წინად ვერა ვგრძნობდი, თორემ იყვნენ და ესლა უფრო წამოყვეს თავი და ჩემთვისაც დასანახი შეიქნენ, მხოლოდ უბედურობა ის არის – ეს მგრები პრინციპიულები რად არიან. ცოცხა ფრაზეოლოგია რომ ჩამოა-შოროთ. „ჩამოფხიკოთ“, კერძო ინტერესები გამოშიშვლდებიან.

იყოს ვერე. ჩემი პასუხი კვლავ მუშაობა და მუშაობა იქნება, მოუწ-ყინარი და საკუთარი მაქსიმუმის გამოძვლინებელი. ეს არის და ეს.

თქვენი სიყვარულით გამთბარ სიგყვებისათვის მაღლობთ.

სალამი საყვარელ მეუღლეს. შეგირიგდა თუ შეირიგე? ჰა, ჰა! სალამი.

შალვა დადიანი

საყვარელო შალვა!

თქვენი წერილის პასუხად შემდეგი უნდა მოგახსენოთ: თუ კი რამეში გამოვადგები პატივცემულ მწერალ შტორმს¹ უკუ მიქაეას² გარშემო, მზადა ვარ სამსახურად. სამწუხაროდ რუსულ ენაზე გარდა მოროზდინოს ცნობილი წიგნისა სხვა წყარო მე არ „მისწავლია“, რომ შემეძლოს დასახელება. ამ წიგნში კი, რომელიც უთუოდ მოსკოვშიც მოიპოვება, რამდენადაც შეეძლო მაშინდელ რუსის მოხელეს კეთილ-სინდისიერად არის მოთხოვნილი უკუს და მისი ამხანაგების ამბავი, მხოლოდ ცხადია, ბევრი რამ მაშინდელი გარემოებისა არა აქვს მოხსენებული. ამას გარდა, იმ დროის სამეგრელოსა და ბაკონ-ყმობაზე კარგ ცნობებს იძლევა ფრანგი მწერალი (მთავრის სასახლეში გუვერნანტად ნამყოფი) მურიე თავის ფრანგულ წიგნში „La Mingrelie“³, გლეხთა მოძრაობაზე კი მას, რამდენადაც მახსოვს, გასაგები მიზეზით, ბევრი არაფერი აქვს ნათქვამი. ჩემი რომანი კი ემყარება, როგორც ამ წყაროებს, აგრეთვე მომსწრეთა მიერ გახსენებულ ამბებს, ძველ ფოლკლორს და სხვა წერილმან ცნობებს, რომელთაც ვკრებდი სამეგრელოში მთელი ორი წლის განმავლობაში. ხშირად ისეთებსაც, რომელთაც თითქო უშუალო დამოკიდებულება არც კი აქვთ გლეხთა მოძრაობასთან და უკუსთან, მაგრამ რომანისათვის კი ისეთი შტრიხია, რომ ვერ შეეღწევი კაცი, როგორც მოგეხსენება.

ერთის სიგყვით, თუ რამ დასჭირდება პატივცემულ შტორმს შემეკითხოს და, ცხადია, ჩემს ცოდნას არ დავიშურებ. რასაკვირველია სჯობია, რომ კითხვები თავითვე ჩამოწეროს.

რაც შეეხება თვით ჩემს რომანს, სამწუხაროდ, ჯერ არ დამისრულებია და ყურნალ „მნათობშიაც“ შევწყვიტე მისი ბეჭდვა, ანუ უკეთ... შემაწყვევინა შემდეგმა გარემოებამ:

პირველი – მე მომანდეს მოსკოვიდან სხვა 8 დრამაგურტა შორის დავწერო 20 წლისთავისთვის პიესა, საცა უნდა ასახულ იქნას ბოლშევიკურ პარტიის როლი ოქტომბრის რევოლუციის შემზადებაში და ჩვენი ეპოქა, როგორც ვადაძეები ეგაპი კაცობრიობის ისტორიაში. კარგა გაითვალისწინებთ რა საპასუხისმგებლო ამბავიც დამეკისრა.

მეორე – დავწერო პიესა პუშკინის ცხოვრებიდან („პუშკინი საქართველოში“) ეს უკვე ადგილობრივ ხელოვნების სამმართველოს დაებალებით და ესეც დიდი საშრომი და შესასწავლი საქმეა.

¹ ვიორჯი შტორმი (1898–1978) – რუსი მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი.

² უკუ მიქაეა (1812–1878) – სამეგრელოს გლეხთა აჯანყების (1856–1857) მეთაური.

³ კონრედი ალექსანდრეს ძე ბოროზდინი (1828–1896) – რუსი მოხელე, 1854 წლიდან სამეგრელოს მმართველის ეკატერინე დადიანის მდივანი.

⁴ სამეგრელო (ფრ.).

მესამე – სულ ახლახან, ოქტომბრის პირველ რიცხვებში კიდევ დამე-
ვალა აზხ. ბერიას მითითებით პიესის დაწერა ძველსა და ახალს კოლხებზე
და ეს სულ ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში.

წარმოიდგინეთ რა დაძაბული მდგომარეობაც მექნება შემოქმედების
მხრივ და სწორედ ამისთვის რომანი „ურდუმი“ უკუდგა.

მანცდამანც თუ გნებავთ, რაც დაწერილია იქიდან გამოვიგზავნით
ერთ ეპიზოდს სათარგმნად და გაზეთსა და ჟურნალში „გამოსაფენად“.

რაც შეეხება ჩემ მიერ თქვენს დავიწყებას ან „გულის აცრუებას“
(თქვენი სიგყვებია) ეს მე არა მგავს, თქვენ კარგად იცით.

მე მახსოვს ბარათაშვილი: „რაცა რომ ერთხელ სულს დააჩნდების,
სამშვილიმშვილოდ გარდაეცემის“.

მე დიდად ვაფასებ თქვენს მუშაობას, თქვენს ნიჭს, და კარგად იცით,
რომ სრულიადაც არ გიწუნებთ – სამშობლოს დაშორებული რომ ხართ.

თქვენ ემსახურებით იმ დიდ სამშობლოს, რომელშიც საქართველო
ტურფა ყვავილად შედის და ამითი ემსახურებით ჩვენ ქვეყანასაც.

სივრცესა და მანძილს უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს.

თქვენ, როგორც მწერალმა, უკვე მოიხვეჭეთ სახელი და ცხადია,
რამდენი მეტი დრო გადის იმდენი მეტი გემატებათ ცოდნა, გამოცდილება,
ოსტატობა.

მამასადამე თქვენი შრომა, თქვენი ნაწარმოები მასახელებელი იქნება
იმ ქვეყნისა, საიდანაც თქვენ წარმოიშვით.

იცოდეთ, რომ თქვენთან წერილობითაც საუბარი ჩემთვის საამურია.

თუმცა შეიძლება მალე, დეკემბერში თუ არა იანვარში მაინც, პირა-
დადაც გამოგესაუბროთ მოსკოვში. იყავით კარგად და მიიღეთ ჩემი
გულითადი სალაპი.

შალვა დადიანი
29. X. 36
ყიფიანის ქ. № 8

საყვარელო შალვა!

თქვენი წერილი 29. XI-ს დიდი ხანია მიღებულია თურმე. მე კი დღეს
გავუცან, რადგან მხოლოდ გუშინ ღამით დავბრუნდი ბაქოდან.

ჩემი „პუშკინი“¹ ამგვარ მდგომარეობაშია რუსულად: გაღათარ-
გმნილია სრულად ადგილობრივ, ვინმე შერმანის მიერ. თარგმანი ვადმოგ-
ზავნილი აქვს კერეენცევს¹ ხელოვნების კომიტეტში, რადგან თვითონ

¹ პლაგონ კერეენცევი (1881–1940) – რუსი ისტორიკოსი, ჟურნალისტი.

მოითხოვა. აგრეთვე გადმოგზავნილი აქვს „თეატრსა და დრამატურგიას“ დასაბუქდათ. ეგეც მათი სურვილის თანახმად. ერთი ეგემპლიარიც ბაქოს რუსულმა თეატრმა წაიღო და მეგი არა მაქვს, თორემ, ცხადია, გადმოგზავნილი თქვენთანაც, რადგან შეამებოდა თქვენი თხოვნის შესრულება. თუ ძალიან დაინტერესებულია „30 Дней“-ს რედაქცია, შეიძლება პირადად თქვენ გაისარჯოთ და შეიაროთ „თეატრსა და დრამატურგია“-ში. იქიდან შეიძლება რომელიმე ნაწყვეტი ამოიღოთ თქვენი ქურნალი-სათვის.

თუ საჭიროა უთხარი, что я согласен перепечатать с моего экземпляра „Пушкин в Грузии“ отрывок для журн. „30 дней“.

Шалва Дадiani

მე მგონი ჩემი თანხმობისათვის ეყოფათ ამ რუსული მინაწერის ჩვენებაც.

რაც შეეხება „ურდუმს“ და სხვა ზოგ ჩემ ახალ ნაწერს ამაზე თებერვალში უნდა ჩამოვიდე მოსკოვს და მაშინ „მოვიუბნოთ“.

პატივემულ შგორმს გადაეცით ჩემი გულითადი სალაში. ის ხომ „მოლოგნიკოვის“ აგგორია? თუ ის არის, უსაზღვრო პატივსა ვეცემ უთუოდ ნიჭიერად დაწერილ წიგნისათვის. კარგა დაკვირვებით მაქვს წაკითხული.

*იყავით კარგად. სალაში
შალვა დადიანი
30. XII. 36*

საყვარელო შალვა!

მაინტერესებს შემდეგი ამბები: რა პქნა ამხ. ნაგომ თარგმანებისა, „ურდუმზე“ რა უთხრა ამხ. სტავსკიმ?¹ „ერთსა დღესა“ გოლცევის დახმარებით მოაწყო საღმე ქურნალში თუ არა?

მე თვითონ მიეწერდი პატივე. ნაგოს, მაგრამ სამწუხაროდ, მისამართი დამკარგვია.

ამას გარდა – შალვა – გენაცვა! მოსძებნეთ როგორმე დრამატურგი ქორეიკა მდივანი² და კკითხეთ – როგორ არის ჩემი პიესა „ნაპერწკლი-

¹ ელადიმერ სტავსკი (კირპიჩნიკოვი) (1900–1943) – რუსი საბჭ. მწერალი, ჟურნალ „ნოვი მირ“-ის რედაქტორი.

² ქორეიკა (ვიორგი) მდივანი (1905–1981) – დრამატურგი, სცენარისტი.

დან“-ის თარგმანის საქმე. იმან იცის, მარტში უნდა მომსელოდა საბოლოო შესამოწმებლად თარგმანი.

სხვა აქაური რა მოგწერო? დიდი და შესამჩნევი ლიტერატურასა და თეატრის სფეროში ჯერ-ჯერობით არა მომხდარა-რა, გარდა იმისა, რომ ჩვენს კავშირშიაც უფრო თამამად გაისმა თვითკრიტიკული ხმა არსებული საქმიანობის გარშემო და ერთი დიდი კრებაც ვუძღვევით ამ საკითხს. მოველით აქაც ხელმძღვანელობის განახლებას...

თეატრში, მარჯანიშვილის თეატრიდან დოლო ანთაძე¹ გადაიყვანეს ხელოვნების სამმართველოში ყველა თეატრების (რესპუბლიკაში) საქმეთა მმართველად და მის მაგიერ დირექტორად და ხელმძღვანელად დანიშნეს შალვა ლამბაშიძე². იქვე ამ დღეებში დაიდგა ვაკელის³ „შური“. რუსთაველი ამზადებს შიუკაშვილის⁴ „სულელს“.

ეს არის სულ.

მომიკითხე და გულითადი სალაში გადაეცი შენს მეუღლეს, ამხ. ლალის და ყველა იმათ, ვინაც შენს ოჯახში გავიცანი.

სალაში. შალვა დადიანი
14. III. 38

*ამხ. შალვა სოსლანს, მოსკოვი
ძვირფასო და დიდად პატივცემულო შალვა!*

წრფელი სალაში საქართველოდან და კარგად ყოფნის სურვილები. უკვე სამი თვეა რაც მოგვეფარე, წახველ მოსკოვში და დღემდე თქვენგან არავითარი ცნობა არა მაქვს... არ მიმიღია აგრეთვე დაპირებული თქვენი ნაბეჭდი ნაწარმოებნი და ჟურნალებში მოთავსებული წერილები „დიდი მოურავი“-ს შესახებ...

რას უნდა მივაწერო თქვენი ასეთი ხანგრძლივი სიჩუმე, ჩემო ახლად გაცნობილო მოყვასო?! გულმაიწყობას, მოხუცის ასე მალე დავიწყებას, თუ მოუცლელობას?! მე კი მარად თვალწინ მიდგას ენერგიით სავსე, მაღალნიჭიერი შალვა, მგზნებარე სახით და მისი მშვენიერი მეუღლე ლალი, ნაზი, მინაბული თვალებით... უკითხულობ თქვენს ამბავს; ვეკითხები

¹ დოლო ანთაძე (1900–1978) – რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე.
² შალვა ლამბაშიძე (1893–1955) – საქართველოს სახალხო არტისტი, მარჯანიშვილის სახ. თეატრის დირექტორი, დრამატურგი.
³ იონა ვაკელი (მეგრელიძე) (1900–1988) – მწერალი.
⁴ ნიკოლოზ შიუკაშვილი (1870–1938) – დრამატურგი, პედაგოგი.

მოსკოვიდან დაბრუნებულ მწერლებს. ამ ორი კვირის წინ ვნახე ვ. გორგაძე¹. ჩემ შეკითხვაზე მამცნო, ერთად ვიყავით ზარიანებთანო² (ალბათ პერმში ან ვოლოგდაში), თვით შალვასთან ბინაზე ერთი კვირა დავეყავი, კარგად არიან ორივე ცოლ-ქმარიო. ფრიად გავიხარე ამ ამბით...

ჩემო ძვირფასო შალვა, თუ გაინტერესებს ორი მოხუცის ამბავი მოგახსენებ, მე და ჩემი მეუღლე გვარიანად ვართ... მეგად გვაწუხებს ჩემი „დიდი მოურავისა“ და „შოთა რუსთაველის“ დღემდე გამოუცემლობა (უქალაღლობის გამო), რაც ალთქმული მქონდა გამომცემლობა „ფედერაციის“, „საბლიტგამისა“ და „სახელგამის“ მიერ (მხოლოდ ამ ორი დღის წინ შეუდგა „საბლიტგამი“ ამ ჩემი რომანის („დიდი მოურავი“) მეორე გამოცემას); მაწუხებს მეგად, აგრეთვე დღემდე დაუმკიცებელი პროექტი მონორარის მომაგების შესახებ... გვიჭირს ცხოვრება მოხუცებულთ.

ძვირფასო შალვა! მე ვთხოვეთ გემცნოთ ჩემთვის მოსკ. სახ. გამომცემლობის ანონიმი რეცენზენტის ვინაობა, რომელმაც ყალბი ცნობები მიაწოდა გამომცემლობას ჩემი რომანის „დიდი მოურავის“ შესახებ და მით ჩაფუშა მისი რუსულად გამოცემა... ალბათ შეიგყვეთ ვინ იფარება იმ „რეცენზენტის“ ნიღაბქვეშ... რად არ მაცნობეთ ამდენი ხანი?! მაგ სამარცხვინო არსებამ დიდი ზიანი მიაყენა სრულიად უდანაშაულო ადამიანს, ამავე დროს კი დიდად ასარგებლა ა. ა.-იას და კამპანიას... საჭიროა ვიცოდეთ ვინ ითამაშა ეგეთი სამარცხვინო როლი, ვინ არის ის სულით მახინჯი არსება, რომელიც მომექცა ესოდენ უღმოდ, ესოდენ უსამართლოდ!..

ძვირფასო შალვა, ხომ არ გქონებიათ საუბარი ჩემ შესახებ ამხ. ალ. ფადევეთან⁴ და გოლცევეთან?! ან გაარჩიეთ თუ არა ჩემი „დიდი მოურავი“ რომელიმე ჟურნალში?! ფრიად დამავალბეთ, თუ შეიწუხებთ თავს და ამ მოკლე ხანში მიპასუხებთ აქ მოხსენებულ ჩემ შეკითხვებზე.

თქვენი მარად ერთგული და პატივისმცემელი
ს. ქვარიანი³

¹ ვასილ გორგაძე (1895–1973) – მწერალი.

² ნაირ ზარიანი (1900–1969) – სომეხი მწერალი.

³ ანა ანტონოუსკაია (1885–1967) – რუსი საბჭოთა პოეტი, მისი რომანის „დიდი მოურავის“ საფუძველზე შეიქმნა ფილმი „გიორგი სააკაძე“.

⁴ ალექსანდრ ფადეევი (1901–1956) – რუსი საბჭოთა მწერალი, საბჭოთა მხატვრული პროზის უძემდებელი.

⁵ სიმონ ქვარიანი (1868–1946) – მწერალი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

ჩემი გულითადი საღამო მშვენიერ ლალის. გისურვებთ ორთავეს ბედნიერებას. მიიღეთ ორთავე ცოლ-ქმარმა ჩემი ღიასახლისის წრფელი საღამო და კეთილი სურვილები...

ძვირფასო შალვა! არის ადამიანი, იცნობ ათეულ წლებით, ნახულობ ხშირად, საუბრობთ, ეკამათებით, ხოლო გული არ ითვისებს, არ ითვისებს, არ იკარებს მას... არის აგრეთვე ადამიანი, პირველი ნახვიდანვე, გაცნობა-საუბრიდანვე გიზიდავს იგი, გიპყრობს, გიღვიძებს გულში მეგობრის მალალ გრძნობას, თავისადმი რწმენას და უზენაეს სიმპატიას... სწორედ ეს ვიგრძენ, ოდეს კ-დ გავიყნან თბილ. მწერალთა კავშირში შალვა სოსლანი. პირველი ნახვითვე მოხუც შემოყვარდა ის შვილივით... ვფიქრობ, არ ცდება ჩემი გული... უნებლიედ მაგონდება დიდებული შოთას აფორიზმი: „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძევს კაცით კაცამდე“...

აი, შენც, ჩემო შალვა, ის რჩეული პიროვნება ხარ, ვისმედაც ბრძანებს უკვდავი რუსთაველი!.. მაშ გაგიმარჯოს ჩემო მეგობარო! გაუმარჯოს შენს მალალ ნიჭს, უნარს, შრომას და მოღვაწეობას! იცოცხლეთ ოჯახობით მრავალეამიერ!..

*შენი მოხუცი მოკეთუ და მეგობარი ს. ქვარიანი
ჩემი მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქ. № 16. სიმონ ქვარიანი*

P. S. შალვა, ეს ბარათი მზად იყო და კონვერტში ედებდი, როცა მივიღე გაბ. „კომუნისტი“, გაზეთმა მამცნო, პიესა „ლადო კეცხოველი“-ს ზემოთ ჩატარება მოსკოვის თეატრში. პიესა შენ ვითარგმნია რუსულად. გილოცავ გულით მაგ მიღწევას და ვიმედობ მოგილოცო კვალად უფრო სამჩნევი ახალი მიღწევები...

გაგიმარჯოს! იცოცხლეთ ჯანსაღად ჩემო შალვა და მშვენიერო ლალი!..

P. S. ჩემი ღიასახლისი უთელის ქ-ნ ლალის: – „ჩემი მცირე დაპირება მალე იქნება შესაძლებელი...“

12. III. 40. თბილისი

ფრიად პატივცემულო, ძვირფასო შალვა!

გუშინწინ მივიღე თქვენი ბარათი და გაზეთის ამონაწერი. დიდად გმადლობთ. მეგონა თუ დაგავიწყდი ჩაგრული მოხუცი, რადგან თითქმის სამი თვე იყავით აქ და ორიოდ წუთითაც კი ვერ მნახეთ. ალბათ, ვერ

მოიცალეთ უამრავ საქმეთა გამო... უნდა გამცნოთ, რომ საბედისწერო შეიქმნა ჩემთვის და მთელი ოჯახისათვის ჩემი 10 წლის ნაშრომი, ისტ. რომანი „დიდი მოურავი!“ მაგის ჯაერმა გადაგვიყოლა ორივე ცოლქმარი... უგულობამ, შურმა თუ გაუგებრობამ ერთობ დაშჩაგრა, ისედაც ბედით ჩაგრული 74 წლის, სიკვდილს მოახლოებული მოხუცი, უსინათლო ინვალიდი... ეგ რომანი ხომ ჩემი სისხლით და ნერვიულობითაა დაწერილი!..

დღეს გიორგი სააკაძის შესახებ დაიწერა და იწერება ქართულ-რუსულად ისტ. რომანები, დრამები, გრაგედიები, ოპერები და კინოსცენარები... ხოლო, სამწუხაროდ, არავენ უწყის, რომ ყოველივე ამის პირველი წამომწყები, ინიციატორი არის ამ სტრიქონების დამწერი, სიმონ ქვარიანი... კიდევ ამ 31 წლის წინად (1910 წ.), მე პირველი ვკითხულობდი ქუთაისში ლექციებს დიდ მოურავზე. ერთი წლის შემდეგ აესახე პოპ. ფორმებში ისტორ. მონოგრაფია საქართ. უდიდესი გმირის, გიორგი სააკაძის შესახებ (ვისარგებლე რა უამრავი წყაროებით). ეს ჩემი ნაშრომი გამოიცა ქუთაისში წიგნად (3000 ცალი) 1911 წლის დასაწყისს სათაურით: „ერის გრაგედია მე-17-ე საუკუნეში, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“. ეს ნაშრომი მთლიანად გასაღდა ორ თვეში და მოიპოვა დიდი პოპულარობა.

ამ სოციალიზმის დიად ხანაში აბა მიბრძანეთ, ვისი ნაწარმოები გიორგი სააკაძეზე დაიწერა და გამოიცა პირველად საბჭოთა კავშირში? ეს იყო იმავე ს. ქვარიანის ისტ. რომანი „დიდი მოურავი“, ნამღვილად ისტორიულ წყაროებზეა აგებული, ავგორმა იღვაწა სრული 10 წელიწადი (1924-34 წწ. ამ რომანის დასამუშავებლად). იგი წაკითხული და მოწონებული იქნა საჯაროდ საქ. მწერალთა კავშირში 1934 წელს და მიუხედავად საქ. ცეკას განკარგულებისა რომ გამოეცათ მაშინვე, გამოიცა წიგნად მხოლოდ 1937 წლის 3 აპრილს, ე. ი. 2¹/₂ წლის დაგვიანებით (ან. ანგონოვსკაიას რომანი კი „დიდი მოურავი“ I ტ. გამოვიდა რუსულად 13 თვით გვიან, ე. ი. 1938 წ. აპრილის დამლევს, თუმცა მისი გამოცემის თარიღად აღნიშნულია 1937 წელი).

ყოველივე ეს არავენ იყის, გარდა ჩემი ახლო ნაცნობებისა. ეს არავენ ასახა პრესაში, არავენ მოიხსენია ორიოდ სიგყვითაც კი... მხოლოდ ამ მოკლე ხანში ანგონოვსკაიას მეხოტბემ, ვ. ზ-მ ვაზ. „იმვესტიაში“ კეთილინება და აღნიშნა გაკვრით: „ქართულად ს. ქვარიანმა დასწერა რომანი გ. სააკაძეზედაო“ (დიდი მადლობა ვ. ზ-ს! ამასაც არ მოველოდი მისგან)...

უკვე 4 წელია რაც გამოვიდა ჩემი „დიდი მოურავი“ (პირველი გამოცემა), იგი მთლიანად გასაღდა ათ დღეში. ამჟამად კი გამოდის მესამედ.

მას უგანებიან 10 ათასობით მკითხველნი, კოლმეურნენი და უბრალო მწყემსებიც კი, ამ წიგნს კითხულობენ გატაცებით 8-ჯერ, 10-ჯერ... იმეპირებენ კიდევ... ავტორი იღებს უამრავ მკითხველთაგან ალტაცება-მილოცვებს სიტყვიერად და წერილობით... ამავე დროს თვით ქართულ პრესაშიც კი კრინტს არავენ ძრავს ჩემ „დიდ მოურავზე“, თითქო ბუზი გაფრენილიყოს!.. ნეტა რით უნდა აიხსნას ასეთი სიჩუმე?! შურით, მგრობით, უვიცობით თუ სხვა რამით?!

ვერ გამიგია... აი, ასეთი ბედის შევიქენ მე ბედშავი!.. ასე უზომოდ დავიჩაგრე!.. ხოლო მეორე ჩემი ისტ. რომანი „შოთა რუსთაველი“ ჯერაც არ გამოუციათ წიგნად, თუმცა 4 წელია მპირდება „სახელგამი“...

აქვე უნდა აღვნიშნო ერთი რამ: სწორედ ამ მიმდინარე წელს შემისრულდა 50 წელი მოღვაწეობისა მშრომელი მასების საკეთილდღეოდ სამწერლო საზოგადო და სარევიოლუციო ასპარეზებზე, ხოლო არავენ ფიქრობს იმ მოხუცის იუბილეზე, რომელსაც მრავალი თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ამ ხუთათეულ წლის მანძილზე...

უბედნიერეს კაცად ვთვლი თავს, რომ მოვესწარ სოციალიზმის დიდებულ ხანას, ლენინ-სტალინის მზიურ ეპოქას... სწორედ ამ დიად ხანაში დაფასდა ჩემი ღვაწლი; ამ 11 წლის წინად მომენიჭა საპატიო ხარისხი – შრომის გმირობა... ჩემი უღრმესი მადლობა ამ ჯილდოსათვის! ხოლო ოჯახის მარჩენალს, ღრმა მოხუცს, უსინათლო ინვალიდს ეჭირვება კიდევ სხვა რამეები... მწამს, რომ ამ დიად ეპოქაში ახმაურდება კაკალიც... მომეცხუნება ცხოველმყოფელი მზე... გადაითარგმნება და გამოიყემა რუსულად, აგრეთვე სხვა ენებზედაც ჩემი ისტორიული რომანები – „დიდი მოურავი“, „შოთა რუსთაველი“ და სხვა ნაწარმოებნი... მაგრამ როდის?! ჩემი გულითადი ნატვრაა, ყოველივე ეს მოხდეს ჩემსავე სიცოცხლეში!.. მე კი, სავალალოდ ჩქარი ნაბიჯით მიახლოვდება უღმობელი სიკვდილი...

74 წლის ასაკი: 50 წელი თავდადებული მოღვაწეობისა. ბრძოლა, განჯვა, წამება კმარა, ვგონებ!.. დროა მეც გამიხსენონ, რადგან სხვაზე ნაკლები ღვაწლი არ მიმიძღვის მშრომელი ხალხის წინაშე... დიახ, ვიცი, მეც გამიხსენებენ... შორით ვამჩნევ კიდევ მზის სინათლეს... ხოლო ეს სხივები ნელის გემპით მიახლოვდებიან ასე, ჩემო ძვირფასო შალვა! იცოცხლეთ ჯანსაღად, მრავალ წელს მთელი ოჯახით! გულითადი საღამი გურფა ღალის. მშობლიური მოკითხვა ორთავეს ფედოსისაგან, იმედია არ დამივიწყებ; კვალად მომაწვდი ლიგერატურის ახალ ამბებს... თქვენი მარად ერთგული ს. ქვარიანი.

P. S. ძვირფასო შალვა! ძლივს დავჯდაბნე ბრმა მოხუცმა ეს გრძელი

ეპისტოლე! დამექანცა თვალები: თეთრად გადაწერა აღარ შემიძინა...
მაპატიეთ, რომ ასე ვგზავნი...

მართლა! რაგომ არაფერსა მწერ თქვენს შესახებ?! როგორ დამთავ-
რდა აქ თქვენი 3-4 თვის შრომა და საცაღი?! ხომ იცით, რომ თქვენ ჩემი
სულიერი შვილი ხართ! თქვენი ავი გულს მომიკლავს; ხოლო თქვენი
კარგი გამახარებს უზომოდ!.. არა, ნუ დამივიწყებ, ჩემო შალვა! თუ ჩემ
სანახავად ვერ მოიცილი, ბარათებით მაინც მასიამოვნე!.. იცოცხლეთ,
იცოცხლეთ ერთადვემ დიდხანს, ჯანმრთელად და ბედნიერად!

შენი მარად მოყვარული ს. ქვარიანი

P. S. შალვა, ნუ დახევ ამ ბარათს! შეინახე!.. იქნებ გამოდგეს მაშინ,
როცა მისი ავტორი აღარ იქნება ამ სოფლად... შეინახე, აქ ჩემი აღსარებაა
ორიოდ სიგვეით...

„არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა...
არ გარდაეღას გარდაუელად მომავალი საქმე შენა;
წესი არის მამაცთაგან მოჭირვება, ჭირთა თმუნა...
– არვის ძალუხს ხორციელსა განგებისა გარდავლენა!“

ბრძანებს პოეტი-ბუმბერაზი, გენიოსთა-გენიოსი მთელ მსოფლიოში...
ღიბს, ღიბს, უკვდავია ის ერი, რომელიც შობს ისეთ დიდ ბუმბერაზებს,
როგორიც არიან: შოთა რუსთაველი, ვიორჯი სააკაძე და იოსებ სგალინი!..

*თბილისი
17. VI. 41 წ.*

ქართველი ემიგრანტის – გრიგოლ ორაგველიძის წერილები

მკითხველ სამოგადოებას ვთავაზობთ ქართველი ემიგრანტის, მენშევიკური ფრაქციის ერთ-ერთი წარმომადგენლის გრიგოლ ორაგველიძის წერილებს. ბარათები დათარიღებულია 1939, 1946, 1947 წლებით; გამოგზავნილია პოლონეთიდან და საფრანგეთიდან.

გრიგოლ ორაგველიძის პიროვნებისა და მით უფრო, ლიბერალური მოღვაწეობის შესახებ, მწირი ცნობები მოგვეპოვება. 1996 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი სამი ნოველა. ეს იყო მეტად დაგვიანებული პუბლიკაცია (ავტორის დაღუპვიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ). იქვე გაკერით ითქვა მისი ბიოგრაფიის შესახებაც.


უფიქრობთ, სამოგადოებისთვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს გრიგოლ ორაგველიძის ცხოვრებისეული გზის გაცნობა:

დაიბადა 1900 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში, იმ დროისათვის ცნობილი პროვიზორის ექვთიმე ორაგველიძის ოჯახში. დედა – ეკატერინე მიქელაძე – მოსიყვარულე და მზრუნველი ადამიანი იყო.

1924 წელს გრიგოლმა სხვებთან ერთად დატოვა საქართველო, იგი ჯერ თურქეთში, შემდეგ კი საფრანგეთში ჩავიდა. ძალიან გაუჭირდა უცხო ქვეყანაში ცხოვრება. თავი რომ ერჩინა ნებისმიერ შავ სამუშაოს ასრულებდა; ხან ვაგონების მრეცხავად მუშაობდა რკინიგზის დეპოში, ხან ვაზეთებს დაატარებდა. მრავალი სიძნელის გადალახვის შემდეგ, მაინც მოახერხა უმაღლესი განათლების მიღება. იგი პროფესიით აგრონომი იყო, არქიტექტორ-დეკორატორი.

პარიზის აგრონომიულ უნივერსიტეტში სწავლისას გაიცნო მომავალი მეუღლე – ელიზავეტა არკადის ასული ცამეკი, წარმოშობით პოლონელი. შექმნიან შვილები: გივი და ნინო. გოგონა მცირეწლოვანი გარდაეცვალათ. გივი მიაბარეს ერთ-ერთ პრესტიჟულ ინტერნატში. ახალგაზრდა ცოლქმარი ბევრს მუშაობდა; ოჯახიც თანდათან წელში იმართებოდა. პარიზში შეიძინეს მშვენიერი სახლი, მორთეს, მოაწყვეს. გრიგოლი, როგორც კარგი სპეციალისტი, დასასვენებელი პარკების გაშწინება-განაშენიანების მიზნით, პარიზის გარდა, მიწვეული იყო ჯერმანიასა და პოლონეთში (კონგრატკით). ვაჟიმელს გრიგოლმა საფუძვლიანად შეასწავლა სალიბერალური ქართული ენა, რადგან გულის სიღრმეში მაინც ბეჭდავდა სამშობლოში დაბრუნების იმედს. ერთადერთი ადამიანი, ვისაც საბჭოთა საქართველოში ბარათებით ეხმიანებოდა, მისი დისშვილი, ათი წლის

ნათელა ჩიხლაძე იყო, რომელიც თვალთ არ ენახა (როცა გრიგოლი უცხოეთში გაემგზავრა, მისი და – მარგო ორაგველიძე სკოლის მოსწავლე ვახლდათ). გრიგოლი შეგნებულად არ სწერდა წერილებს ოჯახის სხვა წევრებს; ემინოდა, საფრთხეში არ ჩაეგდო მათი სიცოცხლე. დისშვილის წერილები უადვილებდა მას „წაგებულ დევნილობას“, როგორც თავადვე აღნიშნავდა. ნათელას საშუალებით იცოდა, როგორ ცხოვრობდა ოჯახი პასტერის ქუჩაზე თბილისში, სად იდგა მაგიდა, საწოლი, როგორი იყო სამზარეულო... ამ წერილებით იბმებოდა „წრფელი და სიყვარულით აღსავსე“ ხიდი ბიძა-დისშვილს შორის.



გრიგოლ ორაგველიძე
სლმ №14834-ი

წელი წელს მისდევდა და გრიგოლ ორაგველიძის გონებაში მყარდებოდა უცილობელი აზრი სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ერთგული მეუღლე და უკვე მოწიფული ვაჟიშვილი თანახმა იყვნენ. სანუკვაროცნებას ფრთას ასხამდა საბჭოთა მთავრობის შეუსვენებელი პროპაგანდა ემიგრანტთა არამარგო ხელშეუხებლობის, მათთვის კარგი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შექმნის თაობაზეც კი (სამწუხაროდ, ქართველი ემიგრანტები ჯერ კიდევ ენდობოდნენ მსგავს დაპირებებს ისე, როგორც ცოცხა უფრო ადრე, 1945 წელს, ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც სამშობლოში დაბრუნებით გამოწვეული სიხარული მალე შეუცვალეს შინაპატიმრობით. სახელოვანი მეცნიერი მაშინ მეცხრე ათეულს მიითვლიდა!)

ილია თავაძე¹, საბჭოთა საქართველოს გამოცდილი პარტიული

¹ ილია თავაძე (1905–1973) – პარტიული მუშაკი, ქართველი საბჭოთა მეცნიერი (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი).

მუშაკი, დიპლომატი, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რომელსაც ვრიგოლ ორაგველიძე პირადად იცნობდა (და ამდენად, უფრო ენდობოდა კიდევ!) დაპირებებითა და იმედით აღსავსე წერილს სწერდა მას 1947 წლის ივლისში: „რადგან რჩევას მთხოვ, ჩემი რჩევა ასეთია – შეუდექი მზადებას და მაჭარი საქართველოში შევსვათ. პირველ ჯგუფში წასვლა იმითაა კიდევ მიზანშეწონილი, რომ ამ ჯგუფს შესვლებიან საქართველოში დიდი ყურადღებით, ე. ი. ადვილი იქნება საცხოვრებლად და სამუშაოთ მოწყობა...“

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, აგვისტოს მიწურულს, გემი „როსია“ მიაღწა ბათუმის სანაპიროს. ჩამომსვლელთა სიაში იყვნენ „70 ქართველი და რამდენიმე ათასი სომეხი“ ემიგრანტი. ორაგველიძეების მთელი სანათესავო მოუთმენლად ელოდა გემის გამოჩენას. სამწუხაროდ, კარანტინის გამო, მგზავრებს ხმელეთზე გადმოსვლა აუკრძალეს. ახლობლებმა ველარ მოითმინეს: ისინი ნავში ჩასხდნენ და ისე უვლიდნენ შორიდან გემს. ამ გაჭიანურებული შეხვედრის მაუწყებელია ერთი პატარა ბარათი, რომელიც ვრიგოლმა გემიდან გამოუგზავნა ახლობლებს: „გენაცვალეთ, შემოგვევლეთ! როგორ გრძელდება ეს შეხვედრა! დედიკო, შენ თუ გამამაგრებ, თორემ წაგიხდი...“

ბოლოს და ბოლოს, მოიხსნა კარანტინი. მგზავრები გადმოსხეს ნავსადგურში. როგორც კი ვრიგოლი მოხუც დედას მიუახლოვდა, მუხლებზე დაეყა მის წინაშე და პატიება სთხოვა: რამდენი ხანი გალოდინეო... ვრიგოლ ორაგველიძე და მისი ოჯახი ჯერ ბათუმში ცხოვრობდა სიძის – ულიმბარ ჩიხლაძის ბინაში; შემდეგ თბილისში გადმოვიდნენ. მთავრობამ ისინი ნახევრადსარდაფულ ოთახში შეასახლა ჩერნიშევსკის ქუჩაზე; კიროვის სახელობის პარკის დირექტორობაც შესთავაზეს, მაგრამ ყოველივე ეს ხელისუფლების „ბრუნვისა“ და „ყურადღების“ მხოლოდ დასაწყისი იყო. სისტემატურ თვალთვალს, დევნასა და შევიწროებას ბოლო არ უჩანდა. როცა ვრიგოლ ორაგველიძე, როგორც პროფესიონალი არქიტექტორ-დეკორატორი, იერუსალიმში მიიწვიეს თელ-ავივის გასამწვანებლად, რა თქმა უნდა, ევროპიდან ახალჩამოსულს, აწ უკვე საბჭოთა მოქალაქეს კაპიგალისტურ ქვეყანაში გამგზავრების ნება აღარ დართეს. ვრიგოლი ცდილობდა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა. სამსახურთან ერთად ლიგერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა: თარგმნა ბალზაკის „გლეხები“. წიგნი გამზადდა, აიწყო კიდევ, მაგრამ ველარ დაისტამბა, რადგან მთარგმნელი 1950 წელს დააპატიმრეს.

ახლობელთა გადმოცემით, ერთ-ერთ დაკითხვაზე პასუხით გაღიმი-



გრიგოლ ორაგველიძე ცოლ-შვილთან ერთად
პოლონეთი, 1937 წ. სლმ №14838-ი

ანებულმა გამომძიებელმა პრეს-პაპიე ესროლა პაგიმარს. მძიმე საგანი საფეთქელთან მოხვდა გრიგოლს... სხვა ვერსიით, გრიგოლმა წამებას ვეღარ გაუძლო და თავი მოიკლა...

იმავე 1950 წელს, ელიზაბეტა ცამეკი 20 წლის ვაჟიშვილთან ერთად გადაასახლეს შუა აზიაში. დედა-შვილი სხვადასხვა ბანაკში მოხუნენ. გივი გაამწესეს გერმანულ ტყვეთა იმ ბრიგადაში, რომელიც აშენებდა გასაიდუმლოებულ ობიექტს. იქ თარჯიმნად მუშაობდა (მან სრულყო-

ფილად იცოდა გერმანული, ფრანგული და პოლონური ენები). გერმანელთა ბანაკში რეჟიმზე და კვებაზე განსაკუთრებული იყო. სწორედ ამან გადაარჩინა კიდევ ფიზიკურად. მოგვიანებით, სინანულით ამბობდა: მეორე მსოფლიო ომის დროს, პაგარა ბიჭი საფრანგეთში შემოსულ გერმანელებს ქვებს ვესროდი, რამდენიმე წლის შემდეგ კი საბჭოთა ბანაკში მათი ბედის გაზიარება მომიხდაო.

...გამოცხადდა რეაბილიტაცია. ელიზავეტა ცამეკმა მტკიცედ გადაწყვიტა, ქმრის სამშობლოში დაბრუნებულიყო. გერმანული და ფრანგული ენების შესანიშნავი მცოდნე, კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს. არაერთი თაობა აღზარდა. თბილისში დღესაც ბევრს ახსოვს „TANTE ლიზა...“ ელიზავეტა ცამეკი 1980 წელს გარდაიცვალა...

გივი ორაგველიძემ დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი და ტაშკენტში დაიწყო სამსახური. იქ ცოლად შეირთო მისივე სტუდენტი კი (კიმა) ლი, წარმოშობით იაპონელი, რომელმაც სანიმუშო მეუღლეობა გაუწია. ელიზავეტა ცამეკს მისეცეს ერთოთახიანი ბინა მოსამუშაოების ქუჩაზე № 3, სადაც ახლაც ცხოვრობს კი ლი-ორაგველიძე¹.

გივის სულიერ განწყობილებაზე მამის მძიმე ხვედრმა სამუდამო კვალი დატოვა. მან თავადაც იწვინა უშიშროების კომიტეტის მარწუხები. ბავშვობისას მამა სრულიად სხვა საქართველოზე უამბობდა, 1947 წელს ჩამოსულს კი სულ სხვა ქვეყანა დახვდა – დაუნდობელი, მგრული. ამიტომაც საქართველოში დიდხანს ვერ ჩერდებოდა, ძირითადად ტაშკენტში ცხოვრობდა. იქ, უნივერსიტეტში განაგებდა ფრანგული ფილოლოგიის კათედრას, კითხულობდა ლექციებს. დედა კი თბილისში ცხოვრობდა და ძალასა და ენერჯიას არ იშურებდა, რათა ვაჟიშვილიც იქვე დაფუძნებულიყო.

1963 წელს გივი ორაგველიძემ თბილისის უნივერსიტეტში ბრწყინვალედ დაიწყო საკანდიდატო („Ритм и рифма Маяковского при переводе на французский язык“), ხოლო 1972 წელს სადოქტორო დისერტაცია („Стих и поэтическое видение“). 1979 წელს საბოლოოდ გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად. მხაგერული თარგმანის კოლეგიის თავმჯდომარის (ო. ნოდია) უშუალო ჩარევისა და მონდომების წყალობით, გივი ორაგველიძე, ერუდირებული, ევროპული ყაიდის ლიგურატორი საქართველოს დაუბრუნდა. იგი ჯერ იმავე კოლეგიის თანამშრომელი იყო, შემდეგ კი ქურნალ „ლიგურატურნაია ვრუზიას“

¹ კი ლი-ორაგველიძე – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

რედაქციაში ხელმძღვანელობდა პოემიის განყოფილებას. გარდაიცვალა 1997 წელს...

ასე დასრულდა ორაგველიძეების ოჯახის ისტორია. თავის დროზე ღიბა ცამეკმა სათაყვანებელი მეუღლის სიმბოლურ საფლავზე ფირფიტა დაამაგრა წარწერით: – „გრიგოლ ორაგველიძე 1900–1952“, იმის ნიშნად, რომ იგი მშობლიურ მიწაში დაიმარხა. ეს ხომ მისი ნაგვრა იყო! „სამშობლო არის ერთი – წერდა გრიგოლ ორაგველიძე უცხოეთში ყოფნისას – უსამშობლოდ არავენ ჩნდება. მაშასადამე, სურვილი მისი ქონებისა თურმე არის ზედმეტი. ქონება კი არა, არამედ შენარჩუნება – აი ნაღდი“ („გალიციის ზმორა“ ნოველა, 1932 წელი). როგორც ღიბა ცამეკმა, ისე კი ლი-ორაგველიძემ ღირსეულად შეასრულეს მეუღლის კეთილშობილური ვალი! ქ-ნმა კიმ გივი ორაგველიძის არქივი ზედმიწევნით მოწესრიგებული და მოვლილი ჩააბარა ლიგერატურის მუზეუმს.

სათუთად შენახული გადმოგვცა გრიგოლ ორაგველიძის შემოაღნიშნული წერილები ქ-ნმა ნათელა ჩიხლაძემ. მხოლოდ ეს წერილები და ნოველები გადარჩა მისი არქივიდან. წერილების ადრესატები არიან გრიგოლ ორაგველიძის დისშვილი – ნათელა ჩიხლაძე; დედა – ეკატერინე მიქელაძე, და – მარგო ორაგველიძე, სიძე – ელიზბარ ჩიხლაძე. აქვეა ილია თავაძის წერილი გრიგოლ ორაგველიძისადმი. სულ 9 წერილია.

გულითად მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ ნათელა ჩიხლაძეს და კი ლი-ორაგველიძეს გაწეული სამსახურისათვის, მოწოდებული ცნობებისათვის.

გივი ორაგველიძის შესანიშნავი არქივი, რომელშიც დაკულია მეცნიერული ნარკვევები და მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული თარგმანები, სერიოზულ მკვლევარს ელოდება.

ნინო ვადაქკორია

ქ. ლოდში, 26 ივლისი, 1939 წ.
პოლონეთი



ათი წლის ნათელა ჩხლაძე
სლმ № 14841-ა

ჩემო პაგარავ, საყვარელო
ნათელიკო,

შენი წერილი და ბებეს მივი-
დე მართალია შენ მე არაფერს
მწერდი. სწერდი გვიის. გივი
კი იმყოფება საბავშვო კოლო-
ნიაში მთებში. ასე, რომ იძუ-
ლებული იქნები დაკმაყოფილ-
დე მარტო ჩემი ბარათით.

განსაკუთრებით ვიყიდე ასე-
თი ქაღალდი, რათა პატივი ვცე
მე და შენს სიყვარულს. ბებიას
არ ვწერ, რათა წერილს არ
მიეცეს საერთო ხასიათი.

შენ უკვე დიდი გოგონა ხარ,
თუ არ ვცდები 10 წლის. 15
წლის უკან დედაშენი დავგო-
ვე ბავშვით. ეხლა კი ბავშვი
ყავს. მერე როგორი?! შენ გგო-
ნია, რომ არა მაქვს შენი სურა-
თი? მაქვს. საპატიო ადგილიც
უჭირავს – გვიის გვერდში.
ორთავე კი შემომყურებს მუ-
დამ მაღლიდან: მძინავს თუ
მღვიძავს.

იწერები რომ ბახმაროზე აპირებ – ალბად ეხლა შენ უკვე ბახმაროზე
ხარ. ალბად დაათვალიერე შენ ის მთები, რომლის მოგონება ეხლაც მე
თაებრუს ერუანტელს მგვრის. დიდა ჩვენი მთები, ამაყი, ამპარტავანი.
აქვს შნო, სინაზე და... სიმრისხანეც...

ჩემო ტკბილო ნათელიკოვ, ცხოვრებას უყურე რეალისტური (სინამ-
დვილის) თვალთ. გახსოვდეს, რომ ჯყავს მშობლები, რომელსაც ახარებს
შენი ჭკვიანად ყოფნა და კარგად. ქართველი ქალი მუდამ იყო დარბაისელი
და მაგალითის მიმცემი – გახსოვდეს ეს. შეინარჩუნე და მოუარე შენს
„მე“-ს (თუ რა არის „მე“ – ამას ავიხსნის დედაშენი) – მაგრამ ისე, რომ

გახსოვდეს სხვებიც – მოწყალებას ნურვის მისცემ – მხოლოდ დაეხმარე გრძნობით და გონებით. აუცილებელი უნდა გიყვარდეს ამხანაგებიც. ჩემს დროს ეგრე იყო, რომ ჯამუშობა (ე. ი. დასმენა, დაბეზება) ერთმანეთზე იყო თვისება ბილწ ბავშვის. ასეთ ბავშვს მუდამ გაურბოდი. არ გვიყვარდა და არც ვამხანაგობდი.

ამასთან ჩემო გოგონავ, გირჩევ რათა ბევრი იკითხო, აუცილებელი წაიკითხე ჩვენი დიდი მწერლების ზოგიერთი ნიმუშები – შენ იქიდან ბევრ რაიმეს გაიგებ. მე კი აქედან გეგყვი ერთს: არ არის უმშვენიერესი, ულამაზესი ვიდრე ჩვენი ქვეყნის ბუნება, ლიგერაგურა – ამ ბედნიერებას მე იქ ვერ ვგრძნობდი. აქ კი ვერ მომიხელება, რომ მე ეგრე შორსა ვარ მასზე, რაც ოდესღაც იყო ჩემი.

ყოველივე ეს მყარად გასინჯე – დაუფიქრდი და მიხვალ იმ დასკვნამდე, რომ თურმე არ არის ულამაზესი ქვეყანაზე გარდა ჩვენი სამშობლოსი. დედაშენს და მამაშენს ბევრი აკოცე ჩემს მაგივრად. ჩემს დედას ე. ი. შენს ბებიას და ბაბუას ხელეუბი დაუკოცნე ჩემს მაგივრად – აგრეთვე შენს მეორე ბებიას და ბაბუას მამისშენის მხრივ.

თუ გყავს ამხანაგები (რაშიღაც ეჭვი არ შემდის), მომიკითხე და სალაში გადაეცი ამხანაგურად.

ბებიას გადაეცი ეგ სურათი და უთხარი ეგრე: ბებიავ, ჯავრობას თავი დაანებე. დაწყნარდი, დამშვიდდი და კარგად იყავი, ვინაიდან ამას ითხოვს ბიძია გრიშა-თქო.

გივი რომ ჩამოვა, თუ არ დაავიწყდა წერა ქართულად (საშინლად ცუდათ სწერს), მოვაწერინებ.

ბიოლა ლიზამ ბევრი კონის გამოგზავნა დამავალა.

აკონის ბევრს შენი ძია გრიშა

11 ნოემბერი, 1946

ძვირფასო ჩემო ჩიგუნავ, ჩემო ნათელავ!

როგორ წარმოვიდგინო, რომ შენ უკვე ხარ ისეთ ასაკში, როგორც ეს იყო დედაშენი, როდესაც მას ვგოვებდი? უკვე ათწლელს ამთავრებ... დიდი ქალი ხდები... იბნევი, არ იცი, გინდა ყოველივეს შესწავლა, მაგრამ ამ ქვეყანაზე იმდენათ ყოველივე საინტერესოა, რომ არ იცი, რა ქნა, რას მოკიდო ხელი... აი, ბიძაშენის პრაქტიკული რჩევები.

პირველი არის, უნდა მოაწყო შენი ცხოვრების რეჟიმი. ესე იგი შენს თავს უნდა უთხრა: მე ვარ ნათელა – მე მაქვს გონება. მე მაქვს ძალა

ბრძოლების. მე შეეძლებ გზა გავიკაფო. ესე იგი *უნდა გვეჩნეს თავის რწმენა*. ამ მხრივ უნდა ჩაუკვირდე შენს ცხოვრებას. დილით 7 საათზე ფეხზე უნდა იყო. მკერდი ცივი წყლით უნდა დაიბილო, კბილები ჩოთქით გაიწმინდო... შემდეგ თვალები უნდა გადააბრიალო და უნდა მშვეს მიესალმო. ესე იგი მასავით უნდა გაანათო.

ცხოვრებაში არის საჭირო შეთვისება. ამისთვის გინდა აუცილებელივე ცოდნა, სწავლა და დაკვირვება. რაც აუცილებელია შენთვის ეს არის, ჩემო გოგონავ, პირველი ქარგვა, კერვა (ნუ გაიცინებ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის შექმნის დროს), – შემდეგ კი უნდა ხელი მოკიდო მეცნიერებას. ამისათვის დაუკვირდი შენს თავს: თუ გიყვარს მათემათიკა, ძლიერ ვეჭვობ, (დედაშენის ნიჭი თუ გაქვს ამ მხრივ დიდს ვერ გააკეთებ), მაშინ უნდა შეისწავლო სპეციალობა მათემათიკასთან შეკავშირებული. თუ გიყვარს ისტორია, გეოგრაფია თუ ბუნებისმეტყველება, მაშინ ასეთი დარგი უნდა ამოირჩიო. არამც და არამც არ უნდა შეგეხარბოს ვინმე ინჟინერი, ექიმი და დაიჩემო მასავით გახდომა, თუკი ეს შენს ბუნებაში არ მარხია. პირიქით, ცხოვრებაში რასაც შეისწავლი, ყოველივე გამოსადეგია. ამისთვის შეისწავლე ის, რაც შენს ბუნებას, ხასიათს შეეფერება. ნუ დამახინჯდები ჩვენსავით.

მაგალითად, გივის აქვს ნიჭი პოლიტიკობის, ფსიხოლოგიის, მაგრამ მისი მღვთმარეობა არის ძნელი, ამ ხელობით შეიძლება მხოლოდ თავის გაგანა თავის საკუთარ ქვეყანაში. ამიტომ ეს ესმის მას და მექანიკას აკვდება – თუმც იმაშიც სუსტი არ აღმოჩნდა. მის სასწავლებელში იყო 26 მოწაფე, 25 ფრანგი და ის ერთი ქართველი. მეორე კურსზე გადავიდა მხოლოდ 14 მოწაფე. გივი იყო მერვე მოწაფე, თუმც ფრანგული ენა ფრანგებზე უარესად ესმოდა. მაგრამ ქონდა სიხალისე და ბრძოლის სურვილი. ესე იგი უნდა დააწვე თავს. ეგრე თუ იმამ, რასაც ხელს მოკიდებ, ყოველივე კარგია. შრომა ქმნის პროდუქტს. ეს იგრძენ და არ დაიკარგები.

რასაც უფრო ვთხოვ, ჩემო ნათელიკო, ეს არის ის, რომ დედაშენში ეძებ მეგობარი და არა შიში. უთუოდ აღმოაჩენ მაგ გზებს თუ მოისურვებ. ყოველივეში გამოუგყდი – გაუმხილე წინ და წინ შენი აზრები. შენი ახალგაზრდული გულის ლგოლვაც ჩუმათ, მოახსენე. ეს იოლია. მხოლოდ საჭიროა ლოგინში ჩაწვე, ლამპა ჩააქრე, და შემდეგ თვალები დახუჭე. მოუყევ დედას შენი გულის ამბავი და ნახავ, თუ რა კარგ რჩევებს მიიღებ. ჩვენ შენი წლოვანება გამოგვივლია – ვიცით თუ რა არის გული – ამიტომ გირჩევ ამ საკითხს ძლიერ დაუკვირდი. ნუ ეძებ სხვაგან მეგობარს. ეძებ შენს სახლში. იქ კუთხეში ჩაფლული დედა მოგისმენს და ისეთ კარგს გირჩევს, რომ გაგაკვირვებს. მხოლოდ ერთია საჭირო:

*რჩევებს უთუოდ, ბრმათ უნდა დაუჯერო – დარწმუნდე, რომ რჩევა
გამოდის გამოცდილის თავიდან, რომელსაც შენ უყვარხარ. აი, ამას თუ
მიაღწევ ჩემო ნათელავ, მაშინ იქნები ბედნიერი.*

გივი უკვე ჩემს ფეხსაცემელს და კოსტუმს იცვამს. გუშინწინ ვეჭვიდავე (სერიოზულად) ძალიან ვეცაღე, მაგრამ ბოლოს ჩემდა გასახარებლად ეგრე დამანარცხა, რომ მარცხენა მკლავი დამიყვება. ესლა მიკეთებს მასაჟს. სიმაღლით მისწორდება უკვე. არის უკვე 16 წლის და საში თვის. დილ დილაობით დარბის ნახევარ საათს პარიზის მახლობელ გყეში – შემდეგ ცურაობს. თუ თავისუფალი დრო აქვს ან ხატავს, ანდა მე მეჩხუბება პოლიტიკაში. ჯერ კიდევ ვერ მამარცხებს, მაგრამ მალე მგონი... ველოდები შენგან გრძელ წერილს.

აკონის ბევრს, ბევრს შენი ბიძა გრიშა

P.S. ნათელიკო, მომწერე ეორას გოგონა რამდენი წლის არის.

19. IV. 47

ძვირფასო ნათელავ!

შენმა ნათელმა სახემ ეგრე შემოანათა საფრანგეთში, რომ არამე თუ მე არამედ მთელმა საფრანგეთის ბუნებამ მუხლი მოიდრიკა შენს ღმილის წინაშე. მე რაც ვერ მიპატიებია ჩემის თავისთვის ეს არის ის, რომ მე შენ ის გამოცანა გამოგიგზავნე – ის ოხერი რომ არ გამომეგზავნა იქნებ რაიმე მოგეწერა? ა? რას იცყვი? მართალი ვარ თუ არა? ამიგომ აიღე ის ქალაღი დაგლიჯ-დაგლიჯე – შემდეგ დასწვი და ნაცრად აქციე. ეს ყოველივე საშუალებას მომცემს, რომ წაეკითხო შენი წერილი, შენი ამრი ცხოვრებაზე, ბუნებაზე, თუ მოვისმინო. პატარა კი არა, არამედ გრძელი, ტკბილი ზღაპარი. მაშ, ეგრე. თანახმა ხარ! ძლიერ კარგი. თუ წერილი საჩქაროთ არ მომწერე, იცოღე დაგემღურებ-გაგებუტები.

მე მსურს, რომ ამიწერო ღელაშენის ავადმყოფობა, შენი განცდები – ამას გთხოვ, დაუმაგო სხვადასხვა ამბები შენს ახლო და ირგვლივ მოთარეშე, ყოველივე შეკრიბე – აალაგე, ჩაალაგე – აკინძე და ძეწკვათ აანცი და ეგრე გაღმომიგზავნე. ეს არ არის ძნელი – მხოლოდ ამისთვის საჭიროა ნღობა და განღობა. მე კი ისეთი ბერი ვარ, ისიც შორეული, რომ არავისთან გაგამეღავნებ. გულში ჩავიმარხავ გაგონილს და შეძლებისდაგვარად (რასაკვირველია, თუკი მიიღებ) ჩემს გამოცდილებას და რჩევებს მოგაწვი. უპირველეს ყოვლისა, ნათელიკოვ, უნდა იყო

გამბედავი. არ უნდა გრცხვენოდეს შენი ამრის გამოთქმის. პირიქით, უნდა იფიქრო, რომ შენი ამრი საჭიროა სხვებისათვის. მისი არ გამყვანება არის, ეს თითქმის, დანაშაული. ყოველივე ეს მოგცემს შენ საშუალებას, რომ შენ წრეში ლაიჭირო შესაფერისი ადგილი. ცხოვრებაში სუსტი, მიმტევი, იზაგრება და სჭკნება. სამაგიეროთ: გამბედავს, ძლიერს აქვს ადგილი. მას ყველა ადგილს უთმობს და მის გვერდში ყველანი ეძებს თავსსაფარს თუ არა, მჭიდრო კავშირს.

ასე, რომ სთქვი: მე ვარ ნათელა. მე ვანათებ არა მარტო ჩემთვის, არამედ სხვებისთვის.

რელიკულის დაკარგვაზე ნუ ფიქრობ. შენს ძიას თუკი რაიმე ექნება, ეს იქნება შენი და გივის – ორთავესი განუყოფელი. გივის კიდე არ აქვს ძუნწი ხასიათი და ვფიქრობ, თუ ერთმანეთს შეხვდებით, იქნებით დიდი მეგობრები, უფრო მეტი იქნებ, ვიდრე მე და დედაშენი ვიყავით. ასე რომ მოიწერე ყოველივე. ამიწერე შენი ბინა (პასტერის ქუჩის) პირველი ოთახი, მეორე და სხვა. შენ სად წევები, დედა სადა. სად სდგას მაგიდა, ლოგინი, ქუხნა და სხვა... ხედავ, შენს გამოჩერჩეგებულ და მონაგრულ ძიას ასეთი უბრალო რამეები აინტერესებს და რა თქმა უნდა, თუკი ნათელიკო ამიწერს და მომაწვდის მის კავშირს ბებიასთან, მამასთან, ძიასთან თუ მეგობრებთან, ყოველივე ეს აღმაფრთოვანებს და ჩემს წაგებულ დეენილობას ცოგათი მაინც გამიადვილებს. ყოველივე ამას თუ გწერ, ეს იმიტომ, რომ გაიბეს ხიდი მე და შენს შორის. ხიდი კიდე უნდა იქნეს ამენებული სწორეთ, წრფელათ და სიყვარულით.

ძლიერ მასიამოვნებ თუ შემაგყობინებ, თუ რომელი ქართველი მწერალი ახალი, ძველი მოგწონს და რაგომ? შემდეგ, თუ კი მოისურვებ, შეგიძლია უცხოელების მწერლებზე მესაუბრო. მე ეგრე ვარ დაშორებული, რომ ჩემთვის ყოველივე სანაგრელია. ან და იქნებ გსურს კარლ მარქსის თეორიებზე საუბარი? კეთილი, იყოს. მხოლოდ, გოგონავ, მოიწერე გრძელი წერილი თორემ თუ შეგხვდი ყურის წევით და ლანძვავ-გინებით გაგამდიდრებ... აბა! რა გონია... ასეთია შენი მკაცრი ძია. უფრთხილდი!.. უფრთხილდი!..

ჰოდა, ასე... გეგმა მოგეცი. გთხოვ, დაამუშაო.

ნათელიკო, მისმინე, ჩუმათ, არავის უთხრა რასაც გეცევი – შენ გენაცვალე, მოპარე დედას მისი სურათი, მაროსაც, ეგრე, ძიასაც, ეგრე და ყველანი გამომიგზავნე – ეგ ქურდობა მე დამაწამე და ამით გამახარე. თუ არ აქვთ, როგორმე გადააღებინე ყველას. კარგი? ა? კარგი? მაშ ეგრე, კარგი. გკონი უთვალავს.

შენი ძია ვრიშა

ჩემო ტკბილო ვოგონავ! ჩემო ნათელიკო!

მადლობა აღაბს! მივიღე შენი „დაბეჭდილი“ ბარათი. ძლიერ მასი-
ამოვნე, ვოგონავ! ძლიერ! შენი ძია მოხუცდა, მაგრამ გული ისევ ძველი
აქვს. ისევ ძვერს და ისევ ილგვის თქვენსკენ.

შენი წერილი ბევრჯერ გადავიკითხე. ვნახე შიგ; დიდი ჭკვიანი ქალი.
მერე როგორი ქალი!.. ვენაცვალე დედაშენს და მამაშენს, რომ ეგეთი
ჭკვიანი ვოგონა შეუქმნია. თუმცა... ძლიერ ვნალელობ, რომ არც და ანდა
ძმა რომ არ გაჩუქენ. ძუნწნი არიან, არა?

ჰო! ეხლა შენს შესახებ. შენ ნალელობ, რომ ფრიადოსანი არა ხარ.
მე კი მოხარული ვარ, რომ ეს ეგრეა. შენ უნდა მოგეცეს ნიშანი ფრიადოს-
ნობის ცხოვრებამ, მშობლებმა თუ ნათესავეებმა. სკოლა ეს უთუოდ კარგი
საქმეა, მაგრამ ის ცდება ხშირათ. სახელდობრ ფრიადს აძლევენ ხშირათ
იმას, ვინც ლეჭავს. ასე, რომ ეს ნუ შეგაშინებს. მე მირჩევნია მოწაფეს
ექნეს 4, ვიდრე მას ექნეს 2 ან და 5. ვინაიდან, ორთავე ნიშანი არის
ძლიერ საეჭვო. ერთი ამბობს რომ მოწაფე არ ვარგა და მეორე (5) კი
ამბობს, რომ მოწაფე არაჩვეულებრივია. შენ კარგათ იცი, რომ არაჩვე-
ულებრივი არ ვარგა – უნდა იყო საშუალო – რიგიანი – წყნარი და
ბეჯითი. ეს ყველას სჯობია. ასე, რომ შენი 4-ები მე მსიამოვნებს, ვინაიდან
იძლევა კარგს იმედებს.

შენ არ სცდები, რომ გაქვს ჩემი იმედი. ეს იმედი იქნებ ოდესმე იქნეს
ნაღდი ან და კარგი. მაგრამ ისიც მოსალოდნელია, რომ მე „წავიქციე“ –
ასე რომ მაინც და მაინც ნუ გექნება სავსებით დაყრდნობილი იმედი
სხვაზე. დაყრდენ შენს მემზე. ყველაზე უფრო უგყუარია თავისი თავი.
შეისწავლე შენი ხასიათი. დაუკვირდი თავს. ეს არ არის ძნელი. აი,
როგორ: წარმოიდგინე, რომ შენ არ ხარ შენ. ე. ი. შენ ხარ გამეორება
ვინმე ნათელასი. დაუწყე „კრიტიკა“ იმ ნათელას. ამჟღავნე ყოველივე და
უცებ იბწინე უკან და სთქვი: „აჰ! ასეთია ხასიათი ნათელასი. ნათელა კი
მე ვარ, მამასაღამე, დღეიდან შევეცდები ამა თუ იმ ნაკლოვანობის თავი-
დან ასაცილებლათ“ – ამ დასკვნამდე თუ მიხვალ, ნახავ, რომ იქნები
ბედნიერი. მაგრამ არ უნდა იყო სასტიკი ნათელასადმი. ვინაიდან ნათელა
კიდევ ბავშვია და მას უთუოდ აქვს ბავშვური „ბზიკი“.

ჰო, ჩემო ნათელიკო! შენ ჩემი იმედი გაქვს და მე კიდევ შენი. როგორ
მოგწონს ეს შენ? მე სახელდობრ ასეთი იმედი მაქვს: რომ დავებრდები,
ნათელა ხშირად მინახულებს, არ დაივიწყებს თავის კაცორდელ ძიას.

გივის კიდევ გაუწევს ძმობას. გივი ხომ სახესებით უცხოელი იქნება მანდ? მაშასადამე, ნათელა შეეცდება გაარღვიოს მისი დაძინებული ბუნება – შეიჭრება მასში და იმას მოსთურგნის.

იცი, რა გითხრა: ეხლა ამ წერილს რომ ვწერ, დიდი სასაცილო ამბები მოხდა. სახელდობრ: გივიმ დაამთავრა სასწავლებლის წლისთავი. 24 მოწაფეში 3 მოწაფემ მიიღო (მათ რიცხვში გივი ურევია) დიპლომ დ'ონორი (– tableau d' honoeur). მისი გვარი გააკრეს შავ დაფაზე, როგორც მოწაფე, რომლისგან უნდა მიიღონ წაბაძვა სხვებმა. ასე, რომ ჩემმა გივიმ არ ვიცი, ამის გამოისობით, თუ იმით, რომ მოდიოდა ჩვენსკენ – სწორეთ იმ ქალაქში, სადაც ის დაიბადა (ქ. გულუმა) იყიდა კილო ყურძენი და კილო აგამი. სადილის შემდეგ გადაყლაპა და ევრე მესტუმრა. ეხლახან წვეს ლოგინში უკვე მესამე დღეა და 39⁰ სიცხეს ებრძვის და ყლაპავს და ყლაპავს საწმენდ ზეთს.

გივის უთხარი, რომ ამ ამბავს მიეწერ ნათელას და ეხლა ის ევრე აღელდა, რომ 40⁰ აუვიდა სიცხე.

როგორ მოგწონს ეგ ამბავი? მე კი ძლიერ მსიამოვნებს – ვინაიდან ნათლად თვით დაინახა, თუ რამდენათ უნდა დაუჯეროს უფროსს...

გივი ეხლა სუფთათ ლაპარაკობს ფრანგულს – ასე, რომ ამ მხრივ უკვე მეოთხე ენა იცის – (პოლონური, გერმანული, ფრანგული და ამტერევეს რუსულს) – თუ ოდესმე მანდ ჩამოვიდა, შეასწავლე შენ მათემათიკა (თუმც საოცარია, რომ ჩვენ გვარმა შექმნა მათემათიკოსი. აქ, ალბათ, მამამშენს უნდა უმადლოთ) – იგი კი სიამოვნებით შეგასწავლის გერმანულს თუ ფრანგულს.

ნათელიკო, გააფრთხილე დედაშენი, რომ ევრე დაჩქარებით ნუ გველოდება.

შენით უნდა მიხვდე, რომ ჩვენი აქედან დაძვრა, ეს დიდი საქმეა. დიდი საქმე კი უცებ არ კეთდება. საერთოთ არ ვიცი, რას ვიზამთ. დედაჩემი მაინცდამაინც არ უნდა იყვეს მოხარული ჩემი იქ ჩამოსვლით. ეს, ალბათ, თქვენ უფრო იოლათ მანდ წარმოგედგინებათ. მერე კიდევ, ჩემო ნათელიკოვ! მე ამ ომის შემდეგ ძლიერ დაეღარიბდი. გივის ორი შარვალის მეტი არა აქვს. ასე რომ ყველანი გამოსაწყობი ვართ. ამისთვის არის დიდი ხანი საჭირო, რომ ფული შევაგროვოთ. ასე რომ, ნუ იწყენთ თუ უცებ ვერ გნახოთ.

გივი როგორც მორჩება, დაიწყებს სიარულს ჩემს სკოლაში და სხვა 30 – მოწაფესთან ერთად მოისმენს ლექციებს – ასე რომ, ამ ზაფხულს ისიც გამოიყენებს ამ მხრივ კარგათ – შემდეგ ენახოთ, თუ რა იქნება!..

სხვა რა მოგწერო, ჩემო ნათელიკო!.. შენმა სურათმა ძლიერ და ძლიერ გამახარა. გადაეცი სალაპი შენს მეგობარს ელისოს, ჩემი და გივის სალაპი. გივიმ რო დახელა სურათს, ეგრე სთქვა: „Oui! pas mal!“ – ეს არის ეშხიანი სიგყვა ფრანგულად გამოთქმული. თუ რა არის, შენითაც მიხვდები. მაგრამ... გადაგიტარგზნი: „დიახ! არ არის ცუდი!“ – ეგრე ამბობენ აქეთ იმ ქალზე, რომელთაც მოსწონთ, თუმცა ჩვენებურათ ეგ თქმა არის სუსტი... დელაშენს, ბებიაშენს, ლუსიას, მამაშენს, ყენიას და ჟორას მეორე ბავშვს ჩვენი სალაპი გადაეცით. გაუფრთხილდი ბებია კაკოს. ნუ გააჯავრებთ – თორემა აგეშლები. მამაშენს დიდი მადლობა გადაეცი, რომ ეგრე ხშირად ჩადის ლანჩხუთში და ჩემს საბრალო დელას ყურადღებას აქცევს. უთხარი ეგრე: სანთელ-საკმეველი თავის გზას მონახავს-თქო. ეს თქმა არ არის რელიგიური – არამედ ხალხოსნური და ღრმა, რაც ნიშნავს: რასაც დასთვის იმას მოიმიკი.

ძლიერ მასიამოვნე რომ შენ თურმე მუსიკოსიც ყოფილხარ. გივი უკრავდა პიანინოზე – მაგრამ ეს სამი წელია, ახლოსაც არ გაკარებიდა და თითები გადაეჩვივნენ. ეგ სამწუხაროა და ამისათვის გირჩევ, შენ ხელს ნუ შეუშვებ და სხვა რომ არ იყოს, უბარგყუნე – ისიც საქმეა – თორემ რომ გაიზრდები, ინანებ. მუსიკა აფაქიშებს სულს და ადამიანს. ნუ გაუშვებ ხელს.

რაც შეეხება შენს მომავალს. შე კაი ქალო, ჯერ დაამთავრე და მერე ვნახოთ. ვიმსჯელოთ. თუკი შენ მათემათიკა ვიყვარს, რატომ გგონია, რომ მათემათიკოსის ხელობა იყოს ცუდი ანდა უვარგისი? პირიქით, ხელობა ეს არის ძნელი. ვინც კი მოერევა, ყველგან არის მიღებული – სასწავლებელში, უნივერსიტეტებში თუ სხვადასხვა მეცნიერულ ლაბორატორიებში. ერთი სიგყვით, თუ კი ეს დარგი მოგწონს, ხელს ნუ გაუშვებ – მათემათიკა, როგორც მუსიკა აფაქიშებს ადამიანს და მას ხდის უაღრესად ფაქიშს. ეს იქონიე მხედველობაში – საერთოდ, ცუდი ხელობა ამ ქვეყანაზე არ არსებობს. ყველა ხელობა არის საჭირო, თუმც – ამისთვის საჭიროა ხელობის ნამდვილად შესწავლა. ეს კი არ არის ძნელი – თუ კი ადამიანი მოისურვებს.

აი, ხელაჲ! შენ გრძელ წერილზე მეც გრძელად გიპასუხე – ვიმედოვნებ, რომ შემდეგ წერილს შენგანაც მივიღებ გრძელს.

გაკონის ბევრს შენი ძია გრიშა

გამარჯობა გრიშა!

წავიკითხე შენი წერილი და ძალაუნებურათ ანუ უნებლიეთ ვიფიქრე: ალბათ, ეს კაცი რომ იბადებოდა, ყოყმანობდა, ღირს ვინილო ეს სამყარო, თუ არაო. თუმცა მაშინდელი ყოყმანი უფრო გამართლებული იქნებოდა, ვიდრე ეხლანდელი. შენი და უფრო ვაქაკაცია, ვიდრე მისი ძმა. ორმოცი წლის კაცს ერთხელ გაგიღიმა ბედმა და მაშინაც ფულების დაგროვება მოგინდა, ვის რათ უნდა ფულები ან რამდენი უნდა დააგროვო, რომ შთაბეჭდილება მოახდინო ნათესავეებზე? ჩვენში კაცი ფულით არ ფასდება, ხოლო ცხოვრებისათვის საჭირო მაყუთს იქ უფრო ადრე და ადვილათ შეიძენ, ვიდრე აქ.

ერთი სიგყვით, რადგან რჩევას მთხოვ, ჩემი რჩევა ასეთია – შეუდექი მზადებას და მაჭარი საქართველოში შეესვათ. პირველ ჯგუფში წასვლა იმითაა კიდევ მიზანშეწონილი, რომ ამ ჯგუფს შეხედებიან საქართველოში დიდი ყურადღებით ე. ი. ადვილი იქნება საცხოვრებლად და სამუშაოთ მოწყობა.

შენი დის წერილი პირდაპირ საგზურია ცხოვრებაში (Путь в жизнь). პირდაპირ სჩანს, რომ ის საბჭოთა ქვეყანაშია გაზრდილი, მხნე, გამჭრიახი, რომელიც ცხოვრებას პირდაპირ უყურებს თვალეში, ხოლო შენ უხერხემლო ბურჟუაზიულ სამყაროში, სადაც უფულო და უსახსრო კაცს ქუჩაში გამოსვლა ეშინია, ხოლო თუ გამოვიდა, ხერხემალი სახლში რჩება.

მე კი მინდა, რომ საქართველოში შენ დადიოდე, როგორც სრულფულეანი მოქალაქე, სტალინური კონსტიტუციის შესაბამისი მოქალაქე. ვიყავი ბორღოში, გულუზაში, გუშინ დაებრუნდი.

*მოკითხვა ოჯახობას
ილია*

14 აგვისტო, 1947 წ.

ძვირფასო გკბილო დედიკო!

ერთ კვირაზე მეტია, რაც იძულებული გავხდით მიგვეგოვებია სამსახური. ეხლა ვიმყოფებით პარიზში და ჩემოდნებს ვგენით – რათა ამ თვის დამლევს გესტუმროთ, ისიც სამუდამოთ...

მინდოდა გრძელი წერილის დაწერა, მაგრამ ალელვებული ვარ ძლიერ და ვერ გწერ. ნელი-ნელ ვეჩვევი უცნაურ ცვალებადობას – განა

არ არის ეგ უცნაურობა, რომ მე თქვენთან ვიქნები? იქ, ჩემს მიწაში რომ ჩავემარხებით?

დაწყნარდი, დედიკო, შენც... იყავი ისეთი მაგარი, როგორც მოგცილდი. თუ ყველას ვერაფერს მოუტან, ეს იმიტომ, რომ ძლიერ დაეღარიბდით. არ მეგონა, თუ ეგრე უცებ გადაეწყვეტდით წამოსვლას. მე გადაწყვეტილი მქონდა, ერთი წელი კიდევ აქ მემსახურა, რათა ყველანი გამომეწყვეთ – მაგრამ მივიღე საბჭოთა ხელისუფლებისაგან ხელშეორე მიწვევა და რჩევა, რომ არამც და არამც არ გადავდვა წასვლა და ამისათვის მივატოვეთ ყოველივე და პარიზში ჩამოვედით. დავრბივარ, რომ ბინა როგორმე გავყიდო. არ ვიცი, მოვასწრებ თუ არა – თორემ ბინაც დაიღუპება და ავეჯუელობაც. ვნახოთ – თუ ვიმოვე სადმე უული იქნებ დასაძინებელი ოთახი და სასადილო ოთახი წამოვიდოთ.



*გრიგოლ ორაგველიძე დედასთან –
კატერინე (კატო) მიქელაძესთან ერთად,
ემიგრაციაში წასვლამდე
სლმ №14837-ი*

თუ არა და ჯანდაბას. ამაზე მეტი დეიღუპა ორჯერ და კიდევ გაუძელი და თუ სამშობლომ ეგრე მიმიღო, როგორც აქ გვპირდებიან, მაშინ კიდევ მეთავეჯერ დავიწყებ მოწყობას. არც ეგრე მოხუცი ვარ. კიდევ შემიძლია ვიმუშაო ათი-თხუთმეტი წელი.

მაშ ეგრე, თუ მოახერხო და ბინას, იმ მეოთხე ოთახს გავგინთავისუფლებენ, ხომ კარგია – თუ არა და ნუ იტებს თავს. სადმე კუთხეში დროებით მოვეწყობით. გფილისში (აქ შემპირდნენ) სამსახური და ორი ოთახი. ჯერ-ჯერობით გვეყოფა – მერე ვნახოთ.

მე აქედან წამოვალ ეგრე: პარიზს დავტოვებ 26 აგვისტოს, 27 – ვიქნები მარსელში. საუცხოვო გემით, რომელსაც ქვია „როსია“ (რუსეთი), იმით წამოვალთ 29-30 აგვისტოს. ბათუმში იოლია გაგება, თუ როდის

შემოვა ბათუმის ბაქანში ეს გემი. მე ვფიქრობ, 5-6 ენკენისთვის უნდა იქნეს, თუ გმებში არ შეჩერდა. ამის გაგება შეუძლია დანამდვილებით ელიმბარს.

სიაში არის წამოსასვლელათ 70-ზე მეტი ქართველი. ამის გარდა რამოდენიმე ათასი სომხები მიდიან ჩვენივე გემით სომხეთისკენ.

თუ ყორყიკა მოახერხებს და შეგვხვდება კარგი, თუ არა და ხელს ნურავინ შეიშლის. მარსელიდან კიდევ გამოგიგზავნით გელეგრამას. თუ ნიგოზი გეშოვება და ვრძელ პაგრიყანს ჩაასაცივებ, კარგს იმამ – თუ არა და ამაზედაც ნუ შეიწუხებ თავს, ნუ ალელღები. დაწყნარდი და შეეჩვიე იმას, რომ მე შენთან ვარ.

გკონის ბევრს შენი შეილი გრიმა

გენაცვალეთ! შემოგველეთ!

როგორ ვრძელდება ეს შესვედრა!..

დედიკო შენ თუ გამამაგრებ თორემ წავიხდი...

მარგოს ჭირიმე – ელიმბარისაც. ყორას ვაჟკაცობამ გამახარა – ვენაცვალე მას და ბურაბს – ნათელა ჭყანია და ქენიასაც თავზე შემოვველე, გენაცვალეთ ყველას.

გრიმა

(ალბათ, 1947 წლის ხეჭკემბერი – გემი „როსია“)

ძვირფასო დედა, მარგო, ელიმბარ და ნათელა!¹

მივილე თქვენი წერილი, რომელმაც როგორც გამახარა ისე დამანალვლიანა, მე შეგონა, რომ დედა უკვე მომჯობინდა და ამის მაგივრად კი წერილში არაფერ სასიამოვნოს არ იწერება.

მე თავიდან მქონდა გადაწყვეტილი თქვენთან ორი დღით მაინც ჩამოსვლა, მაგრამ არ ვიცი, ამას თუ მოვაწყობ – ეს იმიგომ რომ 15 აგვისტოს აუცილებლად უნდა ჩავაბარო ჩემი წიგნი სახელგამს – არადა ნახევარი არ აქვს გაკეთებული რედაქტორს. მე მისგან მივიღებ და მეც უნდა გადავხედო, რომ რაიმე სადაო საკითხი არ აღმოჩნდეს. მერე კიდევ გადასაბეჭდი მაქვს და უნდა გადავიხადო 900 მან. მანქანაზე გადასაბეჭდათ. ასე, რომ დიდი სამუშაო მელოდება და ამიგომ არ ვიცი, შევძლებ თუ არა თქვენთან ჩამოსვლას. თქვენ რომ ჩამოხვალთ, მერე უფრო თავისუფალი ვიქნები.

მაღალდუ, ელიმბარ, რომ დედაჩემს კარგი კაცობა დაუმტკიცე, ჩემზეა

¹ ეს წერილი ვაგზავნილი უნდა იყოს წყალტუბოდან 1949 წლის ივლისში (ნ. ვ.).

ნ ბოთლი ღვინო. მერე რა სიგყვეს გეტყვი?! სულ აგატირებ და ღვინოს ფულს შენვე გადაგახდევინებ.

მე წონაში დავიკელი. ასე ცოლნია ვანებს – ეხლა თავი დავანებე ვანებს და თავს ვგრძნობ უკეთ. თბილისში ვაპირებ 23 ამ თვეს. ჩემიანები მგონია ბაშკირეთშია. კორასაგან მქონდა ბარათი, რომ მიყავს გივი და მისაყვედურებს ლიზაზე – მეც შეუთვალე ლიზას წასულიყო. ალბათ ეხლა ერთად არიან.



გრიგოლ ორაგველიძე დედასთან ერთად დაახლოებით 1947–50 წწ. ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ სლმ №14837-2-ი

მარშან უკეთესად გავატარე დრო. ეხლა კი მარგო რუსობაა, ისიც ქვედა ფენეზია, თუმცა კეთილი ხალხია.

ამ გაისს, დელაჩემო, აუცილებელივ ბახმაროზე წავალ. აი ნახავ, შენ მხოლოდ თავს ნუ ჩაქინდრავ, ნუ ლაპარაკობ სულ სიკვდილზე – ეს არაფერი ვაქკაცობაა – საქმე ისაა, რომ იცოცხლო და ეს ორი დღე მხიარულად გაატარო.

კაცო, ამ კვაჭაძის ქალმა როგორ ეიგლო თავი? არც ვიცი, მისი მისამართი, თორემ წერილს მივწერდი და არც გადასაბეჭდი ფული მე არა მაქვს.

იქნებ იცოდე მისი მისამართი მარგო და დამიწერე მორიდებით, (გივის არ აენოს ამ აეხორცამ) რომ დროა ფული დაუბრუნდეს პაგრონს-თქო. თუ არა და მომწერე მისი მისამართი.

სალამი ყველას, კოცნა და ხევენა თქვენზე მონაგრული გრიშა

ბოდიში, რომ კიდევ უმარკოთ ვაგზავნი – მაგრამ აქ არ არის!



გივი ორაგველიძე საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ
სლმ №14842-ი

ჩემო ძვირფასო!

მივიღე თქვენი ორი წერილი და თან ძღვენი, რამაც ყველა გაგვაკვირვა, რომ ეკატერინეს ძველი თავადური ამბავი რომ არ დაუვიწყებია. უზომო მადლობა. მე ჩამოველ გუშინ – დღეს გარეთ არ გავსულვარ. ხვალიდან სამსახურიც უნდა დავიწყო და კიდევ ელიზბარის და მარგოს დავალებები უნდა შევასრულო. ვინახულებ აბულაძეს, ვიხოვ, თუმც ძლიერ მეუხერხულება – მაგრამ რა ვქნა? ის (...?) ჩემთან იყო და დავიბარე შაბათისთვის.

ჩვენ კარგად ვართ. გივი დღეს ჩამოვიდა ბაშკირეთიდან ძალზე გასუქებული. 2 აგვისტოს აპირებს მოსკოვში – უშლი, მაგრამ არ შერება. ღიმა 1-ში აპირებს ბაშკირეთში.

ეორას საქართველოს ხაზით მეორე ადგილი დაუჭერია. დიდი პრემიაც მიუღია და წაუქეიფებია. გწერთ წერილს თუ არა?

შენს ბინას ვინახულებ, დროს რომ ვიშოვი – საშიში არაფერია.

¹ ეს წერილი ვაგბაენილი უნდა იყოს 1948 წლის 26 ივლისს, თბილისიდან (ნ. ვ.).

ყვავილებსაც წყალსაც არ მოვაკლებთ. ძალიან შემაწუხა ნათელას ამბავმა – ნუთუ ვერ გამოარკევით რაშია საქმე? საჭიროა, აქედან ზომები თორემ მერე შინაგან ავადმყოფობათ არ გაურთულდეს.

ძალიან მენატრები, დედა, გავიგე, რომ ზღვაზე დადიხარ – ეს კი დიდი სასიხარულოა. ნიშნავს, რომ უკეთ ხარ – წუწუნს თავი დაანებე. ყველანი სიკვდილის შვილი ვართ – ასე რომ ნუ უხშობ იმ წყეულ სიკვდილს. იცხოვრე, დაგკბი, ბედნიერი ქალი ხარ და ნუ გვიმწარებ სიციხეს.

ჩემ რედაქტორმა დამაღალაგინა, პირველ აგვისტომდე წასულა აგარაკზე – ეს რომ მცოდნოდა, ჩამოვიდოდი ქე მაინც ორი დღით ბათუმში.

მარტო ფულს ნუ გამოაგზავნი. რომ ჩამოხვალ მაშინ, თორემ ჩაზამთრებისას არაფერი მექნება.

გერებამ როგორც იქნა გამოიმეგა ფული და ისეთი უცნაური წერილი დატოვა, რომელმაც ძალიან გამაკვირვა! ნუთუ, დედაჩემო, ეს შენ მას უთხარი? თუ ეს ასეა, ვერ მოგსულია კარგი. რა მჭირდა მისი საპატრონო? ეხლა ისე გამოდის, რომ მან დიდი სამსახური გამიწია, რომ ფული არ მომცა დროზე. ნეტავ რამდენი ეკუთვნის პროცენტი – შემიტყვე და გადაუხდი.

სხვა რა მოგწერო. ჩვენზე ნუ იღარდებთ – მოისვენეთ კარგად და აგვისტოს ბოლოში გაგვახარეთ თქვენი კარგად ყოფნით.

ელიზბარ, ეს საქმე თუ გამოვიდა, უნდა გადაიხადო 1 კ. საუკეთესო ჩაი და 1 კ. საუკეთესო თამბაქო. თუ არ გამოვიდა, მაშინ 1 კ. ჩაი. მე ღონეს არ დაუაკლებ, რომ ორთავე მივიღო.

*გნახეთ ყველანი კარგად
თქვენი გრიშა
26 ივლისი*

P.S. რომ ჩამოველ, კინაღამ გადავირიე. ლიზამ ისე გარდაქმნა ჩვენი ბინა, რომ მთელი ქუჩა ალაპარაკებულია. აქაო ვანაო – აქაო თაროები და რა ვიცი, რა ჯანდაბა.

გრიშა

ისპ ელენე დარიანის შიშის გაშვ

(ლიტერატურის მუზეუმში დაცული ეპისტოლარული
მემკვიდრეობიდან)

1915 წლის 20 ოქტომბერს ქუთაისის თეატრში გამართულ გალაკტიონ ტაბიძის საღამოზე პაოლო იაშვილმა ელენე დარიანის ლექსები წაიკითხა, „რომელთაც საზოგადოება გააკვირვებს თავის საოცრებით და გაბედულებით, ამ ლექსების კითხვის დროს რამდენიმე ქალი თეატრიდან გავიდა“¹. ელენე დარიანის ლექსები ვაშეთ „მეგობრის“ იმავე წლის ნოემბრისა და დეკემბრის ნომრებშიც დაიბეჭდა.

ამ უჩვეულო მოვლენამ აღშფოთებასთან ერთად ერთგვარი გაურკვეველობაც გამოიწვია. საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა ცისფერყანწელთა „ლგოლვას ყოველივე არაჩვეულებრივისადმი, უცნაურისადმიც კი“² დარწმუნებული იყო, რომ ელენე დარიანის ნიღაბს პაოლო იაშვილი ეფარებოდა. „პაოლო საოცარი გამომგონებელი იყო. მისი ფანტაზია ყოველთვის ინტენსიურად მუშაობდა. რას არ გამოიგონებდა, ვისი თავგადასავალი არ იცოდა! ჩვენ ყოველთვის გვაოცებდა პაოლოს შემოქმედებითი „გარდაქმნა“. გვაოცებდა მისი ლექსები, რომლებიც ელენე დარიანის ფსევდონიმით ქვეყნდებოდა. რამდენი წმინდა ქალური განცდა, ხილვა, სინაზე შეჰქონდა მათში! ამ ლექსებში ის ასახავდა როგორც ვნებიანი ქალის შინაგან სამყაროს, ისე ქალის უმანკო სწრაფვასა და ოცნებას“ – წერდა შალვა აფხაიძე.³

იმთავითვე არსებობდა განსხვავებული შეხედულებაც – „დარიანი-სეული“ ლექსების ავტორად რომელიმე პოეტ ქალს მიიჩნევდნენ. ამ თვალსაზრისს ის ფაქტიც განაპირობებდა, რომ ელენე დარიანობას თავის დროზე არაერთი ქალი იხემებდა. პეტრე გვლეიშვილის ცნობით, „ხანჯლოსნები დღე და ღამ იმის ცდაში იყვნენ, თუ როგორ მოენახათ ეს ვიღაც ელენე დარიანი, როგორ გაცნობოდნენ მას, როგორ დამკვბარიყვნენ მისი გემპერამენგით. ქუთაისის მანდილოსნები კი ჩვეულებრივის კდემამოსილობით აძაგებდნენ დარიანს ასეთი პორნოგრაფიული ლექსებისთვის, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად დაინახავდა, რომ ყველა მათგანს დიდი სურვილი ჰქონდა ელენე დარიანობისა“⁴. იმ

¹ ქურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წელი, №40.

² გიყიან ტაბიძე – „ეისფერი ყანწებით“ (სიმბოლიზმის რეში დე გურმონისეული ვანმარგებიდან).

³ შალვა ნიკოლოშის ძე აფხაიძე (1894–1968) – პოეტი, „ეისფერყანწელი“.

⁴ ქურნალი „მნათობი“, 1926 წ. №5–6.

პერიოდისათვის, როდესაც ეს ლექსები იბეჭდებოდა (1915–1924 წლებში) ელენე დარიანის ავტორობის საკითხი მკითხველი საზოგადოებისათვის ამოუცნობი რჩებოდა.

დიდი ხანია „ელენე დარიანს“ პაოლო იაშვილის ფსევდონიმად მიიჩნევენ და „დარიანისეულ“ ციკლს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში. ამ უკანასკნელ წლებში პოლემიკა თითქოს სრულიად გარკვეული და ამოწურული თემის ირგვლივ ისევ განახლდა. ერთ-ერთმა მკვლევარმა პაოლო იაშვილის ავტორობაზე საყოველთაოდ მიღებული აზრისაგან განსხვავებული ვარაუდი შემოგვთავაზა – „ელენე დარიანი“ ცისფერყანწლებთან დაახლოებული პოეტი ქალის ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის, შემდეგში კი ქართველიშვილის ფსევდონიმი, პაოლო იაშვილმა კი მისი ლექსების რედაქტორობა და საზოგადოებისათვის წარდგენა იკისრაო. ამ ფაქტთან დაკავშირებით გვსურს, გაგაცნოთ ლიგერატურის მუშეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ავტოგრაფები, რომლებიც ამ საკითხის ირგვლივ ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან.

დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ: გიციან გაბიძის მიერ ვალერიან გაფრინდაშვილისადმი 1916–1917 წლებში მოსკოვიდან გამოგზავნილ ორ წერილს (№ 28595^{20, 22}), ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის ორ წერილს (№ 27258²⁴, 27274²⁶); პირველი წერილის ადრესატია კატო მიქელაძე¹, რომელიც ცისფერყანწლებისადმი მგრულად განწყობილ მანდილოსანთა წრეს ხელმძღვანელობდა, ელენე დარიანის ლექსებს კი „უკიდურეს უზნეობად“ და „მაღალი მწეობის“ ქართველი ქალის უდიდეს შეურაცხყოფად მიიჩნევდა. წერილი უთარილოა, ჩვენი ვარაუდით კი, 1915–1916 წლებს უნდა ეკუთვნოდეს. მეორე წერილი სიმონ ჩიქოვანისადმი მიწერილი 1956 წელს. ამასთანავე მოგვყავს ნაწყვეტი გრიგოლ ცეცხლაძის² მოგონებიდან პაოლო იაშვილზე, რომელიც „ლიგერატურის მაგიანის“ 1982 წლის გამოცემაშია დაბეჭდილი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო შინაარსის გამო, გამართლებულად ჩავთვალეთ მისი ხელ-მეორე პუბლიკაცია.

ვფიქრობთ, საკითხისადმი ფრთხილი დამოკიდებულების გამო უკომენტაროდ მიწოდებული მასალა დაინტერესებს მკითხველ საზოგადოებას.

თეა თვალავაძე

¹ ეკატერინე (კატო) მიქელაძე (1877–1943) – პოეტი, პუბლიცისტი.
² გრიგოლ მოსეს ძე ცეცხლაძე (1894–1976) – პოეტი.

პანანაზი

პანანაზი
 ჯეჯი
 მსხინი
 შიშვი ჯიჭვილ მსხინი
 ჭეჭვი სხიშვილი ჯიჭვილი
 ენა თანის ნიჭი

პანანაზი
 ჯეჯი
 მსხინი
 შიშვი ჯიჭვილ
 მსხინი
 შიშვილს მსხინი
 ჯიჭვილი
 სხიშვილი მსხინი

პანანაზი ჯეჯი
 მსხინი
 შიშვი ჯიჭვილ
 მსხინი

ქვე მსხინი
 მსხინი
 ჯიჭვილი
 შიშვილი

ქვე მსხინი¹

¹ ავტორი ამოღებულია დროიანი ლექსების პოლო იამვილის ხელნაწერი უბის წიგნიდან, რომელიც პოეტის შუალედურ თამარ თქრომჭელიძე-იამვილის ებ-ღენება. ამ ლექსების ღენები დაეუბნა მწერლის ოჯახში, ასევე კი საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში.

ძვირფასო ჭიჭიკო!

მიიღე ჩემი სალამი შენდა და პაოლოს გადასაცემადაც. როგორც იქნა მივედი მოსკოვში, მაგრამ უბედურებაა ნამდვილი, რა ვქნა არ ვიცი... მე მგონია შენც გაგიჩნდებოდა ეხლა ახალი ხლაფორთი. მოსკოვის პირველ სიცივეს ანთებს ალით *ელენე დარიანი*, რომელიც რაღაც ბედით აქ მოხვდა. ხშირად გიგონებთ შენ და პაოლოს. წავიკითხეთ ერთად უკანასკნელი ლექსები. წერილებს დალაგებულს შემდეგ, მანამ სალამი თუ იყონ მანდ ბედნიერ ლელიანს და კოლიას².

შენი გიგე გაბიძე

2. I. 1917 წ.

ქ. მოსკოვი

ძვირფასო ჭიჭიკო!

გვიანად გილოცავ უკვე წასულს დღესასწაულებს. ამნაირი მოწყენა და სიცივე არასდროს არ მიგვრძნია მოსკოვში, როგორც ეხლა, ამ წლის დასასრული ჩემთვის ერთი გაუთავებელი კოშმარია. როგორც გამწარებული მშვიერი მგელი, ისე ვიკბინები გარშემო. მეგობრები არ მყოლია, მაგრამ თანდათან მაინც მიდიან... იქნებ გზა იქეთ ქონდეთ... რეგიანივით ვზივარ ფილიპოვის კაფეში და მაგონდება „რაიმსი“ და „სამოთხე“³. ამ ცვედნობას თქვენ აძლევდით სიციოცხლეს. არ ვიცი, ეს რითი გათავდება, მე ბევრის მეშინია, თუ დავეშვი, შემდეგ ვერაფერი გამაჩერებს. თქვენ, როგორც გეგყობათ კიდევ გამოგყვით ქართული მზე და ლოთობაში კენჭავრობთ პოეზიაში... მე ძალიან მაინტერესებს „ყანწები“⁴, თუმცა პაოლოს სუფრის ბოლოში მიუკიდივარ, თუ ინტერესი არა, წელთა დაშახურება მაინც წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო ამის. რასაკვირველია, ეს წერიმალაია, მაგრამ ეხლა ისე ცუდად ვგრძნობ თავს, რომ ამასაც აქვს მნიშვნელობა. ამის გარდა აქ აბურთავებენ ერთ ჭორს, ვითომ პაოლო უნდა უმოყვრდებოდეს ერთს სკვითელ ქალს, რომელსაც შორიდან ჩვენც ვიყნობთ, რამდენად მართალია ეს ამბავი და თუ ჭორია, რისგან გაუ-

¹ ვალერიან ივანეს ძე ვაფრინდამელი (1888-1941) - პოეტი, „ეისფერყანწელი“.
² კოლაუ (ნიკოლოზ) ვალაქტიონის ძე ნადირაძე (1895-1991) - პოეტი, „ეისფერყანწელი“.
³ „რაიმსი“ და „სამოთხე“ - კაფეები ქუთაისში.
⁴ „ეისფერი ყანწები“ - ქართველი სიმბოლისტების ჟურნალი, რედაქტორი პაოლო იაშვილი. გამოვიდა ორი ნომერი 1916 წ.

რეცელა?... მე იმისთანა კაცმა ვადმოძეცა, რომ არ შეიძლებოდა ვერც კონცხი
კონდოლა, რაგომ უნდა გავიგო მე უკანასკნელმა?

თქვენ წერილებს მხოლოდ მპირდებოდით, რათ არ მივინებთ, თუნდა
მაშინ, როცა ლოთობთ, ჩემი მშვიერი და ხარბი სული ხომ თქვენთანაა...
გალაქტიონის საღამომ როგორ ჩაიარა. „მეგობარში“¹ წავიკითხე რეცენ-
ზია, თითქო ძალიან საინტერესოა, მაგრამ ვიგარის რომანსებს იმის
გარდა, რომ პროვინციის სუნი უდის, ისედაც მიუღებელია, მე მგონია.
ქურნალები ძალიან ვრეცელდებიან, ეს „ლეილა“² და „საფირონი“³. „ლეი-
ლაში“ გრიშაშვილმა⁴ თითქო გადამიხადა სამაგიერო ჩემი „ყანწების“
პირველ წერილისთვის. მაგრამ ღმერთია მოწმე, რომ მე გულწრფელი
ვიყავი და ამასთან სიყვარულით ყოველთვის მეტს ვლაპარაკობ, ვინემ
ობიექტურ ღირებულებას შეუძლია მაჩვენოს. ყოველ შემთხვევაში ჩემზე
გადარება პირველი არ არის, მე მხოლოდ ის მაშინებს, ეს მეგობრებსაც
არ გადაუდვას. ჭიჭიკო, მაპატიე ეს უსტილობა, მაგრამ ცუდათ ვარ. ცუდათ.
ექვები ისე მჭამენ, როგორც როლინას ჭიები. ცუდ ხასიათს ვიბეღებ
საახალწლოთ, შეიძლება ეს საბედისწეროც იყოს. დაეღვიარ ხშირად
ბალმონგთან⁵, ამას ჩემთვის არ აქვს უკვე შთაგონების და ალგაცების
ნიშნები, როგორც პირველად. ორში ერთია, ან მივეჩვიე ან ცუდათ ვარ,
თუმცა კ. ბალმონგი ძალიან საინტერესოა ხანდისხან...

შენი ვერხპარნის⁶ სონეტის პირველი რვა პწკარი დიდებულია, ერთ
აღაგას გადადის გირილში ГАЛЛОЦИНАТ НЕЗДОМНЫЙ. პირველი გერცინაც
კარგია, უკანასკნელი ნაკლები. ასეთი იყო პირველი ჩდაბეჭდილება. ველი
„ყ“ და „ლეილას“ ლექსებს... მაინტერესებს ძალიან ე. ღარიანის „მე და
კატა“ და პაოლოს „ფარშევანგები ქალაქში...“ საახალწლოდ თუ იქნა
რამე ჩვენზე, ვიცი წინდაწინ, ჩემზე არ იქნება ხელსაყრელი, წინათგრ-
ძნობით ვგრძნობ. ვიგზავნი ერთ ჩემ საკუთარ სონეტს „ფაგმანს“. პირველი,
რომ შემოვიღო გრადიციათ წერილში ლექსის ჩადება, მეორე რადგან

¹ „მეგობარი“ – სალიტერატურო და პოლიტიკური ვაშეთი, გამოდიოდა 1916–1917 წლებში.

² „ლეილა“ – სამხატვრო-სალიტერატურო ქურნალი, რედაქტორი იოსებ გრიშაშვილი, გამოვიდა სამი ნომერი 1916–1924 წლებში.

³ „საფირონი“ – სამხატვრო-სალიტერატურო ქურნალი, რედაქტორი ვიორჯი ლეონიძე, გამოვიდა ერთი ნომერი, 1916 წ.

⁴ იოსებ გრივოლის ძე გრიშაშვილი (მამულაიშვილი) (1889–1965) – პოეტი, საზოგადო მოღვაწე.

⁵ კონსტანტინე დიმიტრის ძე ბალმონგი (1867–1942) – რუსი პოეტი, სიმბოლისტი.

⁶ ემილ ვერპარნი (1855–1916) – ბელგიელი პოეტი, დრამატურგი, ფრანგული სიმბო-
ლიზმის წარმომადგენელი.

⁷ იგულისხმება ქურნალი „ცისფერი ყანწები“.

ეს პირველი სონეგია, შენც მითხარი შენი აზრი, თუ გამიპირლები მე მინდა წიგნში შევიგანო რამდენიმე სონეგია...

დაეწერე ერთი გყუბი სონეგია (близнецы). არ ვიცი, როგორ მოგეწონება ეს იდეა. ვაშენებ სამ კარავს, როგორც ფერიცვალების მოციქული შენთვის, პაოლოსა და გრიგოლისთვის¹. წიგნი უნდა დავამზადო იმ მაფხულისთვის. იქ *ელენე დარიანიე* შევა, გალაქტიონი და ალიც². ჩემი „ქაღლეთს ქალაქების“ კვლევები თანდათან შენდებიან. ვღვევარ მეწამულ ქარბუქში და მიდიან: ქონგლერები, მისტაგოგები, დედოფლები ძველი ოსტატები და წარმოიდგინე კონკვისტადორიც...

მოსკოვში იანვრის სიცივეებია. პუშკინის ძველი სდგას, როგორც კამანდორი, ასე შეადარა ერთმა მოსკოველმა ფუგურისგმა კარალევიჩმა, რომელმაც დასწერა საინტერესო წიგნი სათაურით მაინც „СТУДЕНТЫ СТОЛИЦЫ“. ბევრია სურათების გამოფენა, თუ დაგაინტერესებს, რეპროდუქციებს მაინც გამოგიგზავნი. მაქს ვოლაშინმა³ გამოაფინა სურათებათ „სონეტების გვირგვინი“ ძალიან საინტერესოა, ყოველი სტრიქონი სურათია. „Монастыри в преддверий пустыни“, „медных солнц гудящие закаты“. აგრეთვე სურათი ალგმანის⁴ „ანნა ახმატოვა...“

მალე გამოვა აღმზანახი, სადაც ვალერი ბრიუსოვი⁵ აგრძელებს პუშკინის „Египетские ночи“-ებს, თუ დაგაინტერესებს, გამოგიგზავნით.

ელი⁶ არ ჩამოსულა განჯიდან, პაოლოს სიჩუმე იმ წერილზე ჩვენ რომ გამოუვგზავნეთ ღორობაა და უსინდისობა.

მარიჯანი⁷ ვინ ეშმაკია ან განჯას რად წერს? იქნებ გაიგო, მე მაინტერესებს ძალიან.

ჭიჭიკო, ჭიჭიკო.

მათხოვარით გთხოვ, ღვინით დასოლებული ღია წერილები მაინც გამომიგზავნოთ.

ვკვლები, ვიყინები სკვითების ქვეყანაში, ვიმარხები თოვლით მარტო, უმეცობრო, შემაბით პოეზიის ეტლში მეც.

¹ გრიგოლ გიგეს ძე რობაქიძე (1880–1962) – მწერალი პუბლიცისტი, დრამატურგი, მთარგმნელი.

² ალი (ალექსანდრე) ილიას ძე არსენიშვილი (1892–1939) – მთარგმნელი, კრიტიკოსი, „ცისფურყანწელი“.

³ მაქსიმოლიან ალექსანდრეს ძე ვოლოშინი (1877–1932) – რუსი პოეტი, მხატვარი, სიმბოლისტი.

⁴ ნათან ისაიას ძე ალგმანი (1889–1970) – რუსი მხატვარი.

⁵ ვალერი იაკობის ძე ბრიუსოვი (1873–1924) – რუსი პოეტი, სიმბოლისტი.

⁶ ელენე თევდორეს ასული ბაქრაძე-ბერიშვილი – პოეტი.

⁷ მარიჯანი – მარიამ მარკოზის ასული გვერდუაძე-ალექსიძე (1890–1978) – პოეტი.

ადლეგრძელეთ და მოიგონეთ...

P. S. ნიკო ლორთქიფანიძეს მალე გამოუგზავნი ანდრეი ბელის „Серебряный голуб“ -ს. ძველი გამოცემა არ არი, პაშუკანისი ამ დღეებში უშვებს.

P. S. „ცისფერ ყანწებზე“ მკლავენ, გამომიგზავნეთ რამდენიმე ეგზემპლარი „სამოგადოების წევრობისა“.

P. S. „ყანწებზე“ ბევრს ლაპარაკობენ და ნერვიულად ელიან.

გივიან ტაბიძე²

4 მაისი

ძვირფასო კატო!

მაპატიე, გენაცვალე, რომ ისეთი უსაფუძვლო, დაუმსახურებელი მწუხარება მოგაყენე. როგორ უნდა დაგარწმუნო მე შენ, არ ვიცი, მხოლოდ, გუფიციები სინდისს, კატო, რომ მე *ელენე დარიანზე* შორს ვარ და არც ერთი ლექსი ქუთათურებზე ადრე მე არ მცოდნია. პაოლო იაშვილი იგი არ არის, ამაზედ ლაპარაკი მეტიც არის; ვერც კი წარმომიდგენია, როგორ შეიძლება მათი დადარება! ეს, რომ მე იმას კარგათ ვიცნობ და პაოლოზედაც უკეთ, ჩემო ძვირფასო, არ შეიძლება ცოდვათ ჩამეთვალოს; ისე კი, კატო, დამშვიდდი, დარწმუნდი, რომ ელენე ბ-შვილი¹ და *ელენე დარიანი*... ოჰჰუ! საიდან სადაო, წმიდაო საბაო! მე, როდესაც მანდ ვიყავი, სულ მართალს ვამბობდი, თუმცა ვგრძნობდი, რომ ჩემი მართალი აღარ გადიოდა და მერე აურეი მეც. გარწმუნებ და გუფიციები, რომ მე იგი არ ვარ და თუ ეხლა არ დამიჯერე, კატო, იყოდე, რომ თავის დღეში ამ საგანზედ შენთან აღარ ვილაპარაკებ. რაგომ არ ვამხელ ვინ არის? რა ნება მაქვს? აბა მითხარი რა ნება მაქვს? თუ უნდა თითონ ძალიან კარგათ იცყვის და ყველას რომ თავი დაეხანებო მე იმ ადამიანის ხათრიც მაქვს და სიყვარულიც. ასე, ეხლა, კატო, მინდა ამ გაფხულზედ შენი მოწაფე გაეხდე და მოიწერე მიდიხარ თუ არა ერედვეშიდ. მე ეხლა ძალიან ავათ ვარ. ფულის დახარჯვა ამ გაფხულზედ არ შემიძლიან, რადგან მოსკოვისითვინ უნდა მოეზოტო ცოგაოდენი და ამიგომ სადღაც საექიმოთ წასვლა არ შემიძლია. წავიდეთ ერედვეში და ერთად წავიკითხოთ რამე; ერთი

¹ ანდრეი ბელი - ბორის ნიკოლოზის ძე ბუგაევი (1880-1934) - რუსი მწერალი, სიმბოლისტი.

² წერილის რუსული თარგმანი დაბეჭდილია წიგნში „Тичиан Табидзе“ - Галина Цурикова, Ленинград, 1971 г. დედანი იბეჭდება შემოკლებით (თ. თ.).

³ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი.

ორი ადამიანი იქაც მოიპოვება. რას ფიქრობ შემაგყობინე. ყველა ნაცნობებს სიყვარულით მოკითხვა! თუ გიყვარდე მომწერე ყველას ამბავი. გკოცნი ბევრს. როდის წახვალ გამაგებინე ერედვეში. მე ამ თვის ბოლო რიცხვებში იქ ვიქნები.

შენი ელენე
Лемермановская 5. Мие

ძვირფასო სიმონ!

დეკემბერში ლ. გუდიაშვილის მთლიანი გამოფენა ეწყობა. ჩემგან უკვე წაიღეს სურათი და ნახაზები. ახლა უნდა გაიამბო შეძღვევი: ამას წინად გამოფენაზე იყო მისი რამდენიმე სურათი. მე ვიჯექი მისი სურათების წინ, როცა იქ მოსული ხალხი დაყავდა ერთ მხაგვარს და უხსნიდა სურათების შინაარსს. მე ძალიან მინდოდა გამეგო რას იცოდა ლადომე. სრული უსუსურობა. გოიას შეადარა; „თავისებურობა“ ახსენა და მეტი არაფერი სთქვა. ვერ მოვითმინე და სათითაოდ გავარჩიე ამ ხალხის წინაშე ყველა სურათები. დამსწრენი გაოცებულნი დარჩნენ, თუ რატომ არ ესმოდა იგივე ამხსნელ-მხაგვარს. ამის შესახებ ნათქვამი იყო მხაგვართა კრებაზე. ამას გაიამბობთ არა იმისთვის, რომ ჩემზე ვილაპარაკო. მე მგონია, საჭიროა წერილი ლადოს გამოფენამდე, რომელიც ხალხს მისცემს საშუალებას მივიდნენ მისი სურათების სანახავად არა გვინში ჩაჭედილი ურუშაძისებური შეხედულებებით, – სხვა თვალებითაც. დამიჯერე სიმონ, ეს საჭიროა. კრებაზე ნათქვამი იყო ლადოს სურათების შინაარსის „ნამდვილ გახსნაზე“, მისი „იდეურობის ნამდვილ გაგებაზე“. ნუ თუ არ შეიძლება ეს გაკეთდეს ჩვენი უდიდესი მხაგვრისთვის, რომელს უსათუოდ მოელის მომავალში მსოფლიო ფერწერის ისტორიაში დიდი ადგილი.

სხვას დაეწერა – ასევე შეგვევლერებოდი.
თბილი საღამი მარიკას.

ელენე ქართველიშვილი

P. S. ვთარგმნე ანა ახმაგოვას¹ 10 ლექსი.
სადა მყავს პაოლო რედაქციისათვის?
სურკოვი² ამზადებს თურმე მისი ლექსების კრებულს.

28. X. 56 წ.

¹ ანა ანდრიას ასული (ვორენკო) ახმაგოვა (1889–1966) – რუსი პოეტი.
² ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სურკოვი (1899–1983) – რუსი პოეტი.

ბრიტოლ სმსხლაპის მორგნება პაოლო იაშვილზე

პაოლო იაშვილი პირადად გამაცნო ჩემმა სკოლის ამხანაგმა კოკი ებრალიძემ¹. ებრალიძე იყო დარდიმანდი ახალგაზრდა, პაგარ-პაგარა ლექსებსაც ბეჭდავდა ჟურნალ-გაზეთებში, იყო კარგი მონადირე და ქეიფის მოყვარული. ქალების გრფიალითაც ზედმიწევნით გართული. ამ მანუვნებლების ნიადაგზე დამეგობრებულიყო პაოლო იაშვილთან. მე იმ დროს ვიყავი გაზეთ „მეგობრის“ თანამშრომელი, რეპორტიორი. პოეტიკობას არ ვამქლავებდი, თუმცა ლექსებს ბავშვობიდან ვწერდი და მაშინ რამდენიმე ლექსი უკვე მქონდა დაბეჭდილი ფსევდონიმით. მიუხედავად იმისა, რომ „ცისფერ ყანწებს“ და პირადად პაოლო იაშვილის შემოქმედებას დიდად თანაუგრძნობდი, ისე მოხდა, რომ პაოლოს მე მაინც ვაწყენინე.

ეს გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: პაოლო იაშვილმა *ელენე დარიანის* ფსევდონიმით გაზეთ „მეგობარში“ გამოაქვეყნა რამდენიმე ლექსი, რამაც სკანდალური გავლენა მოახდინა მაშინდელ საზოგადოებაზე. ის ლექსები ამორალურად მიიჩნეეს.

მე მაშინ სოციალ-ფედერალისტებს თანაუგრძნობდი, მათთან ვთანამშრომლობდი, მათთან მახლოვებდა ეროვნული საკითხი და არჩილ ჯორჯაძის² ნაწერებით ვაგაცუბა. როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, სხვა სოციალურ საკითხებზე მათი შეხედულება უკვე აღარ მაინტერესებდა და 1917 წლის დამლევს ჩამოვეშორდი მათ და აღარც სხვა პარტიას აღარ დავახლოვებულვარ, დავრჩი უპარტიოდ. მაგრამ იმ დროს კი თავგამოდებული ვიყავი ფედერალისტების ორგანოს „სიწმინდისათვის“.

მე გაზეთ „მეგობრის“ სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე გამოვედი განცხადებით, რომ თუმცა *ელენე დარიანის* ლექსები მე პირადად არ მიმაჩნია დიდ ამორალურ მოვლენად, მაგრამ მას მოწინააღმდეგე პარტიები იყენებენ სოციალ-ფედერალისტების პარტიის სახელის გასაბუცხად და ამიტომ *ელენე დარიანის* ლექსები არ უნდა იბეჭდებოდეს ჩვენს გაზეთებში-მეთქი.

თუმცა სარედაქციო კოლეგიის წევრები შოთა დადიანის³ და გრიგოლ

¹ კოკი ებრალიძე (1898–1937) – პოეტი.

² არჩილ კონსტანტინეს ძე ჯორჯაძე (1872–1913) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

³ შოთა პლატონის ძე დადიანი (1890–1937) – იურისტი, მწერალი.

ლალიძე¹ პაოლო იაშვილის განუყრელი მეგობრები იყვნენ, თაყვანისმცემლები იყვნენ „ცისფერი ყანწების“ და პაოლოს შემოქმედების და ისინი ჩემი წინადადების წინააღმდეგ გამოვიდნენ, მაგრამ გაზეთის კოლეგიამ მაინც მიიღო ჩემი წინადადება – აღარ დაბეჭდათ *ელენე დარიანის* ლექსები.

ამის შემდეგ, მალე ქუთაისში ამოვიდა კოკი ებრალიძე, ებრალიძეებს ახალმოგებული ჰქონდათ ხაზინასთან სადაო გყე. კოკის გაყვიდა მოგებული გყის ნაწილი, აღებული ფულით კარგი კოსტუმები იყიდა, ოჯახის ავეჯებიც შეიძინა და ქეიფიც მოაწყო რესტორანში. ქეიფში მოწვეული ვიყავით პაოლო იაშვილიც და მეც.

როცა პაოლო იაშვილის სადღეგრძელო დაილია, მე ავდექი და აღტაცებით წარმოვთქვი ბეპირად მისი ლექსები და *ელენე დარიანის* ერთი ლექსიც. პაოლოს გაეხარდა, გადამკოცნა და მერე მითხრა, თუ ასე აფასებ ჩემს ლექსებს, როგორ მოხდა, რომ გაზეთ „მეგობარში“ *ელენე დარიანის* ლექსების დაბეჭდვის წინააღმდეგ გამოსულხარო.

მე განუშარტე, – თუმცა პირადად მე ძალიან მომწონს *დარიანის* ლექსები, როგორც ხედავ, ბეპირადაც ვიცი, მაგრამ გაზეთის ინტერესებს მაინც მაღლა ვაყენებ, ის ლექსები გაზეთს სახელს უკებენ მასების თვალში, მოწინააღმდეგე პარტიები მათ იყენებენ გაზეთის გასაბიზარებლად და ამიტომ ვიყავი მათი გაზეთში დაბეჭდვის წინააღმდეგი-მეთქი. ჩემმა განმარტებამ ის ვერ დააკმაყოფილა, მაგრამ მაინც არ დამმღურებია.

¹ გრიგოლ ლალიძე (1887–1937) – იურისტი.



АДРЕСАТ БОРИСА ПАСТЕРНАКА – РАИСА МИКАДЗЕ

Раиса Константиновна Абрамиа-Микадзе (1903–1995) прожила долгую, интересную и трагически трудную жизнь. Она училась в Тбилисской академии художеств, была талантливой ученицей известного скульптора Я. Николадзе. Серьезно увлекаясь поэзией Р. К. дружила с грузинскими символистами и была активной участницей их собраний.

В 1925 году Раиса Константиновна вышла замуж за Арчила Виссарионовича Микадзе (1897–1937) востоковеда по образованию (окончил Петербургский университет), близкого друга поэтов-голубороговцев, братьев Зданевичей, хорошего знакомого В. Хлебникова и В. Маяковского.

А. В. был председателем художественного совета киностудии „Грузия фильм“, занимал высокие посты в правительстве. Так, к примеру, он был наркомом труда и культуры Грузии. Позже его назовут „другом художественной интеллигенции“.¹

В июне 1937 г. А. В. Микадзе был арестован и уже на четвертый день расстрелян. В октябре 1937 г. была арестована и сослана в женский лагерь под Потьмой Раиса Константиновна. Ее две дочери Гуга – 11-ти лет и Джина – 4-рех лет оставались с бабушкой И. Р. Дгебуадзе.

В 1944 г., через 7 долгих лет, Р. К. вернулась в Тбилиси, но еще многие годы она жила в страхе, оставаясь под бдительным наблюдением КГБ. Избежать осведомительства ей помогла справка о ее невменяемости, выданная известным профессором-невропатологом П. М. Сараджишвили.

По состоянию здоровья вернуться к работе скульптора Р. К. не могла. Литература стала ее основным занятием: она переводила прозу грузинских писателей на русский язык, была редактором сценарного отдела на киностудии „Грузия фильм“.

¹ შ. აუზაძე. „წუხილები და მოვლენები“. თბ. 1969, გვ. 165. (Ш. Аухаидзе. „Письма и воспоминания“, Тб. 1969, стр. 165).



*Раиса Константиновна
Абрамиа-Микадзе*

Раиса Константиновна была очаровательной в юности, оставалась ею, вернувшись из лагеря, и в свои 90 лет. До последнего дня она жила поэзией и сохранила безупречную память.

С Борисом Леонидовичем Пастернаком Раиса Константиновна познакомилась в октябре 1945 года, когда Б. Л. впервые, после ареста в 1937 г. дорогого друга Тициана Табидзе, решился приехать в Тбилиси на торжества по случаю 100-летнего юбилея Николаза Бараташвили. Б. Л. выступал в театре им. Руставели со своими

переводами произведений великого грузинского поэта.

В день отлета Б. Л. в Москву, в Сагурамо, в имении Ильи Чавчавадзе, был устроен банкет. Р. К. вспоминала: „...тамадой, насколько я помню, был Гогла Леонидзе. Царила приподнятая, задушевная атмосфера. И гость, и хозяйева были особенно оживлены, особенно довольны и доброжелательны. Много шутили, много смеялись. Наши поэты читали свои стихи в оригинале и в русских переводах. Пастернак то и дело вспоминал строки из своих переводов с грузинского и читал собственные стихи. Пили вино, произносили волнующие тосты.

Борис Леонидович слегка захмелел и от вина, и от добрых слов. Чуть заикаясь, как обычно обрывая фразу и

перескакивая с мысли на мысль, он говорил о своей любви к волшебной стране Грузии, к ее горам, к ее чудесным людям. Все оживленнее, все увлекательней становилась беседа, говорили о Пушкине, о Лермонтове, об их пребывании в Грузии. Борис Леонидович стал читать отрывки из своей поэмы „Волны“. Поддавшись очарованию темы, голоса и необычной пастернаковской манеры чтения, углубившись в себя слушали его присутствующие. Потом все дружно зааплодировали. Пастернак взволнованно, сбивчиво что-то говорил о своей благодарности грузинским друзьям, а когда вспомнил о чем-то своем, очень личном, голос его дрогнул. Все невольно обернулись к нему. Борис Леонидович с трудом сдерживал слезы, но справившись с собой, он смущенно забормотал какие-то извинения. Было что-то очень детское в этой полной отдаче настроению. Все тепло и ласково улыбались, у жен писателей глаза были влажные.

Я не могла удержаться, чтобы не выразить Борису Леонидовичу свое преклонение, не сказать как мы понимаем его, как много радости доставил нам этот вечер общения с ним.

Была уже поздняя ночь, давно было пора расходиться, но все неохотно покидали Сагурамо. Машины повезли нас в Тбилиси“.

Рассказ Р. К. продолжает Б. Л. в письме Нине Александровне Табидзе от 1. XI. 45 г.:¹ „...так случилось, что меня насильно увезли в Сагурамо и в Тбилиси я попал только в 3 часа ночи, за 2 часа до выезда на аэродром. В Сагурамо я приехал совершенным трупом, но рад поездке. На обратном пути Ев. Александровна² много пела и научила меня одной чудной, путаной, лабиринтоподобной мингрельской песне (ой радо), которую я все время напеваю про себя, когда думаю о ней, о Вас, и об этих сказочных двух неделях. И немногого недоставало, чтобы в эти последние

¹ Гос. музей грузин. л-ры.

² Евфимия Александровна – супруга Г. Леонидзе.



часы у меня не начался роман с Раисой Микадзе кланяйтесь, пожалуйста, ей“.

Уже 5. XI. 45 г. Б. Л. пишет на книжке своих стихов:¹ „Раисе Микадзе со вздохом“ и в открытке от 8. XI. 45 г.² он просит Нину Александровну передать книжку Микадзе.

В июне 1946 г. Б. Л. посылает Р. К. книжку своих переводов Н. Бараташвили³, надписывая: „Милой, милой Раисе Микадзе, чтоб ей жилось хорошо, хорошо. Б. Пастернак. 26. VI. 1946 г.“⁴

Живя в постоянном страхе и под наблюдением, Раиса Константиновна боялась писать Борису Леонидовичу, однако, в 1950 г., с надежной оказией, она посылает Б. Л. какое-то керамическое изделие с коротеньким письмом. На это письмо Б. Л. отвечает:

„18 ноября, 1950.

Дорогая Раиса Константиновна!

Как мило Вы кокетничаете, начиная Ваше коротенькое письмо с предположения, что я Наверное Вас не помню!

Мне хотелось тут же летом написать Вам так, чтобы Вам было интересно читать, и чтобы ответ доставил Вам радость. И я вернулся мыслями к ночи, когда от переполнявших меня чувств я готов был плакать или даже плакал, и вследствие Вашей снисходительности позволял себе столько мелких нарушений приличия.

Тогда Вы сошли с машины первую, в начале проспекта или даже до него, и с этого началось мое прощание с тем удивительным и волшебным, что я встречал во все свои грузинские поездки, и что не объяснимо одним только югом, горами, широтой грузинского характера, женской красотой, разгоряченностью и приподнятостью шумных и многолюдных пирушек, но еще таинственнее и глубже

¹ Б. Пастернак. „Избранные стихи и поэмы“. Госиздат худож. л-ры. М. 1945.

² Гос. музей грузин. л-ры.

³ Книжка в мягком переплете, сделанном самим Б. Пастернаком. Его рукой написано: „Стихи Бараташвили“. Изд. „Правда“, М. 1946 г.

⁴ Автограф см. стр. 186.

всех этих составных частей.

Так в природе и человеческом мире волнует то значительное, чему не нашли еще имени и слова и что ждет еще своего определения. Именно этим ожиданием оно и волнует, как заданная и еще не разрешенная загадка, или как повисший в воздухе и ожидающий исполнения сигнал.

Например, таким раскатившимся из глубины прошлого столетия сигналом был в истории человеческой деятельности в России Лермонтов. Память о нем, по сравнению с Пушкиным, была предельно отягощена и затруднена тем требовательным и ускользающе-неуловимым чего в нем так много, почти как в настоящем живом горе или сырой природе. И только к концу столетия некоторые мысли у Владимира Соловьева, кое-что у символистов, а главное *работы Врубеля* были первым эхом, первым отражением лермонтовского звука на полустолетнем расстоянии, так трудно подхватить и продолжить лермонтовскую исключительность, так *немыслимо* отвечать на его сигнал общими местами.

А теперь и то немного, что было достигнуто, возвращено назад, в старую исходную точку, и мы узнаем о Лермонтове, что он был великий русский поэт, большой патриот и еще что-то. Это почти то же самое, что сказать, что у Лермонтова были руки и ноги.

Вас наверное удивляет, отчего зашел разговор об этом имени, это вышло немного ни к селу ни к городу. Но я имел в виду перевести потом речь на те неожиданные открытия, которые я стал производить даже в лучшем из того, что пишут сейчас самые близкие мои товарищи и которые меня так огорчают. Но это очень затянет письмо. Я отказываюсь от этого желания, и пусть слова, сказанные выше, останутся сказанными некстати. Напишу Вам несколько слов о себе.

Зачем Вы дарите меня такими светскими фразами, как то что в Грузии меня помнят и любят, как то что Вы много слышали о моих новых работах и пр. и пр. Я не говорю, что это совершенный обман в Ваших устах, но

согласитесь, насколько бывает иная картина, когда эти слова действительно что-то значат и имеют полный смысл! Так тогда зачем прибегать нам к словам в их призрачном применении? Разве мы так уж бедны?

Нет, дорогая моя, если и знают меня еще три четыре человека во всем свете, то через год-два не будет и тех. Но какое в этом горе? Однако эта неизвестность и естественное забвение еще далеко не все. Все чаще раздаются голоса самых близких, родных и самых проверенных друзей, которые видят упадок, утерю мною самого себя и уход в ординарность в моих интересах последнего времени и давшейся так нелегко моей нынешней простоте. Что ж, не горе и это. Если есть где-то страданье, отчего не пострадать моему искусству и мне вместе с ним?

Может быть друзья мои правы, а может быть и не правы. Может, и очень может быть, я прошел только немного дальше по пути их собственных судеб в уважении к человеческому страданию и готовности разделить его.

Но вы не думайте, что я угощаю Вас, ожидающую совсем других разговоров, семинарскими душеспасательными беседами. Я говорю о самом артистическом в артисте, о жертве, без которой искусство ненужно и скандально нелепо, и без которой произведения снаружи припудрены поверхностной талантливостью, а внутри держатся на идее, известной или даже превзойденной человечеством при выходе из дикарства.

Но опять я бог знает куда заехал. Вот как я с Вами заговорился.

У меня к Вам просьба, если она Вас не обидит. Я давно собираюсь и очень хочу написать Нине Александровне Табидзе. Но ей я должен буду писать совсем о другом, она знает, и оттого я и оставляю ее без писем, что никак не подберу подходящих для переписки слов.

Сообщите ей пожалуйста часть этой, обрушенной на Вас философии. Сообщите ей, что я по прежнему живу, как хочу, и здоров, и счастлив этим правом, за которое готов заплатить жизнью!

Помните, я в Сагурамо вспомнил о доме, у меня дрогнул голос и я не мог продолжать речи. Вот и опять я о том же. Я с Зиной составляю неразделимый кусок существования, вроде того как я хожу по полу или вижу глазами. За вычетом этого краеугольного факта я люблю Нину Александровну больше всех людей на свете. Это можете не сообщать ей, это можете скрыть от нее. Целую вашу руку. Ваш Б. Пастернак“.

По поводу этого письма Борис Леонидович писал Нине Александровне 23. II. 51 г.:¹ – „Как-то я написал Р. К. Микадзе большое письмо в котором объяснился в любви к Вам, она, наверное обиделась“.

Письмо Б. Л. к Р. К. было опубликовано с купюрами в ж. „Вопросы литературы“ №1 за 1966 г. Г. Г. Маргвелашвили, а в 1968 г. сын Б. Л. Евгений Борисович Пастернак, познакомившись с этой публикацией, обращается к Р. К. со следующим письмом:

„Дорогая Раиса Константиновна!

Письмо, которое папа написал Вам – одно из самых интересных его писем. К сожалению оно напечатано с большими пропусками и неточно. Мне очень хочется включить полный и точный текст этого письма в ближайшее из возможных изданий, а тем более – в собрание сочинений, которое мы сейчас готовим для Гослитиздата.

Елена Давыдовна любезно согласилась собрать для нас копии папочкиных писем, находящихся в Тбилиси. Если Вам не трудно, дайте ей полную и сверенную копию тех писем, которые хранятся у вас.

Заранее благодарный Вам Е. Пастернак. 5.9.68 г.“.

Получив это письмо Раиса Константиновна сдает его вместе с письмом Бориса Леонидовича в фонды Государственного музея грузинской литературы им. Г. Леонидзе, в которых они хранятся под №27447⁽¹⁻²⁾. Тексты писем публикуются в полном соответствии с подлинниками.

В 1959 г. Борис Леонидович посылает Раисе Констан-

¹ Гос. музей грузин. л-ры.

тиновне свой перевод „Марии Стюарт“ Шиллера¹ с надписью:

„Раисе Константиновне Микадзе на добрую память.

Хотя в этой книжке бездна опечаток, прочтите в свободное время трагедию об этой женщине. Ее время было не легче. По моему она страдала больше нас.

С сердечным приветом. Б. Пастернак. 31 марта, 1959 г. Переделкино“.

Книги Б. Пастернака с его автографами хранятся, как дорогие реликвии, в семье младшей дочери Р. Микадзе, — Джины Арчиловны Микадзе-Калатозишвили, которую благодарю за то, что она поделилась воспоминаниями о своих родителях и позволила снять копии с дарственных надписей, сделанных Б. Л. Пастернаком.

*Мило, мило
Раисе Микадзе
любь ее жинოს
хорошо, хорошо.
Б. Пастернак
26. 11. 1946.*

Светлана Чернявская

¹ Ф. Шиллер. „Мария Стюарт“. Трагедия в пяти действиях. Перевод Б. Пастернака. Гос. издат. худож. литер. М. 1958 г.



О НЕСКОЛЬКИХ ДАРСТВЕННЫХ НАДПИСЯХ БОРИСА ПАСТЕРНАКА

В фондах Государственного музея грузинской литературы им. Г. Леонидзе, в отделе „Уникальная книга“, в архиве Тициана Табидзе хранятся книги с дарственными надписями Бориса Пастернака, адресованные Тициану и его жене Нине Александровне. Все они записаны под № 027030.

1. Борис Пастернак.

Поверх барьеров.

Г. И. X. Л. 1931.

Тициану
Табидзе
другу, поэту, поэтической
погоде наших
общих встреч, на па-
мять о его чтении
в Коджорах

Б. Пастернак

6. VIII. 31
ბავიშობი

„Тициану Табидзе другу, поэту, поэтической погоде наших общих встреч, на память о его чтении в Коджорах.

Б. Пастернак
6. VIII. 31
ბავიშობი“

2. Борис Пастернак.

На ранних поездах.

Новые стихотворения.

„Совет. писатель“. Москва. 1943.

„Ангелу Нине, бедному милому другу моему.

Б. Пастернак

15. VIII. 43. Москва“

3. Борис Пастернак.

Земной простор. Стихи.

„Совет. писатель“. Москва. 1945.

„Нине с пожеланием счастливого приезда в Тбилиси.

Мои лучшие чувства и пожелания везде с Вами всегда.

Б. П.

29 авг. 1947 г.“

4. Осенью 1948 г. Борис Леонидович посылает Нине Александровне машинописный экземпляр романа „Доктор Живаго“. Или „Картины полувекового обихода“.

В двух книгах. Книга первая.

Москва. 1948.

Рукой Б. Л. написано: „Экземпляр для Грузии.

В руки лучшего друга моего Нине Александровне Табидзе с пожеланием душевных сил и бодрости ей и достойных ее.

Б. Пастернак

5 сентября, 1948 г. Переделкино“

Этот экземпляр романа был послан в твердом коричневом переплете из дерматина, для передачи грузинским друзьям. В письме к Н. А. от 25 ноября 1948 г. Б. Л. объясняет что побудило его послать недописанный роман: „Дорогая Нина, не думайте, что это тщеславие или постоянная поглощенность самим собою, но вопрос помнят ли меня и судьба рукописи совершенно разные вещи. Если бы роман был уже напечатан, книжек этих было бы очень много и меня не интересовала бы участь каждой, я дарил бы их

близким людям для бережного их хранения. Но так как эта вещь не дописана и еще не может быть напечатана, а также потому что списков очень мало, три-четыре штуки, нельзя чтобы рукопись долго лежала без движения“.

5. *Вильям Шекспир*
в переводе Бориса Пастернака.

Гос. изд. „Искусство“. М.-Л. 1949.

На внутренней стороне обложки написано:
„Нине Александровне Табидзе, 16 авг.1949 г.

Дорогая Нина, это Вам на память о радости, которые доставляли нам Ваши приезды в Переделкино. Напечатанные тут работы предприняты отчасти под влиянием общего нашего горя. Оно отравило мне притягательность современных задач, затруднило печатанье и толкнуло на путь переводов, на котором я вознагражден и обогащен знакомством с этим величайшим англичанином. И у всего этого — таинственные и близкие Вам корни.

Эти книги Вам от Зины.

Ваш Б. П.“

6. Школьная библиотека.

Вильям Шекспир. Трагедии.

Гос. изд. Детской Л-ры Министерства просвещения РСФСР. М.-Л. 1951.

„Дорогая Ниночка, вот еще одно лето, благодаря богу, мы провели вместе, я еще жив и имел радость и счастье



Борис Пастернак

видеть Вас. До будущего лета, если это еще суждено нам!

Счастливого пути, легкой счастливой зимы Вам в Тбилиси, спокойной, без болезней.

Эту книгу отдаю в Ваше распоряжение. Подарите ее, кому Вам будет дорого и у кого будет время перечитать Шекспира.

Целую Вас. Ваш Б. П.

14 августа, 1952 г."

В книге записка, написанная поэтом Вл. Солоухиным и, видимо, вложенная Ниной Александровной: „Очень жалею, что не был лично знаком с великим грузинским поэтом Тицианом Табидзе. Счастлив, что знаком с его поэзией, с его землей, с его народом.

Вл. Солоухин"

На записке № музея „Дружба народов“ – №16780.

7. В архиве А. Машашвили¹ хранится автограф его письма к Б. Пастернаку, написанное на типографском бланке „Зам. начальника Главного Управления по делам литературы и издательства (Главлит)“. Бланк тридцатых годов, однако ни на нем, ни в конце письма даты нет (Архивный №26047-р).

„Многоуважаемый тов. Пастернак!

Факт, что Вы проделали громадную работу в деле ознакомления грузинской поэзией читательскими массами России. Вы и тов. Тихонов в своих переводах больше всего выявили грузинский символизм. Это не значит, что все наилучшее из грузинской поэзии у нас переведено. Потому, что грузинский символизм давно является прошлым этапом в грузинской литературе. Сейчас в Грузии ведущим явля-

¹ А. Машашвили (Алио Мирцхулава) (1903–1971) – поэт, редактор нескольких журналов. В 1938–1939 гг. был 1-ым секретарем (председателем) Союза писателей Грузии.

ется молодая пролетарская поэзия. Лучше символистов сейчас пишут последние поэты Грузии. Форма символистов давно является отстающим. Вообще они ничего нового не создавали. Вы с одной стороны очень хорошо делаете, что переводите грузинских поэтов, но с другой стороны неправильно, как будто грузинская поэзия только состоит из символистов. На это мы не обращали внимание, когда оно носило случайный характер, но когда оно переходит в принцип то должен возразить. Вы знаете или нет, что переводите поэзию второстепенных поэтов Грузии. А Тихонов иногда переводит и тех, которые в Грузии поэтами не считаются. А самая здоровая, мастерски сделанная поэзия уже в тени. Кто в этом виноват не знаю. Здесь, по моему, главную роль сыграли случайности, иногда переходящие в принцип.

Мы не требуем, чтобы вы переводили лучших мастеров грузинской поэзии. На это мы не имеем права. Но мы просили бы, чтобы Вы не рекомендовали русскому читателю второстепенных грузинских поэтов за первостепенных поэтов“.

В один из приездов в Тбилиси, Борис Леонидович встретился с Машашвили, между ними состоялся разговор, в конце которого Б. Л. подарил А. М. книгу своих стихов с дарственной надписью:

„Милому Алио Машашвили относительно которого я не раз надоедал Амаглобели насчет подстрочников, и перед которым виноват, что не дождавшись их, прервал свою работу переводчика.

Но мы хорошо поговорили сегодня, и эта надпись — память этой первой встречи. Желаю Вам счастья.

Б. Пастернак“

8. Борис Пастернак.

Стихотворения.

В одном томе.

Издат. писателей в Л-де.¹

Борис Леонидович, как правило, свои письма и дарственные надписи датирует, однако, на этот раз он не проставил даты, но что еще более удивительно: – на книге нет ни года издания, ни даже когда она была подписана к печати! Однако бесспорно, что письмо А. Машашвили было написано и встреча состоялась в тридцатые годы.

Светлана Чернявская

¹ Книга хранится в общей библиотеке музея.

იპოლიტე ვართაგავას არქივიდან

„ხარკი წარსულისა“

იპოლიტე ვართაგავას არქივში არის გამოუქვეყნებელი კრიტიკული წერილები, მოგონებები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ამ მასალის მნიშვნელობას ძირითადად წინააღმდეგობებითა და სამწუხარო კომპრომისებით აღსაფხვ დრო განსაზღვრავს.

ხარკი წარსულისა, ანუ ხარკი ეპოქის წინაშე, ბევრი მოღვაწისათვის შემდგომში თვითგვემისა და მონანიების მტკივნეულ პროცესად იქცა.

იპოლიტე ვართაგავას მრავალ საინტერესო პიროვნებასთან უხდებოდა ურთიერთობა, ნახა საზოგადოებრივი ცხოვრების კულისებიც და კულუარებიც, პოლიტიკურ თუ კულტურულ ფასეულობათა გადაფასებასაც მოესწრო.

არქივში აღმოჩნდა იპოლიტე ვართაგავას მოგონება გრიგოლ რობაქიძეზე, რომელიც 1962 წელს ყენევიდან საქართველოს მწერალთა კავშირის მისამართით, იპოლიტე ვართაგავას სახელზე გამოგზავნილი გრიგოლ რობაქიძის წერილის¹ პასუხადაც შეიძლება ჩაითვალოს: „გამახარა და ამასთან ამალეღვა კიდევ ერთ დროს ქართული სიმბოლისტური სკოლის აღიარებული ბელადის, უნიჭიერესი მწერლის გახსენებამ და მისმა გულთბილმა, გამამხნეველმა სიტყვებმა“. ბავშვურად აღფრთოვანებულმა უსინათლო, ღრმად მოხუცმა იპოლიტე ვართაგავამ თავის ქალიშვილ თინას დააწერინა, როგორც თვითონ უწოდებს, „საბოლოო აღსარება“. „ამ პაგარა წერილს ვერც კრიტიკულ განხილვას ვუწოდებ და ვერც მოგონებას, რადგან გრიგოლ რობაქიძესთან, ვისაც ეს ორიოდე თაბახი ეძღვნება, მე არავითარი მეგობრული ურთიერთობა არა მქონია“ – აღნიშნავდა მწერალი. მოგონება ძალზე ქაოსურია, ერთმანეთს ენაცვლება კრიტიკული, თუ პირადი წერილები, ბოლოს იპოლიტე ვართაგავა რობაქიძესთან გასაგზავნი წერილების ვარიანტებსაც გვთავაზობს. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ღელავს, ნერვიულობს, რომ არაფერი გამორჩეს, ბოლომდე თქვას სათქმელი: „ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, სხვა ქართველ სიმბოლისტებთან ერთად, მე კრიტიკულად ვაფასებდი ამ ორი ადამიანის² შემოქმედებას, დღეს კი იძულებული ვარ, ის ხარკი გადავიხადო წარსულისა, და უშუალოდ მათ წინაშე, რის გადახდასაც მე არასდროს არ ვაპირებდი“.

იპოლიტე ვართაგავას მოგონება ხანდამშული მწერლის აღსარებად იკითხება.

ნათო სვიდიშვილი

¹ წერილი გამოქვეყნდა „ლიტერატურის მატიანეში“, თბილისი, „მერანი“, 1992 წ. გვ. 155-156.

² საუბარია გერენგი ვრანელსა და გრიგოლ რობაქიძეზე.

მხოლოდ სულბრქელობის დასტური¹

გრიგოლ რობაქიძე

ამ პატარა წერილს ვერც კრიტიკულ განხილვას ვუწოდებ და ვერც მოგონებას, რადგან გრიგოლ რობაქიძესთან, ვისაც ეს ორიოდე თაბახი ეძღვნება, მე არავეთარი მეგობრული ურთიერთობა არა მქონია.

ამას თავისი გასაგები მიზეზები ჰქონდა. საქმე ისაა, რომ მე, როგორც კლასიკური ლიტერატურის გრადიციებზე აღზრდილს, რუსთაველის, გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, რუსული მწერლობის სახელოვან წარმომადგენელთა დიდ მეხოგბეს, ცხადია, არ მომწონდა ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედება, რომელთა ბელადადაც გრიგოლ რობაქიძე იყო აღიარებული.

ეს იყო 1916-იანი წლები, როდესაც მათ თავიანთი ლიტერატურული ორგანო „ცისფერი ყანწები“ დააარსეს, როდესაც ქართულ მწერლობაში მძლავრად გაისმოდა მათი ხმა.

თუ რა მწვავე ლიტერატურული პაექრობა მქონდა ქართველ სიმბოლისტებთან, მე ამის შესახებ დაწვრილებით ვსაუბრობ გერენტი გრანელისადმი მიძღვნილ მოგონებაში; ამიგომ ამ ამბის გახსენება აქ საჭიროდ აღარ მიმანჩია, გავიშორებ მხოლოდ იმას, რომ კრიტიკული სიგუაციები ჩემსა და თვით გრიგოლ რობაქიძეს შორისაც კი არსებობდა. მაგრამ მისგან არავეთარი საპასუხო წერილი არ მიმიღია არასოდეს...

მას შემდეგ ძალიან დიდმა ღრომ განვლო. მოხდა ლიტერატურულ ნაწარმოებთა გადაფასება. ბევრი იმდროინდელი მწერალი ან ცოცხალი აღარაა, ან ჩემსავით ღრმად მოხუცია, მე კი კარგა ხანია 90-ს გადავაბიჯე და საუკუნის ბოლო ათეულში გადავედი; კითხვა მიჭირს, მით უფრო წერა, რასაც მე, როგორც უსინათლო და ხელ-ჯოხს მინდობილი, ქალიშვილის – თინას დახმარებით ვასრულებდი და ვასრულებ დღესაც.

ახლა, ჩვეულებრივ, ჩემს სოფელ ბეინევეში (ჭიათურის რაიონი) ვიმყოფები და მთელ ღროს ლიტერატურულ საქმიანობას ვანდომებ; ძირითადად მოგონებებს ვწერ, იშვიათად კი – კრიტიკულ წერილებს ან გულახდილ, უკანასკნელ შეკითხვებზე ვპასუხობ.

ეს-ესაა საკმაოდ მოზრდილი მოგონება დავამთავრე გერენტი გრანელზე.

ახლა კი ვაპირებ პატარა წერილისა, თუ მოგონების დაწერას გრიგოლ რობაქიძის შესახებაც.

¹ ნაწევრები ამ წერილიდან იმ ვართავაგას მოყვანილი აქვს თავის სტატიამი „ნახევარი საუკუნის მერე“. ჟურნ. „კრიტიკა“, №4, 1988 წ. გვ. 106.

პირდაპირ საოცრებაა: ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, სხვა ქართველ სიმბოლისტებთან ერთად, მე კრიტიკულად ვაფასებდი ამ ორი ადამიანის შემოქმედებას, დღეს კი იძულებული ვარ, ის ხარკი გადავიხადო წარსულისა, და უშუალოდ მათ წინაშე, რის გადახდასაც მე არასდროს არ ვაპირებდი.

დაე, ეს იყოს ჩემი საბოლოო აღსარება გერენტი გრანელის ხსოვნისა და გრიგოლ რობაქიძის ჭაღარის საპატივცემოდ!

მე დღეს დიდ სიხარულს განვიცდი: თბილისიდან მივიღე ჩემი შვილიშვილის, ავთანდილ ვართაგავას მორიგი ბარათი, ჩვეულებრივ, მხოლოდ სისქესა და წონაში შედარებით დიდი.

თინამ გახსნა კონვერტი და ჩვენს თვალწინ შედგინა ორი წერილი გადაიშალა. პირველი მათგანი ავთანდილისა იყო. ის მწერდა წერილს და მიხსნიდა იმ გარემოების შესახებ, როგორ მიიღო ჩემმა ოჯახმა შორეული ქენევიდან გრიგოლ რობაქიძის წერილი, წერილი ლექსის საზომით იყო დაწერილი.

იგი საქართველოს მწერალთა კავშირის მისამართით, ჩემს სახელზე გამოეგზავნათ. გამახარა, დიდად გამახარა და ამასთან ამაღელვა კიდევ ერთ დროს ქართული სიმბოლისტური სკოლის აღიარებული ბელადის, უნიჭიერესი მწერლის ვახსენებამ და მისმა გულთბილმა, გამამხნეველმა სიტყვებმა.

მამინვე ჩემი შვილიშვილის სახელზე წერილი დავწერე და პირადი მოკითხვისა და კეთილი სურვილების მერე, სათქმელი ჩემი გრიგოლ რობაქიძის შესახებ, მოკლედ ასე მოვჭერი: „საინტერესო არის, რომ (ვწერდი ავთანდილს) „ციხფერყანწელებს“, რომლის აღიარებულ ბელადად გრიგოლ რობაქიძე ითვლებოდა, ვამხელდი კიდევ შეცდომებში, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსული და უცხოური ლიტერატურის გავლენით



იპოლიტე ვართაგავა
სლმ № 2671-ი

მათ – ქართველ მწერალთა ერთმა ჯგუფმა – შექმნა სიმბოლისტურ-დეკადენტური მიმართულების სკოლა და ელგარ პოს, მეტერლინკის, ბოლდერის, არტურ რემბოს, ბალმონტის, ბლოკისა და სხვათა და სხვათა შემოქმედების სოცია და კლასიკური ლიგერატურის გადაფასება დაისახეს მიზნად.

პირველ ხანებში მათ ემჩნეოდათ ფუტურისტების საგრძნობი გავლენა. მთავარი წყარო კი ამ მიმართულებისა, როგორც ვიცით, იყო ფრანგული სიმბოლიზმი, რომლის მამამთავარმა ბოლდერმა, ყველა მისი დამახინჯებული ნიშნებით, გადაიტანა წიგნში „ბოროტი ყვაილები“, იგივეს ვიგყოდით ვერლენზე და საერთოდ მათი მიმდევრების შესახებაც, ლიგერატურაში ესენი გამოდიოდნენ აბსურდულობის, კომშარებისა და ხელოვნურის ნიღბების აპოლოგიით.

პირველ ხანებში „ყანწელთა“ გამოსვლა წარმოადგენდა ერთგვარ „რევოლუციურ“ აქტს ლიგერატურული ფორმის სახით. ეს იყო თავისებური ნაკადი ლიგერატურის სინამდვილეში. გარდა სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი განზრახ ბუნდოვანებისა, სქემატურ და ხელოვნურ სიმბოლოების უთავბოლო შეჯგუფებისა, მათ ფორმალურ ძიებას დაუთმეს უპირველესი ადგილი.

სიმბოლიზმი მათ გადაიტანეს არა როგორც მეთოდი, არამედ, როგორც მიმართულება მთელი თავისი სიმძაფრით, არაქართული სახეებითა და ამროვნებით, ესთეტიკით, ლანდებით, ორეულებით, ქალაქის ჭუჭყიან აპოლოგიით, თვითმკვლევლობით, კულგით და ბოგემის აპოლოგიით. უკანასკნელ ხანებამდე მათ დიდი სურვილი ჰქონდათ ყოფილიყვნენ ქართული პოეზიისა და მწერლობის ავანგარდში, მისი გემის მიმცემნი, რის მისაღწევადაც მათ იხმარეს გარეგნული ხერხები, რაც გამოიხატებოდა თეორიულ ნარკვევებში, შექმნეს მანიფესტები.

ამის გამო, როგორც ეს შემოთ აღენიშნე, მე მათ ვერ ვეგუებოდი, ან ვერ ვუგებდი და ამისათვის მწარედ ვაკრიტიკებდი.

გრიგოლ რობაქიძესთან ამ ნიადაგზე მწვავე პოლემიკა მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა სიკეთესთან ის ორაგორული ნიჭითაც იყო დაჯილდოებული, მწერლურ ნიჭსა და უნარზე რომ არაფერი ვთქვათ, ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ლიგერატურულ და მთარგმნელობით ხელოვნებასთან ერთად, ფილოსოფიაც ძალზე ხელეწიფებოდა. ამიგომ იყო, რომ 1903–1930 წლებში, როცა ის გერმანიიდან საქართველოში დაბრუნდა, გაგაცებით შეუღბა ლექციების კითხვას ძირითადათ ლიგერატურის და ფილოსოფიის საინტერესო საკითხებზე კი, რასაც ქუთაისისა და თბილისის იმდროინდელი

მოწინავე საზოგადოებრიობა დიდი გაგაცებით უსმენდა. ლექციებს ის ქართულ ენაზე კითხულობდა, მხოლოდ, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური ენები რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო იკრძალებოდა და ლექციების კითხვაც ამ მიზეზით მხოლოდ რუსულ ენაზე იყო დართული.

ეს პროცესი ისეთი ძალით ვითარდებოდა, რომ დიდი ილია და აკაკი იძულებული იყვნენ ხმა აემაღლებიათ ქართული ენის უფლებათა დაცვის გამო.

ქართული ენა იმ დროს მხოლოდ მოსახლეობაში, თეატრის სცენაზე და პრესის ან ჟურნალის ფურცლებზე ცოცხლობდა – სხვა მხრივ ის აკრძალული იყო.

აი, ასეთ ვითარებაში გამოჩნდა გრიგოლ რობაქიძე სარბიელზე და დაიწყო ლექციების საქართველოში კითხვა, ისეთი, რომლის მსგავსი მანამდის არავის არ მოუსმენია.

1908 წ. ქართველი საზოგადოებრიობა ქუთაისში აკაკის ლიგერაგურული მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავად ემზადებოდა, მოხსენება გრიგოლ რობაქიძეს დაევადა, მაგრამ გუბერნატორმა არ დართო ნება მოხსენების ქართულ ენაზე წაკითხვისა. ცნობილი გენერლის, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის გიორგი ყაზბეგის ჩარევით, რობაქიძემ მოხსენება ქართულად გააკეთა და... მერე როგორ, ქართველი საზოგადოება ერთმანეთს ულოცავდა „ამომავალი მზის“ (ეს მისი სიტყვებია) გამოჩენას საქართველოში... თვითონ აკაკიმ კი, რობაქიძის ლამაზი სიტყვების მერე, მშვიდად წარმოთქვა: „აწ განმიგევე, მე უფალო, მე მონა შენი“.

ეს გააკეთა უბრალო ჩხარელი გლეხის შვილმა, რომელიც თავისი დიდი ნიჭიერების გამო უცხოეთში იქნა გაგზავნილი გასული საუკუნის ბოლოს, როგორც ჭიათურის შავი ქვის მარგანერწვევლთა საბჭოს სტიპენდიანტი. მან ეს ნდობა პირნათლად გაამართლა.

გრიგოლ რობაქიძე იყო საქართველოს მოწამებრივი მოყვარე, ქართული გენია, ქართული ენა მისთვის ყველაფერი იყო. ის იყო სამუქლო განის, მუდამ ელეგანტურად ჩაცმული, ღინჯი, მშვიდი და არაჩვეულებრივი მოლაპარაკე, გაგონილი მქონდა, რომ სიტყვაში გამოსვლის წინ ის დღეების მანძილზე სახლში იკეცებოდა და სარკის წინ ავარჯიშებდა და აყალიბებდა ხმას, მოძრაობას...

როდესაც 1930 წელს სანდრო ახმეტელის რეჟისორობით რობაქიძის ცნობილი „ლამარა“ დაიდგა, ეს იყო ქართული მწერლობის, თეატრისა და ხელოვნების ნამდვილი ზეიმი, ხოლო, როდესაც ამავე პიესამ თბილისიდან მოსკოვის თეატრის სცენაზე გადაინაცვლა, ნიუ-იორკის თეატრის

„ვასსარი“-ს ღირუქტორმა სანდრო ახმეტელის მისამართით გამოგზავნილ წერილში აღნიშნა: „ლამარა“ მე მომეჩვენა სრულიად არაჩვეულებრივ წარმოდგენად. მუსიკა, ცეკვა, მსახიობის მოქმედება გადახლართულია ცოცხალ პარმონიაში სცენის ფონზე, რომელიც წარმოადგენს ერთსა და იმავე დროს მხატვრობასაც და გაბედულ არქიტექტურასაც“.

თვითონ რობაქიძეს გამორჩეულად უყვარდა ეს პიესა თავის დრამატულ და პროზაულ ქმნილებათა შორის და იცყოდა ხოლმე: „მართალია მე აღარ ვიქნები ოდესმე, მაგრამ „ლამარა“ მაინც იქნებაო“.

მეც არაერთხელ დავსწრებივარ ამ პიესის წარმოდგენას სანდრო ახმეტელის დადგმით და თეატრიდან ყოველთვის დამშვიდებული და სულიერად განწმენდილი გამოვდიოდი...

მის ლექსებს კი, როგორც წესი, ყოველთვის ვაკრიტიკებდი, არ ვეთანხმებოდი აგრეთვე მისი პროზაული ქმნილებების ფორმებს, არსს, რადგან ისინი იყვნენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურის ერთგვარი სინთეზი, რის გამოც, ჩემს გარდა, მას მოწინააღმდეგეები სხვაც ჰყავდა და ხშირად სამართლიანადაც აკრიტიკებდნენ კიდევ.

მე გრიგოლ რობაქიძეს მხოლოდ ქუჩაში თუ ვხვდებოდი და თავის დაკვირვებით ვესალმებოდი, ეს იყო და ეს. მან კარგად იცოდა, რომ მას ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდი. და აი, ასეთი ადამიანი ათეული წლობით სამშობლო მიწას მოწყვეტილი და გადახვეწილი, იჩენს მისაბამ ობიექტურობას, სულგრძელობას და მის მოპაექრეს შორიდან მესაუბრება, მაქებს და მაღიღებს, დიდი სიყვარულით და სიმპაგიით ხანგრძლივ სიცოცხლესა და ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას მისურვებს.

ეს მხოლოდ მაღალი კულტურისა და მწიგნობის მქონე ადამიანის თვისებაა...

აი, ეს არის ჩემი დაგვიანებული პასუხი შენი და შენი გყუპი ძმის – გარიელის პასუხებზე, რომელთაც თქვენ მე მაძლევდით ხოლმე მოწაფეობის წლებში ბუხრის ცეცხლის შუქზე გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ კითხვის დროს.

თქვენ მაშინ შედარებით პაგარები იყავით და მეც მოკლედ, შესაფერისად გასუსობდით ხოლმე, როგორც გრ. რობაქიძის, ისე „ცისფერ-ყანწელთა“ და თვით... სგალინის შესახებაც კი.

მე ეს ძალიან კარგად მახსოვს.

ახლა თქვენ დიდები ხართ და მე უკვე შემოძლია, ყველაფერი გულახდილად გითხრა, მით უფრო დღეს, როდესაც ექნევიდან გამოგზავნილმა გრიგოლ რობაქიძის წერილმა ასე გაახარა მთელი ჩვენი ოჯახი.

ძვირფასო ჩემო ავთო!

როგორც მოსალოდნელი იყო, შენი გამჭვრიახი გონებით, შეგიმოწმებ-
შეგიფასებია მნიშვნელობა გრიგოლ რობაქიძის წერილისა და ბაბუაშენის
სახელისა და ავტორიტეტისათვის, მაშინვე შედგომიხარ მისი შინაარსის
გახმაურებას. კარგად მოქცეულხარ, რომ წერილი მიგიტანია „მნათობის“
რედაქციაში. იქაურებს ესამოვნებოდათ, რასაკვირველია, წერილში
„მნათობის“ ხსენება და ჩემი მოგონებების დასახელება, „დროშაშიც“
შეგიტანია. ესეც მიზანშეწონილია. როგორც იწერები, წერილს სენსაცია
მოუხდენია. გასაგებიც არის. მისი ავტორი გრ. რობაქიძე მთელ საქართვე-
ლოში ცნობილი იყო და უცხოეთში გადახვეწილი გაცხოველებით თვალ-
ყურს ადევნებდა თურმე მშობლიურ მწერლობას და საკუთარი ამრ-
შეხედულება აქვს შედგენილი მისი დიდი და პაგარა შეილების შესახებ.
აი, ყველაფერი ის, რისი მოწერაც მე მინდოდა.

*შენი ბაბუა იპ. ვართაგავა
20 ივნისი, 1962 წელი
სოფ. ბენევი“*

როგორც ჩემს შვილიშვილთან, ისე გრიგოლ რობაქიძესთან გასაგ-
ზავნი წერილები მე და ჩემმა ქალიშვილმა – თინამ, რა თქმა უნდა,
ვარიანტებად შევადგინეთ. ერთი პაგარა წერილი ჩემს შვილიშვილს,
ავთანდილს თბილისში ფოსკით გაუგზავნეთ, ხოლო მეორე ვარიანტი
ამ მოგად, გრიგოლისადმი მიძღვნილ წერილში შევიტანეთ უფრო
გავრცელებული სახით.

ახლა მკითხველს გავაცნობთ თავად გრიგოლ რობაქიძის მიერ
ჩემდამი გამოგზავნილი წერილის შინაარსს:

„პატივცემულო ბატონო იპოლიტე! გულმხურვალე სალამი შორე-
თიდგან! გავიგე: 90 წელი შეგსრულებიათ. გავიგე „ლიტერატურული
გაზეთი“-თგან, საცა თქვენზე წერილია მოთავსებული და თანაც თქვენი
სურათი. წერილი ძალიან მხვედრია, ვაკვირდები სურათს: დამშვენებულ-
ხართ მოხუცებულობაში. გიყნობდით ვითარ ფესვებმაგარ დიდ მუხას,
ქართულს – მძლავრად გაშლილი მკლავებით გარემოს რომ ემთავრება.
გეცყობათ, სურათზე გეცყობათ: ჯერ კიდევ ფესვებმაგარი ჩანხართ. 100
წლამდე უნდა იცოცხლოთ! „უნდა“ აქ, „მინდა“-ს ნიშნავს. მჯერა კიდევ:
გასძლებთ მანამდე. მერე კი ბიბლიურათ გადახვალთ ამ წუთისოფლითგან
სამარადისოში. დიდი ინტერესით და გულდასმით ვკითხულობთ თქვენს
მოგონებებს „მნათობ“-ში. ბევრი რამ გაგიკეთებიათ მშობლიურ ლიტე-

რაგურაში! აქა-იქ გყუილად იმდაბლებთ თავს. იყავით მხნედ! მარჯი
საქართველოს!

თქვენი პატივისცემული გრიგოლ რობაქიძე
1. 5. 1962

გენეა

გრიგოლ რობაქიძესთან გასაგზავნი წერილის ვარიანტები ასეთია,
პირველი:

დიდად პატივეულ გრიგოლ!

ულრმესი მადლობა მოლოცვისა და ხსოვნისათვის, მე და თქვენ,
როგორც „ისფერყანწელების“ ბელადი, ლიგურატურის და ხელოვნების
ზოგიერთ საკითხზე მოწინააღმდეგე აზრ-შეხედულებას ვიზიარებდით. ამ
ნიადაგზე ჩვენ შორის კამათიც წარმოებდა გაზ. „საქართველოს“ ფურ-
ცლებზე. ამიგომ თქვენს მოლოცვას მე ვთვლი სულგრძელობის და ობი-
ექტურობის ნიმუშად. იცოცხლეთ თქვენც იმდენ ხანს, რამდენსაც მე სი-
ცოცხლეს მისურვებთ.

პატივისცემით ი.პ. ვართაგაეა
1962 წ. ივნისი, სოფ. ბენიევი

მეორე ვარიანტი:

დიდად პატივეულ გრიგოლ!

ულრმესი მადლობა ხსოვნისა და მოლოცვისათვის! გისურვებთ თქვენც
იმდენი წლის სიცოცხლეს, რამდენსაც მე მისურვებთ!

პატივისცემით ი.პ. ვართაგაეა

და მესამე:

დიდად პატივეულ გრიგოლ!

მივიღე თქვენი წერილი. მადლობას ვიძღვრებთ მოლოცვისათვის,
ხსოვნისა და დაფასებისათვის. კარგად მახსოვხარო. თქვენც გისურვებთ
ბიბლიურ მათუსალობას.

პატივისცემით ი.პ. ვართაგაეა

თუ როდის გავაგზავნი გრიგოლ რობაქიძესთან ამ წერილებიდან
ერთ-ერთს, ამის შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერი ვიცი. ამის მიზეზი
გახლავთ ის რთული მდგომარეობა, რაც გრიგოლის პიროვნების მიმართ
არსებობს...

ასეა თუ ისე, ქალაქ ქენევიდან გამოგზავნილ წერილს მე იმთავითვე ვუპასუხე „სოფელ ქენევიდან“, ანუ უფრო სწორად – ბჟინევიდან, რომელსაც ამ სოფლის მკვიდრნი ხუმრობით, ჩვეულებრივ „ქენევეას“ ეძახიან...

აი, ყველაფერი ის, რაც გრიგოლ რობაქიძის წერილის მიღებასთან დაკავშირებით მინდოდა მეთქვა.

დანარჩენი ჩემმა შვილიშვილებმა თქვან: ისინი ხომ ახლო არიან მხაგვართან, მთარგმნელთან და მოგონებათა ავტორთან – ლაღო ჯაფარიძესთან, ვინც წლების მანძილზე მეგობრობდა გრიგოლ რობაქიძეს და ბევრი რამ იცის მის შესახებ. ლაღოს ოჯახში ჩემმა შვილიშვილებმა გაიყვნეს გრიგოლ რობაქიძის და – ლიდა რობაქიძე, რომელიც პოეტის შესახებ უამრავ ცხოვრებისეულს უამბობს მათ, გარდა ამისა, შეჰპირდა თურმე, რომ ევროპიდან გამოგზავნილ ძმის წერილებს წაგაკითხებთ და, რაც დაგაინტერესებთ, ამოიწერეთო...

მე კი კმაყოფილი და სიხარულით აღვსილი ვამთავრებ ამ წერილს.

*იპოლიტე ვართაგავა
1962 წ. ივნისი, სოფ. ბჟინევი*

ვახტანგ კობახიშვილის „უოლგ უიგმენი“

(ტექსტის შემოქმედებითი ისტორია)

ლიტერატურის მუშეუძის ხელნაწერთა
ფონდში დაცულ ვახტანგ
კოტეგიშვილის არქივში, მისი
ერთ-ერთი წერილის „უოლგ უიგმენის“ –
ჩასწორებული დედანი აღმოჩნდა.

გასაბჭოების პირველსავე წელს ახალგაზრდა ლიტერატორმა ვახტანგ კოტეგიშვილმა ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის იმხანად სრულიად უცნობ ავტორზე, ამერიკელ პოეტ უოლგ უიგმენზე მცირე გამოკვლევა გამოაქვეყნა. „...უოლგ უიგმენი უცხო სტუმარია არა მარტო ქართულ პოეზიაში, თვით ევროპაშიაც...“ – წერდა ათიოდე წლის შემდეგ კ. გამსახურდია, – თავადაც უიგმენის ერთ-ერთი პირველი პოპულარიზატორთაგანი. – „...ევროპა დღემდის ორ დიდ ამერიკელს იცნობდა კარგად: ედგარ პოს, პოეგს, ნოველისგს... და რაღვ ვალლი ემერსონს – ფილოსოფოსს, კარლაილის დიდ მოწაფეს...“ თუმცა, იქვე დასძენდა: „...ეს დიდი უგრადიციო პოეტი დღეს გაცილებით მეტ გავლენას ახდენს კულტურული ადამიანის ფანტაზიაზე, მის პოეტურ ემოციებზე, ვიდრე ვერჰარნი, არნო პოლცი ან სხვა რომელიმე თანამედროვე ევროპელი პოეტი ე. წ. დემოკრატიული ბანაკიდან...“

ვახტანგ კოტეგიშვილის „უოლგ უიგმენი“ ითვალისწინებს „ბალახის ფოთლების“ (1855 წ.) ავტორის სახელთან დაკავშირებულ ამ რეალობას და შემოჰყავს რა 20-იანი წლების ქართული მწერლობის კონტექსტში ისეთი რანგის შემოქმედი, როგორც უიგმენი იყო, დიდ სამსახურს უწევს კიდევ მას. თუმცა წერილი უფრო ფართო მიზნებსაც ისახავს: უპირველესად დიდი ამერიკელის პოეზიის მკითხველამდე მიგვარად მიგანას, რომ ცალსახად არ იქნას აღქმული ის, რაც არც „უნაპირო დემოკრატიზმის“ ილუსტრაციაა და, მით უფრო, არც ფანტაზიამდე მისული ნგრევისა და ერთგვარი სოციალური სიშმაგის ქადაგება. ეს უარგახო, უჯებირო პოეზია უფროა, რომლის ცენტრში ყოველგვარ ყოფით პირობითობაზე ამბლებული შინაგანად თავისუფალი, უმაღლეს პარმონიას მოწყურებული ადამიანი ღვას. ალბათ, თვით უიგმენი, რომელიც საკუთარ ლირიკულ მონოლოგებს ასე ახასიათებდა: „...მეგობარო, ეს არ არის წიგნი, ხელი ახლე და კაცს შეეხები...“

სოციალური ჩაგვრისაგან ახლად გათავისუფლებულ ქვეყანაში, როგორც იღვაში საბჭოთა საქართველო უნდა ყოფილიყო, უიგმენზე უკეთ განა ბუერი შემოქმედი შეძლებდა ფართო მკითხველამდე მიეგანა

თავისუფალი, ღირსეული ცხოვრების აუცილებლობის შეგრძნება. თანაც თუ ამას დაერთვოდა ღრმა პროფესიონალიზმით აღბეჭდილი ვახტანგ კოტეგიშვილისეული წერის მეტყველი ესეისტური მანერა.

ასეთი წერილი უიგმენზე მართლაც შეიქმნა, მაგრამ დღის სინათლეზე გამოვიდა ჯერ 1921 წელს, ხოლო შემდეგ 1967 წელს, მისი მკრთალი ანაბეჭდი, მეტიც, დედანს ძალზე დამორებული ვარიანტი.

ვახტანგ კოტეგიშვილის ხელით გადაწერილ გექსტს, ვრცელი სათაურით „ქუჩის გეროლდი – უოლგ უიგმენი“, დამოუკიდებელი, ღრმა აზროვნების ბეჭედი ამის. ყოველი ფრაზის მიღმა ავტორი შეიცნობა: ის, თუ რა უმთავრესი მახასიათებლებით წარმოაჩენს ვახტანგ კოტეგიშვილი XX საუკუნეს, რაგომ ნათლავს კოსმიურ ფენომენად უიგმენისეულ მიმართებას დემოკრატიასთან, როგორ რიგდება ამერიკელის პოეტურ აზროვნებაში, ისევე როგორც კანგის ფილოსოფიაში, ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის გაგება, რა პარამეტრებით ხასიათდება ჭეშმარიტი თავისუფლება და ა. შ.

ნაბეჭდ გექსტში არა თუ ამოღებულია იმხანად იდეალისტური აზროვნების გამოვლინებად მიჩნეული მსგავსი „გადახრები“, არამედ დანგრეულია წერილის მთელი სტრუქტურა; და უნდობლად არის გაუბრალოებული ავტორის აზროვნების სისტემა, წაშლილია ორიგინალობის, არაორდინალურობის ნიშანიც კი.

გაუგებარია, ვინ იბრუნა გექსტის ასე ბარბაროსულად ჩასწორებაზე, ეს „დამუშავება“ – ხეების უმოწყალოდ ჩეხვას უფრო ჰგავს... ნუთუ სახელმწიფო გამოცემლობას 1921 წელსვე უკვე ჰყავდა ასეთი მიზანმიმართული ცენზურა?! – ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლი არ არის.

სამაგიეროდ, რაოდენ უადვილებს მკითხველს ლიტერატურის მუზეუმის არქივში დაცული ავტორისეული გექსტი იმ განწყობილების შეგრძნებას, რითაც შეხვდა 1921 წლის თებერვლის მოვლენებს ლიბერალურად განწყობილი ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელსაც მე-11 არმიის კვალდაკვალ მოსული ახალი დროება თანასწორობის, ძმობისა და თავისუფლების იდეების განმახორციელებლად ესახებოდა. ვახტანგ კოტეგიშვილიც, მაშინ სოციალ-ფედერალისტური პარტიის მთავარი კომიტეტის ყოფილი წევრი, ამ პარტიის დაშლისთანავე შ. ნუკუბიძესთან ერთად მის მემარცხენე ფრთას უკავშირდება.

იყო თუ არა ეს იმ მიზნების რეალიზების საშუალება, რაც ერთგვარი აღქმის ფიცის სახით გაცხადდა 1915 წელს ვაჟა-ფშაველას დასაფლავებაზე წარმოთქმულ სამგლოვიარო სიტყვაში, რომლის მიხედვითაც ვახტანგ კოტეგიშვილი თავის თავს იმ ახალ თაობას მიაკუთვნებს, რომელსაც ვაჟასა და განსაკუთრებით ილიას ეროვნულ-დემოკრატიულ იდეებზე უნდა

აეგო ახალი საქართველოს საძირკველი. ცხადია, არა. ეს მხოლოდ 1921 წლის 25 თებერვალს მომხდარის რეალისტური აღქმის მცდელობა იყო. რამდენად წარმატებული იყო ამგვარი მცდელობა და რამდენად შეეძლოთ ერთმანეთისთვის გაეგოთ „წითელი ეშმის“ შესვეურებასა და სოციალისტური პროგრესის ხელის შემშლელ ძალად ქცეულ პატივსაცემებს, უიგმენზე შექმნილი წერილის ბუდეც მოწმობს.

მოვიხსნოთ ორიოდე მაგალითი:

ხელნაწერი

ქუჩის გეროლდი – უოტ უიგმენი

კაცობრიობის ისტორიაში იშვიათად ყოფილა ისეთი დამგვრეული საუკუნე, როგორც მეცხრამეტე. თუ კაცობრიობის აზრი დაქსაქსულა ოდესმე ძალიან, ეს XIX ს-ში მოხდა. ღირებულებათა საგანური მსხვერვა ხომ გენიალურად სწარმოებდა. შგირნერი და ნიცშე – ამ საუკუნის ავი გენიოსები ყველაფერს ამბობენ. თუ საუკუნის შედარება შეიძლება, XIX ს-ე პანაშვილსა ჰგავს. კაცობრიობის ისტორიას XVIII ს-ში წირვა გამოუვიდა. საფრანგეთის რევოლუციამ გამოსათხოვარი საღაუგი მისცა წარსულს. ხოლო XIX-ე, როგორც პანაშვიდი აივსო კივილით. ძველი ცხოვრების გულშემატკივარი, ზოგი აბსოლუტურ სკეპტიციზმს მიეცა, ზოგი ზერელე ფილოსოფიას გადაჰყვა. ნაწილი ახალ განცდათა შემოწოლამ აითრია, და მეგად მცირე ნაწილმა გამოიარა ბოლომდე. ამ უკანასკნელთ შორისაც გარჩევა იყო. ერთნი მოჰყენენ ბოლომდე შურის საძიებლად, როგორც ბარბე დ'ორევილიამი, ეს გარდასულის კარის კაცი, ძველ და აბუჩად აგდებულ იდეათა ვეზირი; მეორენი კი – როგორც ერთგული მესაფლავენი და დიდი გათენების წინამორბედნი. ამ უკანასკნელთ შორის ყველაზე საოცარი და თავისი სტიქიით საშინელი უოტ უიგმენი იყო.

საგამომცემლო ტექსტი

უოლტ უიგმენი

XIX ს. კაცობრიობის ისტორიაში მეტად ღირსსაცნობ ზანას წარმოადგენს. ამ საუკუნეში უმაღლეს მწვერვალს მიაღწია იმ ცხოვრებამ, რომელსაც მეთაურობდა ძველ ჩვეულებებზე ნაზარდი უკანასკნელი თაობა და ამ მწვერვალს იქით კი იყო მოქანებული დადმართი, რომელზედაც მეოცე საუკუნეში ეშვება ძველი მემკვიდრეობის ნაბოლარა მკველთა რაზმი. ეშვება ჩქარი ნაბიჯით, რომ დავიწყების ზეობაში აღარ ისმოდეს მათი ბრძანება, მათ სანაცვლოდ კი

დიდების მთაზე, თუმცა ტანჯვით, მაგრამ მაგარი მუხლით და მაღალი იმედით მიემართება ახალი ძალა, რომელიც სულ მალე დაარჭობს კაცობრიობის ტანჯვის მყინვარზე თავისუფლების თამამ ბაირაღს. ეს ძალთა ისტორიული შერჩევა თუ შებრძოლება მარტო ყოველდღიურ ცხოვრებას კი არ დააჩნდა. არა, ეს განიცადა მუდმივი ცხოვრების ყოველმა შტომ და ყველაზე ძლიერ კი ხელოვნებამ, სადაც ვრძობიერობაზეა საუბარი, იქ, რასაკვირველია, მწერლებს, და საერთოდ, ხელოვნებას უნდა დაუთმოთ პირველი ადგილი. განსაკუთრებით მწერლობას დაეტყო იგი და თუ გვინდა ამ დიდი მოვლენის გაგება, უსათუოდ იმ ხნის ლიტერატურას უნდა მივმართოთ. და დაეტყო ორ-ჯოხით ისევე, როგორც ორი იყო შებრძოლი ძალა. მწერლობა ისეთი მოვლენა კი არ არის, განყენებული, რომ მასში ვერ პოულობდეს გამოძახილს ცხოვრების ხმა. პირიქით, ყველაზე მკაფიოდ ეს ხმა აქ ისმის და ამ ხმათა მიხედვით დანაწილდა შემოქმედებაც. და დღეს ორი სახის მწერლობა ძვეს ჩვენ წინ: ერთი უილაჯო რომანტიკოსები, ძველ ცხოვრებას რომ მისტიროდნენ და მისტირიან კიდევ, სასახლეში თბილად ნაზარდი „არისტოკრატები“; რომელნიც ფიქრითაც კი ვერ შერიდებიან „მომავალ მონობას“ ან უფრო უარესად რომ ამბობენ „მომავალ ზღბს“, რა სახელებითაც მუშათა გამარჯვებას ნათლავენ და მეორენი – იმედიანი წინასწარმეტყველნი, ახალ ცხოვრებას რომ უყვიან და ზღაპრულ ორფეოსივით მშრომელთა მებრძოლ მწერლებს რომ ალაგ ზნებენ და უღვივებენ წინსვლის უნარს. ამ მებრძოლ მწერალთა მანაკი მკირეა, მაგრამ მით უფრო დიდია მათი ღირსება და მნიშვნელობა. მათ შორის ერთი პირველთაგანია უიტმენი...

ძნელი ამოსაცნობი არ არის, თუ საით მიაქანებს საგამომცემლო გეჟსტის ავტორს „მაგარი მუხლი“ და „კაცობრიობის ტანჯვის მყინვარზე თავისუფლების თამამ ბაირაღის დარჭობის“ იმედი. წერილის პირველივე სტრიქონებში ყველაფერია გაკეთებული ვახგანგ კოტეგიშვილის თავდაპირველ შეხედულებათა, მოსაზრებათა გასაქარწყლებლად, ანუ იმის პრაქტიკულად გასახორციელებლად, რის დეკლარირებასაც ასე მიეღგვის ჩვენი ანონიმი ავტორი: „...მწერლობა ისეთი მოვლენა კი არ არის განყენებული, რომ მასში ვერ პოულობდეს გამოძახილს ცხოვრების ხმა. პირიქით, ყველაზე მკაფიოდ ეს ხმა აქ ისმის და ამ ხმათა მიხედვით დანაწილდა შემოქმედებაც...“ და ა. შ.

სანაცვლოდ, უკუღებებელყოფილია (ანუ უბრალოდ, ამოღებულია) იმგვარი მოსაზრება, რაც საუფშველშივე ეწინააღმდეგება მწერლობის, საერთოდ შემოქმედებითი პროცესის, გენდენციური თვალთახედვით გააზრებას: „...მწერლის შეფასება გრაფარეგებით არ შეიძლება. შემოქმედება კლიშე არ არის. საკუთარი გაგება კი არ უნდა ჩასლო შესაფასებელ მოვლენაში, არამედ თვით ამ მოვლენის ანალიზიდან უნდა გამოირჩეს გაგება...“ თქმა არ უნდა, ეს აზრი უთუოდ კოტეგიშვილისეულია, რასაც

ადასკურებს კიდევ ხელნაწერისა და საგამომცემლო ტექსტის ურთიერთშედარება.

აგომის – ნაწილად მონათელა, კოსმოსის – მსოფლიოდ, კანგის, ვაგნერის, მათ შორის, ამ თვალთახედვით უწყინარი როდენის სახეების ამოღება, ყოველგვარი შინაგანი სახის „ფანგომებისა“ და „ლანდისაგან“ ტექსტის სრული „გაწმენდა“ ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ერთიანობის კანტისეული მოძღვრების უიგმენის შემოქმედებით მრწამსთან მისადაგების გაქარწყლება, აბზაცების, მოგან მთელი პასაჟების მოკლე შინაარსთა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ყაიდაზე გადმოცემა, ცხადია, ერთ უმთავრეს მიზანს ემსახურება: დააცილოს „რედაქტირებული“ ტექსტი დედანს იმდენად, რომ დაიკარგოს დედააზრი და ის უმთავრესი მიზეზი, რამაც ავტორს ხელში კალამი ააღებინა, ბიძგი მისცა გარკვეული რაკურსით დაენახა პრობლემა, გაეაზრებინა იმდროინდელ, საკმაოდ რთულ ვითარებაში ლიგერატურის, გნებავთ, ლიგერატურათმცოდნეობის დანიშნულება, დაესახა, თუნდაც საკუთრივ თავისთვის, მისი განვითარების მართებული და პატიოსანი გზა. ყოველივე ამის საწინააღმდეგო მომავალ თაობებს შემორჩათ გაურკვეველი მიზნით დაწერილი უძარღვო, უპათოსო ლიგერატურული წერილი, რომელიც უფრო „ადვილად გასაგანი კონაექტურის“ ყალიბში ჩამოასხეს და ნაკლებად ესადაგება ვახტანგ კოტეგიშვილის სახელს.

ვგონებ, დროა უფრო გონივრულად იქნეს გამოყენებული თავის დროზე ვახტანგ კოტეგიშვილის არქივის მუზეუმში დაუნჯების ფაქტი (1977 წ. რაც, სხვათაშორის, ქ-ნ იზა ორჯონიკიძის დაქინებული თხოვნით გახდა შესაძლებელი და ამ ფაქტს არ აღვნიშნავდით, რომ ქ-ნ იზას ასეთ დაქინებას განადგურებისაგან არ ეხსნა ეს არქივი – ცნობილია, რომ არქივის წამოღებიდან სულ მოკლე ხანში კოტეგიშვილების სახლს ხანძარი გაუჩნდა, ცეცხლმა შთანთქა ვახტანგ კოტეგიშვილისა და მისი მეუღლის პირადი მიმოწერა!) და ხელმეორედ, ახლა უკვე ხელნაწერთა მონაცემებზე დაყრდნობით, განხორციელდეს მემორიალური გამოცემა, რომელიც არა მარტო უიგმენის შესახებ შექმნილი წერილის დედანს გაგვაცნობს, არამედ განახლებულ წარმოდგენას შეგვიქმნის ვახტანგ კოტეგიშვილის ლიგერატურულ ღვაწლზე. ღვაწლმოსილი ადამიანისაკენ თანამედროვეთა მიბრუნება კი, უეჭველია, კეთილად წაადგება ერთგვარად დროის ჩრდილში მოქცეულ მის სახელსაც და დაინგერესებულ საზოგადოებასაც – ალბათ, დროა უკეთ გავიამართო „ჭეშმარიტი ლიგერატურული ინგერესიცია“ და ლიგერატურულ საქმიანობაში პროფესიონალიზმის მნიშვნელობაც.

ნონა კუპრეიშვილი



არჩილ სულაკაური

წიგნის მოყვარულთ კარგად ახსოვთ თუ რა მოუთმენლად ელოდნენ პოეზიის მოგროვილები „ქართული პოეზიის“ თითოეული ტომის გამოჩენას, რომლის გამოცემა 1979 წლიდან დაიწყო.

„ქართული პოეზია“ თავიდან თხუთმეტ ტომად უნდა გამოსულიყო, ორი ტომი მას მოგვიანებით დაემატა, ერთში ქალაქური ანუ თბილისური პოეზია შევიდა, მეორეში – ხალხური.

ჩვიდმეტობოძეულში შესულია ქართული პოეზიის ნიმუშები დასაბამიდან ღღემდე.

„ქართული პოეზიის“ გამოცემის იდეა ეკუთვნის არჩილ სულაკაურს, მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით ჩაუყარა საფუძველი, როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავდა, ამ „ეროვნულ და სამშვილიშვილო საქმეს“.

გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ არჩილ სულაკაურის არქივში ვხვდებით ჩანაწერს, რომელიც ამ საკითხს ეხება. აი, ისიც:

„ჩემთვის ვისმე რომ უკითხა, ოცნება თუ აგზდენიაო, ღიას, ამხდენიაო.

ან უფრო მუსკად: ერთი სტუდენტობის დროინდელი ოცნება მე თვითონ ავიხიინე-მეთქი, დაუფიქრებლად ვუპასუხებდი.

ფილოლოგიის ფაკულტეტის ერთ-ერთი ძირითადი საგანი იყო ქართული ლიტერატურის ისტორია, რომელსაც წლების მანძილზე გვასწავლიდნენ, გვიკითხავდნენ ლექციებს, გვიგარებდნენ სემინარებს. ბუჯითი და მუყაითი სტუდენტი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ქართული ლიტერატურა სტუდენტობამდე, სტუდენტობისას და შემდეგაც მიყვარდა და მაინტერესებდა.

ვიცილი ის, რასაც ქრესტომაგიებით გვასწავლიდნენ, როცა მოვინდომე ჩვენი მრავალსაუკუნოვანი პოეზია უფრო ღრმად და ყოელისმომცველად შემესწავლა, თითქმის დაუძლეველი დილემის წინაშე აღმოვჩნდი. წიგნებს ვერ ვშოულობდი. ან საჯაროში, ან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში უნდა ვმჯდარიყავი და მეკითხა დაფურცლული, მოგჯერ გვერდებმოხეული, ძველისძველი წიგნები. მართალი რომ ვთქვა, პოეზიის კითხვა ბიბლიოთეკის მაგიდასთან მჯდარს, როდესაც გარშემო უამრავი ხალხი ფუსფუსებს, მაინცდამაინც არ მსიამოვნებდა, თანაც იქ წაკითხულისაგან ვერ ვღებულობდი იმას, რაც უნდა მიმეღო, რა თქმა უნდა განმარტოებულს მერჩია პოეზიასთან პირისპირ დარჩენა. განწყობილებისამებრ მოგიერთ სტროფს ხმამაღლა წავიკითხავდი, გემოს გავუსინჯავდი. ამავე დროს ჩემს ნებაზე გავაბოლებდი სიგარეტს.

აღბათ მაშინ ვიოცნებე პირველად. მინდოდა ყველაფერი, რასაც ქართული პოეზია ერქვა, რაც საუკუნეების მანძილზე ჩემს წინაპრებს ლექსად შეუქმნიათ, ერთად თავმოყრილი შინ მქონოდა. რა წიგნსაც ვისურვებდი, ის წიგნი გადმომელო თაროდან და წამეკითხა.

ეს იყო ოცნება, შემდეგ ოცნება თანდათან ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ მიზნად ვაქციე. მჯეროდა, დადგებოდა დრო და ამ დიდ ოცნებას განვახორციელებდი.

ეს დროც დადგა.

გამომცემლობა „ნაკადულში“ მოღვაწეობისას რამდენიმე თანამშრომელს გავანდე ჩემი ფიქრები. ისინი ალგაცებულნი დარჩნენ ჩემი იდეით და შემპირდნენ, რომ ძალ-ღონესა და გამოცდილებას არ დაიშურებდნენ, შეუძლებელს შესძლებდნენ და ამ საქმეს კეთილად დააგვირგვინებდნენ, გამხნევებულმა იმავე საღამოს დაეურეკე სარგის ცაიშვილს და მასაც გავუხილე ჩემი მრავლები, თან ერთად მუშაობა შევთავაზე.

ათ-თორმეტ დღეში ჩვენ უკვე გვქონდა ქართული პოეზიის გომეულების სავარაუდო პროსპექტი, რომელიც მუშაობის პროცესში რედკოლე-

გვის წევრებთან შეთანხმებით თანდათან დაიხვეწებოდა და დამუსგდებოდა გამოცემასთან დაკავშირებით წამოჭრილი სხვადასხვა საკითხი“.

საინტერესოა „ქართული პოემის“ გამოცემასთან დაკავშირებით პოეტ გ. ჭანტურიას მოგონება (ჩაწერილი რ. კვერენჩილაძის¹ მიერ წიგნისთვის – „საქართველოს მწერალთა კავშირი 1917–1997 წწ.“):

„ჩვენ შემდგენელებმა ვუთხარით გამბის დირექტორს არჩილ სულაკაურს, არ შეიძლება მასში არ იყოს შალვა ამირეჯიბი, მაგრამ ჩვენ ვიხსნით პასუხიმგებლობას, შენ როგორც გამოცემლობის დირექტორს გაწევა ეს პასუხისმგებლობა. ახლა შენ იცი, ვინდ გაუშვი, ვინდ არა. არჩილმა დაბეჭდა. ეს კია, ცენზურას არ ექვემდებარებოდა, რადგან ანთოლოგიის მაგვარი გამოცემა იყო.

მაინც, თქმა არ უნდა, მაშინ გვარიანი გაბეღვა იყო საჭირო ემიგრანტი პოეტის ლექსები რომ დაგებეჭდა“ („მნათობი“, № 9-10, 1998 წ.).

1985 წელს გასრულდა ქართული პოემის მრავალტომეულის გამოცემა. სარედაქციო კოლეგიის – ცნობილ ქართველ მწერალთა დიდმა მონღომებამ განაპირობა გამოცემის მაღალი დონე.

უფრო ვრცლად ამ გომეულებზე, მის მოსამზადებელ და სხვა მიმდინარე სამუშაოებზე გვამცნობს თავის ინტერვიუში ამ მრავალტომეულის მაშინდელი შინარედაქტორი აკაკი ბაქრაძე.

„1977 წლის შემოდგომა იდგა. არჩილ სულაკაური ახალი დანიშნული იყო გამოცემლობა „ნაკაღლის“ დირექტორად. ერთ დღეს დაგვიძახა და გახარებულმა გამოგვიცხადა: ქართული პოემის მრავალტომეულის გამოცემას უნდა შევედგეთო.

სწორედ იგი გახლავთ ამ დიდებული საქმის წამომწყები, სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ქართული პოემის მრავალტომეულის გამოცემა მისი, როგორც მწერლის და მოქალაქის, ბიოგრაფიის ერთი საუკეთესო ფურცელია.

მალე შეიქმნა მრავალტომეულის სარედაქციო კოლეგია, რომელშიც შევიდნენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პოეტები: გრიგოლ აბაშიძე, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, არჩილ სულაკაური, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი და ოთარ ჭილაძე. გამოცემის მთავარი რედაქტორობა დაეკისრა თვით არჩილ სულაკაურს, ხოლო შინარედაქტორობა მე. გამოიყო ცალკეული ტომების შემდგენლები – ს. ცაიშვილი, ლ. მენაბდე, ს. ხუციშვილი, მ. ლებანიძე, თ. ჩხენკელი,

¹ რედაქტორი კვერენჩილაძე – პუბლიცისტი.

ნ. ალანია, ე. კვიციანი, გ. ჭანტურია, გ. გეგეჭკორი, ბ. ხარანაძე, შემდეგ ცალკეულ გომებს რედაქცია გაუკეთა ს. ხუციშვილმა (X გ.), ა. ჭინჭარაულმა (X-XVII გ.), მ. მედულაშვილმა (XV გ.) გამოცემის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ დ. დუნდუას, ხოლო მხატვრული რედაქტორობა – გამოცემლობის მთავარ მხატვარს გ. ლლონგს.

მრავალგომეულის ერთ-ერთი ღირსება ისიც გახლავთ, რომ მასში პოეტური ქმნილებანი სრული სახითაა წარმოდგენილი. გომებს დართული აქვს შესაეალი წერილები, ლექსიკონები, ბიოგრაფიული ცნობები, შენიშვნები.

ჩვიდმეტი გომი, რასაკვირველია, ვერ დაიტევს უმდიდრეს, მრავალსაკუნოვან ქართულ პოეზიას, გამოცემის მიზანი, როგორც ითქვა, განვითარების იმ მაგისტრალური გზის ჩვენება იყო, რაც ჩვენმა პოეზიამ გამოიარა დასაბამიდან დღემდე.

„მრავალგომეულის გირაჟი – 40 000 ეგზემპლარი ზღვაში წვეთია. გამოცემლობას თავდაპირველად უფრო დიდი გირაჟით პქონდა დაგეგმილი მისი გამოცემა, მაგრამ საქწიგნის მაშინდელ მესვეურთ შიში აწუხებდათ, პოეზიას ცოტა მკითხველი ჰყავსო და ამ გირაჟზეც ძლივს დავითანხმეთ. არადა ხელმოწერამ დაადასტურა, რომ სულ ცოტა გაორმაგებული გირაჟი მაინც იყო საჭირო. მალე ეს გამოცემაც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცევა“.

გამოცემის მესვეურნი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ „ამ საშვილიშვილო საქმეს ლიტერატურული საზოგადოებრიობა მომავალში ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდა, და სჯეროდათ, რომ არ შეიძლება ამ დეაწლს უკვალოდ ჩაეველო“¹.

ასეთია გამომცემლობა „ნაკადულის“ „მრავალი წლის რუდუნებისა და შრომის შედეგი“, რომელსაც ქართული პოეზიის მრავალგომეული ეწოდება.

მერი სულაკაური

¹ „ქართული პოეზიის მრავალგომეულის გამოცემასთან დაკავშირებით“ ინტერვიუ ა. ბაქრაძესთან. გაზ. „თბილისი“, № 19, 1986 წ.

დავით ანდუკაფარის ძე ჩხეიძე (1888–1948) ქართულ მწერლობაში დამკვიდრდა „თურდოსპირელის“ ფსევდონიმით. იგი ცნობილი პოეტის გიორგი ქუჩიშვილის უმცროსი ძმა იყო.

დავით თურდოსპირელი თავის კორესპონდენციებს თუ ლიტერატურულ წერილებს სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა. ესენია: „დ. თ.“, „დ.“, „თული“, „თ. დ.“...

მწერლის არქივში, რომელიც შეემატა ლიტერატურის მუზეუმის ფონდს 1994 წელს, ინახება რამდენიმე საერთო რვეული, რომელთა ცალკეულ გვერდებზე ჩაკრულია (ჩაწებებულია) ამონაჭრები დავით თურდოსპირელის საგამეთო სტატიებიდან, ლიტერატურული წერილებიდან. მათი დიდი

ნაწილი თავის დროზე დაისტამბა მწერლის ვახშაურებული ფსევდონიმით „თურდოსპირელი“. მაგრამ აღნიშნულ რვეულებში მოთავსებული სამი წერილი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია – 1. „ავადმყოფ გ. ქუჩიშვილთან“; 2. „ფიქრები ქართველ მწერლის ბედზე. გ. ქუჩიშვილი“ და 3. „მარტოობის რაინდი. გერენგი გრანელი“ – ხელმოწერილია სხვა ფსევდონიმითაც. ესენია: 1. „გირიფი“, 2. „ციცინათელა“ და 3. „სალომეშვილი“.

ჩვენი ვარაუდით, სამივე წერილის ავტორი დავით თურდოსპირელია. აღნიშნულ ფსევდონიმთაგან პირველი – „გირიფი“ და მესამე – „სალომეშვილი“ ცნობილია; ისინი მითითებულია იოსებ გრიშაშვილის მიერ შედ-



დავით თურდოსპირელი
სლმ №10083-ი

გენილ „ფსევდონიმების ლექსიკონში“¹ (1987 წ.).

1. გირიფი – თურდოსპირელი. „თეატრი და ცხოვრება“. 1925 წ. № 5.

2. სალომეშვილი – თურდოსპირელი. „ახალი გზა“ 1928 წ. № 56 გვ. 10.

გასარკვევია ფსევდონიმი „ციცინათელა“.

ვფიქრობთ, „გირიფისა“ და „ციცინათელას“ ფსევდონიმით ხელმოწერილ წერილებში გაშუქებული საკითხის იდენტიფიკაცია (ორივე ეხება გ. ქუჩიშვილის ავადმყოფობას) და მწერლის სტილი დამაჯერებლობას მაგებს ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს.

მიზეზი, თუ რატომ ამჯობინა დ. თურდოსპირელმა სხვა, ახალი ფსევდონიმით დაწერა გ. ქუჩიშვილის მძიმე მაგერიალური და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, ვფიქრობთ, ასეთია: იმ ხანებში, ე. ი. მე-20 საუკუნის ოციან წლებში, გუბერკულიზმით დააყადებული გიორგი ქუჩიშვილის საშველად პრესაში მრავალი წერილი იბეჭდებოდა: ქვეყნდებოდა მიმართულები, მოწოდებები სკოლების, საბავშვო სახლების, მწერალთა კავშირის მისამართით, რომ როგორმე გამოუნახათ საშუალება ავადმყოფი და უკიდურესობაში შეჭირვებული პოეტის გადასარჩენად. ცნობილია ისიც, რომ თვით გ. ქუჩიშვილი ყოველივე ამის წინააღმდეგი იყო. მან ოფიციალურად გამოაქვეყნა „ღია ბარათი“² სადაც წერდა, რომ მაგერიალურად მას ყოველთვის უჭირდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოების შეწუხებას ერიდებოდა.

ცხადია, ასეთ ვითარებაში დ. თურდოსპირელს გაუძნელდებოდა საკუთარი გვარით ან თუნდაც ყველასათვის ცნობილი ფსევდონიმით გამოექვეყნებინა წერილი უფროსი ძმის გაუსაძლისი მდგომარეობის შესახებ. აირჩია კიდევ ახალი ფსევდონიმები: ჯერ „გირიფი“³, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ კი – „ციცინათელა“.

რაც შეეხება „სალომეშვილის“ ფსევდონიმით ხელმოწერილ მესამე წერილს – „მარგოთბის რაინდი. გერენგი გრანელი“, მართალია, იგი

¹ გივი მიქაბის მიერ გამოცემულ „ფსევდონიმების ლექსიკონში“ (1984 წ.) არ არის აღნიშნული ამ ფსევდონიმების შესახებ.

² ვაშ. „ქართული სიტყვა“, № 16, 1924 წ.

³ „გირიფის“ ფსევდონიმით, უფრო ადრე, 1913 წელს პოლიექტოს კალანდაძემ თარგმნა გ. სოლოვიოვის „საავადმყოფო კარები“ ენის ჯუღელთან ერთად (ენის ჯუღელის ფსევდონიმით იყო „გულისაბა“ / ვ. მიქაძე „ფსევდონიმების ლექსიკონი“. 1984 წ. გვ. 72, 101).

⁴ სალომე ერეკლე მწერლის დედას. იგი გრაფიკულად დაიღუპა: თავი დაიხრჩო მტკვარში. ამასთან დაკავშირებით გ. გაბიძემ დაწერა პაგარა ლექსი: მოხუცი ქალი წვიმაში, ქარში ეურის ხიდიდან ვადეშუა მტკვარში; ო, სამინელი მვირთების რკალი... იყო... არ არის მოხუცი ქალი, ვაჰ, ჩვენი ბრალი („სალომე ჩხვიძე“).

თემატიკის თვალსაზრისით განსხვავებულია (შეეხება გ. გრანელის პოეზიას), მაგრამ სტილი აქაც და ზემოაღნიშნულ ორ წერილშიც იდენტურია. სტრუქტურა სამივე წერილისა ერთნაირია: – დასაწყისში მოცემულია სხვათა გამოხატუქვამის ციტირება.

მოვიყვანთ მაგალითს:

1. „ეს ჩვეულებრივი, უხსნიერესი, მაგრამ მარად დაუძველებელი ზღაპარია: საქართველო ქვეყანაა, საცა აუარებული ნამსხვრევებია საოცნებო ხომალდისა... აი ერთი ნამსხვრევთაგანი...“

(ავადმყოფ გ. ქუჩიშვილთან. „ტირიფი“).

2. „ღრმა ჭეშმარიტება ელვარებს დოსტოევსკის შთამაგონებულ სიგყევებში „მშვენიერება იხსნის ქვეყანასაო“. მშვენიერება საგანია, შინაარსია ხელოვნებისა, სადაც ხელოვნების სხივიერება შეიფრქვევა, იქ ქრება წყვილი, სასოწარკვეთა, სიძულვილი. იქ რწმენის ხომლები ენთებიან... იმედის მშვები¹ ჩნდებიან“.

(ფიქრები ქართველ მწერლის ბედზე. გ. ქუჩიშვილი. „ციცინათულა“).

3. „ჭეშმარიტი პოეტი იცნობება იმითი, რომ მისი ნაწარმოების თვითუღს გვერდზე შეიძლება ვიპოვნოთ ერთი ფრაზა, ერთი გამოთქმა მაინც, რომლის დაწერა მხოლოდ მას შეეძლოსო – ამბობს ბრანდესი“.

(მარტოობის რაინდი. გერენგი გრანელი. „სალომეშვილი“).

პირველ ორ წერილში აქცენტი გაკეთებულია გიორგი ქუჩიშვილის სალიტერატურო მოღვაწეობის ასაკზე. მაგ:

1. „გიორგი რამდენი ხანია რაცა წერთ? – 18 წელი!

თვრამეტი წელიწადი! სიცოცხლის მესამედია ესა... 18 წლის განმავლობაში სულ მუშათა კლასის ბედნიერებაზე მღეროდა...

თვრამეტი წლის განმავლობაში განიცდიდა სიმშოლს, სიცივეს...“

(„ტირიფი“)

2. – „19 წელიწადია, რაც ქუჩიშვილი განხორციელებული მარსელი-ობა – გენერალია...“

არც დაბერებულა ეს გენერალი.

არც დაღლილა...

19 წელიწადი მთელი ეპოქაა“.

(„ციცინათულა“)

¹ „მზე“ და „ხომლი“ – მრავლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება სხვაგანაც. მაგ: დ. თურდოსპირელი. „უცისმათო მწერალი“ (კოლა ლომთათიძე. მისი ნაწარმოების გამოცემის გამო): – „...ახალი მშვების ხომლები რომ დაქნათიან ყოველი კუთხიდან...“

თითქმის ყოველი ახალი წინადადება აბზაცით იწყება. წინადადებათა უმრავლესობა კი ორ-სამ სიტყვიანია. აღსანიშნავია, აგრეთვე, მრავალწერტილის ხშირი გამოყენება (ყოველივე ეს მოგანილი ნაწყვეტებიდანაც კარგად ჩანს).

გემოთქმულიდან გამომდინარე, თუ ჩვენი ვარაუდი – „ციცინათელას“ დ. თურდოსპირელის ფსევდონიმად მიჩნევის შესახებ – გაზიარებული იქნება სპეციალისტების მიერ, ვფიქრობთ, ისიც დაიჭერს კუთვნილ ადგილს „ფსევდონიმების ლექსიკონში“.

ნინო ვადაკორია

К ИСТОРИИ ОДНОГО АВТОГРАФА Д. Д. ШОСТАКОВИЧА

В декабре 1997 г. в фонды Государственного музея грузинской литературы им. Г. Леонидзе поступил архив музыковеда-историка Гиви Шиеовича Орджоникидзе (1929–1984 гг.), чье имя уже с 60-ых годов становится известным в музыкальных кругах, далеко за пределами Грузии.

Вот что писал о нем музыковед-теоретик, профессор Московской консерватории Л. А. Мазель 29.V.1984 г. грузинским друзьям: „...Он был музыковедом синтетического типа – и теоретиком, и



Гиви Орджоникидзе

и историком, и критиком, и философом-эстетиком, и деятелем-организатором. Музыку он брал в ее целостности, без неоправданного членения на элементы.

Он мог углубиться и в ее технические детали, но всегда рассматривал музыкальное произведение как явление духовной культуры человечества, в котором проблемы эстетические тесно переплетаются с этическими, нравственными. Он мыслил необычайно широко, владел мировым художественным наследием и вместе с тем был живым воплощением той истины, что подлинным интернационалистом может быть только тот, кто глубоко понимает, ценит и любит свою собственную национальную культуру...

Я имел счастье быть другом Гиви – человека яркого таланта, сильного и тонкого интеллекта, огромной воли, горячего и благородного сердца, который еще так много

мог дать искусству и людям“.

В исследовательской работе Гиви Шиюевича, пожалуй, одно из первых мест занимает творчество великого композитора XX века Д. Д. Шостаковича. Г. Ш. написаны и опубликованы в сборниках и журналах статьи об операх „Катерина Измайлова“ (по Лескову) и „Нос“ (по Гоголю), почти о всех симфониях Д. Д., о его квартетах, о вокально-симфонической поэме „Казнь Степана Разина“, о музыке к кино-фильмам „Софья Перовская“ и „Король Лир“. В статье „Зарницы поэзии“ Г. Ш. пишет о вокальном цикле Шостаковича на 7 стихотворений раннего А. Блока для сопрано, скрипки, виолончели и фортепьяно.

Глубоким проникновением Г. Ш. в творчество Д. Шостаковича объясняется выбор его редактором-составителем специального издания книги „Д. Шостакович“ к 60-ти летию композитора¹. В книге статья Г. Ш. „XIII симфония Д. Шостаковича“. Подробно исследуя особенности эпической XIII симфонии в основе которой лежат пять стихотворений Е. Евтушенко „Бабий Яр“, „Юмор“, „В магазине“, „Страхи“, „Карьера“ музыкальный облик которой „обусловлен синтезом вокально-театральных и симфонических форм“ (Г. Ш.), автор останавливается и на особенностях V, VII, VIII, X и XI симфоний.

Получив книгу Дмитрий Дмитриевич откликнулся письмом:

31. I. 1968. Москва

Дорогой Гиви Шиюевич!

Примите мою горячую благодарность за книгу обо мне. Очень многое читаю с большим волнением.

Большой Ваш труд и большое внимание ко мне меня очень растрогали.

Крепко жму руку и шлю Вам мои самые лучшие пожелания.

Д. Шостакович

¹ „Дмитрий Шостакович“, Редактор-составитель Г. Ш. Орджоникидзе, Всесоюз. изд. „Советский композитор“, Москва, 1967.

31 I 1968. Moscow

Дорогой Губы Шостакович!

Прините мои поздравы Благодатного
за книгу обо мне.

Моя книга много с большим
интересом.

Тем самым Рот Губы и большое
внимание ко мне меня очень
радоуют.

Вместе с Губы Губы и Шостакович
мои самые лучшие поздравления.

Г. Шостакович

Вслед за книгой о Д. Шостаковиче, Г. Ш. занимается подготовкой солидного сборника „Социалистическая музыкальная культура“ редактором-составителем которого он был совместно с Ю. Эльснером. Сборник этот вышел в 1974 г. в Москве на русском языке и в 1977 г. в Берлине на немецком.¹

В сборнике большая статья Г. Ш. „О Четырнадцатой симфонии Дмитрия Шостаковича и его сочинениях конца 60-х – начала 70-х годов“. Годы эти были очень плодотворными в творчестве композитора и Г. Ш. в статье касается

¹ „Социалистическая музыкальная культура. Традиции. Проблемы. Перспективы“. Редакторы составители Г. Орджоникидзе и Ю. Эльснер. Изд. „Музыка“, Москва, 1974. „Verlag neue Musik“, Berlin, 1977.



Д. Шостакович за работой

всех замечательных творений, созданных Шостаковичем в эти годы, и, особенно подробно останавливается на исследовании 14-ой симфонии. Это вокально-инструментальное сочинение для сопрано, баса и струнного камерного оркестра с большой группой ударных инструментов. Тема симфонии – человек и смерть. В ее основе одиннадцать стихотворений авторов, принадлежащих к различным историческим эпохам, национальным школам, идейным направлениям.

В 1976 г. редактор-составитель 2-го выпуска альманаха „Музыка России“ Е. А. Грошева пишет Г. Орджоникидзе „...в русской музыке ее „потолок“ определяет Шостакович. Вот и ваша тема.

Я и Р. К. Щедрин¹ очень просим Вас дать „эссе“, м. б. философско-эстетическое, м. б. иное, но нечто „глобальное“

¹ Р.К.Щедрин – композитор, секретарь Союза композиторов России.

о Шостаковиче... Мне нужна большая статья-раздумье, обобщающая программно-эстетические основы музыки Д. Д., черты ее, как явления мирового порядка, и конечно, как советского художника... Зная Ваше влечение к философско-эстетическим проблемам и любовь к Шостаковичу, я очень надеюсь, что Вы, если Вам этого захочется, напишите великолепную статью... Я Вам не льщу, Вы знаете, что я на это не способна. Но серьезно думаю, что из нынешних писателей, Вы один только сможете это сделать „на должном уровне“.

Однако в альманахах Г. Ш. не написал. Последнее его исследование творчества Д. Шостаковича выходит в 1985 г. в Германии на немецком языке в фестивальном сборнике „Dmitri Schostakowitsch“.¹ Статья называется „Das Operntheater Dmitri Schostakowitsch“.

Светлана Чернявская

¹ „Dmitri Schostakowitsch“; *Dokumente Interpretationen, Internationales Festival, 16 September, 1984 – 15 März, 1985. Stadt Duisburg.*

ბალაკიონი — მკვლევარი



პეტრე ივანეს ძე შალიკოვი
უცნობი მხატვარი
აკვარელი, 1810-იანი წლები¹

საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიგერაგურის მუზეუმში დაცულ გალაკიონ გაბიძის არქივში, სხვა ხელნაწერთა შორის ინახება ერთი რვეული (სლმ № 021371-13), მასში თავმოყრილი მასალა მიუხედავად იმისა, რომ გამოკვლევა დასრულებული არ არის, ვფიქრობთ, მკითხველის ცხოველ ყურადღებას მიიქცევს. ცალკე, დღიურში (სლმ № 597-დ გვ. 36) არსებობს ჩანაწერი, რომელიც ამ გამოკვლევას განაგრძობს. გალაკიონი დიდად დაინტერესებულია მე-19 საუკუნის მოღვაწის, პოეტისა და ჟურნალისტის პეტრე ივანეს ძე შალი-

კაშვილის (შალიკოვის) პიროვნებით, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა, იქვე მოღვაწეობდა და როგორც მისი ლექსებიდან და წერილებიდან ჩანს, რედაქტორობდა ჟურნალებს: „მოსკოვსკი მრიგელს“, „დამსკი ჟურნალს“, „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ და სხვ. იგი მრავალი ეპიგრამის ავტორადაც არის ცნობილი. ამავე დროს, როგორც მისი ლექსები და წერილები ცხადყოფენ, მას ახლო ურთიერთობა ჰქონია პუშკინთან.

ვარსკვლავით აღნიშნული კომენტარები ავტორისეულია.

ნანა კობალაძე

¹ პორტრეტი გადმოებედილია წიგნიდან: „Автографы современников Пушкина“, Аннотированный каталог, Москва, 1988 г.

მასალები ბიოგრაფიისა და ლიტერატურული პორტრეტისათვის

მასალების შეკრება დაწყებულია 1934 წ. 19 ივლისს, ქ. ტფილისს

ისტორია ერთი პიიზრამის

1.

ქ. ი. შალიკაშვილის შესახებ ვ. ნ. ორლოვი¹ (იხ. წიგნი Денис Давыдов.² Полное собрание стихотворений. Редакция и примечания В. Н. Орлова, вступительные статьи В. М. Саянова и Б. М. Эйхенбаумса. Изд. писателей в Ленинграде 1933-(?) г.). „Эпиграмма“ (ეპიგრამა დენის დავიდოვის, რომელიც მთათესებელია ზემოდ დასახელებულ წიგნში - გ. ტ.) направлена против князя Петра Ивановича Шаликова³ - (1768-1852) - поэта и журналиста. Шаликов принадлежал к числу ревностнейших поклонников Карамзина⁴, являлся типичным его эпигоном; в его стихах и прозе сентиментализм выродился

¹ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ორლოვი (დაბ. 1908) - რუსი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე, ავტორი წიგნებისა: „დენის დავიდოვი“ (1940), „1790-1800-იანი წლების განმანათლებლები“, „რადიშჩევი და რუსული ლიტერატურა“, „ერძობულოვი“ და სხვ.

² დენის ვასილის ძე დავიდოვი (1784-1839) - 1812 წ. სამამულო ომის გმირი, მწერალი და პოეტი. შეგუეთთან (1806-1807 წწ.) და ოსმალეთთან (1809-1812 წწ.) ომების მონაწილე. 1826-27 წწ. სამხედრო სამსახურშია კავკასიაში.

³ პეტრე ივანეს ძე შალიკოვი (1767 (1768 სხვა მონაცემებით)-1852) - რუსი მწერალი. წარმოშობით ქართველი. შეილიშვილი დიმიტრი შალიკაშვილისა, რომელიც 1724 წ. ვახტანგ VI-ს გააყვა რუსეთში. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში. ნ. კარამზინის მიმდევარი იყო. (ლექსთა კრება: „თავის უფალ გრძნობათა ნაყოფი“ 3 ნაწილად, 1798-1801; „ვრაციათა ყვეილები“, 1802; პროზაული თხზულებები „მოგზაურობა მდლოროსიაში“, 1803-1804; „მოგზაურობა კრონშტადტს“, 1805). შალიკაშვილი თავის წერილებში რეაქციულ იდეებს ქადაგებდა. უკუთენის შემუარება: „ისტორიული ცნობა ფრანგების მოსკოვში ყოფნის შესახებ 1812 წელს“ (1813). რედაქტორობდა ეურნალებს „მოსკოვსკი შრიტელი“ (1806), „ავლაი“ (1808-1810, 1812), „ДЖ“ 1823-1833. 25 წელი რედაქტორობდა ეურნალ „მოსკოვსკი ევლომოსტის“. აქტიურად იყო ჩაბმული მოსკოვის ლიტ. ცხოვრებაში. იცნობდა ა. პუშკინს, რომელსაც აღფრთოვანებული წერილები და ლექსები უძღვნა. პუშკინი წერილებში ხშირად პატივით იხსენიებს მას, თუმცა მისი დრომოჭმული სენტიმენტალიზმისადმი ირონიულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს.

⁴ ნიკოლოზ მხევილის ძე კარამზინი (1766-1826) - რუსი ლიტერატორი, ეურნალისტი, ისტორიკოსი.

ვ „უპრямую плаксивость“ (საინტერესოა, ვის ეკუთვნის ბრტყალეზში ჩასმული უკანასკნელი ორი სიტყვა?). Современники избрали Шаликова, подобно гр. Д. И. Хвостову¹, объектом своего остроумия; он осмеян в огромном количестве эпиграмм и пародий (некоторые из них собраны в сб. „Эпиграмма и сатира“, т. I, 1931, стр. 440-451 (მაშასადამე, II ვერდი. გ. გ.). Эпиграмма Давыдова – ответ на следующую эпиграмму, появившуюся в журнале Шаликова – „Дамский Журнал“ (см. 1827 г. ч. 19, №17, стр. 212):

Герой

Когда кипит с врагами бой,
И Росс вновь лавры пожинает:
Усатый, грозный наш герой
В Москве на дрожках разъезжает.

(Эпиграмма не подписана, но вероятно принадлежит Шаликову). В своей ответной эпиграмме Давыдов подчеркивает то обстоятельство, что „на глас войны“ он летит „спасать родину князька“ – Грузию (Шаликов был грузин), в то время, как обвинявший его в трусости „князык“ – „читает корректуру реляционного листка“ т.е. газеты „Московские Ведомости“, которые Шаликов редактировал в течение 25 лет и где печатались „реляции“ о победах русской армии (и в частности о победах самого Давыдова) во время русско-персидской войны – (см. на стр. 180 наст. издания „Надпись к портрету Д. В. Давыдова“ – Шаликова).

დავიდოვისადმი მიძღვნილ მრავალ ლექსთა შორის ამავე წიგნის 180 გვ. მოთავსებულია შალიკაშვილის ასეთი ლექსი – ორსტრიქონიანი ლექსი:

К портрету Дениса Васильевича Давыдова

В нем храбрость, ум, талант, и чувство благородства
Блещут равными чертами превосходства!

П. Шаликов
1822 г.

¹ დიმიტრი ივანეს ძე ხვოსტოვი (1757–1835) – პოეტი. თანამედროვეთა თვალში ვრთოლმანიის გამოხატულებად იქცა. მისადმი მიძღვნილი ეპიგრამების რაოდენობით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

დავიდოვის სხენებულ წიგნში მოთავსებული ეპიგრამის შესახებ იგივე ორლოვი შენიშვნებში (იხ. გვ. 256) სწერს: „Впервые напечатано Л. Н. Майковым в „Рус. Старине“, 1871 г., т. IV, стр. 420-440. – П. И. Свиньин в неизданном письме к А. И. Михайловскому-Данилевскому¹ от 30 августа 1827 г. (Дашковское собрание в ИРЛИ) сообщил эту эпиграмму в несколько иной редакции:

Грузинский князь, газетчик русской,
Героя трусом называл
Но эпиграммою – французской
Ему Давыдов отвечал:
На глас войны летит он к Куру
Спасает родину князька
А тот читает корректуру
Реляционного листка.

(Эта эпиграмма – სწერს ორლოვი – опубликована нами в сб. „Эпиграмма и сатира“, т. I, 1931, стр. 424).

ლ. ნ. მაიკოვის მიერ „Русская Старина“-ში (1871 წ.) გამოქვეყნებული და დავიდოვის ამ წიგნში შეტანილი ეპიგრამა კი ასეთია:

Грузинский князь, газетчик русской,
Героя трусом называл,
Но оплеушиной с закуской
Ему герой наш отвечал:
Он едет к боевому куру,
Спасает родину князька
А князик держит корректуру
Литературного листка.

ამ ეპიგრამის ორი სხვადასხვა ვარიანტი: – პირველი გამოქვეყნებულია შალიკაშვილის სიციოცხლეში კი არა, მისი გარდაცვალებიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ, ხოლო მეორე, უფრო ნამდვილი ჩვენის ამრით, გამოქვეყნებულია შალიკაშვილის გარდაცვალებიდან 82 (თითქმის ასი) წლის შემდეგ... შალიკაშვილის მეტად მახვილი და გესლიანი ეპიგრამა კი 1827 წელს დაიბეჭდა, ალბად საშინლად გაამწარა დავიდოვი, რომელმაც მაინც ვერ გაბედა თავისი საპასუხო ეპიგრამის დაბეჭდვა. ამ ეპიგრამას დავიდოვი მხოლოდ თავის შინაურ ხალხს თუ აცნობდა და ისიც, როგორც

¹ ალექსანდრე ივანეს ძე მიხაილოვსკი-დანილევსკი (1789 ან 1790-9-1848) – რუსი სამხედრო ისტორიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 1828-29 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის მონაწილე.

სჩანს, შიშით, მაშინ როდესაც შალიკაშვილი საქვეყნოდ, პირდაპირ სახეში, უშიშრად უყურებს და მწარედ დასციინის განებივრებულ პარტიზანს.

ცხადია, რა დიდი გავლენისა და ძლიერების მქონე ყოფილა შალიკაშვილი – როდესაც იგი ლიგერატურულ ხმალში იწვევს, რუსეთისათვის ისეთ გაღმერთებულ პიროვნებას, როგორც იყო დავიდოვი.

ორლოვის შენიშვნა იძლევა შემდეგ საინტერესო ფაქტებს:

I. შალიკაშვილი, როგორც პოეტი ეკუთვნოდა კარამზინის ჯგუფს.

II. იგი იყო სენტიმენტალისტი, მაგრამ „ჯიუტი“ სენტიმენტალისტი. ცნება „ჯიუტი“ აქ უნდა მიღებულ იქნას, როგორც *მებრძოლი* თავისი ლიგერატურული იდეებისათვის. ამ მხრით ძალიან საინტერესოა შესწავლილ იქნას იგი: როგორ იბრძოდა იგი, როგორ ებრძოდნენ მას? ამნაირ ფონზე დახატული მისი პორტრეტი მოგვეცემს ერთგვარ წარმოდგენას მაშინდელ ძალზე გამწვავებული ლიგერატურული ომებისას და შეიძლება ბევრი რამ აღმოჩნდეს ისეთი, რომელიც უფრო გმირულ სახეს მისცემს შალიკაშვილს, – ვინემ ბევრს ჰგონიათ. უმრავლესობა დღევანდელი ლიგერატურული მკვლევარებისა, დღეს იმათ მხარეზეა, ვინც შალიკაშვილს ესხმის თავს; მაგრამ მკვლევარისათვის შეგი ობიექტივობაა საჭირო.

აი, პირველი მოსაზრებები, რომელიც დაგვიბადა შალიკაშვილის ზემოდ ხსენებული ეპიგრამის ისტორიამ...

მიყვებთ კვალდაკვალ ამ პიროვნებას, რათა გავიგოთ, თუ როგორი იყო მისი როლი იმ საბედისწერო დაჯახებაში.

გვახსოვდეს, რომ თითქმის ასი წლის შემდეგ, სწორედ ასი წლის შემდეგ, რაც ის ბრძოლა გათავდა, პოეტი ქალი მირრა... (1914 წ. დაახლოებით) კითხულობდა ერთერთ ლექსში:

„Разве уж так страшно быть сентиментальной?“

და დაახლოებით იმავე ხანებში იგორ სევერიანინი¹ თავის წინაპრად იმავე კარამზინის ასახელებდა:

....Во мне
Струится кровь Карамзина“.

N. B. ზემოთ ნაჩვენები შენიშვნისაგან გამომდინარეობს აუცილებელი საჭიროება გადათვალისწინებულ იქნას შემდეგი გამოცემები:

¹ იგორ სევერიანინი – იგორ ვასილის ძე ლოგარევი (1887–1941) – რუსი პოეტი. ევოლუციურიზმის ლიდერი. 1913 წ. სევერიანინმა თ. სოლოგუბთან ერთად ლიგერატურული საღამოები გამართა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში.

1. „Эпиграмма и сатира“, т. I, 1931, 440-451 გვ.
2. „Дамский журнал“ издаваемый Шаликовым, 1827 г. ч. 19, № 17, стр.212. (N. B. – მზავსხავე ესტეტიურ ჟურნალს სემელა „ოსკარ უაილდი“).
3. „Московские Ведомости“ – ред. в прод. 25 лет Шаликовым. 1820 (?) (Нужно узнать с какого года по какой издавались эти „Ведомости“.) – ხალიგერატურო და მხატვრული სახე ამ გაზეთისა.
4. Неизданное письмо П. И. Свинына к А. И. Михайловскому-Данилевскому от 30 авг. 1827 г. (Дашковское собр. в ИРЛИ – насчет эпиграммы Давыдова.)
5. Биографию и лит. характеристику Карамзина. (N. B. Северянин писал: „Во мне струится кровь Карамзина“).
6. „Русская Старина“ 1871 г. т. IV, стр. 420-440. (Как Майков поместил эпиграмму).
7. Выяснить значение выраженья: „На глас войны летит он к Куру;“ почему в другом варианте: „...летит он к куру“ (не с большой буквы) что это?
N. B. 1) „Когда кипит с врагами бой“ – რუსეთ-სპარსეთის ომი (როდიდან როდის?).
2) Росс. „Гром победы раздавайся, веселися храбрый Росс“. Державинская „Росс“.
3). „Усатый, грозный наш герой“. (см. стихи Давыдова о своих усах, а также ст. Пушкина и др. о *усах Давыдова*)¹

19346 23 ივლისი – მე შევეკითხე გ-ს.

– Знаете ли вы чтонибудь о кн. Шаликове?

მან პასუხად ნავლევზე დასწერა (მუნჯია):

– Это, кажется, *пушкинских времен* и, кажется, ничем кроме диковинного профиля, не выдавался.

2.

თ-დ პ. შალიკაშვილს პოეტი ბ. საიანოვი *იხსენიებს* სხვა დიდ პოეტებთან ერთად: „Все крупнейшие поэты пушкинской эпохи оста-

¹ კუშინისა და სხვების ლექსები ქება-დიდებათ იხსენიებენ დავითოვის ულვაშებს. შალიკოვი კი ამკარად დასცინის ამავე ულვაშებს... (შეურყება მას ულვაშები! ვ. გ.)

ვილი стихотворные свидетельства своей любви к знамени тому партизану-поэту (Пушкин, Баратынский, Языков, Жуковский, Вяземский, В[...]жов, Нечаев, Федор Толстой („Американец“), Шаликов, Стромиллов, Алексей Бестужев, Ростопчина, Шахова, и величайшие поэты и...“ и т. д. (პ. დენის დავიძოვ. გვ. 7).

3.

შალიკაშვილების გვარი იხსენიება თუ არა „ქართლის ცხოვრებაში“ ან სხვაგან? (კენეალოგია).

4. 1)

გრ. ორბელიანის ლექსში „პასუხი შვილთა“ არის ასეთი ადგილი:

„ღრო მამებისა,
მამაყობისა,
წარვიდა მათთა სახელთა ქებით“.

ამ სტრიქონებს პოეტი ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ღენერალი ივანე აფხაზი, ალექს. ჭავჭავაძე, ორბელიანი, სიმონ შალიკოვი, შაქარაძე და ასსამოცნი სხვანი, დახოცილნი და დაჭრილნი უკანასკნელ ბრძოლაში! ესენი უნდა იყვნენ თქვენგან გასალანძღაენი? (ყარსის ომში?)“

4. 2)

იყო არტისტი შალიკაშვილი, მაგრამ ის თავადიშვილი არ იყო: პირიქით, ახალგაზრდობისას, ის რომელიღაც სხვა თავადიშვილის მოურავი იყო რომელიღაც სოფელში (მგონია ხონში? აქეთ არის ახლო სადღაც).

5.

„Седок недоуменно передернул плечами. По дорожке небольшой человек с лорнеткой, посошком и болонкой, которую он вел за собою на тоненькой золоченной цепочке. Он то шел шибко, то вдруг останавливался, вынимал бумажку и на ней что-то писал, а потом опять пускался бежать, увлекая за собой упиравшуюся собачонку. За странной фигуркой на почтительном расстоянии следовала толпа любопытных. Это был известный московский сочинитель, князь Шаликов, чувствительный певец прекрасного пола, будущий издатель „Дамского Журнала“, прозванный Взы-

халовым, одним из сладчайших подражателей сладчайшего Карамзина“ (Д. Благой. „Барская Москва.“ „Москва“ 1935 г.).

საერთოდ დ. ბლაგოის წერილში აღწერილია თავად შალიკაშვილის-დროინდელი მოსკოვი. „Седок“-ი არის რადიშჩევი, რომელიც შემოდის მოსკოვში ღარიბული სამგზავრო „ვოზოკ“-ით.

„Вслед за Радищевым свободу сословий“ – სწერდა პუშკინი.

როგორც რადიშჩევი, ისე პუშკინი ოპოზიციაში უდგნენ ევრეთ წოდებულ „სანგიმენტალიზმს“, მიმდინარეობას, რომელსაც სათავეში უდგა „Карамзин“-ი (პუშკინი მაინც პატივს სცემდა კარამზინს).

6.

რისთვის, ჩვენი გმირი, თავის ლექსებს, ეპიგრამებს და სხვ. აწერდა არა შალიკაშვილს, არამედ შალიკოვს? საზოგადოებაშიც მას იცნობდნენ როგორც „კნიაზ შალიკოვ“-ს და არა შალიკაშვილს.

ასეთი იყო მაშინ ქართველი თავად-აზნაურების „მოდა“... ისინი გარუსების გზას დაადგენ. გვარებსაც კი იცვლიდენ: ბარატაევ, ანდრონიკოვ, ტუმანოვ;

ასეთნაირად შეიჭრენ ისინი რუსის მაღალ საზოგადოებაშიაც. ეს გარემოება გვარებშეცვლილი ქართველებისა თვალში ეჩხირებოდა თვით რუსის საზოგადოებას და მწერლობასაც კი. ვოგოლმა პირველმა შეამჩნია ეს¹.

იგი თავის ნაწარმოებში „Мертвые души или похождения Чичикова“, ასწერს რა ბალს გუბერნატორთან, ახსენებს აგრეთვე ქართველ თავადს ჩიფხაიხილიძეებს. ეს ჩიფხაიხილიძევი, იმყოფება ქალაქში (რომელმედაც ვოგოლი ირონიულად შენიშნავს: არა, ეს გუბერნია კი არ არის, ეს საგახტო ქალაქია, ეს პარიჟია!) „Галопад“ – სწერს ვოგოლი (ანუ – Галоп, танец. გ. გ.) Галопад летел во всю пропалую; почтмейстерша, капитан-исправник, дама с голубым пером, дама с белым пером, грузинский князь Чипхайхилидзе, чиновник из Петербурга, чиновник из Москвы, француз Куку, Перхуновский, Беребендовский (Ну и терминология, я вам доложу). Тут все поднялось и понеслось... „Вона, пошла плясать губерния“ – проговорил Чичиков, попятившись назад“. (საიდან სად გამოიგონა ასეთი გვარი ვოგოლმა, ძალიან მსგავსი ქართულისა? არიან ასეთი გვარები: ჩიფხაიძე, ჩაფხაიძე,

¹ Н. В. Гоголь. „Мертвые души“, Школьная библиотека классиков, ОГИЗ – ГИХЛ. 1933 г.

აფხაიძე და სხვ. *Сочинил, уловил*).

მაშა, როგორ შეიძლება დიდი ბალი, თუ იქ ქართველი თავადი-შვილიც არ იქნა. ჩიფხაიხილიძეები, შალიკოვი; ქართველებით გატაცება მაინცა და მაინც არ ახასიათებს რომანის ერთერთ გმირს საბაკევიძის, მაგრამ ამ საბაკევიძისაჲ კი ბაგრატიონის სურათი უმშვენებს სახლის კედელს: „Садысь, Чичиков взглянул на стены и на висевшие на них картины; на картинах все были молодцы, все греческие полководцы, гравированные во весь рост: Маврокордато в красных панталонах и в мундире, с очками на носу, Миаули, Канари. Все эти герои были с такими толстыми ляжками и неслыханными усами, что дрожь проходила по телу. Между крепкими греками, неизвестно, каким образом и для чего, поместился Багратион (ასეთი იყო საბაკევიძის სურათები, ეს მოღვაწეები მე XIX საუკუნის დასაწყისისა, საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის, ფიზიკურად ძვალმსხვილს, ღონიერს, ძლიერ ადამიანებს). Между этими греками неизвестно каким образом и для чего, поместился Багратион, тощий, худенький, с маленькими знаменами и пушками внизу, и в самых узенких рамках“ (რედაქტორის შენიშვნა: Багратион – популярный в то время русский генерал участник войны 1812 года“). ეს ბაგრატიონიც ჰყავდა ალბათ მხედველობაში თ-ღ *შალიკოვს*, როდესაც ეპიგრამაში ამბობდა:

„И Росс *вновь* славу пожинает“.

(ე. ი. იგულისხმება 1812 წ. ომი ნაპოლეონთან, რომელშიაც მონაწილეობდნენ თანაბრად ბაგრატიონიც და დავილოვიც ეპიგრამის ობიექტი).

როგორ შეიძლება თუ იქ ქართული ნობიც არ იქნა: აი, თვითონ ჩიჩიკოვის „ბრიკა“, სახელგანთქმული „ბრიკა“ იმავე „მკედარ სულებში“.

„Селифан хлыснул кнутом, к нему подсел сперва повисевший несколько времени на подножке Петрушка, и герой наш, усевшись получше *на грузинском коврике* заложил за спину себе кожанную подушку, притиснул два горячих калача, и экипаж¹ пошел опять подплясывать и пока-

¹ გოგოლის „ბრიკა“: – „Выехала довольно красивая, рессоровая, небольшая бричка (легкая, полузакрытая повозка. прим. редак.) в которой ездят холостяки, отст. подполковники, штабс-капитаны, помещики имеющие около сотни крестьян. Словом все те, которых называют господами средней руки.“ (ვ. გ.).

чиваться, благодаря мостовой, которая, как известно имеет подкидывающую силу..." *ო. ა-ნა¹ სიცილით უმაგებს:*

– „Наверное все грузинское тогда было в моде, и князь Чипхайхилидзев, и грузинский коврик и князь Багратион.

Чипхайхилидзев! Княжеская фамилия нечего сказать! Нельзя иначе грузина представить как князя ჩიფხაიხილიძე (ო. ა-ნა) Мастер галопировать, он наверно с дамой с голубым пером танцевал. Ему только намеки (Гоголю) да он сам придумает этакую фамилию... Обязательно князь, да еще грузинский... Наверное дамы с ума сходили; интересно в черкеске он был (не был ли он голоден, и не носил ли он кинжал или был во фраке?). Интересно выяснить его генеалогическое древо, происхождение: наверно с Западной Грузии; а что он делает в губернском городе, это обсолютно неизвестно. Уже по живости, по движениям, по поведению видно, что он из Западной Грузии. Да и с акцентом говорит имеретинским.

Наверное в губернии он у дяди околачивается, (а дядя почтенный человек) и дядя, наверно, не знает, куда его устроить. Да он и не хочет служить, проводит вечера на балах, в кутежах, в карточных играх. Отец, наверно, отдавал ему деньги, или наследство, и теперь он их прокучивает. Он наверно и стихи пописывал в альбомы для дам, как князь Шаликов. Дядя, наверно, в конце концов, решил устроить его по военной части. Это наверно..." *ეს შენიშვნები ო. ა-სი ფრიად საგულისხმოა თ-ღის შალიკაშვილის ვინაობის გამო-საკვლევად.*

Шаликов (Князь Петр Иванович – 1768–1852) писатель и журналист, грузин по происхождению, служил сначала в военной службе, был под Очаковым и в Польше. В 1797 усмирал крестьянский бунт в Тульской губернии. По выходе в отставку Ш. поселился в Москве и предался исключи-

¹ *ო. ა-ნა – ვფიქრობთ, იხივალეგში იგულისხმება ოლღა ივრიევან დარეჯი (1899–1983) – ვალაკაიონის მეორე მეუღლე.*

тельно литературным занятиям. Выступал как страстный поклонник карамзинского сентиментализма, да так и остался сентименталистом в течении всей своей многолетней деятельности, вплоть до второй половины XIX века. Свои поэтические и прозаические произведения Ш. помещал в „Приятном и полезном препровождении времени“, „Аонидах“, „Ипокрене“, „Московском Меркурии“, „Патриоте“, „Вестнике Европы“, „Сыне Отечества“, „Благонамеренном“, „Трудах Общ. [де...] Рос. Словесн. при Моск. Унив.“, „Современнике“ и „Москвитянине“. Собрания его стихов вышли отд. изд. 1798–1801 гг. под заглавием „Плод свободных чувствований“ и в 1802 г., под заглавием „Цветы грации“. в 1803–1804 гг. вышло „Путешествие в Малороссию“ и в 1805 г. – „Путешествие в Кронштат“. Обе книги написаны в подражание „Письмам Русского Путешественника“, не содержат в себе ни одной местной черты, и сплошь состоят из описания „впечатлений“. В 1806 г., Ш. выступил журналом „Московский Зритель“ объявляя...

ქუშკობს და მალიკაშვილის ურთიერთობა (ეს ხაღდაც ცალკე რვეულშია, უნდა მოიხაზოს!).

* * *

Кн. Шаликов с лорнетом... стр. 289.

Карандаш; 18x12,5 см. А. Б. Ушаковский альбом лист 77/2 – Рисунок представляет собою карандашную копию, сделанную Пушкиным с акварельной карикатуры, изображившей князя П. И. Шаликова облысевшим старичком, с гнувшимися коленями, но с розой в одной руке и мадригалом в другой; на акварели, бывшей в 1899 году на Пушкинской юбилейной выставке в Академии наук, есть подпись „Князь П. И. Шаликов на 75 году по исчислению Н. Повогело в „Телеграф“. „Вернейший портрет“. Пушкин воспроизвел его схематично, без подробностей, сохранив позу, но изменив атрибуты: вместо розы и рукописи он дал Шаликову лорнет. Нанося карикатуру на страницу ушаковского альбома, он видимо, жалил двойным жалом: и самого

„любезного баловня природы“ и молодых хозяек альбома. С первым отношения, глумливо-ласковые, установились давно: Пушкин при случае всегда щипывал его и тут же приятно улыбался, — с одной стороны: „...пахнет шаликовской невинностью“, „Туманский посвящает меня в Шаликова“, *Je suis faché que Chalicoff ait pissé sur son tombeau...* и т. д.; с другой: Он милый поэт, человек достойный уважения, и надеюсь, что искренняя похвала с моей стороны не будет неприятна... „но эта похвала, двумысленные две строчки в „Разговоре книгопродавца с поэтом“ — „пускай их (дев) Шаликов поёт, — Любезный баловень природы...“ — была расшифрована, как надлежало, и огорчила „поэта прекрасного пола“ (пушкинское же определение), искренне восхищавшегося Пушкиным и посвятившего ему несколько стихотворных апологий. Впрочем, он привык к такому отношению к себе и мирился легко; во всяком случае отношения с Пушкиным он ценил и охранял, и спустя год после карикатуры в ушаковском альбоме, в конце 1830 года, послал ему в Болдино, отрезанному карантинном от Москвы и невесты, письмо, чтобы порадовать убылью холеры в Москве: „Спасибо кн. Шаликову, он извещает меня, наконец, что холера уменьшилась. Вот единственное хорошее известие дошедшее до меня в течении трех месяцев...“ (Письмо Н. Н. Гончаровой). В конце 1830-го г. Шаликов был вхож в семьи Ушаковых и Гончаровых, и, видимо даривал девицам стишки. Пушкин, поддразнивая обе стороны, отметил это своим рисунком.

— Датируется рисунок, соответственно остальным листам альбома, апрелем-октябрем 1829 года, в Москве.

Абрам Эфрос. Рисунки поэта. *Academia* 1938 г. ст. 420.

გალაკტიონ ბაბიძის „დევის ნამუხლარი“

უცნაური ბედი დაჰყვა გალაკტიონის ლექსებსა თუ პროზაულ ნაწერებს. თითქმის ყველა მათგანი შემდგენლების ან რედაქტორების მიერაა შესწორებული ან შემოკლებული. „დევის ნამუხლარს“¹ გამოცემლები არ შეხებიან, მაგრამ სრული სახით არც მას უხილავს მზის სინათლე. გამოქვეყნებულია პირველი ნაწილი – № 1-40 (აკადემიური გამოცემა, გ. 12, გვ. 478-480; გ. ტაბიძის უბის წიგნაკი. ქართული ლიტერატურის სახ. მუზეუმის გამოქვეყნება, გვ. 35-37). მეორე ნაწილი – № 41-60, კი არქივის ლაბირინთში გაუჩინარდა, ალბათ იმიტომ, რომ ფურცლის მეორე გვერდზე ლექსია დაწერილი, დამუშავებისას მას მიანიჭეს უპირატესობა და ხელნაწერს ლექსებში დაუდეს ბინა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შერეულ ანალიზით ლექსი გალაკტიონს არ უნდა ეკუთვნოდეს (არ გავს მის ლექსებს, არც ავტოგრაფია მისი და არც თორმეტგომეულშია მოთავსებული).

ლექსებზე მუშაობისას „დევის ნამუხლარის“ მეორე ნაწილი ერთი წლით ადრე შევამჩნიე და დასაწყისის ავტოგრაფის ნახვა ამერიკის აღმომჩენლებზე ნაკლებად არ გამხარებია (არც ერთ გამოცემაში საარქივო ნომერი მითითებული არ არის). კალიგრაფიის, მელნისა და ლექსიკის მიხედვით იგი 30-იან წლებში უნდა იყოს დაწერილი. ცხოვრებასთან ჭიდილი აქაც იგრძნობა – ოჯახსა და სემინარიაში ათ მცნებაზე აღზრდილი გალაკტიონი იძულებულია კომუნისტური მორალი გაითვალისწინოს და ხაზი გაუსვას, რომ „კლასიურ“ მკერს შენდება არ ეკუთვნის (№ 20, 25).

გვეჩვენება, რომ ამგვარი შეგონებებით იგი უპირველესად საკუთარ თავს მოძღვრავდა. მათი უმეგესობის შესხენება და გათვალისწინება არც ჩვენ გვაწყენს და ამიტომ გთავაზობთ გალაკტიონის ნაფიქრალის სრულ ვარიანტს.

მარინე ყიფიანი

¹ სლმ № 24549/614-11, 1120.

ღვიძის ნამუხლარი

1. ლიგერაგურაში არაფერი ისე საზიზღარი არ არის, როგორც ეგოისტობა: ეს არის სენი ახალგაზრდასი, რომელიც ჰფიქრობს მხოლოდ საკუთარ ნაწარმოებზე – და ვერას გზით ვერ წარმოუდგენია, თუ შეიძლება საღმე უკეთესი რამ მოიძებნებოდეს. ერთი პროლეტარული პოეტი ამბობს, რომ მხოლოდ ის არის ოკტომბერი!!! (sic!) მხოლოდ ის და სხვა არაფერი!

2. მე ვიცი ახალგაზრდა პოეტს, რომელმაც დაპყრობა ჩემს თვალში ყოველგვარი ღირსება: იგი შეურაცხყოფელი და უადგილო სიყვებით იხსენებდა მეტად ღირსეულს, განათლებულს და გონიერ ადამიანს.

3. ბევრია ჩვენში პოეტი, რომელიც ეძებს მას, რისი პოუნაც შეუძლებელია.


4. ბევრია აჩქარებული და სულწასული პოეტი: საქმეს აჩქარება როდი უნდა.

5. ბევრია პოეტი, რომელიც ხვალისათვის გადასდებს საქმეს ყოველდღე: განა ეს შესაძლებელია?

6. პოეტს მხედველობაში უნდა ჰქონდეს დასაწყისი და დასასრული ყოველგვარი პოემისა.

7. როდესაც რევოლუციის ცეცხლის ალში შესვლას დააპირებ, იქვე უნდა ეძებო მისგან გამოსავალიც.

8. ყოველგვარი ლექსი, ყოველგვარი პოემა, უბრალო სტრიქონიკი, გამოძე ასჯერ და ერთხელ გადასჭერ: არ შეიძლება ბუჭდვა ყოველგვარი აბდაუბდასი.



გალაკტიონ ტაბიძე
სლმ №11451,-ი

9. ერთხელ გამოცდილს მეორეჯერ გამოცდა აღარ სჭირდება!
10. გამოუცდე აღამიანს, ნუ ანღობ თავის საიდუმლოს.
11. აასრულე დაპირებული, თუნდაც ეს სიცოცხლედ დაგიჯდეს (იყავი სიკვცის კაცი, პირობის კაცი, გატანის კაცი).
12. დაპირდი ცოგას, შეასრულე კი დაპირებულზე მეტი.
13. ისწავლეთ იყვეთ თავისუფალნი, დაუმორჩილებელნი და ქარიშხლიანნი.
14. გიყვარდესთ ყოველთვის სიმართლის თქმა (სიმართლე).
15. ნუ გადახვალთ ზომიერებას (ზომას. ზომამე მეტი).
16. შეგებლოს მოთმინების მქონე აღამიანის ცნობა.
17. იცოდეს ყველამ, რომ ცხოვრება სწრაფწარმავალია. ბანალურად: დღესა ვართ და ხვალ არა.
18. იცოდეთ ფასი ჯანმრთელობის! (ჰიმკულტურა).
19. ნუ დაღუპავთ თავის სიცოცხლეს უსაქმურობით, უქმი ცხოვრებით.
20. ნუ გაგახარებთ სხვისი უბედურება, თუ იგი „სხვა“ – კლასიური მტერი არ არის!
21. არ უნდა შევიპყროს მწუხარებამ – თუ გადაგყდა, გადაიღვარა ან გადაიწვა.
22. მე ვქვითინებ უდიდეს აღამიანებზე, რომელნიც მახეში გაეზნენ, ან ღვენას განიცდიან.
23. აღამიანის შესახებ, ყოველგვარი საქმის შესახებ, იქონიე მოთმინება.
24. იქ სადაც საჭიროა მოთმინება, არ უნდა აჩქარდე.
25. ნუ იქნები შურისმაძიებელი (არ ეხება კლასიურ მტერს).
26. იცოდეთ ზომა თქვენი მოქცევის (მოქმედების).
27. ომის დროს სახე არ უნდა მობრუნდეს.
28. სხვისი ჩხუბი თავის თავზე ნუ გადაგაქვს.
29. ჩხუბის დროს დაიცავით ზომიერება და შეურიგდით, შეძლებისდაგვარად, მალე.
30. ნუ დაიტოვებთ გულში შურს.
31. აკეთეთ ყოველგვარი საქმე მოთმინებით.
32. განერიდეთ უვარგის აღამიანს და დაუმეგობრდით ღირსეულს.
33. მზად გქონდეთ ყველა კარგი გრძნობები (გამოეხმაურეთ ყოველ კარგს).
34. ერიდეთ უმსგავსო სანახაობას!
35. ნუ დაიმსახურებთ აღამიანთა შორის ცუდ სახელს (ნუ იგებს სახელს).

36. ნუ შეიძენთ ნაწილს ნაჭურღალ ნიეთებისას.
37. სამეფო პალატის ახლო სახლს ნუ აიშენებთ.
38. ნუ დასახლდებით დუქნების ახლო!!!
39. განერიდეთ მნეობრივად დაცემულ ადამიანებს და მათ მსგავს ადგილებს.
40. ნუ გინდა უზნეო და უზრდელი თანამშრომელი ან მეგობარი!!!
41. ნუ გაუდგები გზას უამხანაგოთ.
42. მუხლს ნუ მოიყრით უღირსის წინაშე (თავს ნუ დაიმცირებ).
43. საკითხს ნუ გადასწყვეტ განრისხების დროს.
44. უცნობ ნიადაგზე ნუ გააშენებ ხეხილს (ხეებს).
45. მარილიან, მწირ ადგილას ნურაფერს დასთესავ.
46. ყოველგვარი ეროვნების კაცთან, ერთნაირი სახის ცხოვრებას ნუ იქმნ.
47. უღირსთან ნუ დაჯდები.
48. ნუ გაპყვები საუბარს ფარისეველ, უნიჭო და თავქარიან ადამიანთან, ერიდე მის პურმარილს.
49. ნუ აყენებ უსიამოვნებას მეორეს და ნუ დაუწყებ უმიზეზოდ ჩხუბს – კამათს.
50. მეგობრობასა და სიყვარულს ნუ უცხადებ ადამიანს, რომელსაც პირველად ხედავ.
51. ნუ დაუწყებ ლაპარაკს ამაყს, უგონოს და ღვინის მსმელ ადამიანს.
52. ნუ სთვლი თავის თავს დიდებულ ადამიანად.
53. ერიდე ენაჭარგალა ქალს, მოკამათეს, მოჩხუბარს.
54. დარიგება მიეუ მას, ვისაც უყვარს მისი მოსმენა.
55. გიყვარდეს სუფრის, პურმარილის სხეასთან გაზიარება.
56. ნუ მისცემთ შესასრულებლად შეუძლებელს ბრძანებას თქვენს თანამშრომლებს, თანამსახურებს, მოსამსახურეს.
57. ერთგული მეგობარი არ უნდა შეგეზიზნოს.
58. ნუ სცემ მოსამსახურეს, შემთხვევით მიზეზის გამო.
59. ნუ შეგშურდება სხვისი ბედნიერება ანუ სიკეთე.
60. თავისი პური სხვის მაგიდაზე, სხვის სუფრაზე არ უნდა დასდო.

გალაკტიონ ტაბიძის დღიური



გალაკტიონ ტაბიძე
სლმ №11451₂₈-4-ი

გალაკტიონ ტაბიძის არქივი ის ამოუწურავი საღაბროა, რომელშიც მკვლევარი მისთვის საინტერესო საკითხებზე ყოველთვის იპოვის სხვისთვის შეუმჩნეველ ნიუანსებს, მოვლენებს, ფაქტებს, რომლებიც ახლებურად დაგვანახებებს დიდი პოეტის პიროვნებას, მის ყოფას, ამრთა ჭიდილს, იმ გვიღებს, რომელთაც თავისი მარტოსულობის გამო განიცდიდა.

ოლია ოკუჯავა¹ შენიშნავდა, რომ გალაკტიონს ჯიბეში მუდამ ელო ბლოკნოტი და ფანქარი, წერდა ყველგან რაც კი გაახსენდებოდა ან მნიშვნელოვნად ჩათვლიდა, მის 625 უბის წიგნაკში ბევრი საყურადღებო ჩანაწერია, მაგრამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა,

ეს ჩანაწერები დღიურის ხასიათის არაა. სწორედ ასეთი ჩანაწერი გვსურს შემოგთავაზოთ (სლმ № 24549/540), რომელიც 1921 წლის 20-24 აპრილითაა დათარიღებული და საქართველოს იმდროინდელი ბობოქარი დღეების ანარეკლია, მაშინდელ ლიგერაგურულ ცხოვრებას ასახავს და მწერალთა ის შეხლა-შემოხლაყა აღწერილი, ცხოვრების ახალ პირობებში დასამკვიდრებლად რომ იმართებოდა. აღწერილია გალაკტიონის განცდები იმის გამო, რომ იგი ვერ ხედავდა საკუთარ ადგილს ამ დაჯგუფებებში და როგორც ტიციან ტაბიძე უწოდებდა – „მარტოობის ორდენის კავალერი“ ამაოდ ცდილობდა საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. ჩანაწე-

¹ ოლია ოკუჯავა (1888–1941) – გალაკტიონ ტაბიძის მეუღლე.

რებში უხვად არის მიმოხილული თანამედროვეთათვის გამაღიზიანებელი გალაკტიონისეული თვითშეფასებები, რომლებიც დღევანდელი გადასახულიდან უკვე ბუნებრივად ქლერს – „პოეტების მეფემ“ კარგად უწყობდა საკუთარი ნიჭის ფასი. იმასაც გრძნობდა, რომ სწორედ გამორჩეულობის გამო გარშემომყოფებისაგან გაუცხოებული, მარტოკაცი იყო. სულიერ მეგობრობას ვერავისთან ახერხებდა და ამის გამო იგანჯებოდა.

აღნიშნული დღიურიდან ვახტანგ ჯავახიძეს წიგნში „უცნობი“ (თბ., 1996 წ. გვ.: 59, 100, 141, 144, 286) გამოქვეყნებული აქვს აბზაცები, რომლებიც ავგორს თავისი მოსაზრებების დასადასტურებლად გამოუყენებია, მაგრამ ისინი მიახლოებით წარმოდგენასაც ვერ გვიქმნიან დღიურის ძირითად არსსა და სულისკვეთებაზე.

დღიურს ადამიანი თავის გაუმხელელ ფიქრებსაც ანდობს და ამდენად, ერთგვარ მკრეხელობადაც კი მიგვაჩნია მისი წაკითხვა, მაგრამ ვითვალისწინებთ რა, საყოველთაო ინგერესს გალაკტიონ გაბიძის მიმართ და იმასაც, რომ პოეტის დღიურში ბევრი საინტერესო მოვლენა და პიროვნებაა ასახული, ვბედავთ ამ ჩანაწერების სრულად მკითხველთა სამსჯავროზე გამოგანას.

მარინე ყოფიანი

დავლიე რა რიუმკა კონიაკი, მე გავეშურე კად. კორპუსისკენ. იქ დანაკლისის შესახებ ვნახე და ველაპარაკე სახ. შინაგან საქმეთა კომისრის მდივანს: ის თურმე კიდევ მცნობდა და ღიღებულად მიმიღო. ვნახოთ, რა გამოვა. საზოგადოდ საზოგადოებაში თანდათან ესარგებლობ იღუმალი სიმბაგით, რაც ძნელი გამოსაცნობი არაა. საღამოს აკადემიის სხდომაა. გრ. რობაქიძე კითხულობდა ლექციას ნოვალისის¹ პოეტიკის შესახებ. მან აღწერა ნოვალისის გარე ცხოვრება, მისი სულიერი ცხოვრება და აქედან გამოიყვანა მისი პოეტიკაც. იგი კითხულობდა წიგნიდან ციგაგებს და ასე ლექციის წაკითხვა არავისთვის ძნელი არაა. მაინც ლექცია ძლიერ საინტერესო გამოვიდა ერთის მხრით: მან ნათლად დაამტკიცა რობაქიძის არაპოეტიკობა, და ამისთვის შესაფერისი საფუძვლების ძიება... ჩემის აზრით, არ ვიცი რატომ, რობაქიძე გარდა იმისა, რაც თქვა ნოვალისზე, მეტს ვერაფერს იცყოდა, რადგან მისივე დახასიათებით ნოვალისი უფრო სხვა კატეგორიის პოეტიკა ვინემ რობაქიძე. იგი უფრო სულიერი ცხოვრების წარმომადგენელი კაცია. შეიძლება მიუახლოვდეს ოდნავ როგორც ფილოსოფოსი და ვიარქსლავ ივანოვის² მოწაფე. მაგრამ სად ნოვალისი და სად ვიარქსლავ ივანოვი? სად „პროკურორი“ და სად „კურდელი“? სად პროლეტარი და სად „ჩიგი“. გერონტი ქიქოძეს უთქვამს: სად გამოიხახავს რობაქიძე ასეთ გემებს. პაველე ინგოროყვას აზრი ვერ გავიგე სამწუხაროდ.

საინტერესოა ნოვალისის ცხოვრება. ძლიერ საინტერესოა შილდერის³ დახასიათება: მაღალი, ფართე შუბლი და ვიწრო სახე, დიდი ცისფერი თვალები მისტიური ეცესლით, საინტერესოა მისი დაახლოვება სოფიოსთან, მისი უზომო სიყვარული და საშინელი მწუხარება სოფიოს გარდაცვალების გამო. ნოვალისი თურმე ამბობდა: ეხლა მკვდარი ვარ მე... „მე“ აღარ ვარსებობო. რა თქმა უნდა, ეს მწუხარება დიდხანს არ გაგრძელდება და ნოვალისმა მალე სხვა ცოლი შეირთო: რობაქიძის აზრით, ეს დიდ საგონებელში აგდებს მის ბიოგრაფებს (ძალიან იდიოტები ყოფილან). მათ რომ დაკვირვების უნარი ჰქონოდათ ისინი დაინახავდენ, რომ მთელი დედამიწა და შეიძლება თვით ის ბიოგრაფები სწორედ ასე იქცევიან და ნოვალისის სულიერი ცხოვრება სავსებით დამოკიდებული იყო მის

¹ ნოვალისი - გეორგ ფილიპ ფრიდრიხ ფონ პარდენბერგი (1772-1801) - გერმანელი პოეტი და ფილოსოფოსი.

² ვიარქსლავ ივანოვი (1866-1949) - რუსი პოეტი, სიმბოლისტი.

³ იოჰან კრისტოფ ფრიდრიხ შილერი (1759-1805) - გერმანელი დრამატურგი, პოეტი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ისტორიკოსი, განმანათლებელი, გერმანული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

მაგერიალურ არსებობაზე, მის სხეულზე. ეს ისეთი ნათელი ფაქტია, რომ არავინ საგონებელში არ უნდა ჩააგდოს. ნოვალისი ერთი ხაზის, განსაკუთრებული სულის და იდეის კაცი არ ყოფილა. იგი უბრალოდ ჩვეულებრივი სუსტი ნების კაცი იყო... შემდეგ ნოვალისს ეწვია მისტიური შიში სიკვდილის მოახლოებისა, [ეს ფიზიოლოგიურადაც] ადვილი გასაგებია... [არავითარი] სხვა ამრი აქ არ შეიძლება იყოს, [...] კაცი დასუსტდება, გაკრეგინდება და [...] იგი მაინც სიკვდილს არ ელის. მართლაც ძალიან კრეგინი ყოფილა. ნოვალისს სჯეროდა, რომ კაცი არ მოკვდება არასდროს, თუ იგი ამაში დარწმუნებულიაო. ამას, რა თქმა უნდა, სხვა სარჩული უნდა მოენახოს, თორემ რეალურად ასეთი სასაცილო ამრი მეორე შე არ ვიცი. არსებობა რაღაც მეორე „მე“-სი, ჩვენ [თითქო] ანარეკლი ვიყოთ იმ მეორე „მე“-სი. ეს ლამაზი იდეაა, გამოხატულებაა უფრო სულ სხვა ამრის, მაგრამ ამის ჭეშმარიტ საფუძველზე დამყარება მიქარვია. მე მესმის ეს. მე განმიცდია ეს... (...ჩვენში არის დაფარული მეორე „მე“ – უფრო ნამდვილი, ვინემ ხილული „მე“. სწორედ ამ უხილავ „მეს“ გამოაშკარავებაშია მთელი საქმე და მიზანი პიროვნებისა. აქ ინტელექტი თამაშობს უდიდეს როლს, შეიძლება გადამწყვეტსაც. შესაძლებელია „მე“ სამუდამოდ დამარხული დარჩეს და გამოუაშკარავებელი). ასე, რა საფუძველი უნდა ედოს ამ იდეას: დარწმუნება იმისა, რომ ადამიანი არ მოკვდება... ეს „ნიგილისგურია“ თუ არა... შეიძლება ეს ნიგილისგური არ იყოს და იყოს უბრალო გაკრეგინება, ყინიანობა.

რობაქიძემ ამ ბიოგრაფიიდან გამოიყვანა მისი პოეტიკაც. მხოლოდ ხანდახან არის შესაძლებელი ბიოგრაფიული ხაზებიდან პოეზიის საფუძვლების ძიება. მე პირადად პოეზია მესმის როგორც სხვა, არაჩვეულებრივი, სხვანაირი [ეთიკ.] ცხოვრება. ბიოგრაფიასთან პოეზიის მიგნების ძიება ძველი მეთოდია, თუმცა არა... ხშირია ასეთი მეთოდები ეხლაც. ცხოვრება ყოველთვის დიდ მასალას აძლევს პოეტს და თვითონ ვალერი ბრიუსოვი¹ ამბობს, რომ ვერლენში² შეერთებული იყო პოეზია და ცხოვრებაო. მართალი ამრია, რომ პოეტი ცხოვრების ნაპირების გაღრმავებას უნდა ცდილობდეს, მაშინ რაღაც ახალი აღმოჩნდება ყოველთვის.

ნოვალისში იყო ბევრი რამ მეტაფიზიკური, ბევრი მისტიციზმური და ძლიერადაც. რობაქიძეს პოეტი ვერ წარმოუდგენია (ამ მხრით დაასახელა ნოვალისის [როლი] ვიჩქესლავ ივანოვი და სხვ.). საინტერესოა, როგორ ესმის რობაქიძეს მისტიციზმი? რა არის მისტიციზმი სხვა გარდა მსოფლიოს მეორე არსად შეცნობისა, სიკვდილისა და სხვ. აგრეთვე სიყვარულისაც

¹ ვალერი იაკობის ძე ბრიუსოვი (1873–1924) – რუსი მწერალი, სიმბოლიზმის წარმომადგენელი.

² პოლ ვერლენი (1844–1896) – ფრანგი პოეტი, სიმბოლიზმის წარმომადგენელი.

(სიყვარულს ნოვალისი რელიგიას უწოდებს).

მოხსენების შემდეგ ილაპარაკა გამსახურდიამ. მან აღნიშნა მუსიკის არ არსებობა სამოგადოდ პოეზიაში (ყველა თავის უნიჭობის საფუძვლებს, იდეოლოგიურ გამართლებას ეძებს). პოეზიაში გერმანიაში განდევნილია არტიკლებიო, ეს კარგი, ქართულ სიგყვაში არაა არტიკლები. რობაქიძეს ამნაირად ესმის მუსიკა: თვითუელ სიგყვას, რანაირიც არ უნდა იყოს იგი, აქვს თავისი მუსიკაო. მაშინ რა არის კეთილხმოვანება, რისთვის ამბობს იგი წყალიდან და არა წყლიდან. თუ სიგყვაში არის შემეცნება და საზრისი, აზრი, რაგომ არ შეიძლება იგი თანაბრად გამოიყენოს. მე უნდა დავარწმუნო ეს ვაჭებაგონები, რომ არის პოეზიაში მუსიკა, არა ქვების (მალარმე), არა არტიკლების (გერმანული პოეგები), არა ვერლენის (ნიუანსები), არამედ სხვა... ნიჭის, ნიჭის და კიდეუ ნიჭის: ეს მართალია პარადოქსია, მაგრამ სხვანაირად ვერ ახსნით ამას, სიგყვა არც რომანსია, არც სიუიგა, არც ოპერა, ამათ ყავთ თავიანთი კომპოზიგორები. სიგყვა გამოძახილია მხოლოდ სხვა დიდი მუსიკის, რომლის სახელიც უნდა მოინახოს. ერთი რამ აღმოჩნდა: მუსიკა აქ სხვა და სხვანაირად ესმით, ორნაირად ესმით: ერთი როგორც გამოსახულება და მეორე როგორც მუსიკა. ამნაირად ჩვენ, მგონია, ბევრში ვთანხმდებით, ბევრში ვერ ვრიგდებით. ეგ ჯერჯერობით არაფერია. რა თქმა უნდა პოეგებმა გულდამშვიდებით მოისმინეს მისი ნაამბობი და სრულიად ჩუმად დაიშალენ. ეგყობოდათ უფრო მეტი დაფიქრება, ვინემ აყუნდრუკება ლეონიძესავით ეს ძალიან მოსაწონია.

ლექციის შემდეგ ჩაი დაველით პაოლოსთან.

აქ მე პირდაპირ ობლად ვგრძნობ თავს. იმდენად უსინდისოები არიან, რომ ყოველნაირად გერორს მიკეთებენ სიგყვის თქმის დროს, ერთმანეთს გადახედავენ ხოლმე და სხვა. ეს კარგი, მე მშვენიერად ვგრძნობ თანდათან რანაირად მოვიქცე.

რა უბოლოო, რა დიდ და ღრმა მწუხარებასა და მარგობას განვიცდი; დაეკარგე ყველაფერი რაც მიწერია ბავშვობიდანვე... სულ ყველაფერი. არასდროს არ მიგრძენია რაიმე მსგავსი გრძნობა: განვიცდი ამის გამო დიდ მარგობას: თითქო მომკვდარიყოს ჩემი სიყმაწვილე: მთელი ჩემი სიყმაწვილე, მრავალი [გაუთავებელი] ღამეები, მრავალი გრძნობები სიხარულისა, მუყაითი შრომის, ენერგიული თავგამოდების... ჩემი დღიურები. ჩემი ლექსები... ვერასდროს, ვერასდროს, ვერასდროს მათ ვეღარ ვნახავ... ვერსად მათ ვერ ვნახავ, დაწერილებს მსუბუქი ხელის

¹ სტეფან მალარმე (1842–1898) – ფრანგი პოეტი, სიმბოლიზმის თვალსაჩინო თეორიკოსი და წარმომადგენელი.

ახალგაზრდური სიმსუბუქით და გატაცებით (ონეგინისებური) უზრუნველობით, ყველაფერი დაიკარგა: ოპ, ძვირფასო წერილებო საყვარელი ქალისა: რა სასოებით, რა იღუმალი სიამაყით გინახავდით თქვენ... რა თაუდადებული წარსულის შუქი გამაშუქებდა თქვენ გადაფურცელაზე, ეხლა ყოველივე ეს მკვდარია: თქვენ, იღუმალებით საფხე ნაწყვეტებო, რომელთაც მოწიწებით გინახავდით მომავალი დიდი რომანის დასამუშავებლად... თქვენ, ჩემო ძვირფასო წიგნებო: გოგო¹, ვერლენ, რემბო²! თქვენც, ჩემო მშვენიერო სურათებო, არავინ, არავინ, არავინ თქვენგანი არ დაბრუნდება, არც ერთი თქვენგანი არ გამიღიმებს და ვარ მარგო ეხლა, სრულიად მარგო. არასგზით არ შემიძლია ვთქვა: ვერაფერს ვერ გაუაკეთებ აწ. მაგრამ ის, რაც დაიკარგა, რა დამიბრუნებს მას? ვერავენ, ვერავენ, ვერავენ. გაპქრა წარსული: ჩემი გული, ჩემი იმედი მომავალისა. ეხლა მემინია იმაზე ფიქრი, თუ რა მომელის მე მომავალში. ვინ დამიჭერს შხარს? ვინ მომცემს ძალას. არ ვიცი. დიდი, დიდი, დიდი მწუხარება... გალაკტიონ გაბიძე აღარ არის... გაუმარჯოს გალაკტიონ გაბიძეს.

გიციანმა თქვა, როდესაც რობაქიძე ლაპარაკობდა ბარათაშვილზე (ნოვალისსა და მას შორის ნახა მსგავსება), საზოგადოებაში გალაკტიონს გადახედაო... ეს ირონიულად სთქვა... მასხრად, ვნახოთ, ვინ იქნება ავადებული. რობაქიძის ლექცია მთლად მეგერლინკიდან³ იყო. სიცილი კიდევ გიციანის რეფერატზე იქნება. პაოლო და გიციანი ძალიან მეგობრები არიან, მაგრამ ძლიერ წაიჩხუბებიან. ეს სულ ახლო მომავლის საქმეა. მათი ჯგუფი...

ლეონიძე ამბობდა გესლიანად: საზოგადოება გულდასმით ისმენდა და დებოშს არ აკეთებდა; განსაკუთრებით ის, საგანელის⁴ ხალხი რომ არისო. ეს უნდა იყოდეს კარგად საგანელმაყ. კოლია მიწიმილი ლეონიძის გესლიანი მუსუსია... საერთოდ ჯერჯერობით ირგვლივ მხოლოდ გესლიანობაა. საჭიროა დაარსდეს ფართო სალიტერატურო აკადემია და ამას ცოგათი მაგათი გამაგრებული მნიშვნელობა ექნება ყოველი მხრით. საინტერესოა, რატომ არ არის ასეთი მუშაობა ეხლავე დაწყებული. ისინი ხელს შეუშლიან ამასაც, მაგრამ ეს არაფერია. საქმე თავისით წავა წინ. ძლიერ წავა წინ. საჭიროა ერთი თესლი გადავარდეს, ერთი ნაპერ-

¹ თეოფილ გოგო (1811-1872) - ფრანგი მწერალი.
² ეან ნიკოლა ართიურ რემბო (1854-1891) - ფრანგი პოეტი.
³ შორის მეგერლინკი (1862-1949) - ბელგიელი მწერალი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1911).
⁴ გიორგი საგანელიძე (1899-1922) - პოეტი.

წკალი და იგი თავისით სწრაფად აინთება: იგი ძლიერ გაიზრდება და უშველებელ ალად გადაიქცევა. რობაქიძეს ჰგონია, რომ მან ყველაფერი იცის, ფაქტიურად კი ეს ასე არ არის. ეს მალე დამტკიცდება.

შემდეგი კრება არის პარასკევს, კ. აბაშისპირელი¹ წაიკითხავს მოხსენებას პოემიამზე, საინტერესოა. აბაშისპირელი უარყოფს ყოველგვარ მუსიკას. რობაქიძე საშუალოდ უარყოფს. გიციანი უთუოდ თავისად გამოიყენებს. პაოლო ბევრს იყვირებს და სხვა არა იქნება რა. ძალიან, ძალიან სიმპატიური ხალხია.

საცოდავები! მალე მაგათი ხსენება აღარ იქნება. აქა იქ გამწვებულია მკურავი დინამიტები, საცაა აფეთქებიან.

უმრავლესობას სწყურია გამბედავი მეთაური: მთელი ეს ხალხი ამაყი და შეუგუებელი ხალხია. ფსიხოლოგიურად ეს გასაგებია. საჭიროა სხვა, რუქაზე არსად არ აღნიშნული პოლიუსის, რომელიმე კამჩატკის გამონახვა. უნდა იცოდეს გერონტი ქიქოძემ რა ამრის არიან მასზე. რობაქიძე და ტაბიძე და იაშვილი. როდესაც ამას გაიგებს, იგი სავსებით ჩვენ მოგვემხრობა. საზოგადოდ მაგათი ხერხი და იარაღი პროვოკაცია და ენის მიტან-მოტანაა. უნდა გავაგებინოთ პავლე ინგოროყვას, რომ ისინი მას უნიჭოს უწოდებენ. რობაქიძე წინააღმდეგი იყო შალვა დადიანის იმიტომ, რომ იგი ლოთიაო. ობოლმა მუშაშ, რუხაძემ, აბაშელმა და სხვებმა ეს ძალიან კარგად უნდა გაიგონ. ამაშია თვით მაგათი ხსნა. შემაერთებული ძაფი უნდა მოინახოს. უამისოდ მოსალოდნელია სწრაფი კატასტროფა... მაგათი ამრი ასეთია...

21 აპრილი

მე წინადადება მომცეს მონაწილეობა მივიღო შეიდი მაისის გაზეთში. ვამზადებ ყუმბარას: მანიჩესტს; იქნება აფეთქება. შალვა კარმელმა⁴ მითხრა: მე თქვენზე სულ სხვა წარმოდგენის ვიყავი: მეგონეთ ვიდაცა ყაჩაღი და აღმოჩნდით ძალიან და მეტად მშვიდობიანიო. ცოტათი ახლოა ყოველივე ეს სიმართლესთან: ეს მან სთქვა იმის გამო, რომ სურთ მწერ-ლებს ბინა წამართვან და მე კი არაფერს ვამბობ. ობოლი მუშა ძალიან სიმპატიური აღამიანია. გიციანი რაღაც იღუმალადა მეუბნება: არ შეიძლება ამდენი ხნის ჩვენი ბოიკოტიო. მართლაც, დროა გამოსვლის!

ჩამოსულა ვანო იოსელიანი⁵. ამბობენ, სოფელი ძალიან მოხდენიაო.

¹ კ. აბაშისპირელი - კ. გამახურდიას ფსევდონიმი.

² სოლომონ თავაძე (1890-1960) - მწერალი.

³ ვარლამ რუხაძე (1874-1935) - პოეტი.

⁴ შალვა კარმელი (შალვა გოგიაშვილი) (1898-1923) - პოეტი, „ციხურყანწელი“.

⁵ ივანე იოსელიანი - მწერალი, 20-იანი წლების პერიოდიკაში იბეჭდებოდა ი. თანის ფსევდონიმით, 1946 წ. გამოქვეყნდა მისი მოთხრობები.

საინტერესოა. რას იზამს ესლა იგი. მე არ ვიცი, როგორი დამოკიდებულება მექნება მასთან. ძალიან ბევრჯერ დავრწმუნდი, თუ როგორ შესანიშნავი ადამიანია ის ხანდახან და როგორ გაუგანელია მოგჯერ: საერთოდ მე ვერასდროს ვერ გადავიხდი მის ამავს: Я его провоцировал! მაგრამ მაპატიებს ალბათ: უკანასკნელი მისი აუადმყოფობის დროს მე მსურდა მენახა იგი და ვერ ვნახე... სოფელში ხშირად ვფიქრობდი მასზე. კარგია რომ ამ ორომგრიალში უბედურებას გადაარჩა... იგი ძალიან ამაყია. სურდა განისამოსის შეკერვა: (შეიკერა თუ არა?) სურდა სიმიდის გაყიდვა. გაყიდა თუ არა? საერთოდ: გიჟია ძველი სკულენგისა და ახალი ბოგემის: უუძველესი ქართული უდარდულობის და უახლესი ევროპული მელანხოლიის. სპლინამდე ჯერ არ მისულა და შეიძლება არასდროს არ მივიდეს: საამისოდ მას დრო არ ჰქონია. მაინც არც ისე საჭიროა ესლა ეს... უყვარს ომი და რევოლიუცია. ესეც კარგია. უყვარს ლიტერატურა: ჩეხოვი, ტურგენევი და აკაკი წერეთელი მისი ღმერთებია: ამ სიყვარულშიც იგი დასრულებულია როგორც გიჟი. ძალიან გამჭრიახი გონებისა და მოსწრებული სიბრძნის კაცი, ყველგან ახდენს თავისებურ გავლენას და ჩვენ შეგვეძლო სამუდამო მეგობრები ვყოფილიყავით, რომ ერთმანეთი არ მოგვებზრებოდა ხანდახან, მეტად ხშირი შეხვედრის, მეტად ხშირი, მეტად ხშირი ღვინის სმის, აქედან გამოწვეული გაკრეტილების გამო. ხელს ვვიმლიდა ის გარემოება კიდევ, რომ მე გამოანგარიშებული მქონდა თვითთული დღე, თვითთული ნაბიჯი, მისთვის კი ამგვარი საქმეები არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ. მისთვის ეს ყოველივე ერთი იყო. საზღვარი არ ჰქონდა მის უდარდულობას და ეს კიდევ გამართლდებოდა რაიმეთი, რომ მაგერიალური გარემოებები არა! საერთოდ ბევრი რამ უშლიდა ხელს, რომ ვყოფილიყავით ერთმანეთის თავდადებული და უსაყვარლესი მეგობრები. ესლა იგი ჩამოვიდა: ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს გულწრფელად: მხოლოდ, მეორე დღეს შეიძლება სრულიად ვეღარ ან აღარ შევხვდეთ. რა სამწუხაროა! შესაძლებლობა იყო და არ მოვისურვეთ... ესლა ჩვენ არ გვაერთებს არაფერი, სრულიად არაფერი... შეიძლება მე ვცდები? მაშინ ეს ფურცელი ღლიურისა სავსებით ამოხეული იქნება ამ წიგნიდან.

აშნაირად...

საღამოს ვიყავი კონსერვატორიაში, სადაც ბოვდაგიევმა უსინდისობით სავსე რეფერატი წააკითხა გოლსტომზე. გოლსტომი არც მე მრწამს დიდათ, როგორც ფილოსოფოსი, მაგრამ იგი გენიალური მხატვარია... რეფერანტი რაღაცას მიედმოედო გოლსტომისა და რევოლიუციონური იდეალიზმის შესახებ. იპოვა ოდნავი ანარქიზმი (გუშანიგარული და არა

რევოლიუციონური), რაღაც სხვანაირი ჩულკოვის მისტიური ანარქიზმის მსგავსი და სხვ. სიტყვა, რომ გოლსტოის უყვარდა ორნამენტები უსაშუალებოდ, ჩვენ კი, რევოლიუციონერებს, ვეყვარს შავი მუშაობა, გალახი, რომლისგანაც ორნამენტი მზადდება. დაასრულა მან რევოლიუციონური პათოსით. კარგად, შესანიშნავად კითხულობდა ერთი ქალი ნაწყვეტს ანნა კარენინადან, იგი ძალიან ლამაზი იყო და თვითონ ძალიან ჰგავდა ანნა კარენინას. მე ვერ მოვითმინე გამოსვლისთანავე პირდაპირ არ შემეხედა მისთვის თვალებში. ხვალვე იგი დამავიწყდება. – მე მახსოვს ანნა კარენინა გერმანოვა... და შემახსოვრება მუდამ.

გიციანი საღამოთი იმეორებს ფრაზას: „Мыслию как мужчина и живу как женщина“. მას „გოვარიში ლიუბაშ“ უთხრა, რომ სრულიად არ ჰგავს პოეტს და უფრო დამნაშავე „პრესტუპნიკის“ თვალები აქვს. ამან იგი ძალიან დააღონა. კარადარვიშმა¹ ერთ ლამაზ სომხის ქალთან ასე წარმადგინა: „Познакомьтесь, „Король поэтов“ და სხვ.

ბოგდაგიევი თავის ლექციის კითხვის დროს მიეყრებოდა მხოლოდ მე... „მოსალოდნელია“ და სხვ. პაოლომ ფ...

Смело, ясно, приветливо нужно смотреть всем в глаза! Всему и всем! შენ არავის წინაშე დამნაშავე არ ხარ... შენი სული სავსეა იმ მარგალიტებით, რომელისთვის სხვა თავს მოიკლავდა, შენ კი გაჩერებულხარ და სრულიად არ აფასებ მას. ასე არ შეიძლება. ეს ნამეგანია. ეს არ გეკადრება შენ... შენ ისეთი დიდი ხარ და იმდენად წარმოუდგენლად დიდი, რომ ვერც კი გინდა შეამჩნიე იყო ეს ვისმეს... სულ, რამდენი რამ დაჰკარგე... მაგრამ ნუ შეშინდები... Смело, ясно, приветливо нужно смотреть всем в глаза! და სამაგიერო ჯილდოსაც მიიღებ... რამდენია განადგურებული და ობოლი სული, ყველას ნუგეში უნდა, ეს აუცილებელი ნუგეში უნდა მოიფინოს ყოველგან შენ მიერ და შენ მიიღებ სამაგიეროს. უმთავრესია: Смело, ясно, приветливо...

Да...

22 აპრილი

საეკა მალე დაიწყება სხლომა აკადემიის. ვინ არიან მისი წევრები, ჯერჯერობით გამოურკვეველია, ეს თანდათანობით გამოირკვევა და ალბად თვითონ უცდიან ამას ინიციატორები. ჯერჯერობით კი არაფერს არ აგებენ. მე, „ЗЛОЙ ГЕНИЙ“ საქართველოს პოეტების, ვინ იცის კიდევ რა არ როლს ვითამაშებ გარემოებებში. არა... მე თანდათან ვრწმუნდები არც ერთს მათგანს არა აქვს ჩემდენი დაფარული პოეტური ენერჯია. ეს

¹ ყარა-დარვიში – სომეხი პოეტი.

ენერგია თავისთავად, უჩემოდ იკვალავს გზას და სადმე დაგუბებული ვულკანისებური ცეცხლით ამოხეთქავს. იგი გაანადგურებს ყოველივეს რაც კი წინ დახვდება. გაანადგურებს, დაღეწავს, დაანგრევს. გაუმარჯოს მომავალ ბრწყინვალეებას და მეფეს ქართველი პოეგებისას. შორს არაა ის დრო, როცა კიდევ იგრიბლებენ გაზეთები, ქუჩები, თეატრები. ამ ხმას აყვება მსოფლიო. გაუმარჯოს მსოფლიო რეზონანსს.

ფიქრობ: სად არის არგემ გაბუნია? მან მშვენივრად იცის (მთელი თვეა), რომ მე თბილისში ვარ და იგი სრულიად არ ცდილობს ჩემს ნახვას. რაშია საქმე? საცოდავი ბავშვი! როგორ დაილუპა. მან თავისი ცხოვრების უდიდესი ნაბიჯი ისე გადადგა, რომ მე არაფერი არ დამეკითხა: იმდენად იგი არ დამენდო მე, იმდენად იგი ფიქრობს, რომ მე ორპირი და გაფუჭებული ადამიანი ვარ. არ დამეკითხა მე? დაკითხებოდა სხვას მაინც? მაგრამ მას მეგობრები არ ყავდა. და იგი დაილუპა. საცოდავი, საცოდავი ბავშვი... ვინ იცის, რა საშინელი როლი არ ვითამაშე მე მის ცხოვრებაში? შეიძლება იგი ეხლა კმაყოფილია ყველაფრით, მთელი თავისი ცხოვრებით: მაშინ იგი საკმარისად სულელი ყოფილა, დიახ, სულელი. დაკმაყოფილება ისეთი ქალით, რომელიც ქუჩაში თავს სიმახინჯით „კაშმარების ბალიშს“ აფარებს, ან იდიოტობაა, ან კიდევ მეტი სახელი, მთლად გაყვეთილი სულის პაგრონობაა... მაგრამ ეს ასე არ არის: არგემი არ არის ასეთი სული: მასში ღრმადაა გამჯდარი გრძნობა სილამაზის... მშვენიერების...

ერთი სიგყვით: იგი დაილუპა.

ეხლა ჯერია გიორგი საგანელზე, მაგრამ მან ჯერ უნდა იცოცხლოს... ეს საჭიროა ჩემთვის... დაილუპა თუ არა [...] არ ვიცი... ჩემთვის იგი ყოვლად გამოუსადეგარია. მე უნდა ვერიდო ამიერიდან მას. დიპლომატია... დიპლომატია, დიპლომატია!!!

24 აპრილი

რამდენ ძალასა ვგრძნობ, რამდენ ნიჭს, რამდენ ღირსებას ჩემში: არისტოკრატიულს, შვენიერს, უსათუოდ შვენიერს... მახალისებს ყოველივე. მე გავიმარჯვებ, ჩემი დიდება აუცილებელია, ჩემი შუქმოსილი ბრწყინვალეობა დააბნელებს ირგვლივ ყველაფერს... ეს აუცილებელი მოვლენა და დღე იქნება მალე, ძალიან მალე.

3 მაისი, 1921 წ.

და იყო მწარე ხილი იგი ვითარ აბზინდი.

¹ არგემ გაბუნია – პოეტი, იბეჭდებოდა 20-იანი წლების პერიოდიკაში.

კობე მაყაშვილის დღიური ანუ „აზრთა დომხალი“



კობე მაყაშვილი
თბილისი, ს. ა. მიწნიკის ფოტო
სლმ №1165-ი

პოეტის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, 1915 წლის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორის, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებლისა და პირველი თავმჯდომარის, ხელოვანთა კულტურის კომიტეტისა და ხელოვანთა სასახლის თავმჯდომარის კოგე (კონსტანტინე) მაყაშვილის (1875–1927) არქივში დაკულია საინტერესო დღიური ანუ, როგორც თავად მწერალი უწოდებს, „აზრთა დომხალი“.

მე-16 საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ახალი ჟანრის – ესეისტიკის დამამკვიდრებელმა მიშელ მონტენმა თავის „ესეის“ მკითხველისადმი მიმართვა წაუძღვარა და განაცხადა, რომ

სახელის მოსახვეჭად არაფერი დაუწერია, არც იმისი იმედი ჰქონია, რომ მისი თხზულება მკითხველს რაიმე სარგებელს მოუტანდა, არა – ის წიგნი ნათესავე-მეგობრებს უძღვნა, რადგან სურდა, რომ სიკვდილის შემდეგ ამ ნაწერების მიხედვით ვაფასებინათ მისი იერიცა და ხასიათიც. რაღაც მონტენის სურვილის მსგავსი კოგე მაყაშვილის 1902 წლის 26 ოქტომბერს დაწერილ ბარათშიც იკითხება: „ვწერ ამას მხოლოდ ჩემთვის და არა ქვეყნისთვის... ამის წამკითხველი და დამწერიც მარგო მე ვარ“.

„აზრთა დომხალი“ 1898 წლით თარიღდება. „აზრების“ დაწერის თარიღები ერთიმეორეს არ მიჰყვება, ზოგი ადრეა დაწერილი, ზოგი –

გვიან, რადგანაც კოტე მაყაშვილისათვის ყოველგვარი სისტემა მიუღებელია.

დღიური საესეა მაყაშვილის ჩვევების (მაშინ იგი მხოლოდ 21 წლის იყო), მისი სულიერი განწყობისა და გრძნობების აღწერით. „აზრთა დომხალის“ პირველი ფურცლებიდანვე თვალში გვეცემა ჩანაფიქრის არაჩვეულებრიობა, ნაწერი თითქოს არავითარ განსაზღვრულ გეგმას არ ემორჩილება, მაგრამ საერთო ხაზი მაინც იგრძნობა. თხრობის რიგში სრულად მიესადაგება ავგორის აზროვნების სელასა და ფიქრების დინებას. თავისუფლება და ბუნებრიობა დამახასიათებელია როგორც დღიურისათვის, ასევე მისი ავგორისათვისაც. მაგრამ თავისუფლება სრულიადაც არ ნიშნავს ქაოსურობას. მისი ლექსიკონი მწირია და გაუმართავი. ზოგან სიგყვა მოიკოჭლებს, მაგრამ ამასაც იოლად მოეუძებნით გამართლებას, თუ გავითვალისწინებთ, რომ ავგორი იმქამად რუსეთში სწავლობდა... ამას თვითონაც განიცდიდა და გულისტკივილით წერდა: „მე ქართული ენა არ ვიცი და იმავე დროს მინდა მწერალი გამოვიდე. სასაცილოა? თუ თავმოყვარეობას ჩემსას კისერი არ მოუტეხნია ჯერ, უნდა მოვიტეხო კისერი...“

კოტე მაყაშვილის დღიურს, ანუ ავგორის თქმით – „აზრთა დომხალს“, ვაქვეყნებთ სრულად.

კატერინე ვრიგოლია

ოდესღაც მე განვიმრახე დღიურის წერა. დავიწყე კიდეც, მაგრამ როგორც ყველაფერში, აქაც მოთმინება შემომეხარჯა და რამდენიმე ცდის შემდეგ თავი დავანებე ყოველდღიურ ჯღაბნას. რასაკვირველია, ამითი არავის არა დაჰკლებია რა, ვარდა ჩემი თავისა, რომელიც ამ ჯღაბნაში ეძიებდა სულის მშვიდობას და ჰპოულობდა თუ არა, ღმერთმა უწყის. ერთი საკვირველი თვისება, ან სენი სჭირს ადამიანს – თავის თავის მოგყუება. მე ჯერ არ მინახავს იმისთანა დღიური, რომლის დასაწყისში არ იყოს შემდეგი ფრაზები: „ვწერ ამას მხოლოდ ჩემთვის და არა ქვეყნისათვის; ამისი წამკითხველი და დამწერიც მარტო მე ვარ. მაშასადამე, გამოვონებას, გარეგნულ ლაზათს, ლიგერაგურულ ეგიკეტს დღიურში აღვილი არ აქვს“. მიუხედავად ამისა, ამისთანა დღიურების შემთხვევით არაერთხელ შენიჭირიმეობით უთხოვნიათ ჩემთვის, წამკითხა ის დღიურები და იმის ლიგერაგურულ ღირსებაზე გამომეთქვა ჩემი აზრი. საკვირველიც არ არის... ადამიანი სუსტი არსებაა, რის გამოც იგი ვერაფერს ვერ დამალავს, ვერ დაჰფარავს გულის საიდუმლო კუთხეში. კაცი აზროვნებს სიგყვებით და სიგყვებს ხომ ენის წვერზე უყვართ გრიალი, ენის წვერი არც ისე მაგარია, რომ სიმძიმეს გაუძლოს და... და გამოდის ის, რაც ჩვენ ყურებს აწუხებს.

საიდუმლოების შენახვა მეგად მძიმე გვირთია, თითქმის შეუძლებელიცაა. სხვა რომ არა იყოს რა, კაცი კედლებს შეაგყობინებს თავის გულის ნაღებს, ან საიდუმლოს და ხომ მოგეხსენებათ, რომ კედლებსაც ყურები ასხია. აბა მიბრძანეთ, როგორ დამალავს კაცი დღიურს, რომლის წერაზე დროსაც და თავსაც აწვალავს, სადაც იხატება იმისი მსოფლმხედველობა, იმისი გემოვნება და ხელოვნება. ამიგომაც გირჩევთ, ბაგონებო, თუ რომ ხელში ვისიმე დღიური ჩაგივარდათ, იმის დასაწყისს ნუ კითხულობთ. მოსაწყენი და შაბლონური სჯა დღიურის მნიშვნელობაზე და იმის საიდუმლოებაზე, ვერაფერათ გაგართობსთ! (შეიძლება) ჩემ სიკვდილის შემდეგ, მოსალოდნელია, რომ სიცოცხლის დროსაც, ეს ხელთნაწერი ანაზღაღათ ჩაუვარდეს ვისმეს ხელში, ამიგომაც ვისწრაფი მოვახსენო იმ უბედურ არსებას, რომ მე დღიურს არ ვწერ, მე ვწერ მხოლოდ იმ აზრებს, რომელნიც შესაძლოა ესგუმრონ ჩემს ურწმუნო გოგრას. ყოველგვარი სისტემა მე გულისრევამდე მეჯაერება, ამიგომაც ნურას უკაცრავად, თუ ჩემ აზრთა მიხლა-მოხლაში თქვენი ან [...] აზრსაც ფათერაკი დაემართოს.

დილით შკოლაში ვიყავი, გაკვეთილი რომ დაიწყო და ჩვენ, აღმზრდელებმა თავისუფლად ამოვისუნთქეთ, შევედით ოთახში, მივეჯექით გრძელ სკოლს, ამოვიღეთ პაპიროსები და დავიწყეთ კმევა. რაღაცაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი. პ-მ, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა, გამოთქვა თავისი აზრი. საზოგადოდ, პ-ი მჭერმეცყველი არ არის, ხშირად ორი, სამი სიგყვის ერთმანეთში გადაბმა არ შეუძლიან. მაგრამ დღეს კი, არ ვიცი, დალილობით მოუვიდა თუ სხვა მიზეზით, სხაპა-სხუპით დაგვაყარა თავზე სიგყვები. სიგყვები არაფერი, ფორმა იყო რიხიანი და გაგვიკვირდა, მაგრამ პ-ს უფრო მეტად გაუკვირდა, ლოყები აენტო, თვალებში ნეტარება გამოეხატა და აღფრთოვანებით (თუმც საგანი ლაპარაკისა ვგონებ ვირის და ცხენის ყურების განსხვავება იყო) წარმოსთქვა კიდეც რამდენიმე აზრი და მეტად შნოიანად წარმოსთქვა. პირები დავაღეთ. პ-ის სიხარული იმ საზღვრამდე მივიდა, რომ კინალამ ცრემლები გადმოუცვივდა თვალებიდან. ვერ გაუძლო თავის გულის აჩქარებულ ძეგრას, წამოდგა სკამიდან, სწრაფად შევარდა მეორე ოთახში, საცა არავინ არ იყო: კაცს აღჩობდა სიხარული, ბედნიერება. ღმერთო ჩემო, რა საცოდავი, გულბერყვილო და მასთანვე ბრიყვი არსებაა ადამიანი!

საინტერესოა რასა პგრძნობს მჭერმეცყველი, ვინმე დიდი ორაგორი, რომლისთვის ლაპარაკი იგივეა, რაც წისქვილისათვის ფქვა. ამისთანა ორაგორს გული სრულებით არ უნდა პქონდეს, - იგი დიდი ხანია სიხარულისაგან გამსკლარი იქნება...

აზრთა ღომხალი

ჩემო ბრწყინვალეზავ, მიხარ დალონებული და დაფიქრებული მაგიდასთან და საცოდავს, ყოვლისგან დევნილს ქაღალდს დაჰყურებ. უნდა... ლექსები ხომ არ უნდა გამოიჩიო? - ცუდი კრუხი ხარ, ვერ მოუვლი თავის წიწილებს, თუ წიწილების მაგივრად არ გამოიჩიე... სიგუტუე!.. ჩემო ბრწყინვალეზავ, რას დაჰყურებ-მეთქი საცოდავს ქაღალდს - ნუთუ ამ უბედურის თავმედ ლაფის დასხმას აპირებ?! კმ... რაგომ! - შენც ადამიანი ხარ და ადამიანებს ამ შემთხვევაშიაც არ უნდა ჩამოუვარდე, მით უფრო რომ შენ თავმოყვარე ქართველი ხარ. ძე აღსავსე ყოვლისგვარ ნიჭით და ღირსებებითა. მაგრამ ხუმრობაგაშეებით, რასა სწერ ან უკეთ რომ ვსთქვათ, რა უნდა დასწერო, რაზედ, ვიზედ, როგორ?... კმ!.. მწარედ იღრიჯები შენ და შენ სახეზედ სწერია - ეი ბოლუ ნე მნაიუ!.. მასალა

იოხგურ!... ნიჩავო, ჩემო ბრწყინვალეებავ, ვაქეკაცი არ დაღონდებო, გინდ თავემდ დაენგრას ცა თავის ვარსკვლავებითა... აიღე და დაწერე! გესმის ეს წინადადება, აიღე და დაწერე! რაზედ? მკითხამ, რაზედაც გინდა, მხოლოდ ძველ ღროებას თავი დაანებე, თორემ ხომ იცი ბ. ჭიჭინაძეს ეწყინება და „კაზარმაში“ ჩაგვფამს და ამ „კაზარმობის“ შემდეგ, რასაკვირველია, შენც იმისთანა კრიტიკოსი გამოხვალ, როგორიც არს ყოვლად პატივცემული მაქარია. რაზედაც გინდა, რომ ესთქეი მეთქი, იმიგომ რომ მასალის მეგი რა არი, თუ წერის იშტაზე ხარ... აი მაგალითებრ, აიღე რამოდენიმე ჭორი, შედგენილი და გამოცემული ფრიად განვითარებულის შავთვალა ქართველთა მანდილოსნებისა მიერ და დაძახე „რიფმის ქვეშ“ (ВРИФМЫ) მრავალ ქამიერ... ან არა, მაგალითებრ, თავის პოემის საგნად „მოქეიფე თავადთა თბილისიდამ განდენა“ და ცხარე ცრემლებით ახსენე მათი სახელები და მით უკვდავ ჰქმენ ისინი. ამენ! ან კიდე დეპოების დაარსების სარგებლობა საქართველოში, ქიზიყის ღეპოს მიმსგავსებით. ამ შემთხვევაში მუშის მაგივრად რჩევა ჰკითხე ბაგონ მანხანელს ღეპოსგ-პოეტსა, საკვირველს კაცს... ან არა და... მაგრამ, ჩამოსთელი ყველაფერს... ხომ ხედამ ეხლა ჩემო ბრწყინვალეებავ, რომ თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელებით იჭმევა, ე. ი. თუ გული გულობს პოემა ორივე ხელებით დაიწერების. დაუბარე შენც სხვებს, ჩვენს მწერლებს, სწერე და სწერე... ჯანი გავარდეს, რაზედაც გინდა იყოს, ოღონდ ნუ დაეცემი სულით და მელან-ქაღალდი ბოლომდე გქონდეს. მაშ, დამიჯერე ჩემო ბრწყინვალეებავ და... და სწერე.

ჩემო კარგო... არ ვიცი რა ეპითეგი ვახსენო, რომ როგორმე გამოეხატო შენი სიმშვენიერე. არა, ამისთანა ეპითეგი არსად იპოება. კაცი უნამუსო, გაღახიანი განა ვერ დაბადამს, ვერ გამოიგონებს ამისთანა სიტყვას... რა არის შენთან მნათობი, ანგელოზი და თვით ღმერთი?!... ვიგრძენია ეშმაკობავ, რომ მაგისთანა ხარ, და ამიგომაც გუნ-აპრუწული მიგლებ ყურს, მაგრამ ყურადღებას არ აქევე ჩემს გრძნობებს...

* * *

ჩემო მშვენიერო გულის საკანო (არ გეგონოს რუსულიდამ გსთარგმნიდე – ეს ჩემი გულის თარგმანია). ჩემო მშვენიერო გულის საკანო!... არ ვიცი რით, რა სიტყვებით და საქციელთ დაგიმტკიცო ჩემი სიყვარული? გადავხტე ფანჯრიდამ?! ეხლავე! – მაგრამ, რა იქმნება შედეგი – მე დაგიმტკიცებ ჩემს სიყვარულს, მაგრამ კისერს მოვიტებ... მე წაებრძანდები

ჯოჯოხეთს და შენ... შენ კი
გათხოვდები. მაშასადამე,
ფანჯრიდამ გადახტომა –
სისულელეა, როგორც სხვა
ამგვარი თავდაუხედავი საქ-
ციელი... შეგირთო?! ეხლავე!
მაგრამ, აბა ერთი მითხარი
რა ხეირი იქმნება, ჩვენ ორი-
ვენი თავისუფლებას დავკარ-
გავთ მაშინ... თავისუფლებას,
რომელთან მიიღგვის მთე-
ლი კაცობრიობა, რომლი-
სათვის იღვრება იმოდენა
სისხლი ღელამიწაზედ, რომ-
ლისათვის კაცი სწირავს თა-
ვის ბედს და იღბალს, თავის
სიცოცხლეს... და ჩვენ კი...
ჩვენ კი ვფიქრობთ, გადა-
ვებათ ერთმანეთის ხელ-ფეხი
ცოლ-ქმრობის ჯაჭვებითა!
ო, არასოდეს! არასოდეს, თუ
ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს,
თუ ჩვენ განათლებულები
ვართ, თუ ჩვენ ადამიანები ვართ... თავისუფლება ერის ღმერთია და თუ
ერისთვის ღმერთია, ჩვენ რომელნიც ერის მემილიონე ნაწილს შევადგენთ,
მილიონჯერ მეტად უნდა ვაფასებდეთ თავისუფლებას. ამას გვეუბნება
გონება, [...] მაგემაგიკა, ანგარიში და საბუნებისმეტყველო გამოკვლევანი,
მაშასადამე შერთვა – სისულელეა. მაშ, რით დაგიმტკიცო ჩემი სიყვარ-
ული?! რასაკვირველია კონცით და სიგყვებით „შენ მიყვარ-ხარ“, –
შენ დააკვირდი ჩემო, ჩემი თავის პატრონოვ, ამ სიგყვებს მიყვარ-ხარ!
May. ისე არის ჩართული, ფორმისათვის ამა სიგყვაში. უნდა იყოს: ვარ-
ხარ ე. ი. მე და შენ ერთს შევადგენთ, ჩვენთვის ქვეყანაზე სხვა არა
სუფევს რა, ვარ-ხარ მეგზე... მაშ, მოდი გემთხვიო, ჩემო ოცნებავ და
საკუწონოდ იყოს სხენება ქორწილისა!..



სანდრო შანშიაშვილი, კოტე მყაშვილი
და იოსებ გრიშაშვილი
თბილისი, ბ. მიშენკოს ფოტო
სლმ №12268-ი

არშიყობის გუნებაზე გახლავართ... მაგრამ ვაი ჩემს ბრწყინვალე გოგრას, რომ არა მყავს ახლო-მახლო „საგანი“. ერთს პაგარა, საცოდავო თოახში ვზივარ და გრძელ და განიერ ოცნებებს მოუღალავად დადსდექ!-რა კარგი რამ არის ის ქარხანა, რომელს კაცის ენა უწოდებს – თავს. რას არა აქვს ადგილი ამ ქარხანაში; ეს ქარხანა – მთელი ხმელეთია და თხელეთია; მოდი და ვეცლები, ეგებ ამ ქარხნის მეშვეობით შევქმნა გულის გული, ე. ი. საგროფო და მერე ვეარშიყო მუხლის კვივილამდე. ძალა დავაგანე ჩემს გოგრას, მაგრამ როგორც ეგყობა მეხანიზმი არ უვარგა – სულ მახინჯ-მახინჯ არსებებს სთხზავს იგი... რა მეშველება? – მოდი, ისევ დაეანებებ თავს ამ საგანს, დარწმუნებული ვარ, სიცოცხლეში კიდევ ბევრს ვნახამ მახინჯებს და მათთან არშიყობისათვის, რასაკვირველია, მასალა მომიხდება და ეხლა რომ შემომეხარჯოს, მერე რაღა ვქნა... შავ დღისათვის გამომადლება! მაშ, ამ სომხურ ეკონომიის მოსაზრებით დავამთავრებ ამ დომხალს.

საკვირველი სიზმარი ვნახე მე... ერთხელ, ღამეს, ეამსა მეთორმეტესსა, ვიჯექ მე მოწყენილი ჩემს ოთახში და ცხვირ-ჩამოშვებული გავუშვი საჭმლის საშოვნელად ჩემი გოგრის მწყრები. ე. ი. მდაბიურად რომ მოგახსენოთ, მაღალ ქართულ საკითხავებს მივეცი თავი და მარტივად მიხლოდა გამომეხსნა ისინი... მწყრები რომ დაძღნენ, დამძიძღნენ, მოფრინდნენ და ჩასხდნენ თავიანთ ბუდეში. მხოლოდ ერთს ვერ უშოვია საჭმელი და ნაღვლიანად ეძებდა რაიმეს კუჭის გასაძღობათ ე. ი. ჩემო ბაგონებო, სხვა კითხვებს გამოცანა უპოვე და ერთ კითხვაზედ კი, ძრიელ დაფიქრდი... ღამპამ ბაითი დაიწყო და მით შემაგყობინა, რომ ნაეთი მის კუჭში უკვე არაფრად გადაიქცა... ნება-უნებურად დავწექ ღოგინში იმ საკითხავთან ერთად და ჭერს გავუშგერე თვალი, თუ მეც რასაკვირველია, სიბნელის გამო ვერაფერს ვერ ვხედავდი... ის საკითხავი გახლავთ – სიკვდილი! საზოგადოთ, უნდა მოგახსენოთ, სიკვდილისა ძრიელ მეშინიან, თუმც მასთანავე უნდა დაუშაგო, რომ დიაცი არ გახლავართ, მუშგის კრივი ძრიელ მიყვარს. ვფიქრობდი, ვფიქრობდი და ბოლოს ვთქვი: ეპ, ღმერთო ჩემო, რამედ გამაჩინე-მეთქი, თუ ისევ სასიკვდილოთ... დამეძინა, სიზმარში, რასაკვირველია, მე ვნახე ჩემი სამშობლო ქვეყანა. სადარბაზოთ გახლდით ზოგიერთ პაგივეყმულ პირებთან, ვიჯექ თეთრ რაშზე, მერე ღობის ჩხრბე გადავჯექ, – სიზმარში გემოვნებას ადგილი არა აქვს. მერე... მერე ისევ

ჩემს ოთახში გავჩნდი, ლოგინში. ვნახოთ, ვილაკამ შემოაღო კარები და მე პირღია, გამგერებული დავდნი სიამოვნებისაგან: ჩემს წინ იყო უუუმშვენიერესი არსება, თეთრ განისამოსში... ეს გახლდათ ქალი... დიდრონი შავი თვალები უძირო უფსკრულსავით ნაზად ჩამოპყურებდნენ ჩემს ცინა თვალებს და ელექტრონის ძალით შიგ გულში მასხამდნენ ნეკტარს და ნეგარებას... მისი ტუჩები... ოხ, რას შევადარო: ბროწეული, ვაშლი, მსხალი, აგამი, ყურძენი. არა, ვერ აღიწერთ რა ტუჩები იყო... მაღიანი, მაღლიანი ტუჩები. მიღიმოდნენ და ამ ღიმილმა სულ მთლად გადამრია: წამოვხტი გიჟივით ლოგინიდან და მივეგებე ქალს ძახილით. ჰოე, მშვენიეროვ, ვინ ხარ! ჩემთან, ჩემკენ მშვენიერთა ღმერთოვ... ესგაცე ხელი და გიჟივით მივიკარ გულზე... ნაზად მომეკრო გულში. მშვენიერი აწია ტუჩები და მშვიერ მგელივით ვეცი ამ ტუჩებს თავის ტუჩებით, კბილებით... ხანგრძლივი კონცა... ოხ, კონცავ, რათა ხარ ისეთი მწვავე და აუხსნელი სიგებოიანი?! ვინ ხარ, ვინ, ათრთოლებულის ხმით, ცახცახით ვეკითხებოდი მას. ქალმა მიიგანა თავის მშვენიერი ტუჩები ჩემ ყურებთან ნელა, მაგრამ საშინელი გაკვირვებით მიჩურჩულა: მე ვარ სიკვდილი! შიშისაგან გადავბრუნდი და ყირა-ყირა წაველ ლოგინისაკენ ფერმიხდილი, საბანი წამოვიხურე თავზე... ქალი მოვიდა ახლოს, გადმოგვლიჯა თავიდან საბანი და დამაშტერდა. გატაცებული მის თვალების გიპნოტიზირ ძალით მეც თვალდაჭყეტილი შევეყურებდი მას: შიში, მისი სილამაზე იბრძოდნენ ჩემს საცოდავ არსებაში... უცხად ქალი მომიწვა გვერდით და მე სულყველაფერი დამაპიწყდა... გამომეღვიძა დილით, — ბალიში ისე მაგრად მიმიკრამს გულზე, რომ კინაღამ გული არ ჩამინგრევი! რას იგყვით ამ სიზმარზე, ჰა?!

* * *

არ შეიძლება! — უსათუოდ უნდა დავწერო რამე! თუმც სწორედ გითხრათ, მე გულით და სულითაც ძალიან მინდა, მაგრამ ვონება მეუბნება: СМИРНО! დაჯექ და დაწერე რამე! აჰა, ღმერთო, თუკი არ მინდა და არც ვიცი რაზე დავწერო!.. ვონება მეუბნება: ნუ კაჭკაჭობ, დაჯექ, დაწერე რამე. ეჰ, ჯანი გავარდეს ჩემს მგრებს, დაჯადები და დაწერ. ეხლა ის არის საინგერესო, რამ ჩემ ფეხზედ დავწერო?.. ჰმ, თუნდ იმაზე თუ როგორ მიდის ჩემის მწერლობის საქმე... ვაი, ჩემს ჰაგრონს! ძალიან არ იამება ჩემს ბრწყინვალეებას თუ მე თვითონ, ჩემს საკუთარი ხელით, ჩემ საკუთარივე ბრწყინვალეებას თავზე ლაფი დავასხა. არა, თავმოყვარეობა მიშლის... მოდი ისევ სხვა რამეზედ ვილაპარაკებ.

აი თუნდ იმაზე, თუ როგორ ბრძანდება ჩვენი სტუდენტობა და როგორ მიდის მისი საქმე. სწორედ გითხრათ, ძნელად გამოსაკვლევი საგანი ავიღე. აქ უნდა აღვიჭურვო მთელის ჩემის მეცნიერებით, pince-nez¹ გავიკეთო და როგორც ფრიალ ნასწავლ კაცს შეშვენის, მძიმე ენით ავიწეროთ ცხოვრება სუმბუქ სტუდენტობისა, მაგრამ ამასთან ისიც უნდა ვთქვა, რომ მე ქართველი ვარ და სამარცხვინოდ მიმაჩნია ქართული თვისების შელახვა, მით უფრო, რომ მე გახლავართ თავგანწირული პატრიოტი; პო, თუ გინდ თავგანწირული არა – სიგყვამ, მაგრამ ცოგად რომ მაინც ვარ პატრიოტი და ვარ. რაც შეეხება ამ ფრიალ საინტერესო ნაციონალურ თვისებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ქართველს კაცს უყვარს პირობის მიცემა და რაც შეეხება პირობის აღსრულებას, ამაზედ კი უკაცრავად, მე, რასაკვირველია, როგორც საქართველოს შვილი, ყველაფერში უნდა ვემორჩილებოდე მის მზე-ჩვეულებას. და თუ ლოდიკურად მართალი ვარ – მე პირობას მოგცემთ შემდეგში ავიწეროთ ზემოხსენებული სტუდენტობა და რაც შეეხება ამ პირობის აღსრულებას – ძალას ნუ დამაგანთ; თუ რომ ქეიფიანად ვიქმნები – ხვეწნა არ მინდა. დაუგებ მახეს ჩემს მუშას, დავიჭერ ამ ოჯახრეგიანსა, კარგად დავგუქსამ მერე სტუდენტებს, ორხმად შეხარა-ქებას ვუძღვნით ჩემს თანამოძმეებს, კოლეგებს, როგორც ეძახიან სტუდენტებივე და სტუდენტების საყვარელნი – დამის პეპლები. ესლა დაუცოთ „პრობკა“ სამელნეს, დავდოთ ბალიშზე ჩვენი საუნჯეთა საუნჯე თავი და ტკბილ, ლობიოსავით ტკბილ ოცნებებს მივცეთ იჯარით ჩვენი თავი, მხოლოდ იმ პირობით, რომ პატიოსნურად ისარგებლოს იმითი და არ გაგვიოხროს. მე ვასრულებ ამ რჩევას და თქვენც გირჩევთ დამებაძოთ ამ კეთილ, ძვირ, სასიამოვნო საქმეში. მშვიდობით, თქვენი მოყვარული ავგორი.

გოგიერთი მოსაზრებანი
გოგიერთ პრიტიკოსების სახურაღწეროდ

ამ უკანასკნელ ხანებში მე რამდენჯერმე შემხვედრია უსასაცილოესი რუსიზმი. შეხედულება პოეტზე. არ ვიცი რას მივაწერო ეს მოვლენა – კრიტიკოსების სისულელეს, თუ მათ გენიოსობას. ეს კრიტიკოსები, როგორც ვეყობათ, ფრიალ უნიჭო კაცები უნდა იყვნენ, ფრიალ ზვიადნი ანუ თ. სახოკიას სიგყვებით რომ ვთქვათ „თავშიაწეულნი“. მაგრამ დავანებოთ

¹ pince-nez – პენსე (ფრ.).

თავი იმას, თუ რას წარმოადგენენ კრიტიკოსები, ავიღოთ მთლად მართა
თავი, მათი მსჯელობით და წარმოუდგინოთ მკითხველ სამოგადოებას
(არ გვეტონოთ რომ ახალი სამოგადოება შესდგება). ავიღოთ ერთი მაგა-
ლითი. ერთი რეგენი ვინმე ემდურის ერთს პოეგს და ლანძღავს, რათა
წერ ამასა და არა იმასაო. იმას გული მოსდის, რომ პოეტი ბულბულს
აჯაუერებს, შგვენს და ჰყეფს და დარდის გრფობაში ატარებს დროს, იმ
დროს, როდესაც ხალხი შიმშილით კვდება. მართალ არს იგი, კრიტიკოსი,
რამეთუ ნათქვამი მისი პოეგზე, თავისთავზედაც გამართლდება. ამ
კრიტიკოსსაც, რომ თავი დაანებებინო თავის კრიტიკოსობას და სტატიების
მაგიერად გამოეცხო პური და იაფ ფასად მიეყიდნა ხალხისთვის, უფრო
დიდ სარგებლობას მოუტანდა სამშობლო მხარეს და მის შვილებსაც,
ვიდრე მთელ თავის ხანგრძლივი კრიტიკოსობის ასპარეზზე მოღვაწეობით.
ამ პოეგს ვეძახით ჩვენ ალექსანდრეს, იმ კრიტიკოსს – გაქარიას. ეს
ბატონი გაქარია, არ იშლის თავისას და შემოხსენებული გვარის
სამღურავეებით თავს აბეზრებს აკაკის. გამოდის ბოლოს ისა, რაც თქვენ
მგერს გამოუვიდეს. ის გამოდის, რომ აკაკიმ უნდა დაანებოს თავი
ძველებურს დროს, ოცნებებს, მკაცრად შეხედოს აწმყოს თვალებში და
აღმოიკითხოს შემდეგი: პოეგო, რა დაგიშავე მე შენ, რატომ არ სწერ
არაფერს ჩემზედ, შეხედე რამდენი სიკეთე მიქნია შენი სამშობლოსათვის:
ქიმიყმი დეპო დავაარსე, ქალაქებში ქალთა სამოგადოებანი, ბოლო მოუღე
მაჩაბელს, სხვანი და სხვანი...

რაღა განვაგრძო, შემოდლიან მარგო ის დაუუმაგო, რომ უმჯობესი
იქმნებოდა აკაკის ლექსები ციფრებათ ეწერა, ანუ რუბლებათ და
კოპეიკებად, გაქარია მეთათვრამეგე ცაზე შეხტებოდა სიამოვნების
გალღებათ გამობნეული. მაგრამ, სამწუხარო ის არის, რომ გაქარია
არაერთია, არამედ მისი სახელი legio გახლავთ და აი, ეს ლეგიონია
მწვავე მუწუკი, ანუ ძირდიდა ჩვენის ლიგერატურისა.

კოგეჯან, მოვესწრობი ნეგავ იმ დროს, ოდეს შეგეძლება თავისუ-
ფალი, მარდი და ხატოვანი წერა ქართულ ენაზე? კმ, არა მგონია!..
დაბერდი ჩემო თავო... უკვე 22 წლისა ბრძანდები და ეხლა იწყებ იმას,
რაც უნდა დაგეწყო ძუძუს წონის დროს... ვაჰმე!.. მოდი და ნუ შეგე-
ჯავრება აწ აღამიანები, რომელ თავს დამოკიდებულ იყო ეს... მაგრამ
იმაზე მაღლა ვერ შეხტებო, ამბობენ ხოლმე და მეუ უნდა დაუვეჯრო ამ

გონიერ ანდამას, რამეთუ გადაჭარბებითი გონების და ჭკვის ხტუნაობა მაინც ვერ ამახტუნებს იქ, სადაც მინდოდა და სადაც, მართალს გეგყვით, მე ვიქნებოდი ჩემს ადგილზედ. არა ერთხელ მომსვლია შემდეგი ფიქრი: მოდი, დაახეხე თავი ამ ჯღაბნასა, შეუდექი სხვა საქმესა, მაგრამ მაგარი ისაა, რომ მაგრად მის ჩემს გულში ის უცნაური ვინმე და რამე, რომელს ბრძენი და მერე ადამიანი, საზოგადოთ, ეძახის მუშას. მისი ბრალია, მისი, თორემ მე აქამდინ ბედნიერი კაცი ვიქნებოდი... და რამდენნი არიან ჩემს მდგომარეობაში, მაგრამ აზრადაც არ მოსვლიათ გაეკიცხათ თავისი თავი, სცხოვრობენ მშვიდად, პატრიოტების სახელი აქვსთ საქართველოში, და ნამდვილის ქართუელის, მის ვარედ... მაგრამ ჯანი გავარდეს ამ ჩემს თავს, მე შევასრულებ ჩემს წადილს.

მორჩა და გათავდა!

მოზონეხანი

1898, 27. 1

ხუთი წლისა ვიყავი იმ დროს, რა დროსაც შეეხება ეს ამბავი. იყო მშვენიერი მაფხულის საღამო. მზე ნახევრად ჩასული ანათებდა დედამიწას. მამაჩემმა გამოადგინა სახლიდამ ხალიჩა, მუთაქები, გაშალა ეზოში, მწვანე ბალახზე და მოიკეცა ქართულად. მოიგდო წინ უშველზელი ჩიბუხი, გრძელი მეცხვარის კომბალსა ჰგვანდა, სიამოვნებით დაიწყო თამბაქოს წვევა და პრუწი-პრუწი, კურთხვა. ჩვენი მოჯამაგირე კალოზედ იყო და ენერგიულად ჰგვიდა და თან ბუგბუგებდა რალაცას. მამაჩემმა დაუწყო ლაპარაკი რალაცაზედ და ამ ორ პირთა შორის გაიმართა ბაასი მაღალ ნოტებზე, si-ბემოლზე: „ბიჭო და სად იყავ იმ დროს, შე რეგიანო?“ – იძახდა მამაჩემი რიხიანად. „რა ვქნა შენი ჭირიმე, ორი თავი ხომ არ მაბია და!“ – გაჰყვიროდა მოჯამაგირე, მაგრამ არც ერთს და არც მეორეს, გაჯავრების ნამსეციც არ ეგყობოდა. ასე, ჩვენი ქართველი კაცი თუ ახლოს დააყენე და დაუწყე ლაპარაკი, რა საჭიროა – გადაგაყრუებს. გელაპარაკება ისეთის ძალით, თითქო თქვენ შორის ერთი ვერსი მანძილი იყოს... მეც გამოვბრძანდი ოთახიდან, სადაც თითქმის ორი საათი ვფიქრობდი, როგორ მომეპარა კიკრის წნილი, მაგრამ დედაჩემმა, რომელმაც მშვენიერად იცოდა ჩემი მსუნაგობა, მდაბიურად გამოვსთქვათ – ქურდობა, თვალყურს მადევნებდა ხოლმე და ამით, განუსაზღვრელ განჯეა-წვალებებაში აგდებდა ჩემს მუცელს, რომლის სურვილის გამომტყველები ნერწყვი

გუბესავეთ მეღვა პირში. ვიფიქრე: ეჰ, ღლით ჩემი განზრახვა შეუსრულე-
ბელია, ღამემდინ გადავსდებ საქმეს, როცა ყველანი დაიძინებენ, ავღგები
და ერთს კიგრს მაინც მოუსპობ არსებობას-მეთქი. გამოვედი გარედ
მკვახე სახით. მამაჩემმა უკვე გაათავა ლაპარაკი მოჯამაგირესთან და
მღუმარედ უშვებდა ბოლის რგოლებს. მე მოვედი და მოუჯექ გვერდით
და დაუწყვე ყურება იმ ბოლის რგოლებს. მამაჩემს როგორღაც მოუხდა
და ერთი უშველელი რგოლი ამოუშვა პირიდან, მე შევხტი და იმ
რგოლს თითი გაუყარე... მამაჩემს გაეცინა. მისმა სიცილმა გამამხიარულა
და გამამხნევა. მალე დამაიწყდენ კიგრებიც და ჩემი ქურდული [-] დავიწყე
ოხუნჯობა, ხტომა. გავუბი ხუმრობა ცალთვალა ძალღს, რომელსაც
ძლიერ ესიამოვნა, რომ ჩემი ბრწყინვალეობა ყურადღებას აქცევს მას,
გყვილად წამექცევოდა, წმუკავდა, ჰყეუდა და სხვა. ამასობაში მზე ჩაძვრა
თავის გუდაში და პანდური ჰკრა მძინარე მთვარეს ისეთის ძალით, რომ
სულ დავთრები დაუნია. ნება უნებურად შეუღვა თავის საველ გზას
ფერმიხდილი, მქრთალი ბრამისაგან. ე, ამ შეჩვენებულმა მზემ რა მიყოლო,
მაგრამ რომ დაწყნარებულიყო ცოგად მაინც და მოებრუნებინა გული,
დაამგერა თვალის დეღამიწას, მაგრამ რა, სანუგემო ვერა ჰპოვა რა,
დეღამიწაზედაც გაიბერა, დააბრიალა თვალეები და ამ სულელურ პოზაში
გაქევადა. დე, აგრე სჯობია, მამაჩემმა შეხედა მთვარეს. სიამოვნების
ნიშნად წამოიძრო თავიდან ბუხრული ქელი, მოისვა თავ-პირ-ცხვირზე
ხელი, ისევე დაიხურა, წამოიძახა: ახ, მთვარევე, მთვარევე... მაგრამ კარგად
ვერ მოუვიდა, გადააფურთხა და ისევე ჩიბუხის წევას შეუღვა. „მამი, ჰა,
მამი!“ დაუძახე მამას – „რაო, რა გინდა ღაწირაკო?“ – მიპასუხა
მამამ. „მამი, გინდა ის მთვარე ჩამოვაგლო სახრით?“ – „მამიშენის
ცხონებამ ცაც არ შეანძრიო“ – დაცინვით დაიძახა მამაჩემმა. – „რომ
ჩამოვაგლო?“ – „ვერა, შვილო, სახრით ვერ ჩამოვაგლებ!“ – „მამ კომ-
ბლით ჩამოვაგლებ!“ – „კარგი, რახან არ იშლი, აბა ერთი შენ იცი,
როგორც მასახელე“, თქვა მხიარულად მამაჩემმა. ვსტაცე ხელი კომ-
ბალს, შევისროლე მაღლა მთვარეს ჩამოსაგდებად. კომბალი მძიმედ
დაეშვა ძირს და შიგ თავში სდღუმა მამაჩემს. გადმოუგორა ბუხრის
ქელი. მოუვიდა გული მამაჩემს... – აი, შენ ასეთო და ისეთო, კინაღამ
თავი გაშიგეხო, ეგ იყო შენი მთვარეო; დახე, დახე მაგ საძაგელს,
ჰკვირობდა მამაჩემი. ე, ქელი არა ყოფილიყო, ხო თავს შუაზედ გამი-
პობდა. მე შევევარი ოთახში და ის იყო იმ ღამეს არ გამოვსულვარ
იქიდან, თუმცა მამაჩემმა რისხვა სიცილად შეცვალა და ჩემს ღებს დაუწყო
ლაპარაკი...

ბევრს მოველოდი მე ცხოვრებისაგან, ადამიანებისაგან, ჩემ თავისგანაც, მაგრამ ბევრად მოვსტყუედი, ყველამ მიმუხთლა ურცხვად, უგულოდ... მაგრამ რაა ჩივილი, იგივე მათხოვრობაა და ამიტომაც... სჯობს გავუჩუმდეთ წარსულს და მომავალ უსიამოვნებებს... არ ვიცი, ყოველ კაცს ჰგონია ასე თუ არა, ის კი ვიცი, რომ ბავშვობაში მე ნიჭიერი რომ ვიყავ. რასაკვირველია, ისიც მართალია რასაც ამბობენ ზოგიერთ პირებზე, მაგალითებზე გრაბაბებზე, რომ იმისთანა კაცებს, რომელთა აწმყო უფერულია და მომავალიც დიდს არას პირდება რას, უყვართ წარსულის მოგონება და უკაცრავადაც არ ვიყო, დამატებაცა; ამ მხრივ შეიძლება, მეც დამემდუროს ვინმე და არ დამიჯეროს... რას ვიქმ? – ფაქტიური საბუთები არა მაქვს ხელში და სასამართლო, რასაკვირველია, გამამტყუნებს... მე ვიგყვი და თუგინდ დამიჯერეთ, თუგინდ არა, თქვენ იცით... ნიჭიერი, რომ ვამბობ, რა თქმა უნდა, მე გენიოსად არ გამომყავს ჩემი თავი, მაგრამ ესეც უსარგებლო შენიშვნაა... იფიქრეთ როგორც გნებადეთ!.. რა იქმნა ის ნიჭი? მკითხავთ თქვენ და არ მაყლით ლაპარაკს... ჰმ, რა იქმნა?! თქვენ წამართვით! – ჰოი, სწორედ თქვენ! – მე რა შუაში ვარ? – საქმეც ის არის მკითხველო, დაუფიქრდი ამას და გაიგებ, რა შუაშიც იყავ შენ ჩემი ნიჭის დაკარგვაში... მხოლოდ შემლილი არ გეგონო – თვით შეიშლები!

* * *

ამ ახლო ხანში ვაპირებ ერთი ცდის მოხდინებას: მინდა ჩემ ჭკუაგონებაზე მაღლა შევხტე! – ამბობენ, რომე დიდი განსაცდელიაო ამისთანა ფოკუსების ასრულება... ვნახოთ, ეგებ მოვახერხო! თუმც ამბობენ, ქართველ კაცს გამბედაობა ვინ მისცაო, მაგრამ მე ჩემს მხრივ მოგახსენებთ, რომ მართლა მიჰქარავენ ისინი, ვინც ბრძანებენ ამისთანა სიგუტუცეს... ქართველი კაცი და გაუბედავი? სიბრძნე და სისულელეს შორის არ არის ისეთი უარყოფა, როგორც ქართველი და გაუბედავის შორისაა... რას მიბრძანებთ, ქართველს გამბედაობის მეტი რა დარჩა, ანუ რა შერჩა ამ წუთ-სოფელში. სხვა რამე თქვით, თორემ გამბედაობა ქართველ კაცს ურმებით უწყვია გულში... მაგრამ მე, გლახა ჭრიაშვილივით გავაჭიანურე, გთხოვთ მომიგვეოთ... ჰო, მე იმას ვამბობდი!.. დასწყევლოს ღმერთმა, რა უცნაურია კაცის გიკინი?! ერთ გრძელ ძაფზე ააწყობ აზრებს, მარ-

გალიგებს, მაგრამ საქმე იქამდინ მივა ხოლმე, რომ ძაფი ვერ უძღვებ
სიმძიმეს და ჩემს ფიქრებსაც ესე მოსდით. ერთ რამეზე დავიწყობ ფიქრობას,
ჯერ არაფერი, თანთანობას წინ მივყავარ სანატრელ მიზნამდი, მაგრამ
სადაა, გამოძერება საიდანმე ერთი რალაც ამრუკუნა და ერიპა, მიჭფანგ-
მოჭფანგავს შენ ამრებს, ვით მიმინო ბედურებს და თითონაც გაქრება
ხოლმე. თავეში ერთი დავიდარაბაა, ერთი ჭყლეტა-სრესა, ჭორილლეგობა...
მართლა, ჯორზედ გამახსენდა. ქვეყნის და ზეყნის შექმნამდინ ღმერთი,
რასაკვირველია, მოწყენილი იყო. ერთი მეო და სხვა არაფერიო; ძალა,
სახელი და სხვა ამისთანები კარგია მხოლოდ იმ ღროს, ოდეს შენ
გარშემო არიან ისეთნი, ვისაც შეუძლიან გაიგოს ეგენი. მაშასადამე,
ღმერთი მოწყენილი ბრძანდებოდა და ამ მოწყინებამ იმ დასკვნამდინ
მიიყვანა.

* * *

1898. 18. II

დღეს წაგიკითხე ორი პაგარა წიგნაკი: „მოჩვენებანი“, დრამა სამ
მოქმედებათ პენრიხ იბსენისა და [...] ბრანდესისა. იბსენის დრამა
„მოჩვენება“, რომელსაც ეხლა ვსთარგმნი, ჩემი კერძო შეხედულობით
ტენდენციოზურია!.. დედაამრი ამ დრამისა მორალურია. იბსენი აჩვენებს
სამოგადოებას, რა შედეგი მოაქვს გარყვნას: რომ ცოდვების გამო ისჯება
ხშირად და საშინლად არამც თუ თვით გარყვნილი კაცი, არამედ მთელი
მისი შთამომავლობა. იბსენს თავისი იდეა ცოტად თუ ბევრად მაინც
გაუყვანია, რაც შეეხება მოქმედ პირთა დახასიათებას, აქ უნდა ვსთქვა,
ცოტა კოჭლობს იგი. სცენაზე ჩვენ ვხედავთ ოთხ, ხუთ პირს, სურათი
ერთ და იგივე საღებავებით არის შეფერებული და საღებავი კი წყალ-
ნაირია.

რაც შეეხება [...] გ. ბრანდესს, თუმც არ ვიცნობ კარგად ამ ცნობილს
მწერალს, მაგრამ მგონია, ეს თხზულება პირველთაგანი უნდა იყოს
დაწერილი ჭაბუკობაში. მშვენიერი ენა ისყიდებს კაცსა. მხოლოდ თვით
დედაამრი ამ თხზულებისა, თუმც ბრწყინვალედ გამოხატული, ადვილო-
ბით, ჰკოჭლობს, რაიც რასაკვირველია, თუ ჩემი თავი და ამრი არა კოჭ-
ლობს, ეს იმას მიეწერება, რომ ჭაბუკური თხზულებაა. ამ ორ წიგნაკის
კითხვა რომ გავათავე, ჩავიხედე სქელ „ლიტერატურა XIX საუკუნისა“ –
ფრანგული ლიტერატურა. როგორც გ. ბრანდესს, ისეც მე, საშინლად
მომეწონა ერთი შედარება გიუგოსი, რომელს ეხლავე მოვიყვან, თუ არ



დამავიწყდა: „მაღლა სამრეკლოში ჩამოკიდებულია ძველი მარი; წინა პირველად მეგალლი ბრჭყინაჲ და წმინდა იყო; მარგოდ მარგო სიგყვა „ღმერთი“ – დაბლა გვირგვინით იყო წარწერილი ზედ. მაგრამ სამრეკლოზე დაიწყო სიარული მეგმა და მეგმა ხმაყნობის მოყვარეთ და ყოველი მათგანი ფხრაწულა ნაკაწრია მარზე, ზოგიერთი დანით, ზოგი ყანგიან ლურსმნით, თავისი წაბილწული სახელი, ან სისულელე, ან კიდევ ბავშვურ ხუმრობა. ეხლა კი სამრეკლო მოფენილია მგვრით და ობობის ქსელით, ჭუჭრუგანებში შევიდა სიყანგე და დრომ შეასრულა თავისი, მაგრამ ამით რაა მარისათვის? მაშინაც კი, ოდეს სუყველაფერს გარშემო სძინავს, ღამის სიბნელეში მარი ოხრავს, როგორც მუდამ კვამლიანი ვულკანი. სარალო (ღმობიელი) ლოცვა გმას იკვლევს მეგალში. „ჩემ სულშიაც – ამბობს გიუგო ბოლოს, რომელსაც წინა, პირველადვე ჰქონდა ბეჭედი თავის კეთილშობლურ ღირსებისა, უეცარნი (МИМОЛѢТНЫЙ) ვნებანი, ჩასჭრეს თავისი წაბილწული სახელები და თითქმის წაშალეს კიდევაც ღვთიური ბეჭედი. მაგრამ ამან ჩემს სულს იმდენი დააკლო, რამდენიც მარსა. ოდესაც იგი თრთოლვილ მღვთმარეობაშია, ოდეს უხილავი სული ეხება მას და გალობას უბრძანებენ მაშინ, უეცრივ მთრთოლველ მეგალის შუაგულ ნაწილიდამ, თუმც გალახია გარეგნობით, ისმის მძლავრი, სულწარმგაცი ხმანი გალობისა და მგვერი, ყანგი, ჭრილობანი – სულ ყველაფერმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მაღალ ღარმონიის შექმნისათვის.“ რა მშვენიერი შედარებაა და რა საძაგელი თარგმნა ამ შედარებისა. მაგრამ უპირველესი და უმთაერესი – გრძნობაა და თუ როგორმე ეს გრძნობა გასაგებათ არის გაღმთთარგმნილი – ბედნიერი ვიქნები – ეპილოგი ყოველ ეშმაკ მწერლის, რომელს ერთი მხრივ ძრიელ ეშინიან საზოგადოების აზრის მუშგებისა და მეორეს მხრივ, დარწმუნებული არიან თავის ძალაში. მაგრამ რადგან ჩემ ნაწერებს აზრთა ღომხალი დაეარქვი, შეეასრულო კიდევაც, თორემ მეცნიერობა დავიწყე და ცოტა არ იყოს ვიზარალე, როცა ფილოსოფიას იჯარით ვაძლევ ხოლმე ჩემ უნაყოფო ჭკუას, ის დალოცვილი, უფრო გააოხრებს ხოლმე იმას. ამ სახით გადავწყვიტე – რომ იჯარით აღარავის მივეცმ თავს.

* * *

1898. 19. II

ოჰ, ღმერთო, ნუთუ არ გებრალეები?! რაზედ ჰბადავ ჩემს საცოდავ თავში და გულში შხამიან ეჭვებს, მწარე ფიქრებს?.. ნუთუ სამუდამოთ ბუნების და ადამიანთ მასხარა უნდა ვიყო?! ნუთუ სამუდამოთ უნდა

ვიყო დაგვირთული აუარებელ მძიმე საკითხებითა?... ღონე აღარა მაქვს, თავი მისივლება და ღამის არის დავსწყველო ჩემი დაბადების დღე. მაგრამ არა! ამ დემონიზმამდე ვერ მივალწევ... ჩემისთანა ხასიათის პატრონი, დენილი და ჩაგრული, მართლა რომ ჩავარდება, შტერდება და ეს გაშტერება დაეწერება ხოლმე სახეზე, რომლის გამომეგყველება – სრული სიტუტუე და ინდიფერენტშია. ეს მღვთმარეობა – იგივე იდიოტიზმია, მაგრამ უფრო მწარე და მწვავე იდიოტი უდარდელია, მას აქვს, დე იყოს იგი გყუილი, საფუქველი, რომელმედაც ის აშენებს თავის საცოდავ სიცოცხლეს. თავ-მომწონი და მუღმივ კმაყოფილი, იგი ბედნიერათ სთვლის თავის თავს... მისი ცხოვრება მიმდინარეობს მშვიდად და უდავიდარაბოდ... კაცთა აზრი მის შესახებ – მისთვის არაფერია. ფილოსოფიურ გულგრილობით და წყნარად უყურებს იგი დამცინებების ღიმილს და ფილოსოფიურად... სდუმს. მაგრამ საბრალოა გაიდიოტებული კაცი. იგი სულ ყველაფერს კარგად ხედავს, ჰგრძნობს... ყოველი დაციწვა ხანჯალივით ესობა გულ-ღვიძლს... ყოველი მოვლენა აჯღარუნებს მის გულის სიმსა და... და იმას კი, ვერ შეუძლიან ხმის ამოღება... იცის, რომ გაჯავრებით, რისხვით, ვერაფერს ვერ უშველის და ამიტიომაც, იდიოტურად... სდუმს!..

რადგან მე გადავწყვიტე, რომ ამ რვეულში უნდა ვწერო-მეთქი, რაც მომივა თავში, ამიტიომაც ნურას უკაცრავად, თუ მართლა და დომხალი გამოვიდეს. დარწმუნებული ვარ, რომ არ ყოფილა და არც იქმნება იმისთანა კაცი, რომლის საუნჯეში – თავში, უმეტეს წილად, არ იმართებოდეს აზრთა მხიარული ნადიმი. მე ის უნდა ვსთქვა, რომ თუ კაცს არ აწუხებს, ამ შემთხვევაში, ერთი მეცნიერულად დაფუძნებული აზრი, თავის დღეში არ ყოფილა ისე, რომ კაცს მუღმივ ლოგიკურად და თანდათანობით ეაზროვნა. მაგრამ მგონი ამაში ვცდები, ხვალ დაუფიქრლები ჩემივე ნათქვამს და ეგება, დაგამახსოვროთ ჩემივე თავი. ეხლა ის უნდა ვსთქვა, რომ ერთი რომანის, ანუ პოემის დაწერა ისე ძნელი არ ყოფილა, როგორც ერთის უბრალო წერილის დაწერა. რაც არ უნდა მიყვარდეს იგი, პიროვნება, რომელთან მისაწერია წერილი, მაინც საშინლად ჩავარდები ხოლმე წერილის ხსენებაზე... დაწერის, რა თქმა უნდა. ერთ წერილს მოვანდომებ ხოლმე სამოთხ საათს. ნეგავი რისთვის მეჯავრება წერილის წერა და რად მიყვარს წერილის კითხვა? მაგრამ ამაზედაც ხვალ ვიფიქროთ, ჩემო ბრწყინვალეებავ. დღეს ჩვენ დავსვავთ, გინდ დავაწვინოთ საკითხავები და ხვალ გამოვიცნოთ. არ დაგავიწყდეს ჩემო

კოტე, რომ შენ ეხლა გეძინება და შეიძლება სისულელე წამორომო, თუმცა შენგან მოულოდნელი არ იქმნება ეს ამბავი. სჯობს გავათავოთ ეს ლაპარაკი – თორემ თუ ეს ქაღალდი ჩაუვარდა პოლიციას ხელში – უსათუოდ საგიჟეთში ჩამსვავენ, სადაც მგზაენი შენ, ჩემო მკითხველო, ჩემი ნაჯღაბნის წაკითხვის შემდეგ.

* * *

1898. 20. II

თუ რომ მე კიდეც მაქვს იმედი ჩემის წადილის აღსრულებისა, თუ მინდა, რომ ფუჭად და გუგუცურად არ გამოვესალმო ამ წუთისოფელს, აი, რა უნდა მქონდეს მხედველობაში: მე ქართული ენა არ ვიცი და იმავე დროს მინდა მწერალი გამოვიდე. სასაცილოა? თუ თავმოყვარეობას ჩემსას კისერი არ მოუგეხნია ჯერ, უნდა მოვიგეხო კისერი და ეხლა შედმიწევნით შევისწავლო ენა, რომელიც არამც თუ მე, არამედ ნახევარმა საქართველოს მწერლებმა არ იციან. მაშასადამე, ენერგია და შრომა თუ ნიჭი მაქვს რისიმე – მომეხმარება, თუ არა და – ესეც გამოჩნდება! უნდა გავანაწილო დღე ისე, რომ უმთავრესი ყურადღება მივაქციო ქართულს და გერმანულ ენას.

* * *

1898. 13. III

ვზივარ მარგოდ ჩემ სოროში და მწარე ფიქრთა ჩიხირთმას გიახლებით. ამაოდ ვეძებ ჩემი სიკვდილის მიზეზს, ამაოდ ვწყევლი ყველას და ყოველს. მიზეზი და დამნაშავე ყველაფერში მე ვარ, მე. „იციხოვრე და შეიგნე კარგად ცხოვრების კანონები, ჩაწერილები და ნოტებზე გადაღებულნი დიდ კომპოზიტორის მიერ – კაცობრიობის ცდით“ – ამბობენ ხოლმე. პატიოსანი! მეც მივსდევ ამ ცხოვრების კანონებს, ცუდად თუ კარგად გაგებულებს, მაგრამ მაინც მივსდევ. მაგრამ რას მაძლევს სამაგიეროს მე თვით ცხოვრება ჩემ მონურ მორჩილებისათვის – პანდურებს, ლანძღვა-გინებას... ჩინებული ჯილდოა! ცხოვრების კანონები გუებნებიან: „ერიდე ყოველ ცუდს, სიავეს სიავით ნუ უპასუხებო.“ არა, ერთი მითხარით, როგორ მოვერიდებით, ამ ეგრეთ წოდებულ, ცუდს... სად გაექცევით მას, რომ წინ არ დაგიდგეთ თავის სამიზღარ სახით. როგორც ვერ წაუხვალთ თავის ჩრდილს, ისე ვერ წაუხვალთ ცუდს,

რომლით გუგუკ ჯორივით დაგვირთულია სამყარო. სიავეს ნუ უპასუხებ სიავითაო! – სისულელეა! ცხოვრება სცენა არ გახლავთ. სცენაზედაც მოსწყინდებათ ხოლმე სულ ერთგვარ როლის თამაშობა და ცხოვრებაში, ეს ხომ აუკანელია. რისთვის უნდა ვუპასუხო სიკეთით სიავეს? სიავის გასწორებისათვის? ვაი მას, ვისაც ესლა შეურყეველად ჰგონია, რომ პრინციპი შეურყეველია... არა, ჩემის აზრით, გიჟია იგი, ვინც მიიღო ცალ ყბაში უმწარესი სილა და უშვერს მეორეს, აბა დამკარო!.. ჯანი გავარდეს სიავესაც და სიკეთესაც, თუ მე ჰვიალუასავით გამსრისეს თავის მუღმივ ბრძოლაში. იმის იმედით დავეკმაყოფილდი, ეგებ შევისვენო და კტბილი ლხენა ვიგემო იქ, „საცა მართალნი განისვენებენ“ – ესეც სისულელე იქნება. თუ დარწმუნებით არ შემოძლიან ვსთქვა, რომ იქ არაფერიც არ არის, ის მაინც შემოძლიან ვსთქვა, რომ სხეული ჩემი ხომ მიწაში დარჩება და დაღუბება და მარგო სულის ქეიფობა – საინტერესო არ არის. არა, მე კაცი ვარ, ჩემს სხეულს, გულსაც, სულსაც, ხორცსაც თავისი სურვილები აქვს. მათ დაკმაყოფილება უნდა და გზა მომცეს ყოველმა, რადგან მე მას არავეს [დაუთმობ], იყოს იგი თუნდ თვით არხისგრაგვე მიხაკო.

მომწყინდა წმინდანობა. თუ ერთი მხრივ ჩემ ბუნებაში გამოვიჩინე, ეგრედ წოდებული, ღვთიური ელემენტი, ესლა გამოვჩინოთ კახური – ლოგიკური თანდათანობა მოითხოვს ამას. ესლა დაერწმუნდი იმ კაცთა აზრის სიმართლეში, რომელნიც ამბობენ, რომ ცხოვრება ერთმანეთისთვის კბილის მგვრევაა. თუ ასეა, ჩვენც ვამგვრიოთ კბილები, ვიდრე შეგვწევს ღონე. დავანებოთ თავი იდეალისგობას, ცხოვრებაში გამოცდები არ არის, მხოლოდ თუ ყმაწვილ ქალის მოხიბვლაც გინდა, მაშინ თუ... ჩემო მტრებო, იცოდეთ, რომ მეც თქვენი დაუძინებელი მტერი ვარ. ერთ წამსაც არ მოგეშვებით, მანამ სანამ სრულად არ მოგსპობთ, არ დაემშვიდდები. სანამ თქვენ სასოწარკვეთილ, გადაპრანჭულ სახეებს არ ენახავ, სანამ ჩემ ფეხებს არ ეამბორებით... მიფრთხილდით!

* * *

საწყალო ჩემო თავო, რას ღონ-კიხოგობ? ვინ უნდა დააძინო ამ უთაებოლო, უსაფუძვლო სამღურაე-მუქარებით. ვინ არის შენი მსმენელი, ან წამკითხველი შენი გულის წადილებისა. დამიარე გულში, რაც შეგიძლიან. ნიაღვარი შენი გულის წყრომისა გაუგებარია, სასაცილოცაა იმისთვის, ვისაც არ უგრძნვია შენებური გართობები. ჩააქრე ცეცხლი, საშინელი ცეცხლი, რომელიც გიწვამს და გიდუღებს სულ-ხორცს, და-აყარე მას გულგრილობის ქვიშა და დაასხი ზედ ცრემლები, თუ შენს

თვალებს შეუძლიანთ კიდევ გამოწურონ რამე თავისგან, დაანებე თავი მეგობრებს – ისინი ვერ გაიგებენ შენს გულის გლოვას, – ან ქალაჩუნობას მიაწერენ, ან ეგოიზმს. ნუ მოსპობ კავშირს მხოლოდ ერთ მეგობარ მშობელთან – ბუნებასთან. მისი ნუ გემინიან, ისიც შენსავით იწვის და იხრაკება – უნდა გამოსვლა თავის გაუგებარ მდგომარეობიდან, მაგრამ სად არის? ის დაგივლებს ყურს და თანაგრძნობით, სიყვარულით გიპასუხებს რასმეს... ეცდება დაგამშვიდოს, მისი პასუხი უსიტყვოა, მაგრამ მგრძნობიარე. ნიავის გიკტიკში, ქარიშხლის ღმუილ-ღრიალში, ქუხილის ხმაურობაში და სხვ. ამისთანებში შენ ხელამ პასუხს თავის გრძნობებისა და მეტი რაღა გინდა. რაც შეუძლებელია, მას ნუ მოითხოვ ბუნებისაგან. რაც შესაძლოა, ყველაფერს გაძლევეს.

* * *

1898. 24. III

შექსპირი. მგონი მესამეთ ვკითხულობ უილიამ შექსპირის გრაგედებს და თანდათან ვიგებ მათ მშვენიერებას და გენიოსობას. არ ვიცი რას მივაწერო, გაუგებრობას თუ სხვა რამეს, მაგრამ შემოხსენიებულ გრაგედებში მე არ მომწონს ერთი რამ, რომელიც ჩემს ფიქრით, უმთავრესი ადგილი უნდა ეკავოს, არამც თუ გრაგედიაში, არამედ ყოველ ფსიხოლოგიურ რომანში და დრამა-კომედიებში. ეს ნაკლოვანება გახლავთ შემდეგ: მოქმედნი პირნი რა მდგომარეობაშიაეც უნდა იყვნენ – ყოველთვის ისე ლაპარაკობენ და იქცევიან, რომ დასაჯერიეც არ არის, რომ სინამდვილეშიაეც ასე იყოს. მოქმედნი პირნი უკლავენ ძმებს, მამას და სხვ. და ესენი როგორდაეც გულგრილად ღელდებიან და მალეეც მშვიდდებიან ხოლმე. კედებიან როგორდაეც არაადამიანურად, თუ შექსპირი თავის გრაგედის გმირებად ირჩევს ღიდ და მძლავრ პირებს, მით უფრო უნდა ახსოვდეს, რომ ეს პირნი უფრო მძლავრად ჰგრძნობენ. მაგრამ ეს უკანასკნელი შენიშვნა ჩემი – სულელურია, რადგან შექსპირს ცილს ვწამებ. მაგრამ რა მომწონს შექსპირისა – ეს მისი წყევლა-გინება: ვერც ერთი კუდიანი ბებერი, ან გაჯაერებული მეჭორე, ქერივი ღელაკაცი, ვერ მოიგონებს ისეთს გამორჩეულ წყევლა-გინებას, როგორც მეფენი და ღიდებულნი შექსპირისა. მოქმედთ პირთ რისხვა რადაეც სამიშარ ქუხილს გვაგონებს და ცოგად არ იყოს – გვაშინებს ხოლმე კიდევაც. მოსწრებულ სიტყვებს, სიტყვათ თამაშს და სხვა ამისთანებს ხომ საზღვარი არა აქვსთ. პირდაღებული მხოლოდ შეპყურებ გრაგედებს და განცვიფრებით აჩერდები ყოველ სიტყვას, რომლის ქვემ მშვენიერ მარგალიტებს ხედაეც... ქება და ღიდება შენს გენიოსს დრამატურგს. ეხლა ავიღოთ ჩემი ცოდნა

ქვეყნიერებისა, ადამიანისა და საზოგადოებისა... შევადაროთ შექსპირისას. შეადარეთ ერთი წყლის ცვარი მთელ ოკეანეს: მასთანვე ის ერთი ცვარი – მღვრიე წყლის ცვარია!.. უკანასკნელი პირნი გრაგვედიაში, რომელთ სულელებს უძახის იგი, გენიოსები არიან ჩემთან შედარებით. მათ მსჯელობას თუ რაიმე აკლია – ეს ერთი ორად მაკლია მე. მაგრამ კმარა, მე თვითონვე მწყინს ჩემსგანვე ჩემივე თავის დამცილება! მაგრამ რას იბამ, გული მოგდის თავის უძღურობაზე, დამნაშავეს ვერსად ხედავ და მთელ ჯაერს თავისთავმედ იყრი.

„გლახის ნაამბობი“ – ილიასი. ბუნება შესცდა კაცად რომ გამომიყვანა მე. ჩემის გულის პაგრონი უნდა ვყოფილიყავი ერთი საცოდავი, მგრძნობიარე დედაკაცად, რომელს გირილ-წმუკუნი უყვარს ისე, როგორც ლოტოს არაყი, ან ღვინო. საკმარისია დავინახო ვისიმე თვალეში ერთი ცრემლი, რომ ჩემ თვალეშიდამ ათი ვადმოვანთხიო. ხშირად, წიგნის კითხვის დროს, გულმოღვინედ მიგივრია და მერე მე თვითონ შემერცხვინია. კომედიაში, უბრალო კომედიაში მგირალ კომიკს რომ დავინახამ ხოლმე, მაშინაც კი ცრემლი მომერევა ხოლმე... სისულელეა და მეც ამას ვგრძნობ კარგად! „გლახის ნაამბობი“ პირველად რომ წავიკითხე, ბევრი მაგირა. მის შემდეგ ბევრმა წელიწადმა განვლო, მე დავვაჟკაცდი, შევსრულდი, ნერვები ვავიმაგრე და ჩემს თავს დემონად ვრაცხდი. ავიღე ხელმეორედ როგორღაც ეს „გლახის ნაამბობი“ და მეორედ უფრო ამეშალა გრძნობები. ამ თხზულებამ როგორღაც უცბად შეიპყრო ჩემი სული და გული და ორივეს ერთად მიბრუნებდა. რა ძალა აქვს ამ თხზულებას. ისეთი მომხიბლავი, რომ მე არა მარტო პაგრიოგულ გრძნობის დასაკმაყოფილებლად, არამედ ისე ღრმად დაჯერებული ვარ, რომ იშვიათად წამიკითხავს ასეთი მშვენიერი თხზულება.

„გლახის ნაამბობში“ გამოჩნდა, თუ როგორ და რაოდენ ესმის ქართველი ილიას. ამ პაგარა მოთხრობაში მან დაასრულა მთელი საქართველო, მთელ ერის სიმღიდრე-სილაგაკე, სიმართლე-სიპუჰე... თუმც თვით შინაარსი და საფუძველი ამ მოთხრობისა წარსულია. მაგრამ მაინც ეს მოთხრობა არ ჰკარგავს თავის სიმშვენიერეს. გაბრიელი ეკუთვნის ჩვენს ხანას და კიდე დიღხანს იცხოვრებს, თუმც გარეგანი მღვომარეობა და სურათები შეიცვლებიან. გაბრიელი ქართველია და თავის პაგარა გულში ითვისებს ჩვენი პაგარა მხარის უმთავრეს თვისებებს. ამისათვის არის ჩვენთვის ძვირფასი და დაუვიწყარი, ამიგომაც ვაქებთ ჩვენ ილიას, ქართველ კაცის გიპის გამოსახვით...

1898. 25. III

სტირის ბუნება. წვიმა, თოვლი, სეკყვა ერთმანეთში არეული ჰგლევს დედამიწის სულს; ქარი მძვინვარე და სუსხიანი, მაგიურ გახელებულ მხეცივით ღმუის და ღრიალებს. ამ შუოთს და დავიდარაბას ღმერთისაგან პჟარავს ქურდულად თავის საბანში პირმავე სიბნელე. ხენი ცამდის აყულებულნი იხრებიან და ოხვრით ემდურიან ვიდაცას, მათი ფოთლები ახელებულნი სისინებენ და შესჩივიან ერთმანეთს... ღმერთო! მე ვზივარ ოთახში. თბილა ოთახში, სიჩუმეც სუფევს. გარედ კი, ბუნება ღრიალებს, ქვითინებს... ჩემს ოთახში მხიარულად ლაპლაპებს ცეცხლი და ატკაცუნებს სიამოვნებისაგან შეშას... მაგრამ მე თვით მოწყენილი ვზივარ. ჩემ გულს სწადიან უფრო შუოთი, დავიდარაბა, ვიდრე ეს სიკვდილის, მომაკვდინებელი, უცხვირიპირო სიჩუმე... ნელად ჩუხჩუხებს ძარღვებში სისხლი და გაუგებარი, მით უფრო ძნელად ასახსნელი გრძნობა იგაცებს ჩემს გულს, სხეულს – მეგადა იგი, თუ სასოწარკვეთილება. სიყვარული თუ სიძულეილი? ორივე ერთად. ღმერთი და ეშმაკი იბრძვიან ჩემს გულში და ეს ბრძოლა მესმის მე... ვგრძნობ... გარედ კიდევ ერთმანეთს ებრძვიან ბუნების ძალი და სუყველანი ერთად კენესიან... მე მივრბივარ ფანჯარასთან, ვაღებ იმას და ვიძახი: ოპ, ბნელო სტიქიონო, მიიმაგეთ ჯარისკაცებად ჩემი [...] გრძნობანიც, მე თქვენთანა ვარ და... მაგრამ ქარს მოაქვს მთელი ქვეერი თოვლ-ჭყაპისა და პირს მაგენის... გაჯაურებული ვხურამ ფანჯარას და თბილ ლოვინში ვწვები, რათა სიმძრად ვნახო [...].

1898. 27. III

ამ უკანასკნელ დღეებში ძალიან სუსკათა ვარ; სულთ ცხოვრება მეგისმეგად მიძნელდება, ხორციელს ვერ მივსდევ, კაცთ ნაკლულოვანებად და სიმეიერემ დამარწმუნა, რომ ამ სოფელში, როგორც იმ სოფელში, არ თამაშობს პირველ როლს. ბედნიერმა შემთხვევამ და ცოტად მეგმა გამჭრიახმა გონებამ აამაღლა კაცი პირუტყვზე, აამაღლა, მხოლოდ გონებით და რამოდენიმე სახვით კიდევ, მაგრამ დანარჩენში კაცი ისევ პირუტყვად დარჩა. კაცმა, მეტად თავმოყვარემ, ავადმყოფი დიდების მანიით გამოიფონა სული, ღმერთი, ჯოჯოხეთი, სამოთხე და სხვა ამისთანები. რასაკვირველია, მას არ დააკმაყოფილებდა „ამრი, რომ თვითონ პირუტყვის ნათესავი გახლდა, ღმერთს მიანდო კაცის გაჩენა

და ღმერთმაც, რასაკვირველია, როგორც პატიოსანმა მოქანდაკემ, გააკეთა პატიოსანი კაცი, შთაბერვით შთაუდგა სული, ჰკრა თავში წიკ-პურტი და მისცა დედამიწა სამფლობელოდ...“ ოპ, კაცის ფანტაზია, რა საზიზღარი და ამავე დროს რა სასიამოვნო რამა ხარ? შენ აშენებ ხოლმე ციურ შენობებს, მაღალ გაძრებს, ჰბადავ ახალ ქვეყანას და ამაღლებ კაცის გულს, მაგრამ ცივი გონება ანგრევს შენს ნაშენებს, სასოებათ ხდის შენს გაძრებს და ჩამოჰყავს არარსებულ გახტიდამ კაცის სული და გული. მითხარ, საზიზღარო, რომ როდემდინ ვერ გვაძლევ სიამოვნებას, სიგებობას და მხოლოდ გვატყუებ, გვხიბლავ წუთიერად. შენ არწმუნებ კაცს, რომ სიკვდილის შემდეგ მას დარჩება სული, მგრძნობიარე და მცოდნი, მაგრამ რატომ არ ამბობ, რა შეხედულებისანი არი ეს სულნი; შენ ამბობ უხილავნი არიან, უსხეულონი; რით დამიმტკიცებ ამას? თუ უხილავნი არიან, რანაირათ იყან ისინი? სიმშრებიდამ, ილუზიებიდამ და სხვა ამგვარ მდგომარეობებიდამ? მაშ თუ ამ, ესრეთ წოდებულს სულს, ისეთი ღირსებები ჰქონია როგორც გონება, გრძნობა და მისთანები; კაცის ორგანიზმში ფსიხიკის იყვნენ: გვინი, ყურები, თვალები, ნერვების სისტემა... და ან როგორ შეუძლიან სულს აზროვნება, ყურთა სმენა, თვალთა ხედვა, ოდეს უსაჭიროესნი აპარატები არა აქვთ ხელთ?.. შენ მიპასუხებ: – ეს კაცის გონებისათვის მიუწვდომელია; ეს შეადგენს ღვთაების საიდუმლოს; არ მესმის რა მიზანი აქვს ღმერთს, რომ კვლუკობას გვეთამაშება? ან რისთვის უნდა მაღავედეს, ინახავედეს საიდუმლოდ რამეს და მის გამომჟღავნებისა ეშინოდეს... მითომ, იმიტომ რომ უფრო კარგად გვაცადოს, შეგვიძლიან თუ არა მარტო სასოებით ვიცხოვროთ?.. ძალიან კარგი გასართობია ღმერთისათვის, და კაცისათვის რა მოგახსენოთ!.. როგორღაც შევედი გაძარში, იყო კვირა დღეს: და ამ წმინდა შენობაში მოუყრია თავი ქალაქის მკვიდრთ. მლოცველნი იღგნენ ჩუმად და ყოველ სიგყვას, რომელიც გაისმოდა საკურთხეველში, პირჯვარის გამოსახვით ისმენდნენ. მიწოდდა ერთისათვის მაინც მკითხა: – რას შვები კაცო, ან რისთვის? – მაგრამ ვერ ვაბუღე და ყურება დაუწყე მთელ წარმოდგენას, სადაც უმთავრეს როლს ასრულებდა მსუნაგი, წუწკი მღვდელი.

ხორო ნაზად ვალობდა რაღაც საგალობელს, მაგრამ რა, ყველა იმას სცდილობდა, თუ როგორ გამოეყვანა ეს თავის ნოგა და თვით საგალობელიც. ლოცვის შინაარსი მას არ ახსოვდა. მღვდელი, როგორც ერთხელ მიმართული მესიანიზმში, გადიოდ-გამოდიოდა ერთი და იგივე სახის გამომეტყველებით, მლოცველთ უმეტესი ნაწილი გულ-მავიწყად ყურს უგდებდა ხოროს, მღვდელსმთავარს. პირდაღებული შესქეპროდა

იგი მხატვრობას მალდა, ძირს, გვერდზე. უკან ქალები იდგნენ, ისე ნაზად აგრილებდნენ თავის თვალებს, რომ მსუნაგ ვაჟკაცებს მართლა რომ ალოცვინებდნენ... ნუთუ ღმერთი კმაყოფილი დარჩა ამით? გათავდა წირვა-ლოცვა და ხალხი, თითქო საგუსალოდამ გამოშვებული, სიხარულით გამოვარდა სოფლიდამ. არავინ იკავებდა, ვინ დაიჭერდა მათ სუდარაში? შეუძლო ასევე გამოსვლა... მაგრამ არა. აქაც სავალდებულო საქმეა, ქრისტიანის ვალია საყდარში წავიდეს და როგორც მოგვხსენებათ, ყოველი ვალი, ისიც იგი თუნდ სასიამოვნო, მერე ბებრდება კაცს. იარე ხალხო საყდარში. აგყუე შენი თავი. შენც, მღვდელო სწირე. გვამინებდე ჯოჯოხეთის სამინელებით და გკბილ სიგყეებში გვიხაგე სამოთხის სიამოვნებანი. სულ ერთია შენთვის, არც ერთს და არც მეორეს არ მოესწრობი...

ჩემი და პარო

1898. 10. V

ცხრა თუ ათი წლის ბავშვი ვიყავი მაშინ, რა დროსაც შეეხება ეს ჩემი მოთხრობა თავგადასავალიდამ. მე ის იყო მიხილის საავათმყოფოღვან გამოვედი და დანჯღრეულ ეგლით დანჯღრეულ ქუჩებზე მოვრახრახებული აულაბარში ბიძაჩემის სახლში, სადაც იყო ჩემი თავშესაფარი. ოთხი თვე ვიწექ საავათმყოფოში, კინალამ სული ეშმაკს არ მივაბარე, მაგრამ ანგელოზმა მფარველმა მიშველა და სიკვდილის ბრჭყალებიდან გამომგლიჯა და სიცოცხლის გზაზე დამაყენა, მკრა პანლური და მითხრა: გასწი ჩემო ძმაო, წინ, იგინგილე, ეთრიე და ფრთხილად მოიქეც. იცოდე – სიკვდილი უკან დაგედევნება და ეხლა თუ მერე მოგეწევა, მაგრამ შენი საქმე დამალვაა, სანამ მოგეწეოდეს, დასკები სიცოცხლით და მის ყვაილებს სუნით აივსე გული და სული... გყვილად ირვებოდი ჩემო ანგელოზო, დაგენებებინა ჩემთვის თავი – სჯობდა. მაშინ სიცოცხლის ფასი არ ვიცოდი – დე მომკვდარიყავ – არც შევინანებდი... მაგრამ ეს საქმეს არ შეეხება. ოთხი თვე ვიყავ საავათმყოფოში-მეთქი და ეხლა ისევე ჩემ სასტიკ ბიძაჩემთან მივდიოდი... დაიწყებოდა ისევე ჩვეულებრივი ცხოვრება, გაკვეთილების მზადება, ბიძაჩემის სილა-მუშგების ყლაპა და სხვა... მოვეახლოვდი სახლს, გულმა ძგერა დამიწყო. ნეგავ ამ ოთხი თვის განმავლობაში რა ცვლილებები მოხდა შინა, ვკითხავდი ჩემს თავს. იგივე მოსამსახურება თუ არა – ჩემი კეთილი ტროშკა?.. ცოცხალია თუ არა ჩემი ციცუნია და კარის ძაღლი მურზიკა... ამასობაში მე კიდევაც მიველ სახლში. დავაწკარუნე. მომესმა წინა ოთახში რუსულ ცხრაფუთიან



მარცხნიდან სხედან: კოტე მყააშვილის ძმა — იოსებ მყააშვილი (იურისტი),
და — თამარ მყააშვილი-თარხნიშვილისა (საბავშვო მწერალი), ძმა —
ილია მყააშვილი (რუსეთის არმიის გენერალი). დგას: კოტე მყააშვილი
ფოტო ე. კლარისა
სლმ №1106-ი

წალების ბაგა-ბუვი... ვადაბრუნდა გასალები და კარებში გამოჩნდა კეთილი, სულელური სახე „დენშჩიკისა“. — „კოტია!“ — აღტაცებით დაიძახა გროშკამ და თვალის დახამხამებაზე გვერდებში ხელით, თავის მხარეზე ამსვა და ისე შემატრია ოთახებში. ის იყო ჩემ ცხენილამ უნდა ჩამხტარვიყავ, როდესაც კარებში გამოჩნდა ნალვლიანი სახე... დელაჩემისა... გაკვირვებულმა დავაშგერე თვალი — ხომ არ მეშმანება-მეთქი. აქ სად მოსულა დედა-

ჩემი?! მაგრამ აღქმის დრო არ მქონდა. დედაჩემმა მიმიკრა გულზე და მხურვალედ მკოცნიდა. აღელვებული: „მადლობა ღმერთს, შეილო, მადლობა ღმერთს, რომ შორჩი შეილო, ჩემო სიხარულო“... ვერ გაუძღეს ნერვებმა საზოგადოთ სუსტ დედაჩემს და გირილი დაიწყო, ვინ იყის სიხარულისა, თუ სევდის გირილი იყო იგი: – მე ვგონებ ორივე ერთად. მე შეუცხოვა დედაჩემის ცრემლები და ვიდექ თავჩაღუნული, სულგანაბული... გაიარა რამდენიმე ხანმა და კარები შემოაღო ვიღაცამ... ვერ მოვასწარ მობრუნება კარებისაკენ, როდესაც ვიღაცის ხელებმა დაიჭირეს ჩემი თავი და საკოცნელად მიიმიდეს თავისკენ... „კოტე, კოტე! ოპ, რამოდენა გამხდარხარ, – იძახოდა ჩემი და ანიკო და სიყვარულით მიყურებდა მე... „როგორ დავაეკაცებულხარ, ვერ უყურებთ ამას“ – იძახდა ანიკო და მკოცნიდა, მკოცნიდა... ოპ, ღმერთო, ღმერთო! ნეგავ შენ ყოვლად კეთილო, უზომო სიყვარულის პაგრონო, გიყვარდა ისე ვინმე, როგორც მე მიყვარდა ეს ანგელოზი და ანიკო... ეხლა ჯერი ჩემზე მოდგა... სიხარულისგან თუ აღელვებისგან, არ ვიცი, მოვრთე ღრიალი... ძლივს დამაჩუმეს... ცოგა რომ დავმშვიდდი, მოვეყე მე სააავთმყოფოს და ჩემს ავათმყოფობის ამბებს, რასაკვირველია რუსულად, რადგან არ ვიცოდი ჩემი მშობლიური ენა. დედაჩემმა არ იცოდა რუსული, მაგრამ მაინც სიამოვნებით მიგდებდა ყურს და სევდიანი ღმილით თვალს ადევნებდა ჩემის სახის გამოშეგყველებას... ანიკო იჯდა საეარძელში და ყურადღებით, ბეჯითად მიგდებდა ყურს, მისი თვალები კეთილნი, წყნარნი, სავსენი სიყვარულით და ნუგეშით, ჩემის გულის ყოველ კუთხეს ხედავდნენ მგონი და სცდილობდნენ დაემშვიდებინათ თავის ციურ ძალით აღშოთებული გრძნობები... ბევრს ვლაპარაკობდი მე და ბევრსაც ვილაპარაკებდი კიდეც, მაგრამ უცბად მეორე ოთახიდამ, სადაც ჯერ მე არ შევსულვარ, მოისმა სუსტი, სასოწარკვეთილებით აღსავსე ძახილი: „დედი, შენი ჭირიმე, დედი! მიშველე რამე“. ამ ხმამ გული გადამიბრუნა და ცოგა არ იყოს, ფერი მაცვლევიანა. დედაჩემი საჩქაროდ წამოხტა თავის ადგილიდამ და არა ბებრული ნაბიჯით მიემურა ძახილზე. ანიკოც, თითქო ვინმემ დაჭრა, წამოხტა და მყისვე გაჩნდა მეორე ოთახში, მე ისევე ჩემს ადგილზე ვიდექ და ვკვირობდი – ეს რა არის მეთქი?! – იქ ვინ იყო – ავათმყოფი?... ცოგა ხნის შემდეგ მეც დამიბარეს და გავჩნდი მეორე ოთახში და გავშრი კარებში. ლოგინზედ იწვა ვიღაც ქალი, საშინლად გამხდარი, თითქმის კანიც არ ეტყობოდა სახეზედ. მაღალ ბალიშებზედ უძლურად ელო თავი, გაწეწილ, შავი მშვენიერი თმებითა... მცირედ პირდაღებული ძნელად სუნთქავდა... თვალები დახუჭული პქონდა და წამწამების ქვეშ პქროდნენ რამდენიმე ცრემლის ცვარი... ტუჩები სიცხისაგან დანსკდარნი ინძრეოდნენ. დედაჩემი იჯდა მის

ლოგინზე, ერთ ხელში რაღაც წამალი ეჭირა და მეორე ხელი კი ავანტიურის
შუბლზე იდო. ფეხებში უჯდა ანიკო და მღულარე ცრემლებს ღვრიდა...
დედაჩემი მომიბრუნდა და მითხრა ჩემის ხმით: „მოდი შეილო! – შენი და
ვაროა!“, „ვარო?!“ – წამოვიძახე გაკვირვებით მე და ერთი ნაბიჯი წინ
წავდგი... ამ ძახილმა გამოაღვიძა ავანტიურა... იმან გაახილა თავისი
მშვენიერი ელვარებიანი თვალები და ჩუმად დამიწყო ცქერა... თითქოს
ვერ მიცნო. მერე შუბლზე გადასვა ხელი, წამოიწია ასადგომად, მაგრამ
ვერ გამაგრდა და ისევ უძლურად დაეცა ბალიშებზე – „კოტე, საყვარელო
ძმაო, კოტე შენა ხარ?...“ სუსტად წარმოსთქვა დამ და ხელები გამომიშ-
ვირა. მე მივარდი, საკონცელად მოვიმიღე იმისი თავი, მაგრამ ავანტიურმა
წყნარად შემაკავა: „ნუ, ნუ მოხვალ ახლოს შენი ჭირიმი... გადაგდება,
შორად დადექ, გიცირო! ოჰ, როგორ დამშვევებულხარ, სრულიად მორ-
ჩენილხარ!.. მე კი არ ვკვლები, კოტე, დავჭლექდი, საწყალ დის ევგენიას
სიკვდილმა მეც სამარემდინ მიმიყვანა... მადლობა ღმერთს ცოტა დარჩა
კიდე... მალე ვიხილავ ჩემს ძვირფას ევგენიას“... აქ კიდე რაღაც უნდოდა
ეთქვა, მაგრამ დედაჩემმა გააწყვეტინა სიგყვა: „კარგი შეილო, ნუ მოჰკალ
დედიშენის გულიც... სამაგისო რა დაგმართებია, რომ სიკვდილზე ჰფიქრობ...
განმხნევედი შეილო, მალე ღვთის მადლით მორჩები... წავალთ კახეთში
და ისევ მშვიდობიანად ვიცხოვრებთ... კოტეც, ჩვენი გარუსებული პრის-
ვოსტა კიდე წამოვა ჩვენთან და შენ იცი, როგორ ასწავლი იმას ქარ-
თულს... თავის დღეში არ დააიწყლება, რაკი პირველი ასწავლი დედა-
ენას... ჰო, შეილო, ნუ გატყდება, ღმერთი მოწყალეა, ვენაცვალე მის
მადლს“. ვაროს გუჩებზე გამოჩნდა სევდიანი ღიმილი და თავისი თვალები
სიყვარულით დედაჩემს მიაპყრო... „საწყალო დედაჩემო, – დაიწყო
ვარომ – როგორ სძლებ ამოდუნა განჯვასა, ჯერ მამაჩემი დამარხე,
კარგად ვერ გამოიმგლოვიარე, მოგიკვდა საყვარელი ქალიშვილი
ევგენია, იმას მე გადაყვები. ნუთუ არ სჯობია მალე მოვკვდე, მოგაშორო
ამდენი განჯვა და მეც დაეწყნარდე, შევისვენო... მე ხომ კარგად გიხსნი,
არაფერი მეშველება!.. დამანებეთ თავი, მიმანდეთ ღმერთს, იმან იცის
კარგად რაც მოგველის და, მიპაგრონებს“, ამგვარად დიდხანს ილაპარაკა
საწყალმა, ჩემთვის ბევრი რამ იყო გაუგებარი, მაგრამ მე ვგრძნობდი,
რასაც ის ამბობდა... ყოველი იმისი სიგყვა გულს მხვდებოდა და მიწყლუ-
ლებდა... ანიკომ ვერ შესძლო, ხელებში დამალა თავისი სახე და ჩუმად,
გულსაკლავად ქვითინებდა, ვაროს შეუმჩნეველად... მომერია მეც ცრემლი,
თითქოს ყელში რაღაცამ წამიჭირა... მსწრაფ მოვბრუნდი და გავარდი
მეორე ოთახში, დავეცი დივანზე და მწარე გირილი მოვრთე.

აქ მეტი არ იქნება. გადავავლოთ თვალი წარსულს, შევეხოთ ჩვენ

ოჯახის ერთმანეთის დამოკიდებულებას. ჩვენი ოჯახი შესდგებოდა თერთმეტი სულიდამ: მამა, დედა, ოთხი და, ხუთი ძმა. ჩვენი ოჯახი მთელ სოფელში სამაგალითო ოჯახად ითვლებოდა. ძმების, დების და მშობლებს შორის სწორედ რომ ზღაპრული სიყვარული სუფევდა. ნამეტნავად უყვარდათ ერთმანეთი ვაროს და ვეგენიას, განუშორებელნი, ორივე ერთ აზრით ცხოვრობდნენ, ორივენი ისე შეთანხმდნენ, შეკავშირდნენ, რომ უერთიერთოდ ცხოვრება მათთვის გაუგებარი იყო და იქნებოდა. ერთ დროს დგებოდნენ ლოგინიდან, ერთ დროს წებებოდნენ, ერთ დროს სჭამდნენ პურს... სახის გამომეტყველებაც თითქმის ერთი ჰქონდათ. წყნარად და მშვიდად მირბოდა დრო. ძმები დავაჟაკდნენ, დები გასათხოვარ ქალებად შეიქმნენ: უფროსი ანიკო 26 წლისა იყო, ვეგენია ცხრაშვიდისა, ვარო თვრამეცისა, თამრო კი თერთმეტ-თორმეტი წლისა. ისე მიდიოდა დრო. მაგრამ მოსწყინდა ამ ოჯახის ბედნიერება და თავის გასართობად, თუ თავის ავგულობის დასაკმაყოფილებლად მოსტაცა ოჯახს ერთი შვილი, მეორე, ჯერ კიდევ მხნე, გოლიათი შესახედავად მამა. დარჩა ეს უმეფელებელი ოჯახი ობლად, დაგრიალდა მწუხარება და გაანადგურა, გააფრთხო მშვიდობიან ბუდის მფლობელნი. ლამაზმა, ჯანმრთელმა ვეგენიამ ვერ აიგანა მამის სიკვდილი, დაიწყო ჩუმად გირილი, ყოველთვის მყუდროებას ეძებდა, რათა იქ მისცემოდა მწუხარებას, მასთანვე შემოდგომას გაციედა და დაჭლექდა. ოთხ თვის განმავლობაში იგანჯებოდა საწყალი და მერე გარდაიცვალა. ეს იყო 85-86 წლებში. სტიროდა დედაჩემი, დები, ძმები, ივლეჯდა თმებს მწუხარებისაგან გაგიჟებული დედაჩემი, მაგრამ ყველაზე მეტად იგანჯებოდა და ვარო. გაშტერებული უყურებდა იგი კუბოს, თავის დას დასცქეროდა რაღაც უცნაურად... თითქო ვერა სცნობდა... თითქო საშინელ სიმშარშიაო. ერთი ცვარი ცრემლიც არ დაუღვრია... ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ სამ დღის განმავლობაში იყო, არ შორდებოდა კუბოს და სულ ასე გაშტერებით დასცქეროდა კუბოში მწოლიარს დას... მხოლოდ ხანდახან რაღაც უცნაური, საზარელი კვნესა, რაღაც არაადამიანური გამოფრინდებოდა ხოლმე იმის გულიდამ. ამაოდ სცდილობდა დედაჩემი, ნათესავნი, ნაცნობნი გამოეყვანათ როგორმე ოთახიდან ვარო „არა, არ მინდა, ნუ მომკლავთ, ნუ“ – იძახდა მხოლოდ, საბრალო. დამარხეს ჩემი და ვეგენია და მასთანვე გაუთხარეს საფლავი ვაროს... უმოძრაოდ იჯდა იმ ოთახში, სადაც გარდაიცვალა ვეგენია, ივლეჯდა თმას, კედლებს არგყამდა თავს და სიკვდილს ნაგრულობდა. განვლო რამდენიმე თვემ და ვარო გახდა ავით... ყოველ ღამეს ელაპარაკებოდა ვიდაცას და ეს ვიდაც იყო მისი და ვეგენი. „პო, შენი ჭირიმე, მოვალ შენთან, პაგარა დამიცადე!“ – იძახდა საწყალი.

ავათმყოფობა გაძლიერდა და რადგან სოფელში მკურნალი არ
დედაჩემმა წაიყვანა ქალაქში... აი, სწორედ ამ დროსაც გამოვედი
საავათმყოფოლამ მეც და პირველად გავიგე ვაროს ავათმყოფობა... მე
მალე შევეჩვიე იმ აზრს, რომ ვარო ძრიელ ავათ არის, მაგრამ რადგან
ბავშვი ვიყავ და გარემოება დიდ შთაბეჭდილებას არ ახდენდა ჩემზე,
მთელი დღე გარეთ დავრბოდი და ქვის სროლაში ვვარჯიშობდი.
სალამობით ვიჯექ ანიკოსთან და ვისმენდი ჩვენ ოჯახის წარსულ
ბედნიერების ამბებს. ბიძაჩემი, ჩუმი და სასტიკი კაცი, მოდიოდა სამსახუ-
რიდან სალამობით შინა და ქალაქებში ჩაიმალებოდა ხოლმე... ხშირად
ვიჯექ მე ვაროს ოთახში და ჩუმად, ბავშვურ მტკივნეულობით ყურს
უგდებდი იმის ჩივილ-გირილს... დედაჩემს და ანიკოს ქალაქში რაღაც
საქმეები გამოუჩნდათ; დილით წავიდოდნენ ხოლმე და შუა დღეს ისევ
ბრუნდებოდნენ. ამ დროთი ისარგებლა ვარომ და ქართული ანბანი
შემასწავლა. აიღებდა დედა ენას, მიკითხავდა, მისხნიდა შინაარსს და
ცოგად არ იყოს თვითონაც გაერთო ამ საქმეში. ცოგა ხნის შემდეგ
უკეთ იგრძნო თავისი თავი და შედარებითი სიმბიარულეც დაეცყო სახე-
ზედ. მეც ვედილობდი როგორმე დამეკმაყოფილებინა ჩუმი მასწავლებელი
და რადგან არა უნიჭო ბავშვი ვიყავ, მალე დავიწყე კითხვა, თუმცა წერა
გამიძნელდა, მაგრამ იმასაც ვსძლიე... მრავალი ლექსი დავისწავლე
ზეპირად და ამით ვართობდი ჩემს დას... მიდიოდა დრო და თან მიჭქონდა
ვაროს სიცოცხლის დღენი... ექიმებმა თითქოს აიღეს იმაზედ ხელი... საწ-
ყალს ჰკლავდა არამც თუ მარგო სიჭლექე, არამედ ვევენისა სიკვდილიც,
ამის ხსენებაში იყო ყოველ წუთს... არ დამავიწყდება თავის დღეში ის
საშინელი და გულსაკლავი სურათი, რომლის მოგონებაზედ ეხლაც
ერუნტელი გამივლის ხოლმე ტანზე. იყო მშვენიერი სალამო. დედაჩემი,
ბიძა და ანიკო სადღაც წავიდნენ. დავრჩით სახლში მე და ვარო. ჩვენ
ვიჯექით ფანჯარასთან და გარეთ ვიყურებოდით. მზე ჩადიოდა და უკა-
ნასკნელი სხივებით ოქროსფერად ღებავდა მთაწმინდას... ღრუბლნი
სხვადასხვა ფერისანი ფანტასტიურ ფორმებით, უძრავად ეკიდნენ ცაში
და დასცქეროდნენ დედამიწას. ვარო დიდხანს უყურებდა ღრუბლებს და
რაღაც იღუმალი აზრი ელვარებდა მის თვალებში. „იქ, იქ... ის იქ არის და
მეც მალე იქ ვიქნები“ – ყრო ხმით წარმოსთქვა ვარომ. მე გაკვირვებით
შევხედე იმას და ვერაფერი ვერ გავიგე. „ოკ, წუთისოფელო – განაგრძო
ვარომ – მოშხამულო წუთისოფელო, რათა ხარ ესოდენ მშვენიერი და
იმავე დროს ესოდენ საზიზღარი?!“ აქ დადუმდა იგი და დიდხანს უყურებდა
ღრუბლებს, რომელნიც თანდათან სცვლიდნენ თავის ფორმას. ხან
მშვენიერ ამწვანებულ მთას წარმოადგენდნენ, ხან რაღაც დიდებულ

სასახლეს და ხან ვინ იცის, რას. ამასობაში მზე ჩავიდა და ბუმბერაზულ ნაბიჯით მოახლოვდა სიბნელე და შავი ბეწარი გადახურა დედამიწას... მე ჩავთვლიმე, ბურანში ვხედავდი, რომ ვარომ აანთო სანთელი და ქვეშაგებში დაწვა... არ ვიცი რამდენი ხანი მეძინა, როდესაც რაღაც ხმამ გამაღვიძა... გავახილე თვალები, გავაღე პირი სალაპარაკოდ, მაგრამ პირი ისევ ღია დამრჩა და თავმარდაცემული თვალებად ვიქექე... ვარო მუხლებზე იღვა ლოგინზე, კედელზე მიუპყრია თვალები და რაღაც გაცოფებით, სასოწარკვეთით იგლეჯდა თმებს ორივე ხელებით... სახე მუდამ გალურჯებული, ეხლა როგორღაც გაუშავდა და საშინელ სანახავს წარმოადგენდა... ვარო ხმამაღლა გიროდა... არა, ეს გირილი არ იყო, ეს იყო ყვირილი, საშინელი გოდება „ევგენია, შენი ჭირიმე ევგენია“, ყვიროდა, – მოდი წაიყვანე შენი ვარო! რათ დასგოვე იგი ობლად!.. ოპ, ღმერთო, ღმერთო ნუ მტანჯამ, გამკურნე, წაიღე სული ჩემი!.. ნუთუ არ დასტკბი ჩემს ტანჯვით!“ გიროდა, ყვიროდა ვარო და უწყალოდ იგლეჯდა თმებს... შიშმა გამაგვიყა... მინდოდა დამეყვირა, მოსამსახურე დამეძახებინა, მაგრამ ხმამ მიმუხთლა... ენაც ვერ გავანძრიე... თვალებში დამიბნელდა, როგორც იქნა წამოვხტი და სავარძელ ქვეშ შევეძვერე... „ოპ, ნუ მტანჯავთ ციურნო ძალნო, წამიღეთ. აი, მე მზადა ვარ! ევგენია, მოვდივარ, მოვდივარ“, – და აქ ვარომ წაიჭირა ორივე ხელებით ყელი, დაიწყო ხრიალი... მე ვუყურებდი, მაგრამ არაფერი არ მესმოდა რა, არა გამეგებოდა რა, – მე ვხედავდი და ვერაფერს ვერ ვგრძნობდი... ერთი ვიყვირე კი და, წამოვხტი, გადავებრუნე სავარძელი და უგრძნობლად დავეცი გულშეწუხებული... არ ვიცი დიდი ხანი ვიყავი ამ მდგომარეობაში თუ არა, როდესაც გავახილე თვალები და მივიხედ-მოვიხედე, მარტო მე და ვარო ვიყავით. მე ვიწქე დივანზე და საწყალი და მაბრუნებდა... „მაპატიე, კოტე, შენ გენაცვალე, შეგაშინე უნებლიედ, დალიე წყალი, მოგიხდება!“ – იძახდა შეწუხებული ვარო... ამ დროს შემოადო კარი დედაჩემმა და ანიკომ... „ნუ ეტყვი ნურაფერს დედასო“ – წამჩურჩულა ვარომ...

გავიდა ერთი თვე ამის შემდეგ... ერთ მშვენიერ მაისის დღეს ჩავილაგენით და გავსწიეთ სოფელ იყალთოში. დიდი ხანია არ მინახამს ეს ჩემი სოფელი. სიხარულით, აღტაცებით უყურებდი შორს, მყუდროდ მდგარ ჩემს სახლს, მასთან საბძელს და ვიგონებდი იმ დროს, როდესაც მე იქ ვგმირობდი ჩემი ქვასროლიობით... მრავალნი ნათესავნი გვეგებებოდნენ გზაზე, მაგრამ სიხარული არ ეგყობოდა იმათ სახეს... ყველანი შებრალებით უყურებდნენ ვაროს, რომელიც გულის ძგერით ელოდა იმ წუთს, როდესაც დაინახავდა იმ ადგილს, სადაც გარდაიცვალა ევგენია. ჩამოვხტი ურმიდამ (თელავამდე დილიქნით და თელავიდან ურმით),

ვარო გაქანდა ოთახში და გულშეწუხებული დაეცა იმ ადგილას, სადაც წინედ იდგა ვეგენიას კუბო...

გაიარა კიდევ ერთმა თვემ... მე იშვიათად ვხედავდი ვაროს, რომელიც იყალთოში ჩამოსვლის უმაღლეს როგორღაც დამშვიდდა და მორჩილებით ელოდა ბედ-იღბალს... ხშირად მინახავს მტირალი დედაჩემი, რომელიც იჯდა ხოლმე ვინმე მემობელთან და იმის ავითმყოფობაზე გიროდა. გულჩვილი მემობელიც ვერ იტანდა დედინემის ტანჯვას და ისიც ქვითინებდა და მალმალე ცხვირს იხოცდა...

ერთ საღამოს მე და ჩემი ძმა სოსო, რომელიც მაშინ გიმნაზიაში იყო, ვიჯექით დივანზე და რაღაცაზე ვლაპარაკობდით, უცბად მეორე ოთახიდან, სადაც ვარო იწვა მოისმა სასოწარკვეთილი ხმა დედაჩემისა: „ვარო! ვარო!“ და ისევ სიჩუქე ჩამოვარდა, რაღაც გრძნობამ თითქოს მიჩხელიტაო... ჩვენ ორთავე დავაშკერეთ თვალი კარებს, რომელნიც იმ ოთახში გადიოდნენ. დედაჩემი დიდხანს არ გამოდიოდა ოთახიდან... მე ავდექე, მივედი კარებთან და რადგან აკრძალული მქონდა იქ შესვლა, დავდექი, ყური მიუვგდევ, სუნთქვა შევიგუებე და სმენა დაუწყე... ვერაფერი ვერ გავიგე რა ისეთი, რომ დედაჩემმა ისე საშინლად დაიყვირა-მეთქი, ვამბობდი ჩემ გუნებაში, – გული ხომ არ შეუწუხდა ან... ამ დროს გააღო კარები დედაჩემმა, მაგრამ მკრა ხელი გვერდში, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და უძღურად დაეცა დივანზე... საშინელ სანახავს წარმოადგენდა ეს მუდმივ გულჩვილი, წყნარი დედაკაცი. თვალები უმიხოდავ დიდნი, უფრო გაუდიდდა და მრისხანედ იყურებოდნენ, გუჩებზე წყველა ეკრა, წარბები შეუჭმუხნავს, ისე იჯდა რამდენიმე ხანი და ერთ საგანს დაშკერებით უყურებდა, მერე გავიდა მეორე ოთახში, გამოიგანა რაღაცის ნაგლეჯები, მოუკიდა ცეცხლი და გვიბრძანა: „გადაახტით სამჯერ, ეშმაკები მოიშორეთ, თქვენ აღარა გყავთ ვარო! იგი გათხოვდა და ღღეს მისი ქორწილია!“ – ეს იყო, მეტი არაფერი არ უთქვამს. შემოგრიალდა და მეორე ოთახში, სადაც განსვენებული იყო, გავიდა... მე გავვარდი გარედ და გავიქეცი, არ ვიცი სად მივბრბოდი, ვილაყამ დამიჭირა, მკითხავდა, რა დაგემართა – „ვარო მოკვდა, ვარო მოკვდა!“ გიქვივით ვიძახოდი მე და მივბრბოდი. მე დამიჭირა ერთმა კაცმა და ბიძაჩემის სახლში წამართრია, სადაც უკვე გავგოთ ყველაფერი, და სცდილობდნენ დაემშვიდებინათ ჩემი გული. მაგრამ ბავშვს ბევრი არა უნდა რა. საათის შემდეგ მე დამავიწყდა ყველაფერი და ვეჭიდებოდი ჩემ ბიძაშვილს... მხოლოდ მეორე ღღეს, მე გირილი დავიწყე, შინ ვარ, შინ მეთქი, მაგრამ ჩამამწყვდიეს ოთახში, შემორეკეს სოფლის ბიჭები, ამოათრიეს ხილი და მართობდნენ. ისე დამარხეს ვარო, რომ არც კი მინახავს.

დავრდომილო, დაჩაგრულო ჩემო სამშობლო... მითხარ, აღსდგები როდისმე, ახვალ კიდევ იმ საფეხურამდე, რომლამდე ასულხარ წინედ?! ნუთუ შენც გძლია სიბერემ! ნუთუ შენ დაამთავრე თვისი ისტორია ისტორიაში... ნუთუ შენი ძირები ჩამოლპნენ და დაჭიანდნენ?! ალბად! ვეღარ, ვეღარ ასწევ ამ შენს სნეულ თავს. არავინა გყავს მშველელი, ან გულშემატკივარი. შენი შვილები მიზლით გიყურებენ შენ, ჰთაკილობენ მით, რომ შენ ხარ მათი მშობელი და ჩუმის ოხვრით ფიქრობენ, თუ რათ არიან ქართველებად დაბადებულნი?! ოჰ, ქართველებო, ქართველებო! როგორნიც მამაცნი, მამულის შვილები, გმირები იყავნით წინედ, ეგრეთივე დიაცნი, ფლიდნი, ურიებსაკით *Ubi bene, ibi patria*-ს¹ მიმყოლნი, უთავმოყვარენი, უ... მაგრამ, რა გაეწყობა, სიმართლე თვალებს უთხრის არა იმდენად მსმენელს, რომელსაც ეხება, არამედ მოქმელსაც... მაშ დასდე საქართველო, თარიღი შენი და დამბლიან მოხუც დედაკაცივით უცდი შენს ბოლოს... ეს ერთადერთი ჯილდო, შენ ბედისაგან ამდენი განჯგაწამების გამოვლისთვის. რა ვუყოთ, მოგს იმისთანა ჯილდო ერგება ხოლმე, რომ თვითონაც არ უხარიან.

* * *

1898. 8. II

ისევ შენთან, ჩემო ერთადერთო მეგობარო, ერთადერთო ჩემო ნუგემის მცემელო და სოფლის გამქარწყველო ქალაქლო, ისევ შენთან მიჩრევენია, განჯგის უწყალო სევდასთან ბრძოლა... შენს თეთრ გულზე შავად ვწერ მე ჩემი გულის შავ დარდებს და ამით, ცოგად თუ ბევრად, ვამშვიდებ დაჩაგრულ სულს. ცოგად თუ ბევრად, ვამბობ მე... ბევრი რჩება კიდევ გულის საიდუმლო ადგილებში ჩამალული, უწერელი, გამოუთქმელი... ნელად, მაგრამ საშინლად იზრდება იგი, ედება მთელს გულს და თავს, მაგრამ ისევ გამოუთქმელი რჩება. მხოლოდ ოხვრა, კომიკური ოხვრა აჩვენებს ხოლმე სხვას, რომ იქ, ჩემს შიგნით, გრიალებს და მძვინვარებს აუღარი და თითქოს შველას სთხოვსო. მერე ვის?... ვისაც შველა კი არა, სხვის დარდის გაგებაც არ შეუძლია... მაგრამ კმარა, კმარა! თუ ჩივილს მიეცი ნება, ნიაღვრად იქცევა და წარდენის ყველას,

¹ *Ubi bene, ibi patria* – სადაც კარვია, იქაა სამშობლო (ლათ.).

რასაც კი მნიშვნელობა აქვს ჩვენს უბადრუკ სიცოცხლეში... სჯობს დაეჩუქდეთ, ჩავემარხო, გულის სიღრმეში ჩავეკლა გრძობები და ინდიფერენტიულად გაუსწორო თვალი ბედს... დე, მამ მთელი ქვეყანა დამენგრეს თავზე – მე ეს არ შემაშინებს, რადგან მე გულში მექნება ამაზედ უარესი ჭირი...

ეს სულ ყველაფერი კარგი, მაგრამ არ მკითხავეთ, რა მიზეზია ჩემის განჯვისა? სიხარულს, სევდას, განჯვას ხომ უსათუოდ მოსდევს რაიმე მიზეზი. ხომ?... მაგრამ საქმე იმაშია, რომ მე ვიგანჯები უმიზეზოდ, როგორღაც სულელურად... ეს სევდა-განჯვა როგორღაც მაშტერებს, მაბრუებს... უაზრო, უთავბოლო ეს განჯვა ყველაზე მწვავე და საშინელია.

პირა ნიკოლაჰნა

მშვენიერი მაისის საღამო იყო. მოწყვნილი უსაფუძელო შინა ჯდომისაგან, წავედი მეგობართან. მაგრამ რადგან ლაპარაკის მასალა შემოგველია, გადავწყვიტეთ ერთს მრავალთაგან ბაღში წასვლა. ამ მხრივ პეგერბურდი ედემია. საცა არ გაიხედავ ყველგან აფიშები და ანონსები ჰკიდია, რომელზედაც დიდ ასოებით სწერია, თუ რა ამბავი იქმნება ამა და ამ ბაღში. მთელი პეგერბურდი საღამოობით გაიფანტება ხოლმე ამ ბაღებში. ოპერეტკები, ოპერები, ვოდევილები, შანსონეტკები და სხვა და სხვა ართობენ გართობის მოყვარეთ. ჩვენც ჩავექით ორთქლმავალზე და გავსწიენით ეგრედ წოდებულ კრესტოვსკი ბაღში. შესვლის უასი გადავიხადეთ და შევედით. გარედ გამართულ სცენაზე უკვე მიდიოდა რაღაც ვოდევილი. კომიკებმა გადააჭარბეს თვის კომიზმი და ნამდვილ მამუნებსავე დახგოლნენ და იღრიჯებოდნენ. ხალხი ერთხმად იცინოდა და გამისცემით ხელებს იმგვრევედა. ვათავდა ვოდევილი და გამოჩნდა ბოშათა ხორო (ვითომდა!) განის რხევას, თვალების სროლას, კივილ-კივილს საზღვარი არ ჰქონდა... სულ ბოლოს გამოჩნდნენ შანსონეტკები და მოცეკვავენი. ხალხი აღტაცებით უყურებდა ამათ. ტრიკოთი მოჭირებულ ფეხების ცხვირამდე აშვერა, მომხიბლავი და ფანტასტიური განისამოსი, სხვანაირი მოძრაობანი მხეცურ წადილებს და აზრებს იწვევდნენ კაცში. უყურე, უყურე და მომწყინდა. მოვგრიალდი და ხალხის სინჯვა დავიწყე. ამ დროს ერიმ, ჩემმა ნაცნობმა ხელი წამავლო და სიგყვებით: „წამო, გეძახიან!“ წამათრია ერთი მაღალი ქალის ფიგურასთან, რომელიც ჩვენკენ იყურებოდა. აჲ ეს გახლამთო, უთხრა იმან ქალს. მეც დაუკარი თავი და ჩამოვართვი ხელი. ქალი ჩრდილში იდგა და ამიგომაც ვერ დავინახე მისი სახე. „აჲ, თქვენა ხართ ის, ის... გამიგონია... დიდი ხანია

თქვენი გაცნობა მინდოდა, მაგრამ როგორღაც არ მომიხდა და ცოგად არ იყოს მეშინოდა თქვენგან უარი არ მიმელო, რადგან გამიგია, რომ თქვენ ქალები გბულთ და საზოგადოთ, ჩუმი და გულდახურული კაცი ბრძანდებით; ამისთანავე, ბევრი კარგიც გამიგია თქვენზე და ამ გარემოებამ მაიძულა და გადამაწყვეტინა თქვენი გაცნობა. ვფიქრობ, თქვენ ამის წინააღმდეგი არა გაქვთ რა?“ „რას ბრძანებთ, ბაგონო!“ – მივუგე მე – „პირიქით, ძრიელ მოხარული და გაბედნიერებული ვარ თქვენი ჩემდამი ყურადღებით“, – „გავიაროთ ცოგად“, – მითხრა ქალმა და მე თანხმობის ნიშნად თავი დაუკარი და მშვენივრად განათებულ ბაღში სეირნობა დავიწყეთ. მე გვერდით შევხედე, რათა დამენახა ჩემი მოსაუბრის სახე და სწორედ ვიარეთ, კმაყოფილი დავრჩი, ჩემ წინ იყო მართლა და ლამაზი არსება. დიდრონი მგრძნობიარე თვალები, რაღაც მშვენიერი ფორმის თეთრი სახე, შავი თმა და წარბები ყველას ყურადღებას იწვევდა. მე მინდოდა მეკითხა მისი ვინაობა. მაგრამ საჭირო არ იყო, რადგან ქალმა თვითონ ერთ ნახევარ საათის განმავლობაში საუცხოვოდ გამაცნო თავისი თავი. ეს ქალი იყო იქაური, ე. ი. კრესტოვსკის ბაღის მომღერალი-კუპლეგისკა. იმის დანიშნულება სცენის გარეშე იყო მდიდრების კაბინებში დაჰაგიყება, სადაც ვახშამს მოამზადებინებდა, დააძახებინებდა ხოროს და ამგვარად, კარგად გაჰყვლეფამდა ამ მუკლიან და ფულიან ხალხს... ამას ისე ცოცხლად და მხიარულად მეუბნებოდა, ისე ცოცხლად აჯავრებდა ზოგიერთს მდიდრებს, რომ მე გულიანად ვიცინოდი... ამასობაში დრო მიდიოდა. „აბა ეხლა კი უნდა გავშორდეთ, რადგან ჩემი სამსახური მეძახის იქ“ და კაბინებისაკენ გაიშვირა ხელი... ამ სიგყვებში მე მომესმა ერთი ნოგა, თუმც ძლივს შესამჩნეველი ნოგა მწუხარებისა, მაგრამ ამ სიგყვებს ხარხარი დააყოლა და გამშორდა. მე მივედი მეგობართან, ამ დროს მოვიდა ჩემი ნათესავი, დიად გადაკრულში, და ხეწნა დაგვიწყო – მოდი ერთი კარგად ვიქეიფოთო. აბა, ჩვენ უარს რას ვეგყოდით; დაეჯექით და გაუსვით არაყს, ღვინოს და ლუღს. მერე გარედ შეგვცივდა და ცალკე კაბინეტი მოვითხოვეთ, დაგვითმეს. შევედი, მოვითხოვეთ სასმელ-საჭმელები. ამ დროს უცბად გაიღო კაბინების კარებიც და ის შემოსვენებული ქალი გაიხლათ, ცოგად გამხიარულებული – ალბად, კარგად გადაუკრამს. „ოჰ, თქვენი ჭირიმეთ, თქვენ აქა ხართ განა“, – წამოიძახა ქალმა, მოიხსნა შლიაპა და გვერდით მოგვიჯდა. „დაასხით, დავლიოთ!“ – იძახოდა ქალი. მე ჩუმად ვიჯექ და თვალს არ ვაშორებდი მის სახეს, მის თვალებს. მინდოდა შემეგყო ნუ თუ გულით მხიარულობს ეს ქალი. „თქვენ... უკაცრავად, თქვენი სახელი?“ – მე ვუთხარ. – „ჩემი კიდევ ვერა ნიკოლავენა გახლავთ, იცოდეთ. რას დაჩუმებულხართ, ჩემი მოსვლა ხომ

არ გეწყინათ“. „სრულადაც არა“, – ვუპასუხე – მე არ ვიცი რათა, ძრიელ გულ-გრილად. ვერა ნიკ. გადმოხვება, გამიყარა თვალი თვალში და ცოტახანს დაფიქრებული მიყურებდა. მერე ხელი გაიქნია და სთქვა: „ეპ, სულერთია!“ – მიირთვით ბაგონებო, ეპატიეობოდა ჩემს ნათესავს და მეგობარს. კარგად რომ შექეფიანდნენ, კონცა გაახურეს. ვერა ნიკოლაევნამ გადამიკოცნა მეგობარი და ნათესავი, მაგრამ ჩემთან არ მოსულა. დაღერემილი ცუდს გრძნობებით გულში, დამცინავ სახით უყურებდი იმ ქალს. მშვენიერად ჰგრძნობდა ამას ვერა ნიკოლაევნა. იცოდა კიდევაც რას ვფიქრობდი იმაზე, მაგრამ თითქო სულ დაავიწყდა იქა ვარ თუ არა, სულ ჩემს ამხანაგებს ესაუბრებოდა. მე იქ ვიჯექ დღეებზე, ღვინომ და ლუღმა ბევრი არა დამაკლეს რა. უცნაური კაბინეტი, ქეფობა, უცნაური ქალი. ღმერთო, ღმერთო, ვფიქრობდი მე, რა არა ხდება შენგან შექმნილ წუთისოფელში. მერე შევხედე ვერა ნიკოლაევნას და თვალები ვერ მოვამორე, ცოცხალ სახეზე ჰქრთოდა გამაგიჟებელი ღიმილი. თვალები ეღვარებდნენ... ბაკხანკააა! გავიფიქრე მე, მერე იმაზედ დავიწყე ფიქრი, თუ რა იქმნებოდა ეს ქალი სხვა საზოგადოებაში, სხვა წრეში. თუ რამ აიძულა ეს მშვენიერი არსება ამ მოლიპულ გზაზედ წასვლა – ნუთუ ამასაც თავისი დრამა აქვს, თავისი დაუვიწყარი დარდები... ამ დროს ვერა ნიკოლაევნამ მოიხედა და თითქოს წაიკითხაო ჩემს თვალებში ის ამრებიო, დაიძახა – „ფიქრობ, ბალოვ?! გეყოფა ჩემო პაგარავ!“ მე კინაღამ მეწყინა, მაგრამ იმ კილოში სრულიადაც არ იყო დაცინვა. მე პირი გავაღე, მინდოდა რაღაც მეთქო, მაგრამ არაფერი არა ვსთქვი რა... „მოიწიე ჩემსკენ“, ბრძანების კილოთი წარმოსთქვა ვერამ. მე უნებურად მივიწიე. „ეგრე; ესლა მოდი გაკოცო, შენ მომწონხარ ჩემო“... მე კინაღამ გავგიჟდი. ესლა მაკლდა, ამ მხურვალე კონცამ დამათრო ისე, როგორც ათ თუნგ ღვინოს არ შეუძლიან. ქალმა გამიშვა ხელი, ჩამხედა თვალებში და რა დაინახა რომ მძლია, ღიმილით გადაფრინდა სხვა ადგილზე. მე გუნებაზე მოველ და ძლივს შევიკავე თავი. კინაღამ მაგიდას არ გადავფრინდი – მინდოდა ერთხელ კიდევ მეგრძნო ეს ეშმაკური კონცა. მაგრამ თავ-მოყვარეობამ, თუ სირცხვილმა, არ ვიცი რამ, ფრთები მომაჭრა და მე დავრჩი ჩემ ადგილზე. დიდხანს ვიჯექით იქ, მხიარულობას და განსაკუთრებით მთვრალ მხიარულობას საზღვარი არ ჰქონდა. ვერას ამ ხნის განმავლობაში არ მოუხედა ჩემკენ. მე ვიჯექი და ვსვამდი, მაგრამ ცოგად ნაღვლიანობა დამეგყო, რაიც არ გამოეპარა ჩემს მეგობრებს. შესრულდა სამი საათი ღამისა და რადგან ამ დროს იკეგება ბადის კარები და ბუფეტი, ჩვენც ავიშალენით და წავედით. ვერა ნიკოლაევნამ გვთხოვა, თუ არ დაიზარებთ ჩემთან ჩაის დასალევვით წავიდეთო, ჩემს

ნათესავს საქმეები ჰქონდა დილას, ამიგომაც უარი განაცხადა და მე და მეგობარი, რომელნი ძილის მეტს მეორე დღეს სხვა ვერაფერს ვერ გავაკეთებდით, რასაკვირველია, დაეთანხმდით და მადლობაც ვუთხარით პატივისცემისათვის ვერას და ჩაჯდა ეგლში მარგოკა, მე და მეგობარი – მეორეში. მზე ის იყო ამოდლიდა და ნაზად გამოიყურებოდა მაღალ ხეების ფოთლებიდან. დილის სიგრილემ და მშვენიერმა აყვავებულმა ბუნებამ ამ პეტერბურდის საუკეთესო საზაფხულო ადგილას ღვინო-ლუღზე ძლიერად იმოქმედა ჩვენზე. მღერით, დავიდარაბით მოფურინავდით გზაზე... ვერამ წინ გაგვასწრო, მხიარული და მეტად სიმპატიური სახე მისი სავსე იყო სიცოცხლით და მომხიბლავ ღმილით იხედებოდა უკან და გვამხნევებდა ჩვენ... ამ დროს მოგვეწია ეგლი, რომელში ჩვენებრ გადაკრული წყვილი ვირისთავი იჯდა ე. ი. პეტერბურდის მოგრფიალენი და უსათუო წვერნი ყველა საზაფხულო ბაღებისა. „სტუდენტებს გაუმარჯოს!“ – დაიძახეს ორთავემ. ჩვენც რასაკვირველია, თავისებურად, ახალგაზრდულად მივეცით საღამო. ერთის ყვირილით, სიცილით, მივდიოდით რამდენიმე ხანს ერთად იმათთან. ამ დროს, ერთმა იმათთაგანმა დაინახა ვერა, რომელიც სიცილით გვიყურებდა ჩვენ და ქოლგას გვიქნევდა. უბრძანეს რაღაც მეგლეს და გადაფრინდნენ. მიუახლოვდნენ ვერას და დაუწყეს არშიყობა. ვერა იცინოდა, ფრანგები ჰაეროვან კონცას უგზავნიდნენ. ჩვენ ეს ყველაფერი არ გვეჭაშნიკა. მეგლეს უბრძანეთ დასწევროდა იმ კომპანიას, ჯილდოთ ორი შაური დაეპირდით. მალე გაუქსწორდით იმათ და გაეაქანეთ ეგლი ვერას და იმ ორი ყურუმსალის შუა. ფრანგებს არ მოეწონათ „თქვენ რა გნებათ“ – დაგვიყვირეს, – „თქვენა რაღა გნებათ?!“ – შეუპოვრად და რიხიანად მივაძახეთ ჩვენ – „ბაგონო სტუდენტებო, ჩვენ თქვენ ხელს არ გახლებთ და თქვენთან უსიამოვნების ატეხაც არ გვინდა. თქვენ მიბრძანდით თქვენ გზაზე!“ – ჩვენც სწორედ ეს გავუმეორეთ მათ. როგორღაც მოხდა ისე, რომ ვერას ეგლი და იმათი ისევ ერთად მოხვდნენ. ერთი მოგრფიალეთაგანი უცბად აიშალა თავის ადგილიდან და მძიმეთ, მსუქან ინდაურივით გადაფრინდა ვერას ეგლში... გაოცებულმა ქალმა ჯერ ვერ მოახერხა რა და როდესაც იმ დონ ქუანმა კონცა დაუწყო, სტაცა ხელი მის ქუდს და ისროლა შორედ. აქ რაღაც მოხდა. ის კი დავინახეთ, რომ ვერამ ერთი სილა სტკიცა დონ ქუანსა, რომ იგი ყირამალა გადმოვარდა ეგლიდან. ძლივს წამოდგა, მოძებნა ქუდი, ჩაჯდა თავის ეგლში. მის რისხვას, წყველა-გინებას საზღვარი არ ჰქონდა, ჩვენ მუცელი გვეტკინა სიცილისაგან. გაუქსწორდით ეხლა ჩვენ ვერას ეგლს და გამოკითხვა დავიწყეთ, თუ რა უთხრა და რაზედ სტკიცა სილა. ვერას

გაჯავრება ეყვობოდა „merzaveц, nahal“ – ხშირად, ხშირად გაიძახოდა ქალი. ამ ლაპარაკის დროს მოგვიახლოვდა ისევ ერთი ეგლი. ღონ ქუანი მეტად გაჯავრებული, თითქმის გაცოფებული იყო. პაე, შე ასეთო და ისეთო, დაუწყო ვერას ხმაშაღლა გინება. აქ ჩვენ გულმა არ მოგვითმინა: „ბატონებო, შეეძახეთ ორთავემ, სანამ კარგად გრძნობთ თქვენ თავს, მიბრძანდით აქელამ... ჩვენ ნებას არ მოგვკემთ ამ ქალს შეურაცყოფა მიაყენოთ“... ჩვენც შეგვიკურთხეს და ერთმა იმათთაგანმა მუქარის ნიშნად ქოლგა დააგრიალა ხელში... ჯავრი მოგვივიდა. გადმოვარდით ეგლიდამ და გამოუდექით არშიე ბატონებს. იმათ მეეგლე დაიფანტა და ცოცხლობით შეაყენა ეგლი. აქ ვწვდით ამ ბატონებს. ამხანაგს ჩხუბის დაწყება არ უნდოდა, მხოლოდ ჯერ ანგარიში უნდოდა მოეთხოვა იმათ სიტყვებისა, რომ უკანვე წაეღოთ სიტყვები, მაგრამ მე სულ სხვანაირად მოვიქცევსტაყე ღონ ქუანს საყვლოში და კარგად მივბერტყე. მეორემ ქოლგა გამარტყა თავში და გრძნობიერადაც, გამხეცებული ვეცი ახლა ამას და მუშგით კინაღამ თავი გაუაგდებინე. ამ დროს მეეგლე დაიბარა. ჩვენ დავრჩით იქ გმირულად გამოჭიმულნი და შორიდამ ორ ფრანგს მუშგებს ვაჩვენებდით. ვერას გული გაუსკტა, როს დაინახა მის მოარშიყეთ შორის ბრძოლა და უკან დაბრუნდა. ჩვენ ჩაუჯექით და გამოუყენეთ უკან ეგლი. მალე ჩამოვიდა ეგლიდამ ვერა, ჩვენც ჩამოვედით. „რა ამბავია“ – ვკითხეთ ჩვენ, „რისთვის ჩამოხდით ეგლიდამ“. „აქ ცეცხოვრობო“. – „მერე რად გავედით, თუ აქვე იყო“, ვკითხეთ ჩვენ. „მე არ მინდოდა, რომ იმ ვაჟბატონებს დაენახათ ჩემი სადგური, რადგან გადამიხდიდნენ სამაგიეროს“. მეეგლე გავუშვით, მხოლოდ ჩვენ შევედით ვერას ოთახში. ამ შემთხვევამ და დილამ გამოგვაფხიზლა ცოცხად. მისი ოთახი იყო მშვენიერად მოწყობილი. ჩვენ დავსხედით და სიცილით ვიგონებდით იმ კომიკურ შემთხვევას. ვერამ გააღვიძა მოსამსახურე გოგო და სამოვარი დაადგმევინა, მერე მოგვიჯდა და დაგვიწყო ლაპარაკი. მისი სახე ცოცხალი, გამომეტყველებელი ყველა გრძნობებისა, რომელნიც გულში იბადებოდნენ, მეტად მარილიანი იყო. ვერა ბევრს ლაპარაკობდა, გვიამბობდა თავის თავგადასავალზე მოციხნარე სახით, მაგრამ კილოზე ვაგყობდი, რომ ეს ნაძალადევი ოხუნჯობა, ღიმილი, თვით ვერას უწვავდნენ გულს. მე ვუყურებდი, მაგრამ ყურს არ უგდებდი... საშინელს სიბრაღულს ვგრძნობდი: ეს ქალი, რომელსაც თითქმის ყველა შანსები ჰქონდა, რომ მართლა კაცურად ეცხოვრა, უბრალო გზა-დაბნეული დედაკაცი იყო...

როდესმე განვაგრძობ ამ მოთხრობას – ეხლა კი დრო და მწარე გრძნობა განხიზვლისა მიშლიან.

ღმერთო, ღმერთო, სადა ხარ, ან ვისთვისა ხარ? ნუთუ შენ გამოჩეულთ შორის მე არა ვარ! რაგომ? რა დაგიშავე? ნუთუ შენც ყოვლად კეთილო, მოუსყიდელო, სწორო და მართალო, ნუთუ შენც გატაცებული ხარ დაცინვის მანიით? ნუთუ მე, რომელიც თავის გულში მთელ სამყაროს ვინახავ, ნუთუ მხოლოდ სათამაშოდ და შენს გასართობად მშობა და აღმზარდა ანჩხლმა ბედმა? ღმერთო, ღმერთო, სადა ხარ?! აქ ცოდვილ დედამიწაზე იგანჯება, სწუხს ასობით, მილიონობით ხალხი – შენი მოგონება, გზადბნეული, სასოწარკვეთილი, უღონო სულის და ხორცის ბრძოლაში, შემოგბდავის, შევლას ვთხოვს შენ... მაგრამ სადა ხარ?!.. უხილავო, მიმალულხარ სადღაც და ღიმილით დასცქერ ამ ჭია-ღუათ დელეას და შფოთსა. ბრძოლა თავდება ადამიანის მოსპობით. მაგრამ შენ რა გენადვლება? შეუწუხებელი, ძლიერი, გაუგებარი, შენ არავისგან არ შეგიძლიან მიიღო წყენა, რომ დაბნელდნენ ყველა მნათობნი, შენ მარად თავის სხივით გაანათებ ცას და დედამიწას. მაგრამ რად გინდა ეს ძლიერება, თუ კაცსაც არ გაუნაწილე იგი?! ძლიერება, რომელსაც მეტოქეობა ვერ შესწვდენია, ეს ძლიერებაც მოსაწყენია... ღმერთო, ღმერთო, სადა ხარ? რაგომ არ დასტოვებ დროებით შენს ჰაეროვან სასახლეს და არ ჩამოხვალ ცოდვილ დედამიწაზე? ნუთუ შენ დაასრულე შენი საქმე? ნუთუ შენ გგონია, რომ მოსკე სიავე ძირიანად?.. ჩამოდი ღმერთო ცოდვილ მიწაზე, გვეჩვენე და აღგვადგინე ჩვენ, ადამიანნი ჩვენივე ღირსებაში... მაგრამ რასა ვთხოვ მე უბედური?! როგორმე რომ დამიჯერო, ან თვით კაცობრიობა რა არის, რომ იმისი თხოვნა აასრულო?..

სიკვდილო, ვისი მოგონება ხარ შენ? რა მიზნით ხელმძღვანელობ შენს მოქმედებაში, ვის განკარგულებით? ნუთუ შენ ღმერთმა მოგიგონა? – არა, ეს შეუძლებელია! ყოვლად კეთილი და ძლიერი არსება, ადამიანის მოყვარე არ შეგქმნიდა შენ თავისავე შვილების მოსასპობად. მაშ, ვისი მოგონება ხარ? – საგანასი?! მაგრამ, თუ ღმერთს ეკუთვნის ამ და იმ სოფელთ მფლობელობა, თუ საწინააღმდეგო ვერა მოიგონა რა? სასუფეველი ცათა?! მაგრამ რად უნდა ადამიანს ეს სასუფეველი, თუ რაღაც ჯანაბაა, ოდეს უპირველესი მისი სიძვირფასე – გვინი და გრძობანი არაფრად იქცევიან?! არა, სიკვდილო, შენ თვითონ ღმერთი უნდა იყო,

ძლიერი, გაუმადლარი. შენი მახვილი მუღამ მჭრელი, სისხლში გასვრილი, უმიზნ-უაზროთ დაფრინავს დედამიწის ზურგზე, სჭრის და ჰკაფავს მოუსვენარი, მაგრამ სიცოცხლე, ეს მრავალთავიანი გიდრა მაგრდება და თუმც დამარცხებული, მაინც არ კვდება და არც მოკვდება. შენ შხამიანი ხარ, მაგრამ სიცოცხლეს შხამიანია, თქვენ ერთმანეთის ბრძოლაში სამზღვარს სცილდებით და როდემდის ესა? ნუთუ იმ დრომდე, ვიდრე არ გამოჩნდება სხვა, მესამე ძალა, რომელიც თქვენ ორივეს მოგისპობთ არსებობას?... – ალბად! ვუცადოთ... მაგრამ ჩვენ, ჩვენ ადამიანთ, რა გვეშველება მანამდის. რისთვის ვიგანჯებით, რისთვის ვიკლამთ შრომა-მეცადინეობით ჩვენს სხეულს? პროგრესისთვის... რისთვის გვინდა ეს პროგრესი, თუ ჩვენ ვერ დავინახავთ, ვერ ვივრძნობთ იმის ნაყოფს, შედეგს... ოჰ, გვეყოფა, მგანჯაო ფიქრო, ნაღვლიანობა. სულერთია, შენი თვალი ვერ გასჭრის იმ სიძნელეს, რომლით მოსულია ყველაფერი კაცის ბუნებაში. რწმენა და რწმენა და მხოლოდ რწმენა. გაიხეთქე თავი, ოლონდ იქამდე მიიყვანე, რომ შენი ფიქრი, ღელვა, წადილი ყოველდღიურ ცხოვრების სამზღვრობილამ არ გადიოდეს და ბედნიერი შეიქმნები.

* * *

1898. 23. IX

ღმერთო, ღმერთო, როდემდის უნდა ვიგანჯაო! მომწყინდა წყევლა, გინება, ჩივილი და დედაკაცური მოთქმა-გირილი. ვინ არის მიზეზი ჩემის უბედურებისა – ნუთუ მარგო მე? – არა, თავის დღეშიაც არა! მე ვეკუთვნი იმ პაიაცების რიცხვს, რომელთაც ვერ გაუგიათ რისთვის ბრძანდებიან ამ სოფლად, რას ელიან ცხოვრებისგან და თავის თავისაგან. ამისთანა პაიაცებს წარმოშობს ხოლმე თვით ცხოვრება, რომელსაც უყვარს სხვადასხვაობა და გართობა. ეს პაიაცები გრძნობებით მდიდარნი, მაგრამ უხასიათონი, შეუმუშავებელნი, ნამდვილად წამებულნი არიან. უნდათ შრომა, შეთანხმება გრძნობათ და გონებისა, მაგრამ ვერ უძლებენ ამ ორი სტიქიონის ბრძოლას, თავს ანებებენ ყოველ დაწყებას და მწარედ სჩივიან, სგირიან და ემდურიან ყველას: ღმერთსაც, კაცსაც, ბუნებასაც. მათთვის ამ სიცოცხლეს მნიშვნელობა აღარა აქვს. მომავლის სიცოცხლისა კიდევ არა სწამთ რა. ამ ბრძოლაში ბუმბუცივით იღუპებიან ისე, როგორც სხვანი, მაგრამ წყევლით გამშრალ გუჩებზე. მაგრამ დაუკვირდეთ ამ პაიაცების ცხოვრებას და იმ პირობათ, რომელშიაც სცხოვრობენ ისინი. ჩვენ სამშობლოში მრავალნი არიან ამისთანა პაიაცები. მათი ჭკუა-გონება,

გრძნობა, წადილი დასტრიალებენ თავის მომავლის აჩრდილს, გლოვა-
გირილით სამძიმარს ეუბნებიან იმას, წყევლიან მის მტრებს და ვანუსაზ-
ღურელ სიყვარულს უცხადებენ თავის დედას, მაგრამ მათი სიკვება საქმედ
თავის დღეში არ ქექულა და არც იქცევა. შეხედეთ ახლა მეორე ყმაწვილთ
კატეგორიას, რომელთ ლიგერაგურული მისწრაფებანი აქვთ და ცოგათი
თუ ბევრი ნიჭი ამ სძერაში, — ესენი დაკარგული ადამიანები არიან.
აღბრდილნი რუსულად, მათ ბავშვობაშივე ავიწყლებათ თავისი დედა-
ენა და უცხო ენასაც ვერ შეისწავლიან იმდენად, რომ ლიგერაგურულად
გამოჩენილად სწერონ. ამ პირთ საშინლად უნდათ თავის სამშობლოს
ნიადაგზე შრომა, მეცადინეობა, მაგრამ რადგან უცხო მხარის წერობანი
უფრო კარგად იციან, ვიდრე თავის სამშობლოსი, ისინი იკარგებიან,
იფანგებიან, ჰკარგავენ რწმენას თავის ძალ-ღონისა, იდეალისა და
ამგვარად, ჩაეწერებიან ხოლმე იმ შემოსხენებულ პაიაცთა რიცხვში.

მეც ამგვარი პაიაცი ვარ. თუმცა იჭვიანობა ჩემს ნიჭში ხანდახან
მიმოწმებს ხოლმე, მაგრამ შემიძლიან ესთქვა, რომ ბელეგრისგული
ნიჭი მქონია. მაგრამ ამ გამოურკვეველმა მდგომარეობამ — არც რუსობამ,
არც ქართველობამ, ყველაფერი წამართევს, სიცოცხლის გარდა. მაგრამ
რად მინდა ეს დაწყველილი სიცოცხლე, თუ ჩემს მიზნებს ვერ მივაღწიე?!

ღრო მირბის და თან მიაქვს ჩემი ჭაბუკობა, ჩემი რწმენა და იდეალი.
გმა თელილი, ჩემი იმედები და ცრემლით, სიყვარულის ცრემლით ნაშობნი
ოცნებანი, თქვენი შემოქმედი თვით საცოდავი ქნარია.

* * *

1898. 25. VII

დიდი ხანია, რაც მე არ ამიღია კალაში და არ განმიზიარებია შენთვის,
ჩემო ქალაღლო, ამრი ჩემი, მაგრამ რა!.. ჩემი სიცოცხლე, როგორღაც
უფერულად დაიწყო, უფერულადაც მიმდინარეობს და ის საშინელი სენი,
რომელიც ბუღობს ჩემს გულში, ისევ იმ მდგომარეობაში, არ მცირდება,
პირიქით იზრდება, იმაგება. ბევრს საშუალებას მივმართე, მაგრამ სულ
ამაოდ. დამარცხებული, უღონო ამ ბრძოლაში, გულმედ ხელები დავეკრიფე
და უიმედოთ შევექერი მომავალს რაღაც საშიშარ გულგრილობით,
ინდექერენგულად. ეს სენი — უშინაარსობა, არაფრობა — მოკლედ რომ
ესთქვათ, ჩემ გულში, მართალია, მოძრაობს რაღაც, სულს მიხუთავს
რაღაცა, მაგრამ ისევ მალე ქრება და ცარიელს სტოვებს მას. გული
გონებას სთხოვს შევლას. სთხოვს — გაართოს რითიმე და ვაი, მათ
ორთავეთ! გონება უძრავი და მძინარე თავის თავსაც ველარა სცნობს.

ასე, ამრიგად, ჩემს არსებას ამონავეებს – უშინაარსობა.

დიღხანს გაგრძელება ესა თუ არა – არ ვიცი, ხოლო ის ვიცი, რომ მე საგიჟეთს ვერ გადაურჩები, ვერ გავექცევი, როგორც ჩემ ჩრდილს. ვაი იმის სიცოცხლეს, ვინც გრძნობს თავის უღონობას, ყველა შეცდომებს, მაგრამ რაღაც უბედურების გავლენის გამო ვერას ახერხებს და მხოლოდ სდუმს, ჩუმად იგანჯება. ამ განჯვამედ უარესი განჯვა არ სუფევს ქვედა მესკნელში, რომ იღვის გულისათვის შეეწირნა, ეს სხვა იქნებოდა. განჯვა მცირდება რწმენით, მაგრამ სხვა განჯვა თავის სნეულებით, სენით გამოწვეული. ჩემს წინ სიცოცხლე პუეთქს. ჩემი მეგობრები შრომობენ, იღწვიან და მუღმივ მოძრაობაში არიან. იმათში რამდენიმე გამოჩენილებიც არიან, მაგრამ მე რაღაცა მაშორებს იმათგან. მე კი, რომ დამოკიდებულებისა ან გავლენისა მეშინოდეს, არა, – ეს გრძნობა რაღაც თავისებურია, ჩემთვისაც ძნელად გასაგები. ჩუმი, ნაღვლიანი, გულმაგიწი ვივიარ მათ შორის, მაგრამ არ მესმის იმათი ლაპარაკი, ყურს არ უგდებ. ბევრს უკვირს და ბევრნიც, მგონი, ამას ჩემ სისულელეს აწერენ, მაგრამ დე, რაც ნებავთ ბრძანონ. ერთადერთი ღირსება მაქვს – არ ვაქცევ ყურადღებას იმას, თუ რას იცყვიან ჩემზე და რას არა. მე ვაკვირდები ჩემს თავს. ვკითხამ იმას – ნეგავ რა გემართება მეთქი? ნუთუ ეს ყველაფერი აიხსნება მარტო თავადურ სიზარმაცით? – არა, ეს ზარმაცობა არ არის. არა, ეს ბოლო შედეგია ჩემ ხასიათის სნეულისა, ორიგინალურისა, რომელიც ჩემში იბუდებოდა და დაიბუდა სამუდამოდ აღმზრდასთანვე ერთად. ვაშა, აღმზრდელებს! წერის იშგა ხშირად მომდის ხოლმე, მაგრამ შინაარსი, იდეალი და სხვა საჭირო მასალა, სრულიად მაკლია. მაშ, ეს არ არის დამარწმუნებელი იმისა, რომ მე თავის თავს ვაგყუებ და ჰაერისგან სასახლეებს ვაშენებ?! მაგრამ ისიც უნდა ვსთქვა, რომ ჩემი ბრალი არც ისეთია, როგორადაც ვეჩვენები პირველ შეხედულებისას. არა, მე როგორც მგონია, ერთგვარი ტიპი ვარ ქართველისა, შექმნილი ქართველთ საზოგადოებრივ ცხოვრების. დიდი სურვილი მოღვაწეობის, მხურვალე გემპერამენგი, რაღაცა გვინური (უგვინის) ძილი, ღრმა სევდა და უღრმესი სიმხიარულე. ზარმაცობა და მასთანვე, როგორი თავხედური, თავდაუჭერელი, ხანმოკლე ენერგია, სენტიმენტალობა და ადამიანური შეხედულება კაცზე. ეს აიღია ჩემში და რა ხეირი უნდა გამოვიდეს ამისთანა დომხალისაგან.

მაგრამ ვნახოთ, მომავალი კიდე რას მოგვიტანს. ჩვენ ვემსახურეთ ჩვენსა თავს, მაგრამ ამაოდ? ვნახოთ, ვგებ ღრომ უფრო კარგი სამსახური გაგვიწიოს. ვინ იცის, რა მინდოდა მეთქო.

დღევანდელმა დღემ ბევრი მწუხარება მომგვარა... ამ დაწყებულ ქალაქ ღორპაგში შევხვდი ზოგს საზიზღარ, დაწყებულ ქართველებს და ამ შეხვედრამ ჩვენ ხალხზე შეხედულება შემიცვალა. უნამუსონი, ბემლთა-ჯამუშები. სიგყვით სემინარიის გამრდილნი არ ჰგრძნობენ თავის დანაშაულს; თავის ურცხვობას და... წყევლა-კრულვა მათ!

* * *

1898. 30. IV

მირბის დრო, მიფრინავს და თან მიაქვს ჩემი გაზაფხულის დღენი... ვიხედები უკან – იქ ბნელა; შევექერი აწმყოს თვალებში – არაფრობაა; გაშკერებით ეუმერ მომავალს – და გაშკერებული დავრჩები. ბინდგა-დაკრული მომავალი იღრიჯება, დამცინის თავის უხილაფი სამალავიდგან... მივალწიე სიცოცხლის შუა გზამდინ და ვკითხამ ჩემს თავს: რაო, სად მიისწრაფი, სად მირბიხარ დაბარებულსავით? აქამომდე რომ იხეგიალე და ცხვირიპირის მგვრევით რომ მორბოდი, რა მოგემაგა?... მაგრამ დრო არ მაძლევს ფილოსოფოსობის ნებას და პანდურის კვრით მაგდებს წინ. მეუ მივრბივარ, ხან ჩაქჩაქით, ხან იორღით... ბუდი, ყოველთვის უსიამოვნო და ორგული, დაცინვით მახსენებს და მიყვირის: აჩუო! საყვედურით ვუყურებ ცას – იქაც სოფლის ბაგონები დამწკრივებულა და ისე ხარ-ხარებენ, რომ ვარსკვლავნი ჰქრებიან და ჰქრებიან... ზევსი, ანუ იეგოვა, მიყურებს მე და მთელ კაცობრიობას, თავის სათამაშოს, თუმც თვითონ ბრძანდებიან სათამაშონი კაცის მხურვალე ფანგამიისა.

* * *

აი, ეხლა მივხვდი რომ მე პოეტური ნიჭი, ცოტად არ იყოს, ბევრად მაკლია. ვზივარ და ვწერ ამ ხურდა-ბურდას, მინდა გამოვიწვიო გარედ ჩემი გრძნობანი, მაგრამ ამაოდ. მე მგონია, ხანდახან და კერძოდ, ეხლაც რომ არავითარი გრძნობა არა მიაქვს მე. როცა მწყრები შემიჯდებიან თავში და ამიქოთებენ იქაურობას – მაშინ ვეძკერები ხოლმე კალამს და ქალაღს ვალამაზებ... გრაგიკულ რამეს დავიწყებ ხოლმე. მაგრამ მაგარი ისაა, რომ გრაგიკობა არ მიხდება და კომიკობა ხომ სულ არა! ამის დაუხედავად ჩემი გრაგიკული დაწყებანი თავდებიან კომიკურად და

კომიკური — გრაგიკულად. ეპ, რას იზამ! ალბად იქაც თავადობის ოინებდა თავადური თავი ხომ სულ სხვაა, ვიდრე ადამიანის თავი! მევე მეწყინებოდა ჩემი ნათქვამი. მაგრამ რადგან ეს სიმართლეა და სიმართლეს არსად წაუხვალ, იმიტომ თუ ვსთქვი!.. დასწყევლოს ღმერთმა, ეს წერა რაზე შემყვარებია. ერთი დღე ისე არ გავა, რომ უშველებელი წადილი წერისა არ ვიგრძნო... გონება მეუბნება: კაცო, ნუ ხარ ვირისთავი, დაანებე თავი, გყვილა-უბრალოდ ნუ ჰქარგავ დროს... ნიჭი რომ გქონდეს კიდევ შო, თორემ ხომ შენც იცი... მაგრამ მაინც ვიღებ ხოლმე ხელში კალამს და ერიპა... იწყება ბოდვა-როშვა, გრაგი-კომიკობა და სხვა ამგვარი მშვენიერებანი... რა დაშინებაა! არა, ეს ალბად იმიტომ მომდის მე, რომ თავადი ვარ... და, ხომ მომეხსენება, თავადთა და ვირთა შორის დიდი განსხვავება როდია. თუ ვირმა რაზე დაიქინა, გინდ მთელი წუთისოფული შემოამგვრე თავმედ, მაინც თავისას არ დაიშლის. ასეთია სწორედ თავადიც... მაშასადამე, შემიძლიან ამ მეცნიერულ შედარება-გამოკვლევით ვანუგემო ჩემი თავი, განვაგრძო ჩემი წერა. ერთი კიდევ რამ მანციფრებს და მოსვენებას არ მაძლევს. მე სრულიად ბავშვი ვარ მის დაუხედავად, რომ „ვორონცოვის“ გოლა (სიმაღლით ე. ი. სიგრძით) მაინც ვარ და წვერულვაში ხომ ისეთი, რომ ხანდახან თუ დავიწყებაში ფეხს დავადგამ ხოლმე მას და წლოვანება იმ რიცხვს უახლოვდება, რომელიც გადასცილდა იმ რიცხვს, რომლამდე თვლა შემიძლიან. ესეც, ალბად, თავადობის ბრალია. (Велика фигура — да дура) ეს, ფრჩხილებში მოყვანილი, გინდ შეყვანილი, ანდაზა იმას ნიშნავს, რომ თავადი დიდია სახელით, ხანდახან განათაც და მცირედია ჭკუით... დიალ! გავითავოთ, თორემ მეწყინება, ასე სასტიკად როგორ ვეპყრობი მე ჩემს თავს... ოპ, ეს კი რაღაც არა თავადურია!

* * *

1898. 01. IV

დღეს, მოგყუების დღეა. მოდი, მეც ცოტად მოვაგყუებ ჩემ თავსა და ამით, ცოტად არ იყოს, ეგებ დავიშოშმინო გულის ქვითინი და გკვილი. ცუდია, ოდეს კაცს არ შეუძლიან გამოსთქოს, განუზიაროს ვისმეს თავისი ნაღველი, სევედიანი საიდუმლო. მე არავინა მყავს ისეთი ნაცნობი, ან მეგობარი. ჩემ წინ სძევს მხოლოდ ქალაღდი და აი, ეს ქალაღდი კალმის და მელნის საშუალებით იღებს თავის გარეგნობაზე ჩემი გულის სურათს. ოპ, როგორ სცდება ხოლმე კაცი! ვაი მე, რომ მეც ვეკუთვნი იმ სულელურ არსებას, რომელსაც ადამიანის შვილს ეძახიან. ყოველთვის და ყოველთან გულ-გაღამილილი მე არავის არ ვერიდებოდი. ყველას მეგობრად ვეძახდი...

მაგრამ... ეჰ! მე მხოლოდ ის მაგყუებს, რომ თითქმის სიბერის დრომდის ასე უწყალოდ მაგყუებდნენ და მე, ვერავის ვერ მიუხვდი ჩემ, ვითომ მეგობრებს. არა, ღმერთოჯან, ცოგად ვერ მოგივიდა კარგად, როდესაც კაცსა ჰქმნიდი. სპილოს კანი უნდა მიგეცა მაგისტოვის და ჯაჭვის ნერვები და სხვა არაფერი.

1898. 3. IV

ოჰ, საზიზღარო მოწყინებაჲ! შენზედ უარესი ეშმაკს არა მოვგონია რა! რა ხარ შენ?.. რა უნდა იყო. შენ ხარ მხოლოდ არაფერი და ამ არაფრობით სავესა ჩემი გული, სული, გონება. ოჰ, საზიზღარო მოწყინებაჲ! ასულელებ, გამოაჩერჩეგებ ადამიანს, მაგრამ თვით შენ არ ხარ იმაზე ჭკვიანი... შენ ხარ მიზეზი ყოველგვარი ცოდვისა, გიჟობისა, ხელობისა და სხვა შარბიანობისა. შენ მიიყვან ხოლმე გოლიათ კაცს სამარეშად, შენ აბეზრებ თავს ყოველ ქმნილებას. ოჰ, საზიზღარო მოწყინებაჲ! რაგომ არა ხარ ხილული რამე, რომ გწვედ თავში იქნება თუ ფეხში და ჩავაგლო ცეცხლის გენაში!.. გამომიგყდი, რამ გშობა შენ და რა მიზნისათვის?.. ნუთუ შენ, მოწყინებაჲ, გამოგონილი ხარ მოწყინებულ ღმერთისაგან გასართობად?.. ან ნუთუ შენ ისეთი უხილობა ფაქტორი ხარ, რომელს უნდა დააბრუნოს ეხლანდელი ადამიანი პირვანდელამდე?.. ოჰ, საზიზღარო მოწყინებაჲ! შენ ხარ მიზეზი ყოველგვარ საზიზღარ მოვლენათა და შენ არიშინებ კაცს, მისდაუნებურად ისეთ სისულელეს, რომ ამ უკანასკნელ სიმძიმისაგან დეღამიწა ინძრევა. შენ ხარ მიზეზი ჩემი სულელურ სიგყვებისა!

1898. 25. IV

ჰოი, საყვარელო ჩემო სამშობლოჲ! როგორა ხარ, ჩემო მშობელო დედაჲ, შებაგობინე შენს შორს გადახვეწილ შვილს, იკითხე იმისი ამბავი, თუ როგორ არის, როგორ ეშმალება იგი შენს სამსახურად... მაგრამ ვგრძნობ ჩემო დედი, ცხადად ვხედავ, რომ შენ... იჭვიანობ! მრავალ განჯვებით, ბედის სიმუხთლით, შეილთა ღალატით გამოცდილს, შენ იმედიც დაგკარგენია კარგისა და გამოსული გულმოსაკლავ მორჩილებით ელი ბედის სილებს და ძლივს იჭერ გამწვავებულ, სისხლიან ცრემლებს... მწარე ჩაცინვით უგდებ ყურს ცრუ-პატირობების მჭერმეგყველებას, მათი

ნერვების დამასუსტებელ ჩივილ-გოდებას და ამ გირილ-გოდების შურვის უკან შენ კარვად ხელამ მოკლე-ჭკუობას, სიზარმაცეს, სიდიაცეს... ამ კატეგორიის პატრიოტები უფრო მწვავედ გიმწვავებენ საშინელ წყლულებს... ოჰ, სულელები!.. მაგრამ გამხნევი ჩემო ყველაჲ; გახსოვდეს, არა ერთხელ ყოფილხარ ამგვარ მდგომარეობაში, მაგრამ ყოველთვის გამო-სულხარ გაჭირვებიდან გამარჯვებული, პირნათელი. შენ ვძლია მტერმა... გაგიწყვიტა შეილები, მრავალ საუკუნოების ნაყოფი – შენი სიმდიდრე, საუნჯენი წაგართვა, მოგისპო თავისუფლება და ამის მაგიერად, შენი გულის მოსალბობად, გაჩვენებს შორიდან მცირე შაქრის ნატეხსა... და შენც, დაკარგული მწუხარების მორევში, სახედარივით შეკაშული, სიხარუ-ლით ეგებები ყოველ ტკბილ სიგყვას, მის დაუხედავად [თუ როგორ] არიან გამოთქმულნი. შენ გჭირდება თანაგრძნობა, ვით მშვიერი მუხლებზე ჰკოცნი შენს მწყალობელს, შენს შემბრალებელს... კმარა, დედი!.. გეყოფა, კმარა ამდენი დამცირება! მის მაგიერად, რომ ამაყად აღსდგე ფეხზედ და მოითხოვო შენი ხვედრი მსოფლიო ისტორიაში, შენი უფლებანი და ამით აჩვენო, რომ არ გამქრალა შენში ღვთაებრივი ალი თავისუფლებისა, შენ დასდო რამ სამთა ფეხთა წინა. გახსოვდეს დედი, შენ შეილებს აქვთ თავისი ისტორია, ეროვნული, ქართული, თვისი კულტურა, ენა, სარწმუ-ნოება, რომელთათვის არა ერთხელ ღებაღდა მდინარეებს და გულებს, თავის კეთილშობილურ სისხლით... უკვდავია იგი ხალხი, რომელიც წარ-მოადგენდა უფრო სულიერ ძალას, ვიდრე ფიზიკურს... მაგრამ ესეც რომ არ იყოს, წარმოვიდგინოთ, რომ მართალია, მოვიერთ თვალბედით შეგყობინებისა აზრი, რომ შენ მოგელის სიკვდილი! დე, ასეც იყოს. ნუთუ სიკვდილიც უეცარი, მოულოდნელი, არა სჯობია თანდათანინანს, ნუთუ ტყუილია ეს გენიალური ანდაზა: „და სჯობს სახელსა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

„ოჰ, ბავშვო, ბავშვო!“

ინის წარმოება

1898. 21. IV

რა არის ენა და როგორ სწარმოებს იგი? – აი საკითხი, რომელზე-დაც უნდა მივცეთ ჩვენ პასუხი. რასაკვირველია, ეს საკითხი უკვე გამოკ-ვლეულია მეცნიერებისათვის და რომ საკითხის შესახები ლიტერატურა არა მცირეა, ხოლო მე მინდოდა, ვიდრე გავიცნობდი ამ ლიტერატურას ჩემი საკუთარი მსჯელობით, სჯა მქონია ამ საგანზედ და მერე, შემედარე-ბინა შედეგი ჩემი შრომისა სხვის შეხედულებასთან. რასაკვირველია, ისიც

უნდა ვალიარო, რომ ამ საგნის შეგნებაში მე ბევრს მშველოდა და მშველს კარრიგრის თხმულება, მაგრამ მის დამოუკიდებლად მინდა გამოვარკვიო, ჩემთვის მაინც, თუ რა შეუძლიან ამროვნების მცირე მასალის მქონეს.

როგორ სწარმოებს ენა? როგორ წინმსვლელობს და რა კანონებს ემორჩილება თავის განვითარებაში? ენა ბუნებრივი ნიჭია, ყოველთვის და ყველასთვის. ცნობილი ფორმა ჩვენ ამროვნებისა, თუ შემთხვევითი მოგონებაა კაცობრიობისა? რაში მდგომარეობს მნიშვნელობა ენისა და რამდენად აკმაყოფილებს იგი კაცობრიობის მოთხოვნილებას?.. კიდევ ბევრ საკითხს გამოიწვევს პირველი და ძირითადი საკითხის განხილვა, რომელზედაც ვეცდები ჯეროვანი პასუხი მივეცე.

ენა შეადგენს დიდს უპირატესობას კაცისას, ამ ენამ აამაღლა იგი, დაიყვანა იმ საფეხურამდე ბუნების კიბისა, რომელამდი ვერ ასულა სხვა ცხოველი. ენამ შექმნა საზოგადოება, ისგორია და თვით კაცობრიობა. მრავალგვარი დამოკიდებულებანი კაცთა შორის ხდება ენის შემწეობით. მაგრამ იყო დრო, როდესაც კაცობრიობა წარმოადგენდა ბავშვს, აკვანში მწოლიარს და გაკვირვებით მზირალს ბუნების მოვლენის. გარეშე შთაბეჭდილებანი იწვევდნენ იმათში ყოველგვარ მოძრაობებს, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს ხმას, როგორც გამომეგყველს სულიერად ფიზიკურ მოძრაობის. თვის უნებურად კაცი ასახელებდა საგნებს და ეს სახელი შეჰფეროდა იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ახდენდა მასზედ საგანი. ხმაი მიმბაძავე სახელების, ეკუთვნით პირველი ადგილი პირველ ადამიანთ დაუწერელ ლექსიკონში. ამ მხრივ, არ შეგვიძლიან არ დაუჯეროთ მეცნიერებს, ენის მკვლევარებს, რომ პირველი ადამიანები ლაპარაკობდნენ ხმოვან ნიშნებით. მეხსიერება, იდეების ასოციაცია და სხვები ხელს უწყობდენ კაცს და შველოდენ ღრმად შთაენერგათ კაცის გვინში [სინა] საგანთა სახელის.

* * *

1898. 27. IV

საყვარელო ჩემო!... ყური დაუგდე პაგარა ხანს ადელევებულს გრძნობებით დამძიმებულ გულს. შებრალეებას არ გთხოვს იგი... იგი მარგო იმას თხოულობს, რომ შენ წინ გაიშალოს მთლად, თავის ავ-კარგით დაგარწმუნოს, რომ ყოველი ნაწილი მისი, კარგი თუ ცუდი თრთის და მფოთავს შენი გულისათვის. შებრალეებას არ გთხოვს იგი... იმას ის უნდა მხოლოდ, რომ შენ იცოდე მისი მდგომარეობა. ესეც მისთვის დიდი რამ არის!.

* * *

სად მირბიხარ, ისე სწრაფად, კუმიანო ბებერო დროვ; სად მიეშურები?.. ნუთუ არ იცი, რომ შენი გზა უთავებოლოა და მიზანი შენი ჭენებისა ხომ შენ თვითონაც არ გესმის... შენ გრძელ, ჭაღარა წვერში ვით მახეში გაბმულა ქვეყნიერება, რომელიც შენ ბუმბულადაც არ მიგაჩნია!.. ო, მძლავრო და გაუგებარო, რათ გინდა შენ ეს ძალა, რომელს ემორჩილება შენში ნაშობი, ან საუკუნითა ყოფილი შენში ღმერთი. ნუთუ შენ არ იცი, რა არის მოწყინება, ნუთუ შენ არ გაღელვებს აღელვებულ ქვეყნიერების ტარება, ერთნაირობა და უფეროვნება თვით შენშიაც... მოდი, შეისვენე ცოგად ბებერო, დაივარცხნე უღვაშ-წვერი, რომლებზედ ვით კაკლის ხეზედ გიკიღია დაუთვალავი რიცხვი მრგვალ პლანეტებისა. დასტკი შენ ერთხელ მაინც სიღიადით დანგრეუ-დაქუცვის სურათით... სხვა არა იყოს რა, დასვენება გინდა, კეტსაც არაზინ გცემს თავში წინ წადიო! შენ არ გყავს მბრძანებელი, შემოქმედი. შენ და ღმერთმა დაბადეთ ყველაფერი, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი ხართ.

საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია ეპისკოპოს გარასი კანდელაკის ხელნაწერი რვეულები, როგორც თავად უწოდა „ხურდა“ (წიგნი I და II, ქ. ორჯონიკიძე (კავკაზი), 1937 წ.).

ეპისკოპოსი გარასი (ერისკაცობაში გიორგი იაკობის ძე კანდელაკი, 1871–1951 წწ.) 1900 წელს ბერად აღკვეცის შემდეგ ხელდასხმული იქნა იეროდიაკონად. იმავე წელს აყვანილ იქნა მღვდელ-მონაზვნის ხარისხში. მოღვაწეობდა სხვადასხვა მონასტრებში, ეპისკოპოს კირიონს თან ახლდა ხერსონის, ორიოლისა და სოხუმის ეპარქიებში. 1914 წ. მღვდელმსახურად გაამწესეს თურქეთის ფრონტის საველე ჰოსპიტალში. 1917 წელს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს. 1931 წლიდან ვლადიკავკაზის წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის წინამძღვარია. 1939 წ. ხელდასხმულ იქნა წილქნის ეპისკოპოსად. ამავე ხარისხში გარდაიცვალა 1951 წელს. დაკრძალულია მცხეთის სევეტიცხოვლის გაძრის ვალაყანში¹.

მუზეუმში დაცული ხელნაწერებიდან ვგებულობთ, რომ მას ბევრი უმოგზაურია საქართველოში – ქართლ-კახეთში, გურიაში, იმერეთსა და აფხაზეთში. 1904–1905 წწ. ეპისკოპოს კირიონთან ერთად რუსეთშიც უმოღვაწეობდა. პეტერბურგში ყოფნისას ალექსანდრე ნეველის გაძარში დაკრძალული ქართველი ბაგონიშვილებისა და დედოფლების საფლავის ქვებიდან წარწერები გადმოუწერია. დროთა განმავლობაში ანდაზები, გამოცანები, შელოცვები, თქმულებები და შინაური წამლების რეცეპტები შეუკრებია. საბინინის „საქართველოს სამოთხე“-დან საკუთარი შეხედულების კვალობაზე საინტერესო მასალა ამოუკრეფია, არც იმის მითითება დავიწყებია, თუ ვისგან ჩაიწერა ესა თუ ის ამბავი.

რვეულში ავგორს სათუთად ჩაუწერია აკაკის ორი ლექსი: „ხმა“ და „ქართველი ძეგლის წინ“. კათალიკოს კირიონის ლექსი: „რაგილის გიორგისაგან“. ასევე ჩაუწერია თავისი მოსახელის არქიმანდრიტ გარასის (ალექსი-მესხიშვილის) რამდენიმე სიტყვა და მისი ბიოგრაფიული მონაცემები.

„წიგნი“ გულდასმით ვადაუწერია და ლამაზადაც გაუფორმებია. სათაურები და განმარტებები წითელი მელნით შეუსრულებია, ანდაზები

¹ ევანია ზ. „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან“. ქუთაისი, „მოწამეთა“, 1994 წ. გვ. 92-93.

და გამოცანები ანბანურ რიგზე დაულაგებია და ასომთავრულით მოუხატავს.

არქიმანდრიგი გარასი კანდელაკი წიგნის წინასიტყვაობაში მოკრძალებით წერს: „წიგნსა ამას ეუწოდე „ხურდა“; მცირეა თავისთავად ხურდა, რომელიც არ უნდა ვიგულისხმოთ ფულის იქნება იგი თუ ქვისა, მაგრამ უხურდოთ სხვილი ფული არ შედგება და აგრეთვე უხურდოთ კედელი არ აშენდება, თუ სხვილი ქვა წვრილი ხურდით არ ჩაიჭოჭყა. შეიძლება ვინმემ დიდი საქმე დაიწყოს და ეს ჩემი შექმნილი მასალა ხურდათ გამოიყენოს. ვინ იცის!“

ამ იმედით ვთავაზობთ ფრაგმენტს არქიმანდრიგ გარასის (კანდელაკი) შემოსხენებული წიგნიდან: „ორიოდე სიტყვა გარასი არქიმანდრიგზედ“.

მარინე ყიფიანი

ორიოლე სიბჟვა ტარასი არქიმანდრიტგი
(ალექსი-მესხიშვილგი)

ვინ არ იყის ისტორიიდან, რომ საქართველოს ეკლესიაში ძველ დროში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერ-მონაზვნობას. ჩვენი მონასტრები გარდა ჩვენი ქვეყნისა ჰყვოდნენ აგრეთვე ჩვენს სამშობლოს გარეშეც. სახელდობრ წმინდა ადგილებში. მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს შახ-აბაშ პირველის (წყეულიც იყოს მისი ხსენება) შემოსევის შემდეგ, საქართველო დასუსტდა პოლიტიკურად და ის მტკიცე ზღუდენი ჩვენი ეროვნებისა – მონასტრები დაცარიელდნენ და ამ დროიდანვე საგრძნობლად იკლო აღმოსავლეთის წმინდა ადგილთა ქართულ მონასტრებში ქართველთა ბერ-მონაზვნების რაოდენობამ. მართალია, ქართველ გვირგვინოსანთა მეოხებით ბევრი მონასტრები იყვნენ გაახლებულები და ბევრიც აღსადგენები დარჩნენ, მაგრამ ჟამთა ვითარების გამო წარსულ საუკუნეში ძირეულად შეიცვალა სვე-ბედი ჩვენი მონასტრებისა. ბევრი მათგანი იყო დახურული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, მაგალითად: ქვათახევისა, ერთაწმინდისა, იკორთისა, თირისა, ბეთლემისა, ლარგვისისა, კაწრეთისა, შიომღვიმისა, ზელაზნისა, ჯვრისა ანუ ჯაჭვისა, საბა წმინდისა და სხვ... თუმცა ბერობა ერთობ დაკნინდა საქართველოში, მაგრამ ღვთისმშობლის მფარველობით და შემწეობით, რომლის წილხედობილია ჩვენი სამშობლო, დრო გამოშვებით მაინც კიდევ გვიჩნდებოდნენ ისეთი წმ. ბერები, რომლებიც მოგვაგონებდნენ ძველი დროის თავდადებულ სასულიერო მუშაკებს. ამისთანა გამოჩინებული ნამდვილი ბერული მოღვაწეობით იყო აღჭურვილი ნეგარსხენებული არქიმანდრიტი გარასი. ეს შესანიშნავი და სასიქადულო სასულიერო მოღვაწე იყო მწიგნობრობით სახელგანთქმულს ქართლელ აზნაურის ალექსი-მესხიშვილის გვარისა და თავისის მოქალაქეობით ეკუთვნოდა წარსულ საუკუნეს, თუმცა დაიბადა 1793 წელს. ამ ურიად შესანიშნავი სასულიერო პირის ღვაწლი, გამეთურ სტაგიაში ვერ დაიხატება, რადგანაც ერთობ ღრმა კვალი დასტოვა მან საქართველოს მონასტრთა ისტორიაში. მე შეძლებისა და გვარად „მწყემსის“¹ მკითხველს მსურს განუზიარო მცირე ოდენი მაინც რამ ამ მოღვაწეზედ, რაც სხვა და სხვა დროს გამიგონია მასზედ მისგანვე აღზრდილ ბერებისა და სასულიერო პირთაგან.

არქიმანდრიტი გარასი, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, იყო ნამდვილი ბერი. გარდა სავალდებულო ლოცვებისა, მას ჰქონდა შედგენილი ოც-

¹ კურნალ „მწყემსის“ რედაქციისათვის უნდა გამომეგზავნა ქ. ორიოლიდან სადაც მე ვმსახურობდი 1904–1905 წწ. (არქ. გარასი).

დაოთხი მუხლი, რომელთაგანაც თორმეც დღისით წარმოსთქვამდა და თორმეც ღამე. აი, თვით ეს მუხლები, რომლებიც გადმოვწერე მისსავე ხელთაწერიდან და რომლებიც შეპირად იცოდა ყველა მისმა აღმზრდილმა.

ლოცვა ბ, წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა

დღისანი:

ა უფალო, ნუ მომაკლებ მე ზეციერთა შენთა კეთილთა.

ბ უფალო, მიხსენ მე საუკუნოთა საგანჯველთაგან.

გ უფალო, უკეთუ გონებითა, ანუ გულის მრახვითა სიგყვითა, ანუ საქმითა შეგკოდენ შემინდვენ მე.

დ უფალო, მიხსენ მე ყოვლისაგან უმეცრებისა, დავიწყებისა და სულმოკლებისა და განქვაბულისა უგრძობლობისა.

ე უფალო, მიხსენ მე ყოვლისაგან განცდისა.

ვ უფალო, განანათლე გული ჩემი დაბნელებული ბოროტითა გულისთქმითა.

ზ უფალო, მე ვითარცა კაცმან შეგკოდე, ხოლო შენ ვითარცა მოწყალემან ღმერთმან შემიწყალე მე, რამეთუ ხედავ უძლურებასა სულისა ჩემისასა.

ი უფალო, მომივლინე მე მაღლი შენი შემწედ ჩემდა, რათა ვადიდებდე სახელსა შენსა წმიდასა.

თ უფალო, იესო ქრისტე, აღმწერე მე მონა შენი წიგნსა შინა ცხოველთასა, და მომანიჭე მე დასასრული კეთილი.

ი უფალო, ღმერთო ჩემო, უკეთუ არა რაჲ მეღა კეთილი მიქმნიეს წინაშე შენსა, გარნა მომმადლე მე მაღლისა შენისაებრ დადებად დასაბამი კეთილი.

ია უფალო, ასხურე გულსა ჩემსა ცვარი მაღლისა შენისა.

იბ უფალო, ცისა და ქვეყნისაო, მომიხსენე მე მონა შენი სირცხვილელი და არა წმინდა, სასუფეველსა შინა შენსა, ამინ.

ღამისანი:

ა უფალო, სინანულთ, შემიწყნარე მე.

ბ უფალო, ნუ დამიგვევებ მე.

გ უფალო, ნუ შემიყვანებ მე განსაცდელსა შინა.

დ უფალო, მომანიჭე მე გულის სიგყვა კეთილი.

ე უფალო, მომმადლენ მე ცრემლნი და ხსენება სიკვდილისა და ღმობიერებისა.

ვ უფალო, მომანიჭე მე განზრახვა აღსარებისა შეცოდებისა ჩემთასა.

ზ უფალო, მომანიჭე მე სიმშვიდე, უმანკოება და მორჩილება.

მ უფალო, მომანიჭე მე მოთმინება, დიდ სულობა და სიწყნარე.

თ უფალო, დანერგე ჩემ შორის ძირი კეთილთა, და შიში შენი გულსა შინა ჩემსა.

ი უფალო, ღირს მყავ მე შეყვარებად შენდა ყოვლისა სულითა ჩემითა და გონებითა, და ქმნად ყოველსავე შინა ნებისა შენისა.

ია უფალო, დამიფარე მე რომელთამე კაცთაგან და ბოროტთა სულთაგან და ვნებათა, და ყოვლისაგან სხვისა უჯეროსა საქმისა.

იბ უფალო, ვუწყი რამეთუ იქმ, ვითარცა გნებავს შენ, იყავნ ნება შენი ჩემ შორისცა ცოდვილსა, რამეთუ კურთხეულ ხარ საუკუნითა შინა, ამინ.

გარასი არქიმანდრიგი, ერობაში გიმოთე – იყო ძე თბილისის ანჩისხატის დეკანოზის – სოლომონ ალექსი-მესხიშვილისა. ალექსი-მესხიშვილების გვარი და მათი ოჯახი განთქმული იყო მწიგნობრობით, მგალობლობით და მწერლობით. მათ ოჯახში ბევრი შესანიშნავი წიგნები დაწერილა მშვენიერის მრგვალი ხელით და ნახატებიანი დასაწყისი ასოებით, რომლებიც დღესაც კი მოიპოვება, როგორც ჩვენს თბილისის მუზეუმების წიგნთსაცავებში, აგრეთვე სხვადასხვა ოჯახებში. ერთი ამ ფრიად შესანიშნავი წიგნთაგანი არის საბა სულხან ორბელიანის ხელით ნაწერი დექსიკონი, რომელიც დღეს თბილისის საეკლესიო მუზეუმშია. ეს წიგნი თვით გარასის გადაწერილია, რომელშიაც ანბანზედ პირველი დასაწყისის ასოები ფერადი წაშლით არის ნახატი მშვენიერად, რომლიდანაც გ. გაგიშვილმაც¹ გადმოიღო და „თაიგული“-ს სახელით გამოცემა ქართველთა ქალებისთვის. აი, ამ მშვენიერ ნაშრომ წიგნს უწოდებს გარასი „სიჭაბუკეში ნაჯღაბნს“ ე. ი. სიჭაბუკეში გადაწერია და მისივე ხელით წარწერა აქვს ამ წიგნს.

გარასი, ერობაში გიმოთე, დაბადებულა ქ. თბილისში 1793 წელს. იგი იყო ნათლული კათალიკომ ანგონ მეორესი. გარასი ანგონს, როგორც ნათლული, ძალიან ჰყვარებია და თითქმის სულ მის სახლში იმყოფებოდა ბავშვობისას. თოთხმეგი წლისა რომ გამხდარა გიმოთე, ე. ი. 1808 წელს, ანგონ კათალიკოსს იგი ბერად აღუკვეცია და სახელად უწოდებია გარასი.

გარასი ბერად შემოსეს, მაგრამ მაინც თავის გოლებში მუდამ თამაშობდა. ერთხელ თურმე დაინახა ანგონმა, რომ გარასი კაბიანი ანჩისხატის ქუჩაში ბიჭებთან კოჭებს თამაშობდა, სიცილი დაიწყო ანგონმა და

¹ გრიგოლ გაგიშვილი – პირველი ქართველი გრაფიორ-ქსილოგრაფი.

დაუძახა: „ეი, ბიჭო, ბერი ხარ ეხლა შენ და რაღა დროს შენი კოჭის თამაშობა არისო“¹. თხუთმეტი წლის რომ შესრულდა გარასი ანგონ კათალიკომმა თავის არხილიაკონად აკურთხა და როდესაც რუსეთში გადაიყვანეს ანგონი, 1810 წ. მაშინ გარასიც თან წაიყვანა. ანგონს ჰყვანდა დისწული იოანე ლუარსაბის ძე თარხნიშვილი² (ს. ახალქალაქიდან გორის მამრა). ეს იოანე ხშირად იყო ანგონის სახლში თბილისში და გარასისთან ერთად იმრდებოდა ეს ბავშვიც, რომელიც გარასის ძალიან ჰყვანდა თურმე შეჩვეული.

გარასი რუსეთში რამდენიმე წელს იმყოფებოდა ანგონთან, პეკერ-ბურგში ალექსანდრე ნეველის ლავრაში. აქ მან შეისწავლა რუსული და რამდენიმე წიგნიც აქვს ნათარგმნი რუსულიდან ქართულად. გარასი რამდენს წელიწადს დარჩა რუსეთში და ან როდის ეკურთხა მღვდელმონაზვნათ ამაზედ სწორედ ცნობა არა მაქვს, მაგრამ ვიცი კი, რომ დიდხანს იყო რუსეთში ანგონის შემდეგაც ბატონიშვილებთან ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

გარასი ანგონ კათალიკომის სახლში იმყოფებოდა მუდამ, ერთხელ გარასი იჯდა თურმე სახლში და რაღაცას სწერამდა. ამ დროს შევიდა ერთი ყმაწვილი, მიეპარა უკანიდგან გარასის და თვალები ხელით აუხვია. გარასი გაჯავრდა ძალიან, ეს ვინ მიხვევს თვალებსო და როდესაც ხელი გააშეშებინა შეხედა, რომ იოანე თარხნიშვილია. გაუკვირდა და არ სჯეროდა კიდეც თუ ის იყო და შეეკითხა: ბიჭო, ვანო არა ხარო? – დიჯხ, ვანო გახლავარო, უპასუხა. როგორ არის შენი საქმე, აქ რამ მოგიყვანაო. ვანომ უამბო გარასის, რომ სამსახურ გათავებული რუსის ჯარის კაცები მოდიოდნენ თბილისიდან, გამოვეპარე ჩვენებს, იმათ გამოვეყვი და მოველი აქაო. ეს ვანო იყო მაშინ ცამეგის წლის ყმაწვილი. გარასიმ მაშინვე მოახსენა ანგონს, რომ თქვენი დისწული ვანო გიახლათო. გაუკვირდა ანგონსაც მისი მოსვლა. რასაკვირველია, ანგონმა სასწავლებელში მიაბარა პაეთა კორპუსში და იქ შრდიდა.

ერთხელ ვანომ უთხრა გარასის: – მე როცა გავათავებ სასწავლებელს სამსახურში შევალ და ფული ბევრი მექნება, ჩვენში რომ ქვათახევის მონასტერია დანგრეული და გაუქმებული ის უნდა განვაახლო, რადგან ძალიან მიყვარს ის ადგილიო. გარასიმ უთხრა: – კარგის მაქნისი იყო კარებს უკან დაიმალებიო, არ გიცნობთ რაც ბრძანდებით თარხნიშვილებიო. თქვენ არაფერი დაბანგრიოთ, თორემ ამენებით ხომ არაფერს

¹ არქ. გარასი (კანდელაკი), „ხურდა“, წ. II, გვ. 5.
² იოანე თარხნიშვილი – საქართველოს მეფის, გიორგი XIII ასულის, სოფიოს ვაჟი.

ააშენებთო. – აი თუ არა ნახამო, უპასუხა ვანომ. ეს ვანო პატარაობიდან მმარხველი და მლოცველი ყოფილა. მარხვაში თურმე არას ღროს არ სჭამდა სახსნილოს და ცარიელ პურზეც გადადიოდა პაეთა კორპუსში. ბევრს უშლიდნენ მასწავლებლები, რომ არ შეიძლებოდა მარხვის შენახვა, მაგრამ ის უპასუხებდა – მე არა გთხოვთ, რომ მმარეული დაიჭირეთო. ერთხელ იმპერატორი ნიკოლოზ პირველი მივიდა სასწავლებელში და სადილი გაშინჯა. სხვათა შორის მოახსენეს იოანემედ, რომ მარხვას ინახავს და ვერ ვაჭმევთ სახსნილოსაო. ნიკოლოზმა უბრძანა რაგომ არ სჭამ, მარგო შენთვის ხომ არ გააკეთებენ ცალკე საჭმელსაო? იოანემ უპასუხა: – მე ცარიელ პურზედაც კარგად გადავივლი და არა ვთხოვ, რომ ცალკე გამიკეთონ საჭმელიო. მაშინ ნიკოლოზმა შუბლზედ აკოცა და უთხრა: – „მონახ, მონახო“. ამ დღიდან იოანეს დაერქო მეტსახელად მონახი და სულ იმას ეძახდნენ სასწავლებელში ყველანი.

ტარასი რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა რუსეთიდან საქართველოში. იგი იყო მღვდელ-მონაზვნათ თბილისის ფერიცვალების – დარიის მონასტერში და იყო გამგებლად საეკლესიო მამულებისა ქართლ-კახეთში, განსაკუთრებით მინდობილი პქონდა ხოლმე მცხეთის სვეტიცხოვლის გაძრის საქმეები, როგორც მამულებისა, აგრეთვე მისი შეკეთება-განახლება.

აქ მინდა მკითხველს გავაცნო მოკლეთ ტარასის გარეგანი სახე, მისი მწე-ჩვეულება, ხასიათი და მისი ცხოვრება, როგორც მაქვს გადმოცემული მისი აღმრდილი ბერებისაგან, მის მომსწრეებისგან, როგორც სასულიერო პირთაგან, ისე ერის კაცთაგან და აგრეთვე როგორც კი ჩანს მისი საქმეებიდან.

ტარასი ყოფილა შუაგანის კაცი, სახით შავგვრემანი და მოხუცებაში დიდი თეთრი წვერი ამშვენებდა მის სახეს. ამასთანავე ხელღონიერი და მძლავრი, უშიშარი, პირში მართლის მიქმელი, კარგი მამულისშეილი, გამბედავი, დარბაისელი, კალიგრაფი, წიგნების ამკინძავი, მწიგნობარი, მგალობელი, კარგი სახარების მკითხველი, საღმრთო წერილის ზედმიწევნით მცოდნე, ღვთის მოშიში, მმარხველი, მლოცველი, ჯილდოს არ მოყვარული, ერთგული მონასტრისა და ეკლესიისა და ამასთანავე ხუმარაც ყოფილა.

ერთხელ ტარასი თავის გამგებლობაში მოურიგდა ერთ ბერძენს, რომ მცხეთის გაძრის გაღავნისათვის ბათქაში ექნა იმ პირობით, რომ მდ. არაგვის ქვიშა გაერია კირში. ბერძენმა ეს პირობა არ შეასრულა და არაგვის ქვიშის მაგიერ მტკერის ლამი იხმარა. ამამედ ტარასიმ ფული დაუჭირა ბერძენს. იმ ხანებში მიგროპოლიგ ისიდორემ თავის ეგზარხოზობის ღროს ჩამოიარა რუსეთიდან სამხედრო გზით მცხეთაზედ. ბერძენმა

კარეგა გააჩერებინა გზაზე და იჩივლა გარასიმზე. ისიდორემ მიმართა გარასის და უთხრა, რაგომ ამ ბერძენს ფულს არ აძლევო? გარასიმ ისიდორეს ხმა არ გასცა, მიუბრუნდა ამ ბერძენს, წაავლო ორთავე ხელები საყელოში, მიანჯღრ-მოანჯღრია და შეუგია, მიიჩივ კიდეც შე ასე ისეთო. ეგბარხოს ისიდორეს შეეშინდა, ჩაჯდა მაშინვე კარეგაში და მოჰკურცხლა თბილისისაკენ.

გაიარა რამდენიმე წელიწადმა, იოანე თარხნიშელი გაიბარდა, სასწავლებელი დაასრულა, სამხედრო სამსახურში მსახურებდა და გარასისთან მუდამ მიწერ-მოწერა ჰქონდა. ერთხელ რუსეთიდან მოსწერა გარასის, ხომ გახსოვს მე რომ ჩემს პაგარაობას ვითხარი ქვათახევის მონასტრის განახლება და შენ მასხრად ამიგდეო. აი, სწორედ ახლა მაქვს დრო, მსურს მისი განახლება, ადექი ეხლავე წადი ქვათახევის მონასტერში, დაათვალიე ყოველივე, როგორი გზაა, რა მასალა დასჭირდება, ადგილობრივ იშოვება მასალა თუ მიგანა დასჭირდება, წყალი რამ სიმორეზე აქვს, ძლიერ არის დაძველებული ეკლესია თუ არა, სახლები როგორ შეიძლება გაკეთდეს, გალავანი, ერთი სიგყვით დაწერილებით ასწერე, გეგმა შეადგინე და რა დაჯდება მისი განახლება ყოველივე დაწერილებით მაცნობე და მინდა დავიწყო მისი განახლებათ. აქ სინოდში ვითხოვ ნებართვას და ამასთანავე შენ უნდა მოგიტხოვო, რომ ჩემი მინდობილობით დავიწყო მუშაობა და განახლებათ.

გარასის ნანახი ჰქონდა ქვათახევის მონასტერი, რომ ძალიან სიძველეში იყო წასული და ძნელი იყო მისი განახლება ერთი კაცისთვის, ამისთვის აღარ წასულა ქვათახევეში და თბილისიდანვე მისწერა, რომ შენ იმის განახლებას ვერ შეიძლებ, იმას ბევრი ფული უნდა და თუ არ დაგიშლია მცხეთის გაღმა რომ ჯვარის, ანუ ჯაჭვის მონასტერია იმას ბევრი არაფერი უნდა და ის განაახლეო. იოანესგან წყრომის წერილი მოუვიდა გარასის და სწერდა, რომ მე ქვათახევის მონასტერი მიყვარს და მისი განახლება მინდა, თორემ სხვა რომ მინდოდეს ბევრია ჩვენში ჯვარის მონასტერებისთანაო. მე ვთხოვ წახვიდე ეხლავე ქვათახევეში, დაათვალიერო და ყოველივე შემაგყობინო. გარასიმაც შეასრულა მისი თხოვნა. ერთხელ შეჯდა ცხენზე, გაიყოლა თანაც კაცი და თბილისიდან გაემგზავრა ქვათახევეში. თბილისიდან ქვათახევის მონასტრამდის იქნება 50-55 ვერსი. რასაკვირველია, დაათვალიერა იქაურობა, ყოველივე ასწერა, გეგმა შეადგინა და დაბრუნდა ისევ. გარასის ეძნელებოდა მისი განახლება, რადგან მეტად სიძველეში იყო წასული და დიდი ფული დასჭირდებოდა და იცოდა, რომ იოანეს იმდენი ფული არ ექნებოდა, რომ შესძლებოდა მისი განახლება, მაგრამ ხედავდა, რომ ძალიან გულთ იყო მოწადინე-

ბული და ამისათვის აღარ შეუძალა ხელი და სთქვა: – მე იმას ცოგას მივსწერ, რომ ამდენი და ამდენი დაჯდება მისი განახლება, დაიწყოს და თუ ველარ შეძლებს, მაშინ ალბათ, ან გამოჩნდება ვინმე ლეთისნიერი კაცი და ის დაასრულებს, ან არა და თვით მთავრობა მაინც არ გაუშვებს გასაკეთებელსაო. ადგა და მისწერა გარასიმ: – თუ აღარ დაგიშლია და დაიწყებ მის განახლებას ეკლესია ხუთასი თუმანი დაჯდება დანარჩენი სხვა იქნებაო. იოანემ მაშინვე აიღო ნებართვა უწმ. სინოდში, როგორც მონასტრის განახლებაზედ აგრეთვე ითხოვა, რომ მიეცათ მისთვის მღვდელ-მონაზონი გარასი, რომელიც თბილისის ფერიცვალების მონასტერში მსახურებს, რომ იმას მივანდო ყოველივეო. როდესაც ყველაფრის ნებართვა აიღო, მაშინ გარასის გამოუგზავნა რამდენიმე ფული და მოსწერა: – იღვე, ნულარ დაჯდება და იჯდე, ადექი და გაუდექე უხლავე გზას და დაიწყე მუშაობაო. გარასიმ ყოველივე მოიშმადა რაც კი საჭირო იყო და გაგზავნა ურმებით. დაიჭირა რამდენიმე ოსგაგი, იშოვნა ერთი შეგირდი (ნიკოლა ჯობინაშვილი თბილისელი) და გაუდგა გზას. როდესაც მივიდნენ მონასტერში სახლი არ ჰქონდათ რომ დამდგარიყვნენ და ხის ქვეშ დაბინავდნენ. პირველად გარასიმ სადგომით ორი ოთახი და ერთი ბოსელი გააკეთა (ეს ოთახები დღესაც ისევ არიან), შემდეგ ეკლესიის განახლებას შეუდგა. ეკლესია ძველთათვე მოყვითალო თლილის ქვით არის ნაშენი. ბევრი იყო დანგრეული კედლები და ქვა კი აღარსად იყო. ამისათვის საჭირო იყო ისეთივე ქვით შეკეთება, როგორიც ძველათ. ამ ქვის მადანი კი არის ს. კავთისხევის ბოლოზედ, მტკვრის მარჯვენა პირას, რომელსაც ეძახიან საჩიგეს და აი, აქედან აუზილიათ ძველად და ისე უშენებიან მონასტერი და გარასისაც იქიდან აუზილია ქვა რაც კი დასჭირებია ეკლესიის შესაკეთებლად. მონასტრიდგან იქნობამდის იქნება 11-12 ვერსი. რამდენიმე წელიწადი აშენა ეკლესია და ხარჯამდა ფულს, როგორც თარხნიშვილისას ისე თავისას, მაგრამ მაინც ბევრი რამ აკლდა მის დასრულებას. გაუჭირდა იოანეს, ფული გამოეულია და მონასტერს კი ჯერ დასასრული არ უჩანდა. აი, ამისათვის ერთხელ გაჯავრებული სწერს იოანე გარასის: – რა ვიცი, ლამის ნიფხავიც გამაყიდინო და მაგას არა ეშველაო. თითქო ხუთას თუმანს მწერამდი და უხლა არც ორი ხუთასი ჰყოფნისო. ამაზედ გარასი უპასუხებს: – მე რა გიყო, შენი ბრალია, მე არ მოგწერე ჯვარის მონასტერი განახლებ მეთქი, იმას არც სამასი თუმანი მოუნდებოდა, მაგრამ აიხიერე არა, ჩემი ქვათახევი უნდა განვაახლოო და არ იცოდი, რომ ბევრი მოუნდებოდა, მთლად დანგრეული იყო ამოდელა ეკლესიაო.

დიდი მშრომელი კაცი იყო გარასი და ამასთან მუყაითი და ერთგუ-

ლი მონასტრისა. რაც კი გაუკეთებია მონასტერში ყველა საფუძვლად და საშვილიშვილოდ არის. როდესაც დასრულდა ეკლესია და გუმბათზედ ჯვარი უნდა დაეღვათ, მაშინ გარასი თავის მორჩილებით ავიდა ხარაჩოზედ, შეიმოსა სამღვდელო შესამოსით, პარაკლისი გარდაიხადა და „ჯვარსა შენსა თაყვანს ვსცემთ“ გალობის თქმით დაადგეს გუმბათზედ ჯვარი. თან საუზმე და ღვინო ჰქონდათ აგანილი, იქ ისაუზმეს როგორც თვითონ, ისე ოსტაგებმა და უკანასკნელად კიდევ ჩამოვიდნენ ძირს და ხარაჩოც ჩამოშალეს. ამ ჯვარის ქვეშ დიდი ქვაა რაზედაც თვით ჯვარი სდგას. აი, ამ ქვის ქვეშ გარასის ერთი ლაქით დაბეჭდილი ბოთლი ჩაუტანებია. არავინ არ იცის რა იყო შიგ ამ ბოთლში, ამბობენ, რომ აღწერა იყო, როდის, ვის ღროს, ვისგნით და რანაირად გაკეთდა ეს მონასტერიო.

დიდი შრომისა და წვალების შემდეგ, როგორც იყო დაასრულეს ეკლესია და შენობები და 1855 წელს აკურთხა ეგზარხოსმა ისიდორემ. ყოველივე მორთულობა ეკლესიისა: კანკელი, ხაგები, ჯვრები, გრაპემზედ დასადგმელი ვერცხლის სანაწილე, ბარძიმ-ფეშხუმი, მანძლები, ვერცხლით შეჭვდილი სახარებები თუ შესამოსი სულ რუსეთიდან აქვს გამოგზავნილი იოანეს სულ კარგებისა. იოანეს გულში ჰქონდა, რომ, როგორც კი დაასრულებდა მონასტერს გარასის მაშინვე არქიმანდრიტად აკურთხებინებდა და წინამძღოლიც ის იქნებოდა. ჯერ არქიმანდრიტი არ იყო გარასი, მაგრამ იოანემ რომ გრაპემის ჯვრები გამოგზავნა რუსეთიდან ბედ დაეწერინებინა რუსულად – *Отъ Архимандрита Тарасія*. ეს, გარასის ვერ შეემჩნია წინდაწინ და შემდეგ, როდესაც ენახა აი, რასა სწერს გარასი იოანეს: – შენი თავი აიგლე მასხარად, ჭეშმარიტად წინდაწინ რომ მენახა ეს წარწერები სწორედ რომ არ გამოვაჩინდი კურთხევის ღროს ეგზარხოსთანაო. თვით ეგზარხოსმა ნახა და იცინაო. ერთი მშვენიერი ვერცხლის მიგრა გამოგზავნა გარასისთვის და აი ამამე რასა სწერს გარასი იოანეს: – რა საჭირო იყო, რომ ე გოგრა არ გეყიდნა ნეგავი ვისთვის გინდა, რომ გყუილებრალოდ ფულს ხარჯამო. მე აქ ათასნაირად მიჭირს ფულით, ფული გამოგეგზავნა არა სჯობდაო! როდესაც მოამზადა ეკლესია საკურთხებლად გარასიმ, ყოველივეს დაწვრილებით სწერს იოანეს თუ, როგორ მშვენიერად არის მოწყობილი და მორთული და სთხოვს, რომ იქნებ შენც მოახერხო და კურთხევისთვის მოხვიდეო. იოანე უპასუხებს: – ჩემი მოსელა ეხლა მოუხერხებელია და აბა შენ იცი, როგორც ყოჩაღად მოიქცევი და ყველაფერს რიგზედ მოაწყობ მანდაურობას. აგრეთვე რიგიანად მოუგზავე ეგზარხოსს საწოლი და შენ იცი, როგორც კაი სადილს გამართავ და ყველას წესი-

ერად დახვდებიო. კურთხევის შემდეგ გარასი დაწვრილებით სწერს ყველაფერს თუ, როგორ ჩაიარა კურთხევამ და რა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ეგზარხოსმედ ამ მონასტერმა. აუწერს დაწვრილებით რით მობრძანდა ეგზარხოსი, როგორ და რა აღგილას მიეგებენ ამ ქართლის ნაწილის თავად-აზნაურობა, რომელი ოთახი და როგორ მოუშადა, ხალხი რამდენი დაესწრო კურთხევის დროს, რანაირი სადილი გავუმართა და როგორი მადლობელი დარჩა ეგზარხოსი და რანაირი პატივით იხსენიებდა იოანეს. ისეთი სადილი გავუმართე, რომ უკეთესი არ შეიძლებოდაო. კიბოებიც კი მივართვით. წინ და წინ შეკვეთილი მქონდა კავთურის კალმახი და ბლომათაც დაეჭირათ. ეგზარხოსს ძალიან მოეწონა, რა გემრიელი თევზიაო. ერთი სიგყვით ყველაფერმა რიგმედ ჩაიარა. შენი სადღეგრძელოც მრავალი იყო, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა, რომ შენც აქ დასწრებიყავიო.

დასრულდა კურთხევა ეკლესიისა და ამ ორმა პირმა კვლავ ისევ აღანთეს დაშრეგილი ლამპარი იქ, სადაც ხუთასი ბერი ამოსწვა ცეცხლით ლანგ თემურმა და ამ მოწამეთა სისხლი და ქონი დღესაც მოჩანს იაგაკმედ და საქონლის საყენებლადღა იყო გარდაქცეული, იქ კვლავ გაისმა წირვა-ლოცვა და ხმა შეწყობილი გარასის მშვენიერი ვალობა. გარასი კარგი მკითხველ მგალობელი იყო. მონასტერში ბლომად ჰყავდა შევირდები და საბეროები და ყველას ასწავლიდა ვალობას. თუმცა ჯერ ბევრი რამ მქონდა კიდევ გარასის გასაკეთებელი და მოსაგვარებელი, მაგრამ რაკი ეკლესია დაასრულა და წირვა-ლოცვა დაიწყო მონასტრული წესით დანარჩომისა აღარაფრისა ეშინოდა და ნელ-ნელა ყველას მოაწყოდა. ბევრჯელ სწერს გარასი იოანეს ხუმრობის წერილებს და სახელებს უცვლის, ხან იოსაფათს უწოდებს და ხან რას. კელიას გიმზადებო, ასე მოვრთე შენთვის კელიაო, კუნკულ ბარგყული მოგიმზადეო, ჩქარა მოდი და წინამძღვრობა გაგვიწიეო. ისრე დასრულდა მონასტრის კეთება, რომ რიგიანად არავინ იცოდა გარასი აკეთებდა თუ იოანე. გარასი იოანეს აბრალებდა ის აკეთებსო და იოანე გარასის. ერთხელ ვილაყას დიდი მადლობა გადაეხადა იოანესათვის რუსეთში, რომ ამისთანა შრომას ეწევა და ქვათახევის მონასტერს ამშვენიერებს. ამამედ აი რა წყრომის წერილსა სწერს გარასის იოანე: – რა არის რომ ქვეყანა შემეყარეო, მე არ გეუბნები, რომ შენ დაიბრალებ და მე ნუ გამომაჩენო? შენ რომ ჩემი მოძღვარი ყოფილიყავი კარგად არ შეინახამდი აღსარებასო! გარასიც გაჯავრებული სწერს ამის პასუხს: – რომელი აღსარება მითხარი და გაგეციო. მე კი არ შეგიყარე ქვეყანა და შენ თითონ შეიყარეო. ქვეყანას მოსდევს და სინოდს სთხოვე, რომ ქვათახევის მონასტერი უნდა განვა-

ახლო და ნება მიბოძეთო. სინოდი აქ კანგორას შეეკითხა, კანგორას¹ პასუხი მისცა და მანამ საქმე გადაწყვეტილად ქვეყანამ გაიგო, რომ ესა და ეს თარხნიშვილი ქვათახევის მონასტერს აახლებსო და აბა მე რა ქვეყანა შეგყიარეო. აქ რამდენჯერმე თარხნიანთაჲ კი მკითხეს, გვითხარი მართალი, იოანე აკეთებსო, მაგრამ მე ყველას უშემაღამდი და მე ვიბრალებდი შენი შიშითო.

იოანეს თხოვნით სინოდში და შუამდგომლობით, გარასი არქიმანდრიგად აკურთხეს და მისცეს ქვათახევის მონასტრისავე წინამძღვრობა. დიდხან აღარ უცოცხლია განსვენებულს იოანეს და 1855 წელს, 14 დეკემბერს გარდაიცვალა რუსეთშივე ქალაქ – ვეროში, ლიფლანდიის გუბერნიაში. აღარ დასცალდა საწყალს, რომ თავის ნაშრომ-განახლებული მონასტერი თვალით მაინც ენახა. რასაკვირველია იოანე დაასაფლავეს იქვე, მაგრამ გარასიმ მაინც არ დააყენა იქ და დიდის თხოვნის და წვალების შემდეგ ამოაღებინა საფლავიდან და მოასვენა საქართველოში და დაკრძალა მისი გვამი 1856 წ. მაისის 5 დ. მისგანვე განახლებულ და შეყვარებულს ქვათახევის მონასტრის ეკლესიაში მარჯვნივ, ე. ი. სამხრეთის კედლის ძირში სვეტის ახლოს². მის დამარხვაზე და მოსვენებაზედაც დიდი ხალხი დაესწრო და ამ დროს წირვაზედ წარმოთქმულ იქნა გარასი არქიმანდრიგისგან მშვენიერი გრძნობიერი სიტყვა².

დარჩა მარგოთ გარასი. კარგად გრძნობდა, რომ როგორც მას, ისე მონასტერს მოაკლდა კარგი ნუგეში, კარგი პატრონი, კარგი მფარველი, კარგი იმედი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არ შეშინებია გარასის არც შრომისა, არც ჯაფისა, არც მტრებისა, არც სიღარიბისა და ერთგულად და შეუპოვრად იბრძოდა და შრომობდა უკანასკნელ სიკვდილამდის და ყველაფერი მოაწესრიგა. იოანეს სინოდში ნათხოვნი ჰქონდა, რომ ქვათახევის მონასტერი უნდა ზოგად ცხოვრების მონასტრად ყოფილიყო და ფიქრად ისე ჰქონდა მას, რომ იმდენი ფული მოეგროვებინა ხაზინაში, რომ მისი სარგებლით და აგრეთვე მამულის შემოსავლით უნდა ეცხოვრათ მონასტრის წინამძღვარს და ძმათა, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააყა-

¹ ქვათახევის მონასტრის ეკლესიაში ლანდ თემურისგან დამწერი ბერები წმინდანებით არიან შერაცხილნი საქართველოს ეკლესიისგან და ამისათვის ეკლესიის იაგაკის გათხრა ან აყრა აკრძალულია, რადგან მათი სიხელი და ქონი დღესაც ამკარად მოსჩანს იაგაკელ. არქ. გარასიმ ნებართვა ითხოვა ეგზარხოსისგან, რომ ნება მიეცათ ეკლესიაში იოანეს დასაფლავებისა. ეგზარხოსმა უარი უთხრა. მაშინ არქ. გარასიმ მოახსენა, რომ თუ ამისთანა ამგვარი კაცის დასაფლავების ნებას არ მომიცემთ ეკლესიაში, ამის მნახავი ეკლესიას შედ არავენ მიხედამსო. მაშინ უთხრა გარასის: – წადი და როგორც ვინდოდეს ისე დაასაფლავეო.

² აღნიშნული სიტყვაჲ გარასი კანდელაკს ამავე წიგნებში აქვს ჩაწერილი (გვ. 5).

ლა და დარჩა მონასტერი უნუგეშოთ. ამისათვის გარასმა იფიქრა, რომ დღეს მე ვარ წინამძღვარი მე შეეინახაბო, მაგრამ ვინ იცის ჩემ შემდეგ როგორი წინამძღვარი იქნება, მონასტრის საქმე აიწ-დაიწეწოს და ისევ ისე გაოხრდესო. ადგა და სთხოვა მთავრობას, რომ შტაგით დაემტკიცებინათ მონასტერი და ჯამაჯირები დაენიშნათ, როგორც წინამძღვრისათვის ისე კრებულისთვის. მთავრობამ ამაზე უარი უთხრა, რომ თარხნისშვილს ისე ჰქონდა ნათხოვნი, რომ თითონ უნდა შეენახა კრებული და ზოგადი მონასტერი ყოფილიყო. ამაზედ გარასიმ კვლავ მოახსენა: — მართალია თარხნისშვილს ვერც ჰქონდა ნათხოვნი და თუ ეცოცხლა ვერც იქნებოდაო, ის მოკვდა, აღარ არის და მამ მონასტერს პაგრონობა არ უნდაო? ის კაცი გამიციხლეთ და თქვენი არაფერი მინდაო. მაინც შეიწყნარეს გარასის თხოვნა და დაამტკიცეს შტაგათ მესამე კლასის მონასტრად, სადაც ითვლებიან ერთი წინამძღვარი, რომელსაც წელიწადში აქვს 30 თუმანი, ორი მღვდელ-მონაზონი ექვს-ექვსი თუმანი, ერთი ბერდიაკონი ხუთი თუმანი და ორიც მორჩილი ოთხ-ოთხი თუმანი.

ბევრი აწეწილი საქმეები იყო, როგორც ეკლესიის განახლება, ახალი შენობების აშენება კრებულისათვის, აგრეთვე მამულების ყურის გდება და ჩაბარება მონასტრის საკუთრებად, რომელიც ზოგი სინოდალურ კანტორის ხელში იყო და ზოგიც კერძო პირებისა. ამას ძალიან დიდი დავიდარაბა და თავში ცემა უნდოდა და მოხუცებული კაცისათვის ცოგა არ იყოს ძნელი იყო, მაგრამ თავისი მხნეობით, ერთგულობით და გულადობით ყველაფერი წესმედ მოიყვანა. მარტო 4218 დესეგინა გყე მონასტრის ირველიე შემომიჯნა, სადაც მრავალი ჯიშის ხე მოიპოვებოდა შიგ და ძვირფასი მასალა იშოვებოდა. ისე უფროხილდებოდა გარასი ამ გყეს და მიჯნებს, როგორც თავის თვალის ჩინს. რამდენიმე ათეული დესეგინა სახნავი მიწები ჩაიბარა ს. კავთისხევის მინდორში და ერთი ზვარი კავთისხევეშივე იღლეთის უბანში, სადაც გამართულია ერთი კარგი მარანი საწნახელ ქვევრებით, ორი ოთახი და ერთი ბოსელი. გყისა და მიწების ჩაბარების დროს ბევრი უსიამოვნება შეხვდა და წვალება, მაგრამ არაფერს უმინდებოდა. ერთხელ გყის გამიჯენის დროს მიწისმზომელმა თულაშვილმა ს. თელადგორიდან უწყება გაუგზავნა მონასტერში გარასი არქიმანდრიგს, რომ ხვალ ცხრა საათზედ თურქესგანიშვილის და მონასტრის მიჯნაზე გამოცხადდით უნდა მიჯნა გაეავლოთო. მეორე დღეს გარასიმ დაიჭირა ხელში ჯოხი, გაიყოლა თან ბიჭი და ფეხით ნელ-ნელა წავიდა დანიშნულ ადგილზედ. მონასტრიდგან იქნობამდის იქნება სამი-ოთხი ვერსი სულ აღმართი. კარგა ხანს იცდიდა იქ და რომ ნახა არაეინ მოვიდნენ ბიჭს უთხრა, რომ მე წავალ და თუ მოვიდნენ ჩამოირბინე და

შემაგყობინეო. გვიან მოვიდნენ, როგორც მიწის მზომელი, ისე მომიჯნავეთავედა-აზნაურობა. რა ნახა მიწის მზომელმა, რომ არავინ იყო მონასტრის მხრიდან გაჯავრდა და მაშინვე გაგზავნა ბიჭი შესაგყობინებლად. გარასი მეორედ ავიდა. მიწის მზომელმა შეუტია და ჯავრობა დაუწყო, რომ უწყება გამოვიგზავნე და შენ აქ უნდა ყოფილიყავიო. გარასიმ უთხრა: — მე მწერდი ცხრა საათზე დამხვდიო და შენ რატომ არ იციდი, რომ ცხრა საათამდის შენ ვერ ადგებოდი ლოგინიდან, მერე ჩაიო, ჩაის შემდეგ საუბმეო და ამასობაში თორმეტი საათი აქვე გაგიხდებოდა და მე აქ უნდა მელიოდა მოხუცებულ კაცსაო? ის მაინც ყვიროდა და ბოლოს გარასიმ უთხრა: — რა ძალიან ყვირი განა არ გიცნობ ვინცა ბრძანდები, მამა შენი რომ საგლახოთ მოვიდოდა ჩვენს სამშარეულოში ხახვს მიეცემდი ხოლმე პური რომ არ შემესწრებოდაო. ამაზედ უფრო ძალიან გაბრაზდა მიწის მზომელი, ამოიღო ქაღალდი, მოკუბა ერთი გლესკაცი და მის მურგზე ოქმის წერა დაიწყო. ამ დროს იქ მყოფი თავადაზნაურობა სულ თრთოდენ გარასის შიშით და ხმას ვერავინ იღებდა. გარასიმ წვერზედ ხელი ჩამოისვა და უთხრა: — მამა გიცხონდა ეს გრძელი თეთრი წვერიც შიგ გამოაცხადე, რომ უფრო ადვილად მიცნონო. უფრო ბრაზობდა მიწის მზომელი. მერე თავადიშვილებმა წასჩურჩულეს და უთხრეს კაცო, გაანებე თავი, მაგას თუ გინდა ათი ოქმი დაუდგინე არაფერი იქნება, მაგას გარასის ეძახიან და არავისი არ ეშინიანო. მაშინ მიწის მზომელმა გაკვირვებით იკითხა: ეგ არის გარასი არქიმანდრიგო?! მივიდა გარასისთან და დიდი ბოდიში მოითხოვა, მაპატიეთ, მე უბრალო ბერი მეგონეთო. ამაზედ უფრო გამოლანძლა გარასიმ, ჯერ ეგეე არ გესმის უბრალო და ბრალიანი რა არის, ბერი ბერიო რადგან ორდენები არ გავიკეთე გულზედ მიტომ უბრალო ვიყავიო? მიწის მზომელს გაგონილი ჰქონდა გარასის სახელი და ნახვით კი არ ენახა.

გარასი არქიმანდრიგმა ბევრი ხელმომჭირნეობა გასწია და იმდენი მოახერხა, რომ შვიდასი თუმანი მოაგროვა და სახელმწიფო ბანკში შეიგანა უკვდავათ, რომ თავნისთვის ხელი არ ეხლოთ და სარგებელი კი მოეხმარებინათ მონასტრისთვის. ამ შვიდასი თუმნიდან ნიკოლოზ არქიმანდრიგმა (სვიმონიშვილმა), მოახერხა ეგზარხოს პალადის დროს სამასი თუმანი გამოიგანა და ქვეთკირის თაღვაყვანილი სახლები ააშენა. შემდეგ ეგზარხოსს უთხრეს: — რათ მიეცით ნება, ეგ ფული უკვდავად უნდა ყოფილიყო, გარასი არქიმანდრიგს ისე ჰქონდა შეგანილიო. მაშინ ეგზარხოსმა ისევე მოსთხოვა, რომ წვრილწვრილად შეეგანათ და შეემოსათ, მაგრამ ნიკოლოზი იმ ხანათ მოკლეს და მერე თავი აღარავინ გაუცხელებია ფულის შესამსებათ.

აქ მინდა აღვწერო ზოგიერთი თვისებები და ეპიზოდები გარასის ცხოვრებიდან, რაც გაგონილი მაქვს მისი აღმზრდილი ბერებისა და სხვადასხვა პირთაგან.

1. დილით ცისკარზე აღრე ირეკებოდა მონასტერში მორჩილებისგან, მაგრამ გარასის ვერაინ აუსწრობდა და რაც გინდა სიცივე ყოფილიყო ის ეკლესიის კარიბჭეში იჯდა და ელოდა დარეკას, როდესაც დარეკდნენ და გააღებდნენ ეკლესიის კარებს ის პირველად შევიდოდა ეკლესიაში და ასე უჩვენებდა მაგალითს ბერებს და მისი ხათრით და შიშით ვერაინ მოაკლდებოდა წირვა-ლოცვას.

2. არქიმანდრიტმა გარასიმ თითქმის ზეპირად იცოდა საღმრთო წერილის წიგნები. მწუხრზედ და ცისკარზედ გარასი მუდამ იღვა მარცხნივ, სვეტთან საწიგნობელის უკან და წიგნების კითხვას ყურს უგდებდა, თუ რაიმე გყუილს იგყოფდა მკითხველი და სწორეთ არ გამოსთქვამდა სიტყვას, მაშინვე ქუსლში ჯოხს წაჰკრამდა და გაუსწორებდა გყუილს. თუ ვინმე წიგნის კითხვაში გამოაკლდებოდა და გადახტებოდა შესამოკლებლად, იმას მაშინვე დაუძახებდა: - აი, შე ღვთის ქურდოვო.

3. ძალიან კარგი კილოს სახარების მკითხველი ყოფილა გარასი და ქართლ-კახეთიდან ბევრი სამღვდლოება დაიარებოდა მასთან მონასტერში, რომ სახარების კითხვა ესწავლათ მისგან. გარასის მეორე ოთახი პქონდა კოშკის ქვეშ, სადაც მალლა სართულში მონასტრის ბიბლიოთეკა იმყოფებოდა, რომელიც დღესაც ისევე არის. ეს ოთახი თალ-გადაყვანილი იყო და გალესილი გაჯით, რომელიც ხმას აძლევდა კითხვის დროს და აი, ამ ოთახში ასწავლიდა სახარების კითხვას ყველას.

4. საშინლად ეჯავრებოდა ქვრივი ღვდლების ბერობა. მაგათ ჯერ სოფელი მოჭამეს და ახლა მონასტრები უნდათ შეჭამონო. თუ ვინმე ნამღვდლარი იყო ბერად ნაკერაგალს ეძახდა. ერთხელ ერთმა ქართლელმა ღვდელმა ითხოვა ეგზარხოსთან ბერობა, ეგზარხოსმა გარასი არქიმანდრიტი რევიზიაზედ გაგზავნა ქართლში და სხვათა შორის უთხრა, რომ ესა და ეს ღვდელი ბერობას მთხოვს და აბა მოელაპარაკეო. გარასი როდესაც მივიდა იმ ღვდლის ეკლესიაში და გაათავა რევიზია და გამოვიდნენ გარეთ, წააველო საყელოში ხელი მიანჯღრ-მოანჯღრია და შეუტია: - შენა თხოულობ ბერობას შე ნაკერაგალოვო? ის იყო და ის, იმ ღვდელს ბერობა აღარ გაუხსენებია.

5. საშინლად ეჯავრებოდა ჯილდოების გაკეთება და გარება. დღეობა დღეს 15 აგვისტოს შეეხვეწებოდნენ ხოლმე ბერები, რომ გაიკეთეთ ესლა მაინც რა არისო და ძლივს წუწუნით და ჯავრობით გაიკეთებდა და იგყოფდა: - აბა რა არის, ეს ჯილდოები ხომ ლურსმანზეც ისე ჰკიდია,

როგორც ჩემველო.

6. დიდი დღეობა იყო ქვათახევეში 15 მარიაამობას, ღვთის-მშობლის მიძინება. ამ დღეობას მრავალი ხალხი იკრიფებოდა და დროს გარეშა პქონდათ ხოლმე, მხოლოდ არავის ნებას არ აძლევდა გარასი, რომ გაღავანში საკლავი დაეკლათ და ექეიფათ. ერთხელ თარხნიშვილებს რომ გაღავკრათ, მერე ზურნით შესულიყვნენ გაღავანში უნდა ეკლესიას გარს შემოეუაროთო. გარასიმ რომ ნახა ეს, მაშინვე აილო ჯოხი, გამოუვარდა და ჯოხით სცემა ამ მოქეიფეთ, გამორეკა გარეთ და მეზურნეებს ზურნა-დაფი წაართო და შეიგანა სახლში. რომ გაიგეს ეს მათმა დედებმა და ცოლებმა მივიდნენ გარასისთან მოწიწებით და დიდი ბოდიში მოიხადეს – თქენი ჭირიმეთ მამაო არქიმანდრიგო, თერალები ყოფილან ჩენი ყმაწვილები და უნდა აპაგიოთო. გარასის გაუცინია და ირონიულად უთქომს: – განა თქვენები იყენენ ისინიო? – მე მეძინა და ძილში ზურნის ხმა რომ შემომესმა წამოვხგი მაშინვე და ვთქვი ის წყეული ლანგ თემური შემოსულა კიდევ-მეთქი, გავვარდი ჯოხით და დაუშინევიო. აილო და მისცა ზურნა და დალაბანდი.

7. როდესაც ს. კავთისხევეში, ან წინარეხში გაივლიდა გარასი დედა-კაცები, ქალები დაინახავდნენ მომავალს, ბატონი მობრძანდებო და მაშინვე შინ შეცვივდებოდნენ, იმალებოდნენ ისე ეშინოდათ და ერიდებოდათ.

8. ერთხელ სინოდიდან მოუვიდა თბილისის სინოდარულ კანგორას მოწერილობა, სადაც იწერებოდნენ, რომ რათ გინდათ მაგდენი მონასტრები, ბერები კი არა გყავთ, თითოში ორი-სამი არის, აილეთ და ყველა ერთ მონასტერში მოაქციეთ და დანარჩენი მონასტრები დაკეკეთო. ამაზე კანგორის ქართველი წვერები შეფიქრიანდნენ, რადგან არ უნდოდათ ჩვენი ძველი ისტორიული მონასტრები და ნაშთები გაუქმებულყვნენ და დანგრეულიყვნენ, მაგრამ არ იცოდნენ რა ეპასუხათ სინოდისათვის. ამაზე გარასიმ უთხრა მათ: – რამ შეგაფიქრიანათ მე მივცემ მაგის პასუხსაო და დაწერა შემდეგი: – „მონასტრების დაკეგვაზე თქვენ რათ იწუხებთ თავს ერთი ათიოდ წელიწადი მოიცადეთ და თავის თავად დაიკეგებთ მონასტრებიო“. მოაწერეს ყველა წვერებმა ხელი ამ ქალაღს და გაუგზავნეს სინოდს და მას შემდეგ ხმა აღარ ამოულიათ.

9. ერთხელ გარასის ქვათახევეში ესგუმრა თბილისიდან თავისი რძალი იმ განზრახვით, რომ მთელი ზაფხული იქ დარჩებოდა სააგარაკოთ. სამი დღე შეინახა და მიიღო, როგორც წესი იყო მონასტრისა და მეოთხე დღეს გამოუცხადა გარასიმ: – „აბა ჩემო რძალო, სამი დღის შენახვის მეგის ნება არ არის მონასტერში სგუმრისა და ეხლა კი უნდა წაბრძანდეთ და პოლიციის ძალა არ მახმარებინოვო“ და გაისტუმრა მონასტრიდგან.

10. როდესაც ღარიის მონასტერში ცხოვრობდა გარასი ერთხელ ერთი კურს დამთავრებული ქართველი სემინარიელი გაუგზავნა გარასის ეგზარხოსმა და სწერდა, რომ ამას ქართულად ეგზამენია დააჭერინეთ, უნდა ღვლათ ვაკურთხოვო. გარასიმ ამ სემინარიელს ხან რა პკითხა, ხან რა ქართულად, მაგრამ ვერაფერმედ პასუხი ვერ მიუგო. აილო გარასიმ და იმაე ეგზარხოსის მოწერილობამედ დააწერა: – „რა მივიქარებიათ ამისთვის, რასა სთხოვით?“ ე. ი. ქართულს კი არ ასწავლით სემინარიაში და რა უნდა იცოდესო და გააგანა ეგზარხოსთან იმაე სემინარიელს ეს მიწერილობა.

11. ერთხელ იმერეთიდან ორი იმერელი მოსულიყო გარასისთან ღარიაში, რომლებიც ეკლესიის ასაშენებლათ ფულს თხოულობდნენ და თან პეგრე-პავლეს ხაგი დაქჷონდათ. გარასიმ გამოართო ხაგი, შეიგანა შინ, ღაალო დანა და სიგრძემედ შუაზე გააპო, გამოიგანა და ერთი ერთს მისცა და მეორე მეორეს და უთხრა: რაზედ სცდებით ორივე, აი, ერთი ერთმა აგარეთ, მეორე მეორემ და ისე ითხოვეთო და შებრუნდა შინ. სახგათ დარჩნენ იმერლები და გულნაწყენნი გამობრუნდნენ.

12. ბატონიშვილებმა და თავადანაურობამ შეთქმულება რომ მოაწყეს თბილისში (არ ვიცი კი რომელ წელში)¹, რომ მეფე უნდა აერჩიათ ქართველი. მაშინ გარასი და ერთიც შუამთის მონასტრის ღვღელ-მონაზონი ფილაღელუოს (კიკნაძე) რეულიყენენ ამ საქმეში და გარასის კათოლიკობად უპირებდნენ არჩევას. ეს ამბავი რომ გაიგო რუსის მთავრობამ ყველა დაიჭირეს მეთაურები და სხვათა შორის გარასი და ფილაღელუოსიც დაიჭირეს და მეგების ციხეში დააპყვედიეს. ერთ ოთახში გარასი იჯდა, მეორეში ფილაღელუოსი. აი, აქ ვახერხგეს ჩუმაღ კეღელი და ერთმანეთს აგებინებდნენ თუ როგორ მოქყეულიყენენ და რა უნდა ელაპარაკათ გამოძიების ღროს.

13. გარასის ძალიან უჯავრებოდა თავისი ფოგოგრაფიული სურათის გაღაღება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრნი სთხოვდნენ, სურათს მაინც არ იღებდა. ერთხელ მისმა ძმისწულმა იაკინთე ალექსი-მესხიშვილმა თავის ოჯახში მოიყვანა ფოგოგრაფი იმ ღროს, როცა გარასი მასთან სგუმრად იყო და ჩუმათ გადააღებინა მისი სურათი. ამ სურათიდან მასწავლებელმა გ. ფარაღაშვილმა გაღილო კარანღაშით ქვათახევის მონასტერში და ეს სურათი ღღეს ეთნოგრაფიულ საზოგადოების მუშეუშში ინახება თბილისში.

14. გარასი რაც წერილებს სწერდა და ან ანგარიშებს ქვათახევის მონასტრის შენების ღროს იოანე თარხნიშვილს, ეს წერილები ერთ ყღაში გაეკეთებინა იოანეს და ღაქით დაბეჭდილი კონვერგით გამოეგზავნა

¹ რეულის მინღორმე შენიშვნა – 1832 წ. გ. ღ. (ვიორგი ღეღონიძე).

გარასისათვის ზედ წარწერით: – „მანამ მე არ მოვიდე ეს კონვერტი არ გახსნაო“. მართლაც ინახამდა ამ კონვერტს და როდესაც მოახვეწეს იოანეს გვამი, მაშინ გახსნა კონვერტი და თავისი მინაწერი წერილები და ანგარიშები კი აღმოჩნდა ყდაში გაკეთებული. ბევრი იგონა გარასიმ და იმავე კონვერტზე წააწერა: – „მე ძვირფასი რამ მეგონა მონასტრისათვის და ძალიან უბრთხილდებოდიო და, როდესაც გავხსენი და ჩემი წერილები აღმოჩნდა, ხელახლა განმიახლდა მწუხარება და აჯაო“.

15. ეგზარხოსი ისიდორე, როდესაც მიტროპოლიტად გადაიყვანეს პეტერბურგში, თბილისის სამღვდელოებამ წასვლის დროს სადილი გაუმართა მცხეთაში, მარიამობის მარხვა იყო. ეგზარხოსის ნებართვით თევზიე ქონდათ სადილზე. როდესაც ბლუდით ჩამოარიგეს თევზი, გარასი არქიმანდრიტსაც მიართევს, მაშინ გარასიმ უთხრა: – ეს რა არის, მარხვა არ არისო? – ეგზარხოსმა გაახსნილაო, უპასუხეს. – წადით, დაიკარგეთ თქვე ასეთ ისეთებოვო – დაუწყო ჯავრობა. ღირსმა მამებმა დაადგინეს მარხვა და „პიანიცა“ რუსმა გაახსნილაო?!

16. გარასი არქიმანდრიტი წვერი იყო სინოდალურ კანტორისა და ცხოვრობდა თბილისის ღარიის მონასტერში. თუ ვინმე რაიმეს ძღვნად მიართმევდა გარასის ჩაის, შაქარს, თევზს ან სხვა რამეს, მაშინვე კაცს დაიბარებდა ცხენით ქვათახევიდან, ჩაუწყობდა ყველაფერს ხურჯინში და გააგანდა. მე აქ რათ მინდა, იქ ბერები მშვივრები მეხოცებიანო. გარასიმ ბოლოს თავი დაანება კანტორის წვერობას, რადგან ბევრი რამ აკლდა კიდევ მონასტერს გასაკეთებელი და სამუდამოდ გადასახლდა ქვათახევი და დაბინავდა იქ. არა ცხრებოდა თურმე მისი ხელი და ეს მოხუცებული კაცი დაულალავად მუშაობდა. გააკეთებინა ერთი პაგარა ხელის ურემი, შაებმებოდა შიგ და ხევიდან ქვიშას და ქვას ეზიდებოდა შენობებისათვის და ისე აკეთებდა და უმატებდა შენობებს.

17. გარასი არქიმანდრიტს სიცოცხლითვე ქონია თავისთვის ნაყიდი კუბო, რომელიც თავის სახლში ედგა და საფლავის ქვა. აი წარწერაც, რომელიც სდომებია საფლავის ქვამედ დასაწერად, მაგრამ ეს აღარ დაუწერიათ იმის სიკვდილის შემდგომ: „შეიწყალე უფალო სული აქა მღებარისა მონისა შენისა არქიმანდრიტის გარასისა, მიზეზი გაუქმებულისა ამის მონასტრის აღდგინებისა და განახლებისა შინათ და გარეგნით, რომელი იყო ძე ანჩისხაგის ეკლესიის დეკანოზის სოლომონისა, მესხის ალექსისშვილისა, შობილი 1793 წელში, აპრილის 21-ს აღსრულებული 1871-სა თვე და რიცხვი“.

ბევრი იწვალა არქიმანდრიტმა გარასიმ, ბევრი იშრომა და დიდი ამაგი და ღვაწლი დასდო ქვათახევის მონასტერს და 81 წლის მოხუცი 1874 წელს მაისის 2-ს გარდაიცვალა და საუკუნოდ განისვენა. წინა დღით

საღამოს ლოცვაზედ იყენენ, როგორც გარასი, ისე ყველა ბერები. ლოცვის შემდგომ ეკლესიიდგან რომ გამოვიდნენ, შეაჩერა ყველანი დასავლეთის კარებში და უთხრა: — მამებო, ანდერძი კაცს არ მოჰკლამს, მაგრამ უსიკვდილონი კი არა ვართ და მე რომ მოვკვდე აი, ამ კარებში დამასაფლავეთ, მეც ცოგაოდენი ამაგი მაქვს ამ მონასტერზედო. აკრძალულია საფლავის გაჭრა, რადგან აქ მრავალი ბერებია დამწვარი სარწმუნოების გულისათვის და წმიდათ არის შერაცხილი ჩვენი ეკლესიიდგან, რომელთა სისხლი და ქონი დღესაც მოსჩანს იაგაკმედ და აი, ამ კარებში კი აყრილია იაგაკი და ჩემი საფლავი მათ არ შეეხებაო (მართლაც იმ ადგილას შესავალ კარებში აყრილი არის იაგაკი და კირით არის გაღუსილი). საღამოს ლოცვის დროს ეს უთხრა ბერებს, იმ ღამეს კი გათენებისას გარდაიცვალა. ხაზინადარმა მღვდელ-მონაზონმა ნიკონ ჯობინაშვილმა მაშინათვე აცნობა სინოდალურ კანტორას მისი გარდაცვალება. კანტორამ გაგზავნა მონასტერში დასასაფლავებლად მაკარი არქიმანდრიტი ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარი. მან რასაკვირველია დაასაფლავა, მაგრამ იქ კი არა, სადაც გარასის პქონდა ნათქოში, არამედ იოანე თარხნიშვილის გასწვრივ, მარცხნივ ეკლესიისა და კედელს შუა. დიდი მოამაგე კაცი იყო და როგორც იოანეს, ამასაც ეკუთვნისო, ეთქვა მაკარის. როდესაც ქვა დაადეს საფლავისა და ძეგლი გაუკეთეს მარმარილოს ფიერისა, ამაზედაც არქიმანდრიტ მაკარის დაუწერიანებია მარმარილოს ფიქარზედ ასე: — „მოისხენე უფალო მონა შენი არქიმანდრიტი გარასი. ამან დაუცხრომელმან მშრომელმან ცნობილმან მაღლითა მონოზონებითა მოღვაწეობითა, მკაცრითა მნეობითა და კრძალულებითა განვლო რა მონოზონებასა შინა 66 წელი. განისვენა 1874 წ. მაისის 2-ს შობითგან 81-ის წლისამან. დიდ შევნიერი განახლება ქვათახევის მონასტრისა შინაგანი მომართულობა მისი და სიმრავლე გარემო მისსა მოუცილებულთა ახალთა შენობითა არს ნაყოფი გარასის წინამძღვრობისა მას მონასტერსა შინა 1854—1874 წ.“

ხოლო საფლავის ქვაზედ წარწერა: „ლოდი ესე ფარავს მგვერსა არხიმანდრიტის გარასისა რომელი გარდაიცვალა ჩყოდ-სა წელსა მაისის ბ-სა დღესა მექონე შობითგან პა-ის წლისა“.

მისი სიკვდილის შემდგომ, მის სახლში აღმოჩნდა ერთი კონვერტი ლუქით დაბეჭდილი, რომელზედაც პქონდა წარწერა: — „არავინ მარგოკამ არ ინებოს ამ კონვერტის გახსნა, არამედ კრებულმა ერთად გახსნან“. როდესაც გახსნეს ეს კონვერტი, შიგ აღმოჩნდა ფული, რომელსაც თვითონვე უნაწილებდა, ვის რამდენი მისცემოდა თავის მოსახსენებლად წირვა-ლოცვაში.

„აჭარის შვილების მამა“

ზაქარია ჭიჭინაძე – ფესვმაგარი ქართველი, ცოცხალი არქივი, ამაგდარი, დაულალავი ფუტკარი, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, სახალხო მასწავლებელი... და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი ეპითეგით შეამკეს ეს ღვაწლმოსილი კაცი.

ლადო ბგვანელი¹ აღნიშნავდა: „ზაქარიამ დაივიწყა თავისი პირადი ბედნიერება, უარყო თავისი პატივისცემა, არ უძებნია ცოლ-შვილი, ოჯახი, არც ჩაყმა-დახურვა, არც ხეირიანი ჭამა-სმა, ყოველივე ანაცვალა სამამულისმილო და საქვეყნო საქმეს“. დღეს, მისი მამულიშვილური საქმეების ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანდა, გვინდა შევჩერდეთ იმ ფასდაუდებელ ამაგზე რაც მან სამაჰმადიანო საქართველოში – აჭარაში გასწია. იმ დროს გმირობის გოლფასი გახლდათ თურქებისაგან გათელილ „აჭარისგანში“ ჩასვლა, ქართული წიგნის ჩატანა და მოწოდება იმისა, რომ გზაბნეული ძმები დაბრუნებოდნენ „ოჯახს“. ზაქარია ჭიჭინაძე დადიოდა კარდაკარ, ეძებდა მიზეზს აჭარის გათურქებისა, იწერდა საქართველოსათვის თავდადებული თუ მოღალატე მაჰმადიანების სიას, ლოცულობდა ჯამეში და ასე აყვარებდა მათ საქართველოს და ქართულ ენას. მას ქართველ მაჰმადიანთა შესახებ მრავალი წიგნი აქვს დაწერილი. „ეს წიგნები არამც თუ მარტოდ ქართველ მაჰმადიანთათვის არის საჭირო, არამედ თვით ჩვენთვისაც, ვინაიდან მათ შესახებ ჩვენც ბევრი არაფერი ვიცით“ – ზაქარია ჭიჭინაძის ეს ფრაზა დღესაც აქტუალურია, რადგანაც ისევე ვხვდებით საზოგადოებაში ხალხს, რომელთაც არ იციან, რაგომ მაჰმადიანდნენ აჭარლები, რა გადაიგანეს დედა-სამშობლოს მოწყვეტილებმა, რა ღონეს მიმართა იმდროინდელი „აჭარისგანისა“ და „საქართველოს“ ინგელიგენციამ აჭარის შემოერთებისათვის, როგორ შეინარჩუნეს მათ ქართული ენა?.. და ბევრი სხვა, რაზეც წერას დღეს ვრიდებიან, მავანნი და მავანნი არ გაგვინაწყენდნენო. ერთი კი ავიწყდებათ, ესაა ძირძველი ქართული მიწა, სადაც პირველად ფეხი შემოდგეს წმინდა მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ (რომლის საფლავი გონიოშია).

გთავაზობთ ნაწყვეტებს, წერილებსა და შენიშვნებს ლიგერატურის მუზეუმში დაცული ზაქარია ჭიჭინაძის არქივიდან, რათა კიდევ ერთხელ დაერწმუნდეთ, რომ სამშობლოს სიყვარული მარტო ლიგონი სიგყვები არ არის, რომ „საქმემან შენმან გამოგაჩინონ შენ!“

ნატო სვიდიშვილი

¹ ლადო ბგვანელი – ვლადიმერ ნაყელიშვილი (1871–1953) – პოეტი, პროზაიკოსი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.



ზაქარია ქიქინაძე და აკაკი წერეთელი
სლმ №9368-ი

აჭარელმა ქართველ მაჰმადიანმა დაკარგა თავის ენა; ეს ენა არავითარის შემთხვევით არ დაიკარგებოდა, რომ მუსლიმანთა სასულიერო წოდებას უკუღმართობა არ დაეწყო; ქართულ ენას მისცეს ისეთი მძლავრი ხასიათი, რომ იგი დაუკავშირეს ისლამის არსებობას.

ამისთანა შხამით იგინი კიდეც ხალხს ეუბნებოდნენ, რაც გინდა გაჭირვებაში ჩავარდეთ, რაც გინდა დიდი წვალება დაგადგეთ თქვენ, არაფერ სამართალში, არაფერ შემთხვევაში ქართულს ენაზე ხმა არ უნდა ამოიღოთ. მთავრობის წინაშე თუ გაგიჭირდებათ საქმე, მაშინ კი ამოიღეთ ხმა ქართულს ენაზედ და სთქვეით მარგო ასი სიგყვა. ამის შემდეგ გაჩუმდით და ნურაფერ პასუხს ნუ მისცემთ, როგორც უნდათ ისე გაათავონ თქვენი საქმე. თქვენ ამით ჭკუას არ წააგებთ, თქვენ ამისათვის მაჰმადი და ისლამი დაგეხმარებათ და მურგალი ქართული ენის ხმარებით სულს მაინც არ წაიწყებდით.

ისევ და ისევ ქართველ მაჰმადიანთა დედაკაცობა გამოჩნდა და ხმა აღიმალდა: ესენი გაუხდნენ წინააღმდეგნი ნამეგურ ქართული ენის ძრახვას და მის ცრუმორწმუნეობით მოსპობას.

სადაც საჭირო იყო იქ ლაპარაკსაც ახერხებდნენ, მაგ: როსტომ ფაშას

მეუღლე – მარიამი შეიხულ ისლამის და ხაფიზების წინაშე გამოესარჩლა ქართულ ენას: „ქართული ენის დაღვიწყება ჩვენში რათ არის საჭირო? რას ნიშნავს და რას მოასწავებს ქართული ენის დაღვიწყება, ისლამისთვის რად არის საჭირო ქართული ენის დაღვიწყება?!“ როსტომ ფაშას მეუღლე მარიამის ამ ქადაგებას ქართველ მუსლიმანთა სხვა დედაკაცებიც მიემხრნენ და ამიგომაც იყო, რომ აჭარაში ოსმალეთის ველურმა მქადაგებლებმა ბუმიც ვერ აუფრინეს, თუმცა ოსმალეთის მთავრობა ამისათვის მედგრათ იბრძოდა, უმეცარი ხოჯები და მოღვინე ვერაფერს აწყობდნენ, რადგან ამათ უბედურების წინააღმდეგნი იყვნენ ქართველ მაჰმადიანთა დედაკაცები როსტომ ფაშას მეუღლე მარიამითურთ!

დღეს თუ არსებობს აჭარაში ქართული ენა და აჭარლები მშობლიური ენის ხსოვნით სუნთქავენ, ეს არის ქართველი მაჰმადიანთა ქალების ღვაწლი, შრომა და ამაგი.

თუ არა ეს გონიერება, უამისოთ აჭარაშიც ისე ამოვარდებოდა ქართული ენის ხსოვნა, როგორც ამოვარდა ბევრს ადგილებში; ეს უნდა იყო დღეს ქართველ მაჰმადიანთა ახალგაზრდობამ, რომ მათი დედები არიან დაჯილდოებულნი დიდის ღირსებით და ამაგი.

მათ დაიცვეს და შეინახეს ქართული ენა აჭარაში. მათ განავრცეს ოთხსავე კუთხით ცნობები, რომ ქართული ენა არაფერს უშლის ისლამს, ამიგომ ამის დაღვიწყებაც ჩვენთვის არ არის საჭირო;

* * *

დღეს ქართველი მაჰმადიანები აღარ არიან ის, რაც იგინი წინეთ იყვნენ და შემდეგ დროში ისინი აღარც ის იქნებიან, რაც დღეს არიან იგინი. ყოველივე წარმატებას მიეყება მათი ცხოვრების პირობები, თუ ესენი ამას შეინარჩუნებენ და ამით წაველენ წინ, მაშინ მათი ცხოვრებაც ერთი ასად დაწინაურდება და წავა წინ.

ბათუმი პარიჯი გახდება, ქედა – ლიონი და ხულო – მარსელი.

მთელი აჭარა გავეროპელდება და ხალხიც გახდება დიდი განათლების მოტრფიალე და კულტურული ცხოვრების მაძიებელი.

...მათ ასეთ წარმატებას ვერაფერი შეაჩერებს, ვერც შინაური მტერი, ვერც გარეული, რადგანაც აჭარლები არიან გმირი კაცები, საღი მეომრები და თავისი მშობლიური ქვეყნის დიდი მოტრფიალენი, მხოლოდ ერთი რამ უნდა შეინარჩუნონ აჭარლებმა: თავიანთი ცხოვრებაში რომ მათ არაფერი ხიფათი მოელოდეთ, ეს დავალება გახლავთ აი რა: აჭარლები არიან თავმომწონე აჭარელი გმირები, ამ გმირობით უნდა იყვნენ იგინი ყოველთვის დარაბმულები. თავიანთი ცხოვრებას მისცენ ისეთი მასალა, რომ აჭარის ისტორია შეიმოსოს ბრწყინვალე შუქით.

ოსმალეთის მოსახლეობამ რა ასწავლა ქართველ მაჰმადიანებს და ქართველ ხალხს?

ოსმალეთის მონარქიამ დასცა და დაამდაბლა ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება... ქართველ მაჰმადიანებში შემოჰყავდათ ისლამის სასულიერო პირები, მოლები, ხოჯები, ხაფიზნი და ამათის მოქმედებით დაიწყეს ქართველ მაჰმადიანებში ბოროტების თესვა და მისი გამვრცელება.

ქართველ მაჰმადიანებს ასწავლეს შემდეგი:

კაცის კვლა მხოლოდ ქართველი გიაურის, უმეტესად მათი და არა თათრის.


ძარცვა-გლეჯა, დაცემა და სხვაეც ასეთნიც, მაგრამ ესეც მათ გარჩევით, ძარცვა-გლეჯა, აკლება ქართველ გიაურების, ურჯულოსა და არა მუსულმანების, დაბრიყვება, შარის მოღება, სრულიად გაღატაკება და გაძარცვა ისე, რომ გასძარცვოს, სახლში აღარაფერი შეარჩინოს. ყველაფერი უნდა წაართონ, თუ ამას ვერ მოახერხებთ, მაშინ მათ წინააღმდეგ ხმალი და ხანჯალიც იხმარეთ და მოკალით გიაურ-გურჯი თუ წინააღმდეგი იქნება ის თქვენი.

გიაურ-გურჯი ქართველი არაფერ შემთხვევაში არ უნდა დაზოგოთ, ყველასფერი გადასახადები მათ უნდა დააკისროთ, მათ უნდა გადაიხადონ ყველასფერი თქვენი საჭირო გადასახადები. თქვენ მათ პირში სული არ უნდა შეარჩინოთ, რაც კი თქვენ რამე მოგინდებათ, ის თქვენი საჭირო მათ ექნებათ, თქვენ უნდა წაართოთ, თუ თავის ნებით არ მოგცემენ, მაშინ თქვენ ძალა უნდა იხმაროთ და წაართვათ მათ.

თქვენ რაც არ უნდა ნახოთ იმათ ტანზედ, ფეხზედ ან სახლში მოწყობილობა – ლოგინი, ჭურჭელი და ან სხვა ამგვარები, ოჯახში სახმარებელნი, რაც კი თქვენს თვალს მოეწონება, აღებათ ის თქვენ არ გექნებათ, ამიგომ ყველა ისინი თქვენ უნდა წაართვათ მათ და ჩამოართვათ, მათ ამის უარი არ უნდა ათქმევინოთ. თქვენ ამის უფლება გაქვსთ, რადგანაც იგინი გიაურები არიან და ისინი ვალდებულნი არიან, რომ ყველაფერი რაც თქვენს თვალს მოეწონება, ის თქვენ უარის უთქმელად უნდა მოგცენ.

უნდა იცოდეთ, რომ ასეთ რამეებს გარდა თქვენს საკუთრებას შეადგენს მათი ყველასფერი შეძლების უძრავი და მოძრავი ქონება, რაც კი თქვენი მოსაწონი მათ ექნებათ რამე, მაგალითებრ სახლი, კარი, სახლის ავეჯი და სხვაეც ბევრი ესენი, ყველა იგინი უთქმელად თქვენი იყოს, ყველა იგინი მათ თქვენ უნდა მოგცენ ულაპარაკოდ.

თქვენ შეგიძლიანთ თავიანთ ოთახილამ გამოორეკოთ, მათს ოთახში



მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: სოსიკო მერკვილაძე, ივანე როსტომაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, კონია თავართქილაძე და სპირიდონ ჭელიძე
დგანან: იოსებ იმედაშვილი, მიხა გაჩეჩილაძე, ისიდორე კვიციანიძე და ვასო გადელია სლმ №985-დ

თქვენ დადგეთ, მათ ლოგინში თქვენ ჩაწვეთ და იცხოვროთ, ამის უფლება გაქვთ თქვენ, რადგანაც თქვენ თათრები ხართ და ისინი კი ბინძური, მურგალი გურჯები არიან. თუ ისინი ამის წინააღმდეგნი ვახდებიან, მაშინ თქვენ შეგიძლიათ მათზე ძალა იხმაროთ, იგინი დასაჯოთ და დახოცოთ კიდეც.

თვით გაიურელის ქორწილი, რომ იქნება, მაშინაც კი, რომ მიხვიდეთ მათ ქორწილში და იქ რაც უნდა ჰამოთ, ქორწილის ნივთები ნახოთ: ქალის მშითები, მათი განსაცემელი, სხვა რამ საქონელი როგორც ვერცხლის, ასევე ოქროსი და ფარჩეული, ყოველისფერი, თქვენ თუ არა გექნებათ იგი, ამიგომ ყოველივე ისინი თქვენ წაართვით მათ, ან ერთი დღე აკადეთ და მეორე დღეს კი მათ ყველა ესენი ბოხჩებში უნდა ჩაალაგონ და თქვენ უნდა მოგყენ, მათვე უნდა მოიგანონ თქვენს ბინამედ, ამის უფლება გაქვთ თქვენა, რადგან თქვენ მუსულმანები ხართ და იგინი კი გაიურები.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ასეთ ნივთებს გარდა თვით მათი შეილებიც კი თქვენთვის უნდა იყვნენ მზათ, რომ საცა იგინი თქვენ მოგინდებათ,

მაშინვე წამოიყვანოთ, თქვენ იხმაროთ, თვით პაგარძალიც შეგიძლიანთ წამოიყვანოთ, გაიურებს ამის უარის თქმის ნება არ აქვთ და არც თქვენ უნდა მისცეთ მათ უარის თქმის ნება.

თქვენ შეგიძლიანთ პაგარძალსა და ნუფესაც განზე გახადოთ ყველასფერი ახალი განსაცემელი და თქვენ წაილოთ და მათ თქვენი ძველები ჩააცვათ, ამის უფლება გაქვთ თქვენა. იმათ ხმა არ უნდა ამოიღონ, თქვენ შეგიძლიათ თვით მათ პაგარძალიც გამოართვათ და წაიყვანოთ თქვენთვის, მათ ამის შესახებ ხმის ამოღების ნებაც და უფლებაც არ უნდა მისცეთ, თუ გაძალიანდებიან, მაშინ პაგარძლის ქმარიც შეიძლება თან გამოაყოლოთ და ისიც წაიყვანოთ, რომ იგიც თან იყოს პაგარძალითან ერთად. ესენი შეგიძლიათ შეინახოთ თქვენთან, რამდენი ხანიც გესურვებათ, როცა აღარ იქნებიან თქვენთვის საჭირონი, მაშინ შეგიძლიანთ იგინი გაუშვათ.

იგინი ვალდებულნი არიან, რომ თავიანთი ახალი განისამოსი თქვენ დაგიგოვონ და თქვენი ძველები მათ ჩაიციონ, თქვენის ძველის განისამოსით წავიდნენ, ამისათვის მათ მაღლობა უნდა მოგისადონ, რომ თქვენ იმათ ცოცხლებს გაუშვებთ სახლში. ამის უმაღურობის უფლება მათ არა აქვს, ამისი ჩვეულება თქვენ დიდის სისასტიკით უნდა დაიცვათ.

გაიურს ქართველს, რომ უნახოთ თუ მას ჰყავს ორი ძროხა, ორი ცხვარი, ასევე თხა, ცხენი, ვირი, ასევე სხვა, თქვენ უნდა მათ წაართვათ ყველასფერი და მათ უნდა დაუგოვოთ თითო, მეგი არა. ამის უფლება გაქვს თქვენა, იმიგომ რომ თქვენ მუსულმანები ხართ და ისინი გაიური ქართველები არიან, თქვენ მათი არასდროს არ უნდა გეშინოდეთ, ამისათვის თქვენ უნდა იყოთ მათი მბრძანებელნი და იგინი კი უნდა იყვნენ თქვენი ბრძანების აღმსრულებელნი, უნდა იცოდეთ, რომ თქვენ ამის უფლება გაქვს, ამის ნებას თქვენი სჯულიც გაძლევთ თქვენ, ამის უარის თქმა კი გაიურს ქართველებს არ შეუძლიანთ, მათ ამის ნება და უფლება არა აქვთ.

თქვენ უნდა იცოდეთ კარგად, რომ თქვენი ბედნიერება და ნებისყოფა არის დაუსრულებელის წესის და თავისუფლების, თქვენს უფლებას და ნებას სამღვარი არა აქვს. ამიგომაც ვალდებულნი ხართ თქვენ, რომ ამ თქვენის უფლების მომცემნი მუსულმანური სჯულის წესებიც თქვენ უნდა დაიცვათ დიდის სიფრთხილით და სიწმინდით, თქვენ, მუსულმანები სარგებლობთ ისეთის უფლებით, რისაც სხვა სჯულის ხალხი დაინგერესებულნი არიან...

1889 წ. აგვისტო

ისკარ ხოჯა არგანუჯელი, სტამბოლში გაზრდილი, გადაგვარებული, ანუ გათათრებული, მაგრამ იმავე დროს, იგი იყო გონიერი ხოჯა, შეგნება ჰქონდა იმის, რომ იგი გომით ქართველი იყო და გული სტკიოდა მასმედ, რომ სტამბოლში, თურქების ზეგავლენით, რათ დამავეიწყეს ჩემი დედა ენა ქართულიო? ქართულმა ენამ ისლამს რა დაუშავა და რა ავნო, რომ ოსმალის მთავრობა ასე სდევნის ამ ენასო?

ეს ხოჯა საქართველოში ჩამოვიდა იმ დროს, როცა ქართველ მაჰმადიანთ შილილობა იყო, აყრა და ოსმალში გადასახლება, მართალია ისკარ ხოჯა ქართველ მაჰმადიანებს ჯამეში ქართული ენით არ ესაუბრებოდა, რაზედაც მას გული დიდათ სწყდებოდა, ხოლო ოსმალეების ენით კი მაინც არ აკლებდა ლაპარაკს და ხალხს ხმამაღლა ელაპარაკებოდა და აფრთხილებდა, რომ თქვენი ქვეყნიდამ ნუ იყრებით, ოსმალში ნუ მიდიხართ, თორემ ბოლოს ინანებთო. ამისი ქადაგება ბევრს აფიქრებდა და ესეც ამიგომ გადასახლებაზედ ფიქრებს აღარ ეძლეოდა.

შაეშეთიდან თუ სულ არ აიყარა ხალხი და არ წავიდა მუჰაჯირათ ოსმალეთში, ეს სულ ამისი მეცადინეობა იყო და შრომა, ამის გულისთვის მას თურმე თვით ოსმალეთის მთავრობაც არ უყურებდა კარგათ და შეუგნებელ ხოჯებსა და მოღვებსაც სძულდათ თურმე ეს პაგიოსანი ხოჯა. ეს ხოჯა თავის მშობელ ქვეყანაში კარგა ხანს დარჩა 1882–1907 წ. ხოლო უკანასკნელ 1907 წ. შუა რიცხვებში იგი მოკლულ იქნა ვერაგულათ იქვე არგანუჯში.

ლომინ ეფენდი ხოჯა ქარცივაძე, სტამბოლში გაზრდილი და ნასწავლი, ეს ხოჯაც გადაგვარებული იყო, რადგანაც სადაც ასეთ ქართველ მაჰმადიანთ ძენი სწავლობდნენ, იქ ოსმალის მთავრობის ბრძანებით ქართული ენის ხმარება გამქრალი იყო. ეს ხოჯა სტამბოლში დიდხანს ცხოვრობდა და ყველგან ენერგიულათ ასრულებდა თავის თანამდებობას ხოჯის ასპარეზზედ. იგი იყო მახვილგონიერი ხოჯა, კარგად მოლაპარაკე და მასთანავე თურქეთშიც სახელოვანი ხოჯა.

ლომინ ეფენდი ქართველ მაჰმადიანებში ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ ჩვენ ქართველები, გურჯები ვართ და ჩვენს დედა ენას ნუ ვკარგავთო, ქართული ენა ისლამს რას უშლის და რას უშავებს, რომ ჩვენ ამ ენას გვავეიწყებენ და ჩვენ ადვილათ ვივიწყებთ.

ამიგომ ვთელი, ქართველ მუსულმანი ამ უკუღმართი წესების წინააღმდეგი უნდა გახდეს და არც ერთმა კაცმა არ უნდა მისცეს თავის თავს ნება, რომ იმან თავისი დედა ენა დაივიწყოსო. ყველა ქართველი მუსულმანი უნდა სცილობდეს, რომ ეს თავისი დედა ენა მან არასოდეს

დაივიწყოსო, თორემ ესეთი გულგრილობა ჩვენთვის დიდი სამარცხენო საქმე იქნებაო. ასეთის ქადაგებით დაბერდა ეს ხოჯა და იგი ისეთი გულშემატკივარი იყო, რომ ამ კილოთი ლაპარაკს იგი არც ქართველი ფაშების წინ ერიდებოდა.

ხოჯა ლომინ ეფენდი ბერიძე, თანამოსახელე ხოჯა ქარცივაძის, აღზრდილი სგამბოლს, კარგად მცოდნე ისლამის სწავლის, წმინდა მუსულმანი, ეს ხოჯა ყველგან და ყოველთვის თავის თავს ქართველათ სთვლიდა, თავის მრევლშიაც ამას ყველგან მოურიდებლად ლაპარაკობდა. ქართველ მაჰმადიანებსაც დიდათ აფრთხილებდა, რომ თქვენს დედა ენას ნუ ჰკარგავთ, თორემ ბოლოს საწყევლარს სახელს მიიღებთ და დიდს სინანულში შეხვალთო. ბოლოს ხანს, ანუ მოხუცებაში შესვლის დროს, სგამბოლიდამ საქართველოში დაბრუნდა, მოკლე დროის განმავლობაში მან ქართული ენა ისე კარგად გაიკვეთა, რომ ბოლოს ამ ენით დაიწყო ჯამეში ქადაგება და ლაპარაკი ქართული ენის სასარგებლოდ. გარდაიყვალა 1891 წ. თავის სოფელში, ზედა აჭარას.

მუფთი ახმედ ეფენდი სურმანიძე, გამოჩენილი მუფთი აჭარისა, დიდათ მოყვარე ქართველ მუსულმანებისა, კარგად მცოდნე ისლამის სწავლის და მასთანვე დიდათ მოყვარე თავის სამშობლო ენისა. ეს ახმედ ეფენდი ერთ დროს სგამბოლშიაც მსახურობდა, დიდს ჯამეშედ, ბოლოს საქართველოში დაბრუნდა, ქვედა აჭარაში სცხოვრობდა და ქართველ მაჰმადიანებში დიდათ მოქმედებდა, ყველგან იყო ხმახალა მოლაპარაკე და კარგი მქადაგებელი.

ჯამეში ეს ყოველთვის ქართულ ენას მქადაგებდა და „ყურანის“ სწავლის შეგნებას ქართულის ენით აუწყებდა ქართველ მაჰმადიანებს. ერთ დროს, ოსმალის ხოჯებში და მოლებში ამას დაეა აუტეხეს, რომ ჯამეში იგი ქართულ ენას ხმარობსო. ოსმალის მთაფრობამ ყურადღება მიაქცია და ეს ხოჯა სამართალში მისცეს, სასამართლოს წინ ეს ხოჯა გონიერად დაგრიალდა, კარგი სიტყვა თქვა და თავი იმართლა ასე:

– ბაგონებო, ჩვენ არც თურქები ვართ და არც ქართველები, ჩვენ ვართ გურჯები, ჩვენი ენაც არის გურჯული, ანუ ქართული, რადგანაც ჩვენმა ხალხმა თავის ენის გარდა სხვა ენა არ იცის, ამიტომ ამ ხალხს თავის სჯულის სწავლას თავის დედა ენით ვაცნობებ. მე ამისთვის მადლობა მეთქმის და არა საყვედური. საჭირო არის, რომ სხვანიც ასევე უნდა ელაპარაკებოდეს ჯამეში ქართველ მაჰმადიანებს.

სხვა მხრივაც გონიერი ხოჯა იყო ეს ახმედ ეფენდი. 1860 წლების შემდეგაც, იგი ერთხმად ბათუმის და აჭარის მუფთად იქმნა არჩეული. გარდაიყვალა 1890 წ. ქედას. ამ მუფთის დიდი შრომა და ამაგი მიუძღვის ქართველ მაჰმადიანთ გადასახლების წინააღმდეგ, ამისი შრომა იყო,

რომ აჭარიდამ ისე ცოგა გადასახლდენ ოსმალში. ამ მუფთს დიდი ნაჭერსა
ქქონდა საქრისტიანო საქართველოს ერთობასთან.

მუფთი პასან ეფენდი ვერძაძე, იყო სახელგანთქმული მუფთი, აღიზარდა საქართველოში, სწავლა მიიღო აჭარას, ამის იქით იგი არსად ყოფილა, მაგრამ გონიერებით ისეთი კაცი იყო, რომ ბოლოს იგი ერთხმად იქმნა არჩეული აჭარის და ბათუმის მუფთის ალაგმედ. მე პირადათ ვიცნობდი ამ მუფთს, ესლა მოვიყვანთ მის ნაამბობს (ცნობილია პასან ეფენდის დილით უყვარდა საქართველოზედ ლაპარაკი), ერთხელ ასეთი სიგყვა მითხრა:

– თქვენ ბაგონო ერთხელ უნდა ამობრძანდეთ ჩვენს სოფელს მენდაგს, აჭარაში და იქ, ჩვენი სოფლის ნახვით დარწმუნდებით რომ ჩვენ არც თურქები ვართ და არც ქურთები, არამედ ჩვენ ვართ ქართველები, გურჯები, ჩვენი სოფლის ვენახები სავსეა ძველებურის ჭურებით. ჩვენი დედა ენა არის ქართული და არა ოსმალური.

დიდი გონიერების კაცი იყო ეს პასან ეფენდი. ამას ბევრი მტრები ჰყავდა და მათში ბევრნი ხოჯებიც იყვნენ და მოლებიც, მაგრამ პასან ეფენდი არავის უშინდებოდა. მგერთა საგანი იყო ის, რომ მუფთი ყველგან „ქართველებს“ ამბობსო და ქართველ მაჰმადიანებსაც ქართულის ენით ელაპარაკება და ამ ენასაც იგი მფარველობას უწევსო.

მუფთს ბათუმში დიდი სახლ-კარი ჰქონდა. სახლში მდგმურებათ სულ ქართველი მუშები და ხელოსნები ჰყვანდა. ამ მუშებს და ხელოსნებს მუფთი დიდს ქომაგობას და სიკეთეს უწევდა. ვისაც ფული უჭირდა, იმას ფულს ასესხებდა, ზოგს თაედებათ უდგებოდა პოლიციამში, ზოგთ ქარხნებში უდგებოდა თაედებათ და მისი საშუალებით მუშა საქმეს შოულობდა, ბევრსაც სხვა ასეთის კეთილის საქმეებით ეხმარებოდა.

უკანასკნელ დროს, ანუ 1891 წლის შემდეგ, რაკი ბათუმშიც რევოლუციონური მოძრაობა დაიწყო, მამინ ეს მუფთი მოკლულ იქნა ვერაგულად სხვადასხვა ბოროტ პირთაგან.

ბაგონო მაქარია,

თქვენი ამრი ან განზრახვა მაჰმადიანთ ქართველთა შორის წერაკითხვის გავრცელებისა ფრიად მოსაწონია და სასარგებლო ქვეყნისათვის. არ ვიცი კი, როგორ დაგვხმართო, რომ ამ საქმეს ბოლო გამოებას ან სასურველი მიმდინარეობა მიეცეს. კერძოდ ხელისმოწერის გამართვა, რასაკვირველია, შეიძლება, თუ იკისრებს ვინმე. ჩემის ამრით, არ იქნება ურიგო, მიჰმართოთ ოფიციალურად „ქართ. შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და სთხოვოთ დახმარება. იმისი პირდაპირი

მოვალეობაა ამ საქმეში დაგეხმაროთ. დაპნიშნოს მან ერთ-ერთი თქვენი წვერი თქვენის დასაბეჭდათ დამზადებულის წიგნების გასასინჯად და თუ ამ დანიშნულმა წვერმა მოიწონა თქვენი წიგნები, ხომ კარგი – დახმარებაც გაგიწიოს და თუ არ მოიწონა, მაშინ რა გაეწყობა, ისევ თქვენ და ყველა თქვენი თანამგრძობელნი შეეცადენით საქმეს. ასი მანეთი რა ფულია, რომ მისი შოვნა გაჭირდეს. ერთს, ცოგაოდნად შეძლებიან კაცსაც კი შეუძლიან მარტომ იგვიროთოს ეგ ხარჯი.

გაზეთის მხრით, სხვა დახმარება არა შეიძლება რა, იმის გარდა რომ თქვენის წერილის შესახებ მცირეოდენი შენიშვნა დაიბეჭდოს რედაქციის სახელით და მერე ფელეტონშიაც თანაგრძობით იყოს მოხსენებული თქვენი განზრახული საქმე.

ვრ. ყიფშიძე
18. II. 1923 წ.

ბ-ნს მაქარიას!

პატივევულო ბ-ნო მაქარია, მე რომ დაგავალეთ თქვენ ჩემი მიღების შესახებ თბილისში, ნუკუბიძის შკოლაში, რაღაც მიზეზების გამო ვერ ჩამოვედი თბილისში და ველოდი პასუხს თქვენგან, მაგრამ მერმედ გვიან, ძაან გვიან გავიგე იუსუფ ცივაძისაგან პასუხი, თორემ არ დაეიზარებდი თბილისში ჩამოსვლას, რადგანაც დრო გასული იყო, მივაგოვე ჩამოსვლა და საქმე მომიხვდა სულ სხვანაირი. ამიგომაც მადლობას მოგახსენებთ პატივევულო მაქარია, როგორც მოხუც კაცმა იმდენი იმსჯელეთ ჩემთვის, სამაგიეროდ პატივისცემას გადაგიხდით რისგანაც შემეძლება, თქვენ ხართ როგორც მამა ჩემი, ისე აჭარის შვილების მამა. ამიგომაც ძაან მადლობას გიხდით, ასე რომა იქნებით დაუვიწყარი ჩემთვის, მუდმივად ჩამოსახლდით ჩემს გულში.

შორს ფრიალებს თქვენი ნათელი სახელი და აღივსება უკავებითა!
თქვენ ხართ მამულის შვილი აჭარისა!

თქვენი სახე ნათლად ფერავს და მუდმივად იქნება უვიწყარი ის, სამამულო, სამშვილისშვილო!

სახელი თქვენი ისტორიას ჩაბარდება და ოქროს კალმით აღივსება, გრძელ ფურცლებზე დაწერება!

ეს ჩემი აზრით მაქვს, ბაგონო მაქარია, დაწერილი, ვინაიდან აზრებმა მომიგაცა თქვენი მოქმედება ჩვენი პაგარა კუთხისა, თქვენ ხართ პირველი ნაბიჯი აჭარაში, რისთვის? მისთვის, რომა ბევრი რამა დაწერეთ აჭარლების და ქობულეთლების შესახებ, თქვენი ნაწერები ყველა მაქვს, მაგალითად გადასახლება და გადმოსახლება, ძველანდელი დროისი ამბები ჩვენ აჭარაზე, რომ მოქმედებით თქვენ ხართ ის გამაფხიზლებული

აჭარისა. ვინაა ისგორიის დამწერი? ეს მაქარია გახლავთ სუყველაფერს, მაქარია, არ გეყავს სხვა არავინ. უკაცრავად, მე სიჩქარეში მომივიდა ამის დაწერა. შეიძლება შეეცდომები მაქვს და შემდეგ რაღაც პაგარა მინდა მოვათავსო თქვენ შესახებ და აჭარლების, შემდეგისათვის.

მშვიდობით ბატონო მაქრო, მშვიდობით, ვწერ მემედ ხარაში, ქობულეთელი მოწაფე ბათომის გიმნაზიისა.

ჩემი აღრეხი ქ. ბათომი, ზღვის ქუჩა №26, მემედ ხარაში,

უპირველეს ყოვლისა მოკითხვას მოგახსენებთ ბ-ნო ძვირფასო, მაქარია. მე უკაცრავად ვარ თქვენთან და ბოდიშს ვითხოვ რომ ამდენი დავიგვიანე მე მემედამ და არ მოგწერეთ წერილი თქვენ. ძვირფასო მამავ მაქარო, მე უკვე დავიწყე მეცადინეობა გიმნაზიაში და საქმეს შეუდექი: ასე რომა კარგათა მაქვს საქმე. ამისთვის უმორჩილესად ვთხოვდი ბ-ნ მაქარიას რომა, თუ შეიძლება რომ, როგორც ზოგიერთი წიგნები არ მოიპოვება ქ. ბათომში და ვთხოვდი რამენაირად, რომ გაეთვალისწინებინა გარემოება და აღნიშნული ჩემი საჭიროებანი წიგნები, რომელსაც აღენიშნავ მე მაგალითად: საქ. ძველი ისტორია, საქ. ძველი მწერლობა, ასიხოლოგია, გრიღონომეგრია და კიდევ ახალი რამ წიგნები შესაფერი ისტორიული და მეცნიერული, თუ მოხერხდებოდეს, ძაან უდიდეს მადლობას მოგახსენებთ პატივცემულო მაქარია. ამისთვის მე ბედნიერათ ვთელი ჩემს თავს თქვენგან. ბ-ნო მაქარია, იმედია, რადგანაც ამდენი ჯაფა გაწიეთ ჩემთვის, ეს იქნება დაუვიწყარი ჩემს მხრივ სიცოცხლემდის და თუ შესაძლებელი იქნება ხელმეორეთ ვიმეორებთ, ბ-ნო მაქარია.

მშვიდობით მამავ მაქარია და ველით თქვენგან ჩემს თხოვნას.

*ჩემი აღრეხი ქ. ბათომი, კუმანიგარული გეზნიკუმის შკოლა,
მოწაფეს მე-III კლასის, მემედ ხარაშის
22. VIII. 23*

ღრმად პატივცემულო – ჩვენო საყვარელო და სასიქადულო მოხუცო ბატონო მაქარია!

მე ვბედავ და კიდევ გაწუხებთ თქვენ, მოხუცს, ამ ბარათით ჩემი ძმის კადრის შესახებ.

როგორც მოგახსენეთ სწავლა სწყურია, სახსარი არსად არის, ახლა თქვენგა და მოკიდებული ჩემი ძმის ბედი და როგორც შეგეფერებათ – ჩვენ სასიქადულო მოხუცს – ისე გადასჭარით.

*თქენი მოსიყვარულე და აღმრდილი
პაიდარ აბაშიძე*

ღრმად პატივცემულო და ჩვენო სასიქადულო მოხუცო მაქარია!
თანახმად თქვენი დაპირებისა ვგზავნი თქვენთან ჩემ ძმას კადირს და მე დარწმუნებული ვარ თქვენ აღზრდით მას ისე, როგორც თქვენ დიდებას შეეფერება.

*თქვენი მოსიყვარულე და პატივისმცემელი
პაიდარ აბაშიძე
25. VIII. 23 წ.*

ღ-თ პატივცემულო მაქარია,
თხოვნა აჭარელ-ქართულ-მუსულმანისა კადირ აბაშიძისა
მე ვსწავლობდი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, მეოთხე კლასიდან გამოვედი, მიზეზი გამოსვლის „ჩვენი ცხოვრების შინაური პირობები იყო“. ახლა მე ვარ 22 წლის, მინდა რომ ჩემი მოვალეობა, სწავლა განვაგრძო, ამის შეძლება მე არ მომეპოვება. ამიგომ გთხოვთ მიმართოდ სადაც ჯერ არს, და დამაყენოთ სწავლის გზაზე. იმედი მაქვს ჩემს დავალებას უყურადღებოთ არ დაგოვებთ. ჩემ ძმას პაიდარ აბაშიძეს ვგონებ იცნობთ კარგათ, როგორც სწავლის მწყურვალს, იმედი მაქვს რომ აღმომიჩენთ დახმარებას.

ბატონო მაქრო!

ჩემი სალაში. დაგიგვიანეთ გადმოგზავნა თქვენი ნაწარმის და ცნობის, მაგრამ სანამ ის ჩამოვიდოდა მე მივლინებული დავრჩი, მე ჩამოველ, ის ისევ წასულიყო, ეხლა გამოვართვი ნაწერები და გიგზავნი ამონაწერს მათ მიერ მთაველიგზე გადმოგზავნილ მიმართვისას.

ახეთია: № 688, 2. VIII. 29 წ.

საქართველოს მთაველიგს!

აჭარისგანის მთაველიგში გამოცხადდა ამხ. მაქარია ჭიჭინაძე თავისი ისტორიული ნარკვევებით აჭარისგანის შესახებ ნებართვის მისაღებათ. აჭარმთაველიგი გაცნობებთ, რომ მას არ მოეპოვება საპეციალური კომისია, რომელიც შესძლებს ისტორიულ-მეცნიერული ნაშრომების განხილვას, რაისთვის გთხოვთ ხსენებული ჭიჭინაძის ნაშრომი განხილულ იქნას თქვენთან სათანადო ნებართვის მისაღებათ.

აჭარმთაველიგის გამგე-მდივანი

ასე ჩემო ბაქარი, იმაცადინე სანამ გიჭრის კალამი და სანამ შეგძლევს
ენერგია. თქვენ შექმნილი ხართ ამისთვის და ამაში გავალეხს ჩვენი
განვითარების ისტორია და კაცობრიობის ინტერესი.

მამ იყავი კარგათ, კიდეც მრავალ წელს.

მოხიყვარულე თქვენი ვალენკა გოგიბერიძე

P. S. მოიწერეთ, მაღლობელი ვიქნები, სიამოვნებით მოვისმენ და
პასუხსაც გავცემ. მოგიკითხათ მრავალმა სიყვარულით.

ბაქარი ჩემო,

ამ წერილს და მასალას ვაგან მეგათ საყვარელ და კარგ პიროვნებას,
თქვენი გაცნობა უნდა და ეხლა შეეძინა ვაჟიშვილი, რომელსაც შენით,
მხოლოდ შენი მიზეზის გამო თუ ეწოდა შენი სახელი.

გყავს მრავალი, შენც რომ არ იცნობ, რომ უყვარხარ და გიცნობენ.
კარგად ჩემო ბაქარო.

ვ. გოგიბერიძე

*ართვინი, 5 დეკემბერი, 1907 წელი.
თბილისში*

ულრმესათ პატივეულო მ. ჭიჭინაძე!

პირველათ ყოვლისა გიძღვნი საღამოს დიდის პატივისცემით. გარდა
ამისა ვიხდი თქვენს წინაშე ბოდიშს, რომ წერილის მოწერა დამაგვიანდა.
თქვენი პატივეულნი წერილი მივიღე, ძალიან მესიამოვნა, მაგრამ
როგორც თქვენი წერილის შინაარსი გავიგე და კიდეც სხვა თქვენი
გამოცემული წიგნები წავეკითხე, დიდი ღვაწლი დაგიდევიათ ქართველ
მახმადიანებზე. ჩვენ ქართველ მახმადიანებს ვერ დაგვიფასებია თქვენი
შრომა, მხოლოდ იყავით დარწმუნებული რომ თქვენი დიდებული შრომა
ჩვენზე ამაოდ არ ჩეიარს, მაინც ადრე თუ გვიან ის თქვენი შრომა თავის
კალაპოგში გაივლის, როგორც რომ თქვენ გსურთ. ჩვენ ერთ ჯგუფს
გვჯერა, რომ ჩვენი მოძმე ქართველები ყოველ საშვალეებას აღმოგვიჩინენ
ყველაფერში და მათი აღმოჩენილი საშვალეება იქნება ჩვენთვის დიდი
სასარგებლო და დიდი იმედიც გვაქვს თქვენი. თუმც დღემდე თქვენი
ნაშრომი ფუჭათ გაქვთ მიღებული, მაგრამ იყავით დარწმუნებული, რომ
აწინდელ თქვენ ნაშრომს ერთი-ორად მიიღებ, ძალიან დამაყვალებით, თუ

მინაწერი მ. ჭიჭინაძისა: ესლა მოგახსენებთ, რომ ეს წერილი არის 1907 წ. ცხადი საქმე არის, რომ სადაც ასეთი გულშემატკივარი ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ, იქ ასეთების ცდით დღითიდღე ნათელი შეხედულება ფუხს აიღგავს, ქართველი მაჰმადიანები განვითარების და მოქალაქეობის ასპარეზზედ გამოვლენ, ამის ცხადი თავდებია ჰაიდარ ბეგ აბაშიძის მოვლენა და მისი რეალური შეხედულება ჩვენს ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებაზედ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღეს მათ შორის ჰაიდარ ბეგის და ღურსუნ ქიქავას გარდა სხვებიც იქნებიან უკვე გამკეზლნი.

* * *

საქართველოს თავდადებულ დაუღალავ მუშაკს, ქართველი ხალხის აღმზრდელის, როგორც ქრისტიანების აგრეთვე ქართველ მაჰმადიანების, დიდათ პატივცემულ მოხუცს ზაქარია ჭიჭინაძეს! მე ქართველი მაჰმადიანი კალირ ალის ძე აბაშიძე მოგმართავთ ორიოდ სიტყვით, თქვენზე მომქმედს ჩემი ამრის შინაარსს როგორც თავდადებულ, პატივცემულ მოხუცს, საქართველოს შეილები, როგორც ბევრზე მზრუნავი აგრეთვე თქვენი წყალობით, ბევრნი ავიცდენიათ არასიმართლის გზიდგან, და ჩავიყენებიათ თქვენი გულის სასახელო კვალში... მე ვგონებ... თქვენ, თავდადებული პიროვნება ყოველ წუთს ქართველი ერის ფიქრში მყოფი, მიაქცევთ ჩემი წერილის სურვილს ყურადღებას, გამიმხილებთ სამუშაო მასალებს ქართველის ძმების საზრუნავათ. ამასთანავე მისცემთ ჩემს ნორჩს, ახლათ გაღვიძებულ გულს, სავსეს დაბუჩავებულ ქართველ ძმების სიყვარულით, მაჩვენებთ თქვენვე დარიგებულ გზას და გამხდით ქართველი ერის თავდადებულ მუშათ. მე ვგონებ, ღირსი ვიქნები მუშაობის, ჯერემ როგორც ცოგაოდენი ცოდნით, აგრეთვე ნაღდათ მომცემი ჯანლონისა თქვენ, როგორც ასეთი გზების მასწავლებელი. ღირსი იქნება ჩემი სიყვარულით სავსე გული თქვენ ხელში საზრუნავათ, აგრეთვე, თქვენს მიერ ნაჩვენებ გზებზედ თავდადებული, და მე ვგონებ თქვენს შემდეგ არ ვიქნები სხვა, უგზურ კლდეებზე დაფლეთილი.

კალირ აბაშიძე

დარია ახვლედიანის არქივიდან

დარია ახვლედიანის არქივი დიდი არ არის, მაგრამ მისი ლექსები, მოგონებები და წერილები ყურადღებას იქცევს.

დარია გიორგის ასული ქაჯაია-ახვლედიანი 1873 წლის 25 მაისს, სოფელ ჭაგანში (სამგრელიის რ-ნი) დაიბადა. რვა წლის ასაკში იგი ქუთაისის საქალაქო გიმნაზიაში მიაბარეს, მაგრამ ხანგრძლივი ავად-



დარია ახვლედიანი მეულესთან ერთად
სლმ №9405-ი

მყოფობის გამო ვერ შეძლო სასწავლებლის დამთავრება. 16 წლისა მიათხოვეს ვინმე ახვლედიანს. ქორწინება უიღბლო გამოდგა, მაგრამ დარიამ გული არ გაიგება და თვითგანათლებას მიჰყო ხელი. მოგვიანებით ავგობიოგრაფიაში წერდა: „ჩემი ცხოვრების გზა მუდამ ეკლიანი და მწუხარე უსიამოვნებებით იყო საფუე, მაგრამ მალე დავაღწიე ამას თავი და გულმხურვალედ დავეწაფე თვითგანვითარებას და საზოგადო მუშაობას“.

დარია ახვლედიანი უანგაროდ ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავისი მოღვაწეობა დაუკავშირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, დრამატულ საზოგადოებას, ქართველ

ქალთა საზოგადოებასა და წითელ ჯვარს. დაარსების დღიდან მწერალთა კავშირის წევრიც იყო. ნინო ნაკაშიძესთან ერთად დაიჭირა კოგია თავართქილაძის სტამბა, სადაც უპოვარ და უსახსროდ დარჩენილ ქალებს ასოთამწყობობას ასწავლიდა. მარიამ ღემურიასთან (ივანიშვილთან)¹ ერთად დააარსა თბილისის სახალხო აუდიტორია, ასევე მისი უშუალო მონაწილეობით გამოვიდა პირველი ქალთა ჟურნალი „გუშაგი“. იგი ამიერკავკასიის ქალთა საზოგადოების წევრი და ამავე საზოგადოების ქართული სექციის მდივანიც გახლდათ.

მისი პირველი ლექსი 1903 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კვალში“. შემდეგ კი, სისტემატურად ბეჭდავდა ლექსებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „ჯეჯილში“, „ნაკადულში“, „ცნობის ფურცელში“, „ბრძოლაში“, „სხივიში“, „ახალ სხივიში“ და „თეატრსა და ცხოვრებაში“. ლექსების გარდა იგი საბავშვო მოთხრობებს, პოემებს და წერილებს წერდა. მისი ლექსების პირველი კრებული – „სევდის პანგები“ 1912 წელს გამოიცა. ურთიერთობა ჰქონდა ბევრ ცნობილ ადამიანთან, მათ შორის აკაკი წერეთელთან. პოეტის სიკვდილს მწერალი ქალი ლექსით გამოეხმაურა:

„გულსვედიანი ჩამოვკრავ სიმებს,
სიმღერას გეგევი მწარე გლოვისას,
ჩემი სიცოცხლის მზე დაგიგირებს,
ერემლებს დაგაფრქვევ ობოლ სულისას.

თუმცა გემორღები, გოვებ გკბილ მამულს,
ჩენი ბედ-იღბლის სწორად მღერალო.
მაგრამ დიდება მაგ შენ წმინდა სულს,
დაუეიწყარო დიდო მწერალო.

დადგება ეამი და ხალხი შევა
„შრომის სუფევის“ გურუა მღელოში
და შენი ძეგლი მე აღმართული,
ძლევით იბრწყინებს საქართველოში...“²

ვაქვეყნებთ დარია ახელედინის „მოგი რამ ჩემი მოგონებიდან“, რომელიც აკაკი წერეთელს ეხება.

თეა უჩანეიშვილი

¹ მარიამ ღემურია (ივანიშვილი) (1860–1911) – საზოგადო მოღვაწე, საბავშვო მწერალი, დრამატურგი და ჟურნალისტი.

² სტმ № 21062.

ზოგი რამ ჩემი მოზონაპილან

ახალგაზრდობიდანვე მქონდა ბედნიერება ჩვენი საყვარელი პოეტის, აკაკის ნაცნობობისა.

აკაკი ჩემი ოჯახის უახლოესი მეგობარი იყო. ის ხშირად დადიოდა ჩვენსას ქუთაისში და თბილისშიაც. მახლობელი ურთიერთობა ქონდა ჩვენი ოჯახის წევრებთან, მას ოჯახის გარეშედაც ხშირად ვხვდებოდი, განსაკუთრებით, ქართულ კლუბში.

მე უაღრესი პატივისცემით ვეპყრობოდი აკაკის, ყოველი შეხვედრა და მისი საუბრის მოსმენა დიდი ბედნიერება და სიხარული იყო ჩემთვის. მეტად მომხიბვლელი და მომაჯადოებელი საუბარი იყო. საუბარი უმთავრესად ეხებოდა მაშინდელი ცხოვრების საზოგადოებრივ და საჭირბოროტო საკითხებს. საზოგადოებრივ საკითხების დროს მას ახასიათებდა ქართველი ხალხის უსამღვრო სიყვარული, გულს უკლავდა მაშინდელი ცხოვრება და იმ ცხოვრებაში ქართველი ერის დაჩაგრული და დაბეჩავებული მდგომარეობა.

აკაკი ბოლო ხანებში გატაცებული იყო ბანქოს და ლოგოს თამაშით, ეს თამაში მას თავის გასართობად ქონდა წარმოდგენილი, მოგებას არ მისდევდა და რაც უნდა ბევრი მოეგო, თამაშს მანამ არ მიატოვებდა სანამ არ წააგებდა. ჩემს ყოფილ მეუღლესთან – ახვლედიანთან, მისი დაახლოება სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა, ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ასეთი თამაშის დროს.

ერთხელ აკაკი და მე ქართული კლუბის ბაღში დავსეირნობდით, შევნიშნე აკაკი უძინარი და დაღლილი იყო, მე მორიდებით შევეკითხე:

– ბატონო აკაკი, ბანქოს რომ თამაშობთ, ღამეებს ათევთ, იღლებით, როდის მუშაობთ, ლექსებს როდისღა სწერთ?

– როცა ძალიან დავიღლები და როცა მშიერი ვარო – მიპასუხა აკაკიმ. შემდეგ ყვავილნარის ახლოს ჩამოვჯექით (ჯერ კიდევ ლოგოს თამაში არ იყო დაწყებული), რაღაც ამბები მოვეყვით, უცებ შემაჩერა და მითხრა:

– იცი, დარია, რა უბედურება მეწვია ამ სიბერის დროს?

მე გაოცებულმა შევხედე.

– რა, ბატონო, რა მოგივიდათ?

– მეტი უბედურება რაღა იქნება, ჩემი ხნის კაცს რომ ვინმე შეუყვარდება, რაღა დროს ჩემი სიყვარულიაო – მითხრა აკაკიმ.

თავი უხერხულად ვიგრძენი, თანაც გამიკვირდა ამ დიდმა ადამი-

ანმა თავისი გრძნობები ასე ადვილად რად გადამიშალა-მეთქი, დიდ ხანს ვსდუმდი, არ მინდოდა შევისტყვებოდი.

– თქვენ გვუბნები ქალო, არ გესმის? რაგომ არ მეკითხები ვინ შემეყვარდა? – თითქოს იწყინა ჩემი ღუმილი.

– რა ჩემი საქმეა ბატონო, თქვენს გრძნობებში შევიჭრა. თუ გნებავს მითხარით ვინ გიყვართ.

– ვინ მიყვარს და შენი ქმარიო, მიმითითა ჩემს ყოფილ ქმარზე, ახელედიანზე. – მე თავისუფლად ამოვისუნთქე, მეგონა რაღაც უცნაურს მეგყოდა. ჩემი ყოფილი ქმარი მას იმიტომ შეუყვარდა, რომ კლუბში ბანქოს თამაშის დროს აკაკის სხვების შეუმჩნეველად ჩუმად შეაპარებდა ფულს.

ერთხელ ლოგოს თამაშის შემდეგ ერთად ვივხამეთ კლუბში. ვახშმის ბოლოს ხილი შემოიტანეს. აკაკიმ თხილს დაუწყო მტკვრევა.

– ბატონო აკაკი კბილები კარგი გაქვს-მეთქი? – ვკითხე.

აკაკიმ გაიციინა და სთქვა:

– კბილები კარგი მაქვს, მაგრამ საკბილო არა მაქვსო.

აკაკის ხშირად გამოუთქვამს უკმაყოფილება თავის ბელზე, მოხუცებულობისა და ეკონომიური სივიწროვის გამო.

კაცი, რომ მოხმარების შნოს დაკარგავს, მერე რა საჭიროა მისთვის სიმდიდრეო – სთქვა ერთხელ აკაკიმ.

აკაკის სიცოცხლეში ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ აკაკიმე იმის შესახებ, რომ აკაკი ბოროტი და გესლიანი ადამიანი არის და გაქირდება-დაცინვით ეპყრობა ზოგიერთ ჩვენს დიდ სამოგადო მოღვაწეებსო. განსაკუთრებით ამას ლაპარაკობდნენ მისი ილიასთან დამოკიდებულების შესახებ; თითქოს ილიას შესახებ აკაკი უარყოფითი შეხედულებისა იყო და მის დიდ ღვაწლსა და ამაგს ქართველი ერის წინაშე შესაფერისად ვერ აფასებდა და სხვა. ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებული იყო და ამაში მე დავრწმუნდი მასთან საუბრის დროს. მე ხშირად ჩამოუგდებდი ლაპარაკს ილიაზე და ზოგჯერ თვითონ დაიწყებდა ლაპარაკს, მაგრამ არასოდეს მისი სახელი აუგად არ უხსენებია და ყოველთვის დიდი პატივისცემითა და მისი დიდი ამაგის გათვალისწინებით აფასებდა მას. აკაკის არ მოსწონდა მხოლოდ ილიათი ზომამე მეგად გაგაცუბა და მისი კერპად გახდომა და ავსა და კარგში ქება-დიდება. ილიას ასეთ თაყვანისმცემლებს ზოგჯერ მწვავედ ამათრახებდა, მაგრამ თვით ილიას კი არასოდეს არ ამეიარებდა. აკაკი კერძო საუბარში ილიას დიდებით იხსენიებდა, აფასებდა როგორც ჭკვიანს, დინჯსა და უნიჭიერეს ადამიანს, რაც

შეეხება ვითომდა მის გესლიანობას, თუ ეს მიაჩნიათ გესლიანობათ, რომ ის უსამართლობას ვერ იგანდა და გაბედულად ილაშქრებდა ყველა მიუღებელ ადამიანების წინააღმდეგ, ეს მისი სიგმირე და პირდაპირობა იყო. პირუთენელად იცოდა იმას, რისი თქმაც საჭირო იყო იმ დროში. ილიას გარდაცვალების დროს აკაკიმ დასწერა ლექსი, რომელიც აღსავსეა უმაღლესი გრძნობით. ყველასათვის ცხადი და გასაგებია, პოეტი რაც უნდა დიდი ოსტაგი იყოს, ამისთანა გრძნობით სავესე და წრფელ ლექსს ვერ დასწერდა, რომ მასში ამისი შესაფერისი გრძნობა არ ყოფილიყო. აკაკი უცრემლოდ ვერ მოიგონებდა ილიას გრაგიკულად გარდაცვალებას. ის მეფის შესყიდულ დამქაშებს აბრალებდა მის მკვლელობას. ილიას მკვლელობის შემდეგ, აკაკის ხშირად ჰქონია ლაპარაკი ჩემთან ილიასა და მისი მკვლელობის შესახებ. მისი მწუხარება და გულის წყრომა მეტად დიდი იყო, ილიას დაკარგვა მან მიიჩნია ქართული ერის დიდ უბედურებად და კერძოდ, თავის მხარის ჩამოგდებათ.

მას ბევრჯერ უთქვამს: – მე და ილია ერთ უღელში ვიყავით გაბმული, ამ უღელს ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთად ვაგარებდით და ახლა მარტო დავრჩი და ობლობას ვგრძნობო.

ასეთი ნაამაგარი დიდი პოეტის ასე ვერაგულად მოკვლა, მას ქართველი ერის დიდ სირცხვილად მიაჩნდა. ერთხელ აკაკიმ ნაღვლიანად ამოიოხრა და სთქვა:

– ილიას სიკვდილმა მე დამაუძღურაო. ის, რომ თავისი ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარიყო, ჩემზე ასე არ იმოქმედებდა, მაგრამ მის გრაგიკულად სიკვდილს ვერ ვიგან, რადგან ილიას სიკვდილთან ერთად საქართველოც მოკვდა მნეობრივად ჩემს წარმოდგენაშიო.

აკაკი ძალიან გაგაცებული იყო 1905 წლის რევოლუციით. მას ახარებდა ხალხის გამოფხიზლება, გამოღვიძება. ბევრჯერ მქონია შემთხვევა მომესმინა მისი აღფრთოვანებული საუბარი ხალხის ასეთი ამოდრავების გამო. 1905 წლის რევოლუციაში მას ორი რამ სწამდა: ხალხის თვალის გახელვა და სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა და მოძრაობის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართვა. რუსეთის თვითმპყრობელობა, მას ქართველი ხალხის მგრად მიაჩნდა და სამართლიანადაც. ის ყველას მიემხრობოდა, რომელიც ამ თვითმპყრობელობას დაამარცხებდა. მისი სიძულვილი ქართველი ერის დამჩაგვრელ თვითმპყრობელობის მიმართ ძლიერ შორს მიდიოდა. აკაკი დარწმუნებული იყო და მუდამ მოელოდა საქართველოს განთავისუფლებას, აკაკის მტკიცედ სწამდა, რომ საქართველოს მოველინება გმირი, რომელიც მას გაანთავისუფლებსო და შემ-

თხვევით კი არ ყოფილა, რომ გაიძახოდა გმირებს დაეძებეს, უყვიოს ჩემი დაფი და ნალარაო, მაგრამ დამარცხდა 1905 წლის რევოლუცია, გამეფდა შაუბნელი რეაქციის სუსხი, ჩვენი ქვეყანა ცეცხლის ალში გაეხვია, წვაედნენ სოფლებსა და დაბებს, წვაედნენ ქალაქებს, რევოლუციაში მონაწილე გლეხებს ათასობით აპაგომრებდნენ და შორეულ რუსეთის ცივ ქვეყანაში ასახლებდნენ. ქართველი ერის გულშემატკივრები ამ გარემოებით ყველანი შეძრწუნებულნი იყვნენ. ყველა ამ უბედურებაზე ლაპარაკობდა. რეაქციის შემდეგ, გოლოვინის (ახლანდელ რუსთაველის) გამზირზე აკაკი შემხვდა, ჩვეულებრივად პირმცინარედ შემომეგება, მომხვია ხელი და მკითხა:

– როგორა ხარ დარიაო?

– როგორ ვიქნები ბაგონო აკაკი, ამდენი უბედურების შემდეგ-თქვა – უპასუხე ნაღვლიანად და მოუყევი მაშინდელი ალიხანოვის ეგზეკუციების და დაბა-სოფლების გადაწვის შესახებ.

– არა უშავსო – მიპასუხა ამ ამბით შეწუხებულმა აკაკიმ – ისინი ასეთი მოქმედებით თვითონ უთხრიან სამარეს თავისთავსო. რამდენად სისასტიკეს გამოიჩინენ ხალხისადმი, იმდენად ხალხის გული უფრო მეტად აივსება მათდამი სიძულვილით და შემდეგში უფრო ენერგიულად იბრძოლებენ მათ დასამხობადო.

ერთ დროს აკაკის და სილოვან ხუნდაძეს¹ ლიგერაგურულ საქმეებზე უთანხმოება მოუვიდათ, იმ ხანებში სილოვან ხუნდაძის მეუღლე და მე ქუთაისის თეატრში წარმოდგენას დავესწარიით და სწორედ იმ ღოყაში მოვხვდით სადაც აკაკი იჯდა. აკაკი პირმცინარედ მოგვესალმა, სილოვანის მეუღლეს ძალიან გაეხარდა აკაკის ნახვა და შეეკითხა:

– ბაგონო აკაკი, დიდი ხანია არ მინახიხართ, როგორ ბრძანდებიითო?

– გმადლობთ, მიუგო აკაკიმ თავაზიანად, არც ისე კარგად როგორც თქვენ ვინდათ და არც ისე ცუდათ, როგორც თქვენს ქმარს გაუხარდებაო.

აკაკის რაღაც უცნაურობა ახასიათებდა, მას არაფერი არ დარჩებოდა შეუმჩნეველი, გვეგონებოდათ თითქოს აკაკი ყურადღებას არ აქცევს რაიმე მცირე მოვლენასო, მან ყველაფერი იცოდა და არც ერთი წერილმანი რამ არ გამოეპარებოდა. ერთხელ ბაღში ვისხედით, იყვნენ სხვა მანდილოსნებიც, აკაკი ჩვენთან იყო. ამ დროს, ახალგაზრდა ქალი მერი

¹ სილოვან თომას ძე ხუნდაძე (1860–1928) – მწერალი, ფილოლოგი, პუბლიცისტი, პედაგოგი.

იაშვილი მოვიდა ჩვენთან, მოგვესალმა და ჩემთან გაჩერდა. ჩვენ ვთხოვეთ დამჯდარიყო, მაგრამ არ დაჯდა, სხვებმავე შესთავაზეს ადგილი, მაგრამ ის ისევ უარზე იყო, ერთ ხანს უყურა აკაკიმ და ბოლოს უთხრა:

– დაბრძანდით ქალიშვილო, უთოს ვიშოვნითო. მე გამიკვირდა და შევეკითხე:

– უთო რად გინდათ ბაგონო აკაკი-თქვა?

– ვერ ხედავ გაკრახმალეული კაბა აცვია, რომ დაჯდეს ხომ დაეჭმუჭნებაო – სთქვა აკაკიმ. ცოგა ხნის შემდეგ დავინახეთ, რომ ბაღში შემოვიდა კოგე მესხის¹ მეუღლე ნაგო, იმასაც თეთრი გაკრახმალეული კაბა ეცვა. აკაკიმ შეხედა და სთქვა – აი, ნაგოც მოდის, ისიც იმ დღეშია, არც ის დაჯდებაო. ნაგო მეგობარ ქალთან დასეირნობდა ბაღში.

– ხომ გითხარით დარია, ეშინია ჩვენთან მოსვლა, რომ დაჯდომა არ ვთხოვითო. ეს, რომ ასე არ იყოს ის თქვენთან არ მოვიდოდა, ყოველდღე ერთად ხართო – მითხრა აკაკიმ.

ერთხელ თეატრში სიმფონიურ კონცერტს ვისმენდით. ერთი მუსიკოსთაგანი, ახალგაზრდა ებრაელი ბულბულის ხმაზე აკენესებდა მუსიკას. აკაკიმ სთქვა: – ჩემი ბულბული უფრო სასიამოვნოდ სტვენსო.

– ვინ არის თქვენი ბულბული-თქვა? – შევეკითხე მე.

– ვინ და ვარინკა წერეთელიო, სთქვა აკაკიმ. ეს ის ვარინკა წერეთელი იყო რომელმაც აკაკის სულიკო პირველად იმღერა უკედავ, მომხიბვლელ პანგზე, რაც აკაკის ძლიერ მოსწონდა.

ქუთაისში სათავადაზნაურო მიხეილის სახელობის ბანკის დირექტორი უნდა აერჩიათ. საარჩევნო კომპანია უკვე გაჩაღებული იყო. ამომრჩეველები ორ ბანაკად იყვნენ გაყოფილნი. ერთ ბანაკს სათავეში ედგა კალისტრაგე ჩიკვაძე და მეორეს – დავით ლორთქიფანიძე. მათ მომხრეებს შორის სამკედრო სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. ყველა ამ არჩევნებზე და ასარჩევ კანდიდატებზე ლაპარაკობდა. აურზაურსა და მითქმამოთქმას ხალხში აძლიერებდა ჭორები და პროვოკაციული ხმები მოწინააღმდეგის მიმართ, ბევრ უსიამოვნებას და შეხლა-შემოხლას ქონდა ადგილი. იყო სადილების გამართვა მუთხებითა და ნაირ-ნაირი ძვირფასი ღვინოებითა და საჭმელებით, ასე უმასპინძლებოდნენ იმ დროს მომხრეებს, რომ არა მომხრეებიც თავისკენ გადმოეყვანათ და ასეც იყო, სითაყსარგებლობას დაინახავდნენ იქითკენ გადადიოდნენ.

ქუთაისის საზოგადოება მეგად დაინტერესებული იყო და ერთიმე-

¹ კოგე სიმონის ძე მესხი (1857–1914) – მსახიობი და რეჟისორი.

ორეს ეკითხებოდნენ: თუ იცით აკაკი ვის მხარეზეაო, მაგრამ აკაკი ღიწმინდა იყო და თავის ამრს არ ამჟღავნებდა.

ერთ დღეს ქუთაისის ბაღში ბიძაჩემმა სვიმონ გუგუნავამ („თამარიანის“ ავტორი) წყალზე მიმიპატიჟა. ამ დროს აკაკიც შემოგვიერთდა. საუბარი აქაც კენჭის ყრაზე ჩამოვარდა. ცოგა ხნის შემდეგ კალისგრაფე ჩიკვაიძის ცოლმა ჩამოიარა, ალბათ ვერ შეგვნიშნა, არ მოგვესალმა, აკაკიმ გააყოლა თვალი და სთქვა.

– საწყალი მაკრინე, უძილობას და მოუსვენრობას როგორ დაუღვინია, გონებაზედაც არ უნდა იყოს ეგყობაო.

– როგორ უძილობას? – შეეკითხა სვიმონ გუგუნავა.

– რა დააძინებს, სანამ ბანკის დირექტორი არ გახდება მაგისი ქმარი, ხუმრობა ხომ არ არის ყოველ დღე და ღამე ასეული კაცის გამასპინძლებად – ირონიულად იოხუნჯა აკაკიმ.

– ჰაა, მიგიხედით, აკაკი, მიგიხედით, გავიგეთ, – უთხრა სვიმონ გუგუნავამ.

– რას მიმიხვდი, რეჟინაშვილი ხომ არ გეგონეო – უპასუხა აკაკიმ.

ქუთაისელი შეძლებული ებრაელები თითქმის ყველა ჩიკვაიძის მომხრეები იყვნენ. უფრო თავგამოდებით თითქოს რეჟინაშვილი აგროვებდა ხმებს ჩიკვაიძის სასარგებლოდ. ასეთი ხმები იყო გავრცელებული ქუთაისში. ქუთაისის საზოგადოების დიდი უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ აკაკი ჩიკვაიძის მომხრე არისო, მაგრამ აკაკის ეს არ ეგყობოდა, ჩემთვის დღესაც გაუგებარია, თუ მომხრე იყო, რათ ლაპარაკობდა ასე.

თუ არ ვცდები, მგონი, 1909 თუ 1910 წელში ძლიერ გახშირდა ბავშვების დაკარგვა თბილისში და ქუთაისშიაც, მოიგაცებდნენ ბავშვებს და მის პაგრონს უგზავნიდნენ წერილს ამდენ და ამდენ ფულს თუ გამოგვიგზავნი თქვენს ბავშვს დაგიბრუნებთ, თუ არადა მას ვეღარ ნახავთო. ზოგჯერ კი სრულებით უნიშნოდ იკარგებოდა ბავშვი, რომ პაგრონი ვეღარ ნახულობდა თავის შვილს.

ამ ამბებმა დიდი მითქმა-მოთქმა და შიშიანობა გამოიწვია ჩვენში. ზოგი ბანდიტების ჯგუფს აბრალებდა, ზოგი ცრუმორწმუნე კი ამბობდა: ეს ებრაელების საქმეა, ისინი იგაცებენ, როგორც ქრისტიანს და აწვალებენო. ერთხელ კლუბის დარბაზში შეგროვილიყვნენ რამდენიმე კაცი და ქონდათ დიდი სჯა-ბაასი ბავშვების დაკარგვის შესახებ. როგორც ზემოთ ვამბობ, აქაც ორ ნაწილად იყვნენ დარაზმული, ერთი მხარე ამტკიცებდა ებრაელების საქმეაო, მეორე კი – ბანდიტებისო. ბოლოს იქნამდი მივიდნენ, რომ ერთი მეორის პიროვნებასაც კი შეეხნენ, ერთმა

იმათგანმა შეაჩერა ყველა და უთხრა რას ილანძლებით, აი, აგერ აკაკიმ წერეთელია, წავიდეთ და ვკითხოთ თუ შესაძლებელია, რომ დღევანდელ ხანაში რომელიმე ებრაელმა ამისთანა ბოროტება ჩაიდინოსო. როგორც კი გაიგონეს აკაკის სახელი, ყველა გაემურა აკაკისაკენ და შემოეხვივნენ მას ირგვლივ. ერთმა მათგანმა მიმართა აკაკის და უთხრა: გთხოვთ, ბატონო აკაკი, გვეცით პატივი და გავგვასამართლე ჩვენ შორის ვინ არის მტყუანი და მართალი და შეეკითხა:

– ხომ არის ეს მართალი, რომ ებრაელები ქრისტიან ბავშვებს იგაცეხენ და აწამებენო.

აკაკიმ დინჯათ მიუგო:

– აბა როგორ გითხრათ, შეიძლება ძველად იყვნენ ფანატიკოსები, მაგრამ ამ დროში არ შემოძლია წარმოვიდგინო ისეთი ბრიყვი იყოს ვინმე, რომ ეს დაიჯეროსო.

– ბატონო რას ბრძანებთ, აბა მე ბრიყვი ვყოფილვარ?!

– არა, თქვენზე მე არაფერს ვამბობ, მე იმაზე ვამბობ, ვისაც ეს სჯერაო.

– ჰოდა, მე მჯერა ბატონო.

აკაკიმ გაიღიმა და უთხრა: – სამწუხაროა, რომ თქვენ ყოფილხართ, არ ვიცოდი, თორემ როგორ გაწყენინებდიო.

მათი ჩხუბი და განგაში სიცილად გადაიქცა და დარცხვენილნი გამორდნენ აკაკის.

ერთხელ ჩვეულებრივად ვსაუბრობდით პოეზიაზე, მაშინ მთელი წყება ახალგაზრდები ახლად გამოსული იყვნენ სამწერლო ასპარეზზე, მე მაინტერესებდა აკაკის აზრი, თუ როგორი შეხედულების იყო მათზე და შევეკითხე:

– ბატონო აკაკი, თქვენს შემდეგ ვინ მიგაჩნიათ პოეტად ჩვენში-თქვა? პირმცინარედ შემომხედა და მითხრა:

– ვაჟა-ფშაველა და ცახელიო.

– ესენი ხომ ვიცი ბატონო აკაკიო, ახალგაზრდების შესახებ მინდა გავიგო თქვენი აზრი.

– ახალგაზრდებში? ჩაფიქრდა და დინჯად მიპასუხა – ახალგაზრდებში გალაკტიონ გაბიძეს დიდი მომავალი აქვს, იმას სიახლე შემოაქვს პოეზიაშიო. მომწონს აბაშელის პეიზაჟებიცო. ამ დროს მერი იაშვილი ისმენდა ჩვენს საუბარს, რომელიც გრიშაშვილის ლექსებით იყო გატაცებული ისე, როგორც მრავალი სხვა. ველარ მოითმინა და უცებ შეეკითხა აკაკის.

– ბატონო, გრიშაშვილი დაგაევიწყდათ?

– გრიშაშვილი ლამაზი პოეტიკოსი – სთქვა აკაკიმ.

1912 წელს იქნა წიგნი დაიბეჭდა („სვედის პანგები“) აკაკიმ მისაყვედურა:

– წიგნი გამოცემა და მე არ მიძღვნით, მე შემრცხვა და მორიდებით უთხარი:

– ბატონო, თქვენ როგორ შემოგბედავდით ჩემი წიგნის მოძღვნას-თქვა.

– თუ მოძღვნა გენანება, მათხოვე და წავეკითხავო – მითხრა.

მეორე დღეს წარწერით მივართვი ჩემი წიგნი. ორი დღის შემდეგ აკაკი მეუბნება:

– სიმშენიერე, ნიჭი და დარბაისლობა შენთვის დაულოცნია ბუნებასო. მე თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და გული დამწყდა, არ მოველოდი თუ აკაკი დაცინვით მომმართავდა და უთხარი:

– რად დამცინით ბატონო აკაკი, მე არც სიმშენიერე გამაჩნია და არც დიდი ნიჭი.

– შევრცხვე, თუ გულწრფელად არ მეთქვას, ხო, მე ერთი პატარა მოთხრობაც წავეკითხო შენი „თეატრსა და ცხოვრებაში“, იმისი დამწერი ბევრის დაწერას შეძლებს, მაგრამ შენ ალბათ ზარმაცობო, ქმარს ცოგა ეჩხუბე და წერაზე მეტი იფიქრეო და მე, რომ არ დავცინი ამას დაგიმტკიცებო.

აკაკიმ კარგად იცოდა ჩემი ოჯახური უსიამოვნება, რაც მუდამ ბანქოს თამაშით იყო გამოწვეული, მაგრამ ჩემს ქმარს მაინც არ ამტყუნებდა.

– რა უყოთ მერე, ბანქოს მეც ქე ვთამაშობო – ამბობდა იგი.

კინალამ წამომცდა ძლიერ ცუდს შერებით, რომ თამაშობ-თქვა, მაგრამ თავი შევიკავე, მოვერიდე არ ეწყინოს-მეთქი, და სხვა ამბებზე გადავედით.

1914 წელს, მსოფლიო ომის დროს, სექტემბრის ბოლო რიცხვებში აკაკის უკანასკნელად შევხვდი ქართულ კლუბში, ლოგოს ვთამაშობდით. არ მახსოვს აკაკის ერთხელ მაინც მოეგოს ლოგოში, მე კი ხშირად ვიგებდი. აკაკიმ სთქვა: აი ნახავთ, თუ კიდევ დარია არ მოიგებსო. მართლა არ გაუვლია ათ წუთს, რომ კმარა-თქვა დავიძახე. აკაკი მაგიდაზე მკლავდაყრდნობილი, ხელი შუბლზე ქონდა დაბჯენილი და ჩაფიქრებული თამაშობდა, ჩემი ხმა რომ გაიგონა, კმარაო, ასწია თავი მაღლა, შემომხედა ერთი გულიანად გადაიხარხარა და სთქვა: „რა ბედნიერი ვიქნებოდით დარია ახელედიანად გაეჩენილიყავით“.

– რაგომო? – შეეკითხა გიგიკო ჭავჭავაძე.

– რაგომ და უშრომელად ფულის პაგრონი შევიქნებოდი – იოსუნ-
ჯა თავისებურად აკაკიმ.

– დაიწყებს თამაშს თუ არა, მე ორი ნომერი არა მაქვს დაფარული,
ეს კი იძახის კმარაო, ამ დროს საერთო სიცილში, რაღაც ხმაურობა
მოისმა. ვნახოთ, მთელი ბრბო ხაგებით, ჯვრებითა და ბაირალებით
მოედვნენ კლუბის ბალს. მეფის დამქაშები „ბოქე ცარია ხრანის“ გალობ-
დენ. ერთი მოწინავე, ხრინწიანი ხმით ავიგაგორობას იჩენდა, სიცოცხლეს
და გამარჯვებას უსურვებდა მეფეს.

აკაკიმ ერთ ხანს უყურა თავ ალერილი, ბოლოს თვალები დახარა
და თავისთვის ჩაილაპარაკა: – სულ ერთია, ხაგი და ჯვარი ვერ გისხნით,
თქვენი აღსასრული მოახლოებულია, მაგრამ მე ვაი, რომ ჩემი აღსასრუ-
ლიც მოახლოებულიაო. ლოგოს შემდეგ ვახშამზე მოვიპაგიყეთ იქვე
კლუბში. საუბარში მე მოვაგონე:

– ბაგონო აკაკი, გახსოვთ? რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის დამარ-
ცება რომ გაჯავრებდათ და რუსეთის დამარცხებულ ოიამაზე შენიღბული
ლექსიც კი დასწერეთ გურული ნანინას სახით, რომელსაც მთელი
საქართველო იმდეროდა. აბა ახლა, ამ მსოფლიო ომში, ვის მიუძღვნით
ლექს? შევაგყვე აკაკის ეს მოგონება ესიამოვნა და ღიმილით მიპასუხა:

– იმ გმირს, ვინც მაგათ დამხობას შესძლებსო.

აკაკის რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა და სხვა
ამბებზე გადავიდა, შემდეგ მე გადმომხედა, მომღიმარე თვალები
შემომანათა და მითხრა:

– მე, შენზე მინდა დაეწერო ერთი წერილი, თუ ნებას მომცემო.

ამ გადაჭარბებულმა თავაზიანობამ მე უფრო დამარცხვინა, ჩამაფიქრა,
ეჭვი შემეპარა მის გულწრფელობაში და წყენის კილოთი უპასუხე:

– ჩემზე რა უნდა დასწეროთ ბაგონო, თუ რამე კარგს დასწერთ მე
მაგის ღირსი არა ვარ, მე არც ოიამა ვარ და არც ის გმირი, რომელსაც
თქვენ ელოდებით-თქვა.

– ეს ჩემი საქმეა რასაც დავსწერ, გახსოვს, რომ მითხარი დამცინიო,
მე მაშინაც ვითხარი, რომ დაგიმტკიცებ არ დაგცინი-თქვა. ამოიღო ფანქარი
და უბის წიგნაკი, რამდენიმე შეკითხვა მომცა და მითხრა:

– მე ახლა სოფელში ვაპირებ წასვლასო, რომ ჩამოვალ წერილს
ჩამოვიტან დაწერილსო, წაგაკითხებ და შემდეგ დაგებუჭდავო, არც მაშინ
დარწმუნდები, რომ არ დაგცინიო? სხვათა შორის, აკაკის, მიუხედავად
მისი ხანდაზმულობისა შესანიშნავი სმენა ქონდა, უბრალო ჩურჩულსაც

კი ვერ გამოაპარებდი. ვახშმის შემდეგ, კლუბიდან ერთად გამოვედით. აკაკის მკლავე გაყრილი მოეყავდი, კიბეზე რომ ჩამოვდიოდით ჩემს უკან ვიდაც უენობი ქალები მოდიოდნენ. ერთმა იმათგანმა ნელის ხმით უთხრა მეორეს, შეხედე რა ბედნიერია დარია ახელედიანი მკლავე გაყრილი მიყავს აკაკისო. ამისი თქმა და აკაკი უცბად შეტრიალდა, გაუწოდა მარჯვენა ხელი და უთხრა:

– მიბოძეთ ქალბაგონო თქვენი მკლავიო. ქალს შერცხვა, ვერაფერი ვერ უპასუხა.

– თუ ეს მიგაჩნიათ ბედნიერებათ, ამას როგორ დაგიშლითო.

ჩვენ იმ ღამეს დავემშვიდობეთ ერთმანეთს, მე აღგაცებით მოველოდი მის დაბრუნებას, მაინგერესებდა რას დასწერდა ჩემზე, სიხარული და სიამაყე მიპყრობდა, ხშირად მომენატრებოდა მისი გკბილი საუბრის მოსმენა. განელო თვეებმა, აკაკის დაბრუნება, მე მაინც ხშირად გამიგაცებდა სიხარულის ოცნება, მაგრამ ეს სიხარული და აღფრთოვანება მწარე გლოვად შემეცვალა. ერთ დღეს ელვის სისწრაფით გაისმა საქართველოს კუთხიდან კუთხემდე – აკაკი გარდაიცვალაო. დიად, გარდაიცვალა დიდი პოეტი და მასთან ერთად გარდაიცვალა ჩემი სიხარულით სავსე ოცნებაც.

სულს დაჰმჩნეული

საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიგერაგურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაკულია ვალერიან ნინუას მოგონებები და ორიგინალური ნაწარმოებები. ხანშიშესული კაცი იგონებს ახალგაზრდობას, სკულენგობას, პროფესორ-მასწავლებლებსა და გამოჩენილ მოღვაწეებს, რომლებთანაც პირადი ურთიერთობის ბედნიერება ხედა წილად. წლების სიმორიდან ანაალიზებს მათ ადამიანურ თვისებებს, იმ ისტორიულ მონაკვეთს, რომელშიც მას და მის თაობას მოუხდა დავაჟკაცება – ეს წლები საქართველოსათვის ერთ-ერთი ურთულესი და უმძიმესი იყო. კომუნისტურმა მმართველობამ განსაკუთრებით მტკივნეული კვალი ახალგაზრდობას დაამჩნია. ქართული გრადიციული ამროვნების მოშლამ, ეროვნული სულისკვეთების კლასობრივი ფსიქომით შეცვლამ, ახალგაზრდობა ორად გახლიჩა – გრადიციულ-ეროვნულ აღზრდას მკვეთრად დაუპირისპირდა ოფიციალურ-ბოლშევიკური იდეები, რომელთა მიხედვითაც პიროვნება იგნორირებული იყო, ყველაფერი სულიერი და ინდივიდუალური – უარყოფილი, ხოლო სოციალურ-კლასობრივი შეხედულებანი – ცხოვრების საზრისად გამოცხადებული.

ვალერიან ნინუა მისი ნაწერების მიხედვით წინააღმდეგობრივი პიროვნება ჩანს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საბჭოთა და პარტიულ სამუშაოებზე უშუშაჲია, ყოფილა პარტიის სამგრედის რაიკომის მდივანი, საიდანაც დაუთხოვიათ და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიუყვია ხელი. ამ სფეროში საქმიანობისას გასჩენია სულიერი მოთხოვნილება უკან მიეხედა, შეეფასებინა განვლილი ცხოვრება.

როგორც ვ. ნინუას ერთ-ერთ მოგონებაში ვკითხულობთ: „ივანე ჯაეახიშვილის, მოსე გოგიბერიძის, ივანე ბერიგაშვილის, შალვა ნუცუბიძის, გიორგი ჯეგმანის, კონსტანტინე გამსახურდიას, ფილიპე გოგინაიშვილის, შალაქია გოროშელიძის, გიორგი ახვლედიანის, კონსტანტინე კაპანელის, არნოლდ ჩიქობავას, მიხეილ ბანდუკელის, ვახტანგ კოტეგიშვილის, კორნელი კეკელიძის, სიმონ ჯანაშიას, აკაკი შანიძის, სარგის კაკაბაძის და სხვათა სახელები ამკობდა ქართულ უნივერსიტეტს იმ დროს, როდესაც მაშინდელი პროლეტარული სკულენგების რიგებში ჩაედექი“.

ვალერიან ნინუა იგონებს კონსტანტინე გამსახურდიას, შალვა დადიანს, მოსე გოგიბერიძეს, სიმონ ჯანაშიას, ნიკოლო მიწიშვილს. მოგონებებში წარმოჩენილია ამ მწერალთა და მოღვაწეთა ის თვისებები, რომლებსაც

დიდი ზეგავლენა მოუხდენიათ ახალგაზრდა კაცის სულზე. წინამდებარე წერილს ვ. ნინუას მოგონებების სრული ანალიზის პრეგნანტია არ გააჩნია. შემოგთავაზებთ მოგონებების ნაწილს, მათში შენარჩუნებულია ავტორის სტილი, ზოგიერთი ჩანაწერი შემოკლებულია.

„საკუკუნის დილოსტატი“ (კონსტანტინე გამსახურდია) – მეორე კურსზე დეკანმა, მოსე გოგიბერიძემ, გერმანული ენის მასწავლებლად კონსტანტინე გამსახურდიას დანიშვნა მოგვილოცა. ჩვენი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა – ფაკულტეტის ხელმძღვანელი გასაფრთხილებლად იყო მოსული – ძნელად შესაგუებელ კაცად იყო ცნობილი დიდი მწერალი. სტუდენტთა ერთმა ნაწილმა პირდაპირ განაცხადა:

- ახლა დაილუპა ჩვენი საქმე...
- ჭირივით ეჯავრება კომკავშირლები...

დეკანი კიდევ უფრო ჩააფიქრა ამგვარმა მსჯელობამ და დაგვარიგა – განათლებული კაცია და მრდილობიანად უნდა მოეპყრათ. ძალიან ბევრის სწავლა შეგიძლიათ მისგან. ძლივს დავითანხმე და თუ შეაწუხებთ მაშინვე მიგვაგოვებს.

ვიღაცამ ირონიით იკითხა:

– ჩოხა-ახალუხით შემოვა?

ბევრმა მაშინ გავიგეთ, რომ ჩოხა-ახალუხით ევროპა ქონდა მოვლილი, ხოლო თბილისში ფრაკსა და სერთუკში გამოწყობილი დადიოდა.

ევროპული განისამოსი კაპიგალისგურად მიგვანხნა ყველას და კიდევაც გვიკვირდა რაგომ არ აპატიმრებდნენ წითელ დედაქალაქში ასე აშკარად გამოსულ ცილინდრიან-შლიაპიან ბურჟუებსა და მათი გემოვნების ამყობ ადამიანებს. უმაღლესი სასწავლებლის ბევრი ლექტორი და წითელი პროფესორი დადიოდა ჩექმებით, სამხედრო კიგელითა და ტყავის კურგაკით. აი ესენი მიგვანხნენ ჩვენიანებად და მათი განუსაზღვრელი პატივისცემა გქონდა“.

კონსტანტინემ პირველ ლექციაზევე შეამოწმა სტუდენტების გერმანულის ცოდნის დონე და ისინი გერმანული ენისათვის დაკარგულად ჩაუთვალა. სამაგიეროდ, ზოგიერთი მათგანის ქართულის ცოდნის დონე ასე თუ ისე მოსწონებია და განუცხადებია – „საქართველოში მაინც გამოდგებითო“. ამიგომაც ლექციებზე ცდილობდა სტუდენტებისათვის ზოგადი განათლება მიეცა. გერმანულში კი მხოლოდ იმ სიტყვებს უხსნიდა, რომლებიც ამა თუ იმ თემაზე საუბრისას დასჭირდებოდა, თუმცა ქართული სიტყვების გარჩევამე გაცილებით მეტ დროს ხარჯავდა.

მოგონებების ავტორის თქმით „ქართული ენის სიტკბო და ფასი ამ

დიდი მწერლისაგან შევიგ-
ყვეთ და ვისწავლეთ არა
მარტო მისმა სტუდენტებმა,
არამედ მთელმა ქართვე-
ლობამ. კონსტანტინე გამსა-
ხურდია გვასწავლიდა და
გვასწავლის რა დიდი საქ-
მეა იცოდე ვინ ხარ, სად
იმყოფები, ვისი შვილი ხარ
და რა გვეალება. ვისაც სა-
კუთარი ეროვნული მდგო-
მარუობა არ გამოურკვევია,
მას არც სხვა ერების დაფა-
სება შეუძლია.



კონსტანტინე გამსახურდია
სლმ №2401-ი

სტუდენტობის დროს
არ შეიძლებოდა გვეცოდნო-
და, რომ იმ დროს, როდე-
საც ჩვენ გერმანულის უმ-
ლაუტების თავისებურებებ-
ზე გვამუშავებდა, მის თავში
დავით აღმაშენებლის გენია
დღვდა. ხანდახან გაგვა-
ოცებდა ხოლმე მისი გენის
აფეთქება, რასაც იმით ვამ-
ჩნევდით, რომ როცა დაფაზე გერმანული Fatherland (სამშობლო) ეწერა
ლექტორი დავით აღმაშენებელსა და რუსთაველზე გვესაუბრებოდა.

მწერლებს და მწერლობას ძალიან დიდ მოთხოვნებს უყენებდა –
ენების ცოდნა, მოგზაურობა, საკუთარი აზრი, მაღალი აკადემიში და
სხვა მწერლის აუცილებელ თვისებად მიიჩნდა.

საუბედუროდ, ამის გამო შევესიგყვე:

– მოგ მწერალს უმაღლესი სასწავლებელი თვალთ არ უნახავს,
მაგრამ... არ დამამთავრებინა ისე შემეკითხა:

- ვინ გყავს მხედველობაში?
- გორკი.
- იცი, რა იყო ან რას აკეთებდა გორკი ახალგაზრდობაში?
- არსად არ უსწავლია. პაცანა ბიჭი იყო.
- პაცანი იყო და ახლაც პაცანია.

საბჭოთა კავშირში პირველ კაცად აღიარებული, პირველი პროფესორული მწერლისა და ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის აუკად მოხსენიებამ არა მარტო გული მაგკინა, არამედ კიდევ შემაშინა, ვაი თუ ვინმემ ცეკას აცნობოს და მან ჩემზე აილოს-მეთქი ვჭვი.

შემდეგ, როდესაც ბუკინისგებში მისი „ახალი ევროპა“ შევიძინე და წავეკითხე გულზე მომეშვა. პუშკინი, გოლსტოი, ლერმონტოვი, დოსტოვესკი და სხვები ისეთნაირად აქვს გარჩეული, მისგან გორკის შეუფასებლობა არც უნდა გამკვირვებოდა.

ერთხელ, სხვების წაქეზებით, როგორღაც გავბრიყვი და რომელიღაც გერმანული სიგევის რუსული თარგმანი ვკითხე.

ერთი მაგრად შემახურა და მერე დამაბარა:

– ვინც ვითხრა, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ რუსული ენა არ იცისო, თვითონ ისწავლოს ლაპარაკის დრო და ადგილი. მე ვიცი სად, რომელ ენაზე უნდა ვილაპარაკო.

საკუთარის უარყოფა და სხვისგან ნათხოვართი სასაცილო კოპწიაობა თუ რამდენად საშიშლარია, პირადად მე ამ დიდი კაცისაგან ვისწავლე და მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ რა სასაცილოა და როგორი მეჯღანუაშვილია ის, ვინც „კარგის“ ნაცვლად „ხარამოს“ ხმარობს, ხოლო დამახინჯებული ლათინური წმინდა ქართულს ურჩევნია“.

„დიდი ქართველი“ (შალვა დადიანი) – „ბუნებას მთელი თავისი მადლი და ღიღება მართლა დაუმადლებლად გაუმეტებია ამ კაცისათვის. მომხიბვლელი გარეგნობა და მომაჯადოებელი სიმშვენიერე ერთიმეორეს ავსებდა მის პიროვნებაში.

სხვადასხვა დროს ნათესავეებთან მის მიერ პირადი წერილების წაკითხვის საშუალება მქონდა. მათში სხვა შალვა დადიანი არ დამინახავს – მუდამ საზოგადოებრივი ცხოვრებით მსუნთქავს პირადი ცხოვრება არ ქონია. რიგით უბრალო ადამიანებზე უბედურიც იქნებოდა, მარტო პირად ცხოვრებაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული. პირად ცხოვრებაში ნაცვლად სამღურავისა უფრო მეტად თავის ბედს დასცინოდა. ალბათ მუდამ საიდუმლოებით იქნება მოცული თუ რატომ არც ერთმა ქალმა ბოლომდე არ ინდომა მასთან მეგობრობა. ავტობიოგრაფიაში თავისი ცხოვრების მოუწყობლობას მწერლის საყოველთაო ბედით ხსნის და მგონი ხუმრობს კიდევაც.

პირადი ყოფა-ცხოვრება და ოჯახი არასოდეს ყოფილა მისთვის მყუდრო თავშესაფარი. ბევრისაგან გაწბილებულმა ხელზე მოსამსახურე დაისვა ცოლად, რომელმაც ისე გაამწარა, კინაღამ იმსხვერპლა. მღაბიოდ



შალვა დადიანი
სლმ №9464-ი

შობილის გაბუნეირება სცადა ალბათ დიდმა ჰუმანისტმა და სასტიკად დამარცხდა. ქალს მარგო იმ მამაკაცის გაბუნეირება შეუძლია, რომელსაც შესწვდება. ოჯახური ფერმის ჭუჭყსა და მონურ მორჩილებას უფრო აიგანს ქალი, ვიდრე ქმრის მიუწვდომელ სიმაღლეს. მოახლე ქალმა, ცოლად გახდომის შემდეგ, არც ქმრად იწამა ხალხის რჩეული და არც ბაგონად. განდიდებულმა მოახლემ თვითონვე მოინდომა ბაგონად გახდომა და ქმარი მოახლის უუფლებო მდგომარეობაში ჩააყენა. მონად შობილს სხვანაირად არც შეეძლო მოქცევა. ბუნებით მონამ თუ სოციალურ თანასწორობას მიაღწია უმაღლე სხვეების დამონებას დაიწყებს. შეიძლება შალვა დადიანის ოჯახური კომედიის მიმუხსავ ჩვენი საზოგადოებრივ ყოფიერების სიღრმეში ქონდეს ფესვები. თავისუფლება და თანასწორობა მხოლოდ იმისათვის არის ბუნეირება და სიკეთე ვისაც საკუთარი თავი გააჩნია.

შალვა დადიანი კარგი მჭერმეცვეელი ორაგორიც იყო და რაგომღაც სხვებისაგან არ მსმენია ამის შესახებ. გურიაში ეგნაგე ნინოშვილის საფლავზე მისმა სიგყვამ ყველა მოხიბლა ორიგინალობით. ბევრი ვინმე, რომელსაც ორაგორული ხელოვნებით თავის გამოჩენის წადილი არ ასვენებს, ახალი დროების ქება-დიდებითა და ძველის უადგილო ლანძღვა-

გინებით წინაპრებს შეურაცხყოფას აყენებს, ხოლო თანამედროვეებს არცხვენს. შალვა დადიანმა გულში ჩამწვდომად მოაგონა გურულებს ოდესღაც სამეგრელო-გურიის ფეოდალური კინკლაობის ამბავი გურიის აჯანყებასთან დაკავშირებით. დარბაისელ ქართველს არც საკუთარის ქებით დაუმცირებია თავი და არც წინაპრების აუგით დაუწყია მლიქვნელობა საზოგადოების წინაშე:

– ჩვენ ახალი დროების შვილები ვართ და მეც, ძმურად მოსული დადიანი და არა იმ ღუხჭირი დროებისა, რომლის შესახებაც ჩვენი სახელოვანი ეგნაგე წერდა“.

მოგონების ავტორი წუხს, რომ ეს სიტყვა არ არის დაკული და სურვილს გამოთქვამს, იქ დამსწრეთაგან თუ ვინმეს ახსოვს იგი, ალაღ-გინოს.

„შალვა დადიანს ესმოდა ხალხის და ხალხმაც ამიგომ გაუგო. საქართველოს ყველა კუთხეში ერთნაირი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ.

მისგან გამიგონია, ღუშეთის საარჩევნო ოლქში ხმის მისაყემ ერთ-ერთ ბიულეტენზე ასეთი წარწერა აღმოჩნდა:

ჩვენო შალვა დადიანო,
ხმის მიყემა გეწადიანო.
შენც ისე არ გაგვიკეთო,
როგორც სხვები სჩადიანო.

შალვას ნამდვილად ისეთი არა გაუკეთებია-რა, როგორც სხვები სჩადიოდნენ. წოდება და მაღალი მდგომარეობა მაშინაც არ გამოუყენებია პირადი დიდებისათვის, როდესაც მის მემკვიდრეობით უპირატესობას ვაძლენა და გასაავალი ქონდა.

სამგრეღიაში სტუმრად ყოფნის დრო მთლიანად ხალხის გაცნობას მოახმარა მწერალმა. ხშირად განგებ გაურბოდა საზეიმო მიღებებს და სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდებოდა იქ, სადაც არავის ეგულებოდა. კოლმეურნეები ჯერ ფართობში გაიცინო, ხოლო შემდეგ შეხვდა მათ ლიგერატურულ საღამოსა და ვახშამზე.

ეწერის კოლმეურნეობაში ერთი კვალი ჭარხლის გამარგელისათვის 0, 76 შრომადღე დაუწერეს და სახელდახელო საერთო კრებაზე კოლმეურნეობის საპატიო წევრად მიიღეს.

თბილისიდან ჩამოსვლის პირველივე დღეს სადილობისას გაძნელდა მისი მოძებნა – საკოლმეურნეო ბაზარში წასულიყო ხალხის გასაცნობად. სამგრეღის ბაზარში იმ დროს გლეხებს ურმებაზევე ქონდათ გაშლილი

გასაყიდი საქონელი, აქვე გაეშალათ სუფრა. გალახში ფეხზე მდგომნი ტრადიციული სადღეგრძელოებით ამხნევებდნენ ერთმანეთს. შალვა დადიანი გლეხებს შორის ამგვარ პურმარილზე მოქეიფე აღმოვაჩინეთ. ღვინოსთან ერთად გალახშიც ისე მონათლულიყო არ იცნობოდა. თუმცა გლეხობას ამაგი რომ არ დაუკარგოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ისე უყურადღებოდ მიეგოვებინათ, როგორც შინაური თავისიანი – ზოგს ჩალის ფუჩეჩით გაეწმინდა მისთვის გაგალახიანებული შარვალი და ზოგსაც დანით გაეფხიკა. პირდაპირ თავზე ევლებოდნენ და სულში იძვრენდნენ ამ უზარმაზარ კაცს“.

შალვა დადიანის სტუმრობისას მოგონებების ავტორს ერთ-ერთ სუფრაზე უთამადა – „სწორუპოვარ თამადასთან სუფრის გაძლოლა არც ისე იოლი იყო და ამიგომაც რაიონის ხელმძღვანელები თავს გაუფრთხილდნენ და მე გამიმეგეს. სუფრას ეროვნული მიმართულება მივეცი და ნაცვლად მლიქენელურ მათებლური სააგიგაციო პოლიტიკისა და მგონი ამან გადამარჩინა. – დიდი ქართველი დარბაისლურად მიდასტურებდა ნათქვამს:

- დიდებულია ბაგონებო!.. დიდებული!
- ქართული სუფრა თეატრია – თამადა რეჟისორი.

სადილის დამამთავრებელ სადღეგრძელოში „კარგი ქართველის“ მაღალი წოდებით დამაჯილდოვა დიდმა შალვამ. მისი სიგყვებით მე თურმე გაავამართლე ის, რაც თავისი ნათესავეებისგან ქონდა გაგებული. თუმცა ჩემთვის მაინც ორამროვან გამოცანად დარჩა – მუდამ ჩემს პლებეურ წარმოშობა-აღმზრდაზე ირონიით მოლაპარაკე, ენაკვიმატ ალიოშა დგებუაძის ნათქვამს თუ გულისხმობდა, მაშინ ბევრი არა დამრჩენოდა-რა საამაყო.

ვინც მთაწმინდაზე ამაღლდა იგი მკვედრად არ ჩაითვლება. შალვა დადიანი მოკვდა, მაგრამ არასოდეს არ მოკვდება გაზაფხულის მარადიული სიმწვანე, რომლის ერთი გოგი ფანჯრიდან გარეთ, უკვდავ მარადიულ სიცოცხლეში ეპაგიეებოდა სარეცელზე სიკვდილის წინაშე გაღიმებულ ქართველ მწერალს. თავისთავადი იყო ყოფილი თავადი შალვა დადიანი“.

„ქართველი ფილოსოფოსის ბედი“ (მოსე გოგიბერიძე) – პირველი ჩემი დიდი ალგაცება იყო პროფესორი მოსე გოგიბერიძე. უაღრესად რთულ ფილოსოფიურ საკითხებზე ჩანაწერების გარეშე გვესაუბრებოდა, ლიტერატურაც შეპირად დაგვისახელა და ორი თავისი წიგნიც მიგვითითა.

- რამდენიმე დღის შემდეგ ასისინდნენ:
- ბერლინში აქვს დამთავრებული!
- ჩვენი არაა!



მოსე გოგობერიძე

- ბურჟუაზიულია...
ლაპარაკის დროს გურუ-
ლად უქცევდა. თავისი სიმპატი-
ებისა თუ ანტიპატიების დაფარ-
ვა არ შეეძლო. დაურიდებლად
ყველგან და ყველასთან ამბობ-
და რა ან ვინ მოსწონდა და ვინ
ეჯავრებოდა.

ვინაიდან მარქსისტულ ფი-
ლოსოფიაში ქართულ ენაზე
საჭირო ლიგერაგურა ძნელად
იმოუვებოდა, კლასიკოსების ორ-
გომიანი ქრესტომატიის გამო-
ცემას შეგვეპირდა, მაგრამ არ
დაუბეჭდეს.

ჩვენი შეკითხვის პასუხად
გვიპასუხა:

- არ ბეჭდავენ!
- რომ გვჭირდება?
- თქვენ გჭირდებათ, მაგ-

რამ „ვოსნიზაგში“ რომ ვირი მის იმას არ სჭირდება ფილოსოფია.

იმ დროს ასეთი რამის თქმა სგულენგთა აუდიტორიაში კი არა, ორ
ნაცნობთანაც საშიში იყო - სახელმწიფო გამოცემლობას საყოველთაოდ
ცნობილი ბოლშევიკი ბარონ ბიბინეიშვილი განაგებდა. ამხანაგ ბარონს
ერთ დროს ვალმურთებდი მის მოგონებაში წაკითხული ქუთაისის ციხის
გვირაბის გაყვანის გამო და იმისთვისაც, რომ სიღარიბეში გაზრდილი
კაცი იყო - „მშობლების მიერ აღებული ვალით რომ თბილისში ჩავედი
და მდიდარი ხალხი ვნახე კლასობრივი სიძულვილი ვიგრძენიო“ - წერდა
თავის მოგონებებში. ამ სიგყვებმა გული გამითბო როცა წავიკითხე,
მაგრამ მოვგყუედი. გაგონილს, როგორც იგყვიან, ნახულმა აჯობა -
კარგად ჩაემულსა და ჩახუქებულს პროლეტარობისა არაფერი ეგყობოდა.
სამსახურის სათხოვნელად მისულს უკმეხად შემხვდა - „რამდენი
სგულენგი დაეხეგება თბილისში, სადა მაქვს სამსახურიო“.

ბერლინში აღზრდილი გოგობერიძე კი ყველაზე მეტად ჩვენი
აღმონდა. შინაურ ამბებს გვეკითხებოდა, თანაგვიგრძნობდა.

ყველა საკითხსა და მოვლენაზე საკუთარი აზრი ქონდა. ნიკო მარი
იმ დროს ენათმეცნიერების მარქსად იყო აღიარებული, იაფეგოლოგიასა

და დიალექტიკურ მაგერიალიზმს არც ანსხვავებდნენ ერთიმეორისაგან. მარისა და მისი მოძღვრების მიმართ დაეჭვება მარქსიზმის წინააღმდეგობას ნიშნავდა. სემინარული მეცადინეობისას ვილაყამ თავი გამოიჩინა და დიალექტიკური მაგერიალიზმის თემაში მარი ჩართო. ყველა თავისას ამბობდა, პროფესორი კი გვახელებდა და გვადიმიანებდა. შემაჯამებელ სიტყვაში იაფუგლოლოგიისა და მარქსიზმის კავშირს გვერდი აუქცია და განაცხადა: „მეგობრებო! თქვენგან გამხელას არ მოველი და ნიკო მარს, რომელიც უდავოდ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერია მარქსთან მთლად ისე კარგად ვერა აქვს საქმე, როგორც ახლა გვონიათ. არ დაგავიწყდეთ ჩემი ნათქვამი და ოდესღაც რუსის ბარაბანზე მეგი მოხვდება ამის გამო“.

მიუსხედავად იმისა, რომ ჩვენი ჯგუფი გამორჩევით უყვარდა, მაინც გვერდი აუარა მარქსიზმისა და მარიზმის შედარებას – თუმცა სხვაგან ისე გულახდილად არ საუბრობდა როგორც ჩვენთან. ერთხელ ამის გამო მადლობა რომ მოუხვადეთ გაეხარდა, კეთილშობილი სახე უფრო მშვენიერი გაუხდა, მგონი, ცოგა შერცხვა კიდეც და უხერხულობა რომ დაეფარა გვითხრა – „მეგობრებო! თქვენ არ იცით და აგერ, ქვევით კოოპერაციულ ინსტიტუტში, ნოქრებთან რომ ლექციას ვკითხულობ ფილოსოფიაზე, სირცხვილითა და ჩემი ცოდვით კედლები წითლდებიან და სკდებიან“. არ მოსწონდა რომ ფილოსოფია ყველა დარგის უმაღლეს და სამუშალო სასწავლებელში სავალდებულო საგნად იყო შემოღებული. ამ თვალსაზრისს სტუდენტობა არ ვიზიარებდით. თუ ყველა რიგით მოქალაქეს მარქსისტული ფილოსოფიური მაგერიალიზმი არ ეცოდინებოდა, ისე შეუძლებლად მიგვაჩნდა სოციალიზმის განხორციელება“.

ვ. ნინუა აღნიშნავს, რომ ზოგიერთების აზრით შალვა ნუცუბიძე დიდი აუდიტორიის, ხოლო მოსე გოგიბერიძე საუნივერსიტეტო კათედრის ორაგორი იყო. ამ აზრის გასაბათილებლად იგი ივონებს:

„ვინც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში გამართულ ისტორიულ დისკუსიას დაესწრო, მარტო მას შეუძლია ილაპარაკოს მოსე გოგიბერიძის ორაგორულ ხელოვნებაზე.“

მაშინდელი წითელი პროფესორის, დიპლომიან ფილოსოფოსებთან ერთად, ამ დისკუსიას საქართველოს აღიარებული ძალებიც ხელმძღვანელობდნენ პეტრე შარიას და ივანე ვაშაყმაძის სახით.

იდეოლოგიურ ფრონტზე მთავარ ამოცანად იღვა დემორინშინისა და კონდრაგიევშინის ნაშთების ლიკვიდაციის საკითხი, საჯარო დისკუსიებიც სწორედ ამ მიზნით ეწყობოდა. მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპიდან შემოსული განმანათლებელთა თავების რეკონსტრუქცია იყო გათვალისწინებული. თავების რეკონსტრუქციაზე მაშინ აშკარად წერდნენ

და ლაპარაკობდნენ.

ღია კარების სამგვრევად არავის ეცალა – შალვა ნუცუბიძის, მისი მოწაფე კოტე ბაქრაძის, პროფესორ მოსე გოგიბერიძის, „თავად ილია ჭავჭავაძის“ დამცველი სიმონ ხუნდაძის, „კაციჭამია“ ჯავახიშვილებისა და სხვათა განადგურება იდგა ღღის წესრიგში.

შალვა ნუცუბიძემ ავადმყოფობა შემოთვალა და დისკუსიაზე არ გამოცხადდა, ივანე ჯავახიშვილი საერთოდ არსად არ დადიოდა. უნივერსიტეტიდან გაძევების შემდეგ ჩაიკეცა და არავინ იცოდა რას აკეთებდა. გ. ჯავახიშვილს, გეოდეზიის ერთადერთი სახელმძღვანელოს ავტორ ბენაშვილს და პოზიტიური მეცნიერების წარმომადგენლებს ნამდვილად არაფერი გაეგებოდათ ახალი, მღელვარე დროებისა. გიორგი ჯავახიშვილი გაოცებული იყო თავისი საგნის, ზოოლოგიის, პოლიტიკის მოთხოვნით.

კოტე ბაქრაძემ კამათში მონაწილეობა არ მიიღო. გარინდებული ისმენდა თავზე დატეხილ მუხის გრიალს. შალვა ნუცუბიძის „მოწაფედ“ დამცირებით მოიხსენიეს, ვითომ ჩვენ მარქსის მოწაფეები ვართ, ხოლო ბაქრაძე მოძღვრებას მოკლებული კაცის მიმღევარიაო. კოტე მარტო შესვენების დროს ეღავებოდა ზოგიერთებს, მაგრამ რას – ვერ გავიგონე, ახლოს მისვლა არ შემეძლო.

მარტო მოსე გოგიბერიძემ შეძლო უღმობელი იერიშების მოგერიება. პრეზიდიუმმა აუდიტორიის წინააღმდეგობის გამო ვერ შეძლო რეგლამენტით მისი შეშლუღვა.

გამის გრიალით და „მართალიას“ ძახილით ამხნევებდა პროლეტარული სტუდენტობა თავის საყვარელ პროფესორს.

არა, ეს არ იყო ფილოსოფიური პაექრობა. არაკჩევეობა ზეიმობდა თავის გამარჯვებას. ორი ცოდოგადიდებული არაკჩევეი იჯდა პრეზიდიუმში. მამინ ძნელი იყო ვინმეს ეფიქრა, რომ ისინი იმისათვის იყვნენ განწირულნი, რასაც ასე გულმოდგინედ ამზადებდნენ სხვებისათვის.

კათედრა ემაფოტს წარმოადგენდა, ხოლო მეცნიერული თეორიები სისხლის სამართლის კოდექსებად გადააქციეს.

ჩვენი მეგობარი მოსე გოგიბერიძე კათედრამ ვერ დაიგია. მთელი ტანით წარსდგა ხალხით გაჭედილი დარბაზის წინაშე. ღია სცენის ნაპირიდან მსმენელებთან ხელისხელჩაკიდებული იბრძოდა იგი მეცნიერული ჭეშმარიტების დასაცავად და კიდევაც გაიმარჯვა.

ღიდ ცოდნასთან ერთად ღიდი მჭერმტყვევლების გარეშე წარმოდგენელი იყო იმ დროისათვის ასეთი უჩვეული ამბავი. მას არც ის დარჩენია შეუნიშნავი, რომ მას აბეზლებდნენ, როგორც საბჭოთა წყობი-

ლების მგერსა და მოღალატეს.

სიკედელის აჩრდილით გაედენთილ დარბაზში მხოლოდ ორჯერ გაისმა სიცილი. პირველად მაშინ, როდესაც მოსეს წინააღმდეგ გამოსული „მარია ვოსტოკას“ რუსულ ენაზე მოლაპარაკე რედაქტორი მის მიერვე აკეიაგებული სიტყვა – „ვააბშეს“ შეძახილებით გააქციეს სტუდენტებმა ტრიბუნიდან. მოსე გოგიბერიძემ პრემიდიუმს მიმართა – „ხომ არ ფიქრობთ, ისიც მე დამაბრალოთ, რედაქტორი ისე განათლებული რომ აღმოჩნდა ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაშიც რომ ვერ ერკვევა?“. ტაშის ვრიალმა დარბაზი აიგანა.

ორაკორმა დაიწყო თავისი ერთსაათიანი საპასუხო სიტყვა. ადგილებიდან გახშირდა წამოძახილები – „მართალია!“, „სწორია!“, „კარგია!“ მასიური დასტურითა და მოწონებით აღფრთოვანებულმა პროფესორმა თავი ვერ შეიკავა და გურულად მოუქცია:

– თუ ყველაფერი ეს მართალია, მაშინ რა გინდებიენ, მეგობრებო, ჩემთან?

დარბაზში ხარხარი ატყდა.

პრემიდიუმში მჯდარმა მრისხანე სახეებმა არაკჩევეის ნილაბი მოიხსნეს და აღამიანური ღიმილი გაიხსენეს.

უკანასკნელი საჩუქარი, რაც მისგან მიიღო ქართველმა ინგელიგენციამ, ეს არის ფილოსოფიის ისტორიის დიდგანიანი წიგნი, რომლის მეორე ტომის დასრულება არ დასცალდა კი არა – არ დააცალეს.

ახალგაზრდობის გონების განვითარებისათვის თავდადებული ინგელიგენტი, სამშობლოს ღირსეული შვილი, პროფესორი მოსე გოგიბერიძე ვიდაც გონებაჩლუნგი გარეწარის ხელით დაჯღაბნილმა დაბეზღებამ იმსხვერპლა. მეოცე საუკუნის ჩვენი ეროვნული კულტურა წვეთია კაცობრიობის ისტორიაში იმასთან შედარებით, რაც იქნებოდა იგი სამშობლოს ღირსეული მოამაგენი ცოცხლად რომ არ დაგვემარხა“.

„დარბაისელი ქართველი“ (სიმონ ჯანაშია) – დარბაისელი ქართველი კაცი. ყოველგვარ მდგომარეობაში ღინჯი, მაღალი და სიბინძურისათვის მიუწვდომელი. ივანე ჯავახიშვილს რომ ამუშავებდნენ ერთი სიტყვაც ვერ ათქმევინეს მის წინააღმდეგ. საქართველოს ისტორიის კათედრის ღია სხდომაზე პირდაპირ ეშაფოგი მოუწყვეს. პოეგმა ფრიდონ ნაროუშვილმა კი „პროლეტარული პოეგის დეკლარაციაში“ ასე მოიხსენია:

მოსპო საზღვარი „ტეგია“ გლუხმაყ,
გლუხმაყ ვადაჭრა მიჯნის პრობლემა,
მავრამ პროფესორს აწუხებს ეხლაც

მიჯნა სომხეთთან სად იმყოფება.
თვით პროფესორი ჯავეახიშვილი
და სხვა მრავალი ჯურის „ისტები“,
კაციჭაშია კოტეჯიშვილი
პლეადა წუნკალ შოეინისტებს.

ნაროუშილზე უფრო დიდებულებს ესროლეს გალახი ბრძენ მეცნიერს – დრო იყო ასეთი მაშინ და ბრბო ბობოქრობდა. დროზე მალლა დგომა პიროვნებისათვის გრაგელიაა, მაგრამ ისტორია მარტო წამებულთა სისხლით გაპოხიერებულ მდელიომე ხარობს და იმრდება.

სიმონ ჯანაშია ბუნების მაღლით ამაღლებული მეცნიერი და ივანე ჯავეახიშვილის ღირსეული მოწაფე იყო. ჩვენ, მის სტუდენტებს, არა ერთხელ დაგვინახავს იგი მაშინდელ დროებაზე ამაღლებული.

სიკვდილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მეცნიერი კათედრის საჯარო სხდომაზე, მაგრამ თავი არ დაუხრია. მშვიდად იწმენდა ოფლის წვეთებს გაფითრებულ სახეზე და არავე იცოდა, რომ იგი წამებისა იყო და არა იმ ბულისა, რომელიც უნივერსიტეტის №1 აუდიტორიაში ხალხის ჭედვის გამო იდგა. მოწაფისაგან ამაოდ მოითხოვდნენ დიდი მასწავლებლის დაგმობას. სიმონ ჯანაშიას მსგავსნი ერთეულები აღმოჩნდნენ, უმრავლესობას რომ ასეთი გამძლეობა გამოეჩინა, მეოცე საუკუნე უფრო ნათელი სახით წარსდგებოდა მომავლის წინაშე.

საქართველოს ისტორიის ახლად შედგენილი პროგრამის განხილვა ბევრს შეუძლებლად მიაჩნდა ძველის დამსხვრევის გარეშე. ძველი ივანე ჯავეახიშვილი იყო და იგი უნდა დაეგმოთ.

სიმონ ჯანაშია მოძღვარივით იდგა კათედრაზე და მისთვის ჩვეული სიღინჯით მსჯელობდა.

დარბაზი და პრეზიდიუმი შეთქმული აღმოჩნდა:

- ლექციას ნუ გვიკითხავ...
- ივანე ჯავეახიშვილზე ილაპარაკე.
- თავშეკავება დაცვას ნიშნავს.

მეცნიერი ყოველ წამოძახილზე ჩერდებოდა, მაგრამ პასუხს არავე აძლევდა. ცხვირსახოცს ფრთხილად იღებდა ლოყაზე და მერე ისევ იმავე სიღინჯით განაგრძობდა სათქმელს.

ვილაც ახლადგამომცხვარმა „პრივატმა“ აღუღებული კუპრი დაასხა კათედრაზე და სიმონ ჯანაშიასა და ივანე ჯავეახიშვილის წინააღმდეგ ბიძინა რამიშვილის გამოყენება სცადა. პოლიტიკური ეკონომიისა და კერძო კაპიტალის გამოჩენილ მკვლევარს უხერხულად მიაჩნდა საქარ-

თველოს ისგორიის საკითხებში ჩარევა. მის გამომწვევს კი პირიქით, მარქსის არსენალიდან მოწოდებული ყუმბარა სჭირდებოდა ჯანაშიას ციხე-სიმაგრის ასაღებად.

გამოწვევის პასუხად გაცეხლებულმა ბიძინა რამიშვილმა ადგილიდან ესროლა აბეზარ მოკამათეს:

– ვინ მოგვით უფლება ღამიმოწმით ისეთ საკითხზე რომელიც თვითონ არ გესმით? სიყალბეში ჩემს გამოყენებას ნუ ეცდებით!

ასეთნაირ გაბედულ თქმას არავინ ელოდა. სიმონმა ეს აუეთქებაც ისე მოისმინა თითქოს მას არ ეხებოდა.

ჯანაშიას ბრალს დებდნენ ივანე ჯავახიშვილის პატივისცემაში, იმაში, რომ არ გაილაშქრა ივანეს ნაციონალიზმის და მისი შრომის „ქართველი ერის ისგორიის“ რეაქციული იდეების წინააღმდეგ. ივანე ჯავახიშვილს ბრალს დებდნენ ისგორიის იდეალიზაციაში – „ფეოდალიზმის ოქროს ხანა“, „მეფე აღმამუნებელი“ და „მეფე ბრწყინვალე“ მიუღებლად მიაჩნდათ. ხოგბა-დიდებას ასხამდნენ რუს ისტორიკოსებს, რომლებიც თავიანთ მეფეებს „მრისხანედ“, „პალკინათ“ და „ქანდარმად“ მოიხსენიებდნენ.

სიმონ ჯანაშიასათვის მეცნიერება იყო მისი სინდისი და პირიქით. მეცნიერული სამყაროსაგან გათიშულ სინდისს არ ცნობდა. სტუდენტებთანაც ისე მორიდებული იყო ეს დიდი ადამიანი, როგორც მათთან, ვისაც თავის მასწავლებლად თვლიდა.

ოთხი სტუდენტი შევედით გამოცდამე. წინასწარი მოლაპარაკებით პირველს მე უნდა მეპასუხა.



სიმონ ჯანაშია
1928 წ.

მეცნიერი ღრმა ფიქრებში იყო გართული და საკითხების მოცემა დაავიწყდა. ვზივართ და ვუცდით ფიქრთა სამყაროში გაფრენილი გამოცდელის დაბრუნებას. კარგა ხნის შემდეგ წამოვდექი, შემნიშნავს და საკითხებს მომცემს-მეთქი. ფიქრებიდან გამოერკვა და მკითხა:

- დაამთავრეთ?
- არ დამიწყია.
- დიახ, ბოდიში! დაიწყეთ!
- საკითხები არა მაქვს.

უხერხულად აიღეწა. საკითხები ჩამოგვირიგა და ისევ თავის ფიქრებში ჩაიძირა.

პასუხის ღროსაც ეტყობოდა არ მისმენდა. მაგრიკული ჩამომართვა და „დამაკმაყოფილებელი“ გამიფორმა. ჩემს მერე არც ერთ სტუდენტს აღარ უპასუხია.

ერთ თვეზე მეტი იყო გასული, როცა პრორექტორ გიორგი ახვლედიანთან შემასწრო და ჩემთან დალაპარაკება მოისურვა:

- თქვენ საგანი ჩამაბარეთ?
- დიახ, ბატონო!
- დამაკმაყოფილებელი დაგიწერეთ?
- კმაყოფილი ვარ ბატონო...
- არ იყავით მომზადებული?
- ვერ გეტყვით.
- მიბოძეთ მაგრიკული!

მაგრიკულში საქართველოს ისტორიის სამიანი ჭიანი კბილივით ჩანდა. ბატონო გიორგი! ეს კაცი არ დამეხმარა შეცდომის გამოსწორებაში და აჯერ რამდენი ხანია დავეძებ.

- მერე ისევ მე მომიბრუნდა -
- სხვები რატომ არ შემოვიდნენ?
- შეწუხება მოერიდათ...

- ბატონო გიორგი! ნებას დამრთავთ შევასწორო?

- კარგი საქმე არასოდეს არ არის გვიანი...

- მაშ ასე... ამ დამაკმაყოფილებელს წინ დავუსვით ფრიადი და გამოვა ფრიად დამაკმაყოფილებელი, რაც სრულყოფილ ხუთიანს ნიშნავს.

მადლობის თქმა ძლივს მოვახერხე. როგორც შევატყვე ჩემი მოკრძალება ეამა და მითხრა:

- მეგობრები ვიქნებით“.

ბატონ ვ. ნინუას აზრით - „სიმონ ჯანაშიასგან მარგო ის დარჩა

გასაკვირი, რომ მან ნიკო ბერძენიშვილთან ერთად ხელი მოაწერა მეგისმეტად სქემატურ სახელმძღვანელოს, მაგრამ თუ იგი მხოლოდ კონსპექტი იყო სრული სახელმძღვანელოსი, მაშინ სასაყვედურო აღარაფერი გვაქვს.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასთან ერთად რამოდენიმე ხნით ჩაესვენა მისი გასაკეთებელი დიდი საქმე. სიკვდილით დაცემული მეცნიერი მთაწმინდამდე ამაღლდა, მისი საქმე კი საუკუნით მაინც ჩამორჩა – თანამედრობებით მოვაჭრე „მეცნიერები“ ვერ შეძლებენ ამ დიდი საქმის წინ წაწევას“.

ბაგონ ვალერიან ნინუას საკუთარი ნაწარმოებებიც აქვს. შემოგთავაზებთ ერთ ნაწყევებს, რომელშიც, ჩვენი ამრით, ავტორი მეტნაკლები სისრულით აფასებს იმ ისტორიულ მონაკვეთს, რომელშიც მას და მის თაობას მოუხდა ცხოვრება – „ვინც ბაგონის მორჩილებაში იმყოფება და მისი სურვილების შესრულება ევალება, მას ენა და მეტყველება აღარც სჭირდება. მონა-მორჩილს სმენა უნდა ქონდეს მახვილი და არა ენა. ჭკუა-გონება და მჭერმეტყველება დიდი სიკეთეა მხოლოდ იმისათვის, ვინც თვითონაა საკუთარი თავის ბაგონ-პაგრონი, ხოლო ვისაც თავისუფლება არ გააჩნია, იმისათვის უბედურებას წარმოადგენს“ („ვირის განაჩენი“).

ბაგონი ვალერიანი „პერესტროიკამდე“ გარდაიცვალა... ეს მოგონებები ნი-იან წლებში იწერებოდა.

და ბოლოს, უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ბაგონ რობერტ შაპავას აღნიშნული მასალის მოწოდებისათვის.

მარინე ყიფიანი

სსრკ-ის ბანკის ჩივილი

(ჩაწერილი ექიმ დავით კვიციანიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაქალაქში, 1948 წელს)

წინასიტყვაობა

ჩემი ცხოვრების მეშვიდე ათეულში გადავდექი. მთელი ამ ხნის მანძილზე ვცდილობდი, მხოლოდ სიკეთე და მეგობრობა დამეთესა. ბავშვობიდანვე თანდაყოლილი ბუნება, ხასიათი და ოჯახში შეთვისებული გრადიციები მიკარნახებდა, ჩემს აღმზრდელ სამოვადოებაში, მეგობრებში, ნათესავებში, ამხანაგებში, მეზობლებსა და ნაცნობებში, ყველგან, სადაც კი მიცხოვრია, მთელი ჩემი არსებით კაცთმოყვარეობა, მეგობრობა და სიყვარული ჩამენერგა. ყოველთვის ვცდილობდი, რომ შემუშავება და შეცხოვრა არა მარტო ჩემი ოჯახისა და ჩემი პირადი სარგებელისთვის, არამედ იმ ქვეყნისა და იმ სამოვადოების ინტერესებისათვის, სადაც დავიბადე, აღვიზარდე და ვსუნთქავდი მშობლიურ ჰაერს.

ამჟამად გადავწყვიტე მოკლედ აღწერო მთავარი მომენტები, ავტობიოგრაფიული შემთხვევები, რაც თავს გადამხლომა ჩემი ცხოვრების მანძილზე და გადავცე შეილებს, ვინაიდან ბუნებას, წუთისოფელს თავისი კანონები აქვს – განგებამ შეიძლება არ მომცეს იმის საშუალება, შეილებს შეპირად მოუთხორო ჩემი თავგადასავალი, ვინაიდან მათგან დროებით დაშორებული ვარ და არ ვიცი, მოვესწრები თუ არა შინ დაბრუნებას. თუკი ჯანმრთელობამ არ მიღალაგა, დიდად ბედნიერად ჩავთვლი თავს, რათა ჩემს შეილებსა და მეგობრებს ცოცხალმა უშუალოდ ვუამბო ყოველივე, რაც თავს გადამხდა ჩემი ცხოვრების საკმაოდ ხანგრძლივ გზაზე.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი ცხოვრების მოკლე აღწერილობით არ ვისახავ არავითარ სხვა მიზანს, გარდა იმისა, რომ ის დავუგოვო ჩემს შეილებსა და ახლო ნათესავ-მეგობრებს, რათა მათ მომიგონონ, როგორც მშობელი და როგორც მეგობარი. შევეცადე წინამდებარე რვეულში მოკლედ ყოფილიყო აღწერილი ჩემი ცხოვრების მთავარი და ღირსშესანიშნავი ამბები და ყველაფერი აღვადგინე მხოლოდ მეხსიერების მეშვეობით. უეჭველია, გამომრჩა მრავალი ისეთი შემთხვევა, რაც არ იქნებოდა ინტერესს მოკლებული, მაგრამ თუ განგება მაღირსებს იმ ბედნიერებას, რომ დაებრუნდე ჩემს საყვარელ შეილებთან და მეგობარ-ნათესავებთან, მაშინ შევძლებ აღვადგინო კიდევ ბევრი საინტერესო რამ, რასაც ყოველთვის ხალისით წაიკითხავენ ჩემი შეილები, შეილიშვილები და ნათესავ-მეგობრები.

დავიბადე 1881 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ ჭკალუაშში. მამაჩემი – ალექსი ლევანის ძე ჩიქოვანი – წარმოშობით თავადის წოდებისა იყო, მაგრამ მეტად მცირე მამული ჰქონდა და ოჯახს საკუთარი შრომით ინახავდა. ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ სოფელ გუმში. პაპაჩემი – ქაიხოსრო ჩიქოვანი – ყოფილა სახელოვანი და ამაყი ვაჟკაცი, თავისი დროის შესაფერისად მწიგნობარი და კულტურულად აღზრდილი. პაპაჩემს არ მოსწონდა ბაგონყმური უსამართლობა და თავის სიცოცხლეში მუდამ ებრძოდა მის თანამედროვე ლევან დადიანს, რომელიც ჩაგრავედა ყმა გლეხობას და ამავე დროს გარყვნილ, ალვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა. ამ დაპირისპირების გამო ლევან დადიანი მას მტრულად ექცეოდა და უმცირებდა მამულს, რის შედეგადაც მამაჩემმა მემკვიდრეობით მცირე საკარმიდამო მიიღო.



*მურზაყან (კონსტანტინე)
დადეშქელიანი*

შეპირი გაღმოცემით მამაჩემისა და სხვებისგანაც მსმენია, რომ ერთხელ სენაკის მაზრის სოფელ გორდიდან თავის სასახლეში ყოფნის შემდეგ ამალით ბრუნდებოდა დავით დადიანი, იმ ლევან დადიანის შვილი, რომელიც გლეხობასთან და პაპაჩემთანაც მტრულად იყო განწყობილი. მთავარი დ ვით დადიანი დასასვენებლად სოფელ გუმში შეჩერებულა ერთ წყაროსთან. შემთხვევით იმ წყაროსთან ცხენით გაუვლია ბაბუაჩემს, ლევან ქაიხოსროს ძე ჩიქოვანს. გრადიციის თანახმად, როცა მთავარი შეხვდებოდა, მგზავრი, თავადი იქნებოდა ის თუ აზნაური, ცხენიდან უნდა ჩამოშტგარიყო და ისე მისალმებოდა მთავარს. ბაბუაჩემს ლევანს, დაურღვევია ეს ძველი ეგიკეგი – ცხენზე მჯდომს მთავრისთვის ამაყად მიუცია სალამი და განუგრძია თავისი გზა. გაკვირვებულ დავით დადიანს უკითხავს, ეს ყმაწვილი ვინ არისო. მხლებლებმა უპასუხეს, რომ ის იყო ლევან ქაიხოსროს ძე ჩიქოვანი. მაშინ მთავარს, დავით დადიანს, უთქვამს: – ღირსეული შვილი დარჩენია ქაიხოსრო ჩიქოვანს, მხოლოდ მამაჩემის,

ლევან დადიანის, დათესილმა საქმეებმა დღეს მე პატივდება დამაკლდობა. დელაჩემი – კესა თადას ასული ემხვარი სამურზაყანოდან გახლდათ. მეგად კეთილი ბუნების ადამიანი იყო, გულმოდგინე მშრომელი. თადა ემხვარის მამა – სესერყვა ემხვარი იყო სვანეთის მთავარ კონსტანტინე დადეშქელიანის დეიდაშვილი. კონსტანტინეს და სესერყვას დედები იყვნენ დები, მარშანიას ქალები. სწორედ ამ კონსტანტინე დადეშქელიანმა მოკლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი.

სოფელ ზუმში იქ, სადაც პაპაჩემი ქაიხოსრო ჩიქოვანი ცხოვრობდა, ამჟამად ცხოვრობს ჩვენი ახლო ნათესავი ვარლამ შამას ძე ჩიქოვანი, საუკეთესო ადამიანი, რომელსაც საქართველოს ყველა კუთხეში იცნობენ. ვარლამ ჩიქოვანი განთქმულია თავისი სტუმართმოყვარეობით, პატიოსანი შრომით და ქართული გრადიციების დიდად ერთგულია. ზუმში ცხოვრობს აგრეთვე ჩემი მეორე ნათესავი და მეგობარი – ალექსანდრე მურზაყანის ძე ჩიქოვანი და პატიოსან გლეხურ შრომას ეწევა.

მე ვიყავი ჩვენი ოჯახის პირველი შვილი. ჩემი მომდევნოები იყვნენ – ძმები: ლევანი, კონსტანტინე, ვლადიმერი და სულ უმცროსი – და ნადია. უღმობელმა სიკვდილმა ჩამომამშორა სამივე ძმა და საყვარელი და – ნადია.

მიუხედავად ხელმოკლეობისა, მამაჩემს სულითა და გულით ეწადა ჩემთვის სწავლა-განათლება მოეცა. მიმაბარეს კორცხელის პირველდაწყებით სკოლაში. ჩემი მასწავლებელი იყო კალისგრაგე კობახიძე. სკოლაში ვერ გავამართლე მამაჩემის ძლიერი სურვილი იმის გამო, რომ სწავლა იყო რუსულ ენაზე და მე პირველ კლასშივე ვერასგმით ვერ შევეთვისე რუსულ ენას, იძულებული შევიქენი, სწავლისთვის თავი მიმენებებინა. ქართული წერა-კითხვა შევისწავლე ოჯახში, მშობლებისა და მეზობელი მღვდლის, ხვინგაის დახმარებით. მამაჩემი, ალექსი ლევანის ძე ჩიქოვანი, როგორც უკვე აღვნიშნე, სოფლის მეურნეობას მისდევდა და საკმაოდ უნარიანადაც. მას მეგად კეთილი განწყობა ჰქონდა მეზობელ გლეხობასთან და მუდამ ერთმანეთის ჭირსა და ღხინს იზიარებდნენ. მე ვესმარებოდი მამაჩემს ოჯახში და განსაკუთრებით შემეყვარდა ცხენოსნობა. მალე საკმაოდ გავიწვრთენი ცხენოსნობაში, იარაღისა და ხმლის ხმარებაში. თანდათან გავეცანი მეზობელი სოფლების ახალგაზრდობას. ყველგან – საჯარო შეკრებებსა და ღვთაწაულებში სიამაყით მეპატივებოდნენ. ძლიერ შემეყვარა ჩემი და მეზობელი სოფლის მოსახლეობამ. განსაკუთრებით ხარობდა ჩემი აღმზრდელის – ივანე ბენიავას ოჯახი;

მისი მეუღლე – უაღრესად კეთილი და სათნო ადამიანი ჩუჩი ჭოღარაძე ასული. მათ შვილებთან და შვილიშვილებთან დღესაც დიდი ნათესაობა გვაქვს. ასევე განუყრელად ვართ დაკავშირებული ერასტო ანთიასთან და სხვებთან.

მე ძლიერ მორიდებული ვიყავი, როგორც ჩემს მშობლებთან, ასევე ჩემს აღმზრდელებთან. ყოველთვის მქონდა დედ-მამის რიდი, მუდამ ეუჯერებდი მათ. მახსოვს, ორმოცდახუთი წლის ასაკამდე მამაჩემთან თამბაქო არ მომიწევია თამამად. მთელი მეზობლობა სიყვარულითა და პატივისცემით მეპყრობოდა და ზოგიერთმა მათგანმა მოგებულ შვილადაც ამიყვანა. მოგებულ შვილად აყვანა დიდ პატივდებად ითვლებოდა ჩვენს საზოგადოებაში. ამის ცერემონია ასე ხდებოდა: ის, ვისაც შვილად აიყვანდნენ, მიდიოდა მოგებულ შვილად ამყვანელთან. ქალი ძუძუმე აბრეშუმის ნაჭერს გადაიფარებდა, შვილობილი იჩოქებდა, ძუძუმე დაადებდა კიბლს და სამჯერ იგყოდა – თქვენ დედა და მე შვილიო. მე მოგებულ შვილად ამიყვანეს: ცაკვა ლაგვილაავამ, მანიაამ, ქობალიამ, ანთიაამ, თოდრიაამ და სხვებმა. შვილად მოგების შემდეგ საშვილიშვილოდ მტკიცდებოდა ძლიერი ნათესაური კავშირი, სიყვარული და დიდი მეგობრობა. საგრაბახოდ არ ვამბობ – ჩემი ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა და განმტკიცდა ხალხში, რომ მუბატონე თავადებიც მორიდებით ეპყრობოდნენ იმ ვლახობას, რომელთანაც მე ასეთი მჭიდრო ნათესაური კავშირი მქონდა და ვერ ბედავდნენ მათს დაჩაგვრას. როცა დავეაქკაცი და ოცი წლის ჭაბუკი ვავხდი, ჩემი ბედის ჩარხი სრულიად მოულოდნელად ისე უკუღმა დაგრიალდა, რომ ამ ამბავმა, როგორც ჩემი ოჯახი, ასევე ჩემი გამზრდელებისა და მეზობლების ოჯახებიც, ყველა მოკეთე მწარედ ააგირა და ხანგრძლივად დაანალვლიანა.

ბიძაჩემის – ზიდ ემხვარის – სიკვდილი და ჩემი განიშვირება

დედაჩემს, კესა თადას ასულს, ჰყავდა უმცროსი ძმა ვიდ ემხვარი, რომელიც განსაკუთრებულად უყვარდა. ვიდ ემხვარი მეგად ლამაზი, ახოვანი, წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო. მას მთელი აფხაზეთი და სამეგრელო პატივს სცემდა, როგორც უშიშარ პიროვნებას და კეთილშობილ ადამიანს. ბიძაჩემს ძალიან უკავრებოდა მეფის მოხელეები და ეანდარმები. ერთხელ ერთმა გავლენიანმა ამნაურმა, მარლანიაამ, ვიდ ემხვარის ძიძიშვილებს –

კივი ქეცბაიას და კუმა ბულისკირიას – შურაცხყოფა მიაყენა. ვიდ ემხვარი გამოექომაგა ძიძიშვილებს და მარღანიას სამაგიერო მიუზღო. მარღანიამ პოლიციას მიმართა. ვიდიმ განაგრძო ძიძიშვილების დაცვა და პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია; სასტიკად სცემა პოლიციელებს, რამდენიმე კაცს თოფები და მათრახები თავზე გადაამგვრია. ამის გამო ვიდი სამართალში მისცეს და გადაუწყვიტეს თორმეტი წლით ციმბირში გადასახლება. დედაჩემი და ჩვენ ყველანი სამინლად გულდაწყვეტილები დავრჩით. სულ რაღაც სამი-ოთხი თვის შემდეგ, ერთ საღამოს, მოულოდნელად მოგვადგა კარზე ციმბირიდან გამოქცეული ბიძაჩემი ვიდ ემხვარი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იგი დაღონებული დაჯდა და დედაჩემს ფრთხილად უთხრა – მე იმისთვის გამოვიქეცი, რომ ჩემი ერთადერთი ობოლი ბავშვი გამზრდელს ჩავაბარო. მინდა მთელი სახლ-კარი გაყვილო, რაც ბავშვის აღზრდას დასჭირდება, ყველაფერი გამზრდელს დავეუგოვო და უკან დავბრუნდე სასჯელის მოსახდელად, რადგანაც მე ბუნებით ყაჩაღი არა ვარ და გყე-ღრეში ხეგიალს ვერ შევეგუებო. ისიც თქვა – თუ ბოროტმა ადამიანებმა და პოლიციამ ამის გაკეთება არ დამაცადა და დევნა დამიწყეს, სულერთია, მათ ცოცხალი არ ჩაებარდებით. მეორე დღით, აღრინადა, შეიარაღებული ბიძაჩემი აფხაზეთს გაემგზავრა. რამდენიმე თვის მერე, საღამო ხანს, ისევ გამოგვეცხადა. მე იგი ძლიერ მიყვარდა და მასაც უსაზღვროდ ვუყვარდი. მამაჩემი შინ არ იყო. ჩვენ დიდად გაგვახარა მისმა გამოჩენამ. დედამ ვახშამი გააწყო. ბიძამ გვითხრა, რომ ყველაფერი მოაგვარა, გაყიდა, რისი გაყილევ სურდა – ბავშვი მიაბარა გამზრდელს და ხვალ დღით ისევ უნდა გაბრუნდეს ციმბირში სასჯელის მოსახდელად. აქედან ცხენით სამგრეღიაში ჩავალ და შემდეგ კი მაგარებლით გავემგზავრებო. მერე მიუბრუნდა დედაჩემს და უთხრა – ჩემო დაო, არ შეგეშინდეს, მე აქ ისე მოვედი არავის შევეშინევივარო. ნაეახშმევეს დასაძინებლად დაეწეით. დედაჩემი დიდხანს მუხლმოდრეკილი ლოცულობდა და ღმერთს ავედრებდა ქმარ-შვილსა და ძმას, რომ ხიფათს გადავრჩენილიყავით ყველანი.

გათენება მოახლოებული იყო, როცა მომესმა ცხენების ფეხის ხმა და უკმეხი ძახილი: გვანჯი, ჩქარა ადექი, თქვენთან რომ ციმბირიდან გამოქცეულს ძინავს, ახლავე ჩაგვაბარეთო. მე ურიაღნიკი ცხომელიძე ვარ, მთელი რაგმი მახლავსო. გაფრთხილებთ, ყველანი დაიხოცებით, თუ წინააღმდეგობა გაბუდეთო. რევოლვერმომარჯვებული ვიდი ელვისებურად გაიჭრა გარეთ და გასვლისთანავე ერთ ყაზახს პირში დაახალა

ტყვია და გაიქცა. ატყდა გამაყრუებელი „მალპი“. მე რაც ძალი და ღონე მქონდა ვყვიროდი – აქ არავინ არ ყოფილა ციმბირელი, მხოლოდ მშვიდობიანი მასპინძლები ვართ და სროლა შეწყვიტეთ-მეთქი. როცა სროლამ იკლო, შემოებრუნდი სახლში და ვხედავ – გიდის თოფი დარჩენია. დავავლე თოფს ხელი, შევჯექი ცხენზე, მოკლეზე გადავედი და გზა გადავუჭერი გაქცეულ ბიძაჩემს. სანამ მე დავეწეოდი, მემობელს, ბახვა ბენავას მიეწოდებინა მისთვის შეკაზმული ცხენი. მე რომ მივედი, ძალიან გაეხარდა, მხოლოდ ნამეგანი წუხდა, დავლუკე ჩემი დის ოჯახით. თოფების სროლა ჯერ კიდევ ისმოდა, როცა სამიშ ადგილებს გავშორდით. გიდი მომიბრუნდა



გვანჯი ჩიქოვანი და მისი ბიძა (დედის ძმა) გიდ ემხვარი

და მითხრა: ჩემო ბიძია, შენ ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი ხარ. ახლა დაბრუნდი ოჯახში დედასთან და გული გაუმაგრე მას. აქ მე შენ ვერაფერს გამიკეთებ, პირიქით, შენს გამო, შენი სიბრაღულით, როცა დამპირდება საჭირო სიმაგრეს და ვაეკაცობას ვერ გამოვიჩინო. მე ნუ გეცოდებით, საკადრის პასუხს გავცემ ჩემს მტრებს და განსაკუთრებით იმ სამიზდარ ჯაშუშს, რომელმაც ჩემი დის ოჯახი ააფორიაქა და გაამწარაო. მართლაც, ერთი კვირა არ იყო გასული, რომ ის ბოროტი ჯაშუში ბიძაჩემმა საიჭიოში გაისგუმრა.

იმ შეგაკების მეორე დღეს ჩვენს სოფელში მაზრის უფროსი ჩამოვიდა მხლებლებითურთ და მოკლული ყაზახი წაასვენეს. მაშაჩემისთვის ხელწერილი ჩამოერთმიათ, რომ მე პოლიციაში გამოვეცხადებულყავი. მე და დედაჩემი, ორივენი, გამოვეცხადეთ მაზრის გამომძიებელთან და ყველაფერი ვუამბეთ. გამომძიებელმა საქმე მოსპო, ვინაიდან ვიდ ემხვარი შემთხვევით იყო მისული დის ოჯახში და დას არ შეეძლო სგუმრად არ

მიელო თავისი ძმა.

ეს იყო 1900 წლის 10 მარტს. ამის მერე ვიდი აღარ დაბრუნებულა ციმბირში, რადგან იქ უკვე გააგზავნეს ცნობა მისი გამოქცევისა და ახალი დანაშაულის შესახებ და გადასახლების ადგილზე ჩასულს უეჭველად სიკვდილით დასჯა მოელოდა. ის ახლობლებთან იმალებოდა და მშვიდობიანად ცხოვრობდა.

1901 წლის 20 ივლისს სტუმრად მივედი ჩემი ნათესავის კონსტანტინე დადიანის ოჯახში. შევედი თუ არა სახლში, დავინახე ბიძაჩემი ვიდი. გადავეხეეთ ერთმანეთს. იგი ცოგათი შეუძლოდ იყო და კონსტანტინე დადიანის სახლში დასასვენებლად მისულიყო. ამ ოჯახს ენდობოდა და ხშირად დადიოდა, ცხადია ძალზე ფრთხილად. თვითონ მასპინძელი შინ არ იმყოფებოდა, მთელი ოჯახით სტუმრად წასულიყო დასთან მეორე სოფელში. მე ვუთხარი – ბიძია ვიდ, დედაჩემს რაგომ არ ნახულობ-მეთქი. მან ამოიოხრა – ნეგა შენც არ მოსულიყავი, ბიძია, რადგანაც გუშინ ღამით, ისეთი სიმშარი ვნახე, რომ ვიცი, რაღაც საბედისწერო ამბავი უნდა შემემთხვესო და მომიყვება სიმშარი: მესიმშრა, რომ ამ ოჯახში ვარ და ებოში შემოდის უამრავი ბატი და რამდენიმე ინდაური, რომლებიც შეესივნენ კონსტანტინეს ბალ-ბოსტანს და დაიწყეს მისი განადგურებაო. კონსტანტინემ ესროლა მათ თოფი, მაგრამ ვერაფერი დააკლოვო. მაშინ მე გადმოვიღე ჩემი თოფი, მოკალი ორი ინდაური და ბატები დაფრთხენო. მან ჩაახველა და ჩაილაპარაკა – ვენაცვალე ჩემს თოფს (ხელი მოუსვა) მთლად იოლად არ დაუჯდება მტერს ჩემი თავიო. მე ვთხოვე – ჩემო ბიძია, რადგანაც ასეთი საგულისხმო სიმშარი გინახავს, აჯობებს დავგოვოთ ეს ოჯახი, ადგილი გამოვიცვალოთ-თქო. მან მწარედ ჩაიციხა და მითხრა – გლეხის ოჯახში რომ შემემთხვას უბედურება, ეს ძაღლები სამუდამოდ დალუპავენ იმ გლეხის ოჯახს და იმის ცოდვა საფლავშიც არ მომასვენებსო; კონსტანტინე დადიანი კი ადვილად მოუვლის თავსო. მე კიდევ დაბუჯითებით ვთხოვე, წავსულიყავით ერთ-ერთ საიმედო ოჯახში, მაგრამ მან მტკიცე უარი მითხრა. შემდეგ, როცა შეღამდა, მსახურს სთხოვა მისთვის ქვეშაგები წაეღო ბაღში. ჩვენც გავყევით და ბიძაჩემი ერთი დიდი წაბლის ძირში დაწვა. მე შევბრუნდი სასახლეში და ერთ ოთახში წამოწოლილმა, დაღონებულმა სხვადასხვა ფიქრებს მივეცი თავი. მთელი სოფელი ჭკადუაში ღრმა ძილში იყო. აქა-იქ ძაღლების ყეფა და ყმუილი ისმოდა. თურმე ის ღამე იყო ჩვენთვის და განსაკუთრებით ბიძაჩემისთვის საბედისწერო. იმ საღამოს შუგდიდიდან ოფიცრების – გოგოლიშვილის

და ბერიძის – წინამძღოლობით ასკაციანი ცხენოსანი პოლიცია ჩამოსულიყო. მათ გზას ასწავლიდა საზიზღარი ჯამუში ზურაბ პაპასკირი. ის დრო იყო თენდებოდა და მე ხელის შეხება ვიგრძენი. სწრაფად გავახილე თვალები და ლოგინზე წამოვჯექი. თავზე მადგა შეიარაღებული ჩაფარი. მან მორიდებით მითხრა – აბრძანდით, ჩაიყვით, გარეთ გიციდიანო. მე სწრაფად ჩავიცივი და გავედი. ვხედავ, მთელი სასახლე პოლიციის რაზმითაა გარშემორტყმული. ოფიცერი გოგოლიშვილი, ბერიძე და სხვები მეკითხებიან – აბა, ჩქარა თქვი, ვინ იმალება სასახლეში, იცოდე, მართალი გვითხარი, ვინზე საშიში პირი არ იყოს და არ დაგვხოცოსო. მე ბრამი მოშერიამ, მაგრამ თავშეკავებულად ვუთხარი – თუ სხვების დასახოცავად ხართ მოსულები, თქვენც სამაგიეროს უნდა ელოდეთ-მეთქი. მერე ისიც დავატანე – სასახლეში არის მხოლოდ მოსამსახურე და მეტი არავინ იმყოფება.

გოგოლიშვილმა ბრძანება გასცა, სასახლე გაეხსრიკათ. მე წინ წამიძღოლეს და მთელი სასახლე დიდი გულმოდგინებით გაჩხრიკეს. ყოველი ოთახისა თუ კუთხის გაჩხრეკის დროს მე განზრახ ხმამაღლა ვლაპარაკობდი, ვფიქრობდი, ეგებ ბაღში მძინარე ბიძაჩემს მისწვდეს ჩემი ხმა, გაიღვიძოს და თავს უშველოს-მეთქი. მაგრამ საუბედუროდ, მას ღრმად ჩასძინებოდა. დამთავრდა სასახლის ჩხრეკა. ოდნავ ინათა კიდეც. ვატყობ, უკვე წასვლას აპირებენ და იმედი მომეცა. გულმა ძგერას უმატა, სიხარული მეუფლება. ვფიქრობ, რომ ბიძაჩემი გადარჩა. ამ დროს ოფიცერმა გოგოლიშვილმა მარჯვნივ მოიხედა და ბაღისკენ მიმავალი ბილიკი შეამჩნია. მყისვე განკარგულება გასცა, ვნახოთ ეს ბილიკი სად მიგვიყვანსო. თავზარი დამეცა. ბილიკი მათ პირდაპირ მიიყვანდა წაბლის ძირში, სადაც ბიძაჩემს უძინა. რაზმელები მაშინვე დაადგნენ იმ ბილიკს და შურდულივით გაქანდნენ. არ გასულა ხუთი წუთი და თოფი ორჯერ გავარდა მედიმედ. ამას მოჰყვა განუწყვეტელი და გამაყრუებელი „ზალპი“. მე მაშინვე ვიძვრე მაუზერი, რომელიც ახალუხის სარჩულში მქონდა დამალული და გყვიასავით გავქანდი. ყველანი უბედურ ბიძაჩემს ესროდნენ. მე სისხლი ამივარდა თავში და დავიწყე სროლა, სანამ გყვიები არ გამითავდა, მერე კი გყისკენ გავიჭერი.

მთელი სოფელი ფუხზე დადგა. მოკლეს ბიძაჩემი ვიდ ემხვარი. დაღუპულმა თან გაიყოლია მისი მკვლელები, ოფიცრები – გოგოლიშვილი და ბერიძე. როგორც დამტკიცდა, ბიძაჩემისთვის, მძინარისთვის ესროლათ გყვია გოგოლიშვილსა და ბერიძეს. მას კი, დაჭრილს, ნამძინარეც,

სისხლში შეეკურებულს, ძალა მოეკრიბა და ორივენი გაეგმირა. მძიმედ იყო დაჭრილი, აგრეთვე, ცხრა პოლიციელი. გარშემო სოფლებს მოედო ეს ამბავი. აფორიაქდა, შეიძრა ხალხი. შემთხვევის ადგილზე გაჩნდა მთელი ზუგდიდის მაზრის მაშინდელი ხელმძღვანელობა. მოკლული ოფიცრები ზუგდიდში წაასვენეს. ბიძაჩემი იქვე დაასაფლავეს. ნათესავეებმა მეორე დღესვე ამოიღეს იგი საფლავიდან, წაასვენეს თავის სოფელში და იქ დაკრძალეს.

მე შესამე დღეს დავბრუნდი ოჯახში და მამაჩემისა და ჩემი აღმზრდელების რჩევით მაზრის პოლიციაში გამოვეცხადდი. ოჯახში დაბრუნებამდე, სამი დღე, მასწავლებელ კალისგრაგე აღშობაიას სახლში ვიმალეობოდი. კარებთან იდგა და მდარაჯობდა კალისგრაგეს პაგარა ძმა, ალექსანდრე. კალისგრაგე აღშობაია ციმბირიდან პირველი დაბრუნების დროს ვნახე ჩემი ძმის, ლევანის ოჯახში. მას უზომოდ გაეხარდა ჩემი დაბრუნება. იგი იქ იყო მასწავლებლად, როგორც აფხაზთა გრადიციების საუკეთესო მკოდნე და კარგი პედაგოგი. ამჟამად კალისგრაგე აღშობაია მეგად დამსახურებული, გამოცდილი ექიმი, ჰყავს შესანიშნავი შვილები და საზოგადოებას დიდ, უანგარო სამსახურს უწევს.

მემოთ უკვე ვთქვი, რომ მე შევასრულე მამისა და აღმზრდელების რჩევა და პოლიციაში გამოვეცხადდი. ჩემი ერთადერთი საზრუნავი ის იყო, როგორმე მიმეცა ისეთი ჩვენება, რომ პასუხისგებაში მიცემისგან გადამურჩინა კონსტანტინე დადიანი; გამომძიებულმა დაკითხვა როცა დამიწყო, ამგვარი ჩვენება მივეცი: მე მივდიოდი ჩემს საქმეზე და გზად შემთხვევით შემხვდა ბიძაჩემი, გიდ ემხვარი. იგი ავად გამსლარიყო და სადღაც აპირებდა წასვლას. მე ვუთხარი, შევიდეთ აქვე ჩემი ნათესავის, კონსტანტინე დადიანის ოჯახში, იქ ახლა არავეინაა მოსამსახურის გარდა, კონსტანტინე დადიანი მთელი ოჯახით მეორე სოფელშია სტუმრად-მეთქი. ბიძაჩემი უარზე დადგა, მაგრამ მე იგი ძალად ჩავიყვანე კონსტანტინე დადიანის სასახლეში, რადგან შეუძლოდ იყო და მინდოდა ცოგათი შეესვენა, მომჯობინებულიყო და მერე წასულიყო თავის გზაზე. პოლიცია არ დასჯერდა ამ ჩვენებას და ჩემთან ერთად კონსტანტინე დადიანი თავისი შეილიანად. მალე გადაგვაგზავნეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში და დაიწყო გამოძიება. გამოძიებას აწარმოებდა უფროსი გამომძიებელი ანდრეევი. ექვსი თვის ძიების შემდეგ კონსტანტინე დადიანი, როგორც ხანდამშული, თავლებით გამოუშვეს, მისი შვილი კი სულ გაათავისუფლეს. მე ისევ ზუგდიდის ციხეში ვადამოიყვანეს. ცოგა ხნის მერე დაინიშნა

სასამართლო. საქმე განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლოს გამსვლელმა სესიამ. საბრალდებო სკამებზე ვიჯექით მე და კონსტანტინე დადიანი. სასამართლოს თავმჯდომარეობდა დიდად უხეში და მკაცრი მოსამართლე ვინმე ეპოლჩინსკი. სასამართლო პროცესი ორ დღეს გაგრძელდა. პროცესს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ჩვენ გვიცავდნენ საუკეთესო ვეჭილები – ქიქოძე და ფაღავა. ვეჭილების გამოსვლისა და საბოლოო სიტყვების შემდეგ მთელი დარბაზი და მეც დარწმუნებული ვიყავით, რომ, როგორც მე, ისევე კონსტანტინე დადიანსაც გათავისუფლება გველოდა. განაჩენის გამოგანა მესამე დღისათვის გადასდეს. მე გამხნე-ვებული ვბრუნდები ციხეში და პატიმრებს ვუყვები პროცესის ამბავს, ყველა გახარებულია, მილოცავენ. მე დაეხვიე ხელი და ჩემი თბილი განსაცემელები ერთიანად ეგაპით გასაგზავენ პატიმრებს დაუურიგე საჩუქრად. გათენებას გულის ფანქვალით ველოდები. წაძინებისთანავე ენახე მეგად შემაშფოთებული სიმშარი, რომლის შემდეგ მთელი ღამე არ მძინებია. სიმშარი ასეთი იყო: მე და კონსტანტინე ვზივართ სასამართლოში საბრალდებო სკამებზე. უცებ ჩვენი სკამები გადაიქცა რკინის სალგეებად. კონსტანტინემ დაამსხვრია ეს რკინის სალგეები და გააღწია გარეთ. მე კი ვერ შევძელი სალგეების დამგვრევა და დავრჩი შიგ. ამ საოცარმა სიმშარმა მოსვენება დამიკარგა. ირგვლივ მყოფნი შეწუხდნენ. ყველამ, ვისაც თბილი ჩასაცმელები დაუურიგე, ენის უთქმელად დამიბრუნა უკან. დილის ათ საათზე გააღეს კარები და განაჩენის მოსასმენად წამიყვანეს. ქუჩაში მხვდება მამაჩემი და მტკიცე ხმით მეუბნება – შვილო, მოხუცებულობა ჩამიმწარდა, საქმე ცუდად წავიდა, შენს თავს მაშორებენ, მაგრამ იცოდე, არ შეგვარცხვინო, განაჩენი ვაქცაყურად მოისმინე, გირილი არ მოგერიოს, გამაგრდი და შენი შემწე ღმერთი იქნებაო. მე ძლივს შევიკავე თავი ცრემლებისგან და მამაჩემი დავამშვიდე – ნუ გეშინია, მამაჩემო, სირცხვილს არ გაჭმევთ, მე უკვე ვიცი წუხანდელი სიმშრით, რაც მომელის, მაგრამ მაინც გავუმაგრლები ყველაფერს და მაინც დავბრუნდები თქვენთან, ოღონდ თქვენ იყავით ყოჩაღად და დედაჩემი გაამხნევე-მეთქი. შევედივარ სასამართლოში, ყველა გაფითრებული შემომტყერის. მალე იღება კარები და შემოდის მსაჯულებით გარშემორტყმული სასტიკი და გულქვა მოსამართლე. მე მას გულგრილად ვუყურებ. მოსამართლემ განსაკუთრებული სიმკაცრით, ცივი, გამგვირავი ხმით წაიკითხა განაჩენი. დარბაზში მყოფთ გმინვა აღმოხდათ, ცრემლებიც წასკდათ.

მომისაჯეს ოთხი წლით კატორღა და შემდეგ სამუდამო გადასახლება

ციმბირში. კონსტანტინე დადიანი, როგორც მოხუცი და დამსახურებული პიროვნება, იმავე დღეს თავლებში გამოუშვეს და მძევლად შეატანინეს სამი ათასი მანეთი. ეს ფული გადაიხადა კოსტა ემხვარმა. კონსტანტინე დადიანი რჩებოდა ოჯახში, სანამ მის საქმეს არ განიხილავდა პალატა და სენატი და საბოლოოდ არ გადაწყდებოდა განაჩენი. სასამართლოდან რომ გამოვედი, ყურთასმენის წამლები გნიასი იღვა, მთელი ჩვენი საზოგადოება შეკრებილიყო და იქაურობას ქალების წივილ-კივილი და გირილი აყრუებდა. შემიყვანეს ციხეში. პატიმრები მანუგეშებდნენ, ყველას ვეცოდებოდი, ჩემი ახალგაზრდობის გამო. მესამე დღეს დაინიშნა ეტაპი, ქუთაისის ციხეში გადასაგზავნად. ამ დღეს ციხის კარებს მოადგნენ ჩემი მშობლები, აღმზრდელები, თითქმის ყველა ნათესავი და მეზობელი. მათ სთხოვეს ციხის უფროსს, მე დამლაპარაკებოდნენ. უფროსმა ნება დართო. რამდენიმე საათის განმავლობაში მეხვეოდნენ მშობლები, გამზრდელები, ნათესავები, მეზობლები და ამხანაგები. ძნელია აღწერა, რა ხდებოდა ჩემი მათთან გამოთხოვების დროს. ყველა ღმერთს ევედრებოდა ჩემს გადარჩენას და შინ მშვიდობით დაბრუნებას. ჩავვიყვანეს ქუთაისში. აქ საკმაოდ დიდხანს დაერჩით. ჩვენი საქმე პალატას გადაეცა განსახილველად. საქმეს იცაუდა ცნობილი ვეჭილი აპაჩინსკი. პალატამ კონსტანტინე დადიანი საესებით გაათავისუფლა. მე გამახსენდა საწყალი ბიძაჩემის, გიდ ემხვარის ნათქვამი, რომ კონსტანტინე დადიანი აღვილად დაიხსნის თავს, ხოლო თუ გლეხის ოჯახში შემემთხვევა უბელურება, საცოდავ გლეხს მოსპობენო. ჩემს მიმართ პალატამ დაამტკიცა გამოგანილი განაჩენი. კონსტანტინეს გაათავისუფლებამ ძლიერ გამახარა. ჩემი საქმე გადაგანილ იქნა სენატში, პეტერბურგში. თუ იქაც დაამტკიცებდნენ განაჩენს, შემდეგ იმედი არსაიდან აღარ იყო.

რამდენიმე თვის შემდეგ სენატში ჩემი საქმის განხილვა დაინიშნა. მამაჩემმა დამცველად აიყვანა იმ დროის ცნობილი ვეჭილი მირონოვი. მეხმარებოდა კონსტანტინე დადიანიც. საქმე ირჩეოდა სამშაბათ დღეს (თვე და რიცხვი აღარ მახსოვს). ოთხშაბათს ღეპეშით უნდა ეცნობებინათ შედეგი. დღედაღამ არ მეძინა, ძლიერ ვშოთავდი. ყველას აინტერესებდა, რა ამბავი მოვიდოდა. გადის ოთხშაბათი და პასუხი არ ჩანს. გავიდა ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათიც, კიდევ არაფერი ისმის. ოთხი დღეა, არ მძინავს. საშინლად ვარ აფორიაქებული. შაბათ ღამეს მძიმედ დაქანცულს დამეძინა და ვხედავ სიმშრად, რომ ვმივარ გემზე და სახლისკენ მივემგზავრები. გემი მიაღვა ნაპირს, გადადის ყველა. ბოლოს ჩემი ჯერიც

დადგა და ხიდისკენ გავემართე. როგორც კი გადავღვი ბიჯი, ხიდი ისე შევიწროვდა, რომ გასვლა ვერ შევძელი და დაერიჩი გემზე. გემი მობრუნდა და წამიყვანა სადღაც შორს, უცხო მხარეში. გული დამწყვიტა ამ უსიამოვნო, არასასიკეთო სიმშარმა. მოვეუყევი ამხანაგებს და ყველანი შეწუხდნენ, დამშვიდება დამიწყეს. მეორე საღამოს, ე. წ. „პროვერკაზე“ შემოდის ციხის უფროსი მახმულოვი და მეუბნება – ჩიქოვანო, რატომ არ კითხულობ და რად არ გიკვირს, პეტერბურგიდან ამდენ ხანს ღეპეშა რომ არ მოდის შენი საქმის შესახებო. მე მშვიდად ვუპასუხე – უფროსო, რაღა უნდა ვიკითხო, მე უკვე სიმშრით ვიცი ჩემი უბედურება და კიდევ შევეჩვიე ჩემს ბედს-მეთქი. მან წყნარად მითხრა, რადგან უკვე შეჩვეულხარ, მაშინ გადმოგყეპ ღეპეშას, რომელსაც სამი დღეა ჯიბით ვაგარებ და გიმაღავდიო. ეს მითხრა და გამომიწოდა ღეპეშა, სადაც მოკლედ იყო აღნიშნული, რომ სენაგმა საქმე დაამტკიცა. მე ცივად და გულმაგრად შევხვდი ამ სასტიკ განაჩენს. მეორე დღეს, თანახმად მეფის უღმობელი კანონებისა, გამიყვანეს და ჩამჭედეს ბორკილებში, როგორც კატორღაში გასაგზავნი.

ქუთაისის ციხეში ყოფნის პერიოდი ჩემთვის განსაკუთრებულად აღსანიშნავია იმის გამო, რომ იმ დროს ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის სულისჩამდგმელი ახალგაზრდა იოსებ სგალინი, მაშინდელ რევოლუციურ წრეებში კობად ცნობილი. იქ იჯდნენ, აგრეთვე, რევოლუციონერები – ლალო ჯოხაძე, ნატალია კირთაძე და სხვები. ნატალია კირთაძე მალე გაათავისუფლეს. იგი მეგად კარგ, მეგობრულ დამოკიდებულებას ავლენდა ჩემს მიმართ და წასვლის დროს მთხოვა, მისთვის ბათუმში შემეგყობინებინა, სენაგისგან რა პასუხს მივიღებდი. ნატალია არაჩვეულებრივად გულკეთილი ქალი იყო, ყველა პატივს სცემდა. განსაკუთრებული მზრუნველობითა და სინამით მეპყრობოდა მე. მე თვითონაც დიდ იმედად და მეგობრად ვთვლიდი. ჩემი სასჯელის დამტკიცება ნატალიასათვის არ მიცნობებია, რადგანაც ვიცოდი, ძალიან საწყენად დარჩებოდა.

თავდაპირველად სასტიკად ვიგანჯებოდი, ვერაფრით ვერ შევეგუე ბორკილებს. თუმცა აღამიანი, მითუმეტეს ახალგაზრდა, ყოველგვარ ჭირვარამს ეგუება და მალე მეც მივეჩვიე ჩემს ბედსა და მღვთმარობას. რამდენიმე ხნის შემდეგ თვრამეტი კატორღელი ბორკილების ჩხარუნით გამოგვიყვანეს ღერუფანში და საეგაპო საკანში შეგვიყვანეს. ჩვიდმეტი ქართველი ვიყავით, ერთი რუსი ებრაელი გვერია, გვარად გოლდბერგი

– გამოუსწორებელი ქურდი, მაგრამ გასაოცრად ენამახვილი კაცი და, ამავე დროს, საკმაოდ განვითარებული, ნაკითხი. შემოდგომის გრილი დღე იყო. დილით გაიღო კარები და გამოგვიცხადეს – წასასვლელად მოემზადეთო. განში ცივმა ქრუნტელმა დამიარა. სამუდამოდ ვმორდებოდით ჩვენს საყვარელ სამშობლოს, მაგრამ ყველანი ერთმანეთს ვაიმედებდით, გულს ვუმაგრებდით. გულმოდგინედ, დაწერილებით გაგვჩხრიკეს. მე მქონდა ნემსი და ძაფი. ოფიცერმა წამართვა და ტალახში გადამიგლო. ვთხოვე, ნემსი თუ არა, ძაფი მაინც დაებრუნებინა. მან უხეშად დამიყვირა, ხმა ჩაიწყვიტე, თქვენ კატორღელები ხართ და არაფერი არ გეკუთვინითო. ეს პირველი შეურაცხყოფა იყო, რაც დაპატიმრების შემდეგ განვიცადე. გული ბოლმით ამეფსო, ცრემლები ძლივს შევიკავე. მინდოდა სათანადო პასუხი გამეცა, მაგრამ გამახსენდა რუსთაველის ბრძნულად ნათქვამი – საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან... და გავჩერდი. ამ დროს ებრაელმა კატორღელმა გოლდბერგმა ხელი წამკრა და როცა მისკენ მივბრუნდი, ყურში ჩამჩურჩულა: დაწყნარდი, ნუ ღელავ, ჩემო კარგო. ეგ ოხერი მალე მოვა შენთან შესახვეწნადო. მე გაოცებულმა ვკითხე, ჩემთან შესახვეწნი მაგას რა ექნება-მეთქი. გოლდბერგმა ჩაიცინა და მითხრა, შენ რომ ნემსი და ძაფი წაგართვა, მე მას ჯიბიდან ამოვაცალე რევოლვერი, რომელიც უკვე ციხეში შევგზავნე, ამას სულ მალე გაიგებს და მერე ნახავთ მაგის სეირსო. ოფიცერი განაგრძობდა ჩხრეკას, ყვიროდა, ილანძლებოდა, იგინებოდა, უხეშად ეპყრობოდა პატიმრებს. უცებ შეერთა და ჩხრეკა შეწყვიტა. საქციელწამხდარმა, მთლად გაფითრებულმა ჯიბეზე ხელის ფათური დაიწყო, სიმწრის ოფლი ასხამდა. მერე ჩემსკენ გამოიხედა, პირდაპირ მომვარდა, ხმის კანკალით მითხრა – შენ გეგყობა კარგი ახალგაზრდა ხარ, კარგი ოჯახის შვილი, ვილაცამ რევოლვერი ამომაცალა, შენ ეს გეცოდინება ან მონაწილე იქნები, მითხარი, ნუ დაიღებ ჩემს ცოდვას, ნუ დამლუქავო. მე ცივად და ამაყად ვუპასუხე – თუკი იცოდი, რომ კარგი ახალგაზრდა ვარ და კარგი ოჯახის შვილი, ისე უსინდისოდ არ უნდა მომქცეოდი და არ უნდა დაგეჩაგრე-თქო. შენს რევოლვერს რაც შეეხება, მე იმის ამოცლის მონაწილე არა ვარ, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ ეს ჩემი შეურაცხყოფის გამო გაგიკეთეს და ახლა შენი რევოლვერი ციხეშია შეგზავნილი და მალე პასუხსაც აგებ, ჩვენს გზას გამოყვები-თქო. გამშრალი და გაფითრებული ციხეში შევარდა რევოლვერის საძებნელად. ჩვენ ჩაგვაბარეს მცველებს, რომელთაც უნგერ-ოფიცერი მეთაურობდა და ვაგონში ჩასაჯდომად ქუთაისის სადგურზე გაგვიყვანეს. ცოცხალი ხნის

მერე წერილი გამოვეცემავნეს ამხანაგებმა, შეგვატყობინეს, რომ იმ ოფიცრის რევოლვერი ციხის საპარფარეოში ენახათ გატეხილი, თვითონ კი პაუპგეახტში ჩაესეთ. ამ ამბავმა ყველანი გაგვახარა. ქუთაისის სადგურზე აუარებული ხალხი იყო. სიბრაღულით შემოგვექეროდნენ და გვამხნეებდნენ. უამრავი საჩუქარი გადმოგვეცეს მეც და სხვებსაც. დაიძრა მაგარებული და ჩავვიყვანეს ბათუმში. სადგურზე აუარება ხალხი გვიყურებდა. ვაგონიდან ჩასულს მომესმა ხმები: აი, ის მაღალი ახალგაზრდაა გვანჯი ჩიქოვანი... რამდენიმე ქალმა მომაძახა, მაგრად იყავით, გვანჯი! ჩვენ ნატალია კირთაძის მეგობრები ვართ და რითაც შევძლებთ, დაგეხმარებითო. ნატალიას ხსენებამ გამამხნევა და გული გამიხარა. შეგვიყვანეს ბათუმის ციხეში. მეორე დღით, ადრე, ციხის კარებს ამხანაგებთან ერთად მოადგა ნატალია და მშვენიერი ცხელი საუზმე მოგვიტანეს. ისევ გათენდა თუ არა, ყველანი ბათუმის ნავსადგურში წავვიყვანეს და გემზე გამცილებლებს გადაგვაბარეს. იქაც, გემის ბაქანზე, ამოვიდა ნატალია კირთაძე თავის ამხანაგებიანად – მოწინავე მუშები ახლდნენ – მოგვიტანეს უამრავი სურსათი, მე კიდეე ცალკე – საჩუქრები. ის სურსათი თვრამეტ კაცს მოსკოვამდე გვეყო. ნატალია ძლიერ ღელავდა და ცრემლებს ვერ იკავებდა, მეხვეოდა და მამხნეებდა, გამოთხოვების დროს მგრძნობიარედ გადამკოცნა და მითხრა, ნუ გემინია, ჩემო გვანჯი, მალე რევოლუციის ქარიშხალი დაიქროლებს და შენს ბორკილებს დალევწავსო. გემი დაიძრა. ნატალია და მისი ამხანაგები დიდხანს გვიქნევდნენ ხელებს და კოცნას გვიგზავნიდნენ, გვემშვიდობებოდნენ.

ჩავედით ნოვოროსიისკის ნავსადგურში. სასწრაფოდ გადავიყვანეს ციხეში. ციხის უფროსი მეგად უხეში გამოდგა. სამინელი ლანძღვა-გინებით შეგვეყარეს საკარანგინო საკანში, მოგვაწოდეს საძაგელი საჭმელი და ძველი პური. ჩვენ ავგებეთ სმაური და საჩქაროდ მოვითხოვეთ პროკურორი. პროკურორი მალე მოვიდა და ჩვენ მოვახსენეთ ჩვენი უკმაყოფილება, ლანძღვა-გინებისა და ცუდად მოპყრობის გამო. მან დაუყოვნებლივ გამოიძახა ციხის უფროსი და უთხრა – ესენი ქართველები არიან, გინებას და უხეშობას არ მოითმენენ და საჭიროა თავაზიანად მოუპყროთ და კარგად კვებოთო. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა – ბიჭებო, მე თქვენი მემობელი სომეხი კაცი ვარ და ნუ გემინიათ, უკანონოდ თქვენს თავს არავის დავაჩაგვრინებო. ჩვენ მას მაღლობა უუთხარიოთ. ამის შემდეგ ნოვოროსიისკის ციხეში სამ დღეს დავრჩით და უნდა ვთქვა, რომ ციხის უფროსი და დანარჩენი მოხელეებიც თავაზიანად გვეპყრობოდნენ,

კარგადაც გვაჭმევდნენ. მეოთხე დღეს გაგვამგზავრეს როსტოვის ციხეში. როსტოვის ციხეში დიდი უწესრიგობა იყო. იქ ბლომად იხსდნენ თაღლითები და რეციდივისტები, მაგრამ ჩვენ ვერაფერს ვკიბუდავდნენ. მესუთე დღეს ჩაგვიბარა მოსკოვის საეგაპო მცველთა რაზმმა. გამოგვიყვანეს ციხის ეზოში, რათა გაეჩხრიკათ ჩვენი პირადი ნივთები, აეწერათ ჩვენი პირადი საკუთრება და იქვე გვავესებინებდნენ ანკეგას. გამოყოფილი იყო საგანგებო კომისია, თორმეტი კაცი. ჩემი რიგი როცა მოვიდა, თვითონ კომისიის თავმჯდომარემ, რუსმა კაპიტანმა, შემივსო ანკეგა, მერე მიუბრუნდა სალდათს და უბრძანა – გამოართვი ნივთები, დაითვალე, აღწერე და ვაგონში აუტანეო. მე გამოიყა ამ კაპიტანის ასეთმა კეთილშობილურმა მოპყრობამ. ამის შემდეგ მალე გაგვიყვანეს სადგურში და ჩაგვსვეს ჩვენთვის განკუთვნილ საეგაპო ვაგონში. ვიჯექით დაღონებულები და ვმღეროდით მწუხარებით აღსავსე მელოდიურ ხალხურ სიმღერას „აეავას“. გზაში მცველები თავაზიანად გვეპყრობოდნენ და პაპიროსს გვაწოდებდნენ. ჩავალწიეთ მოსკოვში. მივდივართ ქუჩებში, ბორკილებს მივაჩხარუნებთ. ხალხი ფანჯრებს მოდგომია და სიბრაღულით გვიყურებს. გზადაგზა, მცველების საშუალებით საჭმელებსა და საჩუქრებსაც გვაწოდებენ. მიგვიყვანეს უზარმაზარ ციხეში და დიდ საეგაპო საკანში შეგვიყვანეს. საკანში ყველას უცნაურად ყვითელი ფერი ელო, რადგანაც ფანჯრებში მწვანე მინები ჩაესვათ. ეს გარემოება რაღაცნაირ შიმის ბარს სცემდა იქ შესულ პატიმარს, რაგინდ ვეკაკიც უნდა ყოფილიყო. სასწრაფოდ გაგვზადეს საკუთარი განსაცემელი და ყველას ჩაგვაცვეს უცნაური შარვალ-ხალათი და ძველი ჩუსტები. მე გალიაში გამოკეტილი უცხო ფრინველივით ვიყავი დაბნეული. არ ვიცოდი, რა მექნა. გავიხედე და კარებთან დგას ის კაპიტანი, რომელმაც პატივი მცა და გვერდით მდგომ ხნიერ პოლკოვნიკს ელაპარაკება. მე მივედი მასთან, შემომხედა, შემაცყო, რისი თქმაც მინდოდა, რაღაც ჩუმად გადაულაპარაკა პოლკოვნიკს და იმ წუთასვე გასცეს ბრძანება – ჩვენ, თერამეტივეს, ისევ გაგვზადეს ციხის განსაცემელი და საკუთარი დაგვიბრუნეს. ამის შემდეგ მალე აგვიყვანეს მეორე სართულზე და ე. წ. „ტუმენი“ საკანში მოგვათავსეს. მოსკოვის ციხეში დავეავით ოთხი თვე, რის შემდეგაც, კატორღაში გასაგზავნად, საექიმო კომისია დაინიშნა. ყველას ეშინოდა სახალინზე გაგზავნისა, რადგან რუსეთის იმპერიის კატორღათა შორის იგი ყველაზე შემზარავი და დამღუპველი იყო. კომისია მუშაობას შეუდგა. ყველანი ველავთ, გული გამალებით გვიცემს. ბოლოს მოაღწია ჩემმა ჯერმაც. საკომისიო დარბაზში ვილაყამ

შორიდან დაიძახა: На Сахалин! ამ სიგყვის გაგონებამ თავზარი დამწკ. ისე გამსინჯეს, რომ არ მახსოვს, ვინ რას ამბობდა. წამოვედი და დავდექი კარებთან. ძლიერ ვლეღავ, მინდა ისევ შევიდე და ვთხოვო კომისიას, შემიყვალოს სახალინი. ამ დროს იღება კარები და ისევ მეძახის კომისია. შევიღვარ აღელვებული და კომისიის უფროსი მეუბნება – დამშვიდდი, ნუ ლეღავ, კავკასიელო, შენ გაგამწწესეთ ალექსანდროვიკის კატორღაში. ამან უსაზღვროდ გამახარა, რადგან ალექსანდროვიკის კატორღას ყველა აქებდა. მე მადლობა გადავუხადე კომისიას და გამოვედი. მეორე დღეს დავემშვიდობე ამხანაგებს. მათ შორის კარგად მახსოვს ალმასხან და სიმონ ბუზალაძეები, სვანი ფილიპე შარვაშიძე, ვოლდბერგი... ჩემთან ერთად ალექსანდროვიკაში გაგზავნეს მხოლოდ ერთი ქართველი, მოხუცი კაცი, თაღა ხარშილაძე; მოსკოვის ქუჩებში ხალხი კელავ გაუაციციებით გვიყურებდა, ქალები ნაირ-ნაირ საჩუქრებს გვიწვდიდნენ; მსლებელი ფელდფებელი ართმევდა მათ ამ საჩუქრებს და ყველას გვინაწილებდა. მიგვიყვანეს სადგურზე და ჩავესვეს ციმბირის მაგარებელში. ეს იყო 1903 წლის პირველი იანვარი. გზაში რამდენიმე დღით შევჩერდით კრასნო-იარსკში, სამარაში, ბოლოს ჩავედით სოფელ უსოლიაში და ზამთრის საშინელ სიცივეში ოცდამდე ვერსი ვიარეთ ფეხით და 19 იანვარს, სასტიკად დაქანცულემა ჩავალწიეთ ალექსანდროვიკის უმარმაზარ ციხეში, სადაც უნდა მომეხადა 4 წლის კატორღა.

ალექსანდროვიკის ციხეში ყოფნის პერიოდი

იქაური ციხის უფროსის მოადგილის, კულაკოვის განკარგულებით გაგვხადეს საზამთრო განსაცმელი, რომელიც ყინვისგან ვახემშებული იყო. ჩავიცვით საკუთარი განისამოსი და შეგვიყვანეს ვეებერთელა საკანში, სადაც ორასამდე კაცი დაგვხვდა. საკანი საკმაოდ ნათელი ჩანდა, არც სისუფთავის მხრივ იყო სასაყვედურო, მხოლოდ თვალში გეცემოდათ პატიმართა დაღვრემილი, მელანქოლიური სახეები. სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ, ახალგაზრდებიც, მოხუცებიც; სასჯელის ვადაც სხვადასხვა ჰქონდათ. მე ჯერ გამორკვეული არ ვიყავი მგზავრობის ბურანიდან, მაგონდებოდა მხოლოდ სამშობლო და ჩემიანები. დაღამდა. მიჩუმდა პატიმართა ხმაური. უცებ გადაიწია საკნის კარის საჭვრეგელი („ვალჩოკი“) და ვილაყამ შემო-

იბახა: Кто здесь из Кутаисской губернии? მე გავეცი პასუხი და დაუესახელე ჩემი გვარი. იგი ისევ გამომეხმაურა, რომელი ჩიქოვანი ხარ, გვანჯი თუ სხვაო? მე გამამხნევა და გამახარა ჩემი სახელის სხენებამ უცხო მხარეში და ისიც კატორღაში. ახლოს მივედი კარებთან და ისევ გავეცი პასუხი, ჩემი ვინაობა დაუდასტურე. ამის შემდეგ ხელად გააღეს კარი და შემოვიდა ხუთი თუ ექვსი კაცი, ქართველები. პირველი მათგანი, ვინც გამომეცნაურა, იყო მალხაზ ჩაჩიბაია. იგი გაცნობილი მყავდა ქუთაისის ციხეში, ჩემამდე ერთი წლით ადრე გადაასახლეს და მაშინ დაემორღით ერთმანეთს. მალხაზი გადამეხვია და გამამხნევა. შემდეგ მომიახლოვდა კეთილი სახის ჭალარა კაცი და მითხრა, მე ბიძია მელიგონ ჩხეგია ვარ და ზუგდიდიდან მახსოვხარ, იქ ათი-თორმეტი წლის ბავშვი დაგტოვეო. გამომკითხა ყველაფერი ჩვენი ოჯახისა და საერთო ამბებიც. ეს მელიგონ ჩხეგია უკვე კარგა ხნის გადმოსახლებული იყო, მისჯილი ჰქონდა სამუდამო კატორღა. ჩემი ამბავი ჩემს ჩასვლამდე გავეცო მალხაზს, მელიგონს და სხვა ქართველ პატიმრებსაც. ამით გარდა, მახსოვს კიდევ მაკალათია, თბილისელი ამილახვარი და სომეხი ხუშუტ ოვანესიანი – სომეხ-თათართა შეტაკების მონაწილე, მთელ კატორღაში „ყაჩად ხუშუტის“ სახელით ცნობილი. მეტად კარგი ვაჟკაცი იყო, პატიმრები დიდ პატივს სცემდნენ. როგორც მითხრეს, იმ ხოცვა-ჟლეტის დროს მაგრად უბრძოლია თათრების წინააღმდეგ, ბლომად დაუღვრია მტრის სისხლი.

გული რომ ვიჯერეთ საუბრით, ამის მერე მელიგონმა და მალხაზმა, სხვებთან ერთად შემოიგანეს საჭმელი – პური, ძეხვი, ყველი, „ვიჩინა“, გაშალეს პატიმრული სუფრა და შევექეციით ვახშამს, ერთმანეთს გულის გკივილს ვუზიარებდით. მელიგონი და მალხაზი ყველას გვამხნევებდა და მათი ლაპარაკი ჩემს ახალგაზრდულ გულს სიმხნეს და ნებისყოფას მაგებდა. ვახშმის შემდეგ ისინი წავიდნენ და ჩვენც წამოვწეით დასაძინებლად, რადგან ნამეგანი დაქანცულები ვიყავით. ვიძინე იმ ღამით და დილას, როდესაც სარკმელში სინათლის შუქმა შემოანათა, კარებთან მოისმა ზეღამხედველის უსიამოვნო ხმა: აბა, აღექით და მოემზადეთ სამუშაოდ! მე წამოვდექი, გადაეხედე თადა ხარმილავას და ჩავძახე: აბა, ჩქარა ავღვით და გავყვეთ სამუშაოდ, სადაც გვიჩვენებენ. ამ დროს გაისმა საკნის მამასახლისის (სგაროსტას) ხმა: თქვენ, როგორც ახლად ჩამოსულები და დაღლილები, ორ კვირას დაისვენებთო. ამ ცნობამ ძლიერ გაგვახარა მე და ჩემი ყველა ამხანაგი, რადგანაც ფიზიკურად და სულიერადაც მეტისმეტად მოქანცულები და მოღუნებულები ვიყავით.

დასვენების შემდეგ გავედით ეზოში, სადაც სავაჭრო ფარდული იყო გამართული. ფარდულში ვიყიდე ორასი კოლოფი „მახორკა“ და ჩვენი საკნის ორასივე პაგიმარს ჩამოეურიგე. ამ უბრალო, მაგრამ გულითადად საჩუქარმა ყველანი უზომოდ გაახარა; ხელად შემითვისეს. ჩემთან ყველას გულთბილი, მამამვილური და ძმური დამოკიდებულება ჰქონდა. მალე მთელი კატორღის პაგიმრები გავიცანი. იმხანად ალექსანდროვის კატორღაში სამი ათას ხუთასი ბორკილდაებული პაგიმარი იმყოფებოდა. გულშემბარავი სანახავი იყო, როდესაც დილით კარები იღებოდა და ასეულობით პაგიმარი ბორკილების რაჩხარუხხით კატორღულ სამუშაოზე მიჰყავდათ.

ორკვირიანი დასვენების დროს გავიგე, რომ აქაურ კატორღაში ყოფილა ათწლიანი პაგიმარი, გიმნაზიის კურსდამთავრებული ვანო ჯორჯაძე. ხსენებულ ჯორჯაძეს ძალიან აქებდნენ პაგიმრები. თქვეს, რომ მას ვინმე ქალბატონ მარია ინოკენტის ასულ გორბუნცოვას წყალობით, ციხის აღმინისგრაიის წინაშე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. შემდეგ პაგიმრებმა ისიც მითხრეს, რომ ეს ქალბატონი დიდი ხნის წინ ჩამოსულა სოფელ ალექსანდროვკაში. იგი მდიდარი და ქველმოქმედი ქალი ყოფილა – იქვე, კატორღის ახლოს, მცირეწლოვანი პაგიმრებისა და პაგიმართა შეილებისათვის სკოლა გაუხსნია. პაგიმრებისთვისე ჩამოუყალიბებია აგრეთვე მუსიკალური, ხელობის შემსწავლელი და სხვა თვითმემოქმედების წრეები. ეს ქალი ხშირად შემოდოდა კატორღის საკნებში, პაგიმრებისგან შემდგარი სასულე ორკესტრით ართობდა გუსალებს. ამ დროს გაუცვნია მას პაგიმარი ვანო ნიკოლოზის ძე ჯორჯაძე. გორბუნცოვას ქალს ძლიერ მოსწონებია იგი და ციხის უფროსისთვის უთხოვია, მისთვის დაეთმო ჯორჯაძე, რათა თავისთან მოეწყო სკოლაში თანამემწედ. ციხის უფროსი დათანხმებია ამ გავლენიან ქალს და ჯორჯაძეს ამ ქალთან დაუწყო მუშაობა პაგიმართა სკოლაში. ვანო ჯორჯაძეს თავისი მრდილობით, თავაზიანობით და ცოდნითაც სულ მალე დაუმსახურებია ქალბატონის უსაზღვრო ნდობა და სიყვარული და, როგორც გადმომცეს, მათ შორის მეგობრობა, ინგიური კავშირი გაბმულა. ამ ქალის მეშვეობით, ჯორჯაძე ციხის უფროსს და მის ოჯახსაც დაახლოებია და ციხის უფროსსაც იმდენად შეყვარებია იგი, რომ ნება დაურთავს, თავისი ქალიშვილებისთვის ცეკვის (ლეკერის) გაკვეთილები მიეცა. ამ საქმეს ჯორჯაძე დიდი წარმატებით ასრულებდა, რადგანაც საუკეთესო მოცეკვავე გახლდათ.

ჩემი ორკვირიანი დასვენების მანძილზე ციხის უფროსი რამდენჯერმე შემოვიდა საკანში, მანამდე კი, როგორც მითხრეს, იშვიათი სტუმარი ყოფილა. ერთხელ, როცა კვლავ შემოვიდა და პატიმრები მწკრივში ვიყავით დამდგარი, იგი განსაკუთრებული ყურადღებით მომაჩერდა, ეტყობა, თვალში მოხვდა ის, რომ მე ყველაზე მაღალი და ახალგაზრდა ვიყავი, თანაც კობხად ჩაცმული; მეცვა ლამაზი ამიური წაღები, შავი ღიაგონალის შარვალი და თეთრი მაუდის ხალათი. ციხის უფროსი მომიახლოვდა, გვარი და ეროვნება მკითხა. მეც თავაზიანად ვუპასუხე. მას სახეზე ღიმილმა გადაუარა და ხმადაბლა მკითხა, ვანო ჯორჯაძეს იცნობ თუ არაო. მე მორიდებით ვუპასუხე, პირადად არ ვიცნობ, მაგრამ თუ მისი გაცნობის საშუალებას მომცემთ, დიდად მაღლობელი დაგრჩებით-მეთქი. ამაზე მითხრა, თუ პირადად არ გიცნობს, მაშინ შენთან რატომ უნდა მოვიდესო? მე ამაყად ვუპასუხე – თუ ჯორჯაძე ჩემს გვარს გაიცებს და ჩემთან მოსვლას არ მოისურვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ქართველი არ ყოფილა-მეთქი. მან არაფერი მიპასუხა, მხოლოდ სახეზე კმაყოფილება გამოეხატა და საკნიდან გავიდა.

აქვე უნდა გავისხენო, რომ კატორღაში მოყვანის პირველსავე დამეს, როცა ჩემს სანახავად მოსულ ქართველებთან ვახშამი ვჭამეთ, სიზმარი ვნახე: ვითომ ვიჯექი იმავე გემზე, ქუთაისის ციხეში რომ მესიზმრა. სიზმარში ვწუხდი, რად მინდა, რომ მივდივარ სახლში, სულერთია, იმ ხილზე მაინც ვერ გავალ-მეთქი! გადმოვედი გემიდან, ხელში ორი ჩემოდანი მიჭირავს. მივაღექი იმ მდინარეს... ვხედავ – მდინარე გამშრალა, მედ მშვენიერი ხილია. მივდივარ ამაყად, მაგრამ შევამჩნიე ხილზე გველი. გველს გვერდი ავუარე და მივედი სახლში. ვნახე ჩემი ჭირისუფლები – ყველანი თეთრებში ჩაცმულები, მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ დიდად გახარებულები. ამ სიზმარმა ძალზე გამამხნევა (მალე ამიხდა კიდვევაც). უფროსის გასვლიდან ერთ საათსაც არ გაუვლია, რომ ციხის ღერეფანში მორიგის ხმა გაისმა. მორიგე ყვიროდა – ჩიქოვანი ჩავიდეს კომენდატურაშიო. აღელვებულმა ბორკილების ჩხარაჩხურით ჩავირბინე კომენდატურაში და მაშინვე შევნიშნე, იქ იდგა ახოვანი შავწვერულვაშიანი ვაჟკაცი, რომელიც მისვლისთანავე გადამეხვია და გადამკოცნა და მითხრა, თბილისელი ვანო ჯორჯაძე ვარო. მწუხარება გამოთქვა, ასეთი ახალგაზრდა ყმაწვილი რატომ ჩავარდი ამნაირ განსაცდელშიო. მანუგეშა, გამამხნევა და მითხრა, ნუ გეშინია, არ დაგტოვებ უყურადღებოდ, შენზე ვიმრუნებო. მე გულაჩუყებულმა ვუთხარი, თუ ხანდახან ჩემს ნახვას ინებებთ,

ყველაფერს ავიტან-მეთქი. ამ სიტყვების შემდეგ იგი წავიდა, მე კი დასევდიანებული დავბრუნდი საკანში. პატიმრები მაშინვე შემომეხვივნენ და მკითხეს თუ ვისთან ვიყავი გამოძახებული. ჯორჯაძის გვარი რომ ვახსენე, ერთხმად იღრიალეს და ხელით ამიტაკეს, მომილოცეს, უკვე ბუნდური ხარ, რადგან ჯორჯაძე უთუოდ სიკეთეს შეგყრის და გეშველებაო. თადა ხარშილავამ კი მწუხარედ ცრემლები გადმოღვარა და მითხრა: შენ წახვალ და მე რაღა მეშველებაო. ნაწყენი დარჩა, აგრეთვე ხუშუტოვანესიანი, რადგან არც იმას უნდოდა ჩემთან დაშორება. მე ღაევამშვიდე ამხანაგები, თვითონ კი ძალიან ველეავდი და ყოველივე ეს სიმშარი მეგონა. საკანში შესვლის შემდეგ არ გასულა ერთი საათიც და ღერუფანში ისევე გაისმა ვილაცის ბოხი ხმა, რომელიც ჩემს გვარს იმეორებდა. გაიღო საკნის კარები და გამიძახეს ღერუფანში. იქვე იდგნენ ჯორჯაძე, უფროსი ზედამხედველი და ჯარისკაცები. უფროსმა უბრძანა ჯარისკაცებს, რომ სასწრაფოდ შეეხსნათ ჩემთვის ბორკილები. ჯარისკაცებმა დაძვეს სკამზე და რამდენიმე წამში მომხსნეს სულის შემხუთავი ბორკილები, რის შემდეგაც შვება ვიგრძენი, თვალებზე ცრემლი მომადგა. ჯორჯაძემ კმაყოფილი ღიმილით მომიკიდა მკლავზე ხელი და გავყვი. კარები რომ გავვიღეს, იქვე მარხილი ელოდებოდა, ჩემს წასაყვანად დაბარებული. დაუჯექით და გავუდექით გზას. გზაში ჯორჯაძემ მითხრა – ესლა მიეღვიართ ჩემი ერთი დიდი მეგობარი ქალბატონის, მარი ინოკენტის ასულის ბინაზე, იმ ადამიანთან, ვისი შემწეობითაც გამოგიყვანე იმ ჯოჯოხეთიდან და როცა მივალთ, შენ ქართველური თავაზიანობა და ზრდილობა უნდა გამოიჩინო. მე მორცხვად გამეღიმა და უუპასუხე, იმ ქალბატონთან თქვენ სირცხვილს არ გაჰმევეთ-მეთქი. რამდენიმე წუთის შემდეგ მარხილი გაჩერდა ერთ მოზრდილ სახლთან. გადმოვედით მარხილიდან და როდესაც ოთახის კარები გაიღო, საწერ მაგიდასთან დავინახე ოცდაათ წელს გადაშორებული ლამაზი სახის ქალი, რომლის საესე, განიერ გულმკერდს მარგალიტისა და ბრილიანტის მბრწყინავი სამკაულები ამშვენებდა. იგი თავაზიანად წამოღდა და ჩემკენ გამოემართა. მე ძლიერ ველეავდი, სახეზე ალმური ამდიოდა. ნელი ნაბიჯით მიეუახლოვდი, გამოწვდილ ხელს მიეწვდი და ნაზად ვეამბორო. მას ვარდისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა და მუქი ფეხსაცმელები. გარშემო მომწუსხველ სურნელებას აფრქვევდა. მან გამიღიმა და ჯორჯაძეს მიუბრუნდა: Правда замечательный юноша, стоит побеспокоиться о нём...

ამის მერე გვთხოვა, დაემსხდარიყავით. მე მორიდებით ჩავჯექი

სავარძელში, თანაც მორცხვად შევექცეროდი ქალბატონის სათნო სანება და კეთილ თვალებს. ჯორჯაძემ ბოლიში მოიხადა, დედაჩემმა მშობლიური საქართველოდან კახური ღვინო გამომიგზავნა და ჩემს თანამემამულეს უნდა გავუმასპინძლდეთო. გამოიგანა საკუჭნაოდან პაგარა, ლამაზი კასრი და ბროლის გრაფინი ანკარა, წითელი კახური ღვინით გაავსო. სუფრა გაიშალა და ქალბატონ მარი ინოკენტიევას თავაზიანი მიწვევით მაგიდას შემოევუსხედით. ვანო ჯორჯაძემ აღღევრძელა ჩვენი მფარველის კეთილშობილება და კაცთმოყვარეობა, აღღევრძელობა უსურვა. მეც დიდი მადლიერებით ვაღღევრძელე. შემდეგ ქალბატონმა აიღო სასმისი და მითხრა – შენ ნუ გგონია, რომ ჯორჯაძემ გამოგიყვანა კაგორლიდან, ეს ჩემი მეოხებით მოხდაო. მინდოდა დამეთვალაიერებინე და ეხლა, ორი საათის შემდეგ ისევ საკანში უნდა დაბრუნდეო. ამის გამგონეს თითქოს ცივი წყალი გადამეხსა გულზე. წამოვდექი და ქალბატონს მივმართე – მე ვიცი, რომ პაგიმარი ვარ და აქ დასასჯელად ჩამომიყვანეს, მაგრამ თავისუფალი ბუნებისა და ამროვნების ახალგაზრდა ვარ, ჩემს სამშობლოში უკანონობას შევებრძოლე, იარაღი აღემართე ხელისუფლების წინააღმდეგ, რის გამოც დავიჩაგრე. აქ კი, როცა თქვენი სახით ასეთი კეთილშობილი მფარველი გამომეცხადა, არა მგონია, რომ ისევ დამაბრუნოთ ჯოჯოხეთში და თუ ეს აუცილებელი იქნება, მაშინ ამას სიკვდილს ვამჯობინებდი, ჩემი ნებით კი იქ აღარ დავბრუნდები. ამაზე ქალბატონს გაუღიმა და ჯორჯაძეს უთხრა – ჯერ კიდევ ბავშვია თქვენი თანამემამულე და არ იცის მეფის კანონების სისასტიკე. ისე კი მაგის სიგყვები და სიამაყე მომწონს და უთუოდ ყოველგვარი ხერხი უნდა ვიღონო, რომ იქედან დაეიხსნაო. შემდეგ შემომხედა და თქვა – ამოღენა ვაჟკაცს როგორი ლამაზი და ნაზი ხელები აქვს, ამას უეჭველად მუსიკა უნდა შევასწავლოო – გადახედა ჯორჯაძეს. საღილის შემდეგ სწრაფად გამოიძახა მარხილი და გვერდით დამისვა. მარხილი კაგორლის უფროსის საცხოვრებელ ბინასთან შეჩერდა. ჩემი მფარველი მოხდენილად გადმოვიდა მარხილიდან და კარებს მიაღვა. კაკუნზე გამოვიდა მოსამსახურე და თავაზიანად მიიწვია ქალბატონი. შემდეგ მეც დამიძახეს და მარი ინოკენტიევამ ჩემი თავი წარუდგინა მოხუც გენერალს და სთხოვა მას ჩემთვის კერძო ბინაში ცხოვრების უფლება, რათა ამცდენოდა კაგორელის შავი ბედი. გენერალმა ჩაახველა და ცივად უპასუხა – ახლა ესეც რომ წამოვიყვანოთ, ამას მითქმა-მოთქმა მოჰყვება, ამიგომ საჭიროა, თვენახევარი-ორი თვე იჯდეს და მერე მოვახერხებთო. მარი ინოკენტიევი

ნამ შეაქო გენერლის დიდსულოვნება და სიხოვა – ეს მეგად ახალგაზრდაა, საკანში დააუადლება და მერე ძნელი იქნება დახმარება და წამხლარი საქმის გამოსწორებაო. თანაც დასძინა, თუ ის არ დაეხმარებოდა, მიმართავდა გუბერნატორს, ამას მაინც გააკეთებდა და მისი მადლობელი კი არ დარჩებოდა. მაშინ გენერალმა თავი დაიქნია და დაწერა განკარგულება ციხის კომენდანტისადმი. ქალბატონმა მრავალგზის გადაუხადა მადლობა და გამოუვლით. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მზად ვიყავი თავი ვამეწირა ქალბატონ მარი ინოკენტიევასათვის. მარხილი სწრაფად მიადგა კატორღის კარებს. ქალბატონმა გადასცა განკარგულება კომენდანტს და უბრძანა, რომ ჩემი პირადი ნივთები მის ბინაზე გადაეგზავნათ. ამის შემდეგ დავბრუნდით მის სახლში. ვანო ჯორჯაძე ძალზე კმაყოფილი იყო, ჩემი საქმე ასე სასურველად რომ მოგვარდა. იგი მეგად თავაზიანად ეპყრობოდა ქალბატონ მარი ინოკენტიევას. ისინი ოფიციალურად მიმართავდნენ ერთმანეთს, ცდილობდნენ საიდუმლოდ შეენახათ თავიანთი ინტიმური დამოკიდებულება. მე ყოველნაირად ვერიდებოდი და ზედმიწევნით თავაზიანობას ვიჩენდი.

მეორე დღეს მარი ინოკენტიევამ სადილი გამართა და მოიწვია კატორღის ექიმი ალექსანდრ აკიმოვიჩ მფერევი, ორმოცდაათ წელს გადაცილებული კაცი. ჩემი ყურადღება ანდამაგივით მიიპყრო ამ ადამიანის ახოვანებამ და კეთილშობილურმა სახემ, მოსულმა განაღობაჲ. ექიმი, რომელიც მომსახურებას უწევდა მთელ ალექსანდროვკას, მარი ინოკენტიევამ დიდი პატივისცემით მიიღო. მისი ჭკვიანური თვალები და გასპეგაკებული შუბლი მეგყველებდა, რომ მდიდარი აზროვნებისა და სიკეთით სავსე ადამიანი უნდა ყოფილიყო. მას ქალბატონმა წარუდგინა ჩემი თავი. მან მაგრად, გამამხნეველად ჩამომართვა ხელი და გვერდით მომისვა; შემდეგ ხავერდოვანი, საამო ხმით მიმართა მარი ინოკენტიევას:

– Сколько таких прекрасных юношей душат в кандалах наши царские бездушные, гнилые чиновники!

– Да, милый доктор! – უპასუხა მარი ინოკენტიევამ.

სადილის შემდეგ მარი ინოკენტიევამ ექიმს მოუბოდიშა და სათხოვარი მაქვსო, უთხრა. ბრძანეთო, გაიდიმა ექიმმა.

– თქვენო კეთილშობილებაჲ! – უთხრა სათქმელი მასპინძელმა, – ძალიან ვთხოვთ, დამეხმაროთ, რათა ამ ახალგაზრდას მისცეთ ცნობა, რომ მას არ შეუძლია ფიზიკური შრომა. ამის მერე ჩვენ შევძლებთ, დაწყებულ საქმეს მივცეთ სასიკეთო მსვლელობა.

ეჭიმი უყოყმანოდ მიუჯდა მაგიდას და მაშინვე დაწერა საჭირო ცნობა. მეორე დღესვე მარი ინოკენტიევნამ ცნობა კაგორღის მთავარი სამმართველოს სანიტარულ განყოფილებაში წარადგინა და ერთი კვირის შემდეგ მომაწყო ე. წ. ЗАЕЗДНИЙ ДОМ-ის ანუ მაშინდელი იქაური სასტუმროს გამგედ. ამ სასტუმროს, რომელიც სუფთა შენობაში იყო მოთავსებული, ჰქონდა თორმეტი ნომერი (ოთახი); აგრეთვე, ლამაზად მორთული საკლუბო დარბაზი სცენითა და პიანინოთი. მე ჩამაბარეს ეს სასტუმრო. მყავდა დიასახლისი, ორი მსახური, მზარეული, მრეცხავი და დამლაგებელი. მე დიდი გულმოდგინებით შევეუდექი მუშაობას. დამინიშნეს თვეში ხუთი მანეთი ჯამაგირი და ამას დაემატა კეების ფული, სამი მანეთი, რომელიც ყოველთვიურად მეძლეოდა, როგორც პატიმარს. ამრიგად, თვეში ვიღებდი რვა მანეთს. ამასთანავე საკვები სასტუმროდან მეძლეოდა. მქონდა პაგარა ოთახი, სადაც შემეძლო მომესვენა.

ამ სასტუმროში დასაბინაველად მოდიოდნენ უმარმაზარი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეებიდან. მოდიოდნენ, აგრეთვე, ტურისტები, რომელთაც აინტერესებდათ კაგორღელთა ყოფა-ცხოვრების გაცნობა. სოფელ ალექსანდროვკის და კაგორღის მიდამოებში უმაღლესი და პატივსაცემი ხელისუფლები იყვნენ კაგორღის უფროსი და მისი ოთხი თანამემწე. სოფელს მეთაურობდა ერთი მამასახლისი. მე, ჩემი თავაზიანობითა და გულდაღებული მუშაობით, მალე დავიმსახურე აღმინისგრაციისა და მოსახლეობის პატივისცემა. კარგი ავგორიგეტი მოვიპოვე. როგორც ზევით აღვნიშნე, კაგორღასთან არსებობდა მუსიკალური და დრამატული თეატრთა შემოქმედების წრეები, რომლებიც ჩვენი სასტუმროს კლუბში ხშირად მართავდნენ საღამოებს, კონცერტებს. პატიმარმა, სომეხმა კაპელმეისტერმა, გვარად გუხნიშჩევმა მშვენიერი ორკესტრი ჩამოაყალიბა. აღსანიშნავია ისიც, რომ ციხის უფროსი ჩინებული მევიოლინე იყო და კონცერტების დროს ორკესტრში პატიმრებთან ერთად მონაწილეობდა, რაც ყველას ძლიერ გვახალისებდა. მარი ინოკენტიევნა და ვანო ჯორჯაძე ჩემი მუშაობით მეტად კმაყოფილები იყვნენ, მე ხშირად დავდიოდი მათთან და მფარველობისათვის მუდამ დიდ მადლობას ვუხდელი.

თანდათან გავიციანი სოფელ ალექსანდროვკის მოსახლეობა. მე ბავშვობიდანვე მიყვარდა გემოვნებით ჩაცმა. ესეც მინდა ვთქვა – როდესაც მასახლებდნენ, ოჯახიდან გამაგანეს ამიური წაღები, თეთრი და შავი ფაფახი, ორი წყვილი ჩოხა-ახალუხი, ქამარი (უიარაღოდ) და ნაბადი. გარემოს კარგად რომ შევეჩვიე, დავიწყე სიარული ეროვნული განსაყ-

მლით, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ლაღალ დავეიერნობდი ალექსანდროვიკის ქუჩებში; მესურა ფაფახი, მეცვა კარგად მომდგარი აზიური წაღები, ზოგჯერ ნაბადსაც წამოვისხამდი მხრებზე. ცხადია, ასეთი ჩაცმულობა აქ დიდი იშვიათობა იყო და გამეღელე-გამომღელენი თვალს არ მაშორებდნენ – ქალები, ბავშვები, მოხუცებულნი კარგა ხანს მაშგერდებოდნენ ხოლმე და უკანაც დამღევდნენ, რის გამოც ძლიერ უხერხულობას ვგრძნობდი. განსაკუთრებული ინტერესით მაქქერდებოდნენ ახალგაზრდა პირთეთრი ქალები და მეც, პირველი უხერხულობის გავლის შემდეგ რაღაცნაირ, ქართველურ სიამაყეს ვგრძნობდი და ოჯახზე, სამშობლოზე ფიქრი და ჯავრი მიმსუბუქდებოდა. ერთხელ, ასეთი გასეირნების დროს, როდესაც ერთ-ერთი მდიდარი ვაჭრის მალაზიის გვერდით გავიარე, მალაზიიდან ხმა შემომესმა: ПРОСТИТЕ, МОЛОДОЙ ЧЕЛОВЕК! მე მივიხედე და კარებში გამოიხედა ერთმა ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის განსრულმა, ხორცსავესე ქალმა. შევჩერდი. მან თავაზიანად მთხოვა მასთან შევსულიყავი. შესვლისთანავე მთხოვა რამდენიმე წუთით მომესმინა. დავჯექი და ვუსმენდი ამ ქალს, რომელიც აღმოჩნდა ანნა დიმიტრის ასული მერკულოვა. მან ალელვებულმა დაიწყო: თქვენ, როგორც გეცყობათ, კეთილშობილი, კარგი წრისა და შთამომავლობის ახალგაზრდა ხართ. მე გირჩევდით, აქ ხელი მოჰკიდოთ წესიერ ცხოვრებას ე. ი. არ გაითქვიფოთ ქალებში. თქვენ შესამჩნევი ახალგაზრდა ბრძანდებით და თქვენკენ ბევრი ქალის თვალია მომართული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რამზანოვის ქალები. აქ ცხოვრობს სამი და, რამზანოვები, რომლებიც თავიანთი სილამაზით გამოირჩევიან. ალბათ მოალწევდა თქვენამდე ამ ქალების სილამაზის ამბავი. შეიძლება კიდევაც შეხვდით. ერთი იმათგანი განსაკუთრებულად მშვენიერია და ამ ქალმა დაარღვია ჩემი ოჯახური მყუდროება. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემს ქმარს, რომელიც შეძლებულ ვაჭრად ითვლება და ასაკითაც კარგა ხანია გადასცილდა ახალგაზრდობის ზღვარს, შეუყვარდა ის ლამაზი რამზანოვას ქალი და ჩემზე გული აიყრუა.

ეს ბოლო სიტყვები მერკულოვას ქალმა ხმის კანკალით, ბრამზორეულმა წარმოთქვა. მერე ისევ განაგრძო: მე გირჩევთ, ჩემო კეთილო ყმაწვილო, გაიცინოთ ეს ლამაზი. ღრმადა ვარ დარწმუნებული, მას მოხიბლავს თქვენი ახოვანება და ვაქცაკური სიმშვენიერე, იგი უთუოდ ჩამოეხსნება ჩემს ქმარს, მეუღლე დამიბრუნდება და აღსდგება ჩემი მყუდრო ცხოვრება. სამაგიეროდ, პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, ყოველგვარ ხარჯს, რაც იმ ქალთან დასაახლოვებლად დაგჭირდებათ, თანაც ისე, რომ ამაყად



გვანჯი ჩიქოვანი

იგრძნობთ თავი თქვენი წოდებისა და ვაჟკაცობის შესაფერისად, მთლიანად მე ვკისრულობ. ჩემი ქმრის შემოსავლის ერთი მესამედი თქვენს განკარგულებაში იქნება და დროს მზიარულად და უდარდელად გაატარებთ, სანამ ამის სურვილი გექნებათო.

მე გამაოცა ამ ქალის ასეთმა გულახდილობამ და ძლიერ მიკვირდა, როგორ შეიძლება ქალმა, ისიც პირველი შეხვედრის დროს, სრულიად უცნობ მამაკაცს ასე გადაუშალოს თავისი გულისა და ოჯახის საიდუმლოებანი. ჩემი ამგვარი განცვიფრება ალბათ იმანაც გამოიწვია, რომ გამოუცდელი ვიყავი და ამავე დროს შესწავლილი არ მქონდა ქალთა, კერძოდ, რუსის ქალების ფსიქოლოგია. შემდეგ კი დავრწმუნდი,

რომ რუსის ქალთა საზოგადოება, მრავალი თვისებით, პირველ ადგილზე იმყოფება სხვადასხვა ეროვნების ქალთა შორის.

ამ თავის უცნაურ წინადადებაზე მერკულოვას ქალს მოკრძალებით ეუპასუხე, რომ ჩემი პიროვნული თავმოყვარეობა ნებას არ მომცემს, რაიმე ანგარების მიზნით გაგიწიოთ დახმარება. მართალია, მე პატიმარი და სამშობლოს მოწყვეტილი კაცი ვარ, მაგრამ ჩემი ღირსების უდიდეს დამცირებად მიმაჩნია, ფული ავიღო ქალისაგან იმისათვის, რომ მას გულის წადილი შევესრულო. ისე კი, მე შემიძლია შეგპირდეთ დახმარებას, რითაც კი მოსახერხებელი იქნება. მართალია, დღესდღეობით შემლუდული ვარ, სამშობლოს მოშორებული პატიმარი, მაგრამ მაქვს მტკიცე იმედი, რომ მალე ჩემი საყვარელი მშობლები მომაწვდიან დახმარებას და მე შეეძლებ საკუთარი სახსრებით მივაღწიო ასეთ პატივს, მაგრამ თქვენთვის კი დიდი სურვილის შესრულებას.

მერკულოვას ქალმა მგრძნობიარედ შემომხედა და მითხრა – მე სავესებით მესმის თქვენი თავმოყვარეობა და მალაღი სინდისიერება და

უფიქრობ, უამისოდაც გავიწიოთ დახმარება, აქ არაფერია დამამცირებელი და მე მუდამ მოხარული ვიქნები, თქვენ, ასეთ მშვენიერ ახალგაზრდას დაგეხმაროთ, მითუმეტეს, საამისოდ საკმაო შესაძლებლობა მაქვს. გთხოვთ, ხშირად მოხვიდეთ ჩემთან, როგორც ახლო მეგობართან და ისეთ ადამიანთან, რომელიც თქვენთვის არაფერს არ დაიშურებს. ესა თქვა და გახსნა საფულე, სწრაფად მომიკიდა ხელი და ხელში ასი მანეთი ჩამიდო. მე დიდი უხერხულობა ვიგრძენი, გავუძალიანდი და უკან დავებრუნე, მაგრამ მან ეს შეურაცხყოფად ჩათვალა და მაიძულა, ამელო ფული. რაღა მექნა, უღრმესი მადლობა გადავუხადე და დავშორდი მერკულოვას ქალს. სასტუმროში რომ დავებრუნდი, კარებში შემომეგება მსახური, რომელსაც ივანეს ეძახდნენ. მან გაბრწყინებული თვალებით შემომხედა:

– Дорогой Гванджи, я очень рад, что видел Вас у гос-пожи Меркуловой, она очень богатая женщина и Вам будет хорошо и вы будете счастливы.

მე კიდევე გამიკვირდა, როგორ შეამჩნია მსახურმა ჩემი იქ ყოფნა. მაშინვე ამოვიღე ჯიბიდან ფული, დავახურდავე და ხუთმანეთიანი ვაჩუქე მსახურ ივანეს. სიხარულისგან ალგაკებულმა ივანემ რამდენჯერმე დამიკოცნა ხელები და დიდხანს მლოცავდა. მეორე დღეს მხიარულ გუნე-ბაზე დამღვარი გავემართე ერთ ნაცნობ პატიმართან, ნიკო მოგელაძესთან, რომელიც საღურგლოში მუშაობდა. ნიკო მოგელაძე მეგად კეთილი და გულგახსნილი ადამიანი იყო. მას ძლიერ უხაროდა ჩემი ნახვა და როდესაც დამინახა, გახარებულმა მომადახა: მობრძანდი, ჩემო გვანჯი, ძალიან მასიამოვნე შენი მოსვლითო. მე დავეჯექი. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, ნიკო წამოღგა და მითხრა: სულ ოცდაათი კაპიკი მაქვს, მოვიტან ცამეტკა-პიკიან არაყს, პაგარა ბოთლს და პურის ნაჭერთან დავლიოთ თითო ჭიქა, მოვიგონოთ ჩვენი სამშობლოო. მე წამოვდექი, ამოვიღე ჯიბიდან მერკულოვას ქალის ნაჩუქარი ფული, ვაჩვენე ნიკოს, მოუყევი ჩემი მერკულოვას ქალთან შეხვედრის ამბავი და ჯიბეში თუმნიანი ჩავუდე. ნიკოს სიხარულის ცრემლმა დაუსველა თვალები და მითხრა – მამაშვილურად გთხოვ, გაფრთხილდი, მორიდებულად იყავი. მერკულოვას ქალის ქმარი გავლენიანი ვაჭარია, ის ამ ამბით შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს, ფულით იშოვნის ვიღაც ვიგინდარებს და ცუდ საქმეს დაგმართებს. მე ხელი ჩავიქნიე და ახალგაზრდული უღარდულობით ვუთხარი – ნუ გეშინია, ჩემო ნიკო, საქმეს არ წავეახდენ-მეთქი. შემდგომ ამისა გამოვიარე კატორღის კომუნდატურაში და ხუთ-ხუთი მანეთი შევეკვამენე თადა ხარში-

ლაგვასა და ხუმუგი ოვანესიანს. მეორე დღეს კობხად ჩაქმულმა გავისეირნე ალექსანდროვის მთავარ ქუჩაზე. დავიქირავე ეტლი და რაზმანოვების ბინაზე წაყვანა ვთხოვე. ერთ-ერთი და აღრე მყავდა გაცნობილი კონცერტზე. გაცნობის დროს იმ ქალმა მთხოვა ვსტუმრებოდი და გამეცნო მათი ოჯახი. მისულს კარებში მსახური გამომეგება და ბინაში მიმიპაგიეეს. პირველად შემხვდა რაზმანოვების უმცროსი და, რომელიც კმაყოფილებით შემიძღვა სასტუმრო ოთახში. იგრძნობოდა სისუფთავე და სისადავე, ნივთები კობხად და ლამაზად იყო დალაგებული. ეს ქალი საშუალო განისა იყო, ნაზი აგებულების და ტკბილად მოსაუბრე. ჩემი მოსვლის შემდეგ მალე გამოჩნდნენ საშუალო და უფროსი დებიც. სწორედ ამ უფროს დამე იყო შეყვარებული მერკულოვას ქმარი. მართლაც, უფროსი და სილამაზით ნამდვილად გამოირჩეოდა დანარჩენი ორისაგან. ბავშვურად უმანკო სახე ჰქონდა. კოპწია თავს ხუჭუჭი ქერა თმა უმშვენებდა და ნაზი სიცილის დროს ლამაზი გუჩებიდან ბროლივით ჩაწიკვიკებული სწორი კბილები მოუჩანდა. მარცხენა ლოყას მიმზიდველი, მოწაბლისფრო ხალი შეენოდა. ნაზ, ჩამოქნილ თითებზე ძვირფასთვლებიანი ბეჭდები ეკეთა, მაღალ, თოვლივით თეთრ კისერზე კი იშვიათი ხელოვნებით ნაკეთები ოქროს ძეწკვი უბრწყინავდა. საშუალო დას მაღალი და მოხდენილი განი ჰქონდა, მეტად სანდომიანი სახის გოგონა იყო. ჩაის შემდეგ გულთბილად გამაყილეს და მთხოვეს, ხშირად მივსულიყავი მათთან სტუმრად.

ერთი თვის განმავლობაში რამდენჯერმე ვესტუმრე რაზმანოვების ქალთა ოჯახს. ჩვენს შორის მეტად გულთბილი, მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა. ერთ საღამოს, როდესაც რაზმანოვების ოჯახიდან ვბრუნდებოდი, გზაში შემხვდა მერკულოვას ქმარი, თვითონ ვაჭარი მერკულოვი და თავაზიანად მომესალმა. მე, ცოცხა არ იყოს, უხერხულობა ვიგრძენი, მაგრამ მან, თითქოს ახლო მეგობარი ყოფილიყოს, გამიბა გულთბილი საუბარი და მითხრა, რომ დიდი ხანია უყვარს რაზმანოვას ქალი და არასგზით არ შეუძლია მისი დათმობა, გადაწყვეტილი აქვს, ამ ქალთან ერთად საცხოვრებლად გადავიდეს ირკუტსკში და ცოლი და ოჯახი ალექსანდროვკაში დატოვოს. მითხრა, რომ თავისი ცხოვრების შემდგომ ბედნიერებას იგი მხოლოდ რაზმანოვას ქალის სიყვარულში ხედავს და მთხოვა, შემეწყვიტა პირადად მის მეგობარ ქალთან სიარული და, რა თქმა უნდა, არავითარი საწინააღმდეგო არ ჰქონდა, კვლავ მეველო რაზმანოვების ოჯახში და ურთიერთობა მქონოდა დანარჩენ დებთან. ამ კაცის თხოვნამ და თავაზიანობამ ძლიერ შემაწუხა და ვუთხარი, რომ მე

იმ ქალთან არა მაქვს და არც ვაპირებ ახლო ურთიერთობა დაევაყარო. მან უღრმესი მადლობა გადამიხადა და კეთილად დაეშორდით ერთმანეთს. ასე შევთანხმდით, მიუხედავად იმისა, რომ მე ძლიერ მომწონდა რამზმანოვას ქალი და ვაგყობდი, არც ის იყო გულგრილი ჩემს მიმართ. პირიქით, ძალზე იგანჯებოდა, ერთ საღამოს კიდევ მითხრა: რა უკუღმართად არის ეს ცხოვრება მოწყობილი. ვწუხვარ, რომ შებოჭილი ვარ და არა მაქვს საშუალება, ჩემი გრძნობებისა და სურვილების მიხედვით ვცხოვრობდე.

მე ამკარად ვიგრძენი, რომ იგი მაგერიალურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ვაჭარ მერკულოვთან და აღარასოდეს მითქვამს, რომ სურვილი მქონდა მასთან დაახლოებისა. დანარჩენ ორ დასთან კარგი, მეგობრული დამოკიდებულება მქონდა და ხშირად ვხვდებოდით კიდევ ერთმანეთს. მერკულოვის ცოლს როცა შევაგყობინე, რომ მისი ქმრისა და რამზმანოვას ქალის დაშორება შეუძლებელი იყო, ბედს შეურიგდა და მითხრა:

— Что поделаешь, я не могу быть недовольной Вами и прошу не покидать меня, я буду для вас лучшим другом.

ამის მერე, მე მართლაც დავეუშევობრდი მერკულოვას ქალს, როგორც ახლობელს, და ხშირად ვნახულობდი ხოლმე. ცხადია, არ ვივიწყებდი ჩემს კეთილისმყოფელებს — მარი ინოკენტიევნას, ვანო ჯორჯაძეს, აგრეთვე, ნაცნობ კატორღელებს და შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი მათ. ჩემი მთავარი საწუხარი იყო სამშობლოდან მოწყვეტა, დედ-მამის, განსაკუთრებით კი დედის მწუხარება, რომელმაც დაკარგა საუკეთესო ძმა და მეც მისგან სამუდამოდ დამაშორეს. ამის გამო, მშობლებს ხშირად ვწერიდი გამამხნეველ წერილებს, ვუგზავნიდი დეკემბებს, სურათებს და მათგანაც ასევე ხშირად ვღებულობდი წერილებს, ამანათებს და სხვა საჭირო დახმარებას. ხუთი-ექვსი თვის შემდეგ ვანო ჯორჯაძე ალექსანდროვიკიდან გადაიყვანეს მარილის მოსახარმ ქარხანაში. ეს ქარხანა კატორღას ეკუთვნოდა. ჯორჯაძეს თან გაჰყვა მარი ინოკენტიევნა. მე ძლიერ დამწყვიტა გული მათთან განშორებამ, მაგრამ ორივენი დამპირდნენ, რომ მომინახულებდნენ ხოლმე. მართლაც, ჩემი იქ ყოფნის მანძილზე რამდენჯერმე ჩამომაკითხეს პირადად მე, რამაც დიდად გამახარა.

ერთ დღეს, როდესაც სადილის გაცემის დრო იყო, ჩვენს სასტუმროს მოადგა სამცხენიანი ეგლი, რომელშიც იჯდა ასე, ოცდახუთი წლის მეგაღ ლამაზი შესახედაობისა და მოხდენილი გარეგნობის ქალი. იგი გაბედულად

შემოვიდა და მსახურს შეეკითხა, შესაძლებელი იყო თუ არა, ჩვენს სასტუმროში ემოვა შესაფერი ბინა და სათანადო მომსახურება. მსახურმა მოახსენა, რომ მას შეუძლია შეჩერდეს სასტუმროში და მიიღოს სათანადო მომსახურება. მოსული შევიდა სასაბუღალტრო დარბაზში და სადილი მოითხოვა. მე დიდად დამაინტერესა ამ უცხო ქალის პიროვნებამ. სახუმრო ეგებოდა, რომ რაღაც აწუხებდა და ირგვლივ მყოფთ საგანგებოდ აკვირდებოდა. მე მორიდებით ვაღეწებდი თვალს მისი მიმზიდველი სახის გამომეგყვებლებას და თითონაც რამდენჯერმე ცნობისმოყვარედ გამომხედა. ცოგა ხნის შემდეგ ქალმა მსახური იხმო და რაღაც სთხოვა. მსახური მომიახლოვდა და მითხრა, ქალბატონი გთხოვთ მასთან მიბრძანდეთო. მე მორიდებით მივედი და მივესალმე ამ უცხო პიროვნებას. მანაც რიდით გამომკითხა ვინაობა და როდესაც მოუყევი, ვინც ვიყავი, შევაგყევეს იამოვნა ჩემი გაცნობა. შემდეგ დასასვენებელ ოთახში შევიდა და კვლავ გამომიგზავნა მსახური. როდესაც შევედი, მითხრა: Прошу, удалите мне несколько минут, товарищ Чиковани! უცნობმა განაგრძო – მე გთხოვთ თქვენ, როგორც ნამდვილ ადამიანსა და საუკეთესო ვაჟაკს, შემობრძანებულიყავით ჩემთან, როგორც ადამიანთან და გთხოვთ მიმიღოთ, არა ისე, როგორც ქალი, არამედ როგორც ადამიანი, რომელსაც თქვენთან ექნება ფრიალ სერიოზული საქმეო. მე ამბზე ვუპასუხე – არასოდეს არ იფიქროთ, რომ როდესმე უწესოდ მოგეპყრობით და მზადა ვარ გაგიწიოთ ადამიანური მეგობრობა-მეთქი. მან მაღლობა გადამიხადა და მითხრა – ახლა წავალ, ცოგა ხანში დავბრუნდები და თქვენთან სერიოზულ საქმეზე მექნება ლაპარაკიო. მე გამოვედი ოთახიდან. ის სადღაც წავიდა. ამის შემდეგ, მართლაც, საათნახევარი არ გასულა, რომ ის ქალი დაბრუნდა და ისევ მთხოვა მასთან შევსულიყავი. მისი პირველი კითხვა ეს იყო – ვიცნობდი თუ არა მე ლალო ჯოხაძეს. ლალოს ხსენებაზე მე ძალიან ავლელი, თანაც მეტისმეტად გამიკვირდა და გახარებულმა ვუპასუხე – ამას როგორ მეკითხებით, მე და ლალო ერთად ვიჯექით, ძალიან მიყვარს და მითხარით, რაიმე უბედურება ხომ არ შემთხვევია-მეთქი. მას გაელიმა და დამამშვიდა – ლალო წელან ვნახე, თქვენი ამბავი მოუყევი და სიხარულმა აიგაცა. ასე მითხრა, მიდი გვანჯი ჩიქოვანთან და იგი ყოველგვარ დახმარებას გაგიწევს, მიენდეთ მას და არაფერში უკან არ დაიხევს, არაფრით არ გიღალატებსო.

აქვე უნდა აღვნიშნო – მე ამ ქალის მოსვლამდე გაგებული მქონდა, რომ ბნელი და ცივი იაკუტის გუბერნიაში იმყამად, იაკუტის ციხეში

მჯდომმა პოლიტიკურმა პატიმრებმა ციხის სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ დიდი საპროტესტო გამოსვლა მოაწყვეს. იქ სისხლიანი შეტაკებაც მოხდა. მოკლულ იქნა რამდენიმე პატიმარი და ციხის ხელისუფლათაც მოუკლეს თავიანთი წარმომადგენლები. ამას მოჰყვა უმკაცრესი სადამსჯელო ზომები; გამოაცალკევეს ორმოცდაათი ყველაზე აქტიური პოლიტპატიმარი, მიუსაჯეს თითოეულს თორმეტ-თორმეტი წლის კატორღა და გადმოგზავნეს ალექსანდროვის გამანაწილებელ პუნქტში. ეს პუნქტი კატორღის მთავარი კორპუსიდან დაშორებული იყო კილომეტრით და მოთავსებული იყო ერთ მიყრუებულ გორაკთან, ფრიად განცალკევებულ და საიდუმლო ადგილას. მე ვიცოდი, რომ სსენებული ორმოცდაათი კაცი იქ იმყოფებოდა და თუ ლაღო ჯოხაძეც მათთან ერთად იყო, ეს მხოლოდ ახლა გავიგე. ამ ქალმა მითხრა, რომ იგი იყო ცნობილი პოლიტპატიმრის გინზბურგის და. ჩამოსული იყო, რათა ძმას დახმარებოდა. ეს ქალი საზღვარგარეთ სწავლობდა რომელიღაც უნივერსიტეტში. ახლა, საზღვრულ არდადეგებზე ჩამოვიდა ძმის სანახავად, მოუხერხებია კიდეც ეს და გაუცნია ლაღო ჯოხაძე, სხვა პოლიტპატიმრებიც სასტიკი მეთვალყურეობით მოთავსებული იყვნენ ალექსანდროვის გამანაწილებელ პუნქტში. ლაღო ჯოხაძესა და მის ძმას დაევალებინათ ამ ქალისათვის, მათდა დასახმარებლად, ჩემთან ფრიად კონსპირაციულად დაემყარებინა კავშირი. ამ ქალმა მეგად საიდუმლოდ მომიყვა, რომ გამანაწილებელ პუნქტში ლაღო ჯოხაძის, გინზბურგის, გურგენაძის და სხვათა ინიციატივით შემუშავებულია ორმოცდაათივე პოლიტკატორღელის გაქცევის გეგმა. კერძოდ, მათ ციხის ქვეშ უნდა გათხარონ გვირაბი და გაიქნენ იმ ჯოჯოხეთიდან, მაგრამ ამას, გარდა დიდი, დაძაბული მუშაობისა და გაბედულებისა, ესაჭიროებოდა სხვადასხვა იარაღები, მიწა რომ გაეთხარათ, აგრეთვე, სასროლი იარაღები თვით პატიმართათვის, მოსალოდნელი გართულების შემთხვევაში გამოსაყენებლად. გინზბურგის ქალმა მთხოვა, რომ ჯერჯერობით კატორღისგან მოშორებით, მემოვნა საიმედო, უშიშარი ბინა და შემდეგ გამეწია კონკრეტული დახმარება გასათხრელი და სხვა იარაღების მისაწოდებლად. მე ალუეთქვი მას ყოველგვარი დახმარება, რაც კი შემეძლებოდა. სავსებით დავარწმუნე, რომ ჩემი მხრიდან იმედიანად ყოფილიყო. მან უაღრესად დიდი მადლობა გადამიხადა.

მეორე დღესვე შევუდექი ბინის ძებნას და აღმოვაჩინე ერთი მოზრდილი, საერთო საცხოვრებლის მსგავსი დარბაზი, რომელშიც ვიღაც ებრაელ ფუქს გყავის ქარხანა ჰქონოდა და შემდეგ საერთო საცხოვრებ-

ლად გადაეკეთებინა. ეს ბინა მოეწონა გინზბურგის ქალს და დაიჭირნენ. მე გამიკვირდა თუ რისთვის უნდოდა ერთ ადამიანს ამოდენა დარბაზი და გაოცებულმა ვკითხე, რატომ არ მოისურვა პაგარა ოთახი. ამაზე გაცეინა და მითხრა, რომ მასთან რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვლენ ამ განწირულ კატორღელთა ჭირისუფლები.

მართლაც, რამდენიმე დღის მერე დაიწყეს გინზბურგის ქალთან ჩამოსვლა ხსენებულმა ქალებმა. მათგან მაგონდება მარია სევერიანეს ასული ლეოვა, თავის ქმართან ერთად, პოლია ფოკინა, ამხანაგთან ერთად და მრავალი სხვა საუცხოო ქალი. მე ბაზარზე მიწვედა ხოლმე გასვლა და მახსოვს, ხშირად მომადგებოდნენ და მეკითხებოდნენ: Простите, молодой человек, Вы будете Чиковани Гванджи Алексеевич?

საქმე ის გახლდათ, რომ გინზბურგის ქალს ჩამოსასვლელ ამხანაგებთან წერილობითი კავშირი ჰქონდა და აწვდიდა მათ ჩემს გარეგნულ აღწერილობას. ამიგომაც ახალჩამოსული ჭირისუფლები მაშინვე მცნობდნენ და მე მიმყავდა ისინი გინზბურგის ქალთან. სულ რამდენიმე კვირაში იმ ბინაზე ოცამდე ქალმა მოიყარა თავი. ამ დროს, ჩემი სამსახურის მხრივ, მოხდა მოულოდნელი ცვლილება. ერთ საღამოს გამომიძახა ციხის უფროსმა და მეუბნება – თქვენ ამავე ჯამაგირით ახალ სამსახურში უნდა გადაგიყვანოთ, იმუშავეთ კატორღის მთავარ ექიმ ზვერევთან, ციხის ქსენონში. მე მას მადლობა მოვახსენე და წამოვედი. მეორე დღესვე გადამიყვანეს ქსენონის მხედ. ჩემს ადგილას კი დანიშნეს იმ დროს ცნობილი პირი, კატორღელი პეტრე ალექსანდრეს ძე სმირნოვი. მე დიდი ხალისითა და სიამოვნებით შემხვდა ექიმი ზვერევი. ქსენონს ჰქონდა რამდენიმე საწოლი; აქ მომსახურებას იღებდნენ თვით კატორღის დამცველი ასეულის ჯარისკაცები, როცა ისინი საჭიროებდნენ რამდენიმე დღით პირველად სამედიცინო დახმარებას. აქაურ ავადმყოფებზე მე უნდა მეზრუნა – კვების, თეთრეულის და აბანოს მხრივ. ექიმმა ზვერევმა დამიქვემდებარა ორი სანიტარი, რომელთაც კატორღის მთავარი საავადმყოფოდან ჩვენი ავადმყოფებისათვის სადილ-ვახშამი უნდა მოეგანათ. მე მაშინვე გამახსენდა ჩემს საკანში დარჩენილი ამხანაგები – ხარშილავა და ოვანესიანი და ვთხოვე ექიმ ზვერევს, ისინი კატორღიდან გამოეყვანა. ექიმმა მალე დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა და ორივენი სანიტრებად დამინიშნა. ბედნიერებისაგან, რომ იცყვიან, ცას ეწიენენ საწყლები. ჩემმა ახალმა თანამდებობამ განსაკუთრებულად გაახარა გინზბურგის ქალი, რადგანაც, როგორც მას გაეგო, განმანაწილებელი პუნქტიდან კატორღის

მთავარ საავადმყოფოში გზავნიდნენ სამკურნალოდ ავადმყოფებს. მჭკუ ამჟამად საშუალება მქონდა, ციხის მთავარი საავადმყოფოს კორპუსში ჩემს სანიტრებს გავყოლოდი საჭმლის მიღების დროს.

იმ თავგადაღებულმა ქალმა ასეთი რამ მითხრა – ახლა შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი ვაქცაქური გაბედულება, ყველაფერი შეიგანოთ საავადმყოფოში და ფრთხილად გადასცეთ პატიმრებს, რომელთა გვარებს წინასწარ გავიგებთო. მე უყოყმანოდ დავთანხმდი ამ წინადადებას და მართლაც, დიდი სიფრთხილით, ერთი თვის განმავლობაში სხვადასხვა სახის დიდძალი იარაღი (ქლიბები, დანები, წერაქვები, ჩაქუჩები, რევოლვერები და სხვა) შევიგანეთ საავადმყოფოში, შემუშავებული გეგმის მიხედვით გადავეცით „ავადმყოფებს“, რომლებიც ხშირად იცვლებოდნენ – ერთნი მიდიოდნენ უკან, მეორენი მოდიოდნენ მათ მაგივრად. გინზბურგის ქალი სიხარულს ველარ მალავდა. იგი აღფრთოვანებული იყო ჩემი თავდადებით და მეც, ჩემის მხრივ, ძლიერ მალეღებდა და მახარებდა ამ ქალის ასეთი მოხერხებულობა და თავგანწირვა ძმისა და მისი მეგობრებისათვის. ჩვენ გვქონდა ცნობები, რომ გვირაბის გათხრა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ამ დაძაბულ მუშაობაში გინზბურგის ქალს არდადეგები დაუმთავრდა და პეტერბურგს გაემგზავრა. მალე ამის შემდეგ დიდად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა.

კატორღიდან ბათაჰისუღლება და ირკუბსკში ბამბგაპრება .

იმპერატორმა გამოსცა მანიფესტი და მაშინვე დიდის ამბით მომილოცეს, გამომიცხადეს, რომ კატორღის შემდგომი სასჯელისაგან გათავისუფლებული ვარ, ე. ი. მეპაგია სასჯელის ნახევარი. ალექსანდროვკაში სულ დაყვავი ერთი წელი და თერთმეტი თვე. მეორე დღეს გამიმზადეს საბუთები, გამისწორეს ანგარიშები და ირკუგსკის გუბერნიის სოფელ გელმაში მომცეს საგზური. ალექსანდროვკიდან ქალაქ ირკუგსკამდე ოთხმოცდაათი კილომეტრი იყო. მე დავექირავე მარხილი, მოვეწყვე შიგ ჩემი ბარგით, ყველას დიდი სიყვარულით დავემშვიდობე და გავწიე. მესამე დღეს ჩავადწიე ციმბირის ამ ცივ ქალაქში და ის ღამე ერთი ხელოსნის ბინაში გავათიე.

დილით გამოვედი ქუჩაში და ვფიქრობ – ხომ შეიძლება, ამ ქალაქში

რომელიმე ჩემი თანამემამულე ცხოვრობდეს-მეთქი და ჩამოვლხნ მუეგლეს ვკითხუ:

– Не знаете ли, Вы кого нибудь здесь из грузинов?

მუეგლე მაშინვე მომიტრიალდა და მიპასუხა:

– Как-же, барин, сейчас-же могу показать Вам грузина...

მე ჩაუვუჯე ეტლში და რამდენიმე წუთის შემდეგ ერთი დიდი მალაზიის ლამაზ ვიგრინასთან ვიდექით. ავიხედე და აბრის წარწერა წავიკითხე: Колбасное производство гр. Н. Гватуа. მუეგლეს უფლი გადავუხადე და გაბედულად შევედი მალაზიაში. კარებში შემომხვდა ჭადარა, დარბაისელი კაცი და მობრძანდითო, მითხრა. იგი აღმოჩნდა მელიტონ გეგელია. ძლიერ გაუხარდა ჩემი დანახვა, რადგან იყო ჩვენი ოჯახის დიდი ახლობელი და მოკეთე. მას ყველაფერი გაგებული ჰქონდა – ბიძაჩემის დაღუპვა, ჩემი კატორღაში გაგზავნა და როცა მიხილა მხნედ და ამაყად მყოფი, კოხგად ჩაცმული, სიხარულისგან ცრემლები გადმოცვივდა, გულში ჩამიკრა, გადამეხვია. შემდეგ მომიყვა, რომ იგი მუშაობდა ნესტორ გვათუასთან, რომელსაც ირკუგსკის გუბერნიაში აქვს ძეხვის წარმოების მონოპოლია და დიდი შეძლების კაცი არისო. მელიტონმა საჩქაროდ მოუყარა თავი ნაცნობ ქართველებს და რამდენიმე საათში ყველანი ჩვენთან შეიკრიბნენ – პლატონ კალანდარიშვილი, იოსებ მკერვალი, გრიგოლ გეგიაძე, კოხგა ჩემინაფა, პაულე და მოსე ჩიკვაძეები და კიდევ სხვები, თხუთმეტ კაცამდე. მელიტონმა კაცი გაგზავნა ნესტორ გვათუასთან და აცნობა ჩემი ჩამოსვლის ამბავი. ნესტორმა შემოთვალა, რომ ყველანი მასთან მივსულიყავით ბინაზე. მართლაც, საღამოს, მელიტონის წინამძღოლობით, ვესტუმრეთ ნესტორ გვათუას. ნესტორი უაღრესად სიმპათიური და სასიამოვნო შესახედაობის კაცი იყო. მეგად გულთბილად და ხალისიანად მიგვიღო. მასაც სკოდნოდა ჩემი გადასახლების ამბავი და მითხრა, ვწუხდი, რადგან შენი ადგილ-სამყოფელი არ ვიცოდით. იმან კი ძალიან გაახარა, კარგად რომ გამოვიყურებოდით და სულ არ ვგავდი ნაკატორღალ აღამიანს. მალე გააწყვეს დიდებული ვახშამი. გაჩაღდა ჩვენებური ვაჟკაცური სადღეგრძელოები. შემდეგ ნესტორმა ჯიბეზე გაიკრა ხელი, ამოიღო ასმანეთიანი და თქვა – ამ კაცს მარტო ვახშამი და ქეიფი არ ეყოფა, დახმარებაა საჭირო, რომ თბილი განსაცემელი შეიძინოს და დანიშნულების ადგილზე მშვიდობიანად დაბინავდესო. ჩემდა თავად, ას მანეთს ვღებ და თქვენც მოგიწოდებთო. ესეც დაამატა – ვისაც არა გაქვთ, მე ვასესხებთო. მართლაც, მოგიერთებმა ისესხეს და ძმური

და მამამშვილური სიყვარულით შეიღასორმოცდაათი მანეთი გადმოძქეს. მელიგონი ადგა და თქვა – გვანჯი ჩემთვის იმდენად ღვიძლი და ახლობელია, მე პირადად ასი მანეთით და მეგითაც ვერ გავისტუმრებო. მერე ხელი კედლისკენ გაიწვდინა და ჩამოხსნა თავისი ძვირფასი ბეწვის ქურქი, რომელიც იმ დროს ოცდახუთი მანეთი მაინც ეღირებოდა და მხრებზე მომახურა; ეს ჩემი საჩუქარი იყოს და ციმბირის სუსხიანი სიცივისგან დავიცავსო. მე უხერხულად ვიგრძენი თავი და უარი ვუთხარი, გამოდიოდა, რომ კაცისთვის ქურქი უნდა გამეხადა. მას გაეცინა და მითხრა, მეორე რომ არ მქონდეს მაგისთანა, მაშინ ნამდვილად ვერ გაჩუქებდიო. ამაზე ყველანი გამხიარულდნენ, გაეხარდათ მელიგონის საქციელი და ნასიამოვნები სტუმრები დიდი მადლობით დავემშვიდობეთ ნესტორ ვვათუას.

ირაკუსკიდან ბელმაში ბამბაპრება და უკან დაბრუნება

მეორე დღეს მელიგონ გეგელიამ სადგურზე გამაცილა და ირაკუსკიდან უსოლიაში გავემგზავრე. წინ სამოცკილომეტრიანი გზა მეღო. უსოლიიდან მარილის მოსახარშ ქარხანამდე ოცდაერთი კილომეტრი იყო. ჩავჯექი მარხილში და მივაღექი ვანო ჯორჯაძეს. ვანო გადამეხვია და ბინაზე წამიყვანა. გახარებულმა მარი ინოკენტიევნამ დიდის ამბით მომილოცა კაგორლიდან ვათავისუფლება. საღამოს წამიყვანეს ქარხნის მთავარ ინჟინერთან და ვააცნეს ჩემი თავი. მარი ინოკენტიევნამ და ვანო ჯორჯაძემ ინჟინერს დაბეჯითებით თხოვეს, ეშუამდგომლა ჩემთვის უსოლიის რაიონის პრისტაგეთან, რომ სოფელ გელმის მაგივრად, რომელიც აქედან რამდენიმე ათეული კილომეტრით იყო დაშორებული, უსოლიაში გავეწერე. ინჟინერმა დახმარება აღუთქვა მარი ინოკენტიევნასა და ვანოს და მეორე დღეს წავედით უსოლიის რაიონის სამმართველოს მწერალთან, რომელმაც გულთბილად მივიღო და უყოყმანოდ მომცა პასპორტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ნება მეძლეოდა თავისუფალი ცხოვრებისა ირაკუსკის გუბერნიის ყველა რაიონში, გარდა ცენტრალური ქალაქებისა. მე ძალზე გამახარა ამ გარემოებამ, ათასი მადლობა გადავუხადე ყველას (ვანო ჯორჯაძეს ჯერ კიდევ ბლომად მქონდა დარჩენილი კაგორლის ვადა, როგორც აღრე ვითქვი, იგი ათწლიანი პაგი-



მარი იყო). მესამე დღეს ისევ ირკუტსკში გავემგზავრე მაგარებლით და მელიტონ გეგელიასთან მივედი. მელიტონს ძლიერ გაეხარდა ჩემი გაწერა უსოლიაში, იმ ღამეს მასთან დავრჩი. მეორე დღეს ჩვენთან მოვიდა პლატონ კალანდარიშვილი. იმასაც ძალიან გაეხარდა ჩემი საქმის ასე გაკეთება და მთხოვა, თავის ოჯახში წავეყოლოდი. მაღლობა გადავუხადე და გავყვევი. მას პატარა ბინა ჰქონდა ქალაქის ერთ-ერთ უბანში, ე. წ. „მოსკოვის კარებთან“. მელიტონმა და პლატონმა გადაწყვიტეს, აღარ შეეწუხებინათ ნესგორ გვათუა და სანამ დამოუკიდებლად მოვეწყობოდი, მათ შეეწყოთ ჩემთვის ხელი. მართლაც. დიდი გულშემატკივრობა და ჭირისუფლობა გამოიჩინეს პლატონმა და მელიტონმა, მეტად გულთბილად მეპყრობოდნენ. მეც ვცდილობდი, რაც შეიძლება მორიდებულად ვყოფილიყავი – ფრთხილად დავდიოდი ირკუტსკის ქუჩებში და ვცდილობდი, ოფიციალურ პირებს არ გადავყროდი. პლატონს ძალიან ვუყვარდი და თავისუფალ დროს სულ ჩემთან იყო, არ მშორდებოდა. ძალიან კარგი დამოკიდებულება მქონდა, აგრეთვე, იოსებ მკერვალთან.

ამ დროს რუსეთ-იაპონიის ომი მიმდინარეობდა და რუსეთის არმიამ, მის წარუმატებლობაზე ცუდი ამბები მოდიოდა. ირკუტსკში ბევრი სამხედრო პირი იყო, მათ შორის უმაღლესი ჩინის ოფიცრებიც. ერთ საღამოს, გამეთს რომ ვკითხულობდი, ბოლო გვერდზე ასეთ განცხადებას წაეაწყდი: „Доктор Эристовъ принимает больных“. იქვე მითითებული იყო მისამართი და მიღების საათები. მე ძალიან გამიხარდა, ქართველი კაცის გვარი რომ ამოვიკითხე და გადავწყვიტე, მასთან წავსულიყავი, რადგანაც მეტად უხერხულად ვგრძნობდი თავს, არ მინდოდა ასე არაღელვალურად ყოფნა და ამასთან ერთად პლატონისაც მერიდებოდა. მეორე საღამოსვე გავემართე აღნიშნულ მისამართზე. ექიმს უკვე დაემთავრებინა მიღება და ისვენებდა. მარი დავრეკე და კარები მან გამიღო. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი რომ დამინახა, გახარებული შემეგება – მობრძანდით, მობრძანდით, ჩემო „მემლიაკო“. მე შევედი და გავეცანი ექიმ ნიკო ერისთავს. ოცდათორმეტი წლის კაცი იქნებოდა, სიმპათიური, სასიამოვნო გამოუმეტყველება ჰქონდა. იგი მოსკოვიდან გავგზავნათ ფრონტზე და სამხედრო სარდლის ბრძანებით ირკუტსკში შეჩერებულიყო დროებით. მან გულლიად მიმიწვია ჩაიზე, ვახშამს შევექეცი და მერე ნიკოს ვუამბე ჩემს მდგომარეობაზე, ვთხოვე დამხმარებოდა, რათა ირკუტსკში ოფიციალური გაწერა მიმეღო. შემეკითხა, ამ საქმის გაკეთება ვის შეუძლიაო. ვუპასუხე, უშუალოდ გუბერნატორის საქმეა-მეთქი. ამაზე გაეცინა

და მიპასუხა, გუბერნატორთან მეგად ახლო დამოკიდებულება მაქვს. ხშირად ერთად პრეფერანსს ვთამაშობთო. ახლავე შეგვიძლია შევეუდგეთ საქმესო.

მართლაც, მეორე დღეს ჩავჯექით ეგლში და გავემართეთ. იგი წინასწარ შევიდა გუბერნატორთან. საგუბერნატოროს მრავალრიცხოვანი ჩინოვნიკები ცნობისმოყვარედ მომჩერებოდნენ. მალე ზარმა დაიწკრიალა და გამომიძახეს. კაბინეტში შესულმა დავინახე, რომ ექიმი გვერდით ეჯდა გუბერნატორს. გუბერნატორი მეგად ახოვანი კაცი ჩანდა, ძალიან უხდებოდა ლამაზი ბაკუნბარდები და კოხგად დავარცხნილი ჭალარა წვერი. გაღიმებულმა წამოიწია და ხელი ჩამომართვა. შემდეგ ჩაახველა, ექიმს გადახედა და წარმოსთქვა: Правда, какой молодец Ваш приятель! შემდეგ ისევ გაისმა ზარის წკრიალი და შემოვიდა კანცელარიის უფროსი მაგვევსკი. გუბერნატორმა უბრძანა, გამოერთმია ჩემთვის პასპორტი და ჩაეწერა: Разрешаю прожить в гор. Иркутске при положительном поведении. მაგვევსკიმ ნათქვამი სასწრაფოდ ჩაწერა, რეგისტრაციაში გააგარა და გუბერნატორს ხელის მოსაწერად მიართვა. გუბერნატორმა დაასვა ბეჭედი, მოაწერა ხელი და გადმომცა პასპორტი. მე მას უღრმესი მადლობა გადავუხადე, ასევე დიდი მადლობა უთხრა ექიმმაც და გამოვედით. ამის მერე, ძალიან დაუუმეგობრდი ჩემს კეთილისმყოფელ ექიმ ერისთავს, ხშირად დაედიოდი მასთან. ამ ამბით მეგად კმაყოფილები იყვნენ პლაგონი და მელიგონი, რადგან უკვე შემძღლო უშიშრად და თავისუფლად მეცხოვრა მათთან.

ირკუტსკში ბევრი ქართველი გავიცანი, რომელთა შორის, ზემოთ ნახსენებთა გარდა, უთუოდ უნდა დავასახელო კოლია ნიჟარაძე, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი, რომელიც მოხალისედ წამოსულიყო იქ და წითელი ჯვრის საზოგადოებაში მუშაობდა. გაცნობის მერე კოლიამ ძალიან შემეყვარა და ხშირი სტუმარი ვიყავით ერთმანეთისა. ვიცნობდი, აგრეთვე, ქალაქ ირკუტსკის სასტუმრო „მარსელის“ გამგეს დავით დიმიტრის ძე ახმეტელს. მისი სასტუმრო განთქმული იყო და თვითონაც კარგი ვაჟკაცის სახელი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ირკუტსკში თავისუფალი ცხოვრების უფლება მოვიპოვე, მაინც გულს მიღრღნიდა ახლობლებთან, სამშობლოსთან დამორება და ჩემი ოცნება იყო, რაც შეიძლება ჩქარა მენახა ჩემი საყვარელი საქართველო. დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე წავსულიყავი იაპონიისკენ და რამენაირად ომში მიმელო მონაწილეობა, რათა ამ ვზით ან დავლუპულიყავი, ანდა



სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მომეპოვებინა. ამის თაობაზე ჩემი აბრი ვაგუზიარე პლატონს, მელიტონს, კოლია ნიკარაძეს, მაგრამ ყველანი წინააღმდეგნი იყვნენ და მიჩვენდნენ იქ დარჩენას. ამავე დროს მე უალრესად მაინტერესებდა, რა ბედი ეწიათ ლალო ჯოხაძეს და მის ამხანაგებს, რომლებიც ციხიდან გასაქცევად ემზადებოდნენ. პასპორტი ავიღე თუ არა, მაშინვე წერილი გავეგზავნე ალექსანდროვკაში დარჩენილ ჩემს მეგობარ ქალებს – ლევოსა და ფოკინას და ვაცნობე მათ ჩემი მისამართი. ისიც შევაგყობინე, რომ მზად ვიყავი, მათთვის მუდამ გამეწვია საჭირო სამსახური.

იმხანად ირკუცკში რუსეთ-იაპონიის ფრონტიდან ჩამოვიდა შევიცარიის სამხედრო წარმომადგენელი – აგაშე – პოლკოვნიკის ჩინის მქონე. იგი ფრონტზე წასულიყო როგორც აგაშე, რათა გაცნობოდა ომის მსვლელობას. ერთ დღეს მე და კოლიამ ეს აგაშე უმაღლესი ჩინის რუსეთის ოფიცრებთან დავინახეთ. კოლიამ მითხრა, ჩემო გვანჯი, დიდი სურვილი მაქვს ამ შევიცარიელ წარმომადგენელს დავით ახმეტელის სასტუმროში ერთი ლამაზი ბანკეტი მოუწყოთო. ჯერ ერთი, ეს ჩვენი სახელი იქნება, გარდა ამისა ლაპარაკიდან შევიგყობთ, შენი ფრონტზე წასვლა ღირს თუ არაო. მართლაც, მეორე დღეს წავედით ახმეტელთან და იმანაც საუკეთესო ვახშამი დაუკვეთა. სუფრა გაიშალა ბრწყინვალე დარბაზში. მაგიდას ამშვენებდა ძვირფასი ღვინოები, კავკასიური და ევროპული ნაირნაირი სასმელ-საჭმელი. შევიცარიელ პოლკოვნიკთან ერთად მოწვეულ იქნა მისი თანმხლები უმაღლესი ჩინის რუსეთის ოფიცრობა. იქ მყოფთა სმენას აგკობდა იგალიელ მუსიკოსთა საუცხოო ორკესტრი. ითქვა მაღალფარდოვანი სადღეგრძელოები. ყველას ემჩნეოდა დამცინავი და ერთგვარი უკმაყოფილო განწყობილება რუსეთის მთავარსარდლობის მიმართ. იმ ხანებში უკვე დაღუპული იყო აღმირალი მაკაროვი. მთელი გემიდან გადარჩა მხოლოდ დიდი თავადი კირილე ვლადიმერის ძე. ამ ფაქტზე ერთმა შემარხომებულმა პოლკოვნიკმა იხუმრა: Проща в воде не тонет! – რამაც დიდი სიცილ-ხარხარი გამოიწვია. შევიცარიის აგაშემ რუსული ენა კარგად იცოდა. მე ძლიერ მორცხვად ვიყავი და ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალყურს ამ უმაღლესი ჩინის ოფიცერთა საბანკეტო მანერებს. აღსანიშნავია, რომ შევიცარიის აგაშემ თავის სიტყვაში ასეთი რამ თქვა: მე რუსეთის სტუმარი ვარ. დღეს აქ ქართველებმა მომიწვევეს შესანიშნავი ბანკეტი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება, მით უმეტეს, რომ მთელი რუსეთის იმპერია მოვიარე და ასე გულუხვად ჯერ არავინ გამმასპინძლებიაო.

შუა ქეიფში კოლია ნიჟარაძემ სუფრიდან ამაყენა, გვერდზე გამიყვანა, თავზე ღვინიანი ჭიქა დამადგა, ათი ნაბიჯით დაიხია და მიზანში მესროლა. მე უშიშრად ვიდექი, ყველა შეშინებული და გაფითრებული შემომცქეროდა და კოლიას სთხოვდნენ, არ გაემეორებინა ეს სახიფათო თამაში, მაგრამ მან რამდენჯერმე მუსკად გატეხა ჩემს თავზე დადგმული სახვე ჭიქა და მეც უშიშრად, გაღიმებული ვიდექი, რადგან ვიცოდი, კოლია საუკეთესო მსროლელი იყო და ხელი არ უმტყუნებდა. დროსგარებამ თითქმის გათენებამდე გასგანა. დილის 4 საათზე გაზეთის გამყიდველის ყვირილი შემოგვესმა: Телеграмма, телеграмма! Убийство великого князя Сергея Владимировича, губернатора московского! დეკემბის ტექსტი როცა წაიკითხეს, ერთმა პოლკოვნიკმა ჩაილაპარაკა: Одним дураком меньше в России! ამის მერე ყველანი დაიშალნენ და კოლიას დილის ამბით დაემშვიდობა შვეიცარიის აგამე, აგრეთვე, მისი მხლებელნი.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ისევ კოლია ნიჟარაძესთან ვიყავი, ჩემთან მოვიდა პლაგონ კალანდარიშვილი და მითხრა: გვანჯი! ბინაზე გიცდის უცხო ქალი, რომელიც ერთი საათის წინ მოვიდაო. მე მაშინვე გავეშურე და ბინაზე ვნახე ახალგაზრდა, კარგად ჩაცმული, მეტად სასიამოვნო შესახედაობის ქალი. იგი დიდი ხნის მეგობარივით მომესალმა და მითხრა, ჩემი პაროლი ღაღო ჯოხაძე არისო. ეს ქალი აღმოჩნდა სოფია ვლადიმერის ასული ვინოგრადოვა – ცნობილი რევოლუციონერი, რომელიც, ღაღო ჯოხაძის დავალებით, ალექსანდროვიკიდან ჩემს იქაურ მეგობარ ქალებს გამოეგზავნათ. ამ ქალის ბედი და სიცოცხლე სამი წლის შემდეგ საშინლად დასრულდა; იგი, როგორც სამიში რევოლუციონერი, ჩამოხრჩობილ იქნა მაგროსის განსაცემელში, ქალაქ ვლადივოსტოკში. მე პლაგონ კალანდარიშვილს ადრევე ვუამბე ალექსანდროვიკაში დარჩენილ იმ პატიმრებზე, ღაღო ჯოხაძის ხელმძღვანელობით გაქცევას რომ აპირებდნენ. ვინოგრადოვას ქალმა დაწვრილებით გამაცნო მდგომარეობა. გადმომცა ღაღო ჯოხაძის შემონათვალი, რომ გვირაბის გათხრა უკვე დამთავრებულია და ახლა მათი ხსნა ჩვენზე იყო დამოკიდებული. გეგმა ასეთი გახლდათ: მე და ვინოგრადოვას ქალს უნდა დაგვექირავებინა თხუთმეტი მარხილი და მეორე ღამეს უნდა ჩავსულიყავით ალექსანდროვიკაში. ციხიდან გამოქცეული ყველა პატიმარი უნდა ჩამოგვეყვანა ირკუტსკში და სამი-ოთხი კაცი, პაგარა ჯგუფებად მიგვეყვანა საიმედოდ მიჩნეულ ფარულ ბინებში. ბინების საქმე უკვე მოეგვარებინათ იქ ჩამოსულ რევოლუციონერ სტუდენტებს, რომლებიც მეორე დღით გამაცნო სოფია ვინოგრა-

ლოვამ — ვეგომკინი, სერებრიაკოვი, ზვერევი და სხვები, სულ შვიდი კაცი. ეს ზვერევი უქიმ ალექსანდრ ზვერევის ძმისწული იყო; მუფის რეჟიმისთვის მეტად საშიშ რევოლუციონერად ითვლებოდა. მე შევეკითხე სოფია ვინოგრადოვას, ნაშოვნი იყო თუ არა საჭირო იარაღი. ამის პასუხად საღამოს მან მოიგანა სმით-ვესონის სისტემის ოცდაერთი რევოლვერი პატიმრებისთვის გადასაცემად.

მე და სოფია ვინოგრადოვამ დავიქირავეთ თხუთმეტი მარხილი და ცალ-ცალკე ჯგუფებად (თვითიულ ჯგუფში ოთხი-ხუთი მარხილი იყო) და ალექსანდროვიკისკენ გავემართეთ. პლაგონს არ დაუშლია ჩემთვის ამ საქმეში მონაწილეობა, ვინაიდან თვითონაც დაინგერესებული იყო ლაღო ჯოხაძისა და სხვების ბედით. ციმბირის გამძლე და სწრაფმა ცხენებმა ექვსი საათი მოანდომეს ჩვენს მიყვანას ალექსანდროვიკის გარეუბანში ერთ წისქვილთან, სადაც დანიშნული გვექონდა ადგილი. იქ ჩვენ ორმა მარხილმა მიგვასწრო. საათი-საათინახევრის შემდეგ ყველამ მოვიყარეთ თავი. აქედან თითო-ოროლად გავემგზავრეთ წინასწარ დათქმულ ადგილებზე. ციხიდან ნახევარი კილომეტრით რომ იყო დაშორებული; ვანელაგდით ერთ მიყრუებულ ჩირგენარში და ფრთხილად დავიწყეთ ლოდინი. თხუთმეტი წუთიც არ გასულა, რომ ორი ადამიანის სილუეტი გამოჩნდა და თანდათან მოგვიახლოვდა. ერთი მათგანი პირდაპირ ჩემკენ გამოიქცა და გადამეხვია. ეს იყო ლაღო ჯოხაძე, დიდებული ვაჟკაცი და უშიშარი რევოლუციონერი. რამდენიმე წუთში მოგროვდა ოცდათხუთმეტი კაცი. სულ ორმოცდაათნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ იმ ღამით ციხის საკანში გადაჯგუფება მოეხდინათ და ამის გამო თხუთმეტი კაცი გამოუსვლელი დარჩა, მათ შორის, ვინმზურგიც, რამაც ყველა ჩვენგანს ძლიერ დასწყვიტა გული. სასწრაფოდ დავსხედით მარხილებზე და ირკუტსკისკენ გავემგზავრეთ. ლაღო ჯოხაძე და ორიც სხვა ჩემთან დავისვი. გაქეულებს ჩამორიგებული ჰქონდათ თავიანთი ბინის მისამართები. მეორე საღამოს ფრთხილად შევედით ირკუტსკში. შესახელებულ ბინაზე რომ დავაკაკუნეთ, გამოვიდა ბინის პაგრონი და მიღებაზე ცივი უარი გვითხრა. დავრჩით ბედის ანაბარა. ლაღო მე მომიბრუნდა — ჩემო გვანჯი, გვეყოფა შენგან თავის განწირვა. ახლა, სულ რომ არ დაიღუპო ჩვენთან ერთად, აჯობებს, თავს უშველო, დაგვემორდო. ამაზე მტკიცე უარი ვუთხარი და ვთხოვე, ჩემთან წამოსულიყვნენ. გადავწყვიტე, იმავე ღამით მიმეყვანა ისინი პლაგონ კალანდარიშვილთან. მართლაც, მივედით პლაგონთან. მან სრულიად გულდიად და გაბედულად მიგვიღო. ადრე დილით ლაღო და მისი ამხანაგები ქალაქის გარეუბანში წაიყვანე ნაცნობ მედროვე გიორგი

მანდარიასთან და იქ დავაბინავე. შემდგომ ამისა, მე და სოფია ვინოგრადოვამ ამ ოცდათხუთმეტი კაცისთვის დიდი სიფრთხილით შევიძინეთ საჭირო განსაკმელები, შევემოსეთ ისინი (პასპორტები და სათანადო საბუთები წინასწარ პქონდათ გამზადებული სერებრიაკოვს, ვეგოშკინს და სხვებს) და ერთი კვირის განმავლობაში, სხვადასხვა მიმართულებით, ყველანი მშვიდობიანად გაემგზავრნენ. ასე წარმატებულად, უხიფათოდ დამთავრდა ეს შეგად ძნელი და დიდი მამაცობით მომზადებული გაქცევა.

ხარბინში ბამბაპრება

მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ხარბინში წავსულიყავი. პლაგონი და მისი ცოლი, რაკი დარწმუნდნენ, რომ გადაწყვეტილებას არ შევცვლიდი, დამეთანხმნენ. ცოლმა სთხოვა პლაგონს, ჩემი იქაური მეგობრები მოეწვიათ და ჩემთვის გამოსათხოვარი სადილი გაემართათ. მეორე დღესვე მოაწყვეს მშვენიერი სადილი, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ – ნესტორ გვათუა, მელიგონ გეგელია, ნესტორ ჩარკვიანი, სამსონ ნაჭყებია და სხვები, ათ კაცამდე. სადილმა მხიარულად ჩაიარა. ბევრი მგრძნობიარე, ამაღელვებელი სადღეგრძელო ითქვა. ყველა დიდი სიყვარულით გამომეთხოვა. ნესტორ გვათუამ, პლაგონმა და მელიგონმა მითხრეს, რომ ისინი ხარბინში აცნობებდნენ თავიანთ მეგობრებს, რათა ჩასვლისთანავე დამხმარებოდნენ, ხელი შეეწყოთ ჩემთვის. ამასთანავე თქვეს, რომ ხარბინში დეპეშას გაუგზავნიდნენ პლაგონ დადიანს. პლაგონ დადიანი, თავისი გავლენითა და შეძლებით, იმ დროს ცნობილი კაცი იყო ხარბინში. მასთან თავს იყრიდნენ კავკასიიდან ჩამოსულები – როგორც ქართველები, ისე სომხობა, თათრები და ჩრდილო კავკასიელები. მე უდრმესი მადლობა გადავუხადე პლაგონსა და მის მეუღლეს, ყველა მეგობარს. მეორე დღისათვის განისამოსიე და სახარჯო ფულიც მომზადებული მქონდა და ხარბინში გავემგზავრე.

ხარბინის გზაზე, როდესაც მაგარებული განხოსი სადგურში გაჩერდა, ვაგონიდან გადმოვედი და იქვე ბუფეტში შევედი, რათა მესაუბმა. ჩემთან მოვიდა ერთი ახალგაზრდა ფოსტის მოხელე და გამეცნო. იგი აღმოჩნდა ლეჩხუმელი ასათიანი, ჯანსუღ ასათიანის შვილი. ახალგაყნობილმა მორიდებით მთხოვა, ბინაზე ვსტუმრებოდი და შემპირდა, რომ გამაცნობ-

და ვალურია ჩიქოვანს, რომელიც თურმე ორდინარეცად (მხლებელი) მუშაობდა გენერალ რედკინთან. მე ღავეთანხმე. ასათიანმა შეამოწმა ბილეთი შემდეგი მაგარებლისთვის და გავეყვი ბინაზე. მან საჩქაროდ მოამზადა ვახშამი და რამდენიმე საათის შემდეგ მართლაც მოიყვანა ვალურია ჩიქოვანი. ჩიქოვანს ღიდად ესიამოვნა ჩემი ვაცნობა. უჩვეულოდ მაღალი ვაჟკაცი იყო. ამბობდნენ, მთელს რუსეთის იმპერიაში სიმაღლით მეორე კაცი იყო. სიმაღლე მეგად პარმონიულად, სიმეგრიულად ჰქონდა შერწყმული სხეულის მთლიან აღნაგობასთან. მე მას უკამზე ჩემი მდგომარეობა და ვთხოვე, ჩემს ფრონტზე გასაგზავნად გენერალთან შუამდგომლობა გაეწია. ჩიქოვანმა გამაყნო გენერალი რედკინი, ძალზე გულკეთილი კაცი. მან მითხრა, სიამოვნებით დაგეხმარებოდი, უშუალოდ მოქმედ არმიაში რომ ვიყო, ამკამად სარეზერვო ღივიზიას ვხელმძღვანელობ და, სამწუხაროდ, თქვენი სურვილის შესრულება არ შემძლიაო. ისე კი გირჩევთ, წახვიდეთ და როგორმე მოქმედ არმიაში მოხვდეთო. ამის შემდეგ ღავემშვიდობე ვალურია ჩიქოვანსა და ასათიანს და ისევე ხარბინისკენ გავეწიე. გზად საღგურ მანჯურიაში გაღმოვედი. მანჯურის საღგური გზაჯვარედინს წარმოადგენდა და აქედან ფრონტისკენ განუწყვეტლად მიღიოდნენ და ბრუნდებოდნენ სანიგარული, საგვირთო თუ სხვა ეშელონიები. მაგარებლიდან გაღმოსულმა ბაზრისკენ ჩავეხვიე და ვათვალღერებდი უამრავ მოფუსფუსე ხალხს, რომელთა უმეგესობა სამხედროები იყვნენ.

ამ ღროს, მომიახლოვდა ჩიხაში გამოწყობილი კავკასიური გარეგნობის კაცი და ვინაობა მკითხა. მე გავეყანი მას. თვითონ აღმოჩნდა აფხაზი ღიმიტრი ავიძბა. ისა და მისი ძმა რამდენიმე წლის წინ გაღმოსახლებულიყვნენ. ღიმიტრიმ მთხოვა, ღიდი სურვილი მაქვს, სტუმრად გამომყვეო. მალე კიღვევაც მივეღით ბინაში და გამაყნო თავისი ძმა, კოსტია ავიძბა. ორივენი კარგი ვაჟკაცები იყვნენ და ნამღვილი აფხაზური სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს და თავიანთ ბინაში დამტოვეს. მე ვთხოვე ძმებს აფხაზებს, ჩემი გაჩერება ყოვლად შეუძლებელია და ამიგომ, მალე უნდა წავიღე ხარბინისკენ, რათა ფრონტზე მოვხვდე-მეთქი. ღიმიტრიმ და კოსტიამ მითხრეს, რომ იქ, ე. ი. ღაბა მანჯურიაში ჟანღარმთა განყოფილების უფროსია ჟანღარმერიის პოლკოვნიკი შერშოვი, მეგისმეგად მკაცრი და მიუკარებელი, გულქვა პიროვნება. მისვლით შეგიღლია მიხვიღე, მაგრამ არაფერი გამოვარო. მე ღაფიქრდი და გაღავეწყვიტე, შერშოვთან აღარ მივსულიყავი, სხვა გზა მომიქებნა. ღიმიტრიმ და კოსტიამ მიჩიეს, ვინმე მოგვესყიდა ხარბინში მიმავალ ეშელონზე და ფარულად წავსულიყავი. მე მომიწონა ეს ამრი და ხშირად გავღიოდი საღგურზე, ვათვალღერებდი

სანდო პიროვნებებს. მანჯურის დაბაში კარგა ხანს მომიხდა დარჩენა. იქ ერთ ქართველს, ორახელაშვილს, სასტუმრო ჰქონდა. ამ სასტუმროში თავს იყრიდნენ კავკასიელები, უმეტესად ქართველობა. მეც ხშირი სტუმარი ვიყავი ორახელაშვილის სასტუმროსი, სადაც შეკრებილები ემსჯელობდით სხვადასხვა საკითხებზე, მეტწილად, სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობებსა და ომის მიმდინარეობაზე. რამდენადაც უფრო მაგვიანდებოდა და ფერხდებოდა ჩემი წასვლა, იმდენად უფრო ვშოთათავდი, მაგრამ გულს მაინც არ ვიგეხდი. ერთხელაც გავედი სადგურზე, როცა ჩამომდგარი იყო ფრონტზე მიმავალი ეშელონი. გვერდზე გავიხმე ერთი უნტეროფიცერი და ვუთხარი: ჩემო ძმაო, მე კავკასიელი კაცი ვარ. მშობლებს ძალად გამოვექციე, რადგან ჩემი ძმები ფრონტზე არიან. მეც მინდა ძმებთან წავიდე სამშობლოს დასაცავად და თუ შეიძლება დამეხმარე, რომ თქვენთან ერთად ვიმგზავრო-მეთქი. ამ უნტერ-ოფიცერმა და მისმა ამხანაგმა მომიკიდეს ხელი, წამიყვანეს მოშორებით და უკანა ვაგონში ჩამსვეს. სიხარულისგან ძლიერ ვიყავი აფორიაქებული. ეშელონის დაძვრას აღარაფერი აკლდა, ის იყო, მესამე ზარიც დაირეკა, რომ ამ დროს ვაგონის კარებთან მოვიდა ერთი ქანდარმი, თითი ჩემკენ გამოიშვირა და მკაცრად მითხრა: А ну-ка, молодой человек, выходите скорей! რაღა მექნა, უხმოდ ავდექი და გადმოვხტი. მაგარებელი დაიძრა და მე აღელვებული, მაგრამ მაინც თავშეკავებით გავცქერი მიმავალ მაგარებელს. ქანდარმი მაფრთხილებს, ჭკუას მარიგებს: Сейчас военное время и нельзя ехать без разрешения. Сейчас я Вас отпускаю, а в следующий раз этого не делайте!

მე სასწრაფოდ გავშორდი ქანდარმს. ამის შემდეგ ვერიდებოდი სადგურში გასვლას და რამდენადაც შეუძლო ვფრთხილობდი, მაგრამ იმდენად მქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი სურვილი, რომ ჩემს განზრახვაზე ხელის აღება შეუძლებელი იყო. ერთხელ კიდეც გავედი სადგურზე და სწორედ მაშინ ვნახე, რომ ჩამომდგარიყო ორი ეშელონი, კაზაკების ცხენოსანთა დივიზია. საუკეთესო ოფიცრებისა და ჯარისკაცებისგან იყო შედგენილი ეს ეშელონები. საუკეთესოდაც იყვნენ ჩაცმულები, ლამაზი ჩოხები შეენოდათ, დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ვაგონიდან ორი ლამაზი ოფიცერი გადმოვიდა და ბუფეტისკენ გაემართნენ. გავყევი ამ ოფიცრებს და შეუმჩნევლად, თითქოს მათ ვახლდი, დავჯექი სწორედ იმ მაგიდასთან, სადაც ისინი დასხდნენ. მოითხოვეს საუბზე და სასმელი. მეც მოვითხოვე და თანდათან ჩავები მათთან საუბარში. მე ძალიან მოვეწონე იმათ და მკითხეს თუ საიდან მოვემგზავრებოდი. მაშინ გულახდილად

ეთხოვე, მოეხერხებინათ ჩემთვის, მათ ეშელონს გავეყოლოდი, რადგან მოხალისედ მივდიოდი ფრონტზე, სადაც ჩემი ძმები იბრძოდნენ. იმ დროს დიდად სახელმწიფოებრივი იყო ქართველი გენერალი ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელიც პარტიზანული დივიზიის მეთაურად ითვლებოდა. კაზაკ ოფიცრებს ვუთხარი, რომ მასთან მინდოდა მისვლა. ოფიცრებმა იქვე მოილაპარაკეს, ეთხოვათ მათი შენაერთის უფროსისათვის, რომელსაც იასაულს ეძახდნენ. საუბრის შემდეგ მართლაც წამიყვანეს იასაულთან და მოახსენეს ჩემი თხოვნა. იასაულმა თქვა, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, ოღონდ გენერლის გარეშე არაფერი შემიძლიაო. წამიყვანეს დივიზიის უფროს გენერალ მარგინოვთან. გენერალი მეგად ახოვანი და ლამაზი ვაჟაკი იყო. ძალიან გულთბილადაც მიმიღო. მხარზე ხელი დამკრა და ვინაობა გამომკითხა. მე, რა თქმა უნდა, ვერ ვეგყოდი მას ჩემს ნამდვილ მდგომარეობას, ვინაიდან ეს არა თუ ხელს შეუწყობდა ჩემი მიზნის მიღწევას, არამედ საქმეს კიდევ უფრო წაახდენდა. ამიგომ მე სრულიად თამამად მოვახსენე გენერალს, რომ დედ-მამის ნებართვის და სურვილის გარეშე წამოსული ვარ ქუთაისიდან. მინდა მოქმედ არმიაში ჩავირიცხო მოხალისედ, რადგან ჩემი ორი უფროსი ძმა ფრონტზე იბრძვის-მეთქი. გენერალი ძლიერ გაახარა ჩემმა ასეთმა გაბედულებამ, თითქოს მისი ღვიძლი და ახლობელი ვყოფილიყავი, წამიყვანა ბუფეტის ცალკე ნომერში, მოითხოვა მშვენიერი საუბმე და გამიბა გულთბილი საუბარი. მითხრა, რომ ძალიან უყვარს საქართველო, რადგანაც დიდხანს ცხოვრობდა ქუთაისში, იცნობს – ჩიქოვანებს, დადიანებს, მიქელაძეებს, წერეთლებს და არასდროს დაავიწყდება ქართული სტუმართმოყვარეობა და იქ გატარებული დრო. მე დიდად გამამხნევა გენერლის ასეთმა ალერსიანმა მოპყრობამ და მასთან დაახლოვებამ. ამ ჩვენი მუსაიფის დროს მაგიდასთან ჩამოიარა ჯანდარმთა პოლკოვნიკმა შერშოვმა. იგი ცბიერი თვალებით იმზირებოდა იქეთ-აქეთ. გავიდა თუ არა, გენერალმა ღიმილით მითხრა: Молодой человек, Вы знаете этого господина?

ღიბ, ვიცნობ-მეთქი, თავი დაუქნე მე.

– Да! – გენერალმა განაგრძო, – Между нами говоря, это и есть настоящий царский жандармский дух, и, представьте себе, я, генерал-лейтенант, должен просить у него разрешения, взять Вас с собой, а он имеет право, отказать мне в этом. Я сердечно хочу исполнить Вашу просьбу, но если он откажет, это будет досадно и обидно. Но если Вы решитесь просить у него, то я подойду и тоже попрошу!

ამაზე იმ წუთშივე ვუპასუხე: არა, პატივცემულო ბატონო გენერალო!

მე არაფრით არ ვიზამ, რომ თქვენ მაგას რაიმე სთხოვოთ. თან ისიც ვიფიქრე, ამ შერშოვის გამოისობით ჩემი საქმე მთლად არ გაფუჭდეს-მეთქი.

ამის მერე გენერალი თავაზიანად გამოემშვიდობა და ადიუტანტების თანხლებით ეშელონისკენ გაემართა. ოფიცრებმა ბევრი ინანეს და მითხრეს, რად გვინდოდა იასაული ან გენერალი, ჩვენ თვითონ უნდა ჩაგვესვი ჩვენთან ვაგონში და წაგვეყვანო. წავიდნენ ეშელონები. დაერჩი ბაქანზე ძლიერ დაღონებული და გულგატეხილი. ყოველივე ამის გარდა, სახარჯო ფულიც მელეოდა და თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევდა, სხვები შემეწუხებინა.

მეორე საღამოს სადგურ მანჯურიას ხარბინიდან მომავალი მაგარებული მოადგა. სადგურს ორი მხარე ჰქონდა; წინა მხარეზე აღგებოდა ხარბინში მიმავალი მაგარებლები, უკანა მხარეზე კი – იქედან მომავალი. მე გავედი ბაქანზე და ვათვალისწინებ მაგარებლიდან გადმოსულ ხალხს. უცებ უკანა ვაგონთან თვალი მოვკარი ჩოხიან კაცს. აჩქარებული ნაბიჯით მაშინვე მისკენ გავემართე. მივედი თუ არა, ვაგონიდან გადმოვიდა დიდებული ვაჟკაცი, საუკეთესო ჩოხა-ახალუხი ეცვა, მოოქროვილი მასრები უელავდა, ძვირფასი ფაფახი ეხურა, ბრწყინვალე ქამარ-ხანჯალი ერტყა. მიგრიალდა, ვაგონიდან გადმოიყვანა ჩერქეზულად გამოწყობილი პაგარა, ლამაზი რვა წლის ბიჭუნა. ბარგი გადმოიტანა ხუთმა კაცმა, მას რომ ახლდნენ. კაცი ბავშვს ქართულად დაელაპარაკა და მეც მიუახლოვდი, მივესალმე. მან მხიარულად ჩამომართვა ხელი და როცა ვუთხარი, ჩიქოვანი გახლავართ-თქო, სიხარულისგან ანთებულმა წამოიძახა, ბიჭო, გვანჯი ხომ არა ხარო?!

ღიახ, მე ვარ-მეთქი, მოვახსენე და ეს კაცი გადამეხვია. მე პლაგონ დადიანი ვარ, ერთი თვეა გელოდები და რა მოგივიდაო? მე მოკლედ ვუამბე პლაგონს ყველაფერი. მან ეტლს დაუძახა და მითხრა – ახლა წავიდეთ ორახელაშვილთან სასტუმროში, ვისადილოთ და მოვილაპარაკოთო.

მივედით სასტუმროში. მოაგანინა პლაგონმა მშვენიერი საუბმე. უბრძანა მსახურებს, მარილწყალში მოეხარშათ მოზრდილი ბაგკანი და გაიმართა საუცხოო სადილი. საუბარში პლაგონმა მითხრა, რომ იგი მიემგზავრება თბილისში, რადგანაც სურს, თავისი პაგარა ვაჟი მოაწყოს ქართულ გიმნაზიაში, რათა ბავშვი არ გადაგვარდეს და მშობლიური ენა არ დაივიწყოსო. ამასთანავე, ბანკში გადაგზავნილი ჰქონოდა ფული, უნდა შეესყიდა და გამოეგზავნა ოცი ვაგონი ქართული (კახური) ღვინო. მერე მომიბოდიშა, ჩემო გვანჯი, ვწუხვარ, რომ ასეთ მდგომარეობაში

შეგხვდი. ჩემი უკან დაბრუნება შეუძლებელია, თანაც აქ ისე ვერ დაგეხმარები, როგორც შეგეფუერება და შენთვის აუცილებელი არისო. იქვე გამამხნევა, თვენახევარში უკან დავბრუნდები და ყოველივეს ისე მოვაწყობ, როგორც შენ დაგჭირდებაო. ეს თქვა და ჯიბიდან ორი ასმანეთიანი ამოიღო, გადმოშტა. მე უღრმესი და უგულითადესი მაღლობა გადავუხადე პლატონს. მან დამიბარა: გვანჯი, ხარბინში ჩასვლა თუ ჩემს დაბრუნებამდე მოახერხო, მიდი იქ ჩემი სახელით აზიურ ბუფეტში და არაფერი არ მოგაკლდებაო. თუ არა და, მე რომ დავბრუნდები, მერე ნულარაფრის შეგეშინდებაო.

იმავე დღეს პლატონი თავისი ვაჟითა და მსლებლებით თბილისისკენ გამოემგზავრა. მე უზომოდ გამამხნევა და ახალი იმედით შემშოსა პლატონის გაცნობამ და მისმა ასეთმა მოპყრობამ. სადამოს ისევე ორახელაშვილის სასტუმროში დავბრუნდი და ვზივარ ერთ-ერთ მაგიდასთან. ვხედავ — ჩემთან მოდის ის ქანდარმი, რომელმაც პირველად გადმომიყვანა სამხედრო ეშელონიდან და სადგურზე გასვლა ამიკრძალა. ეს კაცი რომ დაეინახე, სიმწრის ოფლმა დამასხა და გულზე კებნა ვიგრძენი. უნებურად წამოვდექი, რადგან მისგან კარგს არაფერს ველოდი. მან ხელით მანიშნა, დაემჯდარიყავი და მითხრა:

— Молодой человек, если Вы не против, я хочу поужинать с Вами, с тем условием, что я закажу по своему вкусу!

მე მოკლედ და გაბედულად ვუპასუხე: — Очень приятно! Буду рад! Но разрешите заплатить мне.

მან მოითხოვა სასმელი „რიბინოვკა“ და საუკეთესო ხარისხის თევზი, ე. წ. „ნავაგა“. მე ღვინო და ქართულად შემზადებული ცხერის მწვადები შევეუკეთე. ქანდარმმა რამდენიმე ჭიქა რომ გადააკრა, ჩემკენ მოიწია და მითხრა:

— Молодой человек, Хотя я жандарм, но и у меня есть человеческое сердце. Я замечаю, что Вы полтора месяца ходите очень обеспокоенный. Скажите мне откровенно, что Вас беспокоит и даю Вам честное слово, что я помогу Вам.

ეს სიტყვები მან ისე დამაჯერებლად და მგრძობიარედ მითხრა, გადავწყვიტე, გამეზივინა ჩემი სურვილი და ქანდარმს ყველაფერი ისე მოვუყევი, როგორც მანამდე გენერალ მარტინოვს ვუამბე. ვუთხარი, რომ ძმებთან წასვლა მინდოდა ფრონტზე. მან დაიჯერა ჩემი ნათქვამი და მითხრა — ხვალ დილით მე ვაცილებ ხარბინის მაგარებელს, ახლა

მომეცი ბილეთის ფული, თორმეტი მანეთი. თუ შეგიძლია ვაგონში მაძინ ჩაჯექი, როცა მაგარებელი სემაფორს გასცდება. ხარბინში რომ ჩავალთ, თუ დაგრჩება, მერე ას მანეთს გამოგართმევო. მე ამოვიღე ასი მანეთი და იქვე მივეცი. მან ორმოცი მანეთი უკან დამიბრუნა. წაიღო სამოცი მანეთი და კიდევ ბილეთის ფული, თორმეტი მანეთი.

იმ ღამესვე დავემშვიდობე ყველა ჩემს მეგობარს. ბარგი, რის ატანასაც აძრულ მაგარებელზე ვერ შევძლებდი, დავტოვე და ხარბინის გზის სემაფორისაკენ გავემართე. მართლაც, რამდენიმე წუთში მაგარებელი გამოჩნდა. მე გარეგნულად სიმშვიდეს ვინარჩუნებდი, თითქოს დინჯად ვიდექი, მაგრამ გული ძალუმად მიცემდა, ველავდი. მაგარებელი დაიძრა და გავქანდი, შეგულებული ვაგონის სახელურს სწრაფად, ახალგაზრდულად მოვაფლე ხელი, ტალანზე ავედი. კარებში მოხერხებულად შემომეგება ეს ყანდარმი, შეუშინველად მომაწოდა ბილეთი, შემდეგ პოლკოვნიკ შერშოვის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული საშვებიც მომცა და მითხრა – კონტროლი როცა ჩამოვივლის, მეც მასთან ვიქნები, ბილეთი კონდუქტორს გაუწოდე, ეგ საშიე კი მე მომაწოდეო. ასე გამაფრთხილა და წავიდა. რამდენიმე საათის შემდეგ ამ ყანდარმმა და კონდუქტორების ჯგუფმა ჩამოიარეს. ერთ-ერთს დინჯად მივეცი ბილეთი, საშვები კი ყანდარმს გადავაწოდე. მან ბეჭდიანი ქალაღლი ჩაათვალიერა და მითხრა, ეს ჩემთან დარჩებაო. კეთილი, ოღონდ არ დაგეკარგოთ-მეთქი, მივაძახე.

დღე-ღამის მგზავრობის შემდეგ ჩავედით ხარბინში. სადგურიდან გასვლამდე მოვიდა ჩემთან ყანდარმი და მითხრა, აქ შეიძლება ნაცნობი არ გამოგიჩნდეს და იმ ორმოც მანეთს ნულარ მაძლევ, აჯობებს შენვე მოიხმაროო. მე ამაზე არ დავეთანხმე და ფული ძალით ჩავეუჭუჭკე. მერე მაგრად ჩამოვართვი ხელი, მადლობა გადაუკხადე, მხურვალედ გადავკოცნე და დავემშვიდობე. ხარბინში ათასი ჯურის, ჩაკმულობისა და შესახედლობის ხალხი ირეოდა. მე იქაურობის თვალიერება, ეგლის ბებნა დავიწყე, მაგრამ თავისუფალი ეგლი არსად ჩანდა. ცოტა ხნის მერე გაკვირვებულმა დავინახე, რომ მოძრაობდა ორთვალა ეგლები, რომლებშიც ჩინელები (რიქშები) იყვნენ შებმული და მგზავრები გადაჰყავდათ. ერთი მათგანი ჩემთან მოვიდა და ჩემთვის გაუგებარ ჩინურ ენაზე დამიწყო ლაპარაკი. მე ვანიშნე, წაყვანა რომ მინდოდა და როცა გაიგეს ჩემგან ნათქვამი „ამიბაგსკი ბუფეტ“ – ხელად დამსვეს ორთვალაზე, გამაქანეს და რამდენიმე წუთში მიმიყვანეს. ჩინელებს სამმანეთიანი ვაჩუქე. ხურდა რომ შემომამძლიეს, უარი ვუთხარი, ძალიან გაუკვირდათ და ხელები დამიკოცნეს.

ბუფეგი დაბლა სართულზე იყო. რამდენიმე საფეხური ჩავიარე და კიბეზე ნიკო ჩიჩუა შემომხვდა. ნიკო მანამდე ზუგდიდის ციხეში მყავდა ნანახი, როცა იქ პირველად მიმიყვანეს. ზუგდიდის ციხეში იჯდა მაშინ დიდი ჩიკვაიძის დაჭრის საქმეზე და მერე თორმეტი წლით გადაასახლეს. ნიკოს მოვეყუყვი, რაც გადამხდა. შეწუხებულმა მითხრა, თვენახევარია შენს მოლოდინში ვართო (პლაგონ კალანდარიშვილს, მელიტონ გეგელიას და ნესტორ გვათუას, დაპირებისამებრ, აქ მყოფთათვის ეცნობებინათ, რომ მე ირკუცსკიდან ხარბინში გამოვემგზავრე). კარგი საუბრის შემდეგ ნიკომ ამიყვანა მეორე სართულზე, სადაც სიმონ ვარდენის ძე მიქელაძეს მშვენიერი სასტუმრო ჰქონდა მოწყობილი. ნიკომ სასწრაფოდ გამაყოლა კაცი, თეთრეული გამაგანა და აბანოში გამგზავნა. საღამოთი ნიკომ მეგობრებს გააგვებინა ჩემი ჩამოსვლა და მასთან მოვიდნენ – სიმონ ხაინდრავა, სამსონ ჩიგაია და ილიკო ერაგია. ძალიან გაუხარდათ ჩემი დანახვა, გადამეხვივნენ. გაიშალა საუკეთესო ქართული სუფრა. მოვიგონეთ სამშობლო და საყვარელი მეგობრები. მე კარგად ვიყავი ჩაცმული, მაგრამ ამდენი წვალებისა და მგზავრობის მერე ჩემი ჩოხა-ახალუხი ვერ გამოიყურებოდა მთლად სასურველად, საკმაოდ იყო შელანძღული. ნიკომ აიღო ვერცხლის მასრებით და სირმებით გაწყობილი თავისი ძვირფასი ჩოხა (ისიც ჩემსავით მორბა და განმალალი კაცი იყო), კოხტად შეკერილი ახალი ამიური წაღები საჩუქრად მომართვა. სიმონ ხაინდრავამ ზუგდიდელი ძაძამიას ნახელავი ხმალი გადმომცა, სიმონ ჩიგაიამ – ლამაზად მოჭედილი ვერცხლის ხანჯალი; ილიკო ერაგია მით-ვესონის რევოლვერი მისახსოვრა და გამოვეწყვე ჩინებულად.

მეორე დღეს ბაღში გავისეირნეთ. ვნახეთ უამრავი საუკეთესო ქართველობა. ზრდილობით აღსავსე ვაჟკაცები იყვნენ, დიდებულად ჩაცმულები. ბევრი დამიმეგობრდა, შემითვისეს, შემიყვარეს. საღამოს ნიკომ და სხვებმა იმერელ სიმონიკა ერისთავის სასტუმროში წამიყვანეს. ამ ერისთავს მშვენიერი, ლამაზი სასტუმრო ჰქონდა – „როსია“ – ბინად იქ მომათავსეს. გარემოს, იქაურებს მალე შევეჩვიე. ყველასთან ახლო და მშობლიურად ვგრძნობდი თავს, მაგრამ გულს მიდრღნიდა ის ამბავი, რომ არა მქონდა იქ ოფიციალურად ცხოვრების უფლება, ჩემი საბუთების გამოჩენა შეუძლებელი იყო და ამიტომ, მწარე ფიქრები არ მმორღებოდა, ხშირად ვიყავი ნაღვლიან გუნებაზე. ნიკო, სამსონი და ილიკო მაშხნეუბდნენ, მაიმეუბდნენ – ნუ გეშინია, გვანჯი, აქ მალე დაბრუნდებიან პარტიზანული ღვიშიის სარდალი, ბრწყინვალე თავადი ვიგგენშტეინი და პრინცი ნაპოლეონ მიურაგი... ვიგგენშტეინის დედა გახლდათ გარიულ დადიანისა და პაშა

დადიანის ასული, ხოლო მიურატის დედა იყო სამეგრელოს მთავრის დაით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ასული, პრინცესა სალომე.

ამიურ ბუფეტში ხშირად დავდიოდი პლატონ დადიანის ამბის საკითხავად. იქ მუშაობდა ილიკო შარაშენიძე, რომელიც დაჟინებით მოხოვდა, ყოველდღე მივსულიყავი და მიმელო ყოველგვარი პატივისცემა. ასე თუ არ მოიქცევით, პლატონი სასტიკ საყვედურს გვეცხვისო, მაფრთხილებდა. მე, როგორც შემძლო, ვერიდებოდი ჩემიანების შეწუხებას. ერთ დღეს ჩავდივარ ამიურ ბუფეტში და ბალიდან მოისმის სასულე ორკესტრის დიდებული, სასიამოვნო ხმა. უკრავდნენ საუცხოო ოსტატობით, სმენის დამატკობელად. მე მოვინდომე ბალისკენ გასვლა. ილიკომ გამაჩერა და მითხრა – არა, ჩემო გვანჯი, ახლა ნუ გახვალ. გარდა ხელმწიფე იმპერატორისა, ყველა იქ არის – ბრწყინვალე თავადი ვიგგენშტეინი, სერბიის პრინცი – კარა გეორგევიჩი, გრაფი ლაროში და სხვები...

ვიგგენშტეინის ხსენებაზე გული სხვანაირად ამიძგერდა და მიუხედავად ილიკოს თხოვნისა, გავედი ბაღში. ჩემთვის ვიფიქრე, საკუთარი ბედის გადასაწყვეტად ამაზე უკეთეს შემთხვევას ვერც ვნახავ-მეთქი. ბაღში გასვლისთანავე დავინახე, რომ უჩვეულო სიდიადითა და სილამამით გაწყობილ უზარმაზარ მაგიდას უსხდნენ უმაღლესი ჩინის მეფის დიდებული ოფიცრები, აქსელბანგებით, ჩინ-მედლებითა და ნაირ-ნაირი ორდენებით გაბრწყინებულნი. ჩემს დანახვაზე წამოდგა ახოვანი და მომხიბვლელი შესახედაობის ვაჟკაცი – თავადი ვიგგენშტეინი და გადმომძახა:

– Вы, наверно, ко мне, молодой человек! Подойдите, пожалуйста!

მე მორცხვად მიუახლოვდი, გადამხვია და გადამკოცნა, დამსწრეთ მიმართა:

– Познакомьтесь, господа, молодой князь Чиковани, родственник моей матери!

სუფრასთან მსხდომებმა მხიარული და კმაყოფილი სახით გადმომხედეს. მე მათ თავმდაბლად მივესალმე. ქეიფი სადამომდე გაგრძელდა. შემდეგ დაიშალნენ. ვიგგენშტეინმა ჩამისვა ეგლში და გავქეანეთ ძველ ხარბინში, სადაც იგი ოჯახით ცხოვრობდა ერთ მშვენიერ სახლში. გზაზე მითხრა, უნდა გაგაცნო ჩემი ოჯახი, ჩემი ქალიშვილი, პატარა „მინგრელკო“. თავადის მეუღლემ, ქალბატონმა ლიზა ვიგგენშტეინმა ძალზე გულთბილად მიმილო. საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ. მშვენიერი გოგონა ჰყავდათ. მეორე დღეს ვიგგენშტეინმა თავის მთავარ შტაბში წამიყვანა და ბრძანებით ჩამრიცხა პარტიზანულ რაზმში.

გახარებულმა ჩემს მეგობრებს – კოგე ქობალიას, იელიანე ხაინდრავას, კოლია წულუკიძეს, გიორგი მგალობლიშვილს, ფარნა გომუას, ნიკო ჩიჩუას, ჩიგაიას და სხვებს უკამბე თავად ვიტგენშტეინის რაზმში ჩემი ჩარიცხვის შესახებ. ამ ამბავმა ისინიც ძლიერ გაახარა და ყველამ მომილოცა. რადგანაც იმხანად ხარბინში ბლომად იყო ქართველობა, ვიტგენშტეინმა ნებართვა სთხოვა მთავარსარდალ ლინევიჩს, ჩამოეყალიბებინა კავკასიელთა რაზმი. ლინევიჩმა დართო მას ამის ნება. ამავე დროს თვით მეფემ გასცა საგანგებო ბრძანება, ეს რაზმი ყოველგვარი საჭურველით მოემარაგებინათ. ვიტგენშტეინმა მე და კოლია წულუკიძეს დაგვაგზავლა შეგვეძინა საუკეთესო ცხენები. რამდენიმე დღეში შეგროვილ იქნა სამას ოცი კაცი. აქედან ორას ოთხმოცი – ქართველი, ორმოცი კი – ჩრდილო კავკასიის ოსები. ერიფენ, აგრეთვე, სომხებიც. პირადად მე თავადმა ვიტგენშტეინმა მარჯუა საუკეთესო ჯიშის ყაბარდოული ცხენი, თავის ალკამშულობით და გაღიმებულმა მითხრა – აბა, შეჯექი, მინდა ვნახო, რანაირი მხედარი ხარო. ცხენოსნობაში მქონდა ჩემი თავის იმედი და შეჯდომისთანავე გავაჭენ-გამოვაჭენე. როცა დაებრუნდი, მხარზე ხელი დამკრა, შემაქო: ყოჩაღ, ჩემო გვანჯი, ღირსეული მხედარი ყოფილხარო. ჩემს ცხენს თავად ვიტგენშტეინის თავლაში უვლიდნენ მის ცხენებთან ერთად; ჩემთვის ნაჩუქარ ამ ცხენში ათასხუთასი მანეთი ჰქონდა გადახდილი.

მე და კოლია წულუკიძეს, როგორც უკვე აღვნიშნე, რაზმისთვის ცხენების შეძენა დაგვევალა. ჩვენ შევარჩიეთ თორმეტი კარგი ვაჟკაცი, ერთიც თარჯიმანი ავიყვანეთ, ჩინელი და საუკეთესო ცხენებით მონგოლეთისკენ გავუღექით გზას. თვრამეტი-ცხრამეტი დღე ვიარეთ უდაბურ ადგილებში. საკვები წაღებული გვექონდა, მაგრამ ნაწილს გზადაგზავ ვიძენდით. გავიარეთ შვიდასი თუ რვაასი კილომეტრი და, როგორც იქნა, შევედით მონგოლეთის გერიგორიაზე. ერთ მაღლობთან შევისვენეთ. მივიხედე მარჯვნივ და გორაკის ძირას თვალი მოვკარი ხის გრძელ ღარს, რომლითაც წმინდა წყალი მოჩუხჩუხებდა. მინდოდა გამეგო, საიდან მოდიოდა ეს წყალი და დავინახე ჭაობი. იქვე გლაპოში იწვა და უდარდელად იცოხნებოდა მონგოლური ურქო კამეჩების ვეება ჯოგი. ჩვენ გადმოვედით ცხენებიდან, მივედით წყაროსთან და ამ დროს, თითქოს სიმმარში აღმოვჩნდი, მომესმა ძველებური ტკბილი მეგრული სიმღერა „ოუ ნანა“.

ვიფიქრე, სმენა ხომ არ მაგყუებს-მეთქი და იქეთ გავიხედე, საიდანაც

სიმღერა მესმოდა. ვხედავ, ნიგვზის ხის ძირში დგას მშვენიერი მოხუცი კაცი, თოვლივით თეთრი წვერი მკერდზე დაფენია, კომბალი ჩაუბლუკავს და ღიღინებს. მონგოლური განისამოსი აცვია. მისკენ გავემართე და მივესალმე. მოხუცმა ხელი აღმართა, სიხარულისგან ცრემლები გადმოსცვივდა და მომეხვია. იგი წმინდა მეგრულად ლაპარაკობდა. ვინაობა გამოვკითხე და სამეგრელოდან აღმოჩნდა, გვარად ქვანია. 1894 წელს ბათუმში კაცი შემოკვდომოდა. სახალინზე გაეგზავნათ კაგორლაში, 1899 წელს ჩინეთის აჯანყებაში მიეღო მონაწილეობა. იქედან მონგოლეთში გამოქცეულიყო და თავად განთიმუროვთან შეეფარებინა თავი. დიდად გაგვახარა ამ კაცის გაცნობამ. გასაუბრების შემდეგ შემოგვთავაზა, წავალ ბატონთან და ვთხოვ, რომ მივიღოთ, როგორც ჩემი თანამემამულეები და ძმები, მინდა, თავისი თვალთ ნახოს, თუ რა ხალხის შთამომავალი ვარო. ამაზე უარს ნუ მეგყვიტო, გვეხვეწებოდა. ჩვენ დავეთანხმეთ; იგი სწრაფად წავიდა და რამდენიმე საათში გახარებული დაბრუნდა. ყველანი წაგვიყვანა. ისევ რამდენიმე საათი და ჩვენ უკვე მონგოლი თავადის სტუმრები ვიყავით. იგი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა, შავი წვერი და გიპიური მონგოლური სახე და თვალები ჰქონდა. აღმოსავლური თავაზიანობით მოგვეგება. იქვე პყავდა რუსული ენის მცოდნე თარჯიმანი. მათი ადათის მიხედვით, საპატიო სტუმრებს კვიცს უკლავენ, მაგრამ ჩვენი წეს-ჩვეულებების მცოდნე ყოფილიყო და ბრძანება გასცა, ცხვრები დაეკლათ. გააწყვეს გრძელი მავიდა. სარდაფიდან ამოატანინა შამპანური ღვინოები და გაიმართა სანაქებო ქეფი.

ცნობილია, რომ მონგოლები ქოსები, ე. ი. უწვერულვაშონი არიან. თვით განთიმუროვს და იქ მყოფთაგან კიდევ ხუთ კაცს ნამდვილი კავკასიური შავი წვერ-ულვაში ჰქონდათ. მე თარჯიმნის პირით შევეკითხე მასპინძელს, რითი აიხსნებოდა ის გარემოება, რომ მასა და იმ ხუთ კაცს, სხვებისგან განსხვავებით ლამაზი წვერ-ულვაში ამშვენებდათ. განთიმუროვს გაეცინა და მითხრა – თქვენ ალბათ გაგონილი გექნებათ, რომ მეცაპემგემეთოთხმეტე საუკუნეებში ჩვენი იმპერია შიშის შარს სცემდა მთელ მსოფლიოს და კავკასიაც ჩვენს ხელში იყოვო. მაშინ ჩვენს სახელოვან სარდლებს, ჩინგიზ-ხანსა და სხვებს იქედან გყვედ მოჰყავდათ ლამაზი ქართველი მამაკაცები და ჩვენ მათი შთამომავლობისა ვართო. ცხადია, ამ ნათქვამმა დიდად განგვაკვიფრა. მერე მან შეაქო მწყემსად მომსახურე ქვანია და თქვა – ეს კაცი ჩემთან არის და იქნება, როცა მოკვდება, ჩვენი ადათის მიხედვით დავასაფლავებო.

დილით ადგა თავადი განთიმუროვი, გამოაყვანინა მეჯინიბეს სამი საუკეთესო ცხენი და საჩუქრად გადმოგცა. დიდი მადლობა გადავუხადეთ,

დავემშვიდობეთ. ყვანიამ ხუთი-ექვსი საათის სავალზე გამოგვაცილა და გვირჩია, აქ რომ ცხენებში ფული გადაიხადოთ, ეს არავითარი გონიერება არ იქნებაო. აქ მინდორშია გაშვებული ასეულობით ცხენები და ამისთანა ვაეკაცებს შეგიძლიათ, რამდენიც გნებავთ გაირეკოთო. ესა სთქვა და მიგვითითა ადგილებზე, საიდანაც შეგვეძლო ცხენების გამორეკვა. ჩვენ სიყვარულითა და მაღლიერებით გამოვემშვიდობეთ ყვანიას. მან ცხარე ცრემლები ღვარა და გვითხრა – მე არ მეღირსება ჩემი სამშობლოს მიწაში დამარხვა, თქვენ კი გისურვებთ შინ მშვიდობით დაბრუნებასო. ჩვენ ას ოცამდე კარგი ცხენი შევაგროვეთ, მაგრამ ხარბინამდე ჩამოვიყვანეთ ოთხმოცი ცხენი; ზოგი გზაში გაგვექცა, ზოგიც ავაღ გახდა და დაეგოვეთ. ვიგგენშგეინს ძალიან გაუხარდა ჩვენი ასეთი სახელოვნად დაბრუნება. როდესაც ყველაფერი მოწესრიგდა და მომზადდა, ვიგგენშგეინმა გასცა ბრძანება და მისი სარდლობით ეს სამასოცკაციანი კავკასიური ცხენოსანთა რაზმი ჩინეთისკენ გავემგზავრეთ. მივედით უკანასკნელ სადგურ გუნჯუნამდე. იქ ერთ კვირამდე შევჩერდით. ვიგგენშგეინმა რაზმის წევრთა წვრთნა გამოჩენილ კავალერისგს, ოფიცერ ზალევსკის მიანდო. იგი მართლაც საუცხოოდ წვრთნიდა რაზმელებს და ყველა კარგად დაეუფლა ცხენზე ჯდომას, ხმალ-ხანჯლისა და იარაღის ხმარებას. ჩემი ოსტატობით მეგად კმაყოფილი იყო ვიგგენშგეინი. მას პირად დაცვაში ჰყავდა ოცდაოთხი კაციისგან შემდგარი ოცეული და მეუ რაზმში ვირიცხებოდი.

ერთ დღეს, ამხანაგებთან ვდგევარ და ვსაუბრობთ. უცებ ვხედავ, ლამამ ყაბარდოულ ცხენზე შემჯდარი ახოვანი ვაეკაცი მიახლოვდება, თან ოთხი ჩინელი ჯარისკაცი მოჰყვება. გამისწორდა და გვარი მკითხა. ვუთხარი ვინც ვიყავი. იგი ცხენიდან გადმოხტა და გადამეხვია. მითხრა, მე ბიდა სექანია ვარო. მეც და თითქმის ყველა ქართველს გაგონილი გვექონდა ბიდა სექანიას ამბავი. დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, მასზე ხალხური ლექსიც იყო გამოთქმული. იგი ჯერ კიდევ ჩემს დაპატიმრებამდე გადაასახლა მეფის მთავრობამ. მითხრა, რომ ყველაფერი ჰქონდა გაგებული ჩემს შესახებ, ამჟამად იმ რაიონში ცხოვრობს და გადაწყვეტილი აქვს დაპატიგოს თავადი ვიგგენშგეინი თავის შტაბთან და პარტიზანულ რაზმთან ერთად. მთხოვა, გავყოლოდი ვიგგენშგეინთან. გაბედულად სთხოვა თავადს, რომ პატივი ეყათ მისთვის და სწვეოდნენ. ვიგგენშგეინმა თავაზიანი მაღლობა მოახსენა მოპატივეს და შეპირდა დანიშნულ დროზე გამოცხადება. ბიდა სექანიამ მე წინასწარ გამიყოლია. ერთ ჩინურ სახლში მას ორი ოთახი ეკავა. ამ სახლის გვერდით მოეწყო უმარმაზარი ფარდული. რამდენიმე საათი დასჭირდა ამ ვეება სეფაში ჩვენებური

საუკეთესო სუფრის გამლას. უხვად იყო კახური და შამპანური ღვინოები, უამრავი ხორაგი – შემწვარ-მოხრაკული თუ მოხარ-მული ცხვარი, ბაგკანი, საქონლის ხორცი და მრავალი სხვა. მთელი ღამე ღიღებულ ქეიფში გავაგარეთ. თამადა იყო ყოფილი ოფიცერი ბებურ ბებურიშვილი. სუფრას სამასამდე კაცი უხსდა. მისევა მრავალი საუკეთესო სადღეგრძელო. ყველანი ღიღად კმაყოფილნი ღავრჩით. ბიდა სექანიამ იმუიათი პატივი გვცა.

ღიღით, როგორც ღაგეგმი-ლი გექონდა, საომარი მოქმედების ველისკენ გავემგზავრეთ. საღამოს ქალაქ ხერსუში ჩავედით. მე გამოვაცალკევე ოცი კაცი და ჩვენი ცხენებით გზაზე წავედით. იქ ვაბანავეთ ცხენები და როცა უკან დაებრუნდით, შევნიშნე ასამდე ცხენოსანი, რომელთაც წინ მოუძლოდა წითელლამპასებიანი მხედარი. ჩვენ წამოვედით. იმ რაზმის ერთ-ერთმა მხედარმა გზა გადაგვიჭრა, მოვიდა ჩვენთან და მოსალმების შემდეგ ვინაობა გვკითხა. ჩვენ როცა ვუპასუხეთ, მან გვითხრა, რომ იგი არის აღიუტანტი რუსეთის არმიის მთავარსარდლის გენერალ კუროპატკინისა, მთავარსარდალი იქ იმყოფება და პოსტიგლებს ათვალეერებსო. რაზმში როცა მივედი, ვიგგენშტეინს ამის შესახებ მოვახსენე. საღამოს ის ოფიცერი თავად მოვიდა ვიგგენშტეინთან და მოახსენა, არმიის მთავარსარდალი კუროპატკინი გთხოვთ, თქვენი რაზმით მის რეზიდენციაში ეახლოთო. ვიგგენშტეინმა ღიღი მადლობა გადაუხადა და ბრძანება გასცა, მოემზადებულიყავით. რამდენიმე წუთში ჩვენი ცხენებით წასასვლელად მზად ვიყავით. ვიგგენშტეინი წინ წაგვიძღვა და სულ მალე კუროპატკინის რეზიდენციაში გამოვეხადდით. ჩოხებში გამოწყობილი, ხმალ-ხანჯლებით მოკაზმული სამასოცი ცხენოსანი მწყობრში რომ ჩავდექით და გავმწკრივდით, გამოვიდა მთავარსარდალი და საღამო მოგვცა. მას მიესალმა ვიგგენშტეინი და შემდეგ კუროპატკინი ჩამოჰყვა მწყრივს, სათითაოდ



ალექსანდრე ვიგგენშტეინი (ცენტრში)
ძიძიშვილებთან ერთად

გვეკითხებოდა ყველას სახელს, გვარს, ეროვნებას.

ჩვენს რაზმში იყო ერთი უცნაური იმერელი, სამუელ იშხნელი, მეგაღ თავისებური შესახედაობის კაცი. ასე, ორმოცდახუთი წლის იქნებოდა. ჰქონდა გასაოცრად დიდი უღვაშები, ყურებამდე უწევდა, არწივისებური ცხვირი, მსხვილი წარბები და ფართო, მოუსვენარი, დაცეცხვული თვალები. მას განსაკუთრებით მიაქცია ყურადღება კუროპატიკინმა და თავის ერთ-ერთ ადიუტანტს, სომეხ აგანოსკის უბრძანა, გამოეკითხა მისი წარმომავლობა. ადიუტანტმა ცოტა ხანში მოახსენა: Он имеретинец – Ишхнели.

იშხნელს სასწაულად აჭრელბული გყავის ჩანთა ეკიდა. კუროპატიკინი მიუხელოვდა და ჰკითხა, მაგ ჩანთაში რა გაქვსო. იშხნელმა ომახიანად უპასუხა, რომ ძალიან უყვარს სისუფთავე და ჩანთაში საპარსი მოწყობილობა ჰქონდა. ისიც მოაყოლა, რომ თავდაუზოგავად იბრძვის სამშობლოს დასაცავად, მონაწილეობდა კორეის პარტიზანულ ომში გენერალ მადრილოვთან. მოიშელიპა ქული და მთავარსარდალს აჩვენა გადაპარსული თავი, რომელზედაც რამდენიმე ღრმა ჭრილობა ჰქონდა შეხორცებული. მიუხედავად ასეთი თავდალებისა, – რიხით განუცხადა კუროპატიკინს, – ბრავიოთარი ჯილდო და დაფასება არ მერგოო. ჩვენ ძლივს შევიკავეთ სიცილი, რადგანაც ვიცილით სამუელი ომში ერთხელაც არ დაჭრილა; ადრე, მის მიერვე აგეხილ მრავალ ჩხუბსა და აყალ-მაყალში იყო დაჩეხილ-დასახიჩრებული, როგორც დიდი ჭინჭყლი და არეულობის მოყვარული.

ამის შემდეგ კუროპატიკინი მე დამაკვირდა იმ ღროს, როცა ცხენზე ვჯდებოდი. ვიგგენშტეინმა ეს რომ შეამჩნია, მიბრძანა: აბა, კოხტად გააგარ-გამოაგარე შენი ყაბარდოული! მე მაშინვე მოედანზე გავიჭერი და გულადად გავაქროლ-გამოვაქროლე ცხენი. ამის დანახვაზე კმაყოფილმა კუროპატიკინმა რაღაც გადაუჩურჩულა ვიგგენშტეინს და ცოტა ხნით წავიდა. შემდეგ ვიგგენშტეინმა გამიმხილა, რომ კუროპატიკინმა დააავალა, განსაკუთრებული ყურადღება მოექცია ჩემთვის, რადგანაც ძალიან მოეწონებოდა. მერე ისიც დააგანა – შენ კარვად იყავი და როცა რაიმე შემთხვევა მომეცემა, კუროპატიკინთან ჯილდომე პირველ რიგში წარგადგენო.

მალე კუროპატიკინი ისევ გამოვიდა. გამოიგანა მეოთხე ხარისხის გიორგის ჯვარი და სამუელ იშხნელს თავისი ხელით დააბნია გულზე. ამ ამბავმა ყველანი გაგვახარა და გაგვახალისა. გამოვიდა სოკრატ იოსელიანი და მთელი ჩვენი პარტიზანული რაზმის სახელით მთავარსარდალს მხურვალე მადლობა გადაუხადა და აღუთქვა, რომ სამშობლოს დასაცავად თავდადებულად ვიბრძოლებდით.

იმავე საღამოს მთავარსარდალმა სადილი გამართა ჩვენს პატივსაცემად და ბრძანება გასცა, ყველას თავისი ეროვნული მწიგნულების შესაფერისად ემხიარულა, მოეღმინა, მოეწყო დიდი ზეიმი. მოწვეული პყავდათ საუკეთესო დამკვრელები და შესანიშნავი მოცეკვავეები. თვით კუროპატინიც ძალზე კმაყოფილი დარჩა.

მეორე დღით მთავარსარდალმა მოგვცა ოცდაოთხი კაცი, შაბაიკალიეს კაზაკები და ერთი მეგზური ოფიცერი, გზა დაგვილოცა. ერთ-ერთ დაბაში როცა შევედით, მშვერავისგან შევიტყვეთ, რომ სპირგის ქარხნის ტერიტორიასა და შენობაში იაპონელთა რაზმი იყო დაბანაკებული. ჩვენ ალყა შემოვარტყით ქარხანას. ამ დროს გამოვიდნენ ჩინელი ჯარისკაცები და გვანიშნეს, რომ იაპონელები უკვე წასული არიანო. ჩვენ ეს არ დავიჯერეთ. გამოვიდა ჩვენი რამზელი, საარაკოდ გამბუღავი ვაჟკაცი პაჭუ ახვლედიანი და ელვის სისწრაფით, კატასავით მოქნილად გადაველო გაღავენს, ქარხნის ეზოში ჩახგა. სწრაფად გაგვილო კარები და დავერწმუნდით, რომ იაპონელები მართლაც წასულიყვნენ. ამის შემდეგ, კიდევ განვაგრძეთ გზა და გავიწიეთ ღრმა ბურგისკენ. გამოვყავით ცამეტი კაცი, არიერგარდი და უეცრად მთის კალთაზე წავაწყდით იაპონელთა ჯგუფს. გაჩაღდა გააფთრებული სროლა. მე ცხენზე ვზივარ და ისე ვისერი. ვიტგენშტეინმა მომაძახა: ჩიქოვანო, ჩამოდი ცხენიდან და საფარიდან ისროლეო. მე დავამშვიდე: ნუ გეშინიათ, ჩემო ბატონო, ისეთი სიმშარი მაქვს ნანახი, იაპონელების ნასროლი ვერც ერთი გყვია ვერაფერს მავნებს-მეთქი. სროლამ რამდენიმე საათს გასტანა. ჩვენს მხარეზე მსხვერპლი არ ყოფილა. იაპონელებს დავუჭერით რამდენიმე მეომარი, რომლებიც გამოვიყვანეთ ბრძოლის ველიდან და აღმოუჩინეს დახმარება.

ამ დროს ვიტგენშტეინს მოუვიდა ცნობა, რომ მეფის მთავრობამ იაპონიასთან სამშვიდობო მოლაპარაკებისთვის მინისტრი გრაფი ვიტგე გაგზავნა. მალევე ვიტგენშტეინმა უკან დაბრუნების ბრძანებაც მიიღო; ჩვენ გამოვემგზავრეთ და ჩამოვედით ხერსუში, სადაც გავივით ეუსიმასთან აღმირალ როქდესგვენსკის დამარცხებისა და ბალგის სამხედრო ესკადრის განადგურების ამბავი. ხერსუდან პირდაპირ მაგარებლით გავემგზავრეთ და ჩავედით ხარბინში, სადაც ყველა მეგობარ-ნაცნობი დაშხვდა. იქ ხმა გავარდა, როქდესგვენსკი ჩამოსულას აპირებსო. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ, იგი საგანგებო ვაგონით ჩამოვიდა და სხვებთან ერთად მეც ვნახე მხლებლებით გარშემორტყმული.

ხარბინში ჩემი ყოფნის დროს ჩამოვიდა ხმები, რომ რუსეთის მთელ იმპერიაში – პეგერბურგში, მოსკოვში, კიევში, ბაქოში, თბილისსა და ყველა დიდ ცენტრში დაიწყო რევოლუციონერთა, მუშათა კლასის გამოს-

ვლები ცარიზმის წინააღმდეგ, შეშინებულმა მეფემ სასწრაფოდ მანიფესტი გამოსცა. ეს ამბები მალევე მოდიოდა ხარბინში. შეიქნა დიდი მოძრაობა, მითქმა-მოთქმა, ფაცა-ფუცი. იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები. ერთ-ერთ უმარმაზარ მიტინგზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი, მგზნებარე სიგყვით გამოვიდა ცნობილი რევოლუციონერი რაკოესკი. მან დიდი აღფრთოვანება გამოსთქვა რევოლუციის გამო და საგანგებოდ აღნიშნა, რომ კავკასიის ხალხებს და, კერძოდ, საქართველოს რევოლუციონერებს ძალზე მნიშვნელოვანი როლი მიუძღვით რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში, ამ დიდ სახალხო საქმეში. რაკოესკის სიგყვებს მაინცდამაინც არ მოჰყოლია ოვაციები. მერე გრიბუნაზე ერთი პოლკოვნიკი ავიდა, ხალხს ყოველსშემძლე ძალა უწოდა. ვანაცხადა, რომ ჩვენ, სამხედროები და ჯარისკაცები თქვენი იარაღი ვართ და წარგემართეთ, რათა ხალხის თავისუფლებისთვის ვიბრძოლოთ. მიტინგის დასასრულს მე მივედი რაკოესკისთან და დიდი მადლობა გადაუხადე. ქართველი ხალხის რევოლუციონერი შეილება ასეთი პატივით რომ მოიხსენია. პასუხად მან მითხრა: რევოლუცია რუსეთში უსათუოდ გაიმარჯვებს და ქართველი რევოლუციონერები ამ დიდ, საპატიო საქმეში მოწინავე ადგილს დაიმკვიდრებენო. მე კვლავ მადლობა მოვახსენე საქართველოს მიმართ ასეთი გულთბილი დამოკიდებულებისათვის და გამოვემშვიდობე.

უმაღლესი ჩინის ოფიცრობა მეტად უკმაყოფილო იყო რევოლუციით, მანიფესტით, საერთო არეულობით და ამ გულისწყრომას არც მალავდა. მიტინგები კვლავ ხშირად იმართებოდა, მაგრამ სამხედროები აღარ გამოდიოდნენ, ეგყობოდა მკაცრად იყვნენ გაფრთხილებული თავიანთ უფროსთა მიერ.

აქვე მინდა აღვნიშნო, ხარბინში ყოფნის დროს, სანამ ფრონგზე გავემგზავრებოდი, ხშირად ვსეირნობდი მეგობრებთან ერთად. შეუმჩნეველი არ დამრჩენია, რომ თავადი ვიგგენშეინი და პრინცი მიურაგი საღამოობით ქალაქგარეთ დადიოდნენ. ერთხელ ვიგგენშეინს ვთხოვე, მეც წავეყვანე. იმათაც ჩამისვეს ეგლში და გამაქანეს. მიმიყვანეს ერთ აღამიანთან, რომელსაც ვიცნობდი როგორც ცნობილ მდიდარ პიროვნებას. ეს გახლდათ სერგეი ვლადიმერის ძე პოლეგიკა. ამ კაცს ვიგგენშეინი და მიურაგი პეკერბურგიდან იცნობდნენ. იგი ვიგგენშეინმა თავისი თხოვნით ჩარიცხა პარტიზანულ რაზმში სამწევო ნაწილის უფროსად. შევედი მის ოჯახში. სერგეი ვლადიმერის ძე ალგაცებული შემოგვეგება. შემდეგ გამოვიდა მისი მეუღლე, ქალბატონი პოლეგიკა, უჩვეულოდ ღამაში ახალგაზრდა ქალი: მის მომხიბვლელ, დამაბრმავებლად თეთრ თავ-კისერს ამშვენებდა გიშერივით შავი თმა, შავი თვალ-წარბი და

ლოყაზე ლამაზი ხალი. ამ ქალის მშვენიერებამ თავბრუ დამახვია. დიდი მორიდებით მივესალმე და ხელზე ნაზად ვაკოცე. მან სწრაფად გააწყო საუცხოო სუფრა. მე, როგორც უცხო, გამორჩეული ყურადღებით მექცეოდნენ მასპინძლები, განსაკუთრებით ცოლი. მან ქმარი ვიგგენშტეინთან და მიურატთან დასვა, მე კი თვითონ მომისვა გვერდით და თავისი ხელით მაწოდებდა ახალ-ახალ კერძებს. გამომშვიდობებისას ცოლმაც და ქმარმაც გულითადად მთხოვეს, ყოველგვარი მორცხვობის გარეშე მივსულიყავი მათ ოჯახში, ყოველთვის, რა დრო და საათიც უნდა ყოფილიყო. როცა გამოვედი, ვიგგენშტეინმა და მიურატმა მხარზე ხელი გადამდეს და მითხრეს – გყუილად არ წამოგვიყვანისხართ აქ, ბედმა გაგიღიმა და აწი შენ იყო. მე ვკითხე ორივეს, რატომ მეუბნებოდნენ ამას. მათ მითხრეს – ჩვენ პეკერბურგიდან ვიცნობთ ამ ოჯახს, ბევრი ვეცადეთ მაგ ქალის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოვახერხეთ. ეხლა ქალმა გვითხრა, რომ შენ ძლიერ მოეწონე და ისიც თქვა, რომ მას მხოლოდ შენი შეყვარება შეუძლია, როგორც გაურყენელი, გაუფუჭებელი ვაქკაცისა, რადგანაც, მისი აზრით, შენ შეგიძლია გაუწიო იმ ქალს ნამდვილი მეგობრობაო. ჩვენ კი ასე გვითხრა, თქვენ გადაგვარებულები ხართ და ქალს ისე უყურებთ, როგორც სახმარ ნივთსო.

მეორე დღეს ჩავიციე მშვენიერი ლურჯი ჩოხა, საუკეთესო ამიურები, დავისურე მშვენიერი ფაფახი, დავიქირავე „ლიხაჩი“ მშვენიერი ლურჯათი და გავეშურე პოლეტიკას ოჯახში. მათ დიდის ამბით მიმიღეს. ქმარმა ორივე ხელი ჩამომართვა. ქალს განსაკუთრებული სიამოვნება მოჰგვარა ჩემმა მისვლამ. მე და სერგეი ბანქოთი გავერთეთ. ქალმა მშვენიერი სუფრა გაშალა. დამსვენს და გემრიელად ვისადილე. ქალი თვალს არ მაშორებდა და მეც მოჯადოებული ვიყავი. ნასადილეც ქმარი ადგა, გამოეწყო და მეუღლეს უთხრა – ამაღამ იგალიური ოპერაა, მე წავალ, ბილეთებს შევიძენ და შენ შენი სკუმრით იქ მობრძანდიო. ცოლმა უთხრა – მანამდე ჩვენს ძვირფას სკუმართან ერთად ეგლით გავისვირნებო. ცოლმაც და ქმარმაც მთხოვეს, რომ ჩემთვის შინაურულად, მეგობრულად მოემართათ, ეწოდებიანათ გვანჯი და არა გიორგი ალექსევიჩი. მე, რაღა თქმა უნდა, სიამოვნებით დაეთანხმდი. ქმარი თავის გზაზე წავიდა. ცოლმა უბრძანა მოსამსახურე დაშას – გაეფრთხილებინა მეეგლე, რათა მალე შეეკამმა ეგლი. მართლაც, სულ რამდენიმე წუთში მეეგლე მშვენიერი ცხენებითა და კოხგა, ორადგილიანი ეგლით სადარბაზოს კარებთან გველოდებოდა. ქალბაგონმა გვერდით მომისვა და გავექანეთ „ხარბპრისგანისაკენ“ (ნავსადგურისკენ). მთავარ („კიგაისკაია“) ქუჩაზე როცა ჩავიარე, ვხედავ, ვიგგენშტეინი და პრინც მიურატი დგანან. დამინახეს თუ არა, გაიცინეს,

გაკვირვებულებმა დამიწყეს ცქერა და ხელი დამიქნიეს. ქალბაგონმა პოლეტიკამ გაღმომილაპარაკა:

– Видите, какие они? Ревнуют Вас ко мне!..

მე სიამოვნებისგან ტანში ერუანტელმა დამიარა და ვუთხარი:

– Неужели я буду таким счастливым человеком?

მან აღარ დააყოვნა და ნაზად მიპასუხა:

– Представьте себе, что да! Вы мне очень нравитесь и я могу полюбить Вас, если Вы будете уважать и ценить меня.

გახარებულმა უხმოდ რამდენჯერმე ვაკოცე ხელზე. სახლში გვიან დავბრუნდით. მე სასტუმრო ოთახში დავჯექი. მან მოსამსახურეს უბრძანა, რომ სათეატრო განსაცემელი მიერთმია. ვზივარ და ვოცნებობ ამ უღამამეს ქალზე. უეცრად გაიღო კარი და ელვის სისწრაფით მომეხვია ეს ქალი და თავდავიწყებით დამიწყო კოცნა. თავი სიზმარში მეგონა. ჩვენ დიღხანს ვიყავით ჩახვეულები და ამ დროს უზომო ბედნიერებას ვგრძნობდი.

საღამოს, ოპერაში რომ მივედი, უკვე მესამე მარი იყო მიცემული. მიგვასწავლეს ადგილი ლოკაში, სადაც ქალბაგონის მეუღლე იჯდა. მას ცოლისთვის არც უსაყვედურებია, ღიმილით უთხრა, რაგომ დაიგვიანე, ჩემო კარგო. იმ დღიდან მოყოლებული მე და ქალბაგონი პოლეტიკა ძალიან დავახლოვდით, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. იგი მთხოვდა, სხვა ქალები არ გამეცნო და არ დავსწულებულიყავი. გულახდილად უნდა ვთქვა, ძლიერ შემიყვარდა ეს ქალი და თვითონაც ვერ მიშორებდა, სულ გვერდით უნდოდა ვყოლოდი. მერე და მერე ქმარმა ეჭვიანობა დაიწყო, მაგრამ ცოლს ვერაფერს უბედავდა. ფრონტიდან დაბრუნებულს, პოლეტიკას ქალი დიდი სიყვარულით შემეგება და ჩვენი მეგობრობა გაგრძელდა.

მასსოვს ბაღში ვიჯექი და ამ დროს ჩემთან მოვიდა ლაშხი, რომელიც ხარბინის ერთ-ერთ სასტუმროში ოფიციალურად მუშაობდა. მეტად კოხტა ყმაწვილი იყო; ეცვა თეთრი ჩოხა-ახალუხი, მშვენიერი, მომდგარი ამიურები, შესაფერისი ქამარ-ხანჯალი და ფაფახიც შევნიოდა. ამ დროსვე გამოჩნდა თავადი ვიგგენშტეინი. მასაც ქართულ ყაიდაზე შეკერილი ძვირფასი ჩოხა-ახალუხი და საუცხოო ამიურები ეცვა, ასევე მომხიბლავად გამოიყურებოდა. ვიგგენშტეინს გავაცანი ლაშხი, რომელიც ძალიან მოეწონა. შეხუმრებით გვითხრა – ჩემს ახალ ჩოხას დასველება უნდა და წავიდეთ. მან თან წამოიყვანა პრინცი მიურაგი, სახელგანთქმული ოფიცერი ვალოდია ერისთავი, გრაფი პოტოცკი თავისი დამით და შევედით სასტუმროში. გაიშალა სუფრა. დაიწყო სადღევრძელოები – ჩემს მოპირ-

დაპირედ მის გრაფ პოგოცკის დამა, რომელსაც მოსურვებოდა სუფრიდან გაეყვანა თავისი კავალერი და განიმზარა მისთვის ფეხის დაჭერა, მაგრამ ვერ მოზომა და ფეხი მე დამაჭირა ფეხზე. ამ უხერხული გაუგებრობის გამო ჩუმად გადავულაპარაკე პრინც მიურაგს. მან დამარიგა – ასე უთხარი მაგ ქალბაგონს, მაზოლებს ნუ მტკენტ-თქო. ეს „დარიგება“ მეხამუშა, შორს დავიჭირე და ვუპასუხე, რომ ამას უსიამოვნება მოჰყვებოდა. მან მითხრა, სანამ სუფრასთან ვზივართ, ეს თუ არ გაგიკეთებია, ვაქეცური გაბედულება არ გქონიაო. მე შემრცხვა და ქალს ცოგა ირონიულად ვუთხარი – მაზოლებზე ფეხს ნუ მაჭერთ-მეთქი. ქალი გაფითრდა და ნირწამხდარმა ბოლიში მოიხადა. გრაფი პოგოცკი მაშინვე წამოვარდა ფერდაკარგული და მომახალა – შეურაცყოფისათვის დუელში გიწვევთო. მე მყისვე ვუპასუხე, მზად გახლავართ-მეთქი. თქვენი სეკუნდანტები ვინ იქნებიანო, არ მომეშვა. თავადი ვიგტენშტეინი და პრინცი მიურაგი – ვუპასუხე. სანამ გავილოდა მითხრა, ხვალ ჩემს სეკუნდანტებს გამოვგზავნი და გადაწყდება დუელის დრო და ადგილიო.

მეორე დღეს, ვიგტენშტეინთან, მიურაგთან, კარა გეორგევიჩთან და სოკრატ იოსელიანთან ერთად ვარ არკადიის ბაღში. მაგიდას ვუსხედვართ და ამ დროს მოგვადგნენ კოლია ამილახვარი და საშა ვანჩაძე. ორივენი საუკეთესო ვაქეაყები და ოფიცრები იყვნენ; გრაფ პოგოცკის გამოვგზავნა თავისი სეკუნდანტებად და მოსალაპარაკებლად. საშა ვანჩაძე ქუთაისის ციხეში მყავდა გაცნობილი. მაშინ იქ დაცვის უფროსად იყო და დიდი პატივი მყა. ხარბინში რომ დამინახა, გახარებული გადამეხვია. სერბიის პრინცმა კარა გეორგევიჩმა საქმის ვითარება როცა გაიგო, უშვერი სიგყვებით დაუწყო ლანძღვა გრაფ პოგოცკის და დუელის ჩაშლა მოითხოვა.

ამ ლაპარაკში რომ ვართ, შემოვიდა თვით გრაფი პოგოცკი. ყველას მიესალმა და მეც ხელი ჩამომართვა, შემომხედა და მითხრა:

– Вы убеждены в том, что я Вас боюсь, или нет?

მე დინჯად ვუპასუხე:

– Я не имею право думать, что Вы меня боитесь!

ჩემს პასუხს მისი მტკიცედ ნათქვამი მოჰყვა:

– Если не убеждены, то сейчас-же будем драться!

ახლა მეც ჩემის მხრივ, ვკითხე:

– А Вы думаете, что я Вас боюсь?

– Никак нет, князь! – მიპასუხა მან.

მეც მაშინვე მივაგებე:

– Тогда я не хочу, чтоб из-за какой-то шансонетки мы

здесь кровь проливали...

ამაზე ყველას გაეცინა, თვითონ პოგოცკისაც. შევრივდით, ძმურად გადავკოცნეთ ერთმანეთი. გაეხარდათ, მშვიდობიანად რომ დამთავრდა ყველაფერი. ვიმხიარულეთ, კარგი დრო გავატარეთ...

მე მაშინ უკვე გადაწყვეტილი მქონდა იქედან წამოვსულიყავი და ყველა მეგობარს გავაგებინე ჩემი განზრახვა. ჩემთან დამორება განსაკუთრებულად უმძიმდა ალექსანდრა ანტონოვნას, პოლეტიკას ქალს. ამის გამო აშკარად იგანჯებოდა. სიმართლე უნდა ვთქვა, მეც ძალიან მიჭირდა მისი დატოვება. ერთ-ერთი ბოლო შეხვედრისას მითხრა: ძვირფასო გვანჯი, მე და ჩემს ქმარს ირკუტსკში სახლი და სიმდიდრე გვაქვს. ამასთანავე, ბანკში ჩემს სახელზე სამოცი ათასი მანეთია შეგანილი. მინდა ეს ფული შენთან სიყვარულს მოვახმარო. შენ ჯერ მარგო გაემგზავრე. დამიცადე ირკუტსკში. მე ჩემს ქმარს ვეგყვი, რომ სახლის დასათვალიერებლად მივდივარ (ირკუტსკში მათ ვილაცასთან მონადირე ძაღლი ჰყავდათ მიბარებული), ჩამოვალ ირკუტსკში და როცა ჩემთან იქნები ნურაფრისა შეგეშინდება, ჩემი ქმარი ვერაფერს გაგვიბედავსო. მე დავეთანხმე და გადავწყვიტე მისთვის ირკუტსკში დამეყადა. იქედან რომელიმე შავიზღვისპირა ქალაქში ჩავიდოდით საცხოვრებლად და მშობლებსაც ვნახავდი. ხარბინში ყველა ახლობელსა და კეთილისმყოფელს გამოვემშვიდობე. პლატონ დადიანმა წამოსვლის წინ ათასი მანეთი მაჩუქა. იგი დიდად კმაყოფილი იყო ჩემი საქმიანობითა და ყოფაქცევით. მეგობრებმა გულთბილად გამაყილეს სადგურზე და ჩავედი ირკუტსკში, სადაც დიდი სიხარულით შემხვდნენ იქ მყოფი ქართველები: პლატონი, მელიტონი, ნესტორი და სხვები. ფული საკმაოდ მქონდა და ყველას ჩემებურად ვეცი პატივი. სულით და გულით მინდოდა ყველასათვის გადამეხადა ჩემდამი გაწეული ამაგი და დახმარება. რამდენიმე დღის შემდეგ შევიგყვე, რომ ირკუტსკში ჩამოსული იყო ლადო ჯოხაძე. მე იგი ვინახულე ვიაჩესლავ და ინოკენტი ლაკუციევის კეების ოჯახში. ლადო აღფრთოვანებული გადამხვია, მღელვარებისაგან დიდხანს სიგყვას ვერ ვძრავდით. მერე, რამდენადაც შემეძლო, მოვეყუევი ჩემი თავგადასავალი. თვითონაც ბევრი ხიფათი გადახდენოდა; მითხრა, რომ ციხიდან გაქცევის შემდეგ ისევ დაეპატიმრებინათ ორენბურგში და ალგაჩა აკაგუის მკაცრ კატორღაში გაეგზავნათ. იქ მანიფესტს მოესწრო და გაეთავისუფლებინათ. ირკუტსკშივე ვნახე აგრეთვე, პოლინა ფოკინა და სხვა განთავისუფლებული რევოლუციონერები. ირკუტსკში ოცდაოთხი დღე ვიცადე და ყოველდღე ველოდი პოლეტიკას ქალის ჩამოსვლას, მაგრამ არა და არ ჩანდა. ამხანაგებმა მითხრეს, გაუილად ელოდები, იმან ალბათ სხვა ვინმე იშოვა და აღარ ჩამოვაო.

დავუჯერე ამ ნათქვამს და დავგოვე იქაურობა.

მერე შემთხვევით, ერთი გაზეთი ვნახე, წავიკითხე და გავიგე ალექსანდრა პოლევტიკას ჩამოუსვლელიობის ნამდვილი მიზეზი – თურმე რევოლუციონერ მუშებს შაბაიკალიეს რკინიგზის ლიანდაგები აყვარათ, რათა მეფეს იაპონიის ფრონტზე მყოფი ჯარები შუაგულ რუსეთში არ გადმოეყვანა აჯანყებისა და რევოლუციის ჩასახშობად. ირკუტსკში მოგვიანებით ჩამოსულიყო პოლევტიკას ქალი და კავკასიაში მყოფს გამოემიგბაენა წერილი, სადაც დიდ სინანულსა და გულისტკივილს გამოთქვამდა, რომ ამ შემთხვევის გამო დროზე ვერ ჩამოვიდა ირკუტსკში. მას დაწვრილებით გაეგო ჩემი ისტორია, გადასახლებაში რომ ვიმყოფებოდი და მსაყვედურობდა, რატომ არ გამიმხილე შენი მდგომარეობაო. მე პეტერბურგში ჩაგიყვანდი და შენს საქმეს ნიკოლაი ნიკოლაევიჩთან (იმპერატორს გულისხმობდა) გავაკეთებდიო. ამასთანავე მწერდა – შენ არ გადანამაულებ, როგორც ქართველ ვაჟკაცს, რადგან სამშობლოს სიყვარულმა დაგძლია და ქალს სამშობლო ამჯობინე, წახვედიო. უკმაყოფილო და ნაწყენი მხოლოდ იმის გამო ვარ, რომ შენი საიდუმლოება არ გამიმხილე, ამის მიზეზი კი ის არის, რომ მთელი არსებით არ გიყვარდი და გულით არ იყავი ჩემთან ახლოსო. თავის ამ გამოსათხოვარ წერილში ეს მშვენიერი, კეთილი და უღამაზესი ქალი ყოველივე კარგს, ბედნიერ ცხოვრებას მისურვებდა.

ირკუტსკში ყოფნის დროსვე ლაღო ჯოხბაძემ მითხრა – ხვალ ქალაქში, პოლიციის ხელშეწყობითა და ინიციატივით, რევოლუციონერთა დასაშინებლად და ებრაელთა წინააღმდეგ ხულიგნებმა რბევა უნდა მოაწყონ და ამ საქმეში შენი დახმარება გვჭირდებაო. მე სიამოვნებით დავეთანხმე ლაღოს და მასთან მყოფ ვიარქესლაე და ინოკენტი ლაკუციევისკებს და ძლიერად, გაბედულად დავუდექით ბოროტ ხულიგნებს, დიდი წინააღმდეგობა გაუწიეთ. მსხვერპლი მაინც ბლომად იყო. ჩვენ არაერთი ებრაელი და რევოლუციონერთა ოჯახი გადავარჩინეთ დარბევასა და განადგურებას.

ირკუტსკში ყოფნისას, იმ ოცდაოთხი დღის განმავლობაში, როცა ალექსანდრა პოლევტიკას ველოდებოდი, ხშირად დავდიოდი თეატრში, ვესწრებოდი კონცერტებსა და წარმოდგენებს. აღსანიშნავია, რომ მაშინდელი ირკუტსკის თეატრი ერთ-ერთ მოწინავე თეატრად ითვლებოდა და მესამე ადგილზე იყო მთელს რუსეთის იმპერიაში. ერთ დღეს გამოაკრეს აფიშები, რომ რუსულ ენაზე წარმოდგენილი იქნებოდა ალექსანდრე სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ლალაგი“. ამ ფაქტმა იქ მყოფი ქართველები დიდად გაგვახარა, წინასწარ შევიძინეთ ბილეთები; მე ყველა

ჩემი მეგობარი მოვიპატივე და შევედით თეატრში. წარმოდგენა მშვენიერად იყო გაფორმებული, როლებსაც საუკეთესო მსახიობები ასრულებდნენ. თვით სპექტაკლის მსვლელობისა და, განსაკუთრებით, მოქმედებათა ბოლოს დიდი ოვაციები იმართებოდა. ანგრაჟკების დროს მარსელიეზას ამაღელვებელი ჰანგები გაისმოდა. უკანასკნელი მოქმედება არც იყო დამთავრებული, ვიღაცამ ქანდარიდან მჭექარე ხმით დაიძახა, რომ ორკესტრს დაუყოვნებლივ შეესრულებინა სამგლოვიარო მარში სპექტაკლის საყურებლად მოსული გენერალ-გუბერნატორის კუგაისოვის მიმართ. პარტერის უამრავი ხალხი შეშინდა და შემოთებულებმა გააფრთხილეს ორკესტრი, რომ ეს მარში არ შეესრულებინა. მაშინ ზემოდან ფურცლები გადმოყარეს. დაეწვდით იმ პროკლამაციებს და წავიკითხეთ. იმუქრებოდნენ, რომ თუ სამგლოვიარო მარში არ შესრულდებოდა, მაღლიდან ბომბს გადმოაგდებდნენ და ყველას ამოგვწყვიტავდნენ. სხვა გზა აღარ იყო. კაპელმეისტერმა იმ წუთშივე ანიშნა ორკესტრს და სამგლოვიარო მარშმაჟ დაიგუგუნა. გენერალ-გუბერნატორი კუგაისოვი, თავისი ამაღი-თურთ, გაფითრებული იჯდა სამთავრობო ლოკაში. სამგლოვიარო მარშის დამთავრების შემდეგ ტაშის გრიალი და კიდევ მარსელიეზა გაისმა...

მეორე დღეს, საქციელწამხდარმა, შეშინებულმა გენერალმა კუგაისოვმა თავისი თანამდებობა მოადგილეს გადააბარა და ოჯახით სასწრაფოდ პეტერბურგს გაემგზავრა. ამ შემთხვევის შემდეგ მე კიდევ ორი დღე დავრჩი ქალაქში. გამოვეთხოვე იქაურ მეგობრებს, თან წამოვიყვანე ორი ახლობელი ადამიანი – ნიკო მარლანია და მალხაზ ჩაჩიბაია – და დაგოვე ირკუტსკი. მანამდე ისიც უნდა აღვნიშნო, თუ რა დიდის ამბით გამომაცილეს სადგურში. მთელი ქართველობა შეიკრიბა და ბუფეტში გამართეს დიდებული სუფრა. თამალობა ღვით ღიმიგრის ძე ახმეკელაშვილმა გასწია.

რევოლუციის ქარიშხალმა თუმცა საგრძნობლად შეარყია მეფის ყანდარმერია, მაგრამ თვით ყანდარმები ჯერ კიდევ ამქლავებდნენ თავიანთ ძალასა და უფლებამოსილებას. ბუფეტში შემოსულმა ერთ-ერთმა ყანდარმმა გვითხრა, შეგვეწყვიტა სიმღერა და ქეიფი. დავითმა ყურადღება არ მიაქცია ყანდარმის გაფრთხილებას და განვაგრძეთ ჩვენი ღვინი. გამოიძახეს კომენდანტი. კომენდანტის გამოჩენისთანავე ახმეკელაშვილმა დიდი ბოკალი აიღო და თვალის ასახვევად ნიკოლოზ მეფის სადღევრძელო წარმოსთქვა, ჩვენ კი გადმოგვხედა – ბიჭებო, ერთი მრავალკამიერი სჭექეთო. ნიკოლოზის ხსენებისას ყანდარმი სმენაზე დადგა და გამოგვეჭიმა, თამადამ კი ამ დროს სავესე სასმისი მიაწოდა. მან უხმოდ გადაყლურწაღვინო. ღვით ღიმიგრის ძემ ხელისუფლების წარმომადგენელთ განუ-

მარგა, რომ ჩვენ ქართულად ვიმღერეთ „Многие лета“. კომენტარ-გმა, მეგი რომ ვერაფერი მოახერხა, გვთხოვა ქეიფი მალე დაგვემთავრებინა და გაგვშორდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ირკუტსკში ყოფნის დროს ვანო ჯორჯაძის სანახავედაც გავემგზავრე. ვანო დიდი სიხარულით შემეგება. ისა და მარია ინოკენტიევნა გამორებულებიყვნენ. ქალი იქ არ იყო. ამის მერე ე. წ. „სტანოვოი პრისტავთან“ – უბნის ბოქაულთან გამოვეცხადდი. მან კარგად, ხალისით მიმილო. მის მიერვე მოცემული ძველი საბუთი გამომიცვალა.

ასე და ამგვარად, ირკუტსკის სადგურზე დიდი სიყვარულით გამოვემშვიდობე ჩემს მეგობრებს და გამოვემგზავრე; ნიკო და მალხაზი ისე მომყვებოდნენ, თითქოს ჩემი მხლებლები ყოფილიყვნენ. სამშობლოში დაბრუნების უფლება არც მათ ჰქონდათ. მე საუკეთესოდ ვიყავი ჩაცმული – ძვირფასი ჩოხა-ახალუხი, ძვირფასი მასრები, წითელი ყაითანით და სირმებით გაწყობილი. უძვირფასეს ქურქს (ისეთს მხოლოდ დიდგვაროვანი და ჩინოსანი ხალხი იცვამდა) წითელი მაუდის საყელო და სარჩული ჰქონდა გამოკერებული. მაგარებლის გამცილებელთა შემადგენლობა მეტად თავაზიანად მეპყრობოდა. ფული საკმაოდ მეღო ჯიბეში. მგზავრობა უსიამოვნო იყო, უფრო იმის გამო, რომ ჩვენი სამგზავრო მაგარებელი ძალიან ნელა მიდიოდა, მიმოზინობდა. დემობილიზებული ჯარისკაცებით საეხე სამხედრო ეშელონებს ჩვენზე უწინ უშვებდნენ. ჩელიაბინსკში რომ ჩამოვადწიეთ, სადგურსა და მის მიდამოებში უამრავი ვინმე ირეოდა, საშინელი გუგუნი გაგაყრუებდა, ყურთასმენა აღარ იყო. ვინაიდან მაგარებელი რამდენიმე საათს უნდა მდგარიყო, ბაქანზე გადმოვედით.

ერთ ადგილას დიდძალი ხალხი მოგროვილიყო და ვილაყას უსმენდა. მივუახლოვდი შეკრებილთ და ვხედავ – დიდ მაგიდაზე ასულა მღვდელი და ხმამაღლა გაჰყვირის, ქადაგებს: ძმებო და შვილებო! რუსეთის მეფე – იმპერატორს ღალატობენ ებრაელები და კავკასიელები. ამიტომაც, ქრისტეს ჯვარისა და მეფის სახელით, ყველას მოგიწოდებთ, გაჟლიტეთ ებრაელები და კავკასიელები!..

ამაზე იქვე მდგარმა ერთმა ახოვანმა ოფიცერმა, რომლის გვარი ალიხანი იყო, ბოროტად მოქადაგე კაცთმოძულეს ირონიული რეპლიკა ესროლა: წმინდა მამაო, განა სახარებაში ხალხის ხოცვა-ყლევა ვიწერიანო? მღვდელი გაცეცხლდა და ხალხს გადასძახა: აი, ერთი მათგანი, მეფის მოლაღაგე, ვინც ღირსია სიკვდილისაო. ამის თქმა კი მოასწრო მღვდელმა და ჩვენ თვალის დახამხამება ვერ მოვასწარით, რომ ოფიცრის ხელში იელვა ხმალმა და მღვდლის თავი, მისივე ქუდიანა მიწაზე გაგორდა. ამან საშინელი წივილ-კივილი და პანიკა გამოიწვია, შეშინებულები იქეთ-

აქეთ გარბოდნენ. მალე შემთხვევის აღვლმე ჟანდარმერია გამოცხადდა. ალიხანმა იარაღი ჩააბარა ჟანდარმებს და მორჩილად გაჰყვა მათ. ამ ოფიცრის ბედზე მერე არაფერი გამივია.

ჯანუაგრძეთ ჩვენი მგზავრობა და პენზაში ჩავედით. აქ მაგარებული თოთხმეტ საათს გაჩერდა. ვადმოვედი ვაგონიდან და ნიკოსა და მალხაზთან ერთად თამამად დავიწყე სვირნობა. მოვიხმე ბაქანზე მდგომი ჟანდარმი და ვუთხარი – მე ფრონტიდან სამშობლოში მივემგზავრები, ბუფეტში მინდა დავისვენო, მაგარებლის გასვლის დრო როცა მოვა, ჩაძინებული თუ ვიქნე, გამაღვიძე-მეთქი. სახელოში თუ მინიანი ჩავუდე, იგი სმენაზე დაგვიდგა და გაგვშორდა. ბუფეტში აუარება ხალხი მოძრაობდა. მაკვირდებოდნენ, მათვალიერებდნენ. საღამოს ზუსტად მოვიდა ჩემი გაფრთხილებული ჟანდარმი და მითხრა, შეგიძლიათ ვაგონში წაბრძანდეთო. მე და ჩემი მხლებლები ჩავსხედით ვაგონში და პენზიდან გავემგზავრეთ. გზაში ყველა რევოლუციასა და მანიფესტზე ლაპარაკობდა. ზოგი დიდ იმედებს გამოთქვამდა, ზოგიც ხელს აქნევდა, უიმედობის ნიშნად.

ამასობაში ნოვოროსიისკს მოვადექით. აქ მე და ჩემი მხლებლები მშვიდობიანად დავსხედით გემზე. აქვე ამოვიდნენ ორმოც კაცამდე, ყუბანიდან მომავალი მეგრელები, რომლებიც მწყემსებად ყოფილიყვნენ წასულები. გამოველაპარაკე მათ და ვაამბობინე, რა ხდებოდა ჩემს სამშობლო კუთხეში. შემდეგ ისიც ვკითხე, იცნობდნენ თუ არა გვანჯი ჩიქოვანს. მათგან ბევრმა იცოდა ჩემი თავგადასავალი, გადასახლების ამბები... როცა ვუთხარი, მე ვარ გვანჯი-თქო, დიდად გაიხარეს, გულით მომილოცეს მშვიდობით დაბრუნება.

გემი გაგრას რომ მიუახლოვდა, მე, ნიკომ და მალხაზმა მოვილაპარაკეთ – ვინ საით წავსულიყავით. მე ვთქვი, რომ გაგრაში დავრჩებოდი, რადგან იქ ნათესავეები მყავდა. ნიკომ და მალხაზმა ოჩამჩირეში წასვლა გადაწყვიტეს. გემი გაგრას მიადგა და ფელუკებიც მოაყენეს. მე ჩემი ბარგით გემის ბაქანზე ვარ და ვხედავ – იქვე დგას ჩემი პროკურორი, ივან გეორგიევიჩ მალინოუსკი. არ შესაიპოვნა მისი დანახვა და მომაგონდა ჩემი სიზმარი (ალექსანდროვის კატორღაში გველი რომ მეგმანა). მცირე ხანს ვიყოყმანე და მერე გამოველაპარაკე, თავაზიანად ვკითხე:

– Иван Георгиевич! Вы не помните меня?

მალინოუსკი თვალეში შემომაჩერდა და მიპასუხა:

– Не вспоминаю.

მე მოვაგონე, არ გახსოვთ ქუთაისის ციხეში გვანჯი ჩიქოვანი-მეთქი. შეკრთა, შეიმშუშნა, მხიარული სახით ხელი მაგრად ჩამომართვა და მითხრა:

– Какими судьбами, что случилось?..

მე, რა თქმა უნდა, იძულებული ვიყავი ყველაფერი სხვანაირად მეთქვა და სწრაფად ვუპასუხე – ვიბრძოდი იაპონიის ფრონტზე და სარდალ ლიხევიჩის წარდგენით მომეხსნა სასჯელი და დავბრუნდი-მეთქი. მან ამის გამო დიდი კმაყოფილება გამოხატა, მთხოვა მასთან შევსულიყავი კაიუტაში და გამშორდა. მე საჩქაროდ ჩავჯექი ნავში და გადმოვედი გაგრაში. მივაღექე დედაჩემის ბიძის, ივანე ემხვარის ოჯახს.

ეს იყო 1905 წლის 17 დეკემბერს. ნათესავები გაკვირვებულნი მეხვეოდნენ და მკოცნიდნენ, გულში მიკრავდნენ. ჩემი ძმა ლევანი ჩვიდმეტი კილომეტრით იყო მოშორებული, იქ ხელად კაცი გაგზავნეს. მე ვეღარ მოვითმინე და თავადაც ძმის ოჯახისკენ გავემურე. ძმის სახლში სკუმრად ყოფილიყო დედაჩემი. როცა მივედი, დედა, რძალი და ნათესავები, თეთრად გამოწყობილები, შემოვიდნენ. ძნელია იმ სიხარულის გადმოცემა და ენით აღწერა, რაც დედაჩემსა და ჩემს ნათესავებს ჩემმა დაბრუნებამ და დანახვამ განაცდევინა. მეხვეოდნენ და აღარ მშორდებოდნენ.

იქ ორ კვირას დავრჩი. დღედაღამ, განუწყვეტლივ მოდიოდნენ სკუმრები და გვილოცავდნენ. ჩემი ძმის ოჯახშივე ვნახე პედაგოგი კალისტრატი ალშიბაია, რომელმაც ჩემი დაპატიმრების დროს დიდი დახმარება და თანადგომა გამიწია. მას განსაკუთრებულად გაუხარდა ჩემი მოულოდნელი დაბრუნება. გრძელდებოდა გადაბმული ქეიფი და სროლა. აფხაზური წესის მიხედვით, თავიანთ ოჯახებში მპატიებდნენ. უსაჩქაროდ არავინ მოსულა. მოჰყავდათ: კამეჩი, ძროხა, ხარი, ცხენი... მოჰქონდათ ნაირ-ნაირი იარაღი. დიდძალი საჩუქარი მივიღე და ყველაფერი ჩემი ძმის ოჯახში დავტოვე.

გაგრიდან წამოსვლამდე თავისი უნაგირიანად ვიყიდე საუცხოო სილამაზისა და ჯიშის ცხენი, სამას ოცდახუთი მანეთი გადავიხადე. თან გამოვიყოლე ორი კაცი – რურუა და ლემონკავა – ძლიერ გაბედული ბიჭები – და წამოვედი ზუგდიდისკენ, რადგანაც გული მამაჩემისკენ მიმიწევდა. დედაჩემი გემით უნდა გამგზავრებულიყო გაგრიდან. მე ცხენით ვამჯობინე წამოსვლა, რაიმე ხიფათს რომ არ გადავეყოლი. პირველ საღამოს მოვალწიეთ გუდაუთამდე და იქ გავათენეთ. მეორე დამეს ახალ ათონში ვიყავით. მესამე დღეს სოხუმში ჩამოვედით. დამით რაღაც არასასიამოვნო სიმშარი ვნახე და ბიჭები გავაფრთხილე, ფხიზლად ყოფილიყვნენ. სოხუმს რომ გამოვეცილდი, გადავწყვიტე მდინარე კელასურთან ცხენი გამებანა. ამ დროს მომადგა ორი იარაღიანი კაცი და მეუბნება – თქვენ უნდა ინახულეთ ჩვენი უფროსი, მისი ნებართვის გარეშე ვერ

გაგიშვებთო. მიმითითეს ერთი პაგარა სადგომისკენ. მივედი იქ და ვხედავ, მის შეიარაღებული, ჩოხაში გამოწყობილი კაცი. იგი მომესალმა და ვინა ხარო, მკითხა. ჯერ ის მითხარით, თქვენ ვინ ბრძანდებით-მეთქი. ამაზე მიპასუხა – მე ვარ შარმან თურქია და ვებრძვი ქვეყნის ამრევებს, განსაკუთრებით, მეგრულ, იმერულ და გურიიდან ჩამოსულ ბუნგოვშიკებსო. შენც, ალბათ, ამ საქმეს ქადაგებ და იარაღი უნდა ჩაგვაბაროო. მე გულმოსულმა ვუთხარი – ესა და ეს კაცი ვარ (მოკლედ მოვუყევი ჩემი თავგადასავალი) და იარაღს არასდიდებით არ ჩაგაბარებთ-მეთქი. ჩემი ნათქვამი რომ მოისმინა, ამ კაცმა ქელი მოიხადა, ბოდიშს ვიხდით, მითხრა. მერე დააგანა – მიბრძანდით და თუ ისურვებთ, კაცსაც გაგაყოლებთ, რადგან შეიძლება გატამ შარმანიამ გაგაჩეროთო. მე ვუპასუხე, რომ არ მჭირდებოდა გამყოლი, ვინაიდან კარგი ბიჭები მახლავან და თუ გატამი შემხვდება, პასუხს თავად გავცემ-მეთქი. განვაგრძე გზა.

ეს შარმან თურქია მეფისნაცვალის დაეალებით, რევოლუციონერებს ებრძოდა, აფხაზეთში შავრაზმელთა მეთაური იყო და მრისხანე სახელი ჰქონდა გაფარდნილი. მან შემატყო, იარაღს უსისხლოდ რომ არ დაეთმობდი და ამჯობინა, მშვიდობიანად დამშორებოდა. სოფელ მერკულაში როცა შევედი, ერთი ცხენოსანი კაცი შემომხვდა. ჯერ მოწიწებით დამიწყო თვალიერება და გამისწორდა თუ არა, თავაშიანი სალაში მომცა. შემდეგ უკან გამობრუნდა და აფხაზური წესის მიხედვით, ერთხანს ცხენით გამაცილა.

იგი აღმოჩნდა მასწავლებელი სიმონ ადამია. გამომშვიდობებისას, ბოდიშის მოხდით, ვინაობა მკითხა. როდესაც ვუპასუხე, ელვის სისწრაფით ჩამოხტა ცხენიდან და ცხენზე მჯდომარეს წელზე შემომეხვია. მეც ჩამოექვევითდი. მაშინ მითხრა, რომ იყო ჩემი ძმის, ლევანის, ღვიძლი და განუკრელი მეგობარი და დიდი მოკეთე. მთხოვა, ჩემს მხლებლებთან ერთად ოჯახში გავყოლოდი. იქვე გამენდო – ძვირფასო გვანჯი, მე შეიძლება დღეს თუ ხვალ დავიღუპო, ჩემი სიცოცხლე რევოლუციურ მოძრაობას დავუკავშირე და ვხედავ, რომ რევოლუციას მალე ჩაახშობენო. მე გავყევი სიმონ ადამიას. საუკეთესო ვახშამი გამართა. ახლო მეგობრებს დაუძახა. ყველა გაახარა ჩემმა გაცნობამ. მთელი ღამე ქეიფში გავათენეთ. დილით მასპინძელმა გამოიყვანა ერთი უღელი კამეჩი და მითხრა, ეს მცირე ძღვენი ჩემგან გქონდეთო. მე მადლობა მოვახსენე და უარზე დავდექი, მაგრამ რადგანაც სიმონი გაციუგდა, იძულებული შევიქენი, წამომეყვანა ეს კამეჩები და გზაში ვაჩუქე ჩემს მხლებლებს, რომლებმაც ამის გამო დიდად გაიხარეს.

ჩვენ უკვე აჩიგვარაში ვიყავით. ვხედავ – გზაჯვარედინზე უამრავი

ხალხი შეგროვილა. მოგიერთები შეკამბულ ცხენებზე სხედან. გამოჩენის-
თანავე, ყველამ ჩემ კენ დაიწყო ცნობისმოყვარედ ყურება. მალე ამ ჯგუფს
ორი კაცი გამოეყო, გზა გადაგვიღობეს, სალაში მოგვცეს და გვითხრეს,
ჩვენს ხელმძღვანელთან უნდა წამობრძანდეთო. მე და ჩემი მხლებლები,
სრულიად უშიშრად, უსიგყვოდ გავყევით. მივედი და ვხედავ, რომ მის
ჭალარაწვერიანი, ზორბა განისა და პირქუში გამომეგყველების კაცი.
მკვახელ მკითხა, ვინ ბრძანდებითო. მე მშვიდად, აუღელვებლად ვუთხარი,
თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით-მეთქი. რეჯებ ხახუბია ვარო, მოკლედ და
ცივად მიპასუხა. ჯერ კიდევ ჩემს გაკატორლებამდე გავგონილი მქონდა,
რომ იგი ორი კაზაკის მკვლელობის გამო ყაჩაღად იყო გავარდნილი.
ეგყობოდა, შემოირიგეს. მან ამაყად განმიცხადა, რომ მთავრობისგან
დავალებული მქონდა, საეჭვო პირები დაეკაფებინა და იარაღი აეყარა. მეც
არანაკლებ ამაყად ვუთხარი – პატიეცემულო რეჯებ, გახლავართ გვანჯი
ჩიქოვანი, დაბრუნებული ჯერ ციმბირიდან და მერე რუსეთ-იაპონიის
ფრონტიდან. იარაღი მგრისთვის არ ჩამიბარებია ფრონტზე და უნდა
იყოდეთ, ოჯახში დაბრუნებული, ჩემი ნებით იარაღს არავის ჩაევაბარებ-
მეთქი. რეჯებმა მყისვე შეცვალა ლაპარაკის კილო და მითხრა – მე გვანჯი
ჩიქოვანს არასდროს არ ვაკადრებ იარაღის ჩამორთმევას და უნდა
გვაპატიოთ, რომ პირადად არ გიცნობდი, თუმცა შენი ამბავი ყველაფერი
გავგონილი მქონდაო. ეხლა ხელს აღარ შევიშლით, არ დაგაგვიანებთ,
რადგანაც ოჯახში მიიჩქარით, მაგრამ ისე კი თუ გვიკადრებთ და ნებას
დაგვრთავთ, მოხარული ვიქნებით, პატივი გცეთო. მე დიდი მადლობა
გადაუხსაღე ამ კაცს და გამოვემშვიდობე. მალე გზაში ჩემი დეიდაშვილი
ნიკო ზვამბაია შემომხვდა და გადამეხვია, სახლში წამიყვანა. ვისადილეთ,
დავისვენეთ. კამეჩები იქ დავგოვეთ. გადავედით ენგურზე და ჩამოვედით
სამეგრელოში. შევედით ლეჭითანეთში, იმ სოფელში, სადაც მე აღმზარდეს.
გული ბავშვივით მიძგერდა და იქაურობას სხვანაირი სიყვარულით
ვათვალიერებდი. ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი, ღობე და ღელე ჩემს ბავშვო-
ბას მაგონებდა.

სოციალ გავიარე და გზად შემომხვდა იოსებ კუხალეიშვილი, პრინც
მიურაგის ვეჭილი. მან იმწუთასვე მიცნო, გახარებულმა წამოიძახა –
ჩემი გვანჯიო – დააძრო ნაგანი და პაერში შედიმედ დასცალა. მთელი
სოფელი ფეხზე დადგა, დიდი და პაგარა, ქალი თუ კაცი, ყველა ორღობეში
გამოცვივდა, გამოეფინა კორხელისა და როყის საზოგადოება; პირზე
ყველას ეს ეკერა – გვანჯი დაგვიბრუნდაო. მუხვეოდნენ და მკოცნიდნენ.
ოჯახში მახარობლები გაგზავნეს. მალე მრავალი კაცისა და ქალის
თანხლებით ჩავედი სოფელ ჭკალუაშში, ფეხი დავდგი ჩემს ეზოში. მამაჩემი

სახლის კიბესთან იდგა. მე არ შემიძლია სიგყვიერად გამოვთქვა ის მლელვარება, რასაც მაშინ განვიცდიდი, თუმცა იმას კი ვცდილობდი, რამდენადაც შემეძლო, თავი შემეკავებინა. მივედი მამაჩემთან... მან მგრძობობიარედ შემომხედა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: მოხვედი, ბიჭო?! ეს სიგყვები ყველაფერს ნიშნავდა – მან მკაცრად დაიცვა ძველებური ტრადიცია, რადგანაც მიღებული იყო, რომ მამა არასოდეს არ უნდა გადახვეოდა შვილს – ეს არ იყო ვაჟკაცური წესი, ვინაიდან შვილი, რომელსაც მამა ფერებით ანებივრებდა, მტრებთან ვერ გამოიჩინდა სიმამაცესა და გულადობას, სიმტკიცეს. დედაჩემიც მალე დაბრუნდა.

მთელი კვირის განმავლობაში, დღედაღამე განუწყვეტელი სტუმრობა იყო და სუფრა არ ალაგებულა. მოდიოდნენ ჩვენი ოჯახის ახლო თუ შორეული ნათესავები, საჩუქრებს ბოლო არ უჩანდა. მეც ყველას ვასაჩუქრებდი და ჩემებურად ვცემდი პატივს, რადგან ფული კარგად მქონდა. მამაჩემი შორსმჭვრეტელი და ღინჯი ადამიანი, მიხვედრილი კაცი იყო. სახეზე ნაღველი ემჩნეოდა. მან მაშინვე შემაგყო, რომ თავისუფალი არ ვიყავი და როცა ყველაფერი ვუამბუ, მითხრა – რაც არის, არის, ვაჟკაცს გულის გატეხვა არ მართებს და რადგანაც ამდენი ამბავი გამოგივლია, მწამს, არც ამის შემდეგ დამარცხდებიო. მამის ასეთმა თანადგომამ ძალა და გაბედულება გამიორკეცა, სიმხნე და ენერჯია შემმაგა.

სოფელში ყველანი გაფაციცებით და მლელვარებით კითხულობდნენ რევოლუციის ამბებს. იმ დროს მუგდიდის მაზრაში ცნობილი იყო რევოლუციონერი ვასო ალშიბაია, რომელსაც ხალხში დიდი სიყვარული და ავგორიგეტი ჰქონდა მოპოვებული. ვასოს ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს აქტიური რევოლუციონერები და თათბირობდნენ. ჩემი ჩამოსვლა რომ გაიგეს, მესტუმრნენ. ვასო საუკეთესო მოლაპარაკე და შესანიშნავი შესახედაობის ვაჟკაცი იყო – მეგისმეგად სძაგდა თვითმპყრობელობა და მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ რევოლუცია გაიმარჯვებდა. ვასოს თან მოყვნენ მუშნი დადიანი, ნესგორ კალანდარიშვილი, პეტრე და სპირიდონ კელიები, სხვანი და სხვანი, სულ ორმოცამდე რევოლუციონერი. ვასომ და დანარჩენებმაც გულმოდგინედ გამომკითხეს რუსეთის მდგომარეობა და რევოლუციის მიმდინარეობის ამბები. მე მათ ყველაფერი მოვუყევი, რისი მოწმე და მონაწილეც ვიყავი. ვასო ალშიბაია ძლიერ გაახარა და აადლევა ლადო ჯოხაძისა და მისი მეგობრების ამბავმა, მათს გაქცევაში ჩემმა მონაწილეობამ. იმხანად უკვე მოდიოდა ხმები ალიხანოვის მიერ იმერეთში მოწყობილი რბევის და აწიოკების თაობაზე. მალე ალიხანოვის რამშები, ცეცხლითა და მახვილით, გურიასა და

სამეგრელოს მოადგა. საშინელი გერორი მძვინვარებდა. ვასო აღშობას, როგორც ცნობილი და საშიში რევოლუციონერი, ყველაზე მეტ საფრთხეში იმყოფებოდა. ყველას გვაწუხებდა და გვაფიქრებდა ვასოს ბედი. ერთხმად ვურჩიეთ, რომ დაეტოვებინა ეს საშიში ადგილი და ჩვენთან ერთად წამოსულიყო ყაბარდოში. ვასო უარზე დადგა, დინჯად გვითხრა – მე ხალხის თავისუფლებისათვის ვიბრძვი. მე რომ გავიქცე, მთელ სამოგადოებას აიკლებენ... სჯობს, ერთი შეეწიროს ასს და არა ასი – ერთსო...

მეორე ღღეს, მე, მუშნი დადიანი, ნესგორ კალანდარიშვილი, პეტრე და სპირიდონ კედლები და სხვები მოვგროვდით პროკოფი ჩიქოვანის ოჯახში და ვთათბირობდით, თუ როგორ მოვექცეულიყავით, რანაირად გადაგვერჩინა ვასო და თვითონ ჩვენ რა გზას დაეღგომოდით. ამ დროს გაისმა თოფის ხმა და შემზარავი წიოკობა. გამოვედით აივანზე და მალლა ჭკადუაშიდან გვესმის გულის გამპობი ყვირილი, ვასო აღშობაია მოკლესო. ქანდარმები თავს დასხმოდნენ ვასოს და გყვიით განეგმირათ ეს საუკეთესო ადამიანი და შეუდრეკელი რევოლუციონერი. გულმოკლელები იქეთ გავემურეთ და დავინახეთ, რომ ვასოს საკაცით მიახვენებდნენ თავის ოჯახში. მიუხედავად ქანდარმერიის და კაზაკთა მიერ მოწყობილი საშინელი გერორისა, ვასო დიდი პაგივით დაასაფლავა ხალხმა. იქ, სადაც ეს დიდებული პიროვნება დაასაფლავეს, მისი ხსოვნის აღსანიშნავად, ლეჭითანეს სასაფლაო დააარსეს. ამ სისხლიანი ამბის მერე ჩვენი ჭკადუაში დარჩენა შეუძლებელი იყო. მე, მუშნი, ნესგორი, სპირიდონი და პეტრე გავემგზავრეთ ჯვარში. ჯვარიდან რომ გადმოვიხედეთ, ჭკადუაში უმარმამარი ცეცხლის ალი დავინახეთ. მუშნიმ გულზე ხელი დაიკრა – ხედავთ, ბიჭებო, აღიხანოვმა უკვე მამაჩემის სასახლე მისცა ცეცხლსო. ეს ამბავი, სამწუხაროდ, მართალი გამოდგა. ჩემი თანამგზავრები სვანეთში გადავიდნენ.

მე ჯვარიდან ფრთხილად, ნამალევად დავბრუნდი სახლში, შესაფერი-სად მოვემზადე და გადავედი აფხაზეთში, სადაც განვიზრახე ფარულად ყოფნა, რათა გამხეცებულ ქანდარმებს არ გადავყროდი. მართლაც, ნათესავ-მეგობრების ხელშეწყობით, ასე ფარულად ვიცხოვრე იქ ერთი წელი. ბევრი რევოლუციონერი ჩაუვარდა ხელში სისხლისმსმელ აღიხანოვ-ავარსკის, ბევრმა მოახერხა მიმალვა; სასიკი რბევა განიცადეს იმერეთმა, გურიამ და სამეგრელომ – აშკარა იყო, ცხრაას ხუთი წლის რევოლუცია დამარცხდა და რეაქციის შავი ძალები ზეიმობდნენ.

ამავე დროს მეგისმეტად გახშირდა ყაჩაღობა, მკვლელობა. არ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, რომ მე კერძო მოქალაქის ან რომელიმე ოჯახის საზიანოდ რაიმე ცუდი საქციელი თუ უწყობა ჩამედინოს, მაგრამ



ნაპოლეონ მიურატი
1916 წ.

ბას ოჯახში. სწორედ ამ დროს ჩამოვიდა პრინცი ნაპოლეონ მიურატი. მამაჩემი მივიდა პრინც მიურაგთან და სთხოვა, რომ მას წაეღო ეს შეწყალების ქაღალდი და მეფისნაცვლის ვორონცოვ-დამკოვისთვის გადაეცა. პრინცმა გამოართვა ქაღალდი მამაჩემს და შეპირდა, რომ ამ თხოვნას შეასრულებდა. ჩემის მხრივ მე, დიდი ბოდიშის მოხდით, ვესტუმრე პრინცის ღელას, პრინცესა სალომეს. მან ცივად მიმიღო. მითხრა, თქვენზე ნაწყენი ვარ, რადგანაც ცუდი ამბები მომდის, ნამდვილად არ შეგფერით ასეთ ვაგაკაცს ყაჩაღების გვერდით ყოფნაო. მე აღელვებულმა ვუპასუხე: დიდებულო ქალბატონო! ნუთუ თქვენ გჯერათ უსირცხვილო და ბოროტი ადამიანების მონაჭორები. მე არასდროს არ დავეცემი ისე, რომ უსინდისო საქმიანობაში მივიღო მონაწილეობა... პრინცესა ღრმად დარწმუნდა ჩემი ნათქვამის გულწრფელობაში და მითხრა: ვიცი, შენი ოჯახის შვილი ცუდ საქმეს არ დაადგებოდიო. ამოიღო უჯრიდან ხუთასმანეთიანი და მაჩუქა. მე მხურვალე მადლობა გადავეუხადე და წამოვედი.

პოლიციის აგენტები და ბინძური ადამიანები ჩემზე ავრცელებდნენ ბინძურ ხმებს, თითქოს, საკუთარი მიზნებით, ყაჩაღთა ბანდებთან ვიყავი და კავშირებული და იმათ საქმიანობაში ვიღებდი მონაწილეობას. ამ უნამუსო ცილისწამებას ისე შემაწუხა და შეურაცხმყო, რომ გადავწყვიტე, ციმბირში დავბრუნებულიყავი. მშობლები და ნათესავ-მეგობრებიც საშინლად გულდაწყვეტილები იყვნენ, მაგრამ ისინი ხელაუდნენ, სხვა გამოსავალი აღარ მქონდა. მამაჩემმა მეფისნაცვლის სახელზე თხოვნა დააწერინა ცნობილ მოღვაწეს იონა მეუნარგიას. თხოვნა იმნაირად იყო შედგენილი, ვითომ მე ციმბირში ვიმყოფებოდი და მამაჩემი ითხოვდა შეწყალებას და ჩემს დაბრუნე-

მეორე დღეს, ჩემი გამზრდელის ცაკვა ლაგვილავას ოჯახს ვესტუმრე. დიდი პატივი მცეს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ატირდნენ, როცა ვაიგვს, რომ მე ციმბირში უნდა დავბრუნებულიყავი. მოვიდა ერთი ახლობელიც, პეხუ მანია. ჩემი მდგომარეობა რომ ვაიგო, თავზე ხელი შემოირტყა, მწარედ წამოიძახა – რას მოვდიოდი აქ, ვინ იცის, რა ფეხი მაქვს და ჩემს გვანჯის რა შეხედებაო. მან რალაც ძაფი ამოიღო ჯიბიდან, თავიდან ფეხებაძლე გამზომა, მერმე წავიდა და ჩემსიგრძე სანთელი ჩამოაქნევინა. შევიდა წმინდა ილორის ტაძარში და მუხლმოდრეკილი შევევლრა წმინდა გიორგის – ისე ნუ მომკლავ, ჩემი გვანჯი მშვიდობით დაბრუნებული რომ არ მაჩვენო. მერე ვაიგვე, რომ პეხუ მანია ხშირად ლოცულობდა ჩემთვის და ჩემს სახელზე სანთელს ანთებდა.

მომდევნო დღე მშობლებთან გავატარე. დედაჩემი წუთითაც არ მშორდებოდა, მამაბალებდა და თვალცრემლიანი ღმერთს ჩემს მშვიდობით დაბრუნებას ევედრებოდა. მამაჩემი დაღონებული იყო და ჩემს გასამგზავრებად ყველაფერს მღუპარედ, უსიგყვოდ აკეთებდა.

დილით გამოვემშვიდობე ყველა ჩემიანს და ფრთხილად ჩავედი ზუგდიდში ვრიშა ჯიქიასთან, რომელიც ჩემი კარგი მეგობარი იყო. ვრიშა ჯიქიამ და პაჭუ ალშიბაიამ მოიყვანეს განთქმული მეეგლე ფუცურა ხარებავა, რომელსაც სწრაფი ცხენები ჰყავდა და გამიყვანეს ზუგდიდის გარეთ, მოშორებით, მიხა ხუხუნის ოჯახში. იქვე შევხვდი დათიკო თოლორაიას. ის ღამე ქეიფში გავატარეთ. ყველანი განიცდიდნენ ჩემთან განშორებას. მეორე დილით დავემშვიდობე ამ ჩემს კეთილისმყოფელებს და ისევ დაიძრა ეგლი, თამამად შევედი სენაკში. მეეგლე კმაყოფილი გავისტუმრე და ერთ პატარა რესტორანში შევიარე. იქ ვნახე სანდრო მესხი, რომელსაც ჰქონდა სასტუმრო „კოლხიდა“. სანდრომ მიმიწვია და მეგობრული პატივი მცა. ჩემმა მდგომარეობამ ძლიერ შეაწუხა. ოქროს თუმნიანი ჩამიღო ჯიბეში. ვუთხარი, რომ ფულის გასაჭირი არ მქონდა, სხვაგვარი დახმარება მჭირდებოდა – უნდა აეღო ბათუმის ბილეთი, რადგან იქ ბიქტორ ლოლუა უნდა მენახა. გავარდა და საჩქაროდ მომიტანა ბილეთი.

ბათუმში მანამდე ნამყოფი არ ვიყავი. ჩასვლისთანავე ერთ უბრალო სამიკიგნოში შევედი. იქ ერთ კაცს ვკითხე, იცნობდა თუ არა ბიქტორ ლოლუას. ყველანი წამოცვიდნენ – როგორ არა, ახლავე აქ მოგიყვანთო. მართლაც, რამდენიმე წუთში ბიქტორი ჩემთან იყო. გახარებული გადამხვდია და წამიყვანა სახლში. სხვა სტუმრებიც მოიწვია ჩემდა საპატივეცემულოდ. სუფრას გვიანობამდე შევრჩით. მერე მომასვენეს. გათენებას აღარაფერი უკლდა, რომ მეორე ოთახიდან ბიქტორის ხმა შემომესმა.

უნებურად სმენა გავამახვილე. ბიჭტორი ცოლს ელაპარაკებოდა – ნუ გეწყინება და ეს საკერავი მანქანა და ოქროს საათი უნდა დავაგირავო, გვანჯი ჩემი საუკეთესო მეგობარია და უსათუოდ ფულით უნდა დავეხმარო, შორ გმას აღგასო. ჩემი თავი გენაცვალოს, კიდევ სხვა რამეც დაავირავე და მეგობარს დაეხმარეო, უპასუხა ცოლმა.

კარგად რომ გათენდა, ავლექი, ჩაიცვი, მოეწესრიგდი. ბიჭტორი შემოვიდა ოთახში და მეუბნება – ჩემო გვანჯი, ერთი საათით ქალაქში უნდა ვავიდე და ეხლავე დაებრუნდებიო. მე შევაჩერე – ჩემო ბიჭტორ, არ წახვიდე, მე ვიცი, შენ რატომაც მიდიხარ, რადგან შემთხვევით ყური მოვკარი შენს საუბარს ცოლთან... მე ფული არ მიჭირს. შემიძლია, თუ გჭირდება, პირიქით, დაგიტოვო ფული – ვუთხარი და ჯიბიდან ასი მანეთი ამოვიღე, გავეწოდე. ამაზე გაწითლდა, თავი უხერხულად იგრძნო და მკითხა: აბა, რით შემიძლია, ჩემო გვანჯი, დაგეხმარო?!

მაშინ მე ვუთხარი: ირკუტკსში ჩასასვლელად შენი პასპორტი მჭირდება. ჩაეალ თუ არა, იმ დღესვე უკან დაგიბრუნებ-მეთქი. სიამოვნებით, თუკი ამის საჭიროება არისო და არც დაფიქრებულა, პასპორტი ისე გადმომცა. საღამოს ავიღე ბილეთი, უშიშრად ჩავეჯექი მაგარებელში და გავემგზავრე ბაქოსკენ, სადაც ლავრენგი ჯაში უნდა მენახა. ბაქოში რომ ჩავედი, სომეხ-თათართა ხოცვა-ყლეგა ახალი დამთავრებული იყო.

სადგურში ჩასვლისთანავე პოლიციელების სიმრავლე შევნიშნე, ბლომად დათარეშობდნენ. მეეგლეებიც მრავლად იყვნენ. მე განზრახ რუსი მეეგლე მოვიხმე და რიხიანი ხმით ვუბრძანე, სასტუმრო „მოსკვაში“ წავეყვანე. დავბინავდი იქ და სულ მალე გელეფონთან მიხმეს. ყურმილში ვიღაც ქართულად დამელაპარაკა – გამარჯობა შენი, ვინ ხარო. ბიჭტორ ლოლუა ვარ-მეთქი, ვუპასუხე. ბიჭტორი კი არა გვანჯი ხარ ბიჭო, ახლავე მოვალო. სახტად დარჩენილი, გაკვირვებული რომ ვიყავი, რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდა ჩემი სკოლის ამხანაგი პლაგონ ბასილაია. გადავხევიეთ ერთმანეთს. მას სკოლნოდა, ბაქოში რომ ვაპირებდი ჩასვლას და ჩემს მოლოდინში ყოფილიყო. პლაგონს ვუთხარი, რომ ჯაშის ნახვა მინდოდა. წავედით, ვნახეთ ალექსანდრე კობახიძე, ლავრენგი ჯაში, სხვა ქართველებიც, დიდი ქეიფი მოაწყვეს, დაუვიწყარი პატივი მცეს. მერე გამაცილეს სადგურზე. იქ შევხვდი ალექსანდრე მაჭუკაძის შვილს, ოფიცერ კოლია მაჭუკაძეს, რომელიც პეტერბურგში მიემგზავრებოდა. კოლიას ვთხოვე ჩემთვის აელო ოფიცრის ბილეთი, რაც მან სიამოვნებით გააკეთა. ბალაჯარაში დავმორდით ერთმანეთს. დიდებულად ვიმგზავრე. კონგროლი უბატონოდ ხმას არ მცემდა, როგორც ოფიცერს. ასე უხიფათოდ, მშვიდობიანად ჩავედი ირკუტკსში და ერთხანს დამეს ვათევედი საჩინო

საჯაიას ბინაში. იქ გავიყვანი აბელ გომართელი, რომელიც მეორე დღეს ხარბინში უნდა წასულიყო. მე შევადგინე დეპეშის ტექსტი, რომელზედაც პასუხი უნდა მიმელო მისგან, ვისაც ვუგზავნიდი. აბელ გომართელს ვთხოვე, დეპეშა ხარბინიდან გაეგზავნა ზუგდიდში ისე, რომ პასუხი მიმელო ირკუტსკში, რადგანაც ირკუტსკის მისამართს ვაძლევდი. ჩემი შედგენილი დეპეშის ტექსტი ასეთი იყო:

ზუგდიდის მაზრის უფროსს
პოლკოვნიკ სიდოროვს ხერხუდან

ვთხოვ თქვენს კეთილშობილებას, გამოიჩინოთ კაცთმოყვარეობა და მაცნობოთ ჩემი მშობლის – ალექსი ჩიქოვანის ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა.

რამდენიმე დღეში მივიღე პასუხი: ყველანი ცოცხლები და ჯანმრთელები არიან.

ირკუტსკში მეორედ ყოფნის პერიოდი

ირკუტსკში დაბრუნებული, ჩემი ნაცნობ-მეგობრების ძებნას შევეუდექი. ბევრი მათგანი იქ აღარ დამხვდა. ბინაზე ისევ პლატონ კალანდარიშვილმა წამიყვანა. საწყალ ნესგორ გვათუას საქმეები ცუდად წასვლოდა. მის ძებნის წარმოებას წაეგო, ნესგორს ვალები დასდებოდა. დარდისგან ავად გამხდარიყო, ჭლექი შეპყროდა და შუა აზიაში წაეყვანათ, რათა კუმისით ემკურნალათ, მაგრამ იქ მალე გარდაცვლილიყო და ამ დიდებული კაცის უკანასკნელი სურათიც მივიღეთ ირკუტსკში მყოფმა ქართველებმა. მელიგონიც სადღაც წასულიყო. იქ დამხვდა იოსებ მკერვალი.

ახლა საჭირო იყო სამუშაო მომეძებნა, მაგრამ ვიდრე სამუშაოს ვიშოვიდი, საბუთის საქმე უნდა მომეგვარებინა. ხელთ მქონდა მხოლოდ უბნის ბოქაულის მიერ გაცემული ძველი ბილეთი. ვიგვენშტეინის მიერ მოცემული მოწმობა კი ჩემი პარგიმანულ ბაგალიონში მონაწილეობის შესახებ, როგორც უკვე ვთქვი, მამაჩემმა შეწყალების თხოვნასთან ერთად პრინც ნაპოლეონ მიურაგს გააგანა მეფისნაცვლისთვის გადასაცემად. მიემართე ისევ მაგვევსკის, რომელმაც კატორილიდან გამოსვლის შემდეგ, პირველად მომცა უფლება მეცხოვრა ირკუტსკში. მაგვევსკი კვლავ დამუხმარა და ამადებინა ახალი საბუთი, რომელზედაც ისეთივე წარწერა იყო – მეძლეოდა ქალაქ ირკუტსკში ცხოვრების უფლება.

იმხანად ირკუტსკში გადასახლებული იყო ქუთაისელი ქალი ნაგალია

მოსეს ასული მღვდლიევა (მღვდლიშვილი), რომელსაც ბრალად ედებოდა დამღვეული სახლის წინასწარი განზრახვით დაწვა. ნაგალიას გაცნობის შემდეგ ხშირად დადიოდი მასთან ოჯახში. იქ გავიციანი ერთი ქალი, გვარად შალკოენიკოვა. გარეგნული შესახედაობა ამ ქალს არ ჰქონდა სასიამოვნო, თითქოს მახინჯადაც შეიძლებოდა ჩაგეთვალა, მაგრამ დაახლოვების შემდეგ უმაღლეს დარწმუნდებოდი, რომ არაჩვეულებრივად სანდომიანი და კეთილი ბუნების ადამიანი იყო, ცდილობდა, რითაც კი შეძლებდა, ყველას დახმარებოდა. ერთხელ ამ შალკოენიკოვას ქალმა მითხრა, რომ მას სურს გამაცნოს ერთი ძლიერ მდიდარი და საქმიანი კაცი ხან ხასაევი, გომით ბურიაგი, რომელსაც ცოლად რუსის ქალი ჰყავსო. ასე დამამიძედა – დარწმუნებული ვარ, გაგიცნობს თუ არა, ძალიან მოეწონები, როგორც შესანიშნავი ვაჟკაცი და სამუშაოს გიმოვნიო.

მეორე დღეს, შალკოენიკოვას ქალმა ბაღში გამაცნო სასეირნოდ და დასასვენებლად გამოსული მშვენიერი ქალი, მადამ ხან ხასაევა, თანაც მანიშნა, რომ ამ ქალთან თამამად ვყოფილიყავი. ცოგა ხნის საუბრის შემდეგ ქალმა თავაზიანად მთხოვა, ოჯახში გაეყოლოდი სტუმრად. მე მორიდებულად გავეყვი. ბაღიდან გასვლისთანავე წინ შემოგვხვდა უმარამაზარი ახმახი, ბანჯგვლიანი, არასასიამოვნო სახის მქონე მამაკაცი. მან შეაჩერა ქალი და ჰკითხა, თუ სად მიდიოდა. ქალმა კეკლუცი ღიმილით მიუგო, რომ მიდიოდა სახლში და მივყავი მე, უცხო და საპატიო სტუმარი. წაბრძანდით და მეც მალე დავბრუნდებით, უთხრა ქმარმა. ჩვენ მალე მივედით მდიდრულად მორთულ სახლში, რომელსაც ირგვლივ საკუთარი ეზო-ბაღი ეკრა. ქალბატონმა მოსამსახურე ქალს უბრძანა, დაგრიალებულიყო და ცოგა ხანში მშვენიერი საუზმე გაიწყო. მე ყველაფერი ვუამბე მადამ ხასაევას და ჩემი გასაჭირიც ვუთხარი. იგი დამპირდა, რომ ქმარს ეტყოდა ჩემს სათხოვარს, დახმარება აღმითქვა. მეორე დღისთვის, 2 საათზე დამიბარა. დანიშნულ დროს მივედი მათთან, ქმარიც შინ იყო. ამ უცმური შესახედაობის პირქუშმა და უხეშმა კაცმა ძალზე თბილად და გულისხმიერად მიმიღო. ცოლს უკვე ჩემს მისვლამდე ეთქვა, რაც მჭირდებოდა. მეც მოკლედ გავუშეორე ჩემი თხოვნა. იგი იყო მთელი ციბიირის ხორცის მრეწველობის ფირმის პაგრონი. რუსეთის ცენტრალური და დასავლეთ რაიონებიდან იღებდა შეკვეთებს და ამ რაიონებს ახალი, საუკეთესო ხორცეულით ამარაგებდა. ხან ხასაევმა ასე მითხრა – საქმის მცოდნე და გამოცდილი რომ იყო, მოზრდილ თანამდებობას მოგცემდი, მაგრამ ახლა შემიძლია ერთი საქმე მოგანდო – ჩემს კანტორაში მონგოლეთიდან მიიღებ ღეპეშებს ხორციით მომარაგების თაობაზე, აქედან კი შემკვეთებს შეაგყობინებ ცოცხალი წონის, საქონლის მიღების და სხვათა

შესახებო. მეორე დღეს წამიყვანა თავის კანგორაში, პრაქტიკულად გამაცნო ჩემი მოვალეობა და შევეუდექი სამსახურს. ხან ხასავეი ჩემი მუშაობით მეტად კმაყოფილი იყო. ყოველთვიურად ასორმოცდაათი მანეთი მეძლეოდა. მალე პლაგონ კალანდარიშვილის ბინიდანაც გადავედი – თვეში თხუთმეტი მანეთად ერთი პოლონელისაგან ოროთახიანი ბინა ვიქირავე; მირეცხავდნენ და ტკბილი ჩაითაც მიმასპინძლდებოდნენ. ხან ხასავეის ოჯახის დიდი მეგობარი გავხდი; ცოლ-ქმარი გამორჩეული პატივისცემითა და სიყვარულით მეპყრობოდა.

1907 წლის ზამთარში მოულოდნელად ნესტორ კალანდარიშვილი მესტუმრა. სახელი და გვარი გამოეცვალა. მშვენივრად იყო ჩაცმული, კოხტად გამოწყობილი. ჩემი მისამართი, ირკუგსკში ჩამოსულს, ერთი ლუდით მოვაჭრე სომხისგან გაეგო. ნესტორი, რაღა თქმა უნდა, ჩემთან დავაბინავე. მალე მას გავაცანი ვეგოშკინი და სხვა რუსი და ქართველი რევოლუციონერები. ნესტორმა მერე თვითონვე გაიწყო ყველა იქ მყოფი რევოლუციონერი. მეტად ფრთხილად იკრიბებოდნენ ჩემთან და გამოს-თქვამდნენ იმედს, რომ, მართალია, რეაქცია დროებით ზეიმობს გამარ-ჯვებას, მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა ძღვევამოსილი რევოლუცია ძირმომპაღ ცარიზმს დაამხოვსო.

ნესტორთან ერთად უთუოდ უნდა მოვიხსენიო მეტად გაბედული რევოლუციონერი და კარგი ადამიანი ყარამან გუსკია, ვის ბინაშიც, აგრეთვე, ხშირად ვიკრიბებოდით და მრავალ საჭირობოროტო საკითხზე ვმსჯელობდით. ირკუგსკი ისეთი ადგილი იყო, სადაც თავს იყრიდა ბევრი რუსი და კავკასიელი გადასახლებული რევოლუციონერი. მე და კიდეც ორი-სამი კაცი თავს არ ვზოგავდით, რათა ამ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ამხანაგებს როგორმე დავხმარებოდით. ერთხელ ნესტორმა წინადადება წამოჭრა – საჭიროა ჩამოვაცალიბოთ წრე და გამოვნახოთ საარსებო საშუალება, ვინაიდან შეუძლებელია ამოდენა დახმარების გვირთი რამდენიმე კაცს დააწვეს კისერზეო. მართლაც, ყველამ გაიზიარა ნესტორის მოსაზრება და ნესტორისა და ყარამანის თავკაცობით შეიქმნა არალეგალური წრე. მოღარეობა ყარამან გუსკიას დაეკისრა.

მალე ეს წრე ორასამდე კაცს აერთიანებდა და ფარულად ვაერცუ-ლებდით რევოლუციურ ლიგერატურას. წრის წევრები შეძლებისდაგ-ვარად იხდიდნენ ფულს და შეიქმნა სათანადო ფონდი, რომელიც დახმარებას უწევდა კატორღაში მყოფ და შორეულ კუთხეებში გადასახ-ლებულ რევოლუციონერებს. ერთ დღეს, ნესტორის დავალებით, ყარამანი-სათვის საიდუმლო წერილები უნდა გადამეცა. დავალება შევასრულე, თავისუფლად მოვდივარ ბაღში და უცებ ერთი პოლიციელი მიახლოვდება,

მეუბნება, რომ უბნის პოლიციაში უნდა წავყვე. მე მიზეზი ვკითხე. მიპასუხა, მიზეზი არ ვიცი, მხოლოდ ბრძანება უნდა შევასრულო. ჩემი მდგომარეობის გამო წინააღმდეგობის გაწევა, გაძალიანება არ შეიძლებოდა და გავყევი. პოლიციელმა უბნის განყოფილებაში მიმიყვანა, იქ კი ვახმისგრმა ბრძანება გასცა ჩემი დაპატიმრების თაობაზე. საპატიმროში როცა შევედი, დავინახე, რომ ჩემი ამხანაგები, ორმოც კაცამდე, მათ შორის ნესტორიც, იქ არიან. შესვლისთანავე ნესტორმა მომაძახა, გვანჯი, ხომ არ დავიღუპეთო. მას ეგონა, გამჩხრიკეს და საიღუმლო კორესპონდენციები მინახეს. მე დავამშვიდე, ნუ გეშინია, ჩემო ნესტო, ყველაფერი რიგგეა-მეთქი. გახარებული გადამეხვია, დაწყნარდა.

დაკავებიდან მესამე დღეს გამოგვიძახა ენდარმთა როგმისგრმა სამოხვალოემა და ყველანი, ორმოცივე, მაუშაკოესკის მკაცრ იზოლიაცორში გადაგვაგზავნა – ნესტიან, ციე საკანში, სადაც პოლიტპატიმართა დიდი ჯგუფი იმყოფებოდა. მათ, აუტანელი რეჟიმისა და სასტიკი მოპყრობის გამო, ადმინისტრაციის მიმართ პროტესტი ჰქონდათ გამოცხადებული. მანამდე მათ არეულობა მოუწყვეს ციხის ხელმძღვანელობას და ეს ასოცი კაცი ამ საშინელ საკანში გადმოეყვანათ დასასჯელად. აქ ისინი, პროტესტის ნიშნად, ფეხზე არ დგებოდნენ და ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შემოსვლის დროს, არაფერზე პასუხს არ სცემდნენ. ჩვენ როცა შევედით, ამ პოლიტპატიმართა ხელმძღვანელმა, ნიკოლაემა გვითხრა: ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს პროტესტს. თქვენ რაც შეგეხებათ, თქვენი მოქმედება თვით თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენ არა გვაქვს უფლება და არც შეგვიძლია გთხოვოთ, რომ ჩვენს პროტესტს შეუერთდეთო. ნესტორი მაშინვე მე შემეკითხა, როგორ მოვიქცეთო. მე უყოყმანოდ ვუპასუხე, რომ შევერთებოდით იქ დამხველურ პატიმართა პროტესტს, მათი ხვედრი გავგეზიარებინა. ასედაც მოვიქცეთ. ნესტორს და სხვებსაც მოუწონათ ეს გადაწყვეტილება და ჩვენ მხარი აუბოთ ნიკოლაევის ჯგუფს. ამან სულ გაამხეცა ციხის ადმინისტრაცია. შემოვიდა უფროსი ბედამხვეელი მაიციევი და თან შემოჰყვა ციხის პროკურორი. მაიციევი სასტიკად გვაფრთხილებს და წინადადებას გვაძლევს, მოვხსნათ პროტესტი. ჩვენ გადაფრთხილად უარს ვუცხადებთ. გაანჩხლებული მაიციევი ჩემკენ იმერს ხელს და მეუბნება – თქვენი მონაწილეობა ამისთანა საქმიანობაში და ასეთ ხალხთან სამარცხვინოა. თავადიშვილს, კეთილშობილი შთამომავლობის კაცს რა გაქვს საერთო ამ უწესობებთან, ქვეყნის ამრევებთანო. მე მტკიცედ ვუპასუხე, რომ ვამაყობ ამ ხალხთან ჯდომით და მზადა ვარ, მათთან ერთად ვიბრძოლო ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ, მით უმეტეს, არავის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის-მეთქი. ამ პასუხის შემდეგ

ზაიცივეი და პროკურორი კიდევე უფრო გაბოროტდნენ, განრისხებულებმა მოგვაძახეს, თქვენს მოქმედებას განანებთო და წავიდნენ. მართლაც, ერთი საათის შემდეგ, საკანში შემოვარდნენ გამხეცებული ზედამხედველები და საშინელი ლანძღვა-გინებით, მუჯლუგუნების კვრით, ცალ-ცალკე ჯგუფებად აშშორებულ, ჯოჯოხეთურ კარცერებში გადაგვიყვანეს. ორი თვე პურის ნატეხზე და წყალზე გვაყოფეს, აუტანლად ვიტანჯებოდით. ბევრი მძიმედ დაავადდა. ზოგიერთებს, ნამეტანი სუსტად რომ იყვნენ, მე და ნესტორმა მოვახსნეინეთ პროტესტი და საერთო საკანში გავაყვანინეთ. ირკუტსკის ეანდარმთა სამმართველომ ჩვენი საქმე შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს სგოლი პინს გადასცა. სგოლი პინს გამოეთხოვა დოკუმენტური მასალები ჩვენი ჯგუფის დანაშაულის შესახებ.

უნდა აღვნიშნო, რომ ირკუტსკში ჩემი მეორედ ჩასვლის დროს იქ ვნახე დედაჩემის ნათესავი ყარამან მარლანია, რომელიც „ვერხნი უდინსკის“ კაზაკთა ბრიგადისგენერალი იყო. საუკეთესო ვაჟკაცი და განათლებული ადამიანი. მას ძალიან ვუყვარდი და ხშირადაც მნახულობდა, ყოველნაირად მეხმარებოდა. ყარამან მარლანია კარგად იცნობდა ნესტორს და სხვა რევოლუციონერებსაც, თანაუგრძნობდა მათ. განსაკუთრებით მოსწონდა ნესტორი; ამბობდა, მგკიციე იდეის ადამიანია და რევოლუციის საქმისათვის საკუთარ სიცოცხლეს არ დაზოგავსო. იგი საფსებით გულწრფელად აცხადებდა ჩემთან საუბრისას – ნესტორი და საერთოდ, რევოლუციონერები მართლები არიან, მეფის დასამზობად რომ იბრძვიან, ჩვენი კულტურა პირველყოფილ დონეზეა, სოფლის მეურნეობას ადამ და ევას დროინდელი იარაღებით ეწევიან, რევოლუცია კი გეჟნიკის საქმეს წინ წასწევს და კულტურის განვითარებასაც დააჩქარებსო.

სწორედ გენერალი ყარამან მარლანია ჩამოსულიყო ირკუტსკში და ჩემი დაპატიმრების ამბავი რომ გაეგო, დაუყოვნებლივ შესულიყო ეანდარმთა სამმართველოს უფროსთან და დაპატიმრების საფუძველი მოეთხოვა. კატეგორიულად უთქვამს – თუ რაიმე კონკრეტული მიზეზი და საფუძველი არა გაქვთ, გყუილუბრალოდ ნუ აწვალებთ ახალგაზრდა კაცს, თორემ სამი დღის შემდეგ ვაცნობებ შინაგან საქმეთა სამინისტროს და პასუხს მოგთხოვენო. მე ამის შესახებ თავისი სანდო მსახურის მეშვეობით გამაგებინა გარეთ მყოფმა ჩემმა კარგმა მეგობარმა, ერთმა რუსმა. მან წერილობით მაცნობა მარლანიას ჩარევა ჩემს საქმეში. მე ამ ამბავმა ძალიან გამამხნევა და ყველას გავაგებინე. ნესტორსაც დიდი იმედი მიეცა. ჩვენ ვერავითარ კონკრეტულ ბრალდებას ვერ გვიყენებდნენ. გვეკითხოვდნენ არალეგალური რევოლუციური წრის შესახებ, სალაროს შესახებ, მაგრამ არაფერი არ გამოგვხილა და, რაც მთავარია, ყარამან

ერალ-გუბერნატორ სელივანოვის წარდგინებით, სამსახურიდან გადააყენეს და წოდება ჩამოართვეს. ამან ყველანი შეგვაწუხა – ნესტორი, ყარამანი, მელიგონი და სხვებიც უკვე ძალიან ფრთხილობდნენ. მე განვაგრძობდი სამსახურს ხან ხასავეის კანტორაში და ახლო მეგობრობა მქონდა მის ოჯახთან. ჩემი პატიმრობის დროს დიდი ყურადღება გამოიჩინა, დაუვიწყარი დახმარება გამიწია მადამ ხასავეამ, ვისი წყალობითაც მე და ჩემმა მეგობრებმა ჯანმრთელობა შევიწარმოვეთ.

რევოლუციური არალეგალური წრე მაინც არ დაშლილა. მუშაობას განვაგრძობდით ძლიერ ფრთხილად, ვეხმარებოდით ციხეში მყოფ და შორეულ გადასახლებაში მიმავალ რევოლუციონერებს. მე, ჩემი ხარჯით, თითქმის ყოველთვის ვინახავდი გაჭირვებაში ჩაყარდნილ ხუთ-ექვს კაცს. რითაც შემეძლო, ყველას ხელს ვუმართავდი.

ერთ დღეს ვიგებთ, რომ ირკუტსკის ციხეში ჩამოიყვანეს ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე თედო სახოკია. მე და ნესტორმა გადავწყვიტეთ მიგვეწოდებინა მისთვის რაიმე დახმარება. ამ ბჭობაში რომ ვართ, მოდის ჩემს ბინაზე ციხის ერთ-ერთი უმცროსი მოხელე, მაწვდის წერილს და პასუხს არ ელოდება, ისე მიდის. მე და ნესტორი ვკითხულობთ ამ წერილს. ბარათი ჩემს სახელზეა. თედო მწერს: ძვირფასო გვანჯი, გავიგე, რომ აქ ხართ. ჩემი საქმე ცუდად არის. მასახლებენ იაკუტის გუბერნიის შორეულ, ცივ მხარეში, სადაც ჩემი სუსტი ჯანმრთელობის გამო უჭკველად დავიღუპები. ჩემი შველა შეუძლია ციხის მთავარ ექიმს, სერედას, რომელთანაც შეიძლება ფულით გაკეთდეს საქმე, რათა, როგორც ავადმყოფი, სადმე უახლოეს რაიონში გამაგზავნოს...

ბევრი ფიქრის დრო არ იყო. სასწრაფოდ მოვიყარეთ თავი. მე, ნესტორმა, კოლია წულუკიძემ და ბეჟან ბერეჟიანმა გადავწყვიტეთ წერილით მიგვემართა ექიმ სერედასათვის. საქმის აღსრულება მე დამავალეს. ნესტორმა დაწერა მეტად მგრძობიარე წერილი. წინასწარ გვქონდა გაგებული ექიმის მისამართი. ჩავდეთ ეს წერილი ორას მანეთთან ერთად კონვერტში და გავეშურე ექიმის ბინისაკენ. მას ავადმყოფთა მიღება პქონდა. შევედი მის კაბინეტში, მივესალმე, თავაზიანად გავუწოდე კონვერტი და ვუთხარი: პატიყემულო ექიმო! გთხოვთ იმოქმედოთ თქვენი სინდისის მიხედვით! – სწრაფად გამოვტრიალდი, სწრაფადვე ჩავჯექი ეტლში და შინ დავბრუნდი.

ექიმთან ჩემი მისვლის მეხუთე დღეს გადავმალეთ ირკუტსკის გაზეთი „სიბირსკაია ზარია“ და ვხვდავთ, შიგ დაბეჭდილია თვით ექიმ სერედას განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ მას ვიღაც უცნობმა, ქრთამის სახით, გადასცა 200 მანეთი და ამ თანხას იგი სწირავს უპაგრონო ბავშვთა

სახლს. მე და ჩემს მეგობრებს უღდა გვეცა, სასტიკად შევწუხდით და იმედი გაგვიცრუვდა. შევეურიგდით იმ ამბავს, რომ თედო სახოკიას შველა აღარ შეგვეძლო, მაგრამ ჩვენი სასოწარკვეთა ხანმოკლე აღმოჩნდა. ამ ყოფაში რომ ვართ, თედო გვიგზავნის კაცს და მადლობას გვითვლის – სერუდამ საქმე გააკეთა და იაკუტის ნაცვლად, რომელიც სამი ათასი კილომეტრით არის მოშორებული, იგი გაამწესეს მეზობელ კირინსკის მამრამში, ირკუტსკიდან ექვსას კილომეტრზე...

ეს იყო 1907 წლის ზამთარი. 1908 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს, მოულოდნელად, გადასახლებიდან გამოქცეული თედო სახოკია კარზე მომადგა. ყველამ დიდი სიხარულით მივიღეთ ეს საუცხოო ადამიანი. მოუვარეთ, დაფასვენეთ, ფერზე მოვიყვანეთ, მოვაჯანსაღეთ. მახსოვს, ერთხელ თედომ მთხოვა – ჩემო გვანჯი, საგუცავი მიყიდეთ. გაკვირვებულმა ვკითხე – საგუცავი რა არის-მეთქი. გაეცინა და მითხრა: გალოშებს ქართულად ასე ჰქვიაო. თედო როცა ქართულად ლაპარაკობდა, რუსულს ერთ სიტყვასაც არ გაურევდა. სამაგალითოდ უფროსილდებოდა ჩვენი ენის სიწმინდეს. მალე თედო სახოკია იქ მყოფმა ქართველებმა ყოველმხრივ მოვაგზადეთ და საიდუმლოდ გამოვაგზავრეთ კავკასიაში.

ის დღე არასოდეს დამავიწყდება. მე და ოფიცერი მილორავა ერთხელ სასეირნოდ გამოვედით, ბაღშიც შევიარეთ, გვინდოდა წაგვესაუშმა. ამ დროს ბაღში თვალი მოვკარი მეტად მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელსაც სახეზე ვუალი ჰქონდა ჩამოფარებული და სეირნობდა. თან ახლდა ორი, კოხტად ჩაცმული, ყმაწვილი კაცი. ძალიან მომინდა გამეცნო ეს ქალიშვილი; რამდენჯერმე გავიარ-გამოვიარე, კარგა ხანს ვიგრიალე მის ირგვლივ, მაგრამ გაცნობა ვერ მოვახერხე. გულდაწყვეტილი დავბრუნდი. იმ დამესვე ვნახულობ სიმშარს – ეს ახალგაზრდა ქალიშვილი ნავში მიზის, მივეურავთ და ასე ნავით მივაღექით ჩემ სოფელ ჭკადუაშს...

მეორე დღეს, ისევ გავდივარ ბაღში და ვხედავ, რომ ეს ქალიშვილი მის სამსონ ნაჭყებიასთან. სამსონი საპატიო კაცი იყო იმ დროს ირკუტსკში და მაღალი წრის ხალხთან ჰქონდა საქმე. სამსონმა დანახვისთანავე მიმიხმო და მთხოვა გამეცნო ქალიშვილი. მან მითხრა, რომ იგი იყო მისი კარგი მეგობრის, ინჟინერ-მექანიკოს ნიკოლაევის ქალიშვილი ნადეჟა და ნიკოლაევა. მე თავაზიანად ვართმევე ქალიშვილს ხელს და მათ გვერდით ვჯდები. მალე ის ორი ყმაწვილი კაციც მოვიდა, ამ გოგონას წინა დღით რომ ახლდნენ. სამსონმა ისინიც გამაცნო. ძმები აღმოჩნდნენ ნადეჟდასი – ინოკენტი და ალექსანდრე. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ ამ ქალიშვილმა და მისმა ძმებმა გვთხოვეს სამსონს და მე, მეორე დღეს,

მათ ოჯახში მივსულიყავით ერთ-ერთი ძმის დღეობაზე. ჩვენ მათ მადლობა გადავუხადეთ და დავემორღეთ.

მე და სამსონი დანიშნულ საათზე მივედით ნიკოლაელების ოჯახში. დიდებულად მიგვიღეს. საუკეთესო სუფრა გაშალეს. უკრავდა სიმებიანი ორკესტრი. ისმოდა გიგარის, მანდოლინას, ვიოლინოს სასიამოვნო ჰანგები. მშვენიერი დრო გავატარეთ. ამის შემდეგ, ხშირი სტუმარი ვიყავი ამ ოჯახისა. თანდათან დავეახლოვდი ნადეჟდა ნიკოლაევას. იგი მეტად მორცხვი, უმანკო, თავაზიანი ქალიშვილი, ზედმიწევნით წესიერი და ქალოვნებით მდიდარი იყო. მე თავდავიწყებით შემიყვარდა ნადეჟდა ნიკოლაევა. მასაც ასევე ძლიერ შეეუყვარდი და ერთმანეთს მტკიცე სიყვება მივეცი, რომ შევუღლებულიყავით. ჩვენი გადაწყვეტილება მის მშობლებსაც შევაგებინეთ და მშობლებმაც თანხმობა განაცხადეს, რადგან ხედავდნენ, რომ მათ ქალიშვილს ძლიერ ვუყვარდი. სულ მალე დაეთქვით ნიშნობის დღე, რომელზედაც, ჩემის მხრივ, მოწვეული მყავდა სამოცი ქართველი და, მათ შორის, ყარაიმან მარღანია. მანამდე კი ყოველ საღამოს მივიდიოდი ჩემი საცოლის ოჯახში.

იმეამად ირკუტსკში პეტერბურგიდან ჩამოვიდა ჟურნალისტი და კორესპონდენტი, რაღა თქმა უნდა, მეფის რეჟიმის თავგამოდებული დამცველი ვიღაც ბახმეტიევი. მე იგი პირადად არ გამიცნია. მისი ჩამოსვლიდან გადის რამდენიმე ხანი და ეს ჟურნალისტი გაზეთ „სიბირსკაია მარიაში“ ჩემს წინააღმდეგ ბეჭდავს ბოროტ ფელეტონს. ამ პასკვილის შინაარსი ასეთი იყო: ირკუტსკში ცხოვრობს კავკასიიდან გადმოსახლებული ვინმე თავადი გ. ჩიქოვანი. ის მართლაც თავადიშვილურად ნებიერობს, ყოველდღე ნაირ-ნაირ განსაცემელს იცვლის, სეირნობს თავისუფლად. მის გვერდით თეატრში, კონცერტებზე თუ ბაღში ხშირად დაინახავთ ჩვენი საზოგადოების მოწინავე ქალიშვილებს. დაიარება თავმოშწონედ, ცხოვრობს უღარდელად, თავისი გემოვნების მიხედვით, როგორც მოეხასიათება. ბახმეტიევი კიცხავდა ირკუტსკის საზოგადოების ქალებს, უწუნებდა მათ საქციელს, რომ ისინი სეირნობდნენ გადმოსახლებულ კავკასიელთან და სხვა ასეთი წერილმანები. გარდა ამისა, საგანგებოდ აღნიშნავდა — ეს კაცი მთავრობისთვის არაკეთილსაიმედო პიროვნებაა და აჯობებს, ჩვენმა ქალებმა მისგან თავი შორს დაიჭირონო.

მე ძლიერ ამაღელვებდა ამ ღვარძლიანმა წერილმა და გადავწყვიტე საჩქაროდ მომენახა ბახმეტიევი და პასუხი მომეთხოვა მისთვის. აფორიაქებული და ამ ფიქრებში გართული რომ ვიყავი, შემხვდა ჩემი კარგი მეგობარი იურისტი პაგუშინსკი, დედით ქართველი, რომელიც კარგად იცნობდა ჩვენს ზნე-ჩვეულებებსა და ხასიათს. ვუამბე ჩემი აღელვების

მიზეზი. მან ასე მიპასუხა – რას იზამ, ჩემო გვანჯი, ის სახელმწიფო კორესპონდენცია, რომც მოსთხოვო პასუხი, თავს გაიმართლებს, შესძლებს ფულეგონში მოყვანილი ფაქტების დამტკიცებას, რადგან შენ თვითონაც ვერ უარყოფ, რომ ხარ გადმოსახლებული, აქაურ სამოგადოებაში კარგად მიღებული, ახალგაზრდა ქალებში გართული და სხვა ასეთი. ისე კი, როგორც ვაქცაკმა, თუ შესაფერი შემთხვევა მოგვეცემა, ერთი მაგარი სილა უნდა აჭამო და თუ საქმე სასამართლოს გადაეცემა, იქ შე დაგეხმარებიო. თან იმასაც შეშპირდა, მაგ ბახმეტიევს სახით შე გაგაცნობო. პაგუშინსკის ნათქვამმა დიდად გამახარა და გამამხნევა, ცოგათი დამამშვიდა კიდეც და მაღლიერების ნიშნად გადაეკოცნე. მეორე დღისთვის დავთქვით შეხვედრა ვილელის თეატრში. მართლაც, დავინახეთ, რომ ბახმეტიევი, თავის მეგობრებთან ერთად ლოქაში იჯდა. შე კარგად დავაკვირდი და დავიმახსოვრე მისი სახე, საერთო გარეგნობა. ამის მერე ვეძებდი ხელსაყრელ შემთხვევას, რათა პირისპირ შევეყოდი ამ ავეცია ჟურნალისტს. თითქმის ერთმა თვემ გაიარა და ვერსად ვერ დავიმარტოხელე, პირისპირ ვერ შევხვდი.

ერთ საღამოსაც ჩემთან სასწრაფოდ მოვარდა პაგუშინსკი და გამაგებინა – ჩემო გვანჯი, ხვალ 12 საათზე ბახმეტიევი პეტერბურგში მიემგზავრებაო. ძლიერ ავლელი. ვკარგავდი სამაგიეროს გადახდის ბოლო შესაძლებლობას. მაშინვე ვინახულე ნესტორი და ვუთხარი – რაც არ უნდა გადამხდეს, დილით გავალ სადგურში და ჩემს შეურაცხყოფელს ანგარიშს გაუესწორებ-მეთქი. ნესტორს ჭკუაში არ დაუჯდა ჩემი განზრახვა, მირჩია – თავი დაანებე, ზედმეტ ხლაფორთოს აიგეხავე და თანაც, ეს იმდენად პრინციპული საკითხი არ არისო. შე გულში მქონდა ამოჭრილი, რომ ჯაერი ამომეყარა და ვთხოვე ნესტორს, ამის გაკეთებას ნუ დამიშლიდა.

დილის 11 საათზე გავედი სადგურზე და ბაქანზე სეირნობა დავიწყეთ. თან მახლდა მიხეილ დიდიძე, რომელსაც პაგუშინსკისთვის უნდა შეეგყობინებინა, რაც იქ მოხდებოდა. ცოგა ხნის შემდეგ სადგურს ეგლით მოადგა ბახმეტიევი. იგი ზორბა განის, ასე, ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის კაცი იქნებოდა. ამხანაგებმა კეთილი მგზავრობა უსურვეს და გამოემშვიდობნენ. ბახმეტიევი თავისი ვაგონისკენ გაემართა. შე მას გზა გადავუჭერი. გაოცებული შემომამჩერდა და ვკითხე:

- უკაცრავად, ბახმეტიევი თქვენ ბრძანდებით?
- დიახ, ბახმეტიევი ვარ! – ამაყად მიპასუხა მან.
- შე თუ მიცნობთ? – ახლა უკვე ცივად შევეკითხე.
- არა, შე თქვენ არ გიცნობთ! – მოკლედვე მოსჭრა.

– მაშ, რაღაზე დაგჭირდათ გაზეთში ჩემზე იმ ფელეტონის გამოქვეყნება?! – ვუთხარი და სახეში ელვის სისწრაფით ვსტკივე სილა. გარტყმა ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ პეტერბურგელი კორესპონდენტი მოჭრილ ხესავით დაეცა ძირს. წამოვაყენე და მეორედაც შემოვკარი. ისევ დაეცა. მოცივიდა ხალხი, შეიყვანეს მედპუნქტში – მოასულიერეს, სახე შეუხვიეს და მალევე ჩასვეს თავის ეაგონში. ჩემთან მოვიდა ჟანდარმი და მითხრა, სამორიგოში გავყოლოდი. მიხეილ დიდიძე ხელად გაქანდა პაგუშინსკისთან და რამდენიმე წუთში კიდევე მოიყვანა. პაგუშინსკიმ მანიშნა, ჟანდარმთან როგორ გამეფორმებინა საქმე და გავიდა. ჟანდარმს ჯიბეში ოცდახუთმანეთიანი ჩაველე და ვთხოვე, რომ ოქმში რკინიგზის წესრიგის დარღვევა არ აღენიშნა და ეს შემთხვევა გაეფორმებინა, როგორც კერძო ჩხუბი. ჟანდარმი დამეთანხმა. მალე ისევ შემოვიდა პაგუშინსკი და თავის მხრივ სთხოვა ჟანდარმს, საქმე მეოთხე უბნის სახალხო სასამართლოსთვის გადაეცა. ჟანდარმმა გადამახდევინა 10 მანეთი ჯარიმა, მომცა ქვითარი და წამოვედით. მეხუთე დღისთვის დაინიშნა ამ საქმის განხილვა. დამკველად გამოვიდა პაგუშინსკი. ორი საათი მაინც ილაპარაკა. საუცხოო მჭერმეგყველი იყო. თავისი სიგყვის დასასრულს ჩემი გათავისუფლება მოითხოვა. სასამართლომ გამოიგანა დადგენილება – ორი კვირის პაგიმრობა ან 15 მანეთი ჯარიმა. მე, რა თქმა უნდა, სიხარულით გადავიხადე 15 მანეთი, კმაყოფილები გამოვედით სასამართლოდან, მეგობრების ჯგუფმა თან გავიყოლეთ პაგუშინსკი და მის პაგივსაცემად გემოზე ვიქეიფეთ.

ჩვეულებრივად ვაგრძელებ მშვიდობიან ცხოვრებას. დავედივარ ჩემი საცოლის ოჯახში. არაღვეალური წრე, ნესტორ კალანდარიშვილისა და ყარამან გუსკიას ხელმძღვანელობით, ფრთხილად განაგრძობს მუშაობას. გადის ორი თვე და ერთ საღამოს ჟანდარმთა სამმართველოში მიბარებენ. ვცხადლები და მხედება როგმისტრი სამოხვალოვი, რომელმაც პირველად დააპაგიმრა ჩვენი ჯგუფი. სამოხვალოვმა ბოროტი მშერა მომაპყრო და მეუბნება: ჩიქოვანო, დადგა დრო, როდესაც შენ მეგს უკვე ვეღარ ისეირნებ ჩვენს ირკუტსკში, თეატრსა და ლამაზ ქალებში. ამასთანავე უნდა მოგამოროთ რევოლუციური სენით შეპყრობილ ამხანაგებს... მართმევს ბილეთს და მკაცრად მეუბნება: გაძლევ წინადადებას, სამი დღის განმავლობაში დაგოვო ირკუტსკი. ეს პაგივისცემად ჩათვალეთუკი დღეიდან მეოთხე დღეს აქედან არ გაემგზავრები, მაშინ საგანგებო წესით გაგასახლებთ და ბევრსაც ინანებო. მე შევეკითხე, გთხოვთ მაცნობოთ მიზეზი, რა დანაშაული მაქვს ჩადენილი, რომ ასე მკაცრად მსჯით-მეთქი. მან პასუხი არ გამცა (მხოლოდ მოგვიანებით გავიგე, რომ

იმ ჟანდარმს, ვინც ოქმი შემიდგინა სადგურზე ბახმეტიევის გაღმავლების გამო, მაინც გადმოეგზავნა ეს ოქმი ჟანდარმთა სამმართველოში და ჩემს წინააღმდეგ იმიტომაც იყო მიღებული დასასჯელი ზომები). წამოსვლის დროს კიდევ გამიმეორა სამოხვალოვმა – მეოთხე დღეს აქ მოხვალ ბილეთის მისაღებად და გასამგზავრებლად. მერე ესეც დააყოლა – ამასთანავე, ნებას გაძლევთ, შენი საცოლდე, ნიკოლაევას ქალი, სადაც გინდა იქ წაიყვანეო. ამ მოულოდნელმა ამბავმა საშინლად დამაღონა. მივედი ჩემი საცოლის ოჯახში. ბოლმით საესე ვარ, მაგრამ თანაც მრცხვე-ნია და თავმოყვარეობაშელახული ვერავის ვუმხელ ამ ამბავს. ისევ ნესტორს დავეთათბირე, როგორ მოექცეულიყავი. ნესტორმა დამარიგა, წადი იოსებ მკერვალთან და გააგებინე შენი მდგომარეობაო. მივედი იოსებთან. იოსებმა მითხრა, სასწრაფოდ გამეგზავნა დეკემბა ყარამან მარდანიასათვის, რომელიც იმჟამად ტროიციკო-სავრასკში იმყოფებოდა. დაჯდა და დეკემბის ტექსტი თვითონ შეადგინა. დეკემბა ასეთი იყო: გენერალ ყარამან მარდანიას – მე ამიკრძალებს ირკუგსკში ცხოვრება. არ ვიცი, რა მიზეზით. გთხოვთ დამართოთ თქვენთან ჩამოსვლის ნება... ეს დეკემბა იოსებმა გასაგზავნად გააგანა თავის დისწულს, ახალგაზრდა ყმაწვილს, კოლიას, რომელიც მასთან სტუმრად იყო.

ამის შემდეგ, მივედი ხან ხასაევთან. ეუამბე, თუ რა მდგომარეობაში ვიყავი. ისა და მისი ცოლი ძლიერ შეაწუხა ამ ამბავმა, მაგრამ ვერაფრით ვერ დამეხმარებოდნენ. ხან ხასაევმა გამისწორა საბოლოო ანგარიში. მერგო ოთხიათას ხუთასი მანეთი. მეორე დღეს, გენერალ მარდანიასგან მომივიდა დეკემბის პასუხი და 100 მანეთი. იგი მწერდა: ჩქარა ჩამოდი. გელოდები ყოველდღე. მარდანიას. ამან ძლიერ გამახარა. ახლა უკვე საცოლესა და მის მშობლებს ყველაფერი ეუამბე. საცოლემ ბევრი იგირა. ვეფერე, დავამშვიდე.

აი, სამი დღეც გათავდა. ხვალ მეოთხე დღე გათენდება და უნდა დავტოვო ირკუგსკი. ოქტომბრის ბოლო დღეებია. თოვს, მაგრამ ჰაერში სიცივე არ იგრძნობა. საცოლესთან მივდივარ. ამ დროს გზაში შემომხვდა გუბერნატორის კანცელარიის უფროსი, ჩემი კუთილისმყოფელი მაგკეესკი და გახარებულმა მომაძახა: სად დაიკარგეთ, თავადლო? ორი დღეა დაგეძებთ. ნება მიბოძეთ გულითადად მოგილოცოთ დიდი ბედნიერება!.. მითხრა და მაგრად ჩამომართვა ხელი. მე გაოგნებული შევყურებ ამ კაცს და ვეუბნები, ვერაფერი გამიგია-მეთქი. ჩემთვის ვფიქრობ, მოსალოცად კი არა, სატირლად არის ჩემი საქმე.

მას გაეცინა, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: მიღებულია მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ხელმოწერილი ბრძანება

თქვენს შეწყალებასა და დაუყოვნებლივ გათავისუფლებაზე. ხვალ 9 საათში მობრძანდით კანცელარიაში გუბერნატორთან და დოკუმენტები ჩაიბარეთ.

ამის გაგონებაზე სიხარულისგან ენა დამება და გული ამიჩუყდა. აღარ ვიცი, როგორ გამოიმეხაგა ჩემი მადლიერება მაგვევსკის მიმართ. სასწრაფოდ გაექანდი ნესგორთან. ნესგორი გადამეხვია, მომილოცა და მითხრა – ვინც თავის შველას დრომდე არ ეძებს, არც ერთი ადამიანად და კაცად არ ივარგებსო.

მეორე დღით მაგვევსკიმ შემიყვანა გუბერნატორ იუგანთან. გაღიმებული გუბერნატორი წამოდგა და ნანატრი ქალაქის მოსვლა მომილოცა. შემდეგ ფეხზე ამდგარმა წამიკითხა, რომ მეფემ შეიწყნარა მამაჩემის მიერ გაგზავნილი თხოვნა, იაპონიის ფრონტზე გამოჩენილი გულადობისათვის მეპაგია სასჯელი და მომენიჭა თავისუფლება. გუბერნატორმა იქვე გადმომცა გათავისუფლების ქალაქი. მე მას უღრმესი მადლობა გადავუხადე და სიხარულისაგან გულაძგერებული გამოვედი.

იქედან კანდარმთა სამმართველოში წავედი. შევდივარ და როგმისტრი სამოხვალოვი დამცინავი ღიმილით მხედება, ირონიული კილოთი მეკითხება: რაო, ჩიქოვანო, რომელი მხარე ამოირჩიე?! – ამას ამბობს და თან ბილეთს მაწვდის. მე ხმისამოულებლად გამოვართვი ეს ე. წ. „მგლის ბილეთი“, მის თვალწინ ნაკუწებად ვაქციე და ცხვირწინ, მაგიდაზე დავუყარე.

ამას ნამდვილად არ მოელოდა. სახე მთლად მოენგრა. გაფითრებული ტუჩები სიბრაზისგან აუცახცახდა და დამიყვირა: როგორ ბედავთ ამის გაკეთებას?!

მე მშვიდად ამოვიღე იმპერატორის ბრძანება და გავუწოდე. დახედა, თვალები გაუფართოვდა, სმენაზე დადგა და გულმოდგინედ დაიწყო კითხვა. შემდეგ შემომხედა, სიმწრით გაიცინა და მომილოცა. ცივად გავმორდი და წამოვედი.

სასწრაფოდ გავუგზავნე დეპეშა გენერალ მარლანიას. იმ საღამოსვე მომივიდა მისი პასუხი მოლოცვითურთ და 100 მანეთი. ყარაშან მარლანია მთხოვდა, სამშობლოში ირკუგსკიდან თან წამეყვანა მიშა სიამაშვილი, რომელმაც იქ დაამთავრა სამთო სასწავლებელი და ჩარჩა, ქალებზე იყო გადაყოლილი. მიშას დაველაპარაკე, დამიჯერა და მართლაც, წამოვიყვანე სამშობლოში.

წამოსვლამდე ჩემი საცოლის მშობლებთან მივედი და სრულიად გულწრფელად განვუცხადე, რომ მათი ქალიშვილი ნადეჟდა მიყვარს და გადაწყვეტილი მაქვს მასზე დაქორწინება. მათ ისიც ვუთხარი, რომ ახლა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა წავსულიყავი სამშობლოში, სადაც დავიბადე



გვანჯი ჩიქოვანი და მისი მეუღლე
ნადეჟდა ნიკოლაევა
ქ. ირკუტსკი, 1907 წ.

და აღვიმარდე. ვთხოვე, ^{მე} მენდობით და თქვენს ქალი-
შვილს შეინახავთ ჩემს სახელზე,
პატიოსან, ვაგაკურ სიტყვას ვღებ
თქვენთან, ჩემს საცოლესთან და
ყველა ჩემს მეგობარ-ახლობელ-
თან, რომ როგორც კი მოვაგვა-
რებ ოჯახურ საქმეებს, მაშინვე
გაცნობებთ ან მე თვითონ ჩამო-
ვალ და ჩემს საცოლეს წავიყვან...

ისინი დამთანხმდნენ. მე
სამშობლოში გასამგზავრებლად
დავიწყე მზადება. მეგობრები
სათითაოდ ვინახულე. შეძლების-
დაგვარად, ყველას პატივი ვეცი.
მეცხრე დღეზე წამოვედი ირკუტ-
სკიდან. სადგურზე გამომაილეს
როგორც მეგობრებმა, ასევე
ჩემმა საცოლემ და მისმა ძმებმა.
კარგად ვიმგზავრე. მშვიდობით
დაეუბრუნდი დედ-მამას. ჩემმა
გათავისუფლებამ და დაბრუნე-
ბამ აუწერელი სიხარული გამო-

იწვია ჩემს ოჯახსა და ნათესავ-მეგობრებში. რამდენიმე კვირის განმავ-
ლობაში განუწყვეტელი ქეიფი იყო ჩვენთან, ჩემი აღმზრდელის და ახლო
ნათესავების ოჯახებში. ყველას ვასაჩუქრებდი და მეც ბევრი საჩუქარი
მივიღე.

ცოცხალი ხანმა გაიარა, დედ-მამას გავუმხილე ჩემი გადაწყვეტილება
ნიკოლაევას ქალის ცოლად შერთვის თაობაზე. მათ, რა თქმა უნდა, არ
სურდათ, უცხო ეროვნების ქალი რომ შემერთო, მაგრამ წინააღმდეგობა
არ გაუწევიათ და მითხრეს, როგორც თავად გიჯობს, ისე მოიქეცი, ამ
ამბავში ჩვენ მხოლოდ დაგეხმარებით და ხელს არ შევიშლითო.

ჩემი ჩამოსვლის ექვსი თვის თავზე ირკუტსკში დეკემბა გავაგზავნე
და საცოლეს შევატყობინე, ჩამოსულიყო. ერთ კვირაში ნადეჟდა ნიკო-
ლაევა ჩამოვიდა და დედაც ჩამოჰყვა. მე და ჩემი ოჯახის წევრები, ახლობ-
ლები დაეხედით ზუგდიდში. ჩავედით ჩემს სოფელ ჭკადუაშში, სადაც
გადავიხადეთ დიდი, მამაპაპური ქორწილი და დავიწერეთ ჯვარი. რამდე-

ნიმე ხნის შემდეგ, სიღვრი დიდად კმაყოფილი გაბრუნდა ირკუტსკში. ნაღველად მალე შეეჩვია ჩვენს კუთხეს, შეითვისა ჩვენური მწე-ჩვეულებები და ასევე ადვილად შეისწავლა მეგრული და ქართული. თავისი საქციელით, კეთილი ბუნებით, ჩემი დედ-მამისა და ნათესაეების დიდი სიყვარული და უსაზღვრო ნდობა დაიმსახურა. არაჩვეულებრივი სიკეთისა და სათნოების გამო, ჩემი მშობლებისა და ნათესაეების გარდა, ნაღველად მთელი მეზობლობაც დიდ პატივს სცემდა. ჩვენი ტკბილი ცოლ-ქმრული ცხოვრება თექვსმეტ წელიწადს გაგრძელდა, სახამ უღმობელი სიკვდილი ხელიდან გამოგტაცებდა საყვარელ მეუღლესა და ძვირფას მეგობარს.

ოჯახში ყოფნის წლები

დაქორწინების შემდეგ, რადგან მთავრობის სამსახურში შესვლა არ მინდოდა, გადავწყვიტე, სოფლის მეურნეობისთვის მომეკიდნა ხელი. ჩვენ ეცხოვრობდით სოფელ ჭკალუაშში, კორცხელის სამღვარზე. მამაჩემსა და მე, მთელს ჩვენს ოჯახს, ამ ორი სოფლის გლეხოება დიდი სიყვარულითა და ნათესაური გრძნობით შემოგვეყურებდა. რა თქმა უნდა, ჩემი არყოფნა და გადასახლება საგრძნობლად დაეცყო ჩვენი ოჯახის მდგომარეობას. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, საჭირო იყო ოჯახის გამაგრება და მეურნეობის გამართვა. მე მხარში ამომიდგნენ, დიდი ამაგი დამდეს და დაუვიწყარი დახმარება გამიწიეს ჩემმა აღმზრდელებმა და სოფლელებმა – ჭითანავამ, ბჟინავამ, მანიამ, ლაგვილაევამ, თოლორაიამ, ქობალიამ, ანთიამ და სხვებმა. მამაჩემს ამ ორი სოფლის გლეხოებისათვის ერთხელაც არ უგრძნობინებია, რომ წოდებრივად მათგან განსხვავებული იყო. მე და მამაჩემი ყოველთვის მათთან ვიყავით ჭირსა თუ ლხინში. თუ რაიმე კონფლიქტი მოხდებოდა გლეხოებასა და მთავრობის წარმომადგენელთა შორის გადასახადის თაობაზე ან სხვა საკითხზე, მამაჩემი და მე ყოველ ღონეს ვხმარობდით, რომ საქმე არ გამწვავებულიყო და გლეხის ოჯახი არ დაღუპულიყო.

ერთი ასეთი ფაქტიც ვიცოდი – სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიაში მოქცევის პირველ პერიოდში ჩემი გამზრდელის ძმას ბურდლუ ბჟინავას განუცხადებია რუსი მოხელეებისათვის – მიწა მშრომელი ადამიანის სარგებლობისათვის არის გაჩენილი და არც ხელმწიფესა და არც ბატონს უფლება არა აქვს მიწები წაგვართვასო. ბურდლუ ბჟინავა ხშირად უწევდა წინააღმდეგობას მთავრობის მოხელეთა ძალმომრეობას, უკანო-



სალომე დადიანი და მისი მეუღლე —
აშილ მიურატი
სლმ №5410-ი

ნო მოქმედებას. ერთხელ, როცა მის ოჯახში ხარკის ასაღებად, მთავრობის მოხელეთა თანხლებით, ძალით შევიდა ჯვებე დადიანი, მოძალადეებს ბურღულს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. სისხლი უნდა დაღვრილიყო, მაგრამ მამაჩემი გადაელობა ჯვებე დადიანსა და მის მხლებლებს და ბეინავას ინგურეხები დაიკვა, ვლახის მხარეს დადგა. ასეთი შემთხვევები სხვაე ბევრი ყოფილა. გლეხობას კარგად ახსოვდა მამაჩემისგან დათესილი სიკეთე და ყველანი ცდილობდნენ, ჩვენი ოჯახისთვის, შეძლებისდაგვარად, პატივი ეყათ. მე გულმოდგინედ შევეუდექი მუშაობას და კმაყოფილებასაც ვგრძნობდი. მალე სასიხარულო ცნობა მივიღე ვანო ჯორჯაძისგან — ისიც შეეწყალებინა ხელმწიფეს და გათავისუფლებული, მშვი-

ლობიანად დაბრუნებულიყო საქართველოში.

პრინცესა სალომე მიურატი ძლიერ კმაყოფილი იყო, მე რომ შინ დავბრუნდი. ამბობდა, რომ ჩემი გათავისუფლება მისი ვაჟის ჩარევითა და მეოხებით მოხდა. მიურაგებთან კარგი, ახლობლური დამოკიდებულების გამო, მუგდიდის მაზრის მმართველობა კეთილი თვალით გვიყურებდა და მორიდებით გვეპყრობოდა. ქორწინებიდან წლინახევრის შემდეგ, ნაღყდას და მე, შეგვეძინა ვაჟი გიორგი, რომელმაც დიდად გაახარა ჩვენი ოჯახი და მრავალი საჩუქარი შეგვეძინა.

ერთ დღეს, პრინცესა სალომე მიურატი მიბარებს, მილოცავს ვაჟის დაბადებას და ღიმილით მეუბნება — შენი შემკვიდრე ჩვენი მოსანათლია. ამაზე უკვე მთელი ხალხი ლაპარაკობს და ჩვენც სიამოვნებით მივიღებთ ამ წინადადებას. მე მაღლობა მოვახსენე ძვირფას ადამიანს და ვუთხარი — ჩვენო კეთილო პრინცესავ, თქვენს მიერ ჩემი ვაჟის მონათვლა დიდი

პატივი და სახელია ჩვენი ოჯახისათვის, მაგრამ თქვენ აუარებელი ნათლული გყავთ ჩვენს დიდ ქვეყანაში, მათი ჩამოთვლა და სიის შედგენაც კი გაჭირდებოდა, მე კი გადაწყვეტილი მაქვს, ჩემი ვაჟი ვინმე ჩემსავე ამხანაგს მოვანათვლინო-მეთქი. მას გაეხარდა ჩემი გულწრფელი პასუხი და აღერსით მითხრა: ყოჩაღ, ჩემო გვანჯი, როგორი პირდაპირი ვაქცაყი ყოფილხარო.

რამდენიმე დღის შემდეგ, ფართოდ იღება ჩვენი ეზოს ჭიშკარი და ლამაზი ცხენებით შემოდიან პრინცესა სალომე და მისი შვილები, ჩემი ვაჟისა და ოჯახის სანახავად. ჩვენ უდიდესი სიხარულითა და აღტაცებით შევხვდით საპატიო სტუმრებს და მშვენიერი სუფრა გავუშალეთ. პრინცესას ახლდა თავისი ქალიშვილი ანტუანეტა, რომელსაც იგი მოფერებით ბებეს ეძახდა. ეს ქალიშვილი პროფესიით აგრონომი იყო, საზღვარგარეთ პქონდა მიღებული უმაღლესი განათლება. პრინცესამ ჩვენს გასაგონად უთხრა ქალიშვილს – ჩემო კარგო, ხვალ მოხვალ ამ ოჯახში. დაგეგმე და გაუშენე გვანჯის ორი ქცევა ვენახი და ფრანგული მეურნეობაო. მართლაც, მეორე დღეს, ანტუანეტამ გამომიგზავნა მუშები, სათანადო გეგმაც მოაყოლა და რამდენიმე კვირაში ორ ქცევა ფართობზე გააშენეს საუცხოო ვენახის ბაღი. ამასთანავე, პრინცესამ საჩუქრად გამომიგზავნა საუკეთესო ჯიშის ძროხა, ცხვარი და ღორები. ორი-სამი წლის განმავლობაში ჩემი ოჯახი და მეურნეობა ისე გამაგრდა და გაიზარდა, რომ ყველას უკვირდა, ახლობლებსა და მოკეთებებს გულს უხარებდა ეს ამბავი.

ჩვენი ოჯახის მოლონიერება და ის, რომ პირადად მე საზოგადოებაში კარგი ავგორიტივი მოვიპოვე, განსაკუთრებით საიმოვნებლად პრინცესა სალომესა და მის შვილებს. ყოველი მნიშვნელოვანი დღესასწაულის დროს ან მათთან საპატიო სტუმრების მისვლის შემთხვევაში, პრინცესა სალომე აუცილებლად მიმიპატიებდა სახლში და დიდი პატივისცემით მეპყრობოდა.



ანტუანეტა (ბებე) მიურატი
1910 წ.

ერთ მშვენიერ კვირა დღეს წავედი მიურაგების კარის ეკლესიაში, სადაც პრინცესა ქალიშვილთან და მხლებლებთან ერთად წირვას ესწრებოდა. ამ დროს მასთან შემოვიდა მოსამსახურე და თავაზიანად მოახსენა: სტუმრები მობრძანდნენო. მან მოკლედ უპასუხა, წესიერად მიიღეთ და დამიცადონო. გათავდა წირვა. გამოვედით ეკლესიის ეზოში. პრინცესა სალომემ იქ მყოფი გლეხები სათითაოდ მოიკითხა ოჯახებითურთ. ყველას შინაურულად და გულკეთილად აძლევდა საჭირო რჩევა-დარიგებას. მერე მე მომესალმა დიდი სიყვარულით და მითხრა – სტუმარი მეწვია პეგერ-ბურგიდან, გენერალი რეინბოგის, სხვებიც ახლავან და ჩემთან უნდა წამოხვიდეთ. მე გავყევი პრინცესას და გავეცანი უცხო სტუმარს, გენერალ რეინბოგს. მას ახლდნენ ზუგდიდის მოწინავე სამოგადლოების წარმომადგენლები: მაზრის უფროსი კაპიგანი ლაეროვი, მინგრელსკის ვეჟილი ალშიბაია, ვეჟილი ბახვა დგვეუაძე, თვით პრინცესას ვეჟილი ალექსი ბერიძე და სხვები. სწრაფად გააწყვეს დიდებული სუფრა და გაიმართა სანაქებო ქეიფი. ბევრი საინგერესო რამ ითქვა. სუფრას თვით პრინცესა სალომე მიურაგი ხელმძღვანელობდა. უცებ საუბარი ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწისა და სწავლულის, რუსეთის შავრამშული წრეების-გან დევნილი და შევიწროებული მამულიშვილის კირიონ ეპისკოპოსის გადასახლებაზე ჩამოვარდა. გენერალმა რეინბოგმა სრულიად უცერემონიოდ წამოიძახა: ქართველი რევოლუციონერები ყველანი ბოროტმოქმედები და ყაჩაღები არიანო. სუფრასთან მსხდომნი ამკარად შევშოთდით, შეურაცხყოფილად ვიგრძენით თავი. მე სისხლი მომაწვა ყელში, მაგრამ ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი და თანაც, მასპინძლის რიდის გამო, შეუძლებელი იყო, სტუმრად მყოფი გენერლისთვის საკადრისი პასუხი გამეცა. თვით პრინცესა სალომეც ძლიერ აღელდა და რეინბოგს ასე მიმართა: მე არა ვარ რევოლუციონერი, არც მათი თანამგრძნობი, მაგრამ ქართველ ხალხსა და საკუთრივ ქართველ რევოლუციონერებს მათი ღირსება ასე უსამართლოდ არ უნდა შეულახოთო. ქართველ რევოლუციონერთა კეთილსინდისიერებასა და ადამიანურ მოქცევაში მე თვითონ დავრწმუნდი, როცა 1905 წელს, რევოლუციის დროს, ჩემს მამულში, სოფელ სალხინოში, კუხალეიშვილის ხელმძღვანელობით მოვიდა რევოლუციონერების ჯგუფი. მათ, მართალია, ჩემი და ჩემი ქალიშვილის დაპატიმრება მოუხდათ, მაგრამ უაღრესად თავაზიანად გვექცეოდნენ. ქუდმოხდილებმა მოგვიბოდიშეს და ისე დაგვსვეს ურემზე. იმ არეულობის ვაჟს უხიფათოდ ჩაგვიყვანეს სენაკში, ზრდილობიანად აგვიდღეს ბილეთები და თბილისში გაგვაგზავნეს. ასეთი შემთხვევები სხვაც ბევრი იყო. თქვენ კი, პატივცემულო გენერალო, როგორც გეცყობათ, არ იცნობთ არც

ქართველ ხალხს, არც ქართველ რევოლუციონერებს და რაგომღაც აიდეალებთ რუსის ყაზახებს, რომლებიც შეუბრალებლად სთელავენ მშრომელ გლეხობას. ახლა კი აჯობებს, ასეთ ლაპარაკს თავი დავანებოთ და ეს ყურძენი მივირთვათო, ღიმილით დასძინა სალომე მიურაგმა.

ამ შენიშვნის შემდეგ, გენერალ რეინბოგს ენა აღარ დაუძრავს, სულგანაბული იჯდა და ერთი დიდი ვაზა უგემრიელესი ყურძენი უსიგყვოდ შესანსლა. სადილის დამთავრების შემდეგ პრინცესამ განზე გაგვიხმო და მისებურად, რბილად გვისაყვედურა – რა ღმერთი გაგიწყრათ, რა დაგე-მართათ, რომ ყველანი დამუნჯდით, მუცელში ჩაიგდეთ ენა და უცხო სტუმარი მე, მასპინძელს, გამალანძვინეთო. ყველამ ვიგრძენით, ვაკეაყო-ბა რომ ვერ გამოვიჩინეთ და გამომშვიდობებისას ბოდიში მოვუხადეთ პრინცესას.

ოჯახის მდგომარეობა რომ მოვაგვარე, თანდათან აღვადგინე მის-ელა-მოსვლა დავიწყებულ ახლობელ თუ შორეულ ნათესავ-მოყვრებთან, ნაცნობ-მეგობრებთან. ხშირად დავდიოდი აფხაზეთში, სვანეთში, სამურზაყა-ნოში, ჯვარში, შუგლიდსა და სხვაგან. არ ვგოვებდი არც ერთ მნიშვნელო-ვან თავყრილობას, არ გამოვკლებივარ ჩემიანების ჭირსა თუ ლხინს. არ ყოფილა ჩვენს მხარეში ქორწილი, დღეობა თუ სამგლოვიარო შემთხვევა, პატივისცემით რომ არ ვყოფილიყავი მიწვეული. ვცდილობდი, არავის-თვის არ დამეკლო ყურადღება და პატივისცემა. ცხადია, მუდამ მხარში ვედექი პატიოსანი, მშრომელ გლეხობას. ისინიც დიდ სიყვარულს იჩენდნენ ჩემდამი და რომ დამჭირებოდა, მზად იყვნენ, ჩემთვის თავი დაედოთ. თავის მოსაწონებლად და საგრაბახოდ არ ვიტყვი, მაგრამ ყველა საჭირბოროტო საკითხის მოსაგვარებლად და გადასაწყვეტად მე მიბა-რებდნენ, თუ რამე სადავო იყო, მე მეკითხებოდნენ. გვანჯი ჩვენი მო-სამართლე და დამრიგებელიაო, ასე ამბობდნენ.

ათეულობით შემთხვევა მახსოვს, როცა სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული მემობლები, ნათესავეები ან მთელი გვარები, ჩემი შუამ-დგომლობით, შემირიგებია და მრავალი სისხლისღვრა ამიციდნია ძმათა შორის, რასაც შაერაზმელი მოხელეები, ჩვენი გადაგვარებისა და განად-გურების მოსურნენი, საგანგებოდ, მიზანდასახულად აღვივებდნენ. ცხადია, ამავე დროს, არც საოჯახო საქმიანობას ვაკლებდი ყურადღებას.

ჩემმა მეუღლემ, განსვენებულმა ნადეჟდა ნიკოლაევამ ჩვენს სოფელ ჭკადუაშსა და, აგრეთვე, კორცხელის სამოგადოებაში დიდი პატივისცემა და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. იგი იყო მეგად თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანი, დაუღალავად შრომობდა და სხვებსაც აყვარებდა შრომას. საზაფხულო არდადეგებზე თავს უყრიდა ღარიბი

გლეხების ბავშვებს, რუსულ ენასა და წერა-კითხვას ასწავლიდა, ცხადია, უსასყიდლოდ. მრავალი ყმაწვილი ქალი ხელსაქმეში გაწაფა. რითაც შეეძლო, ყველას ეხმარებოდა. პირველი ვაყის შემდეგ შეგვეძინა ქალიშვილი ვიშა. მის მერე ისევ ვაყი – ვეგენი და ბოლოს, ქალიშვილი ნათელა.

მამაჩემს უდიდეს სიხარულს გვრიდა ის ამბავი, რომ მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ მოსახლეობაში ნდობა და ავტორიტეტი მოვიპოვე. ოჯახურ საქმეებს, ძირითადად, მამაჩემი განაგებდა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, გამუდმებით ბალ-ვენახში გრიალებდა და გლეხობასაც აქეზებდა, მებაღეობა-მევენახეობისათვის მოეკიდნათ ხელი. მახსოვს შემთხვევები, როცა გმების შეკეთება იწყებოდა, მამაჩემი (თუმცა თავისი წოდების გამო ამ საზოგადოებრივი საქმიანობისაგან თავისუფალი იყო), მაინც მონაწილეობდა ან ავადმყოფი გლეხის მაგიერ იხდიდა ფულს. თავისი ნებით შეპქონდა, აგრეთვე, შესაწირავი, „როჭიკი“ – ე. წ. საკანცელარიო გადასახადი. სამეურნეო საქმიანობა წარმატებით რომ მეწარმოებინა, ძალ-ღონეს, ენერჯიას არ ვიშურებდი და ამან საზოგადოების საკეთილდღეოდ საკმაოდ ნაყოფიერ გამოიღო. ასე გაგრძელდა 1914 წლამდე. 1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი. საქართველოშიც უამრავი მშრომელი გლეხი მოსწყვიტეს მშობელ კერას, მათ შორის ბევრი ჩემი მეგობარიც გაიწვიეს ფრონტზე. ჩემი სოფლად დარჩენა აღარ შეიძლებოდა.

ომში წასვლა

თავდაპირველად სოხუმში ჩავედი და იჯარით ავიღე სოხუმის პოლკის ხორციით მომარაგება – ხელი მოვკიდე იმ საქმეს, რაც კარგად ვიცოდი. სოხუმის პოლკს უნდა გაეყოლოდი რუსეთ-გერმანიის ფრონტზე და ყოველდღიურად 100 ფუთი ახალი ხორცი მიმეწოდებინა. წინასწარ შემაგანინეს საწინდარი – 3000 მანეთი. თუ ჩემს მიერ ნაყისრ ვალდებულებას ვერ შევასრულებდი, ეს ფული იკარგებოდა. სოხუმის პოლკი მალე გაემგზავრა პოლონეთისკენ – ქალაქ სუვალკაში უნდა ჩავსულიყავით. გამოვეთხოვე ოჯახს, ახლობლებს და გავყვევი ამ პოლკს. ერთხანს კიევში მოგვიხდა გაჩერება. კიევშივე დავიწყე მომარაგება. ვიყიდე 100 ფუთი შაქარი და წავიღეთ ეშელონით. ჩავედით სუვალკაში. მე მომცეს შვიდი ფურგონი და დამიქვემდებარეს ოცდაოთხი ჯარისკაცი. გავიყანო ადგილობრივი კომისიონერები და ყოველდღე ვყიდულობდი 100 ფუთ

საუკეთესო ხორცს და სხვა საჭირო პროდუქტებს. პოლკის უფროსს ძალიან მოსწონდა ჩემი აკურაგული მუშაობა და რამდენჯერმე ბრძანებით მაღლობა გამომიცხადა.

1914 წლის 22 სექტემბერს, სუვალკის ახლოს მოხდა მძიმე ბრძოლები, გერმანიის ჯარებთან ამ შეტაკების დროს სასტიკად დამარცხდა ჩვენი სოხუმის პოლკი. დიდი დანაკლისი გვექონდა. პოლკის მეთაურმა კუდინკომ უმაღლესი მთავარსარდლისგან მიიღო საყვედური, რის გამოც მეორე დღეს თავი მოიკლა. სამი დღის განმავლობაში ისევ შეივსო სოხუმის პოლკი. პოლკის უფროსად დაინიშნა კუდინკოს მოადგილე პოლკოვნიკი კოწია შერვაშიძე. ორი კვირის შემდეგ, კიდევ მოხდა დიდი შეტაკება გერმანელებთან და ჩვენ მოგვივიდა ცნობა, რომ ამ ბრძოლაში პოლკის ახალი მეთაური კოწია შერვაშიძე დაიღუპა. ეს სამწუხარო ამბავი კოწიას დენშჩიკმა შეგვაგაცობინა. ამ დროს ჩემთან იყო კოწიას ნათესავი მიხა ელიშბარის ძე მხეიძე. ჩვენ გული მოგვიკლა ამ საშინელმა ცნობამ და დაუყოვნებლივ გადავიყვით დენშჩიკს, რათა კოწიას ცხედარი როგორმე ბრძოლის ველიდან გამოგვეგანა. ფრთხილად მივედით ბრძოლის ადგილას. ისმის გამაყრუებელი სროლა და ქვემეხების გრიალი. ჩვენ მუცელზე ხოხვით მივიწვეთ წინ. ცოგა მანძილი რომ გავიარეთ, ვხედავთ: ძუკუ დგებუაძქს ორთვალაზე დაუდია კოწიას ცხედარი და თავგანწირვის ფასად მოაქვს. ჩვენმა დანახვამ ძალიან გაახარა. წავეშველეთ და გათენებისას, როგორც იქნა, მშვიდობიანად ჩავალწიეთ სუვალკაში. კოწიას ცხედრის გამოგანამ ერთგვარად დაგვამშვიდა იქ მყოფი ქართველები. ძუკუ დგებუაძე სასწრაფოდ გაბრუნდა ბრძოლის ველზე, რადგანაც უნებართვოდ იყო წამოსული.

ჩვენ მივედით ქალაქის კომუნდანგთან, პოდპოლკოვნიკთან. პირადად ვთხოვე, სანამ ჭირისუფლები, ნათესავები ჩამოვიდოდნენ, მიცვალებულის დასასვენებელი ბინა. ამ უსულგულო კაცმა უკმეხად, ცივად გამომისგუმრა, თავი დამანებეთ, რა დროს მიცვალებულიაო, ასე მითხრა. სასტიკად გულმოსული და მეურაცხყოფილი გამოვგრიალდი და მიხასთან ერთად შევედი ერთი ნაცნობი ებრაელის ოჯახში, რომელმაც ჩვენი გასაჭირისთვის ოთახი მოგვაქირავა. ცხედარი იქ დავგოვეთ და მე და მიხა სასწრაფოდ გავექანეთ ჰოსპიტლის მთავარ ექიმთან იასონ მუჯირთან. იასონს ვუთხარით რა გაჭირვებაც გვადგა. იგი ძალიან შეწუხდა და დაგვამშვიდა – ნუ შფოთავთ, ყველაფერს გავაკეთებო. მართლაც, მან გასცა ბრძანება, მამინვე გამოჰყო ცხედრისთვის ერთი პაგარა ოთახი. სასწრაფოდ მოვიგანეთ ცხედარი. იასონის მითითებითვე დაასვენეს მიცვალებული პროშექურაში. მთავარმა ექიმმა დაუძახა ფერშლებს –

გუბუ პაგარაიას და ბესარიონ ჩხოგუას. მე და მიხას სპირტი გვაშოვნინეს, გაუკეთეს გვამს ბალზამირება და მერე იასონმა გვითხრა – აწი, თუ საჭირო იქნა, ცხედარი ოც დღეს შეიძლება აქ იყოს შენახულიო. მე და მიხამ სასწრაფოდ გავაგზავნეთ დეპეშა კოწიას დისწულთან, კუჭიკო გელოვანთან, რომელიც იყო სახელმწიფო სათათბიროს წევრი. დეპეშაში აღრესაგს ვაგყობინებდით: სასწრაფოდ ჩამოდით, კოწია მოკლეს. გვანჯი და მიხა.

ყველაფერი გავაკეთეთ, რაც საჭირო იყო, კუბო ერთ ებრაელთან ვიყიდეთ, ჩავასვენეთ მიცვალებული და დავიწყეთ კუჭიკოს ლოდინი. ვიდრე კუჭიკო ჩამოვიდოდა, გადავწყვიტე, გენერალ მიშენკოსთან შესვლა მომეხერხებინა მთავარ შტაბში. მივედით შტაბში, მოვახსენე ჩემი გვარი მორიგეს და ვითხოვე შესვლის ნებართვა. ცოგა ხნის შემდეგ, გამოვიდა შტაბის ოფიცერი და მითხრა, პოლკოვნიკი პატოცკი ვიბარებსო. მე იმ წუთასვე შევდივარ და სახით ვცნობ ჩემს ძველ მეგობრს, გრაფ პატოცკის, რომელთანაც ხარბინში კინაღამ დუელი მომიხდა. იგი შესამჩნევად გასუქებულია და დაუშნობებულა. პატოცკი დამაკვირდა და მომესალმა. მე თამამად ვუთხარი – ნუთუ ვერ მიცანით თქვენი ყოფილი მეგობრე ხარბინში, გვანჯი ჩიქოვანი?! მას სახე გაებაღრა და გახარებული გადამეხვია. ბევრი რამ მოვიგონეთ, ვისაუბრეთ. მერე ვითხოვე, რომ მიხდა გენერალ მიშენკოსთან შესვლა, რათა მან გასცეს ბრძანება და გამოჰყოს საპატიო ყარაული პოლკოვნიკ შერვაშიძის ცხედრის პატივსაცემად. მან უხმოდ გამომდო მკლავში ხელი და შემიყვანა მთავარ შტაბში. მალე კიდევაც მიგვიღო გენერალმა მიშენკომ. იგი იყო ახოვანი, შუა ხნის კაცი, დიდი, თეთრი უღვაშები ამშვენებდა. პატოცკიმ მოახსენა მას ჩემი მისვლის მიზეზი. გენერალი შეგვიპირდა, რომ გამოჰყოფდა საპატიო ყარაულს, ოღონდ წინასწარ უნდა გვეცნობებინა გასვენების დრო. მე უღრმესი მადლობა გადავუხადე გენერალ მიშენკოსა და პოლკოვნიკ პატოცკის და წამოვედი.

ჩვენი დეპეშის გაგზავნის მესამე დღეს, პეტერბურგიდან ჩამოვიდა კუჭიკო გელოვანი. მას თან ახლდა ჯოგო შერვაშიძე. კუჭიკო გელოვანმაც ინახულა გენერალი მიშენკო და ვაგონი სთხოვა მიცვალებულის წასასვენებლად. კიდევ სამი დღე მოუწადით ამ სამგლოვიარო ცერემონიალის მოგვარებას. ვიდრე კოწიას ცხედარს გამოვასვენებდით, მოხდა ერთი კურიოზული ამბავი: საომარი შეტაკების დროს ორას ორმოცდაათი კაცისგან შემდგარმა რაზმმა (როგამ) სამარცხვინოდ დაიხია უკან და მგერს ბურგი უჩვენა. ველიკორუსმა შოვინისტებმა მაშინვე გააერცელეს ხმები, რომ ქართველთა ნაწილები სიმხდალის გამო უკუიქცნენ და

უკბილოდ ხუმრობდნენ: „Каци
 снѣжали!“ – ამას გაიძახოდ-
 ნენ. ჩვენ, იქ მყოფმა ქართველებ-
 მა და, ცხადია, კუჭიკო გელო-
 ვანმაც ძლიერ შეურაცხყოფი-
 ლად ვიგრძენით თავი. კუჭიკო
 გელოვანი დაუყოვნებლივ მი-
 ვიდა მთავარ შტაბში და მოით-
 ხოვა, რომ მისთვის, როგორც
 სახელმწიფო სათათბიროს წევ-
 რისათვის, წარედგინათ ცნობა,
 თუ რამდენი ქართველი მეომარი
 ირიცხებოდა იმ გამოქცეულ რაზ-
 მში. შემოწმების შემდეგ აღ-
 მოჩნდა, რომ 250 კაცში იყო 24
 ქართველი, რომელთაგან შვიდი
 მოკლული აღმოჩნდა, ორი კი
 მძიმედ დაჭრილი. ქართველების
 გარდა იყო თექვსმეტი სომეხი.
 ამათგან – სამი მოკლული, ერ-
 თი – დაჭრილი და ერთი უგზო-უკვლოდ დაკარგული. როდესაც კუჭიკოს
 შევეკითხე, რად უნდოდა ეს ცნობები, მიპასუხა – მეუფის მთავრობის
 მოხელეები ცდილობენ, ყველგან გააღვიფონ ნაციონალური შულღი და
 სიძულვილი. ბოროტი ცილისწამება, აქ რომ გაისმა, მათი ვერაგული
 პოლიტიკის ნაწილია და შესაძლებელია, ამ შემთხვევის გამო სახელმწიფო
 სათათბიროს გრიბუნაზე ლაპარაკი მომიხდესო. მერე ესეც დააგანა –
 თუკი რევოლუცია მოხდება, მაშინ ცარიზმსაც და ამ კაცთმოძულების
 პოლიტიკასაც თავისთავად ბოლო მოეღებო.



კონსტანტინე გრიგოლის ძე შერვაშიძე

გამოსვენების დროს გენერალმა მიშენკომ, როგორც შეპირებული
 იყო, გამოგვიგზავნა საპატიო ყარაული და მიცვალებული დიდი პატივით,
 ლამაზად გამოვასვენეთ. კოწია შერვაშიძის ცხედარს გამოაყენენ კუჭიკო
 გელოვანი, მიხა მხეიძე და ჯოგო შერვაშიძე. მე კი, გარემოებათა გამო,
 იქაურობის დაგოვება და წამოსვლა არ შემიძლო. საწყალ ძუკუ დგებუბძეს
 ვერც მოესწრო თავის ნაწილში მისვლა, მგრის გყვიებს დაეცხრილა
 მეგობრებისთვის თავდადებული ამ სამაგალითო ვაეკაცის მკერდი. ცხედა-
 რიც კი ვერსად ვიპოვეთ მისი, უკანასკნელი პატივი რომ გვეცა.

მაღე ჩვენმა ჯარებმა აქტიური წინსვლა დაიწყეს, შეიჭრნენ აღმოსავ-

ლეთ პრუსიაში, დაიკავეს ქალაქი გოლდაპი. მე და ჩემი ამხანაგებნი ფეხდაფეხ ჩავეყვიეთ ჩვენს ჯარებს გოლდაპში. მე თან მახლდნენ შალვა ფალავა, სპირიდონ ღვებუაძე, ყასაბი კაკაბაძე და მეფურგონე ჯარისკაცები. ქალაქი გოლდაპი თითქმის განადგურებული, მიწასთან იყო გასწორებული არტილერიის ცეცხლითა და ყუმბარებით. მოსახლეობიდან მხოლოდ მოხუცები და ინვალიდები იყვნენ დარჩენილი. დიდძალი ქონება უპაგრონოდ იყო დახვავებული. მე გავიყოლე ჩემი ამხანაგები და ჩალის ფასად, თითქმის უსასყიდლოდ, შევიძინე ღეთის ანაბარა მიტოვებული 350 სული მსხვილფეხა საქონელი, რომელთა უმეტესობა 25 ფუთზე ნაკლებს არ იწონიდა. პოლკს ყოველდღე შეუფერხებლად ვაწვდიდი ას ფუთს და ზოგჯერ მეგსაც საუკეთესო ხორცს. ჩვენს პოლკში სამწეო-ეკონომიური განყოფილების უფროსი იყო კაპიტანი პაპაიანი. ერთ დღეს, დამიბარა მან და მითხრა – თქვენი ხელშეკრულება დღეიდან ძალას კარგავს, საქონელი, რომელიც შენს განკარგულებაშია, ჩვენი ჯარების ნადავლად ითვლება, დღესვე ნადავლის ფონდს გადაეცემაო. ჩემს წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა, რაღას ვიზამდი, გამოვბრუნდი. მან ჩამომართვა 300 სული საქონელი და საინტენდანტოს გადასცა. მე და ჩემი ამხანაგები ძალზე უკმაყოფილონი ვიყავით პაპაიანის ამ ძალმომრეობის, უკანონო მოქმედების გამო.

მეორე დღეს, ჯარში ხმა გავარდა, ახალი მეთაური მოდისო. ჯარის ნაწილებთან ერთად, ჩვენც მწყობრში ჩავგვყენეს, ახალი მეთაურის მოსვლას ველოდებოდით. მალე, ადიუტანტის თანხლებით, კიდევაც გამოჩნდა ლამაზ ინგლისურ ცხენზე მჯდომი ახოვანი ვაჟკაცი, პოლკოვნიკი და მხედრულად მოგვესალმა: Здравствуйте, сухумцы! მე ძალიან კობგად ვიყავი ჩაცმული. იქვე მდგარ პოლპოლკოვნიკ კაზაკოვს შევეკითხე, რა გვარი იყო ჩვენი ახალი მეთაური. მაყაშვილი აღმოჩნდა. მერე პოლკოვნიკი მაყაშვილი მე დამაცქერდა და ახლა მან ჰკითხა ჩემი გვარი კაზაკოვს. როცა მეთაური წავიდა, ვთხოვე პოლპოლკოვნიკ კაზაკოვს, მეთაურთან წავეყვანე შგაბში. ორი საათის შემდეგ, მაყაშვილმა გამოგვიძახა მე და კაზაკოვი და ვეახელით. მან ძალზე თბილად და თავაზიანად მიმიღო. ყველაფერი დაწერილებით გამომიკითხა და დაინტერესდა, როგორ ვახერხებდი ჯარის მომარაგებას. მე ვუამბე, როგორ ვასრულებდი ჩემს მოვალეობას და არც ის დამიმაღავეს, რანაირად მომექცა კაპიტანი პაპაიანი. მაყაშვილმა სასწრაფოდ გამოიძახა პაპაიანი და მოსთხოვა საფუძველი, მართლა ჯარისკაცების მოპოვებული იყო ის საქონელი თუ არა. პაპაიანმა ვეღარ დაფარა სიმართლე და მაშინ მაყაშვილმა უბრძანა, დაუყოვნებლივ დაებრუნებინა ჩემს განკარგულებაში ის 300 სული

საქონელი. ამ შემთხვევის შემდეგ მეტად ახლოს ვიყავი მაცაშვილთან და მას ძალიან ვუყვარდი.

არ ვასულა დიდი ხანი და ჩვენმა შგაბმა მიიღო ცნობა და ბრძანება, რომ პოლონეთის ქალაქ ვერკოლოვოში გადასულიყავით, ჩვენი ადგილი კი ციმბირის პოლკს უნდა დაეკავებინა. დაიძრა ჩვენი პოლკი ვერკოლოვოსკენ. ჩვენ უკან მივეყვებით ჯარს ჩვენი საქონლით. გზაში ბევრი საქონელი დავარდა და ვგოვებდით. ახალგაზრდა და მუხლმაგარი საქონელი ყასაბსა და მეფურგონე ბიჭებს გავატანე წინ-წინ, მე და სპირიდონ დგებუაძე, კი ერთი დღით ჩამოვრჩით მათ. შემრჩა 60 სული საქონელი. გზად დამე ერთი მოხუცი გერმანელის ოჯახში გავათიეთ. მან საქონლის საკვები მოგვცა და ჩვენც დავისვენეთ. მესამე დღეს ჩავადწიეთ ვერკოლოვოში დაღლილ-დაქანცულებმა. შემომხვდა შალვა ფაღავა და მეუბნება – გვანჯი, ცუდად არის საქმე. ქალაქის კომუნდანტმა დააპატიმრა ჩვენი ყასაბი ქალაქში საქონლის დაკვლისთვის და ხორციც ჩამოგვართვესო. მე გავქანდი კომუნდატურაში და იქ, ჩემდა იღბლად, ვნახე ხარბინში გაცნობილი კარგი მეგობარი გიგო იქვესკი, რომელიც თბილისში იყო დაბადებული და გაზრდილი. მან დიდი პატივი მცა. დაუყოვნებლივ გამოაშვებინა დააპატიმრებული ყასაბი. სამგზავროდ მომიხერხა ვაგონები – ცალკე ხორცისათვის, ცალკე კიდეც – ცოცხალი საქონელისათვის და ჩვენს ნაწილებთან ერთად გამოვემგზავრეთ. მეორე დღეს ჩამოვედით ქალაქ სლუხაჩოვოში. აქ სისხლისმღვრელი ბრძოლები იყო გერმანელთა ჯარებთან. მეორე დღით, გავედით მდინარე ბზურას ხიდზე და სოფელ კონსტანტინოვკაში დავბანაკდით. აქ ისევ მოვძებნე ადგილობრივი კომისიონერები, მაგრამ ხორციც და სხვა პროდუქტებიც უკვე მეტად ძვირი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთში ვკითხულობ, რომ გერმანიის კრეისერებმა – „გებენმა“ და „ბრესლაუმ“ 120 ყუმბარა დააყარა ქალაქ ფოთს და დიდი ზიანი მიაყენაო. ამ ამბავმა საშინლად შეგვაშოთა ქართველები. მაშინვე გადავწყვიტე წამოსვლა, რადგანაც ვიცოდი, რომ ოჯახს საფრთხე შეექმნებოდა. ქალებთან და ბავშვებთან მოხუცი მამის მეტი არავინ იყო. მე განვეუცხადე კაპიტან პაპაიანს, შინ დაბრუნება რომ მქონდა განზრახული და ისიც ვუთხარი, ჩემს თანამდებობას კაკაბაძეს გადავაბარებ-მეთქი. სახეზე შევაგყვე, ძალიან გაეხარდა ჩემი ნათქვამი, რადგანაც კაკაბაძეს, როგორც სურდა, ისე მოექცეოდა, ჩემთან კი ვერ ბედავდა, თავისი სურვილის მიხედვით ემოქმედნა.

მეორე საღამოს მოვიდა საიდუმლო ცნობა, რომ გერმანელთა ჯარის მთელი კორპუსი მალე გადმოვიდოდა შეგვეაზე. ერთმა ოფიცერმა გამაფრთხილა – ყოველ წუთს მოსალოდნელია ბზურას ხიდის დაბომბვა და

თუ წასვლას აპირებ, აჩქარდიო. მალე ხორციით დავკვირთეთ ფურგონები და მივაღწიეთ ხიდს, რომლის დაცვა კომენდანტს, პოდპოლკოვნიკს ებარა. მან განმიცხადა – ხიდზე თქვენი გაშვება არ შემიძლია, ჯერ კავალერია უნდა გავაგაროთ, სადაცაა გამოჩნდებიანო. სხვა გზა აღარ მქონდა და მოგყუების ხერხს მიემართე, გავიხმე განზე ის კომენდანტი და ჩუმად ვუთხარი – ასაფეთქებელი მასალები მომაქვს და ჩემი დაბრკოლება ყოვლად შეუძლებელია-მეთქი. ამის გაგონებაზე კომენდანტმა უყოყმანოდ გასცა ბრძანება და ჩემი ფურგონებიანად ხიდზე გადამაგარეს.

ჩამოვედი ქალაქ სლუხაჩოვოში. ვხედავ, მთელი ქალაქის მოსახლეობა პანიკას მოუცავს. ყველა შეშინებული მეკითხება, თუ რა ხდება ფრონტზე. გამზადებული, მოკრული აქეთ თავთავიანთი ბარგი, დიდი წრიალი და ფუსფუსია. ირგვლივ ქაოსია გამეფებული... მე ყველას ვამშვიდებდი და, რამდენადაც შემეძლო, გულს ვუმაგრებდი, მაგრამ იმასაც ვაგყობდი, საფრთხე სერიოზული რომ იყო და მაინც გავაფრთხილე ყველანი, მზად ყოფილიყვნენ წასასვლელად. ამის მერე, ჩემი ბარგითა და თანხლები დამხმარეებით ქალაქიდან გავედი, შევჩერდი ერთი კილომეტრის მანძილზე, ვაკე ადგილზე და დავიწყე ხიდის თვალყურება. ვხედავ, ხიდზე ჩვენი კავალერია გადმოდის. გამოაღწიეს თუ არა მოწინავე ნაწილებმა, ცაზე მტრის სამი თვითმფრინავი გამოჩნდა, ბომბები ჩამოყარეს ხიდის გაყოლებით. ამას მოჰყვა მტრის არტილერიის ძლიერი ცეცხლი. ჩვენმა საზენიტო არტილერიამ საპასუხო ცეცხლი გახსნა და ამ ძლიერი ცეცხლის საფარქვეშ ჩვენმა კავალერიამ მთლიანად მოახერხა ხიდზე გადმოსვლა ისე, რომ მტერმა ვერ შესძლო ხიდის დანგრევა.

ქალაქი სლუხაჩოვო კიდევ უფრო მეტად მოიცვა პანიკამ. ასობით და ათასობით ქალი, მოხუცი, ბავშვი – მთელი მოსახლეობა, სამხედროები სასოწარკვეთილი, შეძრწუნებული სახეებით გამორბოდნენ. ისმოდა გულისგამგმირავი წივილ-კივილი, მოთქმა, გოდება. ყველაფერი ერთმანეთში იყო ასერილი და არეული – ადამიანები, ცხენები, ღროგები და ვინ მოსთვლის, რა აღარ. ქალაქის გარშემო მდებარე ტყეში ამ გამაყრუებელმა სროლამ და ღრიანცელმა ნადირიც კი დააფრთხო და ვხედავდით – დღის სინათლეზე როგორ გამორბოდნენ მგლები, ტურები, მელიები და სხვა ცხოველები. ჩვენ განვაგრძობდით გზას და რამდენადაც გვიხერხდებოდა, ვამხნევედით, ვამშვიდებდით მოსახლეობას.

ერთი კილომეტრიც არ გვქონდა გამოვლილი, რომ გზაში თავისი რაზმით შემომხვდა ოფიცერი გიორგი ხერხეულიძე, საუცხოო ვაჟკაცი და დიდად განათლებული ადამიანი. გიორგიმ მითხრა, რომ სარდლობის დავალებით მიდიოდა უკან დახეული ჩვენი ჯარების დასახმარებლად,

რათა შეეჩერებინა შეგვევაზე გადმოსული მტრის ჭარბი ძალები. ამ შეხვედრისას გიორგი ხერხეულიძემ წინასწარმეგვევლურად თქვა – ჩემო გვანჯი, არ შეიძლება ამ ომს რუსეთში რევოლუცია არ მოჰყვესო. გამომშვიდობებისას გიორგიმ ისიც მითხრა, თუ ცოცხალი დავრჩი, ხვალ საღამოს გინახვლებ და წერილებს გაგატან თბილისში ჟურნალ „სინათლის“ რედაქციაში, სადაც ჩემი მეგობრები დიდ მადლობას გეგყვიან და მათ გაიცინობო. მე ვიცოდი, გიორგი მოწინავე ამროვნების ქართველი პატიოტი რომ იყო და სიამოვნებით შევპირდი დამეყადა, სანამ წერილებს მომიტანდა. დავემშვიდობე ამ დიდებულ ვაჟკაცს და განვაგრძეთ გზა. იმავე საღამოს შევედით ქალაქ ბლონეში. ამ ქალაქშიც დიდი არეულობა და პანიკური მდგომარეობა დაგვხვდა. მოსახლეობა აქაც გასაქცევად ემზადებოდა.

ქალაქში გასული დავდივარ, ვათვალისწინებ ხალხს და ერთ ქუჩაზე, მოზრდილი სახლის ღია ფანჯრიდან მესმის ქართული ლაპარაკი. ვაკაკუნებ, გახარებული შევდივარ კარებში და თამამად ვკითხულობ – ვინა ხართ, ბიჭებო, ქართველები თუ სხვები? ეს შეკითხვა დამთავრებულიც არა მქონდა, რომ ჯგუფიდან ვიღაცამ მომამახა: გვანჯი ხარ, გენაცვალე?! როგორ ხარ, ჩემო გვანჯი?! მომეგება და გადამხევი. ერმილე ჯოლოსავა აღმოჩნდა. ერმილემ მითხრა, რომ იქ ყოფილა ჩამოყალიბებული სანიტარული ნაწილი და ერთად მუშაობენ ექიმები – იასონ მუჯირი, კაპიტონ მუენარგია, ანდრო პაგარაია და სხვები. მალე თვითონ ექიმებიც მოვიდნენ. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, გააწყვეს მშვენიერი ვახშამი. კარგად ვიქეფეთ. ნავახშმევს იასონს ვეკითხები – ამაღამ ჩემი დარჩენა სად შეიძლება-მეთქი. იასონმა იმწამსვე გამაყოლა ერმილე ჯოლოსავა და თავისი სანიტარული ნაწილიდან, ჩემთვის და ჩემს მხლებელთათვის დამითმო ერთი ოთახი, სადაც კარგად მოვისვენეთ.

მეორე დღეს, მივედი პაპაიანთან, მოვთხოვე საბოლოო ანგარიში და ისიც ვუთხარი, ჩემი მოვალეობა კაკაბაძისთვის გადაებარებინა. მან მაშინვე გამოიძახა კაკაბაძე, გამომიწერა კუთვნილი თანხა და საბუთები კაკაბაძეს გადავეცი. ამასობაში მოსაღამოვდა და მე, შეპირებისამებრ, გიორგი ხერხეულიძეს ველოდები. საღამოს 6 საათზე საველე ფოსტამ ჩვენთვის დიდად სამწუხარო ამბავი მოიტანა. შევიგყვეთ, რომ გიორგი ხერხეულიძე მოკლულ იქნა ბრძოლის ველზე, სადაც მან გასაოცარი თავგანწირვა გამოამჟღავნა, ნამდვილი გმირობა ჩაიდინა. მისი დაღუპვის ამბავზე გამოქვეყნებული იყო წერილები როგორც რუსულ, ასევე ქართულ გაზეთებში. მე, სპირიდონ დგებუაძე და შალვა ფაღავა იმ საღამოსვე წამოვედით და ჩავედით ქალაქ ვარშავაში.

ვარშავა დიდი და მეტად ლამაზი ქალაქია. ჩვენ დავბინავდით სასტუმრო „დრეზდენში“ და იქ ათ დღეს დავრჩით. დავათვალიერეთ ქალაქი. რამდენჯერმე ვიყავით ვარშავის თეატრში, რომელიც საუცხოო წარმოდგენებს მართავდა. ერთ საღამოს ვნახეთ მშვენივრად დადგმული და გაფორმებული კომედია, დამცინავი სპექტაკლი, სადაც მარჯველ იყვნენ ნაბურთაეები, გამასხარაეებული – გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი, ავსტრიის იმპერატორი და ოტომანთა იმპერიის სულთანი.

ვარშავიდან გამოვემგზავრეთ და მშვიდობიანად ჩავედით მუგდლიშში. შინ ყველანი კარგად დამხვდნენ. გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა ფოთში 120 ყუმბარის სროლის შესახებ მეტისმეტად გაზვიადებული გამოდგა. სინამდვილეში ჩამოვგდოთ ათჯერ ნაკლები, მხოლოდ 12 ყუმბარა, რასაც მსხვერპლი არც მოჰყოლოდა. ამან დაგვაშვიდა. ჩემიანებთან მცირე ხნით გავეჩერდი. ამ ვახურებული მსოფლიო ხოცვა-ქლეგის ქამს ოჯახში აღარ დამიდგა გული და გადავწყვიტე ყარსში წავსულიყავი. წამოვიყვანე სპირიდონ დგებუაძე და თბილისში ჩამოვედით. თბილისში შემხვდა ჩემი კარგი ამხანაგი დათიკო გურამიშვილი. ამ დროს გავიგეთ, რომ თბილისში იმყოფებოდა კავკასიის ფრონტის მსროლელთა კორპუსის მეთაური გენერალი გაბაშვილი (მას, როგორც იმ დროს ჩვეოდით, რუსულ ყაიდაზე, გაბაევად იხსენიებდნენ). დათიკო გურამიშვილის მეშვეობით, მოვახერხე გენერალ გაბაშვილის გაცნობა, მისსავე ოჯახში. გენერალ გაბაევის მოვახსენე ჩემი მდგომარეობა, სურვილი და ვუთხარი – თუ იგი დამეხმარებოდა, იჯარის საფუძველზე, შემეძლო ხორცითა და სხვა პროდუქტებით მომემარაგებინა მისი კორპუსი. მან აღმითქვა დახმარება და მითხრა, გავმგზავრებულიყავი ყარსში და ჩასვლისთანავე მასთან გამოეცხადებულყავი. მე და სპირიდონმა თან წავიყვანეთ კიდეც ერთი ამხანაგი, ემანუელ კიკნაველიძე. ღამის თორმეტ საათზე ჩავედით ყარსში. საშინელი სიცივე იყო. ბაქანზე მაშინვე ჩამოდგა სარაყამიშის მაგარბულიც. სადგური სამხედროებითა და მოხელეებით იყო გადაჭედილი. სადგურის ბუფეტში ბუშებივით ირეოდა ხალხი. დიდი გაჭირვებით თუ გაივლიდი. მე, როგორც იქნა, მივედი ერთ გრძელ მაგიდასთან და ვიშოვე დასაჯდომი ადგილი. ჩემი ამხანაგები ცალკე, ფეხზე იდგნენ. ცოგა ხნის დასვენების შემდეგ გარეთ გამოვედი, რათა ისინი შენახა. ვხედავ – სპირიდონი და ემანუელი ჟანდარმს მიჰყავს. მას ორივესათვის ჩამოურთმევია იარაღი. მაშინვე წინ გადავუდექი ჟანდარმს და მოვთხოვე, ჩემი ამხანაგებისათვის იარაღი დაებრუნებინა. ჟანდარმმა მიპასუხა, რომ მან შეასრულა საეგაპო განყოფილების პოლკოვნიკის ბრძანება. მე იმწუთასვე გავექანე ხსენებულ პოლ-

კონიკთან. მივესალმე და ვთხოვე, რომ მასთან სიტყვა მქონდა, ჩემი ამხანაგებისთვის იარაღის დაბრუნების თაობაზე. მან უკმეხად მიპასუხა და შემომიტყა: არავითარი სიტყვა! წარმოადგინეთ ნებართვა იარაღის გარების უფლებაზე! მე ამბყად ვუთხარი – ყვირილით ვერ შემაშინებთ-მეთქი, გამოვგრიალდი და ბუფეტში ჩემს ადგილზე დავექეი. ხუთი წუთიკ არ გასულა, შემოდის ეანდარმთა როგმისგრი და მიცხადებს: კანონის სახელით და საფუძველზე წინადადებას გაძლევთ ჩაგვაბაროთ იარაღი!

თავეზე დამდგარ როგმისგრს მოკლედ ვუპასუხე: იმავე კანონის სახელით და საფუძველზე მოვითხოვ გვაცნობოთ – რა დანაშაული ჩავიდინეთ, რომ იარაღი ჩაგვაბაროთ. როგმისგრს კიდევე უფრო ამბყად და გაბედულად დავეუწყე ლაპარაკი: აქ იმიგომ კი არ ჩამოვსულვარ, რომ ისევე ჩვენებმა ამყარონ, ანდა ჩემი ნებით ჩაგვაბარო ვინმეს იარაღი, არამედ მტერთან საბრძოლველად ჩამოვედი და სანამ ცოცხალი ვარ, ნებით ჩემს იარაღს არავის ჩაგვაბარებ, ძალით კი, თუ ძალიან გნებავთ, მობრძანდით და თქვენი ხელით შემომხსენით! თუ ჩემში ეჭვი გეპარებათ, შეგიძლიათ დაურეკოთ გენერალ გაბაევის და მას აცნობოთ ჩემი სახელი და გვარი!

გარშემო მყოფი იმოღენა ხალხი მე შემომყურებდა და ყველა გაფაციცებით უცდიდა, თუ რითი დამთავრდებოდა ეანდარმებთან ჩემი შეჯახება. გაბაევის ხსენებაზე როგმისგრმა დამტოვა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა. სეირის მაყურებლები გაშეკრებული მიჩერებიან კარებს და ელიან, რა ზომებს მიიღებენ ეანდარმები. ყველანი მაინც მე შემომტყერიან სიმპათიითა და თანაგრძნობით. გაღის ნახევარი საათი. უკვე ძალიან ვღელავ და ვფიქრობ – გენერალი გაბაევი ჯერ შეიძლება არც იყოს მისული თავის შტაბში ან იქნებ, ამ არეულობის ეამს კიდევეც დაეავიწყდი.

ამ უსიამოვნო ფიქრებში რომ ვარ, გაღიმებული შემოდის როგმისგრი და ტკბილად მეუბნება: Успокойтесь, господин! Ведь на лбу не написано, кто Вы такой?

საქმის ასე მოულოდნელმა შემოგრიანლებამ ყველა გაახარა. როგმისგრს მოვითხოვე იარაღი დაებრუნებინა ჩემი ამხანაგებისთვის. მან იმწუთშივე უბრძანა ეანდარმებს და ჩემს ორივე მხლებელს დაებრუნეს იარაღი. რევოლვერებიდან გყვიები ამოეცალათ და ისიც მაშინვე მოიგანეს. ამის მერე, როგმისგრი და ეანდარმები მაგიდასთან მივიწვიე, ერთად ვივახშმით-მეთქი, მაგრამ იუხერხულეს, მაღლობა გადამიხადეს და გაგვმორღენ. ის დამე სადგურშივე გავათიეთ.

მეორე დღით, შევედით ქალაქში და ერთი სომხის სასტუმროში დავბინავდით. კარგად მოვეწყვეთ, დავლაგდით და შემდეგ გენერალ



უჩა დადიანი
1910 წ.

გაბაშვილთან გავემართე. გენერალმა, დამინახა თუ არა, მხიარულად მომაძახა: აჰა! აგაწრიალეს ხომ წუხელ სადგურში ეანდარმებმა?! ამაზე ვუპასუხე: კი ამაწრიალეს, მაგრამ, თქვენი იმედით, მეც მაგრად დაეუხვდი! გაბაშვილმა ისევ მოლიმარი, გაბადრული სახით მითხრა: ყოჩაღ, ასე გაბედულად და მარჯვედ რომ მოქცეულხარ!.. იარაღი რომ წაერთმიათ, იცოდე, არ მიგიღებდი... რას ფიქრობდნენ ეგენი, ქურდ-ბაცაცებს რომ იჭერენ და ართმევენ იარაღს, ისე ხომ არ ეგონათ ჩვენი ქართველი ვაჟკაცები?!

ამ თავისებური გამხნეებისა თუ მოფერების შემდეგ, გენერალმა სასწრაფოდ გამოიძახა პოლკის მეთაური ვარლამ მიქელაძე, გააცნო ჩემი თავი და უბრძანა, ჩემთვის ჩაე-

ბარებინა პროდუქტებით მომარაგების საქმე და გაეწიათ საჭირო დახმარება. სამი დღის განმავლობაში ჩავიბარე საქმე, კიდევაც შევეუღეპე ჩემი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ არ გასულა რამდენიმე კვირაც, რომ უსინდისოდ მომექცნენ იქაური სომხები და შემომაცყვეს წამხლარი ხორცი. ამ შემთხვევამ კინაღამ ღიდ უბედურებას გადამიკიდა. გალანძღვით არ გაელანძღულვარ, მაგრამ ძალიან შევწუხდი, როგორღაც დამცირებულად ვიგრძენი თავი, მივაგოვე ეს საქმე და იძულებული შევიქენი ყარსიდან წამოვსულიყავი.

ყარსში ჩასულს, სხვათა შორის, იქ დამხვდა კუჭიკო გელოვანი, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს დავალებით წითელი ჯურის სამოგადოებას ხელმძღვანელობდა კავკასიის ფრონტზე. ჩემი წამოსვლის დროს კუჭიკო აუად იყო. ყველას დავემშვიდობე და წამოვედი სახლში. მუგდიღში რამდენიმე დღის ჩამოსული ვიყავი, რომ გაბეთში წავიკითხე სამწუხარო ცნობა. იუწყებოდნენ: ყარსში გარდაიცვალა სახელმწიფო სათათბიროს

წვერი კუჭიკო გელოვანი. ცხედარი გადმოსვენებული იქნება თბილისში. დასაფლავების დღე გამოცხადდება ცალკე...

მე დასაფლავების გამოცხადებას არ დაელოდებივარ და საჩქაროდ წამოვედი თბილისში. კუჭიკოს დასაფლავებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ბევრი სიგყვა წარმოითქვა. პეკერბურგიდან საგანგებოდ ჩამოვიდა სახელმწიფო სათათბიროს წვერი, გვარად ვარუნ სეკრეტი, რომელმაც მშვენიერი სიგყვა უთხრა განსვენებულს. მახსოვს, მან ასე მიმართა გარდაცვლილ კოლეგას: ძვირფასო და დაუვიწყარო ამხანაგო კუჭიკო, მთელს სახელმწიფო სათათბიროში შენ ერთადერთი ადამიანი იყავი, რომელიც თავგამოდებით იცავდი მცირე ერების ეროვნულ ინტერესებს!..

თბილისიდან ისევ მუგდილში დაებრუნდი და გადაეწყვიტე წერილი მიმეწერა უჩა დადიანისათვის. უჩა იმჟამად მსახურობდა ე. წ. „გუგუმნაია დივიზიაში“, რომელსაც, აგრეთვე, „დიკაია დივიზიასაც“ უწოდებდნენ. უჩას მოკლედ მიეწერე ჩემს მდგომარეობაზე და ვთხოვე, თუ მისი ნაწილისთვის გამოსადეგი იქნებოდა ჩემი საქმიანობა, გამოეგზავნა ჩემთვის ვაგონის ნებართვა და მოეწერა, რისი წამოღება იყო საჭირო. უჩასგან რამდენიმე დღეში მომივიდა პასუხი, სადაც მწერდა შემეძინა, რამდენიც შემიძლო, საჩოხე მასალა, გყავები აზიურებისათვის, ფაფახები, ქაშარხანჯლები და ცხენების მოკამშულობა. ამასთანავე მწერდა, რომ გამოეცხადებულ იყავი სენაკის სადგურში და მიმელო ლიგერი ა - ე. ი. ვაგონს უფასოდ მომეცმდნენ. მე დავეგრიადი, სასწრაფოდ შევიძინე საუკეთესო საჩოხე შალი სამასი ჩოხისათვის, გყავები აზიურებისათვის, ქულები, ცხენების მოკამშულობა, მაგარი სასმელები (კონიაკი, არაყი). ვიყიდე, აგრეთვე, სამი ფუთი საუკეთესო რაჭული ღვინო, ხვანჭკარა. ჩემთვის ვიყიდე საუკეთესო ჯიშის ცხენი, 250 მანეთი გადაეხადე ოქროთი. მივიღე ვაგონი, ლამაზად, თადარიგიანად ჩავალაგე ყველაფერი. გავიყოლიე აზიურის საუკეთესო მკერავი ილარიონ კვარაცხელია და ჩოხის ასეთივე კარგი მკერავი ნესტორ ჩილაჩავა და გავემგზავრე.

გავიარე პოლტავა, კიევი და ჩავედი კამენეც-პოდოლსკში, გალიციის სამღვარზე. ჩვენი ჯარები კარპატებში იდგნენ. დავცალეთ ვაგონი, მოვთავსდით სასტუმროში. მივდივარ კომენდანტურაში, რათა გავიგო უჩა დადიანის დივიზიის ადგილსამყოფელი. გზად ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა განმბალაშმა, ახოვანმა გენერალმა, რომელიც თავის ადიუტანტს ესაუბრებოდა. მე გვერდით ჩავუარე მათ. იმავე წუთში ადიუტანტი წამომეწია და, გენერალი ბაგრატიონი ვთხოვთო, მითხრა. გამიხარდა ეს ყურადღება და გავყევი ადიუტანტს. გენერალი თავაზიანად და კეთილი

ღიმილით მომესალმა, გამომკითხა ყველაფერი. ძალიან ესიამოვნა, როცა გაიგო ჩემი ვინაობა და სადილზე მიმიპატივა. მადლობა მოვახსენე და ჩემის მხრივ ვუთხარი, რომ მსურდა გავმასპინძლებოდი მას ჩვენი მამულის საუკეთესო ღვინით. რამდენიმე წუთში მოვაგანინე სასტუმროდან ჩემი წამოღებული ხევანჭკარა. გენერალ ბაგრატიონს მეგისმეგად მოეწონა ეს ღვინო და სადილის შემდეგ საჩუქრად დაუუკოვე თორმეტი ბოთლი ხევანჭკარა. მან მხურვალე მადლობა გადამიხადა და წამოსვლის დროს შემომთავაზა, რომ მეგზურად მხედარს გამაყოლებდა. მეგზურის გაყოლაზე უარი ვუთხარი, ვთხოვე, ჩემთვის მხოლოდ საგზური მოეცა. მან რამდენიმე წუთში გაამზადებინა საგზური, სადაც მარშრუტიც იყო მითითებული, მე შევეჯექი ჩემს ცხენზე და გავემგზავრე კარპაგებისაკენ. საღამოს ჩავალწიე კარპაგებში. ვხედავ ჩვენებურუნაგირიან ცხენებს და ჩოხიან მხედრებს. სიხარულისგან გული სხვაგვარად ამიფანქვალდა. ვკითხულობ, სად არის მეთოხე ასეული და მისი მეთაური უჩა დადიანი. იმწუთასვე შემომხევივნენ და მიმიყვანეს უჩასთან. უჩა გადამხევია, გადამკონცა და გამომკითხა ყველაფერი. „გუმენაია დივიზიაში“ შედიოდა ექვსი პოლკი: ჩერქეზების, ჩეჩნების, ინგუშების, ყაბარდოელების, თათრების და ლეკების. ოფიცრები ქართველები იყვნენ. დივიზიის მეთაური ბაგრატიონამდე იყო დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე.

მეორე დღეს, უჩამ გამოიძახა ერთი ოფიცერი და უბრძანა, საქონლის გადმოსატანად, ჩემთვის მოეცათ დროგები და გამყოლები. დღითივე, სანამ დროგებს გაამზადებდნენ, უჩას ეძახის პოლკოვნიკი კელერი და ეკითხება – მოვიდა თუ არა თქვენთან კავკასიელი სგუმარი? პასუხად უჩამ ჩემი თავი გააცნო კელერს. პოლკოვნიკმა უთხრა უჩას – წუხელ გენერალმა ბაგრატიონმა ასე დამირეკა – როცა ჩიქოვანი მანდ ჩამოვა, როგორმე დაიყოლიეთ, რომ „გუმენაია დივიზიაში“ დარჩესო. უჩამ გადმომხედა და მკითხა, ხომ თანახმა იქნებიო, მე ამამე ვუთხარი, რომ ჯერჯერობით პასუხს ვერ ვეგყოლი.

დავიძარი ჩემი დროგებით და გამყოლებით და მეორე დღესვე ყველაფერი უკლებლივ ჩამოვიგანე. ჩავაბარე ჩამოგანილი საქონელი და დიდად კმაყოფილებმა გამისწორეს ყველა ანგარიში. ნესტორ ჩილაჩავა ჩერქეზთა პოლკს მივაბარე ჩოხების მკურავად. ამ პოლკს მეთაურობდა საშა ჭავჭავაძე. ილარიონ კვარაცხელია მივაბარე ყაბარდოელთა პოლკს, რომელსაც სგაროსელსკი ედგა სათავეში. მე შემომიჩნდნენ უჩა და მთელი ქართველი ოფიცრები, რომ ჩაერიცხულიყავი პოლკში. თავიდანვე არ მქონდა მეფის ჯარში სამსახურის სურვილი, მაგრამ იმდენად არ მომეცს საშველი უჩამ, საშა ჭავჭავაძემ, ოთარ დადიანმა, ვალოდია ბერიძემ და

სხვებმა, რომ მაიძულეს დავთანხმებოდი და ჩამრიცხეს უჩას ასეულში. ჩვენი ასეული შედიოდა ჩეჩენთა პოლკში, რომელსაც მეთაურობდა სპარსელი პრინცი ფაში კაჯარსკი.

მე, როგორც ყოველთვის, საუკეთესოდ ვიყავი ჩაცმული. მაკლდა მხოლოდ თოფი, მომცეს „კარაბინი“. დავიწყე ჩემი ცხენის წვრთნა და სამხედრო მეცადინეობა. მიმაგრებული ვიყავი ვალოდია ბერიძესთან. ორი კვირის განმავლობაში ისე გავიწვრთენი, რომ ყოველი ვარჯიშის შემდეგ ამხანაგები გაშითა და ვაშათი მეგებებოდნენ. ეს იყო 1915 წლის ნოემბერში. 15 დღის შემდეგ, ჩვენს პოლკს, რომელშიც 250 კაცი იყო გაერთიანებული, უჩა დადიანის მეთაურობით მიეცა უძნელესი დავალება¹.

ჩვენი პოლკი ღამე ღიდი სიფრთხილით უნდა გადასულიყო გალიციის სოფელ ივანეში, დნესტრის ნაპირას. გათენებამდის, დილის 6 საათზე უნდა გადაგველახა მდინარე დნესტრი და ელვისებური სისწრაფით დაესხმოდით თავს მტრის ნაწილებს, რომლებიც გამაგრებული იყვნენ გაღმა ნაპირზე. ამგვარი მოქმედებით არეუ-დარეუვას შეეგიანდით მტრის ჯარში, ამასობაში მოგვეშეუღებოდა ჩვენი ღივიზია და მოწინააღმდეგეს ღრმა ზურგში გავდევნიდით. ღამით ფრთხილად ჩავედით სოფელ ივანეში.

დილის 6 საათზე, წამოდგა უჩა დადიანი და გასცა ბრძანება: ბიჭებო, წინ! პირველები ოთარ დადიანი და ვალოდია ბერიძე გადაეშენენ. მათ მიეყვებით თეოფანე ბულია, სიჭინავა და მე. დანარჩენები ჩვენ მოგვეყვნენ. ოთარმა, ვალოდიამ, სიჭინავამ, ბულიამ და მე, ჩვენი გამბედავი ცხენებით, ნახევარ საათში გავცურეთ, გადავლახეთ მდინარე და მეორე ნაპირზე

¹ გვანჯი ჩიქოვანს აქ უნებლიე შეეღომა მოსდის. გათენების ხანს მდინარე დნესტრის გადალახვის და აესტრეილებზე შეტევის თარიღი სათანადო საბუთებში შესგად არის მითითებული – ეს იყო 1916 წლის 30 მაისს (ძველი სტილით). ბაკონმა პაატა ქურდოვანიძემ, ქალაქ აბაშის მთავარმა ექიმმა, ნიჭიერმა მწერალმა და ჩვენი ახლო წარსულის, არისტოკრატიული წარმოშობის ოჯახების ისტორიათა ჩინებულმა მეოდნემ, მომაწოდა არაერთი ფრიად საყურადღებო, სარწმუნო ცნობა და იმეიათი ფოტო-მახალა, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ. მანვე გადმომაგ ხსენებული სამხედრო ოპერაციის უშუალო მონაწილის, გვანჯი ჩიქოვანის ახლო ნათესავის ოთარ დადიანის ფრონტიდან გამოგზავნილი ბარათი მეულის – ლილისაღმა მიწერილი. ეს ბარათი, სადაც თვალნათლივ არის აღწერილი 1916 წლის 30 მაისს მომზადარი ბრძოლები, თარიღდება 1916 წლის 18 ივნისით. ჩვენს ხელთაა, აგრეთვე, ოთარ დადიანის ნაშახურობის ფურცლები, სადაც აღნიშნულია, რომ ოთარ დადიანმა 1916 წლის 30 მაისს, გყვიების ეკეხლში, ერთ-ერთმა პირველმა გადალახა მდინარე დნესტრი, რის გამოც წმინდა გიორგის ჯერის შეიოთხე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. ოთარი და მისი უმცროსი ძმა, ასევე უსაზღვროდ მამაყი მუშნი დადიანი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს დახვრიტეს პოლშევიკებმა, რის შეესახებაც, ცხადია, დაპატიმრებული გვანჯი ჩიქოვანი ვერაფერს იცყოდა. ამ უმშენიერეს, რაინდული სულის ვაჟაკებზე შემდგომ, ცალკე მოგვიხდება მოცეერთი რამის თქმა (ე. კ.).

გავედით. ჩვენ აგვეყვა ათი კაცი, ხმლებამოღებულები, დაუსვენებლად, ჯიქურ შევიჭერთი მგრის ბანაკში. აგყდა საშინელი სროლა და ყიფინა. სულ მალე წამოგვეწია ჩვენი პოლკი უჩას წინამძღოლობით. ნახევრად მძინარე მტერი დაფრთხა. ვგონათ, რომ მდინარე მთელმა კორპუსმა გადმოლახა და თავმარდაცემულები გარბოდნენ. ხელში ჩავივდეთ 600 ტყვე, 7 მარბაზანი, 10 ტყვიაფრქვევი, მრავალი თოფი, ვაზნები და სხვა საჭურველი.

ჩვენი ასეთი წარმატების ამბავი სწრაფად მოედო მთელ არმიას. საღამოს მოვიდა კორპუსის მეთაური და მოსთხოვა უჩა დადიანს, მისთვის წარედგინა ისინი, პირველები რომ შეიჭრნენ დნესტრში და მდინარე გადალახეს. უჩამ განუცხადა – პირველობას ვერავის მივაკუთვნებ, მთელი ასეული ერთნაირი სიმამაციით და თავგამეგებით შეიჭრა მდინარე დნესტრში და გადალახაო. მერე თვითონვე დაამაგა – დასახელება თუ მაინც-დამაინც აუცილებელია, დნესტრის გაღმა პირველები ოთარ დადიანი და ვალოდია ბერიძე გადავიდნენო. გენერალი დიდად კმაყოფილი იყო და დაწვრილებით აღწერეს ჩაგარებული ოპერაციის სიძნელე და ბრწყინვალედ შესრულება. ასეულის თითოეული წევრი ჯილდოზე იქნა წარდგენილი.

მალე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მთელი გალიცია, ქალაქები – სგანისლავე, პაპავინოსკა და სხვა მრავალი სოფელი თუ დასახლებული პუნქტი. ამის შემდეგ, მივიღეთ ბრძანება და გავემგზავრეთ ვერშოლოვოს მიმართულებით, სადაც, გერმანელთა სიმარგრეების გასარღვევად დიდი ბრძოლები უნდა მომხდარიყო. მეორე დღეს ჩავალწიეთ ვერშოლოვოს მიდამოებში და დავბანაკდით. ჩვენს წინ იდგა ჩვენივე ფეხოსანთა დივიზია, ხოლო უკან განლაგებული იყო 700 მარბაზანი, რათა გათენების ხანს მგრისთვის ეცეხლი გაეხსნათ. დილის 6 საათზე გაისმა ნიშანი ბრძოლის დაწყებისა და აგყდა შეიდასი მარბაზნის განუწყვეტელი კანონადა. ყუმბარების ჯოჯოხეთურ გრიალში ყურთასმენა და გარემოს შეცნობის უნარი არავის ჰქონდა. მგრის გერიგორია ეცეხლსა და კვამლში გაეხვია. საღამოს 5 საათამდე გადაბმულად გრიალებდნენ მარბაზნები და იქაურობა ეცეხლის ალით იყო გადახატებული.

მუსგად 5 საათზე, მოდის ჩვენი პოლკის მეთაური პრინცი ფაზი კაჯარსკი და გვიცხადებს – ალაპისა და ღმერთის ლოცვითა და მფარველობით გადავივართ შეტევაზე!.. იქვე გვაძლევს ბრძანებას, შევსხდეთ ცხენებზე და საბრძოლოდ გამზადებულები დავიძრათ. ბრძანება მყისვე სრულდება და მივდივართ წინ. უეცრად, რამდენიმე წუთის წინსვლის შემდეგ, მეთაური ისევ იძლევა ბრძანებას, სწრაფად ჩამოვხტეთ ცხენებიდან და

ფრთხილად, საფარ-საფარ დავიწყით უკან დახევა. ეს ბრძანებაც სრულდება. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ უკანდახეულ გერმანელებს საჩქაროდ მოსვლოდათ დიდძალი მაშველი ჯარები, რომლებიც კონგრშეგევაზე გადმოსულიყვნენ და ჩვენი მოწინავე ნაწილებისათვის საშინელი დარცმბა მიეყენებინათ. ამ სასტიკ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჩვენი მხრიდან დაიღუპა 16 000 ჯარისკაცი და 150 ოფიცერი. მეორე დღეს, ჩვენმა დივიზიამ ბრძანება მიიღო, რუმინეთში გამგზავრებულიყო.

რუმინეთში გამგზავრება

პეტერბურგიდან დაძაბულობისა და არეულობის ამსახველი ცნობები მოდიოდა, რაც იმის აშკარა მაჩვენებელი იყო, რომ მეფის გახტი ირყოდა, რუსეთში რევოლუციური მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა. ჩვენს პოლკში ბლომად იყვნენ რევოლუციურად განწყობილი პირები, ფარულად ვიკრიბებოდით ხოლმე და ვკითხულობდით პეტერბურგის რევოლუციური კომიტეტის მოწოდებებს, სადაც აღნიშნული იყო, რომ მეფის მთავრობა ეწევა უმიზნო ომს და უაზრო ხოცვა-ჟლეტას, ეხმარება კაპიტალისტურ ქვეყნებს მუშათა კლასის დასამონებლად და მცირე ერების მონური ჩაგვრის განსამტკიცებლადო. ჩვენ, ქართველები და რუსები, ჩეჩენ მხედრებს შორის ვამუშავებდით რევოლუციური კომიტეტების და მოწინავე მოღვაწეების მოწოდებებს. მახსოვს ჩეჩენთა ოფიცერი ღუბაევი და სხვები, რომლებიც გატაცებული იყვნენ რევოლუციური იდეებით და ჩვენს ფარულ შეკრებებში აქტიურად მონაწილეობდნენ.

ერუმორწმუნე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ზოგიერთი სიზმარი, რომლებსაც დროდადრო ვნახულობდი, არაჩვეულებრივი სიცხადით ამხლომბა და ამის გამო, ჩემი ამხანაგები ჩემი უცნაური წინათგრძნობების მიმართ დიდ ინტერესს იჩენდნენ. ჩვენს პოლკში მოხალისედ იყო ერთი ფრანგი ოფიცერი, გვარად დეველი. ამ კაცმა ხუმრობით წინასწარმეტყველი მიწოდა. მრავალ სიზმართა შორის, გასაოცარი სიზუსტით რომ მისრულდებოდა, ერთ საღამოს ასეთივ ვნახე: ვითომ ოჩამჩირეში ვიმყოფები და ვხედავ – მდინარიდან გამოცურდა დასახირებული, განისამოსშემოფლეთილი, ვირზე შემჯდარი იმპერატორი ნიკოლოზ მეორე, მივიდა იქვე მყოფ თავის მეუღლესთან, დედოფალთან და ვაჟთან, ალექსისთან. ვაჟი გიგველი იდგა და ცეცხლისგან ჰქონდა სხეული დამწვარი. დედოფა-

ლი მთლიანად გალახში იყო ამოსვრილი. თავის ვაეს დამწვარ ადგილებზე გალახს უსვამდა.

როცა ამხანაგებს ჩემი ნანახი სიმზარი მოეუყვიე, ყველამ იმედი გამოთქვა, რევოლუცია მოახლოებულაო. ისიც თქვეს – თუ ეს სიმზარიც თქვენი დანარჩენი სიმზრებივით ახდა, მეფის ტახტი უუჭველად მალე დაემხობაო.

ამის შემდეგ, ორი კვირაც არ გასულა, რომ მოგვივიდა ცნობა რასპუტინის მოკვლის თაობაზე. ეს გახმაურებული მკვლელობა მოაწყო ნიკოლოზ მეფის სიძემ თავადმა სუმაროკოვ-ელსკონ-იუსუპოვმა. იუსუპოვმა და მისმა თანამოაზრეებმა რასპუტინის დიდებული ვახშამი გაუმართეს და მოიწადინეს მისი მოწამელა, მაგრამ რადგან ეს განზრახვა ჩაეშალათ, ტყვიებით დაცხრილეს იგი და ნევაში გადააგდეს. ამ მკვლელობას მოჰყვა დიდი რეპრესიები და მრავალი მსხვერპლი. ამ საქმეზე პეტერბურგში, სხვებთან ერთად, დააპატიმრეს ნესტორ და საშა ერისთავები. დაპატიმრების საბაბად ის გამოიყენეს, რომ საშა და ნესტორი წინა საღამოს ერთ დიდ საზოგადოებაში რასპუტინთან ერთად იყვნენ ვახშამზე. რასპუტინი დაახლოებული იყო პეტერბურგელ ქართველებთან, რადგან მისი ქალიშვილი ცოლად ჰყავდა ოფიცერ ფხაკაძეს. რასპუტინის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო დაბუჯითებით გაისმოდა ხმები მეფის ტახტის გარდაუვალი კატასტროფის შესახებ.

მემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი დივიზია, ბრძანების თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყო რუმინეთში, რადგანაც რუმინეთი იმ ომში ჩვენი მოკავშირე იყო. დილით ადრე დაიდრა ჩვენი დივიზია; 15 დღეში გავიარეთ 750 კილომეტრი და ჩავედით რუმინეთის ქალაქ ფოქშანში. ოქტომბერი იყო. რუმინეთის მოსახლეობა დიდი ზემოთ შეგვეგება, ლამაზი შეხვედრა მოგვიწყვეს. ვიყავით ექვსი ათასი რჩეული, საუკეთესოდ ჩაცმულ-მოკამშული მხედარი. საუცხოო, ჯიშინი, უღამაზესი ცხენები გვყავდა. რუმინეთის შტაბის ბრძანებით, ქალაქ ფოქშანის ერთ-ერთ მოედანზე გაიმართა გრანდიოზული ბანკეტი. დილის ცხრა საათიდან საღამოს ხუთ საათამდე გაგრძელდა ქეიფი, სადაც ჩვენი დივიზიის ხელმძღვანელობამ და რუმინეთის სამხედრო შტაბის წარმომადგენლებმა სიტყვით მიმართეს ერთმანეთს.

მეორე დილით, საბრძოლო მწყობრით გავემგზავრეთ ბრძოლის ველზე. სარდლობის განკარგულებით, ცხენები ზურგში დავკოვეთ, ვინაიდან ადგილმდებარეობა ისეთი იყო (მეტისშეგად ციცაბო და კლდოვანი), ცხენები ვერ შეძლებდნენ იქ სიარულს. დავიწყეთ პოზიციური ბრძოლები. კარგა ხნის განმავლობაში, დღედაღამ გრძელდებოდა განუწყვეტელი

სროლა. უძილონი, მოღლილ-მოქანცულები ვეწეოდით უმძიმეს ბრძოლებს, რამაც თვენახევარს გასტანა. ამხნის მანძილზე ხან ჩვენ ვიკავებდით მგრის ზოგიერთ გამაგრებულ პუნქტს, ხანაც კონგრშეგევაზე გადმოსული მგერი იბრუნებდა დაკარგულ ადგილებს. 23 დეკემბერს ვიწრო, მთაგორიან სოფელ სკატურელში გერმანელების წინააღმდეგ მოგვიხდა მეტად მძიმე ბრძოლა იმ დროს, როცა ჩვენი დივიზია ამ თვენახევრის სასტიკი შეტაკებების შედეგად, საგრძნობლად იყო შესუსტებული – ჩვენ დავკარგეთ ათას ორასი მებრძოლი, თავიანთ ცხენებიანად. ჩემი მდგომარეობა იშხანად ასეთია – მახლავს 35 მეომარი, უმეტესად ჩეჩნები, და 23 დეკემბერს ვიმყოფებით ერთ ფერდობზე. ადრე დილით, მგრის პოზიციებმა გაგვიხსნეს ძლიერი ცეცხლი. ვგრძნობთ, რომ უკიდურეს საფრთხეში ვართ ჩავარდნილი. ან უნდა დავიღუპოთ, ანდა ყველანი გყვედ უნდა ჩავებარდეთ მოწინააღმდეგეს. სამი მხრიდან გვიახლოვდება მგერი და გვრჩება ერთადერთი გზა – უკან დასახევი, რომელსაც გერმანელები რამდენიმე საათში გადაგვიჭრიდნენ და ვვარდებოდით ე. წ. ქვაბში. გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამიჯღეს, არ ჩავებარდეთ გყვედ და ეს 35 კაცი ზურგში გამოვიყვანო. გამოვედით ვიწრო ბილიკებით და გამოვიარეთ ხევი. ხევიდან გამოსვლის შემდეგ გვემუქრება აშკარა საფრთხე, ვინაიდან გავდივართ გაშლილ ველზე, იმ ველს კი გადააქურებს პაგარა გორაკი, რომელიც მოწინააღმდეგეს უკავია და გამოსაქცევი გზა მისი ცეცხლის ქვეშაა მოქცეული. მოვილაპარაკეთ, რომ გამოვექეულიყავით, მაგრამ მე ძლიერ მოქანცულობას ვგრძნობდი, გარდა ამისა, ჩემი სხეულის სიდიდისა და მაშინდელი სიმსუქნის გამო, სირბილი არ შემეძლო. ამიტომ მოველაპარაკე ჩემს მებრძოლებს, წამოვსულიყავით მოკლე-მოკლე გადარბენებით ანუ სვენებ-სვენებითა და სროლით გამოვირბენდით საშიშ მანძილს. ეს ამრი ყველას მოეწონა, ჭკუაში დაუჯდათ, დავნაწილდით პაგარ-პაგარა ჯგუფებად. მივეცი მათ ნიშანი და განუწყვეტელი სროლით დავიწყეთ სვენებ-სვენებით გამორბენა. ამ სახიფათო მანძილის გავლისას 14 ბრძოლის გამართვა მოგვიხდა. მომიკლეს ცხრა კაცი და დამიჭრეს ექვსი კაცი. შედარებით სამშვიდობო ადგილას როგორც კი გამოვედით, წინ შემოგვეგებნენ ჩვენდა მოსამეველებლად გამოგზავნილი მეომრები ცხენებითურთ. ამან დიდად გაგვამხნევა, შვება მოგვცა. შვეისვით ეს დაჭრილები და წამოვედით ზურგისაკენ. მივდივართ უგზო-უკელოდ. მგრის ძლიერი არტილერიისა და გყვიამფრქვევთა გამაყრუებელი, განუწყვეტელი სროლის ქვეშ, ჩვენთან ერთად იხევენ ულანის პოლკები. სოფელ სკატურელთან ჩვენი ბრძოლებისთვის ერთ-ერთი მაღლობიდან თვალი ედევნებინა ჩვენი დივიზიის პოლკოვნიკ მუსალაევს. მან დანახვისთანავე დამიძახა და მითხრა

– ყოჩაღ, შენს სიმამაცესა და ვაჟკაცობასო. მერე დამავალა, ჩვენი ასეულის უფროსის უჩა დადიანისათვის გადამეცა, რომ მას დაუყოვნებლივ წარვედგინე ჯილდოზე. მე, დარცხვენილმა, მაღლობა მოვახსენე და ვუთხარი, თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება-მეთქი. რამდენიმე საათის შემდეგ, როგორც იქნა, მივალწი ჩვენს შტაბს. ცოცხლად დარჩენილი ამხანაგები მეხვეოდნენ და გადარჩენას მილოცავდნენ. უჩა დადიანმა გადამოკუნა და მითხრა, დღეს შენ ნამდვილად გვასახელე შენი მამაცობითო. მართალია, ჩვენ ვერ შევძელით დაგხმარებოდით ამ სახიფათო ბრძოლის დროს, რადგანაც არ გქქონდა საშუალება, მაგრამ, ჩემო გვანჯი, შენი დღევანდელი ბრძოლა და თავგანწირვა საამაყო მთელი ჩვენი პოლკისათვის და პირადად ჩემთვისაცო. მე შეუხერხულა ამდენი ქება და არ მინდოდა უჩასათვის მეთქვა პოლკოვნიკ მუსალაევის დანაბარები, მაგრამ რადგანაც ეს სამხედრო დავალება იყო, დამორცხვეულმა გადავეცი მას მუსალაევის სიგყვები. უჩამ გაიციინა და მითხრა – მე თვითონ უმისოდ ვიცი, ჩემო გვანჯი, ჯილდოზე წარდგენის ღირსი რომ ხარ და ამას მუსალაევის მიუთითებლადაც გავაკეთებო.

ცოცხა შევისვენეთ, სული მოვითქვით და უჩამ მითხრა – საველე ფოსტით რაღაც მოსულა უმაღლესი სარდლობისგან. ვფიქრობ, დაჯილდოების ამბავი უნდა იყოს დნესტრის გადალახვის და როცა გავალთ სამშვიდობო ადგილას და დავისვენებთ, ვნახოთ, რა იქნებაო. მგერი სწრაფად მოიწვედა წინ, იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა და გაიცა ბრძანება – შევსხედით ცხენებზე და დავიძარით ბურგისაკენ. ვიარეთ მთელი დღე, 24 დეკემბერს და შევედით ერთ დიდ სოფელში, სადაც უკვე სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა. უჩა დადიანი შტაბით მღვდლის ოჯახში დაბინავდა. მე და ჩემი ამხანაგები იქვე ახლოს ერთ დიდ ოჯახში მოვთავსდით. გათენდა შობა დღე. გავაწყვეთ მშვენიერი სუფრა. შუა სმაში რომ ვართ, მოდის ჩემთან კაცი, უჩა დადიანი გიბარებსო. იმ წუთშივე ვცხადდები. უჩა სიხარულით მილოცავს ჯილდოს და მეუბნება – რასაც ახლა გეტყვი, ნურავის ნუ გაუმხელ, რადგან დაჯილდოებულია ყველა მხედარი და შენ წინასწარ მინდა გაგახარო, დანარჩენებს კი შემდეგ ერთად გამოვუცხადებთო. მერე იღებს უმაღლესი სარდლობის ბრძანებას, რომლითაც მე სოფელ ივანეში დნესტრის მამაცურად გადალახვისათვის დაჯილდოებული ვიყავი მეოთხე ხარისხის წმინდა გიორგის ჯვრით. ქალაქ სტანისლავეში პირველად შეჭრის გამო მესამე ხარისხის წმინდა გიორგის ჯვარი მეძლეოდა, სოფელ ერემჩეს ალებისა და ამ ბრძოლაში გამოჩენილი სამაგალითო მამაცობისათვის – მეორე ხარისხის წმინდა გიორგის ჯვარი.

თავის მხრივ, ამას უჩამ დაამატა – რაც შეეხება გუშინდელ, ე. ი. ოცდახუთმდეკემბრის სკატურელის მამაცურ და მოხერხებულ ბრძოლებს, ამის გამო პირველი ხარისხის წმინდა გიორგის ჯვარზე უნდა წარგადგინო! ეს თქვა და მაშინვე მაგიდას მიუჯდა, აღწერა სკატურელთან ჩაგარებული ბრძოლის სურათი და ჩემი წარდგინება გააკეთა.

ამ დროს უჩას გელეფონზე იძახებენ. იგი იღებს სასმენ მილს. ელაპარაკება რუმინეთის შტაბი. ლაპარაკია ფრანგულ ენაზე, რომელიც მე არ მესმის, მაგრამ უჩამ რატომღაც ჩემი გვარი ახსენა. მალე კიდევაც დაამთავრა ლაპარაკი, გახარებული წამოვიდა ჩემსკენ და გადამეხვია, მომილოცა: ყოჩაღ, ჩემო გვანჯი, ასე საქვეყნოდ რომ გვასახელე!.. რუმინეთის სამხედრო შტაბის მიერ, სკატურელთან გამოჩენილი სიმამაცის გამო, წარდგენილი ხარ რუმინეთის უმაღლეს სამხედრო საპატიო ჯილდოზე!

მე უღრმესი მადლობა გადავუხადე უჩას და ვუთხარი, რომ მის ნათქვამს არავის ვეცყოდი. შობა დღე, 25 დეკემბერი ამ სოფელში დაერჩით და დიდ ქეიფში გავატარეთ. 26 დეკემბერს, ადრე დილით მოგვიახლოვდა გერმანელთა არტილერიის და გყვიამფრქვევების ნაცნობი, გამაყრუებელი გუგუნი. მთელი პოლკი ფეხზე დადგა. გასცეს ბრძანება, ცხენები მურგში გაგვეგზავნა და როგორც ფეხოსანი ნაწილები, მოგერიებით ბრძოლაზე გადავსულიყავით. ასედაც მოვიქეციით. 26 დეკემბერს, მთელი დღის განმავლობაში, მგრის ჭარბ ძალებთან, ვეწეოდით სასტიკ ბრძოლებს და ვაკაუბდით იერიშზე გადმოსული გერმანელების წინსვლას. საღამოს უკვე მოგვივიდა მაშველი ძალები და ჩვენმა შტაბმა მიიღო ბრძანება, რომ ჩვენს დივიზიას ეძლეოდა ორი თვის დასვენება. ამ ორი თვის მანძილზე უნდა შეგვევსო დანაკლისი – ათას ხუთასი კაცი და ამდენივე ცხენი, რუმინეთში ჩაგარებული მძიმე ბრძოლების დროს რომ დავკარგეთ.

უჩა დადიანს პოლკის უფროსმა რუსული ენის მცოდნე მხედარი მოსთხოვა. უჩამ მე გამაგზავნა. გამოვეხადდი პრინც ფაში კაჯარსკისთან, რომელმაც კარგად მიმიღო და მითხრა – წაიყვანე ხუთი მხედარი, წახვალთ ქალაქ ხუშევეში, გამოცხადები იქაურ კომენდანტთან და ჩვენი პოლკისთვის იქ ბინას მოამზადებო.

მე დაუყოვნებლივ ავარჩიე ხუთი მხედარი და წამოვედით, დავაღეჭით გრძელ გზას. გამოვიარეთ ორასი კილომეტრი. გავცდით ქალაქ ბირლაგს. რუმინელი მოსახლეობა გზადაგზა ცნობისმოყვარეობით გვაღევენებდა თვალს. ბოლოს ჩამოვედით ქალაქ ხუშევეში, ბესარაბიის საზღვარზე და გამოვეხადდი ქალაქის კომენდანტ კაპიტან ბერსთან, რომელმაც ძალზე გულთბილად მიმიღო. იგი დედით ქართველი აღმოჩნდა. დედაჩემი

ერისთავის ქალიაო, კმაყოფილებით მითხრა. მაშინვე მომცა ბინა ჩვენთვის და ცხენებისთვისაც. ამხანაგებთან ერთად რესტორანში წავედი. რესტორანში ბლომად იყო ხალხი – რუმინელები და ბესარაბიელები. ყველანი ჩვენ შემოგვექეროდნენ, როგორც უცხოებს, ცნობისმოყვარულ გვაკვირდებოდნენ. სუფრა ქართულ ყაიდაზე გავაწყვეთ. რუმინელებსა და ბესარაბიელებს მაინცდამაინც არ უყვართ ღვინით დათრობა, ისინი ცოგ-ცოგას სვამენ. ჩვენ გავაჩაღეთ ჩვენებური ქეიფი და სადღეგრძელოები. მე ვიღებ სასმისს და რუმინეთის მეფის სადღეგრძელოს წარმოეთქვამ. რუმინელებმა ოყაციები გამართეს. მე მათ დიდ სასმისებს ვაწვდი, ღვინით ვუვსებ. ისინი უარზე არიან, მაგრამ ჩემი დაბეჯითებით თხოვნის შემდეგ სათითაოდ კლიან სასმისებს, მაგრამ სახე ემანჭებათ. ამის მერე, რუმინეთის ჯარების მთავარსარდლის, გენერალ ავერესკუს სადღეგრძელოს ვამბობ. ამასაც ძალდატანებით ვასმევ ახალგაწობილ რუმინელებს. ასეთ სმას მიუჩვეველ რუმინელებს ღვინო მოერიათ, გამხიარულდნენ. ახლა უკვე ერთმა რუმინელმა თვითონ აიღო სასმისი და თავისებურად შემოგვთავაზა სადღეგრძელო, დაიძახა: ვივაგ რასია! (გაუმარჯოს რუსეთს!) ვივაგ ბრუსილოვ! (გაუმარჯოს ბრუსილოვს!) – გენერალი ბრუსილოვი იყო რუმინეთის ფრონგის ჯარების მთავარსარდალი, რომელმაც 1916 წელს დიდი გარღვევა მოახდინა და გერმანია-ავსტრიის ჯარებს სასტიკი დამარცხება აგემა. გულთბილად დავამთავრეთ ეს პაგარა და ლამაზი ქეიფი. რუმინელებმა და ბესარაბიელებმა შეძახილებით, გამითა და ქუდების სროლით გამოგვაცილეს რესტორნიდან. ერთხანს ბინაში დავრჩით, მოვისვენეთ. საღამოს კომენდანტ ბერსთან მივედი. კაპიტანმა მომცა საგზური და მითხრა – თქვენი პოლკის განსალაგებლად გამოყოფილია სოფელი სკინო, იქ დაისვენებთო.

შეთანხმების მიხედვით, მე ჩვენი პოლკის ჩამოსვლას დაველოდე. მეორე დღით კიდევე ჩამოვიდა ჩვენი პოლკი. გამოვეცხადა პოლკის უფროსს და მოვახსენე, რომ ჩვენთვის სოფელ სკინოში მზად იყო ბინები. იმავე დღეს დავიძარით ამ სოფლისკენ, საღამოს ჩავედით და დაბინავდით. დღით ბრძანება გასცეს, რომ ჩვენი ანუ ჩეჩენთა პოლკი მწყობრში ჩამდგარიყო. ბრძანება შესრულდა. ცოგა ხნის შემდეგ, გამოდის პოლკის მეთაური პრინცი კაჯარსკი და მისალმების მერე უჩა დადიანს ულოცავს მთელი ასეულის დაჯილდოებას. სამხედრო სასულე ორკესტრის გრიალში წაკითხულ იქნა ყველა მებრძოლის გვარი და ჯილდო. წაკითხულ იქნა, აგრეთვე, მოკლულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა გვარები; შგაბს დაველა, მათი ჯვრები და მედლები ჭირისუფლებისთვის გადაეგზავნათ. ჩვენ კარგად ვისვენებდით, მაგრამ, ამავე დროს, გაუაყიციებით

ველოდებოდით მნიშვნელოვან ამბებს პეკერბურგიდან. თითქმის ყოველდღე მოდიოდა ცნობები ფრონტზე მეფის ჯარების ახალ-ახალი დამარცხებებისა და ქვეყნის დიდ ცენტრებში, განსაკუთრებით კი პეკერბურგში არსებული დაძაბულობის შესახებ. ასე აფორიაქებულებმა გავაგარეთ ახალი წელი. ამგვარ უჩვეულო ყოფაში გადაიდა კვირები და ერთხელაც, 26 თებერვალს პოლკში დიდი ფაცი-ფუცი და ჩუმი ლაპარაკი ატყდა. რამდენიმე საათში გაიკა ბრძანება და მთელი პოლკი მწყობრში ჩაგვაცუნეს. გამოდის მეთაური და ყველას გვილოცავს თავისუფლებას, მოკლედ აცხადებს, რომ მეფე ტახტიდან გადადგა. იქვე გვალეზინებენ ფიცს დროებითი მთავრობის წინაშე. ყველანი დაინტერესებული ვართ დაწერილებით გავიგოთ, თუ რა მოხდა. იქ გაზეთი არ იყო. მე და ვალოდია ბერიძეს დაგვაგვალეს, გვემოვა გაზეთი. ჩვენ დაუყოვნებლივ წავედით ქალაქ ბენდერაში (რუსეთში) და ერთი ებრაელის მეშვეობით, 30 მანეთად ვიყიდეთ გაზეთი, პეკერბურგიდან გამოგზავნილ ლექსებში კი 25 მანეთი გადავიხადეთ. გაზეთი და ლექსმა საჩქაროდ ჩამოვიტანეთ სკინოში. რევოლუციურად განწყობილი ოფიცრობა და მხედრები ერთმანეთს წაკითხვას არ აცლიდნენ, ხელიდან გლეჯდნენ ამ ფურცლებს. გაზეთში ვრცლად იყო აღწერილი ნიკოლოზ მეფის გადადგომისა და დროებითი მთავრობის არჩევის ამბები.

სანამ სკინოდან წამოვიდოდი, იქ კავკავიდან სტუმრად ჩამოვიდა პოლკოვნიკ კელერის ცოლი რაისა გიორგის ასული გურგანოვა. მის საპატივცემულოდ პოლკმა გამართა ბანკეტი. ამ ბანკეტზე მრავალი საინტერესო და საგულისხმო სიტყვა წარმოითქვა. ყველა თავისებურად აფასებდა მომხდარს. კარგად მახსოვს მონარქისტული ოფიცრების კეხხა. იქადადნენ, რევოლუციას მალე ჩავახშობთ და მეფე აღდგენილი იქნებაო. მათი ხმამაღალი განცხადებები უფრო ლაყბობას გავდა.

მეორე დღეს, უჩა დადიანმა გვერდზე გამიხმო — ხომ გესმოდა, ჩემო გვანჯი, რა სისულეებს ყბედობდნენ ის ოფიცრები?! გახსოვდეს, ჩემო გვანჯი, — განაგრძო უჩამ, — რუსეთის რევოლუცია არის მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა და მისი დამარცხება აწი არავითარ ძალას არ შეუძლიაო. გონიერი კაცი ახლავე გაყვება ამ რევოლუციას და ის დაღუპვისგან თავს გადაირჩენსო.

კერენსკიმ რუსეთის ყოველი დივიზიიდან თითო ოფიცერი და თითო მხედარი მოითხოვა. ჩვენმა პოლკმა გაგზავნა ერთი რევოლუციურად განწყობილი ჩერჩენი ოფიცერი და მხედარი მაგამედ გამიევი. მალე ჩვენი პოლკი დაშლილ იქნა და დააბრუნეს კავკასიაში. მე, როგორც მემოთ აღვნიშნე, წარდგენილი ვიყავი ოფიცრის წოდებაზე და წმინდა გიორგის

პირველი ხარისხის ჯვარზე, მაგრამ ამას აღარ დავეუცადე, აღარც მანკურებსება, რადგან მომხდარი რევოლუციის გამო აღფრთოვანებული ვიყავი და ჩემი სამშობლოსკენ მოვისწრაფოდი. ამ ამბებიდან მეცხრე დღეს ავიღე ერთოვანი შევებულება და დავბრუნდი საქართველოში.

რევოლუციის შემდგომი პერიოდი

ცარიემის დამხობას, რუსეთის მშრომელებთან ერთად, ქართველი ხალხიც აღფრთოვანებით შეხვდა, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. საქართველოში ძალა-უფლება დროებით მენშევიკებმა იგდეს ხელთ. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩავედი მშობლიურ სოფელ ჭკადლაში და ისევ სოფლის მეურნეობას მოვკიდე ხელი, პატიოსან გლეხურ შრომას შევუდექი. ჩემი აღმზრდელები, კეთილი მეგობრები და მეზობლები კვლავ ერთგულად ამომიდგნენ მხარში და მეც ყოველნაირად ვეხმარებოდი მათ. პირადად მე ღრმად მწამდა, რომ რუსეთის დროებითი მთავრობა და საქართველოს მენშევიკური მთავრობა, როგორც უუნარონი, უღელურები, დიდხანს ვერ იარსებებდნენ. მე მენშევიკების ხელისუფლების დროს არ შევსულვარ მთავრობის სამსახურში და, როგორც აღვნიშნე, ძირითადად, სოფლის მეურნეობას ვეწეოდი, ვეხმარებოდი გლეხობას გზებისა და ხიდების მშენებლობაში, რასაც ხალხი თავისი მონდომებით აკეთებდა.

ამ პერიოდის განმავლობაში ჩემი სოფლიდან არსად წავსულვარ, რადგან ჩემი მშობლებიცა და მეც დიდად ვიყავით დამწუხრებულნი და გულმოკლულნი. ოთხი ვაჟიდან ოჯახში ცოცხალი მარტო მე დავრჩი. ჩემი ძმები – ლევანი, ვლადიმერი და კონსტანტინე შავრაზმელთა ხელით დაიღუპნენ. მამაჩემი შედარებით მხნეობდა და ჩემზე ამყარებდა იმედს. ხშირად ეუბნებოდა ხოლმე დედაჩემს – ნუ სტირისხარ ამდენს, გულს ნუ იკლავ, რახან ასე წავიდა ჩვენი საქმე და განგებამ მხოლოდ გვანჯი შეგვარჩინა, ჩვენ ამითაც ბედნიერად უნდა ჩავთვალოთ თავი და ვეუბლოთ, გვანჯის შევუწყოთ ხელი, რომ ამან მაინც გაიხაროს და ოჯახი არ დაიღუპოსო. მე ყოველნაირად ვცდილობდი, გული გამემაგრებინა მოხუცი, ბედისგან დაჩაგრული მშობლებისათვის. თავისუფალ დროს დავდიოდი ნათესავ-მეგობრებში და ჩემს აღმზრდელთა ოჯახებში. ხშირად ვნახულობდი ჩემს ახლო ნათესავს, ცნობილ ბოლშევიკ-რევოლუციონერს სამა გეგეჭკორს. სამა თავგამოდებული იბრძოდა მენშევიკური მთავრობის

წინააღმდეგ. საშა ხშირად მეტყვოდა – ჩემო გვანჯი, შენა და შენი ოჯახი ნამეტანი დაიტანჯეთ, ამიტომ შენთვის იყავი, ოჯახურ საქმეებს მიხედე და მოხუცი მშობლები გაამხნევეო.

მენშევიკ ხელისუფალთა მიმართ ხალხის უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. ზუგდიდის მაშინდელმა ქალაქის თავმა ესტაგე ლაგარიამ და სხვებმა, უკმაყოფილოთა დასამოშმინებლად და წესრიგის დასამყარებლად ზუგდიდში ორასი კაცისაგან შემდგარი ყაზახთა რაზმი ჩამოიყვანეს. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ხალხში შუოთი და უკმაყოფილება. ერთხელ ქალაქის მესვეურებმა დადიანის სასახლეში გამართეს დიდი ქეიფი, რომელსაც ესწრებოდა ეს ორასი კაცი თავისი ხელმძღვანელებიანად. ერთ-ერთი მთვრალი ყაზახი სუფრიდან ამდგარიყო, გამოსულიყო გარეთ და მედუქნეს მიდგომოდა. ლანძღვითა და გინებით, უფასოდ, ღვინო და არაყი მოეთხოვა. დუქნის პატრონმა, ჯანაშიამ, ვერ მოითმინა ეს შეურაცხყოფა და გათავხედებული ყაზახი მაგრად სცემა. გასისხლიანებული ყაზახი დადიანის სასახლის კენ გაიქცა, ქუჩაში გარბოდა და თან იმუქრებოდა, ახლავე გამოვიყვანთ ჩვენს რაზმს და მთელ ქალაქს დავარბევთო. ეს ამკარად მოსალოდნელი იყო, რადგან ადგილობრივი ხელისუფლებისგან წათამამებული ორასი მთვრალი ყაზახი მართლაც უბედურებას დააგრი-ალებდა.

სწორედ ამ დროს მე, გრიშა ჯიქია და სხვა ამხანაგები ზუგდიდში ვიყავით ჩასული. მე მაშინვე ვიგრძენი, რომ კარგი ამბავი არ იყო მოსალოდნელი. იმწუთშივე აგეგხეთ ყვირილი, რათა მილიციას დაეკავებინა მთვრალი ყაზახი და სასახლემდე არ მიეშვათ. ჩემი ძახილი კარგად ესმოდა ესტაგე ლაგარიას, მაგრამ არ ინება თავის შეწუხება, არ გააფრთხილა მილიცია, რომ დაეკავებინა სისხლში მოთხვრილი ყაზახი, რომელიც მივარდა ოფიცერთან. მთვრალ ოფიცერს მაშინვე გაუცია ბრძანება და ეს ორასი კაცი ქალაქის ასაწიოკებლად წამოუყვანია. ხალხი ერთბაშად მოიცვა პანიკამ – დაკეტეს დუქნები და მაღაზიები, დიდ-პაგარა ქუჩებში გამოუფინა. რამდენიმე წუთში სამინელი სისხლისღვრა უნდა მომხდარიყო. მე საჩქაროდ გავმორდი ამხანაგებს და მივედი ქალაქის თავთან ესტაგე ლაგარიასთან და სხვა თანამდებობის პირებთან, აღელვებულმა განვეუცხავე მათ – მოსალოდნელი უბედურების პასუხისმგებელი თქვენ იქნებით და ვალდებული ხართ, უდანამაულო ხალხი ამ სამინელ განსაცედელს ააშოროთ-მეთქი. მათ არავეითარი ყურადღება არ მომაქციეს, სადღაც წავიდნენ და მიიშალნენ. გაბრაზებულმა სასტიკად მივალანძლე ისინი და სასწრაფოდ გამოვბრუნდი. ბევრი ფიქრის დრო აღარ იყო. გამძვინვარებული და გათავხედებული რაზმი უკვე მოადგა ქალაქს. მე გავექანე ცხენით

და შევიჭერი ყაზახთა რაზმში, წინ დავედუქი ოფიცერს. ოფიცერმა ჩემს მკერდზე წმინდა გიორგის ჯვრები რომ დაინახა, შეჩერდა და უხეშობა ველარ გაბედა. სალამზე სალმით მიპასუხა. შემდეგ ვუთხარი, რომ აქ მოხდა გაუგებრობა და საჭიროა სიღინჯე და გონივრული მოქმედება. ოფიცერი ყურადღებით მისმენდა. მე განვაგრძე და ავეუსენი – მართალია, ვილაცამ ჩაიდინა უწესობა და შეურაცხყოფა მიაყენა თქვენი რაზმის წევრს, მაგრამ მთელი ქალაქის მოსახლეობა არაფერ შუაშია. საჭიროა მოინახოს დამნაშავე და დაისაჯოს ის და არა უდანაშაულო ხალხი. ახლა აჯობებს, უკან გააბრუნოთ თქვენი რაზმი, მე მომკეთ გამყოლად ხუთი კაცი, რათა დაეაპატიმრო დამნაშავე და პასუხისგებაში გადაეცე-მეთქი. ოფიცერს მოეწონა ჩემი რჩევა და წინადადება, უკან გააბრუნა თავისი რაზმი. როგორც ვგყობოდა, მასზე გავლენა იქონია ჩემმა გაბედულმა და დასაბუთებულმა მოთხოვნამ და, მეორეს მხრივ, იგი უთუოდ შეაშინა ქუჩებში გამოსულმა აბობოქრებულმა ხალხმა. ხუთის ნაცვლად, მან თორმეტი კაცი გამომაყოლა უნტერ-ოფიცრის ხელმძღვანელობით. მე გამოვბრუნდი და შევედუქე გადამალული ჯანაშიას ძებნას. ახლა ჩემი საფიქრებელი ის იყო, როგორმე გადამერჩინა ჯანაშია. ის რომ მართლა დამეჭირა და გამხეცუბული ყაზახებისთვის გადამეცა, მათრახის ცემით სულს ამოხდიდნენ. ამიგომ ეშმაკობა ვიხმარე და მოვახერხე, ჯანაშიას ძებნაში ყაზახები აღმა-დაღმა მეგარეებინა, თვითონ ჯანაშიას კი ჩუმად, მათგან დაფარულად ვაცნობე, სასწრაფოდ მილიციას ჩაბარებოდა და ციხეში ჩამჯდარიყო. როცა ყაზახები აქეთ-იქით სიარულმა ძალიან დაღალა და უკმაყოფილო ბურტყუნი დაიწყეს, მე მათ ვუთხარი – ახლახან გავიგე, ჯანაშია დაუპატიმრებიათ-მეთქი. უნტერ-ოფიცერმა ეჭვით შემომხედა, არ დაიჯერა ჩემი ნათქვამი. მაშინ ისინი მილიციაში წაიყვანე და რაკი ოფიციალურად გაიგეს, ჯანაშია დაპატიმრებული იყო, დამშვიდდნენ და თავიანთ ბანაკში წავიდნენ. რამდენიმე ხნის მერე მე და გრიშა ჯიქიამ ჯანაშია გავაშვებინეთ მილიციას. ამ ამბის გამო, მუგდიდის ხელისუფლება ჩემდამი მტრულად განეწყო.

ხალხის უკმაყოფილება კიდევ უფრო იზრდებოდა და მდგომარეობა თანდათან დაძაბული ხდებოდა. ქალაქის ხელმძღვანელობამ სიმონ თოლორდავას გვარდიის შედგენა დაავალა. მან მაზრაში თავი მოუყარა 313 კაცს. ეს ის ხალხი იყო, თავიანთ ცხოვრებაში ერთი დღეც რომ არ ემუშავათ პატიოსნად. შეაიარაღა თავისი შეკრებილი 313 კაცი და ამ რაზმით სიმონ თოლორდავა მუგდიდში ჩამოვიდა. თოლორდავა მეტად თავნება ვინმე იყო, ქალაქის ხელმძღვანელობას არ ემორჩილებოდა და არც არაფერს უთანხმებდა. თავისი განკარგულებით იჭერდა მენშევიკური რეჟიმის უკმაყოფილო ელემენტებს და გრიბუნალის საშუალებით ასამარ-

თლებდა მათ. ერთხელ თოლორდავამ ჩემზე გასცა განკარგულებანი და მამაპატიმრეს. ორი თვის ძიების შემდეგ გადამცეს მაშინდელ ტრიბუნალს, მაგრამ სასამართლომ ვერავითარი დანაშაული ვერ დამიმტკიცა და გამათავისუფლეს. გათავისუფლებულ იქნა, აგრეთვე, გრიშა ჯიქიაც, რომელიც ჩემთან ერთად იყო დაპატიმრებული. ამის შემდეგ ლაღო ემხვარმა გამაფრთხილა, ზუგდიდში ხშირად ჩამოსვლას მოერიდე, რადგან ცუდი თვალით გიყურებენო. მე მართლაც იშვიათად-ლა ჩავდიოდი ზუგდიდში, ისიც ჩვეულებრივ, უბრალო დღეებში.

ზუგდიდსა და მთელ მაზრაში აშკარად მომძლავრდა ბოლშევიკური მოძრაობა, რომელსაც საშა გეგეჭკორი მეთაურობდა. ჩემს მიმართ ბოლშევიკები კარგ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. იმჟამად ქალაქში ჩასვლა გაძნელებული იყო. ბოლშევიკური კომიტეტები სოფლებიდან ზუგდიდში არ უშვებდნენ მათთვის საეჭვო პირებს, ე. ი. ისეთებს, რომელთაც შეეძლოთ მთავრობისთვის ეცნობებინათ ბოლშევიკების მუშაობა და საქმის მდგომარეობა. ამ კომიტეტებს ჩემთვის არასდროს არ შეუშლიათ ხელი ზუგდიდში წასვლაზე. ერთხელ ჩამოვედი ზუგდიდში, შემომესხვია ხალხი, მეკითხებიან – რა ამბავია სოფლებში, როგორ მოახერხე, რომ ბოლშევიკებმა გამოგიშვესო.

ამ დროს ჩემთან მოვიდა თავადი კონსტანტინე ანჩაბაძე (სოფელ დარჩელის მცხოვრები), მას თოფი უჭირა ხელში. გამიკვირდა, ვკითხე, აქ რა გინდა, კონსტანტინე, მაგ თოფით ვის იცავ? მოწყენილმა მიპასუხა: ჩემმა სოფელმა მომიძულა, გამომაგლო და აქ წამოვედიო. გული მომივიდა და ვუთხარი: სირცხვილი შენი, რომ შენს გამზრდელ სოფელს გამოუგდისხარ. თუ მშობელი ხალხი არ გღებულობს, შენი წარსულის მქონე სხვას ვის ენდომები-მეთქი. ხმა არ ამოუღია, დაღვრემილი დაღვა იქვე. ცოცხალი ხნის მერე მომიახლოვდა მაშინდელი ბობოლა მენშევიკი ნიკო თოდუა, ხელს მიწედის და მეუბნება – გამარჯობა, გვანჯი! შენ ხალხის საყვარელი კაცი ყოფილხარ და მე ეს არ ვიცოდიო. გაბრაზებულმა ვუპასუხე: მე თქვენ ხელს არ ჩამოგართმევთ. ალბათ გახსოვთ, ამ ცოცხალი ხნის წინათ, როცა მე პატიმარი ვიყავი, თქვენ შემობრძანდით ციხეში, მე გულწრფელად გამოგიწოდეთ ხელი, თქვენ კი მითხარით – ხელს ნუ მიწვდით, ამხანაგების მეშინიაო და ხელი არ ჩამომართვით. ახლა მე არ მსურს თქვენი ხელის ჩამორთმევა. ნიკო თოდუა არ მოელოდა ჩემგან ასეთ სასტიკ განაჩენს და ხმა ვეღარ ამოიღო, ენაგამმზრალი დარჩა...

ამის მერე მალე, 1921 წლის 25 თებერვალს, ბოლშევიკებმა დაამხეს მენშევიკების უღლეური მთავრობა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, მე ისევ

სოფლის მეურნეობას მივღვედი და ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმეში აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი.

1921 წლის მაისში გრიშა ჯიქია გაგზავნეს ჩრდილო-კავკასიაში მსხვილფეხა საქონლის შესაძენად. გრიშა ჯიქია საუკეთესო ვაჭარი და სახელგანთქმული მხედარი იყო, მთელს მუგდის მაზრაში და სხვაგანაც უდიდეს პატივს სცემდნენ. დიდ ვაჭრობასთან ერთად ამკობდა რაინდული თავაზიანობა, თავმდაბლობა და იშვიათი მეგობრული თვისებები. არაჩვეულებრივად ლამაზი განადობის გარდა, გასაოცრად მოქნილი სხეული ჰქონდა. საჯირითოდ ან მარულაში გამოსული, თავისი ვირგოზული ცხენოსნობით აჯადოებდა მაყურებელს. სამეგრელოსა და აფხაზეთში პირველობა მუდამ მას რჩებოდა. გრიშა ჯიქია გამოვიდა დონისროსტოვში ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ცხენოსანთა შეჯიბრებაზე, სადაც პრიზი მიიღო. მე და გრიშა უგულითადესი მეგობრები ვიყავით. თუ რაიმე სერიოზული ჰქონდა გადასაწყვეტი ანდა გასაკეთებელი, ყოველთვის რჩევას მკითხავდა ხოლმე. უკანასკნელად ჩრდილო კავკასიაში როცა წავიდა, არ ვუნახივარ. ჩემი მეუღლისთვის დაუბარებინა, ალბათ გვანჯის ეწყინება, წასვლის ამბავი რომ არ გავაგებინო. მე მართლაც მეწყინა და შევწუხდი, რადგან ცუდი წინათგრძნობა მქონდა, მაგრამ მაინც თავს ვიძინებდი, არა უშავს, ოჯახში მშვიდობით დაბრუნდება-მეთქი, ვამბობდი. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა საშინელი ცნობა, გრიშა ჯიქია სვანეთში მოკლესო. ამ ამბავმა თავმარი დაგვცა მე და მის ყველა მეგობარს. მთელმა საზოგადოებამ მძიმედ განიცადა დიდებული ვაჭარის დაღუპვა. გრიშას, როცა იგი მის მიერ შესყიდული დიდძალი საქონლით უკან ბრუნდებოდა, სვანეთის მთებში ყაჩაღები დახვედროდნენ. მოძალადეებისთვის წინააღმდეგობა გაეწია და იმ არაკაცებს ვერაგულად მოექცა. მე და სხვა მეგობრები მეორე დღესვე გავემგზავრეთ გრაგელის ადგილას და ჩამოვასვენეთ გრიშას ცხედარი. გრიშა ჯიქია, როგორც მთაწარის წარმომადგენელია, ასევე ხალხის მიერ, უაღრესად დიდი პატივით იქნა დასაფლავებული. გარდაცვალებულს დარჩა მეუღლე, სამი ქალიშვილი და ერთი და. გრიშა ჯიქიას, ამ სამაგალითო ადამიანის ნათელ ხსოვნას დღემდე წმინდად ინახავს მაღლიერი საზოგადოება.

1921 წლის დეკემბერში ირკუტსკიდან მესტუმრა ჩემი ცოლისძმა ინოკენტი და გადმომცა ნესტორ კლანდარიშვილის წერილი. ნესტორი მწერდა: ძმარ გვანჯი! აღსრულდა ჩემი დიდი ხნის სურვილი და გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ. თუ შენ, ჩემო გვანჯი, მოღვაწეობ პარტიული ხაზით, ჩემი აზრით, მემარცხენე ფედერალისტების პარტიაში იქნები. ამასთანავე გირჩევ, პარტიულ მუშაობაში ღრმად ნუ შესტოპავ და საქარ-

თველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას შეგნებულად შეხვდი...

ნესტორის სახელი გრგვინავდა მთელ ციმბირში. მას პირადად იცნობდნენ რევოლუციის ბელადები. ნესტორი სათავეში ჩაუდგა პარტიზანულ ჯარებს და თავგამოდებით ებრძოდა თეთრგვარდიელებს, კოლჩაკისა და ანგონოვის არმიას. ერთ-ერთი მძიმე ბრძოლის დროს ნესტორი გმირულად დაიღუპა. მას დღესაც დიდი პატივით იგონებენ, როგორც უმაჰაყეს რევოლუციონერს. სიცოცხლეში „ციმბირის პაპას“ ეძახდნენ და დაღუპვის შემდეგ მის უკვდავსაყოფად გემი ააშენეს, რომელსაც მისი სახელი და გვარი დააწერეს. თუ როგორი ახლო მეგობარი იყო იგი ჩემი, ამაზე აღრე მაქვს ნათქვამი.

ვფიქრობდი, რომ რევოლუციის შემდეგ განმეგრძო მყუდრო ოჯახური ცხოვრება და შრომა, მაგრამ უღმობელმა სიკვდილმა კიდევ უფრო მეტად დაჩაგრა ჩვენი ისედაც დაჩაგრული და დამგლოვიარებული ოჯახი. 1921 წელს გარდაიცვალა მრავალგანჯული დედაჩემი. 1925 წელს გარდამეცვალა მამა, რომელიც ჩვენი ოჯახის დიდი იმედი იყო. 1925 წლის ბოლოს დავეკარგე მეუღლე და უერთგულები მეგობარი ნადეჟდა პავლეს ასული. ამან მთლად აწეწა ჩემი ოჯახური ცხოვრება, რადგანაც ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი დამრჩა უღედოდ და უმეთვალყურეოდ. მემდეგია იმის ლაპარაკი, რომ ჩემი მდგომარეობა აუტანელი იყო. ჩემი ცოლის გარდაცვალების შემდეგ, ჩემი ობლად დარჩენილი ბავშვების აღსამრდელად და საპატრონოდ გაგრიდან ჩამოვიდა ჩემი გათხოვილი და ნადია, რომელიც ცოლად ჰყავდა ცნობილ ალმასხიდ ინალიფას ვაჟს პაქი ბეი ინალიფას.

ჩემმა დამ თან ჩამოიყვანა თავისი ორი ბავშვიც – ალიოშა და ნინა – და დედობრივი სიყვარულით ზრდიდა, როგორც თავის, ასევე ჩემს შვილებს. მე ვადავწყვიტე სამსახური დაბეწეო და დავიწყე კიდევაც ზუგდიდის შამგონის ხე-ტყის ქარხანაში. ვიმუშავე ორ წელიწადს ანუ ქარხნის მშენებლობის დამთავრებამდე. ამ შუალედში, ვითომ უბედურება მაკლდა, თავს დამატყდა ახალი საშინელი გრაგედია – 1926 წლის ბოლოს გარდამეცვალა ჩემი ერთადერთი და, ნადია, რომელიც ზრდიდა ექვს ბავშვს, ორს – თავისას და ოთხს – ჩემსას. ადვილი წარმოსადგენია, რა გაუსაძლის მდგომარეობაშიც აღმოვჩნდებოდი. უნდა მემსახურა და ბავშვებიც უნდა აღმეზარდა.

1928 წლის ბოლოს ცოლად შევიერთე ცაცუ კონსტანტინეს ასული წულეისკირი, რომელმაც დიდი ადამიანური სითბო გამოამჟღავნა, ნამდვილი დედობრივი მზრუნველობით მოჰკიდა ხელი ჩემი შვილების აღზრდას, რის გამოც მე მისი დიდად მაღლიერი ვიყავი.

1927 წლის ბოლოს, ქარხნის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, გადაყვანილი ვიქენი ზუგდიდის მაზრის გმების მშენებლობაზე. ვხელმძღვანელობდი ამ საქმეს, აგრეთვე, ენგურის ნაპირების გამაგრების სამუშაოებს.

1928 წელს გადამიყვანეს საქართველოს ჩაის აგურ-ქარხნების ხელმძღვანელად და კარგა ხანს ვხელმძღვანელობდი დიდი ჭყონის, ნარაგენის, გალის, ზუგდიდის და მოქვის აგურ-ქარხნებს. ამ სამუშაოზე დაერჩი 1934 წლამდე.

1934 წელს, რაიკომის განკარგულებით, გადაყვანილი ვიქენი ჭითაწყარის აგურ-კრამიგის ქარხნის დირექტორად და იქ ვიმუშავე 1936 წლამდე.

1936 წლიდან 1940 წლამდე ზუგდიდის ჩაის ფაბრიკის და კოფეინის ქარხნის მშენებლობაზე ვმუშაობდი.

1941 წელს, რაიკომის განკარგულებით, დაეინიშნე საბინაო ექსპლოატაციის განყოფილებაში, სადაც ჩემი პირადი უფროსი იყო სამხედრო ინჟინერი აბდულას.

1941 წელსვე, როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანას ვერაგულად დაესხათავს ფაშისგური გერმანია. ომის გამოცხადების დღიდანვე ღრმად მწამდა, რომ ფაშისგური გერმანია, როგორც ბოროტების, მონობისა და უსამართლობის კერა, განადგურებული იქნებოდა და გამარჯვება ჩვენს ხალხს დარჩებოდა. ეს ასედაც მოხდა. სამამულო ომის დაწყებისთანავე, გაორკუცებული ძალით ვმუშაობდი და ხელს ვუწყობდი ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას.

ჩემდა საუბედუროდ, ზოგიერთმა ბოროტმა ადამიანმა, ჩემმა პირადმა მტრებმა, ცილისწამების შედეგად, მოახერხეს ჩემი საზოგადოებისგან იზოლირება, მაგრამ ჩვენი მთავრობის ყურადღებითა და მზრუნველობით, მიუხედავად ხანდამშობობისა, მაინც შევძელი აქ, ოჯახს მოწყვეტილმა, შემენარჩუნებინა ჯანმრთელობა. ამჟამად კი იმედს არ ვკარგავ, რომ ისევ დავბრუნდები ჩემს მშობლიურ კუთხეში, ჩემს შვილებთან და მეგობრებთან, რათა დარჩენილი ენერგია და სიცოცხლის დღეები მოვახმარო იმ დიდ მომავალს, რომელსაც მთელი ჩვენი ხალხი აშენებს.

ვამთავრებ ჩემი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების მოკლე თხრობას და თავს ვალდებულად ვრაცხ, უსაზღვრო, უგულთადაესი მადლობა მოვახსენო იმ კეთილ ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს საიმისოდ, რომ შემენარჩუნებინა ჯანმრთელობა, რომლებიც კვლავ მიწყობენ ხელს, რათა ჩავიდე ჩემს ძვირფას, გამზრდელ კუთხეში, ჩემს უღელმამოდ მიტოვებულ შვილებს დაეუბრუნდე.

გვანჯი ჩიქოვანი

1948 წელი

სიკათის შუაი

შარშანდელი იენისის თვეში ლანჩხუთში, მამისეულ სოფელში ჩავედი, ღრმად მოხუცებულ, თითქმის დაბრმავებულ, აღმზრდელ მამიდას ჩავაკითხე. ათი წელი სრულდებოდა მამაჩემის გარდაცვალებიდან – არ მშორდებოდა მამაჩემზე ფიქრი. ძველ საოჯახო ალბომს ვათვალიერებდი, ყმაწვილკაცობაში მეგობართან გადაღებული მისი სურათი ენახე. იმ ფოტოზე ჩვიდმეტ-თერამეტი წლისა თუ იქნება. ჯიბეებიანი, მოყავისფრო შალის ხალათი აცვია, მომრგვალებული, დაბალი საყელო ორ ღილაკზე შებნეული, წაბლისფერი თმა გვერდზე გადაუვარცხნია. ნაღვლიანი გამომეტყველება და ანგლომურად წმინდა, ნათელი სახე აქვს...



გვანჯი ჩიქოვანი
ქ. სოჭი

28 იენისს კი დილით, უკვე თბილისს დაბრუნებულები, მე და ქურნალისტი კუკური კუკულაძე მოსანახულებლად ავედით მამაჩემის დიდი ხნის მეგობართან, მსცოვან ღრამაგურგთან და პუბლიცისტთან ბაგონ კიგა ბუაჩიძესთან, ვაკეში, მის ბინაზე. აქ მოხდა ის, რასაც ალბათ შინაგანად შეძრული ველოდებოდი. კიგა ბუაჩიძე ახალგაზრდობის ეპოს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება, მამაჩემთან ერთად სასჯელს იხდიდა ორთაჭალის მეორე კოლონიაში. შედარებით შესუსტებული რეჟიმის ავჭალის კოლონიაში იგი შემდგომ გადაიყვანეს: ბაგონმა კიგამ მითხრა – სწორედ ავჭალის კოლონიაში, ილი გოგიას ხელით (იყო პატიმართა თანამგრძნობი ასეთი ღვთისწიერი ადამიანი, ვისზედაც მოგვიანებით ვიგყვი ორიოდ სიგყვას), მამაშენმა გამომიგზავნა ორი რვეული. დავითს თავისი ხელით ჩაეწერა იქ მყოფი პატიმრის, საქვეყნოდ სახელგანთქმული და დიდებული წარმოშობის ვაჟკაცის გვანჯი ჩიქოვანის ცხოვრების ეპიზოდები.

ამის გამგონეს, ალბათ, სიხარულიც და გაოცებაც ერთად გამოიმეხაგა სახეზე, როგორც იცყვიან, გულმა რეჩხი მიყო. გვანჯი ჩიქოვანის სახელი აღრეც არაერთხელ გამეგონა. 1969 წლის შემოდგომაზე, ახალგაზრდა მწერლების ჯგუფთან ერთად შუგდიდში ჩასულს, ოთარ ჭითანავა გვმას-პინძლობდა, მწიგნობარი, განათლებული და გულისხმიერი კაცი. მახსოვს, ქალაქის ცენტრში ფოტოვიტრინა დავათვალიერეთ. ერთ-ერთ ფოტოზე ყაბალახწაკრული, ქართულ ჩოხაში გამოწყობილი მეგად სასიამოვნო გარეგნობის მოხუცის სახემ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. გვანჯი ჩიქოვანი აღმოჩნდა. მაშინაც გაიმეორეს მთარული ნათქვამი – ეს კაცი რევოლუციამდე ჩინეთსა და ამის სხვა ქვეყნებში ჯიშის ასამალელებად იყო გაგზავნილიო. ეტყობა, ამ „მოსაზრებას“ თვით ბაგონი გვანჯის ხუმრობა ედო საფუძვლად; ერთხელ ახლობლებში ეთქვა – ხელმწიფე იმპერატორმა შორეულ აღმოსავლეთში გამაგზავნა ყვითელკანიანებთან, აინგერესებდა, ჩემი და იმათი შეჯვარება რანაირ შთამომავლობას მოგვეყვამაო. რეზო ჭეიშვილის ნაამბობიც გამახსენდა: – ერთხელ პროფესორი ლევან მენაბდე და მე სუფრასთან შევხვდით გვანჯი ჩიქოვანს, გულთბილი, გულახდილი საუბარი გვქონდა. შევეკითხეთ, მანჯურიასში თუ ბრძანდებით ნამყოფი-თქო. ვაუღებო და გვიპასუხა: კი ვყოფილვარ, მაგრამ არა იმ საქმეზე, თქვენ რომ გტონიათო...

და აი, ახლა, ხელთა მაქვს ამ კაცის ცხოვრების ამსახველი ფურცლები, ნახევარი საუკუნის წინ თავად გვანჯის მონაყოლი და მამაჩემის ხელით ჩაწერილი... შარშან თურმე კიგა ბუაჩიძე თავის არქივს ალაგებდა, აწესრიგებდა... სწორედ ამ დროს წააწყდა ოდესღაც საგანგებოდ შენახულ რვეულებს. ბაგონმა კიგამ ცოგა ხნის შემდეგ, სამუშაო ოთახიდან გამომიგანა ის ორი გახუნებული, ცალხაზიანი, მეტწილად იისფერი მელნით ნაწერი რვეული. აღელვებულმა გამოვართვი. მომეჩვენა, რომ ამ ნაპოვნით მამაჩემმა თვითონვე აღნიშნა თავისი გარდაცვალების ათი წლისთავი. სასოებით მეჭირა ხელში ეს რვეულები. უმალ ვიყანი მამაჩემის კალიგრაფია. ძველებური, ფოლადის კალმითაა ნაწერი. გარკვეული მიზეზის გამო, ჩამწერი თავის ვინაობას არ ამხელს. Тетрадь для записи – აწერია ორივე რვეულს; მეორე შედარებით მდარეა, ნაკლები ხარისხისა და შედლასგამბული ორი სიგყვაც ფრჩხილებშია ჩასმული (под карандаш), მაგრამ იქაც მელნით გაუგრძელებია მამაჩემს წერა და, საბედნიეროდ, დადღაზნილი არ არის, ისიც გარკვევით იკითხება. პირველ რვეულს აწერია: „მემუარები“. 1948 წელი. წარსულის მოგონებანი. გვანჯი ჩიქოვანი. ეს გვარ-სახელი მამაჩემის დაწერილი არ არის. საფიქრებელია, რომ თვითონ ბაგონმა გვანჯიმ წააწერა რვეულის გარეკანს. დიდი

მისვედრა არ იყო საჭირო, ხელთ მქონდა მეგად ძვირფასი და საინტერესო მასალა. ბატონმა კიტამაც მითხრა – თავის დროზე ძალიან გამიტაცა ამ ჩანაწერების კითხვამ, მამამუნიც მითვლიდა, ეგებ გამოგადგეს, შეასწორე და გამოაქვეყნეო, მაგრამ მაშინ საამისო ვითარება არ იყო, ლამის „პერესტროიკამდე“ ვერ გამოიტანდი ამ რვეულებს მზის სინათლეზე. ეგ კი არადა, მაკანკალებდა, ჩემი ბინა არ გაეჩხრიკათ და ხელნაწერი არ ეპოვნათო, იღიმებოდა ჩვენი ბევრის მომსწრე მასპინძელი.

კიტა ბუაჩიძემ მაღლიერების გრძნობით მოიგონა ავჭალის კოლონიის უფროსი, ლავრენტი ბერიას ბიძაშვილი (დედის, დიდად კეთილი და ღვთისმოსავი ადამიანის, მართა ჯაყელის მხრიდან) ილიკო ჯაყელი, რომლის მეოხებითაც კოლონიაში მყოფნი ვერ გრძნობდნენ მაშინდელი რეჟიმის მთელ სისასტიკეს. როგორც შემოთ ითქვა, ბატონ კიტას კოლონიაშივე გადასცეს მამაჩემის ხელნაწერი, მაგრამ ბუნებრივია, ამ რვეულების კოლონიაში დატოვება საშიშად ჩათვალა და თავის დას, ოლია ბუაჩიძეს შინ გააგანა. შეიდი წლის პატიმრობიდან გათავისუფლებულმა საგულდაგულოდ გადამალა, რომ ვინმე სულწაწყმედილ კაცს არ მიეგნო და დროთა განმავლობაში, ეგყობა, ამ რვეულების არსებობა გადააეწიწა კიდეც. არც გამკვირვებია, რომ ასე მოხდა.

ბატონმა კიტამ გაიხსენა ორთაჭალაში პატიმრობის პერიოდი, მითხრა, მამამუნი სანიტარული ნაწილის გამგე იყო, ცალკე ოთახი მქონდა და ყველანი, მათ შორის უფროსებიც, დიდ პატივს სცემდნენო. გვანჯი ჩიქოვანიც იქ ყოფილა იმ დროს, აბანოს გამგეობა ებარა თურმე. მისი ხასიათიდან და უნარიდან გამოვძინარე, უეჭველია, ბატონ გვანჯის, იქაური პირობების კვალობაზე, ყველაფერი იდეალურად ექნებოდა მოწესრიგებული და პატიმართაგანაც, ცხადია, არაფერს ვყოლებოდა მომდურავი.

გვანჯი ჩიქოვანი გაცნობისთანავე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, გამონაკლისი არც მამაჩემი იქნებოდა, დავითსაც დააინტერესებდა მისი უჩვეულო ბიოგრაფია, წარსული. ძალზე შეხმაკტილებულები ყოფილან, ხშირად საუბრობდნენ თურმე და, როგორც ჩანს, მამას მაშინ გასჩენია სურვილი, ფრიალ საყურადღებო თავგადასავლის მქონე პატიმრის ცხოვრების ეპიზოდების ჩაწერისა. მამაჩემი პრაქტიკოსი ექიმი გახლდათ (დაპატიმრებული მეცნიერულ მუშაობას როგორღა გააგრძელებდა), ემარჯვებოდა ავადმყოფთა ისტორიების შედგენა, გამუდმებით უხდებოდა წერა და, ამდენად, არ გაუჭირდებოდა, გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობი შესაფერის ფორმაში მოექცია, ყურადღება არსებითზე გაემახვილებინა.

ბატონმა კიგამ ისიც თქვა – გვანჯი ჩიქოვანი ხშირად ესაუბრებოდა პატიმრების დიდ ქომავს და ფარულ თანამოაზრეს, კოლონიის თანამშრომელს ილი გოგიას, განაპირდებოდნენ, მიდგებოდნენ თურმე მყუდრო ალაგას და საათობით ჭუკჭუკებდნენ მეგრულად.

ილი გოგიას დროდადრო გამოჰქონდა კოლონიიდან პატიმართა წერილები. საპასუხო ბარათებიც მასვე მიჰქონდა. ჩვენთანაც არაერთხელ მოსულა, ბევრჯერ ამოუვლია რკინის ხვეული კიბეები. ლანდალ მახსოვს მომცრო ტანის, ქერა, თმაგაცვენილი, ჭროლათვალეუბა კაცი. შთაწმინდის უბანში ცხოვრობდა. დედაჩემი მის სახელზე ილოცებოდა, ილი გოგიას ოჯახი გაახაროსო ღმერთმა. ჩვენმა ხალხმა, შთამომავლობამ უნდა იცოდეს ასეთი კეთილშობილი პიროვნებების არსებობა, იმ უძნელეს დროში, წარმოუდგენელი გაბედულების ფასად ამოდენა სიქველეს რომ იქმოდნენ. ილი გოგია პატიმრებს (განსაკუთრებით მამაჩემსა და კიგა ბუაჩიძეს) ეხვეწებოდა თურმე – ნუ მაქებთ, ხმამაღლა, სხვების გასაგონად ნუ გამოთქვამთ მაღლიერებას, თორემ ეს ამბავი ჩეკისტების ყურამდე მივა და თქვენთან მეგობრობა არ ჩამივლის კარგად, ხელად გამაუფლებნო. ორმოცდაათიან წლებში ილი გოგიას კოლონიაში მუშაობისთვის თავი დაუნებებია და რესტორან „ორიენტში“ აღმინისტრატორად დამდგარა. კიგა ბუაჩიძე ხშირად აკითხავდა ხოლმე და ეს ყურადღება, ეგყობა, ძალზე სიამოვნებდა. ათასობით პატიმარს გამოუვლია ჩემს ხელში და იმათგან შენ ერთს გახსოვარო, უთქვამს. მალე კიდევაც გარდაცვლილა ეს მაღლიანი კაცი. ცხადია, მამაჩემსაც მუდამ ახსოვდა მისი ამაგი და ილის უდროოდ სიკვდილი რომ არა, გადასახლებიდან დაბრუნებული, უთუოდ მოინახულებდა და პატივისცემასაც არ დააკლებდა ყოვლად უუფლებო, გაგანჯულ პატიმართა უანგარო ქომავსა და კეთილისმყოფელს.

ამ რევულების ნახვამ და მამაჩემის მეგობრის ნაამბობმა მრავალი ფიქრი წამოშალა ჩემს აგზნებულ გონებაში, ბევრი რამ გამახსენა. მამა დააპატიმრეს დილით, 1942 წლის 25 ნოემბერს (ორი დღის მერე მე შვიდი წელი უნდა შემსრულებოდა, იმხანად მამიდაჩემთან, სოფელში მყოფს) ბავშვთა საავადმყოფოში ღამენათევარი, მორიგეობის შემდეგ მაშინდელ ათარბეგოვის ქუჩაზე მიმავალი. შვიდი წელი აქ კყავდათ, ჯერ ორთაჭალის ციხეში, მერე იქვე, მეორე კოლონიაში. 1949 წელს, პოლიტპატიმართაგან ერთ-ერთი უკანასკნელი, გადაასახლეს თითქმის ყინულოვანი ოკეანის სანაპიროსთან, ქალაქ ვორკუტაში და იქაც შვიდი წელი ამყოფეს. 1956 წლის შემოდგომაზე, როცა იგი სამშობლოში დაბრუნდა, მე ოცდაერთი წელი მისრულდებოდა. ძნელია იმ განცდის

სიგყვიერად გადმოცემა, თბილისის ვაგზალში რომ დამეუფლა მის დანახვაზე. ვაგონიდან გადმოვიდა თუ არა, ხელში ავიგაცე იმოდენა კაცი, დავაგრიალე, ვეხვეოდი უსაზღვროდ გახარებულს, სახეზე წამოწითლებულს, მომღიმარს, უბრალო, თეთრძაფუგარეული, ღია მწვანე, ბამბის კოსტუმი ეცვა, სათვალის შუშები მზეზე უბრწყინავდა. ის დღე, ალბათ, ყველაზე ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

ვინ მოსთვლის, ამ დღის დადგომამდე რამდენი ვაება და უბედურება გამოიარა ჩვენმა ოჯახმა. შეიძლება ითქვას – ბავშვობა ციხის კარებთან მაქვს გატარებული. დათქმულ დღეს (ყველაფერი დაწესებული იყო) საცოდავი დედაჩემი და მე კოლმეურნეობის მოედნამდე ხელით მივათრევდით ამანათს. იქ ჩამოდგებოდა თერთმეტი ნომერი გრამფაი და ორთაჭაღისკენ წაგვახრიტინებდა. საათობით გვიხდებოდა ლოდინი, სანამ წამით გახსნილი პატარა სარკმლიდან მიგანილი ამანათის გადაცემას გვამცნობდნენ. ზოგჯერ ახლაც მომელანდება ხოლმე წრედარტყმული, ორვაგონიანი წითელი გრამფაის გლანქად გადაღებილი, ატკეჩილი კოფო (აფთიაქთან მოუხვევდა და ჩერდებოდა); იმ გაუხარულ, ბურუსიან დღეებში დაინთქა დაბალ, დანისპირივით ალესილ ღიანდაგებზე იმ ვაგონების რწევა და უსიამო ხრჭიალი...

ასეთი რამეც მომხდარა – მამაჩემი, როგორც ექიმი, სჭირდებოდა კოლონიის უფროსობას და ზოგჯერ ქალაქშიც გამოჰყავდათ. ასეთ დროს, მყირე ხნით, სახლშიაც ამოგვაკითხავდა ხოლმე, ახლობლებიც, ნათესაებებიც მოუნახულებია.

ერთხელ, 1948 წლის ზაფხულში (სწორედ ამ წელს არის ჩაწერილი გვანჯი ჩიქოვანის მოგონებები), კეთილმა ადამიანებმა იმდენი მოახერხეს, მეც გადავაბიჯე კოლონიის რკინის კარის ზღურბლს, იქ დავრჩი და ერთი დამე მამაჩემის გვერდით გავათენე. კარგად მახსოვს, როგორ მომატარა მამამ კოლონიის მოზრდილ გერიგორიაზე განლაგებული სხვადასხვა სახელოსნოები და საამქროები. იქაურობა ძალიან მომეწონა, უამრავი მშვენიერი ნაკეთობა ვნახე. რალაცეები კიდევაც მისახსოვრეს – შიგნიდან ლამაზად, ნაირფერად მოხატული წიფლის ხის კოხგა, ლაქით გაპრიალებული სათუთუნეები (სახურავეებში ღერძად პატიუონის ნემსები იყო გაყრილი და მჭიდროდ იკეცებოდა), ნაირ-ნაირი კოლოფები, ძეწკვები... ცხადია, იმ ნივთებიდან არაფერი შემომრჩა – ზოგი გამიგყდა, ზოგიც მაშინვე გავაჩუქე. იქ თან დამყვებოდა და ტკბილეულით მანებიერებდა ექთანი, მამაჩემის დამხმარე და პატივისმცემელი, კეთილი ქალბატონი – კატუშა ინაკავაძე. მისი ქალიშვილი, თბილისის ერთ აფთიაქში პროვიზორად მომუშავე, ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც რეცეპტი გავუწოდე,

გამომენაურა. კარგა ხანს გულთბილად ვისაუბრეთ.

მოგვიანებითაც არაერთხელ მინახავს პაგიმართა მიერ ციხეში დაშვადებული სხვადასხვა ნივთები (კრიალოსნები, ბეჭდები, ყელსაბამები, სამაჯურები, საეარცხლები, დანები, კამათლები, ხეზე ამოკვეთილი თუ ამომწვარი პორტრეტები, ხატები, ჯვარცმები და სხვა), გავუოცებივარ ნამუშევართა სინაგიფს.

შავი სამყაროდან გამოსული და ციხეებში მრავალგზის ნაჯდომი, სახელგანთქმული ფრანგი მწერალი ჟან ჟენე თავის გახმაურებულ ავტობიოგრაფიულ რომანში „ქურდის დღიური“ საგანგებოდ აღნიშნავს პაგიმართა ამ გასაოცარ უნარს, როცა მათი თითები ასანთის ღერებიდან, თოკისგან, მუყაოს ნაჭრებისა და ვინ ჩამოთვლის, რისგან აღარ, სასწაულებს აკეთებენ და ამ თავისებური შედეგებით კიდევაც ამაყობენ. ჟენეს ოსტატურად აქვს მომარჯვებული თავისი „შავი იუმორი“ და იქვე წერს – ციხეში მოსული მნახველები ისევე ასხამენ ხოტბას, ვთქვათ, კაკლის ნაჭუჭისგან პაგიმორის მიერ გაკეთებულ სამელნეს, როგორც ძაღლებს და მაიმუნებს აქებენ, როცა მათი ეშმაკური მოსაზრებულობა აოცებთო.

მამაჩემმა, სანამ შორეულ ვორკუგაში ბაქოს გავლით გადაასახლებდნენ (მახსოვს, დედაჩემს აცყობინებდა ღია ბარათით, ჩემოდანი და ლეიბი ბაქოში დაგვოვო), სახლში უმარმამზარი ხის ყუთი გამოგვიგზავნა. სამედიცინო წიგნების გარდა, მხატვრული ლიგერატურაც იყო. რამდენიმე წიგნი დღემდე შემომჩრა. იმ ყუთშივე ვნახე საბუღალტრო ბლანკების მეორე მხარეს დაწერილი და ძაფით აკინძული მამაჩემის პიესა (კომედია), რომელიც კოლონიაში მოხვედრილი გრიგოლ კოსტავას თხოვნით დაეწერა. ჩვენი შესანიშნავი მსახიობი (რომ დასცლოდა და ისიც არ გადაესახლებინათ) იმ კომედიის დადგმას აპირებდა თურმე. სცენისმოყვარე პაგიმართა დასი ჩამოუყალიბებია იქვე. პიესა საკმაოდ ცოცხლად, მახვილგონივრულად იყო დაწერილი, თავთავიანთ კილოზე მეტყველებდნენ შიგ გამოყვანილი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები (ქართველი, ებრაელი, სომეხი, ოსი და სხვები), კომედიურ სიგუაიციებსაც არა უშავდა. რამდენიმე ახლობელსაც წაუვა კითხვ, მოეწონათ, მაგრამ კითხვა-კითხვაში დაიშალა, ფურცლები დამეფანგა და, საბოლოოდ, ის პიესა დავკარგე.

ახლა რომ ვუკვირდები, გულახდილად უნდა ვთქვა – კიდევ კარგი, გვანჯი ჩიქოვანის ცხოვრების ჩანაწერები მამამ თავის მეგობარს, კიკა ბუაჩიძეს გაუგზავნა და შიაბარა, თორემ იმხანად ამ რვეულების ფასი მე არ ვიციოდი და ვერც შევიანახავდი, სხვა რამეებით განადგურდებოდა.

მედმეტი იქნება იმის აღნიშვნა, რომ ბატონ კიკასგან მინ დაბრუნებულდი, როგორი მღელვარებითა და რა გულისყურით წავიკითხავდი მისგან

გადმოცემულ რეეულებს. ამ ფერგადასული, ეპითასელისგან გაცრეცილი ფერცლების კითხვა რომ მოვათავე, გონებაში უნებურად ამოტივივდა გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის სტრიქონები, სხვა დროს და სხვა შემთხვევის გამო დაწერილი:

მას შემდეგ ორმოცდარვა
უმძაფრესი წელია...

მართლაც უზარმაზარმა, გრაგელიებითა და მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებით, სისხლის ტბებითა და უდიდესი ძვრებით აღსავსე ეპოქამ გაიარა მას „შემდეგ“. ჭეშმარიტად „უმძაფრესი წლების“ მოწამენი გავხდით; რამდენი რამე მოხდა განვლილ დროში, რა აღნუსხავს, ვისი თვალი და გული გასწვდება ყოველივეს...

ამჟამად სულ სხვა რამეზე ვწუხვარ – ხანდახან მამაჩემი ყვებოდა ციხის ამბებს, სხვათა თუ საკუთარ თავს გადამხდარს. იმ მონათხრობიდან ზოგი მახსოვს, უფრო მეტი დამავიწყდა. ენანობ, რომ მაშინვე არ ჩავინიშნე, რასაც ამბობდა. ერთხელაც რომ მეხსენებინა გვანჯი ჩიქოვანი, უმაღლ გაახსენდებოდა კოლონიაში მასთან მეგობრული ურთიერთობა და ეჭვი არ მეპარება, მამაჩემი ბევრ ისეთ რამეს მეტყვოდა ამ დიდებულ პიროვნებაზე, რაც მიზეზთა გამო რეეულებს მიღმა დარჩა.

მოგონებების ჩაწერისას გვანჯი ჩიქოვანი, როგორც თავად ამბობს, მეშიდე ათეულშია გადამღვარი. ასაკი ხელს არ უშლის, ზუსტად გაიხსენოს, რისი მომსწრე და მხილველიც იყო, წელი, ზოგჯერ თვე და რიცხვიც კი ზუსტად დაასახელოს, მაგრამ, ბუნებრივია, ამ შეკუმშულად მონათხრობში ყველაფერს ვერ მოყვებოდა; ზოგი რამ განზრახ არ გაამხილა, შეგნებული ღუმილი ამჯობინა, ზოგი შემთხვევა კი, დროთა განმავლობაში, ალბათ, დავიწყების ბურუსმა დაფარა.

როცა წარსულის გაცოცხლებას ლამობ, კაცმა არ იცის, ამ დროს რა გაკრთება გონებაში. შესაძლოა, ამის გამოც წერს ანა ახმაგოვა ერთ თავის დღიურში: „აღამიანის მეხსიერება ისეა მოწყობილი, რომ იგი, პროექტორის მსგავსად ანათებს ცალკეულ მომენტებს, ირგვლივ კი გაუჭრელ წყვლიადს გოვებს“.

ამდენად, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ გვანჯი ჩიქოვანმა ბევრი რამ ვერ ან არ გაიხსენა. ჩვენ შევეცდებით, ალაგ-ალაგ დამატებითი მასალები და ცნობები მოვიხმოთ და ნაკლები ადგილები შეძლებისდაგვარად შევავსოთ, ზოგიერთ შემთხვევაში ძირითად ტექსტს კომენტარები აქვე დავურთოთ, რათა მკრთალი მონახაზი უფრო გამოიკვეთოს და ეპოქის სურათი რამდენადმე სრული ვახდეს.



გვანჯი ჩიქოვანი
1965 წ.

მეტად სასიამოვნო და ერთგვარ სიმბოლურ ფაქტადაც უნდა მივიჩნიოთ, რომ შარშანვე ქუთაისში (გამომცემლობა „ავტოგრაფი“) გამოვიდა ვლადიმერ ჭანტურიას (იგი გვანჯი ჩიქოვანის შეილიშვილის ფლორა კეშელავას მეუღლეა) მცირე მოცულობის, მაგრამ არაერთი მნიშვნელოვანი, უცნობი მასალის შემცველი წიგნი „გვანჯი ჩიქოვანი“.

ვლადიმერ ჭანტურიას წიგნში ზოგიერთი უნებლიე უზუსტობაა გაპარული, მაგრამ ეს ნაშრომი, უმეტეს შემთხვევაში, მეტად საყურადღებო ეპიზოდებით ავსებს თვით გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებს, რაზედაც გზადაგზა ვიგყვით. ამ მცირე მონოგრაფიის ღირსება ისიცაა, რომ მასთან ერთვის იშვიათი ფოტოები

და გვანჯი ჩიქოვანის მეგრულად დაწერილი ლექსები. აქვეა გვანჯისადმი მიძღვნილი პოემაც (იგი სიმონა დოლიძეზე და სიმონა დარჩიაზე შექმნილ სიმღერა-ბალადებს გვაგონებს), რომელიც ცნობილ სახალხო მთქმელს დავით ჭითანავას ეკუთვნის. ყოველივე მარჯვედ, ოსტატურად გადმოუქართულებია გოგი შონიას, დავით ჭითანავას პოემისთვისაც მას დაურთავს შაირითვე გამართული მშვენიერი მძაფრი ეპილოგი.

მართლაც, „ლეგენდად მორაული“, ჭეშმარიტად დიდი კაცის მნახველნი და მომსწრენი დღესაც ამბობენ, რომ გვანჯის სიგყვას თავის კუთხეში, სამეგრელოსა და აფხაზეთში, ოქროს ფასი ჰქონდა, მრავლად შეურიგებია მოსისხლენი, მრავალი აღამიანისათვის უშველია და სასიკვდილო საფრთხისგან დაუხსნია. შუამავლობა, ერთმანეთზე გადაკიდებულ მოშუღართა შერიგება სულაც არ გახლავთ უბრალო რამ – „ენცეადების“ ავტორი, ანტიკური სამყაროს გენიალური მოაზროვნე, ფილოსოფოსი პლოტინი, თანამედროვეთა შორის ამითაც იყო სახელგანთქმული. გვანჯი ჩიქოვანი მგრებსაც კი ისე ექცეოდა, რომ ერთბაშად ანიარაღებდა ყველას,

ვის გულშიაც შურისძიების გრძნობა იყო დაბუდებული. ამ მხრივ იგი ჭაბუა ამირეჯიბის რომანის მთავარ გმირს დათა თუთაშხიას მოგვაგონებს. გვანჯი ჩიქოვანის ამ უნიკალურ, შესაშურ თვისებას სახალხო მთქმელი ქებით იხსენიებს:

უკადრებელს არ იკადრებს, იცის თავის დაფასება,
ყველგან შორიგ-შოთავეა, ჭირია თუ დაბადება,
საქმე მეგად დახლართული, თუკი ძნელად გადაწყდება,
ერთს იტყვის და შოათაეებს, არ სჩვევია გადადება.

პოემის პირველსავე სტროფში მთქმელს მარჯვედ მოუხაზავს გვანჯი ჩიქოვანის შთამბეჭდავი გარეგნული პორტრეტი და მისი რაინდული, კეთილშობილი სულის სიდიადე:

ბეული თავადიშვილია დიდი გვანჯი ჩიქოვანი,
მასზე ლექსი რომ დაეწერო, თავი ვალდებულად ვყანი,
დაბადებით დაენათლა არამზუგუს სივრმე-განი,
ჭკუა, გონება და სიბრძნე შესაფერი, შესაგვანი.

მონოგრაფიის ავტორს მოკლე მიმოხილვაში მოხმობილი აქვს შუგლი-დისადმი მიძღვნილი გარიელ ჭანტურიას ლექსი, სადაც მეგად უშუალო, საგულისხმო სტრიქონებია:

შენი გვანჯი ჩიქოვანით,
საშა ეგუგათით,
სულ ასეთი უნდა იყო -
უბრალო და დიადი...

გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში ერთ-ერთი ცენტრალური და განმსაზღვრელია ის ეპიზოდი, როცა ნათესავის, კონსტანტინე დადიანის ოჯახში დამალული ბიძაპისის (დედის ძმა), სამართლიანობით, ვაჟკაცობითა და თვალტანადობით განთქმული პიროვნება გიდ ემხვარი თავდამსხმელს, პოლიციელთა რაზმის მეთაურ გოგოლიშვილს (ვლადიმერ ჭანტურიას წიგნიდან ირკვევა, რომ მას გიგიკო რქმევიცა, თუმცა ზოგიერთ ცნობარში ურიადნიკი გოგოლიშვილი კოწიადაც არის მოხსენიებული) კლავს და თვითონაც მისი ნასროლი გყვიით კვდება. ამ დროს გიდ ემხვარს ბაღში, წაბლის ხის ძირას ეძინა, იქ დაადგნენ თავზე და ესროლეს. სასიკვდილოდ დაჭრილი გიდ ემხვარი ურიადნიკ ბერიძესაც თან გაიყოლებს და ასე აუხდება გრძნეული სიმმარი, დალუპვამდე დისწულს რომ უამბო. გვანჯი თვითმხილველი და მოხრობელია ამ ამბისა და მისი ნათქვამი (როგორც ეტყობა, არსებობს სხვა ვერსიაც) უფრო სარწმუნო და დამაჯერებელია.

გვანჯი ჩიქოვანი ხშირად ზეპირად წარმოსთქვამდა თურმე ამ თავდადებულ გავი შეგაკების ამსახველ ხალხურ ყაიდაზე გამოთქმულ ლექსს („ლომმა ვეფხვსა შეუტია...“).

ვლადიმერ ჭანგურიას თავის წიგნში მოაქვს ერთი მეგად ძვირფასი ცნობა და თვალნათლივ წარმოგვიდგენს გვანჯი ჩიქოვანის დიდებული ხასიათის შემოთ ნახსენებ გამორჩეულ თვისებას, მის გასაოცარ უნარს – ერთმანეთთან შეერიგებინა და დაემოყვრებინა თვით მოსისხლე მტრებიც კი:

„1923 თუ 1924 წელს ბათუმში სტუმრად მყოფ გვანჯის თან ხლებია ბიძაშვილი ჯანსუღ ემხვარი (ბიძის სახელი ერქვა) – და კიდევ რამდენიმე პირი. ბათუმელებს მათთვის კარგი პურ-მარილი გაუმართავთ. კარში შემთხვევით შემოუხედავს ერთ ლამაზ ახალგაზრდას. მოქეიფე ბათუმელებმა იცნეს იგი და სუფრასთან მიიპაგიეეს, შემოსულს სტუმრები გააცნეს. როცა ახალგაზრდამ ხელი ჩამოართვა ჯანსუღს და ამ უკანასკნელმა წარმოთქვა საკუთარი გვარი – ემხვარი, შემოსწრებულს უთქვამს: – დიდი ხნის წინათ შენმა სახლიკაცმა მოკლა მამაჩემი სოფელ ჭკადუაშშიო.

გვანჯი მაშინვე მიხვდა, რომ შემოსული ახალგაზრდა სწორედ გიდ ემხვარის მიერ მოკლული გოგოლიშვილის შვილი იყო. არისტოკრატიული მანერებით, დინჯი და დარბაისლური საუბრით ჯერ მოხიბლა ეს ახალგაზრდა კაცი, შემდეგ კი დაწვრილებით მოუთხრო იმის შესახებ, თუ რა მოხდა გიდ ემხვარსა და გოგოლიშვილს შორის. ერთი პოლიციელი იყო, მეორე – აბრაგი. განგებამ ისინი პირისპირ შეახვედრა, სახელი არ შეურცხვენიათ და ვაკეპურად შეაკვდნენ ერთმანეთსო.

– თქვენ მათი შვილები ხართ, როგორ მოიქცევით თქვენო? – შეეკითხა გვანჯი გოგოლიშვილს.

გვანჯისა და სუფრის წვერთა საქციელით მოხიბლულმა სტუმარმა დაუფიქრებლად უპასუხა: – ჩვენ ძმები ვიქნებითო.

ჯანსუღ ემხვარმა და გოგოლიშვილის ვაჟმა გადაკონცნეს ერთმანეთი, ხოლო სუფრის წვერებმა ფეხზე წამომდგრებმა დალიეს მათი დაძმობილების საღვებრძელო“.

გვანჯი ჩიქოვანის მემუარების პირველივე ეპიზოდების კითხვისას ჩემს წარმოსახვაში უნებურად ცოცხლდებოდა ჭაბუა ამირჯიბის „დათა თუთაშხიას“ სამყარო (აბრაგისა და ქანდარმების დაპირისპირება, სისხლიანი შეგაკებები, დაპაგიმრება, ციხე, პაგიმრების გაქცევა, სუფრებზე ქართული დროსტარებანი, რევოლვერის მიზანში სროლა და მისთანანი), თითქმის იგივეა მოქმედების ძირითადი ადგილი და ეპოქავ ემთხვევა,

ბევრ შემთხვევაში გიპაქიყ მსგავსია და ეს იმაზე მეტყველებს, რაოდენ ღრმად შეუსწავლია რომანის ავტორს ჩვენი ქვეყნის შედარებით ახლო ისტორიული წარსული, სამეგრელოს ყოფა.

ვლადიმერ ჭანგურიას წიგნიდანვე ვიგებთ, რომ რევოლუციის მოხდენისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, საქართველოს შინაგან სამინისტროში გამომძახებული გვანჯი ჩიქოვანი, როგორც გამოცდილი ოფიცერი, ჯერ ცხინვალში გაუგზავნიათ, ხოლო მერე აჭარაში მიუვლენიათ მილიციის კომისრად. ამ თანამდებობაზე ყოფნისას დიდი სიმამაცე გამოუჩენია, თავზეხელაღებულ ავაზაკებს ებრძოდა თურმე. ბოლშევიკების შემოსვლას აჭარაში დახვედრია და ერთხანს (1924 წლამდე) იქვე გაუგრძელებია მუშაობა.

გარკვეული მოსაზრების გამო თავისი ცხოვრების ამ პერიოდზე მრავალჯერ რეპრესირებული გვანჯი ჩიქოვანი არაფერს ამბობს. ცხადია, გვანჯისთანა გამორჩეული და ავტორიტეტული პიროვნება, უსასტიკესი კომუნისტური რეჟიმის დროს, მიზანში ეყოლებოდათ ამოდებული და ქამიდან ქამამდე არ მოასვენებდნენ.

1924 წლის გამოსვლების დროს, როცა მთელმა საქართველომ საშინელი რბევა, განადგურება და დახვრეგები განიცადა, სხვა ღირსეულ პიროვნებებთან ერთად გვანჯი ჩიქოვანიც დაუპატიმრებიათ, ექვსი თვე სოფელ ლიის ციხეში ჰყოლიათ გამომწყვდეული, ვერავითარი დანაშაული ვერ უპოვეს და იძულებული შეიქნენ, გაეთავისუფლებინათ. არაერთი უსიამოვნება დააგებეს თავს მის ოჯახს, შვილებს. რა გასაკვირია, 1937 წელსაც რომ დაიჭირეს, მაგრამ დალუპვას მაშინაც გადარჩა. ვინც იცნობდა, თურმე ყველა ერთხმად ამბობდა – გვანჯის ბრალი არაფერში არ მიუძღვის, მისი გარეგნობა, ფიზიკური აღნაგობა ღუპავსო, აღნაგობა კი მართლაც გოლიათური ჰქონდა, ორ მეგრზე მაღალი ყოფილა.

ომის დაწყების დროს გვანჯი ჩიქოვანს ახალი პროვოკაცია მოუწყვეს. სინდისგარეცხილმა ადამიანებმა (სამმა ცრუმოწმემ) ალალ-მართალი კაცი დაასმინეს, ფაშისტური გერმანიის გამარჯვებაზე ოცნებობსო და მალე სასამართლოც მოუწყვეს. ზუგდიდის მაშინდელი უშიშროების უფროსი, ვიდაც არაკაცი, თურმე გრაბახობდა და შეიმობდა ასეთი გამოჩინებული პიროვნების „გაუვნებელყოფას“.

ვლადიმერ ჭანგურიას ძალზე მკაფიოდ, სურათოვნად აქვს გადმოცემული ეს ეპიზოდი, რომელსაც სიცხადე შეაქვს გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში, ნათელს ფენს მისი დაპატიმრების გარემოებას, რაზედაც თვითონ მხოლოდ მოგადად მიგვანიშნებს. შეუძლებელია, ეს გულისშემძრავი ამბავი

წაიკითხო და განში ქრუნანგელმა არ დაგვიაროს. აი, რა ხდება ამ სამარცხვინო, უნიჭოდ დადგმულ „სასამართლო“ ფარსზე:

„ვინ იყო სიმართლის გამგონე, გამზიარებელი. გვანჯის არც მოუსმინეს, სასამართლომ მას რვა წელი მიუსაჯა. მოსამართლემ განაჩენის წაიკითხვის შემდეგ გვანჯის მიმართა:

– უკანასკნელი თხოვნა ხომ არა გაქვთ რამე?

– მე ვიცი, განწირული ვარ, სათხოვარიც მაქვს, მაგრამ რად მინდა ვთქვა, სულერთია, თქვენ მას არ ამისრულებთო, – უპასუხა გვანჯიმ.

– თქვენს თხოვნას მოვისმენთ და შევეცდებით, შეგისრულოთო, – უპასუხეს „სიმართლის დამცველებმა“.

– მე ისეთი რამე უნდა გთხოვოთ, რომელსაც თქვენ ვერ ამისრულებთ, რადგან ასეთი რამ კანონში არ გიწერიათო.

– თქვით მაინც! უთხრეს მას.

როცა სასამართლო დარბაზი დაწყნარდა, გვანჯიმ დაიწყო დინჯად:

– მე მინდა გთხოვოთ, რომ ნახევარი საათით გამიშვათ სახლში, გუფიციბით სინდისსა და პაგიოსნებას, ნახევარი საათის შემდეგ დავბრუნდები და ჩაგბარდებითო.

– კი, მაგრამ რა მიზნით, რა უნდა ჰქნათ ამ ნახევარ საათში? – ჰკითხეს მას.

– აგერ, ეს კაცი, – თითი მიუშვირა მან ერთ-ერთ ცრუ მოწმეს, – მასწავლებელია, იგი ჩემი შვილებისა და ბევრი სხვისი შვილის აღმზრდელია, მაგრამ ასეთი სულმდაბალი კაცი ვერ შეძლებს ღირსეული აღამიანების აღზრდას, მათ ჩაუნერგავს უწმინდურ სულს, ისეთს, როგორიც თვითონ აქვს. იგი დაამახინჯებს მათ, აღზრდის არაკაცებს, სხვის შვილებს ჯვარი სწერია, მე კი სახლში იმიგომ მინდა წასვლა, რომ ბოლო მოვეულო ჩემს შვილებს, ამის აღსაზრდელებს, რომ მომავალ საქართველოს ჭირი მოვაკლო და საზრუნავი შევუძმეცრო.

ხალხი ფეხზე ადგა, ყვიროდნენ: „გაანთავისუფლეთ მართალი კაცი“, მაგრამ ვინ იყო შემსმენი. მას ბორკილები გაუყარეს და საპყრობილეში გაგზავნეს“.

დაპატიმრებულ გვანჯი ჩიქოვანს წერილი გაუგზავნია სგალინისთვის, ფოტოც დაურთავს, შეუხსენებია, რომ ქუთაისის ციხეში ისინი ერთად ისხდნენ ახალგაზრდობისას. სარწმუნო ცნობად აცხადებენ, თითქოს სგალინს მომართვა გამოეგზავნოს საქართველოს მაშინდელი პროკურორის ვ. შონიას სახელზე, მაგრამ ამას პატიმრის ბედზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

გვანჯი ჩიქოვანის სულის სიღრმეზე, ჭეშმარიტად ქრისტიანულ ბუნებაზე მეტყველებს ის კეთილშობილური საქციელიც, რომ საპატიმროდან გამოსვლისა და რეაბილიტაციის შემდეგ მან სულგრძელად მიუტევა სამივე „მოწმეს“, სამივენი ადრე დაიხოცნენ და ყველა მათგანის სატირალში მისულა, სამძიმარი უთქვამს. ამ საქციელითაც ენათესავენა იგი ღვთაებრივი ძალმოსილების რაინდს – დათა თუთაშხიას, ვინც სიგლახესა და ბოროტებას სიკეთით ჯაბნდა.

გვანჯი ალექსის ძე ჩიქოვანი გარდაცვლილა 1969 წლის 9 სექტემბერს (ოთხშობილსა და პარაკლესის დღე დაკლებია), დასაფლავებულია მშობლიურ სოფელ ჭკადუაში. თვითონ გვანჯი ჩიქოვანი თავისი დაბადების თარიღად 1881 წელს ასახელებს. ვლადიმერ ჭანტურია წიგნის მიხედვით დაბადებულია 1879 წლის 11 სექტემბერს, იმავე სოფელში.

განსხვავება ორ წელიწადშია, მაგრამ 1879 წელი უფრო სარწმუნო ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ მონოგრაფიის ავტორს საარქივო დოკუმენტები ექნება მოპოვებული და შესწავლილი.

ვლადიმერ ჭანტურიას წიგნიდან იმასაც ვიგებთ, რომ გვანჯი ჩიქოვანის ერთ ბიძას, ვიდ ემხვარის ძმას, ომარი რქმევია. ომარის ერთ-ერთი ვაჟი თამაშუხ ემხვარი მეფის ოფიცერი ყოფილა და რევოლუციის შემდეგ, როცა მეფის გვარდია დაუშლიათ, სამშობლოში, სოხუმში დაბრუნებულა. ერთ დღესაც იგი ქუჩაში გადაყრია ნავსადგურში შემოსული გემის რევოლუციურად განწყობილ მეზღვაურებს, რომელთაც თამაშუხი მასხარად აუგდიათ და მეფის ოფიცრის ბრჭყვიალა სამხრეები აუგლეჯიათ. შეხლა-შემოხლაში თავმოყვარე, ფიცხ თავადს რამდენიმე მეზღვაური მოუკლავს და თავლის დახამხამებაში მიმალულა. რევოლუციურ გემს ქალაქის ხელმძღვანელობისთვის ულტიმატუმი წარუდგენია, თუ სადამომდე მეზღვაურთა მკვლელს არ გადასცემდნენ, სოხუმს ზარბაზნებს დაუშენდნენ... ეს არ იყო გყუილი მუქარა.

სოხუმელებს სხვა გზა აღარ ჰქონდათ და თამაშუხ ემხვარი გამხეცებული მეზღვაურებისთვის გადაუციათ. გემბანზე თავადიშვილი იმათ კვლავ აბუჩად აუგდიათ და უწვალებიათ. თამაშუხს უეცრად ილიაში დამალული ბრანინგი დაუძვრია და ორი კაცი დაუცხრილავს. ამის მერე, გაცოფებულ მეზღვაურებს თამაშუხ ემხვარი გემის საქაბეში ჩაუგდიათ და ცოცხლად დაუწვავთ.

ვლადიმერ ჭანტურია აქვე აღნიშნავს: „ეს ისტორია რამდენადმე გადასხვაფერებულად და მხატვრულ ფორმებში აღწერილი აქვს მწერალ დეო ქიაჩელს თავის მოთხრობაში „ჰაკი აბბა“.

ლეო ქიაჩელს სინამდვილეში მომხდარი თავისებურად რომ ვადაცხარმა, არ ვადაესხვაფერებინა და არ ვადაეაზრებინა, შესაფერისი ფორმა და ფსიქოლოგიური სიმართლე რომ არ მიეცა, მის უბრწყინვალეს მოთხრობას, ქართული პროზის ერთ-ერთ შედეგს, ასეთი სახე არ ექნებოდა.

ერთი ცნობილი ლიგერაგურათმცოდნის ნათქვამი რომ გამოვიყენოთ – დამაჯერებლად, მართლად მხოლოდ ის შეიძლება მოჰყვე, რაც არა უბრალოდ „იყო“. აქ იგულისხმება „უმაღლესი სიმართლე“, რაც მხატვრულ გამონაგონს უკავშირდება.

მწერლის ამ უფლებას, ცხადია, ვერავინ გახდის საეჭვოდ. შეუსაბამობად მიგვაჩნია სხვა გარემოება – ვლადიმერ ჭანტურია იმოწმებს სოხუმის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგის, განათლებული და კეთილშობილი პიროვნების ნიკანდრი ბასილაიას 1954 წლის ნაამბობს. ამ აღამიანს ახალგაზრდობისას, სოხუმში გაუვია მომხდარი გრაგედიის შესახებ და ჰყვება სხვისგან მოსმენილს. ამიგომ ზოგიერთ რამეს ლეგენდის შეფერილობა აქვს – გამოთქმულია ჩვენთვის ნაკლებად სარწმუნო მოსაზრებად, თითქოს ეს ამბავი გახდა საბაბი ვიდ ემხვარის ყაჩაღად გავარდნისა:

„სწორედ ამ ოფიცრის (მას თამშუხი ერქვა) ისტორიასთან არის დაკავშირებული გვანჯის მეორე ბიძის ვიდ ემხვარის ისტორიაც.

მომსწრენი იგონებენ, რომ სწორედ იმ დროს, როცა გრაგედია დაგრიალდა თამშუხ ემხვარის თავზე, იქვე, შორიახლო მჯდარა ვიდ ემხვარი. როგორც კი შეიგყო ეს ამბავი, იგი პორტისკენ გაიქცა, სადაც უცაბედად რუს ჯარისკაცებს გადაეყარა და ერთი კაცი შემოაკვდა. ამის შემდეგ, იგი ტყეში გაჭრილა აბრაგად. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან დასალუჟად ვანწირული თავადაზნაურობის უკანასკნელი იმედი სწორედ ეს გზა იყო, სხვა გზა მათ მოჭრილი ჰქონდათ“.

გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობიდან სრულიად აშკარაა, რომ მისი საყვარელი ბიძა ვიდ ემხვარი პოლიციელებთან შეჯახებისას 1901 წლის ივლისში დაღუპულა. ამ თავდასხმის დროს თვითონ ვიდ ემხვარმა მოკლა ორი კაცი – რაზმის მეთაური ვოგოლიშვილი და ურიადნიკი ბერიძე. სოხუმში მომხდარი გახმაურებული გრაგედიის დროს, დაღუპვიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ, ვიდ ემხვარი სოხუმში ვერ იქნებოდა და ძმისწულის მისამველებლად ვერ გაიქცეოდა. ლეო ქიაჩელს დოკუმენტური სიმუსკით აქვს აღნიშნული, რომ მის მოთხრობაში აღწერილი ამბავი

მოხდა 1918 წელს, როცა რუსეთში უსასტიკესი სამოქალაქო ომი მძვინვარებდა.

ისივე უეჭველია, ბიძაშვილის, თამაშუხ ემხვარის, ჯოჯობეთური წამების ამბავი გვანჯი ჩიქოვანს დაწერილებითა და სხვებზე უკეთ ეცოდინებოდა (პირველი მსოფლიო ომის დროს ისინი ერთად მსახურობდნენ კავკასიურ, ე. წ. „ველურ დივიზიაში“), მაგრამ 1948 წელს, საბჭოურ პატიმრობაში მყოფი, ვერ გაამხელდა, რომ მისი სისხლით ნათესავი რევოლუციონერ მებღვაურებს შეეჯახა, რამდენიმე მათგანი მოკლა და თვითონაც დაიღუპა, როგორც ემსხვერპლა ეს ამბავი ვაქცაყი მათ ცინიზმსა და გაუგონარ ბარბაროსობას.

თუ რამდენად თავმარადამკემი, ჭკუიდან შემშლელი ყოფილა ეს წამება, ამის წარმოსადგენად ერთი ფაქტიც კმარა – გაგრის ძველმა მკვიდრმა, ამჟამად დევნილმა ქალბაგონმა საშურა შენგულაიამ (იგი თამაზ ნადარეიშვილის დედა გახლავთ) მიაბმო, რომ თამაშუხ ემხვარის უახლოესმა, განუყრელმა მეგობარმა, ოფიცერმა კონსტანტინე ლაკერბაიამ, ამ წრეგადასული საღიშმის თვალით მხილველმა, სოხუმიდან გუდაუთაში დაბრუნებისთანავე, საკუთარ ოთახში ჩაკეტილმა რევოლვერით მოიკლა თავი.

მრავალჯერ თქმულა და დაწერილა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას საუკეთესო რომანის „მთვარის მოგაყების“ ერთ-ერთი მთავარი გმირის, ნათავადარ გვანჯი აფაქიძის პროტოტიპი გვანჯი ჩიქოვანია. თვით ამ ნაწარმოებში, აგრეთვე ვლადიმერ ჭანტურიას ხსენებულ წიგნში უხვად არის ამის დამადასტურებელი მასალები.

ვლადიმერ ჭანტურიას მოაქვს ჟურნალისგ ისაკ ქორთუას ცნობა, რომ ნათესავის დასაფლავებაზე ზუგდიდში ჩასულ კონსტანტინე გამსახურდიას გვერდით მოუსვენს გვანჯი ჩიქოვანი. მწერალს სიამაყით უთქვამს: „ეს ჩემი გვანჯი აფაქიაა და კიდევ მეგს გეცყვი: „მთვარის მოგაყება“ ამ დიდებულმა კაცმა დამაწერინაო. მერე პაპიროსს მოუკიდა და დაუმაგა: ამ რამდენიმე ხნის წინ ინგლისიდან ერთმა ლორდმა ასეთი წერილი მომწერა, – მას წაუკითხავს ჩემი „მთვარის მოგაყება“ და შეკითხვას მისვამს, რომელი ევროპელი სპეციალისტი იყო თქვენი მრჩეველი, ცხენის ხასიათები ასე კარგად რომ გაქვთ აღწერილიო.“

მე მივწერე: ჩემი კონსულტანტი იყო თავადი გვანჯი ჩიქოვანი-მეთქი.– აქ ბევრი რამ არის ნათქვამი, რათა ვირწმუნოთ, რომ გვანჯი აფაქიძის სახის შესაქმნელად გვანჯი ჩიქოვანის პიროვნება, მისი გარეგნობა და თვისებებია გამოყენებული. რომანის პერსონაჟსა და პროტოტიპს შორის

საჯრძნობი განსხვავება იმან განაპირობა, რომ მწერალს, სოციალური დაკვეთის შესაბამისად, გლახობასთან დაპირისპირებული კლასობრივი მტრის სახე უნდა შეექმნა და ცხადი იყო, ამ ხასიათში ბევრი რამ უნდა შეეცვალა და გაემძაფრებინა, თუმცა ბევრი რამ (ამის მიხვედრა აღარ არის ძნელი) გვანჯ აუაქიძეს გვანჯი ჩიქოვანისა შერჩა.

თავისი მონაყოლისა და იმ დიდი სახელის მიხედვით, რაც გვანჯი ჩიქოვანმა თავისი ცხოვრების მანძილზე მოიხვეჭა, შეუძლებელია იგი გაქნილ და გაიძვერა, სისხლიანი ინტრიგების დამხლართავ გვანჯ აუაქიძესთან გაევიგოთ, მაგრამ არის რამდენიმე უეჭველი მომენტი, რითაც მწერალს უსარგებლია და რამაც რომანში არაერთგან იჩინა თავი. გვანჯ აუაქიძეც ცხენებისა და ცხენოსნობის უებრო მცოდნე, ნამდვილი გრფიალია. გაეიხსენოთ, რაღას არ კადრულობს ეს კაცი არზაყან ზვამბაიას სწორუპოვარი ცხენის, არაბიას, ხელში ჩასაგდებად, რამდენ ცოდნასა და სიყვარულს ამჟღავნებს აუაქიძე ამ უმშვენიერეს ცხოველთა მიმართ. მსგავსად გვანჯი ჩიქოვანისა, იგიც დიდად იყო დაახლოებული ზუგდიდში მცხოვრებ მიურაგთა ოჯახთან, იმპერატორის კარზე მოგრი-ალე უმაღლესი წრის ქართველ თავადობასთან, რითაც გრაბახობს ხოლ-მე და ძველ დროსაც სინანულით იგონებს.

„მოვარის მოგაცებაში“ გამოჩენისთანავე ჩვენ ვხედავთ „ახმახ კაცს“, „ჩოხაშემოხეულ“, „მთელ ქვეყანაზე აღრენილ ნათავადარს“, რომელიც დაურიღებლად ღანძღავს და აგინებს „ქრისტეს ფეხის მკენეგელ“ ბოლ-შევიკებს; იგი დახასიათებულია, როგორც თვით არზაყანის „მოსისხლე მგერი“. ამავე დროს გვანჯ აუაქიძე, როგორც მისი რეალური პროტო-ტიპი, „ცხენოსნობის დიდოსტაგია“ და აღგაცებას ვერ იოკებს, როცა მარულაზე ჩამოყვანილ ჯიშიან არაბიას ეფერება.

აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი ადგილი, რაც უნებლიეთ გვახსენებს გვანჯი ჩიქოვანის წარსულს:

„ისიც ახსენა, მისი ცხენები მთელს სარუსეთოში ქებული რომ იყო. თავად პრინცი მიურაგი რომ მის გამრდილ ცხენებზე იჯდა. არც ის დაუმაღლავს, პრინცი მიურაგი მას ყოველ მეორე დღეს სადილად რომ პაგაიკებდა. საოცარი ის იყო, თავისი ცხენების ფერიც, სახელიც და აღნაგობაც რომ ახსოვდა. ყველას სათითაოდ იგონებდა და ისე გულმოკ-ლული ღაპარაკობდა მათ გამო, როგორც დედა ახსენებს ხოლმე თავის მიცვალებულ შვილებს. და ისე მგკიენეულად სჩიოდა გვანჯ, თითქოს გუშინ წაერთმით მისთვის ბოლშევიკებს ენგურის ჭალები, კოდორის

წისქვილები, ცხენის რემა და თხის არევ“.

მიურატების ოჯახთან, პრინცესა სალომესთან ასეთი ახლო, თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა სწორედ გვანჯი ჩიქოვანს ჰქონდა.

რომანში ნახსენებია წარსულში გვანჯ აფაქიძის „აბრაგობა და აკაკობა“. სხვათა შორის, გვანჯი ჩიქოვანსაც უყრიდნენ ჭორებს, რომ იგი გყეში გავარდნილი ყაჩაღობდა და მას პრინცესა სალომესთან, ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილთან, ამ მონაჩმახის გამო თავის მართლება მოუხდა.

მდაბიო წარმოშობის სიძესთან, ჯოგო გვასალიასთან ნარდის თამაშში გართული გვანჯ აფაქიძე რომანის ბოლოს სინანულით წამოიძახებს:

„ყველას მოგიხდათ ეს წყეული დრო, შეილოსან, ჩემს გარდა, ყველას მოგიხდათ, დუ შაში არ დამიჯდა დროზე, თორემ მე ახლა ცარსკოე სელოში ვიქნებოდი გამოჭიმული. პრინცესა მიურატს ჩემი ბუდის კარგები უკვე ჩაწყობილი ჰქონდა, შგალმაისგერი თუ არა, მისი მოადგილე მაინც გაეხდებოდი, მერმე ის იყო, ამ წყეულმა რევოლუციამ მომიწწრო და დაფუშა ჩემი ცხოვრება“.

„მთვარის მოგაცებაში“ გრაფიზმის მძაფრი განცდით, დიდი ექსპრესიით არის გადმოცემული თამარ შერვაშიძის მიერ დედის სამარის მონახულების ეპიზოდი. უღმობელი სიმართლით არის აღწერილი, თუ რა შემზარავი, დამთრგუნველი სურათი დახვდა ამ უღამამეს, შველივით არსებას ახლობელთა ძვალთშესაღებაში:

„იავარქმნილი იყო მთელი სასაფლაო.

გალავანი აეღოთ ჩრდილოეთისკენ, უზარმაზარი ცაცხვი მოეჭრათ, ღორები ჩიჩქნიდნენ მიწას, ბაგების სკორეთი წაბილწულიყო სამარის ღოდები, წამოექციათ ფრთაგაშლილი ანგელოსები, ისინი პირქვე დამსობილნი ეყარნენ მიწაზე, თითქოს მეორედ მოსვლას შეგებებიანო. უწესრიგოდ ეყარა მიწაზე ღოდების ნამუსრევი, ქვის ჯვრების ნამსხვრევები, „ინფანტერიის გენერლების“, „კოლეჟსკი ასესორების“, „კნიაზების“, „ეპისკოპოსების“, „მისი იმპერატორული უდიდებულებობის კონვოის ოფიცრების“ გიგულებიანი წარწერები. მათი სახელი ფეხით გაეთელათ ღორებს, სკორეთი და კურკლით წაებილწათ და მოუსვარათ“.

ეს სწორედ ის აღამიანებია, ვის გვერდითაც თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები გააგარა თავაზიანობითა და აღნაგობით, საქმიანობითა და სიგყვა-პასუხით გამორჩეულმა დიდებულმა კაცმა, გვანჯი ჩიქოვანმა,

ხოლო შემდეგ წუთისოფლის სიმუხთლისა და ამაოების მთელი სიმწარე იწვნია. უღმობელმა ახალმა დრომ გათელა, გაანადგურა ეს კეთილშობილი პიროვნებანი, ხოლო მათ და მათს სახელოვან წინაპრებს წმინდათა-წმინდა, სალოცავად მიჩნეული სამუდამო განსასვენებელი – საფლავებიც აღარ შეარჩინა.

* * *

მოგონებათა პირველსავე თავში გვანჯი ჩიქოვანი ახსენებს ქუთაისის გუბერნატორის ალექსანდრე გაგარინის მკვლელს, სვანეთის უკანასკნელ მთავარს კონსტანტინე დადეშქელიანს, რომელსაც იგი დედის, კესა ემხვარის მხრივ ენათესავებოდა და რომლის შთამომავლებთან, ოჯახის ახლობლებთან (თვით დადეშქელიანები, ემხვარები, დადიანები) ჩიქოვანებს მჭიდრო, ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ.

სამეგრელოში წლობით ნამსახურებ მეფის მოხელეს კორნელი ბოროზდინს თავის მოგონებათა წიგნში „სამეგრელო და სვანეთი“ დაწვრილებით აქვს აღწერილი გაგარინის მოკვლასთან დაკავშირებული გარემოებანი. სრულიად ამკარაა, რომ ქუთაისში მყოფი კონსტანტინე დადეშქელიანი რატომღაც აითვალწუნეს, უკიდურესად გააღიზიანეს, შეიძლება ითქვას, გააცოფეს გენერალ-გუბერნატორის ხელქვეითმა ჩინოვნიკებმა უსლარმა და ბარგოლომეიმ; მოვლენები საბედისწეროდ წარიმართა. ბოლოს, როცა გაგარინმა დადეშქელიანს დროებით საცხოვრებლად ერევანში წასვლა მოსთხოვა (ეს იყო 1857 წლის ოქტომბერი, მეფის მთავრობას ამ დროს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა გაეუქმებინა სვანეთის სამთავრო, ხოლო სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე პეტერბურგში გასამგზავრებლად ჰყავდათ გამზადებული), მთავარმა სამი თვე ითხოვა სვანეთში წასასვლელად და საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად. გაგარინმა (იგი იმპერატორისა და მთავარმართებლის ბრძანებას ასრულებდა, თუმცა შეიძლებოდა იგივე რომელიმე მისი ხელქვეითისთვისაც დაევალებინათ) კატეგორიული უარი განუცხადა, რასაც სამინიელი გრაფედია მოჰყვა.

დადეშქელიანმა თავად განაცხადა სასამართლოზე, გაგარინის მოკვლა ამრადაც არ მქონია, უსლარი და ბარგოლომეი უნდა მომეკლა, იმ ბოროტებმა დაუბნის გვინი გენერალ-გუბერნატორს. გაგარინმა ყვირილი დამიწყო, მე, როგორც მთავარი, ჩვეული არა ვარ ასეთ მოპყრობასო. აქვე სინანულით მოიხსენია მის მიერვე მოკლული კიდეც ორი კაცი, არდიშვილი და ილინი, რომლებიც თვითონ დაეცნენ მოსაკლავად.

ბოროზდინი ორმხრივ სინანულს გამოსთქვამს – ერთი, რომ ქუთაისის გუბერნიამ, გაგარინის სახით, დაკარგა დიდად მზრუნველი, მრავალი სიკეთის მომგანი მოხელე, ხოლო მეორეს მხრივ, დაიღუპა შინაგანად პატიოსანი, დიდებული ახალგაზრდა ვაჟკაცი, რომელიც გაქტიანი მიღგომის შემთხვევაში სისხლს არ დაღვრიდაო.

ფიქრობთ, ხსენებულ მოვონებათა ავტორი გულწრფელია, როცა წერს: „აი, ამგვარად, რამდენი სისხლი და მსხვერპლი დაჭირდა ამ პაგარა სვანეთის სამთავროს გაუქმებას, რომლის არსებობის შესახებ ჩვენს ვრცელ სამშობლოში თითო-ოროლას თუ-ღა ჰქონდა რაიმე ცნობა“.

არაერთ ფაქტსა თუ მოვლენას კ. ბოროზდინი ობიექტურად, მიუკერძოებლად აღწერს, მაგრამ იგი მაინც მეფის ჩინოსანი მოხელეა; საქართველოს კუთხეთა შეკავშირება და გამთლიანება მისთვის, როგორც იმპერიული, რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთგული მსახურისთვის, არ იყო სასურველი. ამიგომაც, ერთგან, ძირითად გეჟსტს ურთავს მეგად საჩოთი-რო შენიშენას, სადაც, სხვათა შორის, წუხს, რომ სამეგრელოს სკოლებში სწავლება ადგილობრივი მოსახლეობისთვის გაუგებარ ქართულ ენაზე მიმდინარეობსო; პირდაპირ ამბობს – მეგრული დიალექტი არ ენათესავება ქართულს და ქართული ენა „მეგრულისთვის ზედმეტ ბარგს წარმოადგენდა, მეგრელს სჭიროდა თავისი სამშობლო კილოკავი და რუსული“.

გაუგებრობაზე და რუსული იმპერიალიზმის მიმნებზე დამყარებულ ამ თვალსაზრისს მოსდევს მთარგმნელის, ბრწყინვალე მექართულის, ჩენი გამოჩენილი ლექსიკოგრაფის თედო სახოკიას მეგად გაქტიანი „შენიშენის შენიშვნა“, სადაც ნათქვამია: „პაგიუცემული ავტორის დროს მეგრულისა და ქართულის ნათესაობა, მართალია, გაურკვეველი იყო. ქართველებშიაც არავინა გეყავდა, რომ ეს საინტერესო კითხვა გამოეწვლილნა. მას აქეთ ოთხმოც წელიწადზე მეტია გასული. ამ კითხვის მკვლევარნი ბევრნი გამოჩნდნენ, ნაშრომებიც ბევრი დაიბეჭდა, სასარგებლო და საწინააღმდეგო აზრი ბევრი ითქვა, მაგრამ უდავოდ აღიარებულ იქმნა იგივეობა ქართულისა და მეგრულისა. და ახლა მარტო ამ ენათა უკოდინარი თულა იგყვის – ესენი სხვადასხვანი არიანო. ბოროზდინს, როგორც ზედმიწევნით არმცოდნეს, როგორც ქართულისა, ისე მეგრულისა, მის მიერ გამოთქმული შემეტარი აზრი, რა თქმა უნდა, სავსებით ეპაგიება“.

აქვე ბარემ იმის თქმაც შეიძლებოდა, რომ გვანჯი ჩიქოვანი თბილად, სიყვარულით იგონებს გადასახლების შემდეგ ქალაქ ირკუტსკში ყოფნის

პერიოდს, როცა მან დიდი დახმარება გაუწია ჯანმრთელობაშეღებულ თელო სახოკიას, რომელსაც ირკუტსკიდან შორეულ, ცივ მხარეში გადასახლებას უპირებდნენ. გვანჯი ჩიქოვანმა, მეგობრების ხელშეწყობით, სასახელო თანამშემამულე იხსნა აშკარა დაღუპვისგან. ერთხანს ისინი ერთ ბინაში ცხოვრობდნენ. ამ მოგონებებში კარგად არის წარმოჩენილი თელო სახოკია – საუცხოო მთარგმნელი, ილიასა და აკაკის მოძღვრებაზე აღზრდილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ეთნოგრაფი – უცხოეთშიც როგორც მრუნავად ქართული ენის სიწმინდეზე. ეს ადგილი არის ერთი ჭეშმარიტად მშვენიერი და უცნობი ფურცელი სპეკაკი მამულიშვილის, თელო სახოკიას მოწამებრივი ცხოვრებისა.

ბოროზდინის წიგნში თავმოყრილია მრავალი საყურადღებო ცნობა, რომლებიც კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში რუსთა მმართველობას შეეხება; ცოცხლადაა დახასიათებული ჩვენს ქვეყანაში მომსახურე არაერთი დიდი ჩინოსანი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის მოღვაწეობას. ვორონცოვის გამჭრიახობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი რუს მოხელეებს ავალეებდა ადგილობრივ მცხოვრებთა ენის შესწავლასა და მოსახლეობასთან დაახლოებას. ასეთმა მიდგომამ ძალზე კეთილი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ მერე და მერე, როცა ვორონცოვის პოლიტიკა სხვათა ხელში შეიყვალა და გამრუდდა, დამახინჯდა, შედეგადაც აღარ დააყოვნა (ამის თაობაზე შემდგომ საგანგებოდ მოგვიხდება ზოგი რამის თქმა). ბოროზდინი წარმოაჩენს მეფისნაცვლის კონკრეტულ საქმიანობას, რაც ვორონცოვის პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ზოგი რამ უნდა ამოვიწეროთ ბოროზდინის მოგონებებიდან:

„ვორონცოვი უდიდეს სტრატეგიულ მუშაობას აწარმოებდა, ეს მუშაობა უდიდესი იყო როგორც განზრახვით, ისე თავისი წვრილმანებითაც, და სწორედ მისმა ასეთმა პროგრამამ შეგვაძლევინა კავკასია სავესებით დაგვეპყრო. ამავე დროს აწარმოებდა საორგანიზაციო მუშაობას კავკასიის ყველა ნაწილების მართვა-გამგეობის საქმეში; თან ვორონცოვი არ იფიწყებდა მესამენაირ მეგად მნიშვნელოვან მუშაობას – პირადი გავლენა ჰქონოდა ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების შინაურ მხარეზე. და აქაც მისი ნიჭი სავესებით იყო ხოლმე გაშლილი. ამ მხარეში წარმოების დარგი არ იყო ისეთი, რომლისათვის ვორონცოვს თავისი გამჭრიახის თვალთ არ შეეხებინა და სადაც თავის პირად მონაწილეობით არ აღმოძრავებინა და არ წაეხალისებინა სასარგებლო საქმიანობისთვის ადგილობრივნი

მკვიდრნი. მისი ხასიათის ასეთის თვისების წყალობით დიდძალი ნაცნობობა გაიჩინა მკვიდრთა შორის, მერე პირდაპირ გასაოცარი იყო, როგორ იმახსოვრებდა ყველას სახესა და სახელს, და ეს ხომ საშინლად ხელს უწყობდა მის ნაყოფიერს მოღვაწეობას. როცა მხარის დასაველედა დადიოდა, ყველგან ისე გრძნობდა თავს, თითქო შინაურიყო: ყოველ ნაბიჯზე ხედებოდა კერძო, პირადი ურთიერთობა ადგილობრივ მკვიდრებთან. ერთისთვის რიდაცის თესლი მიეცა, და ისიც ისწრაფვოდა მისთვის ეთქვა – მშვენიერად იხარაო, მეორისათვის – ნამყენი მიეცა ხილისა და კარგი ხილი რომ დაეკრიფნა, მასთან საჩვენებლად მიჰქონდა; მეორეგან სოფელთ ახალი არხი გაეჭრაო მიწების მოსარწყავად და მოხუცი ვორონცოვიც ეგლიდან ჩამოდიოდა, სინჯაედა მათ ნამუშევარს, თავის შენიშვნას აძლევდა, ხარობდა მათის ნაკეთებით, მესამე ალაგას კალია გაჩენილიყო და ისიც დარიგებდა აძლევდა, როგორ გაეწყვიტნათ ყანის მგერი და მაშინვე განკარგულებას იძლეოდა ამის შესახებ...

მხარის დავლის დროს მასთან მიდიოდნენ ომში მოკლულთა ობლები, ქვრივები და ყველანი, ვისაც კი მართლაც უჭირდათ, გაუკითხავნი არა რჩებოდნენ, ხელეცარიელს არავის გაუშვებდა. რომელსამე მის პირად ადიუტანტს ყოველთვის თან ჰქონდა პარკით ჩერვონცები, რომლებიც ვორონცოვის ბრძანებით დაუყოვნებლივ ურიგდებოდათ ხოლმე როგორც შესაწირავი გაჭირვებულთ...

თვით გფილისში ვორონცოვი პირდაპირ სული და გული იყო ამ ქალაქისა. ყოველდღე დილით სასეირნოდ გამოდიოდა, უკან მოპყვებოდა ყაზახრუსი, რომელსაც მისი ქოლგა და კალოშები მოჰქონდა. და ამ სეირნობის დროსაც კი რასმე სასარგებლოს აკეთებდა. ჩვეულებრივ ეს ორი ქვეითი კაცი იქითკენ გაემართებოდა, სადაც რასმე აშენებდნენ, ან კიდევ ბაზრისაკენ...

ასეთის გულსამაჩვილებელის სისადავისა იყო ვორონცოვი, ამრადაც კი არავის მოუვიდოდა, მას შესაფერის პატივით არ მოპყრობოდნენ; თუმც კავკასიის მკვიდრნი და განსაკუთრებით მაშინდელნი, ისეთნი მრდილნი და თავდაჭერილნი იყვნენ, რომ ჩვენ რუსებს ბევრ რაშიმე შეგვეძლო მათთვის მიგვებაძნა“.

აქვე ბორომდინი სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ ვორონცოვი ღირსია მასზე ცალკე წიგნი დაიწეროსო. მის ჩამონათვალში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ მეფისნაცვალი როგორ უწყობდა ხელს ჩვენში კულტურული ცხოვრების, მწერლობის აღორძინებას. ვორონცოვს რომ უდიდ-

სი ამაგი არ ჰქონოდა საქართველოზე (ცალკე საკითხია და სხვა საქმეა იმპერიის ინგერესების ერთგული მსახურება), მის მიმართ აკაკი წერეთელი ამდენ სიყვარულს არ გამოამჟღავნებდა, ასე არ გააღმერთებდა. თავის წიგნში ბორომდინი არაერთგან საგანგებოდ ლაპარაკობს ალექსანდრე გაგარინზე და აღნიშნავს, რომ იგი იყო „ვორონცოვის ერთი უსაყვარლესი და საუკეთესო მოწაფეთაგანი“.

მარგოლდენ დასახელება იმისა, რა და რა ხეხილი შემოიგანა გაგარინმა ქუთაისის გუბერნიაში (მათ შორის, დღესდღეობით, ასე გავრცელებული იმაბელას ჯიშის ყურძენი), რამდენი კარგი შენობა ააგო თვით ქალაქში, იკმარებდა ამ კაცის სამუდამო ღვაწლის გასახსენებლად, მაგრამ იქვეა ნათქვამი, რომ გაგარინი იყო ზედმეტად მოძრავი, ფიცხი, სწევოდა გაცხარება, ყვირილი და სწორედ ეს გახდა საბაბი მისი დაღუპვისა.

ქართულ არისტოკრატიასთან გაგარინის სიახლოვე განაპირობა იმანაც, რომ ცოლად ჰყავდა დავით ორბელიანისა და მანანა ერისთავის ასული ანასტასია. გაგარინთან ერთად უნდა მოვისხენიოთ მეფისნაცვალი და კავკასიის ჯარების მთავარსარდალი, შამილის დამაგყვევებელი, ალექსანდრე ბარიაგინსკი¹, რომელმაც ცოლად შეირთო (თავის ადიუტანტს, პოლკოვნიკ დავიდოვ-გრამონს წაჰგვარა) დიმიტრი ორბელიანის ქალიშვილი, სიღამამით განთქმული ელისაბედ (ლიზა) ორბელიანი.

შესაძლოა ეს წიაღსელები, ერთი შეხედვით, ზედმეტი ჩანდეს, მაგრამ ამგვარი მიმოხილვა და ცალკეულ კეთილგანწყობილ სახელმწიფო მოღვაწეთა დახასიათება იმის საჩვენებლად გვჭირდება, თუ შემდგომ რა საბუღისწერო შეცდომები დაუშვეს საქართველოს და მთლიანად კავკასიის მიმართ დიდი თანამდებობის მქონე სხვა რუსმა მოხელეებმა, დამღუპველი, უჭკუო აღმოჩნდა მოძალადეთა პოლიტიკური კურსი; რუს ჩინოვნიკთა სიბეცესა და წინდაუხედაობაზე, მათ მიერ ადგილობრივ მკვიდრთა ბნეჩვეულებების უგულვებელყოფაზე, თავის მოხსენებით ბარათებში, საგანგებოდ მიუთითებდა ჯერ კიდევ გრიგოლ ორბელიანი.

გვანჯი ჩიქოვანი რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილეა. იგი მომსწრეა იმ სამარცხვინო დამარცხებებისა, რუსეთის უსისტემო, მოუქნელი, თავმოუბმელი არმია და ფლოტი ზედიმედ რომ განიცდიდა; პირადად უნახავს ბრძოლის ველზე შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ჯარების მთავარსარდალი გენერალი კუროპატკინი და გვიყვება ძალზე სასაცილო

¹ გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიბერალურის სახელმწიფო მუზეუმის შენობა ალ. ბარიაგინსკის სახეობრებული სახლი ვახლდათ.

ამბავს იმაზე, თუ მათმა ერთმა უცნაურმა, მოთაღლითო რაზმულმა, სამუელ იშხნელმა, ვითომდა სასტიკ შეტაკებებში რამდენჯერმე მძიმედ დაჭრილმა, როგორ დააჯილდოვებინა თავი ჯარის დათვალიერებაზე მოსულ მთავარსარდალს. ამავე ნაკვეთშია ნახსენები გრაფი ვიგე, რომელიც იაპონიასთან სამავო ხელშეკრულების დასადებად გაიგზავნა.

„რუსეთის მმართველი წრეები და მისი ევროპელი მოკავშირეები მალე დარწმუნდნენ, რომ რუსეთს სასწრაფოდ უნდა დაეღო ზავი იაპონიასთან, რადგან ვეებერთელა იმპერიას იმ ომში გამარჯვების არავითარი შანსი არა ჰქონდა და მოსალოდნელი იყო კიდევ უფრო გამანადგურებელი მარცხი. მოლაპარაკებების მთავარ რწმუნებულად, როგორც ცნობილია, შეარჩიეს ადრე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნამსახური და მერე გადაყენებული სერგეი ვიგე, მეტად გონიერი და პოპულარული სახელმწიფო მოღვაწე. თვითონ ვიგეს დაწვრილებით აქვს აღწერილი, თუ როგორ მარჯვედ გაართვა თავი უაღრესად რთულ მისიას. რუსეთ-იაპონიის ზავი 1905 წლის ივნისში დაიდო ამერიკის ქალაქ პორტსმუტში. რუსეთს ყოველნაირად უჭერდა მხარს პრემიერენტი რუზველტი (დიდი როლი ითამაშა ამერიკის მოსახლეობის განწყობილებაში) და, ძირითადად, ამან განაპირობა, რომ ზავი დაიდო დამარცხებული მხარისთვის, რუსეთისთვის, მომგებიანად – კონგრესუციის გადახდისა და გერიტორიების დათმობის გარეშე. დიპლომატიურ არენაზე გრაფ ვიგეს ამ დიდი წარმატების შემდეგ კვლავ ჩამოართვეს დიდი თანამდებობა (იგი მეფეს დაურიღებლად, პირში ეუბნებოდა სიმართლეს და ესეც იყო მიზეზი, რომ ზედმეტად კორექტულ ნიკოლოზ მეორეს უჭირდა მასთან ახლო ურთიერთობა)“.

აღსანიშნავია, რომ თბილისში დაბადებულსა და აქვე გიმნაზიადამთავრებულ სერგეი ვიგეს (იგი ძალზე კარგად იცნობდა ქართულ გარემოს, ჩვენს ხასიათსა და წეს-ჩვეულებებს) თავის მემუარებზე მუშაობა, გვანჯი ჩიქოვანის დარად, მეშვიდე ათეულ წელში გადამდგარს დაუწყია. ამ დიდად საინტერესო მოგონებებიდან ჩვენ ზოგი რამის მოხმობა და დამოწმება დაგვჭირდება.

სერგეი ვიგეს პიროვნებაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის თვით მისივე ნათქვამი: „არც ლიბერალი გახლავართ და არც კონსერვატორი, მე უბრალოდ კულტურული ადამიანი ვარ. მე ადამიანს ციმბირში ვერ გადავასახლებ მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემსავით არ ამროვნებს, ვერც სამოქალაქო უფლებებს წაევართმევ მხოლოდ იმის გამო, რომ იგი იმავე

გამარში არ აღაველენს ღმერთისადმი ლოცვას, სადაც მე ვლოცულობ”.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ასეთი პიროვნება მკაცრად აკრიტიკებს კავკასიაში მეფის რუსეთის გლანქ, მოუზომავ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ქებით იხსენიებს იმ მეფისნაცვლებსა და მთავარსარდლებს (მ. ვორონცოვი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი, ალ. ბარიბაგინსკი, ა. ღონდუკოვ-კორსაკოვი...), რომელთაც აქაურ მაცხოვრებელთა შნე და ხასიათი კარგად იცოდნენ და ადგილობრივ მკვიდრებთან თბილი დამოკიდებულება მქონდათ, რუსებისგან არ ანსხვავებდნენ. ამავ დროს, ს. ვიგე ყოველად გაუშართლებლად მიიჩნევს თავად გოლიცინის ძალადობაზე დამყარებულ „ვიწრო ნაციონალიზმის“ ანუ შოვინიზმის პოლიტიკას, რამაც სათავე დაუდო კავკასიაში შემდგომი ათწლეულების არეულობას და რუსთა მმართველობისადმი ადგილობრივ მკვიდრთა მგრულ დამოკიდებულებას. მოვონებებში წინასწარმეგყველურადაა ნათქვამი, რომ ასეთი მცდარი, პოლიციური მეთოდები რუსეთს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს.

XX საუკუნის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი რუსი მოაზროვნე ნიკოლოზ ბერდიაევი ფილოსოფიურ-პოლიტიკური ესეების კრებულში „რუსეთის ბედი“ (1918 წ.) ბევრს ფიქრობს რუსი ერის ფსიქოლოგიაზე, მის როლსა და ადგილზე მსოფლიო ისტორიაში და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „რუსულ სახელმწიფოებრიობაში დაფარულია ბნელი ირაციონალური საწყისი და იგი თავდაყირა აყენებს პოლიტიკური რაციონალიზმის ყველა თეორიას, მას არავითარი რაციონალური ახსნა არ უხერხდება“.

მეგისმეგად ძნელია, განსაზღვრო მოქმედება ისეთი წყობისა და სულისკვეთების ქვეყნისა, რომლის სახელმწიფო პოლიტიკას საფუძვლად არ უდევს სახელმწიფოებრივი გონიერება და საზრისი“, არავენ იცის, იგი როდის რას მოიმოქმედებს.

თავის ყველაზე მნიშვნელოვან წიგნში „არქიპელაგი გულაგი“ ალექსანდრე სოლჟენიცინი (თუკი იგი ნამდვილად გულწრფელია) წერს:

„ვართ თუ არა დიდი ერი, ეს არა ვეუბერთელა გერიგორიითა და სამეურვეო ხალხების რაოდენობით, არამედ საქციელის სიდიადით უნდა დავამტკიცოთ“.

შემაშფოთებელი ამბავია, რომ დღევანდელი რუსეთის ცრუ პოლიტიკოსები, როგორც უკვე ვთქვით, ძალადობისა და აგრესიისკენ არიან მიდრეკილნი.

იგივე ნიკოლოზ ბერდიაევი, რომელსაც მომავლის განჭვრეტის უნარი

ნამდვილად პქონდა და მსოფლიო ისტორიის გამოცდილებასაც ითვალისწინებდა, გულახდილად წერდა:

„თუკი რუსეთმა სიყვარული არ დაიმსახურა, იგი მსოფლიოში დაკარგავს თავისი დიდი მდგომარეობის საფუძვლებს. მისი იმპერიალიზმი შეუძლებელია აგრესიული იყოს“.

ამავე სულისკვეთებით წერდა თავის დროზე ალექსანდრე სოლჟენიცინი – მოთმინებით და გაგებით უნდა მოვეკიდოთ სურვილს იმ ხალხებისა, რომელთაც ჩვენთან ცხოვრება არ უნდათ, თუ მათ არ დავუთმეთ, ეს უგუნურობა და სიმხეცე იქნებაო.

* * *

გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობიდან ამკარად ჩანს, როგორ არ უნდოდა მას მეფის ჯარში სამსახური. შორეულ აღმოსავლეთში ვიკტორ-მგეინის (მემუარებში არაერთგან მოხსენიებულ ამ იშვიათ პიროვნებაზე ჩვენ საგანგებოდ მოგვიხდება საუბარი) პარტიზანულ შენაერთში ყოფნა რეგულარულ არმიაში სამსახურად ვერ ჩაითვლება. მოგვიანებით, როდესაც პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, ფრონტზე მყოფმა ქართველმა ოფიცრებმა, ახლობლებმა (მეფის კარზე ცნობილმა უჩა დადიანმა და სხვებმა) დიდი ხეწნა-მუდარით დაიყოლიეს გვანჯი ჩიქოვანი, კავკასიელებისაგან შემდგარ „ველურ დივიზიაში“ ჩარიცხულიყო და ეომა, სამაგალითო მხედრული სიმამაცე, მოსაზრებულობა გამოეჩინა და ჯილდოებიც მიეღო.

აქ უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ ვიქტორ რცხილაძის მიერ 1924 წელს გამოცემული (მასალები მან მოამზადა, შესავალი წერილი და შენიშვნებიც მანვე დაურთო) მრავალმხრივ საინტერესო კრებული: „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში“, რომლის უმთავრესი ღირსებაა საბჭოთა დაზვერვის მიერ მოგაცემული გენერლის შალვა მაღლაკელიძის მოგონებები. ეს მოგონებები მრავალ ძვირფას, უნიკალურ ცნობას შეიცავს და იგი 1975 წელს, ძალზე სახიფათო დროს, მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერა თავად ვიქტორ რცხილაძემ (ერთი კასეტა, სამწუხაროდ, დღემდე დაკარგულად ითვლება).

წიგნის შემდგენელი და გამომცემელი მრავალრიცხოვანი ფაქტების პირუთენელად შესწავლის შემდეგ იძულებულია გულდასაწყვეცი, სავალალო დასკვნა გამოიტანოს: „ასეთი არის ისტორიის ირონია და ქართველი ხალხის გრაგედია, რომ სხვის ომებში, საგანური იმპერიების დროშის

ქვეშ საქართველოს შეილები თავს წირავდნენ და მათი ძვლებით მოფენილია უკიდევანო რუსეთის, გერმანიის, ეგვიპტის, ავღანეთისა და სხვა ქვეყნების მიწები“ (გვ. 9).

„ქართველები სხვათა ომში“ – მრავალჯერ დამუშავებული და მაინც დიდი, ამოუწურავი თემაა. ამაზე გომეები შეიძლება დაიწეროს. ამ პრობლემას ჩვენ ვერ შევეჭიდებით, მაგრამ ზოგი რამის გახსენება მაინც მოგვიწევს. მამლუქებზე რომ არაფერი ვთქვათ, შეიძლება დავიმოწმოთ XVII საუკუნის ფრანგი მოგზაურის ჟან ბატისტ ტავერნიეს ცნობები იმის თაობაზე, თუ რა სიმამაცეს იჩენდნენ თურქეთში მყოფი ქართველები. მაგალითად, სულთანის კარის მკველი ორი ქართველი შუალამისას შეთქმულ, შეიარაღებულ თავდამსხმელთა მრავალრიცხოვან რაზმს გაუმკლავდა, მოიგვრია. მარგო სწორუპოვარი მეომრის, გაორებული, გრაგიკული პიროვნების გიორგი სააკაძის ფიგურა რამდენ საფიქრალს აღძრავს დღემდე, რა ცხარე პაექრობათა საბაბს იძლევა. აქვე შეიძლება დავასახელოთ გენიალური ქართველი პოეტი, ლეკებთან გყვეობის შემდეგ რუსეთში მოხვედრილი და ქართველ პუსართა პოლკში ნამსახური დავით გურამიშვილი, რომელსაც ბედმა უამრავი სიმწარე არგუნა. სიმამაცისა და მხედართმთავრული გენიის ნამდვილი განსახიერება იყო პეტრე ბაგრატიონი, რომელსაც აგრეთვე სამშობლოს გარეთ მოუხდა მხედართმთავრის უბაღლო ნიჭის გამოვლენა. ერთ-ერთ გენერალ ბაგრატიონს, „ველური დივიზიის“ მეთაურს, კარპაგებისკენ მიმავალი გვანჯი ჩიქოვანი თავად გადაეყრება გალიციის საზღვარზე და მათ შორის მეგობრული ურთიერთობა მყარდება. გენერალთან სადილზე მიპატივებული გვანჯი საქართველოდან ჩამოგანილ ხვანჭკარას უწილაღებს კეთილ მასპინძელს. ბაგრატიონს მოხიბლავს ახლადგაცნობილის საქციელი და გარეგნობა და, ძირითადად, მისი მოწადინებით ხდება გვანჯი ჩიქოვანის „გუმეზნაია“, ანუ „ველურ დივიზიაში“ ჩარიცხვა. მოგონებებში მოხსენიებული არ არის ამ ბაგრატიონის სახელი, თუმცა გვანჯი ჩიქოვანი ამბობს, რომ მის დანიშვნამდე ხსენებულ დივიზიას დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე მეთაურობდა, ეს დიდი მთავარი 1918 წელს პერმში დახვრიტეს ბოლშევიკებმა.

მაგალითების მოხმობა დაუსრულებლად შეიძლებოდა, მაგრამ ამჟამად ჩვენი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ შემთხვევას გვინდა შევეხოთ და ნათელი მოვფინოთ ს. ვიგეს შემთხვევა დასახელებულ მოგონებებში აღწერილ ერთ საარაკო გმირობას.

გრაფი ვიგე იხსენებს დედის მხრიდან თავისი ბიძის, დიდად განათლებული პიროვნების, რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილის როსტისლავ ფადეევის ნაამბობს, რუსეთის ჯარების მიერ ყარსის აღებას (1853 წელი) რომ უკავშირდება. აქ ნათქვამია ფადეევის გულითადი მეგობრის, ერთი ქართველი ოფიცრის ორბელიანის გასაოცარ სიმამაცეზე. მიუხედავად იმისა, რომ მოხსენიებულია მხოლოდ გვარი, რამდენიმე მინიშნება გვარწმუნებს, რომ ეს ოფიცერი პოეტი-რომანტიკოსი, მეფე ერეკლეს შვილიშვილი, თეკლა ბატონიშვილის ვაჟი – ვახტანგ ორბელიანია. მოგონებებში აღნიშნულია, რომ მისი ნათესავი, ორბელიანის ქალი, კავკასიის მთავარმართებლის ფელდმარშალ ბარიაგინსკის ცოლი გახდა, ეს კი, როგორც ვიცით, ვახტანგ ორბელიანის ძმისშვილი, დიმიტრი ორბელიანის ასული ელისაბედ (ლიზა) ორბელიანი იყო. თვით ვიგე წერს, რომ ვახტანგ ორბელიანს ყმაწვილობის კამს ხშირად ხედავდა, რადგან მის ვაჟთან ნიკოლოზთან ერთად სწავლობდა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტში. ნიკოლოზ ორბელიანი – პოეტ ვახტანგ ორბელიანის ვაჟი – პროფესიით იურისტი, მართლაც, პეკერბურგის უნივერსიტეტიდან „მგლის ბილეთით“ გარიცხვის შემდეგ, დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის მფარველობით, ოდესაში გადაიყვანეს, სადაც ს. ვიგესთან ერთად მოუხდა სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე. იმის აღნიშვნაც შეიძლებოდა, რომ შემდგომში ნიკოლოზ ორბელიანის სიძე გახდა ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი.

მემოთ ნახსენებ ეპიზოდში მთავარი მაინც ვახტანგ ორბელიანის მხედრული თავდადებაა. ფადეევის მონათხრობის თანახმად, ვახტანგ ორბელიანს შეტევაზე წაუყვანია ჯარისკაცთა ერთი მწკრივი და მიუხედავად გყვიების სეკყვისა, თურქების პოზიციამდე მიუღწევია. ამ დროს გარგნებული და შეძრწუნებული ფადეევი ხედავს დაუჯერებელ სურათს – ორბელიანი ზის ცხენზე და გარდიგარდმო იქნევს ხმალს, რათა ჯარისკაცებს გზა გაუკვალოს, მისი ცხენი კი თურქების ხიშტებზეა აცმული. ფადეევი ყვება: „...ორბელიანი თითქოს კვარცხლბეკზე იდგა, იგი წარმოსახავდა თავისებურ ქანდაკებას, რომელიც იდგა არა კვარცხლბეკზე, არამედ თურქი ჯარისკაცების ხიშტებზე“.

ს. ვიგესა და ბიძამისის განცვიფრებას ყველაზე მეტად ის იწვევს, რომ ამ საშინელი ჩხვისა და ჩახა-ჩუხის შემდეგ ქართველი ოფიცერი, რომელსაც ცივი იარაღით მიყენებული რამდენიმე ჭრილობა აღმოაჩნდა, სიკვდილს გადაურჩა.

სრულიად ბუნებრივია, როსტისლავ ფადეევს, ამ ამბის მხილველს ვახტანგ ორბელიანი ცოცხალ ქანდაკებად მოჩვენებოდა. ქანდაკება არ ვიცი, მაგრამ ვინმეს რომ დაეხატა ეს ბაგალური სცენა, უთუოდ ძალზე შთამბეჭდავი სურათი გამოვიდოდა. აღნიშნული ეპიზოდი სხვანაირი შარავანდელით მოსაეს მამულიშიელსა და საქართველოს ბედზე ნიადაგ მწუხარ პოეტს, რომელმაც ყარსის ომის შემდეგ გენერლობა მიიღო, მაგრამ თავისი მრწამსიდან გამომდინარე, რუსეთის მეფის არმიამი სამსახურს თავი დაანება. სხვათა შორის, იმ ომში, ბაშკარდიკლართან (გავიხსენოთ დემნა შენგელაიას ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა) დაიღუპა ასევე უმამაკესი ქართველი ოფიცერი, გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა ილიკო ორბელიანი.

ვახტანგ ორბელიანის იშვიათ თავმდაბლობაზე, კეთილშობილებასა და რაინდულ ხასიათზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პოეტის ქალიშვილის მარიამ ორბელიანის მოგონებებს დართული მცირე ჩანაწერი:

„მამაჩემი სიმამაკისათვის ბევრჯერ იყო დაჯილდოებული ორდენებით. მახსოვს ისიც, რომ მამაჩემს ოქროს ხმალი ჰქონდა. იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ჩინებსა და ორდენებს. არ უყვარდა დღესასწაულები. როცა მისი იუბილეს გამართვა მოინდომეს, მან დიდი უარი სთქვა“.

შეიძლება ვინმეს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნეს, რომ ამ წიაღსვლებს არავითარი კავშირი არა აქვს გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებთან, მაგრამ საქმე მთლად ასე არ არის და ამას თანდათან დავინახავთ. მაგალითად, მარიამ ორბელიანის მოგონებებში აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ვაჟის, პოეტ გიორგი შერვაშიძის გვერდით (იგი ბარიატინსკის ადიუტანტი იყო) ნახსენებია სილამაზით განთქმული, მარიამზე ექვსი წლით უფროსი და სიმშვენიერით მისი დამაგყვევებელი პაშა (პარასკევა) დადიანი, დედა ალექსანდრე ვიგგენშტიგინისა, ვინაც პრინცესა სალომე დადიანის ვაჟ ნაპოლეონ მიურატთან ერთად ძალზე დიდი ამბავი დასდო ბედუკულმართობის გამო შორეულ აღმოსავლეთში მოხვედრილ გვანჯი ჩიქოვანს.

წინამდებარე ნარკვევში, შეძლებისდაგვარად, გვინდა მიმოვიხილოთ ისტორიის თეატრიდან სავალალოდ გამქრალი სოციალური გარემო, ალაგ-ალაგ წარმოვაჩინოთ დასადუჰავად განწირულ არისტოკრატთა და ინტელიგენტთა ცალკეული გიპეები, ადამიანთა ის წრე, ვისთანაც ნათესაური კავშირი ან ახლო ურთიერთობა ჰქონდა გვანჯი ჩიქოვანს,

თუმცა მოგონებათა მთხრობელი თავადაც გვაცნობს იმ ადამიანებს, რომელთა ღირსეული შთამომავალი და შემკვიდრე თვითონ იყო. ძალზე ვრცელია მის მიერ მოყოლილ ეპიზოდთა არეალი, გეოგრაფია, სადაც მთხრობელს უხდება ყოფნა, ცხოვრება, ბრძოლა.

ეპოქაზე, რომელსაც ზედაპირულად, გაკვრით უნდა შევხვით, აურაცხელი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ჩვენი მოკრძალებული ცდის შესაბამისად, მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტური ხასიათის წიგნს მოვიშველიებთ.

გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში ძირითადად მოთხრობილია რევოლუციამდელი, პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციის პერიოდისა და სამოქალაქო ომის დროინდელი ამბები; იგი საგანგებოდ აღნიშნავს რუსეთის იმპერიის ისეთ საკვანძო და საბედისწერო მომენტს, როგორც იყო რასპუტინის მკვლელობა, ნახსენებია არაერთი მაშინდელი ისტორიული პიროვნება. ამდენად, ზედმეტი არ იქნება, აქ მოვიხმოთ რასპუტინის პირადი მდივნის არონ სიმანოვიჩის მოგონებათა ძალზე მიმზიდველად, გონებაბახვილურად დაწერილი და მრავალი საინტერესო ფაქტის შემცველი წიგნი „რასპუტინი და ებრაელები“, სადაც დაახლოებით იგივე ეპოქა დახატული და ამასთანავე მრავლად არიან მოხსენიებულნი ქართველები, კონკრეტული პიროვნებანი, მათ შორის, იმპერატორის კარზე დიდად გავლენიანი, ნიკოლოზის უსაყვარლესი ადამიანი, მეფის ღაცვის უფროსი, ბრწყინვალედ აღზრდილი, სიმამაკით გამოჩენილი თავადი უბა დადიანი, რომელთან ერთადაც გვანჯი ჩიქოვანს პირველ მსოფლიო ომში უხდებოდა ბრძოლა რუმინეთის ფრონტზე.

ისტორიულ თემებზე მომუშავე ზოგი თანამედროვე ავტორი არონ სიმანოვიჩს „მაკლერსა“ და „აფერისგს“ უწოდებს. ეს მთლად ასე არ უნდა იყოს. მსგავსი შეფასებები ძველი, სტანდარტული ამროვნების ნარჩენებია. ამკარად ჩანს, ხსენებული წიგნის ავტორი მარჯვე, მოხერხებული, გონიერი კაცი იყო. კიევში მცხოვრები დახელოვნებული ოქრომჭედელი დიდ ჩინოვნიკებს, გავლენიან პიროვნებებს, მათ ცოლებს იაფად, ხელსაყრელ ფასებში სთავაზობდა ძვირფას ნივთებს; ასე დაიმსახურა ამ ხალხის კეთილგანწყობა და მალე პეტერბურგის არისტოკრატიულ სამოგალოებაში, თვით სამეფო კარისკენ გაიკვალა გზა, ყველასათვის მეტად საჭირო ადამიანი გახდა. ასეთი წარმატების მოპოვება ებრაელი კაცის მიერ მაშინდელ რუსეთში მართლაც განსაკუთრებული მოვლენა იყო. სიმანოვიჩს გახსნილი ჰქონდა ბანქოსა და სხვა ამარტულ თამაშობათა სახლები, სადაც თავს იყრიდნენ ფულიანი და გავლენიანი პირები. ამ დროს დაუახ-

ლოვდა სიმანოვიჩი მეფის ოჯახში დიდად მიღებულ გრიშკა რასპუტინს. რასპუტინის გაუთავებელ ღრუობებსა და ორგიებს დიდალი ფული სჭირდებოდა, გრიშკას მფლანგველობას მომჭირნე დედოფალი ეწინააღმდეგებოდა, დამფინანსებლის როლი არონ სიმანოვიჩმა იგვირთა, საამისოდ მდიდარ ებრაელ ვაჭრებს იყენებდა. სამაგიეროდ, სიმანოვიჩმა, ყოვლად უანგაროდ, თავისი მოძმეები არაერთ უბედურებასა და რბევას გადაარჩინა; იგი თავდაუშოგავად იბრძოდა ებრაელთა უფლებებისათვის და ამ მხრივ დიდ წარმატებებსაც მიაღწია. შემოსავალი და ფულის წყარო მას სხვაეც საკმაო ჰქონდა, არ მალავს ისეთ შემთხვევებს, როცა რაიმე საქმის მოკვარახჭინების შემდეგ გასამრჯელო ბლომად აუღია და რასპუტინისთვისაც გაუნაწილებია. თვითონ რასპუტინი მუდამ ეხმარებოდა ღარიბ-ღაგაკებს, რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, მისი კარი ყოველთვის ღია იყო მშვიერთა და უპოვართათვის, იქ ყველას უმასპინძლდებოდნენ.

იმთავითვე ცნობილი იყო ნიკოლოზ მეორისა და, განსაკუთრებით, დედოფალ ალექსანდრას ლგოლვა სპირიტული სეანსების, ოკულგიზმისა და სხვადასხვა ჯურის „წინასწარმეტყველებისა“ თუ „სასწაულმოქმედთაღმი“. ამის გამო იყო, რომ საიმპერატორო კარი საეჭვო ხალხით – თვალთმაქცეებითა და ნაირ-ნაირი „ჩუღაკებით“ გაივსო. „ციმბირელი მუჟიკი“, ეშმაკი, ჭკვიანი, გაუნათლებელი, მაგრამ განსაკუთრებული შინაგანი ძალის მქონე რასპუტინი (იგი 1905 წელს გამოჩნდა ცარსკოე სელოში) სწორედ ამ გალდას მოჰყვა და მტკიცედაც დაიმკვიდრა ადგილი იმპერატორის სასახლეში. რასპუტინის სულიერ მოძღვრად დაყენება და შეუქველელობა იმანაც განაპირობა, რომ იგი შედარებით გვიან გაჩენილ და ჰემოფილით დაავადებულ უფლისწულს, გახგის მეშვედრეს, ეფექტურად მკურნალობდა, ხშირ სისხლდენას უჩერებდა, რის გამოც, დედოფალს მფარველად, წმინდანად მიაჩნდა და თითქმის ყველა მის სურვილს ასრულებინებდა უნებისყოფო მეუღლეს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ – უბრალო წარმოშობის, მაგრამ ნიჭიერმა, მოქნილმა და ალღოიანმა ებრაელმა კაცმა არონ სიმანოვიჩმა მკვეთრად გამოხატული ანგისემიციზმის პირობებში შეძლო სამეფო კარს დაახლოვებოდა და მძლავრი ზემოქმედება მოეხდინა სახელმწიფოებრივი საქმეების მდინარებაზე. იყო ისეთი პერიოდიც, როცა ყოველი მინისტრის დანიშნასა თუ გადაყენებას ყოვლისშემძლე რასპუტინი მას უთანხმებდა. ზედმეტად რომ არ გათამამებულყო და სიმანოვიჩის ნებას დაჰყოლოდა, რასპუტინი ასე იოლად არ გახდებოდა თავად ფელიქს იუსუპოვისა და სხვა შეთქმულ-

თა მსხვერპლი. ეს კი უწინასწარმეტყველა „წმინდანმა ეშმაკმა“ მეფის ოჯახს – მე თუ დიდგვაროვანთა შეთქმულებას შევეწირე, თქვენც მალე დავხოცავენ, ჩემს სიკვდილს გახსნის დაკარგვა და რომანოვთა დინასტიის დაღუპვა მოჰყვებაო.

საკმაოდ მუსტად, მიუკერძოებლად ახასიათებს სიმანოვიჩი რუსეთის ბოლო იმპერატორის წინააღმდეგობრივ, ორჭოფულ პიროვნებას. ჩვენ უნდა ვერწმუნოთ მას, რომ ნიკოლოზ მეორე პიროვნულად არავეთარბი „სისხლიანი“ გირანი არ ყოფილა. პირიქით, გელმეგ ლიბერალობას იჩენდა, როგორც მონარქი, მეტისმეტად რბილი იყო, მძლავრ გავლენაში ჰყავდა მოქვეყნიული დედოფალს, რაც დიდგვაროვან რუს პატრიოტებს აღიზიანებდა.

ამავე დროს, მემუარების ავტორი ნიკოლოზს მეტისმეტად უნდო, ვადაუწყვეტელ, ეჭვიან კაცად წარმოსახავს. იმოწმებს კიდევაც ხელშეწყობის ნათქვამს – ადამიანს მხოლოდ ორ წლამდე შეიძლება ენდო, სამისა იგი უკვე მოგყუებას იწყებსო.

მეფის ჩინოვნიკები გუბერნიებად დაყოფილ ჩვენს სამშობლოში თუმცადა დიდმპყრობელურ, საძრახ პოლიტიკას ახორციელებდნენ, მაგრამ თავად ნიკოლოზ მეორეს ქართველების მიმართ საუკეთესო დამოკიდებულება ჰქონდა, რაზედაც სამეფო კარზე ქართველთა დიდი სიმრავლე მეტყველებდა. ამის გამოც მოგვიწივს ზოგი რამის თქმა.

სიმანოვიჩი წერს, რომ ნიკოლოზ მეორეს ძველი სამეფო კარის, დედისა და ნათესავების შეთქმულებისა ეშინოდა და თავის დაცვაში უპირატესად ქართველებსა და თათრებს იღებდა. პირადად მას კავკასიელი თავადები იცავდნენ და მათ სიახლოვეს თავს მხედ გრძნობდა, ბუნებით ეჭვიანს მათი ერთგულებისა სწამდა.

იმპერატორი რომ ასე ენდობოდა ქართველებს, ამის დასტურად შეგვიძლია კიდევ ერთი ცნობა მოვიხმოთ. ლიგვური წარმომავლობის ბრწყინვალე რუსი მხატვარი მსტისლავ დობუჟინსკი (1875–1957 წწ.) მოგონებათა შესანიშნავ წიგნში ვასაოცარი ფერადოვნებით აღწერს თავის ბავშვობისდროინდელ, XIX საუკუნის მიწურულის პეტერბურგს, ნევის პროსპექტს, სადაც მრავლად ირეოდნენ ნაირ-ნაირ ფორმებში გამოწყობილი სამხედროები. ერთხელ, სიჭაბუკის ეპოს მას დაუნახავს აქ მომავალი ნამდვილი რაინდი, რომელსაც ჯაჭვის პერანგი სცმია და წელზე კაპარტი ჰქონია ჩამოკიდებული. მოგონებათა ავტორი იქვე შენიშნავს, რომ მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა მეფის მცველთა რაზმი, კავკასიელთა ასეული, რომელთაც უძველესი ხევსურული თორ-აბჯარი ეცვათ. უეჭველია, ეს

რაზმი ქართველებისგან იქნებოდა შედგენილი. ისიც საგულისხმოა, რომ დობუეინსკისაც, გვანჯი ჩიქოვანის დარად, სამოც წელს გადაცილებულს დაუწყია თავის მოგონებათა წერა და ისიც, დაახლოებით, იმავე ეპოქას ასახავს.

ყველაზე უხვ მასალას, ამ მხრივ, ისევ სიმანოვიჩის ჩანაწერები გვაწვდის. არონ სიმანოვიჩი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეფის პირად დაცვაში მომსახურე ძმების, თავად ვიგგენშტეინების (ერთი მათგანი, ალექსანდრე, როგორც ვთქვით, ხშირად იხსენიება გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობში) გაცნობას. მათი მეშვეობით დაუახლოვდა დედოფლის უაღრესად გავლენიან სეფექალს, ნიკოლოზ მეორის ყოფილ საყვარელს კნენა ორბელიანს, რომლის მიმართ დედოფალი ალექსანდრა განსაკუთრებულად გულმოწყალე იყო. მათი მეოხებითვე გაიცნო მეფის პირადი დაცვის თავკაცი უჩა დადიანი და ალექ ამილახვარი, დაცვის თითქმის მთელი ოფიცრობა. უჩა დადიანმა იმავე ხანებში სიმანოვიჩი დააახლოვა ასევე დიდად გავლენიან კნენა სოფიო თარხნიშვილთან, რომლის სიძემ, თავადმა გელოვანმა რევოლუციის შემდეგ დაპატიმრებულ სიმანოვიჩს მეგობრული მფარველობა გაუწია, საგუსალოდან იხსნა, სიცოცხლე შეუნარჩუნა. საქმეში კერენსკიც იყო ჩარეული.

სოფიო თარხნიშვილის სიძე უნდა იყოს სახელმწიფო სათათბიროს წევრი, თვალსაჩინო პიროვნება, მცირე ერების ინტერესთა თავგამოდებული ქომბაგი კუჭიკო გელოვანი, დიდი სითბოთი და სიყვარულით მოხსენიებული გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში, კაცი, ვინაც თავისი დაღუპული ბიძის, კოწია შერვაშიძის ცხედრის წასასვენებლად პეკერბურგიდან შორეულ ფრონტზე წავიდა, ცოტა ხნის შემდეგ კი, სახადით დაიღუპა ყარსში. გარდაცვლილის დიდი პატივით დაკრძალვას თბილისში ჩამოსული გვანჯი ჩიქოვანიც დასწრებია.

აღსანიშნავია, რომ სიმანოვიჩის მოგჯერ ემლება მის მიერ ნახსენებ თუ დახასიათებულ ადამიანთა ეროვნება – დადიანსა და ამილახვარს იგი „კავკასიელ თავადებს“ უწოდებს. მეფის კარზე საკმაოდ მიღებულ თავადს, მიხეილ ანდრონიკოვს, ავანტიურისგს, გერმანიის შპიონად შერაცხილს, იგი სომეხად თელის მაშინ, როცა იქვე ჩამოთელის მის ნათესავეებს – კნენა ორბელიანს, თავად შერვაშიძეს, ღუმბაძეს და სხვებს. რასპუტინის ერთ-ერთი სასიძო იყო ოფიცერი სიმონ ფსაკაძე (მას კვაჭი კვაჭანტირაძის პროტოგოპადაც მიიჩნევენ), რომელსაც სიმანოვიჩი აგრეთვე სომეხად ნათლავს. ეს ქორწინება არ მოხდა, ვინაიდან რასპუტინმა

თავისი დიდი ინტუიციით იგრძნო, ფხაკაძეს იგი უნდა მოეკლა. გაოგნებულმა, საქციელწამხდარმა სასიძომ თვითონვე დაიჭრა თავი, ხოლო მერე მეფის ოჯახის უახლოესი ადამიანის ანა ვირუბოვას შემწეობით დედოფალთან შეხვედრა მოახერხა, ცოდვა მოინანია და შეწყალებულ იქნა. ამ ინციდენტის დროს სიმონ ფხაკაძეს ახლდნენ ძმები – ნესტორ და სამა ერისთავები. ისინი ხშირად ესწრებოდნენ რასპუტინის ღრეობებს და გვანჯი ჩიქოვანს კიდევაც აქვს აღნიშნული, რომ რასპუტინის მოკვლის შემდეგ ორივენი დააპატიმრეს, ალბათ, როგორც ეჭვიმიტნი იყვნენ.

ერთგან არონ სიმანოვიჩს აღწერილი აქვს სახელგანთქმული რუმინელი მეფიოლინეს გულესკუს მიერ გამართული სადილი და ჩამოთვლილია ამ სადილზე მიწვეული სტუმრები: „კავკასიელი თავადი ნიკოლოზ ნიჟარაძე (ეს უნდა იყოს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი კოლია ნიჟარაძე, ფრონგზე მოხალისედ წასული, რომელიც გვანჯი ჩიქოვანმა ირკუტსკში გაიყვანა), მეფის კამერგერი ივანე ნაკაშიძე, წითელი ჯვრის მთავარი სამმართველოს წევრი უჩა დადიანი, მეფის ფლიგელ-ადიუტანტი ალექსანდრე ერისთავი (სწორედ იგი დააპატიმრეს რასპუტინის საქმეზე, თავის ძმასთან, ნესტორთან ერთად), ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი და ცნობილი სეფექალის მამა თავადი ორბელიანი...“ (ეცყობა, „კავკასიელი“ სიმანოვიჩისთვის „ქართუელის“ სინონიმი იყო). იქიდან თანამეინახენი გრაფინია ზარნიკაუს სახლში გადასულან და ნამდვილი ქართული ქეიფი გაუჩაღებიათ. ამ დროს გრაფინიას სახლს სასახლის ავტომობილით მისდგომია მეფის ფავორიტი ალექ ამილახვარი და მათთვის გადაუცია ხელმწიფის მიწვევა და ყველანი ცარსკოე სელოში წასულან.

არონ სიმანოვიჩი გრაფინია ზარნიკაუს კი ახსენებს, მაგრამ მის ვინაობაზე არაფერს ამბობს. ამ მხრივ, თავის მოგონებებში საყურადღებო

¹ გენერალი მალეა მალეაკელიძე ზემოთ ნახსენებ თავის მოგონებებში მოვიერთ ცნობას გვაწვდის სამა (ალექსანდრე) ერისთავზე, მაგრამ ეწვლება, როცა მერი შერვაშიძის ქმრად ასახელებს მის ერთ-ერთ ძმას, მიტუმას ცნობილია, რომ მერი შერვაშიძის მეუღლე იყო გიგუმა ერისთავი. სხვა მხრივ, გენერალ მალეაკელიძის ცნობები სანდო ჩანს: „სამა, ალექსანდრე ერისთავი იყო მეფის ამალის გენერალი, ქართლიდან ცხრაასხუთ წელს წახულა რუსეთში მისი ოჯახი. სამა ერთ-ერთი შვილი იყო, ნახევრად გარუსებული, ცოლიც რუსი ჰყავდა, შვილი არ ჰყავდა. დენიკინის არმიამი იყო, მისი ახლობელი კაცი იყო და ცხოვრობდა პარიზში. მისი ძმა მიტუმაც გენერალი იყო, ცნობილი ულამაზესი ქალის – მერი შერვაშიძის მეუღლე. ნიკოლოზ მეორემ უთხრა მერი შერვაშიძეს: „ვი, კნიაგინია გრემიგე პერუდ პრიროდიო“ – ბუნებასაყ არ შეუქმნია ასეთი სილამაზეო. ალექსანდრე იყო მეფის საარტილერიო პოლკის უფროსი“ (გვ. 145).

ცნობებს გვაწვდის სერგეი ვიგე. მას კიევში გაუცნია გრაფინიას მეუღლე კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგელი, დროსტარების მოყვარული, ფრიად მხიარული კაცი. გაუთავებელი ლოთობის, ფულების ფლანგვის და ამარტკული თამაშების გამო იგი პეტერბურგიდან კავკასიაში იყო გადასახლებული, ქუთაისში პოლკის მეთაურად დაენიშნათ და ახლა კიევში დასთან იყო ჩამოსული. ქუთაისში მას შეყვარებია იქაური ოფიცრის ცოლი. ის ქალი, აგრაფინა იოსელიანი, ქმარს (გარიელ დადიანს) გაყრია და ამ კონსტანტინე ოლდენბურგელის მეუღლე გამხდარა, რის შემდეგაც მიუღია საგრაფო ტიტული და გრაფინია ზარნიკაუდ იწოდებოდა. ვიგე მას აქებს, როგორც გონიერსა და სასიამოვნო გარეგნობის ქალს, პეტერბურგის მაცხოვრებელს, მაგრამ იქვე დასძენს, კულტურა აკლდა, ფრანგულად ლაპარაკი უჭირდაო. ვიგე აგრაფინა იოსელიანსა და გარიელ დადიანს გვარ-სახელებით არ მოიხსენიებს, მაგრამ მათი ოჯახური ამბავი, თავის დროზე, დიდად ყოფილა გახმაურებული და ძველ ქუთაისში თურმე ხალხურ ყაიდაზე გაწყობილი სახუმარო ლექსიც იმღერებოდა:

აგრაფინა კისკისა,
გარიელმა ვის მიგვა?!

ვიგე აღნიშნავს, რომ რუსი ოლდენბურგელები ფსიქიურად დააუადრებული იმპერატორის, ეკატერინე დიდის ვაჟის – პავლე I-ის შთამომავლები იყვნენ და თითქმის ყველა თაობის წარმომადგენლებს ეგყობოდათ გადახრა, არანორმალურობა, რაღაც უცნაურობა. კონსტანტინე ოლდენბურგელმა სიცოცხლის ბოლომდე ვერ მიაგოვა ლოთობა, მუდამ ვალებში იყო (თავის სისხლით ნათესავს, გულმოწყალე ნიკოლოზ II-საც სძალავდა ფულს) და ბოლოს ნიცაში გარდაცვლილა.

აღსანიშნავია, რომ გადასახლებიდან გამოპარული და საქართველოში მცირე ხნით, ნამალევეად ჩამოსული გვანჯი ჩიქოვანი სულ პირველად გაგრაში, მის მაშინდელ მფლობელს ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელს ეწვია, კონსტანტინეს ძმას. ცხადია, გვანჯის მიევსებოდა მის ოჯახში. კონსტანტინესგან განსხვავებით, ალექსანდრე ოლდენბურგელი ჭკვიანი ორგანიზაციონი, უნარიანი, დიდი ქონების პატრონი, მაგრამ მომჭირნე კაცი ყოფილა. ვიგე ოხუნჯობს, ქველმოქმედებას ეწეოდა, მაგრამ ამას სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე აკეთებდაო. ნიადაგ ვალებში ჩამხრჩვალნი და წაგებაში მყოფი გალოთებული ძმა მასაც ხშირად სთხოვდა ფულს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, იგი იმპერატორივით გულუხვობას

არ გამოიჩინდა გრაფინია ზარნიკაუს მეუღლის მიმართ.

იმპერატორმა იცოდა თავისი პირადი დაცვის, ქართველი ოფიცრების სათაკილო მიდრეკილებები (აზარტული თამაშობანი, გაუთავებელი ღრუობები), მაგრამ სამაგალითო ერთგულების გამო ყველაზე მეტად მაინც მათ ენდობოდა. მეფე ხშირად იხდიდა თურმე ქართველების მიერ კარგში წაგებულ ფულს. აქვე მოთხრობილია ის ანეკდოტური შემთხვევა, უჩა დადიანმა წაგების შემდეგ საკუთარი ეპოლეტები რომ დააგირავა და ამის თაობაზე ხელმწიფეს გაენდო, ვალის დაფარვა სთხოვა. ნიკოლოზი, ჩანს, ქართველების ასეთი საქციელის გამო გულისწყრომას არ გამოსთქვამდა, ითმენდა.

როცა თებერვლის რევოლუციის შემდეგ ნიკოლოზ II-ს გადადგომა მოსთხოვეს და გახტვე უარი ათქმევინეს (ეს გააკეთეს გენერალმა რუმსკიმ, სათათბიროს დეპუტატებმა შულგინმა და გუქიკოვმა), სიმანოვიჩი მართებულად შენიშნავს, მათდა ბედად, იქ არ იყო მეფის პირადი დაცვა (იგი ქართველ ოფიცრობას გულისხმობდა), თორემ კაცმა არ იცის, როგორ წავიდოდა საქმე, ვერც ერთი მათგანი ცოცხალი ვერ გადარჩებოდაო.

ჩემს თაობას, ჩემზე უფროსებსაც კარგად ახსოვთ არისგოკრაგული წარმოშობის მსუქანი, განდაბალი მოხუცი (იგი კინოსტუდიაში მუშაობდა), სიძველეთა საუკეთესო მცოდნე, კოლექციონერი და შესანიშნავი მთარგმნელი, აკაკის ნათესავი, ბაგონი პაპუნა წერეთელი, რომელიც სიამოვნებით გვიყვებოდა ხოლმე გარდასულ დროთა ამბებს. იცოდა ბევრი რამ, რაც ხდებოდა რუსეთის ხელმწიფის კარზე. იგონებდა თავის ახლობელთა, თვითმხილველთა მონაყოლს, როგორ სადად, უბრალოდ ეცვათ რიდითა და მრდილობით აღსავსე იმპერატორის შვილებს, ხალხისგან მალულად (ამას შემდგომშიაც მალაენდნენ), ლენინისა და სვერდლოვის ვერაგული მითითებით ეკატერინბურგში, „იპატიევის სახლის“ სარდაფში ჩაყრილები, დედ-მამასთან და ოჯახის წევრებთან ერთად, ასე უმოწყალოდ რომ ჩახოცეს 1918 წლის 17 ივლისს. დღეს მთელ მსოფლიოს მიაჩნია, რომ ბოლშევიკთა მიერ ჩადენილი უთვალავი სისხლიანი დანაშაულიდან, ეს მკვლელობა ყველას აღემატება. ბაგონი პაპუნა იმასაც გვეტყობა, რა მრავლად გრიალებდნენ მეფის სასახლეში ქართველი თავადიშვილები, ქართული სისხლის მქონე ულამაზესი ფრეილინები, საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ბევრ რუს არისგოკრაგს დედა ქართველი. ჰყავდა (აგრეთვე დიდგვაროვანი), უძველეს ქართულ გრადიციებზე იყვნენ აღზრდილები და ხასიათი, რაინდული ქცევა, მანერები, თვით შესახედლობაც ქართული

ქონდათ. ამის საუკსოო მაგალითად ბაგონმა პაპუნამ დაასახელა უჩვეულოდ ლამაზი პაშა დადიანის ბრწყინვალე ვაჟი, გვარად ვიგგენშტეინი (გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში მისი სახელი ნახსენები არაა და პირველად დიდად პატივცემულმა ქალბაგონმა, საუკუნეს მიგანებულმა ბაბო დადიანმა მამცნო, რომ ალექსანდრე ერქვა), იმპერატორის ნათესავი, რომელმაც მაგარებელში ქალთან გამოჩენილი უგაქტობის გამო, ღუელში გამოიწვია იმ ქალის თანმხლები გენერალი და კიდევაც შეაკვდა. გენერალმა მასთან ერთად ღამეგათეულ, ვაგონის ფანჯარასთან მიმდგარ ქალს, საყვარელს, ხუმრობა-ხუმრობაში „უადგილო ადგილას“ ხელი ჩამოკრა. აკისკისებულ ქალს სახე შეეცვალა, თანაგრძნობისათვის ვიგგენშტეინს შეხედა და კუბეში შევარდა. ვიგგენშტეინმა უცხო, თუნდაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალის მის თვალწინ დამცირება პირად შეურაცხყოფად ჩათვალა, ღუელი დაიჩინა და სასიკვდილოდ დაიჭრა (აქ შეიძლება უნებურად გაგვახსენდეს შოპენჰაუერის ერთი სექსუალური გამონათქვამი: „რაინდული ღირსება ამპარტავნობამ და უგუნურებამ წარმოშვა“). ჩვენებური სულისკვეთებით გამრდილი ვაჟკაცი, ეგყობა, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. სანამ სული ამოხდებოდა, მომაკვდავი ნიკოლოზ მეორეს ახლობლურ ბარათს სწერდა, რომ ყველაფერი წესების დაცვით მოხდა და გენერალი (მას მხოლოდ ქუდი გაუხვრიტა სიმწრისგან ჩაჩოქილი ვიგგენშტეინის საპასუხო გყვიამ) არ უნდა დასჯილიყო. ამ საუბარს ჩემთან და რამდენიმე კაცთან ერთად ჩვენი ძვირფასი რევაზ ინანიშვილი უსმენდა. მოგვიანებით მან დაწერა უბრწყინვალესი ნოველა „ფრთხებიან ყვაეები დამბაჩის ხმაზე?“ რეზოს ეპიგრაფად მოაქვს ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის ცნობა, რომ ვიგგენშტეინები იმეამად გაქრობის პირას მისული რუსი თავადები არიან. სინამდვილეში ეს არის ავსტრიული წარმომავლობის უძველესი არისტოკრატიული გვარი. ნოველის ავტორი, გარდა იმისა, რომ დიდებულ, დაუვიწყარ პორტრეტს ხატავს, გმირის შინაგან სამყაროში ჩაწვდომის იშვიათ უნარსაც ავლენს. დასაღუპავად განწირულ ვიგგენშტეინს როცა ილღიებში შეუღვებიან და სადგურის მოსაცდელში შეიყვანენ, როგორც ითქვა, იგი იმპერატორის სახელზე ბარათის დასაწერად საწერ-კალამს ითხოვს. აქ საყურადღებოა ერთი თითქოსდა უბრალო, მაგრამ განსაცვიფრებელი დეტალი, რისი დანახვა და გადმოცემაც მხოლოდ ნიჭიერი ოსტატის თვალს შეეძლო: „მინდისფერ ჩოხაზე თითქმის არ ეგყობოდა სისხლი“. იმის წარმოსადგენად, თუ რაოდენ ძლიერი, მომხიბლავი ნაწარმოები შექმნა ჩვენმა მარად დაუვიწყარმა მწერალმა და მეგობარმა, ამ ნოველის ერთი გვერდი მაინც უნდა ამოვიწეროთ:

„თავადი ვიტგენშტეინი, რუსეთის იმპერატორის ახლო ნათესავი, სამეგრელოს მთავართა უმშვენიერესი შთამომავლის პაშა დადიანის ვაჟი-შვილი თბილისიდან პეტერბურგს მიემგზავრებოდა მაგარებლით. ამ ჯერაც ისევ ახალგაზრდა კაცს, ლეიბ-გვარდიის პოლკოვნიკს, ბავშვობა დედულეთში ჰქონდა გატარებული. მოსწავლეობის წლებშიც, არადადეგებზე, ჩამოდიოდა ხოლმე სამეგრელოში. იცოდა მეგრული, ცოტა ქართულიც. აღმერთებდა დედას, უყვარდა ქართველი ნათესავები. მათთან, ნათესავებთან, თავი ისე ეჭირა, როგორც მრდილ მეგრულ ყმაწვილს შეჰყურის (გამოცდილი თვალი მაინც შეამჩნევდა გერმანულ პედანტიზმს), გაწაფული იყო ნახევრად ველური ჯოგის ცხენების ჭენებაში, ცხენიდან სროლაში, გახეებზე ნადირობაში. იცვამდა ჩოხას, ქართულ უძირო წაღებს, იხურავდა მეგრულ ფაფანაკსაც კი.



ალექსანდრე ვიტგენშტეინი ბიძაშვილთან — ნინო დადიანთან ერთად ქ. ქუთაისი

ახლაც, მაგარებელში, ასე ეცვა — მწიფე შინდისფერი, თეთრქილებიანი ჩერქეზული ჩოხა, პირისფერი ახალუხი, მუხლქვემოთ სადა ლეკვერთებ-შემოჭერილი უძიროები. ეკიდა სპილოს ძელის გარიანი ხანჯალი. შესაშურად აღნაგი, წელში ღარივით აჭიმული, თავისი სხეულის საამოდ მფლობელი, ან წიგნს კითხულობდა კუკეში, ან არადა ვაგონის ფანჯარასთან მდგარი, ხელებუკანდაწყობილი, მშვიდად გაიყურებოდა გარეთ.

თვალს მოგტაცებდათ მისი მაღალი კისერი, კავკასიური პატარა, მკერივი კეფა, ზემოთ წასული წარბები, ოდნავ კეხიანი, თხელი ცხვირი და თხელივე ტუჩები. სამხრეთულად მშემოკიდებულს, მაინც შეერჩენოდა ჩრდილოეთური მოყვითალო სიფითრე. იშვიათად, რომ ვინმეთი დაინგერესება შეგყობოდა სახეზე, თუმცა ვერც იმას იტყობოდა, ყურადღების გარეშე დაეგოვებინა ვინმე. ძალდაუტანებელი თავაზიანობით გაატარებდა ხოლმე ვაგონში

გამფლელებს. მქრალი ღიმილით უსმენდა გამოლაპარაკების მსურველთ, მორჩილად ხრიდა თავს, მიუგებდა უმთავრესად შეკითხვებზე და თუ გრძნობდა, რალაც არ ხდებოდა ისე, როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვდა, ოდნავ გვერდზე გადაქონდა მზერა“.

ასე დავტოვით იგი – ცოცხალი, თავადურად ამაყი, მშვენიერი. აი, ამ ჯიშისანი რაინდის ელეგანტურ მიხვრა-მოხვრას ვხედავთ, მის კეთილშობილურ ხმას ვისმენთ გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში (გვანჯიე არ ახსენებს მის დალუქვას) და უფრო ამიგომაც დავაკვირდით მის განუმეორებელ პიროვნებას, მისი ფოტოსურათიც ამის გამო მოვიძიეთ. ალექსანდრე ვიგტენშტეინის უნიკალური ფოტო, მის ბიძაშვილთან ნინო დადიანთან, დალუქვამდე, ალბათ, ცოცხალი ხნით ადრე გადაღებული, მოგვაწოდა ქალბატონმა საშურა შენგელაიამ, რომელმაც აღმოღებული გაგრიდან (მისი მამაპაპეული სახლი აფსუა კაციჭამიებმა და მათი მხარის ამბულმა ველურმა ბანდებმა დასწვეს) მხოლოდ საოჯახო ალბომის წამოღება მოასწორო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთ-იაპონიის ომის დროს გვანჯი ჩიქოვანი სწორედ ალექსანდრე ვიგტენშტეინის პარტიზანულ შენაერთში ირიცხებოდა. მანამდე და მერეც, ბევრი რამ გადახდა თავს. ამ ამბებში ზოგი ძალზე დაძაბული, დრამატულია, ზოგიც – შედარებით უბრალო, ჩვეულებრივი. ერთი ფანტასტიური შემთხვევა კი ნამდვილად აღნიშვნის ღირსია.

მონღოლეთში, უდაბურ ადგილას, ცხენების შესაძენად და ჩამოსაყვანად წასული გვანჯი და მისი ამხანაგები უეცრად გაიგონებენ ნაღვლიან მეგრულ სიმღერას „ოუ ნანას“, რომელსაც თეთრწვერა, ადრე კაცის შემოკედომის გამო კატორღაში გაგზავნილი და სახალინიდან გამოქეული, შემდეგ კი მონღოლ თავად განთიმიროვთან მოჯამავირედ დამდგარი მოხუცი მეგრული მწყემსი, ყვანია მღერის, ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაოცდებოდნენ ამის გამგონენი და მხილველნი.

ზღაპრულ, დაუჯერებელ ამბავს ჰგავს თვით ყვანიას პატრონთან, განთიმიროვთან სტუმრობა და იქ გაგონილი. ოჯახის უფროსი უცხო სტუმრების პატივსაცემად, მონღოლეთში ამ დროს კეიეს დაკლავს ხოლმე, მაგრამ რახან განთიმიროვმა მოსულთა ქართველობა შეიტყო, ცხვრები დააკვლევინა, გრძელ მაგიდაზე სარდაფიდან ამოგანილი შამპანურის ბოთლები დააწყვეს და დიდებული ღვინო გაიმართა.

ნადიმზე ხუთ კაცს, დანარჩენი მონღოლებისგან განსხვავებით, შავი

წვერ-ულვაში ამშვენებდა, რაც იმ მხარეში იშვიათობაა. გვანჯი, რუსულის მცოდნე თარჯიმნის მეშვეობით, მასპინძელს ამის მიზეზს ეკითხება. გაღიებული თავადი პასუხობს, რომ XIII-XIV საუკუნეებში მის წინაპრებს, მონღოლებს, თითქმის მთელი მსოფლიო და მათ შორის კავკასიაც დაპყრობილი ჰქონდათ. ჩვენმა მთავარსარდალმა ჩინგიზ ყაენმა და მისმა თანამებრძოლებმა თან წამოიყვანეს დაგყვევებული ლამაზი მამაკაცები, ქართველები და ჩვენ იმათი შთამომავლები ვართო. ლხინის დასრულების შემდეგ, ცრემლმორეული მოხუცი მწყემსი ევანია, კარგა დიდ მანძილზე გააცილებს სასწაულებრივად მოვლენილ თვისგომებს და შეწუხებული მოსთქვამს, რომ მშობლიურ მიწაში დამარხვა არ ეღირსება.

ვერ ვიგყვი რამდენად მართალი ვარ, მაგრამ ამგვარი აზრიც გამჩენია – გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში მრავალი ისეთი ეპიზოდია, რომ პროფესიულად დამუშავების, გაშლისა და კომპოზიციურად შეკვრის შემდეგ ძალზე საინტერესო საგელეევიზიო ფილმის მასალად გამოდგებოდა.

შესაძლოა ამ ჩანაწერების გამოქვეყნება ვინმემ არც ჩათვალოს საჭირო, აუცილებელ და საშურ საქმედ. კაცმა რომ თქვას, გვანჯი ჩიქოვანს იმდენი მაღლი აქვს გაკეთებული და სამშეოზე ისეთი სახელი დატოვა, მუდამ პატივით მოიხსენიებენ, ისედაც ცხოვრობს თავისი მაღლიერი კუთხის, მთელი საქართველოს მესხიერებაში, მრავალ ლექსსა თუ სიმღერაში და ამ ხსოვნას უღმობელი დროც ვერ წაშლის, მაგრამ დოკუმენტური მასალა, საპატიმროს კედლებში მისგანვე მოყოლილი, სხვა მხრიდან დაგვანახებს, მეტ ნათელს მოჰყენს ამ მრავალჭირნახული პიროვნების მიერ ღირსეულად განვლილ დიდ გზას და, ვფიქრობთ, სხვა მხრივაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. თუმცა საკმაოდ ბევრი დავწერე, ათას რაღაცას გადავწვდი, მაგრამ ერთი ამდენი, ალბათ, კიდევ დამრჩა სათქმელი იმის გადმოსაცემად, რა საფიქრალიც ჩემთვის ესოდენ ძვირფასმა ხელნაწერმა აღმიძრა.

მოგონებების წამკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ გვანჯი ჩიქოვანი არასოდეს არ კარგავს ქართველი კაცის ღირსებასა და სიამაყეს, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს.

აღექსანდროვიკის ციხეში მოხვედრილი გუსალი გაიგებს, რომ ამ სოფელში იმყოფება, ლაღად, თავისუფლად ცხოვრობს ერთი ქართველი პატიმარი, კატორღამისჯილი ვანო ჯორჯაძე, რომელსაც მეგობარი

ქალის, მდიდარი და ქველმოქმედი მარი ინოკენტის ასული გორბუნცოვას მეშვეობით ციხის ადმინისტრაციაზე დიდი ზეგავლენა აქვს. ციხის უფროსს, პატიმრების შემოწმებისას, თვალში მოუვა ვაქცაყური შესახედაობის ახოვანი, ლამაზიანად ჩაცმული გვანჯი ჩიქოვანი და ეკითხება, იცნობს თუ არა იგი ვანო ჯორჯაძეს. გვანჯი პასუხობს, რომ არ იცნობს და დიდად დაუმაღლებს უფროსს, თუ იმ კაცს გააცნობს. თუკი თვითონ არ გიცნობს, შენთან რატომ უნდა მოვიდესო, ირონიულად დაეკითხება ციხის უფროსი. ამ კითხვას ისევ გვანჯის პასუხი მოსდევს, ამაყი, თავდაჯერებული: „თუ ჯორჯაძე ჩემს გვარს გაიგებს და ჩემთან მოსვლას არ მოისურვებს, ეს იმას ნიშნავს, ქართველი არ ყოფილა...“ რამდენი რამის მაყნე და დამტყვევია ეს მოკლე ფრაზა.

უფროსის სახეზე კმაყოფილების ღიმილი გაერთება, იგი საკნიდან გადის. ერთი საათის შემდეგ, გვანჯი ჩიქოვანის ნათქვამის ჭეშმარიტების დასტურად მას იბარებენ კომენდატურაში, სადაც ვანო ჯორჯაძე ელოდება. ამ შეხვედრამ განსაცვიფრებელი შედეგი იქონია, ძირფესვიანად შეატრიალა ყმაწვილი კაცის ბედი. ვანო ჯორჯაძემ, თავისი მეგობარი ქალის მეოხებით, მაშინვე ციხიდან გაათავისუფლებინა გვანჯი ჩიქოვანი, კატორღისა და გადასახლების კვალობაზე მეფური პირობები შეუქმნა. ეს ყველაფერი გასაოცარი სისწრაფით გაკეთდა. გვანჯი ჩიქოვანი ის კაცი არ გახლდათ, მხოლოდ საკუთარი თავისთვის ეშველა და არავინ გახსენებოდა. იგი მაშინვე იწყებს მრუნვას, რომ ციხეში დარჩენილ ამხანაგებს დაეხმაროს, განჯვა შეუმსუბუქოს. მარი გორბუნცოვას მოქმედება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ლამაზ, ჭკვიან, გავლენიან და ბუნებით კეთილ ქალს ყველაფერი შეუძლია, ყველანაირი მდგომარეობიდან იპოვის გამოსავალს. ეს ეპიზოდები დიდი სიმართლით, თანმიმდევრულად, დაწვრილებით არის მოთხრობილი და მკითხველს ზედმეტად აღარ გადაეკვირთავ.

სანიმუშოა გვანჯი ჩიქოვანის დამოკიდებულება სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მიმართ. მისთვის, უპირველეს ყოვლისა, კაცის პირადი თვისებებია მთავარი და მის ეროვნებაზე საგანგებოდ არ ამახვილებს ყურადღებას. დაეკვირდეთ, როგორი სითბოთი და მაღლიერებით გვიხატავს იგი უცნობ რუს კაპიტანს, კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ჯერ როსტოვის ციხეში, შემდეგ კი მოსკოვის საპატიმროში გადაყვანილს, სიგყვის უთქმელად, სრულიად უანგაროდ ეხმარება.

სხვა შემთხვევაში გვანჯი ჩიქოვანი უსიამოვნო გრძნობით იხსენებს

შავრაზმულ რუს მღვდელს, როცა ეს კაცთმოძულე „ღვთის მსახური“ ჩელიაბინსკში, მოედანზე შეკრებილ ბრბოს მოუწოდებს, გაელიგონ ებრაელები და კავკასიელები, როგორც რუსეთის იმპერატორის მოღალატენი. იქვე მდგარი ბრგე ტანის კავკასიელი ოფიცერი, გვარად ალიხანი, შეხლა-შემოხლის შემდეგ, ხმლით წააყლის თავს ამ ბოროტად მოქადაგეს.

ერთი რამეც იმთავითვე საგრძნობია – გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობში სხვა საქართველოს და სხვანაირ ქართველებს ვხედავთ. ეს ადამიანები, შეიძლება ითქვას, სულს უბერავენ ერთმანეთს, გაჭირვებაში ჩავარდნილი თვისგომის დასახსნელად, ხელის გასამართლავად არაფერს იშურებენ. ცხადია, თითო-ოროლა უკეთური, დამსმენი და ჯაშუში მათაც გამოერევათ, მაგრამ ეს მღვაში წვეთია იმ სიკეთესთან შედარებით, რასაც უცხოობაში მყოფი ქართველები ერთმანეთის მიმართ იჩენენ. ამის მრავალი შემთხვევა აღწერილია ირკუგსკში. სიმტკიცითა და სიმრავლით გამოირჩევა ხარბინის ქართველთა სათვისგომო, რომელსაც სათავეში ედგა აწ გარდაცვლილი მწერლისა და მამულიშვილის – ლევან ხაინდრავას მამა – ივლიანე ხაინდრავა, რომელთან ერთადაც იმყოფებოდა მისი ძმა სამსონი (მსახიობ თათია ხაინდრავას მამა). ივლიანე ხაინდრავა ქუთაისში მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ არეულობაში მონაწილეობისთვის სრულიად ყმაწვილი დააპატიმრეს და შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს. იქ მან ვაჭრობას მიჰყო ხელი, ამ საქმისთვის საჭირო ნიჭი და უნარიც გამოამჟღავნა, დიდძალი ქონება დააგროვა და ბევრს უწევდა შემწეობას. გამიგია, ხარბინში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს ქართული გაზეთიეც ჰქონდათო. ამ და სხვა მოვლენებს საგანგებო შესწავლა ესაჭიროება, თუკი ვინმე სურვილს გამოავლენს და შესაძლებლობაც ექნება.

გვანჯი ჩიქოვანს დიდი სიყვარულით ჰყავს დახატული იშვიათი გარეგნობისა და მწვეკეთილობით გამორჩეული, ხარბინში დროებით მცხოვრები კომერსანტი პლატონ დადიანი, რომლის მისამართი მას ირკუგსკელმა ქართველებმა მისცეს და პლატონთან დეკემბაც გააგზავნეს. რკინიგზის სადგურში ჟანდარმთა მკაცრი მეთვალყურეობა იყო და გვანჯი ჩიქოვანმა კარგა ხანს ვერ მოახერხა ხარბინში ჩასვლა, თვენახევარი ლოდინი დასჭირდა. ერთხელაც საკვანძო სადგურ მანჯურიაში დაინახა ვაგონიდან გადმოსული, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი წარმოსადეგი ვაჟაკი, რომელსაც თან პაგარა, ლამაზი ბიჭუნა ახლდა. გვანჯი ჩიქოვანმა მაშინვე იაზრა, რომ ეს იქნებოდა პლატონ დადიანი, რომელსაც თავისი რვა წლის ვაჟი თბილისში მიჰყავდა ქართულ გიმნაზიაში მისაბარებლად,

რათა ყმაწვილს მშობლიური ენა არ დაევიწყებოდა. ეს ფაქტიც მრავალნიმეცყველი გახლავთ. ძალზე ამბულელებელია მათი მოულოდნელი შეხვედრა და პლაგონისგან გამოჩენილი გულისხმიერება და ძმური დახმარება, რისი წყალობითაც გატანჯულმა კაცმა, ბოლოსდაბოლოს, ხარბინში ჩააღწია. თბილისელ დადიანებში როცა გავიკითხე პლაგონ დადიანის შემდგომი ბედი, მითხრეს, ოცდაჩვიდმეცში დახვრიტესო. ადვილი შესაძლებელია ასეც იყო, მაგრამ ამ ცნობას მაინც დაზუსტება სჭირდება.

მოგონებებში მთელი გალერეა გვხვდება ღირსეული, კეთილშობილი ქართველებისა, მუდამ მზად რომ არიან გაჭირვებულთა დასახმარებლად. ირკუტსკში მცხოვრები ქართველებიდან სიკეთით, გულუხვობით გამოირჩევა ძეხვეულით მოვაჭრე ნესტორ გვათუა, მალევე რომ გაკოტრდება და კვდება. აქ უთუოდ უნდა ვახსენოთ ხელმოკლედ მცხოვრები ბათუმელი კაცი ბიქტორ ლოლუა, რომელიც უკანასკნელ ლუკმას დათმობს, გადაწყვეტს ოჯახის ნივთები დააგირავოს, ოღონდ ხიფათიან გზაზე დამდგარ თვისგომს ცოგაოდენი ფული მისცეს. სტუმარი ამას არ დაანებებს, იმხანად უფულობას არ უჩივის. სწორედ ბიქტორ ლოლუას პასპორტით მიემგზავრება ბათუმიდან იქ მალულად ჩასული, გადასახლებაში მყოფი გვანჯი ჩიქოვანი. ასე ძმა არ გადასდებს ძმისთვის თავს.

მკითხველი ისედაც მიაქცევს ყურადღებას პირველი მსოფლიო ომის ეპიზოდებს, მაგრამ ჩვენ ერთ დამახასიათებელ შემთხვევას გამოვაცალკევებთ (ეს შემთხვევა ერთხელ უკვე ვახსენეთ). ჯოჯოხეთურ ბრძოლაში იღუპება პოლკის მეთაური, სახელოვანი ვაჟკაცი კოწია შერვაშიძე. თანამებრძოლი, ქართველი ძუკუ ღვებუაძე მოკლულს იმ ცეცხლის ნიაღვარში არ გოვებს და ორთვალაზე დადებული მოაქვს. ამ დროს შეხვდებიან მას საგანგებოდ წასული გვანჯი ჩიქოვანი და მიხილ შხეიძე, მიცვალებულის გამოტანაში მიეშველებიან, გათენებისას ძლივს გამოვლენ სამშვიდობოს. მალე იმასაც შეიგყობენ, რომ ძუკუ ღვებუაძე უკან, ნაწილში მიბრუნებისას (მან უნებართვოდ დაგოვა ფრონტი) თავადაც იღუპება, მაგრამ მის უსულო, გყვიებით დაცხრილულ სხეულს ვეღარ პოულობენ. სხვა ეროვნების ადამიანთათვის გაუგებარი, დაუჯერებელია ის თავგამოდება, რასაც ქართველები იჩენენ კოწია შერვაშიძის ცხედრის სამშობლოში წასასვენებლად. ამ სამგლოვიარო ცერემონიალის აღწერას რამდენიმე გვერდი ეძღვნება.

გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარგად ჩანს ქართველების ერთი საქები თვისება – სამშობლოს მოშორებული სხვადასხვა კუთხის შვილები ერთ მუშგად არიან შეკრულნი, ერთმანეთს

ემუქვლებიან, ქომაგობენ. ამავე დროს, ვერც წრეგადასულ ქეიფსა და დროსტარებას ელევინან, მამა-პაპათა ჩეულებს კვალობაზე, ხშირად უჭირავთ ხელში ღვინით სავსე სასმისი, ისმის გაუთავებელი სადღევრძელოები. გვანჯი ჩიქოვანიც მათთანაა, მაგრამ ამავდროულად იგი მოვალეობის კაციც არის, დაკისრებულ საქმეს მუდამ დროზე და პირნათლად ასრულებს, სიკვყვას არასოდეს გაგებავს. ამიგომაც, ყველგან პატივისცემით ეპყრობიან.

ამ ჩანაწერებიდან ჩანს, რომ თავად გვანჯი ჩიქოვანი ქალების მადევარი კაცი არ ყოფილა, ხოლო თუ ისინი თავად მიეგანებოდნენ, მაშინაც შესაფერის თავდაჭერილობას იჩენდა, თავისი მომხიბველელობა და მიმხიდველი გარეგნობა ბოროტად, ანგარებით არავისთან გამოუყენებია.

ერთი სასიყვარულო, სამიჯნურო თავგადასავალი თვითონ საკმაოდ ცოცხლად, სურათოვნად და გულახდილად აქვს მოყოლილი. ხარბინში იმ დროს ქმართან ერთად იმყოფებოდა სილაშაშით განთქმული უმდიდრესი პეკერბურგელი ქალი ალექსანდრა პოლეტიკა (ეს ქმრის გვარია), რომლის გულის მონადირებას, საყვარლად გახდომას მორიგეობით ამაოდ ცდილობდნენ იშკამად იქ მომსახურე ბრწყინვალე გვარიშვილები ნაპოლეონ მიურაგი და ალექსანდრე ვიგგენშტეინი. ეშხიანი, თამაში ქალი მორჩილ და დამყოლ ქმარს ღიდად არ ერიდებოდა და თაყვანისმცემლები ხშირად სტუმრობდნენ მის ოჯახში. ერთხელაც მიურაგმა და ვიგგენშტეინმა გვანჯი ჩიქოვანი წაიყვანეს თან. ღიასახლისი უმაღლ მოხიბლა მისმა გარეგნობამ, მოქცევამ და იმ დღიდანვე მათ შორის თავდავიწყებამდე მისული რომანი გაიბა. ეს უღამაშესი ქალბატონი არავითარ ხარჯებს არ ერიდებოდა და არც რეპუტაციას უფრთხილდებოდა, ოღონდ ახალგაზრდა ქართველ თავადთან მისი სიყვარული დიდხანს გაგრძელებულიყო. მოილაპარაკეს კიდევაც, რომ გვანჯი ჩიქოვანი მას ირკუტსკში დაელოდებოდა; ალექსანდრა პოლეტიკას იქაც პქონდა სახლი და ერთად იცხოვრებდნენ. ამ დროს მოხდა გაუთვალისწინებელი რამ – რკინიგზის მუშები გაიფიცნენ და პოლეტიკას ქალმა ველარ შეძლო ჩასულიყო ირკუტსკში, სადაც მთელი თვე ელოდებოდა გვანჯი ჩიქოვანი, სანამ მოთმინება გადაეწურებოდა და საქართველოსკენ გასწევდა. მოგვიანებით, მასზე უსამღვროდ შეყვარებული ქალი წერილს უგზავნის გვანჯი ჩიქოვანს, სინანულით ატყობინებს ჩამოუსვლელობის მიზეზს, მეგობრულად საყვედურობს, რატომ არ გამიმხილე, პატიმარი თუ იყავი, ნიკოლაი ნიკოლაევიჩს ვთხოვდი და გაგათავისუფლებდნენ, ყველაფერი მოგვარ-



დებოდაო. ეს არ არის ყასიდად ნათქვამი, ასედაც იქნებოდა. ნიკოლაი ნიკოლაევიჩი სხვა არავინ უნდა იყოს, თუ არ დაუნდობლობით, სისასტიკით ცნობილი ყოელისშემძლე დიდი თავადი, იმპერატორის მოგვარე და ახლო ნათესავი, რუსეთის უმაღლესი მთავარსარდალი, რომელიც სიმანოვიჩის თავის მოგონებებში ნამდვილ სადისკად, სისხლისმსმელად ჰყავს გამოყვანილი, ბრალად სდებს ათეულ ათასობით ებრაელთა განადგურებას, თუმცა ომის წლებში იგი არც სხვებს ინდობდა. პირადად უყვარდა ხელქვეითთა, თვით მაღალი ჩინის ოფიცერთა დასჯა, ურგყამდა, ვიდრე მსხვერპლს თავ-პირს არ დაუსისხლიანებდა (მშვიდობიანობის წლებში სისხლის დაუოკებელ წყურვილს ნადირობით იკლავდა, დაუნდობლად, უანგარიშოდ ხოცავდა თურმე გარეულ ცხოველებს).

სხვათაშორის, პოლეტიკა ცნობილი გვარი იყო პეტერბურგში. უნებურად გვახსენდება ინტრიგებსა და ბოროტ ხლართებში გამობრძმედილი, პუშკინის საშინელი მოძულე იდალია პოლეტიკა (იგი გრაფ ფ. ნ. სტროგანოვის უკანონო ქალიშვილი იყო და მეუღლის, სამხედრო პირის გვარს ატარებდა), რომელსაც დიდი ბრალი მიუძღვის რუსეთის უპირველესი პოეტის დაღუპვაში – მან თავის ბინაზე, 1836 წლის 3 ოქტომბერს ერთმანეთს შეახვედრა დანტესი და ნაგალია გონჩაროვა, რაც ჭორებისა და მითქმა-მოთქმის საბაზი გახდა. ეს უბრალოდ სიგყვას მოჰყვა, თორემ გვანჯი ჩიქოვანის მეგობარ ქალს, ლალსა და გულკეთილს, ბნელ და შხამით გაგენილ იდალია პოლეტიკასთან, პეტერბურგისა და ქმრის გვარის გარდა, არაფერი აკავშირებდა.

გვანჯი ჩიქოვანმა ირკუტსკშივე, ქალაქის ბაღში გაიხსოვ კდემამოსილი, საუცხოო გარეგნობისა და უაღრესად სათნო ბუნების რუსი გოგონა ნადეჟდა ნიკოლაევა, რომელიც რამდენიმე ხნის მერე ცოლადაც შეირთო (საქართველოში ჩააკითხა საცოლემ). ერთგან გვანჯი ამბობს, როგორ მოხიბლა ნადეჟდა ნიკოლაევას განსაკუთრებულმა ქალოვნებამ. ეს სიგყვა („ქალოვნება“) ამ ფორმით არსად შემხვედრია და იგი ზედმიწევნით ესადაგება თვით გვანჯი ჩიქოვანის შინაგან ბუნებას, მის ფაქიმ დამოკიდებულებას საყვარელი არსებებისადმი. ნადია ნიკოლაევა მისი ცხოვრების უერთგულესი თანამგზავრი გახდა და მასთან ოთხი შვილი ეყოლა. მოგონებების ბოლო ნაწილში გვანჯი ჩიქოვანი სიყვარულითა და სითბოთი, მოუნელებელი მწუხარებით იგონებს მოამაგე, ნაადრევად გარდაცვლილ ძვირფას მეუღლეს, ვის შემდეგაც მისი ცხოვრება ერთი გაბმული განჯვა იყო.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ რუსეთში კარგა ხნით ნაცხოვრებ გვანჯი ჩიქოვანს ალაფრთოვანებდა რუსი ქალების ბუნება, თვისებები, მათ ყველაზე სხვა ეროვნების ქალებს ამჯობინებდა და მის ამ შეხედულებას, ალბათ, პირადი ღრმა და საგულდაგულო დაკვირვება უმაგრებდა. თუმცა ისიც სათქმელია – ქალების გამო სამშობლო არ დაუთმია, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მამულის ერთგული დარჩა.

ბაგონმა ვლადიმერ ჭანგურიამ სოფელ ჭკალუამიდან წამოიღო და გამოსაქვეყნებლად გადმომცა ჩიქოვანების ოჯახის რამდენიმე იშვიათი ფოტო. ერთ მათგანზე ახლადშეუღლებული წყვილი – ნადეჟდა ნიკოლაევა და გვანჯი ჩიქოვანია აღბეჭდილი, ბედნიერები, ერთმანეთის საფერნი. სურათი ქალაქ ირკუტსკშია გადაღებული 1907 წელს. ზედვება ამოგვიფრული, ერთ დროს ოქროსფერი ფოლჯით მოვარაყებული, იქაური ფოტოგრაფის გვარ-სახელი: გუსტავ ენე.

საბედნიეროდ, გვანჯი ჩიქოვანი ერთი იმათგანი იყო, ვისაც „განცხრომით სხვაგან ყოფნას“ სამშობლოში სიკვდილი ერჩინება. ამიგომაცაბა, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, ყოველთვის და ყველგან ქართველად რჩება. სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, მეფური პატივი რომ მიაგონ და ოქროს მთები დაუდგან, გული მუდამ მამულისკენ მოუწევს. არანაირ ხიფათს და ფათურაქს არ ერიდება, ოღონდ წლობით უცხოეთში გადაკარგულმა საქართველოს მიწას დააადგას ფეხი და მშობლიური ქართული გაიგონოს, მშობლიური პაერი ჩაისუნთქოს.

* * *

რუსეთის იმპერიის გარდაუვალი კრახისა და მაშინდელი ქოტური ყოფის სურათი რამდენადმე ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, ცოტა ხნით ისევ უნდა მიუბრუნდეთ რასპუტინის მკვლელობას, რის შემდეგაც სამეფო ტახტი ძირფესვიანად შეირყა და უფსკრულისკენ დაქანდა.

გვანჯი ჩიქოვანი ამ ეპოქალური მნიშვნელობის ფაქტს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს უთმობს, მაგრამ აშკარად იგრძნობა დედოფლის უცნაური ხასიათის, ნიკოლოზის უნებისყოფობისა და რასპუტინის ვახშაურებული ორგიებისა და პარპაშის გამო რა განწყობილება იყო რუსეთის საზოგადოების ზედა ფენებში. იქამად რუმინეთის ფრონტზე მყოფი უჩა დადიანი აშკარად უკმაყოფილოა და სკეპტიკურად განწყობილი. იგი შინაგანად ელოდა კაგასგროფას, თუმცა თავის მხედრულ მოვალეობას პირნათლად იხდიდა. ეტყობა, რასპუტინთან დაკავშირებულმა ამბებმა

და მერე შეთქმულთა მიერ მისმა მოკვლამ უჩა დადიანს საბოლოოდ გაუგება გული მისთვის ესოდენ ახლობელ რომანოვთა ხელისუფლებაზე. ამიგომ იყო, რომ თებერვლის რევოლუციას უყოყმანოდ დაუჭირა მხარი და „მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა“ უწოდა. მაშინ იგი ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ რევოლუციის მოხდენიდან რვა თვის შემდეგ ბოლშევიკები მოექცეოდნენ ხელისუფლების სათავეში.

თებერვლის რევოლუცია ნორმალურად რომ ვერ წარიმართა და განვითარდა, სხვადასხვა პარტიების ორჭოფობით, სახელმწიფოში გამეფებული ქაოსით ბნელმა ძალებმა რომ ისარგებლეს და ძალაუფლება ხელთ იგდეს, ამის უმთავრეს მიზეზად საქმეში ჩახედულნი ინტელიგენციასა და ხალხს შორის თანდათანობით გაჩენილ უფსკრულს ასახელებენ.

საქართველოში დაბრუნებული უჩა დადიანი შეურიგებლად, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა მალე ჩვენს სამშობლოშიც დამყარებულ სისხლიან კომუნისტურ რეჟიმს და ემიგრაციაში მოუხდა წასვლა; წლების მერე ამერიკაში, ნიუ-იორკში, კპოვა აღსასრული. უჩა დადიანის უაღრესად დრამატული, მღელვარე ცხოვრება საქმაოდ სრულად, პანორამულად არის ასახული ფუკუ დგებუაძის რამდენადმე გენდენციურ ისტორიულ რომანში „ოქროს ბეჭედი“, რომლის წერისას ავტორს ცნობებს აწვდიდა გვანჯი ჩიქოვანი.

ამ რამდენიმე წლის წინ „ლიბერატურულ საქართველოში“ უჩა დადიანის პიროვნებასა და მის გარემოცვაზე ძალზე საინტერესო ნარკვევი გამოაქვეყნა მსკოვანმა ჟურნალისგმა აგული დადიანმა და საზოგადოებას არაერთი საგულისხმო ფაქტი ამცნო.

გარკვეული მოსაზრებისა გამო, ზოგი რამ უნდა ვთქვათ სახელმწიფო სათათბიროს წევრზე, ებრაელთა დარბევების ცნობილ ორგანიზატორზე, პირწავარდნილ შავრაზმელზე ვლადიმერ პურიშკევიჩზეც, რომლის ნასროლმა ორმა გყვიაშ (ორი დააცდინა) საბოლოოდ შეიწირა მანამდე იუსუპოვის მიერ დაჭრილი, მოსულიერებული და ქუჩაში გასავარდნად გაქცეული რასპუტინის სიცოცხლე (თვითონ იგი რამდენიმე წლის მერე საუჭვო ვითარებაში გარდაიცვალა; ფიქრობენ, რომ მოწამლეს).

1916 წლის 19 ნოემბერს სახელმწიფო სათათბიროს გრიბუნდიან პურიშკევიჩმა წარმოსთქვა ორსაათიანი მგზნებარე სიტყვა, რომლის პათოსი მიმართული იყო მისი, და არამარგო მისი, აზრით საშინელების, სამიზღრობის წინააღმდეგ, რასაც მეფის კართან დაახლოებული რასპუტინი წარმოადგენდა. დამსწრე საზოგადოებამ მხურვალედ დაუჭირა მხარი პურიშკევიჩს. მეორე დღეს მას თავადმა ფელიქს იუსუპოვმა – გრაფმა

სუპროკოვ-ელსკონმა – დაურეკა და მეხვედრაზე შეთანხმდნენ (გვანჯი ჩიქოვანს იგი მოხსენიებული ჰყავს, როგორც რასპუტინის მკვლელი, რადგან პირველმა სწორედ მან ესროლა მოსაკლავად გამზადებულ, ნამცხვრებით მოწამლულ, შხამგარეული ღვინით გამასპინძლებულ და მაინც ფეხზე მდგარ, უკვე დაქვევებულ რასპუტინს, რომელიც ამაოდ ელოდებოდა დაპირებულ, სასურველ ქალს).

პურიშკევიჩზე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა 30 წლის ულამაზესი გარეგნობის, დახვეწილი მანერების მქონე ახალგაზრდა დიდგვაროვანმა ოფიცერმა. მათი სურვილები და ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და სასწრაფოდ დაგვემკის რასპუტინის მკვლელობა. პომოსექსუალისგ იუსუპოვს თავისი ბოღმა ჰქონდა რასპუტინის მიმართ, რომელიც არა პირდაპირ, მაგრამ მაინც ხელს უშლიდა მის დაქორწინებას დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის ქალიშვილზე, ირინაზე და ფელიქსს, მისივე მშობლების თხოვნით, ჰიპნოზითა და რომგით მკურნალობდა, რაც სასიამოვნოდ არ დარჩებოდა ამაყ სასიძოს. იუსუპოვს შურის საძიებლად ხელსაყრელი მომენტი დაუდგა და შეთქმულებაში აქტიურად ჩაება. იგი შეჰპირდა რასპუტინს, რომ თავის სასახლეში, გვიან ღამით, მისთვის დიდად სასურველ ქალს დაახვედრებდა და ასე მიიგყუეს ორგეებს გადაყოლილი „წმინდანი ეშმაკი“, რომელიც რის ვაი-ვაგლახით მოკლეს და თოკებით გაკოჭილი გაყინულ ნევაში გადააგდეს. რასპუტინის ყოველ ნაბიჯს პოლიციის სამი უწყება აღევენებდა თვალს და მისი მკვლელობის გარემოებანი მაშინვე ცნობილი გახდა. ეჭვმიტანილმა იუსუპოვმა ყალბი ფიცილით აღსაყეს ფარისევლური წერილი გაუგზავნა დედოფალს, თითქოს მომხდარ ამბავზე არაფერი იცოდა.

თვითონ პურიშკევიჩს სახელდახელოდ დაწერილ დღიურებში დაწერილებით აქვს აღწერილი მკვლელობის მომზადება, შთანაფიქრის განხორციელება და ამასთან დაკავშირებული დეტალები. თუმცა ჩვენს წინაშე ამკარად ბნელი პიროვნება იხატება, მაგრამ აქვე ჩანს მისი საფუძვლიანი, კლასიკური განსწავლულობა. იარაღმომარჯვებულს (ხელში, როგორც რამდენჯერმე თავემომწონედ აღნიშნავს, „სოვაყის სისტემის“ მძიმე, საუცხოო რევოლვერი ჰქონდა ჩაბღუჯული) პორაცეუსის პირველი წიგნის მეათე ოდის დასაწყისი აკვიაგებია და აფორიაქებული ლათინურად წარმოსთქვამს მაგიურ სტრიქონებს:

ნუღარ მეკითხები ნურაფერს, ლევეკონოია, არ გვიწერია გაგება იმისა, თუ რა გველოდება, რა ბოლოს გვიმზადებენ მე და შენ ღმერთები...

მკვლევლობის მეორე დღესვე რუმინეთის ფრონგზე მაგარებით მიმავალი პურიშკევიჩი შემფოთებულია რუსეთის იმპერიის არასახარბილო ბედით და თავისი დღიურების ბოლოს სიმწრით აღმოხდება: „ღმერთო ჩემო! რა წყევლიადით არის მოცული მომავალი!“ იგი არც მალავს მის სამშობლოს მცირე ერების ჩაყლაპვა რომ უნდა და ამავე დროს დაუჭვებულია, რამდენად შეძლებს ამას რუსეთი:

„ვართ კი ჩვენ დიდი ხალხი, ვისაც შეეძლება ეროვნული მდინარის კალაპოტში გზა გაიკვალოს წინ, თან თავის წყლებში შთანთქმას სხვა ტომები და წერილ-წერილი ხალხები, თუ? თუ ჩვენთვის ყველაფერი დამთავრებულია და უკვე მოგვსაო, დაგვანაკუნა და გაგვხრწნა ქამთა დინებაჲ, განწირული ვართ საიმისოდ, რომ წარმოვადგენდეთ არენას სხვა ტომებისა, რომლებიც სლავებს თელიან უმდაბლეს რასად, ვისაც შეუძლია მხოლოდ გააპოხიეროს ველ-მინდვრები იმ ქვეყნებისა, მისსავე ძელებზე რომ გადადიან და ესწრაფვიან სინათლეს, ცოდნასა და მსოფლიო ბატონობას, რისი მიღწევაც ბედმა ჩვენ არ გვარგუნა?“

ეს დიდმპყრობელური, უკვე დრომოჭმული იმპერიული მრახვები, რომელსაც ვერა და ვერ დახსნია, დღესაც რღვევისა და უფსკრულისკენ მიაქანებს ამბიციური, თავხედი, გაიძვერა და უჭკუო პოლიტიკოსების ხელში ჩავარდნილ რუსეთს.

საკუთრივ ჩვენ რაც შეგვეხება, პირდაპირ უნდა ითქვას – გამუდმებული ძახილი და იმის იმედად ყოფნა, რომ რუსეთი და საქართველო ერთმორწმუნე ქვეყნები არიან, დასანანი გულბრყვილობა და თავის მოგყუებაა. ვინ მოსთვლის რამდენჯერ გაგვიცრუვდა იმედი და რამდენი შეთანხმება ფარაგინა ქალაქად დარჩა. დღემდე ასე იყო. ისტორიკოსმა გიორგი ქავთარაძემ ამის არაერთი მეტყველი ფაქტი მოიგანა დიდად საყურადღებო წერილში „კავკასია და საქართველო“ („მნათობი“, № 3-4-5, 1997 წელი).

* * *

ადრეც აღვნიშნე – გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში ხშირად იხსენიება პრინციპსა სალომე და მისი ფრანგული წარმომავლობის შვილები, მიურაგები. ამ გარემოების გამო, თვით მე მინდა გავიხსენო ერთი ძვირფასი ადამიანი, დედაჩემისა და მამაჩემის ინსტიტუტის მეგობარი, კანის უქიმი მარგარიტა დგებუაძე, რომლისგანაც ადრეულ სიყმაწვილეში პირველად გავივინე სალომე დადიანისა და აშილ მიურაგის სახელები. ერთ საღამოს

მანვე გამომიგანა და დამათვალეირებინა ძველი ფოტოსურათები, დაგეროტიპები (გადარჩენილი ნაწილი იმ უნიკალური ფოტოებისა ამჟამად მის დიშვილთან, იათამშე ნანეიშვილთან ინახება).

მარგარიტა დგებუაძე, დეიდა მარგო, არაამქვეყნიური სიწმინდითა და პატიოსნებით გამორჩეული, ნამდვილი მონაზვნის ტიპი იყო. უცნაურად მორიდებულს, ბუნებას რალანაირი ასკეტური ჰქონდა, ხავსიანი სამრეკლოს ჩრდილში შეყუქულ ქედანს მაგონებდა, ხმამაღლა სიტყვას არ იტყოდა. ისა და მისი უფროსი ძმა კოლია, ასევე უოჯახოდ დაბერებული, ვერაზე ცხოვრობდნენ, ბაქრაძის № 4-ის ორ პატარა, მერცხლის ბუდეებით ოთახში, მეორე სართულზე. ყოველთვის მიყვარდა იქ მისვლა, დედაჩემს მიყვებოდი ხოლმე. ხის ვიწრო, ჭრიალა კიბე აგიყვანდა მათი ბინის პატარა, შუშებიან, ფარდებჩამოფარებულ კარებამდე. კოლია ბიძია იშვიათად თუ დაგვხვდებოდა შინ (ამ ძველ არისტოკრატიზე, მეფის ყოფილ ოფიცერზე, ქვემოთ მომიხდება ორიოდე სიტყვის თქმა). დეიდა მარგოს, პატარა განის ქალს ჭროდა, სევდიანი თვალები ჰქონდა, კოლხური გაფითრებული სითეთრე გადაჰკრავდა პირის კანზე. მისმა სიკეთემ, შეიძლება ითქვას, საზღვარი არ იყო, ნამდვილი წმინდანი იყო. უდიდესი ამაგი ჰქონდა მამაჩემზე, დედაჩემზე, პირადად ჩემზე. მულამ მხარში გვედგა. ახლობლებისადმი არაჩვეულებრივ მზრუნველობას იჩენდა. ჩვენმა ოჯახმა საშინლად განიცადა, როდესაც უეცრად იგი ავაღ შეიქნა. მეხსიერება წაერთვა. ისედაც ჩუმი, დილიდან საღამომდე ხმას აღარ იღებდა. მისმა ერთადერთმა დისშვილმა, ადრე დაქვრივებულმა და მასავით უზომოდ კეთილმა იათამშე (თათული) ნანეიშვილმა თავისთან წაიყვანა და რამდენიმე წელს, გარდაცვალებამდე, დედასავით უვლიდა. მე თავს ძალა ვერ დავატანე და ვერ შევძელი ასეთ ბეჩავ მდგომარეობაში მისი ნახვა. არაფრით არ მინდოდა ძველი წარმოდგენა შემცელოდა ამ ღვთაებრივ აღამიანზე. მამაჩემი როცა გარდაიცვალა (1987 წელს), მას ამ ქვეყნისა აღარაფერი გავგებოდა და რომც ეთქვათ, ვერც მიხვდებოდა მისთვის ესოდენ სამწუხარო ამბავს. დედაჩემი და ის, ორი წლის შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალნენ. დეიდა მარგოს ბოლო, გრატიკულ წლებზე საკმაოდ მაქვს ჩაწერილი ჩემი გულისტკივილი და ოდესმე გამოვაქვეყნებ.

აქვე მინდა გავიხსენო მარგოს ძმა, მასთან ერთად მცხოვრები, მასავით მარგოხელა, მაღალი, გამხდარი კაცი, შთამომავლობით არისტოკრატი, ძველი იუნკერი, კოჯრის ბრძოლის მონაწილე, მთელი ცხოვრება

დაჭერის მოლოდინში რომ იყო. მისი ნათესაეებისგან გამიგია, რომ ახლო იცნობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ხევსურეთშიც ხლებია, მაგრამ მაინც მაინც ალგაცებული არ დარჩენილა მისი პიროვნებით და გვეგებით, დასცილებია. ვიცი, რომ აუადმოსაგონარ ოცდაჩვიდმეტ წელს, გახურებული დაჭერების დროს, რამდენიმე თვე აბანოში გააგარა გამოუსვლელად. ეგყობა ხელს უწყობდნენ კეთილი აღამიანები – ნათესაეები, ნაცნობები. ასეთი რამეები მაშინ არც ისე იშვიათად ხდებოდა. გავიხსენოთ იურისგ ალექსანდრე ქურასპელიანის ამბავი, წლების მანძილზე ცოლი პირსაბანის უკან რომ აწვენდა საგანგებოდ მოწყობილ სამალავში და მხოლოდ გვიან ღამით გამოდიოდა ქალაქში, ცოგა ხნით მუხლი რომ გაემართა. საინტერესო ფსიქოლოგიური დაკვირვებებით აღსავსე მისი მოგონებები კარგა ხნის წინ, რემო ჭეიშვილის რედაქტორობის დროს დაიბეჭდა ქურნალ „განთიადში“, მაგრამ, სამწუხაროდ, ცალკე წიგნად დღემდე არ გამოცემულა.

კოლია ღვებუაძე, უპირველეს ყოვლისა, გარეგნობით იქცევა ყურადღებას. აწურული, ხმელ-ხმელი, წვივმალალი, რალაციტ ფერდებ-შეწეულ, ჯიშთან მწვეარს გაუდა. ქართული კეხიანი ცხვირი და დაგალღული თმა შევნიშნა. უბრალო, თალხი ფერის შარვალ-ხალათი ეცვა. სახის სიგამხდრესთან შეფარდებით, ტუჩები სქელი ჰქონდა. პირველად როცა ვნახე, გზატკეცილების სამმართველოში მუშაობდა, უბრალო თანამდებობაზე, მერე საქენერგოში გადავიდა, რაიმე პოსტი არც იქ სჭერია. კოლია ბიძია სიგყვაძეწი კაცი იყო. მე მაშინ პაგარა ვიყავი და ცხადია, გულს არ გადამიშლიდა. პოლიტიკაზე ლაპარაკს გაურბოდა, უამრობად მიიჩნდა. მამაჩემის გადასახლებაში ყოფნაზე კი წუხდა, სინანულით გადააქნევა ხოლმე თავს. კითხვა უყვარდა. ჩემს წარმოსახვაში ახლაც გაკრთება წვრილ ნაოჭებში მოქცეული მისი თვალების კეთილი ციმციმი. ცოლი არ შეურთავს, მაგრამ მეგობარი ქალი ჰყავდა, ცისფერთვალეა, ქერა, დელით გერმანელი, სასიამოვნო შესახედაობის ქალბატონი ემა შალერი. უგემრიელესი ნამცხვრები გამოსდიოდა ქალბატონ ემას. კვირა არ გავილოდა, და-ძმისთვის რომ არ მოეკითხა, მეც არაერთხელ მიგვმინა.

მამაჩემის გადასახლებიდან დაბრუნებამდე დედაჩემს ხშირად დავყავდი ახლობლების ოჯახებში, შინ არ უღებოდა გული. ერთი ძველებური ნივთი დამამახსოვრდა, რომელიღაც ნაცნობ ოჯახში ნანახი, ფაიფურის საფურფლე – კორნეგის (მეფის ოფიცრის) თავი იყო კოხტად გამოყვანილი, ქუდის ჩაზნეპილი შედაპირი მწვანედ ხასხასებდა, მოლაპლაპე კოკარდა

- მუქი შავი, უღვაშებიც - შავი, ტუჩები კი მძაფრად წითელი, სისხლისფერი პქონდა იმ ლამაზ ნაკეთობას...

კოლია ბიძია რომ გარდაიცვალა (ვგონებ 1976 წელი იყო) და ჩვენებთან ერთად სამხიმარზე მივედი, დახედე თუ არა შევეკრთი. სახე მიცვალა და გაშავებოდა, მხოლოდ სახვე ტუჩებს ეკრა მწიფე შინდისფერი და უმაღლესი ძველი, ყმაწვილობისდროიდან ხსოვნაში ჩარჩენილი ფაიფურის უცნაური საფურფლე გამახსენდა...

ამ რამდენიმე თვის წინ დეიდა მარგოს დისწული თათული ნანეი-შვილი ვინახულე. კეკელიძის ქუჩაზე ცხოვრობს, მშრალ ხიდიან. ბრწყინვალე შეილებს დედაა. წინასწარ ვაცნობე, რისთვისაც მივედი. გახარებულმა ყველაფერი გამომიგანა - ფოტოები, წერილები, გაზეთების ამონაჭრები. დიდხანს ვილაპარაკეთ. გავისხენეთ ის შედარებით ბედნიერი დრო, როცა ჩვენთვის ძვირფასი მრავალი ადამიანი ცოცხალი იყო და ამჟამად კი მათზე მხოლოდ მოგონებები დაგვრჩა. ალბომის თვალყურებისას მოგიერთი ადრე ნანახი ფოტო მოვისაკლისე (ალბათ ვილამ ხელს გააყოლა), მაგრამ რაც ვნახე, დიდად მეამა. ტრაგიკულად დაღუპული აშვილ მიურატის ლამაზი, გაყინულ სახეს დავხედე. რაოდენ მართალია როლან ბარტი, როდესაც ფოტოზე აღბეჭდილ, წამიერ, დატყვევებულ გამო-მეგყველებს სიკვდილს უკავშირებს. მაშინვე მოპასიანის ცნობილი სურათი გამახსენდა - შუაზე გადაყოფილი ხშირი თმა და მსხვილი, მაღლა აწიკიული უღვაშები რომ უჩანს. ქალბატონმა თათულიმ მეპირად იცის აშვილ მიურატისა და სალომე დადიანის ცხოვრების ისტორია, მათი შეილებისა და შეილთაშვილების ამბები. მითხრა, რომ მიურატები მუდამ განსაკუთრებულ სიტუაციაში და სიყვარულს იჩენდნენ სამეგრელოსადმი, იქაური ნათესავეებისადმი. ნაპოლეონი და ანტუანეტა, რომლებსაც გვანჯი ჩიქოვანი დიდი მადლიერებით იხსენებს (ნაპოლეონის მუამდგომლობით მიიღო მან იმპერატორისგან შეწყალების ქალაქი, ხოლო ანტუანეტა ვენახისა და მეურნეობის ევროპულად გაშენება-მოწყობაში დაეხმარა), უშვილძიროდ გადაეგნენ. მუგდილელი მიურატები კი აშვილ მიურატისა და პრინცესა სალომეს უფროსი ვაჟის ლუსიენის შთამომავლები არიან. ამაღელვებელი, დიდებული ფაქტია, რომ სწორედ მისი ნაშვირი, უკვე სამოც წელს მიგანებული აღენ მიურატი, სამეგრელოს მიურატთა მეთხე თაობის ყველაზე უმცროსი წარმომადგენელი, უკანასკნელ ხანს, თავისი ოჯახით მუგდილში დაესახლა.

მარგვილის რაიონის სოფელ დიდ ჭყონში (ქინოთა) მცხოვრები

დგებუაძეები საკმაოდ მიღებული იყვნენ დადიანებისა და მიურატების კარზე. მემოთ მოხსენიებული და-ძმის მშობელი მამა ნიკოლოზ დგებუაძე, მეგაღ ცნობილი პიროვნება, ანტუანეტა მიურატის (შინაურობაში მას ბებეს ეძახდნენ) ნდობით აღჭურვილი პირი გახლდათ. ქალბატონმა თათულიმ მაჩვენა ხელმოწერილი და ნოტარიუსის მიერ დამოწმებული საბუთი (1916 წელი, 10 თებერვალი), რომლის თანახმადაც ანტუანეტა მიურატი სენაკისა და ზუგდიდის მამრების მთელ თავის უძრავ-მოძრავ ქონებას ნიკოლოზ ევგენის ძე დგებუაძეს ანდობდა, ის უნდა ყოფილიყო განმკარგულებელი. აქედან ნათელია, რომ ნიკოლოზ დგებუაძის შთამომავლებს მამისაგან ძვირფასი ფოტომასალა, სხვა საბუთები და ნივთები უნდა დარჩენოდათ, რომელთაგანაც ბევრი რამ, ალბათ, შემონახული აღარაა.

თუ რამდენად საპატივცემულო ყოფილა ეს დარბაისელი პიროვნება თავის დროზე, ამის დასტურად ერთი შემთხვევაც იკმარებს. როდესაც სოფელ სალხინოში მიურატების ოჯახს გლეხები აუჯანყდნენ და მათ გასარომგად სიმკაცრით განთქმულმა ალიხანოვმა დამსჯელი რაზმი გამოგზავნა, ნიკოლოზ დგებუაძეს მათი უფროსისთვის უთქვამს, თუ ამას გააკეთებთ, გთხოვთ პირველი რომგი მე დამკრათო. მას ასეთ რამეს ვერავენ აკადრებდა და ასე გადარჩენილა გლეხობა ცემასა და დამცირებას.

იმ საღამოს, სტუმრად მისულმა, ბევრი რამ ვნახე და მოვისმინე, რაზედაც უფრო ვრცლად სხვა დროს დავწერ. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ერთმა რამემ მოახდინა – დიასახლისმა გამომიგანა სათუთად შენახული ძვირფასი აგლასის უღამაზესი, ოქროსფრადგაბრწყინებული ნაჭერი და მითხრა, ეს სალომე დადიანის პენუარის ნაწილი არისო. დიდხანს დავეცქეროდი თითქოსდა მზის სხივებით დაგვირისებულ, კიდებშემორღვეულ ქსოვილს. ისეთი შეგრძნება დამეუფლა – ჩემს წინ ვეება, ეგზოტიკური პეპლის ცალი, მოგლეჯილი ფრთა იყო დაფენილი.

ფიქრი ფიქრს აედევნა, აება. ჯერ პეტერბურგში, რუსთხელმწიფის კარზე ოჯახითურთ ჩასული თერთმეტი წლის სალომე დადიანი წარმოვიდგინე, ჩასვლისთანავე, 1857 წელს, ფრეილინობა რომ უბოძეს. მერე – უკვე დაქალბებული, დამშვენებული, ჭკუა-გონებით სავსე, თერამეგი წლისა, თავისი ამაყი, უღამაზესი დედის, ეკატერინე ჭავჭავაძის გვერდით, იმპერატორ ნაპოლეონ მესამის მიერ მიწვეული და გიუილრის სასახლეში მყოფი. ამ დროს სალომეს ბედი უკვე გადაწყვეტილია, საქმეში თვით დედოფალი ეყენია ჩარეული. იგი ცოლად უნდა გააყვეს იმპერიის მარშალის, ნეაპოლის მეფის იოაჰიმ მიურატისა და ნაპოლეონ პირველის დის,

კაროლინა ბონაპარტეს შვილიშვილს, უბრწყინვალეს აშილ მიურატს.

ავსტრიელი მწერალი ქალი ბერტა ფონ მუტენერი, შემდგომ ნობელის პრემიის ლაურეატი (იგი, თავის მხრივ, ეკატერინემ მიიპატიჟა და ცხრა წელიწადს ცხოვრობდა საქართველოში), თვითმხილველი და მონაწილეა 1868 წლის 13 მაისს გადახდილი დიდებული ქორწილისა. თავის მცირე მოგონებებში ბერტა მუტენერი აღტაცებული იგონებს მაისის დაუვიწყარ საღამოს პარიზში. ადვილი წარმოსადგენია, როგორი საზოგადოება მოიყრიდა თავს გაჩახჩახებულ დარბაზში გამართულ მეჯლისზე, რა სილამაზე იქნებოდა ირგვლივ. მისი მეწყვილე ბურბონის უფლისწული ყოფილა.

აშილ მიურატისა და სალომე დადიანის ქორწინებამ სათავე დაუდო კიდევ ერთი საქვეყნოდ ცნობილი არისტოკრატიული ოჯახის შექმნას ჩვენს სამშობლოში. ეს იყო დიდ ევროპულ კულტურასთან დასაახლოებლად გადადგმული საუცხოო ნაბიჯი. ამ ერთგვარად სიმბოლური ჯერისწერის ათინათი სამუდამოდ დაადგა პაგარა, უმშვენიერეს ქართულ ქალაქს – ზუგდიდს, რომელიც ბოლო წლების ბედუკუღმართობის გამო, დღესდღეობით, დარბეული, სახეშეცვლილი და თითქმის გაჩანაგებულია, სამურზაყანოდან აყრილი, გასაცოდავებული ლტოლვილების მოთქმითა და ვაი-ვიმით გულშეწუხებული.

იმ საღამოს კი, სადარბაზოს კიბეებზე ჩამომავალს, ისევ ის მზისფრად თუ ფორთოხლისფრად მოელვარე ატლასის პაგარა ნაჭერი მიგრიალებდა თვალწინ. ხომ შეიძლებოდა, ესეც არ დარჩენილიყო, ესეც არ მენახა? და საერთოდაც, რა რჩება ადამიანისგან? ეჭვი მაქვს, ამდაგვარმა მგანჯველმა ფიქრმა დააწერინა ავაზაკად და მკვლელად შერაცხილ დაუდევარ, ჯანყიანი სულის ფრანსუა ვიიონს, გენიალურ სქოლარს, თავისი განთქმული „ბალადა გარდასული ღროის ქალბატონებზე“, თავიდან ბოლომდე მშფოთვარე, პასუხგაუცემელი კითხვის ნიშნებით რომ არის დაძიბენილი:

რომელ მხარეში შთანთქა წყვილადმა
ფლორა, დიადი რომის მშვენება,
ან თაისი და არქიპიადე
სად გაიტაცეს ღროის ცხენებმა...

დელოფალ ბლანშე რას იტყვით ნეტავ,
სადღა მისი ხმა და მაისი.
ან დიდუხეხება სად არის ბერტა,
ან არამბურკის სახლი მაინზე;

ლორენის მკვიდრი სად არის ენა,
რომ აგიმგიშა მისი დიდების
ცეცხლი რუანში. აღარსად ჩანან...
სად არის თოვლი მარმანწინდელი?

ვერეინ წაუვა, პრინცი, გარდუვალს,
ქრება ციმციმიც მარგალიტების
და ვიშორებთ სოფლის სამღურავს:
სად არის თოვლი მარმანწინდელი?

ეს მარადიული გკივილი ისევე ძველია, როგორც თავად ქვეყნიერება, მზისქვეშეთი და მას არაფრით არ ეწამლება, ჯერ არავის მიუგნია მალამოსთვის, იგი რომ მოაშუშოს. ეს არის ადამიანის დაუსრულებელი წუხილი, მკმუნებარება მშვენიერების გაქრობაზე, მის წარმავლობაზე. სილამამის თვალისმომკრელი, „გვარად უცხო“ ყვაილი გაშლას ძლივს ასწრებს, რომ მაშინვე ჭკნობას იწყებს და მის დაცენილ ფურცლებს შეუწერებლად მიმქროლავე დროის უღმობელი გაღლები იგაცევენ.

ეს კია – უმძაფრესი სურნელება, გონების დამბინდავი ბანგი დიდხანს გრიალებს ზაფხულის ჰაერში, გვაბრუებს, მოსვენებას გვიკარგავს და ისღა დაგვრჩენია, „გადამქრალი ვარსკვლავის მშვენება“ სინანულით გავიხსენოთ, შორეულს შორიდანვე მიეუალერსოთ, როგორმე მგვერსა და დაეიწყების კლანჭებს გამოვარიდოთ.

ესეც არის – შეუკროთომელი, გაყინული, უძრავი სილამამზე, სანთლის ყვაილის მსგავსად, მოგებმრდება, გულს ვერ შესძრავს, ვერ შეაგოკებს, სისხლსაც ვერ აგიჩქროლებს და ამის გამოა, ორცეცხლშუა მოქცეულებს, გაუნელებელი, უსაშველო გკივილი რომ გვხრავს.

ამ გკივილს ვერც დიდი რუსთაველი გაექცა (ან კი რანაირად დაუსხლგებოდა) და ღმერთკაცმა ერთადერთი შეება, ერთადერთი ნუგეში იპოვა: თუმცაღა შგომე აკოკრებული უმშვენიერესი ვარდი უნდა დაჭკნეს, მაგრამ – „ერთი წავა და სხვა მოვა...“ თავად წალკოტი, „ტურფა საბაღნარო“, ხელუხლებელი რჩება; ენით გამოუთქმელი სილამამის „ზღვათა სამეფოში“ ეღემის დარად აბიბინებულ საოცრებას არაფერი აკლდება: „ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვაილი ფერად ფერები...“

სხვა გზა არ არის – უნდა ვირწმუნოთ ძველისძველი, სამწუხარო სიბრძნე, რომ ერთი დრო არავის შერჩენია, ცაში შურდულივით მქროლავე ბედნიერების „ლურჯ ფრინველს“ სულიერთაგან ვერავინ მოიხელთებს და იმასაც უნდა შევერიგდეთ, რომ მუცლით შობილებს „აგორებულ ქვას“ შედარებული წუთისოფელი თავის ნებაზე დაგვაქანებს.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობში აფხაზეთი ჯერ კიდევ სუფთა ქართული კუთხეა – შეურყენელი, წაუბილწავი, საქართველოს განუყოფელი ნაწილი, როგორც ეთნოგრაფიულად, ასევე ისტორიულადაც (გავიხსენოთ, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე, ქართველი პოეტისა და სამოგადო მოღვაწის გიორგი შერვაშიძის მამა, საქმეებს ქართულ ენაზე აწარმოებდა). იქაურ მკვიდრთ ქართული შეგნება აქვთ, მწე-ჩვეულებები და საქციელიც ქართულია. ისიც ცხადად ჩანს, სამეგრელოსა და აფხაზეთის მცხოვრებნი რა ახლობლურ, ნათესაურ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, თუმცა რუსეთს თავისი გამთიშველი, დიდმპყრობელური პოლიტიკა კარგა ხნის დაწყებული აქვს და აფხაზეთისადმი – საქართველოს ამ უძველესი და უღამაზესი კუთხისადმი – არც მუსულმანური თურქეთი იყო გულხელდაკრეფილი, ისიც თავის მგაცებლურ განზრახვას ახორციელებდა.

რუსეთი ასეთსავე ვერაგულ პოლიტიკას ადგა სამეგრელოსა და სვანეთის მიმართ, ყოველნაირად ცდილობდა ამ ძირძველ ქართულ კუთხეებში ქართული ანბანის გაუქმებას, რათა ქართულ ენაზე განათლებასა და ქართულ წიგნებს როგორმე გზა გადაკეცვოდა. რუსი მოხელეები მიზანდასახულად ახალისებდნენ, მუდამ ამკარად უჭერდნენ მხარს სუპარაგიმის ყოველგვარ გამოვლინებას.

ამ მხრივ გამონაკლისი არც საბჭოთა ეპოქა ყოფილა. არც ისე შორეულ წარსულში, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, თავი წამოპყო პარტიულმა ფუნქციონერმა, დემაგოგმა ისაკ ევანიაშვილმა, რომელიც შალვა დადიანს გმობდა, „მეგრელია და რომანებს კი ქართულად წერსო“; მანვე შეადგინა „ნაციონალისტთა“ შავი სია და შიგ შვიგანა მაშინ ახალგაზრდა, შემდგომში ცნობილი ქართველი ისტორიკოსი შოთა მესხია (იხ. შოთა ბადრიძე, „ჭყონდიდელი და ცოგნე“, ბუგდიდი, 1995, გვ. 25).

ამგვარი ამორღიების გზა იმთავითვე კრახისთვის იყო განწირული. ნიშანდობლივია, ისაკ ევანიაშვილსა და მისნაირ გვინდაბნელებულთა ჯგუფს, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად მდგრად შეებრძოლა კონსტანტინე გამსახურდია. ჩვენში დღესაც სიამაყით იგონებენ „მთავარის მოგაცემის“ ავტორის იმეამინდელ ნათქვამს – საქართველოსგან ერთი მუხაც რომ დარჩეს, ჩვენ ყველანი იმ მუხის გარშემო უნდა დავდგეთო.

ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს, სამეგრელო – ქრისტეს წელთაღრიცხვამდე იყო და კვლავაც დარჩება ქართული სახელმწიფოებრიობის ღერძად, ხერხემლად და მისი, ისევე როგორც აფხაზეთის, დედა საქარ-

თველოს სხეულიდან მოწყვეტა შეუძლებელია.

მეგრული ყოფისთვის დამახასიათებელი ზოგი რიგული, მაგალითად, „მოცებული შვილის“ ძალზე ამაღლებული და ღრმამინაარსიანი ცერემონიალი, რაც საკუთარ თავზე გამოუცდია გვანჯი ჩიქოვანს (მას ბოროზდინიც ახსენებს თავის წიგნში) და რაზედაც მოგვითხრობს, ამკამად მივიწყებულა, მაგრამ ჩვენ ვაღლებულნი ვართ ხსოვნაში მაინც შევინახოთ ჩვენი წინაპრების წეს-ჩვეულებანი, ქართული ეთნოსის წიაღიდან მომდინარე უძველესი კულტურა.

გვანჯი ჩიქოვანს უზომოდ უყვარს თავისი მშობელი და აღმზრდელი კუთხე – სამეგრელო, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მის ცნობიერებაში ის უმთავრესი აზრია ფესვგადგმული, რომ ამქვეყნად ქართველად იშვა და თვითონ, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, საქართველოს განასახიერებს, თავისი ერთადერთი და საფიცარი სამშობლოს ღირსებას სიცოცხლის ფასად იცავს.

სიკეთის მთესველად იყო დაბადებული და სათავისოდ ერთი ღლეც არ უცხოვრია. მეგობრებიც მასავით გამორჩეული ჰყავდა. თავად ყველაზე დიდი გულისტკივილით იგონებს მომხიბლავი თვალ-განადობის, უდახვეწილესი მნეობის შეუდარებელ ვაჟკაცს გრიშა ჯიქიას, სვანეთის მთებში ყაჩაღების ხელით მოკლულს (ჩრდილო კავკასიაში შექმნილი საქონელი მოჰყავდა თავისი რაიონისათვის). მეორე განუყრელ მეგობარს, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად თავდადებულ მებრძოლს კაკა ჟვანიას, გარემოებათა გამო, იგი თავის მოგონებებში არ ახსენებს. მის მიერ სხვებისთვის უანგაროდ გაწეულ დახმარებათა უბრალო აღნუსხვაც კი გაჭირდებოდა. თვითონ ამ სამაღლო საქმეთა უმცირეს ნაწილს აღნიშნავს, ისიც სხვათა შორის, არა თავის საქებად.

წინამდებარე მოგონებებში, სხვადასხვა ეპიზოდთა თხრობისას, გვანჯი ჩიქოვანი რამდენჯერმე ამბობს: „ფული კარგად მქონდა...“ ეს მისი ფრაზაა, მისეულ მეტყველებაში დამკვიდრებული. რა ფული უნდა ჰქონოდა მას? დროდადრო ნათესავ-მეგობრები აძლევდნენ. ზოგ შემთხვევაში, კეთილი ხალხის წყალობით, რაღაც სამსახურში იღგა და შედარებით რიგიანად უხდიდნენ. ხელმოკლე და გაჭირვებულ ადამიანს როცა ნახავდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, თვითონაც უშურველად ჩუქნიდა ხოლმე ფულს, თუ, რა თქმა უნდა, „კარგად ჰქონდა“.

ცოგა რამ მაინც უნდა ითქვას გვანჯი ჩიქოვანის ერთ უცნაურ თვისებაზე, რაღაცნაირ გულთამხილაობაზე, სიზმრების თავისებურ ახსნაზე,

რაჲ მოგონებებში იმთავითვე ხაზგასმულია. მოგონებების ქარგაში უთუოდ მნიშვნელოვანი და ბევრი მოვლენის წინასწარ მიმანიშნებელია სიმშრების ეს გონებათმავილური ახსნა. ხან გვანჯის ბიძა, გიდ ემხვარი, ხანაც თავად მთხრობელი ნახულობს სიმშარს და აღრე თუ გვიან, მმანება უთუოდ აცხადდება. მაგალითად, რევოლუციის წინა წელს, რუშინეთის ფრონგზე მყოფ გვანჯი ჩიქოვანს სახედარზე უკუღმა შემჯდარი, ლაფში ამოსვრილი რუსეთის იმპერატორი და ასეთსავე საჩოთირო მდგომარეობაში ჩავარდნილი მისი ოჯახის წევრები ესიმშრება. ამ სიმშარს თანამებრძოლებს უყვება. მათ კარგად უწყვიან, დაცდილი აქვთ გვანჯის მიერ ნანახი სიმშრების ძალა და მყისვე დაასკენიან, რომ მეფის გახგი მალე დაემხოზა.

გვანჯი ჩიქოვანის გოლიათური აღნაგობა, მოხდენილი გარეგნობა, ჩაცმულობა, მოსწრებული სიგყვა-პასუხი, საქართველოს ისტორიასა და ქართულ ლიტერატურაში საფუძვლიანი განსწავლულობა საკმაო სიცხადით არის გადმოცემული ელადიმერ ჭანტურიას აღრევე ნახსენებ წიგნში და ამანვე სიტყვას აღარ გაეაგრძელებთ. რამდენის მთქმელია თუნდაც ის ფაქტი, რომ გვანჯი ჩიქოვანი საზოგადოებაში პაპიროსს არ გააბოლებდა, სანამ იქ მყოფი მანდილოსნებისგან თანხმობას არ მიიღებდა.

მწამს, გვანჯი ჩიქოვანის ძელები საფლავშიაც შეწუხებული იქნება იმ უთვალავი ღალატისა და უკეთურობის გამო, ქართველებმა თავიანთი სამშობლოს საძიძგნად, დასაცემად და გასათელად რომ მოიმოქმედეს. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მართლმსაჯულება ჯერ კიდევ ვერ არის იმ დონეზე, რათა ყველაფერი დაწვრილებით იქნას გამოკვლეული და ყველა გარეწარს, ჩადენილ დანაშაულებათა კვალობაზე, თავისი მიეზღას.

მიზეზთა გამო, განსაკუთრებული რბევა და აწიოკება ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთმა თვალწარმგაცმა კუთხემ – სამეგრელომ განიცადა, წლების განმავლობაში შეიარაღებული ბანდების სათარემო ასპარეზად იქცა, ლამის შეეწირა ნაპრემიდენგალი პოლიტიკანის ავადმყოფურ ამბიციებს (შიდა ქართლში ხელოვნურად მოწყობილ ეთნოკონფლიქტს რომ თავი დავანებოთ, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა სათამაშო თოჯინად ქცეული, ამ ბოლომდე ნახმარი კოზირის ხელით დასვეს აფხაზეთის ლიდერად უამრავი ბოროტების ჩამდენი არძინბა), რისი სავალალო შედეგაც იყო ერის საბედისწერო გახლეჩა და აფხაზეთში დაგრიალებული ტრაგედია, ამ ჩვენი, ისტორიულად განუყოფელი კუთხის მტრული ძალების მიერ ფაქტობრივი ოკუპაცია.

ბევრი მაღაზე მოსული დამპყრობელი ჩვენს ვერაგულად მიგაცებულ

მიწა-წყალს, აფხაზეთსა და სამურზაყანოს, უკვე კრასნოდარის მხარის ნაწილად მიიჩნევს, სათავესოდ დაიგულა და თუ საქართველო ამ ყოვლად უსირცხვილო, აღმაშოთებელ ძალმომრეობას შეურიგდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი თავის განადგურებაზე გვექნება ხელი მოწერილი და, როგორც ვრს, მომავლის გზა ჩაგვეხერგება.

ღაბოლოს, ესეც სათქმელია – გვანჯი ჩიქოვანი თავის თავშიც სიმბოლურად აერთიანებს ჩვენი სამშობლოს ორ უმშვენიერეს კუთხეს – სამეგრელოსა და აფხაზეთს: მამამისზე, ალექსი ჩიქოვანის სახელოვან წარმომავლობაზე რომ არაფერი ვთქვათ, დედა, კესა ემხვარი, ქართველ აფხაზთა უძველესი და დიდი გვარის შთამომავალი იყო.

მამაჩემის დაგოვებულ რვეულებში მე ვიხილე და სხვებისთვისაც მინდოდა მეწილადებინა მართლაც განუმეორებელი პიროვნების, გვანჯი ჩიქოვანის დიდი კაცობის ანარეკლი, წლების სიღრმიდან მოღწეული სიკეთის ჩაუქრობელი შუქი.

ერთ ძალზე საინტერესო, ცხოვრებისეულ მოვლენებზე დაკვირვების უნარით გამორჩეულ რუს მწერალს კონსტანტინ ვაგინოვს ნათქვამი აქვს: მეტი წილი ადამიანებისა, თანამედროვეობიდან რომ მოდიან, სამუშეუშო ექსპონატებად იქცევიანო. გვანჯი ჩიქოვანის გიჟის კაცი, მისი აღნაგობის, ჩაცმულობის, სიგყვა-პასუხის, მიხვრა-მოხვრის და მწეობის პიროვნება დღევანდელ საქართველოში სანთლით რომ ეძებო, წამლადაც ვერსად წააწყდები. იგი მთლიანად წარსულის კუთვნილებაა და მისი სახე, თვისებები რამდენადმე დამაჯერებლად და სრულად გარდასული დროის ფოტოსურათებსა და ჩანაწერებში თუ იქნება შემონახული. უჭველია, ბევრი რამის გახსენება შეეძლებათ მათ, რომელთაც ეს გასაოცარი კაცი პირადად უნახავთ, მოუსმენიათ მისი საუბარი, მისი პიროვნული მომხიბლაობა გამოუცდიათ, პქონიათ ბედნიერი დღეები მასთან ახლო ურთიერთობისა და ამჟამადაც ცოცხლები არიან.

ემზარ კვიციანი
31 ივლისი, 1998 წ.

(ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებს ესაუბრება
ნინო სოფერია)

„სტაგისტიკურ ელემენტს შემოქმედებასთან კავშირი არა აქვს“.
აკაკი განურელია

- ბავონო აკაკი, მხატვრული ენის სპეციფიკური არსის თეორიული ახსნა თქვენ საკმაოდ რთულ, თითქმის შეუძლებელ პროცესად წარმოადგინეთ...

- როგორც ჩანს, წაგიკითხავთ ჩემი წიგნები, მაგრამ ზოგი რამ გამოგონებით. მე ვიცავ წმინდა ანალიტიკურ ლიგმცოდნეობას და მის უდიდეს შესაძლებლობებს ვაღიარებ.

- უნივერსალურ შესაძლებლობებს?

- რა თქმა უნდა, მაგრამ ყოველივე ზოგადი არ შეიძლება მოერგოს კონკრეტულს. მაგალითად, როდესაც საქმე გვაქვს ნაციონალურ ფაქტორთან აქ უკვე კონკრეტული მიდის ზოგადისაკენ, ყალიბდება ინდივიდუალური სტილი.

- უზოგადეს კონცეფციებთან მისვლისას, საიდანაც კონკრეტულს ახსნა უნდა მოეძებნოს, რომელ მეთოდს მიიჩნევთ ისტორიულად გამართლებულად?

- დღეს ცდილობენ ლიტერატურული პროცესები ახსნან სტრუქტურალიზმის მეთოდით. აქ მნიშვნელოვანია შინაგანად დამახასიათებელი, დროის გარეშე არსებული თვისებების გარკვევა და პოეტური ენის მიმართება გამოთქმისადმი.

- როცა მოცემულია სიგვეათა ორგანიზაციის შინაგანი ფორმა თუ მასზე ვარეგნულის, ობიექტზე სუბიექტის მიმართების გამოხა-



აკაკი განურელია

ტულება?

– აუცილებელი არ არის ასეთი დაყოფა, ერთი მეორეს არ გამოირიყხავს. მთავარია, რომ აქ პოეტური სიტყვა მიმართულია გამოთქმის სრულყოფისაკენ. ენა ლინგვისტური ფენომენია, მისი უმაღლესი საფეხური, პოეტური ენა მიმართულია თავისი თავისადმი...

ვთქვათ, ლექსი: იგი უპირველესად მუსიკალური ფენომენია, რომელიც აღრესაგს სულიერი და ემოციონალური განცდების შესახებ აწვდის ინფორმაციას.

– *თქვენ ახსენეთ სტრუქტურალიზმი. მას დიდხანს ებრძოდა საბჭოთა ლიტმოდნობა, ანტიისტორიულ, ანტიმარქსისტულ მეთოდს უწოდებდა.*

გერმინოლოგიური ქაოსი ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში შესაძლოა ამ დაუსაბუთებელი ბრძოლების შედეგია.

თქვენი ამრით, რას უნდა ემსახურებოდეს, უფრო სწორედ, რა ძირითად ფაქტორებს უნდა ემყარებოდეს ლიტმოდნობა გერმინოლოგიის შემუშავების დროს?

– უპირველეს ყოვლისა, არა სტაგისტიკურ მონაცემებს და აღნუსხვებს. კატალოგიზაციაც, ხშირად არაფერს არ ხსნის. არ შეიძლება დაითვალო ლექსში მეტაფორების რაოდენობა და ამის გამო მეტაფორული პოეზია უწოდო.

ხშირად ერთი მეტაფორა კოორდინირებულია სხვა მეტაფორებთან და მხოლოდ ასე არის გასაშიფრი... მაგალითად: „მელნად ვისმარე ვიშრის გბა და კალმად მე ნა რხეული“.

უნდა დაეხსომოთ: ყოველი ნაწარმოები დინამიკური პროცესია და სიმეტრიული ცნებების შეგანა სრულიად ზედმეტია.

სტაგისტიკურ ელემენტს შემოქმედებასთან კავშირი არა აქვს. ამაზე წერდა ი. გინიანოვიც. იგი უდიდესი მეთოდოლოგია, ბახტინზე დიდია.

ჩემი მოგონება გინიანოვზე წაუკითხავს იაკობსონს. „ხელში ჩამივარდაო“ – მწერს და მაღლობას მიხდის...

– *თქვენ ერთგან წერთ, რომ მხატვრული ენის სპეციფიკურ ნიშანთა ლინგვისტიკური ინტერპრეტაციები უთვალავია.*

– დიახ, ვწერ და იქვე დავძენ, რომ დაბნეულობამდე მიჰყავს ლიტერატურათმცოდნეობა, კერძოდ პოეტიკა, სტილის, ცნების უაღრესად და უსასრულოდ გაფართოებას, საჭირო თუ არასაჭირო აბსტრაქტიზებას. თითოეული ლიტერატურული გერმინი უნდა იყოს კონკრეტული შედეგი.

შემდეგ ბატონმა აკაკიმ დაწერილებით განიხილა არისგოფანეს

ლექსთა საზომები. ისაუბრა დაქტილისა და ქორუს შესახებ, ქართულ პოეზიაში ქორუს და დაქტილის გამოყენებაზე. გააულო სრულიად უჩვეულო და შორეული, მაგრამ საგულისხმო პარალელები.

ბატონ აკაკის მსჯელობაში განსაკუთრებით საინტერესოა პარალელები მეთოდი.

– წერილი დაეწერე პაველ ფლორენსკიმე, ნეგარ ავგუსტინესთან ვაულებ პარალელს.

– ეს პარალელები მათ თეოლოგიურ მრწამსშია საძიებელი?

– მე სხვა კუთხე ავირჩიე. ნეგარმა ავგუსტინემ თავის ნაწარმოებებში აღნიშნა, რომ სიგყვა არის ნიშანი, მაგრამ ამავე დროს, სხვადასხვა კონტექსტში იცვლის შინაარსს.

ამავე ამრის იყო პ. ფლორენსკიც. ოღონდ ის საგანგებოდ იკვლევდა სიგყვას, როგორც ნიშნის მეორე მხარეს...

ფლორენსკი იყო გენიალური კაცი, მაგრამ, პროფესორებივით ნამეგანი სისტემატიკოსია. მის ნაწარმოებში არ არის პირადი პათოსი...

ნეგარ ავგუსტინეზე დაუსრულებელივ ვმუშაობ...

იგალიაში ერთი პაგარა ქალაქია – პაღუა... სადაც პაგარა ბაზილიკურ ეკლესიაში მოთავსებულია სარკოფაგი ნეგარი ავგუსტინეს ჩონჩხით. უნდა ვნახო აუცილებლად...

მისი გარდაცვალების შემდეგ, 300 წლის მანძილზე სხვადასხვა ადგილზე იყო ეს ჩონჩხი.

რობაქიძე თავის საყვარელ ფილოსოფოსად აღიარებს ნეგარ ავგუსტინეს.

როგორც გითხარით, ჩემს ერთ გამოკვლევაში ერთმანეთს დაუკავშირე პაველ ფლორენსკი და წმინდა ავგუსტინე...

– ბატონო აკაკი, დღევანდელ მეცნიერებაში, განსაკუთრებით ფილოლოგიურ მეცნიერებაში, მნიშვნელოვნად მეჩვენება ერთი გენდენცია: საკუწეების მასშტაბით განისაზღვროს პიროვნების არეალი. ეს არის პიროვნებათა ანუ იდეათა შეხვედრა დროის და სივრცის განსხვავებულ პორიზონტზე. გრიგოლ რობაქიძის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, ამ პროცესს შეიძლება ვუწოდოთ – „აგმოსფერული გავლენა იდეების...“

– დიახ, არეალი ხშირად დროის განუსაზღვრელ მასშტაბებს იგვეს. ცოცხა მიწაზე რომ ჩამოვიდეთ და ისე დავაკონკრეტოთ, დავინახავთ, რომ ხშირად გენიოსს არა აქვს თავისი შესაფერი გარემო. ეს სხვა თემაა, მაგრამ... მაგალითად, გალაკიონ გაბიძეს არ ჰქონდა ინტელიგენტური

გარემოცვა ისეთი, როგორიც ვთქვამთ, ალექსანდრე ბლოკს.

- იქნებ გალაკტიონმა შესგად ის გარემო შეიქმნა, რაც აუცილებელი იყო მისი მეორე, მთავარი გარემოსთვის - შემოქმედებისთვის? თქვენ ფიქრობთ, რომ გარემოცვის შეცვლით რაიმე შეიცვლებოდა?

- რა თქმა უნდა, გალაკტიონი იქნებოდა უფრო დიდი ლირიკოსი.

- უფრო დიდი?

- უფრო მეტად დიდი... არადა ვინ იყო მისი გარემო? ფედია ჩუდეცკი? ჩუდეცკი იყო გალაკტიონის ახლობლობის ღირსი? ყველა ის, ვისთანაც გალაკტიონი ხშირად მთელ დღეს ატარებდა, იყო მისი ახლობლობის ღირსი?... იხარჯებოდა გალაკტიონი.

რაც შეეხება მის შემოქმედებას, სიმბოლიზმი არ ყოფილა საქართველოში, თუმც იყვნენ ე. წ. სიმბოლისტები.

საქართველოში იყო სიმბოლიზმის მხოლოდ ერთი ნამდვილი გამოვლინება და ისიც გალაკტიონის პოეზიაში. გ. გაბიძის „არგისტულ ყვავილებში“ არის ორთოდოქსალური სიმბოლიზმის ნიშნები.

ვერაფერი გააკეთეს მისმა ეპიგონებმა. ასეთი გიპის პოეზიაში შედეგების შექმნა მხოლოდ გალაკტიონს შეეძლო...

ასეთი გიპის პოეზიის კანონიზაცია შეუძლებელია. გალაკტიონ გაბიძე ადრე ჩამოიშორეს „ციფერყანწლებმა“, თუმცა ბიძაშვილებს, გალაკტიონს და გიციანს შორის უთანხმოება არ ყოფილა.

გიციანი... გამორჩეული ინტელიგენტი და პოეტი... მე მისი ლიტერატურული გავლენის ქვეშ ვიყავი... მან შემაყვარა პოლ ვერლენი... ნიგა ჩემს მუხლებზე გაიზარდა...

სხვა დრო იყო მაშინ... სხვა დროა ახლა...

ვთქვამთ, სადღა ნახავთ სიმონ ყაუხჩიშვილის გიპს. დიდი მეცნიერი და პიროვნება იყო... არ წამოსცდებოდა არავისზე ცუდი.

ყაუხჩიშვილი იცყოდა: სიგყვას დაწერილს და წარმოთქმულს ერთნაირი პაგივისცემა სჭირდებოდა... იყო უაღრესად სათნო და მშრომელი...

მისი „გეორგიკის“ მე-8 გომი რამდენიმე არქიაკადემიკოსს ეყოფა... მართლა სხვა დრო დადგა ახლა...

სადღა არის გერონტი ქიქოძის გიპი?

სადღა არის მიხეილ ჯავახიშვილი?

ბევრს ალბათ არც სმენია მიხეილის საუბრები ქართულ გრამატიკაზე. თქვენ იცით, რომ მან დააკანონა „დენ“ და არა „დენ“?

ხანდახან მეჩვენება: გაიღება კარი და შემოვა მშვენიერი გერონტი

ქიქოძე... აი, შემოდის გერონტი და გვიკითხავს ორი ავგორის ორ ლექსს. ერთი და იმავე სათაურით „ზარები“. ეს არის ედგარ პო და ბოდლერი. გვიკითხავს ფრანგულად, ზეპირად.

აშკარად ჩანს, რომ უფრო მოსწონს ბოდლერის „ზარები“, ვიდრე განთქმული „ზარები“ ედგარ პოსი...

„ბელღ, ბელღ, ბელღ“ – განსაკუთრებული ინტონაციით ამბობს... მაგრამ სიღრმის თვალსაზრისით ბოდლერს ანიჭებს უპირატესობას...

აუწიეთ გელევიზორს! – მოულოდნელად ამბობს ბატონი აკაკი.

ეკრანზე ვხედავთ: უკრავს გურევიჩი. ცოტა ხანს ჩუმად ვუსმენთ.

– ერთადერთი, რაც აღამიანს ცხოვრებასთან შეარჩევს, ეს არის მუსიკა – ამბობს ბატონი აკაკი – გრუბეცკოი ამბობდა: „Музыка это стенография чувств...“ გოლსტოი რომ მუსიკას ისმენდა გიროდა. ამბობდა: „Что хочет от меня музыка?“

საუბარს ვუბრუნდებით. ბატონი აკაკი ამბობს, რომ მუშაობს შამილზე, წერს მემუარებს. ამბობს, რომ „იმ დროს“ ბევრმა ვერ გაუძლო, ვერ შეძლო პატიოსნად ცხოვრება და ასახელებს მათ...

„ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქო-ს“ პრინციპით, იგი მკაცრია და მიუდგომელი. დასძენს, რომ პატიოსანი მწერლის გვირთი ბოლომდე ატარებს: ლეო ქიაჩელმა, გალაკვიონ გაბიძემ, სერგო კლდია-შვილმა, გერონტი ქიქოძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, გიციან გაბიძემ, პაოლო იაშვილმა... „პაოლო იაშვილის გრაგედია ეპოქის გრაგედიამო“ და ამაზე საუბარი უჭირს...

– თქვენ მოისმინეთ რა თქვა გურევიჩმა? უბრუნდება კონცერტს ბატონი აკაკი, – მე ყველანაირ მუსიკას ვგრძნობო. ამიგომ შემიძლია ყველაფერი დავეუკრაო...

კრიტიკოსიც ყველანაირ ლიგერატურას უნდა გრძნობდეს, არა მხოლოდ იცოდეს, არამედ გრძნობდეს. როგორც გითხარით, მშრალი ფორმულებით არაფრის კანონიზაცია არ შეიძლება. მშრალი ანალიზით არაფერი გამოდის.

– და მაინც, ბატონო აკაკი, ანალიტიკური ლექსთმცოდნეობის უნივერსალურ შესაძლებლობებს აღიარებთ?

– იცით, ეს ცალკე საუბრის საგანია: რა არის უნივერსალიზმი?

შევთანხმდით: ამაზე შემდგომ ვისაუბრებთ.

ნოემბერი
1990 წ.



სოფიო მირზაშვილი

„რუსთაველის პალესტინურ პორტრეტში ფრესკული ფერწერის ჩემული ცოდნის მთელი გამოყდილება ჩაეაქსოვე...“

სოფიო მირზაშვილი

„ახლა უფრო დიდი სიმუსკით მიახლოვდება გასული დრო და წარსულის წინაშე პირისპირ და მყარად ვდგავარ“ – გვითხრა 1990 წლის გაზაფხულზე ქალბატონმა სოფიო მირზაშვილმა.

შემდეგ ქართული გაძრების ხარაჩოებზე გაგარებული 50 წელი მოიგონა: „მადლობელი ვარ საქართველოს ისტორიის, მადლობელი ვარ ქართული ფრესკების ძველი ოსტატების. მათ მამიარეს ამადლეულთან...“

30-იან წლებზე საუბრისას ცისფერ თვალებში ცრემლი ჩაუდგა. მოიგონა დიდ მოღვაწეთა უპრეცედენტო ჩაქოლვანი, როცა ფსიქოზის დონეზე ხმამაღლა და ჯგუფურად ლანძღავდნენ ივანე ჯავახიშვილს... ქალბატონი სოფიო, მაშინ ახალგაზრდა სტუდენტი გოგონა, დიდი ივანე ჯავახიშვილის გამოქომაგებისათვის აკადემიიდან გარიცხეს.

1932 წელს, გეოგრაფიული საზოგადოების მიერ გელათში მოწყობილ ექსპედიციაში მონაწილეობდა, სადაც ფრესკების პირების გადმოღების ცნობილი სპეციალისტი ლილია ღურნოვო გაიცნო.

ლილია ღურნოვოს ფოტო ქალბატონ სოფიოს თავისი პაგარა ოთახის კედელზე სიცოცხლის ბოლომდე ეკიდა.

უდიდეს მადლიერებას და მოკრძალებას გამოხატავდა თავისი მასწავლებლისადმი, ერთგული დარჩა შესრულების იმ გექნიკისა და მანერის, რომელიც ლილია ღურნოვოს ხელმძღვანელობით შეისწავლა ლენინგრადის რუსული ხელოვნების მუზეუმში.

უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებდა შუა საუკუნეების ფრესკის ოსტატების სტილს, ცდილობდა გამსჭვალულიყო მათი განწყობით და რწმენით...

სოფიო მირზაშვილის მაღალი პროფესიონალიზმით გადმოღებულ ასლებს შალვა ამირანაშვილმა „გაცოცხლებული ფრესკები“ უწოდა...

ზოგი გაძარი, სადაც ქალბატონი სოფიო მუშაობდა, დაინგრა, ფრესკებიც დაილუპა, მაგრამ ქართული ხელოვნების ისტორიას მის მიერ შექმნილი ასლები შემორჩა: ანგელოზი აგენის „ხარების“ კომპოზიციიდან, „შობის სცენა“, ამხედრებული წმინდა მეომრები გიორგი და თევდორე ნაკიფარიდან, მაცხოვრის სახე გელათის „ზიარების“ კომპოზიციიდან, ახალი იერუსალიმის გამოსახულება გელათის მთავარი გაძრიდან, ქტიტორთა პორტრეტები, გიორგი მესამე, თამარ მეფე და გიორგი ლაშა; სუბათ დიდი და უცნობი დიდებული – ბეთანიიდან, ზაზა ფანასკერტელი ყინწვისიდან, დავით ნარინი გელათიდან და სხვ. (ნაწილი ამ ფრესკების ორიგინალებისა წლების მანძილზე განადგურდა).

ზამთრობით, როცა გაძრების ხარაჩოებზე მუშაობა გაუსაძლისი ხდებოდა, სოფიო მირზაშვილი ხელნაწერთა მინიატურების ასლებს აკეთებდა.

გელათის ოთხთავი, ალავერდისა და ვანის სახარებები, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულება, დადიანისეული „ვეფხისტყაოსანი“, მარკვილის ოთხთავი, ჯრუჭის ოთხთავი... დედანთან საოცარი სიმუსტით მიახლოებულნი...

ეს და კიდევ ბევრი სხვა რამ დღეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში, მედიცინის მუზეუმში, ხელნაწერთა ინსტიტუტსა და ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

რუსთაველის პალესტინური პორტრეტი კი, მწერალთა კავშირის სასახლეშია დაცული.

რაც შეეხება რუსთაველის პალესტინურ პორტრეტს, ქალბატონი სოფიო მირზაშვილი გვიამბობს:

„ამას წინათ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რუსული გამოცემა ჩამივარდა ხელთ. წინასიტყვაობაში ირაკლი აბაშიძე წერს, რომ რუსთაველის პალესტინური პორტრეტი, მათ მიერ ჩამოგანილი (იქ გადაღებული), მუსტი ასლია. ეს არ არის სწორი. ასეთი ლაფსუსი ბევრჯერ გაიმეორეს. სინამდვილეში ასე იყო:

პალესტინის სამეცნიერო ექსპედიციის შემდეგ, გამომიძახა შალვა ამირანაშვილმა და მითხრა, რომ იერუსალიმის მონასტრიდან ჩამოგანილი აქვთ მცირე ზომის სლაიდი და მე, როგორც სპეციალისტს, მთავაზობენ, რომ იქიდან გავაკეთო ფრესკული პორტრეტი. მეცნიერებათა აკადემიაში ამ პორტრეტის შესახებ გიორგი წერეთელს მოხსენება უნდა წაეკითხა და იმ დროისათვის მზად უნდა ყოფილიყო.

შუა ზაფხული იყო. სწორედ მეორე დღეს დასასვენებლად ვაპირებდი წახვლას კიევეში, რა თქმა უნდა, ბილეთები დავაბრუნე და მუშაობას შევეუდექი.

თავად ორიგინალი რუსთაველის ფრესკისა ძალიან მცირე მომისაა. უნდა ვამეკეთებინა რეკონსტრუქცია. ახალი ზომაც მე დაეადგინე. პოემა და ფოტოგრაფმა ალექსანდრე ციხულევსკიმ მომცა სლაიდიდან გაკეთებული შავ-თეთრი ფოტო. მოვამზადე საღებავები, კერძოდ ტემპერა. ცნობილია, რომ ტემპერით ხატავდნენ ფრესკის ძველი ოსტატები. ტემპერა ეს კერესხის გულისაგან გაკეთებული საღებავია.

– თქვენ ხომ კარგად იცით ფრესკის ფაქტურა – მითხრა მამინ შალვა ამირანაშვილმა.

როგორც შემეძლო, ვეცადე გილომე ფრესკის გიპიური ფაქტურა გადამეგანა. სლაიდიდან ფერების მუსკად გადაღება ხელოვნურ ეფექტს შექმნიდა. ამიტომ სლაიდზე არსებული ფერები ფრესკის გრადიციულ ფერებს დაუუქვემდებარე.

4-5 თვე გამუდმებით ვმუშაობდი. პორტრეტი თითქმის მზად იყო, როდესაც მოულოდნელად მოვიდნენ აკაკი შანიძე, ვიორჯი წერეთელი, შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე გამსახურდია და ირაკლი აბაშიძე.

ძალიან ველეავედი. ისინი ჩემი ნამუშევრის პირველი მნახველები და გარკვეულად ექსპერტებიც აღმოჩნდნენ.

პირველმა შეკითხვამ, ცოცხალი არ იყოს, დამაბნია და შემაკრთო. კონსტანტინე გამსახურდიამ საკმაოდ მკაცრი ტონით მკითხა:

– ქართველი ხარ?

– მობრძანდით, მობრძანდით! – ვუთხარი პასუხად. მამინვე მინდოდა მეთქვა, რომ მე თუ წარმოშობით არ ვარ ქართველი, მთელი ცხოვრება ქართულ საქმეს ვემსახურები. საქართველოს ისტორიას ჩემს ისტორიად ვთვლი. მე ხელოვნებასთან, ამაღლებულთან მაზიარეს ქართული ფრესკების და მინიატურების ძველმა, დიდმა ოსტატებმა და ა. შ. მაგრამ ამაზე არაფერი მითქვამს... რუსთაველის პორტრეტმა სიგუაიცა სასწრაფოდ განმეხგა.

ჩემმა პატივცემულმა სტუმრებმა ბევრი ისაუბრეს... ეს იყო მაღალპროფესიული დამოკიდებულება ისტორიასთან და ხელოვნებასთან... ეს იყო მათი უაღრესად მაღალი დონის დემონსტრირება... განსაკუთრებით შალვა ნუცუბიძემ ფერწერის აბსოლუტური, დეტალური ცოდნა გამოამჟღავნა.

სტუმრებმა მითხრეს, რომ აქ განსხვავებით სლაიდისაგან, რუსთაველს საკმაოდ ძლიერი გამოამეგყველება აქვსო. გარკვეული დროის შემდეგ,

ნამუშევარი წაიღეს. წაიღეს „ჩემი რუსთაველი...“ მასში ფრესკული ფერწე-
რის ჩემული ცოდნის მთელი გამოცდილება ჩავაქსოვე...

დაეუბრუნდები დასაწყისს: რუსთაველის იგივე რუსული გამოცემის
წინასიტყვაობაში წერია: „პალესტინაში გავწმინდეთ ფრესკა და ასლი
გადავიღეთო...“ ჯერ ერთი, არასპეციალისტი ვერ გაწმენდა, უფლებაც
არ ჰქონდა ასეთნაირად შეხებოდა...

ახლა უკვე სიარული მიჭირს, მაგრამ გულმა არ მომიტოვინა და ამას
წინათ მწერალთა კავშირში წავედი. იქ „ჩემი რუსთაველი“ ჰკივია...

ძალიან მაღლობელი ვარ ლიგერატურული მუშეუმი, ჩემს პერსონა-
ლურ გამოფენაზე ეს პორტრეტიც რომ გამოიგანა... საერთოდ, ეს გამოფე-
ნა ლიგერატურულ მუშეუში ძალიან დიდი გემოვნებით იყო გაკეთებული...
უაღრესად მაღლობელი ვარ ამ დაწესებულების...

როგორც ვითხარით, მივედი მწერალთა კავშირში. შევედი ფოიეში.
იქ ჰკივია ის პორტრეტი. ცოცხა ხანს შევყოვნდი და ვიკითხე: თუ იცით,
ვისი ნამუშევარია-მეთქი ეს.

არავინ იცოდა. გამოუძახეს თანამშრომელს, რემო კვერენჩხილაძეს,
ის არის ყველაფრის საქმის კურსშიო... მერე მითხრეს: „ვგონებთ, ეს
პორტრეტი ბაკურაძის გაკეთებულიაო...“

გული დამწყდა: ეს ჩემი დღემდე საამაყო ნამუშევარია-მეთქი...
იქნებ არაფერიც არ უნდა მეთქვა... წამოვედი...“

სოფიო მირზაშვილი
1990 წ.

**1997-2000 წლებში საქართველოს ბ. ლეონიძის სახელობის
ქართული ლიბრარატორიის სახელმწიფო მუზეუმის მიერ
განაწილი საგამომცემლო და კულტურულ-
საგანმანათლებლო მუშაოების ქრონიკა**

ჩვენი ბამოსამები:

1997 წ.

1. კრებული „ძვირფასი ავტოგრაფები“ – რედაქტორი იმა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „შერი“, თბილისი, 1997 წ.
2. „ევროპა თუ აზია“ – სტაგიათა კრებული – შემდგენელი ნინო ხოფერიას; რედაქტორი იმა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „ლიტერატურის მაგიანე“, თბილისი, 1997 წ.
3. შალვა ამირეჯიბი (2 წიგნად) – პირველი წიგნი (პუბლიცისტიკა) – შემდგენელი ლალი ცომაია; რედაქტორი იმა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „დიოგენე“ და გამომცემლობა „არსი“, 1997 წ.

1998 წ.

1. შალვა ამირეჯიბი (2 წიგნად) – მეორე წიგნი (არქივი) – შემდგენელი ლალი ცომაია; რედაქტორი იმა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „დიოგენე“ და გამომცემლობა „არსი“, 1998 წ.
2. აღმანახი „ლიტერატურის მაგიანე – 1998“ – შემდგენელი ლალი ცომაია; რედაქტორი იმა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „დიოგენე“, 1998 წ.
3. „გეპატიყებით მუზეუმში“ სამუზეუმო-საექსკურსიო პროგრამა თბილისის სკოლებისათვის – შემდგენელი ნატო სეიდიშვილი; რედაქტორი იმა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 1998 წ.
4. შოთა ჩანგლაძე – საარქივო გამოცემა „მე მოვალ...“ – შემდგენელი და რედაქტორი იმა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „ლიტერატურის მაგიანე“, თბილისი, 1998 წ.
5. ვალაკტიონ ტაბიძის უბის წიგნაკი – შემდგენელი ნინო ხოფერიას; რედაქტორი იმა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 1998 წ.
6. გერონტი ქიქოძის უბის წიგნაკი – შემდგენელი ლალი ცომაია;

- რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 1998 წ.
7. ლევან ასათიანის უბის წიგნაკი – შემდგენელი თეა თვალავაძე; რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 1998 წ.
 8. გურამ ასათიანის უბის წიგნაკი – შემდგენელი ჯაბა ასათიანი; რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „ლიტერატურის მაგიანე“, თბილისი, 1998 წ.
 9. ნოდარ დუმბაძის უბის წიგნაკი – შემდგენელი ჯაბა ასათიანი; რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „ლიტერატურის მაგიანე“, თბილისი, 1998 წ.
 10. არჩილ სულაკაურის უბის წიგნაკი – შემდგენელი ჯაბა ასათიანი; რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „ლიტერატურის მაგიანე“, თბილისი, 1998 წ.
 11. ედიშერ ყიფიანის უბის წიგნაკი – შემდგენელი ლელა ჩაჩხიანი; რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „ლიტერატურის მაგიანე“, თბილისი, 1998 წ.
 12. ნოდარ ჩხეიძის გახსენება – შემდგენელი ჯაბა ასათიანი; რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „ლიტერატურის მაგიანე“, თბილისი, 1998 წ.

1999 წ.

1. Борис Пастернак – Архивное издание – Материалы фонда Государственного музея грузинской литературы им. Г. Леонидзе – Составитель Светлана Чернявская; редактор Иза Орджоникидзе. Издательство „Литературис Матиანე“, Тбилиси, 1999 г.
2. ოტია პაჭკორიას უბის წიგნაკი – შემდგენელი და რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „ლიტერატურის მაგიანე“, თბილისი, 1999 წ.

2000 წ.

1. მაყვალა მრევლიშვილის უბის წიგნაკი – შემდგენელი ლალი ცომაია; რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2000 წ.
2. გიორგი ლეონიძის საიუბილეო კრებული „ოლე“ – შემდგენელი და რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, გამომცემლობა „ლიტერატურის მაგიანე“, თბილისი, 2000 წ.

- გურის მაგიანე“, თბილისი, 2000 წ.
- სერგო კლდიაშვილის უბის წიგნაკი – შემდგენელი ჯაბა ასათიანი; რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, გამოცემლობა „ლიგერატურის მაგიანე“, თბილისი, 2000 წ.

კულტურულ-საბანმანათლებლო საქმიანობა:

1997 წ.

- 22-23 თებერვალს საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმთან არსებული „ლიტერატურული სახელოსნოს“ აღსაზრდელებმა ჩააგარეს შემეცნებითი ვიქტორინა. გაიმართა შერჩევითი და დასკვნითი ტური.
- 12-13 მაისს საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმთან არსებული „ლიტერატურული სახელოსნოს“ აღსაზრდელებმა ჩააგარეს შემეცნებითი ვიქტორინა „საცნობლად თავისაო“.
- 27-30 მაისს საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ხსოვნის კვირეული
27 მაისს „ჩემი სამშობლო საქართველო სხვა თეატრია“ – ლიგ. თეატრის კომპიზიცია მიეძღვნა გიციან გაბიძის ხსოვნას.
28 მაისს „ვინ დამიბუდა გზები პოეგის“ – ლიგ. თეატრის კომპიზიცია მიეძღვნა ლადო ასათიანის ხსოვნას.
30 მაისს „არდაბრუნება არ მეძნელება, უფრო ძნელია თქვენზე წუხილი“ – ლიგ. თეატრის კომპიზიცია მიეძღვნა მირზა გელოვანის ხსოვნას.
- 13 ივნისს ქ. თბილისის გრიგოლ ხანცთელის სახელობის ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეებმა გამართეს პოეტ შოთა ჩანგლაძის ხსოვნის საღამო.

1998 წ.

- 13 მარტს გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო „ვეტრფი იმ ქალებს, ძველ პოეტებს რომ ჰყვარებიათ“.

2. 10 აპრილს საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმთან არსებულმა გოგონათა ანსამბლმა წარმოადგინა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ჩემი საქართველო აქ არის“.
3. 15 აპრილს გაიმართა ოგია პაჭკორიას ხსოვნის საღამო.
4. 29 მაისს საქართველოს დამოუკიდებელმა სტუდენტურმა მოძრაობამ და საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა გახსნეს საღამო „ორიონი“.
5. 3 ივნისს საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმთან არსებული „ლიტერატურული სახელოსნოს“ აღსაზრდელებმა გაიმართეს ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო.
6. 13 ივნისს გაიმართა შოთა ჩანგალაძის წიგნის „მე მოვალ...“ პრეზენტაცია და დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.
7. 19 ივნისს გაიმართა პიანისტ ჯემალ თაყაძის შემოქმედებითი საღამო.
8. 17 ოქტომბერს გაიმართა გურამ ასათიანის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.
9. 8-9 დეკემბერს გაიმართა სამეცნიერო სესია თემაზე: „მუზეუმთმცოდნეობის თეორია და პრაქტიკა“.
10. 23 დეკემბერს გაიმართა დავით თურდოსპირელის დაბადებიდან 110 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო.
11. 29 დეკემბერს გაიმართა ნოდარ ჩხეიძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

1999 წ.

1. 27 იანვარს შედგა შეხვედრა სააქართველოს განათლებისა და კულტურის სამინისტროების, თბილისის მერიის განათლების სამმართველოს წარმომადგენლებთან, მოგად-საგანმანათლებლო სკოლების დირექტორებთან და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან.
2. 3 თებერვალს გაიმართა ნაზი კილასონიას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო.

3. 2 მარტს ქართული ლიგერატურის სახელმწიფო მუზეუმთან არსებულმა გოგონათა ანსამბლმა „ცისა ფერს“ გამართა დღის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.
4. 17 მარტს გაიმართა შედეა ძიძიგურის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო „რა დროს რომანსეროა?“.
5. 20 აპრილს შედგა შეხვედრა ქილის უნივერსიტეტის პროფესორთან – დოქტორ დონერთან და მის მეუღლესთან – მხაგვარსა და პოეტ მონიკა დონერთან.
6. 27 აპრილს გაიმართა მიქელ პაგარიძის ხსოვნის საღამო.
7. 30 ოქტომბერს გაიმართა შეხვედრა ქალბაგონ ლანა ლოლობერიძესთან.
8. 26 ნოემბერს გაიმართა ირაკლი აბაშიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

2000 წ.

1. 19 თებერვალს გაიმართა მაყვალა მრეელიშვილის ხსოვნის და დაბადებიდან 90 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.
2. 21 მარტს გაიმართა მარჯორი უორდროპის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიგერატურული საღამო.
3. 25 აპრილს გაიმართა „ცისფერყანწელთა“ ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიგერატურული საღამო „გრაალის მკველნი“.
4. 27 მაისს საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიგერატურის სახელმწიფო მუზეუმის ეზოში საზეიმოდ გაიხსნა გ. ლეონიძის ბიუსტი.
5. 31 მაისს გაიმართა გ. ლეონიძის საიუბილეო საღამო.
6. 6 ივნისს საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიგერატურის სახელმწიფო მუზეუმთან არსებული „ლიგერატურული სახელოსნოს“ აღსაზრდელებმა გამართეს გ. ლეონიძის იუბილესადმი მიძღვნილი ლიგერატურულ-მუსიკალური საღამო „მშობლიურ ხეთა ჩრდილებში“.
7. 16 დეკემბერს გაიმართა ბორის პასკერნაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიგერატურული საღამო.
8. 30 დეკემბერს გაიმართა ანა ახმაგოვას ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიგერატურული საღამო და წარდგინება წიგნისა „ანა ახმაგოვა – 50 ლექსი“ – თარგმანი იზა ორჯონიკიძისა.



სარჩევი

გიორგი ლეონიძე 100 წლისაა
რევაზ ინანიშვილი – „ჩვენი ბუბური ბრტყენა“
გიორგი ლეონიძე – „დაუდ-ფაშა“ – მოამზადა აზა ორჯონიკიძემ 5
თამარ ზურაბიშვილი – „გალაკტიონ ტაბიძის უცნობი ფოტოსურათი“ 16
დავით ბუაჩიძე – „ეგვინი ღუნდბურგი – შვედი, რომელსაც უყვარდა
ქართული ლიტერატურა“ 18
წერილები ელენე დოლობერიძის არქივიდან – მოამზადა მაია ბარამიძემ 25
წერილები ალექსანდრე აბაშელის არქივიდან – მოამზადა მარინე ირემაშვილმა 34
შალვა დადიანის წერილები – მოამზადა მარინე ხუბულურმა 45
გალაკტიონ ტაბიძის უცნობი წერილები – მოამზადა ნათია დარბაველიძემ 63
ედიშერ ყიფიანის არქივიდან – მოამზადა ლელა ჩანჩინაძემ 74
თედო სახოკიას ეპისტოლარული შემკვიდრებიდან – მოამზადა ლიანა დრევიძემ 92
წერილები ერეკლე ტატიშვილის არქივიდან – მოამზადა ეკატერინე გრიგოლიამ 101
წერილები შალვა სოსლიანის არქივიდან – მოამზადა ნატო სედიშვილმა 116
ქართველი ემიგრანტის – გრიგოლ ორაგველიძის წერილები – მოამზადა
ნინო ვადაჭკორიამ 148
ისევ ელენე დადიანის მითის გამო (ლიტერატურის მუზეუმში დაცული ეპისტოლარული
შემკვიდრებიდან) – მოამზადა თეა თვალავაძემ 168
Светлана Чернявская – Адресат Бориса Пастернака – Раиса Микадзе 179
О нескольких дарственных надписях Бориса Пастернака – подготовила
Светлана Чернявская 187
იპოლიტე ვართავაძის არქივიდან „ხარკი წარსულისა“ – მოამზადა
ნატო სედიშვილმა 193
ნინო კუბრეიშვილი – ვახტანგ კოტეტიშვილის „უოღტ უიტმენი“ (ტუქსტის
შემოქმედებითი ისტორია) 202
შერი სულაკაური – ქართული პოეზიის ჩვიდმეტოტომუელის გამოცემის გამო 207
ნინო ვადაჭკორია – დავით თურდოსპირელის ფსევდონიმის საკითხისათვის 211
Светлана Чернявская – К истории одного автографа Д. Д. Шостаковича 219
გალაკტიონი – შველევარი – მოამზადა ნანა კობაღაძემ 220
გალაკტიონ ტაბიძის „დევის ნამუსლარი“ – მოამზადა მარინე ყიფიანმა 232
გალაკტიონ ტაბიძის დღიური – მოამზადა მარინე ყიფიანმა 236
კოტე მაყაშვილის „დღიური ანუ აზრთა დომხალი“ – მოამზადა
ეკატერინე გრიგოლიამ 246
წილკნელი ეპისკოპოსის ტარასის არქივიდან – მოამზადა მარინე ყიფიანმა 292
„აჭარის შვილების მამა“ – მოამზადა ნატო სედიშვილმა 311

2444/10



3	დარია ახვლედიანის არქივიდან – შოამზადა თვა უჩანეიშვილმა	329
	მარინე ყაფიანი – „ხუდს დამჩნეული“	337
4	ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა (ჩაწერილი ექიმ დავით კვიციანიშვილის მიერ თბილისის შეორე კოლონიაში, ორთაქალაში, 1946 წელს) – შოამზადა იზა ორჯონიკიძემ	352
	ემზარ კვიციანიშვილი – „სიკეთის შუქი“	471
5	ცოცხალი წარსული – ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებს ვსაუბრება ნინო ხოფერიძე	529
	1997–2000 წლებში საქართველოს გ. დეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ გაწეული საგამომცემლო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ქრონიკა	538

1 (281.976)
-3
3670363-0
3670363-0